მთარგმნელი ივანე მაჭავარიანი

ალექსანდრე დიუმა

სამი მუშკეტერი

ავტორის წინასიტყვაობა

საიდანაც ირკვევა, რომ ამბის გმირები, რომლებზედაც პატივი გვექნება მკითხველთ მოვუთხროთ, არ არიან მითოლოგიურნი, თუმცა მათი სახელები „ოს“-ზე და „ის“-ზე ბოლოვდება.

დაახლოებით ერთი წლის წინათ, როცა მეფის ბიბლიოთეკაში ლუდოვიკო მეთოთხმეტის ისტორიისათვის მასალებს ვეძებდი, შემთხვევით წავაწყდი „ბატონ დ არტანიანის მოგონებებს“, რომელიც, – ისევე, როგორც უმრავლესობა იმ დროის ნაწარმოებებისა, როცა ავტორები, თუმცა სიმართლის თქმა კი ეწადათ, ცდილობდნენ, თავიდან აეცილებინათ ამის შედეგად ცოტათი თუ დიდი ხნით ბასტილიაში ჯდომა, – დაბეჭდილი იყო ამსტერდამში, პიერ რუჟთან. სათაურმა მიმიზიდა; ეს მემუარები ბიბლიოთეკის მცველის თანხმობით შინ წავიღე და გატაცებით დავეწაფე.

მე არ შევეცდები, დაწვრილებით გავარჩიო აქ ეს საინტერესო ნაწარმოები, მხოლოდ იმ მკითხველთ, რომელთაც იციან წარსულის ფასი, ვურჩევ, გაეცნონ მათ.

ისინი ამ მემუარებში იპოვიან ხელოვანის ერთი ხელის მოსმით შექმნილ პორტრეტებს, და, თუმცა ეს ნაუცბათევი ჩანახატები უმეტეს შემთხვევაში გაკეთებულია ყაზარმის კარებზე და სამიკიტნოს კედლებზე, მკითხველნი მაინც გამოიცნობენ მათში ლუდოვიკო XIII, ანა ავსტრიელს, რიშელიეს, მაზარინის და იმ დროის სხვა დიდებულთ; სურათები ისევე ნამდვილია, როგორც ბ-ნ ანკეტილის ისტორიებში.

მაგრამ, როგორც ცნობილია, მწერლის ახირებულ გონებას ხანდახან ის ააღელვებს, რაც მკითხველთა ფართო წრისათვის შეუმჩნეველია. მემუარების აქ უკვე აღნიშნული ღირსებებით ისევე აღფრთოვანებულნი, როგორც უეჭველად აღფრთოვანდებიან სხვებიც, ჩვენ მაინც ყველაზე მეტად გაგვაოცა ერთმა გარემოებამ, რომლისთვისაც, ალბათ, ჩვენამდე არავის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

დ არტანიანი ჰყვება, რომ, როცა პირველად გამოცხადდა მეფის მუშკეტერების კაპიტანთან, ბატონ დე ტრევილთან, მის მისაღებ ოთახში შეხვდა სამ ახალგაზრდას, რომელნიც მსახურობდნენ იმ სახელოვან პოლკში, სადაც თვითონ მას სურდა, ჰქონოდა პატივი, ჩაერიცხათ, და რომ მათ ერქვათ ათოსი, პორთოსი და არამისი.

უნდა გამოვტყდეთ, ჩვენთვის უცნობმა სახელებმა გაგვაოცეს და მაშინვე აზრად დაგვებადა, რომ ეს მხოლოდ ფსევდონიმებია, რომლითაც დ არტანიანმა დაფარა ნამდვილი სახელები, შეიძლება ცნობილებიც, თუკი ამ მეტსახელთა მატარებელთ ეს სახელები თვითონვე არ აირჩიეს იმ დღეს, როცა თავიანთი თავგუნებობისა თუ განაწყენებისა ან კიდევ სიღარიბის გამო მუშკეტერის უბრალო მოსასხამი მოისხეს.

მას შემდეგ მოსვენება აღარ გვქონდა, ვცდილობდით, იმდროინდელ თხზულებებში წავწყდომოდით თუნდაც კვალს ამ არაჩვეულებრივი სახელებისას, რომელთაც ასეთი ცხოველი ინტერესი აღგვიძრეს.

მარტო იმ წიგნების სია, რომელიც ამ მიზნით წავიკითხეთ, ალბათ მთელ თავს შეადგენდა, რაც ძალზე სასარგებლო, მაგრამ არცთუ საინტერესო იქნებოდა ჩვენი მკითხველისათვის. ამიტომ მხოლოდ ვეტყვით მათ, რომ იმ წუთს, როცა ასეთი ხანგრძლივი და უნაყოფო ძიებით სულდაცემულებმა უკვე გადავწყვიტეთ, თავი გაგვენებებინა მოკვლევისათვის, ჩვენი ცნობილი და სწავლული მეგობრის, პოლენ პარისის რჩევით მოვიძიეთ ხელნაწერი ინ–ფოლიო, რომელიც მინიშნული იყო №4772 თუ №4773-ით, ზუსტად არ გვახსოვს და დასათაურებულია შემდეგნაირად: „გრაფ დე ლა ფერის მოგონებანი ზოგიერთ ამბებზე, რომელნიც საფრანგეთში მოხდა ლუდოვიკო XIII მეფობის ბოლოს და ლუდოვიკო XIV მეფობის დასაწყისში“.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ გაგვიხარდა, როცა ამ ხელნაწერის, ამ ჩვენი უკანასკნელი იმედის, ფურცვლის დროს მეოცე გვერდზე აღმოვაჩინეთ ათოსის სახელი, ოცდამეშვიდე გვერდზე – პორთოსის, ხოლო ოცდამეთერთმეტე გვერდზე – არამისისა.

სავსებით უცნობი ხელნაწერის პოვნა იმ ეპოქაში, როცა ისტორიულმა მეცნიერებამ განვითარების ასეთ მაღალ საფეხურს მიაღწია, სასწაულად გვეჩვენა. ვიჩქარეთ მოგვეთხოვა მისი დაბეჭდვის ნებართვა, რომ როდისმე სხვისი ტვირთით გამოვცხადებულიყავით წარწერათა და კაზმული სიტყვიერების აკადემიაში, თუ ვერ მოვახერხებდით – რაც ადვილი შესაძლებელია, – ფრანგულ აკადემიაში ჩვენი საკუთარით ვყოფილიყავით მიღებული.

ასეთი ნებართვა, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია. ეს ვთქვათ, სიამოვნებით მოგვცეს, რასაც აღვნიშნავთ აქ, რათა საჯაროდ ვამხილოთ არაკეთილმოსურნეთა სიცრუე, რომელნიც ამტკიცებენ, თითქოს ხელისუფლება, რომლის დროსაც ვცხოვრობთ, მაინცდამაინც კეთილგანწყობილი ვერაა ლიტერატორებისადმი.

ახლა ჩვენი მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ ამ ძვირფასი ხელნაწერის პირველ ნაწილზე, აღვუდგენთ შესაფერ სათაურს და პირობას ვიძლევით, თუ ამ პირველ ნაწილს ხვდა ის წარმატება, რომელსაც იგი იმსახურებს, და რაშიც ეჭვი არ გვეპარება, მაშინვე გამოვაქვეყნებთ მეორე ნაწილსაც.

ჯერჯერობით კი, რაკი მამობილი მეორე მამად ითვლება, მკითხველთ ნებას ვაძლევთ, ჩვენში, და არა გრაფ დე ლა ფერში, ეძებოს საკუთარი კმაყოფილებისა თუ მოწყენის სათავე.

რაკი ყველაფერი დავადგინეთ, შეეუდგეთ ჩვენს თხრობას.

I
ბატონ დ არტანიან-მამის სამი საჩუქარი

1625 წლის აპრილის პირველ ორშაბათს დაბა მენგში, სადაც დაიბადა „ვარდის რომანის“[1] ავტორი, ისეთი მღელვარება იყო, თითქოს მას ჰუგენოტები[2] შესეოდნენ, ახლა იქ აპირებდნენ გამაგრებას და მის მეორე ლაროშელად[3] გადაქცევას. მრავალმა მოქალაქემ, დიდი ჭუჩის მხრიდან გამოქცეული ქალები რომ დაინახა და კარაპანებთან ბავშვების ღრიალი გაიგონა, საჩქაროდ ჩაიცვა ჯავშანი. ვინ მუშკეტით, ვინ ბასრი მახვილით შეიარაღდა, რომ ამით მაინც გაემაგრებინათ გული. ყველა მიისწრაფოდა „თავისუფალი მეწისქვილეს“ სასტუმროსაკენ, რომლის წინ უამრავი ხალხი მოგროვილიყო და, ცნობისმოყვარეობით აღსავსე, საშინლად ხმაურობდა.

იმხანად ასეთი აურზაური ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ცალკეულ ქალაქთა მემატიანენი თითქმის ყოველდღიურად აღნიშნავდნენ მსგავს შემთხვევებს. წარჩინებული სენიორები

ერთმანეთს ემტერებოდნენ, მეფე კარდინალს ებრძოდა, ესპანელები – მეფეს. ამ ფარული და აშკარა ბრძოლების გარდა ქვეყანა სავსე იყო ჭურდებით, მათხოვრებით, ჰუგენოტებით, მგლებითა და მსახურებით, რომლებიც ეომებოდნენ ყველას – დიდსა და პატარას. მოქალაქე იარაღს არ იშორებდა, რათა მოეგერიებინა ჭურდები, მგლები და მსახურები, ხშირად – მებატონეები და ჰუგენოტებიც, ხანდახან თვით მეფეც, ხოლო კარდინალისა და ესპანეთის წინააღმდეგ იგი არასდროს გამოვიდოდა. ამ ოდითგანვე მომდინარე ჩვეულების მიზეზით იყო, რომ ზემოხსენებულ 1625 წლის აპრილის პირველ ორშაბათს ატეხილი აურზაურის დროს, თუმცა არსად ჩანდა არც წითელ-ყვითელი ალმები, არც ჰერცოგ რიშელიეს მსახურები, მაინც ყველა „თავისუფალი მეწისქვილეს“ სასტუმროსაკენ გარბოდა.

იქ მისულებმა მაშინვე დაინახეს ამ ალიაქოთის მიზეზი.

ყმაწვილი კაცი... აღვწეროთ მისი პორტრეტი ერთი კალმის მოსმით. წარმოიდგინეთ დონ კიხოტი, ოღონდ 18 წლისა; დონ კიხოტი მსუბუქად ჩაცმული, უჯავშნოდ და უმუზარადოდ, დონ კიხოტი ლურჯი შალის ქურთუკით, რომელიც ისე გახუნებულიყო, რომ რაღაც უცნაური, მომწვანო ცისფერი მიეღო, წარმოიდგინეთ გრძელი და შავგვრემანი პირისახე; ამოწეული ყვრიმალი – ცხადი ნიშანი ცბიერებისა; ყბები მეტისმეტად განვითარებული – ამ ნიშნით გამოირჩევა გასკონელი, თუნდ ბერეტიც არ ეხუროს, ჩვენს გმირს კი ეხურა სწორედ ასეთი ბერეტი, რომელიც რაღაც ფრთით დაემშვენებინა. ჰქონდა ფართო და გონიერი თვალები, კეხიანი, მაგრამ კოხტა და ლამაზი ცხვირი; თავისი ასაკის პირობაზე მეტად მაღალი იყო, ხოლო ვაუკაცთან ჩია გამოჩნდებოდა; გამოუცდელი კაცი ჩვენს გმირს სამოგზაუროდ წამოსულ ფერმერის შვილად ჩათვლიდა, თასმით ჩამოკიდებული გრძელი ხმალი რომ არ ჰქონოდა, რომელიც სიარულის დროს ფეხებში ეხლართებოდა, ხოლო ცხენზე ჯდომისას – ცხენის აბურძგნილ ბალანს ედებოდა.

დიახ, ჩვენს ყმაწვილ კაცს ჰყავდა ცხენი და იმდენად შესანიშნავი, რომ მთელი ქვეყანა მას შესცქეროდა. წარმოიდგინეთ ბეარნული ცხენი, თორმეტი ან თხუთმეტი წლისა, ძუაგაცლილი, თურქულიანი ფეხებით; სიარულის დროს თავი მუხლებამდე ჰქონდა ჩაქინდრული, რაც ზედმეტს ხდიდა სადავის ხმარებას, თუმცა დღეში რვა ლიეს[1] გავლას მაინც ახერხებდა. საუბედუროდ, ამ ბედაურის ღირსებანი იმდენად იყო მიჩქმალული მისი ფერით და უხეირო სიარულით, რომ იმ დროშიც კი, როდესაც ყველა ცხენის მცოდნედ ითვლებოდა, ბოჟანსის კარიბჭით მენგში შემოსული ასეთი ცხენის გამოჩენამ სავალალო შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე და ამის გამო ყველანი ათვალწუნებით უყურებდნენ მხედარსაც.

ჭაბუკი დ არტანიანი (ეს გახლდათ გვარი ამ მეორე როსინანტის მხედარ დონ კიხოტისა) თვითონვე გრძნობდა, რა სასაცილოს ხდიდა ეს ჯაგლაგი, თუმცა თავს კარგ მხედრად თვლიდა. ამაოდ როდი ოხრავდა, როდესაც ეს ცხენი აჩუქა მამამ; მან კარგად იცოდა, რომ ეს „რაში“, სულ დიდი, ოცი ლივრი თუ ეღირებოდა, მაგრამ მამის ის სიტყვები, ამ საჩუქარს რომ დაჰყვნენ თან, დაუფასებელნი იყვნენ.

– შვილო ჩემო, – უთხრა გასკონელმა აზნაურმა იმ წმინდა ბეარნული კილოთი, რომელიც მთელ სიცოცხლეში ვერ მოიშორა ჰენრიხ მეოთხემ,[3] – შვილო ჩემო, ეს ცხენი მამათქვენის თავლაში იშვა ამ ცამეტიოდე წლის წინათ; მას აქეთ ის ჩვენ სახლშია და ამიტომ უნდა გიყვარდეთ და აფასებდეთ. არამც და არამც არ გაყიდოთ: დაე, მშვიდად, პატიოსნად მოკვდეს თავისი სიბერით. თუ ამ ცხენით მოგიხდათ სალაშქროდ წასვლა, ისე მოუარეთ და გაუფრთხილდით, როგორც ერთგულ მოხუცებულ მსახურს. ვინიცობაა ბედმა გაგიღიმათ და დიდებულებთან ერთად სასახლეში მოხვდით, – განაგრძო მამამ, – რის სრულ უფლებასაც გაძლევთ თქვენი ძველი დიდებული გვარიშვილობა, ღირსეულად ასახელეთ გვარი აზნაურისა, რომელსაც მთელი ხუთასი წლის განმავლობაში სახელოვნად ატარებდნენ თქვენი წინაპრები. მუდამ უმწიკვლო, პატიოსნებით აღსავსე იყავით. კარდინალისა და მეფის გარდა არავის არაფერი დაუთმოთ. კარგად დაიხსომეთ, რომ ვაუკაცობით, მხოლოდ ვაუკაცობით იკაფავს გზას დღეს აზნაური, და თუ ვინმე ერთი წუთით მაინც შედრკება, შეიძლება სწორედ იმ წუთს დაკარგოს მან ბედნიერი შემთხვევა,

რომელსაც კეთილი ბედი ანიჭებდა. თქვენ ახალგაზრდა ხართ და მამაცი უნდა იყოთ, ამას გავალებთ ორი გარემოება: ჯერ ერთი – რომ გასკონელი ხართ, და მეორეც ის, რომ შვილი ხართ ჩემი. არ შეუშინდეთ არანაირ შემთხვევითობას. და ეძიეთ ფათერაკები. ხმლის ხმარება კარგად გასწავლეთ; მუხლი რკინისა გაქვთ და მუშტი ფოლადისა. უნდა იბრძოლოთ, სადაც კი მოგიხდებათ; უნდა იბრძოლოთ მით უფრო, რომ დუელი აკრძალულია და, მაშასადამე, ერთიორად მამაცი ისაა, ვინც ამას არ შეუშინდება.

– შვილო ჩემო, მე შემიძლია გაგატანოთ მხოლოდ თხუთმეტი ეკიუ, ჩემი ცხენი და ის დარიგება, რომელიც ახლა მოისმინეთ. დედათქვენი ჩემს საჩუქარს დაუმატებს რაღაც მალამოს რეცეპტს, რომელიც მას ერთმა ბოშა დედაკაცმა მისცა. ეს მალამო სასწაულმოქმედია და ჰკურნავს ყოველგვარ ჭრილობას, გარდა გულისა. გამოიყენეთ ყველაფერი ეს, იცხოვრეთ ბედნიერად და ხანგრძლივად... აი კიდევ რა უნდა გითხრათ: როდი მინდა ჩემგან აიღოთ მაგალითი, ვინაიდან მე ჩემს დღეში არ ვყოფილვარ სასახლეში და მხოლოდ სარწმუნოებისათვის ომების დროს მოხალისედ მომიხდა ყოფნა. მე მინდა გითხრათ ბატონ დე ტრევილზე, რომელიც ოდესღაც ჩემი მეზობელი იყო და ბავშვობისას ჰქონდა ბედნიერება ეთამაშა ჩვენს მეფე ლუდოვიკო მეცამეტესთან, – ღმერთმა ადღეგრძელოს იგი! ხანდახან თამაში ჩხუბად გადაიქცეოდა ხოლმე და ამ ჩხუბიდან ყოველთვის მეფე როდი გამოდიოდა გამარჯვებული. ბატონ დე ტრევილისაგან მიღებულმა მუშტებმა მეფეს დიდი პატივისცემა და მეგობრული გრძნობები აღუძრა ამ აზნაურისადმი. შემდეგ ბატონ დე ტრევილს პარიზში პირველი მოგზაურობისას ხუთჯერ მოუხდა დუელში ბრძოლა; განსვენებული მეფის გარდაცვალების დღიდან ახალგაზრდა მეფის სრულწლოვანებამდე – კიდევ შვიდჯერ, თუ არ ჩავთვლით ომებსა და გარემოებებს; სრულწლოვანებიდან დღემდე კი – ასჯერ! აი, ამიტომ დუელის ასაკრძალავად გამოსული მრავალი ბრძანების და დადგენილების მიუხედავად, დე ტრევილი მუშკეტერების კაპიტანია, ესე იგი, უფროსია გმირთა ლეგიონისა, რომელსაც დიდად აფასებს მეფე-ბატონი და თვით კარდინალსაც ეშინია მისი. რიშელიეს კი, როგორც ყველასთვის ცნობილია, ბევრის შიში როდი აქვს. ამას გარდა, ბატონი დე ტრევილი ათი ათას ეკიუს იღებს წელიწადში და, მაშასადამე, დიდი და ძლიერი მებატონეა. მანაც თქვენსავით დაიწყო. მიდით მასთან ამ წერილით, აიღეთ მისგან მაგალითი, რათა თქვენც ისეთივე დიდებული გახდეთ.

ამ სიტყვების შემდეგ მამამ თავისი საკუთარი ხმალი შემოარტყა შვილს, სიყვარულით დაუკოცნა ორივე ლოყა და გზა დაულოცა.

მამის ოთახიდან გამოსულ დ არტანიანს დედა შეხვდა ბოშა დედაკაცის განთქმული რეცეპტით, რომლის ხმარებაც, მოსმენილი დარიგებების შემდეგ, ცხადია, ხშირად დასჭირდებოდა ყმაწვილკაცს. დედასთან გამოთხოვება უფრო ხანგრძლივი, ნაზი და ალერსიანი იყო, ვიდრე მამასთან; იმიტომ კი არა, თითქოს ბატონ დ არტანიანს არ ჰყვარებოდეს თავისი ერთადერთი ვაჟი, არა, ბატონი დ არტანიანი მამაკაცი იყო და ვაჟკაცისათვის უღირსად მიაჩნდა გრძნობების აყოლა, ქალბატონი დ არტანიანი კი ქალი გახლდათ და, ამასთანავე, მშობელი დედა. მან დიდხანს იტირა. შვილის სასახელოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად მისი დიდი მცდელობისა – არ დამორჩილებოდა გრძნობებს, როგორც ეს მომავალ მუშკეტერს შეჰფეროდა, დ არტანიანმა თავი ვერ შეიკავა, მრავალი ცრემლი დაღვარა და მოზღვავებული გრძნობების ნახევარი დიდი გაჭირვებით შეძლო დაემალა.

მამის სამი საჩუქრით აღჭურვილი ყმაწვილი კაცი იმ დღესვე გაუდგა გზას. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს საჩუქრები იყო: თხუთმეტი ეკიუ, ცხენი და ბატონ დე ტრევილისადმი მიწერილი წერილი. დარიგებები, ცხადია, სათვალავში ჩასაგდები არ იყო.

ამგვარად, დ არტანიანი, როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად ძლიერ ჰგავდა სერვანტესის გმირს, რომელსაც ასე მოხდენილად შევადარეთ, როდესაც ისტორიკოსის მოვალეობამ გვაიძულა დაგვეხატა მისი პორტრეტი. დონ კიხოტს ქარის წისქვილები დევგმირად ეჩვენებოდა, ცხვრის ფარა კი ლაშქრად. დ არტანიანს ყოველი ღიმილი შეურაცხყოფად მიაჩნდა და ყოველი გამოხედვა – ხმალში გამოწვევად. ამიტომ ტარბიდან მოკიდებული მენგამდე სულ მუშტმოღერებული მიემგზავრებოდა და დღეში ათჯერ მაინც

სტაცებდა ხმლის ვადას ხელს. კიდევ კარგი, რომ მის მუშტს არავისთვის მოუმტვრევია ყბა და ხმალიც არც ერთხელ არ ამოუღია ქარქაშიდან. მართალია, საცოდავი ზერდაგის დანახვაზე გამვლელები ღიმილს ვერ იკავებდნენ, მაგრამ ცხენთან ერთად ისეთ მოზრდილ ხმალს ხედავდნენ, ხოლო ამ ხმლის ზემოდან ისეთი ამაყი და მკაცრი თვალები ბრიალებდნენ, რომ მყისვე ფარავდნენ სიცილს და თუ მაინც მხიარულება სძლევდათ, სიფრთხილეს იჩენდნენ და ანტიკური ნიღბებივით ცალყბად იღიმებოდნენ. ასე ხელ-შეუხებლად იმგზავრა ახალგაზრდა გასკონელმა იმ ბედუკულმართ მენგში ჩასვლამდე.

მაგრამ იქ კი, „თავისუფალი მეწისქვილეს“ სასტუმროს ჭიშკართან ცხენიდან ჩამოხტომისას, არავინ გამოეგება, – არც სასტუმროს პატრონი, არც მსახური, არც მეჯინიბე, რომ უზანგი დაეჭირათ. მხოლოდ ქვემო სართულში, ღია ფანჯარასთან, მან მაღალი და წარმოსადეგი გარეგნობის აზნაური შეამჩნია. იგი ესაუბრებოდა ორ კაცს, რომლებიც, ეტყობოდათ, დიდი პატივისცემით უსმენდნენ. დ არტანიანმა ჩვეულებისამებრ იფიქრა, ჩემზე ლაპარაკობენო, და ყური მიუგდო. ამჯერად არც ძალიან შემცდარა. მათი საუბრის საგანი მისი ცხენი იყო. აზნაური, ეტყობოდა, დაწვრილებით უსახელებდა მსმენელებს ამ ცხენის ყოველ ღირსებას. როგორც უკვე ვთქვით, მსმენელებს ორატორის დიდი პატივისცემა ჰქონდათ და ამიტომ ყოველ მის ხუმრობაზე გულიანად ხარხარებდნენ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ არათუ სიცილი, ოდნავი ღიმილიც კმაროდა ახალგაზრდა გასკონელის გასაბრაზებლად. ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე ეს დაუცხრომელი სიმხიარულე და როგორ გააშმაგებდა ასეთი დაურიდებელი ხარხარი.

დ არტანიანმა, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვიტა პირდაპირ სახეში შეეხედა იმ უკმეხი ვაუბატონისათვის, რომელიც მას დასცინოდა; ის ზვიადად მიაცქერდა უცნობს, თავისი ამაყი თვალი თვალში გაუყარა და დაინახა ორმოცი-ორმოცდახუთი წლის კაცი, შავი, გამჭრიახი თვალებით, ფერმკრთალი, საკმაოდ დიდცხვირა, კოხტად შეკრეჭილი შავი ულვაშით. ტანთ ეცვა ჭურთუკი და წაღებში ჩატანებული მოკლე იისფერი შარვალი იმავე ფერის თასმებით. ჭურთუკი და შარვალი ახალი იყო, მაგრამ სამგზავრო ტომარაში ნადებს, დაჭმუჭნილს ჰგავდა. დ არტანიანმა გამოცდილი მკვლევარის უაღრესად მახვილი მზერით მსწრაფლ შეამჩნია ყველა ეს წვრილმანი, უფრო მეტიც, შეიძლება იგრძნო კიდეც, რომ იმ უცნობს დიდი გავლენა ექნებოდა მის მომავალ ცხოვრებაზე.

მაგრამ სწორედ იმ წუთს, როდესაც დ არტანიანი ასე აკვირდებოდა იისფერ ჭურთუკში გამოწყობილ აზნაურს, ამ აზნაურმა ბეარნულ ცხენზე ისეთი ფრიად ღრმააზროვანი და მეტად ბრძნული შეხედულება გამოთქვა, რომ მსმენელები კვლავ გულიანად ახარხარდნენ. მიუხედავად აზნაურისათვის ჩვეული თავდაჭერილობისა, მის სახეზედაც გაირბინა მკრთალმა ღიმილმა. ახლა ეჭვი აღარ იყო, მართლაც შეურაცხყვეს დ არტანიანი. ამით გაცოფებულმა ბერეტი თვალებზე ჩამოიფხატა, თან ცდილობდა, გასკონიაში ნანახი მოგზაური სენიორების დარბაისლური მანერებისათვის მიებაძა. ერთი ხელი ხმლის ვადაზე დაიდო, მეორით დოინჯი შემოიყარა და უცნობისაკენ გაემართა. საუბედუროდ, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უფრო და უფრო აბრმავებდა ბრაზი. ღირსეული და ქედმაღლური სიტყვების ნაცვლად უხეშად წამოიყვირა, რასაც ხელის ასეთივე უხეში მოძრაობა მოჰყვა.

– ეი, თქვენ! – შესძახა დ არტანიანმა. – დიახ, თქვენ, ბატონო, მაგ ფარდის უკან რომ იმალებით, ერთი მიბრძანეთ, რა გაცინებთ ასე, და მერე ერთად ვიცინოთ.

აზნაურმა თვალი ცხენიდან ნელ-ნელა მხედარზე გადაიტანა, ეტყობა, უცებ ვერ მიხვდა, რომ ეს უცნაური სიტყვები მას ეხებოდა, მერე, როდესაც აღარავითარი ეჭვი აღარ დარჩა, რომ ეს მისი მისამართით იყო ნათქვამი, წარბები ოდნავ მოღუშა და ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ენით გამოუთქმელი თავხედობითა და დაცინვით უპასუხა დ არტანიანს:

– მე თქვენთვის არაფერი მითქვამს, ბატონო ჩემო!

– სამაგიეროდ, მე გეუბნებით, მე! – შეჰყვირა გაშმაგებულმა ყმაწვილმა კაცმა. მის სიტყვებში იგრძნობოდა თავხედობა და კარგი მანერებიც, თავაზიანობა და სიძულვილიც.

უცნობი ცოტა ხანს კვლავ წინანდებური ღიმილით მიაჩერდა დ არტანიანს, შემდეგ ფანჯარას ჩამოშორდა და ნელი ნაბიჯით სასტუმროდან გამოვიდა. ორ ნაბიჯზე

მიუახლოვდა და მისი ცხენის წინ გაჩერდა. უცნობის მშვიდმა და დამცინავმა იერმა გააორკეცა ფანჯარასთან დარჩენილ თანამოსაუბრეთა მხიარულობა. გაშმაგებულმა დ არტანიანმა მიახლოებული უცნობის დანახვაზე ხმალი ქარქაშიდან მთელი ძალით ამოსწია.

— მართლაც რომ შესანიშნავი ბაიისფერი ცხენია, უკეთ რომ ვთქვათ, შესანიშნავი იქნებოდა ახალგაზრდობაში, — წარმოთქვა უცნობმა, რომელიც კვლავ განაგრძობდა ცხენის დათვალიერებას და ისე ესაუბრებოდა თავის მსმენელებს, თითქოს ვერც კი ამჩნევდა მათ შუა მდგომ გაშმაგებულ გასკონელს. — ეს ფერი საკმაოდ ცნობილია მცენარეთა სამყაროში, მაგრამ დღევანდლამდე იშვიათად გვხვდება ცხენებში.

— ცხენს ის დასცინის, ვინც ვერ გაბედავს დასცინოს მის პატრონს! — შეჰყვირა ტრევილის შმაგმა მიმბაძველმა.

— მე, ბატონო, ხშირად არ ვიცინი, — მიუგო უცნობმა, — რასაც თვითონაც შემამჩნევდით სახეზე, მაგრამ მაინც მნებავს შევინარჩუნო უფლება, ვიცინო მაშინ, როცა მოვისურვებ.

— მე კი, — შესძახა დ არტანიანმა, — არ მსურს იცინოდეს ვინმე მაშინ, როდესაც მე ეს არ მსიამოვნებს.

— მართლა, ბატონო?! — განაგრძო უცნობმა წინანდელზე უფრო მშვიდად, — მერედა რა ვუყოთ! ეს სრულიად სამართლიანიცაა. — შემდეგ ქუსლებზე შეტრიალდა და გაემართა სასტუმროსაკენ, რომლის ჭიშკართან დ არტანიანმა შემოსვლისას შეკაზმული ცხენი შეამჩნია.

მაგრამ ჩვენს გასკონელს როდი ჰქონდა ჩვეულება, დაუსჯელად გაეშვა ადამიანი, რომელიც აბუჩად აგდებას გაუბედავდა. სწრაფად ამოაძრო ქარქაშიდან ხმალი და შეურაცხმყოფელს უკან დაედევნა ყვირილით:

— მობრუნდით! მობრუნდით, ბატონო ლაზღანდარავ, არ მინდა ზურგში ჩაგცხოთ!

— მე ჩამცხებთ? მე? — შესძახა უცნობმა, შემოტრიალდა და დიდი განცვიფრებითა და ზიზღით დააცქერდა დ არტანიანს. — გამიგონე, ჩემო კარგო, სწორედ ჭკუიდან შეშლილხართ! — მერე ჩუმად, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, დაუმატა: — სამწუხაროა, ღმერთმანი! რა აღმოჩენა იქნებოდა ეს ბიჭი მისი უდიდებულესობისათვის, რომელიც ყველგან დაეძებს ასეთ მამაცებს თავის მუშკეტერთა ასეულისათვის.

მან ვერც კი მოასწრო ამის თქმა, დ არტანიანმა ისეთი ძალით მოუქნია ხმალი, რომ ალბათ ეს უკანასკნელი ხუმრობა იქნებოდა უცნობისათვის, განზე რომ არ გამხტარიყო. უცნობმა აზნაურმა ახლა უკვე დაინახა, საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო და მანაც იშიშვლა ხმალი, თავი დაუკრა მოწინააღმდეგეს და თავდაცვისთვის მოემზადა. მაგრამ იმავე წუთს უცნობის ორი თანამოსაუბრე და სასტუმროს პატრონი, შეიარაღებულნი ჯოხებით, ნიჩბებითა და საკეცებით, მისცვივდნენ დ არტანიანს. ერთ წუთში მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. დ არტანიანი იძულებული გახდა მობრუნებულიყო და პირისპირ შეხვედროდა მოზღვავებულ დარტყმებს. მისმა მოწინააღმდეგემ ხმალი ქარქაშში ჩააგო და მშვიდად ადევნებდა თვალყურს ბრძოლას. აქამდე ბრძოლის აქტიორმა, ახლა მაყურებლის როლიც ისეთივე უგრძნობლობით შეასრულა. თუმცა მაინც ბურტყუნებდა:

— ეშმაკმა დალახვროს ეს გასკონელები! შესვი თავის ნარინჯისფერ ცხენზე ეგ ჩხუბისთავი და გაუშვი, წავიდეს.

— მანამ არ წავალ, სანამ ანდერძს არ აგიგებ, შე ლაჩარო, შენ! — უყვიროდა დ არტანიანი, არც ერთი ნაბიჯით არ იხევდა უკან და მარდად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იგერიებდა სამ მოწინააღმდეგეს, რომლებიც დაუნდობლად სცემდნენ ჯოხებითა და საკეცებით.

— ისევ ეს გასკონური ბაქიბუქი! — წაიბურტყუნა აზნაურმა. — პატიოსნებას ვფიცავ, ეს გასკონელები გამოუსწორებელი ხალხია. მაშ, განაგრძეთ ეგ თამაში, რაკი ასე ძალიან სურს, დაიღლება და თვითონვე გეტყვით — კმარაო.

მაგრამ უცნობმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რა ჯიუტთან ჰქონდა საქმე. დ არტანიანი არ ეკუთვნოდა მათ რიცხვს, ვინც ოდესმე პატიებას თხოულობს. მოკვდებოდა და თავს არ შეირცხვენდა, ამიტომ ბრძოლა რამდენიმე წამს კიდევ გაგრძელდა. ბოლოს დ არტანიანი

დაიქანცა, ჯოხით შუაზე გადამტვრეული ხმალი ხელიდან გაუვარდა, მეორედ მოქნეული ჯოხი შიგ შუბლში მოხვდა, სისხლი წასკდა და თითქმის გულწასული მიწაზე გაიშხლართა. ამ სურათის სანახავად ყოველი მხრიდან გამორბოდა ხალხი. სასტუმროს პატრონს უარესი დავიდარაბისა შეეშინდა, მსახურთა დახმარებით დაჭრილი საჩქაროდ სამზარეულოში შეიყვანა და ცოტაოდენი დახმარება აღმოუჩინა.

აზნაური კვლავ თავის ძველ ადგილს დაუბრუნდა და ფანჯრიდან რაღაც მოუთმენლობით გადასცქეროდა მოგროვილ ხალხს, რომელიც, ეტყობოდა, ძალიან აწუხებდა.

– როგორ არის ის ცოფიანი? – ჰკითხა სასტუმროს პატრონს, რომელიც ის იყო შემოვიდა მისი მდგმურის ჯანმრთელობის გასაგებად.

– ხომ უვნებელი და ჯანმრთელი ბრძანდება თქვენი აღმატებულება? – ჰკითხა სასტუმროს პატრონმა.

– დიახ, სრულიად უვნებელი ვარ, ჩემო კეთილო მასპინძელო. ახლა მე მინდა გკითხოთ, როგორ გრძნობს თავს ის ყმაწვილი კაცი!

– უკეთ გახლავთ, ბატონო, თუმცა ახლაც გულწასულია.

– მართლა? – ჰკითხა აზნაურმა.

– მაგრამ, სანამ გული წაუვიდოდა, მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და დუელში გამოგიწვიათ.

– მაშ, ნამდვილი ქაჯი ყოფილა ის მამაცხონებული! – წამოიძახა უცნობმა.

– ოჰ, არა, ქაჯი როდი გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ, – ზიზღით მიუგო მასპინძელმა, – სანამ უგონოდ ეგდო, გავჩხრიკეთ, ბოხჩაში ერთი პერანგის მეტი არაფერი აღმოაჩნდა, ხოლო ქისაში 12 ეკიუ უდევს. ეს გახლავთ მთელი მისი ავლადიდება. მიუხედავად ამისა, სანამ გული წაუვიდოდა, ამაყად წამოიძახა: პარიზში რომ მომხდარიყო ეს ამბავი, მე ვიცი, როგორც ვანანებდიო, აქ კი... დღეს, დაე, ასე იყოს, შემდეგ მაინც არ შევარჩენო!

– მაშ, ეტყობა, რომელიმე უფლისწული უნდა იყოს საიდუმლოდ გადაცმული, – წარმოთქვა ცივად უცნობმა.

– ეს იმიტომ მოგახსენეთ, ბატონო, რომ ფრთხილად ბრძანდებოდეთ.

– გაჯავრებულ გულზე ხომ არავინ დაუსახელებია?

– როგორ არა, ჯიბეზე ხელს ირტყამდა და გაიძახოდა: ვნახოთ, რას ბრძანებს ბატონი დე ტრევილი, როდესაც გაიგებს, რა შეურაცხყოფა მიაყენეს ადამიანს, რომელსაც ის მფარველობსო.

– ბატონი დე ტრევილი? – თქვა უცნობმა და ჩაფიქრდა. – ჯიბეზე ხელს იცემდა და ბატონ დე ტრევილის გვარს ახსენებდა?.. ერთი მითხარი, ძვირფასო მასპინძელო, როცა ის ახალგაზრდა უგრძნობლად იწვა, დარწმუნებული ვარ, არც იმ ჯიბეს დაუტოვებდით გაუჩხრეკავად, იქ რაღა აღმოაჩინეთ?

– ერთი ბარათი გახლდათ, მუშკეტერთა კაპიტნის ბატონ დე ტრევილის სახელზე.

– ნუთუ მართლა?

– დიახ, ბატონო, როგორც მოვახსენე თქვენს აღმატებულებას.

დიდი მოსაზრების კაცი არ იყო სასტუმროს პატრონი და ვერ შეამჩნია, როგორ შეუცვალა მისმა ნათქვამმა უცნობს სახის გამომეტყველება. აზნაური ჩამოშორდა ფანჯარას, რომლის რაფაზე ორივე იდაყვით დაყრდნობილიყო და წარბები შეეჭმუხნა. ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა.

– დალახვროს ეშმაკმა! – გასცრა კბილებში, – ნუთუ ტრევილმა მომიგზავნა ეს გასკონელი? მეტად ახალგაზრდა კი ჩანს! მაგრამ ხმლის დაკვრა მაინც ხმლის დაკვრადვე რჩება, ვინც უნდა იყოს მისი დამკვრელი, ბავშვი თუ მოხუცი. ამასთან, ბავშვზე უფრო ნაკლებად მიიტანენ ეჭვს, დიდი განზრახვის ჩასაშლელად ზოგჯერ საკმარისია უმნიშვნელო დაბრკოლება. – და უცნობმა ფიქრებს მისცა თავი.

– ერთი მითხარიათ, მასპინძელო, ნუთუ ვერ მოახერხებთ, თავიდან მომაშოროთ ეგ ცოფიანი? მართალი გითხრათ, მაგის მოკვლა არ შემიძლია, სინდისი ნებას არ მაძლევს,

მაგრამ ხელს კი მიშლის ეს გასკონელი, – დაუმატა მუქარით სავსე კილოთი, – სად არის ახლა?

– ჩემი მეუღლის ოთახში გახლავთ, პირველ სართულზე, ჭრილობას უხვევენ.

– ბარგი თანა აქვს? ქურთუკი არ გაუხდია?

– არა, ყველაფერი ქვემოთ, სამზარეულოში გახლავთ, ბოხჩაც და ქურთუკიც, მაგრამ ნუთუ ასე გაწუხებთ ის დამთხვეული?..

– ცხადია. ისეთი აყალმაყალი ატეხა თქვენს სასტუმროში, რომ პატიოსანი ხალხი ამას არ მოითმენს. ადით თქვენს ოთახში, ანგარიში შეადგინეთ და ჩემი მსახურიც გააფრთხილეთ, მოემზადოს.

– როგორ, თქვენი აღმატებულება უკვე გვტოვებს?

– ძალიან კარგად იცით, რომ მივდივარ, წეღან არ გიბრძანეთ, ცხენი შეგეკაზმათ? ნუთუ არ აასრულეთ ჩემი ბრძანება?

– როგორ არა, ბატონო, განა ვერ ნახეთ წასასვლელად გამზადებული თქვენი ცხენი? შეკაზმული დგას ალაყაფის კარებთან!

– ძალიან კარგი, აბა, ჩქარა გააკეთეთ ის, რაც დაგავალეთ.

„ოჰო, – გაიფიქრა სასტუმროს პატრონმა, – ნუთუ ამ ბიჭისა შეეშინდა და გაურბის?“ – მაგრამ უცნობის მრისხანე გამოხედვამ მყისვე შეაწყვეტინა ფიქრი, მორჩილად დაუკრა თავი და გავიდა.

– არ მინდა, მილედიმ დაინახოს ის საძაგელი, – წაიბუტბუტა უცნობმა. – იგი საცაა გამოივლის, თუმცა უკვე რატომღაც იგვიანებს. ყველაფერს ემჯობინება, ცხენზე შევჯდე და გზაში შევეგებო. ნეტავი კი ვიცოდე, რა წერია ტრევილისადმი მიწერილ ბარათში?! – უცნობი წამოდგა და ბუტბუტით სამზარეულოსაკენ წავიდა.

სასტუმროს პატრონი, დარწმუნებული, რომ ყმაწვილი ბიჭის იქ ყოფნა აიძულებდა უცნობს დაეტოვებინა მისი სასტუმრო, ანგარიშის შესადგენად თავისი მეუღლის ოთახში შევიდა, სადაც დ არტანიანი უკვე მოსულიერებული ნახა და სიტყვა გადაუკრა, პოლიცია უსიამოვნებას მოგაყენებს დიდებული პიროვნების შეურაცხყოფისათვისო. სასტუმროს პატრონს მეტად დიდებულ კაცად მიაჩნდა უცნობი და მიუხედავად იმისა, რომ დ არტანიანი ჯერ კიდევ სუსტად იყო, მაინც დაიყოლია, დაუყოვნებლივ გასდგომოდა გზას. ჯერ კიდევ მთლად დარეტიანებული, უქურთუკო დ არტანიანი ლოგინიდან ძლივს წამოდგა და მასპინძლის დახმარებით ძირს ჩავიდა, მაგრამ სამზარეულოში შესვლის უმალ თვალი მოჰკრა თავის შეურაცხმყოფელს. უცნობი ეტლის საფეხურთან იდგა, რომელშიც ორი ზორბა ნორმანდიული ცხენი შეებათ. იგი მშვიდად ემუსაიფებოდა ერთ ბანოვანს.

მისი თანამოსაუბრე, რომლიც ეტლის კარის ჩარჩოში ჩანდა, ოცი ან ოცდაორი წლისა თუ იქნებოდა. უკვე აღვნიშნეთ, რომ დ არტანიანის მახვილი მზერა მსწრაფლ ამჩნევდა ყოველგვარ წვრილმანს. ერთი შეხედა და მაშინვე დაინახა, რომ ეტლში ლამაზი ახალგაზრდა ქალი იჯდა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ქალის სილამაზემ მასზე, მით უფრო, რომ ეს სილამაზე სრულიად უცხო იყო სამხრეთელთათვის, სადაც აღიზარდა ჩვენი დ არტანიანი. ეს იყო ფერმკრთალი ქალი, ქერა, დიდრონი დახუჭუჭებული დალალები მხრებზე სცემდა, ცისფერი მიბნედილი თვალები, ვარდისფერი ღაწვები და ფიფქივით თეთრი ხელები ჰქონდა. ქალს ცხარე ბაასი გაემართა უცნობთან.

– მაშ ასე, მისი ყოვლადუწმინდესობა მავალებს?.. – თქვა ქალმა.

– ამწამსვე დაბრუნდეთ ინგლისს და იქიდან მაშინვე აცნობოთ მის ყოვლადუწმინდესობას, თუ ჰერცოგი დატოვებს ლონდონს.

– სხვას არაფერს მავალებს? – ჰკითხა მშვენიერმა მოგზაურმა ქალმა.

– დანარჩენი დავალებანი ამ კოლოფშია ჩაკეტილი, რომელსაც მხოლოდ მაშინ გააღებთ, როდესაც ლამანშს გადახვალთ.

– ძალიან კარგი, თქვენ რაღას გააკეთებთ?

– მე პარიზს დავბრუნდები.

– იმ თავხედ პატარა ბიჭს კი არ ასწავლით ჭკუას? – ჰკითხა ქალმა.

ის იყო, პასუხი უნდა მიეცა უცნობს, მაგრამ მანამ ის პირს გააღებდა, დ არტანიანი, რომელმაც მთლიანად მოისმინა ეს ბაასი, გარეთ გამოვარდა.

– ის პატარა თავხედი ბიჭი თვითონვე ასწავლის ჭკუას! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – იმედი მაქვს, ვინც დასასჯელია, ამჯერად ველარ გამექცევა.

– ველარ გაგექცევათ? – თქვა უცნობმა წარბების შეჭმუხნით.

– ველარ! ნუთუ არ შეგრცხვებათ ქალბატონისა და გაქცევას იკადრებთ?

ხმლის ამოღებას აპირებდა უცნობი, როდესაც ქალის ხმა მოესმა:

– არ დაივიწყოთ, რომ სულ უმცირესი დაგვიანება საქმეს დაღუპავს!

– თქვენ მართალი ხართ, – შეჰყვირა უცნობმა, – თქვენ თქვენი გზით წადით, მე კი ჩემს გზას გავუდგები.

თავი დაუკრა ქალს და ცხენს მოახტა. ამავე დროს მეეტლემაც მოსწია ცხენებს სადავეები და ორივე მოგზაურმა თავ-თავისი მიმართულებით გასწია.

– ჰეი! დანახარჯს არ გადამიხდით? – უყვიროდა სასტუმროს პატრონი ფულის გადაუხდელად გაქცეულ მის უცნობ სტუმარს, რომლისადმი პატივისცემა უცბად ზიზღად შეეცვალა.

– შენ გაუსწორდი, ყეყეჩო! – გადმოსძახა გაჭენებული ცხენიდან უცნობმა თავის მსახურს. მსახურმა ორი თუ სამი ვერცხლი გადაუგდო სასტუმროს პატრონს და თვითონაც ჭენებით გაჰყვა თავის ბატონს.

– აჰ, ის ლაჩარი, ისა! მხდალი, მშიშარა! ცრუ აზნაურიშვილი! – შეჰყვირა დ არტანიანმა და ახლა მსახურს დაედევნა.

მაგრამ დაჭრილი ჯერ კიდევ იმდენად მისუსტებული იყო, რომ არ შეეძლო ასეთი მღელვარების ატანა. ათი ნაბიჯი არც კი გადაედგა, რომ ყურებმა ზრიალი დაუწყო, თავბრუ დაეხვა, სისხლის ღრუბელმა გაურბინა თვალწინ და შუა ქუჩაში დაეცა ყვირილით:

– ლაჩარი! ლაჩარი! ლაჩარი!

– მართლა რომ ლაჩარია, – უთხრა დ არტანიანს სასტუმროს პატრონმა, რომელიც ასეთი ქათინაურით ცდილობდა შეერიგებინა საწყალი ბიჭი.

– მხდალზე უარესია! – ბუტბუტებდა დ არტანიანი, – მაგრამ ის ქალი მართლა რომ მშვენიერება იყო.

– ვინ ქალი? – ჰკითხა სასტუმროს პატრონმა.

– მილედი, – ჩაიჩურჩულა დ არტანიანმა და ხელმეორედ წაუვიდა გული.

– ეჰ, რა გაეწყობა? – იძახდა სასტუმროს პატრონი, – ორი დავკარგე, მაგრამ ეს მესამე ხომ შემრჩა, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე დღე მაინც დარჩება ჩემთან და თერთმეტი ეკიუ კარგი ფულია.

როგორც ცნობილია, დ არტანიანს თავის ქისაში სწორედ თერთმეტი ეკიუ ჰქონდა დარჩენილი. მასპინძელი ვარაუდობდა, რომ თერთმეტ დღეს მაინც იავადმყოფებდა დაჭრილი და მის დაუკითხავად დღეში თითო ეკიუს უანგარიშებდა. მაგრამ სასტუმროს პატრონი ანგარიშში მოტყუვდა. მეორე დილით, ხუთ საათზე დ არტანიანი წამოდგა, თავისი ფეხით ჩავიდა სამზარეულოში, მოითხოვა ღვინო, ზეთი, როზმარინი და კიდევ რამდენიმე თავი სხვადასხვა დასახელებისა, რომლის სიამ ჩვენამდე ვერ მოაღწია; გადაშალა თავისი დედის რეცეპტი და იმის მიხედვით შეამზადა მალამო, მოისვა ჭრილობებზე. თვითონვე სხვის დაუხმარებლივ იცვლიდა საფენებს ისე, რომ ექიმი არ ჩარია მკურნალობაში. ალბათ მართლა უებარი წამალი იყო იმ ბოშა დედაკაცის მალამო, რომლის წყალობით, და შეიძლება ექიმის ჩაურევლობის გამოც, დ არტანიანი იმ საღამოსვე კარგად გრძნობდა თავს, ხოლო მეორე დღეს დილით სრულიად განკურნებული და ჯანმრთელი იყო.

როდესაც დ არტანიანმა დააპირა ღვინის, ზეთის, როზმარინისა და სხვათა საფასურის გადახდა, რომელიც მისი ერთადერთი დანახარჯი იყო, ვინაიდან იგი მკაცრ დიეტას იცავდა, აღმოჩნდა, რომ (თუ სასტუმროს პატრონის ფიცს დავუჯერებთ), მის ცხენს სამჯერ უფრო მეტი შეეჭამა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. დ არტანიანმა ხელი ჯიბეში ჩაიყო და ამოიღო თავისი გახუნებული ხავერდის ქისა, რომელშიც თერთმეტი ეკიუ აღმოჩნდა, ხოლო ბატონ დე ტრევილისადმი მიწერილი წერილი სადღაც გამქრალიყო.

ყმაწვილი კაცი დიდი მოთმინებით ეძებდა წერილს; ოცჯერ მაინც გადმოიბრუნა ჯიბეები; ცალკე ბოხჩაში ეძება, ცალკე ქისაში, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ წერილი აღარსად მოიძებნებოდა, ერთხელ კიდევ, ეს უკვე მესამედ, ისეთი გააფთრება იწყო, რომ შეიძლებოდა ახლა კვლავ დასჭირვებოდა ღვინით, ზეთით, როზმარინით და კიდევ სხვა რაღაც რაღაცეებით შეზავებული მალამო. მასპინძელმა გაცოფებული სტუმრის დანახვაზე, რომელიც იმუქრებოდა, – დავლეწავ ყველაფერს, თუ ჩემს წერილს არ მიპოვითო, მაშინვე ხელი სტაცა გრძელ მახვილს, მისმა მეუღლემ კი გრძელტარიანი ცოცხი აიღო, მსახურები ისევ იმ ჯოხებითა და საკეცებით შეიარაღდნენ, რომლებიც ამას წინათ დ არტანიანის წინააღმდეგ ემსახურებოდნენ.

– ჩემი სარეკომენდაციო წერილი! – ყვიროდა დ არტანიანი, – ჩემი წერილი, ეშმაკმა წაგიღოთ! თორემ ყველას მწყრებივით შამფურზე აგაგებთ!...

საუბედუროდ, ერთი გარემოება უშლიდა ხელს ყმაწვილ კაცს, რომ ეს მუქარა აესრულებინა: ხმალი, როგორც უკვე გიამბეთ, პირველსავე ბრძოლაში შუაზე გადაუტყდა. ეს გარემოება კი მას სრულიად დავიწყებოდა. როდესაც დ არტანიანმა ხმლის ამოღება დააპირა, ხელში მას პატარა, ათი-თორმეტი გოჯის სიგრძის ნატეხი შერჩა, რომელიც სასტუმროს პატრონს დიდი სიფრთხილით ჩაედო ქარქაშში; ხმლისპირი კი სადღაც მიემალა, შამფურად გამოსაყენებლად.

იქნება ამ უიარაღობასაც ვერ შეეჩერებინა ჩვენი გაშმაგებული ჭაბუკი, მაგრამ თვითონ სახლის პატრონი მიხვდა, რომ დ არტანიანის რისხვა სრულიად საფუძვლიანი იყო.

– მართლადა, სად არის ის წერილი? – თქვა მან და შუბი ძირს დაუშვა.

– დიახ, სად არის წერილი? – დაუყვირა დ არტანიანმა. – გაფრთხილებთ, წერილი ბატონ დე ტრევილს ეკუთვნოდა და, მაშასადამე, კიდეც უნდა იპოვოთ; და თუ ვერ იპოვით, მაშინ მან უკეთ იცის, როგორც გაპოვნინებთ!

ამ მუქარამ საბოლოოდ შეაშინა სასტუმროს პატრონი. მეფისა და კარდინალის შემდეგ ბატონ დე ტრევილის სახელს ყველაზე ხშირად გაიძახოდნენ მხედრები და მოქალაქეები. მართალია, იყო აგრეთვე მამა იოსებიც, მაგრამ მის სახელს თუ ახსენებდა ვინმე, ყოველთვის ჩუმად, რადგან უსაზღვრო შიშსა ჰგვრიდა ქვეყანას ეს „ნაცრისფერი კარდინალი“.

შეშინებულმა სასტუმროს პატრონმა მახვილი შორს გადაისროლა, ცოლს უბრძანა ცოცხი დაეგდო, ხოლო მსახურებს – ჯოხები, და მაგალითის მისაცემად თვითონვე შეუდგა დაკარგული წერილის ძებნას.

– იყო რამე საგულისხმო იმ წერილში? – ჰკითხა მან უნაყოფო ძებნის შემდეგ დ არტანიანს.

– იყო და აგრე? – შეჰყვირა გასკონელმა, რომელიც იმ წერილზე ამყარებდა მთელ თავის მომავალ კეთილდღეობას სასახლეში. – იმ წერილში იყო მთელი ჩემი ქონება.

– ესპანეთის ბანკის ბილეთები? – ჰკითხა შეწუხებულმა სასტუმროს პატრონმა.

– მისი უდიდებულესობის კერძო სალაროს ბილეთები, – უპასუხა დ არტანიანმა, რომელიც ამ წერილის დახმარებით აპირებდა მეფის სამსახურში შესვლას, და ფიქრობდა, შემიძლია ასეთი პასუხის გაცემა ისე, რომ ტყუილში არ ჩამეთვლებაო.

– ეშმაკმა წაიღოს! – წამოიძახა სასოწარკვეთილმა მაპინძელმა.

– ამას არ ვწუხვარ, – განაგრძო დ არტანიანმა თავისი გასკონური სიამაყით, – ფული არაფერია, წერილი იყო, რაც იყო, ათასი პისტოლი[1] რომ დამეკარგა, ისე არ შევწუხდებოდი, როგორც ამ წერილის დაკარგვით.

ათასის მაგივრად უნდოდა ოცი ათასი ეთქვა, მაგრამ ერთგვარმა ბავშვურმა მორცხვობამ შეაჩერა.

სასტუმროს პატრონს, რომელიც თავბედს იწყევლიდა იმისათვის, რომ წერილი ვერ იპოვა, უცებ თავში ერთმა აზრმა გაურბინა:

– ის წერილი დაკარგული არ გახლავთ! – შეჰყვირა მან.

– მაშ? – წამოიძახა იმედიანად დ არტანიანმა.

– თქვენი წერილი მოპარულია.

– მოპარული? მერე ვინ მოიპარა?

– გუშინდელმა დიდებულმა. სამზარეულოში ეწყო თქვენი ბარგი და ქურთუკი, როდესაც ის იქ მარტო ჩავიდა. თუნდ დაგენაძლევებით, რომ მან ამოგაცალათ! მან მოგპარათ!

– თქვენა გგონიათ, რომ მან მომპარა? – ჰკითხა დარტანიანმა, რომელმაც სხვებზე უკეთ იცოდა, რომ ამ წერილს მხოლოდ მისთვის შეეძლო მოეტანა სარგებლობა. იგი წერილში ისეთს ვერაფერს ხედავდა, რომ ვისიმე ინტერესი ან შური გამოეწვია და მართალიც იყო: მსახური მოპარავდა იმ წერილს, თუ იმ დროს იქ მყოფი მგზავრი, თავის სასარგებლოს შიგ ვერაფერს იპოვიდნენ.

– მაშ თქვენ, – განაგრძო დ არტანიანმა, – იმ თავხედ მხდალზე გეპარებათ ეჭვი?

– ამაში დარწმუნებული ვარ! როდესაც მოვახსენე, რომ თქვენ ბატონ დე ტრევილის მფარველობის ქვეშ ბრძანდებით და წერილიც კი გქონდათ იმ გამოჩენილ ადამიანთან, იგი ძალიან შეწუხდა, მკითხა, სად ინახებოდა ის წერილი და მაშინვე სამზარეულოში შევიდა, რადგან იქ ეგულებოდა თქვენი ქურთუკი.

– მაშ ის არის წერილის ქურდი? – თქვა დ არტანიანმა, – მე ბატონ დე ტრევილთან ვიჩივლებ, ის კი მეფეს მოახსენებს ჩემს საჩივარს.

ესა თქვა თუ არა, მედიდურად ამოიღო ჯიბიდან ორი ეკიუ და სასტუმროს პატრონს გაუწოდა. ქუდმოხდილმა მასპინძელმა სტუმარი მოწიწებით მიაცილა კარებამდე, დ არტანიანი შეჯდა თავის ყვითელ ცხენზე, რომელმაც იგი ყოველგვარი ხიფათის გარეშე პარიზის წმინდა ანტუანის კარამდე მიიყვანა. აქ მან სამ ეკიუდ გაყიდა თავისი „რაში“. ეს ძალიან კარგი ფასი იყო, რადგან დაქანცული ცხენი ძლივსღა იძვროდა, ცხენის მყიდველმა ჩარჩმა პირდაპირ უთხრა ყმაწვილკაცს: – ცხრა ლივრი მეტისმეტი მომივიდა, მაგრამ ეგ ცხენში კი არა, მისი უცნაური ფერის გამო მოგართვითო.

ამგვარად, დ არტანიანი ფეხით შევიდა პარიზში, ხელში პატარა ბოხჩა ეჭირა. მან იქამდე იარა, სანამ თავისი ქისის შესაფერისი ოთახი არ დაიქირავა. ეს ოთახი სახლის მანსარდზე იყო მოწყობილი ლუქსემბურგის სასახლის ახლოს, მესაფლავეების ქუჩაზე.

დ არტანიანმა ოთახის ბე მისცა და დაბინავდა. ჩვენმა გასკონელმა მთელი დღე ქურთუკზე და შარვალზე სირმების დაკერებას მოანდომა. ეს სირმები დედამ მამამისის თითქმის ახალი ქურთუკიდან აარღვია და მალულად გამოატანა. შემდეგ დ არტანიანი რკინეულობის რიგებს ჩაჰყვა, უნდოდა ახალი პირი გაეკეთებინა თავისი ხმლისათვის, აქედან კი ლუვრისკენ[1] გაემართა, და პირველივე შემხვედრი მუშკეტერისაგან გაიგო მისამართი ბატონ დე ტრევილის სასახლისა; ეს სასახლე იქვე, ძველი სამტრედის ქუჩაზე მდებარეობდა, სწორედ იმ სახლის მეზობლად, სადაც დ არტანიანმა ოთახი დაიქირავა; ეს გარემოება მას მეტად კარგ ნიშნად ეჩვენა და იმედი მიეცა, რომ ამაოდ არ ჩაუვლიდა ეს მოგზაურობა.

დ არტანიანმა თვალი გადაავლო თავის საქციელს მენგში. კმაყოფილი დარჩა, რადგან წარსულში ავი არაფერი ჩაედინა, აწმყო კარგად მოეწყო და მომავლის იმედებით აღსავსე დაწვა და რაინდის ძილით დაიძინა.

ეს, ჯერ კიდევ პროვინციელის ძილი მეორე დილის ცხრა საათამდე გაჰყვა მას. ცხრა საათზე ადგა და, ბატონ დე ტრევილის, მამამისის სიტყვით რომ ვთქვათ, საფრანგეთის სამეფოს მესამე პირის სანახავად გასწია.

II

ბატონ დე ტრევილის კაბინეტის მოსაცდელი ოთახი

ბატონმა დე ტრუავილმა, – ეს გვარი ჰქონდა მის ოჯახს გასკონიაში, – ანუ ბატონმა დე ტრევილმა, – ასე გადაიკეთა გვარი პარიზში, – სწორედ ისევე დაიწყო თავისი სამსახური, როგორც დ არტანიანმა, ესე იგი, გამოფხეკილი, ცარიელი ჯიბით, მაგრამ იმ უსაზღვრო გულადობით, მიზანსწრაფვით და მოხერხებით, რომლის წყალობით უღარიბესი ყმაწვილი გასკონელი აზნაური ხშირად უფრო მეტ დიდებას აღწევს ხოლმე, ვიდრე უმდიდრესი პერიგურდელი ან ბერიშონელი აზნაური, რომელიც მხოლოდ მამის კეთილდღეობასა და მემკვიდრეობას ემყარება. დე ტრევილი თავხედური გულადობით და კიდევ უფრო მეტად ბედის წყალობით, იმ დროს, როდესაც ტყვია სეტყვასავით ცვიოდა და ხმალ-ხანჯალი ჩიტივით ფრინავდა ჰაერში, ოთხ-ოთხი საფეხურის გადალახვით, იმ ძნელად ასავალი კიბის მწვერვალზე აღმოჩნდა, რომელსაც სასახლის გულის მოგება ჰქვია.

იგი მეგობარი იყო მეფისა, რომელიც, როგორც ყველასათვის ცნობილია, დიდ პატივსა სცემდა თავისი მამის – ჰენრიხ მეოთხის ხსოვნას. ბატონ დე ტრევილის მამა ერთგულად ემსახურებოდა ჰენრიხ მეოთხეს ლიგასთან ბრძოლაში. ნაღდი ფულის უქონლობის გამო, – ეს ფული კი მეფეს მთელი სიცოცხლე აკლდა, ხოლო ვალს მუდამ იხდიდა ერთადერთი საშუალებით – გონებაგამჭრიახობით, რომელიც თვითონვე ჰქონდა და თავის დღეში არავისგან უსესხია, – მან ბატონ დე ტრევილის მამას ნება მისცა, პარიზის აღების შემდეგ განსაკუთრებული დამსახურებისათვის, თავის გერბად ოქროს ლომი გაეკეთებინა წარწერით: Fidelis et fortis. ეს დიდ პატივს ნიშნავდა, მაგრამ ნაკლებად სასარგებლო იყო. როდესაც გარდაიცვალა მეფე ჰენრიხის სახელოვანი თანამებრძოლი, მან ერთადერთ მემკვიდრეობად თავის ვაჟს ხმალი და გერბი დაუტოვა. ამ ორი საუნჯისა და უმწიკვლო სახელის წყალობით ბატონი დე ტრევილი მიღებულ იქნა მეფისწულის სასახლეში, სადაც იგი ისე კარგად ხმარობდა ხმალს და ისე ერთგულად ასრულებდა თავისი გერბის დევიზს, რომ ლუდოვიკო მეცამეტე, რომელიც მთელ სამეფოში სახელგანთქმულ მოფარიკავედ ითვლებოდა, ხშირად იტყოდა ხოლმე: „თუ რომელიმე ჩემს მეგობარს დუელში ბრძოლა მოუხდება, ვურჩევ პირველ სეკუნდანტად მე წამიყვანოს, ხოლო მეორედ – ბატონი დე ტრევილი, ან პირიქითო“.

ერთი სიტყვით, ლუდოვიკო მეცამეტეს უყვარდა ტრევილი, მართალია, მეფურად, ეგოისტურად, მაგრამ მაინც უყვარდა. მაშინ ისეთი საშინელი დრო იყო, რომ ყველა ცდილობდა, თავის გარშემო შემოეკრიბა ტრევილის მსგავსნი. ბევრს შეეძლო წაეწერა თავის გერბზე ეპითეტი „ძლიერი“, ტრევილის დევიზის მეორე სიტყვა იყო, მაგრამ ძალიან ცოტა გამოჩნდებოდა ისეთი, ვისაც შეეძლო ედიარებინა ამ დევიზის პირველი სიტყვა – „ერთგული“. ტრევილი სწორედ ამ უმცირესობას ეკუთვნოდა. იშვიათ ჯგუფს შეადგენდა ეს უმცირესობა; გონებით მორჩილს, ვაჟკაცობით ბრმად თავგანწირულს, თვალით შორსმჭვრეტელს, ხელსწრაფს, თვალი მარტო იმისთვის ჰქონდა, რომ დაენახა, ვის ემდურებოდა მეფე, ხოლო ხელი იმისათვის, რომ ანდერძი აეგო მათთვის. ტრევილს აქამდე არაფერი აკლდა, გარდა შესაფერი შემთხვევისა და სწორედ ამ შემთხვევას ეძებდა ყველგან და ამბობდა: – ორივე ხელით ჩავბღუჯავ, თუ ოდესმე თვალი მოვკარ სადმეო. ამიტომ დე ტრევილი მეფე ლუდოვიკო მეცამეტემ თავისი მუშკეტერების კაპიტნად დანიშნა, რომლებიც მეფისადმი ერთგულებით, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, მეფისადმი ფანატიზმით, წარმოადგენდა იმავე ძალას, რასაც ჰენრიხ მესამისათვის – ორდინარები, ხოლო ლუდოვიკო მეთერთმეტისათვის – შოტლანდიელების რაზმი.

ამ მხრივ არც კარდინალი ჩამორჩებოდა მეფეს, რომელმაც ნახა, რა მძლავრი ძალა შემოიკრიბა ლუდოვიკო მეცამეტემ. ამ მეორე, უფრო სწორად, ამ პირველმა მეფემ საფრანგეთისამ მოისურვა, მასაც ჰყოლოდა საკუთარი დამცველი რაზმი. მანაც შეადგინა ისეთივე რაზმი მუშკეტერებისა, როგორიც ლუდოვიკო მეცამეტეს ჰყავდა. ყველა ხედავდა, როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მეფე და კარდინალი. როგორ დაეძებდნენ მთელ საფრანგეთში და უცხო ქვეყნებში ხმლის ქნევით სახელმოხვეჭილ ვაჟკაცებს. ხშირად საღამოობით, ჭადრაკის თამაშისას, ლუდოვიკო მეცამეტე და კარდინალი ცხარე კამათს მართავდნენ თავიანთი მუშკეტერების ღირსებაზე. თითოეული მათგანი თავისი

მებრძოლების გულადობასა და ვაჟკაცობას იკვეხნიდა, სახალხოდ კი ორივე გაიძახოდა, სასტიკად უნდა აიკრძალოს დუელი და ჩხუბიო; ამავე დროს თვითონვე მალულად აქეზებდნენ და ნამდვილ მწუხარებას ან უსაზღვრო სიხარულს განიცდიდნენ მათი დამარცხების ან გამარჯვების შემთხვევაში.

ბატონმა დე ტრევილმა მაშინვე მიაგნო თავისი მბრძანებლის სუსტ მხარეს და ამით მოიპოვა მეფის ხანგრძლივი მფარველობა. დე ტრევილი განგებ კარდინალ რიშელიეს სასახლესთან ავარჯიშებდა საზეიმოდ გამოწყობილ თავის მუშკეტერებს, რომელთა მზაკვრული იერი ისე აგიჟებდა მის ყოვლადუწმინდესობას, რომ ყალყზე უდგებოდა ჭადარა ულვაში. დე ტრევილს საკმაოდ კარგად შეეგნო იმდროინდელი ბრძოლის არსი, როდესაც, თუ მტრის ხარჯით არა ცხოვრობდნენ, იძულებულნი იყვნენ, თანამემამულეთა ხარჯით ეცხოვრათ. მეფის მუშკეტერები, რომლებიც ეშმაკთა ლეგიონს უფრო ჰგავდა, ბატონ დე ტრევილის მეტს არავის ემორჩილებოდა.

გულგაღეღილნი, ნასვამი, დაჭრილ-დაკაწრული მუშკეტერები მეფისა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ბატონ დე ტრევილისა, თავისუფლად დათარეშობდნენ დუქნებში, გასართობებზე, მოედნებზე. გაჰყვიროდნენ, ულვაშს იგრეხდნენ, ხმლებს აჟღარუნებდნენ. უდიდეს ნეტარებას გრძნობდნენ, როდესაც კარდინალის მცველებს შეხვდებოდნენ და შეეჯახებოდნენ. ამას კი ბრძოლა მოსდევდა. იქვე, შუა ქუჩაში იშიშვლებდნენ ხმლებს, ეცემოდნენ ერთმანეთს, თან სახუმარო სიტყვებსაც ყვიროდნენ, ზოგჯერ კვდებოდნენ, მაგრამ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოკლულთ დაიტირებდნენ და სისხლს აიღებდნენ. უფრო ხშირად კი თვითონ კლავდნენ მოწინააღმდეგეს და ბრძოლიდან გამარჯვებულნი გამოდიოდნენ, და აქაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საპატიმროში არ დააობებდნენ, რადგან ბატონი დე ტრევილი გამოაშვებინებდა. ამიტომ მეფის მუშკეტერები აღმერთებდნენ თავიანთ კაპიტანს, მიუხედავად იმისა, რომ თავზეხელაღებული ყაჩაღები იყვნენ, მის წინაშე შიშით კანკალებდნენ ისე, როგორც მოწაფეები თავიანთი მასწავლებლის წინ. ხმა- ამოუღებლივ ემორჩილებოდნენ ყოველ მის სიტყვას და მზად იყვნენ თავი მოეკლათ, სულ უმცირესი შენიშვნაც რომ მიეღოთ მისგან.

ბატონი დე ტრევილიც ამ ძალოვანი ბერკეტით სარგებლობდა ჯერ მეფისა და მისი მეგობრებისათვის, ხოლო შემდეგ თავისთვის და თავისი მეგობრებისათვის. აღსანიშნავია, რომ იმ დროის მოგონებებში, რომლებიც მრავლად დაგვიტოვა ამ ხანამ, არაფერი მოიპოვება ამ ღირსეული დიდებულების სასაყვედურო ან სამდურავი. თვით მტრების ნაწერებშიც, მტერი კი მას მრავალი ჰყავდა, არსად არის აღნიშნული, რომ მას ვისგანმე მოეთხოვოს რამე იმ სიკეთის სამაგიეროდ, რომელსაც თავისი სეიდების[1] დახმარებით თესავდა. საკვირველი და იშვიათი ნიჭი ჰქონდა ინტრიგანობისა; ამ მხრივ იგი მისი ეპოქის არც ერთ უდიდეს ინტრიგანს არ ჩამორჩებოდა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, დე ტრევილი პატიოსან კაცად დარჩა და საგმობი არა ჩაუდენია რა. უფრო მეტიც, მიუხედავად მრავალი ჭრილობისა და მომქანცველი ვარჯიშისა, იგი მაინც გამოჩენილი ორატორი, ბანოვანთა უერთგულესი თაყვანისმცემელი და გულწარმტაცი სალუქი გახლდათ. ისევე ლაპარაკობდნენ დე ტრევილის გამარჯვებულ სიყვარულზე, როგორც ოცი წლის წინათ ბასომპიერის გამარჯვებებზე; ცოტას როდი ნიშნავდა ეს შედარება. ამრიგად, მუშკეტერების კაპიტანი იყო თაყვანცემული, საშიში და საყვარელი პიროვნება – ეს კი შეადგენს ადამიანის სრულ ნეტარებას.

ლუდოვიკო მეთოთხმეტემ თავისი დიდსხივოსნობით ჩააქრო სასახლის ყველა პატარა ვარსკვლავი; მაგრამ მისმა მამამ კი პლურიბუს იმპარ[2] პირადი ბრწყინვალება დაუტოვა ყველა ფავორიტს, თავისი პიროვნული ღირსება კი – თავის თაყვანისმცემლებს. მეფის და კარდინალის გარდა, პარიზში ორასზე მეტს კიდევ სხვას ჰქონდა დილის მისასალმებელი მიღება, მაგრამ ამ ორასში ყველაზე მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები ყოველთვის ბატონ დე ტრევილთან იკრიბებოდნენ.

ძველი სამტრედის ქუჩაზე მდებარე დე ტრევილის სასახლის ეზო ბანაკს ჰგავდა, რომელიც ზაფხულში დილის ექვსი საათიდან და ზამთარში რვა საათიდან დაღამებამდე

ჯარით იყო სავსე. ორმოცდაათი-სამოცი მუშკეტერი, რომლებიც, ეტყობოდა, ხშირად იცვლებოდნენ, რომ ყოველთვის მრავლად სჩვენებოდნენ ხალხს, იარაღასხმულნი და საბრძოლველად გამზადებულნი დასეირნობდნენ. დიდ, გრძელ კიბეზე შეუწყვეტლივ ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ მთხოვნელები: პარიზელი მოქალაქეები წყალობის სათხოვნელად მოდიოდნენ, პროვინციელი აზნაურები სამხედრო სამსახურში შესვლაზე ოცნებობდნენ, ხოლო ყოველგვარი ფერის ტანისამოსში გამოწყობილი მსახურები თავიანთი ბატონების მიერ გამოგზავნილ ბარათებს აბარებდნენ. ბატონ დე ტრევილის კაბინეტის მოსაცდელში გრძელ სკამებზე რჩეულნი ისვენებდნენ, ესე იგი ისინი, ვინც მოწვეულნი იყვნენ. ამ ოთახში დილიდან საღამომდე ხალხის ყაყანი იყო, ხოლო გვერდით კაბინეტში ბატონი დე ტრევილი იჯდა და იღებდა მის სანახავად მოსულთ; ისმენდა საჩივრებს, იძლეოდა ბრძანებას, ისევე როგორც მეფეს ლუვრის აივნიდან, მასაც შეეძლო კაბინეტის ფანჯრიდან მოეხდინა თავისი მუშკეტერების საბრძოლო დათვალიერება.

იმ დღეს, როდესაც დ არტანიანი დე ტრევილის სასახლეში მივიდა, ჩვეულებისამებრ, უამრავი ხალხი დახვდა შეგროვილი; მით უფრო ბევრი მოეჩვენებოდა იგი პროვინციელს, რომელიც პირველად იყო პარიზში, მაგრამ ესეცაა, რომ ეს პროვინციელი გასკონელი გახლდათ, იმ დროს კი დ არტანიანის თანამემამულეები ცნობილნი იყვნენ, როგორც ნაკლებად მორცხვნი და უშიშარნი. მართლაც, არ შემკრთალა დ არტანიანი, როდესაც გაიღო დიდი, ოთხკუთხედთავიანი ლურსმნებით შეჭედილი მძიმე კარი და პირდაპირ შეიარაღებულ ადამიანებში მოხვდა, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად მიმოდიოდნენ, საუბრობდნენ, ოხუნჯობდნენ, ჩხუბობდნენ და თამაშობდნენ. ოფიცერი უნდა ყოფილიყო კაცი, გამოჩენილი პიროვნება ან ლამაზი ქალი, რომ მშვიდობიანად გაევლო ამ მღელვარე ადამიანთა ტალღებში.

სწორედ ამ არეულობაში და ჟივილ-ხივილში მოუხდა გავლა ჩვენს ყმაწვილკაცს. გულის ფანცქალით მიიწევდა წინ, თან ცდილობდა, გამხდარ ბარძაყებზე მჭიდროდ მიეკრა ხმალი, ცალ ხელს ფართოფარფლიან ქუდს არ აშორებდა, სახეზე პროვინციელის ოდნავი ღიმილი უკრთოდა, რომლითაც ცდილობდა, დაემალა მღელვარება. გაივლიდა ერთ ჯგუფს თუ არა, თავისუფლად ამოისუნთქავდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ უკანიდანაც თვალს არ აშორებდნენ, და პირველად თავის სიცოცხლეში დ არტანიანმა, რომელსაც თავის თავზე დღემდე საკმაოდ დიდი წარმოდგენა ჰქონდა, იგრძნო, რომ სასაცილო იყო.

კიბესთან უარესი მდგომარეობა დახვდა. პირველ საფეხურზე ოთხი მუშკეტერი ხმლის ვარჯიშით ირთობდა თავს. იქვე პარმაღზე შეგროვილიყო ათი-თორმეტი მათი ამხანაგი, რომლებიც თავის რიგს ელოდნენ ამ ვარჯიშში მონაწილეობის მისაღებად.

ერთი ამ ოთხ მუშკეტერთაგანი ზემო საფეხურზე იდგა და ამოღებული ხმლით ცდილობდა გზა შეეკრა სამი ამხანაგისათვის, კიბეზე არ აეშვა. მისი მოწინააღმდეგენი კი ხმლის მარჯვე ხმარებით ცდილობდნენ გზის გაკაფვას. დ არტანიანს ეგონა, საფარიკაო, წვერმომრგვალებული ბლაგვი დაშნით იყო ეს ბრძოლა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ოთხივეს საგანგებოდ გალესილი მახვილი ეჭირა და მებრძოლებიც გაკაწრულები იყვნენ. ყოველი ახალი ნაკაწრის გამოჩენაზე მაყურებლები, მებრძოლებთან ერთად, გიუებივით ხარხარებდნენ.

ზემო საფეხურზე მდგომი მუშკეტერი არაჩვეულებრივი ხელოვნებით იგერიებდა სამივე მოწინააღმდეგეს და ახლოს არ იკარებდა მათ. მოვარჯიშეების ირგვლივ წრე შეიკრა. პირობის თანახმად, ის მებრძოლი, ვისაც ხმალი მოხვდებოდა, ტოვებდა ბრძოლის ველს და ბატონ დე ტრევილთან შესასვლელ თავის რიგს მას უთმობდა, ვინც ხმლით შეეხო. ხუთი წუთი საკმარისი აღმოჩნდა სამი კაცის დასამარცხებლად: ერთს მკლავში მოხვდა ხმალი, მეორეს – ნიკაპში, მესამეს – ყურში, ზემო საფეხურზე მდგომი კი ოდნავადაც არ იყო გაკაწრული. გამარჯვებულმა მუშკეტერმა, დადებული პირობის თანახმად, სამი კაცის რიგი მოიგო. ჩვენი ახალგაზრდა მოგზაური ძალიან ცდილობდა, არაფერი გაჰკვირვებოდა, მაგრამ ამ ბრძოლამ ძალიან გააოცა. თავის სამშობლოში, იმ მხარეში, სადაც უცბად ეკიდება ხოლმე ცეცხლი თავსაც და გულსაც, მცირე რამ მიზეზი მაინც არის საჭირო

დუელისათვის. ხოლო ამ ოთხი მებრძოლის გასკონური ვარჯიშის მსგავსი მას არაფერი ენახა, თვით გასკონიაშიც კი.

დ არტანიანს თავი სადღაც შორს, უზარმაზარი დევგმირების ქვეყანაში ეგონა, სადაც გულივერმა იმოგზაურა და დიდი შიში განიცადა, მაგრამ ჯერ შორს იყო მიზნიდან ჩვენი გასკონელი, მას ჯერ კიდევ გასავლელი ჰქონდა დერეფანი და მოსაცდელი ოთახი.

დერეფანში უკვე აღარ იბრძოდნენ, ქალებზე ლაპარაკობდნენ, მოსაცდელ ოთახში კი სასახლის ამბებს ყვებოდნენ. დერეფანში დ არტანიანი ჭარხალივით გაწითლდა, მოსაცდელ ოთახში კი თრთოლა იწყო. აქ მან გაიგონა ხმამაღალი კრიტიკა იმ პოლიტიკისა, რომელიც შიშისზარს ჰგვრიდა მთელ ევროპას, ჰკიცხავდნენ თვით კარდინალის პირად ცხოვრებას, რომლის საიდუმლოებაში შეჭრის ცდისათვის მრავალი წარჩინებული და ძლიერი დიდებული სასტიკად იქნა დასჯილი. ეს დიდი ადამიანი, დ არტანიანის მამის მიერ ესოდენ თაყვანცემული, აქ ბატონ დე ტრევილის მუშკეტერების სასაცილო გამხდარიყო: ისინი მასხარად იგდებდნენ მის მოგრეხილ ფეხებს და მოხრილ ზურგს. ზოგი ლექსებს მღეროდა კარდინალის ხასა ქალბატონ დ ეგილონზე და მის დისწულ ქალბატონ დე კომბალეზე, ზოგი შეთქმულებას ამზადებდა კარდინალის ფარეშებისა და დამცველი რაზმელების წინააღმდეგ. ყველაფერი ეს დ არტანიანს წარმოუდგენლად და შეუძლებლად მიაჩნდა.

მაგრამ როდესაც კარდინალის მოლაზღანდარეთა შორის ხანდახან მეფის სახელი გაისმოდა, ცოტა ხნით დამუნჯდებოდნენ, თითქოს მოღიმარ ტუჩებზე კლიტე დაადეს და ენა ჩაუგმანესო, გაუბედავად მიმოიხედავდნენ, გეგონებოდათ, ეშინიათ, ბატონ დე ტრევილის კაბინეტის კედელმა არ გაგვცესო. მაგრამ თუ ვინმე ისევ კარდინალზე გადაჰკრავდა მოსწრებულ სიტყვას, კვლავ გაისმოდა გულიანი სიცილი და სინათლეზე გამოჰქონდათ ყოველი მისი საქციელი.

„აი, უბედური ადამიანები, რომლებსაც დღეს-ხვალ ბასტილიის[1] ციხეში ჩაყრიან და ჩამოახრჩობენ, – გაიფიქრა შეშინებულმა დ არტანიანმა, – ეჭვი არ არის, მეც ასეთივე ბედი მელის, რადგან მთლიანად მოვისმინე მათი ნათქვამი, და მეც მათ თანამოზიარედ ჩამთვლიან, რას იტყვის ბატონი მამაჩემი, რომელიც სულ იმას ჩაჩიჩინებდა, თაყვანს უნდა სცემდე კარდინალსო, – მან რომ იცოდეს, რა უღმერთოების წრეში ჩავარდა მისი შვილი!“

ამიტომ, მე მგონია, მკითხველი უჩემოდაც მიხვდება, რომ დ არტანიანი ვერ გაბედავდა ამ ბაასში ჩარევას; თუმცა თვალებდაჭყეტილი შესცქეროდა იქაურობას, ყურმახვილად ისმენდა ყოველ სიტყვას, დაძაბული ჰქონდა ხუთივე გრძნობა, რომ არაფერი გამოჰპაროდა. მიუხედავად იმისა, რომ სწამდა მამის დარიგება, თავისი გემოვნებითა და ალღოთი, დასაგმობად კი არა, საქებად მიაჩნდა ის სიტყვები და მოქმედება, რასაც იქ ხედავდა და ისმენდა.

დ არტანიანი სრულიად უცხო იყო ბატონ დე ტრევილის ერთგულთა კრებისათვის და რადგანაც მას პირველად ხედავდნენ თავიანთ შორის, მოსვლის მიზეზი ჰკითხეს. მან ძალიან თავმდაბლად დაასახელა თავისი ვინაობა. ხაზი გაუსვა, რომ ბატონ დე ტრევილის თანამემამულე იყო და მსახურს, რომელიც მას ესაუბრებოდა, სთხოვა, მუშკეტერთა კაპიტნისათვის მოეხსენებინა – ნება ებოძებინა ერთი-ორი წამით მიეღო. დიდებული მფარველის კილოთი დაჰპირდა მსახური ამ თხოვნის დროულად შესრულებას.

დ არტანიანი ცოტათი დამშვიდდა, პირვანდელმა განცვიფრებამ გაუარა, გონება მოიკრიბა და ჩვეული დაკვირვებით შეუდგა იქ მყოფთა შესწავლას.

ერთი, მეტად გაცხარებულად მოყაყანე ჯგუფის შუაში მაღალი ტანის მუშკეტერი იდგა მედიდური სახითა და ისეთი უცნაური ტანისამოსით, რომ ყველა მას შესცქეროდა. ამ დღეს ის არ შემოსულა მუშკეტერთა ერთიან სამგზავრო ფორმაში, რომლის ტარებაც იმხანად სავალდებულოდ არც მიაჩნდათ, რადგან მაშინ, მართალია, თავისუფლება ნაკლები ჰქონდათ, მაგრამ შეზღუდული არ იყო დამოუკიდებლობაც. მას ოდნავ გახუნებული და დაჭმუჭნილი ცისფერი ხიფთანი ეცვა; ზემოდან ოქრომკედით ამოქარგული საგანგებო ყაბიწი ისე ბრჭყვინავდა, როგორც მზის სხივით გაშუქებული ანკარა წყალი. მხრებიდან

დაშვებული გრძელი ხავერდის წამოსასხამი არაჩვეულებრივად ამშვენებდა. წამოსასხამის შიგნით მხედრის მშვენიერი ყაბიწი და ზედ ჩამოკიდებული უზარმაზარი ხმალი მოჩანდა.

მუშკეტერი ეს წუთი იყო საგუშაგოდან განთავისუფლებულიყო და ჩიოდა, ძალიან გავცივდი, წამოსასხამი ამიტომ გადავიცვიო. დროდადრო განგებ ჩაახველებდა კიდეც და მის გარშემო შემოკრებილ მეგობრებს მედიდურად აწეული თავით და ულვაშის გრეხით ესაუბრებოდა. ყველანი აღტაცებით შესცქეროდნენ მის ოქრომკედიან ყაბიწს, მათ შორის დ არტანიანი – ყველაზე მეტად.

– რას იზამ, მოდა მბრძანებლობს, – ამბობდა მუშკეტერი, – ძალიან კარგად ვიცი, რომ სიგიჟეა, მაგრამ მოდაა და ჩვენც ვემორჩილებით. ეგეც რომ არ იყოს, ხომ უნდა დავხარჯოთ რამეზე მამაპაპეული ქონება.

– აჰ, პორთოს! – შესძახა ერთმა ამხანაგმა, – ახლა იმის მტკიცებას კი ნუ დაგვიწყებ, თითქოს ეგ ყაბიწი მართლა მამაშენისაგან დაგრჩენოდეს მემკვიდრეობით. ალბათ იმ პირბადიანმა ქალბატონმა გაჩუქა, წარსულ კვირას რომ გნახეთ სენტ-ონორეს კარისკენ ერთად მიმავალნი.

– არა, პატიოსნებას გეფიცებით, სიტყვას გაძლევთ პატიოსანი გვარიშვილისას, რომ მე თვითონ ვიყიდე, ჩემი ფულით, – უპასუხა მუშკეტერმა, რომელსაც პორთოსი უწოდეს.

– დიახ, სწორედ ისევე, როგორც მე თვითონ ვიყიდე, აი ეს საფულე იმ ფულით, რომელიც ჩემმა საყვარელმა ჩამიდო ძველ ქისაში, – თქვა მეორე მუშკეტერმა.

– მე თქვენ გარწმუნებთ, – განაგრძო პორთოსმა, – ამის დასამტკიცებლად ისიცა კმარა, რომ თორმეტი პისტოლი მივეცი.

აღტაცებამ უფრო იმატა, თუმცა არც უნდობლობა კარგავდა ნიადაგს.

– მართალს არ ვამბობ, არამის? – მიმართა ერთ მუშკეტერს პორთოსმა.

ეს მეორე მუშკეტერი, რომელსაც არამისი უწოდეს, ყოველმხრივ საწინააღმდეგო ტიპი იყო იმ ყაბიწიანი მედიდურისა, რომელიც თავისი ნათქვამის დამოწმებასა სთხოვდა მას. იგი ოცდაორი-ოცდასამი წლისა არც კი იქნებოდა; გულუბრყვილო, სასიამოვნო გამომეტ-ყველების სახე ჰქონდა და ლმობიერი შავი თვალები; ვარდისფერი ხავერდოვანი ლოყები შემოდგომის ატამს მიუგავდა. წვრილი ულვაში, სწორად გაყვანილი შავი ხაზით, ზემო ტუჩს უმშვენებდა. ხელებს ძირს არ უშვებდა, თითქოს ეშინოდა, ვენები არ დამებეროსო, და დროდადრო ყურის ბიბილოებს მოიჩქმეტდა ხოლმე, რათა ვარდისფერი და გამჭვირვალება არ დაჰკარგოდა. ჩვეულებრივ, ცოტას და დინჯად ლაპარაკობდა, ყველას ესალმებოდა, უხმოდ იცინოდა და თეთრ მშვენიერ კბილებს აჩენდა, რომლებსაც, როგორც მთელ თავის პიროვნებას, ეტყობოდა, დიდ ყურადღებას აქცევდა.

მეგობრის მომართვის საპასუხოდ, თანხმობის ნიშნად, თავი დააქნია.

ამ დამოწმებამ საბოლოოდ გაფანტა ყოველი ეჭვი და ისევ აღტაცებით დაუწყეს ყურება ყაბიწს, მაგრამ თქმით კი მასზე აღარას ამბობდნენ და ბაასი სულ სხვა საგანზე გადაიტანეს.

– გრაფ დე შალეს მეჯინიბის ნათქვამზე რას იტყვით? – მიმართა ერთ-ერთმა მუშკეტერმა არა ერთ რომელიმე იქ მდგომს, არამედ მთელ ჯგუფს საერთოდ.

– მერედა რას ამბობს იგი? – იკითხა პორთოსმა კმაყოფილებით.

– ის ამბობს, რომ ბრიუსელში კაპუცინის[1] ტანსაცმელში გამოწყობილი როშფორი უნახავს, კარდინალის უერთგულესი მონა. წყეულმა როშფორმა, გადაცმული ტანსაცმლის წყალობით, გაათამაშა ბატონი დე ლეგი, როგორც ნამდვილი სულელი.

– როგორც ნამდვილი სულელი, – გაიმეორა პორთოსმა, – მაგრამ მართალი კი არის, რასაც ის ამბობს?

– მე ეს ამბავი არამისისაგან ვიცი, – თქვა მუშკეტერმა.

– მართლა?

– თქვენც ხომ ძალიან კარგად იცით, პორთოს, – უთხრა არამისმა, – გუშინ აკი გიამბეთ დაწვრილებით ყველაფერი. აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი!

– აღარ ღირს? ასე გგონია? აღარ ღირს! – განაგრძო პორთოსმა, – კრინტს ნუღარ დავძრავთ! ეშმაკმა დალახვროს! თქვენ ძალიან სწრაფად აკეთებთ დასკვნებს! როგორ? კარდინალი კაცსა გზავნის დიდებულის დასაზვერავად, ვიღაც მოღალატის საშუალებით იპარავს მის მიწერ-მოწერას; ამ ჯაშუშის დახმარებითა და მოპარული წერილების წყალობით თავს ჰკვეთენ შალეს იმ საშინელი ცილისმწამებლური საბაბით, თითქოს მას სურდა მოეკლა მეფე და დედოფალი მისი უმცროსი ძმისათვის მიეთხოვებინა. არავინ არაფერი იცოდა ამ ბნელით მოცული ისტორიის შესახებ; თქვენ ეს ამბავი გუშინ გვიამბეთ და ამით ყველანი დაგვმაყოფილდით. მაგრამ დღეს, როდესაც ჯერ ისევ ბრაზით გვიდუღს გული ამ საშინელების გამგონეთ, თქვენ ამბობთ: „აღარ ღირს ამაზე ლაპარაკიო!“

– მაშ, ვისაუბროთ მაგაზე, რაკი ასე გსურთ, – უპასუხა მშვიდად არამისმა.

– იმ რიშფორს, – შეჰყვირა პორთოსმა, – მე რომ უბედურ შალეს მეჯინიბე ვყოფილიყავ, შავ დღეს დავაყენებდი!

– სამაგიეროდ, თქვენ შავ დღეს დაგაყენებდათ წითელი ჰერცოგი, – უპასუხა არამისმა.

– ოჰო, წითელი ჰერცოგიო! ვაშა, ვაშა, წითელი ჰერცოგი! – შეჰყვირა პორთოსმა ტაშისცემითა და თავის ქნევით, – წითელი ჰერცოგი! ზედგამოჭრილია ეს სახელი, მე გავავრცელებ ამ სახელს, ჩემო ძვირფასო, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. რა მოსწრებული სიტყვა აქვს არამისს! სამწუხაროა, ჩემო მეგობარო, რომ არ გაჰყევით თქვენს მოწოდებას, რა მომხიბლავი მდვდელი იქნებოდით!

– ო, ეს დროებითი დაყოვნება გახლავთ, წუთიერი, – უპასუხა არამისმა, – დღეს იქნება თუ ხვალ, მდვდელი ვიქნები. აკი თქვენც იცით, პორთოს, რომ ჯერაც განვაგრძობ ღვთისმეტყველების შესწავლას.

– ამბობს და კიდეც აასრულებს, – თქვა პორთოსმა, – ადრე იქნება თუ გვიან, ანაფორას ჩაიცვამს.

– ადრე იქნება, ადრე, – გაუსწორა არამისმა.

– მხოლოდ რაღაცას ელოდება, მანამ საბოლოოდ გადაწყვეტდეს. როგორც კი აუსრულდება წადილი, მაშინვე ანაფორას ჩაიცვამს, იგი სამხედრო ტანსაცმლის უკან უკიდია განჯინაში, – წამოიძახა ერთ-ერთმა მუშკეტერმა.

– მერედა, რას ელოდება? – ჰკითხა ახლა სხვა მუშკეტერმა.

– ელოდება, რომ დედოფალმა ტახტის მემკვიდრე მისცეს საფრანგეთს.

– ამაზე ნუ ვიხუმრებთ, ბატონებო, – შენიშნა პორთოსმა. – მადლობა ღმერთს, დედოფალი ჯერჯერობით იმ ასაკისა ბრძანდება, რომ მაგასაც აგვისრულებს.

– ამბობენ, ბატონი ბუკინგამი[1] საფრანგეთში ბრძანდებაო, – თქვა არამისმა ისეთი ცბიერი სიცილით, რომ სამარცხვინო მნიშვნელობა მისცა ამ თითქმის უბრალო სიტყვებს.

– არამის, ჩემო მეგობარო, ახლა კი თქვენ ცდებით. – შეაწყვეტინა სიტყვა პორთოსმა, – თქვენ ხშირად გიტაცებთ ენამახვილობა და შორს შესტოპავთ ხოლმე. ბატონ დე ტრევილს რომ გაეგონა თქვენი სიტყვები, მის რისხვას ვერ გადაურჩებოდით.

– პორთოს, თქვენ რა, სწავლა-დარიგებას მიპირებთ? – შეჰყვირა არამისმა და ლმობიერ თვალებში ცეცხლის ალმა გაურბინა.

– ჩემო ძვირფასო, ან მუშკეტერი იყავით, ან მღვდელი! ან ერთი ბრძანდებოდეთ, ან მეორე, ოღონდ ორივე ერთდროულად კი არა, – განაგრძო პორთოსმა, – აი, თუ გახსოვთ, იმ დღეს ათოსმაც გითხრათ, ერთდროულად ორ ცხენზე ზიხართო. ეჰ, ნუ გაცხარდებით, ძალიანა გთხოვთ, უსარგებლო იქნება თქვენი რისხვა, ხომ გახსოვთ, რაზე შევთანხმდით მე, თქვენ და ათოსი, ქალბატონ დ ეგილონთან დაიარებით და მას ეარშიყებით, ქალბატონ შევრეზის დისწულ ბუ-ტრასის გულის მოგებასაც ცდილობთ. ოჰ, ღმერთო ჩემო! ნუ გაამ-ხელთ თქვენს ბედნიერებას, აღსარებას არავინა გთხოვთ, თქვენი მორცხვობა ცნობილია. მაგრამ თუკი თქვენთვისა გაქვთ ეს სათნოება, მაშინ მაგ სათნოებითვე მოექეცით დედოფლის საიდუმლოებასაც. მეფესა და კარდინალზე იყბედონ რამდენიც სურდეთ; მაგრამ დედოფალი წმინდაა და მასზე თუ იტყვით რამეს, მხოლოდ კეთილი უნდა ბრძანოთ და სხვა არაფერი.

– თქვენც ხომ ნარცისი[1] არა ხართ, პორთოს, რომ სულ თქვენებურად გინდოდეთ ყველაფერი! მე თქვენ გაფრთხილებთ, – უპასუხა არამისმა, – ხომ იცით, ჭირივით მეჯავრება, ჭკუას რომ მასწავლიან, მხოლოდ ათოსის დარიგებები შემიძლია მოვისმინო, რაც შეგეხებათ თქვენ, მეტად კარგი ყაბიწი გაქვთ, მაგრამ ჭკუის სწავლებით თავს ნუ იწუხებთ. თუ მოვისურვებ, მდვდელი ვიქნები, მანამდე კი მუშკეტერი ვარ და, როგორც მუშკეტერს შეეფერება, იმას ვამბობ, რაც მინდა. ამჟამად კი მინდა გითხრათ, რომ თავი მომაბეზრეთ.

– არამის!

– პორთოს!

– კმარა, ბატონებო! – გაისმა ირგვლივ.

– ბატონი დე ტრევილი ელოდება ბატონ დ არტანიანს, – შეაწყვეტინა ყვირილი მსახურმა და კაბინეტის კარი შეაღო. ამ სიტყვების გაგონებაზე სრული დუმილი ჩამოვარდა, ყველა ჩაჩუმდა, კაბინეტის კარი ღია იყო.

ყმაწვილი გასკონელი მოსაცდელი ოთახიდან მუშკეტერების კაპიტნის კაბინეტში შევიდა და სიხარული იგრძნო, რომ სწორედ დროზე გადარჩა იმ უცნაური დავის დასასრულს.

III

ბატონ დე ტრევილის კაბინეტში

ძალიან ცუდ გუნებაზე იყო იმ დროს ბატონი დე ტრევილი, მაგრამ მაინც თავაზიანად მიესალმა ყმაწვილკაცს, რომელმაც თითქმის იატაკამდე დახარა თავი. მისმა ბეარნულმა კილომ ღიმილი მოჰგვარა მუშკეტერთა კაპიტანს, რომელსაც გაახსენდა თავისი ახალგაზრდობა და მშობლიური კუთხე; ეს მოგონება კი ყოველთვის ტკბილ ღიმილს ჰგვრის ადამიანს, რა ასაკისაც უნდა იყოს იგი. მაგრამ მიუახლოვდა თუ არა მოსაცდელ ოთახს, დ არტანიანს ხელით ანიშნა, თითქოს ნებასა სთხოვდა, – საჩქარო საქმე მაქვს სხვებთან, ჯერ იმათთან მოვრჩებიო, და ღია კარში მკაცრი, მბრძანებლური და მრისხანე ხმით სამჯერ გასძახა:

– ათოს! პორთოს! არამის!

ორი მუშკეტერი – პორთოსი და არამისი, რომლებიც ჩვენ უკვე გავიცანით, მაშინვე ჩამოშორდა მოსაუბრეთა ჯგუფს და კაბინეტში შევიდა, კარები უმალ დაიხურა. ისინი ჯერ კიდევ არ დამშვიდებულიყვნენ, მაგრამ დე ტრევილის წინაშე ისე ღირსეულად და დარბაისლურად ეჭირათ თავი, რომ დ არტანიანის აღტაცება გამოიწვიეს. დ არტანიანს თითქმის ნახევარღმერთებად ეჩვენებოდა ეს მუშკეტერები, ხოლო მათი უფროსი კი ჭექა-ქუხილით შეიარაღებულ ოლიმპის მბრძანებელ ზევსად.

როგორც კი მუშკეტერები კაბინეტში შევიდნენ და კარი დაიხურა, მოსაცდელ ოთახში ხელახალი ხმაური ატყდა, რომელიც, ეჭვი არ არის, ბატონ დე ტრევილის მიერ მუშკეტერების დაძახებამ გამოიწვია. ბატონმა დე ტრევილმა სამჯერ თუ ოთხჯერ დაჰკრა ბოლთა თავის ოთახში და სამჯერ თუ ოთხჯერ შეჭმუხნილი წარბებით წინ გაუარა პორთოსსა და არამისს, რომლებიც ისე იყვნენ გაჭიმულები, თითქოს აღლუმზე არიანო. უცებ ამ ყმაწვილების პირდაპირ შეჩერდა დე ტრევილი, განრისხებული თვალი გადააკლო თავით ფეხამდე და მრისხანედ უთხრა:

– იცით, რა მითხრა მეფემ? – შეჰყვირა მან, – დიდი ხნის წინათ კი არა, წუხელ! ჰა, იცით?

– არა, ბატონო, – უპასუხა მცირე დუმილის შემდეგ ორივემ ერთად, ჩვენ არაფერი ვიცით.

– მაგრამ იმედი მაქვს, ბატონო, პატივს დაგვდებთ და გვიბრძანებთ, რა მოხდა! – მიმართა არამისმა უაღრესად ზრდილობიანად და თავი მოხდენილად დახარა.

– მეფემ ბრძანა, რომ ამის შემდეგ მუშკეტერებს ბატონ კარდინალის რაზმებიდან ავარჩევო.

– ბატონ კარდინალის რაზმებიდან? მერედა რისთვის? – ჰკითხა მკვირცხლად პორთოსმა.

– იმიტომ, რომ კარგადა ხედავს, სულ მთლად გაუწყალდება პიკეტი,[1] თუ მაგარი ღვინო არ ჩაურია.

ორივე მუშკეტერი წამოჭარხლდა. დ არტანიანმა აღარ იცოდა, სად წასულიყო. ერჩია, მიწა გასკდომოდა და შიგ მოყოლილიყო.

– დიახ, დიახ, – განაგრძო მღელვარებით ბატონმა დე ტრევილმა, – მართალიც ბრძანდება მისი ყოვლადუდიდებულესობა, რადგან, ვფიცავ პატიოსნებას, სასახლეში ძალიან გაუტყდათ სახელი ჩვენს მუშკეტერებს. წუხელ, ჭადრაკის თამაშისას, კარდინალი დამწუხრებული სახით უამბობდა მეფეს, – რაც ძალიან არ მომეწონა, – რომ გუშინწინ ეს აბეზარი მუშკეტერები, ეს წყეულები, – (დაცინვით გამოთქვამდა ამ სიტყვებს, რაც, რა თქმა უნდა, უფრო მეტად არ მომეწონა), – ეს ჩხუბისთავი მუშკეტერებიო, – და თან მე შე-მომყურებდა თავის ციცა-ვეფხვის თვალებით, – დიდხანს დარჩენილან ღამე დუქანში, ფერუს ქუჩაზე და ჩემი გუშაგთა რაზმი (ისე მიყურებდა, თითქოს მასხარად აგდებას მიპირებდა) თურმე იძულებული გახდა, დაეჭირა ის მყუდროების დამრღვევებიო, დასწყევლა ღმერთმა! თქვენ უკეთ გეცოდინებათ ეს ამბავი!... როგორ? ჩემი მუშკეტერები დაიჭირეს?! თქვენც იქ ყოფილხართ! უარის თქმა აღარ გამიბედოთ! უცვნიხართ, კარდინალმა ორივე დაგასახელათ... სულ ჩემი ბრალია, ჩემი, რადგან მე თვითონ ვარჩევ ჩემს ხალხს! ერთი მითხარით, არამის, რა ეშმაკად მთხოვეთ მუშკეტერის სამოსი, როდესაც მღვდლის ანაფორა უფრო მოგიხდებოდათ? ან კიდევ, თქვენ, პორთოს! მარტო იმისათვის გინდათ ეგ მშვენიერი ოქროს ყაბიწი, რომ ზედ ჩალის ხმალი შეგაბან? ათოსი? ათოსს ვერ ვხედავ! სად არის ათოსი?

– ბატონო! – მიმართა მწუხარებით არამისმა, – ათოსი ავად გახლავთ, ძალიან ავად.

– ავადაო? როგორა თქვით, ძალიან ავადაო? რით არის ავად, რა დაემართა?

– შიშობენ, ბატონო, ვაითუ ყვავილი გამოაჩნდესო, – უპასუხა პორთოსმა, რომელსაც სურდა, თვითონაც ჩარეულიყო ამ ბაასში, – ღმერთმა დაიფაროს, შეიძლება მთლად დაუსახიჩროს სახე.

– ყვავილი? ძალიან კარგი, აი კიდევ სასიხარულო ამბავი მაცნობეთ, პორთოს! ყვავილი შეეყაროს იმხნის ვაჟკაცს? შეუძლებელია!... ბარემ პირდაპირ მითხარით, რომ დაჭრილია, ან, იქნებ, მოკლულიც!... აჰ! რას წარმოვიდგენდი? აჰ! ღმერთო! გეყურებათ, ბატონებო, მე არ მინდა, რომ ჩემი მუშკეტერები სადღაც ბინძურ დუქნებში დაიარებოდნენ, ქუჩებში ჩხუბობდნენ და ხმლებით იბრძოდნენ გზაჯვარედინებზე. მე არ მინდა, რომ ჩემი რაზმელები დაცინვის საბაბს აძლევდნენ ბატონ კარდინალის რაზმელებს, რომლებიც საკმაოდ მამაცნი, მშვიდნი და მოხერხებულნი არიან. ისინი არასდროს თავს არავის დააჭერინებენ. დარწმუნებული ვარ, იქვე, მოედანზე დაიხოცებიან და დასაჭერად კი არავის დანებდებიან, თავის დაღწევა, გამოქცევა, გამოპარვა! – ეს მხოლოდ მეფის მუშკეტერებმა იციან და ძალიან კარგადაც!

ცოფმორეული პორთოსი და არამისი ბრაზისაგან ცახცახებდნენ, ისინი სიამოვნებით წაახრჩობდნენ ბატონ დე ტრევილს, მაგრამ რა უნდა ექნათ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თუ იგი ემდურებოდა და უჯავრდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან უყვარდა თავისი მუშკეტერები და ეს სიყვარული ალაპარაკებდა. მეტისმეტი აღელვების გამო არამისი და პორთოსი ხალიჩას ფეხსა სცემდნენ, სიმწრით დაკვნეტილი ტუჩებიდან სისხლი გამოსდიოდათ და მთელი ღონით უჭერდნენ ხელს ხმლის ვადას.

მოსაცდელ ოთახში, როგორც ვთქვით, ყველამ გაიგო, რომ ბატონმა დე ტრევილმა ათოსი, პორთოსი და არამისი გამოიძახა. ხმაზე შეატყვეს, როგორი განრისხებული უნდა ყოფილიყო მუშკეტერთა კაპიტანი.

ათამდე ცნობისმოყვარე მუშკეტერი კაბინეტის კარებს მიეყრდნო და სიბრაზისაგან ფერი მისდიოდათ. კარზე მიჭერილ მათ ყურებს კაბინეტში ნათქვამი ერთი ბგერაც არ გამოჰპარვიათ. ყურს უგდებდნენ და სიტყვასიტყვით ხმამაღლა იმეორებდნენ კაპიტნის მიერ მუშკეტერების მიმართ ნახმარ შეურაცხმყოფელ სიტყვებს. ერთი წამის განმავლობაში კაბინეტის კარიდან ქუჩის კარამდე ყველას მოედო ეს ამბავი, მთელი სასახლე აღელვებული იყო.

– ხომ ხედავთ! ბატონი კარდინალის გვარდიელები მეფის მუშკეტერებს აპატიმრებენ, – განაგრძო ბატონმა დე ტრევილმა, რომელიც არანაკლებ გაცოფებული იყო, ვიდრე მისი მუშკეტერები. იგი ისე წარმოთქვამდა თითოეულ სიტყვას, რომ მსმენელებს ხანჯალივით ესობოდათ. – ხომ ხედავთ! მისი ყოვლადუწმინდესობის ექვსმა გვარდიელმა დააპატიმრა მეფის ექვსი მუშკეტერი! ეშმაკმა დალახვროს! მე გადაწყვეტილი მაქვს, ახლავე წავიდე ლუვრში, ვთხოვო, გამათავისუფლონ მეფის მუშკეტერების კაპიტნის თანამდებობიდან და ვისიმე თანაშემწედ დამნიშნონ კარდინალის გვარდიაში. თუ ამაზე უარს მეტყვიან, ჯანდაბას, ავდგები და მღვდლის ანაფორას ჩავიცვამ.

ამ სიტყვების გაგონებაზე მოსაცდელ ოთახში თავი ვეღარ შეიკავეს და ჩურჩული მღელვარებად იქცა. ირგვლივ წყევლა-კრულვა და ლანძღვა-გინება გაისმოდა: „წყეულები!“ „ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი!“ „სიკვდილი მაგათ“. დ არტანიანი თვალს აქეთ-იქით აცეცებდა, დასამალ ადგილს ეძებდა და უსაზღვრო სურვილი ჰქონდა, მაგიდის ქვეშ შემძვრალიყო.

– თუ ასეა, ჩემო კაპიტანო, მაშინ მომისმინეთ, – მიმართა აღშფოთებულმა პორთოსმა, – მართალია, ექვსნი ვიყავით ექვსის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ღალატით დაგვესხნენ და, ჯერ ხმალი არც კი გვქონდა ამოღებული, რომ მოულოდნელად განგმირული ორი ამხანაგი უკვე მიწაზე ეგდო, ათოსიც საშინლად დაჭრეს და ისიც იმ მოკლულებივით ვეღარაფერს გვშველოდა. თქვენ კარგად იცნობთ ათოსს, ბატონო! მან ორჯერ სცადა წამომდგარიყო, მაგრამ ორივეჯერ ძირს დაეცა. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ დავნებებივართ, არა! ძალით შეგვიპყრეს, მაგრამ გზაში გამოვექეცით. რაც შეეხება ათოსს, იგი მკვდარი ეგონათ და იქვე დატოვეს, ბრძოლის ველზე, იმ მოსაზრებით, რომ გვამი არ ღირდა სათრევად, აი, ნამდვილი ამბავი თუ გინდათ, ეს არის. რას იზამთ, ბატონო კაპიტანო, ყოველთვის არ იგებენ ბრძოლებს. დიდებული მხედართმთავარი იყო პომპეუსი, მაგრამ სასტიკად დამარცხდა ფარსალის[2] ბრძოლაში; ან კიდევ მეფე ფრანცისკო პირველი, როგორც გამიგონია, სხვას არც ის ჩამოუვარდებოდა თავისი ვაუკაცობით, მაგრამ პავიის[1] ბრძოლა მაინც წააგო.

– მაქვს პატივი მოგახსენოთ, – რომ ანდერძი ავუგე ერთ მათგანს თავისივე ხმლით, რადგან ჩემი პირველსავე ბრძოლაში შუაზე გადამიტყდა, – თქვა არამისმა.

– ეგ მე არ ვიცოდი, – თქვა ბატონმა დე ტრევილმა ცოტა დამშვიდებული ხმით, – როგორცა ვხედავ, გაუზვიადებია ბატონ კარდინალს.

– ოღონდ, ღვთის გულისათვის, ბატონო, – განაგრძო არამისმა, როდესაც ნახა, რომ კაპიტანი მშვიდდებოდა და შეიძლებოდა მისი თხოვნაც შეეწყნარებინა, – ღვთის გულისათვის, ბატონო, ნუ იტყვით, რომ ათოსი დაჭრილი გახლავთ, თავს მოიკლავს, თუ გაიგო, რომ მეფის ყურამდე მიაღწია ამ ამბავმა. უნდა მოგახსენოთ, მისი ჭრილობები ძალიან საშიშია. მარტო მხარში რომ ყოფილიყო, გადარჩებოდა როგორმე, მაგრამ გულშიც დაჭრილია და სახიფათო მდგომარეობაშია...

ამ დროს კარის ფარდა გადაიწია და მის ფოჩებში საშინლად ფერმიხდილი, მშვენიერი, წარმოსადეგი ვაუკაცი გამოჩნდა.

– ათოს! – შეჰყვირა ორივე მუშკეტერმა.

– ათოს! – გაიმეორა ბატონმა დე ტრევილმაც.

– თქვენ დაგიბარებივართ, ბატონო, – მიმართა ათოსმა კაპიტანს დასუსტებული, მაგრამ სრულიად დამშვიდებული ხმით. – თქვენ მკითხულობდით, როგორც ამხანაგებმა გადმომცეს და აი, მეც აქ გახლავართ; მიბრძანეთ, ბატონო!

ამ სიტყვების შემდეგ კოხტა სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ათოსი მოხდენილად ჩამოშორდა კარს და მტკიცე ნაბიჯით შევიდა კაბინეტში. ბატონი დე ტრევილი გულის სიღრმემდე აღგზნებული იყო ასეთი ვაჟკაცობით. იგი სწრაფად გაემართა დაჭრილი ათოსის მისაგებებლად.

– ეს იყო, ამ ბატონებს ვეუბნებოდი, – მიმართა დე ტრევილმა, – რომ ვუკრძალავ ჩემს მუშკეტერებს უბრალო საქმისათვის თავის განწირვას, რადგან მამაცი ადამიანები მეტად ძვირფასნი არიან მეფისათვის. ხოლო მეფემ კარგად იცის, რომ მისი მუშკეტერები ყველაზე საუკეთესონი არიან მთელ ქვეყანაში. თქვენი ხელი, ათოს!

ბატონმა დე ტრევილმა არ დაუცადა ახლად მოსულის გულთბილ საპასუხო სიტყვებს, ხელი სტაცა ათოსის მარჯვენა ხელს და ისე ღონივრად მოუჭირა, რომ ათოსმა, რომელსაც ყოველთვის შეეძლო თავისი გრძნობის დამოჩილება, ვეღარ გაუძლო ტკივილს, მწარედ გააჟრჟოლა და ფერი უფრო დაკარგა.

ძალიან ცდილობდნენ, საიდუმლოდ შეენახათ ათოსის დაჭრის ამბავი, მაგრამ უკვე ყველამ იცოდა, რომ იგი მძიმედ იყო დაშავებული და იმდენად მოულოდნელი იყო იქ მყოფთათვის მისი დანახვა, რომ კაბინეტის კარის მიხურვაც კი დაავიწყდათ. კმაყოფილების გამომხატველმა შეძახილებმა დაფარეს მუშკეტერთა კაპიტნის უკანასკნელი სიტყვები. ორმა თუ სამმა კაცმა ოდნავ ღია კარის ფარდებიც კი გადასწია. ეჭვი არ არის, ბატონი დე ტრევილი სასტიკად შერისხავდა მათ ზრდილობის კანონების დარღვევისათვის, მაგრამ იგრძნო, როგორ შეიკუმშა ათოსის ხელი მის ხელში, შეხედა მას და დაინახა, რომ დაჭრილს გული მისდიოდა. და თუმცა ათოსი შეეცადა, მთელი ძალ-ღონის მოკრებით ტკივილებისათვის როგორმე გაეძლო, მაინც მკვდარივით დაეცა იატაკზე.

– ჩქარა დასტაქარი! – შეჰყვირა ბატონმა დე ტრევილმა, – ჩემი ან მეფისა! საუკეთესო დასტაქარი! ჩქარა, თორემ ვეღარ გადავარჩენთ ჩემს გულად ათოსს!

ამ ყვირილის გაგონება და მოსაცდელი ოთახიდან ხალხის კაბინეტში შეცვენა ერთი იყო. ისე უცბად მოხდა ყველაფერი ეს, რომ ბატონ დე ტრევილს აზრადაც არ მოსვლია კარის მიხურვა. ყველანი გარს შემოეხვივნენ გულწასულს... მაგრამ ამაოდ ჩაუვლიდათ ეს თანაგრძნობა, რომ ამ დროს სასახლეში დასტაქარი არ აღმოჩენილიყო. მან სასწრაფოდ გააპო ხალხი, ჯერ ისევ გულწასულ ათოსს მივარდა და იმის გამო, რომ ხალხის ყაყანი და მოძრაობა ძალიან უშლიდა, ითხოვა, უპირველეს ყოვლისა, დაჭრილი მეზობელ ოთახში გაეყვანათ.ბატონმა დე ტრევილმა მაშინვე გააღო კარი და გზა უჩვენა არამისს და პორთოსს, რომლებმაც ხელში აიყვანეს თავიანთი ამხანაგი და ოთახიდან გაიყვანეს, ამ ჯგუფს უკან დასტაქარი მისდევდა.

ბატონ დე ტრევილის კაბინეტი, რომელშიც, საერთოდ, ერთობ დიდი შიშით და მოწიწებით შედიოდნენ, ახლა მოსაცდელ დარბაზს დამსგავსებოდა, სადაც ყაყანებდნენ და ხმამაღლა ლანძღავდნენ კარდინალსა და მის ჯარისკაცებს.

ცოტა ხნის შემდეგ პორთოსი და არამისი დაბრუნდნენ. დაჭრილთან მხოლოდ დასტაქარი და ბატონი დე ტრევილი დარჩნენ.

ბოლოს ბატონი დე ტრევილიც გამოჩნდა. ათოსი გონზე მოვიდა. დასტაქარმა განაცხადა, რომ მის მეგობრებს შეეძლოთ გულდამშვიდებით ყოფილიყვნენ, რადგან დაჭრილის მდგომარეობა საშიში არ იყო; მისი ასეთი სისუსტე მხოლოდ ბევრი სისხლის დაკარგვას გამოეწვია.

შემდეგ ბატონმა დე ტრევილმა ხელით ანიშნა და კაბინეტიდან ყველანი სწრაფად გავიდნენ გარდა დ არტანიანისა, რომელსაც არ დავიწყებოდა, რომ მას აუდიენცია ჰქონდა, და გასკონური სიჯიუტით ელოდა ამ წამს.

როდესაც ყველანი გავიდნენ, ბატონი დე ტრევილი შემობრძანდა. მის პირდაპირ ყმაწვილი კაცი იდგა, რომელიც მას სრულიად დავიწყებოდა. ათოსის მოსვლამ და იქ მომხდარმა ამბებმა მუშკეტერთა კაპიტანს აზროვნების ძაფი გაუწყვიტეს, მან ჰკითხა, რა საქმეზე იყო მოსული ეს ჯიუტი მთხოვნელი. დ არტანიანმა მოახსენა თავისი ვინაობა და მასაც მაშინვე გაახსენდა საქმის ნამდვილი ვითარება.

– უკაცრავად, – უთხრა სიცილით დე ტრევილმა, – უკაცრავად, ჩემო კარგო თანამემამულეო. წარმოიდგინეთ, სრულიად გადამავიწყდით. რას იზამთ, მუშკეტერთა კაპიტანი იგივე ოჯახის მამაა, მაგრამ მას გაცილებით მეტი პასუხსაგები მოვალეობა აკისრია. ჯარისკაცი იგივე ბავშვია, ოღონდ დიდი ბავშვი, მაგრამ რადგანაც მე იმის ცდაში ვარ, რომ ასრულდეს მეფის ყოველი ბრძანება და განსაკუთრებით კი ბატონი კარდინალისა...

დ არტანიანმა ვერ შეძლო ღიმილის შეკავება. ამ ღიმილმა დაარწმუნა ბატონი დე ტრევილი, რომ საქმე სულელთან არ უნდა ჰქონოდა, ამიტომ შეცვალა საუბრის თემა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

– მე ძალიან მიყვარდა მამათქვენი, – უთხრა მან, – რა შემიძლია გავაკეთო მისი ვაჟისათვის? აჩქარდით, დრო არა მაქვს.

– მოგახსენებთ, ბატონო, – თქვა დ არტანიანმა, – ტარბიდან აქ მოსვლამდე სულ იმას ვფიქრობდი, რომ მამაჩემისადმი იმ მეგობრობის სახელით, რომელიც თქვენ არ დაგვიწყებიათ, მეთხოვა თქვენთვის მუშკეტერის სამოსი. მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ვნახე ამ ორი საათის განმავლობაში, ცხადად ვხედავ, რომ არაფრით დამიმსახურებია იგი და ღირსი არ გახლავართ ასეთი დიდი ბედნიერებისა.

– მართლაცდა ბედნიერებაა მუშკეტერების რაზმში შესვლა, – უპასუხა ბატონმა დე ტრევილმა, – მაგრამ ეს შეიძლება არც ისე მიუწვდომელი იყოს თქვენთვის, როგორც გგონიათ, თუმცა ეს შემთხვევაც გათვალისწინებულია მისი ყოვლადუდიდებულესობის ბრძანებაში და მე, სამწუხაროდ, იძულებული ვარ, გითხრათ, რომ მუშკეტერად მხოლოდ მას ღებულობენ, ვისაც მონაწილეობა მიუღია რამდენიმე ლაშქრობაში და ვაუკაცობით თავი გამოუჩენია. ან ორი წლის განმავლობაში უმსახურია სხვა რომელიმე რაზმში, ნაკლებად წარჩინებულში, ვიდრე ჩვენია.

დ არტანიანმა აღარა უპასუხა რა. მორჩილად დაუკრა თავი, თუმცა, როდესაც გაიგო, რა ძნელი ყოფილა ამ რაზმში შესვლა, უფრო მეტად მოუნდა მუშკეტერის ტანსაცმლით შემოსვა.

– მაგრამ, – განაგრძო ბატონმა დე ტრევილმა და თვალი თვალში გაუყარა თავის თანამემამულეს, თითქოს უნდოდა გულის სიღრმეში ჩასწვდომოდა და ამოეკითხა იქ დაფარული სურვილი, – მაგრამ მამათქვენის სიყვარულით, ჩვენი ძველი მეგობრობის პატივსაცემად, მზადა ვარ, დაგეხმაროთ. არც ძალიან მდიდრები არიან ჩვენი ბეარნელი ახალგაზრდები და არა მგონია, ამ მხრივ შეცვლილიყოს რამე მას შემდეგ, რაც მე წამოვედი. თქვენც ბევრი ფული არ გექნებათ საცხოვრებლად წამოღებული.

დ არტანიანი წელში გაიმართა და ისე გაიჭიმა, თითქოს უსიტყვოდ ეუბნებოდა, მე არავის მოწყალება არა მჭირდებაო.

– ძალიან კარგი, ყმაწვილო, ძალიან კარგი, – განაგრძო დე ტრევილმა, – კარგად ვიცნობ გასკონელებს. მე რომ პარიზში ჩამოვედი, ოთხად ოთხი ეკუ მედო ჯიბეში, მაგრამ ვინმეს რომ გაებედა და ეთქვა, შენ ლუვრის სასახლის ყიდვა არ შეგიძლიაო, მაშინვე ხმალს ვიძრობდი.

დ არტანიანი უფრო გაიჭიმა: ბედის საძიებლად წამოსულს გაყიდული ცხენის წყალობით, ოთხი ეკუთი მეტი ჰქონდა, ვიდრე დე ტრევილს თავისი კარიერის დაწყებისას.

– მაშ, ასე, – უთხრა ბატონმა დე ტრევილმა, – უნდა შეინარჩუნოთ რაც გაქვთ, რაგინდ დიდი თანხაც უნდა იყოს, მაგრამ, ამასთანავე, აუცილებელია ივარჯიშოთ, გაიწვრთნათ ყოველივე იმაში, რაც ყმაწვილი კაცის აზნაურიშვილობას ამტკიცებს. დღესვე მივწერ სამეფო აკადემიის გამგეს და ხვალიდანვე ყოველგვარი ხარჯის გადაუხდელად იქნებით მიღებული. ამ მცირე სამსახურზე ნუ იტყვით უარს. ჩვენი დიდგვაროვანი ყველაზე მდიდარი აზნაურიშვილები ცდილობენ ხოლმე იქ შესვლას და ხშირად მიზანს ვერ აღწევენ. იქ თქვენ შეისწავლით ცხენოსნობას, ფარიკაობას, ცეკვას, იქვე შეიძენთ კარგ ნაცნობებს. ხანდახან ჩემს სანახავადაც გამოივლით და მეტყვით, როგორ მიდის თქვენი საქმე, ან რით შემიძლია დაგეხმაროთ.

დ არტანიანმა ჯერ არა იცოდა რა სასახლის ჩვეულებისა, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ ცივად მიიღეს.

– ეჰ, ბატონო! ახლა ვხედავ, რა ძალიან დიდ დანაკლისს წარმოადგენს მამაჩემის მიერ გამოტანებული სარეკომენდაციო წერილის უქონლობა, – თქვა მან.

– მართლაც! – წამოიძახა ბატონმა დე ტრევილმა, – მიკვირს, რომ ასეთ დიდ სავალ გზაზე არ წამოიღეთ სარეკომენდაციო წერილი, ჩვენი ბეარნელების ერთადერთი უებარი წამალი.

– წამოვიღე, ბატონო, და, მადლობა ღმერთს, ღირსეულადაც შედგენილი, – შეჰყვირა დ არტანიანმა, – მაგრამ ვერაგულად მომპარეს.

დ არტანიანი დაწვრილებით მოუყვა მენგში მომხდარ ამბავს და სულ უმცირესი დამახასიათებელი ნიშნებით აღუწერა უცნობი დიდებული. ყველაფერი ეს ისეთი განცდითა და გულწრფელი სიმართლით მოახსენა, რომ აღტაცებაში მოიყვანა ბატონი დე ტრევილი.

– უცნაურია სწორედ, – წარმოთქვა ჩაფიქრებულმა კაპიტანმა, – მაშ, თქვენ ხმამაღლა მახსენეთ?

– დიახ, ბატონო. რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა მომივიდა, გაუფრთხილებლობა, მაგრამ რას იზამთ, თქვენი სახელი გზაში ფარის მაგივრობას მიწევდა და თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა ხშირად ვიხმარდი მას.

დიდი გასავალი ჰქონდა იმ დროს პირფერობას და ბატონ დე ტრევილსაც ისევე უყვარდა იგი, როგორც მეფესა და კარდინალს. მან ვერ შეიკავა თავი, სახეზე კმაყოფილების ღიმილი მოეფინა, მაგრამ ეს ღიმილი მალევე გაქრა და მენგის ამბავს დაუბრუნდა:

– ერთი მითხარით, იმ აზნაურიშვილს პატარა ჭრილობა ხომ არ ეტყობოდა სახეზე?

– დიახ, თითქოს ტყვიის განაკაწრიაო.

– ლამაზი კაცი იყო?

– დიახ.

– მაღალი ტანისა?

– დიახ.

– ფერმკრთალი სახისა, შავთმიანი?

– დიახ, დიახ, სწორედ ის გახლავთ. როგორ, თქვენ იცნობთ იმ კაცს, ბატონო? ოჰ, თუ როდესმე ვიპოვე და ვიპოვი კიდეც, გეფიცებით, თუნდაც ჯოჯოხეთში დაიმალოს...

– ქალს ელოდებოდა? – განაგრძო დე ტრევილმა.

– ყოველ შემთხვევაში, მასთან მცირე ხნით საუბრის შემდეგ საჩქაროდ ცხენს მოახტა და გაქუსლა.

– ხომ არ იცით, რაზე ლაპარაკობდნენ?

– მან კოლოფი გადასცა ქალს. უთხრა, რომ კოლოფში იყო საჭირო დარიგებანი და სთხოვა, ლონდონში მისვლამდე არ გაეხსნა.

– ინგლისელი იყო ის ქალი?

– მილედის ეძახდა.

– ის არის! – წაიჩურჩულა დე ტრევილმა, – ის არის! მე კი ისევ ბრიუსელში მეგონა.

– ოჰ, ბატონო! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – თუკი იცით, ვინ არის ის კაცი, მიბრძანეთ მისი ვინაობა, სადაურობა და მერე თქვენი აღარა მინდა რა, აღარაფრით შეგაწუხებთ. ოღონდ მისი ჯავრი ამოვიყარო და მუშკეტერობაზედაც უარს ვიტყვი.

– ღმერთმა დაგიფაროთ! – შეჰყვირა დე ტრევილმა, – პირიქით, თუ ქუჩაში მომავალი დაინახოთ, თქვენ ქუჩის მეორე მხარეს გადადით! ერიდეთ, ნუ შეეჯახებით მაგისთანა სალ კლდეს, თორემ ისე დაგამსხვრევთ, როგორც პატარა მინას.

– ეგ ვერ შემაჩერებს! ოღონდ კი შევხვდე სადმე!.. – თქვა დ არტანიანმა.

– თუკი ჩემს რჩევას ინებებთ, ძებნას ნუ დაუწყებთ იმ კაცს, – წარმოთქვა დე ტრევილმა.

დე ტრევილი უცბად შეჩერდა, ერთმა საეჭვო ფიქრმა გაუელვა თავში და ელდანაკრავივით გაშეშდა.

რა იყო ეს საზარელი მძულვარება, რომელსაც ასე დაჟინებით და დაურიდებლად გამოხატავდა ყმაწვილი გასკონელი იმ უცნობისადმი, რომელმაც ვითომ მამის წერილი მოჰპარა? ამ მძულვარებაში ხომ არ იმალებოდა რაიმე ვერაგობა? მისი ყოვლადუწმინდესობის მიერ ხომ არ იყო მოგზავნილი ეს ახალგაზრდა კაცი? მახის დაგებას ხომ არ უპირებდნენ? ეს ყმაწვილი კაცი, რომელიც თავის თავს დ არტანიანს უწოდებს, საიდუმლო აგენტი ხომ არ არის კარდინალისა, რომელიც სულ იმას ცდილობდა, თავისი კაცი ჰყოლოდა დე ტრევილის სახლში, რათა იქ მისი ნდობა დაემსახურებინა და, ადრე თუ გვიან, მუშკეტერების კაპიტანი დაედუპა ისე, როგორც ათასი სხვა ჰყავდა დადუპული? დე ტრევილი ახლა ხელმეორედ, უფრო მეტი დაკვირვებით დააცქერდა ახალგაზრდა გასკონელს. მაგრამ დ არტანიანის ცოცხალი გონება, ცბიერი სახე და მოჩვენებითი თავმდაბლობა სრულიად არ ამშვიდებდა მას.

„ძალიან კარგად ვხედავ, რომ გასკონელია, – ფიქრობდა დე ტრევილი, – მაგრამ ხომ შეიძლება გასკონელი კარდინალისაკენ იყოს და არა ჩემკენ? ვნახოთ, გამოვცდი“.

– ჩემო მეგობარო, – მიმართა დ არტანიანს წყნარად, – რადგანაც მჯერა წერილის დაკარგვის ამბავი, მინდა ჩემი ძველი მეგობრის შვილს, წელანდელი ცივად მიღების გამოსასწორებლად, გავანდო ჩვენი პოლიტიკის საიდუმლოება. მომისმინეთ! მეფე და კარდინალი საუკეთესო მეგობრები არიან, მათი გარეგნული უთანხმოება მხოლოდ სულელებს უხვევს თვალს. ამიტომ არ მინდა, ჩემი თანამემამულე, კარგი მხედარი და გულადი ვაუკაცი, წარმატებისკენ გზის მაძებარი, მოუმზადებლად გაეხვიოს ამ თვალთმაქცობაში, გულწრფელად სჯეროდეს, რასაც დაინახავს და თვალდახუჭული გაებას მახეში ისე, როგორც მრავალი სხვა. კარგად დაუფიქრდით ჩემს მდგომარეობას, მიიღეთ მხედველობაში, რომ მე ერთგულად ვემსახურები ამ ორ ყოვლისშემძლე ბატონს. არასოდეს ჩემს მოქმედებას არა აქვს სხვა მიზანი, თუ არა სამსახური მეფისა და კარდინალისა. ჩვენი კარდინალი უბრწყინვალესია იმ დიდებულ გენიოსთა შორის, რომლებიც კი ოდესმე საფრანგეთს ჰყოლია. მაშ ასე, ახალგაზრდავ, გაითვალისწინეთ ყოველივე ეს და თუ პირადად თქვენი ან თქვენი ოჯახის დამოკიდებულების გამო რაიმე სამდურავი ან მტრობა გაქვთ კარდინალისადმი, რასაც ძალიან ხშირადა ვხედავთ აზნაურებში, გამომეთხოვეთ მეგობრულად და დავცილდეთ ერთმანეთს. დაგეხმარებით ყველაფერში, რაც კი დაგჭირდებათ, ოღონდ მე არ დაგიახლოებთ. იმედი მაქვს, ჩემი გულწრფელობა შემძენს მეგობარს თქვენი სახით, რადგანაც თქვენ პირველი ახალგაზრდა ხართ, რომელსაც ასე გულახდილად ვესაუბრები.

დე ტრევილი გულში სულ სხვას ფიქრობდა:

„თუ კარდინალმა გამომიგზავნა ეს ახალგაზრდა მელა, რა თქმა უნდა, ეტყოდა კიდეც თავის ჯაშუშს, რომ ჩემი გულის მოგების საუკეთესო საშუალება კარდინალის ლანძღვა-გინებაა. მიუხედავად ჩემი სიტყვებისა კარდინალის ერთგულების შესახებ, ეს გაიძვერა მელა ახლავე მიპასუხებს, რომ იგი ვერ იტანს მის ყოვლადუწმინდესობას“.

მაგრამ ბატონ დე ტრევილს იმედი გაუცრუვდა, მისი მოლოდინის წინააღმდეგ დ არტანიანმა სრულიად ბუნებრივი უბრალოებით უპასუხა:

– მეც სწორედ მასეთივე განზრახვით გეახელით პარიზს. მამაჩემმა მიბრძანა, არავისთვის დამეთმო, გარდა მეფისა, კარდინალისა და თქვენი, რომლებიც მას საფრანგეთის პირველ პირებად მიაჩნია.

როგორც მკითხველიც შეამჩნევდა, მეფეს და კარდინალს დ არტანიანმა დე ტრევილიც მიუმატა, რადგან, მისი ფიქრით, არაფერს წაახდენდა ასეთი დამატება.

– მე დიდი თაყვანისმცემელი გახლავართ კარდინალისა და დიდი პატივისმცემელი მისი მოღვაწეობისა, – განაგრძო ახალგაზრდამ. – თქვენ ბრძანეთ, რომ გულახდილად მელაპარაკებით, მით უკეთესი ჩემთვის, რადგან მეც თქვენი შეხედულებისა ვარ. მაგრამ თუ ეჭვი გაქვთ რამე და უნდობლად მიყურებთ, რაც სრულიად ბუნებრივია, მაშინ წასულია ჩემი საქმე. ვგრძნობ, რომ სიმართლის თქმით თავს ვიღუპავ, მაგრამ მით უარესი, რა გაეწყობა! თქვენი პატივისცემა ხომ შემრჩება და მე ეს უფრო მეტად მიღირს, ვიდრე სხვა ყოველგვარი წარმატება.

მეტად გაკვირვებული დარჩა ბატონი დე ტრევილი. ასეთი შორსმჭვრეტელობა, ასეთი გულწრფელობა სათაყვანებელი იყო, თუმც ეჭვს კი საბოლოოდ მაინც ვერ უფანტავდა, რამდენადაც სხვა ყმაწვილკაცებს სჯობდა ეს გასკონელი, იმდენად უფრო საეჭვო ხდებოდა. დე ტრევილმა მაინც ჩამოართვა ხელი და უთხრა:

– პატიოსანი ბიჭი ხართ, მეგობარო, მაგრამ ამჟამად იმის მეტს ვერას დაგეხმარებით, რაც წელან აღგითქვით. ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღია იქნება თქვენთვის. შემდეგში ყოველთვის შეგეძლებათ ჩემთან მოსვლა და ეჭვი არ მეპარება, ადვილად მიაღწევთ თქვენს მიზანსაც.

– უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბატონო, – შენიშნა დ არტანიანმა, – თქვენ გნებავთ ელოდოთ, მანამ რამით დაგიმტკიცებთ, რომ მეც ღირსი გახლავართ მუშკეტერობისა?! ძალიან კარგი, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, – დაუმატა გასკონური მოურიდებლობით, – დიდხანს არ მოგიწევთ ლოდინი. – თავი დაუკრა და წასვლა დააპირა, თითქოს ახლა ყველაფერი მასზე იყო დამოკიდებული.

– მოითმინეთ! – შეაყენა ბატონმა დე ტრევილმა, – წერილს დაგპირდით აკადემიის დირექტორთან. ნუთუ იმდენად ამპარტავანი ხართ, რომ ამ წერილის წაღებაზედაც უარს იტყვით?

– არა, ბატონო, მერწმუნეთ, რომ ის ბედი არ ეწევა ამ ბარათს, რაც მამაჩემის წერილს ეწია. თვალისჩინივით გავუფრთხილდები, გეფიცებით, დანიშნულებისამებრ ჩავაბარებ ბატონ დირექტორს. ვაი იმას, ვინც შეეცდება ამ წერილის მოპარვას.

ასეთ ბაქიაობაზე ბატონ დე ტრევილს გაეღიმა.

დ არტანიანი ფანჯარასთან დატოვა, სადაც ამ ხნის განმავლობაში ლაპარაკობდნენ; თვითონ თავის მაგიდასთან მივიდა, დაჯდა და დანაპირები სარეკომენდაციო წერილის წერა დაიწყო. დ არტანიანი, რომელსაც არაფერი საქმე აღარა ჰქონდა, ფანჯარაზე თითებით მარშს უკრავდა და თან ეზოდან ერთიმეორის მიყოლებით გამოსულ მუშკეტერებს ქუჩის ჩასახვევამდე აყოლებდა თვალს.

ბატონი დე ტრევილი წამოდგა, მივიდა დ არტანიანთან, რომ წერილი მისთვის ჩაებარებინა, მაგრამ სწორედ იმ წამს, როდესაც მან ხელი გაუწოდა გამოსართმევად, დე ტრევილმა შეამჩნია, რომ გასკონელს სისხლი აუვარდა თავში, სიბრაზისაგან წამოწითლდა და კაბინეტიდან ყვირილით გავარდა.

– ეშმაკმა დალახვროს, ახლა კი ვეღარ წამიხვალ! ახლა მე ვიცი!

– ვინ არის, ყმაწვილო, ვინ? – ჰკითხა ბატონმა დე ტრევილმა.

– ის, ჩემი ქურდი! არამზადა! – უპასუხა დ არტანიანმა და მიიმალა.

– რა ეშმაკმა გააგიჟა! – ჩაიბურტყუნა დე ტრევილმა. – იქნებ ესეც ხერხი იყო, რომ მარჯვედ გამქცეოდა, რაკი ვერ აასრულა დავალება?

IV

მხარი ათოსისა, ყაბიწი პორთოსისა და ცხვირსახოცი არამისისა

გააფთრებულმა დ არტანიანმა სამი ნახტომით გადასერა მოსაცდელი ოთახი და ფიქრობდა კიბის ოთხ-ოთხი საფეხური ერთად ჩაერბინა, მაგრამ აქ მოულოდნელად მეორე ოთახიდან გამოსულ მუშკეტერს დახრილი თავი ისე მაგრა დააჯახა მხარში, რომ ამ უკანასკნელმა მწარე ტკივილისაგან უფრო დაიღმუვლა, ვიდრე წამოიყვირა.

– ბოდიშს ვიხდი, – უთხრა დ არტანიანმა, რომელსაც უნდოდა განეგრძო გზა. – ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ძალიან მეჩქარება. – ძლივს მოასწრო ერთი კიბის ჩარბენა, რომ რკინასავით მაგარი ხელი ქამარში სწვდა და შეაყენა.

– ძალიან გეჩქარებათ? – შეუტია მკვდრისფერდადებულმა მუშკეტერმა, – ამ საბაბით თავსა მცემთ და ამბობთ: „ბოდიშს ვიხდიო“ და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს საკმარისია? სრულებითაც არა, ჩემო ახალგაზრდავ! თქვენ გგონიათ, რომ რაკი დღეს ბატონ დე ტრე-

ვილისაგან ჩვენი დატუქსვა მოისმინეთ, ყველას შეუძლია ისევე მოგვექცეს, როგორც იგი? სცდებით, მეგობარო, თქვენ ბატონი დე ტრევილი არა ბრძანდებით!

დ არტანიანმა მაშინვე იცნო შინისაკენ მიმავალი ათოსი, რომლისთვისაც დასტაქარს ჭრილობა უკვე შეეხვია.

– გარწმუნებთ, განზრახ არ დაგჯახებივართ, – წამოიძახა დ არტანიანმა. – მე ერთხელ უკვე მოგიხადეთ ბოდიში და ვფიქრობ ეს საკმარისია. კიდევ გიმეორებთ და მეტისმეტიც მომდის, პატიოსნებას გეფიცებით, ძალიან მეჩქარება და გთხოვთ გამიშვათ, თორემ მე ჩემსას ვეღარ მივაღწევ.

– ბატონო ჩემო, თქვენ ზრდილობა არა გქონიათ, გეტყობათ, შორიდან ხართ ჩამოსული, – უთხრა ათოსმა და ხელი გაუშვა.

დ არტანიანს სამი თუ ოთხი საფეხური არც კი ჩაერბინა, რომ ათოსის ამ სიტყვებმა უცბად შეაჩერა.

– ეშმაკმა დალახვროს! რაგინდ შორიდანაც არ უნდა ვიყო ჩამოსული, თქვენ ვერ მასწავლით ზრდილობას.

– იქნებ კიდეც გასწავლოთ! – მიუგო ათოსმა.

– ოჰ, ასე რომ არ მეჩქარებოდეს, – შეჰყვირა დ არტანიანმა, – და სხვას არ მივდევდე...

– აჩქარებულო ბატონო, ჩემი დევნა არ დაგჭირდებათ, მე ისეც ადვილად გიპოვით. გესმით?

– სად?

– კარმელიტების მონასტერთან.

– რომელ საათზე?

– შუადღისას.

– შუადღისას? ძალიან კარგი, იქ დაგიხვდებით.

– ეცადეთ, არ მალოდინოთ, რადგან თორმეტ საათსა და თხუთმეტ წუთზე მინდა ეგ ყურები დაგაჭრათ.

– კარგით, – მიაყვირა დ რტანიანმა, – იქ ვიქნები, თორმეტს რომ ათი წუთი დააკლდება.

მან მოკურცხლა იმ იმედით, რომ იქნება კიდევ დასწეოდა უცნობს, რომელიც ისე ნელი ნაბიჯით მიდიოდა, დიდი გზა არ უნდა ჰქონოდა გავლილი.

მაგრამ ქუჩის ჭიშკართან პორთოსი იდგა და გუშაგს ესაუბრებოდა. სწორედ ერთი კაცის გასასვლელი მანძილი იყო დარჩენილი მოსაუბრეთა შორის. დ არტანიანის ფიქრით, ეს ფართობი მისთვის საკმარისი იქნებოდა, და მათკენ ისრის სისწრაფით გაექანა, ის იყო, უნდა გამძვრალიყო, რომ ქარმა პორთოსის წამოსასხამი ააფრიალა და ჩვენი გასკონელი შიგ გაეხვია. ცხადია, პორთოსმა რაღაც მოსაზრებით ქარს და დ არტანიანს არ დაანება თავისი ჩაცუმლობის ეს უმთავრესი ნაწილი. იმის მაგივრად, რომ ხელი გაეშვა წამოსასხამის კალთისათვის, მან თავისკენ ისე მიიზიდა, რომ დ არტანიანი მთლიანად ხავერდის წამოსასხამში გაეხვია.

დ არტანიანი ისმენდა მუშკეტერის ლანძღვა-გინებას, უნდოდა როგორმე გამომძვრალიყო წამოსასხამიდან, რომელიც თვალებზე ეფარებოდა, გზას ნაკეცებში ეძებდა და ცდილობდა ისე გამოსულიყო, რომ არ შეხებოდა იმ ოქროს ყაბიწს, რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ. მაგრამ, როდესაც თვალი გაახილა, დაინახა, რომ ცხვირი პორთოსის მხრებშუა, სწორედ იმ ყაბიწზე მიებჯინა, რომელსაც ასე უფრთხილდებოდა.

ჩვენდა სამწუხაროდ, ისევე როგორც მრავალ ნივთს ჩვენს ცხოვრებაში, მხოლოდ გარეგნული ბრწყინვალება აქვს, ამ ყაბიწსაც წინა ნაწილი ჰქონდა ოქროთი ამოქარგული, ხოლო უკან კამეჩის ტყავი იყო. პორთოსს საშუალება არა ჰქონდა ძვირფასი ყაბიწის შეძენისა, და იძულებული იყო, მოსაჩვენებლად მხოლოდ წინიდან მოექარგვინებინა ოქროს ძაფებით.

ახლა ალბათ მიხვდა მკითხველი, რად სჭირდებოდა პორთოსს ავადმყოფობის მოგონება და სიცხიან დღეში წამოსასხამის ტარება.

— აი, გაგიწყრა ღმერთი! — შეჰყვირა პორთოსმა და თან ცდილობდა, როგორმე მოეშორებინა დ არტანიანი, რომელიც ახლა ხელებს მის ბეჭებზე აფათურებდა, — ცოფიანი ხომ არა ხართ?

— მაპატიეთ! — უთხრა დ არტანიანმა და ბუმბერაზის მხარს ქვეშიდან გამოყო თავი, — ძალიან მეჩქარება... ერთ კაცს მივდევ და...

— როდესაც ჩქარობთ, შემთხვევით, შინ ხომ არ გრჩებათ თვალები? — შეეკითხა პორთოსი.

— არა, — უპასუხა უკვე წყენით დ არტანიანმა, — ჩემი თვალების წყალობით იმასაც კი ვხედავ, რასაც სხვები ვერა ხედავენ.

მიხვდა თუ არა პორთოსი, რის თქმასაც უბედავდა ყმაწვილი კაცი, არავინ იცის, მაგრამ გაბრაზდა კი.

— გაფრთხილებთ, ბატონო, ნურც აგრე ეხახუნებით მუშკეტერებს, თორემ ტყავგამძვრალი დარჩებით.

— ტყავგამძვრალიო? მეტისმეტად მკაცი სიტყვა იხმარეთ, ბატონო ჩემო, — უპასუხა დ არტანიანმა.

— ეს გახლავთ საკადრისი სიტყვა იმ კაცისათვის, რომელიც დაურიდებლად თვალებში შესცქერის თავის მტერს.

— თქვენ კი, ძალიან კარგად ვიცი, რომ ზურგს არ უჩვენებთ ხოლმე... თქვენებს.

თავისი მოსწრებული სიტყვით აღფრთოვანებული დ არტანიანი ხარხარით გაუდგა გზას.

პორთოსს ცოფი მოერია და დ არტანიანის დასაჭერად წაიწია.

— მერე იყოს, ბატონო, მერე! — შემოჰყვირა გასკონელმა, — როდესაც წამოსასხამი თან აღარ გექნებათ!

— მაშ, პირველ საათზე, ლუქსემბურგის სასახლის უკან.

— ძალიან კარგი, პირველ საათზე, — მიაძახა დ არტანიანმა და მეორე ქუჩაზე ჩაუხვია.

მაგრამ უცნობი არსად ჩანდა, არც იმ ქუჩაზე, რომელიც გასკონელმა ჩაიარა, და არც იმაზე, რომელსაც გასცქეროდა. უკვე სადღაც მიმალულიყო. დ არტანიანი შეეცადა, შემხვედრი მგზავრებისაგან გაეგო მისი გზა-კვალი, მაგრამ ამაოდ; ბორნამდე ჩავიდა. შემდეგ სენისა და წითელი ჯვრის ქუჩები ამოიარა, მაგრამ წერილის ქურდის კვალიც კი ველარსად ნახა. კიდევ კარგი, რომ ამ მოძრაობას მისთვის სარგებლობა მოჰქონდა: რამდენადაც მეტად სდიოდა ოფლი სიარულში, იმდენად მეტად უცივდებოდა და უმშვიდდებოდა გული.

იმ დღეს მრავალი რამ გადახდა თავს დ არტანიანს. დღე ავბედითად დაიწყო. ჯერ დილის თორმეტი საათიც კი არ იყო და უკვე ბატონი დე ტრევილიც მომდურებული ჰყავდა, რომელიც, რაღა თქმა უნდა, უზრდელობად და უმადურობად ჩაუთვლიდა დ არტანიანს ასე უცნაურად გამოქცევას. გარდა ამისა, ორი კარგი დუელი მოელოდა ისეთ ვაჟკაცებთან, რომლებთაც სამ-სამი დ არტანიანიც არ ეყოფოდათ; დუელი მუშკეტერებთან, რომლებიც გრძნობით ყველა მოკვდავ ადამიანზე მაღლა იდგნენ მისი ფიქრით, და რომელთა მიმართ იგი უსაზღვრო პატივისცემით იყო გამსჭვალული.

სამწუხარო იყო ეს მდგომარეობა. დარწმუნებული გახლდათ, რომ ათოსის ხელით მოკვდებოდა, ამიტომ პორთოსზე აღარც ფიქრობდა, მაგრამ მოგეხსენებათ, იმედი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არა ტოვებს ადამიანის გულს. დ არტანიანიც ამ იმედს ემყარებოდა. ფიქრობდა, შეიძლება მძიმედ დამჭრან ამ ორ დუელში, მაგრამ ცოცხალი მაინც გადავრჩეო, და თავისი მომავალი ცხოვრების კეთილად მოსაწყობად მკაცრად უსაყვედურა თავს:

— რა თავქარიანი და ხეპრე ვარ! არა, თავისი ჭრილობა არ ეყოფოდა იმ საწყალ ათოსს, რომ მეც არ მიმემატებინა? კაცი მხარშია დაჭრილი და მეც ცხვარივით ვაძგერე ჩემი კინკრიხო. სწორედ საკვირველია, რომ მაშინვე ხმალი არ იძრო და იქვე არ მომკლა. ისეთი მწარე ტკივილი მივაყენე, რომ ამის სრული უფლება ჰქონდა. რაც შეეხება პორთოსს, ჰო, ბატონ პორთოსს, აქ საქმე უფრო სასაცილოა, ვიდრე საწყენი. — თავისდა უნებურად

სიცილი წასკდა დ არტანიანს. იცინოდა და თან აქეთ-იქით იყურებოდა, რომ საწყენად ან დამცინავად არ სჩვენებოდა ვისმე მისი განმარტოებული მხიარულება.

– რაც შეეხება პორთოსს, – განაგრძო მან, – მართლაც რომ სასაცილო შეტაკება გვქონდა. არა, ნამდვილი თავქარიანი ვარ! გიჟი უნდა იყოს კაცი, რომ ასე მოულოდნელად, ხმის ამოუღებლად ეცეს ადამიანს, წამოსასხამის ქვეშ შეუძვრეს და სინჯვა დაუწყოს, როგორი წამოსასხამი აქვს მოსხმული. ბოდიშს მოვიხდიდი და მშვიდობიანად ჩამივლიდა ყველაფერი, გადაკვრით ის ოხერი ყაბიწი რომ არ მეხსენებინა. არა, რა მეხუმრებოდა, ნამდვილი დაწყევლილი გასკონელი ვარ! მე მგონია, ჯოჯოხეთის კოცონშიც არ დავიშლი ლაზღანდარობას. – ეჰ, დ არტანიან, ჩემო გულითადო მეგობარო, – მიმართა ალერსით თავის თავს, – ამ ხიფათს თუ გადაურჩი, რაც ყოვლად შეუძლებლად უნდა მიგაჩნდეს, ეცადე, მომავლისათვის უმწიკვლო ზრდილობა შეიძინო და ამიერიდან შენი ყოფაქცევით მთელი ქვეყნისთვის სამაგალითო გახდე. თავაზიანი და ზრდილი კაცი განა ლაჩარია? აბა, არამისს გადახედე: ლმობიერებისა და ზრდილობის განსახიერებაა, მაგრამ განა სწორი იქნებოდა, მისთვის ვინმეს მხდალი ეწოდებინა? არასოდეს! დღეიდან მეც ყველაფერში არამისს მივბაძავ. ოჰო! აგერ, არამისიც აქ ყოფილა.

თავისი მონოლოგით დამტკბარი დ არტანიანი მიუახლოვდა დ ეგილონის სასტუმროს, რომლის წინ არამისი მხიარულად ელაპარაკებოდა მეფის სამ მუშკეტერს. თავის მხრივ, არამისმაც დაინახა დ არტანიანი. მაგრამ მას არ დავიწყებოდა, რომ სწორედ ამ ყმაწვილი კაცის თანდასწრებით გაუბრაზდა ბატონი დე ტრევილი, და ამიტომ სრულებით არ ესიამოვნა მათი გაკიცხვის მოწმის დანახვა. არამისმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ შეამჩნია იგი. ჩვენი ყმაწვილი გასკონელი კი, აღტაცებული თავისი გადაწყვეტილებით, რომ ყველას მიმართ თავაზიანი ყოფილიყო, მოსაუბრეებს მიუახლოვდა და ტკბილი ღიმილით თავმდაბალი სალამი მისცა. არამისმა თავი ოდნავ დაუკრა, მაგრამ ღიმილი კი არ აღირსა და ოთხივემ მყისვე შეწყვიტა საუბარი.

არც ისეთი სულელი იყო დ არტანიანი, რომ არ შეემჩნია, რამდენად ზედმეტი იყო ის იქ, მაგრამ დიდებული წრეების ზნე-ჩვეულებებში ჯერ კიდევ გაუწვრთნელმა ვერ შეძლო მოხერხებულად გამოსულიყო ამ მძიმე მდგომარეობიდან, ისევე როგორც უცხო წრეში მოხვედრილმა ადამიანმა, ჩარეულმა იმ ბაასში, რომელიც მას სრულიად არ ეხება. დ არტანიანი გამოსავალს ეძებდა. სწორედ ამ დროს დაინახა არამისის ჯიბიდან ამოვარდნილი ცხვირსახოცი, რომელსაც მუშკეტერმა თავისდა შეუმჩნევლად ფეხი დაადგა. შესაფერ შემთხვევად ეჩვენა ჩვენს გასკონელს, გამოესწორებინა თავისი შეცდომა: დაიხარა, ზრდილობიანად გამოაცალა მუშკეტერს ფეხის ქვეშიდან ცხვირსახოცი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ფეხს აჭერდა, არ უნდოდა დაენებებინა იგი. დ არტანიანმა ცხვირსახოცი მიაწოდა და უთხრა:

– მე მგონი, ბატონო, ძალიან შეგაწუხებდათ ამ ცხვირსახოცის დაკარგვა.

მართლაც ძვირფასი რამ იყო ეს ცხვირსახოცი ერთ კუთხეში საგანგებოდ ამოქარგული გვირგვინითა და გერბით. დ არტანიანის სიტყვებზე არამისი გაწითლდა, სისხლი აუვარდა თავში და გამორთმევის ნაცვლად ხელიდან გამოჰგლიჯა მიწოდებული ცხვირსახოცი.

– ოჰო, ოჰო! – შეჰყვირა ერთმა რაზმელმა, – მორცხვო სალუქო არამის, ახლაც იტყვი, შემომწყრალია ჩემზე დე ბუა-ტრასიო, მაშინ როდესაც ის მომხიბლავი ქალბატონი თავისი ცხვირსახოცით გიმშვენებს ჯიბეს?

არამისმა ისეთი თვალით გადახედა დ არტანიანს, უსიტყვოდ აგრძნობინებდა ადამიანს, ჩემი სახით მოსისხლე მტერი შეიძინეო, მერე თავისებურად მოიკატუნა თავი და თქვა:

– ცდებით, ბატონებო, ეს ცხვირსახოცი ჩემი არ არის და ვერ გამიგია, რად დასჭირდა ამ ყმაწვილს, ჩემთვის შემოეთავაზებინა და არა ერთ-ერთი თქვენგანისთვის? ამ სიტყვების დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ მე ჯიბეში მიდევს ჩემი. – თქვა ესა და მაშინვე თავისი ცხვირსახოცი ამოიღო, ისიც ძალიან კოხტა, წმინდა ბატისტისა, თუმცა მეტად ძვირად ფასობდა იმ დროს ბატისტი. არამისის ცხვირსახოცი არც მოქარგული იყო, არც გერბი ჰქონდა, მარტო მისი მფლობელის სახელისა და გვარის მთავარი ასოები ამშვენებდა.

ამჯერად დ არტანიანმა ხმა აღარ ამოიღო, მიხვდა თავის შეცდომას.

არამისმა ვერ დაარწმუნა თავის სიმართლეში მეგობრები. ერთმა მათგანმა მოჩვენებითი სიდარბაისლით მიმართა ყმაწვილ მუშკეტერს:

– თუ ეს ასეა, როგორც შენ ამბობ, იძულებული ვიქნები, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ეგ ცხვირსახოცი მოგთხოვო. კარგად იცი, რომ ბუა-ტრასი ჩემი გულითადი მეგობარია და არ მინდა, გამარჯვების ნადავლად აქვეყნებდნენ ცოლის ნივთებს.

– ცუდადა მთხოვ მაგას! – უთხრა არამისმა, – თუმცა მწამს სიმართლე შენი წინადადებისა, მე მაინც უარს გეტყვი, რადგან უვარგისი იყო შენი თხოვნის ფორმა.

– თუ მართალი გნებავთ, – გაბედა დ არტანიანმა ბაასში ჩარევა, –მე არ დამინახავს, რომ ბატონ არამისის ჯიბიდან გადმოვარდნილიყოს ცხვირსახოცი, ბატონ არამისს ზედ ფეხი ედგა და მეგონა, მისი იყო.

– ძალიანაც შეცდით, ბატონო, – ცივად უპასუხა არამისმა, ამ ბოდიშით ნაკლებად ნასიამოვნებმა. შემდეგ იმ მუშკეტერისკენ შეტრიალდა, რომელმაც თავი დე ბუა-ტრასის მეგობრად დაასახელა, და განაგრძო: – დე ბუა-ტრასი ჩემი მეგობარიც გახლავთ, ჩემო კარგო, მეც არანაკლებ ერთგული ვარ მისი. ცხადია, შენი ჯიბიდანაც ისევე შეიძლებოდა გადმოვარდნილიყო ცხვირსახოცი, როგორც ჩემიდან.

– არა, გეფიცები პატიოსნებას! – შეჰყვირა მეფის რაზმელმა.

– შენ შენს პატიოსნებას ფიცავ, მე ჩემსას. მაშასადამე, ტყუილის მთქმელი ერთი ჩვენგანი უნდა იყოს. მოდით, ჩემო მონტარან, უკეთ გავარიგოთ საქმე. შუაზე გავიყოთ ეს ცხვირსახოცი.

– გავხიოთ ცხვირსახოცი?

– დიახ.

– ძალიან კარგი, – შეჰყვირა ორმა რაზმელმა, – სოლომონ ბრძენის მსჯავრია სწორედ! სიბრძნის სალარო ხარ, არამის.

ყმაწვილებმა სიცილი დაიწყეს და, როგორც ჩანს, ავი არაფერი უნდა მოჰყოლოდა ამ შემთხვევას. რამდენიმე წუთის შემდეგ ბაასი გათავდა. გულითადად, ხელის ჩამორთმევით გამოეთხოვნენ ერთმანეთს რაზმელები და მუშკეტერი. სამივე თავის გზას გაუდგა სხვადასხვა მიმართულებით.

„სწორედ კარგი შემთხვევა მეძლევა ამ პატიოსან კაცთან ბოდიშის მოსახდელად“, – ფიქრობდა დ არტანიანი, რომელიც ბაასის დასასრულს ცოტა მოშორებით გამდგარიყო. ამ კეთილი გრძნობით მივიდა არამისთან. ის კი ისე მიდიოდა, თითქოს ვერა ხედავდა.

– უკაცრავად, ბატონო, – უთხრა დ არტანიანმა, – იმედი მაქვს, მაპატიებთ...

– ოო! ბატონო, – შეაწყვეტინა არამისმა, – ამ შემთხვევაში თქვენი მოქმედება არ შეეფერებოდა პატიოსანი კაცის საქციელს.

– რაო, რაო? – შეჰყვირა დ არტანიანმა, – თქვენ გგონიათ, რომ...

– მე მგონია, ბატონო, თქვენ ხეპრე არა ხართ და კარგად იცით, თუმც გასკონიიდან ბრძანდებით, რომ ფეხით არა თელავენ ცხვირსახოცს, თუ ამას გარემოება არ მოითხოვს. ბატისტით მოფენილი ხომ არა გგონიათ პარიზი?

– ცდებით, ბატონო, ტყუილად ცდილობთ ჩემს დამცირებას, – მიუგო დ არტანიანმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ ფიცხი ხასიათი უკვე ავიწყებდა წედან მიღებულ ზრდილობისა და მშვიდობიანობის აღთქმას. – გასკონელი ვარ, მართალია, და რადგან ეს უჩემოდაც გცოდნიათ, რაღა საჭირო მოგაგონოთ, რომ დიდ მოთმინებას ვერ დაიკვეხნიან გასკონელები: ისინი რაკი ბოდიშს მოიხდიან ვინმესთან, თუნდა რაიმე სისულელის გამოც, დარწმუნებულნი არიან, რომ უკვე იმაზე მეტი ჩაიდინეს, ვიდრე საჭიროება მოითხოვდა.

– მე, ბატონო, იმიტომ კი არ გეუბნებით მაგას, რომ ჩხუბი მინდოდეს თქვენთან, – უპასუხა არამისმა, – მადლობა ღმერთს, ჩხუბის მოყვარე არა ვარ, და თუ მუშკეტერი ვარ, ისიც მხოლოდ დროებით. თუ ბრძოლაზე მივიდა საქმე, ვიბრძვი, როდესაც სხვა გამოსავალი არა მაქვს, ისიც დიდი ზიზღით. დღევანდელი შემთხვევა კი მეტად მნიშვნელოვანია. თქვენ თავი მოსჭერით პატიოსან ქალს.

– ესე იგი, ჩემი მიზეზით? – შეჰყვირა დ არტანიანმა.

– რა ღმერთი გაგიწყრათ, რომ მე გამომიწოდეთ ის ცხვირსახოცი?

– თქვენ რაღა ღმერთი გაგიწყრათ, რომ ჯიბიდან ამოაგდეთ?

– მე ვთქვი და ვიმეორებ, რომ ჩემი ჯიბიდან არ ამოვარდნილა.

– ჰოდა, ორჯერ თქვით ტყუილი, ჩემო ბატონო. ჩემი თვალით დავინახე, რომ ის ცხვირსახოცი თქვენი ჯიბიდან ამოვარდა.

– ოჰო! მაშ, მაგ ტონით მელაპარაკებით, ბატონო გასკონელო? ძალიან კარგი! მე თქვენ გასწავლით ჭკუას!

– მე კი თქვენს მონასტერში დაგაბრუნებთ, ბატონო მღვდელო! მოემზადეთ ბრძოლისათვის! აბა, ამოიღეთ ხმალი!

– არა, აქ არა, ჩემო გმირთაგმირო, აქ არა. ნუთუ იმასაც კი ვერა ხედავთ, რომ კარდინალის ერთგული მონებით გარშემორტყმულ დე გილონის სასახლესთანა ვართ. ვინ დამარწმუნებს, რომ მისმა ყოვლადუწმინდესობამ არ დაგავალათ, არამისის თავი მომართვიო. მე კი ძალიან მიყვარს ჩემი თავი, საშინლად მიყვარს. ვფიქრობ, იგი ძალიან ამშვენებს ჩემს მხრებს. მაშ ასე, გადაწყვეტილი მაქვს თქვენი მოკვლა, ამ მხრივ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მაგრამ მინდა მოგკლათ ტკბილად, შემოღობილ, დახურულ ადგილას, ისე, რომ იქ არავინ იყოს.

– ძალიან კარგი, ჩემო ბატონო! ოღონდ ნურც ასე იმედიანად იქნებით. წაიღეთ ეგ ცხვირსახოცი, თქვენი თუ სხვისი საკუთრება, იქნება გაგიღიმოთ ბედმა და ერთხელ კიდევ გამოიყენოთ.

– გასკონელი ბრძანდებით, ბატონო? – ჰკითხა არამისმა დაცინვით.

- დიახ, გასკონელი გახლავართ და გასკონელები სიფრთხილის გამო არ გადასდებენ დუელს.

– სიფრთხილე, ბატონო, სათნოებაა, საკმარისად უსარგებლო – მუშკეტერებისათვის, მაგრამ აუცილებელი – სამღვდელოებისათვის. და ვინაიდან მე მხოლოდ დროებითა ვარ მუშკეტერი, მინდა, ფრთხილად ვიყო. მექნება პატივი, ორ საათზე გნახოთ ბატონ დე ტრევილის სასახლეში და მიყრუებულ ადგილსაც იქ ამოვირჩევთ.

ყმაწვილმა კაცებმა ერთმანეთს თავი დაუკრეს. არამისი ლუქსემბურგის სასახლისკენ წავიდა. დ არტანიანმა შეამჩნია, რომ დანიშნული დრო ახლოვდებოდა და გეზი კარმელისტების მონასტრისკენ აიღო. მიდიოდა და თან თავში ერთი ფიქრი უტრიალებდა: გათავებულია, მე უკან ვეღარ დავბრუნდები, მაგრამ ის მაინც მეცოდინება, რომ მუშკეტერის ხელით ვკვდებიო.

V

მეფის მუშკეტერები და კარდინალის რაზმელები

დ არტანიანი არავის იცნობდა პარიზში, ამიტომ მარტოდმარტო, უსეკუნდანტოდ წავიდა ათოსთან შესახვედრად. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ იმას დასჯერდებოდა, ვისაც მისი მოპირდაპირე მოიყვანდა. გარდა ამისა, ფიქრობდა, ბოდიში მოეხადა მამაცი მუშკეტერის წინაშე, ისე, რომ თავი არ დაემცირებინა. გასკონელი შიშობდა, ამ დუელსაც ისეთივე არასასიამოვნო შედეგი არ მოჰყოლოდა, როგორც მთავრდება ბრძოლა ძალ-ღონით აღსავსე ახალგაზრდისა დაჭრილ, მისუსტებულ მოპირდაპირესთან. თუ დამარცხდება, მტერი ორმაგად გამარჯვებული იქნება, თუ გაიმარჯვებს, მტრის სისუსტით სარგებლობას და ყალბ ვაჟკაცობას დასწამებენ. ერთი სიტყვით, ან ცუდად გამოვხატეთ ფათერაკების მაძიებელი ჩვენი გმირის ხასიათი, ან, როგორც უკვე შეამჩნევდა მკითხველი, ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო დ არტანიანი. მიუხედავად ამისა, რომ თავისთვის ჩუმად იმეორებდა, აუცილებლად უნდა დავიღუპოო, მაინც არა და არ უნდოდა დამორჩილებოდა ამ აზრს, როგორც ამას სხვა მის მდგომარეობაში მყოფი ნაკლებად გულადი ადამიანი შეეგუებოდა.

ჩვენი გმირი ჩაუფიქრდა იმ პირთა განსხვავებულ ხასიათებს, რომლებსაც ამ დღეს უნდა შებრძოლებოდა, და უფრო ცხადად წარმოუდგა თავისი მდგომარეობა. იმედი ჰქონდა, ათოსის წინაშე ღირსეული ბოდიშის მოხდის შემდეგ, ეს მუშკეტერი, რომლის დიდებული იერი და მკაცრი სახე მეტად მოსწონდა, მეგობრად გაიხდიდა მას. პორთოსზე ეცინებოდა. თუ არ მომკლა, მე რომ იმ ყალბი ყაბიწის ამბავი შევალამაზო და ქვეყანას მოვდო, სირცხვილად მარტო ეს ეყოფაო... რაც შეეხება არამისს, ძალიან არც მისი ეშინოდა, დარწმუნებული იყო, მას ადვილად გაისტუმრებდა საიქიოს. ან არადა, ცხვირ-პირში დაჰკრავდა ხმალს, რითაც საუკუნოდ დაუსახიჩრებდა იმ ლამაზ სახეს, რომლითაც ასე მოსწონდა თავი.

ურყევი გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული დ არტანიანს, მაგრად ჩაბეჭდოდა გულში მამის დარიგება: „არავის არასოდეს არაფერი დაუთმო, გარდა მეფისა, კარდინალისა და ბატონ ტე ტრევილისაო“. ამიტომ იგი კი არ მიდიოდა, მიფრინავდა კარმელისტების მონასტრისაკენ. ეს იყო უცნაური, უფანჯრო შენობა, ხრიოკი მინდვრით გარშემორტყმული. ამ მონასტერთან ებრძოდნენ ერთმანეთს მოპირდაპირენი, როდესაც დრო არა ჰქონდათ სხვა, უფრო მიყრუებული ადგილის საძებნელად.

უკვე შუადღე იყო, როდესაც დ არტანიანმა ამ ხრიოკ მინდორს მიაღწია. ათოსი უკვე იქ დახვდა. სულ ხუთი წუთის მოსული თუ იქნებოდა. დ არტანიანი ისე ზუსტად გამოცხადდა, რომ დუელის წესების მკაცრი დამცველიც ვერას უსაყვედურებდა.

ათოსს ისევ ძალიან აწუხებდა ჭრილობა, თუმცა ხელმეორედ შეეხვია ბატონ დე ტრევილის დასტაქარს. ქვაზე ჩამომჯდარი დამშვიდებული, ჩვეული ღირსებით აღსავსე იერით მოელოდა თავის მოპირდაპირეს. დ არტანიანის დანახვაზე ზრდილობიანად წამოდგა და მის შესახვედრად წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. გასკონელიც, თავის მხრივ, არ ჩამორჩა მოწინააღმდეგეს, ქუდი მოიხადა და თავაზიანად მიესალმა.

– ბატონო ჩემო, – უთხრა ათოსმა, – ჩემ ორ მეგობარს ვაცნობე, რომ დამჭირდებოდა მათი სეკუნდანტობა, მაგრამ ჯერ არსადა ჩანან, მიკვირს, რომ იგვიანებენ. მათ ეს არ სჩვევიათ.

– მე, ბატონო, სეკუნდანტიც არა მყავს, – უთხრა დ არტანიანმა, – გუშინ ჩამოვედი პარიზს, მამაჩემმა გამომგზავნა თავისი ახალგაზრდობის მეგობარ ბატონ დე ტრევილთან და მის გარდა არავის ვიცნობ.

ათოსი ერთ წამს ჩაფიქრდა.

– მაშ, ბატონ დე ტრევილის მეტს არავის იცნობთ?

– დიახ, ბატონო, ბატონ დე ტრევილის მეტს არავის.

– ესეც უბედურება, – განაგრძო დაბალი ხმით ათოსმა ისე, თითქოს თავის თავს და, ამავე დროს, დ არტანიანსაც ელაპარაკებაო, – უბედურებაა სწორედ: მე რომ თქვენ მოგკლათ, ბავშვების მჭამელის სახელი გამივარდება.

– სრულებითაც არა, ბატონო, – მიუგო დ არტანიანმა და თან ღირსეულად ჩაღუნა თავი, – სრულებითაც არა, პირიქით, თქვენ პატივი დამდეთ, დაჭრილი შემებრძოლოთ. ეს ჭრილობა ძალიან უნდა გაწუხებდეთ!

– გეფიცებით, ძალიან მაწუხებს და უნდა გამოგიტყდეთ, თქვენ უფრო მეტად გამიმწვავეთ ეს ტკივილი. თუმცა არაფერია, ასეთ შემთხვევაში ჩვეულებად მაქვს მარცხენა ხელის გამოყენება. არ იფიქროთ, რომ სუსტად დაგიხვდებით. ორივე ხელით ერთნაირად ვიბრძვი და თუ მართალი გნებავთ, უპირატესობაც მექნება, ცაცია მტერი ძალიან საშიშია მათთვის, ვინც ასეთი ბრძოლისათვის მოუმზადებელია. ვნანობ, მაშინვე ვერ გაცნობეთ ეს გარემოება.

– ისეთი რაინდული პატიოსნებით მექცევით, რომ არ ვიცი, რა სიტყვით გადაგიხადოთ მადლობა, – უთხრა დ არტანიანმა და ერთხელ კიდევ დაუკრა თავი.

– აბა, რას ბრძანებთ, რის მადლობა? – მიუგო ათოსმა თავისი ჩვეული დიდებული იერით, – მოდით, სხვა, თქვენთვის სასიამოვნო რამეზე ვისაუბროთ. ოჰ, დალახვროს ეშმაკმა, რომ იცოდეთ, როგორი ტკივილი მომაყენეთ. ცეცხლი მიკიდია მხარში!

– ნებას რომ მომცემდეთ... – უთხრა მოკრძალებით დ არტანიანმა.

– რის ნებას?

– მალამო მაქვს ჭრილობის განსაკურნავი, დედაჩემმა მასწავლა... უებარი წამალი გახლავთ, ჩემს თავზე გამოვცადე.

– მერე?

– მერე, ბატონო, დარწმუნებული ვარ, ჩემი მალამო სამ დღეში გაგიმთელებთ მხარს და... სამი დღის შემდეგ, როდესაც განკურნებული იქნებით... დიდი სიამოვნებით გეახლებით, სადაც მიბრძანებთ. – დ არტანიანის მიერ ბუნებრივად წარმოთქმული ეს სიტყვები თვალსაჩინოს ხდიდა მის ადამიანობას და არაფრით ჩრდილავდა მის ვაჟკაცობას.

– პატიოსნებას გეფიცებით, ბატონო, ეს წინადადება ძალიან მომწონს, მაგრამ არა იმიტომ, თითქოს ვლებულობდე მას, არა! მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენში პატიოსან დიდებულსა ვხედავ. ასე იქცეოდნენ და მსჯელობდნენ კარლოს დიდის დროის რაინდები. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, დიდებული იმპერატორის ეპოქაში აღარა ვართ. ჩვენ ბატონ კარდინალის დროს მოგვიხდა ცხოვრება და დღეიდან სამი დღის განმავლობაში ძალიან საიდუმლოდაც რომ შევინახოთ ჩვენი შებრძოლების სურვილი, ქვეყანა მაინც გაიგებს და ყოველმხრივ შეეცდებიან, ჩაგვიშალონ ეს შეხვედრა... რა ვქნა, რა დაემართათ იმ მოყიალეებს, რატომ არსად ჩანან? – თქვა ათოსმა.

– თუ საქმე გაქვთ რამე, ბატონო, – უთხრა დ არტანიანმა ისეთივე მორიდებით, როგორითაც წელან სამი დღით დუელის გადადება შესთავაზა, – თუ გეჩქარებათ და სურვილი გაქვთ, ამწამსვე გამისტუმროთ იმქვეყანას, ძალიან დამავალებთ, თუ არ მომერიდებით...

– აი, კიდევ მოსაწონი სიტყვა, – წამოიძახა აღტაცებით ათოსმა და კოხტად დაუკრა თავი დ არტანიანს, – სიტყვა, რომელსაც გონიერი კაცი იტყვის და არა თავქარიანი. ძალიან მიყვარს თქვენი წრთობის კაცი, ვგრძნობ, თუ დღეს ერთმანეთი არ ამოვხოცეთ, შემდეგში სწორედ სასიამოვნო იქნება თქვენთან ბაასი. დავუცადოთ ჩემს სეკუნდანტებს, მე საჩქარო არა მაქვს რა და ჩვენი ბრძოლაც წესიერად მოხდება. მაგრამ, აგერ, ერთი მათგანი მოდის!

მართლაც, ვოჟირარის ქუჩის ბოლოში გამოჩნდა პორთოსის ვეება ფიგურა.

– როგორ?! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – თქვენი პირველი სეკუნდანტი ბატონი პორთოსია?

– დიახ, რაო? საწინააღმდეგო ხომ არა გაქვთ რა?

– არა, ბატონო, არა.

– აგერ, მეორეც მოდის.

დ არტანიანი იქით მიბრუნდა, საითაც ათოსმა მიუთითა, და არამისი იცნო.

– როგორ?! – შეჰყვირა უფრო მეტი გაკვირვებით, ვიდრე პირველად, – თქვენი მეორე სეკუნდანტი ბატონი არამისი გახლავთ?

– ცხადია, განა არ იცით? ჩვენ უერთმანეთოდ ვერსადა გვნახავთ, მუშკეტერებში, მეფის რაზმელებში, სასახლეში, ქალაქში ყველა გვიცნობს ამ სახელით: ათოსი, პორთოსი და არამისი, ანუ სამნი განუყრელნი! მაგრამ თქვენ, მგონი, დამასკოდან მოდიხართ ან პოდან...

– ტარბიდან, – გაუსწორა დ არტანიანმა.

– გეპატიებათ, არ იცოდეთ ეს წვრილმანი.

– ძალიან სახელები გქონიათ, ბატონო ჩემო, – უთხრა დ არტანიანმა.

ამასობაში პორთოსიც მოვიდა. მას ყაბიწი გამოეცვალა და წამოსასხამიც შინ დაეტოვებინა. ხელით მიესალმა ათოსს, შემდეგ დ არტანიანისკენ მიბრუნდა და განცვიფრებული დარჩა.

– აჰ, აჰ, აჰ, – შეჰყვირა გაკვირვებულმა პორთოსმა, – ეს რა ამბავია?

– რა ამბავი უნდა იყოს? ბრძოლას ვაპირებთ მე და ეს ყმაწვილი კაცი, – უპასუხა ათოსმა და ხელით დ არტანიანზე ანიშნა.

– მეც უნდა შევებრძოლო მას! – დაიძახა პორთოსმა.

– მხოლოდ პირველ საათზე, – დაუმატა მშვიდად დ არტანიანმა.

– მეც ბრძოლას ვაპირებ ამ ახალგაზრდასთან, – თქვა არამისმა, რომელიც, ის იყო, მივიდა და ყური მოჰკრა მათ ბაასს.

– მხოლოდ ორ საათზე, – ისევე მშვიდად გასცა პასუხი დ არტანიანმა.

– კარგი, მაგრამ, რა მიზეზით იბრძვი, რა მოხდა, ათოს? – ჰკითხა არამისმა.

– აბა, რა ვიცი? მხარი მატკინა. შენ, პორთოს?

– აბა, რა ვიცი? ვიბრძვი იმიტომ, რომ ვიბრძვი, – უპასუხა პორთოსმა და გაწითლდა.

არაფერი გამოეპარებოდა ათოსს. ცბიერი, წამიერი ღიმილი შეაჩნია გასკონელის ტუჩებზე.

– პატარა კინკლაობა მოგვიხდა ტანისამოსის შესახებ, – თქვა დ არტანიანმა.

– არამის, შენ? – ჰკითხა ათოსმა.

–მე ვიბრძვი ღვთისმეტყველების საკითხების გამო, – მიუგო არამისმა და თან დ არტანიანს უსიტყვოდ სთხოვა, საიდუმლოდ ჰქონოდა დუელის მიზეზი.

ათოსმა ახლა მეორედ შეამჩნია ღიმილი დ არტანიანს ტუჩებზე.

– ჰოო? – გაიკვირვა ათოსმა.

– დიახ, წმინდა ავგუსტინეს ერთმა დებულებამ მწვავე კამათი გამოიწვია, – თქვა გასკონელმა.

„მართლაც, რომ ჭკვიანი ბიჭია“, – გაიფიქრა ათოსმა.

– ახლა, ბატონებო, რაკი სამივე ერთად ბრძანდებით, ნება მიბოძეთ, ბოდიში მოგიხადოთ, – უთხრა დ არტანიანმა.

სიტყვა „ბოდიშის“ გაგონებაზე ათოსი მოიღრუბლა, პორთოსის ტუჩებზე ცბიერმა ღიმილმა გადაირბინა, ხოლო არამისის სახეზე უკმაყოფილება აღიბეჭდა.

– თქვენ ვერ გამიგეთ, ბატონებო, – თქვა დ არტანიანმა და თავი მაღლა ასწია. მზის სხივებმა შუქი მოჰფინეს მის ლამაზ და მამაცურ სახეს, – ბოდიშს ვიხდი, ბატონებო, შეიძლება სამივეს ვერ გადაგიხადოთ ჩემი ვალი, პირველად ბატონ ათოსს აქვს ჩემი მოკვლის უფლება, რაც ძალიან საეჭვოს ხდის ჩემგან თქვენს დაკმაყოფილებას, ბატონო პორთოს, და თითქმის სრულიად აბათილებს თქვენსას, ბატონო არამის. აი, მხოლოდ ამიტომ კიდევ ერთხელ გიმეორებთ, მაპატიოთ, თუ ყველასთან ვერ შევძლებ ჩემი ვალის მოხდას! – თქვა თუ არა ეს, დ არტანიანმა ლამაზი, მოხდენილი მხედრული წესით ამოიღო ხმალი. ამ წუთში ის მზად იყო ებრძოლა არა მარტო ათოსის, პორთოსის და არამისის, არამედ საფრანგეთის სამეფოს ყველა მუშკეტერის წინააღმდეგ.

შუადღე იყო. მზე დუელისათვის ამორჩეულ ადგილს ყოველი მხრიდან ცეცხლს უკიდებდა.

– ოჰ, რა ძალიან ცხელა, – ამოიხვნეშა ათოსმა და ხმალი ამოიღო, – ქურთუკს ვერ გავიხდი, რადგან ეს არის, კიდევ ვიგრძენი ჭრილობიდან სისხლის დენა და არ მინდა შევაწუხო ჩემი მოპირდაპირე იმ სისხლით, რომელიც მისი ხმლის შედეგი არაა.

– მართალი ბრძანდებით, ბატონო, – მიუგო დ არტანიანმა, – გარწმუნებთ, ჩემ მიერ იქნება დაღვრილი თქვენი სისხლი თუ სხვის მიერ, ყოველთვის გულსაკლავად მომეჩვენება თქვენისთანა გულადის სისხლის დანახვა. მაშ, მეც თქვენსავით ქურთუკში ვიბრძოლებ.

– კარგით, კარგით! – მიმართა პორთოსმა, – კმარა ეგ ქათინაურები! ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენც ჯერს ველით.

– მარტო თქვენი სახელით თქვით, პორთოს, ასეთი სიტყვები, – შეაწყვეტინა არამისმა, – მე კი ძალიან მომწონს ამ ყმაწვილის კეთილშობილური, რაინდული სიტყვა-პასუხი.

– როგორც ინებებთ, ბატონო, – უთხრა ათოსმა დ არტანიანს.

– თქვენს ბრძანებას ველოდი, – უპასუხა გასკონელმა და ხმალი გადაუჯვარედინა.

ის იყო გაისმა ფოლადის წკარუნი, რომ მონასტრის კუთხესთან მისი ყოვლადუწმინდესობის რაზმელები გამოჩნდნენ, წინ ბატონი დე ჟესაკი მოუძღოდათ.

– კარდინალის რაზმელები! – შეჰყვირეს ერთად პორთოსმა და არამისმა. – ჩააგეთ ხმლები, ბატონებო, ჩააგეთ ხმლები!

მაგრამ უკვე გვიან იყო. კარდინალის რაზმელებმა ისეთ მდგომარეობაში დაინახეს ორი მებრძოლი, რომ ეჭვს გარეშე იყო მათი განზრახვა.

– თქვენ, ეი! – შეჰყვირა ჟესაკმა და ჩქარი ნაბიჯით მუშკეტერებისკენ წამოვიდა, თან თავისიანებს ანიშნა, უკან მოჰყოლოდნენ.

– მაშ აქ ებრძვით ერთმანეთს? ბრძანება აღარ გახსოვთ? მეფის ბრძანებას არღვევთ?

– ძალიან დიდსულოვანი ბრძანდებით, ბატონებო, – უთხრა ბოღმამორეულმა ათოსმა, ვინაიდან სწორედ ეს ჟუსაკი იყო გუშინწინდელი ბრძოლის ამტეხი, – ჩვენ რომ გვენახეთ სადმე საბრძოლოდ გასულნი, მერწმუნეთ, არავითარ შემთხვევაში არ დაგიშლიდით განზრახულის ასრულებას. ჰოდა, თქვენც ნუ გვიშლით ბრძოლას, დასტკბით სანახაობით.

– ძალიან ვწუხვარ, ბატონებო, მაგრამ იძულებული ვარ, უარი მოგახსენოთ, ეგ შეუძლებელია! ჩვენი მოვალეობა – უპირველეს ყოვლისა! ჩააგეთ ხმალი, ბატონებო, და მოგვყევით, – უპასუხა ჟუსაკმა.

– დიდი სიამოვნებით დავემორჩილებოდით, ბატონო, თქვენს თავაზიან მიპატიჟებას, – დაიწყო ჟუსაკის მიბაძვით არამისმა, – ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული მაგ ბრძანების ასრულება. მაგრამ რა გაეწყობა, საუბედუროდ, შეუძლებელსა გვთხოვთ. რა ვქნათ, რომ ბატონმა დე ტრევილმა აგვიკრძალა ასეთი ქცევა? ამიტომ ჯობს თქვენი გზა განაგრძოთ, ბატონებო, ამაზე უკეთესს ვერას იზამთ.

ასეთმა მასხარად აგდებამ ჟუსაკი გააგიჟა.

– არ გვემორჩილებით? ძალას ვიხმართ!..

– ისინი ხუთნი არიან, ჩვენ კი მარტო სამნი, დღესაც გვაჯობებენ და ჯობს, აქვე დავიხოცოთ, იცოდეთ, დამარცხებული მე ჩემს კაპიტანს ვეღარ ვეჩვენები, – თქვა ჩუმი ხმით ათოსმა.

ათოსი, პორთოსი და არამისი ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ამასობაში ჟუსაკი თავის მხედრებს საბრძოლველად ალაგებდა.

ერთი წამი საკმარისი აღმოჩნდა დ არტანიანისათვის გადაწყვეტილების მისაღებად. ისეთი შემთხვევა მიეცა, რომლითაც საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო მისი ცხოვრების გზა, სწრაფად და საბოლოოდ უნდა გადაეჭრა არჩევანი მეფესა და კარდინალს შორის, ხოლო ამორჩეულის მხარეს თავგანწირვით უნდა ებრძოლა. მაგრამ ბრძოლა კანონის დარღვევას ნიშნავდა. მტრად გაუხდებოდა მეფეზე მძლავრ მინისტრს. ყველაფერი ეს სწრაფად გაითვალისწინა ჩვენმა გმირმა და მის სასახელოდ უნდა ითქვას, ერთი წამითაც არ შეყოყმანდა, მუშკეტერებისაკენ მიბრუნდა და უთხრა:

– ბატონებო, თუ ნებას მომცემთ, ოდნავ შევასწორებ თქვენს ნათქვამს. თქვენა ბრძანეთ, რომ სამნი ხართ, მე მეოთხე ვიქნები.

– თქვენ ხომ მუშკეტერი არა ხართ? – უთხრა პორთოსმა.

– მართალია, თქვენნაირი ტანსაცმელი არ მაცვია, მაგრამ სული თქვენი მიდგას, გული კი მუშკეტერისა მაქვს. ამას კარგად ვგრძნობ და ამიტომ გიერთდებით.

– განზე გადექით, ყმაწვილო! – დაუყვირა დ არტანიანს ჟუსაკმა, რომელმაც მიხრა-მოხრით და სახის გამომეტყველებით ცხადად შეიცნო მისი განზრახვა. – მიბრძანდით, ბატონო! ჩვენ ნებას გაძლევთ გაგვეცალოთ, ჯობს საკუთარ ტყავს გაუფრთხილდეთ.

დ არტანიანმა ფეხი არ მოიცვალა ადგილიდან.

– მართლაცდა კარგი ბიჭი ყოფილხარ, – უთხრა ათოსმა და ხელი ჩამოართვა.

– ჰა! აბა, ჩქარა! – ყვიროდა ჟუსაკი.

– აბა, რას ვაპირებთ? – თქვეს პორთოსმა და არამისმა.

– დიდსულოვანი ყოფილა ეს ყმაწვილი, – დაიწყო ათოსმა. მაგრამ სამივეს აფიქრებდა დ არტანიანის სიყმაწვილე და თანაც მისი გამოუცდელობა.

– ნამდვილად სამნი ვიქნებით, რომელთაგან ერთი დაჭრილი და ერთიც ყმაწვილი ბიჭია, – თქვა ათოსმა, – ხმას კი მაინც დაგვიყრიან, რომ ოთხნი ვიბრძოდით.

– მერე რა, უკან დავიხიოთ? – იკითხა პორთოსმა.

– ძალიან ძნელი იქნება, – მიუგო ათოსმა.

დ არტანიანი მაშინვე მიხვდა, რაც აბრკოლებდა მუშკეტერების გადაწყვეტილებას.

– გამომცადეთ, ბატონებო, და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ცოცხალი არ წავალ აქედან, თუ დავმარცხდი.

– თქვენი სახელი, ჩემო გულადო? – ჰკითხა ათოსმა.

– დ არტანიანი, ბატონო.

— მაშ, ათოს, პორთოს, არამის, დ არტანიან!.. ყოჩაღად!

— ჰა, რას აპირებთ, ბატონებო? გადაწყვიტეთ, თუ არა? — შეჰყვირა მესამედ ჟუსაკმა.

— დიახ, ბატონო! — მიუგო ათოსმა.

— სახელდობრ?

— გავკადნიერდებით, ჩემო ბატონო, და ჭკუას გასწავლით! — უპასუხა არამისმა. ერთი ხელით ქუდი მოუხადა, ხოლო მეორით ხმალი ამოიღო.

— მაშ, არ გვემორჩილებით? — შეუტია ჟუსაკმა.

— კიდეც რომ გვეკითხება?!

მეფისა და კარდინალის მომხრენი გაშმაგებით მისცვივდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბრძოლის წესები არ ავიწყდებოდათ.

ათოსი კაუზაკს ეცა — კარდინალის საყვარელ მხედარს; პორთოსს ბიკარა ერგო, არამისი ორი მოწინააღმდეგის წინაშე აღმოჩნდა.

რაც შეეხება დ არტანიანს, მას წილად თვითონ ჟუსაკი ხვდა.

ისე უცემდა ყმაწვილ გასკონელს გული, თითქოს გულის ფიცარის გამონგრევას და ამოვარდნას აპირებსო, მაგრამ შიშით კი არ ეშინოდა. ისე იბრძოდა, როგორც ცოფიანი ვეფხვი: მტერს სწრაფი ნახტომით გარს უვლიდა, იცვლიდა ადგილს და მოგერიების ქამანდას. ჟუსაკი მეტად გამოცდილი იყო ამგვარ ბრძოლაში და სახელიც დიდი ჰქონდა მოხვეჭილი, მაგრამ გაჭირვებით იცავდა თავს მარჯვე და ცეცხლივით სწრაფი მოწინააღმდეგისაგან. ძლივს იგერიებდა დ არტანიანის მიერ ერთ და იმავე დროს ყოველმხრიდან ზედიზედ მოტანილ იერიშს.

ბოლოს და ბოლოს ამ გაუთავებელმა ბრძოლამ მოთმინება დააკარგვინა ჟუსაკს. ასეთი წინააღმდეგობით გაცოფებულმა წონასწორობა დაკარგა და შეცდომები დაუშვა. დ არტანიანს არა ჰქონდა ბრძოლის საკმაო პრაქტიკა, მაგრამ თეორია კარგად იცოდა. მან გააორკეცა სისწრაფე. ჟუსაკმა გადაწყვიტა, მაგარი დარტყმით ბოლო მოეღო მოწინააღმდეგისათვის, და ისეთი ძალით მოუქნია ხმალი, რომ თვითონაც იქვე ჩაიჩოქა. დ არტანიანმა მოხერხებულად აიცდინა იგი. როდესაც ჟუსაკი გველივით იკლაკნებოდა თავისი იარაღის ქვეშ და წამოდგომას აპირებდა, გასკონელმა ისეთი ძალით ჰკრა ხმალი, რომ ზურგამდე გაატანა. მისი მოწინააღმდეგე კუნძივით გაგორდა მიწაზე.

შეწუხებულმა დ არტანიანმა სწრაფად მოავლო თვალი ბრძოლის ველს.

არამისს უკვე მოეკლა ერთი მოწინააღმდეგე, მაგრამ მეორე ძალიან ავიწროებდა, თუმცა არამისსაც კარგი მდგომარეობა ჰქონდა და ჯერ კიდევ შეეძლო თავის დაცვა. ბიკარა და პორთოსი ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენ, პორთოსი მკლავში დაჭრილიყო, ხოლო ბიკარა — ბარძაყში. მაგრამ არც ერთის ჭრილობა საშიში არ იყო.

კაუზაკისაგან ხელმეორედ დაჭრილ ათოსს ფერი მიხდოდა, მაგრამ ფეხს მაინც არ იცვლიდა ადგილიდან, ხმალი ახლა მარცხენა ხელში ეჭირა და ისე განაგრძობდა ბრძოლას.

იმ დროის დუელის წესების მიხედვით, დ არტანიანს უფლება ჰქონდა, ერთ-ერთ მათგანს მიშველებოდა. ყმაწვილი კაცი შეჰყურებდა თავის მეგობრებს, ცდილობდა გამოერკვია, ვის უფრო ესაჭიროებოდა მისი დახმარება. ამ დროს ათოსის გამოხედვა დაიჭირა. წმინდა მჭევრმეტყველებით იყო სავსე ეს წამიერი მზერა. ათოსი სიკვდილს არჩევდა და საშველად არვის იხმობდა, მაგრამ მისი თვალები დახმარებას ითხოვდნენ. დ არტანიანმა გაუგო მას. ერთი ნახტომით გვერდით დაუდგა კაუზაკს და შეჰყვირა:

— ჩემკენ, ბატონო რაზმელო! მე თქვენ მოგკლავთ! — კაუზაკი მიბრუნდა, ამან სწორედ დროზე უშველა ათოსს, რომელიც აქამდე მხოლოდ თავისი მამაცობის წყალობით იჭერდა თავს, და დასუსტებული ცალ მუხლზე დაეშვა.

- ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი! — შეჰყვირა ათოსმა, — არ მოკლათ, არ მოკლათ, ყმაწვილო, გეხვეწებით! ერთი ძველი საქმე მაქვს მაგასთან დასამთავრებელი, კარგად რომ გავხდები, გავუსწორდები კიდეც. იარაღი აჰყარეთ! ხმალი ჩამოართვით! ასე!.. ძალიან კარგი! ძალიან კარგი!

ათოსის ეს აღტაცება წამით შეაჩერა ოცი ნაბიჯის მოცილებით გადასროლილმა კაუზაკის ხმალმა. ამ ხმლისკენ გაიქცნენ დ არტანიანი და კაუზაკი; ერთი – ხმლის წასართმევად, მეორე კი – ხმლის ასაღებად, მაგრამ გასკონელი უფრო ცქვიტი აღმოჩნდა, პირველი ის მივიდა და ფეხი დაადგა ხმალს.

კაუზაკი არამისის მიერ მოკლულ თავის ამხანაგს ეცა, მისი ხმალი აიტაცა და დ არტანიანისაკენ წამოვიდა, მაგრამ მას გზა ათოსმა გადაუჭრა. იმ ერთი წამის შესვენებამ, რომელიც დ არტანიანის დახმარებით ეღირსა, ძალ-ღონე შემატა მას და იმის შიშით, დ არტანიანს არ დაესწრო მისი მოსისხლე მტრის მოკვლა, კვლავ წინ დაუდგა კაუზაკს.

მიხვდა გასკონელი, რომ ბრძოლაში კვლავ ჩართვით ათოსს ძალიან აწყენინებდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ყელგამოღადრული კაუზაკი ძირს დაეცა.

იმავე დროს არამისმაც დააჭირა გულზე ხმალი თავის წაქცეულ მოპირდაპირეს და აიძულა, შენდობა ეთხოვა.

მარტო პორთოსი და ბიკარა დარჩნენ ბრძოლის ველზე. პორთოსი მასხარად იგდებდა თავის მოპირდაპირეს, ებრძოდა და თან დაცინვით ეკითხებოდა: რომელი საათიაო, ქათინაურით უქებდა ძმას, რომელმაც წარმატება მოიპოვა ნავარის რაზმში. პორთოსი მასხარად იგდებდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ გამარჯვება კი არსად ჩანდა. ბიკარა მათ რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც მხოლოდ მაშინ ეცემიან მიწაზე, როცა გულისცემა შეუწყდებათ.

საქმე კი მეტად საჩქარო იყო, შეიძლებოდა გუშაგები მოსულიყვნენ და ყველანი დაეპატიმრებინათ, დაჭრილებიც და ჯანსაღებიც, მეფის მომხრენიც და კარდინალის მომხრენიც. ათოსი, არამისი და დ არტანიანი გარშემოხვეოდნენ ბიკარას და ძალას ატანდნენ, იარაღი დაეყარა. ოთხის წინააღმდეგ მარტოდ დარჩენილი, ბარძაყში დაჭრილი ბიკარა არ აპირებდა დანებებას; მაგრამ ამ დროს ჟუსაკმა წამოიწია, იდაყვზე დაეყრდნო და უბრძანა, დანებებოდა. ბიკარაც გასკონელი იყო. ყური მოიყრუა და სიცილი დაიწყო, როგორღაც მოახერხა ბრძოლის დროს თავისი ხმლის წვერით მიწაზე პატარა ფართობის შემოხაზვა და სიცილით თქვა:

– აქ განუტევებს სულს ბიკარა, თავის ამხანაგთაგან მარტოდ მიტოვებული.

– ისინი ოთხნი არიან შენს წინააღმდეგ! გიბრძანებ, დანებდი! – გაუმეორა ჟუსაკმა.

– ეჰ, რაკი მიბრძანებ, კიდეც უნდა დაგემორჩილო, – უპასუხა მან.

უცბად უკან გადახტა, ხმალი მუხლზე დაიდო, ორივ ხელით მოკაკვა და, მტრისათვის რომ არ დაენებებინა, შუაზე გადატეხა. გატეხილი ხმალი მონასტრის ეზოში გადაისროლა, გულხელი დაიკრიფა და კარდინალის მადიდებელი სიმღერის სტვენა დაიწყო.

გულადობა პატივდებულია ყოველთვის, თვით მტრისგანაც კი. მუშკეტერებმა შიშველი ხმლით სალამი მისცეს. დ არტანიანიც ასევე მოიქცა, შემდეგ ბიკარას დახმარებით, ჟუსაკი, კაუზაკი და არამისის მიერ დაჭრილი მებრძოლი მონასტრის წინა კართან მიიყვანეს, მეოთხე მათი ამხანაგი, როგორც უკვე მოგახსენეთ, მკვდარი იყო. ამის შემდეგ მუშკეტერებმა ზარი ჩამოჰკრეს და გამარჯვებით აღტაცებულნი ოთხი ნადავლი ხმლით, ბატონ დე ტრევილის სასახლისაკენ გაეშურნენ.

ქუჩის მთელ სიგანეზე ხელიხელგაყრილნი მიდიოდნენ, გზაზე შემხვედრი ყველა მუშკეტერი მათ უერთდებოდა. ასე რომ, ბოლოს ოთხი კაცის დაბრუნება გამარჯვების დიდებულ ზეიმად გადაიქცა. ნეტარების ზღვაში ცურავდა დ არტანიანი, ერთ მხარეს ათოსი უდგა, მეორე მხარეს – პორთოსი, ალერსით ხვევდა ხელს ორივეს.

– თუ დღეს მუშკეტერი არა ვარ, – მიმართა თავის ახალ მეგობრებს ბატონ დე ტრევილის სასახლის კარის შეღებისას, – მუშკეტერების შეგირდი ხომ ვარ?

VI

მისი უდიდებულესობა მეფე ლუდოვიკო მეცამეტე

დიდი ხმაური ატეხა ამ ამბავმა. ბატონი დე ტრევილი სხვების გასაგონად ძალიან უჯავრდებოდა თავის მუშკეტერებს, ხოლო ფარულად აღტაცებით მიულოცა გამარჯვება. მაგრამ საჭირო იყო საჩქაროდ მოეხსენებინა მეფისთვის, არ შეიძლებოდა დროს დაკარგვა. ამიტომ დაუყოვნებლივ ლუვრისკენ გასწია. იქ მივიდა და, ვაი იმ მისვლას! უკვე გვიან იყო, მეფესთან კარდინალი ბრძანდებოდა. კარი მოეკეტათ. მეფეს საქმე აქვს და ვერ მიგიღებთო, – მოახსენეს დე ტრევილს. სადამოს, როდესაც ტრევილი მეორედ მივიდა, მისი ყოვლადუდიდებულესობა ბანქოს თამაშობდა. მეფე იგებდა და, რადგან მეტად ძუნწი იყო, ამ მოგების გამო ძალიან კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა. თვალი მოჰკრა თუ არა დარბაზში შესულ დე ტრევილს, შორიდანვე დაუძახა:

– აქეთ მობრძანდით, ბატონო კაპიტანო, აქეთ, უნდა კარგად შეგამკოთ! იცით, რა საჩივრით მომმართა მისმა ყოვლადუწმინდესობამ თქვენი მუშკეტერების შესახებ? მერე ისეთი მწუხარებით, რომ ამ სადამოს ავადაც კი ბრძანდება. რა ვქნა, ადამიანები არიან თუ ნამდვილი ქაჯები ის თქვენი მუშკეტერები?

– არა, მეფეო, – უპასუხა დე ტრევილმა, რომელმაც ერთი თვალის გადავლებით იგრძნო, როგორ დამთავრდებოდა ეს საქმე. – არა, მეფეო, ქაჯები კი არა, პირიქით, ანგელოზები არიან თქვენი მუშკეტერები, კრავივით უმწიკვლონი, ამისი თავდები მე გახლავართ. სულ იმას ნატრობენ, რომ ხმალი ქარქაშიდან მხოლოდ მაშინ ამოიღონ, როდესაც ამას თქვენი კეთილდღეობა მოითხოვს. მაგრამ რა ქნან საწყლებმა?! კარდინალის რაზმელები ცოფიანი ძაღლებივით დასდევენ და სულ იმას ცდილობენ, რამე შარი მოსდონ, ჩხუბი აუტეხონ. თავმოყვარეობა და თქვენი რაზმის სახელის დიდება აქვთ, მეფეო, ამიტომ იძულებულნი გახლავან, ვაჟკაცურად დაუხვდნენ ყოველ შეურაცხყოფას.

– მოუსმინეთ ბატონ დე ტრევილს, მოუსმინეთ! – თქვა მეფემ, – თავის რაზმზე კი არა, თითქოს წმინდა მონასტერზე ლაპარაკობს! ლამის ჩამოგართვათ თქვენი თანამდებობა და მივცე იღუმენ შემროს, რომელსაც მონასტრის წინამძღოლობას დავპირდი. არ იფიქროთ, რომ მარტო თქვენს სიტყვებს დავუჯერო. ტყუილად არ მეძახიან ლუდოვიკო სამართლიანს, ბატონო ტრევილ. ცოტა მომითმინეთ და ახლავე განვიხილავთ საქმეს, ახლავე!

– სწორედ თქვენი სამართლიანობის გამო გახლავართ დამშვიდებული, მეფეო. მოთმინებით მოველოდები თქვენს ბრძანებას.

– მაშ, ცოტა ხანს მოითმინეთ, ბატონო დე ტრევილ! დიდხანს არ გალოდინებთ.

სწორედ ამ დროს უმტყუნა მეფეს ბედმა, ნელ-ნელა აგებდა მოგებულს, ამიტომ წამოდგა, ჯიბეში ჩაიწყო მის წინ დარჩენილი ფული და ერთ დიდებულს უბრძანა:

– ლა ვიევილ, დაბრძანდით ჩემს სკამზე, მე საჩქარო საქმე მაქვს ბატონ დე ტრევილთან, მართალია, ოთხმოცი ლუიდორი[1] მოვიგე, მაგრამ იმდენივე თანხა დადეთ, რომ წაგებულნი არაფერში დაგვემდურონ; სამართლიანობა – უწინარეს ყოვლისა. – შემდეგ ბატონ დე ტრევილისკენ მიბრუნდა და ფანჯარასთან მიიყვანა.

– მაშ, თქვენ ამბობთ, რომ მისი ყოვლადუწმინდესობის რაზმელებმა აუტეხეს ჩვენებს ჩხუბი?

– დიახ, მეფეო, როგორც ყოველთვის.

– მერე, როგორ მოხდა ეს შეტაკება? თქვენ გეცოდინებათ კარგად, ჩემო ერთგულო კაპიტანო, და უნდა მიამბოთ, მსაჯულმა კარგად უნდა მოუსმინოს ორივ მხარეს და ისე გამოიტანოს თავისი მსჯავრი.

– მერწმუნეთ, მეფეო, სულ უბრალოდ მოხდა ყველაფერი. ჩემი რაზმის სამი საუკეთესო მხედარი, რომელთა სახელები თქვენთვის ცნობილია და რომელთა შესახებ ხშირად გამოგითქვამთ თქვენი კმაყოფილება დავალების ერთგული შესრულებისათვის, დიახ, სამი საუკეთესო მხედარი: პორთოსი, არამისი და ათოსი, სასეირნოდ სენ-ჟერმენისაკენ წასულიყვნენ ყმაწვილ გასკონელთან ერთად, რომელიც სწორედ დღეს დილას გავაცანი მათ და ვუქე. თურმე შეთანხმდნენ, რომ კარმელისტების მონასტერთან შეკრებილიყვნენ. ის იყო თავი მოიყარეს, რომ ამ დროს თავზე ბატონი ჟესაკი და მისი რაზმელები: კაუზაკი,

ბიკარა და ორი კიდევ სხვა წასდგომოდნენ. ცხადია, ისინი არ დაადგებოდნენ ამ გზას, ავი განზრახვა რომ არ ჰქონოდათ და კანონის დარღვევა არ ნდომებოდათ.

— აჰა! მივხვდი, მივხვდი, — თქვა მეფემ, — ეჭვი არ არის, რომ დუელი ჰქონდათ დანიშნული და სწორედ თვითონ მიდიოდნენ საბრძოლველად.

— მე მათ არ ვამტყუნებ, მეფეო, მაგრამ თქვენ უკეთ განსაჯეთ, რისთვის უნდა წასულიყო ხუთი საგანგებოდ შეიარაღებული მხედარი იმ მიყრუებული მონასტრის მინდვრისაკენ, თუ არა ავი განზრახვით?

— დიახ, მართალი ხართ, ტრევილ, მართალი ხართ...

— დიახ, და როგორც კი დაინახეს თქვენი მუშკეტერები, უცბად შეიცვალეს განზრახვა, დაივიწყეს ერთმანეთისადმი მიყენებული შეურაცხყოფა და ხუთივეს თქვენი მუშკეტერებისადმი მტრობა აღეძრათ. თქვენს ყოვლადუდიდებულესობას კარგად მოეხსენება, რომ კარდინალის რაზმელები მოსისხლე, დაუძინებელი მტრები გახლავთ თქვენი მუშკეტერებისა, რომელნიც მეფეს და მხოლოდ მეფეს ემსახურებიან.

— მართალია, ტრევილ, მართალი, — თქვა მწარედ დაღონებულმა მეფემ, — მერწმუნეთ, ძალიან სამწუხაროა, რომ ორ ბანაკად არის გაყოფილი მთელი საფრანგეთი. მაგრამ ბოლო მოეღება ყოველივე ამას, ტრევილ, ბოლო მოეღება. მაშ, თქვენ ამბობთ, რომ კარდინალის რაზმელებმა ჩხუბი აუტეხეს ჩემს მუშკეტერებს?

— მე იმას მოგახსენებთ, მეფეო, რაც მოხდა, მაგრამ ფიცით კი ვერ შემოგფიცავთ. ჩემზე უკეთ თქვენ მოგეხსენებათ, რა ძნელი გახლავთ, ჭეშმარიტების გამორკვევა, მეტადრე, როდესაც კაცს არ გააჩნია ის საკვირველი ალღო, რომელმაც სამართლიანობის სახელი მოუხვეჭა მეფე ლუდოვიკო მეცამეტეს.

— მართალი ხართ, ტრევილ. ახლა ეს მითხარით, მგონი, მარტონი არ იყვნენ თქვენი მუშკეტერები? ვიღაც ყმაწვილი კაცი ახლდათ თან, არა?

— დიახ, მეფეო, სამი მუშკეტერი გახლდათ, რომელთაგან ერთი დაჭრილი იყო, მათ ახლდა ერთი ყმაწვილი, თითქმის ბავშვი. ისინი მამაცად დახვდნენ კარდინალის რაზმის ხუთ საუკეთესო ფალავანს. ოთხი მათგანი ძირს დასცეს.

— სამაგალითო გამარჯვებაა! — შეჰყვირა სიხარულით თვალებგაბრწყინებულმა მეფემ, — სახელოვანი გამარჯვებაა!

— დიახ, მეფეო, ისეთივე სახელოვანი გამარჯვება, როგორიც სეს ხიდზე მოვიპოვეთ.

— ოთხი კაცი, მათგან კი ერთი დაჭრილი და ერთი თითქმის ბავშვი! ასე თქვით, არა?

— ჯერ ყმაწვილი კაცი არც კი გახლავთ. თვითონვე ჩარეულა ბრძოლაში და ისე დიდებულად იქცეოდა თურმე, რომ, თუ არ გამიწყრებით, გავბედავ და დახმარებასა გთხოვთ იმ ყმაწვილისათვის.

— რა ჰქვია? ვინ არის?

— დ არტანიანი გახლავთ, მეფეო, ჩემი ძველი მეგობრის შვილი, გასკონელია. შვილი იმ კაცისა, რომელიც ნეტარხსენებულ მამათქვენთან ერთად მონაწილეობას იღებდა რელიგიურ ომებში.

— თქვენ ამბობთ, კარგად იქცეოდაო ის ყმაწვილი კაცი? მიამბეთ დაწვრილებით ყველაფერი, ტრევილ, ხომ იცით, როგორ მიყვარს ომისა და ბრძოლის ამბები.

მეფე ლუდოვიკო მეცამეტემ ამაყად აიწია ულვაში და მამაცი მხედრის იერი მიიღო.

— დიახ, მეფეო, როგორც უკვე მოგახსენეთ, სრულიად ყმაწვილი გახლავთ დ არტანიანი. ჯერ თქვენს მუშკეტერებში შესვლა არ ღირსებია და ამიტომ ერისკაცის ტანისამოსით გახლდათ. კარდინალის რაზმელებმა თურმე მეტად ყმაწვილად სცნეს და რაკი მუშკეტერიც არ იყო, სთხოვეს, იქიდან წასულიყო, ვიდრე ისინი იარაღით შეუტევდნენ მის ამხანაგებს.

— ჰოდა, ცხადია, ტრევილ, — შეაწყვეტინა მეფემ, — რომ მათ დაუწყიათ შეტევა.

— მართალი ბრძანებაა, მეფეო, ძალა დაატანეს. მოშორდი მუშკეტერებს, წადი აქედანო, მას უპასუხია: გულით მეც მუშკეტერი ვარ, თავდადებული ერთგული ჩვენი მეფისა და ამიტომ მეც მათთან ვრჩებიო.

— ყოჩაღი ბიჭი ყოფილა! — ჩაიჩურჩულა მეფემ.

– და, მართლაც, ისიც მათთან დარჩა... საკმაოდ მძლავრი ფალავანი გეყოლებათ, მეფეო... როგორც გამოირკვა, მან ისე მაგრად დაჰკრა ჟუსაკს ხმალი, რომ სულ ცეცხლს აფრქვევს თურმე გაბრაზებული კარდინალი.

– იმ ბიჭმა დაჭრა ჟუსაკი? – შეჰყვირა მეფემ, – იმ ყმაწვილმა? ეგ შეუძლებელია, ტრევილ!

– სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, მეფეო.

– ჟუსაკი დაჭრა, მთელ სამეფოში განთქმული მოფარიკავე?

– დიახ, მეფეო, სახელგანთქმულმაც ჰპოვა თავისზე მძლავრი მოწინააღმდეგე.

– მე მინდა მაგ ჭაბუკის ნახვა, ტრევილ, ძალიან მინდა, და თუ დახმარება შესაძლებელი იქნა, სიამოვნებით დავეხმარები.

– როდის ინებებს თქვენი ყოვლადუდიდებულესობა მის მიღებას?

– ხვალ შუადღისას, ტრევილ.

– მარტო ის მოვიყვანო?

– არა, ერთად მომიყვანეთ ოთხივე, ერთად მინდა გადავუხადო მადლობა. იშვიათია, ტრევილ, თავდადებული ადამიანები და დაჯილდოებული უნდა იქნეს ასეთი თავდადება.

– ხვალ შუადღისას ლუვრში გეახლებით, მეფეო!

– ჰო, პატარა კიბით, ტრევილ, პატარა კიბით! რა საჭიროა, კარდინალმა იცოდეს?..

– ბატონი ბრძანდებით, მეფეო.

– ხომ იცით, ტრევილ, ბრძანება ბრძანებაა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ბრძანებით აკრძალულია დუელი.

– მართალსა ბრძანებთ, მეფეო, მაგრამ ეს ბრძოლა სრულიადაც არა ჰგავს ჩვეულებრივ დუელს. უბრალო შურით გამოწვეული ჩხუბი გახლავთ, რის დამამტკიცებელ საბუთად ისიც კმარა, რომ ხუთნი იყვნენ კარდინალის რაზმელები, სამი მუშკეტერისა და დ არტანიანის წინააღმდეგ.

– მართალია, – დაეთანხმა მეფე, – მაგრამ რა გენაღვლებათ, ტრევილ, მაინც პატარა კიბით ამოდით.

ღიმილი მოერია ტრევილს, მაგრამ მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ ყმაწვილ მეფეს აღშფოთება აგრძნობინა და აამხედრა თავისი მბრძანებელი კარდინალის წინააღმდეგ. მოწიწებით გამოეთხოვა და შინისკენ გაეშურა.

იმ საღამოსვე აცნობა სამივე მუშკეტერს, რომ პატივი ჰქონდათ სახვალიოდ მეფესთან მიწვევისა, მაგრამ ისინი დიდი ხანია რაც მეფეს იცნობდნენ და ამიტომ მათში დიდი მღელვარება არ გამოუწვევია ამ მიწვევას. დ არტანიანი კი, თავისი გასკონური წარმოდ-გენით, მასში ხედავდა თავისი სიცოცხლის ბედნიერებას. ოქროს სიზმრებში გაატარა მთელი ღამე. მეორე დღეს, ჯერ დილის რვა საათიც არ იყო, რომ ის ათოსთან შევარდა.

ათოსი ჩაცმული და სახლიდან გასასვლელად გამზადებული დახვდა. მეფესთან შუადღისას უნდა მისულიყვნენ და, რაკი დრო ჰქონდათ, პორთოსის და არამისის თანხმობით, გადაწყვიტეს, ლუქსემბურგის თავლების ახლოს მდებარე დუქანში ჩოგბურთის სათამაშოდ წასულიყვნენ. დ არტანიანიც, ათოსის მიწვევით, მათ გაჰყვა. თუმცა არ იცოდა ეს თამაში, მაგრამ ამით უნდოდა მოეკლა დრო დილის ცხრა საათიდან შუადღემდე.

პორთოსი და არამისი ადრე მისულიყვნენ და უკვე თამაშობდნენ. ყოველგვარ მოძრავ თამაშობებში დახელოვნებულმა ათოსმა დ არტანიანი გვერდით მოიყენა და ამხანაგების საწინააღმდეგო მხარეს დადგნენ, მაგრამ პირველსავე მოძრაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მარცხენა ხელით თამაშობდა, იგრძნო, რომ ჭრილობა ჯერ არ მისცემდა ასეთი ვარჯიშის საშუალებას. ორის წინააღმდეგ მარტო დარჩენილმა დ არტანიანმა, როგორც მეტად გამოუცდელმა, უარი განაცხადა თამაშის წესიერად ჩატარებაზე, ამიტომ მხოლოდ ბურთს ესროდნენ და ჭულებს არ უთვლიდნენ, მაგრამ პორთოსის ჰერკულესისებური ხელით გატყორცნილმა ერთმა ბურთმა ისე ახლოს გაუარა სახესთან, რომ მაშინვე მეფესთან მისვლა მოაგონდა.

„კიდევ კარგი, ამცდა ბურთი და შიგ ცხვირ-პირში არ მომხვდა, თორემ მეფესთან დასისხლიანებული თავ-პირით ვერ მივიდოდი და აუდიენცია ჩამეშლებოდა“, – გაიფიქრა

დ არტანიანმა. ის კი სწორედ დღევანდელ აუდიენციაზე ამყარებდა თავისი მომავალი ცხოვრების კეთილდღეობას. პორთოსს და არამისს ზრდილობიანად თავი დაუკრა, განზე გადგა და გამოუცხადა, რომ ბურთს მხოლოდ მაშინ ითამაშებდა, როდესაც მათი წინააღმდეგობის გაწევა შეეძლებოდა.

დ არტანიანის საუბედუროდ, იქვე, მაყურებელთა შორის, კარდინალის ერთი რაზმელი იჯდა. მას ჯერაც ვერ მოენელებინა თავისი ამხანაგების გუშინდელი სამარცხვინო დამარცხება და აღთქმა დაედო, პირველივე შემთხვევა ჯავრის ამოსაყრელად გამოეყენებინა. მისი ფიქრით, სწორედ ახლა ეძლეოდა ხელსაყრელი შემთხვევა.

— არ გაგიკვირდეთ, რომ ბურთისა ეშინია ამ ყმაწვილკაცს, — მიმართა მან თავის მეზობელს, — იგი ალბათ მუშკეტერების შეგირდია.

გველნაკბენივით მიბრუნდა დ არტანიანი და შეურაცხმყოფელი სიტყვების წარმომთქმელ რაზმელს თვალი თვალში გაუყარა.

— რას დამაშტერდი? — შეუტია თავხედმა და დამცინავად გადაიგრიხა ულვაში, — მიყურეთ, რამდენიც გენებოთ, ჩემო პატარა ბატონო, მე ისა ვთქვი, რაც უნდა მეთქვა.

— თქვენ მიერ ნათლად თქმული სიტყვები განმარტებას არ საჭიროებს, — მიუგო ჩუმი ხმით დ არტანიანმა, — გთხოვთ, გამომყვეთ.

— მაინც როდის? — ჰკითხა კარდინალის რაზმელმა ისეთივე დაცინვით.

— ახლავე, თუ ინებებთ.

— ეჭვი არ არის, იცით, ვისთან გაქვთ საქმე?

— არა, არ ვიცი, და არც ვსაჭიროებ მაგის ცოდნას.

— ძალიანაც ცდებით. ჩემი სახელი რომ გცოდნოდათ, იქნება აგრე არც აჩქარებულიყავით.

— ვინ ბრძანდებით?

— ბერნაჟუ, თქვენი უმორჩილესი მონა!

— გმადლობთ, ბატონო ბერნაჟუ, — უთხრა მშვიდად დ არტანიანმა, — კარებთან გელით.

— მიბრძანდით, მეც უკან მოგდევთ!

— ნურც ძალიან აჩქარდებით, ბატონო, არ დაგვინახონ ერთად გასულნი, ჩვენ ისეთ საქმეზე მივდივართ, რომ მოწმეები არა გვჭირდება.

— ძალიან კარგი, — უპასუხა ბერნაჟუმ. იგი გაკვირვებით შეჰყურებდა დ არტანიანს, რომელზედაც არავითარი გავლენა არ იქონია მისი სახელის ხსენებამ.

მართლაც, ყველასათვის ცნობილი იყო ბერნაჟუს სახელი და ალბათ მარტო დ არტანიანი წარმოადგენდა გამონაკლისს. ბერნაჟუ მათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც ყველაზე ხშირად ერეოდა ყოველდღიურ ჩხუბში და ბრძოლაში, დაურიდებლივ არღვევდა მეფისა და კარდინალის ბრძანებას.

პორთოსი და არამისი ბურთის თამაშმა ისე გაიტაცა, ხოლო ათოსი ისე გაფაციცებით შეჰყურებდა მათ, რომ ვერც კი შეამჩნიეს თავიანთი ყმაწვილი მეგობრის გასვლა, რომელსაც მალე ბერნაჟუც მიჰყვა. დ არტანიანი ჩქარობდა, — შუადღისას მეფესთან უნდა მისულიყო. ამიტომ თვალი გადაავლო იქაურობას და როცა ნახა, რომ ქუჩაში არავინ იყო, თავის შეურაცხმყოფელს მიმართა:

— თქვენი ბედი, თუმც ბერნაჟუ ყოფილხართ, რომ მუშკეტერების შეგირდთან გიხდებათ ბრძოლა, მაგრამ ფიქრი ნუ გექნებათ, ვეცდები შეგირდულად არ დაგხვდეთ. აბა, ხმალი!

— კარგი, კარგი, — უპასუხა ბერნაჟუმ, რომელსაც მასხარად იგდებდა დ არტანიანი, — კარგი, მაგრამ, მე მგონია, ცუდი ადგილი ავარჩიეთ; სენ-ჟერმენის ეკლესიის უკან ან პრეჯ-კლერკში უფრო მყუდროდ ვიქნებოდით.

— სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ბატონო, — მიუგო დ არტანიანმა, — მაგრამ რა ვქნა, საუბედუროდ, არა მაქვს მაგდენი დრო, სწორედ შუადღისას მაქვს აუდიენცია, მაშ, აბა, ხმალი, ბატონო!

ბერნაჟუ იმ ბუნების კაცი არ იყო, რომ გაემეორებინებინა ამგვარი მიპატიჟება. მან სწრაფად ამოიღო ხმალი, ხელში აათამაშა და ეცა თავის მოპირდაპირეს, რომელიც გამოუცდელ ყმაწვილკაცად მიაჩნდა და იმედი ჰქონდა, შეაშინებდა.

მაგრამ დ არტანიანს გუშინ დაესრულებინა თავისი შეგირდობა და, გამარჯვებით აღგზნებულს, მომავლის იმედით აღტაცებულს, გადაწყვეტილი ჰქონდა, ან გამარჯვებული გამოსულიყო ამ ბრძოლიდან, ან თავი შეეკლა მტრისათვის. მაგრად დაუხვდნენ ერთმანეთს მებრძოლთა ხმლები, ტარამდე სცემდნენ ერთმანეთს, დ არტანიანი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ბერნაჟუმ ერთი ნაბიჯით უკან დაიწია. ამით ისარგებლა გასკონელმა და შიგ მხარში ატაკა მახვილი. შემდეგ ერთი ნაბიჯით თვითონაც უკან დაიწია და ხმალი მაღლა ასწია.

— ეს არაფერი! — შესძახა ბერნაჟუმ, ბრმასავით ეტაკა დ არტანიანს და ხელმეორედ დაიჭრა, მაგრამ თავისას არ იშლიდა, არ ვარდებოდა, დამარცხებულად არ აღიარებდა თავს, ოღონდ ნელ-ნელა მიიწევდა ბატონ დე ლა ტრემულის სასახლისაკენ, სადაც მისი ახლო ნათესავი მუშაობდა. დ არტანიანმა არ იცოდა, რამდენად მძიმედ ჰყავდა დაჭრილი თავისი მტერი, და კვლავ განაგრძობდა ბრძოლას. ალბათ მესამედაც აპირებდა დარტყმას, მაგრამ ქუჩაში გამვლელთა ყვირილი ატყდა. ამ ხმაურმა ბურთის მოთამაშეთა ყურამდეც მიაღწია. ბერნაჟუს ორი მეგობარი, რომლებმაც გაიგონეს მისი დ არტანიანთან საუბარი და შეამჩნიეს მათი გარეთ ერთად გასვლა, ამ ყვირილზე წამოცვივდნენ, იძრეს ხმლები, გარეთ გაცვივდნენ და გამარჯვებულს მიეჭრნენ. ათოსი, პორთოსი და არამისიც სწორედ იმ წამს გამოჩნდნენ, როდესაც ორმა რაზმელმა შეუტია მათ ყმაწვილ მეგობარს. მუშკეტერებმაც იძრეს ხმლები და უკანვე გააბრუნეს თავხედები. ბერნაჟუ მიწაზე დაეშვა. კარდინალის რაზმელები ორნი იყვნენ ოთხის წინააღმდეგ, ამიტომ ყვირილი გააბეს და თავისიანებს უხმეს. მათ ყვირილზე დე ლა ტრემულის სასახლეში მყოფნი წამოიშალნენ და ოთხ ამხანაგს მისცვივდნენ, რომლებმაც თავის მხრივაც დაიწყეს ძახილი: „აქეთ, მუშკეტერებო!“

ამ მოწოდებას ყოველთვის გამოეხმაურებოდნენ ხოლმე, ყველამ იცოდა, რომ მუშკეტერები მისი ყოვლადუწმინდესობის მტრები იყვნენ და რაც უფრო მეტად სძულდათ კარდინალი, მით უფრო მეტად უყვარდათ მეფის მუშკეტერები. ყველა სხვა რაზმელი, გარდა „წითელი ჰერცოგის“ რაზმელებისა (ამ სახელით ადიდებდა კარდინალს არამისი), მიდიოდა მათ მისაშველებლად. სწორედ ამ დროს მახლობლად ჩაიარეს ბატონ დე ზესარის რაზმელებმა. ისინი სამნი იყვნენ; ორი ჩვენს მუშკეტერებს მიეშველა, მესამე დე ტრევილის სასახლისაკენ გაიქცა ყვირილით — „აქეთ, მუშკეტერებო, აქეთ!“ — ჩვეულებისამებრ, დე ტრევილის ეზო სავსე იყო მუშკეტერებით და ისინიც თავისიანების საშველად გაიქცნენ. დიდი სისხლისღვრა იყო მოსალოდნელი, მუშკეტერები უფრო მეტნი იყვნენ, ამიტომ კარდინალის რაზმელები და მათი მშველელები დე ლა ტრემულის სასახლის ეზოში შეცვივდნენ. საჩქაროდ მოკეტეს კარი, შიშობდნენ, სასახლეშიც არ შეჰყოლოდნენ მტრები. დაჭრილი უკვე მოეთავსებინათ სასახლეში. მეტად საშიშ მდგომარეობაში იყო სახელოვანი ბერნაჟუ.

საშინლად აღშფოთებულმა მუშკეტერებმა და მათმა მომხრეებმა გადაწყვიტეს, კარგად დაესაჯათ მეფის მუშკეტერების წინააღმდეგ გამოსული დე ლა ტრემულის მსახურები, და ცეცხლი წაეკიდებინათ მათი ბატონის სასახლისათვის. ამ წინადადებას ყველამ დაუჭირა მხარი, მაგრამ სწორედ ამ დროს საათმა თერთმეტი დაჰკრა. დ არტანიანს და მის მეგობრებს მოაგონდათ მეფესთან დანიშნული აუდიენცია და მაშინვე დამშვიდდნენ, თუმცა გული სწყდებოდათ, რომ მათ გარეშე ჩატარდებოდა ეს მხიარული თამაში. ზოგმა ერთი-ორი ქვა სთხლიშა სასახლის კარებს, მაგრამ კარი მაგრად დაუხვდათ. მუშკეტერთა მომხრეებს მოსწყინდათ კიდეც, მით უფრო, რომ სწორედ ისინი ჩამოშორდნენ იმ ჯგუფს და ტრევილის სასახლისკენ წავიდნენ, ვინც წინამძღოლებად უნდა დარჩენილიყვნენ თავი-სიანებთან. ბატონ დე ტრევილს უკვე გაეგო ეს ამბავი და მოუთმენლად ელოდა თავის მუშკეტერებს.

— აბა, ჩქარა ლუვრისკენ, — უბრძანა ათოსს და მის ამხანაგებს, — ჩქარა! ვეცადოთ, დავასწროთ კარდინალს მეფის ნახვა. დღევანდელი ამბავი ისე ვუამბოთ, როგორც გუშინდელის გაგრძელება და ორივეს ერთ ამბად ჩათვლის.

ბატონი დე ტრევილი და ოთხი ყმაწვილი კაცი მაშინვე ლუვრისკენ წავიდნენ, მაგრამ წარმოიდგინეთ მუშკეტერების კაპიტნის განცვიფრება, როდესაც სასახლეში მოახსენეს,

რომ მეფე ირმებზე სანადიროდ წაბრძანებულიყო სენ-ჟერმენის ტყეში. ბატონმა დე ტრევილმა ორჯერ გაამეორებინა ეს სიტყვა. კარგად ხედავდნენ მუშკეტერები, რომ ბატონი კაპიტანი თანდათანობით მოიღუშა.

— ნუთუ გუშინვე გადაწყვიტა მისმა ყოვლადუდიდებულესობამ სანადიროდ წაბრძანება?.. — ჰკითხა ბატონმა დე ტრევილმა.

— არა, თქვენო აღმატებულებავ, — მიუგო მსახურმა, — უფროსი მონადირე გახლდათ ამ დილას და მოახსენა, რომ წუხელ ირემი მოემწყვდიათ. მეფემ პირველად არ ინდომა წაბრძანება, მაგრამ მაინც ვერ შეძლო უარი ეთქვა იმ სიამოვნებაზე, რომელსაც ამ ნადირობისას ჰპოვებდა, და საუზმის შემდეგ სანადიროდ წაბრძანდა.

— დღეს კარდინალი ხომ არ უნახავს მეფეს? — ჰკითხა ბატონმა დე ტრევილმა.

— მე მგონია, რომ ნახავდა, — უპასუხა მსახურმა, — ამ დილას ცხენები შეაბეს მისი უწმინდესობის ეტლში და როდესაც ვიკითხე, სად მიბრძანდება-მეთქი, მიპასუხეს, სენ-ჟერმენის ტყეშიო.

— დაგვასწრო! — თქვა ბატონმა დე ტრევილმა, — ბატონებო, მე ამ საღამოს ვნახავ მეფეს, რაც შეეხება თქვენს მოსვლას, არ გირჩევთ, ეჩვენოთ.

სრულიად საფუძვლიანი იყო ეს რჩევა, წარმოთქმული იმ კაცის მიერ, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა მეფეს. რასაკვირველია, ყმაწვილებს აზრადაც არ მოსვლიათ მისი ურჩობა. ბატონმა დე ტრევილმა უბრძანა, შინ ყოფილიყვნენ და არსად წასულიყვნენ მის ბრძანებამდე.

თავის სასახლეში დაბრუნებულმა ბატონმა დე ტრევილმა გადაწყვიტა, თვითონ აღეძრა საჩივარი. ბატონ დე ლა ტრემულთან მსახური გაგზავნა და წერილი გაატანა, რომლითაც სთხოვდა, სასახლიდან გაერეკა კარდინალის რაზმელები, დაესაჯა თავისი მსახურები, რომლებმაც თავხედობა გამოიჩინეს და მუშკეტერების წინააღმდეგ იარაღით გამოვიდნენ. მაგრამ ბატონ დე ლა ტრემულისათვის უკვე მოეხსენებინა მომხდარი ამბავი მის მეჯინიბეს, რომელიც, როგორც მკითხველმა იცის, ბერნაჟუს ახლო ნათესავი იყო. მეჯინიბის ნაამბობის გავლენით ბატონმა დე ლა ტრემულმა უპასუხა, რომ საჩიველი, პირიქით, მას ჰქონდა ბატონ დე ტრევილის წინააღმდეგ, ვინაიდან მუშკეტერები იარაღით დაეცნენ მის მსახურებს და სასახლის გადაწვასაც აპირებდნენ.

დაუმთავრებელი იქნებოდა ორი დიდებულის კამათი დამნაშავეების აღმოსაჩენად, რადგან თითოეული ეცდებოდა თავი გაემართლებინა. ამიტომ ბატონმა დე ტრევილმა საქმის საჩქაროდ დაბოლოებისათვის სხვა საშუალებას მიმართა. მაშინვე ბატონ დე ლა ტრემულის სასახლეში მივიდა და ბრძანა, მოეხსენებინათ მისი იქ ყოფნა.

ზრდილობიანად მიესალმნენ ერთმანეთს დიდებულნი, მართალია, მეგობრები არ იყვნენ ერთმანეთისა, მაგრამ პატივისცემა კი ძალიან დიდი ჰქონდათ. პატიოსანი კაცები იყვნენ ორივენი და კარგი ვაჟკაცები. ბატონი დე ლა ტრემული პროტესტანტი გახლდათ, მეფეს იშვიათად ხედავდა, არც მეფის პარტიას ემხრობოდა, არც კარდინალისას. ამიტომ თავის საზოგადოებრივ დამოკიდებულებაში არ სარგებლობდა არავითარი წინასწარი რწმენით. ამჟამად კი, თუმცა ზრდილობიანად მიიღო ბატონი დე ტრევილი, მაგრამ მაინც უფრო ცივად დახვდა, ვიდრე ჩვეულებრივ ხვდებოდა.

— ერთმანეთს ვუჩივით, ბატონო, ერთმანეთს ვამტყუნებთ და, აი, გეახელით, რომ ერთმანეთის დახმარებით გავარკვიოთ ეს საქმე, — თქვა ტრევილმა.

— სიამოვნებით, — უპასუხა ბატონმა დე ლა ტრემულმა, — ოღონდ უნდა მოგახსენოთ, რომ დაწვრილებით ვიცი საქმის ვითარება: ყველაფერში თქვენი მუშკეტერები არიან დამნაშავენი.

— ძალიან სამართლიანი და ჭკვიანი კაცი ბრძანდებით, ბატონო, და არა მგონია, უარი თქვათ ჩემს წინადადებაზე, — უთხრა დე ტრევილმა.

— ბრძანეთ, ბატონო, ბრძანეთ, გისმენთ.

— როგორ არის ბატონი ბერნაჟუ, თქვენი მეჯინიბის ნათესავი?

— ძალიან ცუდად, გარდა იმ ჭრილობისა, რომელიც მხარში აქვს და არც ძალიან საშიშია, ფილტვები აქვს დაშავებული, ისე რომ, დიდ იმედს ვერ იძლევა ექიმი.

– ცნობიერება ხომ შერჩენია დაჭრილს?

– სრულიად.

– ლაპარაკი შეუძლია?

– ძალიან ძნელად. მაგრამ მაინც ლაპარაკობს.

– ძალიან კარგი, ბატონო! ჩავიდეთ იმ უბედურთან, დავაფიცოთ და ვთხოვოთ, სიკვდილის წინ სრული სიმართლე გვითხრას. მე მასვე ვირჩევ მსაჯულად თავის საჩივარში და იმას დავიჯერებ, რასაც ის იტყვის.

ერთ წამს ჩაფიქრდა ბატონი დე ლა ტრემული და რადგან შეუძლებელი იყო უფრო უკეთესი რამის მოფიქრება, დათანხმდა.

ერთად ჩავიდნენ ქვემო სართულის იმ ოთახში, სადაც დაჭრილი იწვა. ბერნაჟუ მის სანახავად მოსული ორი დიდებულის დანახვაზე შეეცადა ლოგინიდან წამოწეულიყო, მაგრამ სისუსტემ დასძლია და თითქმის გულწასული დაეშვა ბალიშზე.

ბატონმა დე ლა ტრემულმა საპკურით მოასულიერა დაჭრილი. მუშკეტერთა კაპიტანმა წასვლა დაპირა და სთხოვა, მას ეწარმოებინა დაკითხვა, არ უნდოდა ეფიქრათ, რომ მისი იქ ყოფნით გავლენა იქონია ბერნაჟუზე, მაგრამ ბატონმა დე ლა ტრემულმა არ გაუშვა.

სწორედ ის მოხდა, რის იმედიც ჰქონდა ბატონ დე ტრევილს: სიკვდილსა და სიცოცხლის შუა ჩავარდნილ ბერნაჟუს აზრადაც არ მოსვლია, ერთი წამით მაინც დაემალა ჭეშმარიტება. დაწვრილებით, სრული სიმართლით უამბო ორ დიდებულს ყველაფერი ისე, როგორც მოხდა.

სხვა აღარა უნდოდა რა ბატონ დე ტრევილს. სრული განკურნება და ჯანმრთელობა უსურვა დაჭრილ ბერნაჟუს, გამოეთხოვა ბატონ დე ლა ტრემულს და შინ მისვლისთანავე აცნობა ოთხ ყმაწვილკაცს, რომ სადილად თავისთან ელოდა.

დიდებული საზოგადოების წევრები დაიარებოდნენ ბატონ დე ტრევილთან, სხვათა შორის, სულ კარდინალის მოწინააღმდეგენი; ცხადია, სადილზე სულ იმაზე ჰქონდათ საუბარი, რომ ორჯერ ზედიზედ სამარცხვინოდ დამარცხდნენ მისი ყოვლადუწმინდესობის რაზმელები. რადგან დ არტანიანი ამ ორივე დღის საოცარი ბრძოლების გმირი იყო, მხოლოდ მას ულოცავდნენ გამარჯვებას. ათოსი, პორთოსი და არამისი დ არტანიანს უთმობდნენ პირველობას არა მარტო იმიტომ, რომ მისი კარგი ამხანაგები გახდნენ, არამედ იმიტომაც, რომ ამგვარი მილოცვები მათ ხშირად დაემსახურებინათ, ხოლო გასკონელისათვის პირველი იყო ეს.

ექვსი საათი სრულდებოდა, როდესაც ბატონმა დე ტრევილმა გამოაცხადა, რომ ლუვრში უნდა წასულიყვნენ, მეფის შინ არ ყოფნის გამო ჩაშლილი აუდიენციის ნაცვლად.

ამ საღამოს ბატონი დე ტრევილი და ოთხი ყმაწვილი კაცი მეფის კაბინეტის მოსაცდელ ოთახში შევიდნენ. მეფე ჯერ არ დაბრუნებულიყო სენ-ჟერმენის ტყიდან. თითქმის ნახევარი საათი სრულდებოდა, რაც ჩვენი გმირები, სხვა კარისკაცებთან ერთად, იცდიდნენ. უცებ გაიღო ყველა კარი. მსახურებმა დაიძახეს: – მეფე მობრძანდება!

ამ სიტყვების გაგონებაზე ისე აკანკალდა დ არტანიანი, რომ ძვლების ტვინიც კი უთრთოდა. მოახლოებულ წამზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული მთელი მისი ცხოვრება, იდგა და თვალი ვეღარ მოეშორებინა იმ კარისაგან, რომლითაც მეფე უნდა შემოსულიყო.

გამოჩნდა ლუდოვიკო მეცამეტე. მას ჯერ კიდევ სანადირო ტანისამოსი და მაღალყელიანი წაღები ეცვა. ხელში მათრახი ეჭირა.

დ არტანიანმა პირველი შეხედვითვე იგრძნო, რომ იგი განრისხებული უნდა ყოფილიყო.

მეფის ამ განწყობას ყველა ხედავდა, მაგრამ კარისკაცები მაინც, ჩვეულებისამებრ, დასახვედრად გამწკრივდნენ. სამი მუშკეტერი უყოყმანოდ მაშინვე წინ გამოვიდა. დ არტანიანი ამას ვერა ბედავდა და უკან ამოეფარა თავის ამხანაგებს. ამითაც ვერას გახდნენ ჩვენი მუშკეტერები: თუმცა მეფე პირადად იცნობდა ათოსსაც, პორთოსსაც და არამისსაც, მაინც სამივეს ისე გაუარა წინ, რომ არც კი შეხედა, ხმა არ გასცა, თითქოს არასდროს ენახა. ბატონ დე ტრევილს კი თვალი თვალში გაუყარა. მუშკეტერების კაპიტანი მაგრად დაუდგა, წარბიც არ შეიხარა. ისევ მეფემ აარიდა თვალი და ბუზღუნით თავის კაბინეტში შევიდა.

– ცუდად არის ჩვენი საქმე, – თქვა სიცილით ათოსმა, – ეტყობა, დღეს ვერ გვეღირსება ჯილდო ჩვენი რაინდობისათვის.

– ათ წუთს აქ დამიცადეთ, – სთხოვა ბატონმა დე ტრევილმა, – თუ ათი წუთის შემდეგ არ გამოგხედეთ, ჩემს სასახლეში დაბრუნდით. მეტს ნუღარ მომიცდით, რადგან უნაყოფო იქნება თქვენი ლოდინი.

ათმა... თხუთმეტმა... ოცმა წუთმა გაიარა ამ ლოდინში, მაგრამ კაპიტანი არსად ჩანდა. შეწუხებულმა ოთხმა მეგობარმა სასახლისაკენ გასწია. არ იცოდნენ, რა მოელოდათ.

ბატონი დე ტრევილი გაბედულად შევიდა მეფის კაბინეტში. მართლაც, ძალიან განრისხებული იხილა მისი ყოვლადუდიდებულესობა, საგარძელში ჩამჯდარი, მათრახსა სცემდა თავის ყელიან წაღებს. ბატონი დე ტრევილი მაინც იმედიანად იყო და ჩვეულებისამებრ მოიკითხა მეფე.

– ძალიან ცუდადა ვარ, ბატონო, ძალიან ცუდად, – უპასუხა მეფემ, – მეტად მოწყენილი გახლავარ.

მართლაც, ეს იყო ლუდოვიკო მეცამეტის უსაშინელესი ავადმყოფობა. იგი ხშირად დაუძახებდა ხოლმე რომელიმე კარისკაცს, ფანჯარასთან მიიყვანდა და სთხოვდა: მოდით, ბატონო, ერთად მოვიწყინოთ.

– როგორ? ნუთუ მოწყენილი ბრძანდებით, მეფეო? – გაიკვირვა ბატონმა დე ტრევილმა, – განა დღეს სანადიროდ არ ბრძანდებოდით?

– დიდი სიამოვნებაა?! გადაგვარებას განიცდის ყველაფერი და გარწმუნებთ, აღარც კი ვიცი, ნადირი არ ტოვებს თავის კვალს თუ ძაღლებმა დაკარგეს ყნოსვა. ბუკით დავდევდით ირემს, ექვსი საათი ვდიეთ, მანამ საიმედო ადგილს მოვიმწყვდევდით, და როდესაც იმედი მოგვეცა, ვერსად წაგვივაო, სენ-სიმონმა საყვირი მოამზადა, რომ გამარჯვების ჰანგით დავმტკბარიყავით, სწორედ ამ დროს, უცბად, პირი იბრუნეს ძაღლებმა და ნუკრს გამოუდგნენ. აი, ნახავთ, იმდენს იზამენ, რომ მაიძულებენ, ოთხფეხზე ნადირობაც მოვიშალო, ისევე, როგორც ფრინველზე მომაშლევინეს. აჰ, ძალიან უბედური მეფე ვარ, ჩემო დე ტრევილ! ერთადერთი შავარდენი მყავდა და ისიც გუშინწინ მომიკვდა.

– მართლაც, სამწუხარო გახლავთ, მეფეო, მესმის თქვენი სასოწარკვეთილება. სწორედ დიდი უბედურებაა. მაგრამ, ვგონებ, კიდევ მრავლად უნდა გყავდეთ შავარდენი და ქორი.

– მაგრამ კაცი ვერ მიშოვია, რომ გამიწვრთნას ისინი, ნელ-ნელა ქრებიან ბაზიერები. ვფიქრობ, მარტო მეღა დავრჩი ნადირობის ხელოვნების მცოდნე. ჩემს შემდეგ, ვგონებ, მთლად მოისპობა ნადირობა. და ადამიანი მხოლოდ ხაფანგით, კაკანათით და სარეგველით დაიწყებს ცხოველთა ხოცვას. ნეტავი დრო მაინც მქონოდა, რომ მოწაფეები ამომერჩია და მესწავლებინა! მაგრამ ვინ მაღირსებს მოცალეობას! სულ თავს დამტრიალებს ბატონი კარდინალი და ერთი წამით მოსვენებასაც არ მაძლევს. გამიბამს ბაასს, ეს ესპანეთი, ეს ავსტრია, ეს ინგლისი... ჰო, მართლა! კარდინალის ხსენებამ მომაგონა: ბატონო დე ტრევილ, სამდურავს გიცხადებთ თქვენი მეფე!

კარგა ხანია რაც ამ ბიძგს ელოდა ბატონი დე ტრევილი. იგი ძალიან კარგად იცნობდა ლუდოვიკო მეცამეტეს. როგორც კი დაიწყო მეფემ მოთქმა, მაშინვე მიხვდა კაპიტანი, რომ ეს წუწუნი და მწუხარება ამ თემაზე სასაუბროდ საკუთარი თავის ერთგვარი გამხნევება და წაქეზება იყო.

– ნეტავი რა ისეთი უბედურება დამემართა, რომ თქვენი ყოვლადუდიდებულესობის სამდურავი დავიმსახურე? – მიმართა ბატონმა დე ტრევილმა ისეთი იერით, თითქოს უსაზღვროდ განცვიფრებული ყოფილიყო.

– განა ასე ასრულებთ თქვენს ვალდებულებას? – განაგრძო მეფემ ისე, რომ პირდაპირ არ ეპასუხა დე ტრევილის კითხვაზე. – განა იმისათვის დაგნიშნეთ ჩემი მუშკეტერების კაპიტნად, რომ ჩემი მცველები ადამიანებს ხოცავდნენ, ორომტრიალს აყენებდნენ მთელ უბანში და ცეცხლის წაკიდებას უქადდნენ პარიზს? თქვენ ამაზე არაფერს მაცნობებთ? თუმცა, ეჭვი არ არის, მეტად ავჩქარდი საყვედურის გამოცხადებაში. დარწმუნებული ვარ, უკვე დაპატიმრებულნი არიან მშვიდობიანობის დამრღვევნი და თქვენც იმიტომ შეწუხებულხართ, რომ დამნაშავეების სამართალში მიცემა მაცნობოთ.

– მეფეო, – მიუგო მშვიდად დე ტრევილმა, – მეც სწორედ იმის სათხოვნელად გეახელით, რომ მინდა, სასტიკად დაასჯევინოთ დამნაშავენი.

– სახელდობრ? – შეჰყვირა მეფემ.

– სახელდობრ, ცილისმწამებელნი.

– აი, ესეც ახალი ამბავი! – ბრძანა მეფემ, – იქნებ ისიც მითხრათ, რომ თქვენი სამი ჩამოსახრჩობი მუშკეტერი, ათოსი, პორთოსი, არამისი, და მათი ბეარნელი ამხანაგი, ცოფიანი მგლებივით არ დაეცნენ საწყალ ბერნაჟუს, რომელიც დღეს-ხვალ შეიძლება წუთისოფელს გამოესალმოს? იქნებ ისიც მითხრათ, რომ ბერნაჟუს დაჭრის შემდეგ გარს არ შემოეხვივნენ ბატონ დე ლა ტრემულის სასახლეს და ცეცხლის წაკიდებაც არ მოინდომეს? ომიანობის დროს იქნება დიდი არაფერი უბედურება ყოფილიყო იმ სახლის დაწვა, რადგან ჰუგენოტების ბუნაგია თურმე. მაგრამ დღეს, მშვიდობიანობის დროს, ხალხისათვის ცუდი მაგალითი იქნებოდა. აბა, ბრძანეთ, ყოველივე ამის უარყოფა ხომ არ გნებავდათ?

– ვინ მოგახსენათ, მეფეო, ეგ მშვენიერი ზღაპარი? – ჰკითხა მშვიდად ბატონმა დე ტრევილმა.

– ვინ მომახსენა, ბატონო, ეს მშვენიერი ზღაპარი? ვინ მომახსენებდა, როგორ გგონიათ, თუ არა ის, ვინც ფხიზლად არის, როდესაც მე მძინავს; თუ არა ის, ვინც მუშაობს, როდესაც მე დროს ტარებას ვცდილობ; თუ არა ის, ვინც აწარმოებს ყველაფერს ჩვენს სამეფოში და მის გარეთაც მთელ საფრანგეთში და მთელ ევროპაში.

– მაშ, ღმერთს უცნობებია თქვენთვის, უეჭველია, მეფეო, – მიუგო დე ტრევილმა, – ღმერთის მეტი მე არავინ ვიცი, რომ ასე სჯობდეს სიძლიერით ჩემს მეფეს.

– არა, ბატონო, მე სამეფოს დედაბოძზე ვლაპარაკობ, ერთადერთ ჩემს ერთგულ მოღვაწეზე, ერთადერთ ჩემს მეგობარზე, ბატონ კარდინალზე.

– მისი ყოვლადუწმინდესობა ჯერ პაპი არ ბრძანდება.

– ამით რისი თქმა გსურთ, ბატონო?

– მინდა მოგახსენოთ, რომ მხოლოდ პაპი გახლავთ შეუცდომელი და ეს თვისება კარდინალებზე არა ვრცელდება.

– თქვენ გნებავთ მითხრათ, რომ იგი მატყუებს? თქვენ გნებავთ მითხრათ, რომ იგი მღალატობს? თქვენ იმის გამტყუნებას ცდილობთ? ჰოდა, თქვით, აღიარეთ გულწრფელად, რა ბრალსა სდებთ!

– არა, მეფეო, ბრალს არასა ვდებ, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ იგი ხშირად ცდება. იმასაც მოგაგონებთ, რომ ტყუილი მოახსენეს და მან კი დაიჯერა. მოგახსენებთ, აგრეთვე, რომ აჩქარებით დასდო ბრალი თქვენს მუშკეტერებს, რომლებიც შეძულებული ჰყავს და უსამართლოდ ექცევა. დღესაც საქმის გამოსარკვევად არასწორ წყაროს დასჯერდა.

– ბრალდება თვითონ ბატონი დე ლა ტრემულიდან მოდის, თვითონ ჰერცოგი ლა ტრემული ჩივის. ამაზე რაღას მიპასუხებთ?

– მე შემეძლო მომეხსენებინა, მეფეო, რომ ბატონი ლა ტრემული პირადად დაინტერესებული გახლავთ ამ საქმით, მაშასადამე, მიუდგომელ მოწმედ ვერ გამოდგება, მაგრამ, ღმერთმა დამიფაროს, ბატონ ჰერცოგს ვიცნობ, როგორც პატიოსნებით აღსავსე კეთილშობილს და სრული ნდობით მივიღებ მის ნათქვამს, მხოლოდ ერთი პირობით.

– რა პირობით?

– იმ პირობით, თქვენო ყოვლადუდიდებულესობავ, რომ თქვენთან დაიბაროთ ბატონი დე ლა ტრემული, თქვენვე დაჰკითხოთ სრულიად მარტოდმარტომ, ისე, რომ თქვენს მეტმა არავინ გაიგონოს მისი ნათქვამი, და როგორც კი მოისმენთ ბატონ დე ლა ტრემულის სიტყვებს, მერე მე გეახლებით.

– ოჰო, – იუცხოვა მეფემ, – მაშ, დაენდობით ბატონ დე ლა ტრემულის მოხსენებას?

– დიახ, მეფეო.

– დაემორჩილებით მის განჩინებას?

– უეჭველად.

– იკისრებთ იმის გადახდას, რასაც ის მოგთხოვთ?

– უთუოდ, მეფეო.

– ლა შენე! – დაუყვირა მეფემ მსახურს, – ლა შენე!

ლუდოვიკო მეცამეტის ერთგული მსახური ყოველთვის მეფის კარებთან იდგა. ახლაც დაძახებისთანავე ეახლა მეფეს.

– ლა შენე! – უბრძანა მეფემ, – საჩქაროდ, ახლავე, ამწამსვე, წავიდეს ვინმე ბატონ დე ლა ტრემულთან და მოახსენოს, რომ ამადამვე მინდა მოველაპარაკო მას.

– მაშ, სიტყვას მაძლევთ, მეფეო, რომ ბატონ დე ლა ტრემულის შემდეგ ჩემამდე არავის ნახავთ?

– არავის, გაძლევთ პატიოსან სიტყვას.

– მაშ, ხვალამდე, თქვენო ყოვლადუდიდებულესობავ.

– ხვალამდე, ბატონო.

– რომელ საათზე გეახლოთ, მეფეო?

– როცა თქვენ გნებავთ.

– დიახ, მეფეო, მაგრამ ვაითუ ადრე გეახლოთ და გაგაღვიძოთ?

– მე გამაღვიძოთ? მე ხომ აღარ მძინავს ხოლმე! ხანდახან წავთვლემ ცოტას, განა ეგ ძილია? მობრძანდით დილაადრიანად, როცა გნებავდეთ, თუნდა შვიდ საათზე. მაგრამ, ვაი თქვენი ბრალი, თუ დამნაშავენი თქვენი მუშკეტერები აღმოჩნდებიან.

– თუ დამნაშავენი აღმოჩნდებიან ჩემი მუშკეტერები, თქვენ ხელთ იქნებიან, მეფეო, და თქვენ გადაუწყვეტთ, თქვენი სურვილისამებრ, ღირსეულ სასჯელს... კიდევ მიბრძანებთ რასმე, მეფეო? ბრძანეთ, მე მზად გახლავართ, ავასრულო თქვენი სურვილი.

– არა, ბატონო, არა, უსაფუძვლოდ კი არ დამარქვეს ლუდოვიკო სამართლიანი. მაშ, ხვალამდე, ბატონო, ხვალამდე.

– ხვალამდე, მეფეო, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

იქნება მართლაც ცოტა ეძინა მეფეს, მაგრამ ბატონ დე ტრევილს უფრო ცუდად ეძინა იმ ღამეს. მან იმ საღამოსვე შეატყობინა თავის სამ მუშკეტერს და მათ ამხანაგს, რომ ხვალ დილით, შვიდის ნახევარზე, მის სანახავად მისულიყვნენ. მეორე დღეს დე ტრევილმა ისინი ლუვრისკენ წაიყვანა ისე, რომ არაფერი უთქვამს, არაფერს დაჰპირებია, მხოლოდ არ დაუმალა, მათი კეთილდღეობა და თვითონ მისიც დღეს ერთ უბრალო კამათელზე რომ იყო დამოკიდებული.

სასახლეში ბატონმა დე ტრევილმა მუშკეტერები პატარა კიბესთან გააჩერა იმ პირობით, რომ თუ კვლავ განრისხებული დახვდებოდა მეფე, შეუმჩნევლად უკან გააბრუნებდა, ხოლო თუ მისი უდიდებულესობა ინებებდა მათ მიღებას, ზევით აიყვანდა.

მეფის კაბინეტის წინა ოთახში დე ტრევილს ლა შენე შეხვდა და მოახსენა, რომ გუშინ ბატონი დე ტრემული არ დახვდრიათ სახლში, ხოლო შინ იმდენად გვიან დაბრუნებულა, რომ უკვე შეუძლებლად მიუჩნევია მეფის შეწუხება. ამიტომ ეს-ეს არის ახლა მოვიდა და ამჟამად მეფესთან ბრძანდებაო.

ეს ძალიან გაუხარდა ბატონ დე ტრევილს. დარწმუნდა, რომ დე ლა ტრემულის ჩვენების შემდეგ სხვა ვერავინ შეძლებდა ზეგავლენა მოეხდინა მეფეზე. დე ტრევილის მოსვლის შემდეგ არ გასულა ათი წუთი, რომ გაიღო მეფის კაბინეტის კარი და ლა ტრემული გამოვიდა. იგი მაშინვე მიუახლოვდა მუშკეტერთა კაპიტანს და მიმართა:

– ბატონო დე ტრევილ, მისმა ყოვლადუდიდებულესობამ დამიბარა, მომეხსენებინა გუშინ დილით ჩემს სასახლესთან მომხდარი შეტაკების ვითარება. სრული ჭეშმარიტება მოვახსენე მეფეს. ვუთხარი, რომ ჩემები იყვნენ ყველაფერში დამნაშავენი და რომ მზად ვარ, ბოდიში მოვიხადო თქვენ წინაშე. რაკი აქ გხედავთ, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი ბოდიში და კვლავაც თქვენს გულითად მეგობრად მიგულოთ.

– დიახ, ბატონო, – მიუგო ბატონმა დე ტრევილმა. – იმდენად ღრმადა მწამს თქვენი პატიოსნება, რომ ამ საქმეში ჩემს დამცველად მეფის წინაშე თქვენ გარდა მე არავინ ვისურვე. ვხედავ, რომ არ შევმცდარვარ. დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ

ყოფილა საფრანგეთში ადამიანი, რომლის შესახებ გაბედვით შეიძლება ვთქვათ ის, რაც მე მოვახსენე წუხელ მეფეს.

— კარგით, კარგით! — გამოსძახა მეფემ, რომელმაც კარგად გაიგონა ორ კარშუა თქმული ქათინაურები: — ოღონდ კარგად ჩააგონეთ, დე ტრევილ, თქვენი გულითადი მეგობრობის მსურველს, რომ მეც ძალიან მსურს ბატონ დე ლა ტრემულის გულითად მეგობართა რიცხვს ვეკუთვნოდე, თუმცა ის გამირბის, მოაგონეთ, თითქმის სამი წელიწადი სრულდება, რაც არსად მინახავს და თუ ნახვა მინდა, მსახური უნდა ვაახლო და დავიბარო. ჩემ მაგივრად ეს ყველაფერი უთხარით, რადგან ამგვარს არაფერს უნდა ბრძანებდეს თვითონ მეფე.

— გმადლობთ, მეფეო, — მოახსენა ბატონმა დე ლა ტრემულმა. — ნუ დაივიწყებს თქვენი ყოვლადუდიდებულესობა, რომ თქვენი გულითადი, ერთგული მოსამსახურენი ისინი კი არ არიან, ვისაც ყოველთვის თქვენთანა ხედავთ მთელი დღის განმავლობაში, რასაკვირველია, მე ამას ბატონ დე ტრევილის შესახებ არ ვლაპარაკობ.

— აჰ, მაშ, თქვენც გაიგონეთ ჩემი ნათქვამი? მით უკეთესი, ბატონო, მით უკეთესი, — უთხრა მეფემ და კარებთან მივიდა. — აჰ, თქვენა ხართ, ტრევილ? სად არიან თქვენი მუშკეტერები? გუშინწინ გთხოვეთ, მოგეყვანათ და გეჩვენებინათ, რატომ არ მომიყვანეთ?

— ქვევით გახლავან, მეფეო: თუ ნებას მომცემთ, ლა შენე ჩავა და ამოიყვანს.

— დიახ, დიახ, ახლავე ამოვიდნენ, სადაცაა რვა საათი შესრულდება, ცხრაზე კი სტუმარს მოველი. მაშ, მიბრძანდით, ჰერცოგო, და იცოდეთ, კვლავ გვინახულეთ, შემოდით, ტრევილ.

ბატონმა დე ლა ტრემულმა თავი დაუკრა და გამოეთხოვა. კიბეზე სამი მუშკეტერი და დ არტანიანი შეხვდა, რომლებსაც ლა შენე მიუძღოდა.

— მობრძანდით, ჩემო გმირებო, — დაუძახა მეფემ, — მობრძანდით, მინდა კარგად დაგტუქსოთ.

მუშკეტერები მეფეს მიუახლოვდნენ და მოწიწებით მიესალმნენ, დ არტანიანი მათ უკან მისდევდა.

— რა ეშმაკი გეხმარებათ, — განაგრძო მეფემ. — რომ ოთხმა კაცმა ამ ორ დღეში მწყობრს გამოაკელით ყოვლადუწმინდესობის შვიდი რაზმელი? მეტისმეტი მოგდით, ყმაწვილებო, მეტისმეტი! ასე რომ მიჰყვეთ, მისი ყოვლადუწმინდესობა იძულებული იქნება, სამ კვირაში განაახლოს თავისი რაზმი, და მეც იძულებული ვიქნები, მკაცრად ავასრულებინო ჩემი ბრძანებანი, ერთი რომ იყოს, ისიც შემთხვევით, არაფერს ვიტყვი, მაგრამ შვიდი კაცი ორ დღეში! მეტისმეტია, ყმაწვილებო, მეტისმეტია!

— სწორედ ამიტომ გეახლნენ, მეფეო, რომ ბოდიში მოიხადონ თქვენს ყოვლადუდიდებულესობასთან. ხომ ხედავთ, მეფეო, როგორ შეწუხებულნი გახლავან, არ იციან, როგორ მოინანიონ ეს უნებური ცოდვა.

— შეწუხებულნი არიან და არ იციან, როგორ მოინანიონ? ჰოო? რა ვქნა, რომ ვერ მივნდობივარ მათ პირმოთნე სახეს, მეტადრე იმას, აგერ უკან რომ ატუზულა, გასკონელი, აქეთ მობრძანდით, ბატონო!

მიხვდა დ არტანიანი, რომ მას ეხებოდა მეფის სიტყვა, და იმედმიხდილმა წინ წაიწია.

— აკი ყმაწვილი კაციაო? ყმაწვილი კი არა, ბატონო დე ტრევილ, ნამდვილი ბავშვია. ბავშვი, ნამდვილი ბავშვი! ამ პატარამ ჩაჰკრა ისე მაგრად ჟუსაკს თავისი ხმალი?

— ბერნაჟუს კი ორჯერ ჩაჰკრა, კიდევ უფრო მარჯვედ.

— მართლა?

— დიახ, მეფეო, გარდა ამისა, ამ ყმაწვილს რომ არ წაერთმია ჩემთვის ბიკარა, არა მგონია, დღეს აქ გხლებოდით და უსაზღვრო ერთგულებით და პატივისცემით მივსალმებოდი ჩემს მეფეს, — მიუგო ათოსმა.

— მაშ, ხორცშესხმული ქაჯი ყოფილა ეს თქვენი ბეარნელი, ნამდვილი ქაჯი, ჰა, ბატონო ტრევილ? ამ საქმეში მრავალი ქურთუკი გაეხვრიტება და ხმალიც ბევრი დაემტვრევა. გასკონელები კი ძველებურადვე ღარიბები არიან, არა?

– უნდა მოგახსენოთ, მეფეო, რომ გასკონიის მთებში ჯერ კიდევ არ უპოვიათ ოქროს ზოდები, თუმცა, საცა სამართალია, დიდი ხანია ამ სასწაულით უნდა დაეჯილდოებინა ღმერთს ისინი იმ სამსახურისათვის, რაც მათ ისეთი თავგანწირვით გაუწიეს ნეტარხსენებულ მამათქვენს და სარწმუნოებას.

– სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, გასკონელებს მოუნიჭებიათ ჩემთვის მეფობა, არა, ტრევილ, ვინაიდან მე ვარ შვილი მამაჩემისა? ძალიან კარგი, ჩემდა საბედნიეროდ, აგრე იყოს, მე უარს არ ვამბობ. ლა შენე, წადით, სულ გადმოაბრუნეთ ჩემი ჯიბეები, იქნება როგორმე მოაგროვოთ ორმოცი პისტოლი და აქ მომიტანეთ, ახლა კი, ყმაწვილო, გულზე დაიდეთ ხელი და მიამბეთ საქმის ვითრება!

დ არტანიანმა დაწვრილებით მოახსენა თავისი გუშინდელი თავგადასავალი: როგორ გაუკრთა სიხარულით ძილი იმის გამო, რომ შუადღისას მეფეს უნდა ხლებოდა, და სამი საათით ადრე მივიდა თავის ამხანაგებთან სასახლეში წასასვლელად, როგორ წავიდნენ ამ სამი საათის მოსაკლავად ჩოგბურთის სათამაშოდ; როგორ შეშინდა, სახეში არ მოხვედროდა ბურთი, რის გამოც მასხრად აიგდო ბერნაჟუმ, რომელმაც სასიკვდილო ჭრილობით მოინანია თავისი დაცინვა; შემდეგ როგორ ჩაერივნენ ბრძოლაში ბატონ დე ლა ტრემულის მსახურები და კინაღამ ცეცხლით დააწვევინეს მისი სასახლე, როდესაც თვითონ ბატონმა დე ლა ტრემულმა სრულიად არა იცოდა რა ამ საქმისა.

– ასე, ასე, – ჩურჩულებდა მეფე, – სწორედ ასე მიამბო ბატონმა დე ლა ტრემულმა თქვენი ბრძოლის ამბავი. საწყალი კარდინალი! შვიდი კაცი ორ დღეში! მერე სულ საუკეთესონი! კმარა, ბატონებო, გეყურებათ? კმარა! ფერუს ქუჩა გახსოვდათ და მისი ჯავრი ამოიყარეთ ხომ? მაშ,ახლა კმაყოფილნი უნდა იყოთ.

– თქვენი მორჩილნი გახლავართ, მეფეო, თუ თქვენ კმაყოფილი ბრძანდებით, – მიუგო დე ტრევილმა.

– დიახ, მე კმაყოფილი ვარ, – მიუგო მეფემ, ლა შენეს ერთი მუჭა ოქრო გამოართვა და დ არტანიანს ხელში ჩაუყარა, – აი, ყმაწვილებო, იმის დასამტკიცებლად, რომ მე კმაყოფილი ვარ.

იმხანად თავმოყვარეობა და ამპარტავნობა ისე არ იყო გავრცელებული, როგორც ჩვენს დროშია. პატიოსანი კაცი ხელიდან ხელში იღებდა მეფისაგან ფულს და სრულებითაც არ გრძნობდა ამაში თავის დამცირებას. დ არტანიანმაც, უარის უთქმელად ჯიბეში ჩაიჩხრიალა ორმოცი პისტოლი. თან მეფეს გულითადი მადლობა მოახსენა.

– მაშ, ასე, – თქვა მეფემ და საათს შეხედა, – მაშ, ასე, ახლა უკვე ცხრის ნახევარი ყოფილა და შეგიძლიათ მიბრძანდეთ, როგორც გითხარით, ცხრა საათზე ვიღაცას ველი. დიდი მადლობა თქვენი ერთგულებისათვის, ბატონებო! მაშ, მომავალშიც ასევე მქონდეს თქვენი იმედი?

– ოჰ, მეფეო, – შეჰყვირა ერთხმად ოთხმა ამხანაგმა, – მზად ვართ, ნაკუწ-ნაკუწად ვიქცეთ თქვენი კეთილდღეობისათვის.

– ძალიან კარგი, მაგრამ უვნებელნი დარჩით, თქვენთვისაც ემჯობინება და ჩემთვისაც სასარგებლონი იქნებით. ტრევილ, – მიმართა ნელი ხმით კაპიტანს, როდესაც ყმაწვილები გავიდნენ, – ვინაიდან მუშკეტერებში ადგილი არა გაქვთ, გარდა ამისა, ჩვენვე დავადგინეთ, რომ მის რიგებში შესვლისათვის საჭიროა ორი წლის სამსახური სხვა რომელიმე რაზმში, ეს ყმაწვილი ჯერ თქვენი ქვისლის, ბატონ დე ზესარის რაზმში მიაღებინეთ. აჰ, ღმერთო ჩემო, ტრევილ, რომ იცოდეთ, როგორ მიხარია, კარდინალის დაღრეჯილი სახე რომ წარმომიდგება. გაცოფდება, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია, მე მართალი ვარ.

მეფე ხელის ქნევით გამოესალმა დე ტრევილს, რომელმაც თავი დაუკრა და გავიდა. გარეთ ბატონ დე ტრევილს შეხვდნენ თავისი გმირები, რომლებიც დ არტანიანის მიერ მიღებულ საჩუქარს, ორმოც პისტოლს იყოფდნენ.

კარდინალი,როგორც მეფემ თქვა, მართლა ცოფსა ყრიდა; ისე იყო შეწუხებული, რომ რვა დღის განმავლობაში მეფეს ქაღალდსაც აღარ ეთამაშებოდა. ის კი ყურადღებას არ აქცევდა ამ გაშმაგებას. საამური, მომხიბლავი ღიმილით შესცქეროდა და სადაც შეხვდებოდა, უთუოდ ალერსიანი ხმით ჰკითხავდა:

– უკაცრავად, ბატონო კარდინალო, როგორ ბრძანდებიან ის საწყლები: ბერნაჟუ და ჟუსაკი?

VII

მუშკეტერების შინაური ცხოვრება

ლუვრიდან გამოსვლის შემდეგ დ არტანიანმა რჩევა ჰკითხა მეგობრებს, რაში გამოეყენებინა თავისი ფული. ათოსმა ურჩია, კარგი სადილი შეეკვეთა რესტორან „ნაძვის გირჩებში“, პორთოსმა კი ურჩია, მსახური აიყვანეო.

სადილი იმ დღესვე შეუკვეთეს და სუფრასაც ახალი მსახური ემსახურებოდა. სადილი ათოსმა შეუკვეთა, ხოლო მსახური პორთოსმა მოუყვანა. სახელოვანმა მუშკეტერმა ტურნელის ხიდზე შეამჩნია ეს პიკარდიელი ბიჭი, სახელად პლანშე, რომელიც წყალში აფურთხებდა და უყურებდა, როგორ კეთდებოდა წრეები წყლის ზედაპირზე. მუშკეტერი იქვე გაურიგდა და დ არტანიანს მიჰგვარა. პორთოსის აზრით, ამგვარი საქმიანობა ადამიანის სიმშვიდისა და შორსმჭვრეტელობის ნიშანი იყო. ამიტომ ამით დაკმაყოფილდა და ყოველგვარი რეკომენდაციის გარეშე აიყვანა.

აზნაურის დიდებული იერი მომხიბვლელი ეჩვენა პლანშეს, მით უფრო, რომ დარწმუნებული იყო, თავის მსახურად მიჰყავდა პორთოსს და, ცოტა არ იყოს, ნაწყენი დარჩა, როდესაც გაიგო, რომ ეს ადგილი უკვე მის თანამოძმეს, მუშკეტონად წოდებულს დაეკავებინა. პორთოსმა განუმარტა, რომ მას ოჯახური მდგომარეობა არ აძლევდა ორი მსახურის ყოლის საშუალებას და ამიტომ იგი მსახურად დ არტანიანთან უნდა დამდგარიყო. მაგრამ როდესაც პლანშემ ნახა, როგორი კარგი სადილით გაუმასპინძლდა მისი ბატონი თავის მეგობრებს, როგორ იღებდა ჯიბიდან მუჭით ოქროს ფულს, იფიქრა, ბედი მეწიაო, და მადლობა შესწირა ზეცას ამისთანა კრეზის[1] სახლში სამსახურისათვის. ამ რწმენით აღტაცებული განაგრძობდა სუფრის ალაგებას და სადილის ნარჩენებით იკლავდა დიდი ხნის შიმშილს. მაგრამ როდესაც დაღამდა და თავისი ბატონის ლოგინის დალაგებას შეუდგა, უცბად გაუქრა ოქროს სიზმრები საწყალ პლანშეს: დ არტანიანის ორ ოთახში მხოლოდ ერთადერთი ლოგინი იყო. პლანშე წინა ოთახში დაწვა, დ არტანიანის ლოგინიდან გამოძრობილ საბანზე, რომელიც იმ დღიდან მან დაისაკუთრა.

თავის მხრივ, ათოსსაც ჰყავდა მსახური, სახელად გრიმო, რომელიც განსაკუთრებულად ჰყავდა გაწვრთნილი, მეტისმეტად ჩუმი იყო ეს ღირსეული დიდებული (ცხადია, ათოსზე გვაქვს ლაპარაკი), ხუთ-ექვსი წლის მანძილზე მასთან გულითადი მეგობრობა ჰქონდათ პორთოსსა და არამისს. მეგობრებს ხშირად შეუმჩნევიათ ათოსის სახეზე ღიმილი, მაგრამ მისი სიცილი კი არასდროს უნახავთ. თუ იტყოდა რასმე – მოკლედ, მკვეთრად; ამბობდა მარტო იმას, რის თქმაც უნდოდა. ზედმეტს არაფერს იტყოდა, არ შეალამაზებდა და არ შეაფერადებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ათოსი ჯერ ოცდაათი წლისა არც კი იქნებოდა, მეტად წარმოსადეგი და ჭკვიანი ვაჟკაცი იყო. არავინ იცოდა, ჰყავდა თუ არა მას საყვარელი. ქალებზე არასოდეს ლაპარაკობდა, თუმცა ამხანაგებს არ უშლიდა მისი თანდასწრებით ქალებზე გაებათ საუბარი, რომელშიც ის მარტო მწარე სიტყვით და მიზანთროპიული შენიშვნებით ერეოდა. თავდაჭერილი, განმარტოებული და თითქმის მუნჯი ათოსი მოხუცებულს უფრო ჰგავდა. გრიმოც თავისი ხასიათისამებრ ჰყავდა გაწვრთნილი, რომელსაც უსიტყვოდაც, მუნჯურად, ტუჩების მოძრაობით ან სულ უბრალო ხელის აწევით საუცხოოდ ესმოდა ბატონის ბრძანება. ათოსი მას სიტყვით განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავდა.

გრიმოს ისე ეშინოდა თავისი ბატონისა, როგორც ცეცხლისა. თუმცა ძალიან უყვარდა და თაყვანს სცემდა მის გენიოსობას. ხანდახან, დარწმუნებული, რომ კარგად გაიგო ათოსის სურვილი, ჩქარობდა ბრძანების ასრულებას და საწინააღმდეგოს კი აკეთებდა.

მაშინ ათოსი მხრებს აიჩეჩდა, არ გაჯავრდებოდა, მაგრამ კარგად მიბეგვავდა ხოლმე. იმ დღეებში იგი შედარებით მეტს ლაპარაკობდა.

პორთოსს, როგორც მკითხველიც დაინახავდა, სულ სხვა, ათოსისაგან განსხვავებული ხასიათი ჰქონდა. ის არა მარტო ბევრს ლაპარაკობდა, არამედ ხმამაღლაც; სულ ერთი იყო მისთვის, ყურს უგდებდნენ თუ არა, ლაპარაკობდა იმიტომ, რომ სიამოვნებას ჰგვრიდა ლაპარაკი და ტკბებოდა თავისი ნათქვამით. თავისუფლად ლაპარაკობდა ყველაფერზე, გარდა მეცნიერებისა; ამას იმით ასაბუთებდა, რომ ბავშვობიდანვე თანდაყოლილი ჰქონდა მეცნიერების სიძულვილი, თვალად და ტანად ისეთი წარმოსადეგი არ იყო, როგორც ათოსი; ამას თვითონაც გრძნობდა და ხშირად იჩენდა უკმეხობას ათოსისადმი. მეტადრე დაახლოების პირველ ხანებში, როდესაც პორთოსი საგანგებოდ მორთული დადიოდა, რათა ტანისამოსის მშვენიერებით მაინც ეჯობნა ამხანაგისათვის. მაგრამ ათოსი მუშკეტერების უბრალო წამოსასხამში ისე კოხტად გადაიქნევდა თავს უკან, ისე კოხტად წამოსწევდა ფეხს, რომ მაშინვე იკავებდა თავის კუთვნილ ადგილს და ყოველთვის უკან რჩებოდა პორთოსი, რომელსაც ერთი კარგი სანუგეშო ჰქონდა: ბატონ დე ტრევილის კაბინეტის წინა დარბაზში და ლუვრის რაზმელებში სულ თავის სახელოვან საყვარლებზე და ლამაზ ქალებში ახალ-ახალ გამარჯვებაზე ლაპარაკობდა. მას სატრაბახოდ სწორედ ის ჰქონდა, რასაც არასოდეს ერთი სიტყვითაც არ შეეხებოდა ათოსი.

ძველი ანდაზაა: როგორიც ბატონი, ისეთი მსახურიო. მაშ, ათოსის მსახურის შემდეგ პორთოსის მსახური ვნახოთ. გრიმოს შემდეგ მუშკეტონი გავიცნოთ.

მუშკეტონი ნორმანდიელი იყო. მშვიდობიანი სახელი ერქვა, „ბონიფასი“, მაგრამ ეს სახელი უფრო კეთილხმოვანი სიტყვით შეუცვალა თავისმა ბატონმა და მუშკეტონი უწოდა. პორთოსთან იგი იმ პირობით დადგა მსახურად, რომ მხოლოდ ტანისამოსი და ბინა ჰქონოდა, მაგრამ ორივე საუცხოო. გარდა ამისა, მას დღეში ორი საათი თავისუფლება ესაჭიროებოდა სხვა სამუშაოსათვის ხელის მოსაკიდებლად, რაც საშუალებას მისცემდა, დაეკმაყოფილებინა თავისი დანარჩენი მოთხოვნილებანი. პორთოსი მაშინვე დათანხმდა, რადგან ასეთი პირობები ზედმიწევნით შესაფერისი იყო მისთვის. მუშკეტონისათვის კამზოლის შესაკერად პორთოსი თავის ძველ ტანისამოსს და წამოსასხამს უგზავნიდა ერთ ნაცნობ თერძს, რომელიც ჩვეული ოსტატობით თითქმის აახლებდა ამ ნაჭრებს, და მუშკეტონი მუდამ კარგად ჩაცმული გამოდიოდა.

მესამე ამხანაგის, არამისის ხასიათი, ვგონებ, საკმარისად ცნობილია. მით უფრო, რომ მის დახასიათებას, როგორც მისი მეგობრებისას, კარგად ვნახავთ ამ ყმაწვილების ყოფაცხოვრებაში. არამისსაც ჰყავდა მსახური, სახელად ბაზენი. არამისს იმედი ჰქონდა, რომ ბერად აღიკვეცებოდა სადმე მონასტერში და ბაზენიც ყოველთვის შავი ტანისამოსით იმოსებოდა, როგორც სასულიერო პირის მსახური. ეს იყო ბერიელი ოცდათხუთმეტი-ორმოცი წლის გულჩვილი, მშვიდობიანი, ჩაფიქრებული კაცი. თავისუფალი დრო თუ დარჩებოდა, მაშინვე საღვთო წიგნებს ჩაუჯდებოდა, სადილზე ბევრნაირს არა, მაგრამ ძალიან გემრიელ საჭმელს ამზადებდა. ერთობ მუნჯი, ბრმა, ყრუ და ერთგული მსახური იყო.

ახლა, როდესაც ზერელედ მაინც გავიცანით ბატონებიც და მსახურებიც, მათი ბინებიც დავათვალიეროთ.

ათოსი ფერუს ქუჩაზე ცხოვრობდა. ლუქსემბურგის ახლოს. ეჭირა ძალიან სუფთად მოწყობილი ორი პატარა ოთახი, რომლის დიასახლისი, ჯერ ისევ ახალგაზრდა და ლამაზი ქალი, მომხიბლავად უღიმოდა ყოველთვის. მაგრამ ამაოდ. ამ უბრალო ბინის კედლებზე აქა-იქ დიდებული წარსულის ბრწყინვალების ნაშთი მოჩანდა: ასეთი იყო, მაგალითად, ფრანცისკო პირველის დროის დამასკური ხელოვნებით შეჭედილი ხმალი, რომლის ძვირფასი თვლებით დამშვენებული ტარი ორასი პისტოლი ეღირებოდა.

ათოსი ხშირად განიცდიდა ხელმოკლეობას, მაგრამ მას მძიმე წუთებშიც აზრადაც არ მოსვლია ამ ხმლის დაგირავება ან გაყიდვა. ყოველთვის ეს ხმალი ჰქონდა სანატრელად პორთოსს. იგი თავისი სიცოცხლის ათ წელიწადს მისცემდა, ოღონდ ის ხმალი მისი საკუთრება ყოფილიყო.

ერთ დღეს პორთოსს პაემანი ჰქონდა დიდებულ ქალბატონთან და მან ათოსს სთხოვა ხმალი. ათოსმა ხმის ამოუღებლად დაიცარიელა ჯიბეები, მოაგროვა რაც თვალ-მარგალიტი მოეპოვებოდა: – ქისები, ოქროს ძეწკვი, ბეჭდები – და პორთოსს მიართვა, ხმალზე კი უარი უთხრა. – ხმალი მიჭედილია თავის ადგილზე და მარტო მაშინ დაიძვრის, როდესაც თვითონ მისი პატრონი მიატოვებს ამ ბინას და სხვაგან გადავაო. ამ ხმლის გარდა კედლებზე ეკიდა ჰენრიხ მესამის დროინდელი დიდებულის პორტრეტი, მეტად მოხდენილი ტანსაცმლით და სულიწმიდის ორდენით მკერდზე. ეს სურათი რამდენადმე ჰგავდა ათოსს სახის ნაკვთებით, შთამომავლური თვისებებით, და ყოველივე ეს იმაზე მიუთითებდა, რომ ათოსის წინაპარი უნდა ყოფილიყო ეს დიდებული მეფის რაინდი.

და ბოლოს, ერთი საგანგებოდ გაკეთებული ოქრომჭედლური ყუთი, იმავე გერბით, რომელიც ხმალს და პორტრეტს ჰქონდა. სადად მოწყობილ ოთახში იგი დაუფასებელ განძად მოჩანდა, ათოსს ყოველთვის ჯიბეში ედო ამ ყუთის გასაღები. მხოლოდ ერთხელ, პორთოსის თანდასწრებით, გახსნა და საბოლოოდ დაარწმუნა მეგობარი, რომ ყუთში ქაღალდებისა და წერილების გარდა სხვა არა იყო რა: ალბათ, სამიჯნურო წერილები და მამაპაპისეული ქაღალდები.

პორთოსს ძველი სამტრედის ქუჩაზე ეკავა საკმაოდ ფართო და ლამაზად მოწყობილი ოთახები. ყოველთვის, როდესაც იგი ამხანაგებთან ერთად გაივლიდა თავისი ბინის ფანჯრებთან, სადაც ერთ-ერთში აუცილებლად იდგა საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი მუშკეტონი, ზევით აიხედავდა ხოლმე, ხელს აიშვერდა და მეგობრებს ეტყოდა: – აი, ჩემი ბინა, – მაგრამ არასოდეს არავის დახვდებოდა „თავის ბინაში“, არავის მიიწვევდა სტუმრად და არავინ იყო ისეთი, რომ დანამდვილებით სცოდნოდა, რამდენად შეეფერებოდა შინაური მოწყობილობა და სიმდიდრე ამ გარეგან ფუფუნებას.

რაც შეეხება არამისს, მას სამი პატარა ოთახი ეჭირა: სასტუმრო ოთახი, სასადილო და საძინებელი. სამივე ოთახი პირველ სართულზე იყო მოთავსებული. საწოლი ოთახი პატარა ამწვანებულ, მაჩრდილებელ ბაღში გადიოდა და, ამავე ბაღის მეშვეობით, მას გამვლელის თვალი ვერა სწვდებოდა.

დ არტანიანის ბინა ჩვენ უკვე ვიცით და მსახურ პლანშესაც ვიცნობთ.

დ არტანიანი ბუნებით ძალიან ცნობისმოყვარე იყო, როგორც ყველა ისინი, ვინც ინტრიგის ნიჭით არიან დაჯილდოებულნი. მან ყოველი ღონისძიება იხმარა, რათა შეეცნო, ვინ იყვნენ სინამდვილეში ათოსი, პორთოსი და არამისი, რადგანაც ამ მოგონილი სახელებით ფარავდნენ ისინი თავის ნამდვილ კეთილშობილურ გვარებს. მეტადრე ათოსი, რომელიც შორიდანვე მოჩანდა დიდებული გვარიშვილის შთამომავლად. დ არტანიანმა პორთოსს მიმართა და ათოსის და არამისის წარსულის მოყოლა სთხოვა. შემდეგ კი არამისს პორთოსის ვინაობა ჰკითხა.

სამწუხაროდ, პორთოსმა თავისი გულჩათხრობილი მეგობრის ცხოვრებიდან არა იცოდა რა იმაზე მეტი, რაც ყველასთვის უკვე ცნობილი იყო. ამბობდნენ, რომ სიყვარულმა არ გაუმართლა და საშინელმა ღალატმა სამუდამოდ მოუშხამა სიცოცხლე, მაგრამ რა ღალატი იყო ეს, არავინ იცოდა.

რაც შეეხება პორთოსს, მისი ნამდვილი გვარი და სახელი, მსგავსად მისი ორი მეგობრისა, მხოლოდ ბატონმა დე ტრევილმა იცოდა, ხოლო მისი ცხოვრების გაცნობა სულაც არ იყო ძნელი. ეს იყო პატივმოყვარე, მოურიდებელი. მასში ცხადად მოჩანდა მისი ადამიანობა როგორც გამჭვირვალე მინაში, და მხოლოდ მაშინ შეცდებოდა კაცი მის შეფასებაში, თუ დაიჯერებდა ყველაფერ იმას, რასაც პორთოსი თავის თავზე იკვეხნიდა.

არამისს რომ შეხედავდით, იტყოდით, ამას არავითარი საიდუმლოება არ გააჩნიაო, მაგრამ სინამდვილეში იგი მთლიანად საიდუმლოებით იყო მოცული. სხვის ამბავს რომ ჰკითხავდნენ, იგი თითქმის არაფერს იტყოდა, ხოლო საუბარს სხვა საგანზე გადაიტანდა, როდესაც თავის შესახებ შეეკითხებოდნენ. ერთხელ დ არტანიანმა ბაასი გაუბა პორთოსზე და გაიგო, რომ ვიღაც ჰერცოგის ცოლის გული მოენადირებინა პორთოსს. იმედი მიეცა დ არატანიანს, იქნება თავისი სამიჯნურო თავგადასავლების შესახებაც მითხრასო რამე, და ჰკითხა:

– თქვენა, ჩემო კარგო მეგობარო, სხვების სამიჯნურო ამბები მშვენივრად იცით. თქვენს თავზე რაღას იტყვით?

– უკაცრავად, – შეაწყვეტინა არამისმა, – მე ამას ვამბობ იმიტომ, რომ თვითონ პორთოსი მეუბნება დაუფარავად. იგი ხმამაღლა გაჰყვირის თავის ამბავს, მაგრამ, დამიჯერეთ, ჩემო კეთილო დ არტანიან, მე რომ სხვა წყაროდან ვიცოდე, ან მისგანვე მქონდეს მონდობილი ეს ამბავი, პორთოსი ჩემზე უკეთეს მოძღვარს ვერსად იპოვიდა აღსარების დასაფარავად.

– დარწმუნებული ვარ, – დაიწყო ხელახლა დ არტანიანმა, – და ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ კარგად იცნობთ დიდებულების გერბსა და ნიშნებს, რაშიც ის მოქარგული ცხვირსახოციც დამემოწმება, რომლის წყალობითაც მოვახერხე თქვენი გაცნობა.

ამჟამად არ გაჯავრებულა არამისი, მაგრამ თავისებური მოკრძალებით და ალერსიანად უპასუხა:

– ნუ გავიწყდებათ, მეგობარო, რომ გადაწყვეტილი მაქვს, ეკლესიის მსახური გავხდე, და გავურბივარ ამქვეყნიური ცხოვრების ყოველგვარ ცთუნებას. ის ცხვირსახოცი, რომელიც ფეხქვეშ გამომაცალეთ, ჩემთვის არავის მოუცია, იგი ერთ მეგობარს დარჩა ჩემთან სახლში. ცხადია, ცხვირსახოცი უნდა შემენახა, რომ არ შემერცხვინა მეგობარი და სახელი არ გამეტეხა იმ ქალისათვის, რომელიც მას უყვარს. ხოლო ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, მე საყვარელი არცა მყავს და არც მინდა მყავდეს, ამაში მეც ათოსის ბრძნულ მაგალითს ვბაძავ, რომელსაც, აგრეთვე, არავინა ჰყავს.

– ეშმაკმა დალახვროს! ჯერ ხომ ისევ მუშკეტერი ხართ და არა მღვდელი?

– მუშკეტერი დროებითა ვარ, ჩემო კეთილო, კარდინალის სიტყვით რომ ვთქვათ, მე ჩემდა უნებურად ვარ მუშკეტერი, გულით კი, მერწმუნეთ, ეკლესიის მონა-მორჩილი ვარ. ჩემი გართობის მიზნით ათოსმა და პორთოსმა ჩამიხიერეს მუშკეტერებში. სწორედ იმ დროს, როდესაც მღვდლად კურთხევას მიპირებდნენ... მომივიდა პატარა უთანხმოება ერთ... მაგრამ რა საჭირო თქვენთვის ეს ჩემი წარსული, ძვირფას დროს გაკარგვინებთ ტყუილუბრალოდ.

– სრულებითაც არა! პირიქით, მე ძალიან მაინტერესებს ეგ ამბავი, – მიუგო დ არტანიანმა, – გარწმუნებთ, ამჟამად არავითარი საჩქარო საქმე არა მაქვს.

– დიახ, მაგრამ ლოცვანი მაქვს წასაკითხი! – უპასუხა არამისმა, – გარდა ამისა, ქალბატონმა დ ეგილონმა მთხოვა, რამდენიმე ლექსი უნდა დავწერო. შემდეგ სენტ-ონორეს ქუჩაზე ვარ გასასვლელი, წითელი საღებავი უნდა ვუყიდო ქალბატონ დე შევრეზს. ხომ ხედავთ, ჩემო კეთილო, რომ თქვენ თუ არ გეჩქარებათ, მე ძალიან ბევრი საქმე მაქვს სასწრაფოდ მოსაგვარებელი.

სიყვარულით ჩამოართვა ხელი არამისმა ყმაწვილ ამხანაგს და თავისი სასწრაფო საქმეების გასარიგებლად გაეშურა.

რამდენს არ ეცადა, რამდენს არ ეწვალა დ არტანიანი, მაგრამ ამაზე მეტი ვერა გაიგო რა თავის ახალ მეგობრებზე. გადაწყვიტა, ჯერჯერობით ამას დასჯერებოდა და მომავლის იმედი ჰქონოდა, რომ უფრო საფუძვლიან და სარწმუნო ცნობებს შეაგროვებდა მათზე. მანამდე კი ათოსი აქილევსად მიაჩნდა, პორთოსი – აიაქსად, ხოლო არამისი – იოსებად.

საერთოდ კი მხიარულადა ცხოვრობდა ეს ოთხი მეგობარი: ათოსი თამაშობდა და ყოველთვის აგებდა, მაგრამ არასდროს ერთ სუსაც არ ისესხებდა თავისი მეგობრებისაგან, თუმცა მისი ქისა ყოველთვის გახსნილი იყო მათთვის. როცა ფული არა ჰქონდა და ნდობით თამაშობდა, მეორე დღესვე, დილის ექვს საათზე, გამარჯვებულის კარებთან იყო, რომ წინა დღით წაგებული ფული ჩაებარებინა.

პორთოსი ხშირად არ თამაშობდა. მოგების შემთხვევაში იგი თავხედი და ბრწყინვალე იყო, წაგებისას რამდენიმე დღის განმავლობაში სრულიად იკარგებოდა და მერე ისევ გამოჩნდებოდა ჩაყვითლებული, დაღვრემილი სახით, მაგრამ სავსე ჯიბით.

რაც შეეხება არამისს, ის არასოდეს არა თამაშობდა. ურიგო იყო, როგორც მუშკეტერი და უფრო მოსაწყენი და აუტანელი, როგორც სტუმარი. უარესს ვერას წარმოიდგენს ადამიანი ლხინში და დროს ტარებაში. მას ყოველთვის რაღაც საქმე ჰქონდა საჩქაროდ მოსაგვარებელი. ხშირად, როდესაც სუფრას უსხდნენ მეგობრები, ღვინით

გამხიარულებულნი და გაცხარებული ბაასით გართულნი, დარწმუნებულნი, რომ ორ-სამ საათს კიდევ გასტანდა ეს ტკბილი ლხინი... არამისი წამოდგებოდა, საათს დახედავდა, მომხიბლავი ღიმილით ბოდიშს მოიხდიდა იმის გამო, რომ პაემანი ჰქონდა დანიშნული ვიღაც ღვთისმეტყველთან, და გამოეთხოვებოდა საზოგადოებას. ხან კიდევ მოიმიზეზებდა, დისერტაციაზე უნდა ვიმუშაოო, და ამხანაგებს სთხოვდა, არ მოეცდინათ იგი. ამაზე ათოსი უპასუხებდა მომხიბლავი ღიმილით, რომელიც მეტად ამშვენებდა მის დიდებულ იერს. პორთოსი ღვინოს მოიწაფებდა და თან ჰფიცავდა, რომ არამისი თავის დღეში ვერას ეღირსებოდა და მიყრუებული სოფლის მღვდლად მოკვდებოდა.

პლანშემ, დ არტანიანის მსახურმა, ღირსეულად შეიფერა ბედის წყალობა. ოცდაათ სუს აძლევდა ყოველდღე ბატონი და ისიც უსაზღვროდ მადლიერი იყო თავისი ბედისა. ასე გაიარა ერთმა თვემ, მაგრამ, როდესაც გაჭირვების ქარმა დაუქროლა მესაფლავეების ქუჩის მდგმურს, ესე იგი, როდესაც თითქმის უკვე შეჭმული აღმოჩნდა მეფე ლუდოვიკო მეცამეტის ნაჩუქარი ორმოცი პისტოლი, ჩივილი დაუწყო პლანშემ. ეს წუწუნი ათოსს საზიზღრად ეჩვენა, პორთოსს – შეუწყნარებლად, არამისს – სასაცილოდ. ათოსმა ურჩია დ არტანიანს, კინწისკვრით გაეგდო ეს ბრიყვი. პორთოსმა ურჩია – ჯერ კარგად გაელახა და შემდეგ პანღური ეკრა. არამისმა დაარიგა, ყური მოეყრუებინა; ბატონს თავისი მსახურისგან ქებისა და მადლობის მეტი არაფერი უნდა ეყურადებოდესო.

– თქვენ ადვილად ამბობთ მაგას, – უპასუხა დ არტანიანმა, – თქვენ, ჩემო ათოს, ერთხელაც არ გამოელაპარაკებით გრიმოს, რომელსაც ხმის ამოღებას უკრძალავთ და, მაშასადამე, უკადრის სიტყვას ვერ გაიგონებთ მისგან; თქვენ, ჩემო პორთოს, დიდებულად ცხოვრობთ და ამიტომ გაღმერთებთ თქვენი მუშკეტონი; ხოლო თქვენ, ჩემო არამის, ყოველთვის ერთგული ხართ თქვენი ღვთისმეტყველებისა და სათაყვანებლად ჰყავხართ თქვენს მსახურს, გულჩვილსა და ღვთისმოსავ ბაზენს. მე კი ჯერ არც სახარბიელო მდგომარეობა მაქვს, არც შეძლება. მუშკეტერობას რომ თავი დავანებოთ, რაზმელიც კი არა ვარ და რა უნდა მოვიფიქრო ისეთი, რომ ჩემდამი სიყვარული და პატივისცემა ჩავუნერგო ჩემს პლანშეს?

– ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია! – უთხრეს მეგობრებმა, – შინაურ ყოფა-ცხოვრებას შეეხება. მსახურსაც ისე უნდა მოექცეს კაცი, როგორც ცოლს, სახლში შემოყვანისთანავე ის ადგილი უნდა მიუჩინოთ, რომელზედაც გინდათ, საბოლოოდ დარჩეს. კარგად დაუფიქრდით ამას.

დ არტანიანიც დაუფიქრდა ამ დებულებას და გადაწყვიტა, შეშინების მიზნით, სამაგალითოდ გაელახა პლანშე. მან ჩვეული კეთილსინდისიერებით აასრულა თავისი განზრახვა. კარგად სცემა და უბრძანა, ფეხი არ მოეცვალა, ნებადაურთველად სხვაგან სადმე არ გადასულიყო. საერთო გაუხდათ ცხოვრება ოთხ მეგობარს. პროვინციიდან ჩამოსულ დ არტანიანს თავისი ჩვეულება არა ჰქონდა რა, უცნობ საზოგადოებაში უხდებოდა ცხოვრება, ამიტომ მაშინვე შეეგუა ახალ მოთხოვნილებებს და თავისი მეგობრების ჩვეულებებს.

ზამთარში, დაახლოებით, რვა საათზე დგებოდნენ, ზაფხულში – ექვსზე, და ბატონ დე ტრევილის სასახლისაკენ მიეშურებოდნენ ბრძანების მისაღებად. დ არტანიანი ჯერ მუშკეტერებში არ იყო ჩარიცხული, მაგრამ საკვირველი ბეჯითობით ასრულებდა მუშკეტერის მოვალეობას. არ შორდებოდა თავის მეგობრებს და სადაც ისინი იყვნენ სადარაჯოდ, ისიც იქ მიდიოდა, მათთან ერთად ასრულებდა მოვალეობას. ყველა მუშკეტერი იცნობდა მას და კარგ ამხანაგად მიაჩნდათ. დე ტრევილმა პროვინციიდან ჩამოსული მაშინვე ღირსეულად დააფასა: უყვარდა, ეხმარებოდა და ხშირად აქებდა მეფესთან.

თავის მხრივ, სამ მუშკეტერსაც ძალიან შეუყვარდა ყმაწვილი ამხანაგი. მეგობრობა აერთებდა ამ ოთხ კაცს და ცხოვრების მიმდინარეობა მოითხოვდა, რომ დღეში სამ-ოთხჯერ ენახათ ერთმანეთი. ხან დუელის, ხან საქმის გამო, ხან კი საქეიფოდ და დროს გასატარებლად. ჩრდილივით დასდევდნენ ერთმანეთს. ამ განუშორებელ მეგობრებს

ქალაქში ყოველთვის ერთად ხედავდნენ ან ერთმანეთის მძებნელებს ლუქსემბურგიდან სენ-სულპისის მოედნამდე, ან ძველი სამტრედის ქუჩიდან – ლუქსემბურგამდე.

ამასობაში ბატონ დე ტრევილის დაპირებებიც თანდათან სრულდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს მეფემ უბრძანა ბატონ დე ზესარს, მის რაზმში ჩაერიცხა დ არტანიანი უმცროს რაზმელად. ოხვრით ჩაიცვა დ არტანიანმა რაზმელის ტანისამოსი, რომელსაც ნეტარებით გაცვლიდა მუშკეტერის სამოსში, თუნდაც ათი წლის სიცოცხლე მიეცა სართად. მაგრამ ბატონი დე ტრევილი ორი წლის შემდეგ ჰპირდებოდა მას ამ ბედნიერებას, თან იმედს აძლევდა, თუ შემთხვევა მოგეცათ და თვალსაჩინო რამ სამსახური გაუწიეთ მეფეს ან თავი ისახელეთ ვაჟკაცობით, ამ ვადის შემცირებაც შეიძლებაო.

დ არტანიანი დასჯერდა ამ დაპირებას და მეორე დღეს დილიდანვე შეუდგა თავის რაზმში სამსახურს.

ახლა ათოსის, პორთოსის და არამისის რიგი იყო, ახლა ისინი იყვნენ დ არტანიანთან ერთად სადარაჯოზე. ამგვარად, დ არტანიანის სამსახურში მიღებით ბატონ დე ზესარის რაზმმა, ერთის მაგივრად, ოთხი კაცი შეიძინა.

VIII

მიჯნურობის კვანძი

გავიდა ხანი და ბოლო მოეღო ლუდოვიკო მეცამეტის ნაჩუქარ ორმოც პისტოლს, ისევე როგორც ამქვეყნად ყველაფერს აქვს თავისი საწყისი და დასასრული, და იმ უბედური დღიდან დიდ გაჭირვებაში ჩავარდა ჩვენი ოთხი მეგობარი. ჯერ ათოსმა შეინახა კარგა ხანს ამხანაგები, შემდეგ პორთოსს დააწვა ეს მოვალეობა და მანაც თავისებურად გაარიგა საქმე: ცოტა ხნით სადღაც გაქრა და რომ დაბრუნდა, მთელი ორი კვირის განმავლობაში აკმაყოფილებდა თავისი მეგობრების ყოველგვარ მოთხოვნილებას. ბოლოს არამისის ჯერიც მოვიდა და მანაც ეს მოვალეობა პირნათლად შეასრულა. როგორც თვითონ ამბობდა, ძალიან კარგ ფასად გაყიდა ღვთისმეტყველების წიგნები და ამით რამდენიმე პისტოლი იშოვა.

მერე, როდესაც უფრო გაჭირდა საქმე, თავიანთი ჩვეულებისამებრ, დახმარებისათვის მიმართეს ბატონ დე ტრევილს, რომელმაც წინასწარ მისცა მომავალი თვის ჯამაგირი, მაგრამ მიღებული თანხა შორს ვერ წაიყვანდა სამ მუშკეტერს, რომლებსაც უამისოდაც მრავალი ვალი ჰქონდათ ვადაგადაცილებული.

ბოლოს, როდესაც მთლიანად დაუცარიელდათ ქისები, როგორც იყო მოაგროვეს რვა თუ ათი პისტოლი და პორთოსს მისცეს სათამაშოდ. საუბედუროდ, ბედი არ სწყალობდა იმ დროს პორთოსს და ეს ფულიც წააგო, ზედ ოცდახუთი პისტოლიც სხვა მიაყოლა და სიტყვა მისცა, მეორე დღეს გადაუხდიდა.

გაჭირვებას შიმშილი მოჰყვა. დამშეულები, თავის მსახურებთან ერთად, სასადილოდ ნაცნობებთან გარბოდნენ. არამისის მცნებას იცავდნენ – მანამ გაქვს, სთესე სადილ-ვახშამი, გაგიჭირდება – მოიმკეო.

ოთხჯერ დაპატიჟეს ნაცნობებმა ათოსი და ოთხჯერვე თან წაიყვანა მეგობრები მათი მსახურებითურთ. ამგვარივე ექვსი შემთხვევა ჰქონდა პორთოსს და მასაც თან დაჰყავდა მეგობრები და მსახურები. არამისი რვაჯერ მიიწვიეს სადილზე ნაცნობებმა. როგორც უკვე მკითხველიც შეამჩნევდა, იგი ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელსაც არ უყვარდა ხმაურის ატეხა და საქმით კი ბევრს აკეთებდა.

რაც შეეხება დ არტანიანს, ის ჯერ არავის იცნობდა ქალაქში და მხოლოდ ერთხელ მიიწვიეს საუზმეზე თავის თანამემამულე მღვდელთან და სადილად კიდევ – რაზმელ მებაირაღესთან. თავისი ჯარით მიადგა მღვდელს, რომელსაც საუზმეზე ორი თვის მარაგი შეუჭამეს. რაზმელთანაც კარგად გაუმასპინძლდნენ, მაგრამ პლანშესი არ იყოს, რამდენიც უნდა ჭამო, მხოლოდ ერთხელ გაძღები.

ძალიან წუხდა დ არტანიანი, რომ ამხანაგებს ჩამორჩა და სადილნახევრის მეტი ვერ მოახერხა. მღვდელთან მირთმეული საუზმე ნახევარ სადილადაც ძლივს ჩაითვლებოდა, მაშინ, როდესაც ათოსის, პორთოსისა და არამისის მასპინძლები ლხინითა და ქეიფით უხვ-დებოდნენ სტუმრებს. წუხდა გასკონელი, მუქთახორად მიაჩნდა თავი და ბავშვური მიამიტობით ის კი ავიწყდებოდა, რომ მთელი თვის განმავლობაში მისი ფულით ცხოვრობდნენ მისი განუყრელი მეგობრები და მათი მსახურები. წუხდა და სულ იმის ფიქრში იყო, რომ დაეღწია თავი ამ გაჭირვებიდან. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ოთხ ყმაწვილ კაცს, ძალ-ღონით აღსავსეს, გულადსა და მამაცს, ლხინის, ქეიფის, ფარიკაობისა და ოხუნჯობის გარდა, სხვა რამ მიზანიც უნდა ჰქონოდა.

მართლაც, ყოჩაღი ბიჭები იყვნენ ოთხივენი. ერთმანეთისათვის როგორც ქისით, ისე სიცოცხლით თავდადებულნი, ერთმანეთის ქომაგნი და დამხმარენი. რაც უნდა სახიფათო რამ შემთხვეოდათ, უკან დახევა არ იცოდნენ ცალ-ცალკე იყვნენ თუ ერთად, გულ-მოდგინედ ასრულებდნენ ერთად მიღებულ განზრახვას.

ერთი გარემოება მეტად აკვირვებდა დ არტანიანს: მის მეგობრებს აზრადაც არ მოსდიოდათ გაჭირვებიდან თავის დასაღწევი საშუალების ძებნა.

დ არტანიანი კი სულ ამაზე ფიქრობდა ძალიან გულმოდგინედაც, თავს იმტვრევდა, რომ მიმართულება მიეცა ოთხჯერ გამრავლებულ შეუდარებელი ძალისათვის, რომლის დახმარებითაც, ეჭვიც არა ჰქონდა, რაიმე საშუალებას გამონახავდა. ამ ფიქრებით იყო შეპყრობილი გასკონელი, როდესაც კარზე ოდნავ დაუკაკუნეს. მაშინვე გააღვიძა პლანშე და კარის გაღება უბრძანა. მაგრამ ისე კი არ წარმოიდგინოს მკითხველმა, თითქოს ღამე იყო ან ჯერ არ გათენებულიყო, რაკი პლანშეს ეძინა. არა! ნაშუადღევის ოთხი საათი თუ იქნებოდა. ორი საათით ადრე პლანშემ სადილი სთხოვა თავის ბატონს, რაზედაც დ არტანიანმა მოკლედ უპასუხა ანდაზით: „სადილს ისა ჭამს, ვისაც სძინავსო“. და პლანშემაც მაშინვე დაიძინა, რომ სიზმრად ეჭამა სადილი.

გარეგნობით უბრალო იერის კაცი შემოჰყვა პლანშეს, ეტყობოდა, ქალაქის მცხოვრები უნდა ყოფილიყო.

პლანშეს საუბრის მოსმენა სურდა, მაგრამ სტუმარმა მისალმებისთანავე გამოუცხადა დ არტანიანს, რომ მეტად მნიშვნელოვანი და საიდუმლო საქმე ჰქონდა, და სთხოვა, მარტოდ დარჩენილიყვნენ.

დ არტანიანმა პლანშე გაისტუმრა და სტუმარს სკამი შესთავაზა.

მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა, ისინი ერთმანეთს დაკვირვებით შესცქეროდნენ, თითქოს ცდილობდნენ, წინასწარვე გაეცნოთ ერთმანეთი. შემდეგ დ არტანიანმა თავი დაუკრა იმის ნიშნად, რომ უსმენდა.

– ბატონ დ არტანიანის ქება ყველგან გამიგონია, როგორც გულადი ყმაწვილი კაცისა, – უთხრა სტუმარმა, – სწორედ ამ ღირსეულად დამსახურებულმა ქებამ გამაბედვინა თქვენი შეწუხება და ჩემი საიდუმლოს განდობა.

– ბრძანეთ, ბატონო, ბრძანეთ, – წააქეზა დ არტანიანმა, რომელმაც ალღოთი იგრძნო რაღაც სასარგებლო.

ცოტა ხანს კიდევ გაჩუმდა სტუმარი და შემდეგ კვლავ განაგრძო:

– ჩემი მეუღლე, ბატონო, სარეცხის საქმეს განაგებს დედოფალთან. მას არც ჭკუა და არც სილამაზე არ აკლია. ამ სამი წლის წინათ შემრთეს იგი; მზითვი ძალიან ცოტა ჰქონდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბატონი დე ლა პორტი, დედოფლის პირისფარეში, ნათლია გახლავთ მისი და ძალიანაც ეხმარება.

– მერე, ბატონო? გისმენთ, – უთხრა დ არტანიანმა.

– შემდეგ, ბატონო, – განაგრძო მოსულმა. – შემდეგ ის, რომ... გუშინ დილით მოიტაცეს ჩემი მეუღლე, როდესაც იგი თეთრეულების ოთახიდან გამოდიოდა.

– მერედა, ვინ მოიტაცა თქვენი მეუღლე?

– დანამდვილებით ვერას მოგახსენებთ, ბატონო, მაგრამ ეჭვი კი მაქვს ერთ კაცზე.

– ვინ არის ეგ კაცი, ვისზე გეპარებათ ეჭვი?

– კაცი, რომელიც დიდი ხანია, სულ უკან დასდევს.

– აი, დალახვროს ეშმაკმა!..

– მაგრამ, მომისმინეთ, ბატონო, – განაგრძო სტუმარმა, – დარწმუნებული ვარ, რომ მოტაცების მიზეზი უფრო პოლიტიკურია, ვიდრე სიყვარული.

– უფრო პოლიტიკური, ვიდრე სიყვარული? – გაიმეორა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დ არტანიანმა, – რისი თქმა გსურთ ამით?

– არ ვიცი, ღმერთმანი, შეიძლება თუ არა გითხრათ, ვისზე მაქვს ეჭვი?

– უკაცრავად, ბატონო! უნდა მოგახსენოთ, რომ მე თქვენ არაფერს გეკითხებით, თვითონ მობრძანდით ჩემთან, თქვენივე სიტყვით, მნიშვნელოვანი საიდუმლოს გასანდობად. მოიქეცით ისე, როგორც გიჯობდეთ. კიდევ დრო გაქვთ, შეგიძლიათ წახვიდეთ, ჯერ ხომ არაფერი გითქვამთ?

– არა, ბატონო, არა! პატიოსან ყმაწვილკაცად მიმაჩნიხართ და სრული ნდობით მოგმართავთ. დიახ, მე მგონია, ჩემი ცოლი იმისთვის კი არ მოიტაცეს, რომ ის მოსწონთ, არამედ სხვა ქალის სიყვარულის გამო, რომელიც გაცილებით უფრო უმაღლესი წოდების წარმომადგენელია, ვიდრე ჩემი მეუღლე.

– ოჰო, იქნება ქალბატონი დე ბუატრასის სიყვარულია? – წამოიძახა დ არტანიანმა, რომელსაც უნდოდა ეჩვენებინა მოსაუბრისათვის, რომ მანაც იცოდა სასახლის ყოფა-ცხოვრების ამბები.

– უფრო ზევით, ბატონო.

– ქალბატონი დ ეგილონი?

– უფრო ზევით.

– ქალბატონი დე შევრეზი?

– ზევით, ბატონო, უფრო ზევით!

– ქალბატონი... – თქმა ვეღარ გაბედა დ არტანიანმა.

– დიახ, ბატონო, სწორედ ისა, – უპასუხა შიშით აცახცახებულმა სტუმარმა ისეთი ჩუმი ხმით, რომ ძლივს გაიგონებდით.

– მერე, ვის სიყვარულსა სწამებენ?

– ვის სიყვარულს დასწამებენ, თუ არა ჰერცოგ...

– ჰერცოგისას?

– დიახ, ბატონო, – უპასუხა მოსულმა ახლა უფრო ჩუმი ხმით.

– მერე, თქვენ საიდან იცით ეს ყველაფერი?

– ეჰ, საიდან ვიცი?

– დიახ, თქვენ საიდან იცით? ან სრული ნდობა, ჩემო ბატონო, ან არადა... ხომ გესმით?!

– ჩემი ცოლისაგან ვიცი, ბატონო, ჩემი ცოლისაგან.

– თქვენმა ცოლმა საიდანღა იცის?

– ბატონ დე ლა პორტისაგან, აკი მოგახსენეთ, რომ ჩემი მეუღლე ბატონ დე ლა პორტის ნათლულია, რომელიც დედოფლის დიდი ნდობით სარგებლობს. დიახ, დე ლა პორტმაც იმ განზრახვით შეიყვანა ჩემი ცოლი დედოფლის სამსახურში, რომ დედოფალს ერთგული ვინმე ჰყოლოდა, რომელსაც სრულიად უშიშრად მიენდობოდა. მეფეს გული აქვს აცრუებული თავის მეუღლეზე, კარდინალიც ჯაშუშებს ახვევს. ასე რომ, დედოფალს გარს მხოლოდ მტრები და მოღალატეები ეხვია.

– აჰა, აი, ახლა ცხადია, – თქვა დ არტანიანმა.

– დიახ, ამ ოთხი დღის წინათ მოვიდა ჩემი ცოლი; სამსახურში შესვლისას ასეთი პირობა შეკარით, რომ კვირაში ორჯერ მნახავდა, რადგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, ძალიან ვუყვარვარ საწყალ ქალს. დიახ, ამ ოთხი დღის წინათ მოვიდა ჩემს სანახავად და საიდუმლოდ მითხრა, რომ დიდ შიშს განიცდის ამჟამად დედოფალი.

– მართლა?

– დიახ. როგორც ეტყობა, მოსვენებას აღარ აძლევს კარდინალი. სიცოცხლეს უფრო მეტად უმწარებს, ვიდრე აქამდე. ჯერაც არ დავიწყებია სარაბანდა[1], ვერა და ვერ უპატიებია დედოფლისათვის. თქვენ გეცოდინებათ, რაღა თქმა უნდა, სარაბანდის ამბავი?

— ვიცი და ასე!!! — იტკიცა დ არტანიანმა. არა იცოდა რა ამ სარაბანდისა, მაგრამ უნდა ისე სჩვენებოდა სტუმარს, თითქოს დაწვრილებით იცოდა დიდებული საზოგადოების საიდუმლოებანი.

— ისე რომ, ამჟამად, ბატონო, სიძულვილი კი არა, ჯავრის ამოყრაა.

— ნამდვილად?

— დედაფალსა ჰგონია, რომ...

— რა ჰგონია დედოფალს?

— დედოფალსა ჰგონია, რომ მისი სახელით წერილი მისწერეს ჰერცოგ ბუკინგამს.

— დედოფლის სახელით?

— დიახ, დედოფლის სახელით, სურთ, პარიზში შემოიტყუონ და ხაფანგში გააბან.

— აი დასწყევლოს ეშმაკმა!.. მერე, თქვენი მეუღლე, ბატონო! რა შუაშია თქვენი მეუღლე?

— იციან, ბატონო, რომ დედოფლის ერთგული მოსამსახურე გახლავთ, და ცდილობენ, ჩამოაშორონ თავის ქალბატონს; ან დააშინონ იმდენად, რომ დედოფლის საიდუმლოებანი ათქმევინონ; ან მოისყიდონ, აცთუნონ და დედოფალთან იყოლიონ თავიანთ ჯაშუშად.

— შესაძლებელია, რომ ასეც იყოს, — თქვა დ არტანიანმა, — მაგრამ მითხარით, იცნობთ იმ კაცს, თქვენი მეუღლე რომ მოიტაცა?

— აკი მოგახსენეთ, მგონი, უნდა ვიცნობდე.

— ვინ არის? რა ჰქვია?

— სახელი არ ვიცი, ბატონო, მე მარტო ის ვიცი, რომ კარდინალის კაცია, მასავით ქოფაკი.

— კარგი, მაგრამ ხომ გინახავთ ის კაცი?

— დიახ, ჩემმა ცოლმა დამანახვა ერთხელ.

— ისეთი ნიშანი არა აქვს რა, რომ შეიძლებოდეს მისი ცნობა?

— როგორ არა, ბატონო! დიდებული კაცის შესახედაობა აქვს, შავი წვერ-ულვაში, შავგვრემანი, გამგმირავი თვალები, ელვარე კბილები, თანაც პატარა ჭრილობა ეტყობა საფეთქელთან.

— პატარა ჭრილობა საფეთქელთან? — შეჭყვირა დ არტანიანმა, — ელვარე კბილები, შავგვრემანი და დიდებული კაცის შესახედაობა აქვს! ეს ხომ ის არის, მენგელი კაცი.

— მენგელიო, თქვენ ბრძანეთ!

— დიახ, დიახ, მაგრამ ეგ არაფერს არ ნიშნავს. არა ვცდები, პირიქით, თუ ეს კაცი, იმავე დროს, ჩემი მტერიც აღმოჩნდა, ორივეს ჯავრს ერთად ამოვიყრი, თქვენსასაც და ჩემსასაც, მაგრამ სად ვიპოვო.

— არ ვიცი, ბატონო.

— არავითარი ცნობა არა გაქვთ, სადა ცხოვრობს?

— არავითარი. ერთხელ ჩემი მეუღლე მივაცილე ლუვრამდე და სწორედ მაშინ შეგვხვდა ის კაცი, სასახლიდან გამოდიოდა. ჩემმა ცოლმა დამანახვა მაშინ.

— დასწყევლოს ღმერთმა! — ბურტყუნებდა დ არტანიანი, — მეტად ბუნდოვანი საქმეა! თქვენი მეუღლის მოტაცება ვინ შეგატყობინათ?

— ბატონმა დე ლა პორტმა.

— დაწვრილებით გაცნობათ, როგორ მოუტაცნიათ?

— არა, ბატონო, თვითონაც არაფერი იცის.

— თქვენ? თქვენ ვერა გამოარკვიეთ რა?

— დიახ, ბატონო, ზოგი რამ გავიგე... მე მივიღე...

— რა მიიღეთ?

— არ ვიცი, იქნება დიდ გაუფრთხილებლობას ვიჩენ...

— ეჰ, ისევ იმას გაიძახით! უნდა მოგახსენოთ, რომ დაგვიანებული იქნება ეგ თქვენი სიფრთხილე და უნდობლობა.

— არცა ვფრთხილობ, ბატონო, და არც უნდობლობას ვიჩენ! — შეჭყვირა სტუმარმა, რომ წაექეზებინა თავისი გამბედაობა, — მაშ, ბონასიე არა ყოფილვარ...

— თქვენ ბონასიე ბრძანდებით? — შეაწყვეტინა დ არტანიანმა.

— დიახ, ბონასიე გახლავართ.

— თქვენა თქვით, მაშ, ბონასიე არა ვყოფილვარო, ბოდიში, სიტყვა შეგაწყვეტინეთ, მაგრამ, ჩემთვის უცნობი არ უნდა იყოს ეგ გვარი.

— შესაძლებელია, ბატონო, თქვენი სახლის პატრონი გახლავართ.

— ჰოო! — წამოიძახა დ არტანიანმა, ოდნავ წამოიწია და თავი დაუკრა, — მაშ, ჩემი სახლის პატრონი ბრძანდებით?

— დიახ, ბატონო, სამი თვეა ჩემს სახლში დგახართ. უეჭველია, გართული ბრძანდებით სამსახურით და დიდრონი საქმეებით და დავიწყებული გაქვთ ქირის გადახდა. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შემიწუხებიხართ ამ წვრილმანით. ამიტომ ვიფიქრე, თქვენც ღირსეულად დამიფასებდით ამ პატივისცემას.

— დაგიფასებთ და ასე, ჩემო კეთილო ბატონო ბონასიე? — მიუგო დ არტანიანმა, — მერწმუნეთ, დიდი მადლობელი ვარ ასეთი თავაზიანი მოქცევისათვის და კიდევ გიმეორებთ, თუკი შევიძელ რითიმე თქვენი დახმარება...

— მჯერა, ბატონო, მჯერა და სწორედ ეს მინდოდა მეთქვა: ბონასიე არ ვიყო, თუ სრული ნდობა არ მქონდეს თქვენი.

— მაშ, პირდაპირ მითხარით, რის თქმას აპირებდით.

ბონასიემ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და დ არტანიანს მიართვა.

— წერილი? — წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა.

— დღეს დილით მომივიდა.

დ არტანიანმა წერილი გახსნა და, რადგან ბინდდებოდა, ფანჯარასთან მივიდა. ბონასიეც თან მიჰყვა.

„ნუ ეძებთ თქვენს ცოლს, — წაიკითხა დ არტანიანმა, — თქვენვე დაგიბრუნდებათ, როდესაც ადარაფერში დაგვჭირდება. ცოცხალი ვერ გადაგვირჩებით, თუ რამე გაბედეთ მის ადმოსაჩენად“.

— აჰა, გასაგებია! — განაგრძო დ არტანიანმა, — მაგრამ ბოლოს და ბოლოს, აქ მუქარის მეტი არაფერია.

— დიახ, ბატონო, შიშის ზარსა მცემს ეს მუქარა. მე, ბატონო, ხმალ-ხანჯლისა არა ვიცი რა და ბასტილიის ციხისაც ძალიან მეშინია.

— თქვენზე მეტად არც მე მიყვარს ბასტილიის ციხე. მარტო ხმალზე რომ იყოს საქმე, ღვთის წყალობა გაქვთ, მე...

— დიდი იმედი მქონდა თქვენი დახმარებისა, ბატონო...

— მართლა?

— მე ყოველთვის მუშკეტერებთან გხედავთ, ბატონო, და ისეთ ყოჩაღ ბიჭებთან, რომ უკეთესს ვერა ნახავს ადამიანი. ისინი ხომ ბატონ დე ტრევილის რაზმელები არიან და, მაშასადამე, კარდინალის მტრებიც იქნებიან. ამიტომ ვიფიქრე, თქვენ და თქვენი მეგობრები თანაუგრძნობდით საცოდავ ჩვენს დედოფალს და მისი ჯავრის ამოსაყრელად რაიმე ოინს უზამდით მის ყოვლადუწმინდესობას.

— მართალია.

— გარდა ამისა, სამი თვის ქირაზე სიტყვაც არ მითქვამს თქვენთვის...

— დიახ, დიახ, თქვენ უკვე გამოიყენეთ ეს საბუთი და მეც საფუძვლიანად ვცნობ.

— გადაწყვეტილი მაქვს, ბატონო, რაც უნდა დიდხანს დარჩეთ ჩემს სახლში, არ შეგაწუხოთ ქირის გადახდაზე.

— ძალიან კარგი.

— ახლა ესეც მიიღეთ მხედველობაში, რომ, თუ საქმე მოითხოვს, შემიძლია ორმოცდაათი პისტოლის მორთმევაც, თუ ამჯერად, დროებით, ცარიელი გაქვთ ქისა.

— საუცხოო აზრი მოგსვლიათ!.. მაშ, თქვენ მდიდარი კაცი ყოფილხართ, ჩემო კეთილო ბატონო ბონასიე!

— არა მიჭირს რა, ღვთის მადლით, ბატონო, ფართლეულით ვვაჭრობდი და დავაგროვე ფული. სახელოვან ნაოსან ჟან მოკეს უკანასკნელი მგზავრობის მოსაწყობად მე შევიტანე

ცოტაოდენი ფული და კარგი მოგებაც ვნახე, დღეს ორი-სამი ათასი ეკიუ რენტა მაქვს. ისე რომ, თქვენ თვითონაც ხედავთ... აჰა! აგერ! – შეჰყვირა უცბად ბონასიემ.

– რა იყო? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– აი, აი!

– სადა?

– ქუჩაში, თქვენი ფანჯრების პირდაპირ, აი, იმ შესასვლელში. წამოსასხამში გახვეული კაცი...

– ის არის! – შეჰყვირეს ერთად დ არტანიანმა და ბონასიემ. ორივემ იცნო საერთო მტერი.

– ახლა კი ვეღარსად წამივა! – შეჰყვირა დ არტანიანმა და ხმალს ეცა. ხმალი ქარქაშიდან ამოიღო და გარეთ გაიჭრა.

კიბეზე მის სანახავად მოსული ათოსი და პორთოსი შეხვდნენ. მეგობრებმა გზა მისცეს და დ არტანიანიც ისარივით ჩასრიალდა.

– რა მოგეჩვენა? სად მირბიხარ? – შეჰყვირეს ერთად ათოსმა და პორთოსმა.

– მენგელი კაცია! – მიაძახა მან და ერთ წამში ქუჩაში გაჩნდა. დ არტანიანს რამდენჯერმე ეამბნა თავისი მეგობრებისათვის მენგში ვიღაც უცნობთან შეტაკების ამბავი და ლამაზ ქალთან შეხვედრა, რომელსაც იმ უცნობმა კოლოფი ჩააბარა და რთული დავალება მისცა.

ათოსის აზრით, დ არტანიანს ალბათ ჩხუბის დროს დაეკარგა მამის წერილი. მისი შეხედულებით, დ არტანიანის მიერ აღწერილი კაცი არ შეიძლებოდა პატიოსანი არ ყოფილიყო და, რასაკვირველია, წერილის მოპარვას არ იკადრებდა.

პორთოსი ამ ამბავში სულ უბრალო პაემანს ხედავდა, მიჯნურის მიერ ლამაზი ქალისთვის დანიშნულს, რომელიც შხამად გადაუქცია დ არტანიანმა და მისმა ყვითელმა ცხენმა.

არამისის შეხედულებით, საიდუმლოებით იყო სავსე ეს საქმე და საჭიროდ არ მიაჩნდა მისი გამოკვლევა.

დ არტანიანის მიერ საჩქაროდ წამოსროლილმა ორმა-სამმა სიტყვამ მაშინვე მიახვედრა ათოსი და პორთოსი, სად და რისთვის მირბოდა მათი მეგობარი. ცხადი იყო, დ არტანიანი დაეწეოდა თავის უცნობს, ხოლო თუ დღესაც დაკარგავდა სადმე, ბოლოს და ბოლოს, მაინც თავის ბინას მოსძებნიდა და დაბრუნდებოდა, ამიტომ მათ გზა განაგრძეს.

ოთახში არავინ დახვდათ. სახლის პატრონს დ არტანიანისა და უცნობის შეხვედრისა შეშინებოდა. ბონასიეს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ აქ სისხლი დაიღვრებოდა და, თანახმად მის მიერვე თავისი გულადობის აღიარებისა, გადაეწყვიტა: გონება იმიტომა აქვს ადამიანს, რომ განსაცდელს მოერიდოსო.

IX

დ არტანიანი ამჟღავნებს თავის ხასიათს

გამართლდა ათოსის და პორთოსის წინასწარმეტყველება: ნახევარი საათის შემდეგ დ არტანიანი, მართლაც, დაბრუნდა, ახლაც, როგორც წინათ, სადღაც მიმალულიყო უცნობი. ისე გაქრა, თითქოს ცას ან დედამიწას ჩაეყლაპოს.

ხელში ამოღებული ხმლით დ არტანიანმა სწრაფად მოირბინა ყველა ახლომახლო ქუჩა, მაგრამ იმ უცნობის მსგავსიც კი არავინ შეხვდა. ბოლოს ის გადაწყვიტა, რაც დასაწყისში უნდა გაეკეთებინა: იმ სახლს დაბრუნებოდა, რომლის კართანაც უცნობი იდგა. დააკაკუნა, მაგრამ აქაც ამაოდ ჩაუარა ცდამ: ათჯერ თუ თორმეტჯერ დაჰკრა ჩაქუჩი კარს, მაგრამ სახლიდან პასუხი არავინ მისცა. ამ ხმაურმა ფეხზე წამოაყენა მეზობლები, ზოგმა ქუჩის კარი გააღო, ზოგმა ფანჯრიდან გადმოიხედა. ერთხმივ არწმუნებდნენ ყველანი, რომ ეს სახლი გამოკეტილი იყო და ექვსი თვის მანძილზე არავის ეცხოვრა შიგ. მართლაც. იმ სახლის ყველა ფანჯარას დარაბები ეფარა.

მანამ დ არტანიანი ქუჩებში დარბოდა და კარებს აკაკუნებდა, არამისიც შემოუერთდა თავის ორ ამხანაგს და გასკონელს შინ დაბრუნებისას მეგობრების სრული კრება დახვდა.

– ჰა, რა გაარიგე? – ჰკითხა ერთად სამმა მუშკეტერმა დ არტანიანს, რომელსაც აღშფოთებულ სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

– რა გავარიგე! – შეჰყვირა დ არტანიანმა და ხმალი ლოგინზე დააგდო, – ხორცშესხმული ქაჯი უნდა იყოს ის მხდალი, ისე გაქრა, როგორც ლანდი, როგორც ჩრდილი, როგორც მოჩვენება.

– გწამთ რამე მოჩვენებისა? – ჰკითხა ათოსმა პორთოსს.

– მე მარტო ის მწამს, რასაც ვხედავ, და ვინაიდან მოჩვენება არასოდეს არ მინახავს, მაშ, არცა მწამს.

– ასეა თუ ისე, ადამიანია თუ ქაჯი, სხეულია თუ აჩრდილი, მოჩვენებაა თუ სინამდვილე, ცხადია, რომ სწორედ ჩემს საწამებლადაა გაჩენილი. მისმა გაქცევამ ერთი საგანგებო საქმე ჩაგვიშალა, ბატონებო, ისეთი საქმე, რომელშიც ასი პისტოლი გვრჩებოდა ნაღდად და იქნება მეტიც.

– როგორ თუ ასი პისტოლი? – ჰკითხეს ერთად პორთოსმა და არამისმა.

– რაც შეეხება ათოსს, მან არც აქ დაარღვია თავისი ჩვეულებრივი დუმილი და იმით დაკმაყოფილდა, რომ თვალებით შეეკითხა დ არტანიანს.

ამ დროს პლანშემ კარი ოდნავ შემოაღო და თავი შემოყო: უნდოდა ბატონების ამ საუბრიდან ცოტა რამე მაინც გაეგონა.

– პლანშე! – უბრძანა დ არტანიანმა მსახურს, – ჩადით ჩვენს სახლის პატრონთან, ბატონ ბონასიესთან, და უთხარით, ექვსი ბოთლი ბოჟანსის ღვინო გამოგვიგზავნოს. მე ბოჟანსისა უფრო მომწონს, ვიდრე სხვა.

– აჰ, ღმერთო! მაშ, მაგდენი ნდობით სარგებლობთ თქვენს სახლის პატრონთან? – ჰკითხა პორთოსმა.

– დიახ, – უპასუხა დ არტანიანმა, – დღეიდან, ბატონებო, არხეინად ბრძანდებოდეთ, თუ ეს ღვინო არ მოგვეწონა, სხვა, უკეთესის მოსატანადაც გავგზავნით.

– ბრძენსა ხამს სარგებლობაო და არა გადაჭარბებაო! – თქვა დარიგებით არამისმა.

– ტყუილად კი არ ვამბობდი, რომ ჩვენში ყველაზე ჭკვიანი თავი დ არტანიანს აქვს-მეთქი, – თქვა ათოსმა და დ არტანიანმა მადლობის ნიშნად თავი რომ დაუკრა, ისევ ჩვეულებრივ დუმილს მიეცა.

– ბოლოს და ბოლოს, არ უნდა გვითხრათ, რაშია საქმე? – ჰკითხა პორთოსმა.

– მართლაც, გაგვაგებინეთ, რაშია საქმე? – მიმართა ახლა არამისმა, – გაგვაგებინეთ, ჩემო საყვარელო მეგობარო, თუ ამით პატიოსანი ქალის სახელი არ შეიბღალება, ხოლო თუ იბღალება, ის ემჯობინება, რომ სულაც არაფერი თქვათ.

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, – უპასუხა დ არტანიანმა, – მე არავის პატიოსნებას არ შევეხები. აი, მომისმინეთ...

მან სიტყვასიტყვით, დაწვრილებით უამბო თავის მეგობრებს ყველაფერი, რაც მისმა სახლის პატრონმა უთხრა, ამას ისიც დაუმატა, რომ უცნობი, რომელმაც ბონასიეს ცოლი მოიტაცა, სწორედ ის კაცია, რომელთანაც მას ჩხუბი მოუვიდა მენგში, „თავისუფალი მეწისქვილის“ სასტუმროში.

– არ უნდა იყოს ურიგო საქმე, – თქვა ათოსმა, როდესაც გამოცდილი კაცის გამომეტყველებით გასინჯა ღვინის გემო და კმაყოფილება დაეტყო სახეზე, – შეიძლება ერთი ორმოცდაათი-სამოცი პისტოლიც დავაძროთ თქვენს ბონასიეს, მაგრამ ჯერ უნდა მოვიფიქროთ და განვსაჯოთ, ღირს კი ორმოცდაათი-სამოცი პისტოლისთვის გაეწიროთ ოთხმა კაცმა?

– ნუთუ გავიწყდებათ, რომ ქალი ურევია ამ საქმეში! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – მოიტაცეს ქალი და, ცხადია, ემუქრებიან. იქნება კიდეც ტანჯავენ, აწამებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ქალბატონის ერთგულია.

– ფრთხილად, დ არტანიან, ფრთხილად, – უთხრა არამისმა, – მე რომ მკითხოთ, ძალიან ცხარობთ ქალბატონ ბონასიეს მდგომარეობაზე. ქალი ჩვენს წასაწყმენდად გააჩინა ღმერთმა, ქალისგან არის, რომ ამოდენა უბედურება ახვევია კაცს.

არამისის სიტყვებზე ათოსმა წარბები შეჭმუხნა და ტუჩზე იკბინა.

– მე ქალბატონ ბონასიეზე არ ვწუხვარ, – მიუგო დ არტანიანმა, – დედოფლის მდგომარეობა მაფიქრებს, ბატონებო, დედოფლისა. მეფემ მიივიწყა იგი, კარდინალი სდევნის დედოფალს და დღე არ გავა, რომ თავი არ გააგდებინონ მის რომელიმე ერთგულს.

– ჰოდა, რად უყვარს ესპანელები და ინგლისელები? სწორედ ისინი, ვინც ჩვენ დასანახავად გვეჯავრება!

– ესპანეთი მისი სამშობლოა, – უპასუხა დ არტანიანმა, – და სრულიად ბუნებრივია, რომ თავისი თანამემამულენი, სამშობლო ქვეყნის შვილები უყვარდეს. რაც შეეხება მეორე ბრალდებას, გამიგონია, რომ ინგლისელები კი არა, ინგლისელი უყვარსო.

– ეჰ, ჯობს, მართალი ვაღიარო, – თქვა ათოსმა, – ნამდვილად სიყვარულის ღირსია ის ინგლისელი. არასოდეს არავინ მინახავს ისეთი მომხიბლავი.

– ახლა მისი ტანისამოსი! – დაიძახა პორთოსმა, – ისე კოხტად ჩაცმული სხვა არავინ მეგულება, ლუვრში ვიყავ იმ დღეს. მარგალიტებს რომ აბნევდა... უნდა გამოვტყდე, ორი ავიღე და თითო ათ-ათ პისტოლად გავყიდე. შენა, არამის, შენც იცნობ, არა?

– ისევე კარგად, როგორც თქვენ, ბატონებო, მე ერთ-ერთი ვიყავი მათ შორის, ვინც იგი დააკავა ამიენის ბაღში, სადაც შემაპარა დედოფლის მეჯინიბემ, ბატონმა დე პიუტანჟმა, მაშინ ჯერ კიდევ სემინარიაში ვსწავლობდი. ეს ამბავი, როგორც მეჩვენებოდა, მეფეს შეურაცხყოფდა.

– და მაინც, რომ ვიცოდე, სად არის ჰერცოგი ბუკინგამი, ალბათ, ხელს ჩავკიდებდი და ისე მოვიყვანდი დედოფალთან. თუნდაც მარტო იმიტომ, რომ კარგად გამებრაზებინა ბატონი კარდინალი. მერწმუნეთ, ბატონებო, ერთადერთი ჩვენი მტერი, ჩვენი მუდმივი მოსისხლე მტერი, კარდინალია, და სიამოვნებით თავს გავწირავდი, თუკი რაიმე ოინით თავბედს ვაწყევლინებდი, – თქვა დ არტანიანმა.

– მაშ, იმ კაცმა გითხრათ, დ არტანიან, თითქოს დედოფალი შიშობდეს – ვაითუ ჩემი სახელით მოიტყუესო ბუკინგამი პარიზში? – ჰკითხა ათოსმა.

– დიახ, ბატონო, და ძალიანაც ეშინია თურმე.

– მომითმინეთ, მომითმინეთ! – თქვა არამისმა.

– რა მოხდა? – გაიკვირვა პორთოსმა.

– არაფერია, განაგრძეთ. ერთი რამ მაგონდება.

– რაკი ასეა, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ქალის, დედოფლის ერთგული მხევლის მოტაცება დაკავშირებულია იმ წერილთან და შეიძლება ბატონ ბუკინგამის პარიზში ყოფნასთანაც, – თქვა დ არტანიანმა.

– საკვირველი შორსმჭვრეტი თვალი აქვს გასკონელს! –თქვა აღტაცებით პორთოსმა.

– მეც ძალიან მიყვარს მისი საუბარი, – დასძინა ათოსმა, – საამოა მისი გასკონური კილო და გამოთქმა.

– მომისმინეთ, ბატონებო! – თქვა არამისმა.

– მოვუსმინოთ არამისს!

– გუშინ ღვთისმეტყველების დოქტორთან ვიყავი, რომელსაც ხანდახან ვესაუბრები ჩემი შრომის შესახებ...

ათოსს ღიმილი მოერია.

– მიყრუებულ უბანში ცხოვრობს, – განაგრძო არამისმა, – მისი პროფესია და გემოვნება მოითხოვს ასეთ სიმშვიდეს, და სწორედ იმ დროს, როდესაც იქიდან გამოვდიოდი... – აქ არამისი გაჩუმდა.

– მერე, მერე? – მისცვივდნენ ამხანაგები, – სწორედ იმ დროს, როდესაც გამოდიოდით...

არამისმა თავს ძალა დაატანა ისე, როგორც ამას აკეთებს სიცრუის მთქმელი ადამიანი, რომელსაც წინ გადაეღობება მოულოდნელობა, მაგრამ ისეთი დაშტერებით შესცქეროდნენ სმენად გადაქცეული ამხანაგები, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო უკან დახევა.

– ჩემს მეგობარ დოქტორს დისწული ჰყავს, ახალგაზრდა ქალი, – განაგრძო არამისმა.

– ოჰო, ახალგაზრდა ქალი? – შეაწყვეტინა პორთოსმა.

– ძალიან პატიოსანი და პატივსაცემი, – არამისის ამ სიტყვებზე სიცილი წასკდა სამთავეს.

– ეჰ, თუ ასე იცინებთ ან ეჭვი გეპარებათ, ჩემგან ველარაფერს გაიგებთ.

– ჩვენ გვწამს, ვითარცა მაჰმადიანთ და მუნჯნი ვართ, ვითარცა აკლდამა, – უთხრა ათოსმა, – განაგრძეთ!

– ვაგრძელებ! – დაიწყო არამისმა, – ის ქალი ხანდახან თავისი ბიძის სანახავად დადის. – გუშინ ისიც სწორედ მაშინ მოსულა, როდესაც შემთხვევით მეც იქ გახლდით და წამოსვლისას... იძულებული შევიქენი, თავისივე ეტლით წამომეყვანა.

– ოჰო, მაშ, თავისი ეტლიცა ჰქონია დოქტორის დისწულს? – შეაწყვეტინა პორთოსმა, რომელიც ვერ აჩერებდა მოუსვენარ ენას, – კარგი ნაცნობები გყოლიათ, მეგობარო!

– პორთოს, – მიმართა არამისმა, – რამდენჯერ გთხოვეთ და გაგაფრთხილეთ, რომ მეტად კადნიერი ხართ და ამით ბევრსა კარგავთ ქალებში.

– ბატონებო, ბატონებო, – შეჰყვირა დ არტანიანმა, რომელიც კარგად ჭვრეტდა ამ საქმის არსს, – მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა მოსასმენი და თუ შესაძლებელია, ნუღარ ვიხუმრებთ, მერე, არამის, მერე?

– უცბად ერთი კაცი მომიახლოვდა, ტანად ახოვანი, შავგვრემანი, კეთილშობილი სახისა... აი, იმგვარი, დ არტანიან, როგორც თქვენი უცნობი.

– ან იქნებ, სწორედ იგივე, – მიუგო დ არტანიანმა.

– იქნება ასეც იყოს, – განაგრძო არამისმა. – მომიახლოვდა თავისი მხლებლებით, ხუთ-ექვსი კაცი ათი ნაბიჯის მოშორებით დადგა. ის კი მოვიდა ჩემთან, დიდი მოწიწებით მომმართა: „ბატონო ჰერცოგო“... – მერე ქალს გადახედა, რომელიც ხელიხელგაყრილი მომყავდა, და უთხრა: „თქვენც, ქალბატონო“...

– დოქტორის დისწულს?

– ჩუმად იყავით, პორთოს! – შეუტია დ არტანიანმა, – სწორედ აუტანელი კაცი ხართ!

– „კეთილ ინებეთ, ჩაბრძანდით ამ ეტლში და გთხოვთ, არავითარი წინააღმდეგობა არ გამიწიოთ, არავითარი ხმაური ან ყვირილი“...

– ბუკინგამი ეგონეთ? – შეჰყვირა დ არტანიანმა.

– მგონი, რომ ასე იყო, – თქვა არამისმა.

– მერე, ის ქალი? – ჰკითხა პორთოსმა.

– ის კიდევ – დედოფალი! – უპასუხა დ არტანიანმა.

– ნამდვილად, – დაემოწმა არამისი.

– სწორედ რომ გულთმისანია ჩვენი გასკონელი! – წამოიძახა ათოსმა, – ამას არაფერი დაემალება.

– საქმე ისაა, რომ სიმაღლით და ტანადობით ძალიანა ჰგავს არამისი ბუკინგამს, მაგრამ მუშკეტერის ტანისამოსი?.. – თქვა პორთოსმა.

– დიდი წამოსასხამი მფარავდა, – უპასუხა არამისმა.

– ივლისის სიცხეში? აი დასწყევლოს! – ნუთუ ეშინია თქვენს დოქტორს, მისი სტუმარი არავინ იცნოს? – წამოიძახა პორთოსმა.

– ძალიან კარგი, – თქვა ათოსმა, – ტანადობით ბუკინგამს მიგამსგავსათ, მაგრამ სახეს ვერა ხედავდა?

– დიდი ქუდი მეხურა, თვალებზე ჩამოწეული.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! – შეჰყვირა პორთოსმა, – რამდენი სიფრთხილე სჭირდება ღვთისმეტყველების შესწავლას!

– ბატონებო, ბატონებო! – სთხოვა დ არტანიანმა, – ხუმრობაზე ნუ დავკარგავთ დროს. მოდით, დავიშალოთ და ჩემი სახლის პატრონის ცოლის ძებნას შევუდგეთ. ეს არის ყველა ინტრიგის გასაღები.

– ვიღაც მდაბიო მოქალაქის ცოლის ძებნას შევუდგეთ? თქვენ ამბობთ მაგას, დ არტანიან? – თქვა პორთოსმა და ტუჩები ზიზღით დამანჭა.

— დე ლა პორტის ნათლულია და დედოფლის ერთგული მოსამსახურე, განა არ გითხარით, ბატონებო? გარდა ამისა, იქნება თვით დედოფლის განზრახვაა, დახმარება დაბალ ფენებში მოიპოვოს.

— კარგი, — დაეთანხმა პორთოსი, — მაგრამ კარგ გასამრჯელოზეც მოურიგდით თქვენს სახლის პატრონს.

— ეს არც არის საჭირო, — უპასუხა დ არტანიანმა, — რადგან, დარწმუნებული ვარ, სულაც რომ არაფერი მოგვცეს ბონასიემ, მაინც საკმარისად დაგვაჯილდოებენ მეორე მხრიდან.

ამ დროს კიბიდან აჩქარებული ფეხის ხმა მოისმა. გიუივით შეაღეს კარი და დ არტანიანის ოთახში, სადაც ჩვენი მეგობრები ბჭობდნენ, უბედური ბონასიე შემოვარდა.

— აჰ, ბატონებო, მიშველეთ! — ყვიროდა ბონასიე, — ღვთის გულისათვის, მიშველეთ! ოთხი კაცია მოსული, დაჭერას მიპირებენ! მიშველეთ!

პორთოსი და არამისი წამოცვივდნენ.

— ერთ წამს! — შესძახა დ არტანიანმა და ანიშნა, ქარქაშში ჩაეგოთ თითქმის ამოღებული ხმლები, — ერთ წამს, ბატონებო! აქ ვაუკაცობა კი არა, კეთილგონიერებაა საჭირო!

— მაშ, დავაჭერინოთ ეს საწყალი კაცი? — დაიძახა პორთოსმა.

— თქვენ ისე მოიქცევით, როგორც დ არტანიანი იტყვის, — უთხრა ათოსმა. — კიდევ ვიმეორებ, ჩვენში ყველაზე მახვილი ჭკუა დ არტანიანისათვის მიუნიჭებია ბუნებას და გიცხადებთ, რომ მე მას ვემორჩილები, დ არტანიან, ახლა შენ იცი, იმოქმედე ისე, როგორც გინდოდეს.

ამ დროს კართან ოთხი დარაჯი გამოჩნდა. შეიარაღებული მუშკეტერების დანახვაზე ისინი შეჩერდნენ, ოთახში შესვლას ველარ ბედავდნენ.

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით! — შესძახა დ არტანიანმა, — აქ ჩვენთანა ხართ, ჩვენ კი ყველანი მეფისა და ბატონ კარდინალის ერთგული მსახურნი ვართ.

— მაშ, წინააღმდეგობას არ გაგვიწევთ, ბატონებო, მიღებული ბრძანების ასასრულებლად? — ჰკითხა ერთმა, რომელიც უფროსი უნდა ყოფილიყო.

— პირიქით, ბატონებო, თუ საჭიროება მოითხოვს, ჩვენც დაგეხმარებით.

— რა ვქნა, რას სჩადის დ არტანიანი? — ბუზღუნებდა პორთოსი.

— მიამიტი ხართ! — უთხრა ჩუმად ათოსმა.

— თქვენ აკი დამპირდით?.. — მიმართა ჩუმი ხმით საბრალო სახლის პატრონმა.

— თქვენი დახმარება მაშინ შეგვეძლება, თუ თავისუფალნი ვიქნებით, — აუხსნა სწრაფად და დაბალი ხმით დ არტანიანმა. — და თუ შეგვამჩნიეს, რომ თქვენს დაცვას ვაპირებთ, ჩვენც თქვენთან ერთად დაგვაპატიმრებენ.

— მე კი მგონია, რომ...

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით, — გასძახა ხმამაღლა დ არტანიანმა, — წინააღმდეგობის გაწევის არავითარი საფუძველი არა მაქვს. დღეს ვნახე ეს კაცი პირველად, დღეს გავიცანი, ისიც იმ საბაბით, რომ სახლის ქირა ეთხოვა. ამას თვითონაც გეტყვით. ხომ მართალს ვამბობ, ბატონო ბონასიე? უპასუხეთ!

— სრული სიმართლეა, ბატონებო, — შეჰყვირა ბონასიემ, — მაგრამ იმას კი აღარ ამბობს, ბატონებო...

— ჰა, კრინტი არ დასძრათ ჩემზე, ჩემს ამხანაგებზე და მეტადრე დედოფალზე, თორემ ყველას დაღუპავთ და თქვენს თავსაც ვერას უშველით, — წასჩურჩულა დ არტანიანმა, — შემოდით, ბატონებო, წაიყვანეთ ეს კაცი!

დ არტანიანმა დარაჯებს ძალად გაუგდო სახლის პატრონი და თან ლანძღვა დაუწყო:

— დიდი გაიძვერა ყოფილხართ, ჩემო ბატონო! ფულის სათხოვნელად ამოხვედით ჩემთან, მუშკეტერთან? დააპატიმრეთ! წაიყვანეთ, დაამწყვდიეთ! რაც შეიძლება დიდხანსა გყავდეთ დაპატიმრებული, იქნებ ფული ვიგდო ხელთ და შემდეგ გავუსწორდე.

ჯარისკაცებმა დიდი მადლობა გადაუხადეს დ არტანიანს და მისი სახლის პატრონი წაიყვანეს.

ის იყო, უნდა გასულიყო მათი უფროსი, რომ დ არტანიანმა მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

– ნუთუ ისე წახვალთ, რომ ჩემს სადღეგრძელოს არ გადაჰკრავთ და თქვენს სადღეგრძელოს არ დამალევინებთ? – ორი ჭიქა აავსო ბოჟანსის ღვინით, რომელიც ბონასიეს წყალობით ჰქონდა.

– დიდ პატივს გცემთ, ბატონო, და სიამოვნებით ავასრულებ თქვენს ბრძანებას, – უპასუხა რაზმის უფროსმა.

– მაშ, ღმერთმა გაცოცხლოთ, ბატონო... თქვენი სახელი?

– ბუარენარი.

– ბატონო ბუარენარო!

– იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ, ჩემო ბატონო! თქვენი სახელიც მიბრძანეთ, თუ შეიძლება.

– დ არტანიანი.

– იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ, ბატონო დ არტანიან!

– უპირველეს ყოვლისა, – შეჰყვირა დ არტანიანმა, თითქოს აღტაცებული ყოფილიყოს ახალი სადღეგრძელოთი, – ეს გაუმარჯოს ჩვენს მეფესა და კარდინალს!

კარგი ღვინო რომ არა ყოფილიყო, შეიძლება ეჭვიც შეეტანა რაზმის უფროსს დ არტანიანის გულწრფელობაში, მაგრამ ისეთი საამო სასმელი იყო ბოჟანსის ღვინო, რომ დ არტანიანსაც მოეწონა.

– რა მოგვიდათ, როგორ ჩაიდინეთ ეს საძაგლობა? – მიმართა აღშფოთებულმა პორთოსმა დ არტანიანს, როდესაც რაზმის უფროსი გავიდა და მეგობრები მარტონი დარჩნენ.

– თავს ლაფი დავისხით! ოთხ მუშკეტერთან შევარდეს უბედური, დახმარება სთხოვოს და ხელი არ გაანძრიონ?! პირიქით, თვითონვე დააჭერინონ? პატიოსანმა გვარიშვილმა ჭიქა მიუკაკუნოს ვიღაც პოლიციელს?

– პორთოს, – უთხრა არამისმა, – უკვე გაგაფრთხილათ ათოსმა, რომ მიამიტი ხართ და ახლა მეც ამასვე გიმეორებთ. დიდი ადამიანი ხარ, დ არტანიან, და როდესაც ბატონ დე ტრევილის თანამდებობას მოგცემენ, გთხოვ, შემეწიო, რომ ერთი კარგი მრევლი მაღირსონ.

– ვერა გამიგია რა, ღმერთმანი, – შეჰყვირა პორთოსმა, – მაშ, თქვენც იწონებთ დ არტანიანის საქციელს?

– ვიწონებ და ასე? – უპასუხა ათოსმა, – პირადად მე ვიწონებ და ვულოცავ კიდეც, რომ ასე შესანიშნავად მოიქცა.

– აი, კიდევ რა გითხრათ, – თქვა დ არტანიანმა ისე, რომ არ შეეცადა პორთოსისათვის აეხსნა თავისი საქციელი. – გახსოვდეთ, ყველანი ერთისათვის და ერთი ყველასათვის! ეს არის ჩვენი მრწამსი. არა, ბატონებო?

– დიახ, მაგრამ... – დაიწყო ისევ პორთოსმა.

– მოგვეცი ხელი და დაიფიცე! – შეუტიეს ერთად ათოსმა და არამისმა.

ამხანაგების მაგალითით დამარცხებული პორთოსი რაღაცას ბუზღუნებდა, მაგრამ მაინც გაშალა ხელი. ოთხმა ამხანაგმა ერთად გაიმეორა დ არტანიანის მიერ წარმოთქმული ფიცი.

– ყველანი ერთისათვის და ერთი ყველასათვის!

– ძალიან კარგი, ახლა ყველანი შინისაკენ! – თქვა დ არტანიანმა ისე, თითქოს სულ მბრძანებლობაში გაეტარებინა თავისი დღენი, – იცოდეთ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, დღეიდან მოსისხლე მტრად გავიხადეთ კარდინალი.

X

თაგვის მახე მეჩვიდმეტე საუკუნეში

ჩვენი დროის გამოგონება არ გეგონოთ თაგვის მახე. როგორც კი დაიწყო ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებამ პოლიცია შექმნა, მან, თავის მხრივ, მაშინვე თაგვის მახე გამოიგონა.

საჭირო იქნება ჩვენს მკითხველს გავაცნოთ, რას წარმოადგენს ეს თაგვის მახე.

როდესაც რომელიმე ოჯახში რაიმე დანაშაულისაგამო ეჭვით აპატიმრებენ ვინმეს, საიდუმლოდ ინახავენ მის პატიმრობას. ოთხ-ხუთი პოლიციელი დაჭერილის ბინის შესასვლელ ოთახში აწყობს საფარს, კარს უღებენ ყველას, ვინც კი დააკაკუნებს, და მათაც მაშინვე აკავებენ. ამგვარად, ორი-სამი დღის შემდეგ ხელთა ჰყავთ საეჭვო პიროვნების ყველა მახლობელი.

აი, რა გახლავთ თაგვის მახე.

ასეთი თაგვის მახე მოაწყვეს საწყალ ბონასიეს ბინაშიც. ვინც მასთან მივიდა, კარდინალის ერთგულებმა ყველა დააკავეს და დაჰკითხეს. დ არტანიანის ბინას ცალკე კარი და კიბე ჰქონდა და, რა თქმა უნდა, მასთან მიმავალი პატიმრობასა და დაკითხვას ასცდებოდა, თუმცა სამი მუშკეტერის მეტი არავინ დადიოდა დ არტანიანთან.

მეგობრები მაშინვე შეუდგნენ მოტაცებულის ძებნას, მაგრამ ვერაფერი გაიგეს, კვალსაც კი ვერ მიაგნეს, ათოსმა დე ტრევილის ნახვაც გაბედა და მასაც ჰკითხა. ამ ამბავმა ძალიან გააკვირვა კაპიტანი, რადგან მეტად მუნჯად და მორიდებულად მიაჩნდა ათოსი. თუმცა ბატონმა დე ტრევილმაც არა იცოდა რა. მხოლოდ უკანასკნელად სასახლეში ყოფნისას შეამჩნია, რომ კარდინალი მეტად ჩაფიქრებული იყო, მეფე შეწუხებული, ხოლო დედოფლის დაწითლებული თვალები იმას ამტკიცებდნენ, რომ მას ეტირა, ან ძილი გაკრთომოდა. მაგრამ ამ უკანასკნელმა გარემოებამ ნაკლებად გააკვირვა დე ტრევილი, რადგან დედოფალს თავისი ქორწინების შემდეგ ბევრი უძილო ღამე გაეტარებინა და თვალებიც ხშირად ჰქონდა ნამტირალევი.

გამოთხოვებისას ბატონმა დე ტრევილმა ურჩია ათოსს, ერთგულად ემსახურათ მეფისათვის და მეტადრე – დედოფლისათვის.

რაც შეეხება დ არტანიანს, იგი ფეხს არ იცვლიდა სახლიდან. სამეთვალყურეო პუნქტად გადააქცია თავისი ბინა. ფანჯრებიდან კარგად ხედავდა, ვინ მოდიოდა ბონასიესთან და როგორ ვარდებოდა თაგვის მახეში. გარდა ამისა, თავის ოთახში იატაკის ფილაქანი აშალა, ისე რომ, მხოლოდ ერთი თხელი ფიცარი ეფარა ქვემო სართულის იმ ოთახს, სადაც დაჭერილების დაკითხვა წარმოებდა, კარგად ესმოდა ინკვიზიტორთა და მახეში გაბმულთა საუბარი.

ჯერ გულდაგულ ჩხრეკდნენ დაჭერილს, შემდეგ კი დაკითხვას დაუწყებდნენ. ერთსა და იმავე კითხვებს აძლევდნენ ყველას.

– რა გამოგატანათ ქალბატონმა ბონასიემ თავისი მეუღლისათვის ან სხვა ვინმესათვის?

– სიტყვიერად საიდუმლო ხომ არა მოუნდვიათ თქვენთვის ბატონ ბონასიეს ან მის მეუღლეს?

„თვითონ რომ იცოდნენ რამე, ასე აღარ დაუწყებდნენ გამოკითხვას, – ეუბნებოდა თავის თავს დ არტანიანი, – რის გამორკვევას აპირებენ ნეტავი? პარიზში ხომ არ არის ბუკინგამი? თუ აქ არის, ნახა დედოფალი თუ ნახვას აპირებს?“

ამ ფიქრზე შეჩერდა დ არტანიანი. ყოველივე იმის შემდეგ, რაც მან გაიგონა, არ იყო საფუძველმოკლებული ასეთი მოსაზრება.

ამასობაში თაგვის მახეს არ აკლდებოდა თაგვები და დ არტანიანის მკაცრი მეთვალყურეობაც არ მოდუნებულა.

საწყალი ბონასიეს დაჭერის მეორე დღეს, საღამოს, როდესაც ათოსი დ არტანიანს გამოეთხოვა დე ტრევილთან წასასვლელად, ის იყო საათმა ცხრაჯერ დაჰკრა, პლანშემ ლოგინის გაშლა დაიწყო, რომ ამ დროს ბონასიეს ოთახის ქუჩის კარი დაუკაკუნეს, იმწამსვე გააღეს და მიხურეს. ვიღაც კიდევ გაება მახეში.

დ არტანიანი მაშინვე მივარდა იატაკს, სადაც ფილაქანი იყო აშლილი, დაწვა და ყური მიუგდო.

უცბად გაისმა კივილი და კვნესა, რომლის ჩაყრუებას ცდილობდნენ. აქ დაკითხვისა აღარა იყო რა.

– შეგარცხვინათ ღმერთმა! – ბრაზობდა დ არტანიანი, – ქალი დაუჭერიათ, ჩხრეკენ, არა ნებდება... ძალას ხმარობენ ქალზე! თქვე არამზადებო!..

მიუხედავად სიფრთხილისა, ძლივს უძლებდა გულისთქმას, რომ საწყალ ქალს მიშველებოდა.

– ხომ გეუბნებით, ბატონო, რომ ცოლი ვარ ბონასიესი, ამ სახლის პატრონი ვარ, რა გინდათ ჩემგან? ხომ გეუბნებით, დედოფლის მოსამსახურე ვარ-მეთქი! – კიოდა უბედური.

– ბონასიეს ცოლი? – დაიძახა ჩუმად დ არტანიანმა, – ნუთუ ბედი მეწვია და მე ვიპოვი მათ, ვისაც მთელი ქვეყანა დაეძებს?

– ჰოდა, სწორედ თქვენ გელოდით ამდენ ხანს, – გაისმა დამკითხველის პასუხი.

უფრო და უფრო ახშობდნენ კივილს, რაღაც მოძრაობა ისმოდა. ფიცარი შეინძრა, დაჭერილი ეწინააღმდეგებოდა იმდენად, რამდენადაც კი შეეძლო ქალს ოთხ კაცთან ბრძოლა.

– შემიბრალეთ, ბატონო შემ... – გაისმა უცბად ჩაწყვეტილი ხმა.

– პირს უკრავენ, წაყვანას უპირებენ! – დაიძახა დ არტანიანმა და სწრაფად წამოვარდა, – ჩემი ხმალი! აქეთ, პლანშე!

– ბატონო!..

– გაიქეცი, ათოსი, პორთოსი და არამისი ნახე. სამში ერთს მაინც იპოვი სახლში. თუ შინ არიან სამივენი, ჩემკენ წამოვიდნენ იარაღით. ოღონდ საჩქაროდ, სირბილით! ჰო, მომაგონდა, ათოსი ბატონ დე ტრევილთან არის.

– თქვენ სად მიდიხართ, ბატონო? სად მიდიხართ?

– ფანჯრიდან ჩავძვრები, რომ უფრო მალე ვუშველო, შენ კი ფილაქანი დააწყვე თავის ადგილას, იატაკი დაგავე, კარით გადი და, – სირბილით! საითაც გიბრძანე.

– ოჰ, ბატონო, ბატონო! – მიმართა ხვეწნით პლანშემ, – ხომ მოგკლავენ, რომ ჩახვიდეთ...

– გაჩუმდი, შე სულელო, შენა! – შეუტია დ არტანიანმა, ფანჯარაში გადაძვრა, ჩარჩოზე დაეკიდა, ჩახტა პირველი სართულიდან, რომელიც, საბედნიეროდ, არც ძალიან მაღალი იყო, და უვნებელი გადარჩა.

მერე ბონასიეს კართან მივარდა, დააკაკუნა და თან ჩურჩულებდა:

– ახლა მე თვითონა ვძვრები თაგვის მახეში და ვაი იმ კატას, ვინც ჩემისთანა თაგვს არ გაუქცევა!

ის იყო დაჰკრა კარის ურატამ, რომ უცბად შეწყდა ხმაურობა, გაისმა კარის გასაღებად მომავალი ფეხის ხმა. კარი გააღეს და ხმალამოღებული დ არტანიანი ბონასიეს ოთახში გაჩნდა. კარი თავისთავად მიიხურა, ალბათ ზამბარაზე იყო მოწყობილი.

უბედური ბონასიეს მდგმურებს და ახლო მეზობლებს საშინელი ყვირილი, ღრიალი, ბრაგუნი, ხმლის ჟღარუნი დ ავეჯის მტვრევის ხმა მოესმათ. შეწუხებული მეზობლები ფანჯრებიდან იყურებოდნენ ამ ხმაურის მიზეზის გასაგებად. ცოტა ხნის შემდეგ დაინახეს, რომ საჩქაროდ გაიღო ბონასიეს სახლის კარი და შავტანისამოსიანი ოთხი კაცი გამოვარდა. კი არ გამოცვივდნენ, გამოფრინდნენ, როგორც დამფრთხალი ყვავები, რომელთაც ძირსა სცვიოდათ თავიანთი ფრთების ბუმბული, ესე იგი, ტანისამოსისა და ლაბადის ნაგლეჯები.

დიდი მხნეობა არ დასჭირებია დ არტანიანს ამ გამარჯვების მოსაპოვებლად, რადგან კარდინალის მოსამსახურეთაგან მარტო ერთი იყო შეიარაღებული, და ისიც მეტად ცუდად, რომელიც, მარტოოდენ დასანახავად იცავდა თავს. მართალია, სხვებმა სკამებით, ფიცრებითა და ჭურჭლით სცადეს დ არტანიანის მოკვლა, მაგრამ ორი თუ სამი ნაკაწრი კმაროდა, დ არტანიანის ხმლით გაკრული, რომ გული გახეთქოდათ. ათი წუთი საკმარისი აღმოჩნდა მათი დამარცხებისათვის და დ არტანიანი დარჩა ბრძოლის ველის ბატონ-პატრონად.

სეირის საყურებლად გამოსულმა მეზობლებმა ბონასიეს სახლიდან გამოვარდნილი ოთხი კაცის დანახვაზე ფანჯრები მოხურეს. ამ დროს ისე ხშირი იყო ჩხუბი და ორომტრიალი, რომ პარიზელები გულგრილად ხვდებოდნენ ამ ამბავს.

გარდა ამისა, უკვე გვიანი იყო და მაშინაც, როგორც დღეს, ლუქსემბურგის გარეუბნებში ადრე წვებოდნენ.

დ არტანიანი მარტო დარჩა ქალბატონ ბონასიესთან, რომელიც თითქმის გულწასული ესვენა სავარძელზე. მან სწრაფად გადაავლო თვალი ახალგაზრდა ქალს.

ეს იყო მომხიბლავი ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის ქალი, შავგვრემანი, ლურჯთვალა, კოხტა, ოდნავ აწვეტილი ცხვირით, არაჩვეულებრივი კბილებით, მაისის ვარდისფერი სახით. მაგრამ აქ თავდებოდა ის ნიშნები, რომლების მიხედვით შეიძლებოდა მისი დიდებულ ქალბატონად ცნობა. ხელები თეთრი ჰქონდა, ოღონდ სინაზეს მოკლებული, არც ფეხი ამტკიცებდა დიდებულ შთამომავლობას. კიდევ კარგი, რომ ამ წვრილმანებისათვის არ ეცალა დ არტანიანს.

ქალბატონ ბონასიეს დათვალიერების დროს დ არტანიანმა ბატისტის მშვენიერ ცხვირსახოცს მოჰკრა თვალი, ისეთივე ნიშნებით ამოქარგულს, რომლის გულისათვის არამისმა კინაღამ ყელი გამოსჭრა დუელში. მას აქეთ დ არტანიანი ძალიან უნდობლად ეკიდებოდა ნიშნიან ცხვირსახოცებს და ამიტომ ხმის ამოუღებლად ჯიბეში ჩაუდო გულწასულ ქალს.

ამასობაში ქალბატონი ბონასიეც მოსულიერდა, თვალი გაახილა და თავზარდაცემულმა გადახედა იქაურობას, დაცარიელებულ ოთახში მარტო დარჩენილიყო თავის განმათავისუფლებელთან ერთად. ხელი გაუწოდა და ტკბილად შესცინა თავისი გულწარმტაცი სიცილით.

— აჰ, ბატონო! თქვენა ხართ ჩემი მხსნელი, ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ, — თქვა მან.

— რის მადლობა, ქალბატონო! მე ჩემი მოვალეობა მოვიხადე, ასე მოიქცეოდა ყველა ჩემს მდგომარეობაში მყოფი პატიოსანი კაცი, — მიუგო დ არტანიანმა.

— არა ბატონო, თქვენ ხართ ჩემი მხსნელი და იმედი მაქვს, დაგიმტკიცოთ, რომ არც უმადურს ვინმეს გაუწიეთ მფარველობა. მაგრამ მიბრძანეთ, თუ იცით, რა უნდოდათ ჩემგან იმ კაცებს, რომლებიც ჯერ ჭურდები მეგონა, ან ბატონი ბონასიე სად არის?

— ისინი ჭურდებზე უფრო საშიშარი იყვნენ, ქალბატონო, ბატონ კარდინალის მოხელენი გახლდნენ. რაც შეეხება თქვენს მეუღლეს, ბატონ ბონასიეს, იგი აქ არ გახლავთ. გუშინ მოვიდნენ მის დასაჭერად და ბასტილიისაკენ გაამგზავრეს.

— ჩემი ქმარი ციხეშია? — შეჰყვირა ქალბატონმა ბონასიემ, — ღმერთო ჩემო! მერე, რა დააშავა ისეთი საწყალმა კაცმა, ის ხომ სრულიად უდანაშაულოა!

მკრთალმა ღიმილმა გაირბინა ახალგაზრდა ქალის ჯერ კიდევ შეშინებულ ლამაზ სახეზე.

— რა დააშავა ისეთი? — მიუგო დ არტანიანმა, — ერთადერთი მისი დანაშაული, მე რომ მკითხოთ, ის არის, რომ თქვენი ქმარია, თავის საბედნიეროდ თუ საუბედუროდ.

— მაშ, თქვენ იცით, ბატონო?..

— მე ვიცი, რომ თქვენ მოგიტაცეს.

— ვინ მომიტაცა? იქნება იცით? ოჰ, თუ იცით, მითხარით, ვინ არის ჩემი მტერი?

— შუახნის კაცია, ორმოცი — ორმოცდახუთი წლისა, შავგვრემანი, პატარა ჭრილობა აქვს მარცხენა საფეთქელთან.

— ის არის! გვარი მითხარით, გვარი!

— გვარი რომ არ ვიცი, რა გითხრათ?

— ჩემმა ქმარმა იცოდა, რომ მომიტაცეს?

— თქვენი მომტაცებლის წერილი მოსვლია. თვითონ ის ატყობინებდა თქვენი გატაცების ამბავს.

— თუ იცით, ეჭვი აქვს რამე ჩემს ქმარს? — ჰკითხა დარცხვენილი სახით ქალმა.

— მე მგონი, თქვენი მოტაცების მიზეზად პოლიტიკური გარემოება მიაჩნია.

— აქამდე მეც ეჭვი მეპარებოდა, ახლა კი ჩემი ქმრის აზრს ვიზიარებ. მაშ, არავითარი ეჭვი აღარ აღძვრია საწყალ ჩემს ბონასიეს? არაფერი დაუბარებია ჩემთან?

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, პირიქით, ამაყობდა თქვენი ერთგულებით და, მეტადრე, თქვენი სიყვარულით.

ერთხელ კიდევ გადაურბინა ქალბატონ ბონასიეს ვარდისფერ ბაგეზე შეუმჩნეველმა ღიმილმა.

— მერედა, როგორ მოახერხეთ გამოქცევა? — ჰკითხა გაკვირვებულმა დ არტანიანმა.

— ცოტა ხნით მარტო დამტოვეს და მეც იმით ვისარგებლე. უკვე ამ დილას ვიცოდი, რას მოელოდნენ ჩემი გამტაცებლები. შევკარი ზეწრები და ფანჯრიდან ძირს დავეშვი. ვფიქრობდი, რომ ქმარი შინ დამიხვდებოდა, და მეც აქეთკენ გამოვეშურე.

— მისი მფარველობის იმედი გქონდათ?

— ოჰ, არა, კარგად, ვიცი, რომ საწყალი კაცი მე ვერავითარ მფარველობას ვერ გამიწევდა. სხვა საქმეში მინდოდა გამომეყენებინა...

— რა საქმეში?

— ოჰ, ეს, ბატონო, ჩემი საიდუმლოება არ არის! და არც შემიძლია გავუზიარო ვინმეს.

— თუმცა, უკაცრავად, ქალბატონო, — მიმართა დ არტანიანმა, — რაზმელი ვარ, მაგრამ მაინც გირჩევთ სირფთხილეს. აქ არც არის ადგილი საიდუმლოების გასანდობად. არამზადები, რომლებიც გავაქციე, უკანვე დაბრუნდებიან ჯავრის ამოსაყრელად და სხვებსაც წამოიყვანენ. თუ აქ დავუხვდით, ორივე დავიღუპებით. მართალია, ჩემს მეგობრებს შევატყობინე, ბიჭი გავაქციე, მაგრამ ვინ იცის, შინ დაუხვდებოდნენ?

— მართალია, მართალი! — შეჰყვირა შიშით ათრთოლებულმა ქალბატონმა ბონასიემ, — გავიქცეთ, თავს ვუშველოთ, ჩქარა!

ამ სიტყვებით მივარდა დ არტანიანს, მკლავში ხელი მოჰკიდა და თან გაიყოლა.

— საით წავიდეთ? — ჰკითხა დ არტანიანმა.

— ჯერ ამ სახლს მოვშორდეთ, აქ არის განსაცდელი! მერე მოვიფიქრებთ რაიმეს.

ორივე გარეთ გავარდა. აღარც კი მოაგონდათ, რომ საჭირო იყო კარის დაკეტვა. საჩქაროდ ჩაიარეს მესაფლავეების ქუჩა და სენ-სულპისის მოედანზე გაჩერდნენ.

— ახლა რა ვქნათ? — ჰკითხა დ არტანიანმა, — მიბრძანეთ, საით გნებავთ, სად წაგიყვანოთ!

— არ ვიცი, რა გიპასუხოთ, — მიუგო ქალმა, — განზრახული მქონდა, ჩემი ქმარი დე ლა პორტთან გამეგზავნა, რომლისგანაც მინდოდა გამეგო ლუვრში ამ სამი დღის განმავლობაში მომხდარი ამბები. მსურს ვიცოდე, საშიშროება ხომ არ მომელის სასახლეში მისვლით.

— მე აქ არა ვარ? განა მე კი ვერ მივალ ბატონ დე ლა პორტთან!

— რასაკვირველია მიხვიდოდით, საუბედუროდ, ერთი დიდი დაბრკოლება რომ არ გვიშლიდეს: ბონასიეს კარგად იცნობენ ლუვრში და მაშინვე შეუშვებდნენ, თქვენ კი სრულებით არ გიცნობენ და კარებს მოგიჯახუნებენ.

— ერთგული მეკარე როგორ არავინ გეყოლებათ ლუვრის შესასვლელ კარებთან, რომ დანიშნული სიტყვის გაგონებაზე...

ქალბატონი ბონასიე ყმაწვილკაცს დააცქერდა.

— მე რომ გაგანდოთ დანიშნული სიტყვა, პირობას მომცემთ, რომ მხოლოდ ერთხელ გამოიყენებთ და მაშინვე დაივიწყებთ?

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ კეთილშობილი კაცისას! — უპასუხა დ არტანიანმა ისეთი ხმით, რომ საბოლოოდ მოიპოვა ქალის ნდობა.

— მჯერა თქვენი, პატიოსან ყმაწვილკაცად მეჩვენებით და არა მგონია, ვცდებოდე. ესეც რომ არ იყოს, შეიძლება ამ ერთგულებაზე იყოს დამოკიდებული მთელი თქვენი სიცოცხლის ბედნიერება.

— უმაგისოდაც ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ სინდისიერად და თავგანწირვით ვემსახურო ჩემს მეფეს და ვასიამოვნო ჩემს დედოფალს, — უპასუხა დ არტანიანმა, — ისე მიმსახურეთ, როგორც თქვენი გულითადი მეგობარი.

– მერე მე? მე სადღა ვიყო, მანამ თქვენ დაბრუნდებით?
– არავინა გყავთ ისეთი, რომ ბატონი დე ლა პორტიც იქ მოვიდეს თქვენს წასაყვანად?
– არა, დღეს მე აღარავის ვენდობი.
– მოითმინეთ, – უთხრა დ არტანიანმა. – ათოსის სახლთან ვართ. დიახ, ის არის.
– ვინ არის ათოსი?
– ჩემი მეგობარი.
– შინ რომ იყოს და დამინახოს?
– არა, შინ არ არის. ოთახში შეგიყვანთ, ჩაგკეტავთ და გასაღებს თან წავიღებ.
– რომ დაბრუნდეს?
– არ დაბრუნდება, მაგრამ კიდეც რომ დაბრუნდეს, ეტყვიან, რომ მის ოთახში ჩემი მიყვანილი ქალია.
– საუკუნოდ შევრცხვები, ეს ხომ იცით?
– ნეტავი თქვენ! მერე, ვინ გიცნობთ? დღეს ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ აღარც კი უნდა გვაგონდებოდეს ეს მორიდება.
– მაშ, წავიდეთ თქვენი მეგობრისაკენ. სად ცხოვრობს?
– ფერუს ქუჩაზე, ორი ნაბიჯია აქედან.
– წავიდეთ.
გამართლდა დ არტანიანის სიტყვა, ათოსი შინ არ დახვდათ. გასაღები მეკარეს გამოართვა, რომელიც მას, ჩვეულებისამებრ, ყოველთვის ენდობოდა, როგორც ათოსის მეგობარს. კიბე აიარეს და დ არტანიანმა ქალბატონი ბონასიე თავისი მეგობრის პატარა ბინაში შეიყვანა.
– ისე იგრძენით თავი, როგორც თქვენს საკუთარ სახლში, ქალბატონო, – უთხრა დ არტანიანმა. – შიგნიდან გადაკეტეთ კარი და არავის გაუღოთ, მანამ სამჯერ არ დაგიკაკუნებენ, აი, სწორედ ასე. – და სამჯერ დააკაკუნა. პირველი ორი ერთმანეთს მიადევნა, მესამე კი ცოტა დააყოვნა და შემდეგ ჩუმად დაჰკრა.
– ძალიან კარგი, ბატონო. ახლა კი ჩემი რიგია, მე უნდა მოგცეთ დავალება.
– ბრძანეთ!
– ლუვრის სასახლის კარებთან, ეშელის ქუჩის მხრიდან ჟერმენი იკითხეთ.
– კარგით, შემდეგ?
– მის შეკითხვაზე, რა გნებავთო, უპასუხებთ ორი სიტყვით: „ტური და ბრიუსელი“. მაშინვე კარს გაგიღებენ, ყოველ თქვენს ბრძანებას უსიტყვოდ აასრულებენ.
– მერე რა უნდა ვუბრძანო?
– უბრძანეთ, ბატონი დე ლა პორტი მოძებნონ.
– დე ლა პორტს რადა ვუთხრა?
– ჩემთან გამოგზავნეთ.
– კარგი, მაგრამ კვლავ სადღა გნახოთ მე?
– ძალიან გნებავთ ჩემი ნახვა?
– ოჰ, რომ იცოდეთ!..
– მე მომანდეთ მაგის მოხერხება და დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.
– მაშ, თქვენს პატიოსან სიტყვას ვენდობი!
– იქონიეთ მაგის იმედი.
დ არტანიანმა სიყვარულით აგზნებული თვალებით შეხედა ქალბატონ ბონასიეს და გამოეთხოვა.
კიბეზე ჩასვლისას ჩვენმა გმირმა გაიგონა, როგორ გადაკეტა ორჯერ გასაღებით კარი ბონასიეს ცოლმა. დ არტანიანი თვალის დახამხამებაში ლუვრში გაჩნდა.
საათმა ათი დაჰკრა, როდესაც დ არტანიანი დე ლ ეშელის ჭიშკარს მიადგა.
ისე ასრულდა ყველაფერი, როგორც ქალბატონმა ბონასიემ თქვა: კარისკაცმა ჟერმენმა დათქმული სიტყვის გაგონებაზე თავი დაუკრა და მაშინვე ბრძანების ასასრულებლად გაიქცა.

ათი წუთის შემდეგ დე ლა პორტიც გამოჩნდა, დ არტანიანმა მოკლედ უამბო ყველაფერი და აცნობა, სად შეიძლებოდა ქალბატონ ბონასიეს ნახვა. დე ლა პორტმა ორჯერ გაამეორებინა ათოსის სახლის მისამართი და მაშინვე იქითკენ გაიქცა, მაგრამ ათი ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ უკან დაბრუნდა.

– უკაცრავად, ყმაწვილო, ერთი რჩევა მინდა გაგიბედოთ.

– სახელდობრ?

– შეიძლება ამით არ დამთავრდეს ეს ამბავი და თქვენც უსიამოვნება შეგამთხვიონ.

– თქვენ ასე ფიქრობთ?

– დიახ, ამხანაგი არავინა გყავთ, რომლის საათი ცოტათი ჩამორჩებოდეს?

– მერე?

– წადით მის სანახავად და თუ მოწმე დაგჭირდათ, ათქმევინეთ, რომ ათის ნახევარზე მასთან იყავით... სასამართლოში ამას ალიბი[1] ჰქვია.

მართებულად ეჩვენა დ არტანიანს ეს რჩევა და უკანმოუხედავად გარბოდა. იგი ელვის სისწრაფით ბატონ დე ტრევილის სასახლეში გაჩნდა. დარბაზში, სადაც ხალხი ირეოდა, არ შესულა. მსახურს, რომელსაც იგი სასახლის მახლობელ კაცად მიაჩნდა, სთხოვა, პირდაპირ კაბინეტში შემიშვიო. მსახურმა დე ტრევილს მოახსენა, რომ მის თანამემამულეს რაღაც საჩქარო საიდუმლო საქმე ჰქონდა და კაბინეტში ელოდებოდა. ხუთი წუთის შემდეგ დე ტრევილი თავის კაბინეტში შემოვიდა და დ არტანიანს ჰკითხა, რით იყო გამოწვეული მისი ასეთი დაგვიანებით მოსვლა, ან რით შეეძლო დახმარებოდა.

– უკაცრავად, ბატონო, – მიუგო დ არტანიანმა, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ დე ტრევილის მოსვლამდე მარტო იყო კაბინეტში და ორმოცდახუთი წუთით უკან გადასწია ისარი, – მე მეგონა რომ ცხრა საათზე და ორმოცდახუთ წუთზე ჯერ დაგვიანებული არ იქნებოდა და...

– ცხრა საათი და ორმოცდახუთი წუთია? – შეჰყვირა დე ტრევილმა და საათს შეხედა, – შეუძლებელია!

– აი, ბატონო, საათს შეხედეთ, – მიუგო დ არტანიანმა – მე მგონი, არა ვცდები.

– მართალია, – უთხრა დე ტრევილმა, – მე კი მეგონა, რომ უფრო გვიან იყო, მაგრამ, აბა, რა გნებავთ? რა გაქვთ მოსახსენებელი? დ არტანიანმა დაწვრილებით უამბო დედოფლის ამბავი. უამბო, რომ კარდინალს განზრახული ჰქონდა ბუკინგამის პარიზში შემოტყუება, დედოფლისა და ჰერცოგის მახეში გაბმა. ისეთი სიმშვიდით და დაბეჯითებით უამბობდა ყოველივე ამას, რომ დე ტრევილიც დააჯერა, მით უფრო, რომ მუშკეტერთა კაპიტანს, როგორცა ვთქვით, ადრევე შეემჩნია მეფის, დედოფლის და კარდინალის რაღაც უცნაური განწყობილება.

საათმა ათი რომ დაჰკრა, დ არტანიანი გამოეთხოვა დე ტრევილს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამ ცნობების მოხსენებისათვის და ურჩია, ყოველთვის ერთგული სამსახური გაეწია მეფისა და დედოფლისათვის. უთხრა ეს თუ არა, დე ტრევილი დარბაზში გავიდა. კიბეები რომ ჩაიარა, დ არტანიანმა მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ ჯოხი კაბინეტში დარჩენოდა, ელვის სისწრაფით აირბინა, ზევით ოთახში შევიდა, ერთი თითის წაწევით თავის დროზე დააყენა საათი, და დარწმუნებულმა, რომ კარგი მოწმე ჰყავდა თავის ალიბი-ს დასამტკიცებლად, დამშვიდებით ჩაიარა კიბეები და ქუჩაში გავიდა.

XI

კვანძი რთულდება

დ არტანიანი ქუჩაში ჩაფიქრებული გამოვიდა და შინ წასასვლელად შორი გზა აირჩია. გზაში ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქეროდა. ხან ოხრავდა, ხან იცინოდა. მისი

ფიქრის საგანს ქალბატონი ბონასიე წარმოადგენდა. გამოუცდელი ჭაბუკისათვის, ჯერ ისევ შეგირდ-მუშკეტერისათვის, ახალგაზრდა ქალი სიყვარულის იდეალს წარმოადგენდა.

ოცნებაში გართულ დ არტანიანს ყოველ ნაბიჯზე სატრფოს გამოგზავნილი შიკრიკი ელანდებოდა პატარა წერილით, რომლითაც პაემანს უნიშნავდა და მოკითხვის ნიშნად ოქროს ძეწკვს აწვდიდა. სატრფოზე ფიქრით გატაცებული ოცნებობდა, როგორი თავმოწონებით გაასეირნებდა მშვენიერ ქალბატონ ბონასიეს სენდენში ან სენ-ჟერმენის ბაზარში. როგორი სიამაყით გააცნობდა ათოსს, პორთოსსა და არამისს თავისი გამარჯვების ტურფა ნადავლს.

ასეთი ტკბილი ფიქრებით გატაცებული დ არტანიანი ღამეს ებაასებოდა, ვარსკვლავებს შესცინოდა და შერშ-მიდის ქუჩას მიუყვებოდა, მაშინ შას-მიდიდად წოდებულს. სწორედ ამ უბანში ცხოვრობდა არამისი. უცბად აზრმა გაურბინა, თავისი მეგობარი ენახა, ეცნობებინა მისთვის ეს გარემოებანი, რომელთა გამო იძულებული გახდა, პლანშე გაეგზავნა მასთან თხოვნით, დაუყოვნებლივ მისულიყო თაგვის მახეში. თუ არამისი შინ იყო იმ დროს, როდესაც პლანშე მივიდა, ეჭვი არ არის, მაშინვე გაიქცეოდა მესაფლავეების ქუჩისაკენ, დ არტანიანთან, სადაც ათოსი და პორთოსი დახვდებოდნენ, მათგანაც ვერას გაიგებდა, რადგან საქმის ვითარებისა მათაც არა ეცოდინებოდათ რა. მეგობრის ასეთი შეწუხება არ შეიძლებოდა. ასე მსჯელობდა დ არტანიანი. გულში კი აღტაცებით ფიქრობდა, რომ საგანგებო შემთხვევა ეძლეოდა, ლაპარაკი ჩამოეგდო პატარა კეკლუც ქალბატონ ბონასიეზე, რომელსაც მთლად დაემონებინა მისი, თუ გული არა, გონება მაინც.

უკვე ორი საათი იქნებოდა, რაც ღრმა ძილით ეძინა პარიზს. არავინ ჩანდა ქუჩაში, თერთმეტი დაჰკრა სენ-ჟერმენის უბნის ყველა საათმა. საამო, წყნარი დარი იდგა. დ არტანიანი იმ პატარა ქუჩას მოსდევდა, რომელიც დღევანდელ დ ასსას ქუჩის ადგილას იყო გაყვანილი. ღამის სიგრილით და ტკბილი ნიავით მოტანილ ბაღების სურნელებით ტკბებოდა. შორიდან, მაგრად მოხურული დარაბებიდან, მოისმოდა მოქეიფეების მხიარული სიმღერა. ქუჩის ბოლოს დ არტანიანმა მარცხნივ შეუხვია. კასეტისა და სერვანდონის ქუჩების შუა არამისის სახლი იყო.

გაიარა კასეტის ქუჩა და თავისი მეგობრის სახლის კარზე კოპივით ჩამოწოლილ ნეკერჩხლისა და ციცაბარდას მწვანე ტოტებში უცბად თვალი მოჰკრა ვიღაცას, სერვანდონის ქუჩიდან ჩრდილივით გამომავალს, წამოსასხამში გახვეულს. პირველად კაცი ეგონა დ არტანიანს, მაგრამ მომცრო ტანმა, გაუბედავმა მოძრაობამ და ტანის მსუბუქმა მიმოხრამ იგი დაარწმუნა, რომ ქალი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანდა, იგი ვერ ცნობდა დანიშნულ სახლს. ხან მოსცილდებოდა, ხან მიუახლოვდებოდა. ამ ამბავმა მეტად დაინტერესა დ არტანიანი.

„მივიდე და ჩემი დახმარება აღვუთქვა? – ფიქრობდა ჩვენი გმირი, მაგრამ ვერ ბედავდა, – მიხრა-მოხრაზე ეტყობა, ახალგაზრდა ქალი უნდა იყოს, იქნებ ლამაზიც არის? შეიძლება, მაგრამ ქალი რომ ამ დროს ქუჩებში დაეთრევა, ალბათ საყვარელს დაეძებს, რა ღმერთი გამიწყრება, ხელი შევუშალო მათ შეხვედრას. ესეც რომ არ იყოს, პირველი გაცნობისთანავე ჭირივით შემიჯავრებს“.

ახალგაზრდა ქალი ისევ ნელ-ნელა მოიწევდა წინ და თან სახლებს და ფანჯრებს თვლიდა. ამ სახლის ძებნა, თუ მართალი გნებავთ, არც ძნელი იყო და არც დიდ დროს მოითხოვდა: სულ სამი სახლი და ორი ფანჯარა იყო ქუჩის ამ ნაწილში. ერთი – არამისის ბინისა, და მეორეც – მისი სახლის პარალელური შენობისა.

„თვალი ხომ არ მატყუებს? – იძახდა დ არტანიანი, რომელსაც ახლა ღვთისმეტყველების დოქტორის დისწული აგონდებოდა, – არა, რა კარგი იქნება, რომ ჩვენი მეგობრის სახლს ეძებდეს ეს დაგვიანებული მტრედი! მაგრამ რა ვქნა, სწორედ ის დისწული უნდა იყოს! ჩემს თავს ვფიცავ, ასე იქნება! აჰ, ჩემო წმინდა არამის, ახლა კი ზედ მოგასწარ და ფეხს აღარ მოვიცვლი, მანამ სინამდვილეს არ გავიგებ!“

რამდენადაც კი შეიძლებოდა, დ არტანიანი მოიკუნტა, ქუჩის უბნელეს მხარეს, ქვის სკამის გვერდით მიიმალა.

ახალგაზრდა ქალი ისევ ნელ-ნელა წინ მოიწევდა. მისმა მსუბუქმა ჰაეროვანმა მოძრაობამ, ნაზმა ჩახველებამ საბოლოოდ დაადასტურა მისი ქალობა. ეს დახველება დ არტანიანს პირობით ნიშნად ეჩვენა.

ჩახველებას შესაფერი ნიშნით უპასუხეს. ამან კი შუადამის მკვლევარს გაუფანტა ყოველი ეჭვი და გაუგებრობა, დარწმუნდა, რომ უკვე მიაღწია თავის საძიებელს, გაბედვით მივიდა არამისის ფანჯრის დარაბასთან და მოღუნული თითით სამჯერ დაჰკრა თანაბარი დაყოვნებით.

– არამისთან არის, – ჩაიბუტბუტა დ არტანიანმა. – ოჰ, ბატონო ფარისეველო! ახლა კი ჩემი თვალითა ვხედავ თქვენს ღვთისმეტყველებას!

დაჰკრა თუ არა ქალმა სამჯერ თითი, მაშინვე გააღეს ფანჯარა და ქუჩაში სინათლე გამოვიდა.

„ოჰო! ცხადია, ელოდნენ ამ სტუმარს, – ფიქრობდა დ არტანიანი, – მოვითმინოთ, ალბათ დარაბასაც გააღებენ და ქალბატონი ფანჯრიდან შეფრინდება თავის მიჯნურთან! ესეც თქვენი წმინდა მღვდელი!“

მაგრამ წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, როდესაც დარაბები არ გაიღო, უფრო მეტიც, სინათლე, რომელმაც ერთი წამით იელვა, უცებ გაქრა და იქაურობა ისევ წყვდიადმა მოიცვა.

„ამით ხომ არ დამთავრდება მიჯნურთა ღამის პაემანი!“ – ფიქრობდა დ არტანიანი და თვალსა და ყურს აღარ აშორებდა ფანჯარასთან ატუზულ ქალს და ჩაბნელებულ ფანჯარას.

მართლაც, რამდენიმე წამის შემდეგ ოთახიდან ორჯერ დააკაკუნეს.

ქუჩაში მყოფმა ახალგაზრდა ქალმა ამ ორ კაკუნს ერთით უპასუხა. ფანჯრის დარაბა გაიღო.

ახლა კი თვითონ წარმოიდგინოს მკითხველმა, რა მოუთმენლობით შესცქეროდა ამ ფანჯარას დ არტანიანი, როგორ ჰქონდა დაცქვეტილი ყურები.

საუბედუროდ, სინათლე სხვა ოთახში გადაიტანეს, მაგრამ ყმაწვილი კაცის თვალი სიბნელეს მიჩვეული იყო, გარდა ამისა, გადმოცემით გვარწმუნებენ, რომ გასკონელებს კატის თვალები აქვთ და ისე ხედავენ ღამით, როგორც დღისით.

დ არტანიანმა ღამის სიბნელეშიც კარგად გაარჩია, რომ ახალგაზრდა ქალმა რაღაც თეთრი საგანი ამოიღო ჯიბიდან, სწრაფად გაშალა და თავის იდუმალებით მოცულ მობაასეს ცხვირსახოცის პატარა დაქარგული კუთხე აჩვენა.

დ არტანიანსაც მაშინვე მოაგონდა ქალბატონ ბონასიეს ფეხთან ნაპოვნი ცხვირსახოცი, რომელიც გულწასულს ჯიბეში ჩაუდო. ამ ამბავმა მოაგონა აგრეთვე ის ცხვირსახოცი, რომელიც არამისს გამოაძრო ფეხქვეშიდან.

„ნეტავი, რა ეშმაკის ნიშანი უნდა იყო ეს ცხვირსახოცი?“ – გაიფიქრა დ არტანიანმა. იგი ისეთ ადგილზე იდგა, რომ არამისის სახის დანახვა არ შეეძლო. მას იოტისოდენა ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ქუჩაში მდგომ ქალთან მოლაპარაკე მისი მეგობარი არამისი იყო. ცნობისმოყვარეობამ დათრგუნა გასკონელის სიფხიზლე, ისარგებლა შემთხვევით, მანამ ისინი ფანჯრის მკრთალ სინათლეში ცხვირსახოცის კუთხეს დაჰყურებდნენ, თავისი საფარიდან ელვის სისწრაფით გამოვიდა და ერთი კედლის კუთხეს აეკრა, საიდანაც კარგად შეეძლო დაენახა არამისიც და ოთახში მომხდარი ამბავიც. განცვიფრებულმა დ არტანიანმა ძლივს შეიმაგრა თავი ყვირილისაგან; არამისის ნაცვლად, ღამის სტუმარს ქალი ესაუბრებოდა. დ არტანიანი კარგად ხედავდა ორივეს, არჩევდა მათ ტანსაცმელს, მაგრამ სახის ნაკვთების დანახვას და გარჩევას ვერ ახერხებდა.

ოთახში მყოფმა ქალმა თავის მხრივ ასეთივე ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან, ქუჩაში მდგომ ქალს გაუცვალა, შემდეგ რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს ისე ხმადაბლა, რომ დ არტანიანმა ვერ გაიგონა. ბოლოს დარაბაც მოხურეს. ქუჩაში დარჩენილი ქალი გამობრუნდა, ოთხი ნაბიჯის მანძილზე წინ გაუარა დ არტანიანს და თან თავის წამოსასხამში იფუთნებოდა, მაგრამ მეტად დაგვიანებული იყო ეს სიფრთხილე, დ არტანიანმა უკვე იცნო ქალბატონი ბონასიე.

ქალბატონი ბონასიე! განა არა, ცხვირსახოცის დანახვაზე ეჭვმა გაურბინა, მაგრამ როგორ წარმოიდგენდა, რომ ქალბატონი ბონასიე, რომელმაც ბატონ დე ლა პორტთან გაგზავნა იგი იმ მიზნით, რომ მასთან ერთად ლუვრში დაბრუნებულიყო, შუადამისას, თორმეტის ნახევარზე, პარიზის ქუჩებში მარტო დაიწყებდა სირბილს და იმის შიშიც კი აღარ ექნებოდა, რომ შეიძლებოდა მეორედაც დაეჭირათ?

მაშ საქმე, რომელმაც ის აქ მოიყვანა, მეტად დიდმნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რა იქნებოდა ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე ოცდახუთი წლის ქალისათვის, თუ არა სიყვარული?

მაგრამ ვისი გულისათვის იგდებდა თავს ასეთ საფრთხეში ქალბატონი ბონასიე? თვითონ იყო შეყვარებული თუ სხვას ემსახურებოდა ასე თავდადებულად? აი კითხვა, რომელიც უტრიალებდა თავში დ არტანიანს. გულს უღრღნიდა ეჭვიანობის დემონი, თითქოს უკვე იმ ქალის საყვარელი ყოფილიყოს.

მაგრამ იმის დასაზუსტებლად, თუ სად მიდიოდა ქალბატონი ბონასიე, ყველაზე უკეთესი საშუალება მის კვალზე გაყოლა და თვალყურის დევნება იქნებოდა. ეს ისეთი მარტივი ხერხი იყო, რომ არც კი დაფიქრებულა დ არტანიანი, ისე გადაწყვიტა ამ გზას დასდგომოდა.

ქალბატონმა ბონასიემ მოჰკრა თუ არა თვალი კედლიდან ძეგლივით მოწყვეტილ კაცს და გაიგონა მისკენ მიმავალი ფეხის ხმა, ოდნავ შეშინებულმა შეჰყვირა და მოკურცხლა.

დ არტანიანი მყისვე გამოუდგა. ძნელი არ იქნებოდა მისთვის სწრაფად დასწეოდა ქალს, რომელსაც ფეხი ეხლართებოდა წამოსასხამის კალთებში. მალე დაეწია კიდეც არა დაღლილობით, არამედ შიშით ძალმიხდილ ქალბატონ ბონასიეს. დ არტანიანმა მხრებზე ხელი დაადო, ქალმა მუხლზე დაიჩოქა და ხმაჩავარნილად დაიძახა:

— მომკალით, თუ გნებავთ, თქმით კი ვერას მათქმევინებთ!

დ არტანიანმა ხელი მოხვია წელზე, ააყენა. საბრალო ქალს გული წასვლოდა. ყმაწვილი კაცი შეეცადა ჩაეგონებინა, რომ ერთგული, მისთვის თავდადებული მეგობარი ჰყავდა გვერდით და საშიში არა იყო რა, მაგრამ არა სჯეროდა ქალბატონ ბონასიეს მისი ფიცი, რადგან იცოდა, რომ შეიძლება ბოროტი განზრახვა ჰქონდეს კაცს, მაგრამ მაინც ეფიცებოდეს. არა სჯეროდა, მაგრამ ხმამ დააჯერა. ყმაწვილმა ქალმა იცნო თავისი მხსნელის ხმა. გაახილა თვალები, გადახედა იმ კაცს, რომელმაც ასე შეაშინა, და სიხარულით შეჰყვირა:

— ოჰ, ეს თქვენ ბრძანდებით? მადლობა ღმერთს.

— დიახ, მე გახლავართ, — მიუგო დ არტანიანმა, — მფარველად მოგევლინეთ.

— განა მაგ განზრახვით ამედევნეთ ფეხდაფეხ? —ჰკითხა კეკლუცი ღიმილით ყმაწვილმა ქალმა, რომელსაც დ არტანიანის დანახვაზე ყოველგვარი შიში გაუქარწყლდა.

— არა, — უპასუხა დ არტანიანმა, — გამოგიტყდებით, სრულიად შემთხვევით მოვხვდი თქვენს გზაზე. ქალი დავინახე, რომელიც ჩემი მეგობრის ფანჯარაზე აკაკუნებდა.

— თქვენი მეგობრის ფანჯარაზე? — შეაწყვეტინა ქალმა.

— დიახ, ქალბატონო, არამისი ჩემი გულითადი მეგობარია.

— არამისი? ვინ არის არამისი?

— კარგით ერთი, იქნება ისიც მითხრათ, რომ არ იცნობთ არამისს?

— პირველად მესმის მისი სახელი.

— მაშ, ამ სახლში პირველად მოხვედით?

— პირველად.

— არ იცოდით, რომ ამ სახლში ყმაწვილი კაცი ცხოვრობდა?

— არა, არ ვიცოდი.

— არ იცოდით, რომ მუშკეტერი დგას ამ სახლში?

— გარწმუნებთ, არა.

— მაშ, თქვენ მის სანახავად არ მოსულხართ?

— მერწმუნეთ, არა, რაღა ჩემი თქმა გინდათ, ხომ ნახეთ, რომ ქალს ველაპარაკებოდი, მე საქმე ქალთან მქონდა.

— ეს მართალია, მაგრამ ეგ ქალი არამისის მეგობარია?
— არ ვიცი.
— მეგობარია, რადგან მის სახლში ცხოვრობს.
— ეს მე არ მეხება.
— მაინც, ვინ არის ის ქალი?
— ოჰ, ეს ხომ ჩემს საიდუმლოებას არ შეადგენს!
— ძვირფასო ქალბატონო ბონასიე, თქვენ მეტისმეტად მომხიბლავი და მშვენიერი ხართ, მაგრამ, იმავე დროს, საიდუმლოებით მოცული და ძნელად გამოსაცნობი ბრძანდებით.
— მერე რას ვაშავებ ამით?
— არაფერს, პირიქით, თაყვანსაცემი ხართ.
— მაშ, მომეცით ხელი.
— სიამოვნებით, ახლა?
— ახლა წამიყვანეთ.
— სად წაგიყვანოთ?
— იქ, სადაც მე მივდივარ.
— სად მიბრძანდებით?
— ნახავთ. ოღონდ კარებთან უნდა დამტოვოთ.
— გარეთ დაგიცადოთ?
— არა, საჭირო არ არის.
— მაშ, მარტო დაბრუნდებით?
— შეიძლება მარტო დავბრუნდე, შეიძლება არა.
— იქიდან ვინ გამოგყვებათ, კაცი თუ ქალი, იქნებ მარტო დაბრუნდეთ?
— ჯერ არ ვიცი, ბატონო.
— მაშ, მე მეცოდინება!
— ეგ როგორ?
— იქ დაგიცდით, მანამ გამოხვალთ.
— ოჰ, თუ ასეა, მშვიდობით!..
— როგორ თუ მშვიდობით?
— თქვენ მე არ მჭირდებით.
— აკი თვითონვე მთხოვეთ...
— პატიოსანი კაცის შველას ვითხოვდი და არა ჯაშუშის თვალყურის დევნებას.
— მეტად უკმეხი სიტყვა წამოგცდათ.
— მაშ რა ჰქვია იმ კაცს, რომელიც ფეხდაფეხ მისდევს ვინმეს მისი ნებართვის გარეშე?
— ცნობისმოყვარე.
— მეტად რბილი სიტყვა იქნებოდა ამ შემთხვევისათვის.
— მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, კარგად ვხედავ, უნდა ავასრულო ყოველივე ის, რასაც მიბრძანებთ.
— რად აიცდინეთ ჩემი გულის მადლობა, რატომ თქვენ თვითონ არ მიხვედით ასეთ დასკვნამდე?
— რომ ვნანობდე?
— გულწრფელად ნანობთ?
— გულწრფელად, გპირდებით, ყველაფერს აგისრულებთ, რასაც კი დამავალებთ, ოღონდ ნება მიბოძეთ, მიგაცილოთ, სადაც მიბრძანდებით.
— მიმიყვანთ და მაშინვე წახვალთ?
— დიახ, მაშინვე.
— არ დამიწყებთ თვალყურის დევნებას?
— არა.
— პატიოსან სიტყვას მაძლევთ?
— სიტყვას პატიოსანი აზნაურისას!
— თქვენი ხელი, აბა, წავიდეთ.

დ არტანიანმა ხელი შესთავაზა ქალბატონ ბონასიეს, რომელიც აკანკალებული და მცინარე სახით დაეყრდნო გასკონელის ღონიერ მკლავს. ორივენი ჰარპის ქუჩის მაღლობს აჰყვნენ. აქ ქალმა ისევ ყოყმანი დაიწყო, კვლავ დანიშნული სახლის ძებნას შეუდგა, მაგრამ რაღაც ნიშნებით აქ უფრო ადვილად მიაგნო და ერთ კარს მიადგა.

— ახლა კი, ბატონო, აი აქ მაქვს საქმე, — უთხრა მან. — გთხოვთ, მიიღოთ დიდი მადლობა იმ პატიოსანი ამხანაგობისათვის, რომელმაც მრავალ განსაცდელს გადამარჩინა, დადგა თქვენი პირობის ასრულების დრო. მე დანიშნულებისამებრ მოვედი და უნდა გამოგეთხოვოთ.

— არავითარი საშიშროება არ მოგელით დაბრუნებისას?

— იქნებ ქურდებისა, სხვა არავითარი.

— ქურდები განა საშიშნი არ არიან?

— მერედა რას წაიღებენ? ერთი სუც არ მიგდია ჯიბეში.

— თქვენ გავიწყდებათ მშვენიერი ცხვირსახოცი ამოქარგული ნიშნით?

— რომელი?

— ის, რომელიც თქვენს ფეხთან ეგდო, გულწასული რომ იყავით და ჯიბეში ჩაგიდეთ.

— გაჩუმდით, გაჩუმდით, უბედურო! — შეჰყვირა ახალგაზრდა ქალმა, — ნუთუ გინდათ, დამღუპოთ?

— კარგად ხედავთ, ქალბატონო, საშიშროება ჯერ კიდევ მოგელით, მხოლოდ ერთადერთმა სიტყვამ იკმარა, რომ აკანკალებულიყავით. მოდით, ქალბატონო, გულწრფელად მომენდეთ, — შეჰყვირა დ არტანიანმა, — ნუთუ აქამდე ვერ ამოიკითხეთ ჩემს თვალებში თავგანწირული ერთგულება და თანაგრძნობა, რომლითაც აღსავსეა ჩემი გული?

— დიახ, ბატონო, ამოვიკითხე, — უპასუხა ქალბატონმა ბონასიემ, და ამიტომ, თუ გნებავთ, მკითხეთ ჩემი საიდუმლოება, მერწმუნეთ, არაფერს დაგიმალავთ. მაგრამ სხვისი საიდუმლოებისას ნურასა მკითხავთ, ეს სულ სხვა საქმეა.

— ძალიან კარგი, — უპასუხა დ არტანიანმა, — მაგ სხვის საიდუმლოებასაც მივაგნებ, თუკი მას შეუძლია გავლენა იქონიოს თქვენს სიცოცხლეზე. უნდა ვეცადო, ჩემად გავიხადო ეს სხვისი საიდუმლოება.

— ოჰ, არა, არა! ღმერთმა დაგიფაროთ, — შეჰყვირა ქალმა ისეთი შიშით, რომ დ არტანიანიც თავისებურად აათრთოლა — არა, არა, ნუ ჩაერევით იმაში, რაც მე მეხება, ნუ ეცდებით მიშველოთ და დამეხმაროთ იმ საქმეში, რომელსაც მე ვასრულებ. ამასა გთხოვთ იმ თანაგრძნობის სახელით, რომელიც, ვგრძნობ, თქვენს გულში აღვძარი; იმ მფარველობის სახელით, რომელიც თქვენ აღმოიჩინეთ და ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ. დამიჯერეთ რასაც გეტყვით, გთხოვთ, დამიჯერეთ. დამივიწყეთ, ვითომ აღარც კი ვარსებობ, ვითომ არასდროს არსად გინახივართ.

გულში მოხვდა დ არტანიანს ეს სიტყვა, ეწყინა და ჰკითხა:

— არამისმაც ასევე უნდა დაგივიწყოთ, ქალბატონო?

— აი, ორჯერ თუ სამჯერ წარმოთქვით, ბატონო, ეს გვარი, მიუხედავად იმისა, რომ გითხარით, მაგ კაცს არ ვიცნობ-მეთქი.

— მაშ, არ იცნობთ იმ კაცს, რომელსაც შუაღამისას ფანჯარაზე დაუკაკუნეთ? კარგით ერთი, ქალბატონო! გეტყობათ, ძალიან მიამიტად მიგაჩნივართ.

— მოდით, გამოტყდით: თქვენ ეგ ამბავი და ვიღაც არამისიც იმისათვის გამოიგონეთ, რომ მაგით მაინც მათქმევინოთ რამე.

— მე არაფერი გამომიგონია, ქალბატონო, არაფერი შემითხზავს, სრულ ჭეშმარიტებას ვამბობ, სხვას არაფერს.

— ამბობთ, რომ ერთი თქვენი მეგობართაგანი ცხოვრობს ამ სახლში?

— ვთქვი და, აი, მესამედ ვიმეორებ, ეს ის სახლია, რომელშიც ჩემი მეგობარი ცხოვრობს, და ეს ჩემი მეგობარი არამისია.

— ეს ყველაფერი შემდეგში გამოირკვევა, — წასჩურჩულა ქალმა, — ახლა კი დაჩუმდით, ბატონო.

– თქვენ რომ შეგეძლოთ ჩემს გულში ჩახედვა, ისეთ ცნობისმოყვარეობას ამოიკითხავდით, რომ შემიბრალებდით, ისეთ გულწრფელ სიყვარულს იგრძნობდით, რომ იმწამსვე დააკმაყოფილებდით ჩემს ცნობისმოყვარეობას. არ უნდა გეშინოდეთ მათი, ვისაც უყვარხართ.

– ძალიან ადრე დაიწყეთ, ბატონო, სიყვარულზე ლაპარაკი, – უთხრა თავის ქნევით ქალმა.

– რა ვქნა, ქალბატონო, მეტად სწრაფად მომედო სიყვარული. ეს ჩემი პირველი სიყვარულია. რა ვქნა, რომ ჯერ ოცი წლისაც არა ვარ?

მალვით გადახედა ქალმა თავის თაყვანისმცემელს.

– მომისმინეთ, – განაგრძო დ არტანიანმა, – კვალს უკვე მივაგენი. ამ სამი თვის წინათ კინაღამ დუელი მოგვიხდა მე და არამისს ერთი ცხვირსახოცის გამო, ისიც სწორედ ისეთი იყო, როგორიც თქვენ აჩვენეთ ვიღაც ქალს არამისის სახლში. დარწმუნებული ვარ, მაგ ცხვირსახოცზედაც იგივე ნიშნები იქნებოდა ამოქარგული.

– გარწმუნებთ, ბატონო, ძალიან დამღალეთ თქვენი კითხვებით, – უთხრა ახალგაზრდა ბონასიემ.

– მეტად ფრთხილი ბრძანდებით, ქალბატონო, წარმოიდგინეთ, რომ დაეჭირეთ იმ ცხვირსახოციანად, ხომ შერცხვებოდით?

– რად შევრცხვებოდი? მე ჩემს ცხვირსახოცზე იგივე ასოები მაქვს ნიშნად – „კ. ბ.“ – კონსტანცია ბონასიე.

– ან კამილა დე ბუა-ტრასი!

– გაჩუმდით, ბატონო! ერთხელ კიდევ გთხოვთ, გაჩუმდით! რა გაეწყობა, რაკი ჩემი განსაცდელი არად მიგაჩნიათ და ვერ გაჩუმებულხართ, თქვენი თავი მაინც შეიბრალეთ. ეცადეთ, ერიდოთ ყოველ საშიშროებას.

– მე მეუბნებით?

– დიახ, თქვენ, ციხე და სიკვდილი მოგელით ჩემი ნაცნობობისათვის.

– თუ ეს ასეა, მე თქვენ აღარ მოგშორდებით.

ხელი ზევით აღაპყრო ქალმა და ვედრება დაიწყო:

– თუ ღმერთი გწამთ, ბატონო! თუ გწამთ მხედრული პატიოსნება, თუ გწამთ კეთილშობილის უმწიკვლოება, წადით, მომშორდით! აგერ, ბატონო, შუაღამეა, თორმეტმა დაჰკრა, სწორედ ამ დროს მელიან...

– არა, ქალბატონო, მე უარს ვერ გავბედავ, როდესაც ასე მთხოვენ, – უთხრა დ არტანიანმა და მდაბლად დაუკრა თავი, – დამშვიდდით, აი, მივდივარ.

– აღარ დამიწყებთ თვალყურის დევნებას?

– მე ახლავ შინ წავალ.

– განა არა, ვიცოდი, რომ პატიოსან ყმაწვილ კაცთან მქონდა საქმე! – შეჰყვირა სიხარულით ქალბატონმა ბონასიემ და დ არტანიანს ხელი გაუწოდა. მეორე ხელი მოსჭიდა ურატას, კედელში გამოჭრილ პატარა კარზე დასაკაკუნებლად.

პირზე მიიდო დ არტანიანმა ქალის ხელი და ვნებით დაუწყო კოცნა.

– ის ემჯობინებოდა ჩემთვის, რომ არასოდეს მენახეთ, – წამოიძახა დ არტანიანმა იმ გულუბრყვილო დაუდევრობით, რომელიც ქალებს ხშირად უფრო მეტად მოსწონთ, ვიდრე ზრდილობიანი თვალთმაქცობა, რადგან ნათქვამში ჭეშმარიტებას გრძნობენ და რწმუნ-დებიან, რომ გრძნობას უჯობნია მოფიქრებისათვის.

– ძალიან კარგი, – უპასუხა ქალბატონმა ბონასიემ თითქმის ალერსით და თან ხელი მოუჭირა დ არტანიანის მეორე ხელს, – ძალიან კარგი! მხოლოდ მე იმდენს არ ვიტყვი, რამდენიც თქვენ თქვით: იქნებ დღეს არ გაგიმართლდათ, მაგრამ სხვა დროს მიაღწევთ მიზანს. ვინ იცის, შეიძლება გავთავისუფლდე ერთ დღეს და დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა!

– ჩემს სიყვარულსაც მაგავე აღთქმას უდებთ? – შეჰყვირა სიხარულით აღტაცებულმა დ არტანიანმა.

– მაგ მხრივ მე არავითარ აღთქმას არ გაძლევთ. ეგ იმ გრძნობაზე იქნება დამოკიდებული, რომელსაც თქვენ აღძრავთ ჩემს გულში.

– მაშ, დღეს, ქალბატონო...

– დღეს, ბატონო, ჯერჯერობით უსაზღვრო მადლობას ვგრძნობ.

– ოჰ, მეტისმეტად მომხიბლავი ხართ, ქალბატონო, – უთხრა სევდიანი ხმით დ არტანიანმა, – მეტისმეტადაც სარგებლობთ ჩემი სიყვარულით.

– არა, ბატონო, მე ვსარგებლობ თქვენი გულკეთილობით, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემისთანა ადამიანთან არაფერს დაკარგავთ.

– ოჰ, მაგ სიტყვების შემდეგ კაცთა შორის უბედნიერესი ვარ. ნუ დაივიწყებთ ამ ღამეს, ნუ დაივიწყებთ ნურც მაგ დაპირებას!

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, თავის დროზე და ადგილზე დაწვრილებით გავიხსენებ ყველაფერს, ახლა კი წადით; წადით, ღვთის გულისათვის! სწორედ შუაღამისას მელოდნენ, მე უკვე დავაგვიანე.

– ხუთი წუთით.

– მართალია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ხუთი წუთი ხუთ საუკუნეს უდრის.

– იქ, სადაც სიყვარულია.

– ვინ მოგახსენათ, რომ მეც სიყვარულით აღგზნებულთან არა მაქვს საქმე?

– თქვენ კაცი გელით? – შეჰყვირა დ არტანიანმა, – მითხარით, მამაკაცი გელით?

– ხედავთ? ისევ თავიდან იწყება ჩვენი კამათი, – მიუგო ქალბატონმა ბონასიემ ღიმილით, რომელშიც მოუთმენლობაც გამოიხატებოდა.

– არა, არა, მივდივარ. მჯერა თქვენი, მინდა დაგიმტკიცოთ ჩემი ერთგულება, თუნდა, ჩემ საუბედუროდ, სისულელესაც ჩავდიოდე, მშვიდობით, ქალბატონო, მშვიდობით...

გრძნობდა, რომ ვერაფრით ვერ შეძლებდა ქალის ხელის გაშვებას, თუ მძაფრად არ დათრგუნავდა თავის გრძნობას, და უცბად სირბილით მოკურცხლა.

ქალბატონმა ბონასიემ აქაც, როგორც არამისის სახლთან, სამჯერ დააკაკუნა კარებზე. ჭუჩის კუთხეს რომ მიაღწია დ არტანიანმა, უკან მოიხედა. ლამაზი ქალი უკვე გამქრალიყო.

დ არტანიანმა გზა განაგრძო. პატიოსანი სიტყვა მისცა ქალბატონ ბონასიეს, რომ ზვერვას აღარ დაუწყებდა, და კიდეც აასრულა. ვერ უმტყუნებდა თავის სიტყვას, თუნდ მასზე ყოფილიყო დამოკიდებული მთელი მისი სიცოცხლე. ხუთი წუთის შემდეგ დ არტანიანი უკვე მესაფლავეების ჭუჩაზე იყო.

– საწყალი ათოსი, – ამბობდა დ არტანიანი, – ჯერაც არ ეცოდინება, რა დამემართა, რისთვის დავიბარე, ალბათ, ზის და მელის, თან ტკბილად თვლემს. ან იქნება აღარ მომიცადა, შინ წავიდა და იქ გაიგო, რომ ქალი იყო მის სახლში. ქალი ათოსის სახლში! მაგრამ ვითომ რატომ არა? ქალი არ იყო წეღან არამისის სახლში? უცნაურზე უცნაურია ეს ყველაფერი და ნეტავი ვიცოდე, რით გათავდება?

– ძალიან ცუდად, ბატონო, ძალიან ცუდად, – შემოესმა ხმა. პლანშე იყო. დ არტანიანი, გართული თავის ფიქრებში, ხმამაღლა მსჯელობდა და შეუმჩნევლად შევიდა ხეივანში, რომლის ბოლოს იწყებოდა მის ბინაში ასავალი კიბე.

– როგორ თუ ცუდად? რა გინდა თქვა მაგით, სულელო? – შეუტია დ არტანიანმა, – რა მოხდა ვითომ?

– ყოველგვარი უბედურება.

– რა უბედურება?

– პირველი ის, რომ ბატონი ათოსი დაიჭირეს.

– დაიჭირეს? ათოსი? ათოსი დაიჭირეს? მერე რისთვის დაიჭირეს?

– იმიტომ, რომ თქვენსა ნახეს, თქვენ ეგონეთ.

– მერე, ვინ დაიჭირა?

– იმ გუშაგებმა, თქვენ რომ გააქციეთ. სხვაც მოიშველიეს, სულ შავად მოსილები.

– რატომ არ უთხრა ათოსმა თავისი გვარი? რატომ არ უთხრა, რომ ის არ ურევია ამ საქმეში?

– კიდევ კარგი, რომ არ თქვა, ბატონო, პირიქით, ჩემთან მოვიდა და ჩუმად მითხრა: „ამჟამად თავისუფლება შენს ბატონს ესაჭიროება და არა მე. მან ყველაფერი იცის საქმისა და მე კი – არაფერიო. დაპატიმრებულად იგულისხმებენ, ის კი თავისუფლად იქნება და მიხედავს თავის საქმეს. სამი დღის შემდეგ გამოვაცხადებ ჩემს ვინაობას და იძულებულნი იქნებიან, მაშინვე გამომიშვანო“.

– ყოჩაღ, ათოს! სწორედ დიდებული გულის კაცია, – წაიჩურჩულა დ არტანიანმა, – რა ქნეს იმ გუშაგებმა?

– ოთხმა კაცმა ბატონი ათოსი წაიყვანა, ოღონდ არ ვიცი, ბასტილიისაკენ თუ ფორ-ლევეკისაკენ; ორი კიდევ აქ დარჩა საშველად მოყვანილ შავმოსილებთან, რომლებმაც მთლად გადააქოთეს აქაურობა და თან წაიღეს, რაც კი რამ ქაღალდი იპოვეს. შავმოსილები რომ ჩხრეკდნენ, ის ორი კარებთან იდგა და დარაჯობდა. როდესაც სუყველაფერი გაჩხრიკეს, წავიდნენ და ღია დატოვეს ცარიელი სახლის კარი.

– პორთოსი და არამისი?

– შინ არ დამხვდნენ და არც აქ მოსულან.

– კარგი, მაგრამ შეიძლება კიდევაც მოვიდნენ, ხომ დაუბარე, რომ აქ ველოდი?

– დიახ, ბატონო.

– მაშ ასე, ფეხი არ მოიცვალო აქედან. თუ მოვიდნენ, აცნობე, რაც მოხდა, და სთხოვე „ნაძვის გირჩებში“ დამიცადონ. შინ ნუ შეიყვან, იქნებ შორიდან გვითვალთვალებენ ჯაშუშები. მე ბატონ დე ტრევილთან წავალ, ვუამბობ ჩემს თავგადასავალს და შემდეგ მათ შევხვდები.

– კარგი, ბატონო, – უთხრა პლანშემ.

– შენ აქ უნდა დარჩე, გეყურება? მხოლოდ არ შეშინდე! – უთხრა დ არტანიანმა გასამხნევებლად თავის მსახურს.

– არხეინად ბრძანდებოდეთ, ბატონო, – დაამშვიდა პლანშემ. – ჯერ კარგად არ მიცნობთ, თუ მოვინდომებ, მეც გულადი გახლავართ, მთავარია, მოინდომოს კაცმა, ესეც რომ არ იყოს, მეც ხომ პირკანდელი ვარ.

– ძალიან კარგი, – მოუწონა დ არტანიანმა, – პირკანდელი ხარ? მაშ სიკვდილს არჩევ და ფეხს არ მოიცვლი!

– დიახ, ბატონო, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩემი ერთგულება დაგიმტკიცოთ.

– ძალიან კარგი, – ამბობდა ჩუმად დ არტანიანი, – ეტყობა, ძალიან კარგი ყოფილა ის მეთოდი, რომელიც ამ ბიჭის გასაწვრთნელად ვიხმარე, თუ შესაფერი შემთხვევა მექნა, კვლავ გავიმეორებ.

მთელ დღე-ღამის სიარულით დაღლილობის მიუხედავად დ არტანიანი სირბილით წავიდა ძველი სამტრედის ქუჩისაკენ.

ბატონი დე ტრევილი შინ არ დაუხვდა, ლუვრის სასახლეში დარაჯად მყოფ თავის რაზმს თან გაჰყოლოდა.

დ არტანიანმა გადაწყვიტა, ლუვრში მოხვედრილიყო. ბატონ დეზესარის რაზმელის ტანისამოსი ეცვა და ფიქრობდა, ეს გამოადგებოდა საშვებად.

პატარა ავგუსტინელების ქუჩა ჩაიარა, სანაპიროთი ახალ ხიდზე აპირებდა გასვლას, რომ ფიქრმა გაუელვა, ბორანით გადაეჭრა გზა, მაგრამ მდინარის ნაპირზე მისვლისას უნებლიეთ ჩაიყო ჯიბეში ხელი, – არც ერთი გროში არ ედო და, ცხადია, ვერ შეძლებდა გადასვლას. ისევ გენეგოს ქუჩის აღმართს აჰყვა და დოფინის ქუჩიდან მომავალი ორი ადამიანი შეამჩნია, ერთი კაცი იყო, მეორე – ქალი.

ქალი აგებულებით და გარეგნობით ქალბატონ ბონასიეს ჰგავდა. კაცი... – შეუძლებელი იყო აქ შეცდომა, – კაცი არამისი იყო. გარდა ამისა, ქალს იგივე შავი წამოსასხამი ესხა, რომელიც დ არტანიანმა ჯერ ვოჟირარის ქუჩაზე, არამისის ფანჯარასთან და მეორედ ლა ჰარპის კართან ნახა.

კიდევ მეტი, კაცს მუშკეტერის ტანისამოსი ემოსა და პირზე ცხვირსახოცი აეფარებინა, ქალს თავსახვევი სახეზე ჩამოეშვა, ორმხრივი სიფრთხილე ამტკიცებდა, რომ ისინი ცდილობდნენ, არავის შეძლებოდა მათი ცნობა.

ისინიც ხიდზე ავიდნენ. დ არტანიანიც სწორედ ამ გზით მოდიოდა და უკან მიჰყვა.

ოცი ნაბიჯიც არ ექნებოდა გადადგმული, რომ საბოლოოდ დარწმუნდა: ქალი ქალბატონი ბონასიე იყო, ხოლო კაცი – არამისი.

უცბად საშინელმა ეჭვმა აღშფოთებამდე მიიყვანა გასკონელი. უღალატეს! უღალატა თავისმა გულითადმა მეგობარმა! უღალატა მანაც, ვინც უკვე თავის სატრფოდ მიაჩნდა.

ქალბატონი ბონასიე იფიცებოდა, არამისს არ ვიცნობო, მაგრამ ამ ფიციდან არ გასულა თხუთმეტი წუთი და მას მიჰყვებოდა მკლავგაყრილი.

დ არტანიანს გადააავიწყდა, რომ ეს ქალი სულ სამი საათის გაცნობილი ჰყავდა, რომ ამ ქალს არაფერი ემართა მისი, გარდა მადლობისა, რომელიც უკვე გადაუხადა. დაპირებით კი არაფერს დაჰპირებია. ჩვენი გმირი თავის მიჯნურად სთვლიდა ქალბატონ ბონასიეს და ამიტომ შეურაცხმყოფელად მიაჩნდა მისი საქციელი, ღალატი, დაცინვა... თავში აუვარდა სისხლი და გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ გამოერკვია ყველაფერი.

წინ მიმავალმა ქალმა და კაცმა შეამჩნიეს, რომ უკან ფეხდაფეხ ვიღაც მოსდევდათ, და ერთიორად აუჩქარეს ნაბიჯს. არც დ არტანიანი ჩამორჩა. პირიქით, გაასწრო და როდესაც ქუჩის მაშუქის კარგად განათებულ სამარიტენთან მივიდნენ, დ არტანიანი წინ დაუდგა. მგზავრები შეჩერდნენ.

– რა გნებავთ, ბატონო? – ჰკითხა მუშკეტერმა და თან ერთი ნაბიჯით უკან დაიწია. მას უცხოელის გამოთქმა ჰქონდა, ეს გარემოება კი უმტკიცებდა დ არტანიანს, რომ იგი შემცდარი იყო თავისი ეჭვის ნაწილში მაინც.

– ეს არამისი არ არის! – შესძახა გაკვირვებულმა.

– არა, ბატონო, მე არამისი არ გახლავართ! თქვენი წამოძახილი ამტკიცებს, რომ სხვას ვიღაცას მიმამსგავსეთ შეცდომით და მიპატიებია.

– გიპატიებიათ? – შეუტია დ არტანიანმა.

– დიახ, – უპასუხა უცნობმა, – ახლა გზა მომეცით, ბატონო, ხომ ხედავთ, რომ თქვენ ჩემთან არა გაქვთ საქმე.

– მართალი ბრძანდებით, ბატონო, – მიუგო დ არტანიანმა, – მე თქვენთან არა, ქალბატონთან მაქვს საქმე.

– ქალბატონთან? მერე იცნობთ? – გაუკვირდა უცნობს.

– ცდებით, ბატონო! ვიცნობ.

– აჰ! – ჩაერია ლაპარაკში ქალბატონი ბონასიე საყვედურით სავსე ხმით, – აჰ, ბატონო! მე თქვენ სიტყვა მომეცით პატიოსანი კეთილშობილისა და მხედრისა, იმედი მქონდა, რომ შემეძლო ვნდობოდი პატიოსან კაცს...

– თქვენ, ქალბატონო, – მიუგო დაბნეულად დ არტანიანმა, – თქვენ შემპირდით, რომ...

– მომეცით ხელი, ქალბატონო, და განვაგრძოთ ჩვენი გზა, – თქვა უცნობმა.

გაშეშებული დ არტანიანი, შეურაცხყოფილი, დამცირებული ამდენი შეუსაბამობით, გულხელდაკრეფით წინ ედგა უცნობ მუშკეტერს და ქალბატონ ბონასიეს.

მუშკეტერმა ორი ნაბიჯი წინ წამოდგა და ხელით მოიშორა გასკონელი. უკან გადახტა დ არტანიანი და ხმალი იშიშვლა. იმავე წამს სწრაფად ამოიღო ხმალი უცნობმა მუშკეტერმაც.

– ღვთის გულისათვის, მილორდ! – შეჰყვირა ქალბატონმა ბონასიემ, შუაში ჩაუდგა მებრძოლთ, ხმლები დაუჭირა.

– მილორდ! – წამოიძახა დ არტანიანმა, რომელიც ელვასავით სწრაფმა და ბრწყინვალე აზრმა გონს მოიყვანა. – ბოდიშს ვიხდი, ბატონო! ნუთუ თქვენ ბრძანდებით?..

– მილორდი, ჰერცოგი ბუკინგამისა, – უთხრა ჩუმი ხმით ქალბატონმა ბონასიემ, – ახლა თქვენ იცით, თუ გსურთ, ყველას დაგვღუპავთ!

– მილორდ! ქალბატონო! მაპატიეთ, გევედრებით, რა ვქნა, მილორდ, მიყვარს ეს ქალი და ვეჭვიანობ, თქვენც იცით, ბატონო, რა არის სიყვარული! გთხოვთ, მაპატიოთ და მიბრძანოთ, როგორ ან ვის შევაკლა თავი თქვენდა საბედნიეროდ?

– ყოჩაღი ბიჭი ყოფილხართ, – უპასუხა ბუკინგამმა და ხელი გაუწოდა დ არტანიანს, რომელმაც მოწიწებით ჩამოართვა, – დახმარებას მპირდებით და მეც სიამოვნებით

ვსარგებლობ შემთხვევით. ლუვრამდე უკან მოგვდიეთ, ასე, ოცი ნაბიჯის მანძილზე, და თუ ნახოთ ვინმე ჩვენს საჯაშუშოდ გამოგზავნილი, იქვე მოკალით!

დ არტანიანმა ქალბატონი ბონასიე და მილორდი წინ გაუშვა, თვითონ ამოღებული ხმლით უკან გაჰყვა.

კიდევ კარგი, ყმაწვილ კაცს არაფერი შეემთხვა ისეთი, რომ დაემტკიცებინა მილორდისათვის მისი ბრძანების ასასრულებლად თავისი თავგანწირვის სურვილი. ახალგაზრდა ქალი და კოხტა მუშკეტერი მშვიდობიანად შევიდნენ ლუვრში, დე ლ ეშელის ჭუჩის მხარის კარით. თვითონ კი მაშინვე „ნაძვის გირჩებისაკენ“ წავიდა, სადაც პორთოსი და არამისი ელოდებოდნენ.

დ არტანიანმა არავითარი განმარტება არ მისცა თავის მეგობრებს, რისთვის შეაწუხა ისინი და ამდენ ხანს რად ალოდინა. მხოლოდ გააგებინა, რომ თვითონვე მოაწესრიგა ის საქმე, რომლის შესასრულებლად საჭიროდ მიაჩნდა მათი დახმარება.

ახლა კი, რაკი ასე გაგვიტაცა ჩვენმა მოთხრობამ, თავი დავანებოთ ჩვენს სამ მეგობარს, დაე, კარგად გამოიძინონ თავიანთ სახლებში, და ლუვრის სასახლეში შევყვეთ ჰერცოგ ბუკინგამსა და მის მეგზურს.

XII

ჟორჟ ვილერსი, ჰერცოგი ბუკინგამისა

ქალბატონი ბონასიე და ჰერცოგი ბუკინგამი სრულიად თავისუფლად შევიდნენ ლუვრში. ქალბატონ ბონასიეს სასახლეში იცნობდნენ, როგორც დედოფლის მოახლეს, ბუკინგამს კი ბატონ დე ტრევილის რაზმის მუშკეტერის ტანისამოსი ეცვა და როგორც ზემოთ ვთქვით, სწორედ დე ტრევილის რაზმი სდარაჯობდა იმ ღამეს სასახლეს. გარდა ამისა, კარისკაცი ჟერმენიც დედოფლის მომხრედ ითვლებოდა და, კიდეც რომ ჩაცვივნულიყვნენ, ქალბატონ ბონასიეს გაამტყუნებდნენ თავისი საყვარლის სასახლეში შეყვანისათვის. მთელ დანაშაულს ახალგაზრდა ქალი კისრულობდა, მართალია, სახელი გაუტყდებოდა, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს ვიღაც ვაჭრის ცოლს და მის სახელს?

ეზოში შესვლის შემდეგ ბუკინგამმა და მისმა გზის მაჩვენებელმა ოცდახუთი ნაბიჯი კედელ-კედელ იარეს. მერე ქალბატონმა ბონასიემ გააღო პატარა კარი, რომელიც დღისით ყოველთვის ღია იყო, ხოლო ღამით დაკეტილი. სიბნელეში მოუხდათ სიარული, მაგრამ ქალბატონმა ბონასიემ ზედმიწევნით კარგად იცოდა ყოველი მისახვევ-მოსახვევი ლუვრის იმ ნაწილისა, რომელიც განკუთვნილი იყო სასახლის მსახურთათვის. ქალბატონმა ბონასიემ დიდი სიფრთხილით მოიხურა კარი, ხელი დაუჭირა ჰერცოგს და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ხელების ფათურით კიბის მოაჯირს მიაგნო, პირველი საფეხური იპოვა და ნელ-ნელა აჰყვა კიბეს. აიარეს ორი სართული, შემდეგ ქალმა მარჯვნივ შეუხვია, მილორდიც უკან გაჰყვა, დერეფანი გადასერეს, შემდეგ კვლავ ერთი სართულით ძირს დაეშვნენ. რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გაიარეს, ქალმა გასაღებით გააღო კარი და მილორდი ღამის პატარა სანათით განათებულ დარბაზში შეიყვანა.

– აქ დაბრძანდით, ბატონო, პატარა ხანს, ახლავ მოვლენ, – უთხრა ბუკინგამს, თვითონ კი იმავე კარით გავიდა და ისევ გასაღებით ჩაკეტა ოთახი. ჰერცოგი ტუსაღივით დამწყვდეული დარჩა.

განმარტოებულ მაგრად ჩაკეტილ ბნელ დარბაზში ჰერცოგ ბუკინგამს სულ უმცირესი, წამიერი შიშიც არ უგრძვნია. მისი ხასიათისათვის დამახასიათებელი იყო ფათერაკების ძიება და ყოველგვარი რომანტიკულით გატაცება. გულადი, გამბედავი, თავაზიანი ჰერცოგი თავის სიცოცხლეს საფრთხეში პირველად არ იგდებდა, ბუკინგამს უკვე გაეგო, რომ ყალბი წერილი, ანა ავსტრიელის სახელით გამოგზავნილი, რომლის ნდობამ ის პარიზს ჩამოიყვანა, მისთვის დაგებული მახე იყო. ჰერცოგმა გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა და

ინგლისში დაბრუნების ნაცვლად, დედოფალს აცნობა, რომ მის უნახავად პარიზიდან ფეხს არ მოიცვლიდა.

დედოფალმა პირველად გადაჭრილი უარი შეუთვალა, მაგრამ შემდეგ შეშინდა, ჰერცოგს უბედურება არ აეტეხა თავისი თავისათვის და ამიტომ გადაწყვიტა, მიეღო ბუკინგამი და ეთხოვა მისთვის, რომ საჩქაროდ გამგზავრებულიყო ინგლისს. მაგრამ სწორედ იმ საღამოს, როდესაც მისი ნახვა დააპირა დედოფალმა, მოიტაცეს ქალბატონი ბონასიე, მას კი დავალებული ჰქონდა ბუკინგამის სასახლეში შეყვანა. ისე გავიდა ორი დღე, ქალბატონ ბონასიეს გზა-კვალსაც ვერ მიაგნეს, ჰაერში ჩამოკიდებული დარჩა ყველაფერი. მაგრამ განთავისუფლებულმა ქალბატონმა ბონასიემ მაშინვე დე ლა პორტი ნახა, წესრიგში მოიყვანა საქმეები და, აი, უკვე აასრულა ის განსაკუთრებით პასუხსაგები დავალება, რომელიც სამი დღით გადადო მისმა მოტაცებამ.

მარტო დარჩენილი ბუკინგამი სარკესთან მივიდა. საკვირველად უხდებოდა მუშკეტერის სამოსი.

ჰერცოგი მაშინ ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა. იგი სამართლიანად ითვლებოდა ულამაზეს დიდებულად საფრანგეთისა და ინგლისის დიდებულთა შორის და ქალების ოცნების მამაკაცს წარმოადგენდა.

ყოვლის შემძლედ, ძლიერებით აღსავსედ მიაჩნდა თავი, რასაც კი მოიწადინებდა, დაურიდებლივ, პირდაპირ მიდიოდა შესასრულებლად, თუნდაც ისეთი მიუწვდომელი ყოფილიყო მისი მიზანი და თვალისმომჭრელი, რომ სხვისთვის მისი ფიქრიც კი მხოლოდ სიგიჟე იქნებოდა, ამიტომ იყო, რომ მოახერხა და რამდენჯერმე ნახა ტურფა და თან ამპარატავანი ანა ავსტრიელი, თვალი აუხვია თავისი ვაჟკაცური მშვენიერებით და თავი შეაყვარა.

სარკის წინ მდგომმა ჟორჟ ვილერს ბუკინგამმა გაისწორა ლამაზი ქერა თმა, რომელიც მუშკეტერის ქუდს ოდნავ აეწეწა, ულვაში გადაიგრიხა, სიხარულს ვერ იტევდა მისი გული. ამაყმა და ბედნიერმა იმით, რომ ახლოვდებოდა დიდი ხნის ნანატრი წამი, აღტაცებული იმედით შესცინა თავის თავს.

ამ დროს გაიღო ფარდის უკან დამალული კარი და დარბაზში ქალი შემოვიდა, ბუკინგამმა სარკეში დაინახა შემოსული დ აღტაცებულმა შეჰყვირა. ეს დედოფალი ბრძანდებოდა!

ანა ავსტრიელი მაშინ ოცდაექვსი-ოცდაშვიდი წლისა თუ იქნებოდა, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, იმ ასაკში იყო, როდესაც თავისი მშვენიერების მწვერვალს აღწევს ქალი. მიხრა-მოხრა დედოფალს ქალღმერთისა ჰქონდა; მისი მშვენიერი თვალები, სავსე ლმობიერებითა და დიდებულებით, ზურმუხტის სხივებს აფრქვევდნენ.

ვარდისფერი ქვემო ტუჩი, საერთოდ, როგორც ავსტრიის მეფის შვილებს, ოდნავ წინ ჰქონდა წამოწეული, მაგრამ ეს უხდებოდა კიდეც. გაღიმების დროს მეტად კეკლუცი და მომხიბვლელი იყო, გაბრაზების დროს მკაცრ და სასტიკ გამომეტყველებას იღებდა.

განთქმულს თავისი კანის ხავერდოვნებით, საკვირველი სილამაზის ხელები და მკლავები ჰქონდა. იმდროინდელი ყველა პოეტი უმღეროდა მის მშვენიერებას, როგორც სასწაულებრივსა და შეუდარებელს. სიყმაწვილეში ქერა თმა ახლა წაბლისფერი გახდომოდა. საპკურმოყრილი კულულები საოცრად უხდებოდა მის სახეს.

ერთ წამს ელდანაცემივით დარჩა ბუკინგამი, არც ერთ მეჯლისში, არც ერთ ზეიმში, თითქმის არსად არ ენახა ანა ავსტრიელი ასე მშვენიერი. უბრალო, თეთრი სატინის კაბით შემოსილი მეტისმეტად მომხიბლავი ჩანდა, დედოფალს თან დონა ესტეფანია ახლდა, ერთადერთი მისი მახლობელი ესპანელ ქალთაგან, რომელიც გადარჩა და სხვებივით არ იქნა განდევნილი მეფის ეჭვით და რიშელიეს დევნით.

დედოფალი ორი ნაბიჯით წინ წარდგა. – ბუკინგამმა მუხლი მოიყარა და მოწიწებით ემთხვია მისი კაბის ბოლოს, ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ შემკრთალმა ქალმა უკან დაწევაც კი ვერ მოასწრო.

– ჰერცოგო! უკვე გეცოდინებათ, რომ მე არ მიბრძანებია თქვენთვის წერილის მოწერა.

– ოჰ, დიახ, ქალბატონო, დიახ, თქვენო ყოვლადუდიდებულესობავ, – შეჰყვირა ჰერცოგმა, – ვიცი, რომ სულელი ვიყავი, გადარეული, თორემ როგორ წარმოვიდგენდი, რომ გათბებოდა ყინული, სულს ჩაიდგამდა მარმარილო, მაგრამ რას იზამთ? ვისაც მართლა გულით უყვარს, სიყვარულის სიტყვაცა სწამს, გარდა ამისა, მე ამ მგზავრობით ერთხელ კიდევ მეღირსა თქვენი ნახვა.

– დიახ, – მიუგო დედოფალმა, – მაგრამ ისიც იცით, რადა და რისთვის გავბედე მე თქვენი ნახვა? იმიტომ, რომ გულცივად შესცქერით ჩემს ყოველ მწუხარებას და პარიზში დარჩენა დაგიჟინებიათ. ამით კი განსაცდელს უმზადებთ თქვენს სიცოცხლეს და, მასთან ერთად, ჩემს პატიოსნებას... გნახეთ, ბატონო. იმისთვის, რომ მოგახსენოთ... ერთმანეთს გვაშორებს ყველაფერი – ღრმა ზღვები, სახელმწიფოთა მტრობა, დადებული ფიცის სიწმინდე! არაკეთილსინდისიერება იქნება ყველა ამ გარემოებათა წინააღმდეგ ბრძოლა. გნახეთ, მილორდ, მხოლოდ იმიტომ, რომ მეთქვა თქვენთვის: საბოლოოდ მივიღოთ გადაწყვეტილება და ნუღარ ვეცდებით ერთმანეთის ნახვას.

– ბრძანეთ, ქალბატონო, ბრძანეთ, დედოფალო! – მიუგო ბუკინგამმა, – თქვენი ხმის სიტკბოება ჰფარავს თქვენი სიტყვების სიმწარეს. არაკეთილსინდისიერებაზე ბრძანებთ? მას ადგილი აქვს იქ, დედოფალო, სადაც განშორებულია ღვთის მიერ ერთმანეთისათვის გაჩენილი ორი გული.

– მილორდ, – შეჰყვირა დედოფალმა, – თქვენ გავიწყდებათ! მე არასოდეს მითქვამს, რომ მიყვარხართ.

– მაგრამ ისიც არასოდეს გიბრძანებიათ, დედოფალო, რომ თქვენი გული არ თანაუგრძნობს ჩემს დაწყლულებულ გულს, და მეტისმეტ ულმობლობას გამოიჩენდა თქვენი უდიდებულესობა, თუ მართლა ასეთი სიტყვებით მომმართავდა, ეს მიბრძანეთ, დედოფალო, სად შეგიძლიათ იპოვოთ ჩემი სიყვარულისოდენა გრძნობა, რომელიც ვერა და ვერ ჩაუქრია ვერც დროს, ვერც დაცილებას, ვერც უიმედობას? სად გინახავთ სიყვარული, რომელიც პატარა ბაფთით კმაყოფილდება, მალვით თვალის გადავლებით, ერთი ობოლი სიტყვით? სამი წელიწადია, დედოფალო, მას შემდეგ, რაც პირველად გნახეთ და მხოლოდ თქვენი სიყვარულით მიდგას სული. გნებავთ, მოგახსენებთ, როგორ ბრძანდებოდით მორთული, პირველად რომ შეგხვდით? გნებავთ, დაწვრილებით ჩამოგითვლით თქვენი ტან-საცმლის ყოველ სამკაულს? აი, ახლაც თვალწინ მიდგახართ, ბალიშებზე იჯექით, ესპანელების ჩვეულებისამებრ, მწვანე ატლასის კაბა გეცვათ, ოქრომკედით და ვერცხლით მოქარგული, ძვირფასი თვალ-მარგალიტით დამშვენებული განიერი სახელოებით. თავს თქვენი კაბისავე ფერის პატარა ქუდი გეხურათ, ზედ წეროს ფრთით. ოჰ, დედოფალო! აი, თვალს ვხუჭავ და ისევ ისე გხედავთ, როგორც მაშინ მეჩვენეთ, თვალს ვახელ და ისე გხედავთ, როგორიც დღესა ბრძანდებით, ესე იგი, ასჯერ უფრო მეტად მომხიბლავს, ვიდრე მაშინ ბრძანდებოდით!

– განა სიშმაგე არ არის, – წაიჩურჩულა დედოფალმა, რომელმაც ვერ შეძლო გაეკიცხა ჰერცოგი იმის გულისთვის, რომ ამდენ ხანს გულში ჩარჩენოდა მისი სახე, – განა სიშმაგე არ არის ამგვარი მოგონებით ვნების გახელება?

– მაშ, რით უნდა მედგას სული ამქვეყნად? რა ვქნა, რომ მოგონებათა მეტი აღარა დამრჩენია რა! მხოლოდ მოგონება არის ჩემი ბედნიერება, ჩემი საუნჯე, ჩემი იმედი. ყოველ თქვენს დანახვაზე ერთ ძვირფას ალმასს ვუმატებ ჩემი გულის საუნჯეს. მეოთხედ გხვდებით დღეს. დიახ, ქალბატონო, სულ ოთხჯერ მეღირსა თქვენი ნახვა ამ სამი წლის განმავლობში. პირველად, ეს არის ახლა მოგახსენეთ, მეორედ – ქალბატონ დე შევრეზთან, მესამედ – ამიენის ბაღში...

– ჰერცოგო! – შეაწყვეტინა გაწითლებულმა დედოფალმა, – გთხოვთ, არაფერი თქვათ იმ საღამოს შესახებ.

– ოჰ, პირიქით, ქალბატონო, თუ სათქმელი გვაქვს რამე, სწორედ ის საღამო უნდა გავიხსენოთ. ეს გახლავთ მთელი ჩემი სიცოცხლის ბედნიერი და სხივმოსილი საღამო, გახსოვთ, რა მშვენიერი საღამო იყო? რა საამო და სურნელოვანი იყო ჰაერი? როგორ კაშკაშებდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა? მაშინ, ქალბატონო, ძლივს მეღირსა ერთი

წამით მაინც მარტოდ დავრჩენილიყავი თქვენთან, მაშინ თქვენ მზად იყავით, გულწრფელად გეამბნათ ჩემთვის თქვენი განმარტოება და გულისტკივილი. ჩემს ხელზე იყავით დაყრდნობილი, თქვენს მშვენიერ თმასა ვგრძნობდი ჩემს სახეზე... ოჰ, დედოფალო, დედოფალო! თქვენ არც კი იცით, რაოდენი ზეციური ნეტარება და სამოთხისებური ბედნიერებაა ჩამალული ერთ ასეთ წამში! მთელ ჩემს ქონებას, სიცოცხლეს გავწირავდი, ოღონდ ერთხელ კიდევ ვიგემო ისეთი წამი და ისეთივე ტკბილი საღამო! რადგან იმ ღამეს, ქალბატონო, იმ ღამეს, გეფიცებით, თქვენც გულით გიყვარდით...

— დიახ, მილორდ, შესაძლებელია, მომაჯადოებელი ადგილი, იმ საღამოს მშვენიერება, თქვენი მომხიბლავი მზერა და ათასი რამ, რომელიც ერთად იკრიბება ხანდახან საბრალო ქალის დასაღუპავად, იმ საბედისწერო ღამეს ერთბაშად შემომეხვია. მაგრამ ხომ ნახეთ, მილორდ, უმალვე დედოფალი მოვიდა ძალმიხდილი ქალის საშველად. ჯერ ერთი სიტყვის მეტი არც კი გეთქვათ სიყვარულზე, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მეტსაც გაბედავდით, და ამიტომ მაშინვე მოვუხმე ჩემს მხლებლებს.

— ჰო, დიახ, დიახ, მართალსა ბრძანებთ, სხვა სიყვარული რომ ყოფილიყო, და არა ჩემი, ვერ გაუძლებდა მაგ განსაცდელს. მაგრამ ჩემი სიყვარული უფრო მგზნებარე და უკვდავი გამოვიდა იმ განსაცდელიდან. თქვენ გეგონათ, რომ გამექცეოდით, რაკი პარიზს ჩაბრძანდებოდით. თქვენ გეგონათ, რომ ვერ გავბედავდი თავი დამენებებინა იმ საუნჯისათვის, რომელიც ჩემმა მეფემ მომაბარა? ჩალის ფასად არ მიღირს, ქალბატონო, ქვეყნის საუნჯე და მთელი ქვეყნის მეფეები! ერთი კვირის შემდეგ დავბრუნდი, ქალბატონო, და უკვე აღარა გქონდათ რა ჩემთვის სათქმელი. საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკარგვას მიქადდა ეს წადილი. ერთხელ კიდევ, ერთ წამს კიდევ მენახეთ, როგორმე, თქვენი ხელის შეხებაც კი ვერ მოვახერხე და ვგრძნობდი, რომ მაპატიეთ, რაკი იხილეთ ჩემი სინანული და მორჩილება.

— დიახ, მაგრამ ცილისწამებამ გამოიყენა მთელი ეს სიშმაგე, რომელშიც მე არაფერი ბრალი არ მიმიძღვის, ეს თქვენც კარგად იცით, მილორდ, საშინელება დაგვაწია ბატონ კარდინალის მიერ გამძვინვარებულმა მეფემ. განდევნილ იქნა ქალბატონი დე ვერნე, გადაასახლეს პიუტანჟი, აითვალისწუნეს ქალბატონი დე შევრეზი და როდესაც თქვენ მოისურვეთ საფრანგეთში ელჩად დაბრუნება, თვითონ მეფე, ეს არ უნდა დავივიწყოთ, მილორდ, თვითონ მეფე გამოვიდა ამის წინააღმდეგ.

— დიახ, დედოფალო, და ძვირადაც დაუჯდება საფრანგეთს თავისი მეფის ეს წინააღმდეგობა... ომით გადავახდევინებთ სამაგიეროს. აღარ შემიძლია მე თქვენი ნახვა, ქალბატონო, ძალიან კარგი! სამაგიეროდ, მე მინდა, რომ ყოველდღე გესმოდეთ ჩემი სახელი. როგორ გგონიათ, დედოფალო, რა მიზანი უნდა ჰქონდეს ჩემს მისვლას და ლაროშელელ პროტესტანტებთან შეთანხმებას, რომელიც მე მაქვს განზრახული? ერთადერთი — ნეტარება თქვენი ნახვისა, მე იმედი არა მაქვს შეიარაღებული ხელით მოვაღწიო პარიზამდე. ეს კარგად ვიცი, მაგრამ ამ ომს შეიძლება შედეგად დაზავება მოჰყვეს, ზავს ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი დასჭირდეს და წარმომადგენელიც მე ვიქნები. მაშინ კი ვეღარ გაბედავენ ჩემს წინააღმდეგ ხმის ამოღებას, დავბრუნდები პარიზს, თქვენ გნახავთ და ერთ წამს მაინც ვიგრძნობ ბედნიერებას. მართალია, რამდენიმე ათასი კაცი შესწირავს თავის სიცოცხლეს ჩემს ბედნიერებას, მაგრამ რა მენაღვლება? მე მარტო ის მინდა, რომ თქვენ გხედავდეთ! იქნებ მართლა სიშმაგე და სიგიჟე იყოს ჩემი წადილი, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, განა შეიძლება სხვაც იყოს სადმე ქალი, რომ ასეთი გაგიჟებული მიჯნური ჰყავდეს? განა შეიძლება სხვაც ყოფილიყო სადმე დედოფალი, რომ ასეთი თავდადებული მონა ჰყოლოდა?

— მილორდ, მილორდ! ისეთი გარემოებანი მოგყავთ თქვენს გასამართლებლად, რომ პირიქით, თქვენვე გამტყუნებენ. თქვენ მიერ სიყვარულის დასამტკიცებლად მოტანილი საბუთები, მილორდ, დანაშაულებრივია.

— ეს იმიტომ, ქალბატონო, რომ თქვენ არ გიყვარვართ! რომ გიყვარდეთ, სულ სხვა თვალით შეხედავდით ჩემს ნათქვამს, თქვენ რომ გიყვარდეთ, ოჰ, რომ გიყვარდეთ, მეტისმეტი ბედნიერება მეწეოდა და გავგიჟდებოდი. ეჰ, ქალბატონო, დე შევრეზი, რომელიც

წედან ახსენეთ, აგრე ულმობელი არ გახლდათ. ქალბატონი დე შევრეზი როლანს უყვარდა და მანაც სიყვარულით უპასუხა.

– ქალბატონი დე შევრეზი დედოფალი არ იყო, – ჩუმი ხმით წარმოთქვა დედოფალმა, რომელიც ძალიან ცდილობდა, მაგრამ ვეღარ უძლებდა ამ უსაზღვრო სიყვარულის ძალას.

– მაშ გეყვარებოდით, ქალბატონო, დედოფალი რომ არა ყოფილიყავით? ბრძანეთ, მაშ გეყვარებოდით? მაშ შემიძლია ამით ვინუგეშო, რომ მარტო თქვენი წოდების ღირსება გაიძულებთ, ასე ულმობლად მოექცეთ თქვენს თაყვანისმცემელს? მაშ თქვენ რომ ქალბატონი დე შევრეზი ყოფილიყავით, საწყალ ბუკინგამსაც შეიძლებოდა, შებრალების ოდნავი იმედი ჰქონოდა? გმადლობთ ამ ტკბილი სიტყვისათვის, ო, ჩემო მშვენიერო უდიდებულესობავ, გმადლობთ, გმადლობთ!

– ოჰ, მილორდ! თქვენ ვერ გამიგეთ, მე სრულებითაც არ მინდოდა მეთქვა...

–გაჩუმდით, ნუღარას იტყვით! – შეაყენა ბუკინგამმა, – თუ ბედნიერი ვარ თქვენი შეცდომით, აქ მაინც შემიბრალეთ, ეს შეცდომა მაინც შემინარჩუნეთ, წედან თქვენ თვითონვე ბრძანეთ, რომ მახე დამიგეს და შიგ შემიტყუეს, იქნება ამ მახეში დავტოვო ჩემი სიცოცხლე, რადგან, უნდა მოგახსენოთ, რაღაც წინათგრძნობა ჩამძახის, რომ მალე გამოვესალმები წუთისოფელს...

მომხიბლავი, სევდიანი ღიმილი მოეფინა სახეზე ბუკინგამს.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! – შეჰკივლა შეშინებულმა დედოფალმა და უსიტყვოდ გამოამჟღავნა, თუ რაოდენ ძლიერი იყო მისი გრძნობა ჰერცოგის მიმართ.

– მე ეს თქვენს შესაშინებლად არ მომიხსენებია, ქალბატონო, არა, მერწმუნეთ. სასაცილო კი არის, რასაც მოგახსენებთ, და დამიჯერეთ, მე ყურადღებას არ ვაქცევ ამგვარ სიზმრებს. მაგრამ თქვენ მიერ ეს არის ახლა წამომცდარი სიტყვა და იმედი, რომელიც თქვენ თითქმის აღმითქვით, გამოისყიდის ჩემს წამებასაც და, თუ გნებავთ, ჩემს სიცოცხლესაც.

– ოჰ, მილორდ, – მიუგო დედოფალმა, – მეცა მაქვს მაგისთანავე წინათგრძნობა და ავი სიზმრები. ამას წინათ ლანდივით მესიზმრა, თითქოს დასისხლიანებულს გხედავდით, ღრმად დაჭრილს, მიწაზე...

– მარცხენა მხარში! არა, დედოფალო? დანით დაჭრილს მხედავდით? – შეაწყვეტინა ბუკინგამმა.

– დიახ, სწორედ ასე, მილორდ, სწორედ ასე, დანით დაჭრილს მარცხენა მხარში. ვინ გეტყოდათ, ნეტავი, რომ ასეთი სიზმარი ვნახე? მე არავისთვის გამინდვია.

– მეტი არა მინდა რა! გიყვარვართ, ქალბატონო, და მეც ეს მინდოდა გამეგო.

– მიყვარხართ? მე მიყვარხართ?

– დიახ, თქვენ, განა რომ არ გიყვარდეთ, თქვენც ისეთ სიზმრებს ნახავდით, როგორსაც მე? განა ერთნაირი წინათგრძნობა გვექნებოდა ორივეს, ჩვენს გულს რომ არ შეეერთებინა ჩვენი სიცოცხლე? გიყვარვართ, დედოფალო, და თქვენ დამიტირებთ!

– ოჰ, ღმერთო, ღმერთო! – ამოიკვნესა დედოფალმა, – რა ვქნა, ამდენის ატანა რომ არ შემიძლია? მომისმინეთ, მილორდ, ღვთის გულისათვის, წადით, მოშორდით აქაურობას, მე არ ვიცი, მიყვარხართ თუ არა, ის კი კარგად ვიცი, რომ ვერასოდეს ვერ გავბედავ ფიცის გატეხას. მაშ შემიბრალეთ და წადით, ოჰ, თქვენ რომ საფრანგეთში დაგემართოთ რაიმე!.. თქვენ რომ საფრანგეთში მოკვდეთ და წარმოვიდგინო, რომ თქვენი სიკვდილის მიზეზი იყო თქვენი ჩემდამი სიყვარული, ვერასოდეს ვეღარ დავმშვიდდები... გავგიჟდები სინანულით! წადით, ბატონო, წადით! გეხვეწებით, წადით აქედან!

– ოჰ, რა მშვენიერი ხართ ამწუთას! ოჰ, რარიგ მიყვარხართ!

– წადით, წადით! გევედრებით, წადით! მერე დაბრუნდით! დაბრუნდით, როგორც ელჩი; დაბრუნდით, როგორც მინისტრი, დაბრუნდით რაზმელებით, რომ თქვენი დაცვა შეეძლოთ, მსახურებით, რომლებიც თვალს არ მოგაშორებენ. მაშინ დამიმშვიდდება გული, განსაცდელში აღარ იქნება თქვენი სიცოცხლე და მეც მეღირსება თქვენი ნახვის ბედნიერება.

– ოჰ, ნუთუ მართალია, რასაც ბრძანებთ?

– დიახ…

– მაშ, რაიმე სახსოვარი მაინც მიბოძეთ, თქვენი საკუთრება, პატარა ნივთი, ნიშნად თქვენი შეწყალებისა, რომელიც დამარწმუნებს, რომ სიზმარი არ იყო ყოველივე ეს. ბეჭედი, ძეწკვი, ფარღული… რომლის ტარებაც შემეძლება.

– წახვალთ კი? წახვალთ, რომ მოგართვათ სახსოვარი?

– დიახ.

– მაშინვე?

– დიახ.

– გახვალთ საფრანგეთიდან? ინგლისში დაბრუნდებით?

– დიახ. გეფიცებით.

– მაშ, ცოტა მომითმინეთ.

დედოფალი თავის ოთახში შევიდა და მაშინვე გამობრუნდა, ხელში ხის პატარა, ვარდისფერი კოლოფი ეჭირა, რომელზედაც ოქროთი იყო მოჭედილი მისი მონოგრამა.

– ინებეთ, მილორდ, – უთხრა ბუკინგამს, – ინებეთ, გქონდეთ ჩემს სახსოვრად.

ბუკინგამმა ჩამოართვა კოლოფი და ხელმეორედ დაეშვა მუხლებზე.

– თქვენ დამპირდით, რომ წახვიდოდით, – მოაგონა დედოფალმა.

– დაგპირდით და კიდეც წავალ. ხელი მიბოძეთ, ქალბატონო, თქვენი ხელი, და წავალ.

დედოფალმა ხელი გაუწოდა, თვალი დახუჭა, მეორე ხელით ესტეფანიას დაეყრდნო, რადგან გრძნობდა, რომ ცოტა კიდევ და – ღონემიხდილი ძირს დაეშვებოდა.

ხარბად დაეწაფა ბუკინგამი ამ მშვენიერ ხელს, მერე წამოდგა და მოახსენა:

– ექვს თვეზე ადრე, თუ მკვდარი არ ვიქენი, უსათუოდ გნახავთ, თუნდ ქვეყნის აფორიაქება დამჭირდეს ამისათვის.

და თავისი დაპირების ერთგული, იგი სწრაფი ნაბიჯით კარისაკენ წავიდა.

დერეფანში მას შეხვდა ქალბატონი ბონასიე, რომელმაც იმავე სიფრთხილით, მშვიდობიანად გაიყვანა ბუკინგამი სასახლიდან.

XIII

ბატონი ბონასიე

მთელ ამ ამბავში, ამას ალბათ ჩვენი მკითხველიც შეამჩნევდა, მონაწილეობდა ერთი პიროვნება, რომელზედაც, მისი მეტად მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, არავინ წუხდა. ეს პიროვნება ბატონი ბონასიე გახლდათ, საბრალო მსხვერპლი სიყვარულისა და პოლიტიკისა, რომლებიც ასე მშვენივრად ჩაწნულიყვნენ ერთმანეთში იმ რაინდობისა და მიჯნურობის დროს.

საბედნიეროდ, მკითხველს იქნებ ახსოვს კიდეც ან შეიძლება აღარც კი ახსოვდეს, რომ ჩვენ შევპირდით, მხედველობიდან არ დავკარგავდით ბატონ ბონასიეს.

დაპატიმრებული ბონასიე პირდაპირ ბასტილიის ციხეში მიიყვანეს და შიშით აკანკალებული სახლის პატრონი ჩამწკრივებულ შეიარაღებულ ჯარისკაცებს შუა გაატარეს.

შემდეგ ერთ დერეფანში გაიყვანეს და ნახევრად მიწისქვეშ ჩათხრილ გალერეაში შევიდნენ. აქ იგი ჯარისკაცების უშვერი ლანძღვა-გინებისა და დაცინვის საგანი შეიქნა. კარგად ხედავდნენ მცველები, რომ მათი პატიმარი დიდებულთა წრეს არ ეკუთვნოდა, და ამიტომ ისე ექცეოდნენ, როგორც მაწანწალას.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მდივანი მოვიდა და ბრძანება გასცა, ბატონი ბონასიე დასაკითხავ ოთახში წაეყვანათ. ამით ბოლო მოეღო მის წამებას. ჩვეულებრივ, დაპატიმრებულს იქვე დაჰკითხავდნენ, თავიანთ საკანში, მაგრამ ბონასიესთვის ესეც კი დაიშურეს.

ორი მცველი გაუძღვა ტუსაღს. ეზო გადაჭრეს და დერეფანში შევიდნენ, სადაც სამი მცველი გაჭიმულიყო. კარი გააღეს და საწყალი ბონასიე დაბალჭერიან ოთახში შეაგდეს. ამ ოთახის მოწყობილობას შეადგენდა მხოლოდ ერთი მაგიდა და სკამი და ერთიც ბატონი გამომძიებელი. იგი სკამზე დაბრძანებულიყო და მაგიდაზე დაყრდნობილი რაღაცას წერდა.

ორმა მცველმა მაგიდასთან მიიყვანა პატიმარი. გამომძიებელმა ანიშნა, ჯერჯერობით ზედმეტნი იყვნენ, და ისინიც მოშორებით დადგნენ, ისე, რომ დაკითხვა არ მოესმინათ.

ქაღალდებში თავჩაქინდრულმა გამომძიებელმა თავი მაღლა ასწია, უნდოდა დაენახა, ვისთანა ჰქონდა საქმე. პირქუში სახის კაცი ჩანდა ეს მოხელე, ცხვირწვეტიანი, ჩაყვითლებული, ამოვარდნილი ყვრიმალი, მომცრო, მაგრამ გამგმირავი ცოცხალი თვალები და მელიისებური სახის გამომეტყველება ჰქონდა, გრძელ, მოძრავ კისერზე მსაჯულის განიერი შავი მოსასხამიდან ამომძვრალი თავი ისე ქანაობდა, რომ ჯავშნიდან გამომძვრალი კუს თავს მოგაგონებდათ.

უპირველესად ბატონ ბონასიეს გვარი, სახელი, წლოვანება და მისამართი ჰკითხეს.

პატიმარმაც უპასუხა, რომ სახელად ჟაკ-მიშელი ერქვა, გვარად – ბონასიე, ორმოცდათერთმეტი წლის იყო და ცხოვრობდა მესაფლავეების ქუჩა №11-ში.

გამომძიებელმა დაკითხვის გაგრძელების ნაცვლად ვრცელი სიტყვა წამოიწყო იმის დასასაბუთებლად, თუ რა საშინელი სასჯელი მოელის იმ ბნელ მოქალაქეს, რომელიც გაკადნიერდება და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერევა. შესავალ სიტყვას ვრცელი განმარტება მიაყოლა, რომლითაც თვალსაჩინოდ დაუხატა ძლიერება და მოღვაწეობა კარდინალისა, ამ ქვეყნის შეუდარებელი მინისტრისა, რომელმაც ყველა წარსული დროის მინისტრი დაამარცხა და მომავალში მინისტრების ცოცხალ მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა. დაუხატა ძლიერება და მოღვაწეობა კარდინალისა, რომლის მოწინააღმდეგენი დაუსჯელად ვერ გადარჩებიან.

თავისი სიტყვის მეორე ნაწილის დამთავრების შემდეგ ქორივით დააცქერდა საწყალ ბონასიეს და ურჩია, დაფიქრებულიყო, გაეთვალისწინებინა მის გარშემო შექმნილი სერიოზული მდგომარეობა.

ბატონი ბონასიე წყევლიდა იმ დღეს, როდესაც ბატონმა დე ლა პორტმა ურჩია, მისი ნათლული შეერთო, და მეტადრე იმ დღეს, როდესაც დედოფლის მოახლედ წაიყვანეს მისი ცოლი. ბატონ ბონასიეს ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას, მეტისმეტ ძუნწობასა და სამრცხვინო ლაჩრობასთან შეერთებულს, ღრმა ეგოიზმიც შეადგენდა.

მართალია, ბატონ ბონასიეს უყვარდა თავისი მშვენიერი ახალგაზრდა ცოლი, მაგრამ მეორეხარისხოვანი იყო მისთვის ეს გრძნობა და შეუთავსებელი მისი ხასიათისათვის.

ერთ წამს დაუფიქრდა ბონასიე მოსმენილ სიტყვებს და შემდეგ ცივად მიმართა გამომძიებელს:

– გარწმუნებთ, ბატონო გამომძიებელო, ძალიან კარგად ვიცი, და უფრო უკეთ, ვიდრე ვინმე სხვამ; ვაფასებ ბატონ კარდინალის შეუდარებელ მოღვაწეობას, რომელიც, ჩვენდა საბედნიეროდ, ქვეყნის გამგებლად მოგვევლინა.

– მართლა? – ჰკითხა ეჭვიანად გამომძიებელმა, – მაგრამ თუ ეს ასეა, როგორღა მოხდა, რომ ციხეში ამოჰყავით თავი?

– როგორ მოხდა, უფრო უკეთ, რად, რისთვის, რა დავაშავე, რომ ციხეში ჩამაგდეს? ამისი მეც არაფერი გამეგება, ბატონო, და ამიტომ ვერც პასუხს მოგახსენებთ, ოღონდ ერთს ვიტყვი: მაინცდამაინც იმიტომ არ უნდა ვიჯდე ციხეში, რომ შეგნებულად დამეშავებინოს რამე ბატონ კარდინალისათვის.

– როგორც ჩანს, თქვენ დიდი დანაშაული ჩაგიდენიათ, თორემ სამშობლოს ღალატს როგორ დაგწამებდნენ?

– სამშობლოს ღალატს?! – შეჰყვირა გულგახეთქილმა ბონასიემ. – სამშობლოს ღალატს?! მერე როგორ გნებავთ, რომ ერთ საწყალ მეწვრილმანეს, რომელსაც ჭირივით სძულს ჰუგენოტები და დასანახავად ეჯავრება ესპანელები, სამშობლოს ღალატს აბრალებდნენ? დაფიქრდით, ბატონო, ყოვლად შეუძლებელი გახლავთ ასეთი ბრალდება.

— ბატონო ბონასიე, — უთხრა გამომძიებელმა და ისე დააცქერდა თავისი გამგმირავი თვალებით, თითქოს გულის სიღრმეში უპირებდა ჩაწვდენას და იქ სრული სიმართლის ამოკითხვას. — ბატონო ბონასიე, თქვენ ცოლი გყავთ?

— დიახ, ბატონო, — მიუგო ათრთოლებულმა ბონასიემ, რადგან გრძნობდა, რომ აქ უნდა აწეწილიყო საქმე, — დიახ, ბატონო, ცოლი მყავდა.

— როგორ თუ გყავდათ? თქვენ ცოლი გყავთ! ან არადა, რა უყავით, რომ აღარ გყავთ?

— მომტაცეს, ბატონო.

— მოგტაცეს? — წამოიძახა გამომძიებელმა, — აჰ!

ამ შეძახილმა აგრძნობინა ბონასიეს, რომ საქმე უფრო და უფრო იხლართებოდა.

— მაშ, მოიტაცეს თქვენი ცოლი? — განაგრძო გამომძიებელმა. — მერე, იცით, ვინ არის ის კაცი, ვინც მოტაცება გაბედა?

— მგონია, რომ ვიცნობ.

— რა კაცია, როგორია?

— გთხოვთ, იქონიოთ მხედველობაში, ბატონო გამომძიებელო, რომ მე არაფერს ვამტკიცებ, მე მარტო ჩემს ეჭვს მოგახსენებთ.

— ვისზე გეპარებათ ეჭვი? ვის აბრალებთ ამ საქმეს? აბა, გულწრფელად მიპასუხეთ.

საშინელ ყოფაში იყო ბონასიე, არ იცოდა, რა სჯობდა: უარი ეთქვა ყველაფერზე, თუ ყველაფერი ეთქვა? უარის თქმისა ეშინოდა, ვაითუ ეფიქრათ, ამ კაცმა მეტისმეტად ბევრი იცის და ვერ უთქვამსო; თუ იტყოდა, რაც იცოდა, დაარწმუნებდა, რომ ღალატს ტყუილად სწამებდნენ, და გადაწყვიტა, სრული სიმართლე მოეხსენებინა.

— მე მგონი, ბატონო, რომ ჩემი ცოლი მოიტაცა ერთმა ახოვანმა, შავგვრემანმა კაცმა, რომელიც დიდებულთა გვარს უნდა ეკუთვნოდეს. ხშირად შემიმჩნევია, როგორ გვითვალთვალებდა მე და ჩემს ცოლს, რომელიც ლუვრიდან სახლში მომყავდა.

გამომძიებელი შეიშმუშნა, ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა.

— იმ კაცის გვარი?

— ოჰ, გვარისა კი რა მოგახსენოთ, არ ვიცი, მაგრამ თუ შევხვდი სადმე, გარწმუნებთ, იმწამსვე ვიცნობ, თუნდ ათას კაცში ერიოს.

უფრო მეტად მოეღუშა შუბლი გამომძიებელს.

— მაშ, ადვილად იცნობთ, ხალხშიც რომ იყოს? ასე თქვით, არა?

— ესე იგი... იმას მოგახსენებდით, — დაიბნა ბონასიე, რაკი იგრძნო, რომ მცდარ გზას დაადგა. — ესე იგი...

— თქვენ თქვით, ადვილად ვიცნობო, — უთხრა გამომძიებელმა, — ძალიან კარგი, დღეისათვის ესეც იკმარებს. ვიდრე ამაზე მეტად წინ წავწევდეთ ჩვენს გამოძიებას, უნდა ვაცნობოთ ერთს... რომ თქვენ იცნობთ თქვენი ცოლის მომტაცებელს.

— მაგრამ მე არ მითქვამს, ბატონო, რომ ვიცნობ იმ კაცს, — შეჰყვირა სასოწარკვეთილმა ბონასიემ, — პირიქით, მე ისა ვთქვი, რომ...

— გაიყვანეთ ტუსაღი! — უბრძანა გამომძიებელმა ორ მცველს.

— სად წავიყვანოთ, ბატონო? — ჰკითხა მცველმა.

— საკანში.

— რომელ საკანში?

— ოჰ, ღმერთო ჩემო, სულერთია, რომელშიაც გინდათ, ოღონდ ფრთხილად, კარგად უნდა იკეტებოდეს კარი, — უპასუხა გამომძიებელმა ისე გულცივად, რომ საწყალი ბონასიე შიშმა აიტანა, — ვაიმე, ვაიმე, — კვნესოდა შეშინებული, — უბედურება მეწია, ალბათ, საშინელი რამ დააშავა ჩემმა ცოლმა. მეც მისი თანამოზიარე ვგონივარ და მასთან ერთად დამსჯიან. ალბათ თქვა რაიმე, აღიარა, რომ ყველაფერს მიამბობდა, რას გაუძლებდა? ისეთი სუსტი რამ არის დედაკაცი... საკანში ჩაამწყვდიეთო! სულერთია რომელ საკანშიო, წასულია ჩემი საქმე! ეს ღამე მალე გაივლის და ხვალ... ნაჯახის ქვეშ დამადებინებენ თავს, სახრჩობელაზე ჩამომკიდებენ! ოჰ, ღმერთო ძლიერო, ღმერთო დიდებულო! შენ მაინც შემიბრალე, მე უბედური!

მცველებმა ყურადღება არ მიაქციეს ბონასიეს გოდებას, იქნება იმიტომ, რომ მიჩვეულები იყვნენ ამგვარ კვნესას და გმინვას, ხელი დაუჭირეს პატიმარს და გაიყვანეს საკანში დასამწყდეევად. გამომძიებელი წერილის წერას შეუდგა მყისვე. მდივანი იქვე იდგა, მას ელოდებოდა.

იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს ბონასიეს, იმიტომ კი არა, რომ მეტად საშინელი იყო საკანი, არა, თავისი უბედურება უკრთობდა ძილს. სკამზე გაატარა მთელი ღამე და სულ უმცირესი ხმაურის გაგონებაზე შიშისაგან კანკალებდა. როდესაც საკანში განთიადის პირველმა შუქმა შეანათა, გლოვის თალხით მოსილად ეჩვენა ცისკარი.

უცბად ურდულის ხმა შემოესმა. შეხტა, დარწმუნებული იყო, მის წასაყვანად მოდიოდნენ, რომ ეშაფოტზე გაეყვანათ. მაგრამ როდესაც საკანში გამომძიებელი და მისი მდივანი დაინახა და არა ის ჯალათი, რომელსაც ისე დაბეჯითებით ელოდა, ბონასიე კინაღამ მივარდა და გულში ჩაიკრა ორივე.

— წუხანდელს აქეთ ძალიან გართულდა თქვენი საქმე, ჩემო კარგო, — უთხრა გამომძიებელმა, — გირჩევთ, სრული სიმართლე მითხრათ. იცოდეთ, კარდინალის რისხვას ვერ გადაურჩებით, თუ გულწრფელად არ მოინანიებთ და სრული ჭეშმარიტება არ აღიარეთ.

— მზად გახლავართ, ბატონო, ყველაფერს მოგახსენებთ, რაც კი ვიცი, — შეჰყვირა ბონასიემ, — დაიწყეთ, ბატონო, მკითხეთ, რაც გნებავთ.

— უპირველეს ყოვლისა, სად არის თქვენი ცოლი?

— აკი მოგახსენეთ, მოიტაცეს-მეთქი.

— მართალია, მაგრამ გუშინ ნაშუადღევის ხუთი საათის შემდეგ თქვენი დახმარებით იგი სადღაც გაპარულა.

— ჩემი ცოლი გაპარულა? — შეჰყვირა ბონასიემ, — ოჰ, ის უბედური! თუ გაიპარა, გეფიცებით, ბატონო, ეს ჩემი ბრალი არ არის.

— მაშ, რა საქმე გქონდათ ბატონ დ არტანიანთან, თქვენს მეზობელთან, რომელსაც გუშინ შეხვდით და დიდხანს ესაუბრეთ?

— აჰ, დიახ, ბატონო გამომძიებელო, დიახ, ვაღიარებ, მართლაც გახლდით ბატონ დ არტანიანთან.

— რა იყო თქვენი იქ მისვლის მიზანი?

— მინდოდა, დახმარება მეთხოვა ჩემი ცოლის ძებნაში. ვფიქრობდი, მქონდა ამის უფლება. როგორც ჩანს, ვცდებოდი, და ძალიან გთხოვთ, მაპატიოთ ეს შეცდომა.

— მერე, ბატონმა დ არტანიანმა რა გიპასუხათ?

— დ არტანიანი დამპირდა დახმარებას, მაგრამ ძალიან მალე მივხვდი, რომ მატყუებდა, მღალატობდა.

— გინდათ, მართლმსაჯულება შეიყვანოთ შეცდომაში? ბატონი დ არტანიანი პირობით შეგეკრათ და ამ პირობის ასასრულებლად გააქცია პოლიციელები, რომლებმაც დაიჭირეს თქვენი ცოლი, დამალა და გადაარჩინა იგი დატუსაღებას.

— ბატონმა დ არტანიანმა დამალა ჩემი ცოლი? რას მეუბნებით?

— კიდევ კარგი, რომ ჩვენს ხელთ არის ბატონი დ არტანიანი, პირში წაგიყენებთ და მაშინ ნახავთ.

— ოჰ, ნეტავი მალე! მაგაზე უკეთესს ვერას მიზამთ, — თქვა ბონასიემ, — ერთ ნაცნობ სახეს მაინც ვნახავ, სხვა რომ არა იყოს რა.

— შემოიყვანეთ ბატონი დ არტანიანი, — უბრძანა გამომძიებელმა ორ მცველს.

მცველებმა შემოიყვანეს ათოსი.

— ბატონო დ არტანიან! — მიმართა ათოსს გამომძიებელმა, — გვიამბეთ, რა ბაასი გქონდათ თქვენ და ბატონ ბონასიეს და რაზე შეთანხმდით?

— მერე, სადა ხედავთ აქ ბატონ დ არტანიანს? — შეჰყვირა ბონასიემ. — ეს დ არტანიანი არ გახლავთ.

— რაო? დ არტანიანი არ არისო? — განცვიფრდა გამომძიებელი.

— არა, ბატონო, სრულიადაც არა, — მიუგო ბონასიემ.

— მაშ, რა გვარია ეს ბატონი? — ჰკითხა გამომძიებელმა.
— რა მოგახსენოთ, ბატონო, რომ არ ვიცნობ?
— როგორ თუ არ იცნობთ?
— არ ვიცნობ.
— მაშ, არსად გინახავთ?
— როგორ არა! მაგრამ გვარი კი არ ვიცი.
— თქვენი გვარი? — მიმართა გამომძიებელმა ათოსს.
— ათოსი, — უპასუხა მუშკეტერმა.
— ეს ხომ ადამიანის გვარი არ არის, მგონია, მთის სახელია! — შეჰყვირა საბრალო გამომძიებელმა, რომელიც გრძნობდა, რომ თავბრუ ეხვეოდა.
— ჩემი გვარია, — უთხრა მშვიდად ათოსმა.
— მერე, რადა თქვით, დ არტანიანი ვარო?
— მე ვთქვი?
— დიახ, თქვენ.
— მე კი არა ვთქვი, მითხრეს: „თქვენ ხართ ბატონი დ არტანიანი?“ მეც ვუპასუხე: „თქვენ ასე გგონიათ?“ დარაჯებმა დაიძახეს: „დარწმუნებულნი ვართო“, და მეც წინააღმდეგობის გაწევა არ ვინდომე. გარდა ამისა, ხომ შეიძლებოდა, შემცდარი ვყოფილიყავი.
— თქვენ, ბატონო, შეურაცხყოფას აყენებთ მართლმსაჯულების სიდიადეს.
— სრულიადაც არა, — უპასუხა დამშვიდებით ათოსმა.
— თქვენ ბატონი დ არტანიანი ხართ.
— აი, ხომ ხედავთ, რომ თქვენც ამასვე მეუბნებით.
ახლა ბონასიე ჩაერია საქმეში.
— ბატონო გამომძიებელო, აქ საეჭვო არაფერია, ბატონი დ არტანიანი ჩემი მდგმურია და, მაშასადამე, ძალიან კარგად უნდა ვიცნობდე, მით უფრო, რომ სახლის ქირასაც არ მაძლევს და ხშირად მიხდება მისი ნახვა. ბატონი დ არტანიანი ყმაწვილი კაცია, ცხრამეტი-ოცი წლისა, ეს ბატონი კი, სულ ცოტა, ოცდაათისა მაინც უნდა ბრძანდებოდეს. ბატონი დ არტანიანი ბატონ დე ზესარის რაზმში იმყოფება, ხოლო თქვენი პატიმარი კი ბატონ დე ტრევილის რაზმის მუშკეტერია, შეხედეთ მის ჩაცმულობას, ბატონო გამომძიებელო.
— მართალია, — ბუტბუტებდა გამომძიებელი, —მართალია.
ამ დროს კარი შემოაღეს და ბასტილიის ციხის კარისკაცმა შემოიყვანა შიკრიკი, რომელმაც წერილი მიართვა გამომძიებელს.
— ოჰ, არამზადა! — შეჰყვირა გამომძიებელმა.
— რაო? რას ბრძანებთ? ვინ არის არამზადა? არა მგონია, ჩემს ცოლზე ბრძანებდეთ მაგას?!
— სწორედ თქვენს ცოლზე ვამბობ, ძალიან კი გაიჩარხა თქვენი საქმე! ძალიან!
— აჰ, ღმერთო! — შეჰყვირა გულგახეთქილმა ბონასიემ, — მოიღეთ წყალობა, ბატონო, ერთი მიბრძანეთ, როგორ არის ჩემი საქმე? რას ჰქვია „გაიჩარხა?“ ან რატომ უნდა გამწვავდეს ჩემი საქმე ჩემი ცოლის დანაშაულით, როდესაც მე აქა გყავართ დაპატიმრებული?
— იმიტომ უნდა გამწვავდეს, რომ იგი იმ გეგმის განხორციელებას ცდილობს, რომელიც თქვენ და მას შეგიდგენიათ. თქვენ დაიწყეთ და ახლა ის განაგრძობს.
— გეფიცებით, ბატონო გამომძიებელო, რომ ცდებით და ღრმა შეცდომის გზაზე დგახართ. გეფიცებით, რომ არა ვიცოდი რა, და არც ახლა ვიცი იმისა, რასაც ჩემი ცოლი აკეთებდა. თუ მართლა რაიმე სისულელეს სჩადის, პირველი მე გავკიცხავ, მე დავგმობ, დავთრგუნავ იმ ღვთის მტერს...
— აი რა, ბატონო, — მიმართა ათოსმა გამომძიებელს. — თუ მე თქვენთვის აქ საჭირო არა ვარ, გამგზავნეთ სადმე, გული გამიწყალა თქვენმა ბონასიემ.
— წაიყვანეთ ტუსაღები თავ-თავიანთ საკანში, — უბრძანა გამომძიებელმა მცველებს და ხელით ანიშნა ათოსზე და ბონასიეზე, — ოღონდ უფრო მკაცრად უგდეთ ყური, ვიდრე აქამდე.

– ერთი მითხარით, – უთხრა ათოსმა ჩვეულებრივი სიმშვიდით, – თუ დ არტანიანს აბრალებთ რაღაც დანაშაულს, ვერა და ვერ გამიგია, რად უნდა გავწიო მე მისი მაგივრობა?

– წაიყვანეთ ტუსაღები! – დაუყვირა მცველებს გამომძიებელმა, – და სრული საიდუმლოება! გეყურებათ?

ათოსმა მხრები აიჩეჩა, მაგრამ რას გააწყობდა? მცველებს გაჰყვა ბონასიესთან ერთად, რომელიც ისე მწარედ ოხრავდა, რომ ტყის ნადირ-ვეფხვსაც კი შეებრალებოდა.

ბონასიე იმ საკანშივე შეიყვანეს, სადაც წუხელ იყო დამწყვდეული, ტირილში გაატარა მთელი დღე, ისე, როგორც შეეფერება ნამდვილ მხდალ ვაჭარს, რომელსაც დასანახავად ეჯავრება თოფი და ხმალი.

საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ლოგინში ჩასაწოლად გამზადებულ ბონასიეს დერეფნიდან ფეხის ხმა შემოესმა. ვიღაც მივიდა მის საკანთან, კარი შეაღო, მცველები გამოჩნდნენ.

– აბა, წამოდით! – უთხრა პოლიციელმა, რომელიც უკან ედგა დარაჯებს.

– სად უნდა წამოვიდე? – შეეშინდა ბონასიეს, – სად უნდა წამოვიდე ამ შუაღამისას? სად უნდა წამიყვანოთ?

– იქ უნდა წაგიყვანოთ, სადაც გვიბრძანეს თქვენი მიყვანა.

– ეს პასუხი არ არის.

– ეს არის ერთადერთი პასუხი, რომლის მეტს ჩვენ ვერას გეტყვით.

– ოჰ, ღმერთო, ღმერთო! – კვნესოდა საბრალო ბონასიე, – ნამდვილად მოსაკლავად მიმათრევენ!

ხმის ამოუღებლივ, სრული მორჩილებით გაჰყვა იგი მცველებს. გაიარეს მისთვის უკვე ნაცნობი დერეფანი, გადაჭრეს პირველი ეზო, შემდეგ საპატიმროს მეორე შენობა და ბოლოს შესასვლელ ეზოს კარებთან მივიდნენ, სადაც ეტლი იდგა, რომელსაც გარს შემორტყმოდა ოთხი ცხენოსანი მცველი. გულგახეთქილი ბონასიე ეტლში ჩასვეს, პოლიციელიც გვერდზე მიუჯდა, ეტლის კარი მიხურეს და მაგრად ჩაკეტეს. უძრავიდან მოძრავ ციხეში გადაიყვანეს საწყალი კაცი!

დაიძრა ეტლი, მაგრამ ისე ნელა მიდიოდა, თითქოს მიცვალებულის ბალდახინი ყოფილიყოს. რკინის გისოსები ეფარა ეტლის ფანჯარას, რის გამოც სახლებისა და ქვაფენილების მეტს ვერასა ხედავდა ტუსაღი, მაგრამ ნამდვილი პარიზელი იყო ბონასიე და ყოველ ჭუჩას სცნობდა ბოძების, ფარნებისა და მაღაზიების მიხედვით. წმინდა პავლეს ტაძართან, რომლის მახლობლადაც ბასტილიის პატიმრებსა სჯიდნენ ხოლმე, კინაღამ გული წაუვიდა და ორჯერ გადაიწერა პირჯვარი, დარწმუნებულმა, რომ სწორედ აქ გააჩერებდნენ, მაგრამ ეტლი არ გაჩერდა.

ცოტა ხნის შემდეგ ისეთივე გულსაკლავმა შიშმა შეიპყრო, როდესაც წმინდა იაკობის სასაფლაოს ჩაუარეს.

ამ სასაფლაოზე მარხავდნენ სამშობლოს მტრებს, მხოლოდ ერთი იმედი ასულდგმულებდა საწყალ ბონასიეს: მას მოაგონდა, რომ სამშობლოს მტრებს ჯერ თავს გააგდებინებდნენ ხოლმე, შემდეგ კი მარხავდნენ. მადლობა ღმერთს, ჯერ კისერზე ება თავი, მაგრამ როდესაც გრევის მოედნისაკენ გაუხვია ეტლმა და დაინახა ქალაქის სამმართველოს დაქანებული სახურავი და შენობის თაღებქვეშ შესული ეტლი, გადაწყვიტა, ახლა კი მოსაკლავად მივყავართო. უნდოდა აღსარება მოეხსენებინა პოლიციელისთვის, მაგრამ მან უარი უთხრა. მაშინ ისეთი გულსაკლავი ყვირილი დაიწყო, რომ ძლივს დააჩუმა მისმა თანამგზავრმა, ისიც მუქარით, – გაჩუმდით, ნუ დამაყრუებთ თქვენი ყვირილით, თორემ ალიკაპს ამოგდებთო.

ამ მუქარამ ერთგვარად ანუგეშა ბონასიე: თუ გრევზე უპირებდნენ მოკვლას, რა საჭირო იყო ალიკაპის ამოდება და მსხვერპლის მიჩუმება, როდესაც უკვე სასჯელის ადგილს მისულიყო ეტლი? მართლაც, ეტლმა გაუჩერებლივ გადაიარა გრევის მოედანი. ახლა საშიში მხოლოდ ტრაუარის ჯვარი რჩებოდა და სწორედ იქითკენ მიმართა ცხენები მეეტლემ.

ახლა კი ყველაფერი ცხადი შეიქნა. ტრაუარის ჯვართან კლავდნენ მდაბიო წარმოშობის პატიმრებს. ტყუილად მოჰქონდა ბონასიეს წმ. პავლეს ტაძრის, ან გრევის მოედნის ღირსად თავი: ტრაუარის ჯვართან უნდა დამთავრებულიყო მისი მგზავრობა და სიცოცხლე.

ოცი ნაბიჯიდა იქნებოდა საბედისწერო ადგილამდე, რომ რაღაც ხმაურობა შემოესმა. ეტლი გაჩერდა. მეტისმეტი მღელვარებისაგან მისუსტებულმა ბონასიემ ოდნავ დაიკვნესა, თითქოს სულსა ლევსო, და გული წაუვიდა.

XIV

მენგელი კაცი

ტრაუარის ჯვართან ხალხი მოგროვილიყო, რომელიც, ჩამოსახრჩობ კაცს კი არ ელოდა, არამედ ჩამომხრჩვალს შესცქეროდა.

ამ ხალხმა ერთ წამს შეაჩერა ეტლი, მაგრამ მან მაშინვე გაარღვია ბრბო და თავის გზას გაუდგა. ჩაიარა სენტ-ონორეს ქუჩა. კეთილი ბავშვების ქუჩაზე ჩაუხვია და ერთ დაბალ ჭიშკართან შეჩერდა.

კარი გააღეს. ორმა მცველმა ხელი მიაშველა ბონასიეს, პოლიციელიც დაეხმარა. პატიმარი ხეივანში გაატარეს, შემდეგ კიბეზე აიყვანეს და მოსაცდელ ოთახში დასვეს.

ბონასიე ისე მიდიოდა, თითქოს სიზმარში იყო. მიდიოდა, მოძრაობდა, მაგრამ მკვდარივით არაფერს არ გრძნობდა. როგორც მძინარე, საგნებს რაღაც ბურუსში, ბუნდოვნად ხედავდა. თითქოს ხმები ესმოდა, მაგრამ სიტყვებს ვერ არკვევდა. თავი რომ მოეჭრათ ამ დროს, ხელს არ გაანძრევდა თავის დასაცავად, ხმას არ ამოიღებდა შებრალების სათხოვნელად.

იგი ისეთივე დარჩა სკამზე, როგორც მცველებმა დასვეს, ზურგით კედელს მისწოლოდა, ხელები ძირს დაეშვა. შემდეგ თანდათან ძალ-ღონე მოიკრიბა, მიიხედ-მოიხედა თავის ირგვლივ და ვერა დაინახა რა ისეთი საშიში, რომ მის სიცოცხლეს დამუქრებოდა, არავითარ განსაცდელს არ უქადდა იქაურობა. მშვენიერ რბილ სკამზე იჯდა, კედელს საგანგებო ტყავი ეფარა, ფანჯრებზე დიდრონი წითელი ოქროს ძაფებით ამოქარგული დამასკური ფარდები ფრიალებდა. ბონასიე მიხვდა, რომ შიში უადგილო იყო, და თავის ქნევა დაიწყო ზევით და ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ.

მარტოდ დარჩენილს ხელს არავინ უშლიდა ამ მოძრაობაში და ცოტა სული მოითქვა, ძალა მოიკრიბა, ჯერ ერთი ფეხის განძრევა გაბედა, შემდეგ მეორისა, ბოლოს ორივე ხელი მიიშველა, სკამიდან წამოიწია და ფეხზე დადგა.

ამ დროს კარგი შეხედულების ოფიცერმა შემოაღო კარი, იქვე გაჩერდა, რამდენიმე სიტყვა კიდევ უთხრა მეორე ოთახში მყოფს, მერე ბონასიესკენ მობრუნდა და ჰკითხა:

– თქვენ ბონასიე ხართ?

– დიახ, ბატონო, – წაილუღლუღა ბონასიემ, რომელიც მკვდარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალს, – დიახ, ბატონო, თქვენი უმორჩილესი მონა.

– შედით! – უთხრა ოფიცერმა და გვერდზე გადადგა, რომ გზა მიეცა. ბონასიეც მაშინვე დაემორჩილა და შევიდა იმ ოთახში, სადაც, როგორც ეტყობოდა, ვიღაც ელოდა.

ეს იყო დიდი კაბინეტი, რომლის კედლებზე ყოველგვარი სახის საბრძოლო იარაღი ეკიდა და თუმცა სექტემბრის ბოლო დღეები იდგა და არა ციოდა, ბუხარში მაინც ცეცხლი აენთოთ. კარი და ფანჯარა მაგრად მიეხურათ. ოთახის შუაზე ოთხკუთხედი მაგიდა იდგა წიგნებით და ქაღალდებით დაფარული, რომელზედაც ქალაქ ლაროშელის უშველებელი რუკა იყო გაშლილი.

ბუხართან საშუალო ტანის, მედიდური, ზვიადი სახის კაცი იდგა, გამგმირავი თვალები, გადაშლილი შუბლი ჰქონდა, ჩამომხმარ სახეს უგრძელებდა ულვაშები და ქვემო ტუჩიდან ესპანურად დაშვებული წვერი. ოცდათექვსმეტი-ოცდაჩვიდმეტი წლისა ძლივს იქნებოდა, მაგრამ უკვე ჭაღარა შერეოდა თმასაც, ულვაშსაც და ესპანურად დაშვებულ წვერსაც.

წელზე ხმალი არ ერტყა, მაგრამ მაინც მეომარს ჰგავდა და მისი ჯერ ისევ მტვრიანი წაღები ამტკიცებდნენ, რომ იმ დღეს ცხენით ევლო.

ეს კაცი გახლდათ არმან-ჟან დიუ პლესი, კარდინალი დე რიშელიე, ოღონდ ისეთი კი არა, როგორსაც ახლა გვიხატავენ ხოლმე: სიბერით დაუძლურებულს, წამებულივით დაავადებულს, მოდუნებული აგებულებისას, ხმაჩახრინწულს, ერთ უშველებელ სავარძელში ჩამარხულს, თითქოს წინასწარ კუბოში ჩაწოლილიყოს; რომელსაც თითქოს მხოლოდ თავისი ჭკუით ედგა სული და ევროპასთან ბრძოლას თავისი დაუღალავი გონების დაძაბვით აწარმოებდა, – არა, სინამდვილეში იმ დროს იგი მოხდენილი, კოხტა რაინდი იყო, ტანით უკვე სუსტი, მაგრამ სულით ძლიერი; იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი კაცი.

ამრიგად, პირველი შეხედვით იგი სულაც არ ჰგავდა კარდინალს და ვერავინაც ვერ იცნობდა მას, თუ ადრე სადმე არ ენახა.

საწყალი ბონასიე იქვე კართან აიტუზა, ის კაცი კი, რომელიც ეს არის, ახლა აგიწერეთ, ისეთი დაკვირვებით შეჰყურებდა უბედურს, თითქოს ცდილობდა, წარსულიც კი ამოეკითხა მისი გულის სიღრმიდან.

– ეს არის ბონასიე? –ჰკითხა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ოფიცერს.

– დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ!

– კარგი, მომეცით ეს ქაღალდები და დაგვტოვეთ.

ოფიცერმა მაგიდიდან ქაღალდები აიღო, რიშელიეს მიართვა, თავი დაუკრა და გავიდა.

ბონასიემ იცნო ეს ქაღალდები – ბასტილიის ციხეში დაკითხვის ოქმები. ბუხართან მდგომმა კარდინალმა ხელში აიღო ქაღალდები და კითხვა დაიწყო. ხანდახან თვალს მოარიდებდა ქაღალდს და ხანჯლის წვერივით ერჭობოდა საწყალ ბონასიეს თვალში და გულში.

ათი წუთი ოქმის წაკითხვას მოანდომა, ათი წამი ბონასიეს სინჯვას, და კარდინალმა უკვე იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე.

„ეს გამოფიტული თავი თავის დღეში არ ჩარეულა შეთქმულებაში, – წაიჩურჩულა კარდინალმა, – მაგრამ მაინც ვნახოთ“.

– სახელმწიფო ღალატსა გწამებენ, – უთხრა დინჯად კარდინალმა.

– დიახ, უკვე გამომიცხადეს, თქვენო ბრწყინვალებავ! – შეჰყვირა ბონასიემ და თან ტიტულით მიმართა, რომელიც წეღან ოფიცერმა იხმარა, - ღალატს მწამებენ, მაგრამ გეფიცებით, რომ მე მაგისი არა ვიცი რა.

კარდინალმა ღიმილი შეიკავა.

– თქვენ შეთქმულებაში მონაწილეობდით თქვენს ცოლთან, ქალბატონ დე შევრეზთან და ჰერცოგ ბუკინგამთან ერთად.

– მართლაც, თქვენო ბრწყინვალებავ, მე რამდენჯერმე გავიგონე ეგ სახელები.

– რამ გამოიწვია მაგ სახელების ხსენება?

– ჩემი ცოლი ამბობდა, კარდინალმა რიშელიემ პარიზში შემოიტყუა ჰერცოგი ბუკინგამი, რომ ისიც დაღუპოს და, მასთან ერთად, დედოფალიცო.

– მაგას ამბობდა თქვენი ცოლი? – შეჰყვირა გაბრაზებით კარდინალმა.

– დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ, მე კი ვუთხარი, რომ სისულელე იყო ამის თქმა, რადგან მის ყოვლადუწმინდესობას არ შეეძლო...

– კმარა, გაჩუმდით! სულელო! – შეუტია კარდინალმა.

– ჩემმა ცოლმაც ასევე მომმართა.

– იცით თუ არა, ვინ მოიტაცა თქვენი ცოლი?

– არა, თქვენო ბრწყინვალებავ.

– მაგრამ ეჭვი გაქვთ, არა?

- დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ ჩემი ეჭვი ძალიან იუკადრისა გამომძიებელმა და უკვე ის ეჭვიც აღარა მაქვს.

– იცოდით თქვენი ცოლის გაპარვის ამბავი?

– არა, თქვენო ბრწყინვალებავ, მე მისი გაპარვა ციხეში გავიგე გამომძიებლის წყალობით, რომელიც ძალიან ლმობიერი კაცი გახლავთ.

კარდინალმა მეორედაც შეიკავა ღიმილი.

– ის კი აღარ იცით, სად არის თქვენი ცოლი? რა დაემართა გაპარვის შემდეგ?

– სრულებით აღარაფერი, თქვენო ბრწყინვალებავ. ეს კი ვიცი, რომ ლუვრში მივიდოდა.

– ღამის პირველ საათზე ის ჯერ კიდევ არ იყო იქ მისული.

– ოჰ, ღმერთო ძლიერო! ნეტავი რა დაემართა უბედურს?

– მაგასაც გავიგებთ, ნუ წუხხართ. კარდინალს ვერაფერს დაუმალავენ, ყველაფერი იცის კარდინალმა.

– თუ ასეა, თქვენო ბრწყინვალებავ, როგორ გგონიათ, ნუთუ კარდინალი ინებებს და მიბრძანებს, სად არის ჩემი ცოლი?

– იქნება კიდეც გითხრათ, მაგრამ ამისთვის საჭიროა ჯერ აღიაროთ ყველაფერი, რაც კი იცით, ქალბატონ დე შევრეზისა და თქვენი ცოლის ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ.

– რომ არა ვიცი რა! თქვენო ბრწყინვალებავ, მე ჩემს დღეში არ მინახავს ქალბატონი დე შევრეზი.

– ლუვრში რომ მიდიოდით ხოლმე თქვენი ცოლის წამოსაყვანად, პირდაპირ შინ მოგდევდათ?

– თითქმის არასდროს. საქმე ჰქონდა ტილოს ვაჭრებთან და მეც იქით მიმყავდა.

– ბევრნი იყვნენ ეს ტილოს ვაჭრები?

– ორი, თქვენო ბრწყინვალებავ.

– სად იდგნენ?

– ერთი – ვოჟირარის, ხოლო მეორე – ლა ჰარპის ქუჩაზე.

– თქვენც შეჰყვებოდით ხოლმე თქვენს ცოლს?

– არა, თქვენო ბრწყინვალებავ, მე გარეთ ველოდებოდი, კარებთან.

– რას მოიმიზეზებდა ხოლმე, რომ ასე მარტო შედიოდა ვაჭრებთან?

– არაფერს, „აქ დამიცადეო“, მეტყოდა და მეც ვუცდიდი.

– მეტად გულუბრყვილო ქმარი ბრძანებულხართ, ჩემო ძვირფასო ბატონო ბონასიე! – უთხრა კარდინალმა.

„ჩემო ძვირფასო ბონასიეო“... მაშ, საქმე კარგად მიდის, – იმეორებდა გულში საწყალი ვაჭარი.

– იმ სახლის კარებს იცნობთ?

– დიახ.

– სახლის ნომერიც გახსოვთ?

– დიახ.

– აბა ნომერი მითხარით.

– ვოჟირარის ქუჩა №25 და ლა ჰარპისა – №75.

– ძალიან კარგი! – ბრძანა კარდინალმა და ამ სიტყვების შემდეგ ვერცხლის ზარი დააწკარუნა. იგივე ოფიცერი შემოვიდა.

– როშფორი მიპოვეთ ჩქარა, – უთხრა ჩუმი ხმით კარდინალმა, – ამწამსვე მოვიდეს, თუ დაბრუნდა.

– გრაფი აქ გახლავთ, – მოახსენა ოფიცერმა, – დაჟინებით მოითხოვს თქვენი ყოვლადუწმინდესობის ნახვას.

– მაშ, მობრძანდეს, მობრძანდეს! – წარმოთქვა სწრაფად კარდინალმა.

ისარივით გავარდა ოფიცერი. ასეთი ჩვეულება ჰქონდა ყველა მოსამსახურეს კარდინალის სასახლეში.

– თქვენო ყოვლადუწმინდესობავ! – ჩურჩულებდა განცვიფრებული ბონასიე.

ჯერ ხუთი წამიც არ გასულიყო მას შემდეგ, რაც ოფიცერი გავიდა, რომ კარი გააღეს და კაბინეტში ვიღაც შემოვიდა.

– ის არის! – შეჰყვირა ბონასიემ.

– ვინ ის? – ჰკითხა კარდინალმა.

– ჩემი ცოლის მომტაცებელი.

ერთხელ კიდევ დააწკარუნა კარდინალმა, შემოვარდა ოფიცერი.

– ჩააბარეთ ეს კაცი თავის მცველებს და მანდ მელოდოს, მანამ დავიბარებ.

– არა, თქვენო ბრწყინვალებავ! არა, ეს ის არ გახლავთ! – მოთქვამდა ბონასიე, – არა, შევცდი, ვერ დავაცქერდი, ის სხვა იყო და ამ ბატონს არაფრით ჰგავდა. პატიოსანი კაცი გახლავთ ეს ბატონი.

– გაიყვანეთ ეს სულელი! – ბრძანა კარდინალმა.

ოფიცერმა ხელი მოხვია ბონასიეს, მოსაცდელ ოთახში გაიყვანა და ორ მცველს ჩააბარა.

ახლად შემოსული კაცი მოუთმენლად ელოდა ბონასიეს გასვლას. კარის მიხურვისთანავე იგი კარდინალთან მივიდა:

– უნახავთ ერთმანეთი.

– ვის? – ჰკითხა კარდინალმა.

– ქალბატონს და მას.

– დედოფალს და ბუკინგამს? – შეჰყვირა რიშელიემ.

– დიახ.

– სად?

– ლუვრში.

– დარწმუნებული ხართ?

– სრულიად.

– ვინ მოგახსენათ?

– ქალბატონმა დე ლანუამ, თქვენი ყოვლადუწმინდესობის მსახურმა.

– რატომ ადრე არ შეგატყობინათ?

– შემთხვევით თუ უნდობლობით, დედოფალს მთელი დღე თავის ოთახში ჰყოლოდა.

– მაშ, ასე... დავმარცხდით. ვეცადოთ სამაგიეროს გადახდას.

– ყველაფრით დაგეხმარებით, რაც კი შემეძლება, თქვენო ბრწყინვალებავ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

– როგორ მოხდა ყველაფერი ეს?

– ნაშუადამევს, პირველის ნახევარზე, თავის მხლებლებთან ყოფილა დედოფალი.

– სად?

– თავის საწოლ ოთახში.

– კარგით, შემდეგ?

–ამ დროს ვიღაცას დედოფლისათვის ცხვირსახოცი მიურთმევია. თეთრეულის გამგებელი ქალისგან გამოგზავნილი.

– შემდეგ?

– საშინელი მღელვარება დასტყობია მაშინ ანა ავსტრიელს და მომაკვდავივით გაყვითლებულა.

– შემდეგ? შემდეგ?

– წამომდგარა და ათრთოლებული ხმით უთქვამს: „აქ დამიცადეთ ათი წუთი, მალე დაბრუნდებიო“, – კარი გაუღია და გასულა.

– რატომ მაშინვე არ შეგატყობინათ ქალბატონმა დე ლანუამ?

– არ იყო კარგად დარწმუნებული, თანაც დედოფალმა უთხრა, „დამიცადეო“ და ურჩობა ვერ გაბედა.

– რამდენ ხანს არ დაბრუნებულა დედოფალი?

– ორმოცდახუთ წუთს.

– თან არავინა ხლებია?

– მხოლოდ დონა ესტეფანია.

– მერე დაბრუნებულა?

– დიახ, მაგრამ პატარა ვარდისფერი კოლოფი აუღია და ისევ გასულა.

– მეორედ რომ დაბრუნდა, ის კოლოფი უკანვე შემოიტანა?

– არა.

– იცის ქალბატონმა დე ლანუამ, რა ჰქონდა დედოფალს იმ კოლოფში?

– დიახ, ალმასის ბურნუკი, მისი ყოვლადუდიდებულესობის საჩუქარი.

– თქვენ ამბობთ, რომ დაბრუნებისას ის კოლოფი აღარა ჰქონდაო დედოფალს?

– დიახ, აღარა ჰქონდა.

– ქალბატონ დე ლანუას აზრით, დედოფალმა ბუკინგამს მიართვა ის კოლოფი?

– დიახ, დარწმუნებული გახლავთ.

– ეს როგორ?

– ქალბატონი დე ლანუა დედოფლის სამკაულების გამგებელი გახლავთ და ამ თანამდებობის უფლებით მთელი დღე უძებნია ის კოლოფი, შეწუხებულა, რომ ვედარ უპოვია, თვითონ დედოფლისათვის უკითხავს. დედოფალს უბრძანებია: წუხელ ერთი ბურნუკი გამიტყდა და ოქრომჭედელთან გავგზავნე გასაკეთებლადო.

– უნდა შესულიყავით ოქრომჭედელთან და გენახათ, მართალს ამბობს დედოფალი თუ ტყუის.

– გახლდით, გახლდით.

– მერე? რა თქვა ოქრომჭედელმა?

– არც მოუტანიათ და არც მინახავსო.

– ძალიან კარგი, ძალიან კარგი, როშფორ! ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არა გვაქვს, ვინ იცის... იქნებ ჩვენკენ მოტრიალდეს საქმე.

– ეს ცხადი გახლავთ, თქვენი ყოვლადუწმინდესობის ნიჭმა არ შეიძლება არ გამოასწოროს...

– თავისი აგენტის შეცდომანი?

– დიახ, სწორედ მაგის თქმა მინდოდა, მიმიხვდით და თქვენ თვითონ ბრძანეთ.

– ახლა ეს მითხარით, იცით თუ არა, სად იმალებოდნენ ქალბატონი დე შევრეზი და ჰერცოგი ბუკინგამი?

– არა, თქვენო ბრწყინვალებავ. ჩემმა მოხელეებმა ვერა გაიგეს რა.

– მე კი გავიგე.

– თქვენ გაიგეთ?

– დიახ, გავიგე, დანამდვილებით თუ არა, კვალს მაინც მივაგენი. ერთი ვოჟირარის ქუჩაზე №25 სახლში და მეორე ლა ჰარპის ქუჩაზე №75-ში.

– იქნებ მიბრძანოთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, ორივეს დაპატიმრება?

– გვიანღა არის. აქამდე წავიდოდნენ.

– მაინც ვეცდები, დავრწმუნდებით მაინც.

– ათი ჩემი რაზმელი წაიყვანეთ და კარგად გაჩხრიკეთ ორივე სახლი.

– ახლავ გეახლებით, თქვენო ბრწყინვალებავ. – და როშფორი სირბილით გავარდა კაბინეტიდან.

მარტო დარჩენილი კარდინალი ცოტა ხნით ჩაფიქრდა. მერე ერთხელ კიდევ დააწკარუნა ზარი.

შემოვიდა იგივე ოფიცერი.

– უბრძანეთ, ტუსაღი შემოიყვანონ!

ხელმეორედ შეიყვანეს ბონასიე. კარდინალმა ანიშნა ოფიცერს და ისიც გავიდა.

– თქვენ ტყუილი მითხარით! – მიმართა მკაცრი კილოთი კარდინალმა.

– მე მოგახსენეთ ტყუილი? თქვენს ყოვლადუწმინდესობას?

– თქვენი ცოლი ვოჟირარის და ლა ჰარპის ქუჩებზე ფართლის ვაჭართან კი არ დადიოდა...

– მაშ ვისთან დადიოდა, ღმერთო ძლიერო?

– ქალბატონ დე შევრეზთან და ჰერცოგ ბუკინგამთან.

– მართალი გახლავთ, მართალი! – წამოიძახა ბონასიემ და გაახსენდა, რაც კი იცოდა: – მართალსა ბრძანებს თქვენი ყოვლადუწმინდესობა. განა არა, რამდენჯერმე ვუთხარი ჩემს

ცოლს: ძნელი წარმოსადგენია მაგისთანა მშვენიერ სახლებში ცხოვრობდნენ-მეთქი შენი ტილოს ვაჭრები, მით უფრო, რომ არც ერთს არა ჰქონდა ფირმის ნიშანი, რაზედაც ყოველთვის სიცილ-ხარხარით მიპასუხებდა. ოჰ, თქვენო ბრწყინვალებავ, – შესძახა ბონასიემ და უცბად დაიჩოქა კარდინალის წინაშე, – ოჰ, თქვენა ბრძანდებით ჩვენი კარდინალი, დიდებული, დიადი კარდინალი, გენიოსი ადამიანი, რომელსაც თაყვანსა სცემს მთელი ქვეყანა.

დიდი და სასახელო არ იყო ბონასიესთანა გულუბრყვილო კაცის გადმობირება, მაგრამ ერთი წამით მაინც ძალიან ნასიამოვნები დარჩა მისი ყოვლადუწმინდესობა. მაგრამ მაშინვე თითქოს რაღაცა ახალმა აზრმა გაურბინა გონებაშიო, სიცილმა აუშალა ტუჩები, ხელი გაუწოდა მუხლმოყრილს და უთხრა:

– ადექით, ჩემო მეგობარო! პატიოსანი კაცი ყოფილხართ.

– ხელი გამომიწოდა კარდინალმა! ჩემი ხელით შევეხე წმინდა კარდინალის ხელს! – ყვიროდა ბონასიე, – თავის მეგობრად მახსენა დიდებულმა მოღვაწემ?

– დიახ, ჩემო მეგობარო, დიახ! – მიუგო კარდინალმა იმ მშობლიური ტკბილი ხმით, რომლითაც სარგებლობდა ხოლმე ხანდახან, და თუ მოატყუებდა ვინმეს, მოატყუებდა მარტო მას, ვინც კარდინალს არ იცნობდა – რადგან ასე უსაფუძვლოდ გამტყუნებდნენ და ცილსა გწამებდნენ, მაშ სამაგიეროც გერგებათ. ჰოდა, აი, მიიღეთ ჩემგან ეს პარკი, ასი პისტოლია შიგ და მაპატიეთ.

– მე ვაპატიო თქვენს ბრწყინვალებას? – შეჰყვირა ბონასიემ. ფულის აღებაზე ყოყმანობდა, ეჭვი არ არის, დაცინვისა ეშინოდა.

– სრული უფლება გქონდათ დაგეჭირეთ და ახლაც სრული უფლება გაქვთ უბრძანოთ: მტანჯონ, მაწამონ, ჩამომახრჩონ. თქვენ ბრძანდებით ქვეყნის მმართველი და, რაც უნდა დამემართოს, სულ პატარა, მოკლე სიტყვითაც კი ვერ ვიტყვი მე თქვენს სამდურავს. მე უნდა გაპატიოთ თქვენ? არა, თქვენო ბრწყინვალებავ, მგონი, მეხუმრებით ან დამცინით.

– აჰ, ჩემო კეთილო ბონასიე! დიდსულოვნებას იჩენთ ამ საქმეში. კარგად ვხედავ და ძალიანაც გმადლობთ. მაშ, ასე, ამ პარკს ჯიბეში ჩაიდებთ და ისე გამომეთხოვებით, რომ უკმაყოფილების იოტისოდენაც არაფერი წაგყვებათ.

– აღტაცებული მივდივარ, თქვენო ბრწყინვალებავ.

– მაშ, მშვიდობით! არა, უკეთ რომ ვთქვათ, ნახვამდის. იმედი მაქვს, კიდევ ვნახავთ ერთმანეთს.

– როდესაც კი მოისურვებს თქვენი ბრწყინვალება! თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ!

– ძალიან ხშირად, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რადგან უაღრესად მომხიბლავად მეჩვენა თქვენთან ბაასი.

– ოჰ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ.

– მაშ, ნახვამდის, ბატონო ბონასიე, ნახვამდის!

ხელით ანიშნა კარდინალმა გამოთხოვება. ბონასიე მოიხარა და თავი მიწამდე დაუკრა, მერე უკანსვლით კარამდე მივიდა და წინა ოთახში გავიდა, ახლა იქიდან მოესმა კარდინალს ბონასიეს ხმა, რომელიც გიჟივით გაჰყვიროდა აღტაცებული: – გაუმარჯოს მის ბრწყინვალებას! გაუმარჯოს მის ყოვლადუწმინდესობას! გაუმარჯოს დიდებულ კარდინალს!

კარდინალი ღიმილით ისმენდა ბატონ ბონასიეს აღტაცებული გრძნობით გამოწვეულ შეძახილებს, უკვე შორს იკარგებოდა მისი ყვირილი და კაბინეტამდე ვეღარ აღწევდა. კარდინალმა კმაყოფილებით წარმოთქვა:

– ძალიან კარგი! ერთი კაცი კიდევ მიემატა დღეიდან მათ რიცხვს, ვინც სიცოცხლეს გასწირავს ჩემთვის. – და უაღრესი ყურადღებით კვლავ ლარიშელის გაშლილ დიდ რუკას დაუწყო სინჯვა, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, თავის სამუშაო მაგიდაზე ჰქონდა გადაფარებული. ხელში ფანქარი ეჭირა და ხაზებით ნიშნავდა ადგილებს, სადაც უნდა გაეკეთებინათ დიდმნიშვნელოვანი საგუბარი, რომ თვრამეტი თვის შემდეგ ნავსადგური დაეკეტათ ალყაშემორტყმული ქალაქისათვის.

ღრმად ჩაფიქრებული და სტრატეგიული მოსაზრებებით გატაცებული დასცქეროდა რუკას, როდესაც კარი გაიღო და კაბინეტში როშფორი შევიდა.

– ჰა, რას იტყვით? – წამოიძახა სიხარულით კარდინალმა და ისეთი სისწრაფით წამოხტა, რომ ცხადი იყო, ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევდა როშფორისადმი მინდობილ დავალებას.

– მართლაც, ერთ-ერთ იმ სახლში, რომელიც თქვენმა ყოვლადუწმინდესობამ დაასახელა, მდგარა ქალი, ასე, ოცდაექვს-ოცდარვა წლისა, და კაცი – ოცდათხუთმეტ-ორმოცი წლისა. მაგრამ ქალი წუხელ წასულა და კაცი – დღეს დილას, – უპასუხა როშფორმა.

– ისინი ყოფილან! – შეჰყვირა კარდინალმა და საათს შეხედა, – გვიან არის, დადევნება ამაო იქნება. ქალბატონი დე შევრეზი ტურში ბრძანდება, ბუკინგამი კი ბულონში, თუ დავეწევით, ისევ ლონდონში.

– რას მიბრძანებთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ?

– რაც მოხდა, იმაზე კრინტი არ დასძრათ! სრულიად დამშვიდებული ბრძანდებოდეს დედოფალი, სრულიად უშიშრად, არამც და არამც არ გააგებინოთ, რომ ჩვენ ვიცით მისი საიდუმლოება. დაე, ფიქრობდეს, რომ რაღაც შეთქმულების გამოძიებას ვაწარმოებთ. დამიძახეთ კანცლერ სეგიეს.

– იმ კაცს რა უყავით, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ?

– ვინ კაცს? – შეეკითხა კარდინალი.

– ბონასიეს.

– როგორც მინდოდა, ისე იქნება სწორედ. ჯაშუშად გვეყოლება, თავისივე ცოლს უთვალთვალებს.

გრაფმა როშფორმა მდაბლად დაუკრა თავი იმის დასამტკიცებლად, რომ სწამდა და აღიარებდა თავისი მბრძანებლის უპირატესობას, და სეგიეს დასაძახებლად გავიდა.

მარტო დარჩენილი კარდინალი ისევ სკამზე დაბრძანდა, პატარა წერილი დაწერა, დაბეჭდა თავისი პირადი ბეჭდით, და კვლავ ზარი დააწკარუნა. მეოთხედ შემოვიდა ოფიცერი.

– დამიძახეთ ვიტრეს! – უბრძანა კარდინალმა, – და აცნობეთ, წასასვლელად მოემზადოს.

ცოტა ხნის შემდეგ კარდინალის წინ გამოიჭიმა გასამგზავრებლად გამზადებული დაბარებული კაცი, რომელსაც მაღალი წაღები ეცვა და დეზები ეკრა.

– ახლავე ლონდონში უნდა წახვიდეთ, ვიტრე! ძალიან სასწრაფოდ. გზაში ერთ წამს არსად დადგებით. ამ წერილს მილედის მიართმევთ. აი, ესეც ფულის მისაღები ბარათი. ჩემს მოლარესთან მიხვალთ და ორას პისტოლს მიიღებთ... მაგდენსავე მიიღებთ, თუ ექვსი დღის შემდეგ დაბრუნდებით და კარგად ამისრულებთ ამ დავალებას.

ხმის ამოუღებლად, მადლობის უთქმელად, დაუკრა თავი შიკრიკმა. ჩამოართვა წერილი, ორასი პისტოლის ბარათი და სწრაფად გავიდა.

აი, რა ეწერა წერილში:

„მილედი, თქვენც დაესწარით პირველსავე ბალს, სადაც ჰერცოგი ბუკინგამი იქნება, კამზოლზე ალმასის თორმეტი ბურნუკი ექნება. მიუახლოვდით და ორი ჩამოსჭერით. დაუყოვნებლივ მაცნობეთ, როგორც კი ხელთ გექნებათ ეს ორი ბურნუკი“.

XV

მართლმსაჯულება და მხედრობა

მეორე დღეს, ამ ამბების შემდეგ, ათოსი კვლავ არსად ჩანდა. დ არტანიანმა და პორთოსმა ეს ამბავი ბატონ დე ტრევილს მოახსენეს.

რაც შეეხება არამისს, მან ხუთი დღის შვებულება აიღო და, როგორც ამბობდნენ, რუანში წავიდა ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად.

ბატონი დე ტრევილი თავისი რაზმელების მამა იყო. ვინც უნდა ყოფილიყო, ყველაზე უკანასკნელი ან ნაკლებად ცნობილიც კი, რაკი მუშკეტერის ტანისამოსი ემოსა, დე ტრევილის დახმარებისა და შველის ისეთივე იმედი ჰქონდა, როგორიც თავისი ღვიძლი ძმისა.

ბატონი დე ტრევილი მაშინვე წავიდა სისხლის სამართლის მთავარი მსაჯულის სანახავად და მისი დახმარებით მიაგნო ათოსის საპყრობილეს, – ფორ-ლევეკის ციხეს.

ათოსმაც გაიარა ყველა ის მძიმე განცდა, რომელიც საწყალ ბონასიეს თავგადასავალში ვუჩვენეთ მკითხველს.

მკითხველი უკვე იცნობს ბონასიესა და ათოსის შეხვედრის სცენას. ათოსს იმ დღემდე არ ჰქონდა გამომჟღავნებული თავისი ვინაობა, ეშინოდა, დ არტანიანი არ დაიჭირონ და საქმეც დაუმთავრებელი არ დარჩესო. მარტო იმ დღეს გამოაცხადა, რომ ის არ იყო ბატონი დ არტანიანი. ამას ისიც დაუმატა, რომ არც ბატონ ბონასიეს იცნობდა, არც ქალბატონ ბონასიეს, რომ არც ერთი არასოდეს არ უნახავს და არც დალაპარაკებია. ღამის ათი საათი სრულდებოდა, როდესაც ის თავისი მეგობრის დ არტანიანის სანახავად მისულიყო და მანამდე კი ბატონ დე ტრევილთან სადილად ყოფილიყო, რისთვისაც ოცი მოწმის დასახელება შეეძლო. დაასახელა კიდეც რამდენიმე ცნობილი პიროვნება, სხვათა შორის, ჰერცოგი დე ლა ტრემულიც.

მეორე გამომძიებელიც, როგორც პირველი, განცვიფრებული დარჩა ამ მუშკეტერის უბრალო და მტკიცე განცხადებით. დიდი იმედი ჰქონდა, რომ ათოსზე მაინც ამოიყრიდა მხედრების ჯავრს, რომლებიც სიცოცხლეს უმწარებდნენ მართლმსაჯულების მოხელეებს. მაგრამ მოწმედ დასახელებული გვარი ტრევილისა და ტრემულისა ჩაფიქრებას და განსჯას მოითხოვდა.

ათოსიც, ბონასიესავით, კარდინალთან გაგზავნეს, მაგრამ, საუბედუროდ, კარდინალი მეფესათნ ბრძანდებოდა ლუვრში.

ეს სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც ბატონ დე ტრევილს სისხლის სამართლის მსაჯული და ფორ-ლევეკის საპატიმროს უფროსი ენახა, მაგრამ ათოსი ვერსად ეპოვა და ისიც მეფესთან წასულიყო.

ბატონ დე ტრევილს, როგორც მუშკეტერების კაპიტანს, ყოველთვის შეეძლო მეფის სანახავად შესვლა, რა დროც უნდა ყოფილიყო.

მკითხველმა უკვე იცის, როგორ ემდურებოდა მეფე დედოფალს, მით უფრო, რომ მეტად ცბიერად აგულიანებდა მეფეს კარდინალი, რომელიც ამგვარ ოინებში ქალებს უფრო ეჯიბრებოდა, ვიდრე კაცებს. მეფის უკმაყოფილების ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო დედოფლის მეგობრობა ქალბატონ დე შევრეზთან. ეს ორი ქალი უფრო მეტად აწუხებდა მეფეს, ვიდრე ომი ესპანეთთან, მოურიგებლობა ინგლისთან და ფინანსური გაჭირვება. მეფე დარწმუნებული იყო, რომ ქალბატონი დე შევრეზი ეხმარებოდა დედოფალს არა მარტო პოლიტიკურ საქმეებში, არამედ მიჯნურობის კვანძებში და სამარცხვინო სიყვარულშიც.

კარდინალის პირველივე სიტყვამ იმის შესახებ, რომ ქალბატონი დე შევრეზი, რომელიც ტურში გადასახლებული ეგულებოდათ, პარიზში ბრძანებულა მთელი ხუთი დღე და ამ ხნის განმავლობაში თვალი აუხვევია პოლიციისათვის, საშინელი ბრაზი მოჰგვარა მეფეს. ჟინიანსა და ვერაგ მეფეს მაინც სურდა, რომ მისთვის ლუდოვიკო სამართლიანი და ლუდოვიკო უბიწო ეწოდებინათ.

კარდინალმა ისიც დაუმატა, რომ პარიზში ჩამოსვლის გარდა ქალბატონ დე შევრეზს მიწერ-მოწერა მოეწყო დედოფალთან იმ საიდუმლო საშუალებით, რომელსაც იმ დროს ჯადოქრობადა სთვლიდნენ. მოახსენა, რომ შეთქმულების კვანძს მიაგნო და მალე აღმოაჩენდა ამ შეთქმულების ნამდვილ დამნაშავეებს; მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც დედოფლის მიერ ქალბატონ დე შევრეზთან გაგზავნილი მოციქული უნდა ჩაეგდო ხელში... ერთმა მუშკეტერმა გაბედა მთავრობის წინააღმდეგობა და ხმალამოღებული დაერია მართლმსაჯულების ბრძანების პატიოსნად აღმასრულებელ მოხელეებს, რომლებსაც

დავალებული ჰქონდათ, სრული მიუდგომლობით გამოეძიათ და განეხილათ ეს საქმე და შემდეგ მეფისათვის მოეხსენებინათ... აქ კი უკვე თავი ვეღარ შეიკავა ლუდოვიკო მეცამეტემ, წამოვარდა და დედოფლის ოთახისაკენ გადადგა ერთი ნაბიჯი იმ ფერმიხდილი და ჩამუნჯებული აღშფოთებით, რომელიც ისე დაიმორჩილებდა ხოლმე მეფეს, რომ უაღრეს ავკაცობასაც კი ჩაადენინებდა.

უკვე განრისხებული იყო მეფე, ხოლო კარდინალს ჯერ არ ეხსენებინა ჰერცოგი ბუკინგამი.

ამ დროს ბატონმა დე ტრევილმა კარი შეაღო და მეფესთან შევიდა.

მეფის დაღვრემილი სახის დანახვამ და კარდინალის იქ ყოფნამ დაარწმუნა დე ტრევილი, რომ აქ რაღაც უნდა მომხდარიყო, და კაჟივით გამაგრდა.

ლუდოვიკო მეცამეტეს უკვე ხელი დაედო კარის სახელურისათვის, გაღებას აპირებდა, მაგრამ დე ტრევილის ფეხის ნაბიჯების გაგონებაზე უკან მობრუნდა.

– სწორედ დროზე მოხვედით, ბატონო, – უთხრა წყრომით დე ტრევილს მეფემ, – ძალიან ამბები მესმის ჩემი მუშკეტერების რაინდობაზე...

– მეც ძალიან ამბები მინდა მოვახსენო თქვენს ყოვლადუდიდებულესობას მართლმსაჯულების მოხელეების რაინდობაზე.

– ვერა გამიგია რა! – თქვა მედიდურად მეფემ.

– მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს ყოვლადუდიდებულესობას, – განაგრძო დე ტრევილმა იმავე კილოთი, – რომ ზოგიერთი გამომძიებელი და პოლიციის მოხელე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატივსაცემი ხალხია, როგორც ეტყობა, ვერ იტანს სამხედრო პირებს. იმდენად გათავხედდნენ, რომ გაბედეს ერთ ოჯახში ჩემი მუშკეტერის დაპატიმრება. ხალხით სავსე ქუჩაში გაატარეს, როგორც ტუსაღი და ფორ-ლევეკის ციხეში ჩააგდეს რაღაც ბრძანებით, რომელიც ვთხოვე და არ მაჩვენეს. დიახ, ციხეში ჩააგდეს ერთი ჩემი მუშკეტერი, უკეთ რომ ვთქვათ, ერთი თქვენი მუშკეტერი, უმწიკვლო ყოფაქცევის კაცი, სახელგანთქმული თავისი პატიოსნებით, რომელსაც ასევე პატიოსან კაცად იცნობს თქვენი ყოვლადუდიდებულესობა, –ბატონი ათოსი.

– ათოსი, – გაიმეორა მეფემ უნებურად, – დიახ, მართალია, მე ვიცნობ ათოსს.

– იქნება კეთილი ინებოთ და გაიხსენოთ, თქვენო ყოვლადუდიდებულესობავ, – განაგრძო ბატონმა დე ტრევილმა, – ის მუშკეტერი გახლავთ ათოსი, რომელმაც თქვენთვის ცნობილ სამწუხარო დუელში ასე მძიმედ დასჭრა ბატონი კაუზაკი... მართლა, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მიმართა დე ტრევილმა კარდინალს, – ხომ მთლად განიკურნა ბატონი კაუზაკი?

– დიახ, გმადლობთ, – მიუგო გაბრაზებულმა კარდინალმა და ტუჩზე იკბინა.

– ბატონი ათოსი ერთი თავისი მეგობრის სანახავად მისულა, მაგრამ ის მეგობარი შინ არ დახვედრია, – განაგრძო დე ტრევილმა, – ბეარნელი გახლავთ, ყმაწვილი ბიჭი, ბატონ დე ზესარის რაზმელი. ის იყო, შევიდა თურმე თავისი მეგობრის ოთახში და ჯერ წიგნიც კი არ აეღო, რათა კითხვით გაეტარებინა დრო მეგობრის მოსვლამდე, რომ უცებ ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს სახლს და კარი შეამტვრიეს...

კარდინალმა ანიშნა მეფეს, ეს იმ საქმის გამო, რომელსაც მე მოგახსენებდითო.

– ვიცით, ბატონო ვიცით, – უპასუხა მეფემ, – ჩვენს სასიკეთოდ წარმოებდა ეგ ყველაფერი.

– მაშ, ჩემი უდანაშაულო მუშკეტერის დაჭერაც თქვენს საკეთილდღეოდ იქნებოდა? – უპასუხა დე ტრევილმა. – სრულიად უდანაშაულო მუშკეტერი მკვლელივით ჩააყენეს ორ კაცს შუა და თავხედ ბრბოში გაატარეს, ადამიანი, რომელსაც ათჯერ მაინც დაუნთხევია თავისი სისხლი თქვენი უდიდებულესობის საკეთილდღეოდ და კვლავაც ყოველთვის მზად იქნება ასევე თავგანწირვით ემსახუროს თავის მეფეს.

– როგორ? – წამოიძახა დაბნეულად მეფემ, – ნუთუ ასე იყო საქმე?

– ბატონ დე ტრევილს ის არ მოუხსენებია, მეფეო, – დაიწყო კარდინალმა უაღრესად გულგრილი ხმით, – რომ ის უდანაშაულო მუშკეტერი, ის პატიოსნებით აღსავსე ვაჟბატონი, შეპყრობამდე ერთი საათით ადრე ხმლით დაერია ოთხ ჩემ მიერ გაგზავნილ

მოხელეს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ, გამოეძიათ ერთი მეტად დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე.

– მაგის დამტკიცება დასჭირდება თქვენს ყოვლადუწმინდესობას, – მიმართა დე ტრევილმა გასკონური გულწრფელობით და მხედრული დაურიდებლობით, – რადგანაც ერთი საათით ადრე, მანამ თავის მეგობართან მივიდოდა, ბატონი ათოსი ჩემთან გახლდათ სადილად. სადილის შემდეგაც ჩემთან დარჩა ჰერცოგ დე ლა ტრემულთან და გრაფ დე შალესთან ბაასით გართული, და ათის ნახევრამდე შერჩა.

მეფემ კარდინალს გადახედა.

– ნამდვილს ოქმი გვეტყვის, – თქვა კარდინალმა ხმამაღლა, იმ შეკითხვის პასუხად, რომელიც მეფემ თვალებით დაუსვა. – დაზარალებულმა მოხელეებმა შეადგინეს ეს ოქმი, აი, ინებეთ, თქვენო ყოვლადუდიდებულესობავ.

– ნუთუ მართლმსაჯულების მოხელეების მიერ შედეგნილი ოქმი დასაჯერებელი გახლავთ, და მხედრის პატიოსანი სიტყვა კი არა? – უპასუხა ამაყად დე ტრევილმა.

– კარგით, კარგით, ტრევილ, გაჩუმდით, – უთხრა მეფემ.

– თუ თქვენს ყოვლადუწმინდესობას ეჭვი აქვს ჩემს რომელიმე მუშკეტერზე, – მაინც არ დაიშალა დე ტრევილმა, – საკმაოდ ცნობილი გახლავთ სამართლიანობა ბატონ კარდინალისა და ამიტომ მე თვითონ ვთხოვ გამოძიებას.

– იმ სახლში, რომელშიც გამოსაძიებლად მივიდნენ მართლმსაჯულების მოხელეები, – განაგრძო ისევ გულცივად კარდინალმა, – ერთი ბეარნელი ცხოვრობს, მგონი, მუშკეტერების მეგობარი უნდა იყოს.

– დ არტანიანს ბრძანებთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ?

– მე იმ ყმაწვილ კაცს მოგახსენებთ, რომელსაც თქვენ ძალიან სწყალობთ, ბატონო დე ტრევილ.

– დიახ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, სრული სიმართლეა.

– როგორ გგონიათ, იქნება იმ ყმაწვილმა კაცმა ურჩია ავი?

– ვის? ათოსს? რომელიც ერთიორად უფრო ხნიერია? – შეაწყვეტინა დე ტრევილმა, – არა, ბატონო, არა, და ეგეც რომ არ იყოს, ბატონმა დ არტანიანმაც ჩემთან გაატარა ის საღამო.

– მანაც თქვენთან? – იუცხოვა კარდინალმა, – მაშ, სულ თქვენთან ყოფილა იმ საღამოს მთელი ქვეყანა!

– ნუთუ ჩემი სიტყვა საეჭვოდ მიაჩნია თქვენს უწმინდესობას? – უთხრა სიბრაზით აწითლებულმა დე ტრევილმა.

– ოჰ ღმერთმა დამიფაროს! – მიუგო კარდინალმა, – ოღონდ, ეს მითხარით, რომელ საათზე იყო დ არტანიანი თქვენთან?

– შემიძლია სრული სიზუსტით მოგახსენოთ, რადგან ჩემთან რომ შემოვიდა, საათს შევხედე და ვნახე, რომ ათის ნახევარი იყო, თუმცა მე დაგვიანებულად მეჩვენა.

– როდის გავიდა თქვენი სასახლიდან?

– თერთმეტის ნახევარზე, თქვენი ოქმის შედგენიდან ერთი საათის შემდეგ.

– კარგი, მაგრამ... – მიუგო კარდინალმა, რომელსაც ეჭვშეუხებლად მიაჩნდა დე ტრევილის სიმართლე და გრძნობდა, რომ ხელიდან უსხლტებოდა გამარჯვება, – კარგი, მაგრამ ათოსი ხომ იქ დაიჭირეს, სწორედ მესაფლავეების ქუჩაზე, დ არტანიანთან.

– განა აკრძალული გახლავთ მეგობართან მისვლა? განა აკრძალული გახლავთ ჩემი რაზმის მუშკეტერისთვის ძმური განწყობილება დე ზესარის რაზმელთან?

– დიახ, რადგანაც საეჭვოა ის სახლი, რომელშიც ცხოვრობს მისი მეგობარი.

– საეჭვო არის ის სახლი, ტრევილ, – უთხრა მეფემ, – იქნება თქვენ არც კი იცოდით?

– დიახ, მეფეო, არ ვიცოდი, თუ ის სახლი საეჭვო იყო, მაგრამ შეიძლება საეჭვო არ იყოს ის ბინა, რომელიც დ არტანიანს უჭირავს, რადგან გაბედვით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ქვეყნად არ უნდა მოიპოვებოდეს მისებრ ერთგული, თაგანწირული მსახური თქვენი ყოვლადუდიდებულესობისა და ღრმად თაყვანისმცემელი ბატონ კარდინალისა.

– ეს ის დ არტანიანია, ჟუსაკი რომ დაჭრა ამას წინათ იმ უბედურ შეტაკებაში, კარმელისტების მონასტრის კედლებთან? – ჰკითხა მეფემ და თან კარდინალს გადახედა, რომელსაც სახეზე სიბრაზის ალი მოედო.

– მეორე დღეს კი – ბერნაჟუ! დიახ, მეფეო, დიახ, სწორედ ის გახლავთ. ბრწყინვალე მეხსიერება აქვს თქვენს ყოვლადუდიდებულესობას.

– ახლა რა გადაწყვეტილებას ვიღებთ? – იკითხა მეფემ.

– ეს უფრო თქვენი საქმე გახლავთ, მეფეო, ვიდრე ჩემი, – მიუგო კარდინალმა. – მე ვამტკიცებ დანაშაულს.

– მე უარვყოფ, – მიუგო დე ტრევილმა, – მის ყოვლადუდიდებულესობას ჰყავს მსაჯულები, დე, მსაჯულებმა გაარჩიონ საქმე.

– ძალიან კარგი, – მოუწონა მეფემ, – მსაჯულებს გადავცეთ საქმე, მათი ხელობაა გამოძიება და გამოიძიონ!

– გამოიძიონ! – თქვა დე ტრევილმა – მაგრამ, მართლა სამწუხაროა, რომ უბედური დრო დაგვიდგა. წმინდანივით უმწიკვლო, სათნოებით აღსავსე ადამიანი, მაინც უზრუნველყოფილი არ არის შეურაცხყოფისა და დევნისაგან. უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან დაგვემდურება ჩვენი მხედრობა, მე ამას ვერ დაგიმალავთ, თუ პოლიციის საქმის გამო, თქვენი რისხვისა და სასჯელის საგნად გახდით.

სიფრთხილე აკლდა ამ სიტყვას, მაგრამ თავისი განზრახვა ჰქონდა დე ტრევილს, – აფეთქების გამოწვევა უნდოდა, რადგან ნაღმი ქმნის ცეცხლს, ცეცხლი კი – სინათლეს.

– პოლიციის საქმის გამოო? – შეჰყვირა მეფემ, რომელსაც გულში მოხვედროდა დე ტრევილის სიტყვა, – პოლიციის საქმის გამო? მერე, თქვენ იცით რაიმე, ბატონო, მაგ საქმისა? თქვენ თქვენს მუშკეტრებს მოუარეთ და გულს ნუ მიწუხებთ. თქვენ რომ ყური გიგდოთ კაცმა, ერთი მუშკეტერის პოლიციაში დაჭერით მთელი საფრანგეთი საფრთხეში ჩავარდება. ამდენი დავიდარაბა ერთი მუშკეტერის გამო? მე კიდევ ათს დავაჭერინებ, დალახვროს ღმერთმა! ასს, მთელ რაზმს! და ხმის ამოღებაც არავინ გაბედოს.

– რაკი თქვენი ყოვლადუდიდებულესობაც ეჭვის თვალით უყურებს მუშკეტერებს, მაშ, დამნაშავენი ყოფილან ჩემი რაზმელები და ამიტომ, ნება მიბოძეთ, მეფეო, თქვენ ჩაგაბაროთ ჩემი ხმალი. ეჭვი არ არის, ჯერ ჩემს რაზმელებს დასდო ბრალი ბატონმა კარდინალმა, ხოლო შემდეგ მე დამდებს ბრალს. ის მირჩევნია, მე თვითონ ჩავჯდე ციხეში ათოსთან და დ არტანიანთან ერთად, რომელსაც, უეჭველია, დღეს-ხვალ დააპატიმრებენ... – მოახსენა დე ტრევილმა.

– ჰაა, გაათავებთ თუ არა, გასკონელო კერპო? – მიმართა მეფემ.

– მეფეო, – უპასუხა იმავე გაბედულებით დე ტრევილმა, – უბრძანეთ, დამიბრუნონ ჩემი მუშკეტერი, თუ არა და, სამართალში მისცენ.

– სამართალს გადაეცემა, – უთხრა კარდინალმა,

– მაშ, ასე? მით უკეთესი, რაკი ასე დატრიალდა საქმე, მე ვთხოვ თქვენს ყოვლადუდიდებულესობას, ნება მიბოძოთ, რომ მე თვითონ ვიცავდე ჩემს მუშკეტერს.

მეფეს საუბრის გამწვავებისა შეეშინდა.

– რომ მის ყოვლადუწმინდესობას არ ჰქონდეს საწინააღმდეგო... – თქვა მეფემ.

მიხვდა კარდინალი, რის თქმა სურდა მეფეს, და თვითონ მოახსენა:

– უკაცრავად, მეფეო, მაგრამ თუ თქვენს ყოვლადუდიდებულესობას ეჭვი ეპარება, რომ შეიძლება მე პირადი ინტერესი მქონდეს რაიმე, მაშინ მონაწილეობას არ მივიღებ მაგ საქმეში.

– ეს მითხარით, – მიმართა მეფემ დე ტრევილს, – შემომფიცავთ მამაჩემის სახელს, რომ ათოსი თქვენთან იყო იმ დროს, როდესაც ეს ამბავი მოხდა და არავითარი მონაწილეობა არ მიუღია?

– ვფიცავ განსვენებული მამითქვენის დიდებულ სახელს! ვფიცავ თქვენს სიცოცხლეს, რადგან თქვენ ბრძანდებით ამქვეყნად ერთადერთი ჩემი სიყვარული და სათაყვანებელი, რომ ათოსი იმ დროს ჩემთან გახლდათ და ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

– დაუფიქრდით, მეფეო, – მიმართა კარდინალმა, – ასე რომ გავათავისუფლოთ პატიმარი, ვერასოდეს ვერ მივაგნებთ ჭეშმარიტებას.

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონო კარდინალო, ათოსი არსად გაიპარება, – მიუგო დე ტრევილმა, – აქ იქნება და ყოველთვის შესაძლებს გამოცხადდეს მართლმსაჯულებასთან, რათა პასუხი გასცეს მათ კითხვას. მე მიგულეთ ამის თავდებად.

– მართლაც, სად ეშმაკებში გაიპარება? – დაეთანხმა მეფე, – ყოველთვის ვიპოვით, როცა კი დაიბარებთ, როგორც ბატონმა დე ტრევილმა მოგახსენათ და, გარდა ამისა, – დაუმატა მეფემ ხმის დაშვებით და თან ვედრების თვალით შეჰყურებდა კარდინალს, – დავამშვიდოთ საწყლები: ეს უფრო შესაფერი იქნება ჩვენი პოლიტიკისათვის.

ამ სიტყვებმა გააცინა ბატონი რიშელიე.

– უბრძანეთ, მეფეო, თქვენ გაქვთ უფლება პატიებისა.

– პატიება სჭირდება მხოლოდ დამნაშავეს, – მოახსენა დე ტრევილმა, რომელსაც უნდოდა, საბოლოო სიტყვა მისი ყოფილიყო. – ჩემი მუშკეტერი კი უდანაშაულო გახლავთ. ეს პატიება კი არა, შებღალული სამართლიანობის აღდგენა იქნება.

– ფორ-ლევეკშია დაპატიმრებული? – ჰკითხა მეფემ.

– დიახ, მეფეო, და ისიც – საიდუმლო საკანში, თითქოს საშინელი რამ ჩაედინოს.

– აი, დაწყევლა! – ბუზღუნებდა მეფე, – მოდი შენა და...

– ბრძანება განთავისუფლებისა, მეფეო, და გათავდება საქმე, – გაუადვილა კარდინალმა. – მე ისევე, როგორც თქვენ, ვფიქრობ, რომ საკმარისზე მეტია ბატონ დე ტრევილის თავდებობა.

დიდი პატივისცემით დაუკრა თავი დე ტრევილმა, იგი სიხარულმა შეიპყრო, თუმცა მაინც ღელავდა, რადგან გრძნობდა, რომ კარდინალის მხრივ ჯიუტი წინააღმდეგობა ემჯობინებოდა ამ მოულოდნელ დათმობას.

მეფემ ხელი მოაწერა ათოსის განთავისუფლების ბრძანებას და დე ტრევილიც გამოეთხოვა.

იმ წამს, როდესაც კარის გაღებას აპირებდა, მეგობრულად გაუცინა კარდინალმა და მეფეს უთხრა:

– სრული თანხმობა სუფევს თქვენი მუშკეტერების რაზმების უფროსსა და რაზმელებს შორის, მეფეო. სამსახურისთვისაც სასარგებლო გახლავთ ეს თანხმობა და ყველასათვისაც პატივსაცემი.

,,საშინლად გადამიხდის ამ გამარჯვებას და ძალიან ჩქარაც, – ამბობდა დე ტრევილი, – უკანასკნელ სიტყვას თავის დღეში არავის დაანებებს ჩვენი კარდინალი. უნდა ავჩქარდე, რადგან მეფემ შეიძლება ასევე უცბად შეიცვალოს აზრი. ბოლოს და ბოლოს, ბასტილიის ან ფორ-ლევეკის ციხეში ხელახლა ჩასმა გამოშვებული კაცისა უფრო ძნელი იქნება, ვიდრე იქ დამწყვდეულის იქვე დატოვება“.

გამარჯვებულის ზეიმით შევიდა დე ტრევილი ფორ-ლევეკის ციხეში და გაათავისუფლებინა მუშკეტერი, რომელსაც საპატიმროშიც კი არ მოშორებოდა თავისი დაუდევრობა.

დ არტანიანის ნახვისთანავე დე ტრევილმა იგი გააფრთხილა:

– ძალიან გადარჩით ამ საქმეს. ხედავთ, რა სამაგიერო გაგიმზადეს ჟუსაკის დაჭრისათვის?! ახლა ბერნაჟუს დაჭრისთვის ელოდეთ სამაგიეროს. ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ, რომ არ გიმუხთლონ.

მართალი იყო დე ტრევილი კარდინალისადმი ასეთი უნდობლობის გამოჩენაში. ფიქრობდა, რომ საქმე ჯერ გათავებული არ იყო. როგორც კი გავიდა მუშკეტერების კაპიტანი და კარი გაიხურა, კარდინალი მეფესთან მივიდა და მოახსენა:

– ახლა, როდესაც ორნი მარტო დავრჩით, მოდით, თუ თქვენი ყოვლადუდიდებულესობის ნებაც იქნება, დარბაისლურად მოვილაპარაკოთ ჩვენს საქმეზე... მეფეო, ბუკინგამი პარიზში გახლდათ ხუთი დღე და მხოლოდ დღეს დილით წავიდა.

XVI

აქ მოთხრობილია, თუ როგორ ამაოდ ეძებდა ზარს კანცლერი სეგიე, რათა წინანდებურად დაერეკა

შეუძლებელია იმ შთაბეჭდილების წარმოდგენა, რომელიც ლუდოვიკო მეცამეტეზე ამ რამდენიმე სიტყვამ მოახდინა. სისხლი თავში აუვარდა, მერე გაყვითლდა, კარდინალმა მაშინვე იგრძნო, რომ ერთი ხელისმოქნევით დაიბრუნა, რაც საბოლოოდ დაკარგულად მიაჩნდა.

– ბუკინგამი პარიზში? – შეჰყვირა მეფემ, – მერე, რა უნდოდა? რისთვის მობრძანდებოდა?

– ნუთუ არ იცით? თქვენს მტრებთან – ჰუგენოტებთან და ესპანელებთან უნდოდა შეთანხმება.

– არა, ღმერთსა ვფიცავ, არა! ჩემი შერცხვენა უნდათ და ამისათვის შეთქმულებას აწყობენ ქალბატონ დე შევრეზთან, ქალბატონ დე ლონგვილთან და კონდეებთან!

– ოჰ, მეფეო, რას არ წარმოიდგენთ! მეტისმეტად კეთილგონიერია დედოფალი და ძალიანაც უყვარს თქვენი ყოვლადუდიდებულესობა.

– სუსტი ქმნილებაა ქალი, ბატონო კარდინალო, – მიუგო მეფემ, – რაც შეეხება სიყვარულს, მე ჩემი აზრი მაქვს ამის შესახებ.

– მიუხედავად მაგისა, მე მაინც ვამტკიცებ, რომ ბუკინგამი პოლიტიკური განზრახვით იყო პარიზში, – თქვა კარდინალმა.

– მე კი დარწმუნებული გახლავართ, რომ სულ სხვა განზრახვა ჰქონდა, ბატონო კარდინალო. მაგრამ, თუ დააშავა რამე დედოფალმა, ვაი მისი ბრალი!

– აჰ, მართლა, – დაიწყო კარდინალმა, – თუმცა ჭირივით მეზიზღება მაგგვარ ღალატზე ჩემი ფიქრის შეჩერება, მაგრამ თქვენმა ყოვლადუდიდებულესობამ მომაგონა ერთი გარემოება: თქვენი ბრძანების თანახმად, ქალბატონი დე ლანუა დავკითხე რამდენჯერმე. ამ დილას მითხრა, რომ გუშინწინ ღამე ძალიან გვიან დაიძინა დედოფალმა. დღეს დილით ბევრი იტირა და მთელი დღე რაღაცას წერდაო.

– აკი ვთქვი! – წამოიძახა მეფემ, – მას სწერდა, რაღა თქმა უნდა. კარდინალო, დედოფლის ნაწერი მინდა!

– მერე, როგორ გამოვართვათ, მეფეო? მე მგონია, რომ ვერც თქვენ იკისრებთ და ვერც მე ამგვარი დავალების ასრულებას.

– მარშალ დ ანკრის ცოლს როგორ გამოართვეს წერილები? – შეჰყვირა მეფემ საშინელი გაბრაზებით, – გაჩხრიკეს მისი განჯინები და ბოლოს თვითონ ის ქალბატონიც.

– მარშალ დ ანკრის ცოლი მარშალ დ ანკრის ცოლი გახლავთ და სხვა არაფერი, ვიღაც ბედის მაძიებელი ფლორენციელი. თქვენი ყოვლადუდიდებულესობის მეუღლე კი საფრანგეთის დედოფალია, ესპანეთის მეფის ასული, მაშასადამე, დედოფალთა შორის უაღრესად დიდებული.

– მით უფრო არ ეპატიება დანაშაული! რამდენადაც მეტად დაივიწყა მაღალი მდგომარეობა, რომელიც ბედმა არგუნა, იმდენად მეტად დაეშვა. დიდი ხანია გადაწყვეტილი მაქვს, საბოლოოდ მოვსპო პოლიტიკისა და სიყვარულის ყველა ეს პატარა ხრიკები... ვიღაც დე ლა პორტი ჰყავს დედოფალს...

– რამდენადაც მე ვიცი, სწორედ ისაა უმთავრესი ზამბარა ამ ხრიკებისა – მოახსენა კარდინალმა.

– მაშ, თქვენც ჩემსავით ფიქრობთ? მღალატობს დედოფალი? – ჰკითხა მეფემ.

– მე ვფიქრობ და კვლავ მოვახსენებ თქვენ ყოვლადუდიდებულესობას, რომ დედოფალი რაღაც შეთქმულებას უმზადებს თავის მეფეს. მაგრამ ის კი არ მითქვამს, თითქოს თავისი სახელის შერცხვენას აპირებდეს.

– მე კი გადაჭრით გეუბნებით! გეუბნებით, რომ მე დედოფალს არ ვუყვარვარ, გეუბნებით, რომ სხვა უყვარს, გეუბნებით, რომ ის უყვარს, ის შერცხვენილი ბუკინგამი! რატომ არ დააჭერინეთ, მანამ პარიზში იყო?

– როგორ დავაჭერინებდი ჰერცოგს? ინგლისის მეფის მთავარ მინისტრს? რას ბრძანებთ მაგას? ხომ შევრცხვით მთელ ქვეყანაზე! ერთიც ვნახოთ, მართლა საფუძვლიანი გამოდგეს თქვენი ეჭვები, რაც მე დღესაც შეუძლებლად მიმაჩნია. მთელ ქვეყანას მოედება ჩვენი სირცხვილი.

– თუკი ისე იქცევა, როგორც მაწანწალა, როგორც ყაჩაღი? უნდა...

თვითონვე შეწყვიტა თავისი სიტყვა ლუდოვიკო მეცამეტემ, იმით შეშინებულმა, რის თქმაც ვერ გაბედა. კარდინალს კი წაეგრძელებინა კისერი და მოუთმენლად ელოდა მეფის ბაგეებზე შემშრალ სიტყვას, მაგრამ ამაოდ.

– რა უნდა გვექნა?

– არაფერი, – უპასუხა მეფემ, – არაფერი. ეს მიბრძანეთ, თვალყური გეჭირათ, რაც ხანი პარიზში იყო? ხომ არსად აგცდენიათ?

– არა, მეფეო.

– ბინა სად ჰქონდა?

– ლა ჰარპის ქუჩა №75-ში.

– ეგ სად არის?

– ლუქსემბურგის მხარეს.

– დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ერთმანეთი არ უნახავთ მას და დედოფალს?

– დარწმუნებული გახლავართ, მეფეო, რომ დედოფალი წმინდად ასრულებს თავის მოვალეობას.

– დიახ, მაგრამ მიმოწერა კი ჰქონდათ! ვის სწერდა დღეს დედოფალი, თუ არა იმას? კარდინალო, ის წერილი უნდა მაჩვენოთ.

– მოგახსენეთ, მეფეო...

– რადაც უნდა დაგვიჯდეს, წერილი მინდა!

– უნდა მოგახსენოთ, რომ...

– მაშ, თქვენც მდალატობთ, ბატონო კარდინალო, ყოველთვის ასე რომ ეწინააღმდეგებით ჩემს სურვილს? იქნება თქვენც მიგიმხრეს ესპანელებმა და ინგლისელებმა, ქალბატონ დე შევრეზთან და დედოფალთან ერთად?

– მეფეო, მე კი მეგონა, რომ დაცული გახლდით მაგგვარი ეჭვიანობისაგან, – უპასუხა ამოოხვრით კარდინალმა.

– ბატონო კარდინალო, ხომ მოისმინეთ ჩემი ნათქვამი? მე უნდა ვნახო ის წერილი.

– ერთადერთი საშუალება გახლავთ...

– რა საშუალება?

– მართლმსაჯულების კანცლერს, ბატონ სეგიეს დავავალოთ მაგის ასრულება. ეს საქმე სწორედ მისი მოვალეობის ფარგლებშია.

– უბრძანეთ, ახლავე დაიბარონ.

– ჩემთან უნდა გახლდეს, მეფეო, ვთხოვე, ჩემკენ გამოეკლო, და თქვენთან მოსვლის გამო, ბრძანება დავტოვე, დამიცადოს.

– მაშ, ახლავე აქ მოიყვანონ.

– ასრულებული იქნება ბრძანება თქვენი ყოვლადუდიდებულესობისა, მაგრამ...

– მაგრამ რა?

– მაგრამ, შეიძლება, დედოფალმა არ ინებოს დამორჩილება.

– არ ინებოს ჩემი ბრძანების დამორჩილება?

– დიახ, არ დაიჯერებს, რომ მეფის ბრძანებაა.

– მაშ, ეჭვიც რომ არა ჰქონდეს რა, ახლავე წავალ და მე თვითონვე შევატყობინებ.

– იმედი მაქვს, არ დაივიწყებს თქვენი ყოვლადუდიდებულესობა, რომ მე გავაკეთე ყველაფერი განხეთქილების თავიდან ასაცილებლად.

– დიახ, ბატონო, ვიცი, მეტად შემწყნარებელი ბრძანდებით დედოფლისა, იქნება მეტისმეტად შემწყნარებელიც. მაგრამ გაფრთხილებთ, ამაზე ჩვენ შემდეგში გვექნება ბაასი.

– როდესაც კეთილინებებს თქვენი ყოვლადუდიდებულესობა. ოღონდ, მე ყოველთვის ბედნიერი ვიქნები და ამაყი, თუ მოვახერხე და ვეღირსე თქვენს და საფრანგეთის დედოფლის კეთილგანწყობილებას.

– კარგი, კარდინალო, კარგი! მანამდე კი გაგზავნეთ ვინმე მართლმსაჯულების კანცლერის მოსაყვანად, მე დედოფალთან შევალ.

ოთახიდან გავიდა ლუდოვიკო მეცამეტე და დედოფლის ოთახისკენ მიმავალი დერეფნის კარი შეაღო.

დედოფალს გარს ეხვია თავისი ამალა, ქალბატონი დე გიტო, ქალბატონი დე საბლე, ქალბატონი დე მონბაზონი და ქალბატონი დე გემენე. ერთ კუთხეში მიკუნჭულიყო ესპანელი დონა ესტეფანია, რომელიც დედოფალს მადრიდიდან გამოჰყვა. ქალბატონი დე გემენე წიგნს კითხულობდა და ყველანი ყურადღებით ისმენდნენ, გარდა დედოფლისა, რომელსაც, პირიქით, იმ განზრახვით მოეწყო ეს კითხვა, რომ შესძლებოდა, მთელი თავისი არსებით ფიქრებს მისცემოდა.

დედოფლის ფიქრებს ოქრო მოჰფენოდა სიყვარულის უკანასკნელი ტკბილი ათინათით, მაგრამ მაინც მწარე იყო და დასაღონებელი. დედოფლისადმი ნდობა დაჰკარგოდა მის ქმარს, შეძულებული ჰყავდა კარდინალს, რომელიც ყველგან უთვალთვალებდა, ვერ მოენელებინა, რომ დედოფალმა უარყო მისი, ვითომ უფრო ტკბილი სიყვარული და თავისი დედამთილის, მარიამ მედიჩის მაგალითს მიჰბაძა.

დევნილი იყო დედოფალი და ხედავდა, როგორ უღუპავდნენ მისთვის თავდადებულ, ერთგულ მსახურებს, ნდობით აღჭურვილ გულითად მეგობრებს, მის საყვარელ მხევლებს. უბედურ ბოროტსვიანს ჰგავდა დედოფალი; უბედურებით ავსებდა, რასაც კი ხელს შეახებდა. კარგი თვალით რომ გადახედავდა ვინმეს, ვინც უნდა ყოფილიყო, იგი უსათუოდ კარდინალის მსხვერპლი გახდებოდა. ქალბატონი დე შევრეზი და ქალბატონი დე ვერნე განდევნილ იყვნენ პარიზიდან, დე ლა პორტიც არ უმალავდა თავის მფარველს, რომ დღე-დღეზე მოელოდა დაპატიმრებას.

სწორედ ამ სევდიან ფიქრებს მისცემოდა დედოფალი, როდესაც მეფემ მისი დარბაზის კარი შეაღო და შევიდა.

მაშინვე შეწყდა წიგნის კითხვა, ფეხზე წამოდგნენ ქალები. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

მეფე არავის მისალმებია, ისე შევიდა დარბაზში. პირდაპირ მივიდა დედოფალთან, წინ გამოეჭიმა და შეცვლილი ხმით უთხრა:

– თქვენ გეახლებათ, ქალბატონო, მართლმსაჯულების კანცლერი და ის გაგაცნობთ ჩემს დავალებას.

უბედური დედოფალი, რომელსაც მუდამ გაყრით, განდევნით და სამართალში მიცემითაც კი ემუქრებოდნენ, გაფითრდა, თავი ვერ შეიკავა და ჰკითხა:

– რა საჭიროა კანცლერის გამოგზავნა? რა უნდა მითხრას კანცლერმა ისეთი, რომ თქვენ თვითონ არ შეგეძლოთ თქმა?

მეფემ პასუხი არ აღირსა, ჭუსლებზე შემოტრიალდა და კარისკენ გაბრუნდა.

თითქმის მაშინვე შევიდა დამცველი რაზმის კაპიტანი ბატონი დე გიტო და დედოფალს კანცლერის მოსვლა მოახსენა.

კანცლერს დარბაზში მეფე არ დახვდა; მისი ყოვლადუდიდებულესობა სხვა კარით გავიდა.

კანცლერი დარბაზში შევიდა სახეაწითლებული, ნაძალადევი ღიმილით. ამ კაცს ჩვენ კიდევ შევხვდებით ამ ისტორიაში და ამიტომ, ვფიქრობთ, ცუდი არ იქნება, მკითხველმა ახლავე ინებოს მისი გაცნობა.

ძალიან მოქნილი კაცი იყო ეს კანცლერი. პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მოძღვარმა დე როშ ლეჟალმა, კარდინალის ყოფილმა მსახურმა, ურჩია მის ყოვლადუწმინდესობას

ბატონ სეგიეს სამსახურში მიღება, როგორც სანდო და მოხერხებული პიროვნებისა. კარდინალმა მიიღო და მეტისმეტი კმაყოფილიც დარჩა მისი სამსახურით.

ცუდი ხმები დადიოდა ბატონ სეგიეს შესახებ. აი, სხვათა შორის, ერთი:

მუდმივ ქეიფში გაეტარებინა ყმაწვილკაცობა და შემდეგ მონასტერში შესულიყო სიყმაწვილის ცოდვების მოსანანიებლად. მაგრამ საწყალმა ცოდვილმა ამ წმინდა სახლში შესვლით ვერ მოახერხა სწრაფად მოეკეტა მონასტრის კარები, რომ შიგ არ შესულიყვნენ ის ვნებანი, რომლებსაც მონასტერში ემალებოდა. თავს არ ანებებდნენ ცოდვით სავსე სულის წამწყმედნი და მანაც გულწრფელად მოახსენა მონასტრის წინამძღვარს თავისი გაჭირვება. წინამძღვარმა მოისურვა, შეძლებისდაგვარად, განეშორებინა მორჩილისაგან ავი, და ურჩია: როგორც კი იგრძნო მაცდურის მოახლოება, მაშინვე ზარის თოკს მივარდი და მაგრად დარეკეო. ამ ხმის გაგონებაზე ბერები მიხვდებიან, რომ მავნე სული მისდგომია ერთ ძმათაგანს და მაშინვე ლოცვას დაიწყებს მთელი მონასტერიო.

ეს რჩევა ძალიან მოეწონა მომავალ კანცლერს და ახლა წმინდა ბერების ლოცვითა და ვედრებით შეებრძოლა ავსულებს. მაგრამ არც ასე ადვილად თმობს მავნე სული ადგილს, სადაც უკვე შეუყვანია თავისი მეციხოვნე ჯარი. მონასტერი რომ ზარის რეკვას ახშირებდა წმინდა ბერების წარმწყმედი მაცდურის განსადევნად, მაცდურიც უფრო და უფრო აძლიერებდა ცდუნებას. ისე რომ, დღედაღამ შეუწყვეტლივ რეკავდა ზარი სრული ხმოვანებით და აუწყებდა ქვეყანას დაუცხრომელ სურვილს ერთი ცოდვილისას, რომელიც ცოდვათა განშორებას ცდილობდა.

ერთი წამი აღარ რჩებოდათ ბერებს დასასვენებლად. ისე გადიოდა მთელი დღე, რომ მონასტრის კიბეზე ასვლა-ჩამოსვლის გარდა სხვას ვეღარას აკეთებდნენ. გარდა ღამისა და ცისკრის ლოცვისა, იძულებულნი იყვნენ, ოცჯერ მაინც წამომხტარიყვნენ საწოლიდან, მუხლი მოეყარათ თავიანთი სავანის ფილაქანზე და ვედრებით ეთხოვათ ყოვლადშემძლებლის დახმარება.

გამოურკვეველი დარჩა, დამარცხდა ამ ბრძოლაში მაცდური თუ დაიღალნენ ბერები და მოაშლევინეს ზარის რეკვა. ასეა თუ ისე, სამი თვის შემდეგ ბატონი სეგიე მონასტრიდან გამოვიდა, ისევ საზოგადოებაში გაერია და თან მიიტანა ისეთი მძვინვარე კაცის სახელი, რომლის დარი ჯერ ქვეყანაზე არ ყოფილა.

მონასტრიდან გამოსვლის შემდეგ სასამართლოში შევიდა მოხელედ და კარდინალის პარტიას მიემხრო, რაც კარგად ამტკიცებდა მის გონიერებას. მერე კანცლერი გახდა. გულმოდგინედ ემსახურა კარდინალს, რომელიც სიცოცხლეს უმწარებდა დედოფლის დედამთილს და უკან არ იხევდა დედოფლის ჯავრის ამოსაყრელადაც. კარდინალის სრული ნდობით აღჭურვილი ბატონი სეგიე ახლაც ამ უცნაური დავალების ასასრულებლად შევიდა დედოფალთან.

დედოფალი ჯერ ისევ ფეხზე იდგა, მაგრამ ბატონ სეგიეს დანახვაზე მაშინვე თავის სავარძელში ჩაჯდა და ქალებსაც ანიშნა, თავიანთ ბალიშებზე დამსხდარიყვნენ. შემდეგ სეგიეს მიმართა მედიდური ხმით:

– რა გინდათ, ბატონო, რისთვის მოხვედით?

– გეახელით, რათა თანახმად მეფის ბრძანებისა და იმ დიდი პატივისცემის მიუხედავად, რომელიც ყველა მოხელეს უნდა ჰქონდეს თქვენი ყოვლადუდიდებულესობისადმი, მთლიანად უნდა გავჩხრიკო თქვენი ქაღალდები.

– როგორ, ჩემი ქაღალდების გაჩხრეკა გნებავთ?! ჩემი ქაღალდებისა? მაგ საზიზღრობისათვის მოხვედით?

– მაპატიეთ, ქალბატონო, დამეთანხმებით, ამ შემთხვევაში მე მხოლოდ საშუალება გახლავართ, მეფის იარაღი. განა ეს არის, ახლა აქ არა ბრძანდებოდა მისი ყოვლადუდიდებულესობა? განა არა გთხოვათ თვითონ მეფემ, მომზადებულიყავით ჩემს მისაღებად?

– მაშ, გაჩხრიკეთ, ბატონო, როგორცა ჩანს, საშინელი დამნაშავე ვყოფილვარ. ესტეფანია, მოართვით ჩემი მაგიდებისა და ქაღალდების საცავის გასაღებები.

სეგიემ ფორმის გულისთვის გასინჯა დედოფლის მაგიდა, რადგან კარგად იცოდა, იქ არ შეინახავდა დედოფალი იმ მნიშვნელოვან წერილს, რომელსაც მთელ დღეს წერდა.

ოცჯერ ახადა და დახურა კანცლერმა დედოფლის საიდუმლო ყუთები; ახლა საჭირო იყო საქმის დაბოლოება, ესე იგი, თვითონ დედოფლის გაჩხრეკა. ამიტომ ანა ავსტრიელთან მივიდა და დაბნეულმა, შეცბუნებულმა მოახსენა:

— მხოლოდ მთავარი დამრჩა...

— რა? — ჰკითხა დედოფალმა, რომელსაც ვერ გაეგო, ან უფრო უკეთ, არ უნდოდა გაეგო მისი სიტყვა.

— მისი ყოვლადუდიდებულესობა დარწმუნებული ბრძანდება, რომ დღეს თქვენ ერთი წერილი დაგიწერიათ, იცის, რომ ის წერილი ჯერ დანიშნულებისამებრ არ გაგიგზავნიათ. აქ არსადა ჩანს ის წერილი, არც თქვენს მაგიდაში და არც ქაღალდებში, ნამდვილად ზედ უნდა ჰქონდეს ვინმეს.

— იქნება გაბედოთ და ხელი შეახოთ თქვენს დედოფალს? — შეუტია ანა ავსტრიელმა, წამოდგა, წელში გასწორდა და მუქარის თვალით დააცქერდა თავხედს.

— მე ჩემი მეფის ერთგული ქვეშევრდომი გახლავართ, ქალბატონო, და გულმოდგინედ ვასრულებ ყოველ მის ბრძანებას.

— მართალია, მართალი! — თქვა დედოფალმა, — ერთგულად ემსახურებიან მეფეს კარდინალის ჯაშუშები. ერთი წერილი დავწერე დღეს, ჯერ არ გამიგზავნია, აი, აქ მაქვს, — და გულზე დაიდო თავისი ლამაზი ხელი.

— მაშ, მიბოძეთ ეგ წერილი, ქალბატონო.

— თვითონ მეფეს მივართმევ, სხვას არავის!

— მეფეს რომ ნდომებოდა მაგ წერილის თქვენგან მიღება, ქალბატონო, თვითონვე გთხოვდათ და გამოგართმევდათ. მე მოგახსენეთ და გიმეორებთ, რომ დავალებული მაქვს მაგ წერილის მირთმევა, და თუ არ მომცემთ, მაშინ...

— მაშინ რა?

— მეფემ დამავალა, წაგართვათ.

— რაო? რა გსურთ მაგით თქვათ?

— ბრძანება მაქვს, ყოველი საშუალება ვიხმარო, ქალბატონო, და უფლება მაქვს, თვითონ დედოფალიც გავჩხრიკო.

— საშინელებაა! — შეჰყვირა დედოფალმა.

— ნუ მაიძულებთ, ქალბატონო, კეთილად დამამთავრებინეთ საქმე.

— საზიზღარი ძალდატანებაა თქვენი საქციელი! ნუთუ არა გრძნობთ მაგ თავხედობას?

— მეფის ბრძანებას ვასრულებ, ქალბატონო, მაპატიეთ.

— არა, მე მაგას ვერ ავიტან! არა, სიკვდილი მიჯობს მაგ შეურაცხყოფას! — შეჰყვირა დედოფალმა, რომელშიც ესპანელ და ავსტრიელ მეფეთა სისხლი ბობოქრობდა;

კანცლერმა მდაბლად დახარა თავი, მერე დედოფლისაკენ წავიდა იმ განზრახვით, რომ იოტისოდენადაც კი არა დაეკლო რა ბრძანების ასრულებისათვის.

სიბრაზის ცრემლი წასკდა შეურაცხყოფილ ანა ავსტრიელს. როგორცა ვთქვით, დედოფალი ძალიან ლამაზი ქალი იყო. გაჩხრეკისას შეიძლება ხელით შეხება დასჭირვებოდა სეგიეს, მაგრამ მეფე ისე იყო ბუკინგამისადმი ეჭვით გადარეული, რომ ამას აღარ მოერიდა.

კანცლერმა სეგიემაც ამ წამს თვალებით ძებნა მონასტრის სასწაულებრივი თოკი, რომ ზარი დაერეკა და განედევნა მაცდური სული, მაგრამ თოკი არსად იყო და რაღას იზამდა, ხელი აღმართა, რათა შეჰხებოდა დედოფლის მიერ მითითებულ ადგილს, სადაც წერილი ინახებოდა.

დედოფალმა ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და ისე გაფითრდა, რომ იფიქრებდით, სიკვდილს ვეღარ გადაურჩებაო. რომ არ წაქცეულიყო, მარცხენა ხელით მის უკან მდგარ მაგიდას დაეყრდნო, მარჯვენა ხელით გულისპირიდან დაკეცილი ქაღალდი ამოიღო და კანცლერს გაუწოდა.

– აი, წაიღეთ! აჰა! ჩემი წერილი! – შეუტია ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ათრთოლებული ხმით, – წაიღეთ და მომშორდით, საზიზღარო.

თავის მხრივ, ბატონ კანცლერსაც მორეოდა მღელვარება და თავით ფეხებამდე კანკალებდა. მან წერილი ჩამოართვა, თავი მიწამდე დაუკრა და წავიდა.

გაიხურა კარი თუ არა, დედოფალი წაბარბაცდა, მაგრამ მხევლები მიეშველნენ და წაქცევას გადაარჩინეს.

კანცლერი მაშინვე მეფესთან მივიდა და წერილი მიართვა ისე, რომ ერთი სიტყვაც არ წაეკითხა.

მეფემ აკანკალებული ხელით ჩამოართვა ეს ბარათი, ეძება მისამართი, რომელიც ჯერაც არ იყო დაწერილი, ფერი ეცვალა, ნელ-ნელა გახსნა, მერე, როდესაც ნახა, რომ წერილის პირველი სიტყვა მიმართული იყო ესპანეთის მეფისადმი, სწრაფად გადაიკითხა. ამ წერილში მოცემული იყო კარდინალის დამხობის მთლიანი გეგმა. დედოფალი სწერდა თავის ძმასა და ავსტრიის იმპერატორს, რომლებიც შეურაცხყოფილნი იყვნენ რიშელიეს პოლიტიკით, რადგან კარდინალის მუდმივ საზრუნავად გამხდარიყო ავსტრიის იმპერა-ტორის კარის დაცირება. სთხოვდა, მოსაჩვენებლად ომი გამოეცხადებინათ საფრანგეთისათვის და ზავის პირობად მოეთხოვათ რიშელიეს გადაყენება... ერთი სიტყვაც არ იყო წერილში სიყვარულის შესახებ.

აღტაცებულმა მეფემ იკითხა, კარდინალი ხომ არსად წასულაო.

მაშინვე მოახსენეს, რომ ისევ თავის კაბინეტში ბრძანდებოდა მისი ყოვლადუწმინდესობა და მისი ყოვლადუდიდებულესობის ბრძანებას ელოდა.

ისიც კარდინალისაკენ გაეშურა.

– ინებეთ, ბატონო! თქვენ მართალი ხართ. პოლიტიკაზე აგებული ინტრიგაა და არც ერთი სიტყვა არ წერია სიყვარულზე. აი, ინებეთ, სამაგიეროდ, თქვენს შესახებ ბევრი წერია ამ წერილში.

კარდინალმა ჩამოართვა წერილი, უაღრესი ყურადღებით წაიკითხა და როდესაც ბოლომდე ჩავიდა, ერთხელ კიდევ თავით ბოლომდე გადაიკითხა.

– ხომ ხედავთ, თქვენო ყოვლადუდიდებულესობავ, რას მიქადიან ჩემი მტრები, ორ მხრივ შემოგვისევენ ჯარებს, თუ მე არ დამითხოვეთ. მე რომ თქვენს ადგილას ვყოფილიყავი, მეფეო, დავყვებოდი ამ მძლავრ დაუინებულ მოთხოვნას. მე, ჩემის მხრივ, მართლაც ბედნიერი ვიქნები, თუ გამათავისუფლებთ ამდენი საქმისგან.

– რას ამბობთ მაგას, კარდინალო?

– იმას მოგახსენებთ, რომ დავდნი კაცი ამოდენა აუტანელ ბრძოლაში და გაუთავებელ საქმიანობაში; იმას მოგახსენებთ, რომ არა მგონია, ავიტანო ის ჯაფა, რომელსაც ლაროშელის გარემოცვა მიქადის და საქმისათვის ის ემჯობინება, იქ დანიშნოთ ბატონი დე კონდე ან ბატონი ბასომპიერი, ან სხვა ვინმე სახელოვანი, რომლის სიცოცხლის მიზანს ბრძოლა შეადგენს. მე, მეფეო, ეკლესიას ვეკუთვნი და, მიუხედავად ამისა, ერთი წამი ვერ მომიცლია ჩემი დანიშნულებისათვის, რადგან ისეთ საქმეებს მანდობთ მოსაგვარებლად, რომლისთვის არავითარი ნიჭი არა მაქვს. თქვენც უფრო ბედნიერი იქნებით თქვენს ოჯახში. დარწმუნებული გახლავართ, უცხოეთშიც უფრო მეტი დიდება გექნებათ.

– მესმის, ბატონო კარდინალო, – უპასუხა მეფემ, – კარგად მესმის, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ: დასჯილი იქნებიან ყველანი, ვინც დასახელებულია ამ წერილში, და თვითონ დედოფალიც.

– რასა ბრძანებთ, მეფეო? ისე არ გამწირავს ღმერთი, რომ ჩემს გამო რაიმე, თუნდაც სულ უმცირესი უსიამოვნება მიაყენოთ დედოფალს. მართალია, ყოველთვის თავის მტრად მივაჩნდი, თუმცა თქვენს ყოვლადუდიდებულესობას შეუძლია დამემოწმოს, რომ ყოველთვის ვცდილობდი მის დახმარებას, და მაშინაც კი ვექომაგებოდი, როდესაც თქვენს საწყენს ცდილობდა. ოჰ, რომ ეღალატა თქვენთვის და შეებღალა დიდებული თქვენი სახელი, ეს სულ სხვა იქნებოდა, და პირველი მე დავიძახებდი: „არავითარი შეწყალება, მეფეო! არავითარი შეწყალება მოღალატისა“! ჩვენდა საბედნიეროდ, აქ სამაგისო არაფერია და

თქვენს ყოვლადუდიდებულესობას ამის დასამტკიცებლად ხელთა აქვს ერთი ახალი საბუთი.

– მართალი ხართ, ბატონო კარდინალო, – დაეთანხმა მეფე, – მაშინაც მართალი იყავით, როგორც ყოველთვის, მაგრამ დედოფალი მაინც მაჯავრებს და კიდევაც განვურისხდები.

– თქვენ თვითონვე ხართ, მეფეო, დამნაშავე მის მიმართ. და კიდეც რომ გაგებუტოთ, კიდეც რომ შემოგწყრეთ, მე მაინც იმას გავამართლებ. მეტად მკაცრად ექცევით, მეფეო, თქვენს დედოფალს...

– მე, ბატონო, ჩემს და თქვენს მტრებს, რაც უნდა წარჩინებული გვარის წარმომადგენლები იყვნენ, ყოველთვის ასე მოვექცევი, თუნდაც ასეთი სიმკაცრის სამაგიეროდ საშინელი განსაცდელი მომელოდეს.

– დედოფალი ჩემი მტერია, მეფეო, თქვენი კი არა; პირიქით, თავგანწირული მეუღლე გახლავთ, მორჩილი და ერთგული, მაშ, ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ ვიშუამდგომლო და გთხოვოთ...

– თავი დაიმციროს და პირველად ის მოვიდეს ჩემთან.

– პირიქით, მეფეო, თქვენ უჩვენეთ მაგალითი. პირველად ხომ თქვენ აწყენინეთ, თქვენ აღგეძრათ ეჭვი და ამით შეურაცხჰყავით დედოფალი.

– პირველად მე მივიდე? თავი დავიმცირო? არა და არა!

– გევედრებით, მეფეო.

– მაგრამ როგორ უნდა მივმართო, რა მოვიმიზეზო?

– მოაწყვეთ რაიმე ისეთი, რომ დედოფალი ასიამოვნოთ.

– მაგალითად?

– ერთი კარგი ბალი... ხომ იცით, როგორ უყვარს დედოფალს ცეკვა. გარწმუნებთ, როგორც კი გაიგებს, მის საამოდაა დანიშნული ბალი, მაშინვე დაავიწყდება თავისი წყრომაც და სამდურავიც.

– ბატონო კარდინალო, ხომ იცით, რომ მე არ მიყვარს ეგ საჯარო დროს ტარება?

– მით უფრო ასიამოვნებთ დედოფალს და გულს მოუგებთ. მანაც კარგად იცის, რომ არ გეხალისებათ ასეთი მეჯლისები. გარდა ამისა, საშუალებას მისცემთ, გაიკეთოს თქვენ მიერ ამასწინათ დღეობაზე მირთმეული ბრილიანტის ბურნუკი. უხმარებლად უწყვია დღევან-დლამდე თქვენი საჩუქარი და ამ მეჯლისში მაინც გაიკეთებს.

– ვნახოთ, ბატონო კარდინალო, ვნახოთ, – თქვა მეფემ, რომელიც აღტაცებული იყო სიხარულით. დედოფალი დამნაშავე გამოდგა პოლიტიკურ საკითხებში, ამ საკითხს კი მეფე არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა. დედოფალი სრულიად წმინდა აღმოჩნდა იმ სიყვარულში, რომელიც საშინლად ტანჯავდა მეფის თავმოყვარეობას. აღტაცებული მეფე მზად იყო, დაუყოვნებლივ შერიგებოდა დედოფალს. – ვნახოთ, ბატონო, ვნახოთ, მაგრამ გარწმუნებთ, მეტად ლმობიერი და შემწყნარებელი ბრძანდებით.

– მიანდეთ, ბატონო, ასეთი სიმკაცრე მინისტრებს. ლმობიერება და შემწყნარებლობა მეფის სათნოებაა. იყავით ლმობიერი და შემწყალებელი, მაშინ ნახავთ, რა სანეტარო იქნება თქვენი ცხოვრება.

ამ სიტყვების შემდეგ კარდინალი წამოდგა, – სწორედ ამ დროს საათმა თერთმეტი დაჰკრა, – მდაბლად დაუკრა თავი მეფეს და წასვლის ნებართვა სთხოვა. დამშვიდობებისას კვლავ გაუმეორა თხოვნა, რომ დედოფალს შერიგებოდა.

წერილის წართმევის შემდეგ საყვედურს მოელოდა დედოფალი და განცვიფრებული შესცქეროდა მეფეს, რომელიც მეორე დილას საყვედურის ნაცვლად გარს ევლებოდა და სულ იმას ცდილობდა, როგორმე შერიგებოდა.

ეჩოთირა ანა ავსტრიელს მეფის წადილი, რადგან მეტად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და დედოფლის ღირსებას. კარგა ხანს ებრძოდა თავის გულს, რომ დამორჩილებოდა გარემოებას, მაგრამ თავისი სეფექალების რჩევას დაჰყვა და ცდილობდა ისე მოქცეულიყო, ვითომ დაავიწყდა ყოველივე საწყენი. მეფემ ისარგებლა ამ შერიგების პირველი წუთებით და განუცხადა, რომ ამ დღეებში დიდი ბალის მოწყობას აპირებდა.

ისეთი იშვიათი რამ იყო საბრალო დედოფლისათვის მხიარულად დროს გატარება, რომ ამ ამბავმა სრულიად გაუქარწყლა თავისი სამდურავი. თუ გულში არა, გარეგნულად მაინც დაავიწყდა უკმაყოფილება. ჰკითხა, სახელდობრ, როდის აპირებდა მეჯლისის გამართვას. მაგრამ ეს თვითონ მეფემაც არ იცოდა, რადგანაც უნდა შეთანხმებოდა კარდინალს. და მართლაც, ყოველდღე ეკითხებოდა მეფე რიშელიეს, როდისთვის დაენიშნათ მეჯლისი. მისი უწმინდესობა ყოველდღე ახალ მიზეზს ძებნიდა. ამგვარად ათი დღე გავიდა.

მერვე დღეს ჩვენ მიერ ნაამბობი სცენის შემდეგ, კარდინალმა წერილი მიიღო, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ეწერა:

„ისინი მე მაქვს, მაგრამ უფულობის გამო არ შემიძლია დავტოვო ლონდონი. გამომიგზავნეთ ხუთასი პისტოლი და ფულის მიღებიდან ოთხი-ხუთი დღის შემდეგ პარიზში გეახლებით“.

იმ დღესაც, როდესაც ეს წერილი მიიღო კარდინალმა, კიდევ იმავე კითხვით მიმართა მეფემ.

თითებზე ჩამოთვალა რიშელიემ დღეები და თან ფიქრობდა: იწერება, ფულის მიღებიდან ოთხი-ხუთი დღის შემდეგ მანდ ვიქნებიო. ოთხი-ხუთი დღე ფულის იქ მისვლას მოუნდება, ამდენივე მილედის დაბრუნებას. ეს უკვე ათი დღე. ახლა პატარა წილი პირქარსაც დავუდოთ, მოსალოდნელ ხიფათს, ქალის სისუსტეს და სულ თორმეტი დღე ვაკმაროთ.

– ჰა, რას იტყვით, ბატონო კარდინალო? ვერ იანგარიშეთ?

– აი, მეფეო! დღეს სექტემბრის ოცი გახლავთ. ქალაქის თვითმმართველობის მოხელენი აპირებენ ბალს ოქტომბრის სამს. ესეც ხელს გიწყობთ. არავის მოუვა აზრად, რომ თქვენ შერიგებას ეძებთ.

მცირე ხნის შემდეგ დაუმატა:

– არ დაგავიწყდეთ, მეფეო, მოაგონოთ დედოფალს თქვენი სურვილი, რომ ბალზე ნახოთ იგი თქვენს მიერ ნაჩუქარი ბრილიანტის ბურნუკებით მორთული.

XVII

ცოლ-ქმარი ბონასიე

ეს მეორედ ახსენა მეფესთან კარდინალმა დედოფლისადმი მიძღვნილი ბრილიანტის ბურნუკები. გაუკვირდა ლუდოვიკო მეცამეტეს ასეთი ახირება და გაიფიქრა, რომ აქ რაღაც საიდუმლოება იფარებოდა, ხშირად შეურაცხყოფილი რჩებოდა მეფე, რადგან კარდინალმა თავისი პოლიციის დახმარებით მასზე უკეთ იცოდა ყოველი წვრილმანი მისი ოჯახური ცხოვრებისა. იმედი ჰქონდა მეფეს, რომ დედოფალთან საუბარში ნათელს მოჰფენდა ამ საიდუმლოებას.

მეფე დედოფლის სანახავად წავიდა, თავის ჩვეულების თანახმად, ბაასი მის მახლობელთა მუქარით დაიწყო. ანა ავსტრიელმა არაფერი უპასუხა, თავი დაღუნა, დანებდა მოზღვავებულ ნიაღვარს. იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან, მორჩებოდა მეფე ამ მუქარას. მაგრამ ეს დუმილი არა ნებავდა ლუდოვიკო მეცამეტეს, მას საქმის გარკვევისათვის კამათი სურდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ აქ კარდინალის ავი განზრახვა იმალებოდა და რომ მისი ყოვლადუწმინდესობა, ჩვეულებისამებრ, ახლაც რაღაც მოულოდნელ საზარელ ხრიკს უმზადებდა. მეფის მუქარამ და საყვედურმა შედეგი გამოიღო.

– გისმენთ, მეფეო, – შეჰყვირა მოთმინებიდან გამოსულმა დედოფალმა, – თქვენ მაინც არ მეუბნებით ყველაფერს, რაც გულის სიღრმეში გაქვთ! რაში მამტყუნებთ, რა დავაშავე? ერთი მიბრძანეთ, რა შეგცოდეთ? ვერ წარმომიდგენია, რომ ძმისადმი მიწერილი ერთი წერილის გამო ამდენი საყვედური დავიმსახურე თქვენგან.

დედოფლის ასეთი იერიშის შემდეგ მეფემ არ იცოდა, რა პასუხი მიეცა. გადაწყვიტა, რომ შესაფერისი შემთხვევა ეძლეოდა ეთქვა ის, რაც მეჯლისის წინადღეს უნდა ეთხოვა.

– ქალბატონო, – მიმართა მან დიდმნიშვნელოვნად, – ამ დღეებში ბალი იქნება, იმედი მაქვს, რომ პატივსა სცემთ ქალაქის ერთგულ მოღვაწეთ და საზეიმოდ მორთული მობრძანდებით მეჯლისზე, მოკაზმული ბრილიანტის ბურნუკით, რომელიც მე მოგართვით თქვენს დღეობაზე. აი, ჩემი პასუხი.

საშინელი იყო ეს პასუხი. დედოფალი დარწმუნდა, რომ მეფისათვის ყველაფერი ნათელი იყო, და მხოლოდ კარდინალის გავლენით, შვიდი-რვა დღის განმავლობაში ისე უნდოდა მოეჩვენებინა თავი, თითქოს არაფერი იცოდა. ასეთი საქციელი დამახასიათებელი იყო ლუდოვიკო მეცამეტისათვის. ფერი ეცვალა საბრალოს, მაგიდას დააბჯინა თავისი მშვენიერი ხელი. გულგახეთქილი შეჰყურებდა მეფეს და არას ეუბნებოდა პასუხად.

– გესმით, ქალბატონო? – მიმართა მეფემ, რომელიც ხარობდა დედოფლის დაბნეულობით, მაგრამ მიზეზისთვის კი ვერ მიეგნო, – გესმით, ქალბატონო?

– დიახ, მეფეო, გავიგონე.

– მაშ, ბალზე იქნებით?

– დიახ.

– თქვენი ბურნუკებით?

– დიახ.

უფრო მეტად წაუვიდოდა ფერი დედოფალს, შესაძლებელი რომ ყოფილიყო. მეფე ხედავდა ამას და ტკბებოდა იმ გულქვა სიმკაცრით, რომელიც ერთ ბოროტ თვისებადა ჰქონდა მის ხასიათს.

– ძალიან კარგი, მაშ, მგონი, შევთანხმდით, და მეც სწორედ ამის სათქმელად გეახელით.

– როდისთვის გახლავთ დანიშნული ეგ ბალი? – ჰკითხა დედოფალმა.

ლუდოვიკო მეცამეტემ ზედმეტად ჩათვალა პასუხის გაცემა, – ამ დღეებში, ქალბატონო, ოღონდ დანამდვილებით აღარ მახსოვს დღე და რიცხვი, კარდინალს ვკითხავ, – მაინც უპასუხა მან.

– მაშ, კარდინალი დაგპირდათ მაგ ბალის გამართვას? – შეჰყვირა აღშფოთებულმა დედოფალმა.

– დიახ, ქალბატონო, – უპასუხა გაკვირვებულმა მეფემ, – მერე, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მაგას?

– მანვე გირჩიათ, მეც მიმიწვიოთ იმ მეჯლისზე თქვენი საჩუქრით მორთული?

– როგორ გითხრათ...

– ის არის, ის, მეფეო! კარდინალია!

– მერე რა? რა მნიშვნელობა აქვს მაგას? განა სულ ერთი არ არის, მე მომაგონდებოდა ეს ბალი თუ მას? რა დანაშაულს ხედავთ ამ მიპატიჟებაში?

– არავითარს.

– მაშ, მობრძანდებით?

– დიახ, მეფეო.

– ძალიან კარგი! – უთხრა მეფემ და გამოეთხოვა, – ძალიან კარგი! მაშ, თქვენი იმედი მექნება.

რევერანსი გაუკეთა დედოფალმა, მაგრამ არა ზრდილობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მუხლი ეკეცებოდა და ძლივს იმაგრებდა თავს.

აღტაცებული წავიდა მეფე.

– დავიღუპე, – მოსთქვამდა ჩუმად დედოფალი, – დავიღუპე. კარდინალმა ყველაფერი იცის და ის აქეზებს მეფეს. ცხადია, თვითონ მეფემ ჯერ არა იცის რა, მაგრამ ყველაფერს გაიგებს ამ ცოტა ხანში. დავიღუპე! ოჰ, ღმერთო! ღმერთო! ღმერთო!

მუხლი მოიყარა ბალიშზე, ათრთოლებულ ხელებში ჩამალა თავი და ღმერთს ვედრება დაუწყო.

მართლაც, საშინელი იყო დედოფლის მდგომარეობა. ბუკინგამი ლონდონს დაბრუნდა, ქალბატონი დე შევრეზი ტურში იყო. დღეს უფრო მეტი ჯაშუში ეხვია, ვიდრე ოდესმე, გრძნობდა, რომ მისი სეფექალებიდან ვიღაც ღალატობდა, მაგრამ დანამდვილებით არ

იცოდა, რომელი უნდა ყოფილიყო. ლა პორტს არ შეეძლო სასახლის დატოვება... ქვეყანაზე არავინ ჰყავდა ისეთი, რომ მინდობოდა.

დიდ უბედურებას უქადდა მომავალი. მარტოდმარტო რჩებოდა მის მოლოდინში და სასოწარკვეთილი ცხარე ცრემლით ქვითინებდა.

— ნუთუ ვერაფრით დავეხმარები თქვენს ყოვლადუდიდებულესობას? — მოესმა დედოფალს სიტკბოებითა და თანაგრძნობით სავსე ხმა.

სწრაფად მიბრუნდა დედოფალი. მართლაც არ შემცდარა, მას მეგობარი ელაპარაკებოდა.

დედოფლის ოთახის ერთ-ერთ კართან გამოჩნდა მშვენიერი ქალბატონი ბონასიე. როდესაც მეფე შევიდა დედოფალთან, იგი გვერდით ოთახში დედოფლის კაბებს და სარეცხს ალაგებდა, ამიტომ გამოსვლა ვეღარ გაბედა და იქვე დარჩა.

დედოფალმა შეჰკივლა, შერცხვა, რომ ამ მდგომარეობაში მოუსწრეს. შეწუხებულმა ვეღარც კი იცნო ლა პორტის მიერ მოყვანილი თავისი მოახლე.

— ოჰ, ნუ გეშინიათ, ქალბატონო, — უთხრა ახალგაზრდა ქალმა, ხელები გულზე დაიკრიფა და საცოდაობით თვითონაც ტირილი დაიწყო. — სულით ხორცამდე თქვენი ვარ, დედოფალო, და თუმცა ძალიან შორს გახლავართ თქვენგან გვარიშვილობით, მაინც ვფიქრობ, მივაგნო საშუალებას, რომ ამ განსაცდელს გადავარჩინო თქვენი ყოვლადუდიდებულესობა.

— თქვენა? ოჰ, ღმერთო! თქვენა? — იძახდა გაკვირვებული დედოფალი, — პირდაპირ თვალებში შემომხედე, ღალატის მეტს ვეღარას ვხედავ, გარს მხოლოდ მოღალატეები მახვევია. როგორ მოგენდოთ, მე უბედური?

— ოჰ, ქალბატონო! — შეჰყვირა ახალგაზრდა ქალმა და დაიჩოქა, — ჩემს სულსა ვფიცავ, მზად გახლავარ, თუნდა ახლავ მოვკვდე, ოღონდ თქვენ შეგიმსუბუქოთ ეგ ვაება.

გულის სიღრმიდან ამმოხდა სიტყვები ბონასიეს ცოლს და გულწრფელ თანაგრძნობად ეჩვენა იგი დედოფალს.

— დიახ, ქალბატონო, მართალი ბრძანეთ, ჯაშუშებით და მოღალატეებით სავსეა აქაურობა, — განაგრძო ბონასიემ, — მაგრამ ღვთისმშობლის წმინდა სახელს ვფიცავ, რომ ვერავინ ჰპოვოთ ჩემზე ერთგული და თავგანწირული. ის ბურნუკი, რომელსაც მეფე გთხოვთ, თქვენ ხომ ჰერცოგ ბუკინგამს მიეცით? პატარა, ვარდისფერ ხის კოლოფში გქონდათ დაკეტილი. ხომ მართალს მოგახსენებთ? ხომ არაფერში ვცდები?

— ოჰ, ღმერთო! ღმერთო! — კვნესოდა დედოფალი და თავზარდაცემული კბილებს აკაწკაწებდა.

— უნდა დავიბრუნოთ როგორმე ის ბურნუკი, — განაგრძო ქალბატონმა ბონასიემ.

— დიახ, უნდა დავიბრუნოთ! — შეჰყვირა დედოფალმა, — მაგრამ როგორ? რა საშუალებით?

— უნდა გავგზავნოთ ვინმე ჰერცოგთან.

— მერე, ვინ გავგზავნოთ? ვინ? ვის ვენდოთ?

— ჩემი ნდობა გქონდეთ, ქალბატონო, მე მომანიჭეთ ეს წყალობა, ჩემო დედოფალო, და მე მოვძებნი იქ გასაგზავნ კაცს.

— მერე, წერილიც ხომ უნდა მივწერო?

— ჰო, უნდა მისწეროთ, უმაგისობა შეუძლებელია. ორი სიტყვა თქვენი ხელით დაწერილი და თქვენი საკუთარი ბეჭედი.

— დიახ, სწორედ ეგ ორი სიტყვა იქნება ჩემი განაჩენი — გაყრა ან განდევნა!

— დიახ. თუ თქვენი წერილი ვინმე უნამუსოს ჩაუვარდა ხელში, მაგრამ მე გარწმუნებთ, რომ თქვენი ორი სიტყვა პირდაპირ მას მიუვა, ვისაც თქვენ უგზავნით.

— ოჰ, ღმერთო! ღმერთო! მაშ, თქვენ უნდა მოგანდოთ ჩემი ღირსება, ჩემი სახელი, ჩემი სიცოცხლე?

— დიახ, დიახ, ქალბატონო, მე უნდა მომანდოთ და, გეფიცებით, ყველაფერს გადავარჩენ, ყველაფერს.

— მერე, როგორ? ეს მაინც გამაგებინეთ!

— ჩემი ქმარი ეს ორი თუ სამი დღეა ციხიდან გამოუშვეს, ვერ მოვიცალე და ჯერაც არ მინახავს. პატიოსანი კაცია, მოხერხებული. მას არც არავინ უყვარს და არც არავინ სძულს. რასაც კი მოვისურვებ, ყველაფერს გავაკეთებინებ. ვუბრძანებ წასვლას და ისე წავა, რომ არც ეცოდინება, რა მიაქვს ან ვისგან იგზავნება. თქვენი ყოვლადუდიდებულესობის წერილს მისამართისამებრ მიართმევს.

დედოფალმა აღფრთოვანებით ჩამოართვა ახალგაზრდა ქალს ორივე ხელი, თან დააცქერდა, თითქოს ცდილობდა, მისი გულის სიღრმიდან ამოეკითხა თავისი ეჭვის პასუხი, და რაკი მის ლამაზ თვალებში გულწრფელი ერთგულების მეტი ვერა ამოიკითხა რა, მოეხვია და გულში ჩაიკრა.

— სიკვდილს, სირცხვილს და თავლაფის დასხმას გადამარჩენ, თუ მაგ სიკეთეს მიზამ!

— ოჰ, ნურც ასე გააზვიადებთ იმ დახმარებას, რომელსაც, ჩემდა საბედნიეროდ, მე მავალებთ. თქვენ გადასარჩენი არა გაქვთ რა, ქალბატონო. მხოლოდ ვერაგული შურისძიების მსხვერპლი ბრძანდებით.

— მართალია, მართალი, ჩემო ბავშვო, — უთხრა დედოფალმა, — შენ მართალს ამბობ.

— მაშ, მიბოძეთ ქალბატონო, ის წერილი; არ ივარგებს დაყოვნება.

დედოფალი სასწრაფოდ მივიდა პატარა მაგიდასთან, რომელზედაც საწერ-კალამი და ქაღალდი ეწყო. დაწერა ორი სტრიქონი, წერილი თავისი ბეჭდით დაბეჭდა და ქალბატონ ბონასიეს მისცა.

— ფრიად საჭირო და აუცილებელი რამ გვავიწყდება, — თქვა დედოფალმა.

— რა, ქალბატონო?

— ფული.

ქალბატონი ბონასიე გაწითლდა.

— დიახ, მართალსა ბრძანებთ, უნდა მოგახსენოთ, თქვენო ყოვლადუდიდებულესობავ, რომ ჩემი ქმარი...

— შენს ქმარს ფული არა აქვს, ეგ გინდოდა გეთქვა?

— დიახ, დიახ... არა... ფული აქვს, მაგრამ მეტად ძუნწი გახლავთ; ეს არის იმისი ნაკლი, მაგრამ თავს ნუ შეიწუხებთ მაგისთვის, ქალბატონო, ფულსაც ვიშოვით როგორმე.

— უბედურება ისაა, რომ არც მე მაქვს, — თქვა დედოფალმა, — მაგრამ ცოტა მომითმინეთ.

დედოფალი თავის სალაროსთან მივიდა.

— აი, ეს წაიღე, როგორც მარწმუნებენ, ძალიან ძვირფასი ბეჭედი უნდა იყოს, ჩემი ძმის — ესპანეთის მეფის საჩუქარია. ბეჭედი ჩემია და როგორც მინდა, ისე მოვიხმარ. წაიღე, ბეჭედი ფულად გადააქციე და შენი ქმარი გაისტუმრე.

— ერთი საათის განმავლობაში ასრულებული იქნება თქვენი ბრძანება.

— ხომ ხედავთ მისამართს, — დაუმატა დედოფალმა ისეთი ჩუმი ხმით, რომ ბონასიეს ცოლს ძლივს ესმოდა მისი სიტყვები, — მილორდ ჰერცოგ ბუკინგამს, ლონდონს.

— მის გარდა სხვა ვერავინ წაიკითხავს ამ წერილს.

— დიდსულოვანი ქალი ყოფილხარ! — შეჰყვირა სიხარულით დედოფალმა.

ქალბატონმა ბონასიემ დედოფალს ხელზე აკოცა. წერილი გულისპირის ქვეშ ჩამალა და მერცხლის სიწრაფით გაქრა.

ათი წუთის შემდეგ უკვე შინ იყო. როგორც დედოფალს მოახსენა, ციხიდან გამოშვების შემდეგ ჯერაც არ ენახა თავისი ქმარი, და, ცხადია, არ ეცოდინებოდა ის ცვლილებები, რომელიც მისმა ქმარმა განიცადა. ორ-სამჯერ ნახა ბონასიე გრაფმა როშფორმა, გულითადად დაუმეგობრდნენ ერთმანეთს და კარდინალის ყურმოჭრილ მონად გარდაიქმნა ჩვენი ვაჭარი. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი ცოლის მოტაცება პოლიტიკური განზრახვით მოხდა.

ქალბატონ ბონასიეს ქმარი შინ მარტო დახვდა, საწყალი კაცი დიდი გაჭირვებით ცდილობდა მიელაგებინა თავისი ბინა. ავეჯეულობა თითქმის სულ დამტვრეული იყო, განჯინები — ცარიელი. მართლმსაჯულება არ ეკუთვნის იმ სამ არსებათაგანს, რომლებიც, სოლომონ ბრძენის სიტყვებით, გავლისას კვალს არსად ტოვებენ; რაც შეეხება მოახლე

გოგოს, იგი მაშინვე გაიქცა, როგორც კი მისი ბატონი შეიპყრეს; ისე შეშინებოდა საწყალს, რომ ფეხით წასულიყო პარიზიდან თავის სამშობლო ბურგუნდიამდე.

ჩვენმა ღირსეულმა ვაჭარმა სახლში დაბრუნებისთანავე აცნობა ცოლს თავისი ბედნიერების ამბავი. ქალბატონმა ბონასიემ შემოუთვალა, როგორც კი მოვიცლი, მაშინვე შენს სანახავად გამოვეშურებიო.

ხუთი დღე გავიდა, მანამ იგი მოიცლიდა. სხვა შემთხვევაში ეს დრო ხანგრძლივად მოეჩვენებოდა ბატონ ბონასიეს, მაგრამ იმდენი რამ განიცადა ბატონ კარდინალისა და როშფორის ნახვის შემდეგ, იმდენი რამ ჰქონდა მოსაფიქრებელი, რომ სხვა აღარა აგონდებოდა რა. ხოლო ფიქრი, როგორც მოგეხსენებათ, ყველაზე მეტად ამოკლებს დროს.

ბონასიეს ფიქრებს კი, მითმუტეს, ვარდისფერი ედო. გრაფი როშფორი მას მეგობრად თვლიდა. ძვირფას, კეთილ ბონასიეს ეძახდა და სულ იმას უმტკიცებდა, რომ კარდინალიც ძალიან აფასებდა და სწყალობდა მას.

აღტაცებული იყო ჩვენი ვაჭარი, წინ დიდება და სიმდიდრე ელანდებოდა.

თავის მხრივ, ქალბატონი ბონასიეც ბევრს ფიქრობდა, მხოლოდ არა სიმდიდრესა და პატივმოყვარეობაზე. მისი ფიქრი დასტრიალებდა იმ მშვენიერ და მამაც ყმაწვილს, რომელიც სიყვარულით გატაცებულს ჰგავდა. თვრამეტი წლის ასაკში ბატონ ბონასიეზე გათხოვილი კონსტანცია მისი ქმრის მეგობარ ვაჭრებში ტრიალებდა, მაგრამ მათ შორის არავინ იყო ისეთი, თვითონ ბონასიეს ჩათვლით, რომ სიყვარულის გრძნობა აღეძრა ახალგაზრდა ქალში, რომლის გული უფრო მეტს ნატრობდა. ქალბატონი ბონასიე გულცივად ხვდებოდა ამ მდაბიოთ, მით უფრო, რომ იმ დროს კეთილშობილის წოდებას მეტად დიდი გავლენა ჰქონდა ბურჟუაზიაზე. დ არტანიანი კი აზნაური იყო. გარდა ამისა, იგი რაზმელის ტანისამოსით იყო მორთული, რომელიც მუშკეტერის სამოსის შემდეგ ყველაზე მეტად უყვარდათ ქალებს. ერთი სიტყვით, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, დ არტანიანი ახალგაზრდა, თვალტანადი, მამაცი ყმაწვილი იყო, სიყვარულზე ისე ლაპარაკობდა, როგორც ადამიანი, რომელსაც უყვარს და სწყურია შეიყვაროს. მას ყველაფერი გააჩნდა იმისათვის, რომ მოეხიბლა ოცდახუთი წლის ახალგაზრდა ქალი. ხოლო ქალბატონმა ბონასიემ სწორედ ამ დროს მიაღწია ამ ბედნიერ ასაკს.

ერთ კვირაზე მეტი იყო, რაც ერთმანეთი არ ენახა ცოლ-ქმარს. ამ ხნის განმავლობაში მათ ცხოვრებაში მრავალი რამ მოხდა დიდმნიშვნელოვანი. ოდნავი ფიქრით მოცულნი შეხვდნენ ერთმანეთს. ეს კია, რომ ბონასიეს მართლა გაუხარდა ცოლის დანახვა და ხელგაშლილი გაექანა მისაგებებლად. ქალბატონმა ბონასიემ შუბლი დაუთმო საკოცნელად.

— საქმე მაქვს თქვენთან, მოვილაპარაკოთ, — უთხრა ცოლმა.

— როგორ? — გაუკვირდა ქმარს.

— სერიოზული საქმე მაქვს, პასუხსაგები და, ამასთან, მეტად საჩქარო. აი, მომისმინეთ, მოვილაპარაკოთ.

— მაშ, თუ ასეა, მეც მაქვს თქვენთვის მომზადებული რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი შეკითხვა, ამიხსენით, თუ გიყვარვართ, თქვენი მოტაცების მიზეზი.

— ამჟამად საქმე ჩემს მოტაცებას არ შეეხება, — უპასუხა ცოლმა.

— მაშ, რას შეეხება? ჩემს დაპატიმრებას?

— თქვენი შეპყრობის ამბავი იმ დღესვე გავიგე, მაგრამ რაკი არავითარი დანაშაული არა გქონდათ, არავითარ ვერაგობაში მონაწილეობა არ მიგიღიათ და არა იცოდით რა ისეთი, რომ გამტყუნებულიყავით ან თქვენ, ან ვინმე თქვენი მახლობელი, მეც არავითარი მნიშვნელობა არ მივეცი ამ გარემოებას.

— ძალიან ადვილად ლაპარაკობთ, ქალბატონო, — უპასუხა ბონასიემ. ეწყინა, რომ ასე უმნიშვნელოდ აღნიშნავდა მისი ცოლი ამ ამბავს.

— იცი თუ არა, რომ მთელი დღე-ღამის განმავლობაში ბასტილიის საკანში ვეგდე?

— მალე გარბის დღე-ღამე. თავი დავანებოთ თქვენი შეპყრობის ამბავს და დავუბრუნდეთ იმ საქმეს, რომლის გამო წამოვედი თქვენს სანახავად.

– როგორ, საქმის გამო წამოხვედით ჩემს სანახავად? მაშ, ნახვის სურვილი არა გქონიათ ქმრისა, რომლისაგან გაშორებული იყავით მთელი რვა დღის განმავლობაში? – ჰკითხა გულნატკენმა ბონასიემ.

– ჯერ საქმე იყოს და მერე სხვა.

– ბრძანეთ.

– მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმეა, მის შესრულებაზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი კეთილდღეობა.

– მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გნახეთ, საკმაოდ კარგად შეიცვალა ჩვენი მდგომარეობა, ქალბატონო ბონასიე, და სრულიადაც არ გამიკვირდება, თუ ამ რამდენიმე თვის შემდეგ იგი შეშურდებათ კიდეც ჩვენს ნაცნობებს.

– დიახ, მეტადრე, თუ ინებებთ იმ დავალების ასრულებას, რომელსაც მე მოგანდობთ.

– მე მომანდობთ?

– დიახ, ერთი კარგი საქმეა, წმინდა საქმე, გასარიგებელი, ჩემო ბატონო, და თანაც ბევრ ფულსაც მოიპოვებთ. – ქალბატონმა ბონასიემ კარგად იცოდა, რომ ფულის ხსენება და მისი ქმრის დაყოლიება ერთი იქნებოდა. ფული ბატონი ბონასიეს ხასიათის სუსტი მხარე იყო.

– ბევრ ფულსა? – წამოიძახა ბონასიემ და ტუჩები წაიგრძელა.

– დიახ, ბევრ ფულს.

– მაინც რამდენს? დაახლოებით მაინც...

– იქნება ათასი პისტოლიც იყოს.

– მაშ, ძალიან დიდი საქმე ყოფილა შესასრულებელი.

– ძალიან დიდი.

– რა უნდა გავაკეთო?

– ახლავე გაემგზავრებით. ქაღალდს გაგატანთ, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ მოიშორებთ, და მისცემთ მარტო მას, ვისთვისაც არის განკუთვნილი.

– საით უნდა გავემგზავრო?

– ლონდონისაკენ.

– მე, ლონდონისაკენ? ხომ არ დამცინით? ლონდონში რა მინდა? მე იქ საქმე არა მაქვს.

– საქმე სხვებსა აქვთ.

– ვინ ბრძანდებიან ეგ სხვები? გაფრთხილებთ, ხელს აღარ გავანძრევ თვალდახუჭული! მე მინდა ვიცოდე, რა საშიშროება მომელის და ვისთვის ვიგდებ თავს ამ განსაცდელში.

– თქვენი გამგზავნი ბრწყინვალე პიროვნებაა და დიდი პიროვნებაა ისიც, ვისთანაც გგზავნიან.

– კიდევ ვერაგობა! რით არ მოგბეზრდათ? მადლობას მოგახსენებთ, მე მაგ საქმისა არა მწამს რა და ბატონმა კარდინალმაც გამაგებინა, რომ...

– კარდინალმა? – შეჰყვირა ქალბატონმა ბონასიემ, – მაშ, კარდინალი ნახეთ?

– თვითონ კარდინალმა დამიბარა, – უპასუხა ამაყად ქმარმა.

– თქვენც მაშინვე გაეშურეთ მისი სურვილის ასასრულებლად? რა დაუფიქრებელი ხართ!

– უნდა მოგახსენოთ, რომ მე არ მეკუთვნოდა არჩევანი, ორი პოლიციელი მადგა თავზე. ამასთან, ისიც უნდა გითხრათ, რომ მე მაშინ არ ვიცნობდი მის ყოვლადუწმინდესობას და რომ შემძლებოდა, სიხარულით ავიცდენდი მასთან მისვლას.

– მაშ, უკმეხად მოგექცათ? დაგემუქრათ?

– ხელი ჩამომართვა და თავისი მეგობარი მიწოდა. გესმით, ქალბატონო? მე გახლავართ მეგობარი იმ ჩვენი დიდებული კარდინალისა!

– დიდებული კარდინალისა?

– იქნება გაბედოთ და უარჰყოთ მისი დიდებულება?

– მე არ უარვყოფ! მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მსწრაფლწარმავალია კარდინალის კეთილი განწყობილება. გიჟი უნდა იყოს კაცი, რომ სანდოდ მიიღოს მისი სიტყვა, მაგრამ

არსებობს სხვა ძალა. მის ძალაზე უფრო მაღალი – ძალა, რომელიც ვინმეს ახირებას კი არ მისდევს და არც რაიმე საქმის დაბოლოებას. აი, ამ ძალას უნდა ემსახუროთ.

– ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო, მაგრამ კარდინალზე უფრო დიდი ძალის მქონეს მე არავის ვიცნობ, ამიტომ მაქვს პატივი, მას ვემსახურო.

– კარდინალს ემსახურებით?

– დიახ, ქალბატონო, და როგორც მისი მსახური, არ მოგცემთ უფლებას, სახელმწიფოს მშვიდობიანობის დამრღვევთა შეთქმულებაში ჩაერიოთ. ხელი შეუწყოთ ვერაგობას იმ ქალისას, რომელსაც გული ესპანელისა აქვს. ჩვენდა საბედნიეროდ, დიდებული კარდინალი თავის ფხიზელ თვალს ადევნებს ცხოვრებას და გულის სიღრმეში ჩასცქერის ქვეყნის მტრებს.

ბონასიე სიტყვასიტყვით იმეორებდა ფრაზას, რომელიც გრაფმა როშფორმა ბაასში უთხრა. საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა საწყალი ქალბატონი ბონასიე. დარწმუნებულმა, რომ ქმარი შეუსრულებდა ამ დავალებას, სიტყვა მისცა დედოფალს. საწყალი ქალი იმ განსაცდელის შიშით კანკალებდა, რომელსაც თვითონვე იმზადებდა. მაგრამ იცოდა თავისი ქმრის ხასიათის სისუსტე – ფულისადმი სიყვარული, და იმედს არ კარგავდა, რომ დაიყოლიებდა.

– მაშ, თქვენ კარდინალისტი ბრძანდებით, ბატონო? – დაიძახა ქალბატონმა ბონასიემ. – ჰა, მაშ, თქვენც მათი მომხრე ბრძანდებით, ვინც აწვალებს თქვენს მეუღლეს და შეურაცხყოფს თქვენს დედოფალს?

– კერძო ინტერესები არაფერია საზოგადოებრივ ინტერესებთან შედარებით. მე მათკენ ვარ, ვინც სახელმწიფოს კეთილდღეობას ემსახურება! – წამოიძახა მედიდურად ბონასიემ.

ეს ფრაზაც გრაფ როშფორისაგან იყო ნასესხები, მისგან გაიგონა ვაჭარმა, მოეწონა და შემთხვევით ისარგებლა, რომ თავისად გაესაღებინა.

– იცით კი, რა არის სახელმწიფო, ასე თამამად რომ გაიძახით? – ჰკითხა ცოლმა და მხრები აიჩეჩა. – იკმარეთ თქვენი მდგომარეობა, ნუ დაიჩემებთ შორსმჭვრეტელობას, რომლის იოტის ოდენიც არაფერი გაგაჩნიათ, იმისი მხარე დაიჭირეთ, ვისაც უფრო მეტს გამორჩებით.

– ჰე, ჰე, – გაეცინა ბონასიეს, ხელი დაჰკრა სავსე პარკს და ვერცხლის ფული ააწკარუნა. – ამაზე რაღას ბრძანებთ, ქალბატონო მქადაგებელო?

– ვინ მოგცათ ეგ ფული?

– ვერ მიხვდით? კარდინალმა.

– კარდინალმა?

– კარდინალმა და ჩემმა მეგობარმა გრაფმა როშფორმა.

– გრაფმა როშფორმა? განა როშფორი არ იყო, მე რომ მომიტაცა?

– შეიძლება, ქალბატონო, ის ყოფილიყოს.

– მერე, თქვენ ფულს იღებთ იმ კაცისაგან?

– თქვენ არ მითხარით, რომ მოტაცებას მარტო პოლიტიკური საფუძველი ედოო?

– დიახ, მაგრამ ამ მოტაცების მიზანი იყო ღალატი ჩემი ქალბატონისადმი. განზრახვა ჰქონდათ, ვეწვალებინეთ, ვეწამებინეთ, რათა ძალდატანებით ისეთი რამ მეთქვა, რაც საფრთხის წინაშე დააყენებდა მის პატიოსნებასა და თვით სიცოცხლესაც.

– თქვენი ყოვლადუდიდებულესი ქალბატონი ერთი მუხთალი ესპანელი გახლავთ და ძალიან კარგს შვრება კარდინალი, რომ ასე ექცევა.

– ვიცოდი, რომ ლაჩარი, ძუნწი და ყეყეჩი იყავით, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რომ ფლიდიც ყოფილხართ, – ბრაზმორევით წარმოთქვა ქალბატონმა ბონასიემ.

– რას ამბობთ, ქალბატონო? – გაიკვირვა ბონასიემ, რომელსაც ჯერ არ ენახა თავისი ცოლი ასე განრისხებული და ძალიან ერიდებოდა ოჯახში უთანხმოებას, – რას ამბობთ, ქალბატონო?

– მე იმას ვამბობ, რომ თქვენ შერცხვენილი კაცი ხართ! – შეუტია ცოლმა, რადგან ხედავდა, რომ ნელ-ნელა ქედს იხრიდა მისი ქმარი. – მაშ, თქვენც პოლიტიკოსობა

დამიწყეთ, არა? და ისიც კარდინალისეული პოლიტიკოსობა? ეშმაკის კერძი ხდებით სულით ხორცამდე მაგ ფულის გულისთვის.

– არა, კარდინალისათვის.

– ეს ერთი და იგივეა! – შეჰყვირა ახალგაზრდა ქალმა,

– გაჩუმდით, ქალბატონო, ერთიც ვნახოთ, ყური მოჰკრან და...

– დიახ, მართალი ხართ. შერცხვენილი დავრჩები თქვენი ლაჩრობით.

– რა ვქნა? არ მეტყვით, რა გინდათ ჩემგან?

– ხომ გითხარით, ამწამსვე წახვალთ და პატიოსნად აასრულებთ იმ დავალებას, რომელსაც მე განდობთ! თუ ამას ამისრულებთ, დავივიწყებ ყველაფერს და გაპატიებთ. კიდევ მეტი, გიწვდით ხელს და კვლავ ძველებურად მეგობრად მიგულეთ.

მხდალი და ძუნწი იყო ბონასიე, მაგრამ თავისი ცოლიც უყვარდა. გული მოულბა. ორმოცდაათი წლის კაცი დიდხანს ვერ გაუძლებს ოცდახუთი წლის ცოლის გაჯავრებას. ქმარს ყოყმანი შეატყო ქალბტონმა ბონასიემ.

– ჰა, აბა რას იტყვით?

– რა უნდა ვთქვა, ჩემო კარგო მეგობარო? ცოტა თქვენც დაუფიქრდით და განსაჯეთ, რას მავალებთ: ლონდონი შორს არის პარიზიდან, ძალიან შორს, და ის საქმე, რომლისთვისაც მე მგზავნით, საფრთხეს არ უნდა იყოს მოკლებული.

– რა გენაღვლებათ, თუკი აიცდენთ?

– არა, ქალბტონო, არა აი, გადაჭრით გეუბნებით, მე მაგას ვერ ვიკისრებ, ძალიან მეშინია ვერაგობისა, ისიც მეყოფა, რაც ბასტილიაში ვიგემე, ოჰ, რა საშინელებაა ბასტილიის ციხე! მის მოგონებაზე თავით ფეხამდე ვკანკალებ. მემუქრებოდნენ: დაგტანჯავთ, ჯაჯით გაწამებთო! მერე იცი რა არის ჯაჯი? მაგარი ხის სოლი. ჩაგირჭობენ ფეხებს შუა და გცემენ, მანამ ძვლები არ გასკდება! არა, არა, მე არსად წავალ. უცნაურია სწორედ! რატომ თქვენ თვითონ არ მიბრძანდებით? თუ მართალი გნებავთ, მე ვფიქრობ, რომ დღევანდლამდე ძალიან ვცდებოდი თქვენში. მგონია, რომ თქვენ ქალი კი არა, ვაუკაცი ხართ, ამასთან, ძალიან გულადი ვაუკაცი!

– თქვენ კი, თქვენ დედაკაცი ხართ, უქნარა დედაკაცი, სულელი და გადაყრუებული! მაშ, გეშინიათ? იცოდეთ, რომ თუ ახლავე არ წახვალთ, ამწამსვე, დაგაჭერინებთ დედოფლის ბრძანებით და ვეცდები, სწორედ იქ ჩაგაგდონ, ბასტილიის საკანში, რომლის მოგონებაზე შიშით გაკანკალებთ.

ღრმად ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას ბონასიე. კარგად აწონა თავისი გონების სასწორით ორი მოსალოდნელი მრისხანება: ერთი - კარდინალის მხრივ, მეორე – დედოფლის მხრივ. დარწმუნდა, რომ კარდინალისა გაცილებით საშინელი იყო, ვიდრე დედოფლისა.

– რა ვქნა? დამაპატიმრეთ დედოფლის ბრძანებით, მე კიდევ მის ყოვლადუწმინდესობასთან ვიჩივლებ.

ახლა კი დარწმუნდა ქალბტონი ბონასიე, რომ ძალიან შორს შეტოპა, და შეშინდა, შეატყო, რომ მეტი თქვა, ვიდრე შეიძლებოდა, გულგახეთქილი შეჰყურებდა თავის გამოშტერებულ ქმარს, რომელსაც საბოლოოდ მიეღო მტკიცე გადაწყვეტილება და შიშით ზარდაცემულს, სულელის გამომეტყველება ეხატებოდა სახეზე.

– ასე იყოს, რა გაეწყობა! – უთხრა ქმარს ქალბატონმა ბონასიემ, – რომ დაფიქრდეს ადამიანი, იქნება კიდეც დაგეთანხმოთ. კაცმა უფრო მეტი იცის პოლიტიკისა, მეტადრე თქვენ, ბატონო ბონასიე, მით უმეტეს, რომ კარდინალთანაც გქონიათ საუბარი, მაგრამ, სამწუხაროა, რომ ჩემი ქმარი, რომელზედაც ვამყარებდი იმედს, არ აკმაყოფილებს ჩემს სურვილს და ასე უკმეხად მექცევა.

– იმიტომ, რომ თქვენს სურვილს ძალიან შორს მივყავარ და მე ვერ ვენდობი მათ, – უპასუხა ქმარმა გამარჯვებულის სიხარულით.

– მაშ, მე უარს ვეტყვი, – უთხრა ოხვრით ახალგაზრდა ქალმა, – კარგი, ნუღარ დავუბრუნდებით ამ საკითხს.

– ის მაინც გეთქვათ, რისთვისა მგზავნით ლონდონში? ვინ უნდა ვნახო? რა უნდა ვუთხრა? – დაიწყო ხელახლა ბონასიემ, რომელსაც მხოლოდ ახლა მოაგონდა როშფორის დარიგება, რაიმე საიდუმლო დაეცინცლა ცოლისათვის.

– რა საჭიროა თქვენთვის მაგის ცოდნა? – უპასუხა ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც ალღოთი იგრძნო უნდობლობა და ცდილობდა შეესწორებინა დაშვებული შეცდომა, – უბრალო საქმეა; სამკაული იყო საყიდელი, რომლისთვისაც გაგიჟებული არიან ხოლმე ქალები, სამაგიეროდ, ფულს ბევრს მოიგებდით.

მაგრამ რამდენადაც მეტად ცდილობდა ცოლი შეცდომის გაქარწყლებას, იმდენად მეტად რწმუნდებოდა ქმარი, რომ საიდუმლოება, რომელსაც მას არ ანდობდა ქალბატონი ბონასიე, მეტად დიდმნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. მან გადაწყვიტა, საჩქაროდ გრაფ როშფორის სანახავად გაქცეულიყო და ეცნობებინა, რომ დედოფალი სანდო კაცს დაეძებს ლონდონში გასაგზავნად.

– მაპატიეთ, რომ მარტო გტოვებთ, ჩემო საყვარელო, – მიმართა ცოლს, – არ ვიცოდი, რომ მოხვიდოდით. ერთ ჩემს მეგობარს პაემანი დავუნიშნე. ახლავე დავბრუნდები, თუ ინებებთ და ნახევარ წუთს დამიცდით, როგორც კი გავათავებ საქმეს ჩემს მეგობართან, მაშინვე თქვენკენ გამოვეშურები, და რადგან უკვე ღამდება კიდეც, ლუვრშიც მე მიგაცილებთ.

– გმადლობთ, ბატონო, – უპასუხა ცოლმა, – თუკი იმდენი ვაუკაცობა არა გაქვთ, რომ სასარგებლო საქმეში დამეხმაროთ, მარტოდმარტოც კარგად მივაგნებ სასახლეს.

– როგორც გენებოთ, ჩემო ქალბატონო, – არ იწყინა ბონასიემ, – ისევ მალე გნახავთ?

– ძალიან მალე, იმედი მაქვს, ამ კვირას გნახოთ, ცოტა თავისუფალ დროს ვიპოვი თუ არა, წამოვალ, რომ მივალაგო აქაურობა და მოვაწესრიგო ჩვენი საქმეები.

– ძალიან კარგი. მაშ, გელოდებით, ხომ არ მიწყრებით?

– მე? რა მაქვს გასაწყრომი?

– მაშ, ნახვამდის იმ იმედით, რომ მალე შევხვდებით ერთმანეთს!

– დიახ, ნახვამდის!

ბონასიემ თავის ცოლს ხელზე აკოცა და ჩქარი ნაბიჯით სახლიდან გავიდა.

– ხედავთ ამ სულელს? — წამოიძახა ქალბატონმა ბონასიემ, როდესაც ქმარმა ქუჩის კარი მიიხურა და მარტო დარჩა. – ესღა აკლდა ამ სულელს, რომ კარდინალის კაცი გამხდარიყო! მეც რა მომივიდა! რა პასუხი გავცე დედოფალს, რომელსაც პირობა მივეცი და დაუყოვნებლივ დავალების ასრულება აღვუთქვი. ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! – მეც ალბათ ერთი იმ მოღალატეთაგანი ვეგონები, რომლებიც მატლებივით ფუთფუთებენ სასახლეში... ოჰ, ბატონო ბონასიე, გულით არასოდეს არ მყვარებიხართ და ახლა მით უმეტეს მძულხართ და მეზიზღებით! ქალი არ ვიყო, თუ ძვირად არ დაგისვათ ეგ ამბავი.

სწორედ ამ წუთში, როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა ქალბატონი ბონასიე, ჭერიდან დაუკაკუნეს. აიხედა და ნაცნობი ხმა გაიგონა:

– ჩემო იმედო, ქალბატონო ბონასიე, გამიღეთ ხეივნის პატარა კარი, რომ თქვენთან ჩამოვფრინდე.

XVIII

საყვარელი და ქმარი

– ეჰ, ქალბატონო, – უთხრა დ არტანიანმა, რომელსაც ხეივნის კარი გაუღო ახალგაზრდა ქალმა, – ნება მიბოძეთ, სამძიმრით მოგმართოთ: მეტად უხეირო ქმარი გყოლიათ.

– ნუთუ გაიგონეთ ჩვენი ლაპარაკი? – ჰკითხა შემკრთალმა ქალმა და შეშინებული თვალით დ არტანიანს დააცქერდა.

– თავიდან ბოლომდე.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! ეს როგორ?

– იმავე ხერხით, რომლის საშუალებითაც დაწვრილებით გავიგონე თქვენი და კარდინალის რაზმელების უფრო გაცხარებული საუბარი.

– გთხოვთ, მითხრათ, რა გაიგეთ ჩემი და ჩემი მეუღლის ბაასიდან?

– მრავალი რამ: ჯერ ერთი, რომ, საბედნიეროდ, თქვენი ქმარი მეტად სულელი და არარაობაა, მეორეც ის, რომ შეწუხებული ბრძანდებით, რაც ძალიან მიამა. თქვენი მწუხარება საშუალებას მაძლევს, თქვენს მონა-მორჩილად მიგულოთ და საქმით დაგიმტკიცოთ, რომ სიცოცხლეს გავწირავ თქვენი გულის მოსაგებად, ღმერთმა იცის, თქვენი გულისთვის ცეცხლში ჩავვარდები. გავიგე, აგრეთვე, რომ დედოფალს სანდო, გულადი, გონიერი და მისთვის თავდადებული კაცი სჭირდება ლონდონში გასაგზავნად, ამ თვისებათაგან სამივე თუ არა, ორი მაინც მომეპოვება, და თქვენს ბრძანებასღა ველი.

პასუხი არ მისცა ქალბატონმა ბონასიემ, მაგრამ გული სიხარულით უცემდა.

– ვინ იქნება თქვენი თავდები, რომ გაგანდოთ ეს საიდუმლოება? – ჰკითხა მან შემდეგ.

– ჩემი თქვენდმი სიყვარული! თქვით, მიბრძანეთ! რა უნდა გაკეთდეს.

– ღმერთო! ღმერთო! – ოხრავდა ახალგაზრდა ქალი, – როგორ გავბედო, როგორ მოგანდოთ ამისთანა საიდუმლოება, ბატონო? თანაც ჯერ თითქმის ყმაწვილი ხართ...

– მაშ, ასეა საქმე? თავდებად გინდა ვინმე დამიდგეს?

– რომ იცოდეთ, როგორ დამამშვიდებდით.

– ათოსს იცნობთ?

– არა.

– პორთოსს?

– არა.

– არამისს?

– არა, ვინ არიან ეგ ბატონები?

– მეფის მუშკეტერები. არც ბატონ დე ტრევილს იცნობთ, მუშკეტერების კაპიტანს?

– ოჰ, დიახ, დიახ, მაგას კი ვიცნობ! პირადი ნაცნობობა არა მაქვს, მაგრამ ხშირად გამიგონია დედოფლის მიერ მისი ქება, მამაც და პატიოსან კაცად მიაჩნია.

–იმას ხომ ვერ იტყვით, რომ ბატონი დე ტრევილი გიღალატებთ და კარდინალთან გაგცემთ?

– ოჰ, მაგას რა მათქმევინებს?

– ძალიან კარგი. მიანდეთ მას თქვენი საიდუმლოება და ჰკითხეთ: შეიძლება თუ არა მე დამავალოთ ეგ საქმე, რაც უნდა დიდად ძვირფასი და საშიში იყოს მისი მნიშვნელობა?

– კარგით, მაგრამ მე არ მეკუთვნის ეს საიდუმლოება და არ შემიძლია სხვას ვანდო.

– ბატონ ბონასიეს კარგად ანდობდით? – იწყინა დ არტანიანმა.

– ისე ვანდობდი, როგორც წერილს მიანდობენ ხის ფუღუროს, მტრედის ფრთას ან ძაღლის საყელოს.

– კარგი, მაგრამ განა ვერა ხედავთ, როგორ მიყვარხართ?

– თქვენ ამბობთ მაგას!..

– მე პატიოსანი კაცი გახლავართ!

– ვიცი, ბატონო.

– არც გულადობა მაკლია.

– ამაში დარწმუნებული ვარ.

– მაშ, აი, გამომცადეთ.

ქალბატონი ბონასიე ყმაწვილ კაცს დააცქერდა, ისევ ყოყმანობდა, მაგრამ ისეთი ალი ასდიოდა დ არტანიანის თვალებს, ისეთი გამარჯვების რწმენა ისმოდა მის ხმაში, რომ არ შეიძლებოდა არ ნდობოდა, გარდა ამისა, ისეთ უმწეო მდგომარეობაში იყო საცოდავი, როდესაც ადამიანი ყველაფერს გაბედავს მიზნის მისაღწევად. მეტისმეტი სიფრთხილე ისევე

დამღუპველი იყო ახლა დედოფლისათვის, როგორც მეტისმეტი ნდობა. ბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მფარველისადმი უნებლიეთ აღძრულმა გრძნობამ ქალბატონ ბონასიეს ხმა ამოაღებინა.

– მომისმინეთ, – უთხრა მან დ არტანიანს, – მე ვენდობი თქვენს დაპირებას და თქვენს პატიოსნებას, მაგრამ გეფიცებით ყოვლადმხილავ ღვთის წინაშე, რომელიც ჩვენი შეთანხმების მოწმეა, თუ მიმტყუნეთ, კიდეც რომ მაპატიონ ჩემმა მტრებმა, თავს მოვიკლავ ჩემი ხელით და თქვენ დაგდებთ ბრალს ჩემს უბედურებაში.

– მეც გეფიცებით, ქალბატონო, – მიუგო დ არტანიანმა, – კიდეც რომ შემიპყრონ მიღებული ბრძანების ასრულების დროს, მოვკვდები და საიდუმლოს არ გავცემ. ისეთს არაფერს გავაკეთებ, რომ ვინმე ხიფათში ჩავაგდო.

მაშინ ახალგაზრდა ქალმა უამბო ის საშინელი საიდუმლო დავალება, რომლის ნაწილი დ არტანიანმა თვითონაც გაიგონა ცოლ-ქმრის ბაასიდან;

ეს იყო მათი ერთმანეთისადმი სიყვარულის გამოცხადება.

სიხარულის და სიამაყის შუქი ადგა დ არტანიანს. საიდუმლო დავალება ანდეს და ქალბატონი ბონასიეს გულიც მოიგო. ამ გარემოებამ ბუმბერაზად გადააქცია ყმაწვილი კაცი.

– მივდივარ, ახლავე მივდივარ.

– როგორ თუ მიდიხართ, – გაიკვირვა ქალბატონმა ბონასიემ. – მერე თქვენი რაზმი, თქვენი კაპიტანი?

– ჩემს სულს ვფიცავ, თქვენ დამავიწყეთ ყველაფერი, ჩემო საყვარელო კონსტანცია! დიახ, მართალი ხართ, შვებულება უნდა ავიღო.

– ერთი დაბრკოლება კიდევ – ამოიკვნესა ქალბატონმა ბონასიემ.

– ოჰ, ეგ რა დაბრკოლებაა, – შეჰყვირა დ არტანიანმა მცირე ფიქრის შემდეგ, – მაგას ადვილად მოვახერხებ.

– როგორ მოახერხებთ?

– ახლავე მივირბენ ბატონ დე ტრევილთან და ვთხოვ, რომ შვებულება სთხოვოს ჩემთვის თავის ქვისლს, ბატონ დე ზესარს.

– კიდევ ერთი რამ...

– რა? – ჰკითხა დ არტნიანმა, რომელიც ხედავდა, რომ ქალბატონ ბონასიეს ეძნელებოდა სიტყვის დაბოლოება.

– იქნება ფული არა გაქვთ?

– ეგ „იქნება“ სრულიად ზედმეტი სიტყვაა, – სიცილით უპასუხა დ არტანიანმა.

მაშინ ქალბატონმა ბონასიემ უჯრა გამოსწია და ის ქისა ამოიღო, რომელსაც ნახევარი საათის წინ ისეთი სიყვარულით უალერსებდა მისი მეუღლე.

– არა გაქვთ? აი, ეს წაიღეთ.

– კარდინალის ქისა? – შეჰყვირა დ არტანიანმა და სიცილი წასკდა, რადგან კარგად ეხსომება მკითხველს, აშლილი ფილაქნის წყალობით ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია ქალბატონ ბონასიეს და მისი ქმრის საუბრიდან.

– დიახ, კარდინალის ქისაა, – მიუგო ქალმა, – და როგორც ხედავთ, ძალიან დიდებულადაც არის გაბერილი.

– ღვთის წყალობაა სწორედ! – იცინოდა დ არტანიანი, – ერთიორად მხიარული იქნება ჩემი მგზავრობა: დედოფლის გადარჩენა კარდინალის ფულით!

– კარგი რამა ხართ და მომხიბლავი, – უთხრა ალერსით ქალბატონმა ბონასიემ, – დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მადლობას გადაგიხდით დედოფალი.

– მე უკვე დაჯილდოებული ვარ და საკმაოდ უხვადაც! – მიუგო დ არტანიანმა, – მიყვარხართ! თქვენ არ მიკრძალავთ სიყვარულის აღიარებას, ეს ისეთი ნეტარება გახლავთ, რომელზედაც მე ოცნებასაც კი ვერ ვბედავდი.

– ჩუმად! – წასჩურჩულა ქალმა კანკალით.

– რა არის?

– ქუჩაში ლაპარაკობენ.

– ვისი ხმაა?

– ეს ხმა... ეს ხმა ჩემი ქმრისაა, დიახ, მაშინვე ვიცანი! – დ არტანიანმა კართან მიირბინა და ურდულით დაკეტა.

– მანამ არ წავალ, კარებს ნუ გაუღებთ.

– მერე მეც რომ უნდა წავსულიყავი? ან კიდევ ეს ფული. რა ვუპასუხო, რომ მკითხოს?

– თქვენ მართალი ხართ, უნდა წავიდეთ!

– წავიდეთ? როგორ წავიდეთ? ხომ დაგვინახავს?

– მაშინ, ჩემთან უნდა ავიდეთ.

– ოჰ, ოჰ, – შეჰკივლა ქალბატონმა ბონასიემ, – იმ კილოთი მეუბნებით მაგას, რომ აქვე მაშინებთ. – ამ სიტყვებზე ცრემლები მოერია საბრალო ქალს.

დ არტანიანს ცრემლების დანახვაზე გული აუჩქროლდა, აღელდა და დაიჩოქა:

– ჩემთან, ქალბატონო, ისე უშიშრად იქნებით, როგორც წმინდა ტაძარში, სიტყვას გაძლევთ პატიოსანი კეთილშობილისას.

– წავიდეთ, თქვენ იცით და თქვენმა პატიოსნებამ, ჩემო მეგობარო.

დიდი სიფრთხილით ასწია დ არტანიანმა ურდული, აჩრდილივით ჩავიდნენ უკანა კარით ხეივანში, ჩუმად ავიდნენ კიბეზე და დ არტანიანის ოთახში შევიდნენ, შემდეგ ორივენი ფანჯარასთან მივიდნენ და დარაბის დირეში დაინახეს ქუჩაში მდგომი ბონასიე, რომელიც წამოსასხამიან კაცს ელაპარაკებოდა.

წამოსასხამიანი კაცის დანახვაზე დ არტანიანმა ხმალი იშიშვლა და კარს მივარდა.

ეს მისი უცნობი მენგელი კაცი იყო.

– რას შვრებით, რა ვქნა? – შეჰკივლა ქალბატონმა ბონასიემ. – სიცოცხლე მოგჭარბებიათ?

– აღთქმული მაქვს, უნდა მოვკლა იგი!

– დღეს თქვენ არ გეკუთვნით თქვენი სიცოცხლე, ხომ აღმითქვით ამ დავალების ასრულება! დედოფლის სახელით გიკრძალავთ რაიმე განსაცდელში თავის ჩაგდებას, თუ მას დამოკიდებულება არ ექნება თქვენს მგზავრობასთან.

– თქვენის სახელით რაღას მიბრძანებთ?

– ჩემი სახელით? – დაიწყო მღელვარებით ქალბატონმა ბონასიემ, – ჩემი სახელით, გთხოვთ... მაგრამ ყური დავუგდოთ, მგონია, ჩემზე ლაპარაკობენ.

დ არტანიანი ფანჯარასთან მივიდა და სმენად გადაიქცა.

ბატონ ბონასიეს კარი გაეღო და რაკი შინ არავინ დახვედროდა, ისევ იმ წამოსასხამიან კაცთან მისულიყო, რომელიც ქუჩაში ელოდა.

– წასულა, – მოახსენა წამოსასხამიანს, – ლუვრისკენ წავიდოდა.

– დარწმუნებული ხართ, რომ ვერ მიხვდებოდა, რა განზრახვით დატოვეთ მარტო? – ჰკითხა უცნობმა.

– როგორ მიხვდებოდა? – უპასუხა დაბეჯითებით ბონასიემ, – სად შეუძლია მაგდენი დაფიქრება?

– თუ იცით, შინ არის თქვენი რაზმელი?

– არა მგონია. აგერ, შეხედეთ, ფანჯრები მიხურული აქვს; სანათის სხივი არ გამოდის მისი ფანჯრებიდან.

– კარგი, მაგრამ დანამდვილებით ცოდნა ჯობს.

– ეგ როგორ?

– დაუკაკუნეთ კარებზე.

– მის მსახურსა ვკითხავ.

– აბა, წადით.

ბონასიე შევიდა თავის სახლში, გაიარა იმავე კარით, რომელიც ისე კარგად გამოიყენეს დ არტანიანმა და მისმა სატრფომ, კიბეზე ავიდა და დააკაკუნა.

პასუხი არავინ გასცა, პორთოსს ნებავდა, დიდკაცად სჩვენებოდა სტუმრებს, და იმ საღამოს თავისთან წაეყვანა პლანშე. რაც შეეხება დ არტანიანს, გიჟი უნდა ყოფილიყო, რომ ხმა ამოეღო. კარის დაკაკუნებაზე ორივეს გული აუფანცქალდა...

– შინ არავინ გახლავთ, – უთხრა ბონასიემ.
– მოდით, თქვენსა შევიდეთ, იქ უფრო თავისუფლად ვილაპარაკებთ, ვიდრე ქუჩაში.
– ვაიმე, ვაიმე! – შეშინდა ქალბატონი ბონასიე, – ახლა კი ვეღარას გავიგონებთ.
– პირიქით, – უპასუხა დ არტანიანმა, – უფრო გავიგონებთ.

სამი თუ ოთხი ნაჭერი ამოაცალა ფილაქანს და მისი ოთახი დიონისოს[1] ყურად იქცა. ხალიჩა გაშალა, ზედ დაიჩოქა და ქალბატონ ბონასიეს ანიშნა, ყური გეჭიროთ ადგილისკენო.

– დარწმუნებული ხართ, რომ არავინ არის? –ჰკითხა უცნობმა.
– არავინ, ბატონო, არავინ, – უპასუხა ბონასიემ.
– თქვენ გგონიათ, რომ თქვენი ცოლი...
– ახლა სასახლეში იქნება.
– ისე რომ, თქვენ გარდა არავის ეტყოდა?..
– დარწმუნებული გახლავართ.
– უაღრესი მნიშვნელობა აქვს მაგას, გეყურებათ?
– მაშ, ძალიან ძვირფასი ამბავი მოგიტანეთ?
– ძალიან ძვირფასი, ჩემო ბონასიე, ამას ვერ დაგიმალავთ.
– მაშ, ბატონი კარდინალი კმაყოფილი იქნება ჩემი სამსახურით?
– მაგას რაღა თქმა უნდა!
– ჩვენი დიდებული კარდინალი!
– დარწმუნებდული ხართ, რომ თქვენთან ლაპარაკის დროს არავის გვარი არ დაუსახელებია თქვენს ცოლს?
– მგონი, რომ არა.
– ხომ არ უხსენებია ქალბატონი დე შევრეზი ან ბატონი ბუკინგამი, ქალბტონი დე ვერნე?
– არა, მარტო ის მითხრა, რომ გაგზავნა უნდოდა ლონდონში ერთი ბრწყინვალე პიროვნების დავალების ასასრულებლად.
– პირშავი! – წაიჩურჩულა ქალბატონმა ბონასიემ.
– ჩუმად! – გააფრთხილა დ არტანიანმა და ხელი დაუჭირა ქალს, მანაც სიამოვნებით მიანება თავისი ხელი.
– უნდა გითხრათ, – განაგრძო უცნობმა, – მეტად მიამიტი ყოფილხართ, თორემ იკისრებდით, რასაც გავალებდნენ. ჯიბეში ჩაიდებდით იმ წერილს და კარდინალს აჩვენებდით. მთავრობასაც გადაარჩენდით და თქვენც...
– მე? მე რაღა?
– დიდ წარმატებას გიპირებდათ კარდინალი, კეთილშობილის გვარის მონიჭებას ფიქრობდა...
– თვითონ მან ბრძანა?
– დიახ, ვიცი რომ მოულოდნელად გიპირებდათ გახარებას.
– არხეინად ბრძანდებოდეთ, – დაუბრუნდა საქმეს ბონასიე, – თაყვანს მცემს ჩემი ცოლი და კიდევაც...
– ჩერჩეტი! – წამოიძახა ჩუმად ქალმა.
– ჩუმად! – წასჩურჩულა დ არტანიანმა და უფრო მაგრად მოუჭირა ხელი.
– რა? – ჰკითხა წამოსასხამიანმა; – ვითომ დაიყოლიოთ?
– ახლავე მივალ სასახლეში, ვიკითხავ ქალბატონ ბონასიეს, ვეტყვი, რომ დავუფიქრდი საქმეს და თანახმა ვარ შევასრულო მისი დავალება. გამოვართმევ წერილს და კარდინალისაკენ მოვკურცხლავ.
– მაშ, მალე! ცოტა ხნის შემდეგ გამოგივლი ამბის გასაგებად.
უცნობი წავიდა.
– საზიზღარო, თავლაფდასხმულო! – თქვა აღშფოთებულმა ქალმა ჩუმი ხმით ქმრის მისამართით.

– ჩუმად! – გაუმეორა დ არტანიანმა და მთლად დაისაკუთრა მისი ხელი.

საზარელი ბღავილი გაისმა ამ დროს მთელ სახლში და ყველაფერი დააავიწყდა დ არტანიანს და ქალბატონ ბონასიეს, ბატონი ბონასიე ბღაოდა, მას უკვე შეემჩნია ფულით სავსე ქისის მოპარვა და გამწარებული გაჰყვიროდა, მიშველეთ, ქურდებიო!

– აი, გაუწყრა ღმერთი! – წამოიძახა ქალბატონმა ბონასიემ, – თავზე დაგვახვევს მთელ უბანს.

დიდხანს იყვირა და იბღავლა ბონასიემ, მაგრამ მესაფლავეების ქუჩაზე ძალიან ხშირი იყო იმ დროს ასეთი ყვირილი და ყურადღებას აღარავინ აქცევდა. გარდა ამისა, ამ უკანასკნელ ხანს სახელი გასტეხოდა ჩვენი ვაჭრის სახლს. რაკი ვერა გააწყო რა, არავინ მიეშველა, გარეთ გამოვარდა და ყვირილით განაგრძო გზა, კარგა ხანს ისმოდა დიუბაკის ქუჩისკენ მიმავალი ბონასიეს მწარე ღრიალი.

– ის ხომ წავიდა, ახლა თქვენი რიგია, თქვენც უნდა წახვიდეთ, – უთხრა ქალბატონმა ბონასიემ. – აბა, ყოჩაღად იყავით; განსაკუთარებული სიფრთხილე გმართებთ, გახსოვდეთ, რომ თქვენ დედოფალს ეკუთვნით და თქვენზე არის დამოკიდებული მისი სიკვდილ-სიცოცხლე.

– დედოფლისა და თქვენი! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ჩემო მშვენიერო კონსტანცია, დაბრუნებისას სრულიად დამსახურებული მექნება დედოფლის ჯილდო, მაგრამ ის კი არ ვიცი, დამსახურებული მექნება თუ არა თქვენი სიყვარული?

მაისის ვარდივით გაწითლდა ახალგაზრდა ქალი და ეს იყო მისი ერთადერთი პასუხი. რამდენიმე წუთის შემდეგ დ არტანიანი გამოეთხოვა ქალბატონ ბონასიეს, წამოსასახამში კარგად გაეხვია და გარეთ გავიდა.

თვალი გაადევნა ქალბატონმა ბონასიემ, სიყვარულით აღგზნებული თვალი, რომელსაც ქალი მაშინ იმეტებს, როდესაც მისთვის გაგიჟებულ მიჯნურს აცილებს. მაგრამ როგორც კი ქუჩის კუთხეს ჩაუხვია დ არტანიანმა, ქალი მუხლებზე დაეცა, ხელები აღაპყრო და შეჰღაღადა:

– ღმერთო ძლიერო! შენ იყავი დედოფლისა და ჩემი მფარველი!

XIX

მგზავრობის გეგმა

დ არტანიანი მაშინვე ბატონ დე ტრევილთან წავიდა. დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ, დაწვრილებით აცნობებდა საქმის ვითარებას კარდინალს ის წყეული უცნობი. ამიტომ ღალატად მიაჩნდა უსარგებლოდ გატარებული ყოველი წამი.

ნეტარებას ვეღარ იტევდა ყმაწვილი კაცის გული, შემთხვევა მიეცა, ერთ და იმავე დროს დიდებაც მოეხვეჭა და ფულიც ეშოვა, ამას ისიც დაემატა, რომ იგი დაუახლოვდა ქალს, რომელიც გაგიჟებით უყვარდა, ყველაფერი ეს უდიდეს ნეტარებას ანიჭებდა დ არტანიანს.

ბატონი დე ტრევილი დარბაზში ბრძანდებოდა თავის მახლობელი დიდებულებით. დ არტანიანს ყველა იცნობდა და პირდაპირ კაბინეტში შეიყვანეს, მან ითხოვა, მოეხსენებინათ ბატონ დე ტრევილისათვის, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საქმისათვის იყო მოსული.

დიდხანს არ დასჭირვებია ცდა. ხუთი წუთის შემდეგ ბატონი დე ტრევილი კაბინეტში შემოვიდა. დ არტანიანის სიხარულით გაკაშკაშებული სახის დანახვაზე მაშინვე მიხვდა ღირსეული კაპიტანი, რომ მართლა რაღაც ახალი და ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი მომხდარიყო.

სანამ ბატონ დე ტრევილთან მივიდოდა, დ არტანიანი გზაში სულ იმას ეკითხებოდა თავის თავს, მიენდო საიდუმლოება ბატონ კაპიტნისათვის თუ მხოლოდ შვებულება ეთხოვა საიდუმლო დავალების მოსარიგებლად. მაგრამ მუშკეტერთა კაპიტანი ისეთი ნდობითა და ლმობიერებით ექცეოდა ჩვენს გასკონელს, ისეთი თავგანწირვით ემსახურებოდა მეფესა და

დედოფალს, და ისე სძულდა კარდინალი, რომ დ არტანიანმა გადაწყვიტა, ყველაფერი მოეხსენებინა მისთვის.

– ჩემი ნახვა გინდოდათ, ჩემო ყმაწვილო მეგობარო? – მიმართა ბატონმა დე ტრევილმა.

– დიახ, ბატონო, – მიუგო დ არტანიანმა, – და იმედი მაქვს, მაპატიებთ კიდეც ასე უდროოდ შეწუხებას, როდესაც მოგახსენებთ, თუ რა დიდმა გარემოებამ მაიძულა თქვენი დახმარების თხოვნა.

– აბა, თქვით, რაშია საქმე? გისმენთ.

– საქმე ისაა, ბატონო, – მიუგო ჩუმი ხმით დ არტანიანმა, – რომ განსაცდელს უნდა გადავარჩინოთ დედოფლის სახელი და, იქნება, დედოფლის სიცოცხლეც.

– რას ამბობთ, რას? – ჰკითხა განცვიფრებულმა დე ტრევილმა და თვალი გადაავლო იქაურობას, რათა დარწმუნებულიყო, რომ მათ გარდა სხვა არავინ იყო კაბინეტში. შემდეგ დ არტანიანს დააცქერდა, თითქოს თვალით ეკითხებოდა განმარტებას.

– ერთმა შემთხვევამ საშუალება მომცა, ბატონო, ხელთ მეგდო საიდუმლოება...

– რომელსაც, იმედი მაქვს, ჩემო მეგობარო, საიდუმლოდ შეინახავთ, სიცოცხლის ფასადაც რომ დაგიჯდეთ.

– დიახ, ბატონო, გეფიცებით, მაგრამ თქვენ კი უნდა მოგახსენოთ, რადგან მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ იმ ბრძანების შესრულებაში, რომელიც მე დედოფლისაგან მივიღე.

– თქვენ შეგეხებათ ეს საიდუმლოება?

– არა, ბატონო, საიდუმლოება დედოფლისა გახლავთ.

– მოგცათ უფლება მისმა ყოვლადუდიდებულესობამ, ჩემთვის გაგეზიარებინათ?

– პირიქით, ბატონო, მე ბრძანება მაქვს, არამც და არამც არავის ვანდო იგი.

– მერე რაღად უნდა მითხრათ? რათ არღვევთ მაგ ბრძანებას?

– იმიტომ, ბატონო, რომ, როგორც მოგახსენეთ, თუ თქვენი დახმარება არ მექნება, ვერაფერს გავხდები. ვშიშობ, უარი მითხრათ თხოვნაზე იმ შემთხვევაში, თუ არ გეცოდინებათ, რა საქმისათვის მჭირდება თქვენი დახმარება.

– საიდუმლო თქვენთვის შეინახეთ, ჩემო კარგო, და მითხარით, რა გსურთ?

– უნდა სთხოვოთ ბატონ დე ზესარს, რომ ორი კვირის შვებულება მიბოძოს.

– როდიდან?

– ამაღამიდანვე.

– მიდიხართ სადმე?

– დიახ, ბატონო, მგზავნიან.

– შეგიძლიათ მითხრათ, სად მიხვალთ?

– ლონდონში.

– ხომ არ არის ვინმე დაინტერესებული, ხელი შეგიშალოთ თქვენი მიზნების შესრულებაში?

– მე მგონი, კარდინალი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გზა შემიკრას და შემაფერხოს!

– მარტო მიდიხართ?

– მარტო გეახლებით.

– მაშინ, ბონდსაც კი ვერ გასცდებით, ვიცი, რასაც გეუბნებით, და გაფრთხილებთ, – უთხრა დე ტრევილმა.

– რატომ ვერ გავცდები?

– გზაში მოგკლავენ.

– მომკლავენ ჩემი მოვალეობის შესრულებისას.

– დავალება კი აუსრულებელი დარჩება.

– მართალს ბრძანებთ. – დ არტანიანმა თავი დაღუნა.

– მერწმუნეთ, – განაგრძო დე ტრევილმა, - ამგვარ საქმეში ოთხნი უნდა იყვნეთ, რომ ერთმა მიაღწიოს დანიშნულ მიზანს.

– მართალსა ბრძანებთ, ბატონო, – დაეთანხმა დ არტანიანი, – თქვენც კარგად იცნობთ ათოსს, პორთოსს და არამისს, უკეთ მოგეხსენებათ, შემიძლია თუ არა მათაც ვთხოვო დახმარება?

– იმ პირობით, რომ არ ანდოთ საიდუმლოება, რომლის ცოდნა მე არ ვინდომე.

– ერთხელ და საუკუნოდ შევიფიცეთ მე და ჩემი მეგობრები, ბრმად ვენდობით ერთმანეთს, გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ მათ უთხრათ, რომ სრული ნდობა გაქვთ ჩემი, ეს სავსებით საკმარისი იქნება და აღარას მკითხავენ.

– მე შემიძლია, თხუთმეტი დღის შვებულება მივცე სამივეს, ათოსს ფორჟის წყლებზე გასამგზავრებლად, მისი ჭრილობის გამო, რომელიც კიდევ ძალიან აწუხებს, პორთოსსა და არამისს იმისათვის, რომ თან გაჰყვნენ თავიანთ მეგობარს. ცხადია, მარტოს არ დატოვებენ. შვებულების მოწმობის მიღება იქნება საბუთი, რომ მე თქვენთან მგზავრობის უფლებას ვაძლევ.

– გმადლობთ, ბატონო, უსაზღვროა თქვენი სიკეთე.

– მაშ, ახლავე წადით, იპოვეთ სამივე და ამაღამვე გზას გაუდექით. ოჰ, მართლა! ბატონ დე ზესარის სახელზე თხოვნა შვებულების შესახებ აქვე დაწერეთ. ჯაშუში ალბათ უკვე აგედევნათ და თქვენი აქ მოსვლა, რაღა თქმა უნდა, კარდინალისათვის უკვე ცნობილია.

დ არტანიანმა დაწერა თხოვნა და კაპიტანს მიართვა. ბატონმა დე ტრევილმა ჩამოართვა და შეჰპირდა, რომ გათენებამდე ორი საათით ადრე ოთხივეს მიუვიდოდა შვებულების მოწმობა.

– თუ შეიძლება, ბატონო კაპიტანო, ჩემი მოწმობაც ათოსს გაუგზავნეთ, – სთხოვა დ არტანიანმა, – არ მინდა, შინ დავბრუნდე, ვშიშობ, რაიმე ფათერაკს არ გადავეყარო.

– ძალიან კარგი, დამშვიდებული იყავით, ნახვამდის და კეთილი იყოს თქვენი მგზავრობა, მართლა! მოითმინეთ!

დ არტანიანი შემობრუნდა.

– ფული გაქვთ?

დ არტანიანმა ჯიბეში ფულით სავსე ქისა ააჩხარუნა,

– საკმარისია? – ჰკითხა ბატონმა დე ტრევილმა.

– სამასი პისტოლი გახლავთ.

– სავსებით საკმარისია, მაგ ფულით კაცი ქვეყანას შემოივლის, მაშ, ნახვამდის!

დ არტანიანმა თავი დაუკრა ბატონ დე ტრევილს, რომელმაც ხელი გამოუწოდა. მოწიწებით და მადლობით ჩამოართვა გასკონელმა კაპიტანს. კარგა ხანი იყო მას შემდეგ, რაც პარიზში ცხოვრობდა დ არტანიანი და ქების მეტს ვერას იტყოდა კაპიტანზე, რომელიც კეთილშობილ და დიდებულ ადამიანად მიაჩნდა.

დ არტანიანი პირველად არამისის სანახავად წავიდა. იმ დიდად სახსოვარ ღამის შემდეგ, ქალბატონი ბონასიე რომ მიაცილა, ჯერ არ ენახა თავისი მეგობარი.

დაღვრემილი, მოღუშული დახვდა არამისი. დ არტანიანმა მწუხარების მიზეზი ჰკითხა, არამისმა პასუხის ნაცვლად ბოდიში მოიხადა და უთხრა: ერთი კვირის ვადაში წმინდა ავგუსტინის მეთვრამეტე თავის განმარტება უნდა დავწერო ლათინურ ენაზე და სხვა აღარა მახსოვს რაო.

ამგვარ ბაასში იყვნენ გართულნი მეგობრები, როდესაც დე ტრევილის მსახური ოთახში შევიდა და არამისს დაბეჭდილი წერილი მიართვა.

– ნეტავ რა არის? – წამოიძახა არამისმა.

– შვებულების ფურცელი გახლავთ, თქვენ რომ ითხოვეთ, – უპასუხა მსახურმა.

– მე შვებულება არ მითხოვია.

– გაჩუმდით და მიიღეთ, – უთხრა დ არტანიანმა, – თქვენ კი, აი, ნახევარი პისტოლი შეწუხებისათვის, მოახსენეთ ბატონ დე ტრევილს, რომ ბატონი არამისი გულწრფელ მადლობას უხდის ამ სიკეთისთვის. მიბრძანდით.

მსახურმა თავი დაუკრა და გავიდა.

– რას ნიშნავს ეს შვებულება? – ჰკითხა არამისმა.

– წამოიღეთ, რაც კი დაგჭირდებათ თხუთმეტი დღის მგზავრობისათვის და თან გამომყევით.

– მერე... რომ არ შემიძლია ამჟამად პარიზის მიტოვება... თუ არ გავიგე...

არამისი გაჩუმდა,

– თუ არ გაიგებთ, რა დაემართა, განა? – განაგრძო დ არტანიანმა.

– ვის? – იუცხოვა არამისმა.

– აქ რომ იყო, ამოქარგული ცხვირსახოცის პატრონს.

– ვინ მოგახსენათ, რომ აქ ქალი იყო? – მიუგო არამისმა და მკვდრისფერი დაედო.

– ჩემმა თვალებმა.

– ისიც იცით, ვინ არის ის ქალი?

– ეჭვი მაქვს.

– ყური დამიგდეთ, – სთხოვა არამისმა, – რაკი მაგდენი რამ გცოდნიათ, ისიც გეცოდინებათ, რა მოუვიდა იმ ქალს?

– მე მგონია, რომ ტურს უნდა დაბრუნებულიყო.

– მართალი ხართ, ტურში უნდა დაბრუნებულიყო. მაშ, თქვენც გცოდნიათ, მაგრამ ისე როგორ წავიდა, რომ მე არა მითხრა რა?

– იმიტომ, რომ დაპატიმრებისა ეშინოდა.

– რატომ არაფერი მომწერა?

– შიშობდა, თქვენც არ ჩაებით ამ საქმეში.

– სიცოცხლე აღმიდგინეთ, დ არტანიან! – შეჰყვირა არამისმა, – მე მეგონა, რომ მიღალატა, მასხარად ამიგდო. ოჰ, რა ბედნიერი ვიყავი მისი ნახვით. არა მჯეროდა, ვერ წარმომედგინა, რომ ჩემი გულისთვის განსაცდელში იგდებდა თავს, მაგრამ ეს თუ არა, მაშ, სხვა რაღა მიზეზი მოიყვანდა პარიზში?

– ის მიზეზი, რომელიც ამაღამვე ლონდონში გვგზავნის მე და თქვენ.

– რა არის ეგ მიზეზი?

– თავის დროზე გაიგებთ, არამის, ხოლო ამჟამად ნება მომეცით, დოქტორის დისწულივით საიდუმლოებას შეადგენდეს.

არამისს გაეცინა, მაშინვე მოაგონდა ერთ ღამეს თავის მეგობრებთან ნაამბობი ზღაპარი.

– მაშ, რაკი ასეა, და თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ პარიზი დატოვა, მე აქ აღარაფერი დამიჭერს. მზად ვარ გამოგყვეთ. თქვენ ამბობთ, რომ მივდივართ? მე აქ საზრუნავი აღარა მაქვს რა, ჩემო დ არტანიან, და მზად ვარ, გამოგყვეთ. მხოლოდ ეს მაინც მითხარით, სად მივდივართ?

– ჯერჯერობით ათოსთან, და თუ მართლა ჩემთან წამოსვლა გსურთ, მოდით, ავჩქარდეთ, ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ, მართლა, ბაზენსაც უბრძანეთ.

– რა, ბაზენიც თან მიგვყავს? – ჰკითხა არამისმა.

– შეიძლება, ჯერჯერობით კარგი იქნება, თუ ათოსის სახლამდე გამოგვყვება.

არამისმა მსახურს ათოსთან წასვლა უბრძანა. თვითონაც წასასვლელად მოემზადა, წელზე ხმალი და სამი დამბაჩა შემოირტყა, წამოსასხამი აიღო, შემდეგ სამი თუ ოთხი უჯრა გადააქოთა შემთხვევით სადმე მიგდებული ერთი ან ორი პისტოლის საპოვნელად, მაგრამ უნაყოფოდ ჩაუარა ცდამ. როდესაც დარწმუნდა, რომ ამაო იყო იქ ფულის ძებნა, დ არტანიანს გაჰყვა. თან კი თავის თავს ეკითხებოდა: საიდან შეძლო ახალგაზრდა გასკონელმა ასე კარგად გაგება იმ ქალის ვინაობისა, რომელიც ჩემთან იყოო, ეგ კიდევ არაფერი, ამჟამად მისი ადგილსამყოფელიც კი იცოდა.

სახლიდან გამოსვლისას არამისმა ხელი დაადო მკლავზე დ არტანიანს, თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა:

– ხომ არავისთან გითქვამთ რაიმე იმ ქალზე?

– არავისთან.

– არც ათოსთან და პორთოსთან?

– ხმა არ ამომიღია.

– ყოჩაღ, ბიჭო!

სრულიად დამშვიდებული არამისი მხიარულად მიჰყვა დ არტანიანს და ცოტა ხნის შემდეგ მეგობრები ერთად შევიდნენ ათოსთან.

ათოსს ერთ ხელში შვებულების მოწმობა ეჭირა, მეორეში დე ტრევილის წერილი.

– იქნება თქვენ მაინც ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს შვებულება და ეს წერილი, რომელიც ეს არის მივიღე? – მიმართა განცვიფრებულმა ათოსმა. – აი, რასა მწერს ბატონი დე ტრევილი:

„ძვირფასო ათოს, თქვენი ჯანმრთელობისათვის აუცილებელია დასვენება, ამის გამო გაძლევთ ორი კვირის შვებულებას და გირჩევთ ფორჟის წყლებზე წასვლას სამკურნალოდ, ან სხვაგან, საცა უფრო მალე მოკეთდებით და სრულიად ჯანმრთელი დაგვიბრუნდებით.

თქვენი გულითადი ტრევილი“.

– ეს შვებულება და წერილი იმას ნიშნავს, ათოს, რომ თქვენც ჩემთან უნდა წამოხვიდეთ, – უთხრა დ არტანიანმა.

– ფორჟის წყლებზე?

– წყლებზე ან სხვაგან.

– მეფის კეთილდღეობისთვის?

– მეფის ან დედოფლის კეთილდღეობისთვის. განა ჩვენ მათი ყოვლადუდიდებულესობის მსახურნი არა ვართ?

ამ დროს პორთოსმაც შემოადო კარი.

– უცნაურია სწორედ! – შესძახა ამხანაგებს, – არა, როდის აქეთაა, რომ მუშკეტერებს შვებულებას უთხოვნელად აძლევენ?

– მას აქეთ, რაც მუშკეტერბს გაუჩნდნენ მეგობრები, რომლებიც მათ მაგივრად აგვარებენ ამ საქმეებს, – მიუგო დ არტანიანმა.

– ოჰო, ოჰო! – დაიძახა პორთოსმა, – ახალი ამბავია, სრულიად ახალი!

– დიახ, მივდივართ, – უთხრა არამისმა.

– საითკენ? – იკითხა პორთოსმა.

– ჯერ მეც არ ვიცი, – მიუგო ათოსმა, – დ არტანიანს ჰკითხეთ.

– ლონდონისაკენ, ბატონებო, – უთხრა დ არტანიანმა.

– ლონდონისაკენ? – შეჰყვირა პორთოსმა, – რა დაგრჩენიათ ლონდონში?

– მაგას კი ვერ გეტყვით, ბატონებო, უნდა მენდოთ.

– კარგი, მაგრამ ლონდონში წამსვლელს ფული უნდა ჰქონდეს, ხოლო მე გროშიც არა მაქვს, – თქვა პორთოსმა.

– არც მე მაქვს, – თქვა არამისმა.

– არც მე მაქვს, – თქვა ათოსმა.

– ფული მე მაქვს, – თქვა დ არტანიანმა. ჯიბიდან თავისი განძი ამოიღო და მაგიდაზე დადო. –ამ ქისაში სამასი პისტოლია, მოდით, ოთხად გავიყოთ, სამოცდათხუთმეტი პისტოლი, მგონი, საკმარისი უნდა იყოს ლონდონში ჩასასვლელად და შინ დასაბრუნებლად, მაგრამ ეს იცოდეთ, ყველანი ვერ წავალთ ლონდონში.

– ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომ თუ ვიგულისხმებთ ყოველ მოსალოდნელ შემთხვევას, შესაძლებელია, გზაში დარჩეს ვინმე ჩვენგანი.

– ეს როგორ? საომრად ხომ არ მივდივართ?

– საომრად არა, მაგრამ საშიშროებით სავსე საქმის გასარიგებლად – კი. ამას ახლავე გაფრთხილებთ.

– ისე რომ, შეიძლება ვედარც დავბრუნდეთ? – თქვა პორთოსმა, – მაშ, თუ სასიკვდილოდ გავწირავ თავს, ის მაინც უნდა ვიცოდე, რისთვის ვკვდები?

– ნეტავ ამის ცოდნა რას მარგებს? – უთხრა ათოსმა.

– არას მარგებს, – თქვა არამისმა, – მაგრამ მე მაინც პორთოსის აზრისა ვარ.

– განა მეფე უცხადებს თავის ჯარს, რა მიზნით გზავნის საომრად? მოკლედ ბრძანებს: ბატონებო, ბრძოლაა გასკონიაში ან ფლანდრიაში, აბა თქვენ იცით, როგორ იბრძოლებთ! რისთვისაა ბრძოლა? ეს თქვენ არ გაინტერესებთ, მაგრამ, მიდიხართ და იბრძვით.

– დ არტანიანი მართალს ამბობს, – თქვა ათოსმა, – ბატონ დე ტრევილის მიერ მოცემული შვებულება და გამოგზავნილი სამასი პისტოლი საკმარისია იმისათვის, რომ წავიდეთ იქ, სადაც გვგზავნიან. სახიფათოა ჩვენი დავალება? ხიფათს ვაუკაცურად დავუხვდებით და შევებრძოლებით. რას წარმოადგენს ნეტავ სიცოცხლე, რომ ასე ზრუნავთ მის დასაცავად?!

– დ არტანიან, მე მზადა ვარ, აბა, წავიდეთ!

– მეც მზადა ვარ! – დაიძახა პორთოსმა.

– მეც მზადა ვარ! – დაიძახა არმისმა – სწორედ დროზე მომესწრო პარიზიდან გასვლა, გავერთობი, გავიხარებ!

– გართობა, რამდენიც გენებოთ, ბატონებო, მაგის ფიქრი ნუ გაქვთ, – დაამშვიდა დ არტანიანმა.

– ახლა ისიც გვითხარი, როდის მივდივართ? – ჰკითხა ათოსმა.

– ახლავე, – უპასუა დ არტანიანმა, – ისეთი საჩქაროა ჩვენი დავალება, რომ ერთ წუთს არ უნდა ვკარგავდეთ.

– ბიჭებო! გრიმო, პლანშე, მუშკეტონ, ბაზენ, – დაუყვირეს ჩვენმა მეგობრებმა თავიანთ მსახურებს, – აბა, ჩქარა გაგვიწმინდეთ წაღები და ცხენები მოგვიყვანეთ!

პლანშე, გრიმო, მუშკეტონი და ბაზენი სირბილით წავიდნენ ბრძანების ასასრულებლად.

– ახლა საჭიროა შევადგინოთ ჩვენი მგზავრობის გეგმა, – შემოიტანა წინადადება პორთოსმა, – სად მივდივართ აქედან?

– მივდივართ კალეს, – უპასუხა დ არტანიანმა, – ეს უმოკლესი გზაა ლონდონში მისასვლელად.

– ძალიან კარგი, ასეთ შემთხვევაში ჩემი აზრი ასეთი იქნება, – განაგრძო პორთოსმა.

– გისმენთ.

– ოთხი კაცის ერთად მგზავრობა საეჭვოდ ეჩვენებათ. ამ ეჭვის ასაცდენად დ არტანიანმა ყველა ჩვენგანს მისცეს თავისი დავალება; მე წინ წავალ ბულონის მხრით, რომ კარგად დავათვალიერო გზა. ორი საათის შემდეგ ათოსი წავიდეს ამიენის გზით, შემდეგ არამისი მიჰყვება ნუაიონის გზით. რაც შეეხება დ არტანიანს, იგი იმ გზით წამოვიდეს, რომელიც თვითონ მიაჩნია მარჯვედ, მხოლოდ იმ პირობით, რომ დ არტანიანმა პლანშეს ტანსაცმელი ჩაიცვას, ხოლო პლანშე რაზმელის ფორმით ჩვენ მოგვყვეს, თითქოს დ არტანიანი იყოს.

– მოუხერხებლად მიმაჩნია პორთოსის გეგმა, – დაიწყო დ არტანიანმა, – ვერ წარმომიდგენია, რა დავალება უნდა მოგცეთ. ნაბრძანები მაქვს ერთი წერილის მისამართისამებრ მიტანა, ეს არის და ეს, ამის მეტი მე არა ვიცი რა. მე არა მაქვს და არც შემიძლია სამი ასლი გადავიღო ამ წერილისა, რადგან ის დაბეჭდილია. ვფიქრობ, თვით საქმე მოითხოვს ჩვენს ერთად მგზავრობას. აი, ჯიბეში მიდევს ის წერილი, – თქვა მან და ხელი ჯიბეზე გაიკრა. – თუ გზაში მომკლეს, ერთი თქვენგანი ამოიღებს მას და უჩემოდ განაგრძობთ გზას. თუ ისიც მოკლეს, წერილს ის ჩაიდებს ჯიბეში, ვინც გადარჩება, და ასე, ერთ-ერთმა მაინც უნდა მიაღწიოს ლონდონს და დანიშნულებისამებრ ჩააბაროს წერილი.

– ყოჩაღ, დ არტანიან! მეც შენი აზრისა ვარ! – მოიწონა ათოსმა, – მაგრამ მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს. შევთანხმდეთ: წყლებზე მივდივართ დასასვენებლად. ჩემი მეგობრებიც თან მომდევენ, ოღონდ ფორჟის წყლებზე კი არა, ზღვის სანაპიროზე. ამ მხრივ სრულიად თავისუფალი ვარ, არჩევანი მე მეკუთვნის. თუ ჩვენი დაჭერა განიზრახა ვინმემ, მე დე ტრევილის წერილს წარვუდგენ და თქვენ შვებულების მოწმობები აჩვენეთ. ძალის ხმარებას მოისურვებენ? ჩვენც ისე დავხვდეთ, რომ თავბედი ვაწყევლინოთ. სამართალში რომ მიგვცენ, ვიტყვით, ჩვენ დასვენების გარდა სხვა განზრახვა არ გვქონიაო. ცალ-ცალკე ადვილად დაგვამარცხებს მტერი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს გზის შეკვრა, მაგრამ თუ ერთად ვიქნებით, ეს უკვე პატარა რაზმია, ოთხი კაცისაგან შემდგარი. მსახურებიც ოთხი დამბაჩითა და მუშკეტებით შევაიარაღოთ. მთელი ჯარიც რომ შემოგვესიოს, ბრძოლას მივიღებთ ჩვენებურად და, როგორც დ არტანიანმა თქვა, ის მიიტანს წერილს, ვინც გადარჩება.

– კარგი აზრია, კარგად თქმული, – დაიძახა არამისმა. – არ გიყვარს ლაპარაკი, ჩემო ათოს, მაგრამ როდესაც იშვიათად იტყვი რაიმეს, ისე იტყვი ხოლმე, თითქოს წმინდა იოანე ოქროპირი იყო. მე ათოსის გეგმას ვემხრობი, შენ, პორთოს?

– მეც, აგრეთვე. – მიუგო პორთოსმა, – თუმცა დ არტანიანიც თანახმაა. წერილის მიტანა დ არტანიანსა აქვს დავალებული და, მაშასადამე, მასვე ეკუთვნის ჩვენი მოგზაურობის ხელმძღვანელობა. დ არტანიანმა თქვას და ჩვენ ავასრულებთ.

– ძალიან კარგი, – თქვა დ არტანიანმა, – გადაწყვეტილი მაქვს, ათოსის გეგმა მივიღოთ და ნახევარი საათის შემდეგ მოვახტეთ ცხენებს.

– დამტკიცებულია! – შეჰყვირა ერთხმად სამმა მუშკეტერმა.

ამის შემდეგ თითოეულმა მათგანმა თავისი კუთვნილი სამოცდათხუთმეტი პისტოლი ჯიბეში ჩაიჩხრიალა და დანიშნული დროისათვის საგზაო სამზადისს შეუდგა.

XX

მგზავრობა

ღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც ფათერაკების მაძიებელი ჩვენი გმირები პარიზიდან სენ-დენის სადარაჯო ჭიშკრით გავიდნენ. სანამ ბნელოდა, უხმოდ მიდიოდნენ, უნებლიეთ ემორჩილებოდნენ წყვდიადის გავლენას და ყველგან ჩასაფრებული მტერი ელანდებოდათ.

ირიჟრაჟა თუ არა, მაშინვე ენა ამოიდგეს დამუნჯებულმა მგზავრებმა. ცის ტატნობზე მზის გამოჩენამ სიმხიარულე დაუბრუნა მათ. თითქოს დიდი ბრძოლის მოლოდინში იყვნენ: გული გამალებით უცემდათ, თვალები უცინოდათ, გრძნობდნენ, რომ შეიძლება ამ მგზავრობისათვის შეეწირათ სიცოცხლე.

სანახავად საშიში იყო ჩვენი ქარავანი. მუშკეტერების შავი ცხენები, მათი სამხედრო მოკაზმულობა და მოძრაობა, თავით ფეხებამდე შეიარაღებული მსახურები, რომლებიც უკან მისდევდნენ, ადვილად გასცემდა მათ განზრახვას, ძალიანაც რომ ცდილიყვნენ თავის დაფარვას.

მშვიდობიანად გაიარეს გზა შანტილამდე, სადაც დილის რვა საათზე მივიდნენ. სწორედ საუზმის დრო იყო, როდესაც მოგზაურები სამიკიტნოსთან ჩამოხდნენ. დუქნის კარებზე გამოხატული იყო წმინდა მარტენი, რომელსაც შებრალებოდა სიცივეში დარჩენილი ღარიბი კაცი და თავისი წამოსასხამის ნახევარს უთმობდა. მუშკეტერებმა მსახურებს უბრძანეს, უნაგირი არ მოეხადათ ცხენებისათვის და მზად ყოფილიყვნენ დაუყოვნებლივ გზის გასაგრძელებლად. თვითონ დუქნის საერთო დარბაზში შევიდნენ და მაგიდას მიუსხდნენ.

ამავე მაგიდას მოსჯდომოდა დამარტენის გზით მოსული ვიღაც კეთილშობილი პიროვნება და ისიც საუზმეს შეექცეოდა. მან მაშინვე ამინდზე ჩამოაგდო ლაპარაკი და მუშკეტერებიც ჩაითრია ამ საუბარში.

შემდეგ ყმაწვილების სადღეგრძელო დალია. მათაც მადლობა გადაუხადეს და ადღეგრძელეს.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც დარბაზში შემოსულმა მუშკეტონმა ცხენების მზადყოფნა ამცნო და მეგობრებმა ადგომა დააპირეს, უცნობმა პორთოსს წინადადებით მიმართა, კარდინალის სადღეგრძელოც შეესვათ. პორთოსმა უპასუხა: სიამოვნებით დავლევ კარდინალის სადღეგრძელოს, თუ თქვენც, თქვენის მხრივ, მეფის სადღეგრძელოს შესმას ინებებთო.

– მე საფრანგეთში კარდინალის გარდა მეფედ არავინ მიმაჩნია! – შეუტია უცნობმა.

ამის პასუხად პორთოსმა ხმალი იშიშვლა. მას არც უცნობი ჩამორჩა.

– დიდი სისულელე მოგივიდათ, – უთხრა ათოსმა მეგობარს, – მაგრამ რა გაეწყობა? შეუძლებელია უკან დახევა. – მოკალით იგი და ეცადეთ ჩქარა დაგვეწიოთ.

ათოსი, არამისი და დ არტანიანი სწრაფად მოახტნენ ცხენებს და გააქანეს. პორთოსი კი ამ დროს თავის მოპირდაპირეს ჰპირდებოდა, რომ ფარიკაობის მრავალფეროვანი ხელოვნების ჩვენებით, წუთისოფელს გამოასალმებდა.

– ეს ერთი მათგანი! – დაიძახა ათოსმა ხუთასიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ.

– ერთი მითხარით, – რაღა სწორედ პორთოსს შესთავაზა იმ უცნობმა კარდინალის სადღეგრძელო? – მიმართა არამისმა მეგობრებს.

– იმიტომ, რომ პორთოსი ყველაზე მაღალი ხმით ლაპარაკობდა და უფროსად ის მიიჩნია, – უპასუხა დ არტანიანმა.

– მე ყოველთვის იმას ვამბობდი, რომ სიბრძნის უძირო ჭაა ჩვენი გასკონელი, – ჩაილაპარაკა ათოსმა და კვლავ ჭენებით განაგრძეს გზა.

ბოვეში ორი საათით შეჩერდნენ, პორთოსისთვის უნდოდათ მოეცადათ. გარდა ამისა, ცხენებს შესვენება ესაჭიროებოდათ. მაგრამ რადგან პორთოსი არსად ჩანდა, კვლავ განაგრძეს გზა. ბოვედან ერთი ლიეს გავლის შემდეგ ორი ქედის კალთებს შუა შევიწროებულ, მოუკირწყლავ გზას მიადგნენ, სადაც რვა თუ ათი კაცი მუშაობდა და ისეთი სახე მიეღოთ, თითქოს დაზიანებულ ხიდს აკეთებდნენ.

არამისს არ უნდოდა ამ განზრახ ატალახებულ ჭაობში თავისი წაღების გასვრა და უკმეხად შეუტია. ათოსს უნდოდა დაემშვიდებინა მეგობარი, მაგრამ უკვე გვიან იყო. მუშებმა დაცინვა და მასხარად აგდება დაუწყეს ყმაწვილებს. მათმა თავხედობამ თვით მშვიდი ათოსიც მოთმინებიდან გამოიყვანა და ერთ მათგანზე მიაგდო ცხენი.

მუშებმა უკან დაიხიეს, ორმოში ჩახტნენ, ამოიღეს მუშკეტები და სროლა ატეხეს. არამისს ტყვია მხარში მოხვდა, ხოლო მუშკეტონი ბარძაყის რბილში დაიჭრა და ცხენიდან გადავარდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მძიმედ იყო დაჭრილი, არამედ ვერ შეძლო ჭრილობის დანახვა და, ეჭვს გარეშეა, უფრო საშიში ეგონა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

– ჩასაფრებულები გველოდნენ ეს არამზადები, – დაიძახა დ არტანიანმა, – ნუ წავახდენთ ამათზე თოფისწამალს.

– აბა! მათრახი ცხენებს!

დაჭრილმა არამისმა ხელი სტაცა ცხენის ფაფარს და უკან არ ჩამორჩა ამხანაგებს. მალე მუშკეტონის ცხენიც დაეწიათ მათ. მაგრამ თავისი მხედარი ბრძოლის ველზე დაეტოვებინა.

– კიდევ კარგი, რომ ესეც იქ არ დარჩა, – თქვა ათოსმა, – თუ გაჭირდა, შემცვლელ ცხენად გამოვიყენებთ.

– შემცვლელი ცხენი არა და ერთი ქუდი რომ ყოფილიყო, ძალიან მეამებოდა, – უპასუხა დ არტანიანმა, – ჩემი ტყვიამ მომხადა. ბედი, რომ წერილი ქუდში არა მქონდა, თორემ დავიღუპებოდი.

– ვაიმე, ვაიმე! საწყალი პორთოსი, იმ ვიწრო გზასთან უსათუოდ მოკლავენ.

– პორთოსი რომ ფეხზე იყოს, აქამდე მოგვეწეოდა, – თქვა ათოსმა, – მე მგონია, სწორედ ბრძოლის დროს გამოფხიზლდებოდა მისი ლოთი მოწინააღმდეგე.

ორი საათის განმავლობაში შეუსვენებლივ მიაჭენებდნენ ცხენებს, რომლებიც ისე დაიქანცნენ, რომ საშიში გახდა, უარი არ ეთქვათ თავიანთი მხედრების სამსახურზე.

ოღროჩოღრო გზა აირჩიეს ჩვენმა მგზავრებმა იმ იმედით, რომ იქ ამდენი ხელის შემშლელი არ დახვდებოდათ, მაგრამ კრევკერში მისვლისას არამისმა გამოაცხადა, რომ უკვე აღარ შეეძლო გზის გაგრძელება, და მართლაც, მას მთელი ძალა და ენერგია დასჭირდა აქამდე მოსაღწევად. არამისს ყოველ წუთს ფერი ეცვლებოდა და მეგობრები იძულებულნი იყვნენ, ხშირად მიშველებოდნენ, რომ ცხენიდან არ ჩამოვარდნილიყო. ბოლოს ერთ დუქანთან ჩამოსვეს და ბაზენიც მასთან დატოვეს, რომელიც ბრძოლაში უფრო ხელისშემშლელი გამოდგა, ვიდრე დამხმარე. ათოსმა და დ არტანიანმა მაშინვე განაგრძეს გზა იმ იმედით, რომ ღამე ამენში გაეტარებინათ.

– შერცხვენილი ვიყო, – თქვა ათოსმა, როდესაც შარაზე გავიდნენ, – თუ კიდევ ავყვე იმ ამოსაწყვეტებს! დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, კალეში მისვლამდე ხმას ვეღარ ამომაღებინებენ და აღარც ხმალს ვახლებ ხელს. ვფიცავ და ავასრულებ კიდეც.

– ნუ დავიფიცავთ, – უთხრა დ არტანიანმა, – გავაჭენოთ, თუ მოგვყვებიან ჩვენი ცხენები.

მგზავრებმა დეზი ჰკრეს დაქანცულ ცხენებს, რომლებმაც ძალ-ღონე მოიკრიბეს და შუადამემდე ამენს მიიყვანეს თავისი მხედრები. ისინი „ოქროს შროშანას“ სამიკიტნოსთან ჩამოხტნენ.

ამ სამიკიტნოს მასპინძელი უაღრესად პატიოსან კაცს ჰგავდა. იგი წინ მიეგება მგზავრებს, ერთ ხელში სანთელი ეჭირა, მეორეში – თავისი ღამის ჩაჩი. ათოსს და დ არტანიანს ცალ-ცალკე, მშვენივრად მორთულ ოთახში უპირებდა მოთავსებას, მაგრამ, საუბედუროდ, ერთი ოთახი შენობის თავში იყო, მეორე კი – შენობის ბოლოში. მათთვის შერჩეული ოთახები არ ისურვეს ათოსმა და დ არტანიანმა. მასპინძელი ფიცავდა, რომ მათი შესაფერი ოთახები არ გააჩნდა.

მაშინ მგზავრებმა გამოუცხადეს, რომ ერთ ოთახში იატაკზე გაშლილ ლეიბებზე დაწვებოდნენ. თავისას არ იშლიდა სამიკიტნოს პატრონი, მაგრამ არც ჩვენი მგზავრები უთმობდნენ და ბოლოს ისიც დაემორჩილა.

ის იყო გაიშალეს ლოგინი და მაგრად ჩაკეტეს კარი, რომ ეზოდან ვიღაცამ ფანჯრის დარაბას დაუკაკუნა, ვინაობა ჰკითხეს და როდესაც თავისი მსახურის ხმა იცნეს, კარი გაუღეს. ოთახში პლანშე და გრიმო შემოვიდნენ.

– ცხენების მომვლელად გრიმოც იკმარებს, – მოახსენა პლანშემ, – და თუ ნებას მიბოძებენ, ბატონებო, მე აქ დავწვები, ამ კარის განივად. ამრიგად, დამშვიდებული იქნებიან ბატონები, ყოველგვარ ხიფათს ასცდებიან.

– რაზე დაწვები? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– ჩემს ლოგინზე, – უპასუხა პლანშემ და ერთი კონა ჩალა დაანახვა.

– ძალიან კარგი, პლანშე, – უთხრა დ არტანიანმა. – მართალი გითხრათ, არ მომეწონა ჩვენი მასპინძელი, მეტად მლიქვნელი მეჩვენა.

– არც მე მომეწონა, – თქვა ათოსმა.

პლანშე ფანჯრიდან გადმოძვრა და კარებთან დაწვა. გრიმო თავლისკენ წავიდა იმ პირობით, რომ დილის ხუთ საათზე ცხენები მზად ეყოლებოდა.

თავლაში შესვლისას გრიმომ მაგრად მოკეტა კარები.

საკმაოდ მშვიდობიანად ჩაიარა ღამემ, თუმცა შუადამისას ოთახის კარს ვიღაც მაგრად მოაწვა. მეტად ფხიზლობდა პლანშე, მაშინვე წამოვარდა და შეჰყვირა:

– ვინ არის?

– უკაცრავად, კარები ამერია, – მოიხადეს ბოდიში და კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა.

ღამის ოთხ საათზე თავლიდან საშინელი ყვირილი მოისმა, გრიმოს უნდოდა გაელვიძებინა მეჯინიბეები, მაგრამ ისინიც წამოცვივდნენ და ცემა დაუწყეს.

ათოსმა და დ არტანიანმა ფანჯარა გამოაღეს და დაინახეს თავგატეხილი გრიმო. იგი გულწასული ეგდო, რკინის ორთითი ჩაეკრათ თავში.

პლანშემ ეზოში ჩაირბინა ცხენების შესაკაზმავად, მაგრამ მათი ბედაურები ადგილიდან ვერ იძვროდნენ, ისე იყვნენ დაქანცულები. მარტო მუშკეტონის ცხენი შეძლებდა გზის გაგრძელებას, რადგან გუშინ ხუთი-ექვსი საათის განმავლობაში უმხედროდ იარა. მაგრამ რაღაც წარმოუდგენელი შეცდომის გამო, მედუქნის ცხენის განსაკურნავად მოწვეულ ბეითალ-დასტაქარს, მედუქნის ცხენის მაგივრად, სისხლი მუშკეტონის ცხენისათვის გამოეშვა.

ავის მეტს არას მოასწავებდა ეს წვრილმანი გარემოებანი, რომლებიც, ადვილი შესაძლებელია, ბოროტი განზრახვის ნაყოფი იყო.

ათოსი და დ არტანიანი ოთახიდან გამოვიდნენ, პლანშე კი იმის გასაგებად გაიქცა, ხომ არსად იყიდებოდა სამი ცხენი. დუქნის კარებთან კარგად მოვლილი ორი ცხენი იდგა, შეკაზმული, დასვენებული. პლანშესათვის ეს ცხენებიც კმაროდა და ამიტომ მათი პატრონები იკითხა. უპასუხეს, რომ წუხელ ღამე აქ გაეტარებინათ და ახლა მასპინძელთან იყვნენ ანგარიშის გასასწორებლად.

ათოსიც მედუქნისაკენ წავიდა დანახარჯის გადასახდელად. დ არტანიანი და პლანშე ჭუჭის კარებთან იდგნენ. მედუქნე ერთ პატარა მიყრუებულ ოთახში იყო და ათოსსაც სთხოვეს, იქ ჩასულიყო.

ისე შევიდა მუშკეტერი, რომ არავითარი ეჭვი არ აღძვრია. ამოიღო ორი პისტოლი და მედუქნეს გაუწოდა. მედუქნე მარტო იჯდა თავის პატარა მაგიდასთან. ათოსისაგან მიღებული ფული ხელში შეატრიალა და უცბად შეჰყვირა:

— ყალბია ეს ფული! დაგაჭერინებთ თქვენცა და თქვენს ამხანაგებსაც, როგორც ყალბი ფულის მჭრელებს!

— ხომ არ გაგიუებულხარ, უბედურო? იქნება გინდა ყურები დაგაჭრა? — შეუტია ათოსმა და მედუქნისაკენ წაიწია.

ამ დროს ოთახის მეორე კარით თავით ფეხებამდე შეიარაღებული კაცები შემოვიდნენ და ათოსს მისცვივდნენ.

— მე აქ გამაბეს! — გასძახა ათოსმა ხმამაღლა დ არტანიანს და ორჯერ ზედიზედ გაისროლა დამბაჩა.

დ არტანიანისთვის საჭირო აღარ იყო ამ სიტყვების განმეორება, თვალის დახამხამების უმალ ისა და პლანშე კარებთან მიბმულ სხვის შეკაზმულ ცხენებს მოახტნენ და გააჭენეს.

— ხომ არ იცი, რა მოუვიდა ათოსს? — ჰკითხა დ არტანიანმა პლანშეს და თან ცხენს მიაჭენებდა.

— ეჰ, — ამოიოხრა პლანშემ, — ორი კაცი რომ წააქცია დამბაჩის ორი გასროლით, ის დავინახე, ხოლო დანარჩენებს, მგონი, ხმლით დაერია.

— ყოჩაღ, ათოს! — იძახდა დ არტანიანი, — ჩემი უბედურებაა, რომ იძულებული ვარ თავი დავანებო მეგობარს ამ გაჭირვებაში, თუმცა, შეიძლება ჩვენ ერთი-ორი ნაბიჯის შემდეგ უარესი მოგველოდეს, ააჩქარე შენი ცხენი, პლანშე, ააჩქარე! ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, ჩემო პლანშე.

— აკი მოგახსენეთ, ბატონო, გასაჭირში იჩენს თავს პიკარდიელი, გარდა ამისა, ჩემს პიკარდიაში ვარ და ესეც ძალიან მამხნევებს, — მიუგო პლანშემ.

დიდი სიჩქარით მიჰყავდათ ცხენები. სენტ-ომერში ჩასვლამდე არსად შეჩერებულან. აქ კი ცოტა ხნით დაასვენეს ცხენები, თვითონაც იქვე იდგნენ, აღვირი ხელში ეჭირათ, ეშინოდათ, კიდევ რაიმე მოულოდნელი ხიფათი არ დასტყდომოდათ თავს. შენაყრდნენ და ისევ გზას გაუდგნენ.

ასი ნაბიჯი ექნებოდათ კალემდე დარჩენილი, როდესაც დ არტანიანის ცხენი წაიქცა. ბევრს ეცადნენ, ყოველი ღონე იხმარეს, მაგრამ ვეღარ წამოაყენეს. ცხვირიდან და თვალებიდან სისხლი სდიოდა საწყალ ცხოველს. პლანშეს ცხენი ცოცხალი დარჩა. მაგრამ ისე დადგა, როგორც ოჩანი, ფეხი ვეღარ გადაადგმევინეს.

კიდევ კარგი, რომ სულ ასიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა ქალაქამდე. ცხენები იქვე, შარაგზაზე დატოვეს და ნავსადგურისაკენ სირბილით წავიდნენ.

პლანშემ დ არტანიანის ყურადღება მიაქცია ერთ კარგად ჩაცმულ კაცზე, რომელიც ის იყო მსახურთან ერთად მისულიყო და სულ ორმოცდაათი ნაბიჯით იქნებოდა მათზე წინ.

დ არტანიანი და პლანშე მაშინვე დაეწივნენ უცნობს, რომელიც, ეტყობოდა, ძალიან ჩქარობდა. წაღებზე მტვერი დასდებოდა. მან გემის პატრონს ჰკითხა, როგორ შეიძლებოდა სასწრაფოდ ინგლისში გადასულიყო.

— მაგაზე ადვილი რა იქნება, — უპასუხა გემის პატრონმა, — იალქნების გაშლის მეტი არაფერი აკლია, მაგრამ ამ დილას ბრძანება მივიღეთ, არავინ გადავიყვანოთ ინგლისში ბატონ კარდინალის საგანგებო ნებართვის გარეშე.

— მეც სწორედ ასეთი ნებართვა მაქვს, — მიუგო აზნაურმა და ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, — აი, ინებეთ.

— შეამოწმებინეთ ნავსადგურის უფროსს და შემდეგ მე მომმართეთ, ყველაფერი მზადა მაქვს.

— სად ვნახავ ნავსადგურის უფროსს?

— თავის სახლში.

– სად არის მისი სახლი?

– აქვე ახლოს, ქალაქგარეთ, აგერ, აქედანაც ჩანს, პატარა ქედის ძირში, ფიქალისსახურავიანი სახლი.

– ძალიან კარგი, – თქვა უცნობმა.

უცნობი თავისი მსახურით ნავსადგურის უფროსის სახლისკენ წავიდა. დ არტანიანი და პლანშეც ხუთასიოდე ნაბიჯის დაშორებით მიჰყვებოდნენ.

ქალაქიდან რომ გავიდნენ, დ არტანიანმა ფეხი ააჩქარა და უცნობს მაშინ დაეწია, როდესაც ის პატარა ტყეში შევიდა.

– როგორც გეტყობათ, ძალიან მიიჩქარით, ბატონო! – უთხრა დ არტანიანმა.

– ძალიან, ბატონო, ძალიან.

– დიდ ბოდიშს ვიხდი, ბატონო, მაგრამ ისე მეჩქარება, ისე, რომ იძულებული გახლავართ, პატარა დახმარება გთხოვოთ.

– რა დახმარება?!

– მე წინ გამიშვათ.

– შეუძლებელია, – მიუგო უცნობმა, – სამოცი ლიე გამოვიარე ორმოცდარვა საათში. ხვალ შუადღისას ლონდონში უნდა ვიყო.

– მეც იგივე გზა გამოვიარე, ოღონდ ორმოც საათში, და ხვალ დილის 10 საათზე ლონდონში უნდა ვიყო.

– ძალიან ვწუხვარ, ბატონო, მაგრამ პირველად მე მოვედი და მევე წავალ.

– მეც ძალიან ვწუხვარ, ბატონო, მართალია, მეორე მოვედი, მაგრამ უსათუოდ პირველი წავალ.

– მე მეფის მსახური ვარ.

– მე – ჩემი თავისა.

– ნეტავ რას ჩამაცივდით? გნებავთ, ჩხუბით გათავდეს ეს ჩვენი შეხვედრა?

– მაშ, რით უნდა გათავდეს?

– რა ვქნა, რა გინდათ ჩემგან?

– მაგის გაგება გნებავთ?

– დიახ, რა გინდათ ჩემგან?

– ჰო, მე ის ნებართვა მინდა, ჯიბეში რომ გიდევთ, რადგან მაგისი მსგავსი მე არაფერი მაქვს, ხოლო უმაგისოდ ვერ წავალ.

– ცხადია, თქვენ ხუმრობთ!

– რა დროს ხუმრობაა?

– გამატარეთ!

– ვერ გაივლით!

– ჩემი ბრალი არ იყოს, თავხედო ბიჭო, თავი რომ ჩაგიმტვრიო! ლუბენ, ჩემი დამბაჩები!

– პლანშე! შენ მსახურს მოუარე და ამას მე გავუსწორდები, – უთხრა დ არტანიანმა.

პლანშე ლუბენს ეცა, ღონიერმა და მკვირცხლმა სწრაფად დასცა მიწაზე პირაღმა და გულზე მუხლი დაადო.

– მაგას გაუსწორდით, ბატონო, – შესძახა პლანშემ, – მე ჩემი საქმე გავათავე.

ეს რომ დაინახა უცნობმა, ხმალი იშიშვლა და დ არტანიანს მივარდა, მაგრამ ისიც მზად დაუხვდა.

სამი წამის განმავლობაში სამგან დასჭრა დ არტანიანმა, თან ხმლის ყოველ დაკვრაზე დასძახებდა:

– ეს ათოსის, ეს კიდევ პორთოსის, ესეც არამისის მაგიერ!

ხმლის მესამე დარტყმამ უცნობი ძირს დასცა.

დ არტანიანმა გადაწყვიტა, რომ უკვე მკვდარი იყო მისი მოწინააღმდეგე. ანდა, ყოველ შემთხვევაში, გულშემოყრილი მაინც, მაგრამ სწორედ იმ წამს, როდესაც დ არტანიანი დაიხარა და ხელით ქაღალდის ძებნა დაიწყო, დაჭრილმა, რომელსაც ჯერაც ხელში ეჭირა ხმალი, გულში ჩაჰკრა და თან მიაძახა,

– ესეც თქვენწილად!

– ასე იყოს! უკანასკნელს ერგოს საუკეთესო! – შეჰყვირა გაშმაგებულმა დ არტანიანმა. ერთხელ კიდევ ეს უკვე მეოთხედ, ჩაჰკრა ხმალი მუცელში და მოწინააღმდეგე მიწას მიაკრა.

ახლა კი თვალები დახუჭა დაჭრილმა და გული წაუვიდა.

დ არტანიანმა ჯიბიდან სწრაფად ამოაცალა ნებართვა, რომელიც გრაფ დე ვარდის სახელზე იყო გაცემული.

მერე ერთხელ კიდევ გადახედა მიწაზე გაშოლტილ მშვენიერ ყმაწვილს, რომელიც ოცდახუთი წლისა ძლივს იქნებოდა... უპატრონოდ ტოვებდა ტყეში გულწასულს და იქნება მკვდარსაც. ღრმად ამოიოხრა, დაგმო ბედისწერა, ვისთვის ვიბრძვით? ვისთვის ვანთხევთ ამდენ სისხლს? ვისთვის ვხოცავთ ასე დაუნდობლად ერთმანეთს? იმ ადამიანების ინტერესებისათვის, რომლებიც უცხონი არიან ჩვენთვის. საფრთხეში ვიგდებთ თავს და მათ არც კი იციან ჩვენი არსებობის შესახებ.

მაგრამ მალე ეს ფიქრები შეაწყვეტინა ლუბენმა, რომელიც საშინლად ღმუოდა და მთელი ხმით გაჰყვიროდა, შველას ითხოვდა.

პლანშემ გასაჩუმებლად ხელი წაუჭირა ყელში.

– მანამ ასე მიჭირავს, ბატონო, დარწმუნებული ვარ, ხმას ვეღარ ამოიღებს, მაგრამ თუ ხელი გავუშვი, მაშინვე ყვირილს დაიწყებს. მგონი, ნორმანდიელი უნდა იყოს ეს ყმაწვილი. ნორმანდიელები ხომ განთქმულნი არიან ჯიუტობით?

პლანშე მართლაც ახრჩობდა და ის კი მაინც ყვირილს ცდილობდა.

– დამაცადე! – უთხრა დ არტანიანმა, ცხვირსახოცი ამოიღო და პირში ჩასჩარა.

– მოდით, ხეზე მივაბათ, – ურჩია პლანშემ.

თქმა და შესრულება ერთი იყო. ლუბენი ხეზე მაგრად მიაბეს. შემდეგ მის გვერდით გადმოათრიეს გრაფი დე ვარდიც. უკვე ღამდებოდა და, ცხადია, შეკრულიც და დაჭრილიც მეორე დღემდე ტყეში დარჩებოდნენ.

– ახლა კი ნავსადგურის უფროსი ვნახოთ, – თქვა დ არტანიანმა.

– მაგრამ, მგონი, დაჭრილი ბრძანდებით! – უთხრა პლანშემ;

– ეგ არაფერი! ჯერ საქმეს მივხედოთ და მერე მოვუაროთ ჩემს ჭრილობას, მგონი; საშიში არ უნდა იყოს.

ჩქარი ნაბიჯით წავიდნენ პატივცემული მოხელის სახლისაკენ.

ნავსადგურის უფროსს გრაფ დე ვარდის მისვლა მოახსენეს. მაშინვე შეიყვანეს დ არტანიანი.

– ბატონ კარდინალის მიერ ხელმოწერილი ნებართვა გექნებათ, ბატონო, – უთხრა ნავსადგურის უფროსმა.

– დიახ, ბატონო, ინებეთ, – გაუწოდა დ არტანიანმა.

– დიახ, სწორია, ყველაფერი წესისამებრაა შედგენილი; – მოუწონა უფროსმა.

– სხვანაირად არც შეიძლებოდა, – მიუგო დ არტანიანმა.

– როგორც ეტყობა, მის ყოვლადუწმინდესობას ნებავს, გზა შეუკრას ვიღაცას ინგლისში მიმავალს, – თქვა ნავსადგურის უფროსმა.

– დიახ, ვიღაც დ არტანიანს, ბეარნელ კეთილშობილს, რომელიც პარიზიდან სამი ამხანაგის თანხლებით წამოვიდა იმ განზრახვით, რომ ლონდონში ჩააღწიოს.

– პირადად თუ იცნობთ მას? –ჰკითხა უფროსმა.

– ვის, ბატონო?

– იმ დ არტანიანს!

– ძალიან კარგად.

– ამიწერეთ მისი გარეგნობა, თუ შეგიძლიათ.

– ადვილი საქმეა.

დ არტანიანმა დაწვრილებით აუწერა გრაფ დე ვარდის სახის ნაკვთები და ჩაცმულობა.

– თან ახლავს ვინმე?

– დიახ, თავისი მსახური, ლუბენი.

– თვალყურს დავიჭერთ თუ ხელში ჩაგვიცვივდნენ, დამშვიდებული ბრძანდებოდეს მისი ყოვლადუწმინდესობა, მაშინვე ხელფეხშეკრულს გავისტუმრებთ პარიზისაკენ.

– იცოდეთ, ძალიან დიდ წყალობასაც დაიმსახურებთ ბატონ კარდინალისაგან, – აღუთქვა დ არტანიანმა.

– დაბრუნებისას ალბათ ნახავთ მის ყოვლადუწმინდესობას?

– უეჭველად.

– თუ შეიძლება მოახსენეთ, რომ მისი უერთგულესი მონა გახლავართ.

– დიდი სიამოვნებით.

ამ დაპირებით აღტაცებულმა უფროსმა შეამოწმა ნებართვა და დ არტანიანს გადასცა.

ამაო ქათინაურს არ შეალია დ არტანიანმა ძვირფასი დრო, თავი დაუკრა, მადლობა გადაუხადა და ნავსადგურისაკენ გაეშურა. ნავსადგურის უფროსის სახლს რომ გასცილდნენ, სირბილით წავიდნენ დ არტანიანი და პლანშე, მხოლოდ შორი გზით მოუარეს, რომ ტყეში გავლა აეცდინათ.

გემი კვლავ წასასვლელად გამზადებული იდგა, ზღვის ნაპირზე ელოდა ხომალდის პატრონი.

– როგორ არის საქმე? – ჰკითხა დ არტანიანს.

– აი, ჩემი ნებართვა, უკვე დამოწმებულია, – უთხრა დ არტანიანმა.

– მეორე მგზავრი?

– ის დღეს არ მოდის, – უპასუხა დ არტანიანმა. – მაგრამ ფიქრი ნუ გაქვთ, მე გადავიხდი ორივეს მგზავრობის ფასს.

– მაშ, თუ ასეა, წავიდეთ.

– წავიდეთ.

დ არტანიანი და პლანშე ნავში ჩახტნენ და ხუთი წუთის შემდეგ გემზე იყვნენ.

სწორედ დროზე გაასწრეს. ნაპირს ნახევარი მილით რომ გაშორდნენ, კალეს ნავსადგურში ალი ავარდა, რომელსაც ზარბაზნის სროლის ხმაც მოჰყვა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ნავსადგური იკეტებოდა.

დრო იყო ჭრილობისთვისაც მიეხედა. დ არტანიანის საბედნიეროდ, ჭრილობა, როგორც თვითონვე ფიქრობდა, საშიში არ გამოდგა. ხმლის წვერი ნეკნის ძვალს დასტაკებოდა და ძვალზედვე გაცურებულიყო, გარდა ამისა, ჭრილობას პერანგი დაჰკვროდა და სისხლის დენა შეეწყვიტა.

ძალზე დაიქანცა დ არტანიანი, პლანშეს მიერ გემბანზე გაშლილ ნაალზე დაწვა და მკვდარივით ჩაეძინა. მხოლოდ მეორე დილით გაეღვიძა, გათენებისას. სამი-ოთხი მილის დაშორებით იყვნენ ინგლისის სანაპიროდან. მთელი ღამის განმავლობაში ნელი ქარი ქროდა და მძიმედ მიაქანებდა გემს.

დილის ათი საათი იყო, როდესაც გემმა ღუზა დუვრის ნავსადგურში ჩაუშვა.

თორმეტის ნახევარზე დ არტანიანმა ფეხი შედგა ინგლისის მიწაზე და დაიძახა:

– ძლივს! მოვედით!

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდი იყო. საჭირო იყო ლონდონში წასვლა. საბედნიეროდ, იმ დროს ინგლისში საკმაოდ კარგად მოძრაობდნენ საფოსტო ეტლები. დ არტანიანმა და პლანშემ იქირავეს ცხენები და ლონდონისაკენ გასწიეს, წინ ფოსტალიონი მიუძღოდათ. ოთხი საათის შედეგ უკვე ლონდონის კარს მიადგნენ.

ლონდონში არასოდეს ყოფილა დ არტანიანი და ინგლისურის ერთი სიტყვაც არ გაეგებოდა, მაგრამ ქაღალდზე დაწერა ლორდ ბუკინგამის გვარი და მაშინვე ასწავლეს ლორდის სასახლის გზა.

ბუკინგამი მეფესთან ერთად სანადიროდ წასულიყო უინძორში.

მაშინ დ არტანიანმა ბუკინგამის პირადი მსახური იკითხა. ეს მსახური ყოველ მგზავრობაში თან ახლდა თავის ბატონს და მშვენივრად ლაპარაკობდა ფრანგულს.

– პარიზიდან მოვდივარ, – უთხრა დ არტანიანმა, – ფრიად საჭირო საქმის გამო, რომელზედაც დამოკიდებულია ადამიანთა ბედი და ამიტომ საჩქაროდ მინდა ვნახო ჰერცოგი ბუკინგამი.

ისეთი გულწრფელობით ლაპარაკობდა დ არტანიანი, რომ მაშინვე დაიჯერა პატრიკმა (ასე უწოდებდნენ მინისტრის მსახურს). მან შეაკაზმვინა ორი ცხენი და თვითონვე წაუძღვა ბუკინგამის საძებნელად. რაც შეეხება პლანშეს, იგი ცოცხალმკვდარი ჩამოიღეს ცხენიდან: ისე მოქანცულიყო საწყალი, რომ ვეღარ იძვროდა.

უინძორის ციხე-დარბაზში დ არტანიანმა და პატრიკმა გაიგეს, რომ მეფე და ბუკინგამი ერთად ნადირობდნენ შავარდნებით იქვე ახლოს ჭაობში.

ოცი წუთი მოუნდა ჭაობამდე მისვლას. ცოტა ხნის შემდეგ პატრიკმა ყური მოჰკრა თავისი ბატონის ხმას, რომელიც შავარდენს უხმობდა.

— რა მოვახსენო ბატონ ჰერცოგს, თქვენი ვინაობა მიბრძანეთ, — უთხრა პატრიკმა.

— უთხარით, რომ მისი ნახვა სურს იმ ყმაწვილ კაცს, რომელმაც ერთ ღამეს ჩხუბი აუტეხა მას ახალ ხიდზე, სამარიტენის პირდაპირ.

— უცნაური დასახელებაა!

— თვითონვე ნახავთ, რომ სხვაზე უკეთესი იქნება.

პატრიკმა ბუკინგამისაკენ გააჭენა თავისი ცხენი და როდესაც მასთან მიაღწია, სიტყვასიტყვით მოახსენა დ არტანიანის დანაბარები.

ბუკინგამი იმწამსვე მიხვდა, ვინც კითხულობდა. მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც მეტად მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მომხდარიყო პარიზში.

დრო რომ არ დაჰკარგოდა, აღარაფერი ჰკითხა მსახურს, შემოჰკრა ცხენს მათრახი და პირდაპირ დ არტანიანთან მიიჭრა.

— ხომ მშვიდობით ბრძანდება დედოფალი? — შეჰყვირა ბუკინგამმა და ამ კითხვაში გამოიხატა მისი უსაზღვრო სიყვარული.

— დიახ, ბატონო, მაგრამ, თუ არ ვცდები, დიდი უბედურება მოელის და მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამ განსაცდელს გადაარჩინოთ.

— მხოლოდ მე? — შეჰყვირა ბუკინგამმა. — როგორ? ნუთუ იმდენად ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია განსაცდელს გადავარჩინო?!

— ინებეთ ეს წერილი, — მიართვა დ არტანიანმა.

— წერილი? ვისგან?

— რამდენადაც მე ვიცი, დედოფლისგანაა.

— დედოფლისაგან? —ჰკითხა განცვიფრებულმა ბუკინგამმა და ისე უეცრად ეცვალა ფერი, რომ დ არტანიანმა იფიქრა: სადაცაა გული წაუვა და წაიქცევაო.

ლორდმა ბეჭედი გატეხა.

— რად არის გახვრეტილი ეს წერილი? — ჰკითხა დ არტანიანს და გახეულ ქაღალდზე აჩვენა.

— ვაიმე, — უპასუხა დ არტანიანმა, — ეს კი ვეღარ შევამჩნიე, ბატონო, ეს გრაფ დე ვარდის ხმლის წვერი იქნება, მე დამჭრა და ჩემთან ერთად ეგეც გაუხვრეტია.

— მაშ, დაჭრილი ხართ? — ჰკითხა ბუკინგამმა და თან წერილი გაშალა.

— არაფერია, ბატონო, ცოტათი გამკაწრა, — უპასუხა დ არტანიანმა.

— ჰოი, ზეცაო! ეს რა წავიკითხე! — შეჰყვირა ბუკინგამმა, — პატრიკ, აქ დარჩი. არა, უმჯობესია, მოძებნე მეფე და მოახსენე მის ყოვლადუდიდებულესობას, რომ უმორჩილესად ვემუდარები, შემინდოს, რადგან მეტად მნიშვნელოვანი საქმის გამო იძულებული ვარ, დაუყოვნებლივ ლონდონს დავბრუნდე. აბა წამოდით, ბატონო, წამოდით! — და მაშინვე ლონდონისკენ გაქუსლეს.

XXI

ქალბატონი უინტერი

გზაში ბუკინგამმა დაწვრილებით აამბობინა დ არტანიანს ყველაფერი, რაც კი გასკონელმა იცოდა. ჰერცოგმა შეადარა ყმაწვილი კაცის ნათქვამი იმას, რაც თვითონვე აღადგინა მეხსიერებაში, და შეექმნა საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა საშინელ

მდგომარეობაზე, რომელსაც თვით დედოფლის წერილიდანაც კარგად გრძნობდა, თუმცა ბარათი მეტად მოკლე და გაურკვეველი იყო, განცვიფრებული დარჩა ბუკინგამი. გაკვირვებული იყო დ არტანიანის სიყოჩაღით, მან კარგად იცოდა, რომ კარდინალი ყოველ ღონეს იხმარდა, რათა ინგლისის მიწაზე არავითარ შემთხვევაში ფეხი არ შეედგა დედოფლის მოციქულს. ლორდი ვერ მალავდა თავის განცვიფრებას, დ არტანიანიმა შეამჩნია ეს და დააკმაყოფილა მისი ცნობისმოყვარეობა; დაწვრილებით უამბო, როგორი სიფრთხილით იყო მოწყობილი მისი წამოსვლა, რა თავდადებით დაეხმარა ამ გაჭირვებაში სამი მეგობარი, რომლებიც დაჭრილები მიატოვა გზაზე უპატრონოდ, რომ მოვალეობა შეესრულებინა. თვითონ კი მხოლოდ ერთი პატარა ჭრილობა მიიღო მტრისაგან, რომლის ხმალმა დედოფლის წერილიც კი გახვრიტა. უბრალოდ და დამაჯერებლად აუწერა ჩვენმა გასკონელმა გრაფ დე ვარდთან შებრძოლების სურათი.

ბუკინგამი ყურადღებით უსმენდა, დროდადრო გაკვირვებით დააცქერდებოდა ხოლმე დ არტანიანის გულუბრყვილო სახეს. ალბათ აცვიფრებდა ამ ახალგაზრდა, ოცი წლის ყმაწვილის სიფრთხილე, მამაცობა და თავგანწირვა.

გრიგალივით მიჰქროდნენ ცხენები, მალე ჰერცოგი და მისი სტუმარი ლონდონის ჭიშკარს მიადგნენ. დ არტანიანს ეგონა, რომ ქალაქში ბუკინგამი შეანელებდა სვლას, მაგრამ დიდებულ ლორდს აზრადაც არ მოსვლია მორიდებოდა გამვლელ-გამომვლელს, და ისე მიაჭენებდა, თითქოს ტრიალ მინდორში ყოფილიყოს. ჰერცოგის ცხენმა ორი თუ სამი კაცი წააქცია კიდეც, მაგრამ ბუკინგამმა უკან არც კი მიიხედა და დ არტანიანიც არ ჩამორჩა ჰერცოგს, ხალხის ყვირილში და წყევლა-კრულვაში მოუხდათ გავლა ჩვენს ცხენოსნებს.

თავისი სასახლის ეზოში შესვლისთანავე ბუკინგამი ჩამოხტა ცხენიდან, აღვირი მიაგდო და კიბისაკენ გაიქცა. დ არტანიანმაც მას მიბაძა, თუმცა ძალიან წუხდა. ვერ წარმოედგინა უპატრონოდ მიტოვება ასეთი მშვენიერი და თანაც გაოფლილი რაშებისა, რომელთა ძვირფასი ღირებულება მან უკვე შეაფასა. მაგრამ მალე დამშვიდდა, რადგან სამი-ოთხი ბიჭი გამოვარდა თავლიდან და ტარება დაუწყეს ცხენებს.

ისეთი სიჩქარით მიდიოდა ბუკინგამი, რომ ძლივს მისდევდა დ არტანიანი. მათ გაიარეს რამდენიმე დარბაზი, ისე მორთული და მოწყობილი, რომ საფრანგეთში უპირველესი დიდებულიც ვერ წარმოიდგენდა. ბოლოს საწოლ ოთახში შევიდნენ, რომელიც გემოვნებისა და სიმდიდრის განხორციელებულ საკვირველებას წარმოადგენდა. ამ საწოლი ოთახის ერთ-ერთ კედელში ფარდებით დაფარულ კართან მივიდა ლორდი, ყელზე ოქროს ძეწკვით ჩამოკიდებული პატარა გასაღებით კარი გააღო, დ არტანიანი მორიდებით უკან დარჩა და ბრძანებას ელოდებოდა. ბუკინგამი მოტრიალდა და კარებში გაუბედავად გაჩერებული ყმაწვილი ოთახში შეიწვია.

– მობრძანდით, თუ ბედმა გაგიღიმათ და დედოფლის ნახვა გეღირსათ, მოახსენეთ, რაც აქ ნახეთ.

ამ სიტყვებით გამხნევებული დ არტანიანი ოთახში შევიდა, ლორდმა კარი მოხურა.

ოქრომკედით მოქარგულ, სპარსული აბრეშუმით მოფენილ პატარა სამლოცველოში იყვნენ ჰერცოგი და ჩვენი გმირი. მრავალი ანთებული სანთელი მზესავით ანათებდა იქაურობას, ლურჯი ხავერდით მორთულ საკურთხევლისმაგვარ მოწყობილობაზე ზემოდან ამართული იყო საფრანგეთის დედოფლის პორტრეტი, მთელი ტანით. იგი იმდენად კარგად იყო შესრულებული, რომ დ არტნიანმა აღტაცება ვერ შეიკავა. შეჰყურებდა და ელოდა, როდის ამოიღებდა ხმას დედოფალი.

საკურთხეველზე, პორტრეტის წინ, პატარა კოლოფი იდო, რომელშიაც ბრილიანტის ბურნუკები ელაგა.

ბუკინგამი საკურთხეველთან მივიდა, მუხლი მოიყარა და კოლოფი გააღო.

– აი, ხედავთ? – მიმართა დ არტანიანს და კოლოფიდან ძვირფასი ბრილიანტებით შემკული ყელსაკიდი ამოიღო. – აი, ეს ძვირფასი ბურნუკები, ფიცი მაქვს დადებული, თან უნდა ჩამეტანა ჩემს აკლდამაში. დედოფალმა მიწყალობა და დედოფალივე მართმევს, იყოს ნება მისი!

მერე კოცნა დაუწყო თითოეული ბრილიანტის თვალს და ცალ-ცალკე მწუხარებით ეთხოვებოდა მათ. უცებ საშინლად შეჰყვირა:

— რა დაგემართათ, მილორდ? რა მოხდა? — შეეკითხა გულგახეთქილი დ არტანიანი.

— დავიღუპე და დედოფალსაც ვღუპავ! — შეჰყვირა ბუკინგამმა და მკვდრის ფერი დაედო, — ორი ბურნუკი მაკლია, ათია თორმეტის ნაცვლად!

— ალბათ დაკარგეთ სადმე, მილორდ. ან იქნება მოგპარათ ვინმემ?

— მომპარეს, მომპარეს, გარწმუნებთ, ეს კარდინალის ოინია. აი, შეხედეთ, მაკრატლით არის შეჭრილი ის ბაფთი, რომელზედაც ორი ბრილიანტი ეკიდა.

— იქნებ ეჭვი გაქვთ ვინმეზე, იქნებ ჯერ ისევ მის ხელშია ნაქურდალი.

— მოითმინეთ, მოითმინეთ! — შეჰყვირა ჰერცოგმა, — მხოლოდ ერთხელ გავიკეთე ეს ბურნუკები, მხოლოდ ერთხელ. დიახ, მეფესთან ვიყავი უინძორში, დიდი მეჯლისი ჰქონდა, ეს იყო სწორედ რვა დღის წინათ. ქალბატონი უინტერიც იქ იყო. მე მას ხმას არ ვცემდი, მაგრამ იმ მეჯლისში მომიახლოვდა და გამომელაპარაკა... შერიგება კი არა, ეჭვით გაგიჟებული ქალის შურისძიება იყო. მას შემდეგ აღარსად მინახავს ის ქალბატონი. ის კი ვიცი, რომ ეს ქალი კარდინალის ერთგული ჯაშუშია.

— მაშ, კარდინალს ყველაგანა ჰყავს აგენტები და ჯაშუშები? — ჰკითხა გაკვირვებულმა დ არტანიანმა.

— ყველგან, ყველგან! — მიუგო ბუკინგამმა, რომელიც სიბრაზისაგან კბილებს აკრაჭუნებდა, — დიახ, საშინელია მისი მტრობა! მაგრამ თქვენ ეს მითხარით, როდისთვის აპირებენ ამ მეჯლისის მოწყობას?

— მომავალი ორშაბათისათვის, ბატონო.

— მომავალი ორშაბათისათვის? მაშ, ხუთი დღე კიდევ გვქონია. მაგდენი არც კი დაგვჭირდება. პატრიკ! — გასძახა ბუკინგამმა თავის ერთგულ მსახურს და კარი გააღო, — პატრიკ!

პატრიკი მაშინვე წინ გამოეჭიმა.

— ჩემი ოქრომჭედელი და მდივანი! ჩქარა!

მსახური სწრაფად, ხმისამოუღებლად გავიდა, რაც ცხადად ამტკიცებდა, რომ უკვე მიჩვეული იყო ბრმად, მაგრამ პირნათლად აესრულებინა თავისი ბატონის ყოველი ბრძანება.

პირველად ოქრომჭედელი მოითხოვა ჰერცოგმა, მაგრამ მდივანმა დაასწრო გამოცხადება, რადგან ის იქვე, სასახლეში ცხოვრობდა. ბუკინგამი ამ დროს თავის საწოლ ოთახში მაგიდას მისჯდომოდა და რაღაც ბრძანებებს წერდა.

— ბატონო ჯეკსონ, — მიმართა მან მდივანს, — ახლავე გასწიეთ ლორდ კანცლერთან და მოახსენეთ, რომ მე ვავალებ ამ ბრძანების შესრულებას პირადად მას. ბრძანება ახლავე გამოაქვეყნოს.

— მაგრამ, თქვენო ბრწყინვალებავ, კანცლერმა რომ მკითხოს ასეთი მკაცრი ღონისძიების მიზეზი, რა პასუხი გავცე?

— მოახსენეთ, რომ ასე მსურს და არავის ვაძლევ ჩემი სურვილის განმარტებას.

— ნებას მისცემთ კანცლერს, რომ ასეთივე პასუხი გასცეს მის ყოვლადუდიდებულესობას? შეიძლება მეფემ მოისურვოს იმის გაგება, თუ რატომ არ შეუძლია არც ერთ გემს გავიდეს ინგლისის ნავსადგურებიდან? რამ გამოიწვია ეს ბრძანება?

— მართალი ხართ, ბატონო, — უპასუხა ბუკინგამმა, — მაშინ კანცლერმა მოახსენოს მეფეს, რომ მე გადაწყვეტილი მაქვს, ომი გამოვუცხადო საფრანგეთს, და ეს ბრძანება არის ჩემი პირველი იერიში მტრის დასასუტებლად.

მდივანმა თავი დაუკრა და გავიდა.

— ამ მხრივ დამშვიდებულნი ვართ, — მიუბრუნდა ბუკინგამი დ არტანიანს. — თუ ჯერ საფრანგეთისკენ არ წასულა მოპარული ბურნუკები, ისინი მხოლოდ თქვენს შემდეგ მივა.

— როგორ, ბატონო?

— აი, ახლა მდივანმა წაიღო ბრძანება, რომლის ძალითაც აკრძალული აქვს ყველა გემს, რომელიც კი ამჟამად მისი ყოვლადუდიდებულესობის ნავსადგურში იმყოფება,

ნავსადგურიდან გავიდეს. არავის არა აქვს უფლება წყლიდან ამოიღოს ღუზა, თუ განსაკუთრებული ნებართვა არ იქნება.

დ არტანიანი განცვიფრებული შეჰყურებდა ამ კაცს, მეფის მიერ უსაზღვრო ნდობითა და უფლებებით აღჭურვილს, რომელიც ამ უფლებას თავისი სიყვარულის სამსახურს ახმარდა. ყმაწვილი კაცის სახის გამომეტყველებამ ბუკინგამი მიახვედრა, რას ფიქრობდა დ არტანიანი, და გაეცინა.

– დიახ, ბატონო, დიახ! უნდა იცოდეთ, ჩემი ნამდვილი მბრძანებელი საფრანგეთის დედოფალი ანა ავსტრიელია, მისი ერთი სიტყვა კმარა იმისათვის, რომ ჩემს სამშობლოსა და ჩემს მეფეს ვუღალატო. დედოფალმა მთხოვა, არ დავხმარებოდი ლარუშელელ პროტესტანტებს, თუმცა შევფიცე იმ უბედურთ და აღვუთქვი დახმარება, მაგრამ დედოფლის თხოვნამ ფიციც და დაპირებაც გამატეხინა. ვუმტყუნე ჩემს სიტყვას, მაგრამ რა მენაღვლება, თუკი ამით დედოფლის სურვილს ავასრულებ? მითხარით, განა უხვად არა ვარ დაჯილდოებული ჩემი მორჩილებისათვის? ამ მორჩილების წყალობით დავიმსახურე დედოფლის პორტრეტი.

დ არტანიანს უკვირდა, რომ ხშირად ასეთ წვრილ და უცნაურ ძაფზე ჰკიდია ხალხის ბედი.

ამ ფიქრებში იყო გართული დ არტანიანი, როდესაც ოქრომჭედელი შემოვიდა, იგი წარმოშობით ირლანდიელი იყო, მეტად დახელოვნებული თავის საქმეში და თვითონვე აღიარებდა, რომ წელიწადში ასიათასობით გირვანქა სტერლინგს იღებდა ჰერცოგ ბუკინგამისაგან.

– ბატონო ო რეილ! – მიმართა მას ბუკინგამმა და სამლოცველოში შეიყვანა, – აბა, გასინჯეთ ეს ბრილიანტის ბურნუკები და მითხარით, რა უნდა ღირდეს თითო?

ოქრომჭედელმა თვალი გადაავლო ძვირფას სამკაულს, ცალკეულად შეაფასა თითოეული და დაბეჯითებით მოახსენა:

– ათას ხუთასი პისტოლი თითო.

– რამდენი დღე დაგჭირდებათ ორი ასეთი ბრილიანტის თვალის გამოსაკვეთად. ხომ ხედავთ, ორი აკლია?

– რვა დღე, მილორდ!

– სამი ათას პისტოლს მოგცემთ თითოში, თუ ზეგისთვის დაამზადებთ.

– ბატონი ბრძანდებით, მილორდ.

– ძვირფასი კაცი ხართ, ბატონო ო'რეილ! მხოლოდ გაფრთხილებთ, რომ მე ამ ბურნუკებს ვერავის ვანდობ და ამიტომ აქვე, ჩემს სასახლეში უნდა გამიკეთოთ.

– შეუძლებელი იქნება, მილორდ, მარტო მე შემიძლია ისე გავაკეთო ეს ბურნუკები, რომ არაფრით განირჩეოდეს ძველი და ახალი.

– თუ აგრეა, ჩემო კეთილო ბატონო, იცოდეთ, ჩემი პატიმარი ხართ და აქედან ფეხს ვერ მოიცვლით, ძალიანაც რომ გნებავდეთ, აქ მოაგვარეთ თქვენი საქმე. დამისახელეთ თქვენთვის საჭირო ოსტატები, თქვით, რა ხელსაწყოები წამოიღონ.

ოქრომჭედელი კარგად იცნობდა ბუკინგამს, იცოდა, ამაოდ ჩაუვლიდა ყოველგვარი მტკიცება, და დაემორჩილა.

– ნებას მიბოძებთ, ვაცნობო ჩემს მეუღლეს? – მიმართა მან ბუკინგამს.

– ოჰ, არამცთუ აცნობოთ, თუ მოისურვებთ, შეგიძლით ნახოთ კიდეც, ჩემო კარგო ბატონო ო,'რეილ! დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ტაბილი იქნება თქვენი პატიმრობა, ყოველი შეწუხება მოითხოვს ანაზღაურებას. აი, ამ ორი ბურნუკის ფასის გარდა, ათასი პისტოლი სხვა ინებეთ თქვენი თავისუფლების აღკვეთის დასავიწყებლად.

გაშტერებული შესცქეროდა ბუკინგამს დ არტანიანი, ვერ წარმოედგინა, რომ მინისტრი ასე თავის ნებაზე ათამაშებდა ხალხს და მილიონებს.

რაც შეეხება ოქრომჭედელს, მან მაშინვე მისწერა წერილი თავის ცოლს, შიგ ბარათი ჩადო ათასი პისტოლის მისაღებად. სამაგიეროდ, სთხოვდა, გამოეგზავნა მისი საუკეთესო შეგირდი და ბრილიანტის თვლები, რომლების წონასა და ნიშნებს დაწვრილებით ატყობინებდა. ამ წერილს თან დურთო საჭირო იარაღების მთელი სია.

ბუკინგამმა ცალკე ოთახში შეიყვანა ოქრომჭედელი და ნახევარი საათის განმავლობაში ეს ოთახი ოქრომჭედლის სახელოსნოდ გარდაქმნა. ამ სახელოსნოს ყოველ კართან ჰერცოგმა გუშაგები დააყენა. არავის შეეძლო შესვლა ოქრომჭედელთან, მისი პატრიკის გარდა. ზედმეტი იქნება აქ იმის გახსენება, რომ სასტიკად აუკრძალა ოქრომჭედელს და მის შეგირდს ოთახიდან სადმე გასვლა.

ბურნუკების საქმე რომ მოაგვარა, ჰერცოგი ისევ დ არტანიანს მიუბრუნდა.

– ახლა, ჩემო ყმაწვილო მეგობარო, ჩემი და თქვენია მთელი ინგლისი, აბა, რას ინებებთ? რა გსურთ? მითხარით!

– ერთი ლოგინი, – მიუგო დ არტანიანმა, – უნდა გამოგიტყდეთ, ამ წამს ძილი ყველაფერს მირჩევნია.

ბუკინგამმა თავისი ოთახის გვერდით მოათავსა დ არტანიანი, ცდილობდა, ახლო ჰყოლოდა ყმაწვილი კაცი, უნდობლობის გამო კი არა, იმისათვის, რომ შესძლებოდა დედოფლის შესახებ ებაასა.

ერთი საათის შემდეგ სახალხოდ გამოაცხადეს ლონდონში ბრძანება, რომ ნავსადგურიდან არც ერთი გემი არ გაეშვათ საფრანგეთის მიმართულებით, თუნდ მარტო წერილებით ყოფილიყო დატვირთული.

ნათელი შეიქნა, რომ ამგვარი ბრძანების გაცემა ომიანობას მოასწავებდა, ინგლისი ომს უცხადებდა საფრანგეთს.

მეორე დღეს, თერთმეტ საათზე, ოქრომჭედელს უკვე მზად ჰქონდა ბრილიანტის ორი ბურნუკი. ისე მშვენივრად, ისე საკვირვლად მიმსგავსებული ძველებთან, რომ თვითონ ჰერცოგმაც ვერ შეძლო მათი გარჩევა.

ბუკინგამმა მაშინვე დაიბარა დ არტანიანი.

– ნახეთ, – უთხრა ყმაწვილ კაცს, – აი, ბრილიანტის ბურნუკები, რომლის წასაღებად ლონდონში მოხვედით, და იყავით ჩემი მოწმე, რომ რაც ადამიანის ძალას შეეძლო, გავაკეთე.

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მილორდ, რაც კი ვნახე, ყველაფერს მოვახსენებ. მაგრამ ეს მიბრძანეთ: უკოლოფოდ მატანთ ამ ბურნუკებს?

– კოლოფი ხელს შეგიშლით მგზავრობაში. გარდა ამისა, სხვა არაფერი მრჩება და მით უფრო ძვირფასია ჩემთვის ეს კოლოფი, მოახსენეთ, რომ სახსოვრად ვიტოვებ.

– სიტყვასიტყვით ავასრულებ თქვენს ბრძანებას.

– ახლა ეს მითხარით, – განაგრძო ბუკინგამმა და ყმაწვილ კაცს დააცქერდა, – რით გადაგიხადოთ სამაგიერო?

დ არტანიანს სისხლი აუვარდა თავში და თვალები გაუწითლდა, გრძნობდა, რომ ლორდი, მადლობის ნიშნად, რაიმე ნივთით დასაჩუქრებას უპირებდა. იმის ფიქრმა, რომ ინგლისური ოქროთი ცდილობდნენ მისი და მისი მეგობრების დაღვრილი სისხლის ანაზღაურებას, საშინელი სიძულვილი გამოიწვია მასში.

– შევთანხმდეთ, მილორდ, – ახლავე კარგად გავითვალისწინოთ ყველა გარემოება, რომ არავითარი შეცდომა არ დავუშვათ. მე საფრანგეთის მეფის და დედოფლის სამსახურში გახლავართ. რაზმელი ვარ ბატონ დე ზესარისა, რომელიც, მისი ქვისლის, ბატონ დე ტრევილის მსგავსად, სულით ხორცამდე ერთგულია მისი ყოვლადუდიდებულესობისა. მეც, როგორც მათმა მსახურმა, ვეცადე, რამდენადაც კი შემეძლო, ყველაფერი გამეკეთებინა ჩემი დედოფლისათვის, უფრო მეტიც, შეიძლება ასე არ დამედო თავი, რომ ეს არ ყოფილიყო სურვილი იმ ქალისა, რომელიც ჩემთვის ისეთივე სალოცავი ხატია, როგორც თქვენთვის – დედოფალი, - მიუგო გასკონელმა.

– დიახ, – თქვა ბუკინგამმა და გაიღიმა, – მგონი, უნდა ვიცნობდე კიდეც იმ თქვენს სალოცავს... ეს ხომ...

– მე მისი სახელი არ მომიხსენებია, მილორდ, – შეაწყვეტინა მკვირცხლად დ არტანიანმა.

– მართალი ხართ, – დაეთანხმა ბუკინგამი, – მაშ, იმ ქალის მადლობელი უნდა ვიყო, რომ ასეთი გმირობა გამოიჩინეთ?

– სწორედ ასეა, თქვენო ბრწყინვალებავ. დღეს თქვენ იწყებთ ომს საფრანგეთის წინააღმდეგ და გულწრფელად მინდა ვაღიარო, რომ თქვენში მე მარტო ინგლისელს ვხედავ, ჩემი ქვეყნის მტერს, რომელსაც უფრო დიდი აღტაცებით შევხვდები ბრძოლის ველზე, ვიდრე უინძორის პარკში ან ლუვრის სასახლის დერეფნებში, მაგრამ რაც უნდა ავი დამოკიდებულება იყოს ჩვენს სამეფოთა შორის, მე მაინც გულწმინდად ავასრულებ ჩემს დავალებას ჩვენი სალოცავების წინაშე, სიცოცხლესაც არ დავიშურებ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. ოღონდ, გიმეორებთ, პირადად თქვენთვის მე დიდი სამსახური არაფერი გამიწევია და არც იმდენი მადლობის ღირსი გახლავართ, რასაც თქვენ მიძღვნით. იგივე ითქმის ჩვენი პირველი შეხვედრის შესახებაც: იქაც იმის გულის მოგებას ვცდილობდი და თურმე თქვენ გეხმარებოდით.

– ჩვენში ხშირად ამბობენ: შოტლანდიელივით ამაყიაო, – წარმოთქვა ჩუმი ხმით ბუკინგამმა.

– ჩვენში კი ხშირად იტყვიან, გასკონელივით ამაყიაო. საფრანგეთის შოტლანდია გასკონია გახლავთ, – უპასუხა დ არტანიანმა.

დ არტანიანმა თავი დაუკრა და წასასვლელად გაემზადა.

– როგორ, მიდიხართ კიდეც? საით? როგორ გახვალთ ინგლისიდან? რა გზით?

– ეს მართალი ბრძანეთ, მაგაზე არც მიფიქრია.

– აჰა, ღმერთო! ფრანგებს არაფერი შეაწუხებთ!

– დამავიწყდა, ბატონო, რომ ინგლისი კუნძულზეა და თქვენ ბრძანდებით ამ კუნძულის მეფე.

– მიდით ნავსადგურში, იკითხეთ გემი „სუნდი“ და ეს წერილი გადაეცით მის კაპიტანს. ის თქვენ პატარა ნავსადგურში მიგიყვანთ, სადაც, ცხადია, თქვენ არავინ გელოდებათ, იმ ნავსადგურში მხოლოდ მეთევზეთა გემები ჩერდება.

– რა ჰქვია მაგ პატარა ნავსადგურს?

– სენ-ვალერი... მაგრამ მოითმინეთ, მე არ დამიმთავრებია. იქ შეხვალთ ერთ უბრალო დუქანში, რომელსაც არც სახელწოდება აქვს და არც რაიმე ნიშანი, მეზღვაურთა ნამდვილი ბუნაგია. ნუ გეშინიათ, არ შეგეშლებათ. იმის გარდა, იქ სხვა დუქანი არსად არის.

– შემდეგ?

– დუქნის პატრონს იკითხავთ და ეტყვით: „ ორწარდ“.

– რას ნიშნავს ეს?

– „წინ“ ეს იქნება ნიშანი. ისინი მაშინვე გამოგიყვანენ შეკაზმულ ცხენს და გზასაც გასწავლიან. გზაზე კიდევ ოთხ შეკაზმულ რაშს დაგახვედრებენ, თუ გნებავთ, ოთხგანვე თქვენი მისამართი დაუტოვეთ და პარიზში მოგგვრიან იმ ცხენებს, ორ ბედაურს უკვე იცნობთ, და თუ არა ვცდები, ძალიანაც მოგეწონათ. ეს ის ცხენებია, რომლებითაც ჩვენ ვიმგზავრეთ, ფიქრი ნუ გექნებათ, ეს ორიც არაფრით ჩამოუვარდება თქვენ მიერ მოწონებულს. სალაშქროდ არის მოკაზმული ოთხივე, ძალიან ამპარტავანიც რომ იყოთ, მეგობარო, იმედი მაქვს, თქვენად მიიღებთ ერთს, ხოლო დანარჩენი, სთხოვეთ, თქვენმა მეგობრებმა მიიღონ. გამოგადგებათ კიდეც ინგლისის წინააღმდეგ ომში, „მიზანი ამართლებს საშუალებას“. სულ ამას არ იძახით ფრანგები?

– დიახ, მილორდ, გმადლობთ. ღმერთია მოწყალე, კარგად გამოვიყენებთ თქვენს საჩუქარს.

– ახლა კი თქვენი ხელი, ჩემო მეგობარო! იქნება კიდეც შევხვდეთ ერთმანეთს ბრძოლის ველზე, მაგრამ მანამდე კი იმედი მაქვს, გულითად მეგობრებად გამოვეთხოვებით ერთმანეთს.

– დიახ, მილორდ, ოღონდ იმ იმედით, რომ ხვალ-ზეგ მტრებად შევხვდებით.

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, პირობას გაძლევთ.

– იმედია, სიტყვას არ გატეხთ, მილორდ!

დ არტანიანმა თავი დაუკრა და სწრაფი ნაბიჯით სასახლიდან გავიდა.

ლონდონის ციხის პირდაპირ მან იპოვა დანიშნული გემი, წერილი კაპიტანს გადასცა, მან ნავსადგურის უფროსს შეამოწმებინა და მაშინვე გემის იალქნები გაშალა.

ორმოცდაათი გემი იდგა წასასვლელად გამზადებული და ბრძანებას ელოდა.

დ არტანიანის გემმა „სუნდმა“ გვერდით გაუარა ერთ-ერთ იმ გემს, რომლის გემბანზე მდგომი ქალი დ არტანიანმა მენგში ნანახ მილედის მიამსგავსა. ჩქარი მდინარება და ზურგის ქარი ისეთი სისწრაფით მიაქანებდა ხომალდს, რომ მან ერთ წუთში დაკარგა მხედველობიდან ქალიც და გემიც.

მეორე დღეს, დილის ცხრა საათზე „სუნდი“ სენ-ვალერის ნაპირს მიადგა.

დ არტანიანმა მაშინვე მითითებულ დუქანს მიაშურა და ადვილად იცნო საშინელი ხმაურისა და ღრიანცელის მეოხებით, რომელიც იქიდან გამოდიოდა.

აქ მეზღვაურები ქეიფობდნენ. ინგლისისა და საფრანგეთის მომავალ ომზე ლაპარაკობდნენ.

დ არტანიანი მასპინძელთან მივიდა და ჩუმად უთხრა: სიტყვა – „ორწარდ“. მასპინძელმა ანიშნა, გამომყევიო. ისინი, ეზოს გავლით, თავლაში შევიდნენ, სადაც შეკაზმული ცხენი ელოდებოდათ. მასპინძელმა ჰკითხა, სხვა ხომ არაფერი გჭირდებაო.

– გზა არ ვიცი და ძალიან დამავალებთ, თუ მასწავლით, – სთხოვა დ არტანიანმა.

– აქედან ბლანჟში მიბრძანდით. იქიდან ნეფშატელში. ნეფშატელში „ოქროს ფარცხის“ სასტუმროში შედით და სასტუმროს პატრონს ის სიტყვა უთხარით, რომელიც აქ გამოიყენეთ. იქაც ისევე, როგორც აქ, საგანგებოდ შეკაზმული ცხენი დაგხვდებათ.

– რამდენი უნდა მოგართვათ? – ჰკითხა დ არტანიანმა,

– ფული მიღებული მაქვს, ბატონო, და საკმაოდ უხვადაც, – უპასუხა მედუქნემ. – მიბრძანდით და ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

– ამინ! – მიუგო დ არტანიანმა და გაქუსლა.

ოთხი საათის შემდეგ იგი უკვე ნეფშატელში იყო. ზუსტად იცავდა მიღებულ დარიგებას. აქაც, როგორც სენ-ვალერში, შეკაზმული ცხენი მოჰგვარეს. დ არტანიანმა გადაწყვიტა, დამბაჩები გადმოეღო იმ ცხენის უნაგირიდან, რომლითაც მოვიდა, მაგრამ აღარ დასჭირდა, ნეფშატელში დახვედრილი ცხენის უნაგირის ბუდეებიც დამბაჩებით იყო ავსებული.

– თქვენი მისამართი?

– გვარდიის სასახლე, დე ზესარის რაზმი.

– ძალიან კარგი.

– რა გზით ვიარო? – ჰკითხა დ არტანიანმა..

– რუანის გზით მიბრძანდით, ოღონდ მხარმარჯვნივ დატოვეთ ქალაქი, პატარა სოფელ ეკუისთან გაჩერდით. ამ სოფელში მხოლოდ ერთადერთი სასტუმროა – „ფარი საფრანგეთისა“, ნუ იმსჯელებთ მასზე მისი გარეგნობის მიხედვით. იქ თავლაში დაგხვდებათ ბედაური, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება თქვენსას.

– ნიშანი იგივე სიტყვაა?

– უსათუოდ!

– გმადლობთ, მშვიდობით!

– მშვიდობით, ბატონო. სხვა ხომ არა გნებათ რა?

დ არტანიანმა თავი გააქნია უარის ნიშნად და ცხენს მათრახი გადაჰკრა. ეკუიში იგივე განმეორდა, იქაც დახვდა ზრდილი და თავაზიანი მასპინძელი, რომელმაც საუკეთესო შეკაზმული და დასვენებული ცხენი მიჰგვარა, მათაც დაუტოვა თავისი მისამართი და ახლა პონტუაზისაკენ გასწია. პონტუაზში უკანასკნელად შეიცვალა ცხენი და ცხრა საათი სრულდებოდა, როდესაც ჩვენმა გმირმა ბატონ დე ტრევილის სასახლის ეზოში შეაჭენა თავისი რაში.

თორმეტი საათის განმავლობაში გამოიარა თითქმის სამოცი ლიე.

ბატონმა დე ტრევილმა ისე მიიღო გასკონელი, თითქოს იმ დილას გამოსთხოვებოდა, მხოლოდ ხელი ცოტა მეტი თანაგრძნობით ჩამოართვა, ვიდრე ჩვეულებრივ იცოდა, და უთხრა, ბატონ დე ზესარის რაზმი ლუვრის სასახლეში არის სადარაჯოდ და შეგიძლია შენი ადგილი დაიჭიროო.

XXII

მერლეზონის ბალეტი

მეორე დღეს მთელი პარიზი იმ მეჯლისზე მსჯელობდა, რომელსაც ქალაქის მმართველნი დედოფლისა და მეფის პატივსაცემად მართავდნენ. მეჯლისზე მეფე-დედოფალს უნდა შეესრულებინათ მერლეზონის ცნობილი ბალეტი – მეფის საყვარელი ცეკვა.

მთელი კვირა ემზადებოდნენ ამ საზეიმო საღამოსათვის. ქალაქის დურგლებმა ტახტრევანები ამართეს მიწვეული ქალების დასასვენებლად. პარიზელმა მეწვრილმანემ ორასი წმინდა თეთრი სანთლით გააჩირაღდნა მთელი დარბაზი, რაც იმ დროს გაუგონარ ფუფუნებად მიაჩნდათ. ვიოლინოს ოცი დამკვრელი იყო დაქირავებული და ფასიც, გარიგებისამებრ, ერთიორად მეტი მისცეს, რადგან მთელი ღამე უნდა მომსახურებოდნენ ამ მეჯლისს.

დილის ათ საათზე ქალაქის სამმართველოში გამოცხადდა ბატონი დე ლა კოსტი, მეფის გვარდიის ოფიცერი, ორი ოფიცრისა და რამდენიმე პოლიციელის თანხლებით. იგი ქალაქის მდივან კლემანთან მივიდა, სთხოვა სასახლის ყველა კარისა და კანტორის გასაღები. იმწამსვე მიართვეს ეს გასაღებები. ყოველ გასაღებს ზედ ება პატარა ბილეთი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დაუბრკოლებლივ მისი გარჩევა. გასაღებების ჩაბარებისთანავე ბატონ დე ლა კოსტს ევალებოდა ქალაქის სასახლის დარაჯობა, ყოველ კართან და ხეივანთან თავისი გუშაგების დაყენება.

თერთმეტ საათზე გვარდიის კაპიტანი ბატონი დუალიე გამოცხადდა და თან მოიყვანა ორმოცდაათი მსროლელი, რომლებიც მაშინვე გაიფანტნენ რატუშაში და მიჩნეული ადგილები დაიკავეს.

სამ საათზე გვარდიის ორი რაზმი მოვიდა: ერთი – ფრანგებისა, მეორე კი – შვეიცარიელების. ფრანგებისაში ნახევარი დუალიეს რაზმისანი იყვნენ, ნახევარი – დე ზესარისა.

საღამოს ექვს საათზე უკვე მოგროვდნენ მოწვეული სტუმრები. ისინი დიდ დარბაზში, მათთვის მომზადებულ განყოფილებებში შეჰყავდათ.

ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც გამოჩნდა პრეზიდენტის მეუღლე. დედოფლის შემდეგ ეს ქალი ყველაზე მეტად პატივსაცემი პიროვნება იყო ამ მეჯლისზე. ამიტომ მას ქალაქის მმართველობის წარმომადგენლები მიეგებნენ და იმ ლოჟაში შეიყვანეს, რომელიც ანა ავსტრიელისათვის განკუთვნილი ლოჟის პირდაპირ იყო მოთავსებული.

ათ საათზე იოანეს ეკლესიის მხარეს მდებარე პატარა დარბაზში, იმ ბუფეტის ახლოს, სადაც სუფრის ვერცხლეული ჰქონდათ, სუფრა გაშალეს, ზედ მეფისათვის ხილი და ტკბილეული დაალაგეს, რომელსაც ოთხი კაცი დაუყენეს დარაჯად.

შუაღამისას ქუჩებში ყვირილი და მისალმების შეძახილები გაისმა: მეფე მობრძანდებოდა ლუვრიდან რატუშისაკენ მიმავალ ქუჩაზე, რომელიც თავიდან ბოლომდე მრავალფერი ფარნებით იყო განათებული.

– მეფე მობრძანდებაო! – მაშინვე წამოცვივდნენ ქალაქის მმართველნი, მაუდის ტანისამოსში გამოწყობილნი, წინ ექვსი სერჟანტი მიუძღოდათ ჩირაღდნებით. მეფეს კიბის თავში მიეგებნენ. ქალაქის თავმა დიდი მადლობა მოახსენა მეფეს, რომ მან კეთილ ინება და პატივი სცა ქალაქის მმართველთ. ამ ქათინაურის პასუხად ლუდოვიკო მეცამეტემ ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის. ბრალი ბატონ კარდინალს დასდო, რომელმაც თერთმეტ საათამდე ვერ გაათავა მასთან სახელმწიფო საქმეებზე ბაასი.

საზეიმოდ მორთულ მის ყოვლადუდიდებულესობას თან ახლდნენ: ჰერცოგი ორლეანელი, გრაფი დე სუანსონელი, მთავარი პრიორი ჰერცოგი დე ლონგვილი, ჰერცოგი დ'ელბეფი, გრაფი დ არკური, გრაფი დე ლა როშ-გუიონი, ბატონი დე ლიანკური, ბატონი დე ბარდა, გრაფი დე კრამაილი და რაინდი დე სუვრე.

ყველამ შეამჩნია, რომ მეფე დაღონებული იყო, ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა.

ერთი კაბინეტი მეფისთვის იყო მომზადებული, ხოლო მეორე – ორლეანელი ჰერცოგისათვის. ორივე კაბინეტში დაელაგებინათ სამასკარადო ტანისამოსი. ასევე მოემზადებინათ კაბინეტები დედოფლისათვის და პირველი პრეზიდენტის მეუღლისათვის. მათი ყოვლადუდიდებულესობის ამალის ბატონებისათვის და ქალბატონებისათვის ტანისამოსის გადასაცმელად პატარა ოთახები იყო განკუთვნილი.

ვიდრე თავის კაბინეტში შემობრძანდებოდა, მეფემ ბრძანება გასცა, დაუყოვნებლივ შეეტყობინებინათ მისთვის კარდინალის მოსვლა.

მეფის ბრძანებიდან ნახევარი საათის შემდეგ ქუჩაში კვლავ გაისმა ხმაური და მისალმების შეძახილები. ამ ხმაურმა ქალაქს დედოფლის მოსვლა ახარა. ისევე მიეგებნენ ქალაქის მმართველნი დედოფალს, როგორც ცოტა ხნის წინათ მეფეს. იმავე სერჟანტების თანხლებით და ჩირაღდნებით გაეშურნენ ყოვლადუდიდებულესი სტუმრის მისაღებად.

დედოფალი დარბაზში შებრძანდა. ყველამ შეამჩნია, რომ მას, ისევე როგორც მეფეს, დაღონებული და დაღლილი სახე ჰქონდა.

სწორედ იმ წამს, როდესაც დედოფალი დარბაზში შევიდა, გადაიწია აქამდე დახურული პატარა ლოჟის ფარდა და ყველამ იცნო კარდინალის ფერმიხდილი სახე. იგი ესპანელი მხედრის ტანსაცმელში გამოწყობილიყო. თვალი თვალში გაუყარა დედოფალს და სიხარულის სიცილმა შეუთამაშა ტუჩები, დედოფალს არ ეკეთა თავისი ბრილიანტის ბურნუკები.

მცირე ხანს დარბაზში დარჩა ანა ავსტრიელი, რომ მოესმინა ქალაქის მოღვაწეთა ქათინაურები და მისალმებოდა ქალებს.

უცბად დარბაზის ერთ-ერთ კარში გამოჩნდა მეფე, მას კარდინალი ახლდა. კარდინალი რაღაცას ეჩურჩულებოდა მის ყოვლადუდიდებულესობას, რომელსაც მეტისმეტად მისდიოდა ფერი.

ჯერ ნიღაბი არ ჩამოეცვა მეფეს, გამოცვლილი ტანისამოსის ბაფთების შეკვრაც კი ვერ მოესწრო, მან გააპო ხალხის ჯგუფი, დედოფალთან მივიდა და ათრთოლებული ხმით უთხრა:

– ერთი მიბრძანეთ, თუ შეიძლება, ქალბატონო, რატომ არ გაიკეთეთ ალმასის ბურნუკები? ხომ იცით, რა ძალიან მასიამოვნებდით, იმით დამშვენებული რომ დამენახეთ.

დედოფალმა თვალი მოავლო ირგვლივ საზოგადოებას და მეფის უკან დაინახა კარდინალი, რომელიც ვერაგულად იღიმებოდა.

– იმიტომ, მეფეო, რომ ვშიშობდი, ამოდენა ხალხში რაიმე არ მოსვლოდა თქვენს საჩუქარს, – მთრთოლვარე ხმით უპასუხა დედოფალმა.

– შემცდარხართ, ქალბატონო! მე იმისათვის მოგართვით ბურნუკები, რომ ატაროთ. გიმეორებთ, შემცდარხართ, ქალბატონო!

ხმა უკანკალებდა გაშმაგებულ მეფეს, ყველა იქ მყოფი განცვიფრებული შეჰყურებდა მათ და ვერ გაეგოთ ამ უსიამოვნების მიზეზი.

– ახლავ გავგზავნი ვინმეს ლუვრში, ახლავ მოვატანინებ, მეფეო, და ავასრულებ თქვენი ყოვლადუდიდებულესობის სურვილს.

– აბა, ჩქარა, ქალბატონო! რაც შეიძლება ჩქარა, რადგან ერთი საათის შემდეგ ბალეტი უნდა დავიწყოთ.

დედოფალმა მორჩილების ნიშნად თავი დაუკრა და ქალებს გაჰყვა, რომლებმაც თავის კაბინეტამდე მიაცილეს. მეფეც თავის კაბინეტში შევიდა.

ყველა ხედავდა და გრძნობდა, რომ რაღაც მოხდა მეფე-დედოფალს შორის. მაგრამ ისეთი ჩუმი ხმით ლაპარაკობდნენ ორივენი, რომ ყველა პატივისცემით ჩამოეცალა და მათი საუბრიდან ვერაფერი გაიგეს, ვიოლინოები მთელი ძალით აჟღერდნენ, მაგრამ მუსიკასაც აღარავინ უსმენდა.

პირველად მეფე გამოვიდა თავისი კაბინეტიდან მონადირის საუცხოო ტანისამოსში გამოწყობილი. ეს ჩაცმულობა მას ძალიან უხდებოდა. ამ სანადირო ტანისამოსში

გამოწყობილი ლუდოვიკო მეცამეტე მართლაც წარმოადგენდა თავისი სამეფოს პირველ დიდებულს. ორლეანელი ჰერცოგი და სხვა დიდებულებიც მეფესავით მორთულიყვნენ.

კარდინალი მიუახლოვდა მეფეს და კოლოფი მიართვა. მეფემ კოლოფი გახსნა და ჩაიხედა. შიგ ბრილიანტის ორი ბურნუკი იდო.

– რას მოასწავებს ეს კოლოფი? – ჰკითხა მან კარდინალს.

– არაფერს, – მიუგო ბოროტმა სულმა, – ოღონდ, თუ დედოფალსაც აქვს თავისი ბურნუკები, რაც მე საეჭვოდ მიმაჩნია, დათვალეთ, მეფეო, და თუ ათის მეტი ვერ იპოვოთ, ჰკითხეთ მის ყოვლადუდიდებულესობას, ვის შეეძლო მოეპარა მისთვის ორი ბურნუკი, რომლებიც ხელში მიჭირავს.

მეფე დააცქერდა კარდინალს, თითქოს დაკითხვას უპირებდა, მაგრამ აღარ დააცალეს, რომ ერთი კითხვა მაინც მიეცა; აღტაცების ძახილი გაისმა ყოველი მხრიდან. თუ მეფე იყო პირველი დიდებული თავის სამეფოში, დედოფალიც უმშვენიერესი ქალი იყო მთელ საფრანგეთში.

მართლაც, საოცრად უხდებოდა დედოფალს მონადირის ტანისამოსი: ნაბდის ქუდი ცისფერი ფრთებით დაემშვენებინა, ნაცრისფერი ხავერდის ზედატანი ალმასის ღილებით შეკრული და ატლასის ქვედაკაბა, რომელიც ვერცხლის ძაფებით იყო ამოქარგული, მეტად შვენოდა. მარცხენა მხარეზე იმავე ფერის ბაფთა ჰქონდა კოხტად განასკვული და ზედ მეფის ნაჩუქარი ბურნუკები ბრწყინავდა.

გულსაკიდის დანახვაზე მეფე სიხარულით ათრთოლდა, ხოლო კარდინალი სიბრაზით, მაგრამ ისინი შორს იყვნენ დედოფლისაგან და არ შეეძლოთ ბურნუკების დათვლა.

მეფის საჩუქარი დედოფალს ზედ ეკეთა, მაგრამ სრულად კი ჰქონდა? ათი ბურნუკი იყო თუ თორმეტი?

ამ დროს გაისმა ვიოლინოს ხმა. ეს იყო ბალეტის დაწყების ნიშანი. მეფე პრეზიდენტის მეუღლესთან მივიდა, რადგან მასთან უნდა ეცეკვა, ხოლო ორლეანელი ჰერცოგი – დედოფალთან. კუთვნილი ადგილები დაიკავეს და ცეკვა დაიწყეს.

მეფე დედოფლის პირდაპირ იდგა და როცა კი გვერდით გაუვლიდა, თვალს არ აშორებდა ბურნუკებს, მაგრამ დათვლას მაინც ვერ ახერხებდა. ცივი ოფლი ჰფარავდა კარდინალის შუბლს.

ერთ საათს გრძელდებოდა ბალეტი, რომელსაც თექვსმეტი გამოსვლა ჰქონდა.

ბალეტის დამთავრებისას აღტაცების ტაში გაისმა მთელ დარბაზში. მოცეკვავე მამაკაცებმა თავიანთ ადგილებზე მიაცილეს ქალები. მეფემ ისარგებლა თავისი უპირატესობით, იქვე დატოვა ქალი და ჩქარი ნაბიჯით დედოფლისაკენ წავიდა.

– გმადლობთ, ქალბატონო, – უთხრა მეფემ, – გმადლობთ, რომ ყურადღებით მოეჭარით ჩემს სურვილს, მაგრამ, მგონი, ბრილიანტის ორი ბურნუკი უნდა გაკლდეთ, და აი, მოგართვით.

თქვა ეს და ის ორი ბურნუკი გაუწოდა დედოფალს, რომლებიც კარდინალმა გადასცა.

– როგორ, მეფეო? – შეჰყვირა დედოფალმა ისეთი განცვიფრებით, თითქოს არა სცოდნოდა რა ამ ბურნუკებისა, – როგორ! ორს კიდევ ახალს მიმატებთ? მაშინ, თორმეტის ნაცვლად, თოთხმეტი მექნება.

მართლაც, დათვალა მეფემ და დედოფლის მხარზე უკლებლივ თორმეტივე აღმოჩნდა. მეფემ კარდინალი იხმო.

– რა გინდოდათ ჩემგან, ბატონო კარდინალო?

– ეს იმას ნიშნავს, მეფეო, რომ მე მსურდა, როგორმე დედოფლისათვის მიმეძღვნა ეს ორი ბურნუკი და რადგან პირადად ვერ ვბედავდი მირთმევას, ამ ხერხს მივმართე, – მიუგო კარდინალმა.

– მეც მით უფრო მეტ მადლობას მოგახსენებთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მიმართა კარდინალს დედოფალმა იმ ცბიერი ღიმილით, რომელიც ამტკიცებდა, რომ მოტყუებული არ დარჩა ამ ეშმაკური თავაზიანობით. – დარწმუნებული ვარ, ეს ორი ცალი თქვენ უფრო ძვირად დაგიჯდათ, ვიდრე მეფეს – ყველა თორმეტი ბურნუკი.

დედოფალმა თავი დაუკრა მეფეს და კარდინალს, შემდეგ მისთვის განკუთვნილი ოთახისაკენ წავიდა საბალეტო ტანისამოსის გამოსაცვლელად.

თხრობამ მოიტანა და იძულებული ვიყავი, ამ თავის დასაწყისში ყურადღება გადაგვეტანა ბრწყინვალე დიდებულებზე, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ამ ამბავთან, რამაც ცოტა ხნით დაგვაცილა მას, ვინც დედოფალს საშუალება მისცა ასეთი ბრწყინვალე გამარჯვებისა და ცბიერი კარდინალის დამარცხებისა. ისიც იქ იყო ამ დროს, შემკრთალი, საზოგადოებისათვის უცნობი, ერთ კართან მოგროვილ ხალხში ჩამალული. იდგა და უყურებდა იმ სცენას, რომლის გაგება მარტო ოთხ ადამიანს შეეძლო: მეფეს, დედოფალს, კარდინალს და მას.

დედოფალი თავის ოთახში შევიდა და დ არტანიანმაც დააპირა წასვლა, მაგრამ იგრძნო, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი მსუბუქად დაჰკრა. მიბრუნდა და ახალგაზრდა ქალი დაინახა, რომელმაც ანიშნა გაჰყოლოდა. ახალგაზრდა ქალს სახეზე შავი ხავერდის მოკლე ნიღაბი ეფარა, მაგრამ, მიუხედავად ამ სიფრთხილისა, ჩვენმა გმირმა მაშინვე იცნო თავისი მუდმივი გზის მანათობელი, თავისი კეკლუცი და მახვილგონიერი ქალბატონი ბონასიე.

წინა საღამოს მათ მხოლოდ თვალი მოჰკრეს ერთმანეთს კარისკაც ჟერმენთან. ისე ეჩქარებოდა ახალგაზრდა ქალს დედოფლისათვის ეხარებინა მისი შიკრიკის მშვიდობით დაბრუნების ამბავი, რომ ერთმანეთის მოკითხვაც ვერ მოასწრეს შეყვარებულებმა...

დ არტანიანი გაჰყვა ქალბატონ ბონასიეს, რომელმაც რამდენიმე დერეფნის გავლის შემდეგ შეაღო კარი და ბნელ კაბინეტში შეიყვანა ჩვენი გასკონელი. ერთხელ კიდევ ანიშნა, ჩუმად ყოფილიყო, მერე კვლავ გააღო მეორე, ფარდებით დაფარული კარი, საიდანაც სინათლემ შემოანათა. თვითონ ქალბატონი ბონასიე კი კაბინეტიდან გაქრა.

ერთ წამს უძრავად იდგა დ არტანიანი და თავის თავს ეკითხებოდა, სად ვარო. მაგრამ კაბინეტში მეორე ოთახიდან შემოსულმა სინათლის შუქმა იმავე ოთახიდან თბილი და სურნელოვანი ჰაერი შემოიტანა, იქიდან ქალების საუბარი გამოდიოდა, რამდენჯერმე იქნა ხსენებული მისი ყოვლადუდიდებულესობის სახელი, ამან დაარწმუნა დ არტანიანი, რომ დედოფლის ოთახის გვერდით იმყოფებოდა.

დ არტანიანი სიბნელეში იდგა და ელოდა.

მხიარული და ბედნიერი ჩანდა დედოფალი, რაც მეტად აოცებდა მის მახლობლებს, რომლებიც მას, ჩვეულებრივად, თითქმის ყოველთვის დაღონებულსა და დაღვრემილს ხედავდნენ. თავის სიმხიარულეს დედოფალი მეჯლისის მშვენიერებით ხსნიდა, იმ სიამოვნებით, რომელიც ბალეტმა აღუძრა, და რადგან შეუძლებელია დედოფალთან შეკამათება, ძალიანაც რომ არ მოგეწონოთ მისი სიცილი თუ ცრემლი, ყველანი აქებდნენ და გაზვიადებული მადლობით იხსენიებდნენ მეჯლისის მომწყობ ქალაქ პარიზის მმართველთა უნარიანობას.

თუმცა დ არტანიანი არ იცნობდა დედოფალს, მაგრამ მალე შეძლო მისი ხმის გარჩევა, ჯერ ოდნავ შესამჩნევი უცნაური გამოთქმის საშუალებით, ხოლო შემდეგ მბრძანებლური კილოთი.

დ არტანიანი გრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა დედოფალი ოდნავ გაღებულ კარს, ისევ შორდებოდა და ორ-სამჯერ კიდევაც დაინახა, როგორ გადაჭრა სინათლის შუქი მისმა ჩრდილმა.

ბოლოს უცებ გადაიწია ფარდა და მომხიბლავი სილამაზის ბროლივით თეთრი ხელი გამოჩნდა. მიხვდა დ არტანიანი, რომ ეს მისი ჯილდო იყო, მივარდა, დაიჩოქა და მოწიწებით ეამბორა, შემდეგ კვლავ ფარდებს იქით მოეფარა ეს ხელი, რომელმაც ნივთი ჩაუდო ჩვენს გმირს ხელში. დახედა დ არტანიანმა და ბეჭედი იცნო. კარი, საიდანაც სინათლე შემოდიოდა, მაშინვე მიიხურა და ისევ წყვდიადში დარჩა დ არტანიანი.

ბეჭედი თითზე ჩამოიცვა და ლოდინი განაგრძო. ცხადი იყო, ამით არ უნდა გათავებულიყო მისი მოლოდინი, თავდადებისთვის დააჯილდოეს და ახლა სიყვარულისათვის ელოდა ჯილდოს.

მართალია, ბალეტი დამთავრდა, მაგრამ მეჯლისი ახლა დაწყებულიყო, ვახშამი სამ საათზე იყო დანიშნული, ხოლო წმ. იოანეს სამრეკლოს საათმა უკვე ამცნო, რომ ვახშმამდე თხუთმეტი წუთი რჩებოდა.

მართლაც, თანდათან მიწყდა ხმაური კარს იქითა ოთახში, შემდეგ კი სრულებით მიდუმდა.

უცბად გაიღო კაბინეტის კარი, სადაც დ არტანიანი იყო, და ქალბატონი ბონასიე შემოსრიალდა.

– ძლივს! – შეჰყვირა დ არტანიანმა.

– ჩუმად! – წასჩურჩულა ახალგაზრდა ქალმა და ტუჩებზე ხელი მიაფარა, – ხმა არ ამოიღოთ, აბა, მიბრძანდით იმავე გზით, რომლითაც მოხვედით.

– მერე, როდის ან სად გნახავთ?

– ბარათი დაგხვდებათ შინ და ის გეტყვით. აბა, წადით, წადით!

ეს თქვა თუ არა, საჩქაროდ გააღო კარი და დ არტანიანი კაბინეტიდან დერეფანში გააგდო.

უსუსური ბავშვივით დაემორჩილა ჩვენი გმირი, არც უთხრა რაიმე, არც წინააღმდეგობა გაუწია, ეს კი იმას ამტკიცებდა, რომ გაგიუებით უყვარდა თავისი სატრფო.

XXIII

პაემანი

დ არტანიანი სირბილით წავიდა შინისაკენ. ღამის სამ საათს უკვე გადაცილებული იყო, მას პარიზის მეტად საშიშ ქუჩებში უნდა გაევლო, საბედნიეროდ, არავითარ ხიფათს არ გადაჰყრია, ნათქვამია, ლოთებსა და შეყვარებულებს ბედი სწყალობთო.

ხეივნის კარი ოდნავ მოხურული დახვდა. სწრაფად აირბინა თავისი ბინის კიბე და კარზე ნელა დააკაკუნა, სწორედ ისე, როგორც შეთანხმებულნი იყვნენ ისა და მისი მსახური. პლანშეს, რომელიც ორი საათით ადრე გამოგზავნა, მისი ბრძანების თანახმად, ჯერ არ ეძინა, და მაშინვე გაუღო კარი.

– წერილი ხომ არავის მოუტანია ჩემთვის? – ჰკითხა მოუთმენლად დ არტანიანმა.

– მოტანით არავის მოუტანია, ბატონო, – მოახსენა პლანშემ. – მაგრამ საიდანღაც, უსათუოდ თავისით შემოპარულა სახლში.

– რა გინდა მაგით თქვა, სულელო.

– მინდა მოგახსენოთ, რომ სახლი დაკეტილი მქონდა, გასაღები ჯიბეში მედო, არსად ამომიღია... შინ დაბრუნებულმა თქვენს საწოლ ოთახში მაგიდის მწვანე მაუდზე წერილი ვიპოვე.

– მერე, სად არის ის წერილი.

– სადაც იყო, იქვე დავტოვე, ბატონო, შეუძლებელია ასე თავისით წერილი დაკეტილ ოთახში შედიოდეს. ფანჯარა რომ ღია ყოფილიყო ან ოდნავ გაღებული, კიდევ ჰო, ვიტყოდი, შემოაგდეს-მეთქი. მაგრამ არა, საიმედოდ მქონდა დაკეტილი ყველაფერი... ფრთხილად იყავით, ბატონო, თუნდაც დავიფიცავ, რაღაც ჯადო მოჩანს ამაში.

დ არტანიანმა ყურადღება არ მიაქცია პლანშეს ნალაპარაკებს, სირბილით შევიდა საწოლ ოთახში და წერილი გახსნა, ეს იყო ქალბატონ ბონასიეს შემდეგი შინაარსის ბარათი:

„სურთ, გიძღვნან და გადმოგცენ უმხურვალესი მადლობა. ამ საღამოს ათი საათისათვის იყავით სენ-კლუში, იმ პავილიონის პირდაპირ, რომელიც ბატონ დ ესტრეს სახლის კუთხეშია ამართული.

კ.ბ.“

კითხულობდა ამ წერილს დ არტანიანი და გრძნობდა, როგორ იკუმშებოდა და იშლებოდა მისი გული იმ ტკბილი კრუნჩხვით, რომელიც აწამებს და ახარებს შეყვარებულთა გულს.

ეს პირველი ბარათი იყო. პირველი პაემანი. სიხარულმა გააბრუა, გული ყვავილივით გაშლოდა და ისე უცახცახებდა, ეშინოდა, არ წავიქცე ამ მიწიერი სამოთხის კართან, რომელსაც სიყვარულს უწოდებენო.

– ახლა რაღას იტყვით? – მიმართა პლანშემ, როდესაც დაინახა, როგორ წითლდებოდა და ყვითლდებოდა მისი ბატონი, – ახლა, ბატონო? ხომ მართალია, რაც მოგახსენეთ? მე მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც საშინელებას გვიქადდნენ.

– ცდები, ჩემო პლანშე, – უპასუხა დ არტანიანმა, – ამის დასამტკიცებლად, აი, ერთი ეკიუ, ჩემი სადღეგრძელო დალიე.

– ამ ეკიუს ბოძებისათვის მადლობას მოგახსენებთ და აღთქმას ვდებ: პირნათლად შევასრულო თქვენი ბრძანება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მართალი გახლავთ: ასე თავისთავად, სხვის კარგად დაკეტილ ოთახში შეპარული წერილი...

– ციდან ცვივა, მეგობარო, ციდან.

– მაშ, ბატონი კმაყოფილი ბრძანდება?

– ჩემო პლანშე, დღეს ჩემისთანა ბედნიერი სხვა არავინ მეგულება.

– მეც შემიძლია ვისარგებლო ბატონის ბედნიერებით და დასაძინებლად წავიდე?

– წადი, ჩემო კარგო, წადი!

– ყოველი მადლი და კურთხევა ზეცისა ეღირსოს ჩემს ბატონს, მაგრამ მაინც საშიში გახლავთ დაკეტილ ოთახში წერილის შეფრენა...

თავის ქნევით წავიდა პლანშე. მას ბატონის გულუხვობამ ეჭვები ვერ გაუფანტა.

მარტო დარჩენილმა დ არტანიანმა რამდენჯერმე გადაიკითხა წერილი და ოცჯერ მაინც აკოცა თავისი მშვენიერი საყვარლის ფუნთუშა ხელით დაწერილ სტრიქონებს. ბოლოს დაწვა, დაიძინა და ოქროსავით ძვირფასი და სანეტარო სიზმრები ნახა.

დილის შვიდ საათზე წამოდგა თუ არა, პლანშეს დაუძახა. მსახურმა დ არტანიანის ოთახის კარი შეაღო. მას სახეზე ეტყობოდა, რომ ჯერაც ვერ გაჰფანტოდა წუხანდელი შიში.

– პლანშე! მე მივდივარ და იქნება საღამომდე აღარც კი დავბრუნდე. მაშასადამე, შენ თავისუფალი ხარ საღამოს შვიდ საათამდე. ოღონდ იცოდე, საღამოს შვიდ საათზე მზად იყავ, შეკაზმული გყავდეს ორი ცხენი! – უბრძანა დ არტანიანმა.

– მაშ, კიდევ მივდივართ? მოგვენატრა ზურგზე ტყავის გაძრობა?

– თან წამოიღებ შენს თოფს და დამბაჩებს.

– მეც მაგას ვჩივი! განა არა, დარწმუნებული გახლდით... სულ იმ დაწყევლილი წერილის ბრალია!

– კარგი, კმარა! რა სულელი ხარ! ცოტას გავისეირნებთ და უკან დავბრუნდებით.

– დიახ, იმდღევანდელისა არ იყოს, წვიმასავით რომ გვცემდა ტყვია და ყოველ ფეხის ნაბიჯზე მახე გვქონდა დაგებული.

– რა მოგახსენოთ, ბატონო პლანშე, – უთხრა დ არტანიანმა, – თუ ასე გეშინიათ და გული გითრთით, უთქვენოდაც კარგად წავალ. მირჩევნია, მარტო ვიარო, ვიდრე მშიშარა თანამგზავრი მახლდეს.

– რად გინდათ, ბატონო, ჩემი შეურაცხყოფა? – ეწყინა პლანშეს. – განა ამ დღეებში არ დაგიმტკიცეთ, რომ მე მხდალი არ გახლავართ?

– დიახ, დამიმტკიცე, მაგრამ ვფიქრობ, იქ დახარჯე შენი ვაჟკაცობა და გულცარიელი დაბრუნდი.

– აი, ნახავთ, ბატონო, რომ საცა საჭირო იქნება, ვაჟკაცობაც საკმარისი აღმოჩნდება. მხოლოდ ერთს გთხოვთ, ბატონო, ნურც ასე ძალიან გაჰფლანგავთ ჩემს სიმამაცეს, თუ გნებავთ, რომ დიდხანს მყოს.

– დაგრჩა კიდევ რამ ამ ღამით საჭირო შემთხვევაში გამოსაყენებლად?

– დიახ, ბატონო!

— მაშ ასე, შენი იმედი მაქვს.

— დიახ, ბატონო, შვიდ საათზე მზად ვიქნები. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ გვარდიის თავლაში, მგონი, მარტო ერთი ცხენი ჰყავთ.

— იქნება ერთის მეტი ჯერ არც კი იყოს, მაგრამ ამ საღამოს ოთხი იქნება.

— მაშ, ცხენების შესაძენად გვიმგზავრია?

— სწორედ ცხენებისათვის, — უთხრა დ არტანიანმა და გავიდა.

ბატონი ბონასიე თავისი ოთახის კარებთან იდგა. დ არტანიანმა გადაწყვიტა, გვერდი აევლო მისთვის და არ დალაპარაკებოდა, მაგრამ ისე თავაზიანად და გულმხურვალედ მიესალმა ღირსეული სახლის პატრონი თავის მდგმურს, რომ ყმაწვილმა კაცმა საჭიროდ დაინახა არათუ მისალმებოდა, არამედ მისულიყო და მოეკითხა კიდეც.

ესეც რომ არ ყოფილიყო, განა შეიძლებოდა ცოტაოდენი პატივისცემა არა ჰქონოდა კაცისა, რომლის ცოლმა იმ საღამოსთვის პაემანი დაუნიშნა სენ-კლუსთან, ბატონ დ ესტრეს სახლთან, ტალავრის პირდაპირ? დ არტანიანიც სიამოვნებით აღსავსე სახით ბონასიესთან მივიდა.

ბაასი, თავდაპირველად, ცხადია, საწყალი სახლის პატრონის დაპატიმრებას შეეხო. ბატონმა ბონასიემ, რასაკვირველია, არ იცოდა, რომ დ არტანიანმა მთლიანად მოისმინა მისი და მენგელი უცნობის საუბარი. მან უამბო თავის ყმაწვილ მდგმურს, რა დევნას განიცდიდა იმ შეჩვენებულ ბატონ დე ლაფემისაგან. ამ ბაასის დროს სულ ლანძღვით იხსენიებდა კარდინალის მსახურებს და დაუღლელად ლაპარაკობდა ბასტილიის ციხეზე, პატიმრობაზე, პატარა სარკმლებზე, ჯაჭვებზე და ჯავჯით წამებაზე.

სამაგალითო გულმოდგინებით მოუსმინა დ არტანიანმა, ხოლო როცა ბონასიემ გაათავა, მან, თავის მხრივ, ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარით, ბოლოს და ბოლოს, გაიგეთ ვინ მოიტაცა ქალბატონი ბონასიე? მე არ დამვიწყებია, ბატონო, რომ თქვენს გაცნობას სწორედ მაგ უბედურ გარემოებას უნდა ვუმადლოდე.

— ეჰ! — ამოიოხრა ბატონმა ბონასიემ, — ძალიან ფრთხილობდნენ. და, რაღა თქმა უნდა, ამას არ მეტყოდნენ; ჩემი ცოლიც ფიცავდა, მათ არ ვიცნობო. თქვენ, ბატონო, — განაგრძო ბონასიემ მიამიტად, — სად იყავით დაკარგული? რამდენიმე დღეა, ვეღარ გხედავთ! აღარც თქვენ ჩანდით, აღარც თქვენი მეგობრები. მე მგონი, რომ პარიზის ქუჩებში არ დაგედებოდათ იმისსქე მტვერი, პლანშე რომ აცლიდა თქვენს წაღებს.

— მართალი ხარ, ჩემო კეთილო ბატონო ბონასიე, ცოტა ხნით გავისეირნეთ მე და ჩემმა მეგობრებმა.

— შორს ბრძანდებოდით?

— ოჰ, არა, ორმოციოდე ლიეზე პარიზიდან, ბატონი ათოსი შეუძლოდ იყო და ფორჟის წყლებზე მივიყვანეთ, ჩემი მეგობრებიც იქ დარჩნენ.

— თქვენ მარტო დაბრუნდით? — ჰკითხა ბონასიემ და ცბიერი თვალი დ არტანიანს დააშტერა, — თქვენისთანა ყმაწვილი კაცი დიდი ხნის შვებულებას ვერ მიიღებს თავისი საყვარლისაგან და, ცხადია, მოუთმენლად ელოდნენ თქვენს დაბრუნებას, არა?

— ეჰ, რა გაეწყობა, — უპასუხა სიცილით ყმაწვილმა კაცმა, — ცოდვა — აღიარებულიო, მით უფრო, ჩემო კეთილო ბატონო ბონასიე, რომ ვხედავ, თქვენ ვერაფერს დაგიმალავთ კაცი. დიახ, ბატონო, მელოდნენ, და გარწმუნებთ, ძალიან მოუთმენლადაც.

ოდნავმა ღრუბელმა გადაურბინა შუბლზე ბონასიეს, მაგრამ ისე შეუმჩნეველად, რომ დ არტანიანმა ვერც კი შეამჩნია.

— ღირსეულადაც დააჯილდოებენ თქვენს ვაუკაცობას! — განაგრძო ვაჭარმა ოდნავ ათრთოლებული ხმით, რომელიც ისევე შეუმჩნეველი დარჩა დ არტანიანს, როგორც რამდენიმე წამის წინ ბონასიეს მოღრუბლული შუბლი.

— ეჰ, ნეტავი კი თქვენი წინასწარმეტყველება ახდებოდეს! — უთხრა სიცილით დ არტანიანმა.

— არა, ბატონო, ამას იმიტომ გეუბნებით, რომ მინდა ვიცოდე, ძალიან გვიან დაბრუნდებით?

– რად მკითხავთ მაგას, ჩემო კეთილო სახლის პატრონო? – ჰკითხა დ არტანიანმა, – ხომ არ გინდათ, დამელოდოთ?

– არა, მაგრამ ჩემი დაპატიმრებისა და ფულის მოპარვის შემდეგ, კარის გაღების ხმის გაგონებისთანავე, ყოველთვის შიშის ზარი მცემს, მეტადრე ღამით. ეჰ, რა ვქნა, რომ ხმლის ქარქაშიდან ამოღებაც კი არ შემიძლია?

– ნუ შეგეშინდებათ, თუ ნაშუაღამევს დავბრუნდი, პირველ ან ორ საათზე, და ნურც იმისი შეგეშინდებათ, თუ სულაც არ დავბრუნდი.

ამჯერად ისე გაყვითლდა ბონასიე, რომ შეუძლებელი იყო, არ შეემჩნია დ არტანიანს და კიდეც ჰკითხა, რა მოგივიდაო.

– არაფერი, არაფერი! – მიუგო ბონასიემ, – იმ ვაი-ვაგლახის შემდეგ, უცბად ასე მომივლის ხოლმე, ახლაც ცახცახმა ამიტანა. ყურადღებას ნუ მიაქცევთ მაგას, თქვენ თქვენი ბედნიერების მეტი საფიქრებელი არ უნდა გქონდეთ.

– სწორედ ეს არის ჩემი ფიქრი, რადგან ბედნიერი ვარ.

– ჯერ არა, მოითმინეთ, აკი თქვით, სადამოზეო.

– სადამოც მეღირსება ღვთის მადლით! მგონი, თქვენც ისევე მოუთმენლად ელით სადამოს, როგორც მე. იქნებ ამ სადამოს მოხედოს ქალბატონმა ბონასიემ თავის ქმარსა და ოჯახს.

– ქალბატონი ბონასიე ამ სადამოს თავისუფალი არ გახლავთ, – უპასუხა დარბაისლურად სახლის პატრონმა, – ლუვრში თავისი სამსახურის გამო.

– მით უარესი თქვენთვის, ჩემო კარგო სახლის პატრონო. მით უარესი! მე რომ ბედნიერი ვარ, მინდა, ყველა ბედნიერი იყოს. მაგრამ, როგორც ვხედავ, შეუძლებელსა ვნატრობ.

თავი დაუკრა ყმაწვილმა კაცმა. სიცილი წასკდა თავის ოხუნჯობაზე, რომლის გამოცნობა, მისი ფიქრით, იმის მეტს არავის შეეძლო.

– მაშ, გაიხარეთ! – დაუძახა მისუსტებული ხმით ბონასიემ.

უკვე შორს იყო დ არტანიანი და ვერ გაიგონა ბონასიეს სიტყვები. თუმცა ისეთ გუნებაზე იყო, რომ მაინც ვერაფერს შეამჩნევდა.

დ არტანიანი ბატონ დე ტრევილის სახლისკენ წავიდა. მხიარულად დახვდა მუშკეტერთა კაპიტანი. მეფეს და დედოფალს თავისი ყურადღებით მოეხიბლათ წუხანდელ მეჯლისზე ბატონი დე ტრევილი, თუმცა კარდინალი სულ დაღვრემილი შეჰყურებდა. კარდინალს ღამის პირველ საათზე მეჯლისი მიეტოვებინა. შეუძლოდ ვარო. რაც შეეხება მათ ყოვლადუდიდებულესობებს, დილის ექვს საათამდე დარჩენილიყვნენ.

– ახლა თქვენზე მოვილაპარაკოთ, – დაიწყო ჩუმი ხმით ბატონმა დე ტრევილმა და თვალი გადაავლო თავისი დარბაზის ყველა კუთხეს შესამოწმებლად, სრულიად მარტონი იყვნენ, თუ არა, – ახლა თქვენზე მოვილაპარაკოთ, ჩემო ნორჩო მეგობარო, უეჭველია, თქვენი მშვიდობით დაბრუნების მიზეზი უნდა იყოს, რომ ასე მხიარულად ბრძანდება მეფე, რომ ასე აღტაცებულია თავისი გამარჯვებით დედოფალი და ასე თავლაფდასხმული ბრძანდება მისი ყოვლადუწმინდესობა. დიდი სიფრთხილე გმართებთ, რომ გადარჩეთ.

– რას უნდა გადავრჩე? – იუცხოვა დ არტანიანმა, – რისი უნდა მეშინოდეს, მანამ წყალობის თვალით მიყურებენ მათი ყოვლადუდიდებულესობანი?

– ყველაფრისა, მერწმუნეთ. ისეთი კაცი არ არის კარდინალი, რომ დაივიწყოს ეს დამარცხება. არ მოისვენებს, სანამ სიცოცხლეს არ ჩაუშხამებს თავის დამმარცხებელს. კარდინალის დამმარცხებელი კი ერთი ჩემი ნაცნობი გასკონელი უნდა იყოს...

– თქვენ გგონიათ, ბატონო, რომ ეს ამბავი კარდინალმაც ისევე იცის, როგორც თქვენ? ისიც იცის, რომ მე გახლდით ლონდონში?

– აი, დალახვროს! ლონდონშიც ბრძანდებოდით?! მაშ, ლონდონიდან წამოგყვათ ეგ ბეჭედი, რომელიც ასე გიმშვენებთ ხელს? გეუბნებით, ფრთხილად იყავით, ჩემო საყვარელო დ არტანიან, კარგი არ არის მტრის საჩუქარი, თუმცა ძვირფასია.

– ეს ალმასი მტრისა არ გახლავთ, ბატონო, – აუხსნა დ არტანიანმა, – ეს ბეჭედი დედოფალმა მიბოძა.

– დედოფალმა? ოჰ! – წამოიძახა ბატონმა დე ტრევილმა, – მართლაც, სწორედ მეფური საჩუქარია, ათას პისტოლზე ნაკლები არ ღირს. მერე ვისი ხელით გადმოგცათ დედოფალმა ეს საჩუქარი?

– თავისი ხელით.

– სად?

– დედოფლის კაბინეტის გვერდით ოთახში.

– როგორ?

– ხელი მიბოძა საკოცნელად.

– მაშ, ხელზე ემთხვიეთ დედოფალს? – შეჰყვირა დე ტრევილმა და დ არტანიანს დააშტერდა.

– მისმა ყოვლადუდიდებულესობამ თვითონვე მომანიჭა ეს ნეტარება.

– სხვაც იყო იმ დროს ვინმე? ოჰ, რა გაუფრთხილებლობაა! რა გაუფრთხილებლობაა!

– არა, ბატონო, დამშვიდდით, იქ არავინ ყოფილა და ვერც ვინმე დაგვინახავდა, – მოახსენა დ არტანიანმა და ბატონ დე ტრევილს უამბო, როგორ მიიღო საკოცნელად დედოფლის ხელი და მისი საჩუქარი.

– ოჰ, ქალები! ქალები! – ამოიოხრა მოხუცმა ჯარისკაცმა, – რომანტიკული ოცნებებით ხიბლავენ თავიანთ სიცოცხლეს, აღტაცებულნი არიან ყველაფრით, რასაც კი საიდუმლოება ჰფარავს. მაშ, თქვენ დედოფლის მხოლოდ მკლავი ნახეთ? ეს იყო და ეს?.. კიდეც რომ შეხვდეთ სადმე, იქნება ვეღარც კი იცნოთ? და დედოფალიც თუ შეგხვდათ სადმე, ისე გაგივლით, როგორც უცნობს?

– არა, მაგრამ იმ ბეჭდით... – დაიწყო დ არტანიანმა.

– ყური მიგდეთ, – შეაწყვეტინა დე ტრევილმა, – ნებას მომცემთ, რომ ერთი რამ გირჩიოთ? ძალიან კარგი, მეგობრული.

– მიბრძანეთ, ბატონო, ამით დიდ პატივს დამდებთ!

– მიდით ახლავე პირველსავე ოქრომჭედელთან და მიჰყიდეთ იგი, რა ფასიც უნდა შემოგაძლიონ. ძალიან ძუნწიც რომ იყოს, რვაას პისტოლს მაინც მოგცემთ. პისტოლს მწყალობლის სახელი არა აქვს, ჩემო კარგო, ამ ბეჭედს კი საშინელი სახელი აქვს, შეიძლება ავი დღე დაუდგეს, ვინც ამით დაიმშვენებს ხელს.

– გავყიდო ეს ბეჭედი? ჩემი დედოფლის ნაჩუქარი ბეჭედი? ოჰ, ღმერთმა დამიფაროს! – წამოიძახა დ არტანიანმა.

– მაშ, გადმოაბრუნეთ ბუდე, რომ აღარ გამოჩნდეს ალმასი. კარგად იცის ყველამ, რომ საწყალი გასკონელი რაზმელი თავისი დედის თვალ-მარგალიტში ვერ იპოვიდა ამგვარ ძვირფას ნივთს.

– თქვენ გგონიათ, რომ საშიშროება მომელის? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– ნაღმზე რომ ეძინოს კაცს და იმ ნაღმს ანთებული პატრუქი ედოს, ის უფრო დამშვიდებული უნდა იყოს, ვიდრე დღეს თქვენ.

– დასწყევლოს ღმერთმა! – შეჰყვირა დ არტანიანმა, რომელსაც უკვე აწუხებდა ბატონ დე ტრევილის სრული რწმენით წარმოთქმული გაფრთხილება, – მაშ რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

– ყოველთვის ძალიან ფრთხილად იყავით, სიფრთხილე – უწინარეს ყოვლისა! საგანგებო მეხსიერება და გრძელი ხელი აქვს კარდინალს, ისეთ მახეში გაგაბამთ, დამიჯერეთ...

– მაინც რა მახეში?

– ეჰ! აბა, მე რა ვიცი? განა იმას არ ემსახურება ქაჯ-ეშმაკების ვერაგობა? თქვენი ბედი, თუ დაგაპატიმრეს და ამით გადარჩით.

– როგორ? ნუთუ გაბედავენ და მისი ყოვლადუდიდებულესობის მსახურს დაიჭერენ?

– ეჰ, დამიწყებთ... განა ვერ გაბედეს და ვერ დაიჭირეს ათოსი? ჩემო გულადო მეგობარო, დაიჯერეთ თქვენი უფროსის სიტყვა, რომელიც ოცდაათი წელიწადია სასახლეში ტრიალებს. ერთ წამს არ დაივიწყოთ, რომ საფრთხეს გიმზადებენ, თორემ მაშინვე დაიღუპებით. გახსოვდეთ ეს ჩემი რჩევა, მტერი გეგულებოდეთ ყველგან. ჩხუბი რომ

აგიტეხონ, როგორმე გაეცალეთ, თუნდა ათი-თორმეტი წლის ბავშვი ცდილობდეს თქვენს გაჯავრებას. თუ დაგეცნენ სადმე, დღისით იქნება თუ ღამით, უკან დაიწიეთ, გაეცალეთ. ამაში სამარცხვინო არაფერია. ხიდზე რომ გადადიოდეთ, კარგად გასინჯეთ, რომ ფიცარი არ ჩაგიტყდეთ და წყალში თქვენც თან არ ჩაჰყვეთ. თუ ისეთი სახლის წინ გაივლით, რომელსაც აშენებენ, თვალი ზემოთ გეჭიროთ, რომ ქვა არ დაგეცეთ თავში. თუ გვიან აპირებთ შინ მისვლას, მსახურიც თან იყოლიეთ, ოღონდ ისე, რომ ისიც კარგად იყოს შეიარაღებული. მოერიდეთ ყველას ამქვეყნად, თქვენს მეგობარსაც, თქვენს ძმასაც, თქვენს საყვარელსაც, მეტადრე – თქვენს საყვარელს!

დ არტანიანი გაწითლდა.

– ჩემს საყვარელსაც? რად უნდა ვერიდებოდე მეტადრე ჩემს საყვარელს?

– იმიტომ, რომ საყვარელს იყენებს კარდინალი მეტად უებარ საშუალებად ვისიმე ჯავრის ამოსაყრელად. ამაზე უკეთესი სხვა საშუალება არა აქვს რა. ათ პისტოლად გაგყიდით ქალი, ბევრი კი არ უნდა!

ამ დროს დ არტანიანს მოაგონდა ქალბატონ ბონასიეს მიერ საღამოს ათი საათისათვის დანიშნული პაემანი, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ჩვენი გმირის საქებად, რომ ბატონ დე ტრევილის მიერ წარმოთქმულმა ასეთმა უარყოფითმა აზრმა ქალების შესახებ იოტისოდენა ეჭვიც კი არ აღუძრა და ისეთივე რწმენა შერჩა თავისი მშვენიერი სატრფოსი, როგორიც აქამდე ჰქონდა.

– მართლა, ერთი მითხარით, რა დაემართა თქვენს სამ მეგობარს? – სთხოვა დე ტრევილმა.

– მე თქვენთვის მინდოდა მეკითხა, იქნებ თქვენგან გამეგო მათი ამბავი.

– მე არაფერი ვიცი.

– ჩემი მეგობრები გზაში დავტოვე: პორთოსი შანტილში უნდა შებრძოლებოდა ვიღაცას, მხარში ტყვიაჩარჩენილი არამისი – კრევკერში; ათოსი – ამენში, ცილი დასწამეს, ყალბი ფულის მომჭრელი ხარო.

– ხედავთ?– მიმართა კაპიტანმა, – თქვენ როგორღა გადარჩით?

– სასწაული მოხდა, ბატონო. უნდა მოგახსენოთ, რომ ხმლითა ვარ დაჭრილი მხარში. კალეს გზის პირას მიწას მივაკარი გრაფი დე ვარდი...

– მით უარესი! გრაფი დე ვარდი კარდინალის კაცია, როშფორის ბიძაშვილი. რა გითხრათ, იცი, ჩემო მეგობარო, ერთი აზრი მომივიდა.

– ბრძანეთ, ბატონო.

– მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, ავდგებოდი და...

– მერე?

– დღეს პარიზში დაგიწყებთ ძებნას მისი ყოვლადუწმინდესობა, მანამ ის აქ გეძებთ, თქვენ პიკარდიისკენ წადით ჩუმად, არ გინდათ ბუკი და ნაღარა. წადით, ნახეთ სად არიან, როგორ არიან თქვენი მეგობრები, ხომ მეთანხმებით, რომ დიდი მეგობრობა გაგიწიეს და თქვენი ყურადღების ღირსნი არიან?

– მართალსა ბრძანებთ, ხვალვე წავალ.

– ხვალვე? რატომ ამ საღამოს არა?

– ამ საღამოს პარიზში უნდა გახლდეთ, ბატონო, აუცილებელი საქმე მაქვს.

– აჰ, ეს ყმაწვილკაცობა! ყმაწვილკაცობა! გიყვართ ვინმე? ფრთხილად იყავით, გეუბნებით: ქალმა დაღუპა ყველა კაცი, მომავალშიც არავინ გადაურჩება მის ცბიერებას. დამიჯერეთ, ამ საღამოსვე წადით აქედან!

– შეუძლებელი გახლავთ, ბატონო.

– მაშ დაჰპირდით? სიტყვა მიეცით?

– დიახ, ბატონო!

– ეგ სხვაა, მაგრამ მომეცით სიტყვა, რომ თუ ამაღამ სიკვდილს გადარჩით, ხვალ უთუოდ წახვალთ.

– ხვალ – დაუყოვნებლივ.

– ფული ხომ არ გინდათ?

– ორმოცდაათი პისტოლი კიდევ მაქვს, მე მგონი, რომ ამდენი არც კი დამჭირდება.

– ეგ თქვენ, თქვენს მეგობრებს?

– მე მგონი, მათაც უნდა ჰქონდეთ. პარიზიდან რომ გავედით, თითოეულ ჩვენგანს სამოცდათხუთმეტი პისტოლი ედო ჯიბეში.

– კიდევ მნახავთ წასვლამდე?

– არა მგონი, შეგაწუხოთ, ბატონო, თუ ახალი არა მოხდა რა და საჭიროებამ არ მოითხოვა.

– მაშ, გზა მშვიდობისა.

– გმადლობთ, ბატონო.

დ არტანიანი გამოეთხოვა ბატონ დე ტრევილს. დღეს უფრო მეტად, ვიდრე აქამდე, იგრძნო ამ კაცის გულითადი, მამობრივი თანაგრძნობა თავისი მუშკეტერებისადმი.

დ არტანიანმა სათითაოდ ჩამოუარა თავისი მეგობრების სახლებს. ჯერ ათოსთან მივიდა, შემდეგ პორთოსთან, ბოლოს არამისთან. ჯერ არ დაბრუნებულიყო არც ერთი მათგანი. არც მათი მსახურები ჩანდნენ. მათ შესახებ მეზობლებმაც არაფერი იცოდნენ.

მივიდოდა, მათ საყვარლებს ჰკითხავდა, გაიგებდა რაიმეს, მაგრამ არც პორთოსის საყვარელს იცნობდა, არც არამისისას. რაც შეეხება ათოსს, მას საყვარელი არ ჰყავდა.

რაზმელების ყაზარმასთან გავლისას თავლაში შეიხედა, სამი ცხენი უკვე მოეყვანათ, ერთიღა აკლდა. ამ ძვირფასი ცხენებით განცვიფრებული პლანშე სამურველით ცდილობდა მათ გასუფთავებას. ორი უკვე გაწმენდილი ჰყავდა და ახლა მესამეს უვლიდა.

– აჰ, რა კარგი ქენით, ბატონო, რომ აქეთ გამოიარეთ! – შესძახა სიხარულით პლანშემ, – მე მინდოდა თქვენი ნახვა..

– რისთვის, ჩემო პლანშე?

– ერთი მიბრძანეთ, თქვენ გჯერათ რაიმე ჩვენი სახლის პატრონისა?

– მე? სულ არაფერი.

– მეც ეგ მინდოდა.

–რად მეკითხებით მაგას?

– იმად, ბატონო, რომ... როდესაც თქვენ და ბატონი ბონასიე ლაპარაკობდით, მე თვალს არ ვაცილებდი ბონასიეს, მას ორ-სამჯერ ეცვალა ფერი...

– ეჰ, საქმე არა გქონია.

– თქვენ ვერ შეამჩნიეთ, ბატონო. იმ დროს დილით მიღებული წერილის მეტი არა გაგონდებოდათ რა. მე კი, პირიქით, სულ მას შევცქეროდი, სიფრთხილე შემმატა ისე უცნაურად შემოპარულმა წერილმა, თვალს აღარ ვაშორებდი და მისი სახის გამომეტყველების უმცირესი მოძრაობაც კი არ გამომპარვია.

– მერე, რა დაინახე?

– ფლიდი, გამცემი.

– ჰოო?!

– კიდევ მეტი: როგორც კი გამოეთხოვეთ და ქუჩის კუთხეს მოეფარეთ, ქუდი დაიხურა, სახლი დაკეტა და სირბილით თქვენი გზის საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა.

– მართალი ხართ, პლანშე, მეტად საეჭვოდ მეჩვენება მისი საქციელი და, არხეინად იყავ, სახლის ქირას ნუ მივცემთ, მანამ კარგად, საბოლოოდ არ მივუხვდებით განზრახვას.

– ხუმრობთ, ბატონო, და აი, ნახავთ...

– რას იზამ, ჩემო პლანშე, ვერსად წაუხვალ ბედისწერას.

– მაშ, არ აპირებთ ამღამინდელი გასეირნების გადადებას?

– პირიქით, პლანშე. ჯავრი მჭირს ბონასიესი და მით უფრო სიამოვნებით წავალ იმ წერილით დანიშნულ პაემანზე, რომელიც შენ ასე გაწუხებს.

– რაკი გადაგიწყვეტიათ, ბატონო...

– აუცილებლად, ჩემო მეგობარო, და შენც მზად იყავი ცხრა საათზე. აქვე იყავი ამ თავლასთან, მე გამოგივლი.

ახლა კი დარწმუნდა პლანშე, აღარავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ შეაცვლევინებდა ბატონს თავის განზრახვას, ღრმად ამოიოხრა და მესამე ცხენის გაწმენდას შეუდგა.

რაც შეეხება დ არტანიანს, როგორც ფრთხილმა და გონიერმა ყმაწვილმა, მან სადილად, სახლში წასვლის ნაცვლად, გაუხვია იმ ნაცნობი გასკონელი მღვდლისაკენ, რომელსაც ერთხელ საერთო გაჭირვების დროს ეწვია თავისი მეგობრებით და რომელიც მაშინ შოკოლადით გაუმასპინძლდა.

XXIV

პავილიონი

ცხრა საათზე დ არტანიანი რაზმელების ყაზარმასთან იყო. პლანშეც იქ დახვდა, წასასვლელად გამზადებული. მეოთხე ცხენიც უკვე მოეყვანათ.

პლანშეს თავისი მუშკეტი მხარზე ეკიდა, ხოლო დამბაჩა წელზე შემოერტყა. დ არტანიანს კი ქამარში ხმალი და ორი დამბაჩა ჩაემაგრებინა. ბატონმა და მსახურმა გამოიყვანეს ცხენები, შესხდნენ და ჩუმი ნაბიჯით გაუდგნენ გზას. ღამე მეტად ბნელი იყო და არავის დაუნახავს მათი წასვლა. პლანშე ათი ნაბიჯის დაშორებით მისდევდა თავის ბატონს.

დ არტანიანმა გადაჭრა სანაპირო ქუჩა, კონფერანსის ჭიშკრით გავიდა და გაჭყვა სენ-კლუსკენ მიმავალ გზას, რომელიც იმ დროს გაცილებით უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე არის.

სანამ ქალაქში იყვნენ, პლანშე დიდი პატივისცემით იცავდა მასა და დ არტანიანს შუა მის მიერვე დაწესებულ მანძილს, მაგრამ რაკი ნახა, რომ გზაში აღარავინ ხვდებოდათ და კარგადაც დაბნელდა, ნელ-ნელა მიუახლოვდა თავის ბატონს, ბულონის ტყეში მათი ცხენები უკვე ერთად მიდიოდნენ. უნდა გამოვტყდეთ, რომ დიდრონი ხის ტოტების რხევა და მთვარის შუქი გზისპირა ბუჩქებზე მეტად აფრთხობდა პლანშეს. დ არტანიანმა შეამჩნია მისი მსახურის ეს შიში.

— ჰა, ბატონო პლანშე, რა დაგემართათ, გაწუხებთ რამე? — ჰკითხა ღიმილით.

— არ დამეთანხმებით, ბატონო, რომ ტყე იგივე ეკლესიაა?

— ეს როგორ, პლანშე?

— ადამიანს ხმა ვერ ამოუღია ვერც ეკლესიაში და ვერც ტყეში.

— მერე, ვინ გიშლის ხმის ამოღებას? რატომ ვერ ბედავ? რისი გეშინია?

— იმისი მეშინია, რომ შეიძლება ყურს გვიგდებდეს ვინმე, დიახ, ბატონო.

— ყურს გვიგდებდეს ვინმე? მგონია, სრულიად ზნეობრივია ჩვენი საუბარი, ჩემო პლანშე, და კუდს ვერავინ გამოაბამს.

— ეჰ, ბატონო, — ამოიოხრა პლანშემ, რომელსაც მოაგონდა თავისი დაუვიწყარი აზრი, — რომ იცოდეთ, რა ორპირობა ეჩნევა ბონასიეს წარბებს და, მეტადრე, მის ტუჩებს.

— ჰა, კიდევ, რა ეშმაკმა მოგაგონა შენი ბონასიე?

— დიახ, ბატონო, იმას უნდა ფიქრობდეს კაცი, რაც შეუძლია, და არა იმას, რაც ენატრება.

— ეგ იმიტომ, რომ მხდალი ხარ, პლანშე.

— არა, ბატონო, ნუ ავურევთ ერთმანეთში სიფრთხილეს და სიმხდალეს: სიფრთხილე სათნოებაა...

— შენც სათნო კაცი ხარ, პლანშე?

— შეხედეთ, ბატონო!.. აგერ იქ თოფის ლულა ლაპლაპებს, თავი დავდუნოთ, ბატონო!

— თუ შემაშინებს რამე, — წაიდუდუნა დ არტანიანმა, რომელსაც დაწვრილებით მოაგონდა ბატონი დე ტრევილის დარიგება და გაფრთხილება, — თუ შემაშინებს რამე, ისევე ამ რეგვენის შიში. — და ცხენს მათრახი გადაჰკრა.

პლანშემაც ზუსტად გაიმეორა თავისი ბატონის ყოველი მოძრაობა, ისე ზუსტად, თითქოს ჩრდილი ყოფილიყოს მისი, და უკან არ ჩამორჩა.

– უკაცრავად, ბატონო, ნუთუ ასე უნდა ვიაროთ მთელი ღამე?

– არა, პლანშე, შენ უკვე მიხვედი.

– როგორ თუ მე? თქვენა, ბატონო?

– მე პატარა გზა დამრჩა ფეხით გასავლელი.

– მარტო მტოვებთ, ბატონო?

– გეშინია, პლანშე?

– არა, არ მეშინია, მაგრამ მინდა მოვახსენო ბატონს: ღამე ძალიან ცივი იქნება, სიცივისაგან ქარები შემეყრება და დახუთული მსახური გულს გაუწყალებს თავის ბატონს, მეტადრე, ისეთ მკვირცხლს, როგორიც თქვენა ბრძანდებით.

– თუ გცივა, ჩემო პლანშე, აგერ, შეხედე, რამდენი სამიკიტნოა გაჩაღებული, შედი ერთ-ერთში და ხვალ დილამდე იქ მომიცადე. ექვს საათზე გამოვიღვიძ და გარეთ დამხვდები.

– ეჰ, ჩემო ბატონო! ძალიან სინდისიერად შევჭამე და შევსვი ამ დილით ნაბოძები ეკიუ... ერთი გახვრეტილი გროშიც კი არ მომეპოვება ამ ცივ ღამეში თავის შესაფარებლად.

– აი, ნახევარი პისტოლი, მაშ, ხვალამდის.

დ არტანიანი ჩამოხტა ცხენიდან, აღვირი პლანშეს მიუგდო, წამოსასხამში გაეხვია და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

– ღმერთო, როგორ მცივა! – შეჰყვირა პლანშემ, როგორც კი თვალს მოეფარა დ არტანიანი, – ღმერთო, როგორ მცივა, – და რადგან ვერარ უძლებდა ამ სიცივეს, დააკაკუნა კარი ერთი სახლისა, რომელიც თავისი მორთულობით სამიკიტნოს წააგავდა.

დ არტანიანი პატარა საცალფეხო გზაზე გადავიდა, შემდეგ უკვე სენ-კლუსთან მივიდა, აქაც, იმის მაგივრად, რომ შარაგზას გაჰყოლოდა, უკან მოუარა ციხე-დარბაზს და ერთ პატარა მიყრუებულ ქუჩაზე აღმოჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ წერილში აღნიშნული პავილიონის პირდაპირ გაჩერდა. განცალკევებულად იდგა ეს პავილიონი. კედელს, რომლის ახლოც პავილიონი მდებარეობდა, მოსახვევის მთელი ერთი მხარე ეკავა, ხოლო მეორე მხრივ პატარა ბაღს იცავდა გამვლელთაგან. ბაღის სიღრმეში უბრალო ქოხი მოჩანდა.

დ არტანიანი დანიშნულ ადგილზე მივიდა, მაგრამ იმის გამო, რომ გაფრთხილებული არ იყო, რაიმე ნიშნით ეცნობებინა თავისი მისვლა, იდგა ჩუმად და ელოდა.

მიდუმებული იყო იქაურობა, არავითარი ხმაური არ არღვევდა მყუდროებას. ჩვენმა გმირმა დაასკვნა, რომ საკმაო მანძილით იყო დაცილებული საფრანგეთის დედაქალაქ პარიზს.

გული სიხარულით უცემდა გასკონელს, ახლოვდებოდა დანიშნული პაემანის დრო.

მართლაც, რამდენიმე წამის შემდეგ ზარმა სენ-კლუს კოშკზე დააღო თავისი საზარელი ხახა და დინჯად ათჯერ დაჰკრა.

რაღაც სევდა მოისმოდა ბრინჯაოს ამ ხმაში. მაგრამ ყმაწვილი კაცის გულს სიხარულით ავსებდა ნეტარების ჟამის მოახლოების ყოველი წამი.

თვალს არ აშორებდა პავილიონს, რომლის ფანჯრები, გარდა ერთისა მეორე სართულზე, დაკეტილი და ჩაბნელებული იყო.

ამ ფანჯრიდან გამოსჭვიოდა საამო სინათლე, რომელიც ვერცხლისფერს ჰფენდა პარკის გარეთ პატარა ჯგუფად ამაღლებულ ცაცხვის ათრთოლებულ ფოთლებს. ალბათ ამ პატარა ფანჯრის უკან, საამო სინათლით განათებულ ოთახში, იჯდა მისი კოპწია ქალბატონი ბონასიე და მას ელოდა.

ამ ტკბილი ფიქრით დამშვიდებული დ არტანიანი, თითქოს ბავშვი ყოფილიყოს აკვანში ნარწევი, მოთმინებით ელოდა რაიმე ნიშანს, თვალს არ აშორებდა ამ პატარა მომხიბლავ ბინას. თვალი მოჰკრა ჭერის ნაწილს, რომელსაც ჩუქურთმები ამშვენებდა, ეს კი უტყუარი საბუთი იყო, რომ მშვენიერი უნდა ყოფილიყო მთელი შენობა.

თერთმეტის ნახევარი დაჰკრა სენ-კლუს კოშკის ზარმა. თერთმეტის ნახევარი! თვითონაც არ იცოდა დ არტანიანმა, როგორ მოუვიდა, რომ ჟრუანტელმა დაუარა თავით ფეხამდე, მაგრამ შეიძლება შესცივდა და სრულიად ბუნებრივი ფიზიკური გრძნობა სულიერად მოეჩვენა.

მერე იფიქრა, იქნება კარგად ვერ წავიკითხე წერილი და პაემანი ათზე კი არა, თერთმეტზე იყო დანიშნულიო.

ფანჯარას მიუახლოვდა, ისე დადგა, რომ სინათლის სხივი მოხვედროდა წერილს, და კიდევ ორჯერ გადაიკითხა. არ შემცდარა, პაემანი ათ საათზე ჰქონდა დანიშნული.

დ არტანიანმა ისევ ძველი ადგილი მოძებნა, ფანჯრის პირდაპირ. გამეფებულმა სიჩუმემ და მარტოობამ სულიერი სიმშვიდე დააკარგვინა.

საათმა თერთმეტი დაჰკრა.

შიშმა შეიპყრო დ არტანიანი, ავად ხომ არ არის ქალბატონი ბონასიე?.. ავი ხომ არაფერი დაემართაო? – ასეთი ფიქრები უტრიალებდა თავში.

სამჯერ დაჰკრა ხელი ხელს, – ჩვეულებრივი ნიშანი შეყვარებულებისა, მაგრამ პასუხი არავინ მისცა.

შემდეგ წყენით გაიფიქრა: ალბათ ჩემს ლოდინში დაეძინა ახალგაზრდა ქალსაო.

კედელთან მივიდა და სცადა ზედ ამძვრალიყო, მაგრამ კედელი ახალი გალესილი იყო და ამაოდ ჩაუარა ცდამ.

ამ დროს თვალი მოჰკრა იმ ხეებს, რომელთა ფოთლებს ვერცხ-ლისფერსა ჰფენდა ფანჯრიდან გამომავალი საამო სინათლე, და რადგან ერთი ამ ცაცხვთაგანი უფრო წინ იდგა, გზისკენ, იფიქრა, რომ ამ ხიდან მთელ ოთახს დაინახავდა.

ადვილი იყო ამ ხეზე ასვლა; ესეც რომ არ იყოს, დ არტანიანი ჯერ ოცი წლისა არც კი იქნებოდა და, მაშასადამე, კარგად უნდა ხსომებოდა თავისი მოწაფეობა. თვალის დახამხამების უმალ ხეზე აძვრა და ტოტებს შუა მოექცა. იღბლად, ფანჯარას ფარდა არ ეფარა და დ არტანიანმა შეძლო ოთახის ყველა კუთხის დანახვა.

ოთახში საშინელი სანახაობა დაინახა და შეშინებულმა თხემით ტერფამდე იწყო კანკალი. ეს საამო სინათლე, ეს მშვენიერი ლამპა საზარელ არეულობას აშუქებდა. ფანჯრის ერთი მინა გაეტეხათ, ნახევრად დამტვრეული ოთახის კარი თითქმის ჩამოვარდნილიყო, მაგიდა გადაებრუნებინათ, იატაკზე ეყარა ვახშმისთვის მომზადებული საჭმელ-სასმელი; მშვენიერი სუფრა, დამტვრეული ჭურჭელი და დაჭყლეტილი ხილი ფარავდა იატაკს. ყველაფერი ეს ნათლად ამტკიცებდა, რომ ეს ოთახი გააფთრებული ბრძოლის ველი უნდა ყოფილიყო.

დ არტანიანმა ამ არეულობაში ტანისამოსის ნაგლეჯებიც შეამჩნია და სისხლით დალაქავებული სუფრისა და ფარდების გარჩევაც კი შეძლო.

საშინლად უცემდა გული. საჩქაროდ დაბლა ჩამოხტა და ამ ავკაცობის კვალის საძებნელად ქუჩებს გაჰყვა.

საამო სინათლე კვლავ ანათებდა წყნარ ღამეში. ახლა შეამჩნია დ არტანიანმა, რომ ზოგან დატკეპნილი იყო მიწა, ზოგან აშლილი, ადამიანისა და ცხენის ნაფეხური ერთმანეთში იყო არეული. ამ გარემოებისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია პირველად, როდესაც მარტო ფანჯარას შესცქეროდა. გარდა ამისა, დ არტანიანმა რბილ მიწაში ალბათ პარიზიდან მომავალი კარეტის თვლების ღრმად ჩაჭრილი კვალი შეამჩნია, რომელიც პავილიონის იქით აღარ გრძელდებოდა და ისევ პარიზისკენ ბრუნდებოდა.

ბოლოს იმით დაამთავრა ეს კვლევა-ძიება, რომ კედლის ძირას ქალის დახეული ხელთათმანი იპოვა. ხელთათმანი სველ მიწაზე ეგდო, მაგრამ მაინც სუფთა დარჩენილიყო.

არ ისვენებდა გასკონელი, რაც უფრო განაგრძობდა კვლევას, მით უფრო ჭირის ოფლი სდიოდა შუბლზე, გულს უკლავდა საშინელი უბედურების მოლოდინი, სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ მაინც ცდილობდა, ნუგეში ეცა თავისი თავისათვის. იქნება საერთო სულაც არა აქვს რა ამ აფორიაქებულ სახლთან ქალბატონ ბონასიეს, – ფიქრობდა დ არტანიანი. იქნება საწყალმა ქალმა პაემანი დაუნიშნა ამ პავილიონის შესავალ კართან და არა შიგ ტალავარში. შეიძლება, თავისი სამსახურის გამო ვერ წამოვიდა პარიზიდან ან ქმრის ეჭვიანობის გამო შინ დარჩა.

მაგრამ თვითონვე გრძნობდა, რომ სრულიად უსაფუძვლო იყო მისი მოსაზრებანი, უარყოფილი იმ გულითადი მწუხარებით, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, იმორჩილებს მთელ ჩვენს არსებას და შეუწყვეტლივ ჩასძახის ყველას, რასაც კი სმენის უნარი აქვს ჩვენში, რომ თავზე დიდი უბედურება დაგვტრიალებსო.

გონმიხდილს ჰგავდა დ არტანიანი. სირბილით კვლავ დიდ ქუჩაში გაიჭრა, გაიარა წედან გამოვლილი გზა, ბორანთან მივიდა და მის პატრონს გამოკითხვა დაუწყო.

ღამის შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც მებორნემ გადმოიყვანა შავწამოსასხამიანი ქალი, რომელიც სულ იფუთნებოდა და ცდილობდა ისე გაევლო თავისი გზა, რომ არავის ეცნო. მაგრამ სწორედ ამ გადაჭარბებულმა სიფრთხილემ მიიქცია მებორნის ყურადღება და ნახა, რომ მეტად მშვენიერი ქალი იყო.

დ არტანიანმა ისარგებლა ლამპით, რომელიც ამ კაცის ოთახში ენთო და ერთხელ კიდევ წაიკითხა ქალბატონ ბონასიეს ბარათი. წაიკითხა და დარწმუნდა, რომ არაფერში ცდებოდა, ერთმანეთს სენ-კლუში უნდა შეხვედროდნენ და არა სხვაგან; ბატონ დ ესტრეს პავილიონის წინ და არა სხვა ქუჩაზე.

ეჭვი აღარ იყო, უბედურება დაატყდა ქალბატონ ბონასიეს.

ისევ პავილიონისაკენ წავიდა სირბილით, ეგონა, მის იქ არყოფნაში ახალი მოხდებოდა რაიმე და ახალს მიაგნებდა, მაგრამ ამაოდ. კვლავ მიყრუებული იყო გარემო და იგივე საამო სინათლე გამოდიოდა ფანჯრიდან.

მაშინ მოაგონდა ის პატარა, დამუნჯებული და მიყრუებული ქოხი, საიდანაც, ცხადია, უნდა დაენახათ ყოველივე ის, რაც მოხდა. კიდეც უნდა გაეგონათ და ნახულის თქმაც შესძლებოდათ.

ეზოს კარი დაკეტილი დახვდა, მაგრამ ღობეზე გადახტა და, მიუხედავად იქვე, ხის ქვეშ დაბმული ძაღლის ყეფისა, ქოხთან მივიდა.

დააკაკუნა. ხმა არავინ გასცა. სამარისებური დუმილი გამეფებულიყო ქოხშიც, ისე, როგორც პავილიონში, მაგრამ რას იზამდა? ეს ქოხი იყო უკანასკნელი მისი იმედი, და კვლავ დააკაკუნა.

ჩუმი, შეშინებული მოძრაობის ხმა მოესმა შიგნიდან.

მაშინ დ არტანიანმა თავი დაანება კაკუნს და ხვეწნა დაუწყო, კარი გამიღეთო. ისეთი გულსაკლავი მწუხარება გამოსჭვიოდა მის ხმაში, ისეთი მუდარა და შიში, რომ შერცხვენილ ლაჩარსაც კი გააბედვინებდა ნდობას. ბოლოს ჭიებით დაჭმული დარაბა ოდნავ გააღეს, მაგრამ იმწამსვე მოხურეს. ქოხის კუთხეში ანთებული ლამპის საცოდავმა შუქმა დ არტანიანის ყაბიწი, ხმლის ტარი და მისი დამბაჩების ტარი გაანათა. მეტად სწრაფად მოხდა დარაბის მოხურვა, მაგრამ დ არტანიანმა მაინც მოასწრო და თვალი მოჰკრა მოხუცებულს.

– ღვთის გულისათვის! – შესძახა დ არტანიანმა. – მომისმინეთ: ერთ ნაცნობს ველოდი და ჯერაც არ მოსულა, ლამის მოვკვდე შიშით. ერთი მითხარით, უბედურება ხომ არა მომხდარა რა ამ უბანში?

მოხუცებულმა ფანჯარა ნელ-ნელა გააღო და ხელახლა გამოჩნდა, მხოლოდ ახლა უფრო ფერმიხდილი იყო, ვიდრე პირველად. დ არტანიანმა გულწრფელად უამბო თავისი ამბავი, მხოლოდ სახელები კი არ უთხრა. არ დაუმალა, რომ ახალგაზრდა ქალს უნდა შეხვედროდა პავილიონთან. ისიც უთხრა, რომ, რაკი აღარ მივიდა ის ქალი, როგორ ავიდა ცაცხვზე და ლამპის სინათლეზე არეულ-დარეული ოთახი დაინახა.

გულდადებით მოუსმინა მოხუცებულმა, ხოლო როდესაც დ არტანიანმა ლაპარაკი დაამთავრა, ისეთი მწუხარე სახით დაღუნა თავი, რომ ცხადი იყო, სანუგეშოს ვერას ეტყოდა ყმაწვილკაცს.

– ნუ დამიმალავთ! მითხარით, რა მოხდა? რა გაქვთ სათქმელი? – ეხვეწებოდა დ არტანიანი, – ღვთის გულისთვის, მითხარით, რა მოხდა იმ სახლში?

– ეჰ, ბატონო, – ამოიოხრა მოხუცმა, – ნურაფერს მკითხავთ, ნურაფერს, თორემ, რომ მოგახსენოთ, რაცა ვნახე, გეფიცებით, მეც ავი დღე დამადგება.

– მაშ, რაღაც ავი გინახავთ? – ეხვეწებოდა შეშინებული ყმაწვილი კაცი. ერთი პისტოლი დაუდო წინ, – ღვთის გულისათვის, მითხარით, რა იცით? მიამბეთ, რა ნახეთ, და პატიოსანი კაცის სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენი ნათქვამი არსად წამომცდება.

იმდენ მწუხარებას და გულწრფელობას ხედავდა მოხუცი დ არტანიანის სახეზე, რომ დათანხმდა და ჩუმი ხმით უთხრა:

– დაახლოებით ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ქუჩიდან რაღაც ხმაური შემომესმა. ამ ხმაურის მიზეზის გასაგებად კართან მივედი და დავინახე, რომ ჩემთან შემოვარდნას აპირებდნენ. ერთი საწყალი კაცი ვარ, რისა უნდა მეშინოდეს, არაფერი მაბადია, რა უნდა მომპარონ-მეთქი, და კარი გავაღე. სამი კაცი იდგა მხედრულად მორთული. ბნელში კარეტა მოჩანდა, რომელშიაც ცხენები ება. იქვე იდგა რამდენიმე შეკაზმული ცხენი, რომლებიც იმ სამი მხედრისა უნდა ყოფილიყო.

– ოჰ, ჩემო კეთილო ბატონებო! – მივესალმე მხედრებს, – რას მიბრძანებთ?

– იქნება ერთი კიბე გქონდეს, – მითხრა ერთმა, მე მგონი, უფროსი ის უნდა ყოფილიყო.

– მაქვს, ბატონო, ხილის მოსაკრეფი კიბე.

– მოგვეცი შენი კიბე და შინ შედი, აი, ერთი ეკიუ, ეს, დამით შეწუხებისათვის, მხოლოდ კარგად დაიხსომე: თუ ერთი სიტყვა წამოგცდენია სადმე, იმაზე, რასაც ნახავ და გაიგონებ, იცოდე, ცოცხალი ვეღარ გადაგვირჩები, – მითხრა უფროსმა, ერთი ეკიუ გადმომიგდო და კიბე წაიღო.

– გავიდნენ თუ არა, ჩემი ოთახის კარი მოვიკეტე, მაგრამ მაშინვე უკანა კარით გამოვედი და ანწლებში ჩავიმალე, იქიდან ყველაფერს დავინახავდი და გავიგონებდი კიდეც.

იმ სამმა მხედარმა კარეტა ისე ჩუმად წამოიყვანა, რომ მისი ხმა არც ისმოდა. კარეტიდან სქელი, ტანდაბალი, ჭაღარაშერთული კაცი გადმოიყვანეს, მეტად ღარიბული თალხი ტანისამოსი ეცვა. იგი დიდი სიფრთხილით აძვრა კიბეზე, შეიხედა ფანჯრიდან ოთახში, მგლის სიფრთხილით ჩამოვიდა ძირს და ჩუმი ხმით თქვა:

– ის გახლავთ.

იმ მხედარმა, მე რომ მელაპარაკებოდა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და მაშინვე მივარდა პავილიონის კარს. გააღო, შევიდა, კარები მოკეტა და მიიმალა. იმავე დროს, ის ორი მხედარიც კიბეზე აძვრა, კარებთან დარჩა ტანდაბალი ჭაღარა. მეეტლე ძლივს იმაგრებდა ცხენებს. მხედრების ცხენები კი მსახურს ეჭირა.

უცბად იმ ოთახიდან საშინელი კივილი მოისმა, ვიღაც ქალი ფანჯარას მივარდა, გააღო, თითქოს გადმოვარდნას აპირებდა, მაგრამ დაინახა თუ არა ის

ორი კაცი, გულგახეთქილი უკანვე შებრუნდა. მაშინ ის ორი მხედარიც ოთახში შევარდა. ქალს გაეკიდნენ. მერე კი ვეღარა დავინახე რა, მაგრამ ავეჯისა და ჭურჭლის მსხვრევის ხმა მესმოდა. ქალი რაც ძალა ჰქონდა გაჰკიოდა და შველას თხოულობდა. მაგრამ როგორღაც მალე ჩააჩუმეს. ფანჯარასთან სამი მხედარი გამოჩნდა. ორს ხელში აეყვანა ქალი და ისე მიჰყავდა. იგი კარეტაში ჩასვეს, მასთანვე ჩაჯდა დაბალი ტანის ბებერი. მესამე მხედარმა კი, რომელიც სახლში დარჩა, ფანჯარა მოკეტა. დარაბა მიხურა, კარით გამოვიდა და რომ დარწმუნდა, ქალი ნამდვილად კარეტაში იყო, თავისი ამხანაგების მსგავსად ისიც ცხენს მოახტა. კარეტა მთელი სისწრაფით წავიდა. უკან სამი მხედარი მისდევდა. ამის შემდეგ აღარაფერი დამინახავს და აღარც გამიგონია რა.

ისე საშინლად იმოქმედა ამ ამბავმა დ არტანიანზე, რომ იგი გაშეშდა, ხმა ვეღარ ამოეღო, გულში ბობოქრობდნენ რისხვისა და ეჭვის ძალები.

– ნურც ასე წუხხართ, ბატონო, – განაგრძო მოხუცმა, რადგან ეს უსიტყვო სასოწარკვეთილება მასში უფრო მეტ თანაგრძნობას იწვევდა, ვიდრე ხმამაღალი ყვირილი და ცრემლის ფრქვევა.

– ნუ, ჩემო ბატონო, ცოცხალი წაიყვანეს ის ქალი, მთავარი ეს გახლავთ.

– იქნება იცოდეთ, ვინ იყო ის კაცი, რომელიც უფროსობდა ამ ჯოჯოხეთურ ძალმომრეობას? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– არ ვიცნობ, ბატონო.

– თქვენ ხომ გელაპარაკათ? ხომ ნახეთ?

– აჰ, თქვენ მის ნიშნებს მეკითხებით?

– დიახ.

– ტანადი კაცია, გამხდარი, შავგვრემანი, შავი ულვაში და შავი თვალები აქვს, დიდებულს ჩამოჰგავს.

– ის არის! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – კიდევ ის! ყოველთვის ის! ჩემი სულთამხუთავი! – შემდეგ კვლავ მოხუცს მიუბრუნდა, – მეორე? მეორე როგორიღა იყო?

– რომელი?

– პატარა.

– ოჰ, თუნდა დავიფიცავ, იმ პატარას არა აცხია რა დიდებულისა. ესეც რომ არ იყოს, ხმალი არა ჰქონდა და მხედრებიც უკმეხად ექცეოდნენ.

– ვისიმე მსახური იქნებოდა, – წაიბუზღუნა დ არტანიანმა. – აჰ, საწყალი ქალი! საწყალი ქალი! ნეტავი რა მოუვიდა?

– ხომ დამპირდით, ბატონო, სიტყვას არსად ვიტყვიო? - მოაგონა მოხუცმა.

– ხელმეორედ გპირდებით, დამშვიდებული იყავით, პატიოსანი კაცი ვარ... პატიოსან კაცს თავისი სიტყვის მეტი არა აქვს რა.

გულმოკლული წავიდა დ არტანიანი ბორნისკენ. მრავალი აზრი უტრიალებდა თავში, ფიქრობდა, შეიძლება ის ქალი ქალბატონი ბონასიე არ იყოსო, და იმედოვნებდა, რომ ხვალ ლუვრში ნახავდა თავის სატრფოს. თან ეჭვიც ტანჯავდა: იქნებ სხვაც ეტრფის ვინმე და ეჭვით გახელებულმა გააბა ამ მახეში და მოატაცებინაო. ხან ლანდით ტკბებოდა, ხან სასოწარკვეთილებას ემორჩილებოდა საწყალი ჭაბუკი.

– ოჰ, ნეტავი მეგობრები აქ მყოლოდა! – იძახდა ბრაზმორეული, – მაშინ ცოტა იმედი მაინც მექნებოდა პოვნისა, მაგრამ ნეტავი მათ რაღა დაემართათ?

შუაღამე იდგა. ახლა საქმე ის იყო, როგორ ეპოვა თავისი პლანშე? ყველა სამიკიტნოში, სადაც კი სინათლე დაინახა, კარი გააღებინა, მაგრამ პლანშე არსად ჩანდა.

მეექვსე სამიკიტნოს რომ მიადგა, გადაწყვიტა, უსარგებლო იქნება მსახურის ასე ძებნაო: პლანშესთვის ნაბრძანები ჰქონდა, დილის ექვს საათზე სამიკიტნოს

კართან დახვედროდა, მანამდე კი სრული უფლება ჰქონდა მის მსახურს იქ ყოფილიყო, სადაც მოისურვებდა.

უცბად ფიქრმა გაუელვა ყმაწვილკაცს, რომ ჯობდა სადმე ახლოს დარჩენილიყო იმ ადგილთან, სადაც ის უბედურება მოხდა. ამით შეიძლებოდა ამ საიდუმლო საქმის დამატებით რაიმე შეეტყო. მეექვსე სამიკიტნოსთან, როგორც მოგახსენეთ, შედგა, შევიდა, მოითხოვა ერთი ბოთლი საუკეთესო ღვინო და ბნელ კუთხეში მიჯდა. იდაყვით მაგიდას დაეყრდნო, იფიქრა, ასე ვიქნები გათენებამდეო. მაგრამ აქაც უმტყუნა იმედმა. ყურთასმენად გადაიქცა, სამიკიტნოში მოსაუბრეთა ერთი სიტყვაც კი არ გამოჰპარვია. ამდენ ლანძღვა-გინებაში, ხუმრობასა და ლაზღანდარობაში, რომელსაც ასე უხვად ხარჯავდნენ მსახურები, მუშები და მეეტლეები, ესე იგი, სამიკიტნოს პატივსაცემი საზოგადოება, ხმა არავის ამოუღია ქალის მოტაცების ამბავზე. აქაც ვერა გაიგო რა ახალი ჩვენმა გმირმა, რომ საწყალი ქალის კვალისთვის მაინც მიეგნო. იმედგაცრუებულმა გამოცალა ბოთლი. არ უნდოდა, რომ ეჭვის თვალით შემოეხედა ვინმეს, ამიტომ იძულებული გახდა, თავის კუთხეში მოსასვენებლად მოწყობილიყო და კარგად ან ავად გამოეძინა. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ოცი წლისა არც კი იყო ჩვენი გმირი და ამ ხნის კაცზე ძილს ხელშეუვალი უფლება აქვს, რომელსაც არავის შეალახვინებს, თუნდა დაწყლულებულიც ჰქონდეს გული.

ექვსი საათი იქნებოდა, დ არტანიანს რომ გამოეღვიძა. გამოეღვიძა იმ უქეიფობით, რომელიც ცუდად გატარებული ღამის შემდეგ თან მოაქვს გათენებას. ტანისამოსი გაისწორა, მერე სინჯვა დაუწყო თავის თავს, ხომ არაფერი მომპარესო. ყველაფერი რიგზე ჰქონდა: ალმასი – თითზე, ქისა – ჯიბეში, დამბაჩები – ქამარზე. ერთი ბოთლი ღვინის ფასი გადაიხადა და ქუჩაში გავიდა იმ იმედით, რომ ახლა განთიადის სინათლეც დაეხმარებოდა პლანშეს ძებნაში. მართლაც, როგორც კი თვალი გადაავლო იქაურობას, მაშინვე ნესტიან მოლურჯო ბურუსში თავისი პლანშე დაინახა, რომელსაც ხელში ორი შეკაზმული ცხენის აღვირი ეჭირა და იდგა ისეთ უმნიშვნელო სამიკიტნოს კართან, რომელსაც წუხელ ორ-სამჯერ ჩაუარა დ არტანიანმა, მაგრამ ვერც კი შეამჩნია მისი არსებობა.

XXV

პორთოსი

იმის მაგივრად, რომ პირდაპირ შინ მისულიყო, დ არტანიანი ბატონ დე ტრევილის კარებთან ჩამოხტა ცხენიდან და საჩქაროდ აირბინა კიბე. ახლა კი გადაწყვეტილი ჰქონდა, დაწვრილებით ეამბნა ყველაფერი, რაც მოხდა. ეჭვი არა ჰქონდა, კარგ რჩევას მიიღებდა ბატონ დე ტრევილისაგან ამ საქმის გამოსარკვევად. გარდა ამისა, რაკი ბატონი დე ტრევილი თითქმის ყოველდღე ხედავდა დედოფალს, იქნება მოეხერხებინა როგორმე და დედოფლის შემწეობით გაეგო იმ საწყალი ქალის ბედი, რომელსაც იმიტომ ტანჯავდნენ ასე უწყალოდ, რომ დედოფლის ერთგული მსახური იყო.

მუშკეტერთა კაპიტანმა ყურადღებით მოისმინა ყმაწვილი კაცის ნაამბობი. ცხადად ეტყობოდა, რომ ამ საქმეში სიყვარულისა და ეჭვიანობის გარდა, სულ სხვა, ფრიად მნიშვნელოვანი რამ იფარებოდა. შემდეგ, როდესაც დ არტანიანმა საუბარი დაამთავრა, მიუბრუნდა და უთხრა:

– ეჰ, მისი ყოვლადუწმინდესობის სუნი უდის მაგ საქმეს.

– მაშ, რა ვქნა? – უთხრა დ არტანიანმა.

– არაფერი, სრულიად არაფერი! ერთიდა დაგრჩენიათ ამჟამად, როგორც გითხარით, წადით პარიზიდან. წადით, რაც შეიძლება მალე. დედოფალს ვნახავ, დაწვრილებით ვუამბობ იმ საბრალო ქალის მოტაცების ამბავს. ეჭვი არ მეპარება, ვერც კი შეამჩნევდა თავისი ერთგული მოახლის არყოფნას. ამ მოტაცების წვრილმანით იხელმძღვანელებს საქმის გამოსარკვევად და როდესაც დაბრუნდებით, იქნება სანუგეშოც დაგახვედროთ რაიმე. ჩემი იმედი გქონდეთ.

იცოდა დ არტანიანმა, რომ ბატონი დე ტრევილი ერიდებოდა დაპირებას, მაგრამ ხანდახან მაინც წასცდებოდა ხოლმე, შემთხვევით დაჰპირდებოდა ვინმეს დახმარებას, და მაშინ დაპირებულზე უფრო მეტს შველოდა. გულითადი მადლობით გამოეთხოვა დე ტრევილს დ არტანიანი. მეტად დავალებული იყო მისგან წარსულში და გრძნობდა, რომ დავალებული იქნებოდა მომავალშიც. თავის მხრივ, სახელოვან კაპიტანსაც ძალიან მოსწონდა ეს ყმაწვილი ბიჭი, ასე ყოჩაღი და გამბედავი. გულითადი თანაგრძნობით ჩამოართვა ხელი და მშვიდობიანი მგზავრობა უსურვა.

დ არტანიანს გადაწყვეტილი ჰქონდა, დაუყოვნებლივ, იმწამსვე აესრულებინა ბატონ დე ტრევილის ყოველი რჩევა, და თავისი სახლისკენ გაეშურა სამგზავრო ბარგის ჩასალაგებლად თავისი ბინის კარებთან ბატონი ბონასიე დაინახა, დილის ტანისამოსით. მაშინვე მოაგონდა ყველაფერი, რაც კი უთხრა წუხელ დაკვირვებულმა პლანშემ სახლის პატრონის ორპირობისა და ფლიდობის შესახებ; ამიტომ უფრო მეტი ყურადღებით დააკვირდა სახლის პატრონს, ვიდრე ჩვეულებრივ იცოდა ხოლმე. მართლაც, გარდა იმ სიყვითლისა, რომელიც ნაღვლის ავადმყოფობის გამო გადაჰკრავდა, რადაც ფარული ვერაგობა ემჩნეოდა მის სახეს. ისე ვერ გაიცინებს გაიძვერა, როგორც პატიოსანი კაცი იცინის, იმ ცრემლით არა ტირის პირმოთნე, რომელსაც გულწრფელი აფრქვევს. ნიღაბი არის ყოველგვარი სიცრუე და ძალიან კარგადაც რომ ჰქონდეს ჩამოფარებული ეს ნიღაბი, მაინც ყოველთვის შეძლებს დაკვირვებული ადამიანი ნიღბისა და ნამდვილი სახის განსხვავების დანახვას.

დ არტანიანსაც ეჩვენა, რომ ნიღაბი ეფარა ბატონ ბონასიეს სახეს. ზიზღი მოერია, უნდოდა ისე გაევლო, რომ ხმა არ გაეცა, მაგრამ გუშინდელივით თვითონ ბონასიე დაელაპარაკა:

– ერიჰაა! სად ბრძანდებით, ყმაწვილო კაცო? სად ათევთ დამეს? დილის შვიდი საათია და ახლა მოდიხართ? ცოტა არ იყოს, ღალატობთ, ბატონო, მიღებულ ჩვეულებებს და დასაძინებლად მაშინ მობრძანდებით, როდესაც სხვანი საქმეზე მიდიან.

– ვაი, რომ მაგ საყვედურითვე ვერ გიპასუხებთ, ბატონო ბონასიე, – მიუგო დ არტანიანმა. – რადგან კეთილი ყოფაქცევის ადამიანთათვისაც სამაგალითო ხართ. არა, ისიც მართალია, თუ კაცს ლამაზი ცოლი ჰყავს და თანაც ახალგაზრდა, სხვაგან არ დაიწყებს ბედნიერების ძებნას. მით უფრო, რომ თვითონ ის ბედნიერება მოისწრაფვის თქვენს სანახავად. ასე არ არის, ბატონო ბონასიე?

მკვდარივით გაყვითლდა ბატონი ბონასიე და გესლიანად გაიღიმა.

– პა, პა, როგორ გეხალისებათ ხუმრობა! ეს კარგი, მაგრამ სად ეშმაკებში დარბოდით წუხელ, ყმაწვილო კაცო? ეტყობა, ძალიან ტალახიანი იყო მიხვეულ-მოხვეული პატარა ქუჩები.

დ არტანიანმა წაღებს დახედა, მთლად მოსვრილი იყო ლაფით, მაგრამ თავის წაღებთან ერთად, ბონასიეს წაღებსაც მოჰკრა თვალი. სხვას რომ ენახა ვინმეს, იტყოდა, ორივე ერთსა და იმავე წუმპეში ჩაფლულაო, ისე ერთნაირი ტალახით იყო მოსვრილი სახლის პატრონისა და მდგმურის ფეხსაცმელი.

უეცარი აზრი მოუვიდა დ არტანიანს: თვითონ ბონასიე უნდა ყოფილიყო ის პატარა კაცუნა, სქელი, ტანდაბალი, ჭაღარაშერეული, თალხი ტანისამოსით, ისე

უკმეხად რომ ექცეოდნენ ქალბატონ ბონასიეს მოსატაცებლად მისული მხედრები. მაშ, ქმრის ხელმძღვანელობით მოხდა ცოლის მოტაცება!

ბრაზი მოერია დ არტანიანს. უნდოდა მივარდნოდა და იქვე წაეხრჩო ეს საზიზღარი, მაგრამ, როგორც ვთქვით, ძალიან გონიერი ადამიანი იყო ჩვენი გასკონელი და თავი შეიკავა. თუმცა სახეზე ისე ცხადლივ აღებეჭდა თავისი სულიერი განცდა, რომ გული გაუხეთქა ბონასიეს და უკან დაახევინა. სამწუხაროდ, იგი კარზე მიყუდებული ელაპარაკებოდა თავის მდგმურს, რომელიც გარედან იყო გადარაზული, ამიტომ იქვე დარჩა ბონასიე, სადაც ბრძანდებოდა.

– კარგად კი ენამახვილობთ, – უპასუხა დ არტანიანმა, – მაგრამ ჩემსას რომ ხედავთ, შორსმჭვრეტელო, თქვენსას ვეღარ ამჩნევთ?! თუ ჩემს წაღებს ესაჭიროება კარგად გაწმენდა, არც თქვენები დაიწუნებენ მაგარ ჯაგრისს, იქნება თქვენც ჩემსავით დაყიალობდით სადღაც ტალახში, ბატონო ბონასიე? ჰოო? იცოდეთ, არ ეპატიება ეგ ყიალი თქვენი ხნის კაცს, მეტადრე ისეთი მშვენიერი ცოლის პატრონს, როგორიც ქალბატონი ბონასიეა.

– ეჰ, კარგით ერთი! – შეჰყვირა ბონასიემ, – სენ-მადენში ვიყავი გუშინ, მინდოდა ცნობები შემეკრიბა ერთი გოგოს შესახებ, მოახლე უნდა შემოვიყვანო სახლში, თორემ მე ვეღარ ავუდივარ საქმეს. მეტად წამხდარი გზებია იმ მხარეს და ასე ამიტომ ამოვილაფე. ამ დილას კი იმდენი ვეღარ მოვიცალე, რომ გამეწმინდა.

სენ-მადენის დასახელებით ბონასიემ ერთი ახალი საბუთი კიდევ მისცა დ არტანიანს მისი ეჭვების საბოლოოდ გამართლებისათვის. სენ-მადენი იმიტომ დაასახელა, რომ იგი სენ-კლუს საწინააღმდეგო მხარეს იყო.

მაშ, თვითონ ბონასიეც იქ ყოფილა წუხელ! ამ მოსაზრებამ მისცა პირველი ნუგეში: თუ ბონასიემ იცის, სად არის მისი ცოლი, უკიდურესი საშუალებების ხმარებით და ძალდატანებით იქნება კიდეც ვათქმევინო ეს საიდუმლოებაო, ფიქრობდა დ არტანიანი, საჭირო იყო, მხოლოდ, ნამდვილ ჭეშმარიტებად გახდომოდა ის, რასაც ჯერ მარტო ეჭვით გრძნობდა.

– უკაცრავად, ჩემო კეთილო ბატონო ბონასიე, რომ ასე დაურიდებლად ვსარგებლობ თქვენი მასპინძლობით, – უთხრა დ არტანიანმა, – ისე არაფერი აღძრავს წყურვილს, როგორც უძილობა; ძალიან მწყურია, ლამის გავგიჟდე და ნება მიბოძეთ, ერთი ჭიქა წყლით მოვიკლა წყურვილი, ხომ მოგეხსენებათ, რომ ამაზე უარს ვერავინ ეტყვის თავის მეზობელს.

თქვა ეს, თავის მასპინძლის პასუხს არ მოუცადა, სწრაფად შევიდა ოთახში და თვალი გადაავლო ბონასიეს ლოგინს. ლოგინი გუშინდელი დალაგებული იყო, იმ ღამეს შიგ არავინ წოლილა. ცხადია, ისიც ამ დილით დაბრუნებულიყო, ერთი-ორი საათის წინ. ალბათ, თვითონვე მიაცილა თავისი ცოლი, სადაც მიჰყავდათ ან პირველ სადგურამდე მაინც.

– გმადლობთ, ბატონო, – გამოსძახა დ არტანიანმა და ჭიქა გამოსცალა, – ამისთვის შეგაწუხეთ, ამის მეტი არა მინდა რა თქვენი. ახლა შინ ავალ, წაღებს გავაწმენდინებ პლანშეს, ჩემებს რომ მორჩება, თუ გნებავთ, მერე თქვენთან ჩამოვგზავნი, თქვენების გასაწმენდად.

გაშტერებული იდგა ამ უცნაური გამოთხოვებით ბონასიე და თავის თავს ეკითხებოდა, მე თვითონ ხომ არ გავები ჩემს სიცრუეშიო.

დ არტანიანს კიბის თავზე შეშინებული პლანშე დახვდა.

– აი, ბატონო, – შეჰყვირა სიხარულით პლანშემ, როგორც კი დაინახა, – დღეს კიდევ მეორე მოვიდა და ძალიან მეჩქარებოდა თქვენი დაბრუნება.

– რა მეორე?

– გუშინ ერთი, დღეს მეორე – დავნაძლევდეთ, ბატონო, თქვენი ერთი, ჩემი ასი, თუნდა – ათასი, რომ ვერ გამოიცნობთ, ვინ იყო აქ თქვენს სანახავად, მანამ თქვენ შინ არ ბრძანდებოდით!

– ეგ როდის?

– ამ ნახევარი საათის წინ, მანამ თქვენ ბატონ დე ტრევილთან ბრძანდებოდით.

– ვინ იყო?

– ბატონი დე კავუა.

– ბატონი დე კავუა?

– დიახ, პირადად ბატონი დე კავუა.

– მისი ყოვლადუწმინდესობის გვარდიის კაპიტანი?

– დიახ, სწორედ ის.

– ჩემ დასაჭერად მოვიდა?

– მეც მაგისი მეშინოდა, მიუხედავად მისი მლიქვნელური სახისა და სიტყვისა.

– მლიქვნელური სიტყვა ჰქონდა?

– ტკბილი, ისეთი ტკბილი, ბატონო, რომ თაფლი გეგონებოდათ.

– მართლა?

– მის ყოვლადუწმინდესობას გამოეგზავნა, როგორც თქვა, თურმე ძალიან მოსწყურებია თქვენი ნახვა და უნდოდა თვითონ წაეყვანეთ ბატონ კარდინალთან.

– მერე, შენ რა უთხარი?

– ვუთხარი, რომ შეუძლებელია-მეთქი ბატონი კარდინალის სურვილის შესრულება, რადგან თვითონაც ხედავდა, რომ შინ არ ბრძანდებოდით.

– მაგაზე რაღა თქვა?

– გთხოვათ, დღეს უთუოდ გაიაროთ მისკენ, მერე ჩუმი ხმით მითხრა: „მოახსენე შენს ბატონს, რომ ძალიან კარგი თვალით უყურებს მას მისი ყოვლადუწმინდესობა და შეიძლება, დღევანდელ შეხვედრაზე იყოს დამოკიდებული ბატონ დ არტანიანის მთელი ბედნიერებაო“.

– კარდინალი და ამისთანა ცხადი ხაფანგი! – წამოიძახა სიცილით დ არტანიანმა.

– მეც ხაფანგი დავინახე და ვუთხარი: ძალიან კი ეწყინება, რომ შინ არ დაგხვდათ-მეთქი. „სად არის? სად წავიდა?“ – მკითხა ბატონმა დე კავუამ. „ტრუაში, ბატონო! შამპანში“, – ვუპასუხე მაშინვე. – „როდის წავიდაო?“ – „წუხელ საღამოს-მეთქი“.

– პლანშე, ჩემო მეგობარო, – შეაწყვეტინა დ არტანიანმა, – მართლაც რომ ძვირფასი კაცი ყოფილხარ.

– მაშინვე ვიფიქრე, ბატონო, რომ ყოველთვის შეიძლებოდა ჩემთვის დაგებრალებინათ ტყუილი, თუკი მოისურვებდით ბატონ დე კავუას ნახვას, და გეთქვათ, თითქოს წასვლას აპირებდით, მაგრამ ჯერ ვერ წახვედით. ამ შემთხვევაში მე ვიქნებოდი მატყუარა, და რადგან მე კეთილშობილი არ გახლავართ, მაშ, ტყუილის თქმაც მეპატიება.

– ნუ გეშინია, ჩემო პლანშე, უმწიკვლოდ შეგრჩება პატიოსანი კაცის სახელი. მივდივართ, თხუთმეტი წუთი და, წავალთ.

– მეც სწორედ ეგ მინდოდა მერჩია ბატონისთვის. საით მივდივართ, თუ ცნობისმოყვარეობას არ დამაბრალებთ?

– შენ ხომ შამპანისკენ გამგზავნე, – ტრუაში წავიდაო, – მოდი, მაგის საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდეთ. ერთი ეს მითხარი, შენ კი არ გეჩქარება შენი ამხანაგების ნახვა? განა არ გინდა გაიგო, როგორ არიან გრიმო, მუშკეტონი და ბაზენი? მე ძალიან მომენატრა ჩემი მეგობრები. გავიგებ მაინც, რა დაემართა ათოსს, პორთოსს და არამისს!

– მინდა და ეგრე? – გაუხარდა პლანშეს, – მზად გახლავართ! თუნდაც ახლავე, ამწუთს, ბატონო, ვგონებ, პროვინციის ჰაერი უფრო მოგვიხდება, ვიდრე პარიზისა! ისე რომ...

– ისე რომ, ჩაალაგე ბარგი, პლანშე, და წავიდეთ. მე წინ წავალ ფეხით. ხელებს ჯიბეში ჩავიწყობ და გავისეირნებ, რომ ეჭვი არავინ აიღოს. შენ გვარდიის ყაზარმასთან მნახავ. მართლა, პლანშე, სრულიად მართალი ხარ ჩვენი პატიოსანი სახლის პატრონის შესახებ, მართლაც საზიზღარი, სულმდაბალი კაცი უნდა იყოს.

– ეჰ, დამიჯერეთ ხოლმე, ბატონო, როდესაც რამეს მოგახსენებთ. კაცს ერთი შეხედვისთანავე ვცნობ.

შეთანხმების თანახმად, პირველად დ არტანიანი გავიდა სახლიდან. შემდეგ, რომ რაიმე არა ჰქონოდა თავის თავთან სასაყვედურო, მეგობრებისკენ გასწია. არავითარი ამბავი არ მოსვლოდათ მეზობლებს, მხოლოდ ერთი წერილი მოსულიყო არამისის მისამართზე, სურნელებით გაჟღენთილი, კოხტა ხელით დაწერილი. წერილი დ არტანიანმა ჩაიდო ჯიბეში. ათი წუთის შემდეგ პლანშე რაზმელთა თავლაში შევიდა, სადაც თავისი ბატონი დახვდა. დრო რომ არ დაეკარგა, დ არტანიანმა თვითონვე შეკაზმა თავისი ცხენი.

– ძალიან კარგი, – მოუწონა ბატონმა, როდესაც პლანშემ ჩანთა დააკრა თავის ცხენს, – ახლა ეს სამი ცხენიც შეკაზმე!

– ორ-ორი ცხენი რომ წავიყვანოთ, განა უფრო ჩქარა ვივლით? – ჰკითხა პლანშემ ეშმაკურად.

– არა, ბატონო ხუმარავ, – უპასუხა დ არტანიანმა, – მაგრამ ამ ცხენებით შევძლებთ ჩვენი მეგობრების წამოყვანას, თუ ღმერთი შეგვეწია და ცოცხლები ვიპოვეთ სადმე.

– დიდი ბედნიერება იქნება, – მიუგო პლანშემ, –არ უნდა დაკარგოს გაჭირვებულმა ღვთის მოწყალების ტკბილი იმედი.

– ამინ! – დაემოწმა დ არტანიანი და ცხენს მოახტა.

ორივე გავიდა რაზმელების ყაზარმიდან, ქუჩის ერთ მხარეს ერთი წავიდა, მეორე მხარეს – მეორე. ერთი ლავილეტის სადარაჯო კარით უნდა გასულიყო პარიზიდან, მეორე – მონმარტრისა. სენ-დენის იქით უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ეს იყო ერთგვარი სტრატეგიული ხერხი, რომელიც ისეთი სიზუსტით შეასრულეს, რომ საუკეთესო შედეგით დაგვირგვინდა. დ არტანიანი და პლანშე ერთად შევიდნენ პიერფიტში.

უნდა ითქვას, რომ პლანშე დღისით უფრო გულადი იყო, ვიდრე ღამით. ამასთან, ერთი წამითაც არ ავიწყდებოდა თავისი ბუნებრივი გონიერება, თავისი პირველი მოგზაურობის სულ უმნიშვნელო წვრილმანიც კი ახსოვდა და მტრად მიაჩნდა ყველა, ვისაც კი გზაზე შეხვდებოდა. ამიტომ იყო, რომ ყველას ქუდს უხდიდა. დ არტანიანი უჯავრდებოდა. ეშინოდა, ამ გადაჭარბებული ზრდილობის გამო, ჩემი პლანშე პატარა, უმნიშვნელო კაცის მსახურად არ მიიღონო.

პლანშეს ზრდილობა მოსწონდათ მგზავრებს თუ ამჟამად არავითარი საფრთხე არ მოუმზადეს – ჩვენი ორი გმირი მშვიდობიანად მივიდა შანტილში. ისინი „დიდი სენ-მარტენის“ სასტუმროში ჩამოხტნენ. სწორედ იმაში, რომელშიც თავისი პირველი მგზავრობის დროს შეისვენეს დ არტანიანმა და მისმა მეგობრებმა.

სასტუმროს პატრონმა დაინახა თუ არა ძვირფას შეკაზმულ ცხენზე მჯდომი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც უკან მსახური მოსდევდა, წინ მიეგება და მდაბლად დაუკრა თავი. დ არტანიანს თერთმეტი ლიე ჰქონდა გავლილი, ამიტომ გადაწყვიტა შეჩერებულიყო, თუნდაც აქ აღარ დახვედროდა პორთოსი, ამასთან, უხერხული იყო მოსვლისთანავე პორთოსის ამბის კითხვა. ამიტომ მეგობრის შესახებ არაფერი უკითხავს მასპინძლისათვის, ცხენები თავის მსახურს მიანდო

და თვითონ ერთ პატარა ოთახში შევიდა. ისეთ ოთახში, რომელიც განკუთვნილია იმ სტუმრებისათვის, რომლებსაც მარტოობა უფრო უყვართ, ვიდრე ხალხში გარევა. ერთი ბოთლი საუკეთესო ღვინო მოითხოვა და ღვინის შესაფერი კარგი საუზმე. ამან უფრო აამაღლა სასტუმროს პატრონის თვალში ჩვენი გმირი.

საკვირველი სისწრაფით მიართვეს საუზმეც და ღვინოც.

გვარდიის რაზმში ყოველთვის დიდებული ოჯახის ყმაწვილები მიჰყავდათ, სამეფოს უპირველესი გვარის შვილები და არ შეიძლებოდა, დიდი შთაბეჭდილება არ მოეხდინა დ არტანიანს, რომელსაც თან მსახური ახლდა და ოთხი ძვირფასი რაში ჰყავდა, თუმცა თვითონ უბრალო რაზმელის ტანისამოსში იყო გამოწყობილი. სასტუმროს პატრონი თვითონვე ემსახურებოდა თავის სტუმარს. ეს რომ დაინახა დ არტანიანმა, ერთის მაგივრად ორი ჭიქა მოატანინა და ბაასი გააბა მასპინძელთან.

– რა გითხრათ, ჩემო კარგო მასპინძელო! – დაუწყო დ არტანიანმა და ღვინით გაავსო ორივე ჭიქა, – საუკეთესო ღვინო გთხოვეთ პირის გასასველებლად და თუ მომატყუეთ, თქვენ თვითონ დაისჯებით, რადგან მარტო რომ ვარ, ყელში არ გადადის სასმელი, ამიტომ თქვენც ჩემთან უნდა გადაჰკრათ. აბა, აიღეთ ეს ჭიქა და შევსვათ. ვისი სადღეგრძელო იყოს პირველი ჭიქით? ისეთი სადღეგრძელო უნდა ვთქვათ, რომ არავის თავმოყვარეობა არ შევლახოთ. ეს გაუმარჯოს თქვენს სასტუმროს!

– დიდად გმადლობთ, ბატონო, პატივისცემისათვის და მაგ სურვილისათვისაც.

– ნურც ძალიან დამიმადლებთ, – განაგრძო დ არტანიანმა, – იქნება უფრო მეტი ეგოიზმი იყოს ამ სადღეგრძელოში, ვიდრე თქვენ გგონიათ. კარგად მარტო იმ სასტუმროში, მიგვიღებენ ხოლმე, რომელსაც ცუდად აქვს საქმე; ხოლო იმ სასტუმროში, რომელსაც საქმე კარგად მისდის და პატრონიც მგზავრს ვეღარა სცნობს, სწორედ მგზავრს დაატყდება ხოლმე ყოველი უსიამოვნება. მე კი ძალიან ხშირად დავდივარ, უმთავრესად, ამ გზაზე, და მინდა, აყვავებულს ვხედავდე სასტუმროებს და გატენილი ჯიბით – მათ პატრონებს.

– მართლა, მე მგონი, რომ პირველად არ გხედავთ ჩემს სასტუმროში.

– ოჰ, სულ ცოტა, ათჯერ მაინც გამივლია შანტილში და სამ-ოთხჯერ მაინც გამისინჯავს თქვენი ღვინის გემო. ამას წინათაც ვიყავი აქ, ამ ათი-თორმეტი დღის წინათ, ჩემს მეგობრებს ვაცილებდი, მუშკეტერებს, გეხსომებათ, რაღა თქმა უნდა, ერთ ჩემს ამხანაგს ჩხუბი მოუვიდა უცხოელთან; ვიღაც უცნობთან...

– აჰ, დიახ, მართალსა ბრძანებთ, – უთხრა მასპინძელმა, – ძალიან კარგად მახსოვს, ბატონ პორთოსსა ბრძანებთ, არა ბატონო?

– დიახ, სწორედ ეგ არის ჩემი თანამგზავრის გვარი, ღმერთო ჩემო, მითხარით, თუ იცით რაიმე, ჩემო კეთილო მასპინძელო, უბედურება ხომ არა მოუვიდა რა?

– ხომ ნახეთ, ბატონო, რომ აღარ შეეძლო თქვენთან წამოსვლა?

– დიახ, აქ დარჩა, დაგვპირდა, დაგეწევითო, და აღარ დაგვწევია, აღარც სადმე გვინახავს.

– პატივი გვცა, ბატონო, და ჩვენთან დარჩა.

– როგორ? პატივი გცათ და თქვენთან დარჩა?

– დიახ, ბატონო, ჩემს სასტუმროში... და ძალიან გვეშინია...

– რისა გეშინიათ?

– მისი დანახარჯისა. მეტად ბევრს ხარჯავს.

– მერე რა? როგორც ხარჯავს, ისე გაგისწორდებათ.

– აჰ, სწორედ მალამოს ადებთ ჩემს იარას. ძალიან ბევრი ვალი ადევს. ამ დილასაც დაგვემუქრა მისი დასტაქარი: თუ ბატონმა პორთოსმა არ გადამიხადა

ჩემი გასამრჯელო, თქვენ გადაგახდევინებთო, რადგან დაჭრილის სანახავად თქვენ მომიწვიეთო.

– მაშ, დაჭრილია პორთოსი?

– მაგას კი ვერ მოგახსენებთ.

– რაო? მაგას ვერ მოგახსენებთო? თუ ვინმემ იცის ეს საქმე, ყველაზე უკეთ თქვენ უნდა იცოდეთ.

– ეგ მართალი გახლავთ, ბატონო, მაგრამ ჩვენი ხელობის კაცმა შეუძლებელია ყველაფერი თქვას, რაც იცის, მეტადრე, როდესაც გვემუქრებიან: არაფერი წამოაყრანტალო, თორემ ყურებს გადავახდევინებთ ენის ცოდვასო.

– ეს მითხარით, შეიძლება პორთოსი ვნახო?

– რატომ არა, ბატონო! აგერ კიბე, მეორე სართულში აბრძანდით და პირველი ნომრის კარზე დააკაკუნეთ, ოღონდ გარედანვე გააფრთხილეთ, რომ თქვენა ბრძანდებით.

– როგორაო? გარედანვე შევატყობინო, რომ მე ვარ?

– დიახ, დიახ, თორემ შეიძლება, უბედურება დატრიალდეს.

– რა უბედურება უნდა დატრიალდეს?

– შეიძლება ბატონ პორთოსს თქვენც ამ სასტუმროს მსახური ეგონოთ და გაცოფებულმა ხმალი ჩაგირჭოთ გულში ან დამბაჩა გახალოთ შუბლში.

– მერე, რა უყავით ისეთი, რომ ასეა გაბრაზებული?

– ფული ვთხოვეთ, ბატონო.

– ჰოო, ახლა კი მესმის, მართლა ცოფი მოერევა ხოლმე, თუ ფული სთხოვეს, როცა ცარიელი აქვს ჯიბე. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ცარიელი არ უნდა ჰქონდეს ჯიბე?

– ჩვენც ასე გვეგონა, ბატონო, და რადგან წესრიგი გვაქვს ყოველგვარ საქმეში, ყოველკვირა ვანგარიშობთ შემოსავალ-გასავალს. რვა დღის დანახარჯის ანგარიში წარვუდგინეთ ხარჯის გადასახდელად... მაგრამ, ეტყობა, ძალიან ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა, რადგან, როგორც კი მიხვდა, ფულისთვის ვაწუხებდით, ისე შემოგვიტია, რომ თავბედი გვაწყევლინა... ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ წაითამაშა წინაღამეს.

– რაო? წინაღამეს წაითამაშა? მერე, ვისთან?

– რა მოგახსენოთ, ბატონო, ვიღაც კეთილშობილ მგზავრთან, პორთოსმა თვითონ შესთავაზა ლანდსკნეხტის თამაში.

– საქმეც ეგ არის! რასაკვირველია, წააგებდა კიდეც მთლიანად, რაც კი ჯიბეში ჰქონდა!

– თავისი ცხენიც ზედ მიაყოლა, ბატონო. დავინახეთ, როგორ კაზმავდა წასასვლელად გამზადებული უცხოელის მსახური ბატონ პორთოსის ცხენს. ვუთხარით, სხვისი ცხენი რად მიგყავთო? – მაგრამ შემოგვიტია, – სხვის საქმეში ნუ ეჩრებით, ცხენი ჩვენია და კიდეც წავიყვანთო! – მაშინვე შევატყობინეთ ბატონ პორთოსს ეს ამბავი და მანაც კარგი პასუხი შემოგვითვალა:

– რეგვენები ყოფილხართ, თუ გგონიათ, რომ თავის სიტყვას გადათქვამს კეთილშობილი კაცი... ხომ გითხრათ იმ პატიოსანმა კაცმა, რომ ცხენი მისია? მაშასადამე, მისი ყოფილა და არა ჩემი.

– ნამდვილად პორთოსია, ნამდვილად! – წაიბუტბუტა დ არტანიანმა.

– მერე, ბატონო, – განაგრძო სასტუმროს პატრონმა, – სხვა სათხოვარით მივმართე. შევუთვალე: რაკი ვერა და ვერ შევთანხმებულვართ მე და თქვენ და ასეთ აღშფოთებას იწვევს თქვენში, დანახარჯის გადახდას რომ გთხოვთ, იქნება კეთილ ინებოთ და ჩემი მეგობარი, „ოქროს არწივის“ სასტუმროს პატრონი, გააბედნიეროთ თქვენი სტუმრობით-მეთქი. მაგრამ ბატონმა პორთოსმა კარგი პასუხი მომცა: თქვენი სასტუმრო სჯობია მისას. და მე აქა მსურს დარჩენაო.

მეტად საამოდ მეჩვენა ეს პასუხი და ძალა აღარ დავატანე, რომ გადასულიყო. ვიფიქრე, ოთახს მაინც გამოვუცვლი-მეთქი, რადგან ამ სახლში ის ოთახი ყველაზე საუკეთესო გახლავთ. გადავწყვიტე, ერთ მშვენიერ პატარა ოთახში მომეთავსებინა მესამე სართულზე; მაგრამ აქაც ვერას გავხდი. მიპასუხა, ყოველ წამს ჩემს საყვარელს ველი, დიდებულ გვარიშვილს, და ეს ოთახიც კი, რომელიც ჩემი ღირსი გახდა, იმ ქალბატონისთვის სავსებით შეუფერებელი იქნებაო. მისი ნათქვამი სამართლიანი მეჩვენა, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვცდილობდი. მან კი არც პასუხი გამცა, არც კამათი დამიწყო, აიღო თავისი დამბაჩა, გვერდით დაიდო მაგიდაზე და მითხრა: თუ კიდევ გაბედავს ვინმე და ხმას გამცემს, სხვა ოთახში გადასვლის ან სხვა სასტუმროში გადასახლების შესახებ, შიგ შუბლში ვახლი ტყვიას თავხედობისათვის, რადგანაც ეს საქმე მარტოდმარტო მე მეხება და სხვა ნურავინ ჩაერევაო. ამის გამო, მსახურის გარდა, აღარავინ შედის მასთან.

– მაშ, მუშკეტონიც აქ არის?

– დიახ, ბატონო, ხუთი დღე გახლდათ დაკარგული და მერე ისევ თავისი ბატონი მოძებნა. ძალიან ცუდ გუნებაზე დაბრუნდა, ეტყობა, მგზავრობაში მასაც შეემთხვა რაღაც ხიფათი. ჩვენდა საუბედუროდ, ის თავის ბატონზე უფრო მარდია: ისე რომ, სულ აფორიაქებს აქაურობას, ოღონდ თავისი ბატონი ასიამოვნოს. ალბათ ფიქრობს: რომ მოვითხოვო, არ მომცემენო, და დაუკითხავად ეზიდება, რაც კი დასჭირდება.

– მართალია, – დაემოწმა დ არტანიანი, – ყოველთვის ვამჩნევდი მუშკეტონს დიდ ერთგულებას თავისი ბატონისადმი და საგანგებო გონიერებას.

– შეიძლება ასეც იყოს, ბატონო, მაგრამ წარმოიდგინეთ, ოთხჯერ რომ შემხვდეს წელიწადში მაგისთანა ერთგული მსახური, ხომ დავიღუპე მე უბედური!

– არა, ბატონო, პორთოსი გადაგიხდით, რაც დაუხარჯავს.

– ვნახოთ! – თქვა ეჭვით სასტუმროს პატრონმა.

– ერთი დიდებული ქალბატონი ჰყავს მფარველად და ის დაეხმარება. ან რა უნდა ემართოს იმდენი, რომ...

– ვერ გამიბედავს, მოგახსენოთ, რასაც ვფიქრობ იმ დიდებული მფარველის შესახებ.

– რას ფიქრობთ?

– უფრო მეტს მოგახსენებთ: ვფიქრობ კი არა, ვიცი...

– რა იცით?

– ვიცი და დარწმუნებული გახლავართ.

– რაში ხართ დარწმუნებული? გამაგებინეთ.

– მეც ვიცნობ იმ დიდებულ ქალბატონს.

– იცნობთ?

– დიახ, ვიცნობ!

– მერე, საიდან გაიცანით?

– რა ვქნა, ბატონო, რომ ვერა ვბედავ... ვაითუ, გამცეთ და დამღუპოთ.

– მაგისი ნუ გეშინიათ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ კეთილშობილი კაცისას, რომ სანანებელი არაფერი გექნებათ.

– დიახ, ბატონო, უნდა მოგახსენოთ, რომ გაჭირვება ბევრს აბედვინებს ადამიანს.

– თქვენ რაღა გაგაბედვინათ?

– ოჰ, მგონი, ისეთი არაფერი, რომ არ ეპატიებოდეს იმ კაცს, ვინც თავისას სთხოვს მოვალეს.

– მაინც?

– ბატონმა პორთოსმა ერთი წერილი გადმოგვცა იმ დიდებული ქალბატონის სახელზე და გვთხოვა, ფოსტით გაგვეგზავნა. ჯერ მისი მსახური არ მოსულიყო, თვითონ კი ვერ გამოდიოდა ოთახიდან და, თავისდაუნებურად, იძულებული იყო, ჩვენთვის გადმოეცა.

– მერე? მერე?

– ფოსტით რომ გაგვეგზავნა წერილი, ვინ იცის, მიუვიდოდა თუ არა იმ ქალბატონს. ვისარგებლე შემთხვევით, ერთი ჩემი ბიჭი მიდიოდა პარიზში და მას გავატანე; დავავალე, ენახა დიდებული ჰერცოგის მეუღლე და პირადად მისთვის ჩაებარებინა წერილი. ბატონი პორთოსიც ხომ ამასა გვთხოვდა: წერილი არ დაგვეკარგა და უთუოდ მისვლოდა იმ ქალბატონს! ასე არ არის?

– ჰო, თითქმის.

– მოგეხსენებათ, ბატონო, ვინა ბრძანდება ის დიდებული ქალბატონი?

– არა, პორთოსის ნათქვამის მეტი არა ვიცი რა.

– იცით, რას წარმოადგენს ის ვითომდა დიდებული ქალბატონი?

– აკი გითხარით, მე მას არ ვიცნობ.

– ერთი ბებერი დედაკაცი გახლავთ, ვექილის ცოლი, შატლეში ქალბატონ კოკნარად წოდებული, სულ ცოტა, ორმოცდაათი წლისა მაინც იქნება, და მაინც ეჭვიანობს. განა არა, მეტად უცნაურად მეჩვენა, დიდებული ქალბატონის მისამართი რომ ვნახე, ჰერცოგის მეუღლე და – დათვის ქუჩა?

– მერე, საიდან გაიგეთ მისი ხნოვანებისა და ეჭვიანობის ამბავი?

– წერილი რომ მიუტანა ჩემმა ლაქიამ, მას წაუკითხავს და საშინლად გაბრაზებულა, ყვირილი დაუწყია: პორთოსი ქარაფშუტაა, ალბათ ქალს გადაეკიდა სადმე და იმის გამო გდია ხმლით დაჭრილიო!

– განა დაჭრილია პორთოსი?

– ღმერთო ძლიერო! ეს რა წამომცდა?

– როგორა თქვით? ხმლით დაჭრილი გდიაო?

– წამომცდა ბატონო! ისე დამემუქრა, არსად წამოგცდესო, ისე დამემუქრა, რომ...

– რა არის დასამალავი?

– დასამალავი ის იყო, რომ იძახდა, ხმალზე ავაგებ იმ კაცსაო, რომელთანაც რაღაც უსიამოვნება მოსვლოდა თქვენი თანდასწრებით. იკვეხნიდა, ხმალზე ავაგებო, და პირიქით, მიუხედავად მისი ტრაბახისა და ბაქიაობისა, სწორედ იმ უცხოელმა ააგო ხმალზე, და რადგან ბატონი პორთოსი ყველასთან, გარდა ქალბატონისა, მეტად ამაყი კაცი ბრძანდება, ადგა და მისწერა თავისი თავგადასავალი. და ახლა იმის ცდაშია, ისე მოაგვაროს საქმე, რომ არავინ გაიგოს მისი დამარცხების ამბავი.

– მაშ, ხმლით არის დაჭრილი და იმიტომ წევს ლოგინში?

– მძიმედ დაჭრილი გახლავთ. საკვირველი ხელოვნებით დაჰკრა იმ უცხოელმა, ალბათ ხრახნითა აქვს მიკრული ტანზე სული თქვენს მეგობარს.

– თქვენც იქ იყავით ბრძოლის დროს?

– ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა, ბატონო, და უკან გავყევი, ისე რომ, მე ბრძოლას ვხედავდი, ისინი კი ვერა მხედავდნენ.

– როგორ მოხდა ბრძოლა?

– ოჰ, გარწმუნებთ, ძალიან მალე გათავდა ეს დუელი. ხმლები იშიშვლეს და სიფრთხილით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. უცხოელმა ხმალი აიქნია, ვითომ დაკვრას უპირებდა, მის მოსაგერიებლად პორთოსმა თავისი ხმალი დაახვედრა, ამასობაში ისე ჩასცა უცნობმა ხმალი, რომ სამი გოჯით ჩაარჭო გულში, გულაღმა წაიქცა მაშინვე თქვენი მეგობარი. უცხოელმა ყელზე დააჭირა ხმლის წვერი. რაკი ნახა პორთოსმა, რომ უცხოელის ხელში იყო მისი სული, დამარცხებულად აღიარა თავი. მაშინ გვარი ჰკითხა უცხოელმა და რაკი გაიგო, რომ

გვარად პორთოსი იყო, და არა დ არტანიანი, ხელი მოხვია, სასტუმროში ამოიყვანა, თვითონ კი შეჯდა ცხენზე და წავიდა.

– მაშ, მოსაკლავად დ არტანიანი უნდოდა იმ უცხოელს?

– მგონი, რომ ასე უნდა ყოფილიყო.

– არ იცით, რა იქნა ის უცხოელი?

– არა, ბატონო, ჩემს დღეში არსად მენახა. იმ დღეს ვნახე პირველად და მას შემდეგ აღარსად შემხვედრია.

– ძალიან კარგი. გავიგე, რის გაგებაც მინდოდა, ჰო, როგორა თქვით? პორთოსი მეორე სართულზე, ნომერ პირველ ოთახშია, არა?

– დიახ, ბატონო, საუკეთესო ოთახია, ისეთი არც ერთი არ არის ჩემს სასტუმროში. ათი შემთხვევა მაინც მექნებოდა, გამექირავებინა, ბატონი პორთოსი რომ არ ყოფილიყო.

– ეჰ, ფიქრი ნუ გაქვთ-მეთქი, გეუბნებით, – უთხრა სიცილით დ არტანიანმა, – პორთოსი უკლებლივ გადაგიხდით ვალს დიდებული ქალბატონის, ჰერცოგ კოკნარის მეუღლის ფულით.

– ოჰ, ბატონო! გინდ ვექილის ცოლი იყოს და გინდ დიდებული ქალბატონი, ოღონდ კი მოხსნას ზონარი თავის ქისას, მეტი არა მინდა რა. მაგრამ ჩემი უბედურება ის არის, რომ დაბეჯითებით უთქვამს, დავიღალე ფულის ძლევით და პორთოსის ამდენი ღალატითო... მე იმას აღარაფერს გავუგზავნიო.

– შეატყობინეთ პორთოსს ეგ პასუხი?

– ოჰ, მაგას როგორ ვიზამდით? ხომ გაგვიგებდა, რომ ჩვენებურად ავასრულეთ მისი დავალება.

– ისე რომ, ჯერაც მოელის ფულს?

– ოჰ, ღმერთო ჩემო! ჯერაც მოელის, გუშინაც მისწერა წერილი, ოღონდ ახლა თვითონ მისმა მსახურმა გაგზავნა ფოსტით.

– მაშ, ბებერი არის ქალბატონი და თანაც უშნო?

– სულ ცოტა, ორმოცდაათი წლისა, ბატონო, და სილამაზისა არა სცხია რა, თუ დავიჯერებთ ჩემი ლაქიის სიტყვას.

– თუ ასეა, ნუ გეშინიათ, მალე მოლბება ბებრუცუნა, არც ისე ბევრი უნდა ემართოს პორთოსს თქვენი?

– როგორ თუ ბევრი არ უნდა ემართოს, რასა ბრძანებთ, ბატონო? ოციოდე პისტოლი მაინც, ექიმის ხარჯი რომ არ ვიანგარიშოთ. ოჰ, ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი მოთხოვნილების კაცია! უნდა ჰქონდეს, რასაც კი მოისურვებს! სიტყვა „არ არის“ არ არსებობს მისთვის. ეტყობა, ძალიან დიდებულ ცხოვრებას ყოფილა მიჩვეული.

– ჰოდა, თუ საყვარელი გაექცა, ამხანაგები დაეხმარებიან, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. ასე რომ, ნურავითარი შიში ნუ გექნებათ, ჩემო კეთილო მასპინძელო, და ისე მოუარეთ, როგორც მისი მდგომარეობა მოითხოვს.

– კი არ დაგავიწყდეთ, ბატონო, რომ დამპირდით, ხმას არ ამოვიღებ არც ვექილის ცოლზე და არც პორთოსის ჭრილობაზეო!

– დაგპირდით და ავასრულებ, აკი სიტყვა მოგეცით.

– ოჰ, ცოცხალი ვერ გადავრჩები.

– ნუ გეშინიათ! არც ისეთი კაციჭამიაა, როგორიც ჩანს.

ამ სიტყვით გამოეთხოვა დ არტანიანი სასტუმროს პატრონს და ოდნავ მაინც გაუქარვა პორთოსის დანახარჯის განაღდებისა და თავისი სიცოცხლის შენარჩუნების ეჭვი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა საწყალს.

დ არტანიანმა აიარა კიბე, შევიდა დერეფანში და მართლაც საუკეთესო კარზე დაინახა შავი მელნით გამოსახული უშველებელი №1. დააკაკუნა, შიგნიდან გამოსძახეს, მობრძანდითო, შეაღო კარი და შევიდა.

პორთოსი ლოგინში იწვა და ქაღალდს ეთამაშებოდა თავის მსახურ მუშკეტონს, რომ ვარჯიში არ მოჰკლებოდა ხელს. ბუხარში ცეცხლი ენთო და შამფურზე აგებული კაკაბი ნელ-ნელა ტრიალებდა. ბუხრის ორივე კუთხეში, ზედადგარზე, ორი ქვაბი დუღდა და ორმაგი სურნელებით ავსებდა იქაურობას. ერთში კურდღელი იხარშებოდა, მეორეში – თევზი. გარდა ამისა, მაგიდაზე და კამოდის მარმარილოზე მრავლად ელაგა ცარიელი ბოთლები.

მეგობრის დანახვაზე პორთოსმა სიხარულით შეჰყვირა. მუშკეტონი მაშინვე წამოდგა, დიდი მოწიწებით დაუთმო თავისი სკამი დ არტანიანს, ხოლო თვითონ ქვაბებისაკენ გაეშურა. ეტყობოდა, განსაკუთრებული ყურადღებით ცდილობდა მზარეულობას.

– აჰ, მადლობა ღმერთს, რომ თქვენა ხართ! ძლივს არა გხედავთ?! კეთილი იყოს თქვენი მოსვლა და მაპატიეთ, რომ ვერ წამოვვარდი და ვერ მოგეგებეთ, – ბოდიში მოიხადა პორთოსმა, თან ერთგვარი შეწუხებით შეჰყურებდა დ არტანიანს.

– იცით, რა დამემართა?

– არ ვიცი.

– სასტუმროს პატრონმა არაფერი გითხრათ?

– ვკითხე, სად არის ბატონი პორთოსი-მეთქი, და პირდაპირ თქვენთან ამოვედი.

თავისუფლად, გულიანად ამოისუნთქა პორთოსმა.

– რა დაგემართათ? არ უნდა მითხრათ, ჩემო საყვარელო პორთოს?

– ის დამემართა, რომ ფეხი წამისხლტა, სამჯერ დავჭერ ჩემი მოპირდაპირე, მივვარდი, მინდოდა, ერთი კიდევ მეკრა მეოთხედ და ძირს დამეცა ის საძაგელი, მაგრამ ფეხი წამისხლტა, მუხლი დავკარ ქვას და ვიღრძე.

– მართლა?

– გეფიცებით პატიოსნებას! ბედი იმ ლაჩრისა, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებოდა! ანდერძს ავუგებდი!

– მერე რა იქნა?

– არ ვიცი, მთლიანად ვერ მიიღო, რაც ერგებოდა, მაგრამ ისიც იკმარა და მიიმალა. თქვენ თქვენი მითხარით, ჩემო საყვარელო დ არტანიან, რა მოგივიდათ?

– ისე რომ, ნაღრძობი გაქვთ ფეხი და ამიტომ წევხართ ლოგინში? – განაგრძო დ არტანიანმა.

– ოჰ, ღმერთო ძლიერო! რა გაეწყობა? რამდენიმე დღე კიდევ და ჩიტივით წამოვფრინდები.

– რატომ პარიზში არ გადახვედით? ალბათ ისე მოგწყინდათ ეს მარტოობა...

– ჩემი განზრახვაც ასეთი იყო, მაგრამ ერთი რამ მინდა გაგანდოთ... გამოგიტყდეთ, რომ...

– რაში უნდა გამომიტყდეთ?

– აი, რა: როგორც თქვენა თქვით, მართლაც, ძალიან მოწყენილი ვიყავი. ჯიბეში თქვენი მოცემული სამოცდათხუთმეტი პისტოლი მქონდა. გასართობად ამავე სასტუმროში მყოფი ერთი კეთილშობილი მგზავრი მოვიწვიე ჩემთან და კამათლის თამაში შევთავაზე. ისიც დამეთანხმა. დავიწყეთ თამაში და წარმოიდგინეთ, სამოცდათხუთმეტი პისტოლი ჩემი ჯიბიდან სულ მის ჯიბეში გადავიდა და ჩემი ცხენიც მას გაჰყვა. მაგრამ თქვენ თქვენი მითხარით, ჩემო დ არტანიან, როგორა ხართ?

– რას იზამთ, ჩემო კეთილო პორთოს? ხომ არ შეიძლება ყველაფერში გაუმართლოს ბედმა ადამიანს? გეცოდინებათ ანდაზა: „ბანქოში უბედურიო, ქალებში ბედნიერიო“, იმდენად ბედნიერი ხართ ქალებში, რომ ქაღალდმა მაინც უნდა ამოიყაროს თქვენი ჯავრი, და ესეც რომ არ იყოს, რა არის თქვენთვის ერთი-ორი პისტოლის წაგება? თქვენსავით მწყალობდეს დიდებული ქალბატონი,

ჰერცოგის მეუღლე, და პატარა ფულის წაგებას ვჩიოდე? იმის თავი კარგად გიმყოფოს და თქვენ ფული არ მოგაკლდებათ!

– ეჰ, ჩემო დ არტანიან! შემთხვევამ მიმტყუნა, ფეხი გადამიბრუნდა, – უპასუხა პორთოსმა ისეთი იერით, თითქოს თავის დღეში არ ეთქვას ტყუილი, – მივწერე იმ ქალბატონს, რომ ერთი ორმოცდაათი ლუიდორი მოეშველებინა ჩემთვის, რადგან ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიყავი...

– მერე?

– მერე რა? ალბათ თავის მამულშია წასული, რომ არ მიპასუხა.

– პასუხი არ მოგწერათ?

– არა, გუშინ მეორე ბარათი გავუგზავნე, უფრო საჩქარო, ვიდრე პირველი იყო. მაგრამ აი, აქ ხართ, ჩემო კარგო დ არტანიან, და ახლა თქვენზე ვილაპარაკოთ. უნდა მოგახსენოთ, ძალიან მაწუხებდა თქვენი ამბის უცოდინარობა...

– თქვენ გაჭირვებას იძახით და მე კი მგონია, რომ ძალიან კარგად უნდა გექცეოდეთ სასტუმროს პატრონი, ჩემო პორთოს, – უთხრა დ არტანიანმა და ავადმოფს სავსე ქვაბებზე და ცარიელ ბოთლებზე მიუთითა.

– ეჰ, კარგით ერთი! – უპასუხა პორთოსმა, – სამი თუ ოთხი დღე არის დანახარჯის ანგარიში მომართვა იმ თავხედმა და მეც კაი ლამაზი პანღური ვკარი მასაც და მის ანგარიშსაც. ისე რომ, მე აქ გამარჯვებულ მტრად მივაჩნივარ, რომელიც ბრძოლით აღებულ ციხეშია ჩასაფრებული: და როგორც ხედავთ, თავით ფეხებამდე იარაღში ვწევარ და მზადა ვარ საბრძოლველად.

– კარგი, მაგრამ, ალბათ, ხანდახან მაინც გადიხართ თქვენი ციხესიმაგრიდან, – უთხრა სიცილით დ არტანიანმა და ცარიელ ბოთლებზე და სავსე ქვაბებზე მიუთითა.

– მაგრამ მე არა, საუბედუროდ! – მიუგო პორთოსმა. – ამ წყეულმა ნაღრძობმა ფეხმა ლოგინს მიმაკრა. ჩემი მუშკეტონი დაყიალებს, სადაც მოხვდება, და საჭმელ-სასმელი შემოაქვს.

– მუშკეტონ! – მიმართა პორთოსმა თავის მსახურს, – ხომ ხედავთ, ჩემო მეგობარო, რომ მაშველი გვაღირსა ბედმა, მაშ, სადილის მომატებაზედაც უნდა ვიზრუნოთ.

– მუშკეტონ! – მიმართა სიცილით დ არტანიანმა, – მცირე სამსახური უნდა გამიწიოთ.

– მიბრძანეთ, ბატონო.

– ჩემს პლანშესაც მიეცით თქვენი რეცეპტი, შეიძლება მეც ალყა შემომარტყას მტერმა და ძალიან მეამება, თუ ისიც ისე დამიამებს ჩემს გაჭირვებას, როგორც თქვენ აამებთ თქვენს ბატონს.

– ოჰ, ღმერთო ძლიერო! – მიუგო თავმდაბლად მუშკეტონმა, – რა არის, ბატონო, მაგაზე ადვილი? მოხერხებული უნდა იყოს კაცი, სხვა არაფერი. მე, ბატონო, სოფელში გავიზარდე და, უნდა მოგახსენოთ, როცა საქმე შემოელეოდა მამაჩემს, აკრძალულ ზონაშიც შეიპარებოდა ხოლმე სანადიროდ.

– საქმის დროს რაღას აკეთებდა?

– ისეთი ხელობა ჰქონდა, ბატონო, რომ მე ყოველთვის შემოსავლიანად მიმაჩნდა.

– რა ხელობა?

– ეს ის დრო იყო, როდესაც გაცხარებული ომი ჰქონდათ კათოლიკეებსა და ჰუგენოტებს. მამაჩემიც თავისი თვალით ხედავდა, რომ სარწმუნოებისა და ღვთის სადიდებლად, კათოლიკეები ჰუგენოტებს ჟლეტდნენ, ხოლო ჰუგენოტები – კათოლიკეებს... მაშინ მამაჩემმა ორმაგი სარწმუნოება აღიარა, რომელიც ნებას აძლევდა, ხან კათოლიკე ყოფილიყო და ხან ჰუგენოტი. აიღებდა თოფს და სასეირნოდ წავიდოდა. გზისპირად დასკუპდებოდა და დაინახავდა თუ არა

მარტოდ მიმავალ კათოლიკეს, საშინლად აღშფოთდებოდა მის გულში ჰუგენოტური სარწმუნოება. დაუმიზნებდა თოფს მომავალ კათოლიკეს, ათი ნაბიჯი რომ დარჩებოდა თოფის ლულამდე, გაეკამათებოდა და კამათი თითქმის ყოველთვის იმით თავდებოდა, რომ უბედური მგზავრი სიცოცხლის გადასარჩენად მამაჩემს თავის ქისას უტოვებდა. თქმა არ უნდა, რომ თუ ჰუგენოტი იყო მარტოდ მიმავალი მგზავრი, მაშინ ისეთი ცხოველმყოფელი აღგზნება მოერეოდა მამაჩემს კათოლიკური სარწმუნოების განსადიდებლად, რომ თვითონაც არ იცოდა მიზეზი, თხუთმეტი წუთის წინ რატომ შეეპარა ეჭვი კათოლიკური სარწმუნოების უპირატესობაში. პირადად მე, ბატონო, კათოლიკე გახლავართ, ხოლო ჩემი უფროსი ძმა, რაკი მამაჩემი ძალიან ერთგულად იცავდა თავის პრინციპებს, ჰუგენოტად მოანათვლინა.

– მერე, რით გათავდა ამ პატიოსანი კაცის ცხოვრება? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– ოჰ, საშინელი უბედურებით, ბატონო. ერთხელ საწყალი მამაჩემი ვიწრო გზაზე შეხვდა ორ კაცს, ერთი მხრით კათოლიკე მოდიოდა, მეორით ჰუგენოტი. ორთავემ იცნეს, რადგან ერთისთვის ჰუგენოტის რისხვა მიეყენებინა ოდესღაც, და მეორისთვის კათოლიკესი. იცნეს, შეერთდნენ საწყალი კაცის ჯავრის ამოსაყ-რელად და ხეზე ჩამოახრჩვეს, მერე დუქანში შემოვიდნენ და თავის ქება დაიწყეს ამ ვაჟკაცობის გამო. მე და ჩემი უფროსი ძმაც იმ დროს იქ გახლდით, ღვინოს გეახლებოდით.

– მერე, ხმა არ გაეცით?

– ხმა არ გაგვიცია, – მიუგო მუშკეტონმა, – ვათქმევინეთ, რაც სათქმელი ჰქონდათ, ხოლო დუქნიდან რომ გავიდნენ, ერთი აღმა წავიდა, ბატონო, მეორე – დაღმა. გაიქცა ჩემი ძმა და კათოლიკეს ჩაუსაფრდა, მე კი – ჰუგენოტს. ორი საათის შემდეგ გათავებული იყო ყველაფერი: ანდერძი ავუგეთ ორთავეს და თან თაყვანისცემით ვადიდებდით საწყალი მამაჩემის შორსმჭვრეტელობას, რომელიც იმდენად ფრთხილი იყო, რომ სხვადასხვა სარწმუნოების თაყვანისმცემლებად აღგვზარდა თავისი შვილები.

– მართლაც, ძალიან გონიერი კაცი ყოფილა, მუშკეტონ, მამათქვენი, როგორა თქვით? როცა საქმე შემოაკლდებოდა, აკრძალულ ზონაში შეიპარებოდა ხოლმე სანადიროდ, არა?

– დიახ, ბატონო, და კიდევ კარგი, რომ მეც მასწავლა ცხონებულმა ტყეში მახის დაგება და წყალში ანკესის ხმარება. მეც გამოვიყენე, ბატონო, ჩემი გამოცდილება და როცა ვნახე, რომ ჩვენი გაიძვერა სასტუმროს პატრონი უგემური ხორცის მეტს აღარას გვაჭმევდა, რომელიც საწამლავივით ხვდებოდა ჩვენს გასათუთებულ კუჭს, მეც ავდექი და ძველ ხელობას მივმართე. მისი ბრწყინვალების ტყეში დავდივარ სასეირნოდ და მახეს ვაგებ ნადირის ნავალზე ან ტბის პირად წამოვწვები დასასვენებლად და ანკესებს ვმალავ წყალში, ისე რომ, ამჟამად, ღვთის მადლით, აღარა გვაკლია რა, ამაში თქვენ თვითონაც დარწმუნდებით. კურდღელიც საკმარისადა გვაქვს, მწყერიც, ჭანარიც და გველთევზაც; – მეტად მსუბუქი და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო საჭმელები. ავადმყოფისათვის შესაფერისი.

– მაგრამ ეს ამდენი ღვინო? – წარმოთქვა გაკვირვებით დ არტანიანმა. – ღვინოს სადღა შოულობთ? იქნება ღვინოს სასტუმრო გაძლევთ?

– როგორ გითხრათ, გვაძლევს კიდეც და არც გვაძლევს.

– როგორ თუ დიახ და არა?

– ღვინოს სასტუმროდან ვიღებთ, მაგრამ თვითონ სასტუმრომ არც კი იცის, რომ ასეთი პატივისმცემელია ჩვენი.

– ამიხსენით, ჩემო მუშკეტონ, ჭკუის სასწავლებლად მეტად სასარგებლოა თქვენთან საუბარი.

– აი, მოგახსენოთ: ჩემს მოგზაურობაში ერთ ესპანელს შევხვდი, რომელსაც მთელი ქვეყანა მოევლო, მრავალი რამ ენახა და, სხვათა შორის, ამერიკაშიც ყოფილიყო.

– საიდან სადაო? რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ამერიკას ამ გამოცლილ ბოთლებთან, მაგიდაზე და კამოდის თავზე რომ დაგილაგებიათ?

– მოითმინეთ, ბატონო, ყველაფერს თავისი რიგი აქვს.

– მართალი ხართ, მუშკეტონ, მაშ, გისმენთ.

– იმ ესპანელს თან მსახური ახლდა, რომელიც, სხვათა შორის, მექსიკაშიც გაჰყოლოდა. ჩვენებური იყო ის ბიჭი და ძალიან დავძმობილდით, მით უფრო, რომ ხასიათითაც ვგავდით ერთმანეთს. გაგიუებით გვიყვარდა ორთავეს ნადირობა და იგი ხშირად მიამბობდა ხოლმე, როგორ ნადირობენ პამპასის მინდვრებში ადგილობრივი მცხოვრებნი ვეფხვზე და გარეულ ხარზე სულ უბრალო მოძრავი მარყუჟით, რომელშიც ერთი ხელის მოქნევით გააბამენ ხოლმე ამ საშინელ მხეცებს. არა მჯეროდა მისი სიტყვა, ვერ წარმომედგინა, ისე დახელოვნდეს ადამიანი, რომ ოცი, ოცდაათი ნაბიჯის მანძილზე მოსულ ნადირს ზედ კისერზე ჩამოაცვას მარყუჟი და თოკის თავი კი თვითონ ეჭიროს, რომ ხელიდან არ წაუვიდეს გარეული ხარისთანა მძლავრი ცხოველი. მაგრამ მაგალითები მაჩვენა და იძულებული გავხდი, ჭეშმარიტად მეცნო მისი ნაამბობი. ოცდაათი ნაბიჯის მოშორებით დგამდა ჩემი მეგობარი ბოთლს და ისე ესროდა მარყუჟად შეკვანძილ თოკს, რომ ზედ ყელზე ჩამოაცვამდა. მომეწონა, დავიწყე ვარჯიშობა და რადგან ბუნებით ცოტა რამ ნიჭი დამყოლია, დღეს ისე გადავისვრი ხოლმე ქამანდას, როგორც ნამდვილი მექსიკელი, ხომ მიხვდით, ბატონო? ჩვენს მასპინძელს ერთი სარდაფი აქვს, ძვირფასი ღვინოებით სავსე, მაგრამ გასაღები მუდამ თან აქვს, არასდროს იშორებს. ამ სარდაფს ერთი სარკმელი აქვს. მივალ, ბატონო, ამ სარკმელთან, შევაგდებ ქამანდას, და რადგან უკვე ვიცი, სადა დგას ჩემი ნადირი, მაშინვე გამოვიტან ხოლმე ყელწაჭერილს. ახლა ხომ ხედავთ, ბატონო, რა დამოკიდებულება ჰქონია ამერიკას ამ გამოცლილ ბოთლებთან, რომელნიც მწყობრად გამოჭიმულან მაგიდაზე და კამოდის თავზე? ახლა იქნება ინებოთ და ჩვენი ღვინის ჭაშნიკი გასინჯოთ? ერთი იგემეთ, ბატონო, და მერე მოურიდებლად გვითხარით, როგორ მოგეწონებათ.

– გმადლობთ, ჩემო მუშკეტონ, გმადლობთ, სამწუხაროდ, კარგად ვისაუზმე და აღარა მინდა რა.

– სულ ერთია, სუფრა გაშალე, ჩემო მუშკეტონ, და მანამ ჩვენ შევნაყრდებით, დ არტანიანი თავის თავგადასავალს გვიამბობს. გავიგოთ, სად იყო დაკარგული, რა მოუვიდა ამ ათი დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ჩვენ დაგვშორდა.

– სიამოვნებით, – უთხრა დ არტანიანმა.

პორთოსი და მუშკეტონი საუზმეს შეუდგნენ და ისე მადიანად შეექცეოდნენ, როგორც შეჰფერის გამოჯანმრთელებაში შესულ ავადმყოფებს, დ არტანიანი კი თავისი მეგობრების თავგადასავალს უამბობდა. მოუთხრო, რომ დაჭრილი არამისი იძულებული იყო კრევკერში დარჩენილიყო, რომ ამიენში მიატოვა ოთხ კაცთან შებრძოლებული ათოსი, რომელსაც ყალბი ფულის გავრცელება დასწამეს, რომ თვითონ დ არტანიანიც იძულებული იყო, გრაფი დე ვარდი დაეჭრა, რათა როგორმე ინგლისამდე მიეღწია.

მაგრამ აქ შეწყდა დ არტანიანის გულახდილობა. უთხრა მხოლოდ ის, რომ ხელცარიელი არ დაბრუნებულა ინგლისიდან. ოთხი საგანგებო ცხენი ჩამოიყვანა, რომელთაგან ერთი თავისთვის უნდოდა, ხოლო სამი კი თავისი მეგობრებისათვის. და დაუმატა, რომ პორთოსისთვის განკუთვნილი ცხენი უკვე სასტუმროს თავლაში ება.

ამ დროს პლანშეც შემოვიდა, მოახსენა თავის ბატონს, რომ ცხენებმა საკმარისად დაისვენეს და შეიძლებოდა გზას გასდგომოდნენ იმ ანგარიშით, რომ ღამე კლერმონში გაეთენებინათ.

პორთოსის დარდი თითქმის აღარა ჰქონდა დ არტანიანს, ახლა მას ეჩქარებოდა თავისი ორი მეგობრის ამბის გაგება, ამიტომ წამოდგა, ხელი ჩამოართვა ავადმყოფს და თავისი აჩქარება იმით ახსნა, რომ მეგობრების საძებნელად მიეშურებოდა. ამასთან ისიც უთხრა, დაბრუნებას ამავე გზით ვაპირებ და თუ შვიდი-რვა დღის შემდეგ თქვენ ისევ „დიდ სენ-მარტენის“ სასტუმროში იქნებით, აქედან ერთად გავემგზავროთ პარიზისაკენო.

პორთოსმა უპასუხა, ნაღრძობი ფეხი საშუალებას არ მომცემს თქვენს დაბრუნებამდე წამოვდგე. გარდა ამისა, ჯერჯერობით შანტილში უნდა დავრჩე და დიდებული ქალბატონის წერილს ველოდოო.

დ არტანიანმაც უსურვა სასიამოვნო პასუხის საჩქაროდ მიღება, ერთხელ კიდევ სთხოვა მუშკეტონს, ყველაფრით ხელი შეეწყო ავადმყოფისათვის, სასტუმროს პატრონს გადაუხადა თავისი დანახარჯი და პლანშესთან ერთად გზას გაუდგა. უფრო ჩქარა მიდიოდნენ, რადგან ახლა ერთი ცხენით ნაკლები მიჰყავდათ.

XXVI

არამისის დისერტაცია

დ არტანიანმა პორთოსს არაფერი უთხრა მისი ჭრილობისა და ვექილის ცოლის შესახებ. ძალიან გონიერი და წინდახედული ბიჭი იყო ჩვენი გასკონელი, მიუხედავად მისი სიყმაწვილისა, იგი ისე იქცეოდა პორთოსთან, თითქოს თავით ბოლომდე სჯეროდა ამაყი მუშკეტერისა. დ არტანიანს ღრმად სწამდა, რომ არ უნდა ეგრძნობინებინა მეგობრისათვის მისი საიდუმლოების ცოდნა, მით უფრო, თუ ეს საიდუმლო თავმოყვარეობას ეხებოდა. გარდა ამისა, ისიც იცოდა, რომ ერთგვარი ზნეობრივი უპირატესობა ეძლევა ადამიანს, როდესაც იგი თავისი ამხანაგების ცხოვრებას იცნობს. დ არტანიანი მაშინვე ფიქრობდა მომავალში ინტრიგების მოწყობას, გადაწყვეტილი ჰქონდა, თავისი კეთილდღეობის საშუალებად გამოეყენებინა თავისი მეგობრები და ამიტომ თავიდანვე სიამოვნებით იკრებდა ხელში უხილავ ძაფებს, რომელთა დახმარებით ფიქრობდა თავის განზრახვათა ასრულებას.

მთელი გზა დაღონებული მიდიოდა, თვალწინ ეხატებოდა მშვენიერი ქალბატონი ბონასიე, რომელსაც ღირსეულად უნდა დაეჯილდოებინა თავგანწირული ერთგულება, მაგრამ ავჩქარდებოდით დაღონების მიზეზად დაკარგული ნეტარება დაგვესახელებინა. არა, მას აღონებდა ფიქრი იმაზე, რომ ქალს უბედურება შეემთხვა.

დ არტანიანს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საწყალი ქალი მსხვერპლი იყო კარდინალისა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა ჯავრის ამოსაყრელად, ხოლო ყველასთვის ცნობილი იყო მისი ყოვლადუწმინდესობის დაუნდობელი შურისძიება.

როგორ მოხდა, რომ კარდინალმა წყალობის თვალით გადახედა დ არტანიანს, ამას თვითონაც ვერ მიმხვდარიყო და, ცხადია, გაიგებდა მისი ყოვლადუწმინდესობის გვარდიის კაპიტან ბატონ კავუასაგან, შინ რომ დახვედროდა.

ისე ვერაფერი ააჩქარებს დროის სრბოლას და ვერ შეამოკლებს გზას, როგორც ფიქრი. სწორედ ამიტომ, ფიქრებში გართულმა დ არტანიანმა ვერც კი შეამჩნია, როგორ გაიარა ექვსი თუ რვა ლიე კრევკერიდან შანტილამდე.

როდესაც სოფელში შევიდა, მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდა და თავი გაიქნია, მალე დაინახა ის სამიკიტნო, რომელშიც არამისი დატოვა. ააჩქარა თავისი ცხენი და უმალ იქ გაჩნდა.

ამჯერად სამიკიტნოს პატრონის ცოლმა მიიღო ჩვენი მგზავრები. როგორც ვიცით, სწრაფი შეცნობის უნარი ჰქონდა დ არტანიანს, თვალი გადაავლო ჩასუქებულ, მხიარული სახის დედაკაცს და მაშინვე მიხვდა, რომ ზედმეტი იყო აქ რაიმეს დამალვა. სისულელე იქნებოდა, ასეთი მოცინარი სახის დედაკაცისადმი უნდობლობისა და სიფრთხილის გამოჩენა.

– იქნება მითხრათ, – ზრდილობიანად მიმართა დ არტანიანმა ქალს, – რა დაემართა ერთ ჩემს ამხანაგთაგანს, რომელიც ჩვენდა უნებურად, ამ ათი-თორმეტი დღის წინათ აქ დავტოვეთ?

– ლამაზი ყმაწვილი, ოცდასამი-ოცდაოთხი წლისა, ზრდილი და ტანადი?

– დიახ, სწორედ ის, მხარში დაჭრილი.

– დიახ, მხარში დაჭრილი, ჰო, აქ გახლავთ, ბატონო, ჯერაც აქ გახლავთ.

– გიშველათ ღმერთმა, კეთილო ქალო, – უთხრა დ არტანიანმა, ცხენიდან ჩამოხტა და აღვირი პლანშეს მისცა, – გამომაცოცხლეთ კაცი! სად არის ჩემი საყვარელი არამისი? მინდა მოვეხვიო და გულში ჩავიკრა! უნდა გითხრათ, რომ ძალიან მეჩქარება ჩემი მეგობრის ნახვა.

– უკაცრავად გახლავართ, ბატონო, მაგრამ არა მგონია, მან მოახერხოს ამჟამად თქვენი მიღება.

– ვითომდა რატომ? იქნება ქალი ჰყავს ვინმე?

– ღმერთო დიდებულო! მაგას რას ბრძანებთ? საწყალი ყმაწვილი! არა, ბატონო, არა, ქალი არავინა ჰყავს.

– მაშ, ვინ ჰყავს?

– მონდიდიელი მღვდელი და ამიენის იეზუიტების წინამძღვარი.

– ვაი, გამიწყრა ღმერთი! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – იქნება ცუდად არის ის საცოდავი?

– არა, ბატონო, პირიქით, მაგრამ თავისი ავადმყოფობის შედეგად მოეფინა მადლი ღვთისა და გადაწყვიტა, ბერად აღიკვეცოს, მონასტერში შევიდეს.

– ჰო, მართლა, – თქვა დ არტანიანმა, – სულ გადამავიწყდა, რომ იგი მხოლოდ დროებით იყო მუშკეტერების რაზმში.

– მაინც გნებავთ, ბატონო, მისი ნახვა?

– დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე.

– მაშ, მიბრძანდით, ბატონო, ეზოში, მარჯვნივ აბრძანდით, მესამე სართულზე, მეხუთე ნომერში.

დ არტანიანი მითითებული მიმართულებით წავიდა და ერთ იმ გარეთა კიბეთაგანს მიადგა, რომლებსაც დღეს კიდევ ვხვდებით ძველებური სასტუმროების ეზოებში, მაგრამ არც ისე ადვილი იყო მომავალ მღვდელთან შესვლა. არამისის ოთახთან მისვლა ძნელი იყო. ბაზენი დერეფანში იდგა და გზა შეეკრა მით უფრო მეტი გაბედულებით, რომ რამდენიმე წლის ლოდინის შემდეგ მიღწეულად ეჩვენებოდა თავისი მარად საამაყო მიზანი.

საწყალი ბაზენის ოცნებას ყოველთვის ის შეადგენდა, რომ სარწმუნოების მსახურად ყოფილიყო და მოუთმენლად ელოდა იმ სანატრელ დროს, როდესაც არამისი გადააგდებდა მუშკეტერის მოსასხამს და ანაფორით შეიმოსებოდა. არამისის ყოველდღიური დაპირება, რომ ეს სანატრელი წუთი მალე დადგებოდა, აჩერებდა ბაზენს მუშკეტერის მსახურად, რომლის გამო, როგორც თვითონ იძახდა, შეუძლებელი იყო, სულით ხორცამდე არ წაწყმედილიყო ადამიანი.

საზღვარი არ უჩანდა ბაზენის სიხარულს. ეჭვი არ იყო, ახლა აღარ უღალატებდა მისი ბატონი თავის აღთქმას და მღვდლად ეკურთხებოდა, ხორციელ ტკივილს შეუერთებდა ზნეობრივ ჭმუნვას. ამან გამოიწვია დიდი ხნის ნანატრი ოცნების ასრულება. ხორციელადაც იტანჯებოდა არამისი, სულიერადაც და ბოლოს სარწმუნოებაზე დაამყარა თავისი ფიქრები. ღვთის განგებად და გაფრთხილებად ეჩევნა მოულოდნელად თავს დატეხილი ორმაგი უბედურება: თავისი საყვარლის უეცარი გაუჩინარება და მხარში ჭრილობა.

აღტაცებული იყო ბაზენი ახლო მომავლის მოლოდინით და გასაგებია, რა უბედურებად უნდა სჩვენებოდა დ არტანიანის მისვლა. იგი გრძნობდა, რომ ამ გარემოებას შეეძლო კვლავ საერო ყოფაცხოვრებით დატკბობის ფიქრები აღეძრა მის ბატონში და ისევ იმ ჭაობში დაეტოვებინა, სადაც აქამდე იღუპებოდა. ამიტომ გზა შეუკრა, გადაწყვიტა, მაგრად დახვედროდა მტერს და არ მიეცა კარის შემტვრევის საშუალება. ცხადია, სამიკიტნოს პატრონის ცოლის ნათქვამის შემდეგ ვერ იტყოდა ბაზენი, ბატონი შინ არ ბრძანდებაო. ამიტომ ეცადა დაერწმუნებინა იგი, რომ მეტისმეტი კადნიერება იქნებოდა ამჟამად შეწუხება მისი ბატონისა, რომელიც დილიდანვე ღრმად გართული ბრძანდებოდა სარწმუნოებრივი საკითხებით, და ბაზენის სიტყვით, საღამომდე არ დასრულდებოდა ეს კამათი.

მაგრამ დ არტანიანმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია ბაზენის მჭევრმეტყველებას, სისულელედ მიაჩნდა თავისი მეგობრის მსახურთან პოლემიკური ბრძოლის ატეხა. ხელის ერთი მოქნევით გვერდზე გასწია თავხედი, ხოლო მეორით რაზა ასწია.

დ არტანიანმა კარი შეაღო და ოთახში შევიდა.

არამისი შავად შემოსილიყო, თავზე მრგვალი ქუდი ეხურა, მოგრძო მაგიდას მისჯდომოდა, რომელზედაც მრავლად ეწყო დაგრაგნილი ქაღალდები და დიდრონი ფოლიანტები. მარჯვნივ ამიენელი იეზუიტების მოძღვარი უჯდა, მარცხნივ – მონდიდიელი მღვდელი. ფარდები ნახევრად დაშვებული დაეტოვებინათ და სუსტი, იდუმალი შუქი ანათებდა ოთახს. ერისკაცის კუთვნილი უსაჭიროესი საგნები, რომლებიც მაშინვე თვალში გეცემა ახალ-გაზრდა მუშკეტერის ოთახში შესვლისას, მთლად გამქრალიყო იქიდან, თითქოს ჯადოსანს შეელოცოს. შეშინებულ ბაზენს, რომ საბრძოლო საჭურვლის დანახვაზე მაშინვე რომ არ დავიწყებოდა მის ბატონს საღვთო წერილი და მონასტერი, ამიტომ აეღო და ისე მიეჩქმალა ხმალი, დამბაჩები, ბუმბულიანი მხედრული ქუდი და ყოველგვარი მორთულობა, რომ ეშმაკიც ვეღარ მიაგნებდა.

სამაგიეროდ, ერთ ბნელ კუთხეში თვალი მოჰკრა რაღაცას, ბერების მონანიების საგვემი მათრახის მსგავსს, რომელიც კედელზე ეკიდა.

კარის გაღების ხმაურზე არამისმა წიგნიდან თავი მაღლა ასწია და დ არტანიანი დაინახა, მაგრამ წარმოიდგინეთ გასკონელის განცვიფრება, როდესაც მისმა მისვლამ მუშკეტერზე არავითარი შთაბეჭდილება არ იქონია.

– დილა მშვიდობისა, ჩემო დ არტანიან, – მიესალმა არამისი, – ხომ გჯერათ, რომ თქვენი ნახვით ბედნიერი ვარ?

– მეც, აგრეთვე, – მიუგო დ არტანიანმა, – თუმცა ჯერ კარგად არა ვარ დარწმუნებული, რომ სახელდობრ არამისს ვხედავ და ველაპარაკები.

– სწორედ არამისს, ჩემო მეგობარო, სწორედ არამისს, ერთი მითხარით, რამ აღგიძრათ ეგ ეჭვი?

– ვფიქრობ, ოთახები ამერია და წმინდა ეკლესიის მოღვაწესთან შევედი. მით უფრო, ამ ბატონებთან რომ დაგინახეთ, ალბათ ძალიან ავადა ხართ.

იეზუიტმა და მღვდელმა ისეთი თვალით გადახედეს დ არტანიანს, რომ ეტყობოდათ, მაშინვე მიხვდნენ მისი სიტყვის ნამდვილ აზრს, მაგრამ დ არტანიანმა მათ ყურადღება არ მიაქცია.

– იქნებ ხელს გიშლით, ჩემო საყვარელო არამის, – განაგრძო დ არტანიანმა, – იმის მიხედვით, რაც მე აქ დამხვდა, უნდა ვიგულისხმო, რომ თქვენს აღსარებას ისმენენ ეს ბატონები.

არამისი ოდნავ წამოწითლდა.

– თქვენ ხელს მიშლიდეთ? ოჰ, პირიქით, ჩემო მეგობარო, გეფიცებით, რომ არა! ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად, ნება მიბოძეთ, გამოვთქვა სიხარული, რომ კვლავ ცოცხალსა და ჯანმრთელს გხედავთ.

„ოჰო, მგონი, ჭკუაზე მოდის, – გაიფიქრა დ არტანიანმა, – კიდევ კარგი, თორემ“...

– რადგან ჩემმა მეგობარმა, – განაგრძო არამისმა და ღვთის მსახურთ დ არტანიანზე ხელით ანიშნა, – რამდენიმე დღის წინათ დიდ განსაცდელს დააღწია თავი.

– მადლი უძღვენით ღმერთს, – უპასუხა ორივემ ერთად და თავი დაღუნეს.

– ღმერთს თავისი მივუძღვენი, წმინდა მამაო, – მიუგო დ არტანიანმა და მადლობის ნიშნად თავი მდაბლად დაუკრა.

– სწორედ დროზე მოხვედით, ჩემო დ არტანიან, – მიმართა არამისმა, – მონაწილეობას მიიღებთ ჩვენს მსჯელობაში და თქვენი ცოდნით სინათლეს მოჰფენთ კამათს; ბატონი ამიენელების წინამძღვარი, ბატონი მოძღვარი მონდიდიელი და მე ვმსჯელობთ ღვთისმეტყველების ზოგიერთ საკითხზე, რომლებსაც დიდი ხანია დამონებულები ვყავართ და ასევე ვეყოლებით, სანამ არ გადავწყვეტთ. ძალიან დაგვავალებთ, თუ თქვენს აზრსაც გვაცნობებთ.

– მხედარი კაცის აზრს არავითარი წონა არა აქვს სარწმუნოებისათვის, – უპასუხა დ არტანიანმა, – რომელიც გრძნობდა, რომ არასასიამოვნო მიმართულებას იღებდა ბაასი, – მე მგონია, რომ თქვენი საკითხების გადასაწყვეტად ამ ბატონების აზრიც იკმარებს.

შავით მოსილმა მღვდელმა და იეზუიტმა მდაბლად დაუკრეს თავი დ არტანიანს.

– პირიქით, – არ დაეთანხმა არამისი, – თქვენი აზრიც ძალიან დაგვეხმარება. აი, რა გვაქვს გადასაწყვეტი: ბატონი წინამძღვარი იმ შეხედულებისა ბრძანდება, რომ ჩემი დისერტაცია უნდა იყოს უაღრესად დოგმატური და დიდაქტიკური.

– თქვენი დისერტაცია? მაშ, თქვენ დისერტაციას წერთ?

– მაგას რაღა თქმა უნდა? – უპასუხა წინამძღვარმა, – კურთხევას წინ ყოველთვის გამოცდა უძღვის და ამისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დისერტაციის დაწერა.

– კურთხევას? – შეჰყვირა დ არტანიანმა, რადგან არა სჯეროდა არც სასტუმროს პატრონის ცოლის ნათქვამისა და არც ბაზენის სიტყვებისა, – კურთხევას? – გაიმეორა და გაკვირვებული თვალებით დააშტერდა არამისს და მის წმინდანებს.

არამისი ისე მოხდენილად ჩაჯდა სავარძელში, თითქოს კეთილშობილი ქალების საზოგადოებაში ყოფილიყოს. ალერსით შესცქეროდა თავის ლამაზ, ქალის ხელივით თეთრ, ფუნჩულა ხელს, რომელიც მაღლა აეწია, რომ სისხლი ძირს წამოსულიყო.

– ჰო, როგორც მოისმინეთ, დ არტანიან, – განაგრძო არამისმა. – ბატონ წინამძღვარს ნებავს, რომ ჩემი დისერტაცია იყოს დოგმატური, მე კი მინდა, იგი იდეალური იყოს, აი, ამის მიხედვით მირჩია ბატონმა წინამძღვარმა, ჩემი შრომის საფუძვლად ამეღო ისეთი დებულება, რომელიც ჯერ არსად დამუშავებულა. თვითონაც ვხედავ, მასში მრავალი მასალა მოიპოვება, რომელიც შეიძლება საგანგებოდ განვითარდეს: „ ტრაქუე მანუს ინ ბენედიცენდო ცლერიცის ინფერიკრიბუს ნეცესსარია ესტ“.

დ არტანიანმა წარბშეუხრელად მოისმინა ეს ლათინური სიტყვები.

– ეს იმას ნიშნავს, – განაგრძო არამისმა, რათა გაეადვილებინა დ არტანიანისათვის საკითხის შეცნობა, – რომ ორივე ხელი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დაბალი ხარისხის მღვდლებისათვის, როდესაც კურთხევას უპირებენ მრევლს.

– მშვენიერი დებულებაა! – წამოიძახა იეზუიტმა.

– მშვენიერია და დოგმატური! – კვერი დაუკრა მღვდელმა.

რაც შეეხება დ არტანიანს, იგი სრულიად გულგრილად ისმენდა შავი ბერების აღტაცებას.

– დიახ, მშვენიერია, – განაგრძო არამისმა, – მაგრამ ეს წმინდა მამათა ცხოვრებისა და საღვთო წერილის ღრმად შესწავლას მოითხოვს, მე კი ამ ღვთისმეტყველების მეცნიერთ გამოვუტყდი სრულიად თავმდაბლად და გულწრფელად, რომ გვარდიის რაზმელის ღამისთევამ და მეფისადმი ერთგულმა სამსახურმა ცოტა დამავიწყა ღვთისმეტყველების სწავლა და კვლევა-ძიება. ამიტომ უფრო შესაფერისად და საამურად მეჩვენება ჩემი ამორჩეული დებულება.

დ არტანიანმა მეტისმეტად მოიწყინა, მოიწყინა მღვდელმაც.

არამისმა უცბად თვალი გადაავლო თავის მეგობარს, დ არტანიანი ისე ამთქნარებდა, თითქოს სადაცაა ყბას გაიხევსო.

– მოდით, ფრანგულად ვილაპარაკოთ, ჩემო მამაო, – მიმართა იეზუიტს, – ბატონი დ არტანიანი უფრო მეტად დატკბება ჩვენი სიტყვებით.

– დიახ, გზამ ცოტა დამღალა, გზამ დამღალა და ვეღარ მაღვიძებს ეგ ლათინური, – თქვა დ არტანიანმა.

– თანახმა გახლავართ, – თქვა იეზუიტმა, რადგან გრძნობდა, რომ გზა მასაც არეოდა, – ვნახოთ, როგორ გამოვიყენებთ ფრანგულს.

სიხარულით აღტაცებული მღვდელი მადლობის თვალით შეჰყურებდა დ არტანიანს.

– მოსე მონაა ღვთისა... მონაა მხოლოდ! გეყურებოდეთ და გახსოვდეთ! მოსე ორივე ხელით აკურთხებს! მკლავები დამიჭირეთო, სთხოვს მოყვასთ იმ დროს, როდესაც ებრაელები ჟლეტენ თავიანთ მტრებს, მაშასადამე, იგი აკურთხებს ორივე ხელით, მაგრამ რას ამბობს ამაზე სახარება: დაადეთ ხელებიო და არა ხელი.

– დაადეთ ხელები, – გაიმეორა მღვდელმა და ხელები საკურთხებლად გაშალა.

– პეტრე მოციქული კი, რომლის მემკვიდრენი ბრძანდებიან წმინდა პაპები, პირიქით ბრძანებს: გამოიშვირეთ თითები! ახლა ხომ მიხვდით?

– რაღა თქმა უნდა! – მიუგო სიამოვნებით არამისმა.

– თითებით, – განაგრძო იეზუიტმა, – წმინდა პეტრე აკურთხებს თითებით, მაშასადამე, პაპიც თითებით აკურთხებს. კარგი, მაგრამ რამდენი თითით? სამი თითით: ერთი მამისა, ერთი ძისა და ერთიც სულიწმინდისა.

ყველამ პირჯვარი გადაიწერა, დ არტანიანმაც არ ისურვა უკან ჩამორჩენა და მაგალითს მიჰბაძა.

– მართალი უნდა მოგახსენოთ, – დაიწყო არამისმა, – მოხიბლული გახლავართ ჩემი დისერტაციის ბრწყინვალებით, მაგრამ, ამავე დროს, ვგრძნობ, მატლსავით გამსრესს თავისი სიდიდით. ჩემი თეზისი ასეთია, აბა, მითხარით, ჩემო დ არტანიან, რამდენად შეეგუება თქვენს გემოვნებას: „ცოტაოდენი სინანული არ წარყვნის ღვთისადმი მიმართვას“.

– შესდექ! – შეჰყვირა იეზუიტმა, – ეგ თეზისი ერესთან გვაახლოებს, თითქმის ასეთივე მოსაზრება აქვს ერესიარქ იანსენიუსს თავის წიგნში, რომელსაც, ადრე იქნება თუ გვიან, დაწვა მოელის. ფრთხილად, ჩემო ყმაწვილო მეგობარო, თქვენ ურწმუნოებასთან ახლოს დგახართ და თუ მაგას მიჰყვებით, დაიღუპებით!

– სულით ხორცამდე დაიღუპებით! – მიმართა არამისს მღვდელმა და სიბრალულით გააქნია თავი.

– თქვენ ეხებით ნებისყოფის იმ საშინელ წერტილს, რომელიც მომაკვდინებელია.

– მომისმინეთ, წმინდა მამაო! – შეჰბედა არამისმა, ოდნავ დარეტიანებულმა ამ საბუთებით, რომელიც სეტყვასავით სცემდა თავსა და გულში.

– ან როგორ დაამტკიცებთ, – განაგრძო იეზუიტმა, თითქოს არც კი გაეგონა არამისის სიტყვები, – რომ ქვეყანა უნდა ენანებოდეს ადამიანს, როდესაც თავს სწირავს ღმერთს? ღმერთი არს ღმერთი, და ქვეყანა – ეშმაკი. ვინც დაინანებს ქვეყანას, ეშმაკს დაინანებს. აი, ჩემი დასკვნა.

– აგრეთვე ჩემიც, – თქვა მღვდელმა.

– მაგრამ მომისმინეთ... ღვთის გულისათვის, – სთხოვა არამისმა.

– ეშმაკი ენანება! აჰ, ჩემო საბრალო მეგობარო! – დაიწყო კვნესით მღვდელმა. – ნუ დაინანებთ ეშმაკს! დაიჯერეთ ჩემი სიტყვა!

გაშტერებით შეჰყურებდა დ არტანიანი, საგიუეთში ეგონა თავი და ეშინოდა, თვითონაც ისე არ გადარეულიყო, როგორც არამისის ბრძნულად მოკამათე სტუმრები ეჩვენებოდა.

– კარგი, მაგრამ მეც მომისმინეთ, – დაიწყო ისევ არამისმა თავაზიანად, თუმცა მის ხმაში უკვე ცოტაოდენი მოუთმენლობა ისმოდა, – მე არ ვამბობ, რომ მენანება. არა, მე არასოდეს არ გამოვთქვამ მართლმორწმუნეობის საწინააღმდეგო აზრს.

იეზუიტმა ხელი ზეცისკენ აღაპყრო, მღვდელმა მას მიჰბაძა.

– კარგი, მაგრამ იმაში მაინც დაგვეთანხმეთ, რომ უმართებულო იქნება ის შევწიროთ ღმერთს, რაც არ გვენანება, რაც მოგვწყენია და შეგვძაგებია. განა მართალს არ ვამბობ, დ არტანიან?

– სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ! – შეჰყვირა დ არტანიანმა.

მღვდელი და იეზუიტი თავიანთ სკამებზე შეხტნენ.

– აი, ძირითადი დებულება, ერთგვარი სილოგიზმი; ქვეყანას არ აკლია მიმზიდველობა და თუ გავურბივარ ქვეყანას, მაშ, მსხვერპლად ვწირავ მის მიმზიდველობას და საღვთო წერილიც დადებითად ბრძანებს მაგასვე: შესწირეთ რამ ყოვლად ძლიერსა მეუფესაო.

– ეს მართალია, – წამოიძახეს იეზუიტმა და მღვდელმა ერთად.

– გარდა ამისა, – განაგრძო არამისმა და თან ყურის ბიბილოს ისრესდა, – დიახ, გარდა ამისა, ამ საკითხის შესახებ პატარა ლექსი დავწერე, რონდო, ბატონ ვუატურს გავუგზავნე შარშან და დიდი ქება და ქათინაურებიც მივიღე იმ სახელოვანი აკადემიკოსისაგან.

– რონდო დაწერეთ? – წამოიძახა ზიზღით იეზუიტმა.

– რონდო დაწერეთ? – მექანიკურად გაიმეორა მღვდელმა.

– წაგვიკითხეთ, წაგვიკითხეთ თქვენი რონდო! – შესძახა დ არტანიანმა, – ლექსი შეგვიცვლის ბაასის თემას.

– არა, სარწმუნოებრივია, – მიუგო არამისმა. – ეს გახლავთ ღვთისმეტყველება ლექსად.

– აი, დასწყევლოს! – უსწრო ენამ დ არტანიანს.

– აი, მისმინეთ, – თქვა არამისმა თავმდაბლად.

ასე რომ ნანობთ წარსულის ნეტარებას,
თვალცრემლიანნი და გულმოკლულნი,
უცბად მოსპობთ ტანჯვას, გულის წამებას,
თუ ღმერთს შესწირეთ თქვენის სევდის ცრემლები,
ოჰ, უბედურნო!

დ არტანიანს და მღვდელს ეტყობოდათ, მოეწონათ, იეზუიტი მტკიცედ იცავდა თავის აზრს.

– ფრთხილად, ღმერთმა დაგიფაროთ. არა შეიტანოთ რა მდაბიური ღვთისმეტყველურ მაღალ სიწმინდეში! ნუთუ არ გახსოვთ, რასა ბრძანებს წმინდა ავგუსტინი.

– დიახ, ცხადი რომ იყოს ქადაგება! – წამოიძახა მღვდელმა.

– თქვენი დისერტაცია, – შეაწყვეტინა მღვდელს იეზუიტმა, როცა ნახა, რომ მისი დამქაში ურევდა, – თქვენი დისერტაცია თუ მოეწონება ვინმეს, მარტო ლამაზ ქალებს. დიახ, ბატონო, ისევე გაიმარჯვებს, როგორც ვექილ პატრუს სიტყვა.

– ინებოს ღმერთმა! – შეჰყვირა სიამოვნებით არამისმა.

– აი, ხედავთ! – შეჰყვირა აღშფოთებით იეზუიტმა, – ეს ქვეყანა გყავთ გულში, ეს წუთისოფელი, და ის არის, რომ აგრე ხმამაღლა გაჰყვირით. თქვენ ამქვეყნიურ ცთუნებას მისდევთ, ჩემო ყმაწვილო მეგობარო, და ძალიან მეშინია, ვაითუ, უმტყუნოთ თქვენს წადილს.

– ფიქრი ნუ გაქვთ, წმინდაო მამაო, ჩემი თავისა მე ვიცი!

– ეგეც ამქვეყნიური თვითდაჯერებაა!

– ვიცნობ, მამაო, ჩემს გულსა და სულს, არა, არ უღალატებენ თავის წადილს.

– მაშ, აღარ იშლით და მაინც ამ თემაზე განაგრძობთ დისერტაციის დაცვას?

– ვგრძნობ, რომ მოწოდებული გახლავართ, ეს დისერტაცია ავირჩიო ჩემი შრომის საფუძვლად, და არა სხვა. მაშასადამე, კიდეც განვაგრძობ, და ხვალ, იმედი მაქვს, სრულიად კმაყოფილი დამრჩებით იმ ცვლილებებით, რომლებსაც თქვენი რჩევისამებრ შევიტან ჩემს შრომაში, – თქვა არამისმა.

– ნუ აჩქარდებით, – უთხრა მღვდელმა, – საგანგებო გუნებაზე გტოვებთ და კარგადაც წარმართავს თქვენს საქმეს ყოვლადძლიერი.

– დიახ, ხნული უკვე სავსეა თესლით, – თქვა იეზუიტმა, – და არ უნდა გვეშინოდეს, თუ ნაწილი თესლისა მოხვდა უნაყოფო ნიადაგში, ნაწილი – გზის პირს და დანარჩენი კი აკენკეს ციურმა ფრინველებმა, ავეს ცოელი ცომედერუნტ ილლამ.

„აი, შავი ჭირი შენცა და შენს ლათინურსაც!“ – გაიფიქრა დ არტანიანმა, რადგან გრძნობდა, რომ მოთმინება ელეოდა.

– მაშ, ნახვამდის, შვილო, – უთხრა მღვდელმა, – ხვალამდის!

– ხვალამდე, ნორჩო გულადო, – უთხრა იეზუიტმა, – ცხადად გეტყობათ, ჩვენი ეკლესიის დიდი მაშუქებელი იქნებით.

მთელი საათის განმავლობაში მოთმინებადაკარგული დ არტანიანი ფრჩხილებს იკვნეტდა. ფრჩხილებს რომ მორჩა, ახლა თითების ღეჭვა დაიწყო.

შავით მოსილი ბერი და მღვდელი წამოდგნენ, არამისსა და დ არტანიანს თავი დაუკრეს და კარებისკენ გაემართნენ. ბაზენიც იქვე იყო. იდგა და სიხარულით აღტაცებული გულმოდგინედ ისმენდა ამ ღვთისმეტყველთა მეცნიერულ პაექრობას. მღვდელსა და იეზუიტს დიდი პატივისცემით გაუძღვა წინ, რათა გზაში არა შემთხვეოდათ რა. არამისმაც კიბის პირამდე ჩააცილა და საჩქაროდ ამობრუნდა დ არტანიანთან, რომელიც ჯერაც ვერ მოსულიყო გონზე.

მარტოდ დარჩენილი ორი მეგობარი კარგა ხანს იყო გაჩუმებული, მაგრამ ერთ მათგანს ხომ უნდა დაერღვია ეს დუმილი და რადგან, ეტყობოდა, დ არტანიანი არამისს უთმობდა ამ უპირატესობას, ისევ მასპინძელმა ამოიღო ხმა.

– ხომ ნახეთ, ჩემო დ არტანიან, ისევ ჩემს ძველისძველ მრწამსს ვუბრუნდები.

– დიახ, გღირსებიათ ღვთის წყალობა, წეღანდელი თქვენი სტუმრის სიტყვით რომ ვთქვა.

– ოჰ, რამდენი ხანია დადგენილია ჩემი ეკლესიაში დაბრუნება. რამდენჯერ გამინდვია თქვენთვის ჩემი განზრახვა, განა მართალს არ ვამბობ, მეგობარო?

– მართალს ამბობთ, მაგრამ, უნდა ვაღიარო, რომ მეგონა, მეხუმრებოდით.

– ასეთ რამეზე არ ხუმრობენ, დ არტანიან!

– რატომ არა? სიკვდილთან ხუმრობენ და ეს რა გახდა!

– ძალიანაც სცდებიან, სიკვდილი არის კარი, რომელსაც სამოთხისკენ ან ჯოჯოხეთისკენ მიჰყავს ადამიანი.

– თანახმა ვარ, მაგრამ გთხოვთ, ნუღარ ვიღვთისმეტყველებთ, ჩემო არამის! მე მგონია, დღეისათვის რაც თქვით, ეგეც საკმარისია და მე კი მთლად დამავიწყდა ლათინური, რომელიც არასოდეს მცოდნია. გარდა ამისა, იმაშიც გამოგიტყდებით, რომ დილის ათი საათის შემდეგ ლუკმა არ ჩამიდვია პირში და ისე მშია, ისე მშია, რომ ლამის შევუკურთხო თქვენს ღვთისმეტყველებას.

– ახლავე გავშლით სუფრას, ჩემო მეგობარო, მაგრამ იმედი მაქვს, გეხსომებათ, რომ დღეს პარასკევია და ოთხშაბათ-პარასკევს ხორცის ჭამა კი არა, მისი დანახვაც არ შემიძლია, თუ ინებებთ და დაკმაყოფილდებით ჩემი სადილით, შემწვარი ტეტრაგონი და ხილი მაქვს.

– ეს ტეტრაგონი რაღაა? – ჰკითხა იმედმიხდილმა დ არტანიანმა.

– ისპანახი, – უპასუხა არამისმა, – მაგრამ თქვენთვის ზედ კვერცხებს დავახლი, თუმცა საშინელ ცოდვას ჩავიდენ, კვერცხი იგივე ხორცია, რადგან წიწილის ჩანასახია.

– არც ძალიან მდიდრული იქნება ჩვენი სუფრა, მაგრამ რა გაეწყობა! ოღონდ თქვენთან დავრჩე და მაგასაც ავიტან.

– გმადლობთ, რომ მაგ მსხვერპლს სწირავთ ჩვენს მეგობრობას, – უთხრა არამისმა, – მაგრამ იცოდეთ, თუ არას შემატებს თქვენს სხეულს ჩემი ტეტრაგონი, მერწმუნეთ, ბევრს შესძენს თქვენს სულს.

– მაშ, საბოლოოდ გადაწყვიტეთ, არამის, სარწმუნოებაში შედიხართ? რას იტყვიან თქვენი მეგობრები? რას იტყვის ბატონი დე ტრევილი? დეზერტირად ჩაგთვლიან, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა.

– მე სარწმუნოებაში კი არ შევდივარ, არამედ ვუბრუნდები სარწმუნოებას, თუ მართალი გინდა. დეზერტირად გამოვექეცი ეკლესიას, თქვენც იცით, რა დიდი ძალა დავატანე ჩემს თავს, რომ მუშკეტერების რაზმში შევსულიყავი.

– მე ეს არ ვიცოდი!

– მაშ, არ იცით, რად გამოვედი სემინარიიდან?

– არაფერი ვიცი!

– აი, ჩემი თავგადასავალი, საღვთო წერილშიც წერია: „აღიარეთ ცოდვანი თქვენნი წინაშე მოყვასთა თქვენთა“, და მეც ვაღიარებ ჩემს ცოდვას თქვენ წინაშე, ჩემო დ არტანიან.

– მეც შემინდვია და წინასწარვე მიპატიებია ცოდვანი თქვენნი, ჩემო არამის. ხედავთ, რა გულკეთილი ადამიანი ვარ!

– სიწმინდეებზე ლაზღანდარობა არ ეგების ჩემო მეგობარო!

– თქვით, გისმენთ.

– ცხრა წლიდან სემინარიაში ვიზრდებოდი. ოცი წლის შესრულებას სამი დღე მაკლდა, როდესაც მღვდლად მიპირებდნენ კურთხევას და ამით გათავდებოდა ყველაფერი. მაგრამ ერთ საღამოს, ჩვეულებისამებრ, ერთ ოჯახში მივედი, სადაც სიამოვნებით დავიარებოდი. რას იზამთ, ყმაწვილი ადამიანი სულითაც სუსტია, ამავე ოჯახში დადიოდა ერთი ოფიცერი. იგი ეჭვის თვალით მიყურებდა. იმ საღამოს, როდესაც საღვთო წერილს ვუკითხავდი ჩვენს დიასახლისს, უცბად შემოვარდა ის ოფიცერი ისე, რომ ქალბატონს არც კი მოახსენეს მისი მოსვლა. სწორედ იმ საღამოს მივიტანე ჩემი ლექსად თარგმნილი ივდითის ისტორიის ერთი თავი. ქალბატონს ვუკითხავდი ჩემს

თარგმანს... ისიც მიქებდა ლექსს, ქათინაურებით მამკობდა, ჩემს მხარზე დაყრდნობილი თვითონვე კითხულობდა, როდესაც უცბად ოთახში ის ოფიცერი შემოვიდა. არ მოეწონა ჩვენი ასეთ მდგომარეობაში დანახვა, მაგრამ არა თქვა რა, შინ წასასვლელად რომ გამოვედი, ისიც უკან გამომყვა, დამეწია და მითხრა:

– ბატონო მღვდელო, ჯოხი მოგინდათ?

– აბა, რა ვიცი, ბატონო? – ვუპასუხე გულმაგრად, – არავის გაუბედავს ჩემზე ჯოხით მოსვლა.

– მაშ, მომისმინეთ, ბატონო მღვდელო! თუ კიდევ მისულხართ იმ სახლში, სადაც ამ საღამოს გნახეთ, მე გავბედავ და გაჩვენებთ ჯოხის გემოს!

მე მგონი, შემეშინდა, ფერი მეცვალა, ძლივს ვიდექი ფეხზე, მინდოდა, პასუხი გამეცა, მაგრამ სიტყვას ვედარ ვპოულობდი და გაჩუმებული შევცქეროდი.

ოფიცერი პასუხს ელოდა, და როცა ნახა, რომ მეტად ვაგვიანებდი, სიცილი წასკდა, ზურგი შემომაქცია და სახლში შევიდა.

მე სემინარიაში მივედი.

უნდა მოგახსენოთ, კარგი გვარიშვილი ვარ, რასაც თქვენც შეამჩნევდით, სისხლიც მიდუღს, ჩემო დ არტანიან. საშინელი იყო შეურაცხყოფა და საიდუმლოდაც რომ დარჩენილიყო ჩვენს საზოგადოებაში, მე მაინც ვგრძნობდი მის სიმწავავეს და იგი გულს მწიწკნიდა. სემინარიის გამგეს გამოვუცხადე, რომ საკმარისად მომზადებულად არ მიმაჩნდა თავი, რომ კურთხევის ღირსი არ ვიყავი და თანახმად ჩემი თხოვნისა, ერთი წლით გადადეს კურთხევა.

პარიზში მოვძებნე ფარიკაობის საუკეთესო მასწავლებელი. პირობა დავუდე, რომ ყოველდღე ერთ საათს ვივარჯიშებდი. მართლაც, ერთი წლის განმავლობაში ყოველდღე მქონდა ეს გაკვეთილი და წლისთავზე, სწორედ იმ დღეს, როდესაც შეურაცხყოფა მომაყენა ოფიცერმა, ლურსმანზე ჩამოვკიდე ჩემი ანაფორა, მხედრული ტანისამოსი ჩავიცვი და ერთ ჩემს კარგ მეგობარ ქალს ვეწვიე მეჯლისზე. ვიცოდი, იქ უნდა ყოფილიყო ჩემი შეურაცხმყოფელი. მეჯლისი ციხე ლა-ფორსის ახლოს დაენიშნათ, ფრან-ბურჟუას ქუჩაზე.

მართლაც, იქ ბრძანდებოდა ჩემი ოფიცერი, ვიღაც ქალს ტრფობის პატარა ლექსს უკითხავდა და ნაზი თვალებით შეჰყურებდა. მივედი და შუაზე შევაწყვეტინე ლექსის კითხვა.

– უკაცრავად, ეს მიბრძანეთ, ახლაც გაჯავრდებით, ერთ ნაცნობ ოჯახში რომ შევიდე, პეიენის ქუჩაზე? კარგი ჯოხის გემოს მიჩვენებთ, თუ ფანტაზიამ გამიტაცა და არ დაგემორჩილებით?

გაკვირვებული მიყურებდა ოფიცერი.

– რა გინდათ ჩემგან? მე თქვენ არ გიცნობთ.

– მე გახლავართ ის ახალგაზრდა მღვდელი, რომელიც საღვთო წერილს კითხულობს და ივდითს თარგმნის ლექსად.

– ჰაა, ახლა კი მაგონდება! – წამოიძახა დაცინვით ოფიცერმა. – მერე, რა გნებავთ?

– მინდა, ცოტა ხანს გათავისუფლდეთ და ერთად გავისეირნოთ, აქვე სულ ახლოს.

– ხვალ დილით! თუ თქვენი ნებაც იქნება, დიდი სიამოვნებით დაგხვდებით.

– არა, ხვალ კი არა, აი, ახლავე, თუ შეგიძლიათ.

– რაკი ასე დაჟინებით მოითხოვთ...

– დიახ, დაჟინებით.

– მაშ, წავიდეთ... ქალბატონებო, – მიმართა მან ქალებს, – ნუ აიშლებით, ერთი წამი შემომწირეთ, რომ წუთისოფელს გამოვასალმო ეს ვაჟბატონი და მაშინვე გეახლებით ლექსის კითხვის დასამთავრებლად. წავიდეთ!

პეიენის ქუჩაზე გავიყვანე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ერთი წლის წინათ, სწორედ იმავე დღეს, ის ქათინაური შემომკადრა, წელან რომ მოგახსენეთ,

მთვარე კაშკაშებდა. ვიძრეთ ხმლები და პირველ შეტაკებაზევე მკვდარი ოფიცერი ძირს გაიშხლართა.

– ყოჩაღ, ბიჭო!

– რაკი აღარ დაბრუნდა, – განაგრძო არამისმა, – რომ თავისი ლექსის უკანასკნელი ტაეპი მიეძღვნა ქალბატონისათვის, ძებნა დაუწყეს და იპოვეს პეიენის ქუჩაზე გულგანგმირული. მაშინვე დაასკვნეს, რომ ეს ჩემი საქმე იქნებოდა, და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ამბავმა. მეც იძულებული გავხდი, რამდენიმე ხნით შორს დამემალა ჩემი ანაფორა. სწორედ იმ დროს გავიცანი ათოსი და პორთოსი, რომლებმაც ფარიკაობის გარდა, რამდენიმე მეტად კარგი ფანდი მასწავლეს. მათ მირჩიეს მუშკეტერების რაზმში შესვლა. მეფეს ძალიან უყვარდა მამაჩემი, რომელიც არასის ალყის დროს დაიღუპა. მისი პატივისცემით, მაშინვე ჩამრიცხეს მუშკეტერების რაზმში. ახლა კი უკვე დროა დავუბრუნდე წმინდა ეკლესიას.

– რაღა სწორედ დღეს? რატომ გუშინ არ მოგინდათ თქვენი ეკლესია? ან რატომ ხვალისთვის არ გადადეთ? რა დაგემართათ დღეს ისეთი, რომ მაგ აზრებს დამონებიხართ?

– ეს ჭრილობა, ჩემო დ არტანიან, გაფრთხილებად მომევლინა ზეციდან.

– ჭრილობა? ჭრილობა თითქმის მოგირჩათ, ვიცი, და თუნდაც დავიფიცებ, რომ დღეს ეგ არ არის თქვენი შემაწუხებელი, თქვენ სხვა რამ გაწუხებთ...

– რა უნდა მაწუხებდეს? – შეჰყვირა არამისმა და გაწითლდა.

– გულის სიღრმეში არსებული ჭრილობა, ჩემო არამის, უფრო გულსაკლავი და მაწამებელია.

არამისს უნებურად თვალები გაუბრწყინდა.

– ოო, – წამოიძახა იმ კილოთი, რომ ეტყობოდა, ცდილობდა თვალთმაქცური უარყოფით დაემალა თავისი სიხარული.

– ნუღარ გამაგონებთ მაგას! მე მაგას ვფიქრობდე? სიყვარულის დარდი მაწუხებდეს? იქნება გგონიათ, რომ ტვინი გადამიბრუნდა? მერე ვისთვის? ვიღაც გოგოსთვის? ვიღაც მოახლისთვის, რომელსაც ვეარშიყებოდი, მანამ გარნიზონში ვიყავი?

– უკაცრავად, ჩემო არამის, მაგრამ მე კი მეგონა, რომ თქვენ სატრფოს უფრო მაღლა მოძებნიდით.

– უფრო მაღლა? მერე რა ვარ მე, რას წარმოვადგენ, რომ მაგოდენა სიამაყე მქონდეს? ერთი საწყალი უბრალო მუშკეტერი, სრულიად უცნობი, რომელსაც ჭირივითა სძულს სხვისადმი მორჩილება და მეტად დამცირებულად გრძნობს თავს ამქვეყნად.

– არამის! არამის! – შეჰყვირა დ არტანიანმა და ეჭვის თვალით დააცქერდა თავის მეგობარს.

– მტვერი ვარ, მტვრად ვიქცევი! სიცოცხლე დამცირების და წამების ჭაობია, – განაგრძო მოღუშული სახით, – წვრილი ძაფებით არის მიკრული ბედნიერებაზე, და როგორც კი მიუახლოვდება ადამიანი, ყველა წყდება მის ხელში, მეტადრე, თუ ოქროსია ძაფი, ოჰ, ჩემო დ არტანიან! – მიმართა ახლა პირადად დ არტანიანს და ცოტა სიმწარე გაურია თავის სიტყვაში, – დამიჯერეთ, კარგად დამალეთ თქვენი ჭრილობანი. დუმილი უკანასკნელი შვებაა უბედურთა. ფრთხილად იყავით, არავის დაანახვოთ კვალი თქვენი მწუხარებისა, არავის, ვინც უნდა იყოს! ცნობისმოყვარენი ისე ტკბებიან ჩვენი ცრემლებით, როგორც ბუზები დაჭრილი ირმის სისხლით.

– ეჰ, ჩემო არამის, – სევდიანად ამოიოხრა დ არტანიანმა და კინაღამ გულიც თან ამოაყოლა, – ჩემს უბედურებას მიამბობთ თქვენი სიტყვით.

– როგორ?

– დიახ... ერთი ქალი მიყვარს, თაყვანსა ვცემ... და მოიტაცეს! არც კი ვიცი, სად არის ამჟამად, სად წაიყვანეს. არც ის ვიცი, ცოცხალია თუ არა!

– კარგი, მაგრამ თქვენ ის ფიქრი მაინც გაქვთ სანუგეშოდ, რომ თავისი სურვილით არ მიუტოვებიხართ. თუ მისი ამბავი აღარ მოგდით, ეს იმიტომ, რომ აუკრძალეს თქვენთან მიმოწერა, იმ დროს, როდესაც...

– რა?

– ეჰ! არაფერი! – არამისი შეეცადა დაემალა, – არაფერი!

– ის, რომ სამუდამოდ უარყოფთ ამქვეყნიურ ცხოვრებას, საბოლოოდ გაქვთ გადაწყვეტილი?

– სამუდამოდ, საუკუნოდ! დღეს თქვენ მეგობარი ხართ ჩემი, ხვალ თქვენ ჩემთვის მხოლოდ ჩრდილიდა იქნებით, ან, უფრო უკეთ რომ გამოვთქვა, ხვალ თქვენი არსებობაც კი გამოფიტულ სიტყვად დარჩება ჩემთვის. რაც შეეხება თქვენს ქვეყანას, იგი მხოლოდ აკლდამაა და სხვა არაფერი.

– რომ იცოდეთ, რა სამწუხაროა თქვენი სიტყვა.

– რას იზამთ, ჩემო დ არტანიან? ღვთის განგება მიზიდავს თავისკენ, ღვთის განგებას ვემორჩილები.

გაეცინა დ არტანიანს და პასუხი აღარ მისცა.

ისევ არამისმა განაგრძო:

– მიუხედავად ამისა, მანამ ამქვეყნად ვარ, დედამიწას ვებღაუჭები, ძალიან მინდა თქვენი და ჩემი მეგობრების ამბის გაგება.

– მე კი ის მინდა, და ძალიანაც მინდა, რომ თქვენი გავიგო რაიმე, – მიუგო დ არტანიანმა, – მაგრამ როგორც ვხედავ, ისე ჩამოშორებიხართ ყველაფერს... სიყვარულზე „ფუს“ გაიძახით, მეგობრები ცარიელი ჩრდილებიდა არიანო, ქვეყანა აკლდამაარ.

– ეეჰ, მაგას თქვენც ნახავთ და დარწმუნდებით, – მწარედ ამოიოხრა არამისმა.

– მაშ, ნუღარც რაიმეს ვიტყვით ამქვეყნისას, – უთხრა დ არტანიანმა. – ცეცხლში დავწვათ ეს წერილი, რომელიც ეჭვი არ არის, ახალ ღალატს გაცნობებთ თქვენი საყვარელი გოგოებისას და მოახლეებისას.

– რა წერილი? – უცბად გამოცოცხლა არამისი.

– ერთი წერილია... თქვენსა მიეტანათ, როდესაც თქვენ იქ არ იყავით, და მე გამომატანეს გადმოსაცემად.

– მერე, ვისგან არის ეს წერილი?

– ვისგან იქნება, თუ არა უნუგეშოდ მტირალი გოგონასაგან ან თქვენი ღალატით სასოწარკვეთილი მოახლისაგან? ქალბატონ დე შევრეზის გოგოსაგან იქნება, რომელიც იძულებული გახდა, თავის ქალბატონს გაჰყოლოდა ტურში, და რომ უფრო გულისწარმტაცად გჩვენებოდათ, წერილისთვის მშვენიერი სურნელოვანი ქაღალდი უშოვია და თავისი ქალბატონის ბეჭდით დაუბეჭდავს!

– რას ამბობთ, რას, დ არტანიან?

– ვაიმე! იქნება დამეკარგა? – წამოიძახა მწუხარებით დ არტანიანმა და თან ჯიბეებს იქექავდა, თითქოს წერილს ეძებდა, – ჩემი ბედი, რომ ქვეყანა აკლდამაა, კაცები და, მაშასადამე, ქალებიც მარტო აჩრდილებია, ხოლო სიყვარული საზიზღარი გრძნობა! თორემ როგორდა გადაგირჩებოდით?

– აჰ, დ არტანიან, დ არტანიან! – შეჰყვირა არამისმა, – რად მკლავ, ბიჭო? რა დაგიშავე?

– ძლივს არ გამოვაცოცხლე! – წამოიძახა სიხარულით დ არტანიანმა და ჯიბიდან წერილი ამოიღო.

არამისმა ისკუპა, გამოჰგლიჯა ხელიდან წერილი, წაიკითხა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, გადაყლაპა, შთანთქა, და მართლა გამოცოცხლდა კაცი, სახე გაუბრწყინდა!

– ეტყობა, კარგი ამბის მახარობელი ყოფილა თქვენი მოახლე, – უთხრა ღიმილით დ არტანიანმა.

– გმადლობთ, ჩემო დ არტანიან! – შეჰყვირა არამისმა იმ სიხარულით, რომელიც გაგიჟებულს ამგვანებს კაცს... – იძულებული ყოფილა ისევ ტურში გადასულიყო; ისევ ერთგული არის ჩემი, ისევ ვუყვარვარ! მოდი, მეგობარო, ერთი გადაგეხვიო! ვეღარ გაუძლებს გული ამ ნეტარებას!..

ცეკვა დაიწყეს მეგობრებმა და ვაჟკაცურად თელავდნენ იატაკზე ჩამოცვენილ დისერტაციის ფურცლებს.

ამ დროს ბაზენი შემოვიდა, ისპანახი და ერბოკვერცხი შემოიტანა.

– აბა, მოუსვი, უბედურო! – შეჰყვირა არამისმა და შიგ თავში სტკიცა თავისი არახჩინი, – წადი, საიდანაც მოდიხარ, თან წაიღე ეს საზიზღარი საჭმელი და საშინელი ხილი! უთხარი, სადილად წვენში ჩაწყობილი კურდღელი, კარგი მსუქანი ყვერული, ნივრით შემწვარი ცხვრის ბარკალი და ოთხი ბოთლი ძველი ბურგუნდიული ღვინო ამომიგზავნონ.

გაშტერებით შესცქეროდა ბაზენი თავის ბატონს, ვეღარა გაეგო რა ამ უეცარი ცვლილებისა, შეწუხებულმა ერბოკვერცხი ისპანახზე დაუშვა და ისპანახი კი იატაკზე.

– აი, ბატონო, კარგი შემთხვევა რომ ყოვლად ძლიერს, მეფეთა მეფეს შესწიროთ თქვენი სიცოცხლე, – უთხრა დ არტანიანმა, – თუ გინდათ, ზრდილობიანად მოექცეთ მის მეუფებას.

– ჯანდაბას მეფეთა მეფეც და თქვენი ლათინურიც, დავლიოთ, ჩემო დ არტანიან, დავლიოთ ისე, რომ წვეთი არ დაგვრჩეს, გადავკრათ ჩვენებურად და ერთი ჩვენების ამბავიც მიამბეთ.

XXVII

ათოსის ცოლი

– ახლა მხოლოდ ათოსის ამბავი გვრჩება გაუგებარი, – უთხრა დ არტანიანმა არამისს, რომელსაც დაწვრილებით უამბო ყოველივე, რაც მოხდა მათი წამოსვლის შემდეგ ქალაქში. საგანგებო სადილმა ერთს დისერტაცია დაავიწყა, ხოლო მეორეს – დაღლილობა.

– როგორ გგონიათ, უბედურება ხომ არ შეემთხვეოდა? – ჰკითხა არამისმა, – მეტად მშვიდია ათოსი, ძალიან გულადი და კარგადაც ხმარობს ხმალს.

– ეგ მართალია. ჩემზე მეტად, ალბათ, არავინ სცემს პატივს ათოსის ვაჟკაცობასა და მამაცობას, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, მირჩევნია, ჩემს ხმალს შუბით სცემდნენ, ვიდრე ჯოხებით. იმის შიში მაწუხებს, ვაითუ ჯოხებით დაეცნენ ბიჭები ათოსს, ჯოხით ცემა იციან მსახურებმა, და რაკი დაიწყებენ, გათავება აღარ მოაგონდებათ. აი, ამიტომ, უნდა გამოგიტყდეთ, მინდა, რაც შეიძლება მალე წავიდე.

– ვეცდები, მეც თქვენთან წამოვიდე, – უთხრა არამისმა, – თუმცა, არა მგონია, ცხენით სიარული შევძლო, გუშინ ვცადე, აი, იმ მათრახის გამოყენება, აგერ, კედელზე რომ ჰკიდია, მაგრამ ისეთი ტკივილი ამივარდა დაჭრილ მხარში, რომ მაშინვე შემაწყვეტინა კეთილსარწმუნოებრივი ვარჯიში.

– ეს იმიტომ, ჩემო მეგობარო, რომ არავინ იფიქრებს, ტყვიით ნაკრავი იარა მათრახმა მოარჩინოს, მაგრამ თქვენ ავად ბრძანდებოდით. ავადმყოფობა კი ასუსტებს გონებას, ტვინს და ამის გამო მეც მიპატიებია თქვენი შეცდომა.

– კარგით, როდის მიდიხართ?

– ხვალ დილით, გათენებისას, ამაღამ კარგად მოისვენეთ, გამოიძინეთ და თუ ხვალ შეძელით, ერთად გავუდგეთ გზას.

– მაშ, ხვალამდე, ჩემო დ არტანიან, ფოლადის ადამიანი რომ იყოთ, მაინც დაგჭირდებათ მოსვენება.

მეორე დღეს დ არტანიანი არამისთან შევიდა, მისი მეგობარი ფანჯარასთან იდგა.

– რას გადასცქერით? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– რა ვქნა, რომ მოხიბლული ვარ ამ მშვენიერი, საგანგებოდ შეკაზმული რაშებით, რომელთა აღვირები ბიჭებს უჭირავთ და ეზოში დაატარებენ. სწორედ მეფური ნეტარებაა ასეთი ცხენით მგზავრობა.

– თქვენც სწორედ მეფური ნეტარებით დატკბებით, ჩემო არამის, რადგანაც თქვენ გეკუთვნით ერთი ცხენი.

– ეჰ, კარგით ერთი! მერე, რომელი?

– რომელსაც თქვენ ამოირჩევთ მაგ სამში. მე უპირატესობას არც ერთს არ ვამჩნევ.

– ის ძვირფასი ყაჯარი, ცხენს რომ აფარია, ისიც ჩემია?

– მაგას რაღა თქმა უნდა?

– სიცილის გუნებაზე ყოფილხარ, ჩემო დ არტანიან!

– სიცილის გუნებაზე მაშინ ვიყავი, როცა ლათინურად მელაპარაკებოდით.

– მაშ, ჩემია ის ოქროში ამოვლებული დამბაჩის ბუდე, ის ხავერდის ყაჯარი, ის ვერცხლით მოჭედილი უნაგირი?

– თქვენია, თქვენი ისევე, როგორც ჩემია, აი, ის ცხენი, ტორს რომ სცემს მიწას, ხოლო მესამე, მოუსვენრად რომ დახტის, ათოსისაა.

– აი, რაშები თუ გინდა, ესენი არიან.

– ძალიან მასიამოვნებთ, რომ თქვენი გემოვნებისად სცანით.

– მაშ, მეფემ გიძღვნათ ეს მართლაცდა მეფური საჩუქარი?

– თავისთავად ცხადია, ბატონი კარდინალი არ მიძღვნიდა ამისთანა, მართლაცდა მეფურ საჩუქარს, მაგრამ ახლა მაგის ძიებით ნუ შეიწუხებთ თავს, ოღონდ გახსოვდეთ, ამ სამი რაშიდან ერთი თქვენია.

– მაშ, ჩემი ის იყოს, წითურ ბიჭს რომ უჭირავს.

– ძალიან კარგი.

– ღმერთო ძლიერო! – შეჰყვირა არამისმა, – თურმე სიამოვნებასაც შესძლებია სატკივარის განკურნება! ასი ტყვია რომ მერჭოს გულში, მაშინაც მოვახტებოდი მაგ მერანს. აჰ, ჩემს სულს ვფიცავ, საგანგებო უზანგები ჰქონია, შენ, ეი, ბაზენ! აბა ჩქარა! ჰა, სადა ხარ? ჩქარა-მეთქი!...

კარებში გაჩნდა დაღვრემილი და ღონემიხდილი ბაზენი.

– ხმალი გამიწმინდე, მომიმზადე წამოსასხამი და ქუდი, გატენე ჩემი დამბაჩები! – ბრძანა არამისმა.

– ზედმეტი გახლავთ თქვენი უკანასკნელი ბრძანება, ბატონო, – შეაწყვეტინა დ არტანიანმა, – უნაგირს თავისი ბუდეები აქვს და ბუდეებში გატენილი დამბაჩებია.

მწარედ ამოიკვნესა ბაზენმა.

– დამშვიდდი, ჩემო ბაზენ, – უთხრა დ არტანიანმა, – სასუფეველსა ღვთისასა მივა კაცი ხელობისა და თანამდებობების მიუხედავად.

– ეჰ, უკვე ღვთისმეტყველი ბრძანდებოდა ჩემი ბატონი, – წარმოთქვა შეწუხებულმა ბაზენმა, – ეპისკოპოსად აკურთხებდნენ ამ ცოტა ხანში და იქნება კარდინალობაც მიეღო.

– აჰ, ჩემო საწყალო ბაზენ! აბა, დაუფიქრდი ჩვენს ცხოვრებას, მითხარ, რას შესძენს ადამიანს ბერად აღკვეცა? შენა გგონია, რაკი ბერია, ბრძოლაში აღარ ჩარევენ? განა არა ხედავ, რომ კარდინალი აპირებს საომრად წასვლას თავზე

ქოთნით და შუბ-ნაჯახით ხელში? ან კიდევ ბატონი ნოგარე დე ლა ვალეტი! რას იტყვი? ისიც ხომ კარდინალია, აბა, ჰკითხე მის მსახურს, რამდენჯერ შეუხვევია ფოთლით მისი ჭრილობები?

– ეჰ, ვიცი, ბატონო, ვიცი, – ამოიოხრა ბაზენმა, – თავდაყირა ტრიალებს დღეს მთელი ქვეყანა.

ამ ბაასით ჩავიდნენ ეზოში ჩვენი გმირები და სასოწარკვეთილი ბაზენი.

– უზანგი დამიჭირე, ბაზენ! – უბრძანა არამისმა.

თავისი ჩვეულებრივი სილაზათით და სიმარდით მოახტა ცხენს, მაგრამ მოუსვენარი იყო მისი რაში, იძროდა, ხტოდა, არ ჩერდებოდა და ისეთი აუტანელი ტკივილი დაეწყო მის მხედარს, რომ ფერი ეცვალა და თავს ვეღარ იმაგრებდა. დ არტანიანი თვალს არ აშორებდა მეგობარს. დაინახა თუ არა ღონემიხდილი არამისი, მივარდა, ხელები შეაშველა, ცხენიდან ჩამოსვა და თავის ოთახში აიყვანა.

– არა, ჩემო არამის, თქვენ ვერ წამოხვალთ, ის გირჩევნიათ, აქ დარჩეთ და ჭრილობა მოირჩინოთ. ათოსის საძებნელად მარტო მე წავალ.

– ფოლადის კაცი ხართ, დ არტანიან, სწორედ ფოლადისა, – უთხრა არამისმა.

– არა, ბედი მშველის, აი, რაშია ჩემი ფოლადობა. ერთი ეს მითხარით, როგორ შეიცვლება თქვენი ცხოვრება, მარტო რომ დარჩებით? კიდევ დაიწყება საღვთო წერილის განმარტებანი და დისერტაციების გარჩევა?

არამისმა გაიცინა.

– დავჯდები და ლექსებს დავწერ.

– დიახ, ლექსებს დაწერთ იმ საპკურით გასურნელებულს, რომელიც ქალბატონ დე შევრეზის მოახლის ბარათს ჰქონდა. მაშ, მოდით, თქვენს ბაზენსაც შეასწავლეთ ლექსების წერა, მაგით მაინც ანუგეშეთ. რაც შეეხება თქვენს მერანს, ყოველდღე მცირე ხნით შეჯექით ხოლმე იმისათვის, რომ მაგის მოძრაობას მიეჩვიოთ და თქვენიც ასწავლოთ.

– მაგის ფიქრი ნუ გექნებათ, – უთხრა არამისმა, – რომ ჩამოივლით, მზად დაგხვდებით.

ერთმანეთს გამოეთხოვნენ. დ არტანიანმა ბაზენს და სამიკიტნოს პატრონის ცოლს ჩააბარა თავისი მეგობარი, მოახტა ცხენს და ამიენისკენ გააჭენა.

გზაში სულ იმას ფიქრობდა, როგორ დახვდებოდა ათოსი. მძიმე მდგომარეობაში დატოვა თავისი მეგობარი და შეიძლება ცოცხალი აღარც კი დახვედროდა. შუბლი მოუღრუბლა ამ ფიქრმა, რამდენჯერმე ამოიკვნესა და ფიცი დასდო, რომ მისი მკვლელების ჯავრს ამოიყრიდა.

დ არტანიანის მეგობრებში ხნით ყველაზე უფროსი ათოსი იყო და, მაშასადამე, ძალიან შორს უნდა მდგარიყო მისი გემოვნებისა და მისწრაფებებისაგან.

მიუხედავად ამისა, დ არტანიანი მას დიდ უპირატესობას ანიჭებდა და ყველაზე მეტად უყვარდა. დიდებული და ღირსეული იერი ჰქონდა ათოსს; დიდებული ბრწყინვალება, რომელიც ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე ბნელიდან. კარჩაკეტილობა უყვარდა ამ მუშკეტერს, თითქოს ქვეყანას ერიდებოდა. ყოველთვის ერთნაირ შეუცვლელ გუნებაზე იყო და ამით სასურველ ამხანაგად ითვლებოდა. ყველგან და ყოველთვის ნაძალადევი მხიარულება ჰქონდა, სიტყვა – მახვილი, დიდი ვაჟკაცობა, რომლისთვისაც შეიძლება სახელიც მოეძებნათ – „ბრმა მამაცობა“, მაგრამ, ამასთან, ეს ვაჟკაცობა უაღრესი სიმშვიდის შედეგს წარმოადგენდა. ათოსის ყველა ეს ღირსება დ არტანიანს პატივისცემის, სიყვარულის გრძნობას უღვივებდა, უფრო მეტად აღფრთოვანებული იყო ჩვენი გასკონელი. მართლაც, ბატონ დე ტრევილთანაც რომ დაგეყენებინათ შესადარებლად, დიდებულ მამაც ჯარისკაცთან, არაფერს წააგებდა ათოსი ამით. საშუალო ტანის, მაგრამ ისე მშვენივრად ჩამოსხმული და ჯმუხი აგებულებისა

იყო, რომ არაერთხელ მოადრეკინა მუხლი ჭიდაობაში ახოვან პორთოსს, რომლის ფიზიკური ძალა საანდაზოდ გამხდარიყო მუშკეტერებში. თვალები გამგმირავი ჰქონდა, სწორი ცხვირი, ბრუტორივით გამოკვეთილი ნიკაპი, და ასე შემკობილ სახეს რაღაც განუმარტავი დიდებულების და პატიოსნების იერი ემჩნეოდა. თავის ხელებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ათოსი, ეს კი გულს უკლავდა არამისს, რომელიც ძალიან უფრთხილდებოდა თავისას, სულ ნუშის მალამოთი და სურნელოვანი ზეთით იზელდა.

ათოსს ხმაც ტკბილი ჰქონდა, მელოდიური. სულ იმას ცდილობდა, შეუმჩნეველი ყოფილიყო და პატარა კაცად სჩვენებოდა ყველას. ათოსი ისე კარგად იცნობდა დიდებული საზოგადოების ყოფა-ცხოვრებას და ყოველ ჩვეულებას, ისე კარგად გამოჰყოლოდა დიდებული შთამომავლობის ყველა თვისებანი, რომ, მისდა უნებურად, სულ უბრალო და უმცირეს საქციელში ამჟღავნებდა, რომ დიდებულთა გვარიდან უნდა ყოფილიყო.

კარგი სადილისა და ლხინის მოწყობა იყო საჭირო? ათოსი უკეთ მოაგვარებდა ყველაფერს, ვიდრე ამ საქმეში დაბერებული, გამოცდილი კაცი. თავ-თავის ადგილზე დასხამდა ყველას, მამა-პაპათაგან მიღებული გვარიშვილობის ან პირადი ღვაწლით მოპოვებული თანამდებობის მიხედვით. ათოსმა ზეპირად იცოდა მთელი სამეფოს დიდებული გვარიშვილების შთამომავლობა, მათი ნათესაობა, მათი გერბი და წარმოშობა. წვრილმანს ვერას იპოვიდით ვისიმე დიდებულების საბუთში, რომ მას არ სცოდნოდა. კარგად ერკვეოდა, რა უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი დიდრონი მებატონეები. საუცხოოდ იცოდა მეძებრებით ნადირობა და ბაზიერობა. ერთხელ, როდესაც ამ დიდ ხელოვნებას შეეხო ბაასი, ისეთი ღრმა ცოდნა გამოიჩინა ათოსმა, რომ მეფე ლუდოვიკო მეცამეტეც კი გაკვირვებული დარჩა. თუმცა მეფე ბაზიერობაში სახელოვნად ითვლებოდა.

როგორც იმ დროის ყველა დიდებული მებატონე, ათოსიც საუცხოოდ იჯდა ცხენზე და იშვიათი ხელოვნებით ხმარობდა იარაღს. უფრო მეტიც, ისეთი კარგი აღზრდა-განათლება მიეღო თვით სქოლასტიკური მეცნიერების დარგში, რაც ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა იმ დროის დიდებულ მებატონეთა ცხოვრებაში, რომ გაეცინებოდა ხოლმე, როდესაც არამისის მიერ დამახინჯებულ ლათინურს გაიგონებდა.

უბედურებაც ის იყო, რომ ეს ყოველი ღირსებით შემკული კაცი, ეს განხორციელებული მშვენიერება, ეს სულით წმინდა არსება, თავისდაშეუმჩნევლად, ეკონომიკური პირობების გამო, ნელ-ნელა, ეშვებოდა გაჭირვებული ცხოვრებისაკენ, ისე, როგორც მოხუცნი ეშვებიან ნელ-ნელა ფიზიკური და ზნეობრივი უძლურებისაკენ. როდესაც გაუჭირდებოდა ხოლმე ათოსს, გაჭირვების მეტი კი არა იყო რა მისი ცხოვრება, ნელ-ნელა უქრებოდა, რაც კარგი ჰქონდა და ღრმა წყვდიადი ფარავდა მის ღირსებას.

ასეთ მომენტში თავდაღუნული იჯდა საწყალი, მიმქრალი თვალებით, მძიმე, ნაძალადევი სიტყვით. მთელი საათობით შესცქეროდა თავის ბოთლს და სასმისს ან თავის გრიმოს, რომელიც მიჩვეული ჰყავდა, მყისვე აესრულებინა მისი უსიტყვოდ, ნიშნებით მიცემული ბრძანება.

გრიმო თავისი ბატონის უძრავ თვალებს შეჰყურებდა, შიგ კითხულობდა მის უმცირეს სურვილსაც კი და დაუყოვნებლივ უსრულებდა. გაჭირვების დროს, ერთად შეკრებილი მეგობრების ბაასისას, ათოსი ერთ სიტყვას ძლივს შეაწევდა, იმასაც დიდი გაჭირვებით, სამაგიეროდ, ოთხისოდენსა სვამდა და არაფერი ემჩნეოდა, ოღონდ უფრო ეჭმუხნებოდა წარბი და უფრო ღონდებოდა.

დ არტანიანი, როგორც ვიცით, მეტად ფხიზელი გონების პატრონი იყო, მაგრამ რამდენს არ ეცადა, ვერ შეძლო დაესახელებინა რამე მიზეზი ათოსის უხალისობისა ან აღენიშნა მისი გამომწვევი გარემოებანი. ათოსს არასოდეს არ

მოსდიოდა წერილები. ნაბიჯს არ გადადგამდა ისე, რომ წინასწარ არ სცოდნოდათ მის მეგობრებს.

შეუძლებელი იყო ღვინისთვის დაგვებრალებინა მისი ჭმუნვით სავსე დაღონება, პირიქით, ღვინოს იმიტომ სვამდა, რომ შიგ ჩაეხრჩო როგორმე თავისი სევდა, მაგრამ, საუბედუროდ, როგორც ვთქვით, ეს წამალი უფრო მეტად აღონებდა და ამწარებდა. არც ბანქოს თამაშით შეიძლებოდა ამ გაზვიადებული შავზაფრიანი მოწყენილობის ახსნა, რადგან პორთოსივით სიმღერას ან ლანძღვას და გინებას არ მოჰყვებოდა. როდესაც ბედი სწყალობდა, ბევრიც რომ მოეგო ათოსს, ისევე გულცივად შესცქეროდა თავის მონაგებს, როგორადაც გულცივად იხდიდა წაგებულს.

ეს არც ატმოსფეროს გავლენა იყო, როგორც ჩვენს მეზობელ ინგლისელებშია, რომლებიც სულ მოღუშული სახით დადიან. პირიქით, ათოსის მოწყენილობა უფრო და უფრო იზრდებოდა იმ დროს, როდესაც სიცოცხლით სავსე ზაფხული ახლოვდებოდა. ივნისი და ივლისი საშინელი თვეები იყო მისთვის.

აწმყოსთვის სამწუხარო არა ჰქონდა რა, მომავალზე რომ დაიწყებდნენ ლაპარაკს, მხრებს აიჩეჩდა. მაშ, წარსულში უნდა ყოფილიყო ჩამალული მისი საიდუმლო, როგორც ეს სიტყვის გადაკვრით, ბუნდოვნად უთხრეს დ არტანიანს.

– ეჰ, – მოთქვამდა დ არტანიანი, – იქნება ამჟამად ცოცხალიც აღარ იყოს საწყალი ჩემი ათოსი! და განა ჩემი ბრალი არ იქნება მისი სიკვდილი? განა ჩემი ბრალი არ არის, რომ ჩავითრიე საქმეში, რომლის არც თავი იცოდა და ვერც ბოლოს გაიგებს?

– მთავარი ნუ გავიწყდებათ, ბატონო, – უპასუხა პლანშემ, – ჩვენ თუ ცოცხალნი ვართ დღეს, იმის წყალობით. ხომ გახსოვთ, როგორ შემოგვყვირა: „მე აქ გამაბეს! წადით, დ არტანიან!“ ორჯერ გაისროლა დამბაჩა და ისეთი ორომტრიალი დააყენა თავისი ხმლით, იტყოდით, ოცი კაცი იბრძვისო.

დ არტანიანს ამ სიტყვამ გაუორკეცა გულმოდგინება, ძალა შემატა და ცხენს წასახალისებელი მათრახი გადაჰკრა, თუმცა არავითარი წახალისება არა სჭირდებოდა ბედაურს, ისეც ჭენებით მიაქროლებდა თავის მხედარს.

დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ამიენი შორიდან დაინახეს. თორმეტის ნახევარზე კი იმ დაწყევლილი სამიკიტნოს კარს მიადგნენ.

დ არტანიანი ხშირად ფიქრობდა ამ პირშავი სამიკიტნოს პატრონის ჯავრის ამოყრაზე, ფიქრობდა, ისეთი სასჯელი მიეყენებინა, რომელიც მარტო წარმოდგენითაც კი ანუგეშებდა დაავადებულ გულს. გაჯავრებული შევიდა სამიკიტნოში, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა, მარცხენა ხელი ხმლის ტარზე ედო, მარჯვენა ხელით მათრახს იქნევდა.

– ჰა, მიცანით თუ ვერა? – მიმართა სამიკიტნოს პატრონს, რომელიც წინ მიეგება.

– არა, ბატონო, ჯერ არა მაქვს ეგ ბედნიერება, – უპასუხა მასპინძელმა, რომელიც გაკვირვებული შესცქეროდა დ არტანიანის დიდებულ ჩაცმულობასა და აღჭურვილობას.

– ჰოო, მაშ, ვერა მცნობთ?

– ვერა, ბატონო.

– ჰოო, აი, ორი სიტყვით აღვადგენ თქვენს მკვდარ მეხსიერებას: რა უყავით იმ დიდებულს, რომელსაც, დაახლოებით, ამ ორი კვირის წინათ, იმდენად გათავხედდით, რომ ყალბი ფულის გავრცელება დასწამეთ?

მასპინძელს ფერი ეცვალა, რადგან მრისხანედ შეჰყურებდა დ არტანიანი, არანაკლები მუქარით დააშტერდა პლანშეც, რომელიც ყველაფრით თავის ბატონს ჰბაძავდა.– აჰ, ბატონო, ნუღარ მომაგონებთ!.. – შეჰყვირა მასპინძელმა ტირილით, – რომ იცოდეთ, რა ძვირად დამიჯდა მე ის შეცდომა!

– რომ იცოდეთ, რა უბედურება დამატყდა თავს!

– სად არის ჩემი მეგობარი? არ გეყურებათ, რას გეკითხებით?

– კეთილი ინებეთ და მოისმინეთ, ბატონო! შემიბრალეთ მე უბედური, დაბრძანდით.

დ არტანიანს ბრაზი ერეოდა, თან შიშობდა, ვაითუ ცოცხალი ვედარ ენახა, და მსაჯულისებური მუქარით სავარძელში დაეშვა, პლანშეც ამაყად მიეყრდნო ბატონის სავარძელს.

– აი, როგორ იყო საქმე, – დაიწყო მასპინძელმა და თან მთელი ტანით კანკალებდა, – უკაცრავად, ახლა კი გიცანით, ბატონო. თქვენ ის ბრძანდებით, მახსოვს, სწორედ იმ დროს წახვედით, როდესაც მე, საუბედუროდ, ცილი დავწამე თქვენს მეგობარს.

– ჰო, ხედავთ, რომ მე ვარ, ამიტომ, თუ სრულ სიმართლეს არ მეტყვით, შებრალების იმედი ნუ გექნებათ.

– დიახ, ბატონო, მომისმინეთ და სრულ სიმართლეს მოგახსენებთ.

– აბა, გისმენთ!

– მთავრობის მოხელეებმა მაცნობეს, რომ ჩემს სამიკიტნოში ცნობილი ყალბი ფულის მჭრელი უნდა მოსულიყო თავისი ამხანაგებით, რომ ყველანი რაზმელების ან მუშკეტერების სამოსით იქნებოდნენ გამოწყობილნი. დაწვრილებით ამიწერეს თქვენი ცხენები და თქვენი გარეგნობა.

– მერე? მერე? – ააჩქარა დ არტანიანმა, რომელიც მაშინვე მიხვდა, ვისგანაც უნდა ყოფილიყო გამოგზავნილი ასეთი ზედმიწევნითი დახასიათება.

– მეც, თანახმად მთავრობის ბრძანებისა, რომელმაც ექვსი კაცი გამომიგზავნა დასახმარებლად, ყველაფერი მოვამზადე, რომ ხელიდან არ წამსვლოდა ის ყალბი ფულის მჭრელი.

– კიდევ წამოროშე? – შეუტია დ არტანიანმა. მის ყურს საშინლად ხვდებოდა სიტყვები – ყალბი ფულის მჭრელი.

– მაპატიეთ, ბატონო, რომ ასეთ სიტყვებს ვხმარობ, მაგრამ როგორ არა ვთქვა, როდესაც სწორედ ეგ არის ჩემი გამამართლებელი საბუთი?! მთავრობამ მიბრძანა, მთავრობამ შემაშინა და თქვენც კარგად იცით, რომ ჩემისთანა ხალხი მთავრობას უნდა ემსახურებოდეს.

– კიდევ ერთხელ გიმეორებთ. სად არის ჩემი მეგობარი? რა დაემართა? ცოცხალია თუ მკვდარი?

– მოითმინეთ, ბატონო, ყველაფერს მოგახსენებთ. მოხდა ის, რაც თქვენთვის უკვე ცნობილია, გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ, რომ აჩქარებულმა წასვლამ, – დაუმატა გადაკვრით სამიკიტნოს პატრონმა, – გაგვიძლიერა ეჭვები. ის კეთილშობილი თქვენი მეგობარი ლომივით იბრძოდა, მისმა მსახურმა კი, საუბედუროდ, მოულოდნელად ჩხუბი აუტეხა მთავრობის მოხელეებს, რომლებიც თავლის მომვლელ ბიჭებად იყვნენ გადაცმულები.

– აჰ, გაიძვერავ! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – მაშ, თქვენც მათ ეხმარებოდით? არ ვიცი, ღმერთმანი, რატომ არ გეცემით და სულს არ გაგაფრთხობინებთ!

– არა, ბატონო, ჩვენ მათ არ ვეხმარებოდით, ამასაც ახლავე მოგახსენებთ, ცოტა მომითმინეთ. ბატონმა თქვენმა მეგობარმა, – ბოდიშს ვიხდი, რომ არ ვასახელებ მის სახელსა და გვარს, თუმცა ვგრძნობ, დიდებული შთამომავლობისა უნდა იყოს, მაგრამ რა ვქნა, გვარი არ ვიცი, – ორჯერ გაისროლა დამბაჩა და უცბად თავიდან ორი კაცი მოიშორა. მერე ხმალი იძრო მტრის მოსაგერიებლად, ნელ-ნელა უკან დაიწია, ერთი კაციც კიდევ დაასახიჩრა, მე კი ისე დამკრა ხმლის ყუა, რომ დამარეტიანა.

– გაათავებ თუ არა, შე ჯალათო, შენა? – შეჰყვირა დ არტანიანმა. – სად არის ათოსი?

– როგორც მოგახსენეთ, ნელ-ნელა უკან-უკან იწევდა. ზურგით სარდაფში ჩასავალ კარს მიადგა და რაკი ღია დახვდა, გასაღები გამოაძრო, შევიდა, კარი

მოიკეტა და ბარიკადებით გაამაგრა. ჩვენც დარწმუნებულნი ვიყავით, რომ იქიდან ვეღარსად წაგვივიდოდა და თავი მივანებეთ.

– დიახ, – თქვა დ არტანიანმა, – კაცის მოკვლა კი არა, დაპატიმრება გინდოდათ!

– ღმერთო ძლიერო! მისი დაპატიმრება? გეფიცებით, ბატონო, თვითონვე დაიპატიმრა თავი, ძალიან მარჯვედ მოიქცა თავიდანვე, ერთი კაცი იქვე მოკლა, ხოლო ორი მძიმედ დაჭრა. მკვდარი და ის ორი დაჭრილი მათმა ამხანაგებმა მოგვაშორეს თავიდან და მას შემდეგ დღევანდლამდე არა გამიგონია რა არც მკვდრისა და არც დაჭრილებისა. მე რომ მოვსულიერდი, ავდექი და გუბერ-ნატორთან მივედი. დაწვრილებით მოვახსენე, რაც მოხდა და ვკითხე, რას მიბრძანებთ, რა ვუყო ჩემს პატიმარს-მეთქი? ისე გაუკვირდა გუბერნატორს ეს ამბავი, თითქოს ციდან ჩამოვარდნილიყოს და მითხრა, რომ მან ამის შესახებ არა იცოდა რა, პირველი გაგონება იყო მისთვის ჩემი ნაამბობი, რომ მისგან არ გამომდინარეობდა ის ბრძანებანი, რომლებიც მე მომიტანეს მთავრობის მოხელეებმა. გუბერნატორი, პირიქით, დამემუქრა კიდეც: თუ ღმერთი გაგიწყრა და სიტყვა წამოგცდა ვინმესთან, რომ მეც ვერიე მაგ საზიზღარ ბოროტმოქმედებაში, მაშინვე ჩამოგახრჩობო. ისე გამოვიდა, ბატონო, რომ შეცდომა მე დავუშვი, მე დავიჭირე კაცი სხვის მაგივრად და ის კი, ვინც მართლა დასაჭერი იყო, გადაგვირჩა.

– ათოსი სადღა არის? – შეუტია დ არტანიანმა, რომლის მოუთმენლობას ახლა ბრაზიც დაემატა მთავრობისადმი, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ ბოროტმოქმედებას, – ათოსს რაღა დაემართა?

– ძალიან ვცდილობდი, ბატონო, რაც შეიძლებოდა საჩქაროდ გამომესწორებინა ჩემი შეცდომა, – განაგრძო მასპინძელმა, – და სარდაფისკენ წავედი მის გამოსაყვანად, მინდოდა თავისუფლად გამეშვა, მაგრამ, ოჰ, ბატონო! სარდაფში ადამიანი კი არა, ხორცშესხმული ქაჯი აღმოჩნდა. თავისუფალი ბრძანდები-მეთქი, რომ ვუთხარი, – მახეს მიგებთო, შემომიტია და ბრძანა: სარდაფიდან მარტო მაშინ ამოვალ, თუ ჩემს პირობებს მიიღებთ და ამისრუ-ლებთო. მეც ძალიან თავმდაბლად მოვახსენე, რომ კარგად ვხედავდი, რა საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი, შეურაცხყოფა მივაყენე მისი ყოვლადუდიდებულესობის მუშკეტერს და მზად ვიყავი, ამესრულებინა მისი ყოველი ბრძანება. „უპირველეს ყოვლისა, მე მინდა, რომ ჩემთან მყავდეს სრულიად შეიარაღებული ჩემი მსახური“, – მიბრძანა თქვენმა მეგობარმა. მაშინვე დავფაცურდით, გადაწყვეტილი გვქონდა, დაგვეკმაყოფილებინა თქვენი მეგობრის ყოველი სურვილი. ბატონი გრიმო (მან კი გვითხრა თავისი გვარი, თუმცა ერთობ მუნჯივით არის გაჩუმებული) ჩავგზავნეთ სარდაფში, მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილი გახლდათ. რაკი თავისი მსახურიც გვერდით იგულა ბატონმა, ისევ გაამაგრა კარი, ახალი ბარიკადი ააგო და გვიბრძანა: მანდ იყავით, სამიკიტნოშიო!

– მეტყვით თუ არა, სად არის ათოსი? – შეჰყვირა დ არტანიანმა, – გეყურებათ, სად არის ათოსი?

– სარდაფში, ბატონო.

– როგორ, არამზადავ, სარდაფში გყავთ ამდენ ხანს?

– ღმერთმა დაგვიფაროს! ჩვენ რად გვეყოლება სარდაფში, ბატონო?

– მაშ, არ იცით, რას აკეთებს იმ სარდაფში?

– ოჰ, ნეტავი კი ამოიყვანდეთ როგორმე და გეფიცებით, სიკვდილამდის არ დამავიწყდება თქვენი სიკეთე. თქვენი თაყვანისმცემელი ვიქნები, როგორც ჩემი მფარველისა.

– მაშ, სარდაფშია? რომ ჩავიდე, იქ დამხვდება?

– უეჭველად, ბატონო, გაჯიუტებულია კაცი, გაიძახის: „აქა ვარ და აქა ვრჩებიო!“ ყოველ დილით ვაწვდით პურს სარკმლიდან ორთითით, ხანდახან ხორცსაც, როცა გვიბრძანებს. მაგრამ მარტო პური და ხორცი არ შეადგენს ჩვენს უბედურებას, უსაზღვრო უბედურებას, ბატონო. განა რას შეჭამს იმდენს, რომ ვერ გავუძლოთ? ერთხელ ვცადე, ორი ბიჭი ჩავიყვანე სარდაფში, მაგრამ ისე გაბრაზდა, ისე გაგვიშმაგდა, რომ ხელი სტაცა დამბაჩებს და გატენა დაუწყო. თავის მსახურს კი თოფი გაატენინა. ჩვენ მაინც ვკითხეთ, გვინდოდა გაგვეგო, რას აპირებდა, რა იყო მისი განზრახვა. ამაზე ბატონმა გვიპასუხა, რომ მასა და მის მსახურს ორმოცი სროლა ჰქონდათ მომარაგებული და სულ ერთიანად დაგვახლიდნენ, უკანასკნელამდე, იმასაც კი არ მოითმენდნენ, რომ ვინმე ჩვენგანს ფეხი ჩაედგა სარდაფში. რას გავაწყობდი? ისევ გუბერნატორთან გეახელით საჩივლელად, რომელმაც მიბრძანა: იმას მკი, რაც დაგითესავს. ამით მაინც ისწავლი ჭკუას და ამიერიდან შეურაცხყოფას აღარ მიაყენებ იმ დიდებულ ბატონებს, რომლებიც თქვენს სამიკიტნოში ჩამოხდებიანო.

– ისე რომ, მას შემდეგ... – დაიწყო დ არტანიანმა და სიცილი ვეღარ შეიკავა, სამიკიტნოს პატრონის საცოდავ სახეს რომ შეავლო თვალი.

– მას შემდეგ წამებად გადაიქცა ჩვენი ცხოვრება. უნდა მოგახსენოთ, რომ მთელი მარაგი იმ სარდაფშია შენახული. იქ გახლავთ ჩვენი ღვინო ბოთლებით და კასრებით; იქვეა ლუდი, ზეთი, სანელებელი, ლორი და ძეხვი. იქ ჩასვლა და სურსათის ამოტანა არ შეგვიძლია, ამის გამო უარს ვეუბნებით დამშეულ მუშტარს. დღითიდღე უკან მიდის ჩემი ვაჭრობა! ერთი კვირა რომ კიდევ სარდაფში დარჩეს თქვენი მეგობარი, სულ მთლად გაღატაკდება ჩემი ოჯახი.

– ახიც იქნება თქვენზე! არა, თვალები სად გქონდათ? განა ვერ ხედავდით, რომ პატიოსანი ხალხი გეწვიათ და არა ყალბი ფულის მჭრელები?

– მართალსა ბრძანებთ, ბატონო, მართალსა ბრძანებთ, – დაეთანხმა მასპინძელი, – მაგრამ, გესმით? ისევ გაბრაზდა თქვენი მეგობარი!

– გააჯავრებდნენ და გაბრაზდებოდა, მაშ, რას იზამდა? – უპასუხა დ არტანიანმა.

– უნდა გავაჯავროთ, ბატონო, მაშ, რა ვქნათ? – შეჰყვირა მასპინძელმა, – ორი დიდებული ინგლისელი გვეწვია...

– მერე რა?

– მერე ის, ჩემო ბატონო, რომ, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, ინგლისელებს კარგი ღვინო უყვართ, და მათაც სასმელად საუკეთესო მოითხოვეს. ჩემი მეუღლე თქვენს მეგობართან მივიდა, ბევრი ევედრა ბატონ ათოსს, რომ ნება მიეცა, ჩასულიყო და ღვინო ამოეტანა ინგლისელებისათვის, მაგრამ მან, როგორც ყოველთვის, თავისებურად უარი სტკიცა. ოჰ, ღმერთო ძლიერო! ნეტავი რა შეგცოდეთ ისეთი, რომ ამ არეულობით დაგვსაჯე?

მართლაც, სარდაფის მხრიდან დ არტანიანს საშინელი ხმაური შემოესმა. წამოდგა, წინ გაიძღოლა მასპინძელი, რომელიც ხელების მტვრევით მისდევდა, უკან პლანშე გაჰყვა შემართული თოფით. სარდაფის კართან მივიდნენ.

სასოწარკვეთილები იყვნენ ინგლისელები, მეტად დიდი გზა გამოევლოთ, შიმშილითა და წყურვილით იხოცებოდნენ.

– ნამდვილი მტარვალი ყოფილა, ვიღაცაა, – თქვეს ინგლისელებმა მშვენიერი ფრანგულით, თუმცა ოდნავ უცხოური კილოთი. – გიჟი ხომ არ არის, რატომ არ აძლევს საშუალებას ამ საწყლებს, თავისუფლად გამოიყენონ თავიანთი სარდაფი და ღვინო? თუ ასეა, კარს შევამტვრევთ, და თუ მართლა ცოფიანია, ცოცხალი არ გადაგვირჩება.

– ნურც ასე სასტიკად დაემუქრებით, ბატონებო, – შესძახა დ არტანიანმა და ქამრიდან დამბაჩა ამოიღო, – არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი მოსაკლავი აქ არავინ არის.

– ძალიან კარგი, ძალიან კარგი, – ისმოდა სარდაფის კარის იქიდან ათოსის მშვიდი ხმა, – გაუშვით, შემოამტვრიონ კარი, შემოვიდნენ ეგ ბაქიები და აქ ვაჩვენებ სეირს.

გულად კაცებს ჰგავდნენ ინგლისელები, მაგრამ მაინც ყოყმანით შესცქეროდნენ ერთმანეთს, ისე იდგნენ, რომ იტყოდით, ამ სარდაფში ჩასაფრებულია დამშეული კაციჭამია ბუმბერაზი, ხალხური ზღაპრების უძლეველი დევგმირი, რომლის ბუნაგის შემლახველი ცოცხალი ვერ გადარჩებაო.

მცირე ხნით მიდუმდა ყველაფერი. მაგრამ ბოლოს უკან დახევისა შერცხვათ ინგლისელებს. ერთმა, უფრო გამბედავმა, სარდაფის კიბის ხუთი-ექვსი საფეხური ჩაიარა, კართან მივიდა და ისე ჰკრა ფეხი, რომ სხვაგან ასეთი ძალით კედელსაც შეანგრევდა.

– პლანშე! – დაუძახა დ არტანიანმა და ფეხზე შეაყენა თავისი დამბაჩა, – აქ, ზემოთ მდგომს მე მოვუვლი, შენთვის ჩამიბარებია მეორე, ქვემოთ მყოფი. მაშ, ბრძოლა გწადიათ, ბატონო? იყოს ნება თქვენი!

– ღმერთო ჩემო! – შეჰყვირა ათოსმა განცვიფრებით, – დ არტანიანის ხმა მესმის თუ მელანდება?

– ჩემი ხმა გესმით, მეც აქა ვარ, მეგობარო! – დაუძახა დ არტანიანმა ხმამაღლა.

– აჰ, მაშ, ძალიან კარგი! – გამოსძახა ათოსმა, – კარგად გავუმასპინძლდებით მაგ მოძალადეებს.

ინგლისელებმა ხმლები ამოიღეს, მაგრამ კარგად ხედავდნენ, რომ ორცეცხლშუა ჩაცვივნულიყვნენ. ერთ წამს ისევე გაუბედავად იდგნენ, მაგრამ ახლაც, როგორც პირველად, თავმოყვარეობამ სძლია განსჯას. ერთხელ კიდევ მოხვდა კარს ფეხი და თავით ბოლომდე შეაზანზარა.

– განზე გადექ, დ არტანიან, განზე! – გამოსძახა ათოსმა, – სროლას ვაპირებ.

– ბატონებო, – მიმართა დ არტანიანმა, რომელსაც არასდროს ღალატობდა საზრიანობა, – რას შვრებით, ბატონებო? მოითმინეთ, ათოს! ავ საქმეს იწყებთ, დამიჯერეთ, და ძალიანაც დაისჯებით: აი, მე და ჩემი მსახური ხომ სამჯერ დაგახლით თოფს და დამბაჩას, სამი ტყვია კიდევ სარდაფიდან გეცემათ, ამის შემდეგ ჩვენ ხმლები გვრჩება და, მერწმუნეთ, სამაგალითოდ ვიცით ხმლის ხმარება მეცა და ჩემმა მეგობარმაც. მოდით, მე მომანდეთ თქვენი და ჩვენი საქმეც. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ცოტა ხნის შემდეგ ღვინოს მოგართმევენ.

– თუ დარჩა სადმე, – გაისმა დაცინვით ათოსის ხმა.

ჭირის ოფლმა დაასხა მასპინძელს.

– როგორ თუ დარჩა სადმე? – ბუტბუტებდა იგი.

– ეჰ, კარგით ერთი! დარჩებოდა, მაშ რა? – მიმართა დ არტანიანმა, – არხეინად იყავით, მთელ სარდაფს ხომ ვერ გადასანსლავდა ორი კაცი? ბატონებო, ჩააგეთ ხმლები.

– ჯერ თქვენ შეინახეთ ეგ თქვენი დამბაჩა.

– სიამოვნებით, – დ არტანიანმა მაგალითი მისცა, შემდეგ პლანშეს მიუბრუნდა და ანიშნა, მხარზე გაედო თავისი თოფი.

ინგლისელებმაც ბუზღუნით ჩააგეს ქარქაშში ხმლები. დ არტანიანმა ინგლისელებს უამბო ათოსის დაპატიმრების ამბავი. პატიოსანი გვარიშვილები იყვნენ უცხოელები და მათაც სამიკიტნოს პატრონი გაამტყუნეს.

– ახლა, ბატონებო, თქვენთან აბრძანდით, თუ შეიძლება, – სთხოვა დ არტანიანმა, – ათი წუთის შემდეგ, მე გახლავართ ამის თავდები, ღვინოსაც მოგართმევენ, საჭმელსაც და ყველაფერს, რასაც კი მოითხოვთ.

ინგლისელებმა თავი დაუკრეს და თავიანთ ოთახში ავიდნენ.

– ახლა კი მარტო ვარ, ჩემო ათოს, – უთხრა დ არტანიანმა, – გამიღეთ კარი, ძალიან გთხოვთ.

–ახლავე, ახლავე, – გამოსძახა ათოსმა.

ფიჩხის შრიალისა და ბოძების გადაგორების ხმა გაისმა, ამით გაემაგრებინა ათოსს თავისი ციხესიმაგრე და ახლა თვითონვე ანგრევდა მას.

ცოტა ხნის შემდეგ კარი გააღეს და გამოჩნდა ფერმიხდილი ათოსი, რომელმაც თვალი გადაავლო იქაურობას.

დ არტანიანი მივარდა, ყელზე მოეხვია და ნაზად აკოცა. ხელი მოხვია, უნდოდა გამოეყვანა ამ ნესტიანი ბუნაგიდან, მაგრამ შეამჩნია, რომ მისი მეგობარი ბარბაცებდა.

– დაჭრილი ხომ არა ხართ? – ჰკითხა შეშინებულმა დ არტანიანმა.

– მე? საიდან სადაო? მთვრალი ვარ, უგრძნობლად მთვრალი, მორჩა და გათავდა. თავის დღეში არავის უსარგებლია გარემოებით ისე კარგად, როგორც მე! მადლობა ღმერთს, ჩემო მასპინძელო! თუ სიმართლე გნებავთ, მე მგონი, ჩემს წილად ერთი ას ორმოცდაათი ბოთლი მაინც გამოვცალე.

– ვაი, ღმერთო მიშველე! – შეჰყვირა სამიკიტნოს პატრონმა, – იმის ნახევარი რომ მსახურს დაელია, რაც ბატონს დაულევია, დაღუპულია ჩემი საქმე!

– გრიმო პატიოსანი ოჯახის მსახურად ნამყოფი კაცია და ნებას არ მისცემს თავის თავს, იმდენი დალიოს, რამდენსაც მე ვსვამ. ის თუ სვამდა, მარტო კასრის ღვინოს სვამდა. მგონი, დაავიწყდა საცობის გამაგრება, ყური დაუგდეთ, გასდის!

დ არტანიანს ისეთი სიცილი წასკდა, რომ საწყალ მასპინძელს ჭირის ოფლის მაგივრად სიცხე აუვარდა თავში.

ამ დროს გრიმოც გამოჩნდა, თავისი ბატონის უკან, მხარზე გადებული თოფით, ისიც ბარბაცით მოდიოდა, როგორც რუბენსის ნახატზე არიან გამოსახული მთვრალი სატირები. ტანისამოსი წინაც და უკანაც რაღაც ცხიმიანი ხსნარით უხვად ჰქონდა გაპოხილი. სამიკიტნოს პატრონმა თავში იკრა ხელი:

– ვაიმე, ვაიმე, ჩემი ზეითუნის ზეთი!

გაიარეს დიდი დაბრბაზი და ერთ პატარა საუკეთესო ოთახში დასხდნენ, რომელიც ძალით დაისაკუთრა დ არტანიანმა.

ამასობაში სამიკიტნოს პატრონი და მისი ცოლი საჩქაროდ ჩაცვივდნენ სარდაფში, სადაც ამდენი ხნის განმავლობაში აკრძალული ჰქონდათ შესვლა, სანთელი აანთეს და ვაი თქვენს მტერს, რაც იქ ნახეს.

სარდაფის პატიმრების მიერ ფიჩხით, ფიცრებითა და ცარიელი კასრებით აგებული ბარიკადები. იმას იქით კი... აქა-იქ ზეთისა და ღვინის მორევი იდგა, რომელშიც გამოხრული ღორის ძვლები ეყარა. სარდაფის მარცხენა კუნჭული სავსე იყო დამტვრეული ბოთლებით, ერთ კასრს ღია დარჩენოდა ონკანი და უკანასკნელი წვეთები ნელ-ნელა ჟონავდა. სიცარიელე და სიკვდილი სუფევდა აქ. ძველი დროის პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, ისე იყო აფორიაქებული იქაურობა, თითქოს მართლა ბრძოლის ველად გარდაქმნილიყოს მთელი სარდაფი. ორმოცდაათი ძეხვიდან კედელზე ათიღა დარჩენილიყო.

ისეთი ღმუილი შექმნეს ცოლმა და ქმარმა, რომ ჭერი აიხადა, მეორე სართულამდე მიაღწია და შიგ გულში მოხვდა დ არტანიანს. ათოსმა ყურიც არ შეიბერტყა.

მაგრამ მწუხარებას გაშმაგება მოჰყვა, თავიც კი დაავიწყდა მასპინძელს, დიდი შამფურით შეიარაღდა, სასოწარკვეთილი შევარდა იმ ოთახში, სადაც მარტოდმარტო იყვნენ ჩვენი მეგობრები.

– ღვინო! – დაუძახა ათოსმა, როგორც კი დაიანახა თავისი მასპინძელი.

– ღვინო?! – შეჰყვირა დარეტიანებულმა სამიკიტნოს პატრონმა. – ღვინო?! რით ვერ გაძეხით ასი პისტოლის ღირებული მაინც დაგილევიათ! რაზე დამღუპეთ კაცი? რაზე დამაქციეთ?

– ეჰ, კარგით ერთი! რიგიანად წყურვილიც კი არ მოგვიკლავს, – უპასუხა ათოსმა.

– ღვინოსა სვამდით, არ გეყოფოდათ? ბოთლებს რაღად მიმტვრევდით? ბოთლებმა რა დაგიშავეს?

– თქვენგან შეწუხებული, ბოთლების გროვაზე ავძვერი, დაიშალა და დაიმტვრა, თქვენი ბრალია.

– სულ დაგიღვრიათ იმდენი ზეითუნის ზეთი!

– ზეთი უებარი მალამოა ყოველგვარი ჭრილობისათვის და საწყალ გრიმოს ვადებდი. თქვენ დასჭერით კაცი და თქვენი ზეთით განიკურნა.

– იმდენი ძეხვი შეგიჭამიათ!

– ვირთაგვებით არის სავსე თქვენი სარდაფი!

– უნდა გადამიხადოთ, რაც მაზარალეთ! – შეჰყვირა მოთმინებიდან გამოსულმა მასპინძელმა.

– ამ სულელს ხედავთ? – წამოიძახა ათოსმა და წამოვარდა, მაგრამ მაშინვე სკამზე დაეშვა, ისიც კმაროდა, რომ თავისი ძალა დაანახვა. დ არტანიანმა მათრახი აიღო. სამიკიტნოს პატრონმა უკან დაიწია და ცრემლი წასკდა.

– არა გიშავთ რა, ჭკუას ისწავლით, – უთხრა დ არტანიანმა, – ახლა კი გეცოდინებათ, როგორ უნდა დახვდეთ ღვთის მიერ თქვენთან გამოგზავნილ სტუმრებს.

– ღვთის მიერ თუ ეშმაკის მიერ?

– იცით, რას გეტყვით, მეგობარო? თუ კიდევ ასე გაგვიწყალეთ გული, ოთხივენი თქვენს სარდაფში ჩავალთ, კარს მოვკეტავთ და ვნახავთ, თუ მართლა ისე დიდია თქვენი ზარალი, როგორც თქვენ გაიძახით.

– ეჰ, რა ვქნა, ბატონო, – მოლბა მასპინძელი, – შევცდი, დავაშავე, ვაღიარებ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ყოველ ცოდვას შეწყალებაო. თქვენ ბატონები ბრძანდებით, მე ერთი საწყალი კაცი ვარ და შემიწყალებთ, ბატონო, ყელს არ გამომჭრით.

– რაკი ასე ლაპარაკობ, – უპასუხა ათოსმა, – გულს მომილბობ და თვალთაგან ცრემლს დამადენ, როგორც ღვინო დავადინეთ შენს კასრებს. არც ისეთი სასტიკები ვართ, როგორც გეჩვენებით, ვნახოთ, მოდი, მოვილაპარაკოთ.

მიუახლოვდა მასპინძელი, მაგრამ ეტყობოდა, მაინც ეშინოდა.

– მოდი, კაცო! ნუ გეშინია! – ამშვიდებდა ათოსი, – დანახარჯის გადასახდელად რომ ჩამოვედი შენთან, მაგიდაზე დავდე ჩემი ქისა...

– დიახ, ბატონო.

– ქისაში სამოცი პისტოლი მქონდა. სად არის ჩემი ქისა?

– სასამართლოს სამდივნოში, ბატონო, როგორც ყალბი ფული, თან წაიღეს.

– მაშ, მოდი, გამომიტანე ჩემი ფული და აინაზღაურე შენი ზარალი.

– არა, ბატონო, თქვენც კარგად იცით, სასამართლო არავის მისცემს, რასაც კი ხელთ იგდებს. მართლა რომ ყალბი ყოფილიყო, იქნება კიდეც გამოგვეტანა როგორმე, მაგრამ ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ სულ ნამდვილი ფულია.

– ეგ შენი და ეგ შენი სასამართლო, ჩემო კეთილო! ისე მოურიგდი, როგორც გიჯობდეს, მით უფრო, რომ ჯიბეში დღეს ერთი ლივრის მეტი აღარ დამრჩენია რა.

– ერთი მითხარით, სად არის ათოსის ცხენი? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– თავლაში.

– რა ეღირება?

– ბევრი-ბევრი, ორმოცდაათი პისტოლი.

– ოთხმოციც ცოტა იქნება! შენი იყოს ეს ცხენი და ამით გავათაოთ ჩვენი ანგარიში.

– რაო? ჩემს ცხენს ყიდი? – შეჰყვირა ათოსმა, – ჩემს ბაიაზეთსა ყიდი? მერე მე რიღათი წავიდე? გრიმოზე შევჯდე?

– მეორე ცხენი მოგიყვანე, – უთხრა დ არტანიანმა.

– მეორე ცხენი?

– მართლაც საუცხოოა! – წამოიძახა სამიკიტნოს პატრონმა.

– ჰოო? მაშ, თუ მეორე ცხენი მყავს, უფრო ლამაზი და უფრო ნორჩი, შენი იყოს ჩემი ბებერი რაში. აბა, ღვინო!

– რომელი მოგართვათ? – ჰკითხა სრულიად დამშვიდებულმა მასპინძელმა.

– სულ უკან რომ გილაგიათ, კიდევ უნდა იყოს ოცდახუთი ბოთლი, სხვა რაც იყო, სულ დაიმსხვრა, ექვსი ბოთლი ამოგვიტანეთ.

– უძირო ქვევრი ყოფილა ეს დალოცვილი! – წაიჩურჩულა მასპინძელმა, – ერთი-ორი კვირა რომ დარჩეს ჩემთან და კარგად გადამიხადოს, რასაც დალევს, მთლიანად გამოვასწორებ ჩემს საქმეს.

– არ დაგავიწყდეთ, ოთხი ბოთლი იმავე ღვინისა ინგლისელებს მიართვით, – დაუმატა დ არტანიანმა.

– ახლა კი, მანამ იმ ღვინოს ამოგვიტანდნენ, მიამბე, ჩემო დ არტანიან, როგორ არიან ჩვენი მეგობრები. აბა, დავიწყოთ, – სთხოვა ათოსმა.

დ არტანიანმა უამბო, როგორ ნახა პორთოსი, ნაღრძობი ფეხით ლოგინად ჩავარდნილი, როგორ მიიღო ორ ღვთისმეტყველ მეცნიერთან ერთად პაექრობაში გართულმა არამისმა. ის იყო დაამთავრა თავისი მეგობრების ამბავი, რომ მასპინძელმა ღვინო და ლორი მიართვა, რომელიც სარდაფში არ ჩაეტანა შესანახად.

– ძალიან კარგი, – თქვა ათოსმა, მისი და დ არტანიანის სასმისი ღვინით გაავსო, – უკვე მოვისმინეთ პორთოსისა და არამისის ამბავი, ჩემო დ არტანიან, მაგრამ თქვენსას კი არას მეუბნებით? როგორა ხართ?! ხომ არაფერი მოგსვლიათ პირადად თქვენ საწყენი? ვერა ხართ გუნებაზე.

– ეჰ, – ამოიკვნესა დ არტანიანმა, – რა ვქნა, ჩემს მეგობრებში ყველაზე უბედური მე ვარ.

– შენ ხარ უბედური? – გაიკვირვა ათოსმა, – როგორ, რითა ხარ უბედური? გამაგებინე, დ არტანიან.

– მერე, მერე, – უპასუხა დ არტანიანმა.

– რატომ ახლა არა? მთვრალი გგონივარ? კარგად დაიხსომე ჩემი სიტყვა, დ არტანიან: ნათელი გონება მე მარტო მაშინა მაქვს, როდესაც ნასვამი ვარ. გამაგებინე შენი უბედურება, შენი გულის ტკივილი.

დ არტანიანმა უამბო თავისი სიყვარულისა და ქალბატონ ბონასიეს მოტაცების ამბავი.

ათოსმა წარბშეუხრელად მოისმინა მეგობრის ნაამბობი და ბოლოს უთხრა:

– სისულელეა! ეგ ყველაფერი სისულელეა!

ათოსი ხშირად ამბობდა ხოლმე ამ სიტყვას.

– სულ „სისულელეაო“, გაიძახით, ჩემო ათოს, – უთხრა დ არტანიანმა, – ეს იმიტომ, რომ თქვენ არასოდეს არ გყვარებიათ!

ათოსს ცეცხლი მოედო უცებ, მაგრამ ეს იყო წამიერი ელვა. მალე თვალები წინანდებურად ბუნდოვანი გაუხდა.

– მართალი ხართ, – თქვა მშვიდად ათოსმა, – არასოდეს მყვარებია.

– ჰოდა, ხომ თვითონვე ხედავთ, გულქვავ, რომ არავითარი საფუძველი არ გაქვთ, ასე გულცივად გვისმენდეთ ჩვენ, გულმგრძნობიარე ხალხს!

– მგრძნობიარე გული გაბზარული გულია, – თქვა ათოსმა.

– ამით რა გინდათ თქვათ, ათოს?

– მე იმას ვამბობ, რომ სიყვარული ლატარიაა და ვინც მოიგებს ამ ლატარიაში, სიკვდილს მოიგებს! მერწმუნეთ, ჩემო დ არტანიან, ბედნიერი კაცი

ხართ, რომ არ მოგიგიათ და, თუ მიიღებთ ჩემგან ერთ რჩევას, ეცადეთ, ყოველთვის წაგებული დარჩეთ.

– ვატყობდი, რომ ძალიან ვუყვარდი.

– ასე გეჩვენებოდათ!

– არა, ნამდვილად ვუყვარდი!..

– რა ბავშვი ხართ! კაცს ვერ იპოვით, რომ ასე თქვენსავით არ სწამდეს, მართლა ვუყვარვარ ჩემს სატრფოსო. მაგრამ კაცს ვერ იპოვით, რომ მოტყუებული არ იყოს თავისი სატრფოსაგან.

– თქვენ გარდა, ათოს, რადგან თქვენ არასოდეს გყვარებიათ.

– მართალია, – თქვა ათოსმა მცირე დუმილის შემდეგ, – არასოდეს მყვარებია, არასოდეს. დავლიოთ!

– ძალიან კარგი, ჩემო ფილოსოფოსო, – უთხრა დ არტანიანმა, – მაგრამ დამეხმარეთ მაინც, მირჩიეთ რამე, რომ იცოდეთ, როგორ მჭირდება დახმარება და ნუგეში.

– რა ნუგეში?

– უბედური ვარ და მანუგეშეთ.

– სიცილს იწვევს ეგ თქვენი უბედურება, – უთხრა ათოსმა და მხრები აიჩეჩა. – რომ იცოდეთ, როგორ მინდა ვნახო, რა შთაბეჭდილებას მოახდენს თქვენზე ერთი სიყვარულის ამბავი.

– რაც თქვენ გადაგხდათ?

– ან ერთ ჩემს მეგობარს, მაგრამ მნიშვნელობა არა აქვს.

– მიამბეთ, ათოს, მიამბეთ.

– მოდით, დავლიოთ, ეს ემჯობინება.

– ეს ღვინო ხომ აქ არის, სვით და მიამბეთ.

– მართალია, ასეც შეიძლება, – დაეთანხმა ათოსი. გადაჰკრა, კიდევ დაისხა, – ორივეს მოვახერხებთ ერთად.

– გისმენთ, – უთხრა დ არტანიანმა.

ათოსი ჩაფიქრდა, აზრებს იკრებდა. დ არტანიანი ხედავდა, რომ მის მეგობარს ნელ-ნელა ფერი მისდიოდა, სვამდა და თრობის იმ წერტილამდე მისულიყო, როდესაც ლოთი წაიქცევა და დაეძინება. ის კი თვალხილული ცხადად ოცნებობდა. რაღაც საშინელება იყო ამ მთვრალის სიფხიზლეში.

– მაშ, ნამდვილად გაინტერესებთ? – ჰკითხა დ არტანიანს.

– გთხოვთ, გეხვეწებით.

– მაშ, იყოს ნება თქვენი... ერთ ჩემს მეგობარს, ხომ კარგად გესმის? მე კი არა, ერთ ჩემს მეგობარს, – შეწყვიტა თავისი სიტყვა ათოსმა და მწარედ გაეცინა, – ჩემი პროვინციის ერთ გრაფს, ესე იგი, ბერელ დიდებულს, ოცდახუთი წლის ყმაწვილ კაცს, გაგიჟებით შეუყვარდა თექვსმეტი წლის ქალი, ისეთი ლამაზი და ტურფა, როგორც თვითონ სიყვარულია. გრაფი მოხიბლული იყო მისი სილამაზითა და პოეტური აზროვნებით. ეს ტურფა ასული პატარა დაბაში ცხოვრობდა თავის ძმასთან, რომელიც მღვდელი იყო. შორიდან მოსულიყვნენ ორივენი, არავინ იცოდა მათი ვინაობა, მაგრამ ისეთი მშვენიერი იყო ეს ქალი და ისეთი ღვთისმოსავი მისი ძმა, რომ აზრადაც არავის მოსდიოდა ეკითხა, საიდან იყვნენ. ისე კი ხმა დადიოდა, კარგი შთამომავლობისანი არიანო. ჩემს მეგობარს, ადგილობრივ დიდ მებატონეს, შეეძლო შეეცდინა ქალი ან ხელთ ეგდო ძალით, – ის იყო იქაურობის ბატონ-პატრონი. ვინ გაბედავდა მიშველებოდა ორ უცხოელს, ორ უცნობს? საუბედუროდ, პატიოსანი კაცი იყო გრაფი და ცოლად შეირთო. სულელი, ჩერჩეტი, ვირი!

– რატომ, ათოს? აკი თქვით, გაგიჟებით უყვარდაო? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– მოითმინეთ! – მიუგო ათოსმა, – ჯვარი დაიწერა, თავის ციხე-დარბაზში მიიყვანა და მთელი იმ მხარის უპირველეს ქალბატონად აქცია. სიმართლე უნდა ითქვას, ქალმა ღირსეულადაც შეიფერა თავისი მდგომარეობა.

– მერე?

– მერე? მერე, ერთხელ სანადიროდ წავიდა ქალი, ქმართან ერთად, – განაგრძო ათოსმა ჩუმი ხმით და მეტისმეტი სიჩქარით. – ცხენიდან ჩამოვარდა და გული წაუვიდა. გრაფი მაშინვე მივარდა და რადგან ქალს სუნთქვა ეკვროდა, ხანჯლით გადაუხია ზედატანის გულისპირი და უნებურად ტიტველი მხარი გამოუჩინა გულწასულს... აბა, თუ გამოიცნობთ, დ არტანიან, რა ჰქონდა მხარზე?

– როგორ უნდა გამოვიცნო? – გაიკვირვა დ არტანიანმა.

– შროშანის ყვავილი!.. დამღა ჰქონდა ქალს! – წარმოთქვა ათოსმა და შეუსვენებლივ გამოცალა სავსე სასმისი.

– საშინელებაა! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – შეუძლებელია!

– სრული ჭეშმარიტებაა, ჩემო კარგო, თურმე ქაჯი იყო ის ანგელოზი... ქურდი ყოფილა საწყალი ქალი.

– მერე, რა ქნა გრაფმა?

– დიდი მებატონე იყო გრაფი, თავის სამფლობელოში მას ეკუთვნოდა მართლმსაჯულება, როგორც დაბალი, ისე უმაღლესი, სიკვდილით დასჯა დამნაშავისა... ტანისამოსი შემოაფლითა გულშეწუხებულს, ზურგს უკან შეუკრა ხელები და ხეზე ჩამოჰკიდა.

– ოჰ, ზეცავ წმიდაო, რას ამბობთ, ათოს? კაცისკვლა ასე ადვილად?

– დიახ, კაცისკვლა, მეტი ხომ არაფერი? – წარმოთქვა ათოსმა და მომაკვდავის ფერი დაედო, – ერიჰა, როგორც ეტყობა, ღვინო აღარ მოაქვთ.

ხელი სტაცა ბოთლს, უკანასკნელს იმ ექვსიდან. პირთან მიიდო ბოთლის თავი და ისე გამოცალა შეუსვენებლივ, თითქოს ერთი პატარა ჭიქა შეესვას.

მერე ხელები მაგიდაზე დადო და თავი დაუშვა. დ არტანიანი თავზარდაცემული იდგა მის წინ და შეჰყურებდა.

– ამ ამბავმა საბოლოოდ შემაძულა ლამაზი, პოეზიით და ვითომ სიყვარულით აღსავსე ქალები, – თქვა ათოსმა და წელში გაიმართა. ეტყობა, არ აპირებდა გრაფის იგავის დამთავრებას, – თქვენც ამასვე გისურვებთ. შევსვათ!

– ისე რომ, მოკვდა ის უბედური? – წაიბუტბუტა დ არტანიანმა.

– მაშ, რა? ვინ უშველიდა? მომაწოდეთ თქვენი ჭიქა! შენ ეი, მასპინძელო! ლორი, თორემ ღვინოს ვეღარ დავლევთ! – გასძახა სამიკიტნოს პატრონს.

– მისი ძმა? – ჰკითხა მოკრძალებით დ არტანიანმა.

– მისი ძმა? – გაიმეორა ათოსმა.

– დიახ, ის მღვდელი.

– ოჰ, ვეძებე, მინდოდა ისიც ჩამომეხრჩო, მაგრამ დამასწრო და სადღაც გადაიკარგა.

– ის მაინც ვერ გაიგეთ, ვინ იყო ის თავლაფდასხმული?

– პირველი საყვარელი იქნებოდა მისი, ქურდობის ამხანაგი: მოხერხებული კაცი ჩანდა, რომელმაც მღვდლობაც კი იკისრა, რომ ღირსეულად გაეთხოვებინა თავისი ხასა და უზრუნველყოფილად დაეგულებინა მომავალში.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! – წამოიძახა დ არტანიანმა, რომელიც გაშტერებული იყო ამ საშინელებით.

– ეს ლორი მიირთვით, დ არტანიან, საუცხოო რამ არის, – მიმართა ათოსმა, ჩამოათალა ერთი ნაჭერი და დ არტანიანს დაუდო თეფშზე, – რა უბედურებაა, ოთხის მეტი არ იყო სარდაფში ამისთანა კარგი ლორი! ეს ლორი რომ მქონოდა, ერთ ორმოცდაათი ბოთლით მეტს დავლევდი.

ვეღარ შეძლო დ არტანიანმა ამ საუბრის გაძლება, რომელმაც გაგიჟებამდე მიიყვანა, ხელებზე დაემხო და თავი მოიმძინარა.

– ეჰ, გადაეჩვივნენ ღვინის სმას ყმაწვილები, – თქვა ათოსმა მიძინებული მეგობრის დანახვაზე. – აბა, სხვისი რა ვთქვა, როცა ამ საუკეთესო მსმელსაც ძილი ერევა.

XXVIII

დაბრუნება

თავზარდაცემული დარჩა დ არტანიანი იმ საშინელი აღსარებით, რომელიც ათოსმა ანდო. მაგრამ ბევრი რამ მის ნაამბობში ბუნდოვნად ეჩვენებოდა, უპირველეს ყოვლისა, ეს ამბავი უამბო სრულიად მთვრალმა და უამბო არა ფხიზელს, არამედ ნახევრად მთვრალს. მაგრამ დილით დ არტანიანს, მიუხედავად იმისა, რომ ორი-სამი ბოთლი მაგარი ბურგუნდიული ღვინით თავი ჰქონდა გაბრუებული, კარგად ახსოვდა ათოსის ნაამბობი, თითქოს მეგობრის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა უკლებლივ აღბეჭდილიყო მის მეხსიერებაში. ამ ეჭვებმა დ არტანიანს დიდი სურვილი აღუძრა, დანამდვილებით გაეგო თავისი მეგობრის უბედურების ამბავი. საბოლოოდ გადაწყვიტა წუხანდელი ბაასის განახლება და ამ განზრახვით ათოსთან შევიდა. მაგრამ, როგორც ყოველთვის, სრულიად დადინჯებული დახვდა მეგობარი, ესე იგი, უაღრესად გონებანათელი და იდუმალებით მოსილი.

როგორც კი მორჩნენ მეგობრები მისალმებას და ხელის ჩამორთმევას, თვითონ ათოსმა გაიხსენა წუხანდელი საუბარი.

– ძალიან მთვრალი ვიყავი გუშინ, ჩემო დ არტანიან; დღეს ვიგრძენი, რომ ენა გამსიებოდა და მაჯისცემა არ ცხრებოდა. სანაძლეოს დავდებ, რომ, ალბათ, ათასი აბდაუბდა წამოვროშე.

ამის თქმაზე ისე დააცქერდა ათოსი თავის მეგობარს, რომ შეაძრწუნა.

– არა, ბატონო, – უპასუხა დ არტანიანმა, – როგორც მახსოვს, ისეთი არაფერი გითქვამთ.

– აჰ, მაკვირვებთ, დ არტანიან, მე კი მეგონა, რომ ერთი ამბავი გიამბეთ, მეტად სავალალო, – ეუბნებოდა და ისე შესცქეროდა ყმაწვილკაცს, თითქოს ცდილობდა, გულის სიღრმეში ჩასძვრომოდა და იქ ამოეკითხა თავისი სიტყვის პასუხი.

– თუ ასეა, მაშ, მე უფრო მთვრალი ვყოფილვარ, ვიდრე თქვენ, რადგან მე წუხანდელისა აღარა მახსოვს რა, – დაამშვიდა დ არტანიანმა.

ვერ დაამშვიდა ამ სიტყვამ ათოსი და მაინც განაგრძო ძიება:

– თქვენც შეამჩნევდით, ჩემო დ არტანიან, რომ სიმთვრალეში ყველას თავისებური ჩვევა აქვს. ზოგი მხიარულობს, ზოგი მოიწყენს და დაღვრემილია. მე რომ ღვინო მომეკიდება, დავდონდები ხოლმე და რაკი დავითვრები, ამეშლება ჩემი დარდები. მომაგონდება, რაც ჩემს სულელ ძიძას სატირალი და სავალალო ზღაპრები ჩაუბეჭდავს ჩემს გულში, და როშვას დავიწყებ. ეს არის ჩემი ნაკლი, უმთავრესი ჩემი ნაკლი, ვაღიარებ ჩემს უბედურებას, მაგრამ ამას რომ არ ჩავთვლიდეთ, მგონი, ძალიან კარგი მსმელი ვარ.

ისე ბუნებრივად ამბობდა ამას ათოსი, ისეთი შთაგონებით, რომ შეარყია დ არტანიანის რწმენა.

– ოჰ, მაშ, ეგ უნდა იყოს, – უპასუხა ყმაწვილმა კაცმა იმ განზრახვით, რომ როგორმე ჭეშმარიტებისათვის მიეგნო, – მართლაცდა ეგ უნდა იყოს, რაღაც მაგონდება ბუნდოვნად, თითქოს სიზმარი მენახოს და აღარა მახსოვდეს რა. დიახ, რაღაც მაგონდება. ხეზე ჩამოკიდებული ადამიანი...

– აჰ, ახლა ხომ ხედავთ, – წამოიძახა ათოსმა და ფერი ეცვალა, თუმცა ცდილობდა, სიცილით დაემალა თავისი მღელვარება, – დარწმუნებული ვიყავ... ეგ არის ჩემი მაჯლაჯუნა, ხეზე ჩამოკიდებული ადამიანი...

– მართალია, მართალი! – დაიძახა დ არტანიანმა, – დიახ, მაგონდება... რას მიამბობდით? მომითმინეთ... ვიღაც ქალზე იყო ბაასი...

– ხედავთ? – უთხრა მკვდარივით ფერმიხდილმა ათოსმა, – ეგა მაქვს სათხრობად ამოჩემებული, ქერა ქალის ამბავი, და როგორც კი მოვყვები მაგ ამბავს, იცოდეთ, რომ მთვრალი ვარ.

– დიახ, ეგ არის, – უთხრა დ არტანიანმა, – ერთი ქერა ქალის ამბავი, ლამაზისა და ტანადისა, ცისფერთვალებიანისა.

– დიახ, ხეზე ჩამოკიდებული ქალის ამბავი.

– მისი ქმრის მიერ, რომელიც დიდებული მებატონე იყო, თქვენი მეგობარი, – ამბობდა დ არტანიანი და თვალებში შესცქეროდა ათოსს.

– ხედავთ, როგორ ადვილად შეიძლება, თავისდა უნებურად, ადამიანის შერცხვენა, როდესაც ნასვამია კაცი, თვითონაც არ იცის, რას როშავს, – დაიწყო ათოსმა და მხრები აიჩეჩა, თითქოს თავისი თავისადმი სიბრალული აღძროდა, – არა, აღარ დავლევ, დ არტანიან, აღარ დავთვრები, საძაგელი ჩვეულებაა ასე ლოთივით სმა! – დ არტანიანი გაჩუმდა.

მერე უცბად შეცვალა ათოსმა საუბრის საგანი:

– მართლა, დიდი მადლობელი ვარ, რომ ცხენი მომიყვანეთ.

– როგორ მოგწონთ? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– ძალიან კარგია, მაგრამ არა მგონია, დიდი მანძილის გავლა შეეძლოს.

– სცდებით, ჩემო ათოს, საათნახევარზე ნაკლები მოვანდომე მაგ ცხენით ათი ლიეს გავლას და ისე იყო, თითქოს თავის ეზოს არ გასცილებოდა, სრულიად არ ეტყობოდა დაღლა.

– ერიჰა! ახლა სანანებლად გამიხდით იმ ცხენს.

– როგორ თუ სანანებლად?

– ისე, გავასაღე.

– ცხენი გაასაღეთ?

– აი, მომისმინეთ, ამ დილას ექვს საათზე გამომეღვიძა, თქვენ ისევ მკვდარივით გეძინათ. არ ვიცოდი, როგორ მომეკლა დრო, ჯერ ისევ გაბრუებული ვიყავი წუხანდელი ჩვენი ქეიფით, დიდ დარბაზში ჩავედი, იქვე იყო ერთი ინგლისელი, ცხენს ევაჭრებოდა ვიღაც ვაჭარს, რადგან თავისი გუშინ მოკვდომოდა, სისხლი ჩაჰქცეოდა ტვინში. მივედი, მივესალმე, ვნახე, რომ ას პისტოლს აძლევდა ერთ წაბლა ცხენში, და მეც ჩავერიე ამ ვაჭრობაში.

– რა მოგახსენოთ, ჩემო კეთილშობილო მეზობელო, – მივმართე იმ ინგლისელს, – მეცა მყავს ერთი ცხენი, რომლის გაყიდვა მინდა.

– კარგი ცხენი გყავთ, გუშინა ვნახე, თქვენი მეგობრის ბიჭს დაჰყავდა ეზოში, – მიპასუხა მან.

– რას იტყვით, ასი პისტოლი ღირს ჩემი ცხენი?

– დიახაც, რომ ღირს, იქნება დამითმოთ ამ ფასად?

– არა, თუ გნებავთ, მაგ ფასად ვითამაშოთ.

– ცხენზე ვითამაშოთ?

– დიახ.

– რა ვითამაშოთ?

– კამათელი ვყაროთ.

ვთქვით და დავიწყეთ თამაში... წავაგე ჩემი ცხენი, მაგრამ მეც კი მოვიგე! ჩემი ცხენის ყაჯარი ისევ მე მოვუგე.

ეწყინა დ არტანიანს, სახე მოეღუშა.

– რა იყო, გეწყინათ? – ჰკითხა ათოსმა.

– დიახ, არ მეამა, ღვთის წინაშე, ამას არ დაგიმალავთ, – უპასუხა დ არტანიანმა, – ეგ ცხენი უნდა გვყოლოდა ბრძოლის ველზე, რომ ამ ნიშნით ვეცანით მტერს; სანაძლეო გვქონდა დადებული, შემცდარხართ, ათოს.

– ეჰ, აბა, ჩემს ადგილას თქვენ ყოფილიყავით, უარესს იზამდით! – უპასუხა მუშკეტერმა. – ძალიან მოწყენილი ავდექი, არ ვიცოდი, სად ჯანდაბას გადავვარდნილიყავი. გარდა ამისა, პატიოსნება მოითხოვდა, რა ვქნა, რომ არ მიყვარს ინგლისური ცხენი? რა გითხრათ, იცით, თუ მარტო ის გაწუხებთ, რომ ბრძოლაში ვედარ გვიცნობენ, ტყუილად წუხხართ. ჩვენს საცნობად უნაგირიც კმარა, შესანიშნავი რამ არის. რაც შეეხება ცხენს, მოვიფიქრებთ რაიმე საბოდიშოს ამ ნაკლის დასასაბუთებლად. მართლა, რა არის აქ სამწუხარო? ცხენიც მოკვდავია! წარმოვიდგინოთ, რომ ჩემს ცხენს კატუჯარი შეეყარა ან ქოთაო.

ვერას გახდა ამ სიტყვით ათოსი, ვერ მოუბრუნა დ არტანიანს გული და მაინც განაგრძო:

– ძალიან ვწუხვარ, რომ ასე გენანებათ ერთი ცხენის დაკარგვა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მე ჯერ არ დამიმთავრებია ჩემი ამბავი.

– მაშ, ცხენის გარდა, კიდევ არის რამე?

– ჩემი ცხენი რომ წავაგე, მე ცხრა მომცა კამათელმა, მას – ათი, ესეც ბედი! ვიფიქრე, მოდი, დ არტანიანის ცხენსაც გავათამაშებ-მეთქი.

– იფიქრეთ, მაგრამ იმედი მაქვს, არ აჰყვებოდით მაგ...

– არა, იმწამსვე ავასრულე.

– მერე? – შეჰყვირა შიშით დ არტანიანმა.

– გავათამაშე და... წავაგე...

– ჩემი ცხენი?

– თქვენი ცხენი. იმას რვა და მე შვიდი... მხოლოდ ერთით მომიგო... გეცოდინებათ ანდაზა...

– თუნდ დავიფიცებ, ათოს, დღეს თქვენ ჭკუაზე არა ხართ.

– ეგ გუშინ უნდა გეთქვათ, ჩემო კარგო, როდესაც ჩემს სულელურ ამბავს გიამბობდით, და არა ამ დილას. ისე რომ, ცხენებიც წავაგე, უნაგირიც და მათი აკაზმულობაც.

– საშინელებაა.

– მოითმინეთ! ჯერ არ გამითავებია! სამაგალითო მოთამაშე ვიქნებოდი, ასეთი ახირებული რომ არ ვიყო. მაგრამ, რა ვქნა, რომ დამთავრება არ მაგონდება? როგორც სმაში დავიწყებ და მივაყოლებ... დღესაც გამიტაცა ახირებამ...

– რაღას გაათამაშებდით, რომ აღარა გქონდათ რა?

– მქონდა, მეგობარო, მქონდა. ეგ ალმასი გვქონდა. აგრე რომ ბრწყინავს თქვენს თითზე, ყურადღება მივაქციე გუშინ.

– ეს ალმასი? – შეჰყვირა დ არტანიანმა და ხელი დააფარა ბეჭედს.

– რადგან კარგად ვიცი თვალ-მარგალიტის ცნობა, მეცა მქონია ერთ დროს ასეთი რამ, გადავწყვიტე, რომ ათას პისტოლად ღირს ეგ თქენი ბეჭედი.

– იმედი მაქვს, – მიმართა შთაგონებით დ არტანიანმა, რომელსაც შიშით გული უსკდებოდა, – რომ ხმაც არ ამოგიღიათ ჩემი ბეჭდის შესახებ.

– პირიქით, ჩემო კარგო, თქვენ თვითონ ხედავთ, რომ ეგ ალმასი უნდა ყოფილიყო ჩვენი მხსნელი, მაგას რომ გავათამაშებდი, შეიძლებოდა ჩვენი ცხენებიც მომეგო, მათი აკაზმულობა და ზედმეტად კიდევ ფული, რომ გზაში სახარჯო გვქონოდა.

– ათოს, თქვენ გაგიჟება გინდათ ჩემი! – შეჰყვირა დ არტანიანმა.

– თქვენი ბეჭედი დავუსახელე ჩემს მოქიშპეს. იმასაც კარგად შეემჩნია გუშინ... თითზე ზეციური ვარსკვლავი გიკაშკაშებთ, მეგობარო, და გინდათ, რომ ყურადღება არავინ მიაქციოს? შეუძლებელი გახლავთ, ბატონო...

– გაათავეთ, ათოს, გამაგებინეთ! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – ლამის მომკლათ კაცი მაგ გულცივობით.

– ავდექით და ათ ნაწილად გავყავით თქვენი ალმასი, თითო ნაწილი – ას პისტოლად.

– აჰ, მაშ გამოცდას მიპირებთ, რომ სიცილით დატკბეთ? – უთხრა გაშმაგებით დ არტანიანმა.

– ეჰ, რა დროს სიცილია, რას ამბობთ, დ არტანიან? აბა, თქვენ ყოფილიყავით იქ ჩემ მაგივრად! გნახავდით, რას იზამდით, ორი კვირის განმავლობაში ადამიანის სახე აღარ დამენახა, ვეგდე სარდაფში გამოშტერებული, ხმის გამცემი არავინ მყავდა, იმ ბოთლების გარდა.

– განა ეგ გაძლევდათ საფუძველს, რომ ჩემი ბეჭედი წაგეგოთ?

– ახლა ბოლოც მოისმინეთ, ათი ნაწილი თქვენი ბეჭდისა ას-ას პისტოლად თითო. ცამეტჯერ ვყარეთ კამათელი და სულ წავაგე, რაც კი მებადა, ცამეტმა დამღუპა! ეს ბედშავი ცამეტი!.. ივლისის ცამეტს იყო, რომ...

– უბედურებაა სწორედ, – ამოიკვნესა დ არტანიანმა და წამოვარდა. დღევანდელი საშინელება მთლად ავიწყებდა წუხანდელ ამბავს.

– მოთმინება იქონიეთ! – უთხრა ათოსმა. – მე ჩემი გეგმა მქონდა. თავისებური კაცია ჩემი მოქიშპე, ამ დილას დავინახე, გრიმოს ელაპარაკებოდა და გრიმომ მითხრა, – წინადადება მომცა, მეპატიჟება, რომ მასთან გადავიდე მსახურადო. ავდექი და მეც ჩემი გრიმო გავათამაშე, ჩემი მუნჯი გრიმო. ისიც ათ ნაწილად გავყავით.

– კიდევ კარგი, თუ ცოცხალი გადაგირჩათ! – შესძახა დ არტანიანმა და თავისდაუნებურად სიცილი წასკდა.

– დიახ, თვითონ გრიმო გავათამაშე, გეყურებათ? ათად გავანაწილეთ გრიმო, რომელიც ერთ გახვრეტილ შავ სუდ არ ღირს და გრიმოს ათი ნაწილით ისევ მე მოვიგე თქვენი ალმასი. ახლაც იტყვით, რომ ახირება სათნოება არ არისო?

– კიდევ კარგი, რომ ეგრე გადავრჩით, – უთხრა დაიმედებულმა დ არტანიანმა ისეთი ხარხარით, რომ მუცელი ხელით ეჭირა.

– რაკი ვნახე, რომ კვლავ გამიღიმა ბედმა, მაშინვე გავათამაშე თქვენი ბეჭედი...

– ვაი! – ისევ მოერია შიში დ არტანიანს.

– მოვუგე და მოვუგე. მოვუგე თქვენი ცხენის აკაზმულობა, მერე თქვენი მერანი, მერე ჩემი ცხენი თავისი აკაზმულობით, მერე ისევ წავაგე. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი ცხენების მოსართავი გადავარჩინე, და ამით გავათავე.

ისე ამოიოხრა დ არტანიანმა, თითქოს გულის ფიცარი ამოვარდნოდა.

– ბოლოს და ბოლოს, შემრჩა ჩემი ალმასი თუ ისიც ცხენებს მიაყოლეთ?

– ხელშეუხებლად, ჩემო მეგობარო! გარდა მაგისა, ჩვენი ბუცეფალების უნაგირებიც.

– რა თავში ვიხლით უნაგირებს, თუკი ცხენები არ გვეყოლება?

– ერთი აზრი მაქვს მაგ მოსართავის შესახებ.

– გულს მიხეთქავთ, ათოს!

– ყური დამიგდეთ, კარგა ხანია აღარ გითამაშიათ, არა, დ არტანიან?

– არც ვითამაშებ, არავითარი სურვილი...

– ნუ დაიფიცებთ, დიახ, იმას ვამბობდი: დიდი ხანია არ გითამაშიათ და, მაშასადამე, კარგი ხელი უნდა გქონდეთ.

– კარგით, მერე?

– მერე ის, რომ ჯერ აქ არიან ის ინგლისელი და მისი თანამგზავრი. წეღან რომ ვთამაშობდით, შევატყვე, ძალიან დაეწანა უნაგირის წაგება. თქვენ, როგორც გეტყობათ, მეტისმეტად გწყინთ ცხენის წაგება, მე რომ თქვენი ვიყო, წავეთამაშებოდი. იმისი თქვენეული ცხენი იყოს და თქვენი – მოსართავი.

– აბა, რას ინდომებს ცხენში უნაგირს?

– მაშ, ჩემიც თან მიაყოლეთ, თქვენსავით კი არ დავინანებ!

– მაშ, ორივეს გაიმეტებდით?! – ჰკითხა ყოყმანით დ არტანიანმა. ეტყობოდა, მასაც გადაედო ათოსის თვითდაჯერება.

– პატიოსნებას გეფიცებით.

– კარგი... თუმცა დავკარგეთ ცხენები, მაგრამ მე მაინც ძალიან მინდა, ეს აკაზმულობა შევინარჩუნოთ.

– მაშ, თქვენს ალმასზე ითამაშეთ.

– ო, ეგ სხვაა, არა, არა, არასოდეს!

– აჰა, ღმერთო! წინადადებას მოგცემდი, რომ პლანშე გაგეთამაშებინა, მაგრამ ეგ უკვე სცადა ინგლისელმა, წააგო კიდეც და იქნება აღარც კი ისურვოს.

– ნეტავი თქვენ, ჩემო ათოს, – უთხრა დ არტანიანმა, – მე მგონი, ის ემჯობინება, რომ საფრთხეს მოვერიდოთ.

– რა გაეწყობა, – თქვა ცივად ათოსმა, – გატენილი აქვს ინგლისელს ჯიბეები პისტოლეებით. ეჰ, ღმერთო ძლიერო! ერთხელ ეთამაშეთ, მარტო ერთხელ, რა დაგაკლდებათ?

– რომ წავაგო?

– მოიგებთ!

– მაგრამ, რომ წავაგო?

– რომ წააგოთ, თქვენი ცხენის აკაზმულობას მისცემთ.

– კარგი, ერთხელ ვითამაშებ, მხოლოდ ერთხელ, – დაეთანხმა დ არტანიანი.

ათოსი მაშინვე გაექანა ინგლისელის საძებნელად და იგი თავლაში იპოვა. უცხოელი შურის თვალით შესცქეროდა დ არტანიანის ცხენის აკაზმულობას. ძალიან კარგი შემთხვევა ეძლეოდა. მოილაპარაკეს, შეთანხმდნენ: ორი აკაზმულობა, მეორე მხრივ – ერთი ცხენი ან ასი პისტოლი, ვინც რას ირჩევდა. უცბად გამოთვალა ინგლისელმა: ორი აკაზმულობა, სულ ნაკლები რომ ვთქვათ, სამასი პისტოლი მაინც ღირდა, და ხელი ხელს დაჰკრეს.

კამათლების აყრისას ხელი უკანკალებდა დ არტანიანს, დუ-იაქე მისცეს კამათლებმა, – სამი ქულა. ისე გაყვითლდა, რომ ათოსიც შეაშინა და წამოიძახა:

– ბედმა გვიმტყუნა, ამხანაგო!.. შეკაზმულ ცხენებს წაიყვანთ, ბატონებო.

აღტაცებული იყო ინგლისელი, აღარც კი შეიწუხა თავი და არ შეარხია კამათლები, აიღო და დაყარა დარწმუნებულმა, რომ მოიგებდა. არც კი დახედა. დ არტანიანმაც სახე იბრუნა, ცდილობდა, არავისათვის შეემჩნევინებინა, რომ ცუდ გუნებაზე დადგა.

– ერთი ამას უყურეთ! – წამოიძახა ათოსმა თავისი მშვიდი ხმით, – უცნაური რამ არის ხანდახან კამათელი, ჩემს სიცოცხლეში სულ ოთხჯერ მინახავს, რასაც ახლა ვხედავ, – ეს მეხუთედ: იაგანი, – ორი ქულა.

გადახედა ინგლისელმა და განცვიფრებული დარჩა. დ არტანიანს სიამოვნება გამოეხატა სახეზე.

– დიახ, განაგრძო ათოსმა, – დღეს მეხუთედ ვხედავ ამ უცნაურ იშვიათობას. ერთხელ ბატონ დე კლევისთან ვნახე, მეორედ ჩემთან, სოფელში, ჩემს ციხე-დარბაზში... როდესაც ციხე-დარბაზი მქონდა. მესამედ – ბატონ დე ტრევილთან, და ძალიანაც გაგვაკვირვა ყველანი, მეოთხედ – ერთ სამიკიტნოში, სადაც მე მხვდა ორი ქულა, – ასი ლუიდორი და ერთი კარგი ვახშამი წამაგებინა.

– მაშ, ბატონო, თქვენს ცხენს ინებებთ? – ჰკითხა ინგლისელმა.

– უეჭველად, – მიუგო დ არტანიანმა.

– სამაგიეროს არ მეთამაშებით?

– გეხსომებათ, რასაკვირველია, რომ ჩვენს შეთანხმებაში სამაგიერო უარყოფილი იყო.

– მართალსა ბრძანებთ, ბატონო, თქვენს მსახურს ჩავაბარებ ცხენს.

– ერთ წამს, ბატონო, – მიმართა ათოსმა, – თუ ნებას მიბოძებთ, ერთ სიტყვას ვეტყვი ჩემს მეგობარს.

– რამდენიც გნებავდეთ.

ათოსმა იქით გაიყვანა თავისი მეგობარი.

– ჰა, რა გინდა ჩემგან, მაცდურო? – ჰკითხა დ არტანიანმა, – გინდა, რომ კიდევ ვეთამაშო?

– არა, მინდა, რომ დაფიქრდეთ.

– რაზე დავფიქრდე?

– ცხენს გამოვართმევთ... ხომ მართალი ვარ?

– რაღა თქმა უნდა!

– შეცდებით! მე ას პისტოლს გამოვართმევდი. ხომ იცით, რომ თქვენი ორი აკაზმულობა იყო და მისი ცხენი ან ასი პისტოლი? ამორჩევა – თქვენი სურვილისამებრ.

– დიახ, ვიცი.

– მე ას პისტოლს ვირჩევდი.

– მე კი ცხენს ვირჩევ.

– გიმეორებთ, ცდებით-მეთქი, ერთი მითხარით, როგორ უნდა გამოვიყენოთ ორმა კაცმა ის ერთი ცხენი? უკან ხომ ვერ შემომისვამთ? ან რას ვემგვანებით? არა მგონია, ისე დამამციროთ, რომ მე ფეხით მოვყიალებდე და თქვენ ჩემთან ერთად ცხენით მოპარპაშებდეთ, მერე რა ცხენით?! იშვიათი რაშით. მე რომ ვიყო, ერთ წამსაც არ დავფიქრდებოდი, გამოვართმევდი ას პისტოლს. ფული დაგვჭირდება პარიზში დასაბრუნებლად და ჩვენ კი არა გვაქვს.

– ძალიან მომწონს ეს ცხენი.

– მაგაშიც სცდებით, ჩემო კარგო: ცხენი ან გაგიჟდება და კლდეზე გადავარდება, ან ფეხი წაუსხლტება, დაკოჭლდება, თავლაში დააბამთ, იმ ბაგაში დაუყრიან ქერს, სადაც სნეულს უყრიდნენ. თქვენი ცხენი, ანუ ასი პისტოლი თითქოს წყალში გადაგეყაროთ. პატრონმა უნდა ასვას და აჭამოს თავის ცხენს, აქ კი, პირიქით: ის ასი პისტოლი ასმევს და აჭმევს თავის პატრონს.

– მერე, როგორღა დავბრუნდეთ?

– ჩვენი ბიჭების ცხენებით, რა გაეწყობა? ვინც დაგვინახავს, ყველა მიხვდება ჩვენი გარეგნობის მიხედვით, რომ კეთილშობილი გვარიშვილები ვართ.

– ძალიან შესახედავი არ ვიქნებით, ჯაგლაგი ცხენებით რომ დაგვინახავენ! და ჩვენთან ერთად არამისს და პორთოსს – თავიანთი რაშებით!

– არამისს და პორთოსს? – გაიმეორა ათოსმა და სიცილი წასკდა.

– რას იცინით? –ჰკითხა დ არტანიანმა, რომელსაც ვერა გაეგო რა ამ გულიანი სიცილისა.

– ეგ არაფერი, განვაგრძოთ ჩვენი საუბარი.

– ისე რომ, თქვენი აზრით?..

– ასი პისტოლი უფრო გვიჭირს, ჩემო დ არტანიან, ასი პისტოლით სულ ლხინით ვიცხოვრებთ ამ თვის ბოლომდე. დიდი გაჭირვება გამოვიარეთ და დავიღალეთ, დამეთანხმებით, კარგი იქნება, რომ მცირე ხანს მაინც დავისვენოთ.

– მე დავისვენო? ოჰ, არა, ათოს! როგორც კი მივალთ პარიზში, მაშინვე შევუდგები იმ საწყალი ქალის ძებნას.

– მერე, თქვენ გგონიათ, რომ ცხენი ისევე სასარგებლო იქნება თქვენთვის იმ ქალის ძებნაში, როგორც ოქროს ფული? ასი პისტოლი გამოართვით, მეგობარო, ასი პისტოლი.

საფუძველი უნდოდა რაიმე დ არტანიანს, რომ დაჰყოლოდა. სამართლიანად ეჩვენა ეს მოსაზრება, დათანხმდა ათოსის წინადადებას და ასი პისტოლის მიღება ირჩია. იქვე მიუთვალა ეს ფული ინგლისელმა.

ამის შემდეგ წასვლის გარდა აღარაფერი აგონდებოდათ ჩვენს მეგობრებს. ზავი დადეს სამიკიტნოს პატრონთან და ათოსის წინანდელი ცხენის გარდა, ექვსი პისტოლიც კიდევ სხვა მისცეს. დ არტანიანი და ათოსი თავიანთი მსახურების ცხენებზე შესხდნენ. ბიჭები ფეხით გაუდგნენ გზას. მათვე მიჰქონდათ ცხენების ძვირფასი აკაზმულობა.

ძალიან ცუდ ცხენებზე ისხდნენ ჩვენი მეგობრები, მაგრამ მაინც მალე გაასწრეს მსახურებს და კრევკერში მივიდნენ. შორიდანვე დაინახეს არამისი. ფანჯარა გაეღო, სევდით მოცული ზედ დაყრდნობოდა და ამტვერებულ ჰორიზონტს გასცქეროდა.

– ოჰ, არამის, – შესძახეს მეგობრებმა, – რა ეშმაკსა და ქაჯს გასცქერით ასე გაშტერებული?

– აჰა, თქვენა ხართ, დ არტანიან! ათოს, თქვენცა? ვფიქრობდი, თუ რა მსწრაფლწარმავალი ყოფილა ნეტარება წუთისოფლისა და, მასთან ერთად, ჩემი ინგლისური ცხენიც, რომელმაც გაჰქროლა და თავის მიერ აშლილ მტვერში მიიმალა. ჩემი ცხენი ცოცხალი გამოსახულებაა ამ წუთისოფლის ნეტარებათა ხანმოკლეობისა.

მთელი ჩვენი ცხოვრება სამი სიტყვით შეგვიძლია გამოვხატოთ: ერატ, ესტ, ფუიტ[1].

– რა მოხდა? – უთხრა დ არტანიანმა, რადგან გრძნობდა, რომ ცუდად იყო საქმე.

– საქმე ისაა, რომ სულელურად მოვტყუვდი ვაჭრობაში, სამოც პისტოლად დავუთმე ცხენი, რომელიც, აგერ ხედავთ, როგორ მიჰქროდა. ხუთ ლიეს გაივლის საათში.

დ არტანიანს და ათოსს სიცილი წასკდათ.

– ნურც ძალიან დამემდურებით, ჩემო დ არტანიან, ძალიანა გთხოვთ, გაჭირვებამ კანონებისა არა იცის რა. ისიც იქონიეთ მხედველობაში, რომ დასჯილი ყველაზე მეტად მე ვარ, რადგან იმ გაიძვერა დალალმა ერთი ორმოცდაათი პისტოლი მაინც წაიღო ჩემი. ეჰ, თქვენ უფრო იცით გაფრთხილება და მომჭირნეობა, აი თქვენი მსახურების ცხენებით მოდიხართ და თქვენი საზეიმო რაშები ალბათ ბიჭებს მოჰყავთ ნელ-ნელა, დაუღლელად.

ამ ბაასში რომ იყვნენ მეგობრები, რამდენიმე წუთის შემდეგ ამიენის გზით მომავალი ფურგონი გამოჩნდა. იგი მათ ახლოს გაჩერდა. ფურგონიდან პლანშე და გრიმო გადმოვიდნენ, თავზე ორივეს უნაგირი ედოთ. გზაში პარიზში მიმავალი ცარიელი ფურგონი შეხვედროდათ და ჩვენი მეგობრების ორი მსახური მეფურგონეს მორიგებოდა პარიზში ჩაეყვანა ისინი, სამაგიეროდ, მათ მეფურგონესათვის გზაში უნდა გადაეკვრევინებინათ.

– რა მოხდა? რა დაგემართათ? – შეჰყვირა არამისმა პლანშესა და გრიმოს დანახვაზე, – უნაგირების მეტი აღარაფერი შეგრჩათ?

– ახლა ხომ მიხვდით, – მიუგო ათოსმა.

– მეგობრებო, თქვენც სწორედ ისე მოქცეულხართ, როგორც მე! ალღოთი ვიგრძენი, რომ საჭირო იყო აკაზმულობის გადარჩენა. შენ ეი, ბაზენ! გამოიტანე ჩემი ახალი უნაგირი თავისი მორთულობით და ამ ბატონებისას შეუერთე.

– თქვენს მღვდლებს რაღა უყავით? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– მეორე დღეს სადილად მოვიწვიე, ჩემო დ არტანიან, სხვათა შორის, საგანგებო ღვინო არის აქ, კარგა ლამაზად გადავაკვრევინე. მღვდელმა მიბრძანა: არ გაგიწყრეს ღმერთი, მუშკეტერის რაზმიდან არ გამოხვიდეო! და იეზუიტმა მთხოვა, დამეხმარე, იქნებ მუშკეტერად მიმიღონო.

– უდისერტაციოდ! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – უდისერტაციოდ! მე მოვითხოვ დისერტაციების სრულ მოსპობას.

– მას აქეთ სიამოვნებით ვცხოვრობ, – თქვა არამისმა. – პოემის წერა დავიწყე, საკმაოდ ძნელია, მაგრამ შრომის ღირსება მისი სიძნელით განისაზღვრება. შინაარსი მეტად წარმტაცია, პირველ სიმღერას წაგიკითხავთ, სულ ერთ წუთს მოანდომებთ მის მოსმენას.

– პატარა რჩევას მოგცემთ, ჩემო არამის, – უთხრა დ არტანიანმა, რომელსაც ისევე ეჯავრებოდა ლექსები, როგორც ლათინური, – სიძნელის ღირსებას, მოდით, სიმოკლის ღირსებაც მიუმატეთ და დარწმუნებული იქნებით, რომ ორი ღირსებით არის შემკული თქვენი პოემა.

– აი, ნახავთ, ჩემო მეგობრებო, როგორ მოგეწონებათ. პატიოსანი გრძნობების აღმძვრელია. მაშ, ასე? პარიზისაკენ მივეჩქარებით? ვაშა, მე მზადა ვარ! მაშ, ჩვენს მეგობარს პორთოსსა ვნახავთ? მით უკეთესი! ვერ წარმოიდგენთ, როგორ მაკლდა ის კთილი გოლიათი. აბა, ის კი არ გაიმეტებდა თავის ცხენს, მთელი სამეფოც რომ მიეცათ! ნეტავი კი მაჩვენა, როგორ გამოიჭიმება რაშზე და იმ მშვენიერ უნაგირზე.

ერთი საათით შეჩერდნენ ცხენების დასასვენებლად, დანახარჯი არამისმა გადაიხადა, ბაზენი ფურგონში ჩასვა მის ამხანაგებთან ერთად და ახლა პორთოსისაკენ გაუდგნენ გზას.

პორთოსი ფეხზე დაუხვდათ. ისეთი ფერმკრთალი აღარ იყო, როგორც დ არტანიანმა დატოვა. თუმცა მარტოდმარტო უჯდა სუფრას, მაგრამ მაინც ოთხი კაცის საჭმელ-სასმელი ელაგა წინ. საუცხოოდ შემწვარი ხორცი ჰქონდა სადილად, ძვირფასი ღვინო და საგანგებო ხილი.

–აჰ, თქვენა ბრძანდებით? – წამოვარდა პორთოსი, – რა კარგ დროს მოხვედით, ბატონებო! ეს არის წვენს შევუდექი და თქვენც ჩემთან მიირთმევთ სადილს.

– ოჰო, – წამოიძახა დ არტანიანმა, – ამ ბოთლებს თავის ქამანდით ვერ დაიჭერდა თქვენი მუშკეტონი, აგერ კიდევ კარგი შემწვარი სუკი!..

– ბატონებო, ავადმყოფობის შემდეგ მინდა მოვიკეთო; ვერ წარმოიდგენთ, როგორ ასუსტებს ადამიანს ნაღრძობი ფეხი. გქონიათ რამე ნაღრძობი, ათოს?

– არასოდეს, მაგრამ კარგად მახსოვს, ფერუს ქუჩაზე რომ შეტაკება მოგვიხდა, ხმლით ვიყავი დაჭრილი, ჭრილობა მომირჩა თხუთმეტი თუ თვრამეტი დღის შემდეგ, მაგრამ რომ ავდექი, ისე ვიყავი, თითქოს ფეხი მქონოდა ნაღრძობი.

– ერთი მითხარით, ჩემო პორთოს, ეს სადილი მარტო თქვენთვის იყო შეკვეთილი? – ჰკითხა არამისმა.

– არა, – მიუგო პორთოსმა, – სტუმრებს ველოდი, მეზობელი სოფლების მებატონეებს, მაგრამ მაცნობეს, რომ ვერ მოვლენ და, მგონია, არასა ვკარგავ, რომ მათ მაგივრად თქვენა გხედავთ. ჰა, მუშკეტონ! აბა, სკამები ამ ბატონებს და უბრძანეთ, რომ ამდენივე მოუმატონ ჩვენს ბოთლებს.

– იცით, რას მივირთმევთ ასე გემრიელად, ყმაწვილებო? – ჰკითხა ათოსმა ერთი ათი წუთის შემდეგ.

– მაგას რა ცოდნა უნდა? – მიუგო დ არტანიანმა, – მე ხბოს ხორცი მიდგას წინ.

– მე ბატკნის ხორცით ვტკბები, – თქვა პორთოსმა.

– მე კი ფრინველის თეთრ ხორცს მივირთმევ, – თქვა არამისმა.

– ყველანი ცდებით, ბატონებო, – უპასუხა დარბაისლურად ათოსმა, – ცხენის ხორცს შევექცევით.

– კარგით ერთი! – დ არტანიანს ხუმრობა ეგონა.

– ცხენის ხორცს? – წამოიძახა არამისმა და დაიღრიჯა.

მარტო პორთოსი იყო გაჩუმებული.

– დიახ, ცხენის ხორცს ვჭამთ. ხომ მართალს ვამბობ, პორთოს, ხომ ცხენის ხორცს შევექცევით? და, მასთან ერთად, იქნება ცხენის აკაზმულობასაც?

– არა, ბატონებო, აკაზმულობა გადავარჩინე, – უპასუხა პორთოსმა.

– ასე, ასე! – წამოიძახა არამისმა, – ერთმანეთს ტოლს არ ვუდებთ არაფერში! რომ გაიგოს ვინმემ ჩვენი ამბავი, იფიქრებს, პირობა ჰქონდათ დადებულიო.

– მაშ, რა მექნა? – დაიწყო პორთოსმა, – ჩემი ცხენის დანახვაზე უხერხულობას გრძნობდნენ აქ მოსული სტუმრები და არ მინდოდა მათი დამცირება!

– ცხადია, ჯერაც წყლებზე იქნება თქვენი დიდებული ქალბატონი, ჰერცოგის მეუღლე, არა? – გადაჰკრა დ არტანიანმა.

– დიახ, იქ ბრძანდება, – უპასუხა მშვიდად პორთოსმა.

– მაშ რა მექნა, ბატონებო? ისე მოეწონა ჩემი ცხენი ერთ-ერთი პროვინციის გუბერნატორს, სწორედ მას მოველოდი დღეს სადილად. ისე ჩამაცივდა, უნდა დამითმოო, რომ უარი ვეღარ გავუბედე და დავუთმე.

– დაუთმეთ? – შეჰყვირა დ არტანიანმა.

– აჰა, ღმერთო! დიახ, დავუთმე, სწორედ ზედგამოჭრილია ეს სიტყვა, – განაგრძო პორთოსმა, – რადგან ცხენი ას ორმოცდაათი პისტოლი მაინც ღირდა, იმ ძუნწმა კი ოთხმოცის მეტი ვერ გაიმეტა.

– უუნაგიროდ? – ჰკითხა არამისმა.

– დიახ უუნაგიროდ!

– ხომ ხედავთ, ბატონებო, პორთოსს ახლაც ყველაზე ხელსაყრელად მოუგვარებია თავისი ცხენის საქმე, – თქვა ათოსმა.

ყმაწვილებმა ხარხარი და ვაშას ძახილი დაიწყეს. პორთოსი ვერაფერს ხვდებოდა, მაგრამ მაშინვე აუხსნეს მიზეზი ამ მხიარულებისა და ისიც, ჩვეულებისამებრ, მათთან ერთად გულიანად არახრახდა.

– ისე რომ, ცოტა რამ ყველას გვიჩხრიალებს ჯიბეში? – იკითხა დ არტანიანმა.

– ჩემ გარდა, – გაუსწორა ათოსმა, – არამისთან ყოფნისას ისე მომეწონა მისი ესპანური ღვინო, რომ ერთი სამოციოდე ბოთლი ჩავალაგებინე მსახურების ფურგონში. ეს გახლავთ ჩემი უფულობის მიზეზი.

– მე უარეს მდგომარეობაში ვარ, – წამოიძახა არამისმა, – წარმოიდგინეთ, რაც კი მომეპოვებოდა, უკანასკნელი უბედური სუც კი, მონდიდიეს ეკლესიას და ამიენის მონასტერს შევწირე, გარდა ამისა, მრავალი წირვა შევუკვეთე თქვენი დღეგრძელობისა და გამარჯვებისათვის. სწირავენ ბერები, ღმერთს შეგვავედრებენ და, ეჭვი არა მაქვს, თავის წყალობას არ მოგვაკლებს ყოვლად-ძლიერი.

– მე უარეს დღეში ვიყავი, – დაიწყო პორთოსმა, – იქნება გგონიათ, რომ არაფერი დამახარჯვინა ჩემმა ნაღრძობმა ფეხმა? ამას მუშკეტონის ჭრილობა დაუმატეთ და მისთვის მოწვეული დასტაქარი, რომელიც, იძულებული ვიყავი, დღეში ორჯერ ამომეყვანა. მერე, იცით, რა მიყო იმ დასტაქარმა? ერთიორად გადამახდევინა თავისი გასამრჯელო, რადგან მუშკეტონი, ის გამოჩერჩეტებული მუშკეტონი, ისეთ ადგილს იყო თურმე ტყვიით დაჭრილი, რომ მეაფთიაქის მეტს თავის დღეში არავის დაანახვებს პატიოსანი კაცი. ეს რომ გავიგე, მკაცრი ბრძანება მივეცი, სხვა დროს მოერიდოს ასეთ ადგილას დაჭრას.

– ასე უნდა, ასე! – თქვა ათოსმა და ღიმილით დ არტანიანს და არამისს გადახედა. – ვხედავ, რომ სწორედ დიდებულად მოქცევიხართ საწყალ ბიჭს, ლმობიერად და პატიოსნად.

– მოკლედ მოვჭრი, ბატონებო, ჩემი დანახარჯის გადახდის შემდეგ, სულ ოცდაათიოდე ეკიუღა დამრჩება.

– მე – ათიოდე პისტოლი, – წამოიძახა არამისმა.

– ძალიან კარგი, – თქვა ათოსმა, – როგორც ირკვევა, ჩვენ ვყოფილვართ ჩვენი საზოგადოების კრეზები. თქვენ რამდენი დაგრჩათ, დ არტანიან, თქვენი ასი პისტოლიდან?

– ჩემი ასი პისტოლიდან? ნახევარი რომ თქვენ მოგეცით?

– თქვენა გგონიათ?

– აჰა, ღმერთო!..

– აჰ, მართალია, მართალი! ახლა მომაგონდა.

– ექვსი პისტოლი სამიკიტნოში გადავიხადე.

– ნამდვილი მხეცი იყო ის საზიზღარი. ის ექვსი პისტოლი რაღად მიეცით?

– თქვენ არ მითხარით, ექვსი პისტოლიც დაუმატეო?

– ეჰ! მეტისმეტად გულუხვი ვარ. ბოლოს რა გრჩებათ?

– ოცდახუთი პისტოლი, – უპასუხა დ არტანიანმა.

– მე კი, – დაიწყო ათოსმა და ნელ-ნელა ამოალაგა ჯიბიდან შავი ფული, – მე კი...

– თქვენ არაფერი!

– დიახ, აი, ისე ცოტა, რომ არა ღირს, ჩვენს თანხას მივუმატოთ.

– მოდით, ახლა დავთვალოთ, სულ რამდენი გვქონია. პორთოს, თქვენი სალარო?

– ოცდაათი ეკიუ.

– არამის?

– ათი პისტოლი.

– თქვენი, დ არტანიან?

– ოცდახუთი.

– ერთად რამდენი გამოვა?

– ოთხას სამოცდათხუთმეტი ლივრი! – მიუგო დ არტანიანმა, რომელიც ისე სწრაფად ანგარიშობდა, როგორც არქიმედე.

– პარიზში მისვლისას ერთი ოთხასი კიდევ გვექნება, – თქვა პორთოსმა, – გარდა ამისა, ცხენების აკაზმულობები.

– ახლა მსახურებისათვის ცხენები არ გვინდა? – იკითხა არამისმა.

– ოთხი ცხენი გვყავს ჩვენი მსახურებისათვის, ოთხი ორად გადავაქციოთ, ოღონდ ჩვენთვის, ოთხასი ლივრით ერთს ვიშოვით, ეგ სამი, ჩვენი ჯიბეების ანაფხეკი დ არტანიანს მივცეთ, რადგან ძალიან კარგი ხელი აქვს. წავიდეს, ითამაშოს და ფული მოგვიტანოს.

– მიირთვით, ბატონებო, რაზე აცივებთ? – მოაგონა პორთოსმა.

მომავლის შესახებ გული დაიმშვიდეს მეგობრებმა და პატივი სცეს სუფრას. ნარჩენები მუშკეტონს, ბაზენს, პლანშეს და გრიმოს ერგოთ.

პარიზში ჩასვლისას დ არტანიანს სახლში ბატონ დე ტრევილის წერილი დახვდა. მუშკეტერთა კაპიტანი ატყობინებდა, რომ თანახმად მისი შუამდგომლობისა, მეფე ანიჭებდა დ არტანიანს თავის წყალობას და ნებას აძლევდა, მუშკეტრების რაზმში გადასულიყო.

ამის მეტი არა ენატრებოდა რა ამქვეყნად დ არტანიანს, ცხადია, გარდა ქალბატონი ბონასიეს გათავისუფლებისა. სიხარულით აღტაცებული გასკონელი გაიქცა თავისი მეგობრებისკენ, რომლებსაც ნახევარი საათის წინ გამოეთხოვა. მეტად დაღვრემილები დახვდნენ მუშკეტერები, ბჭობისათვის ათოსთან შეკრებილიყვნენ, რაც ყოველთვის იმის მომასწავებელი იყო, რომ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ეს არის მათთვის შეეტყობინებინა ბატონ დე ტრევილს მისი ყოვლადუდიდებულესობის გადაუდებელი განზრახვა პირველ მაისს ინგლისთან

ომის დაწყების შესახებ და მუშკეტერებს დროზე უნდა მოემზადებინათ თავიანთი აღჭურვილობა.

გაშტერებულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს ჩვენი ფილოსოფოსები. ბატონმა დე ტრევილმა ხუმრობა არ იცოდა, როცა დისციპლინაზე მიდგებოდა საქმე.

– ნეტა რამდენი დაგვიჯდება ეს აღჭურვილობა? – იკითხა დ არტანიანმა.

– ეჰ, ცუდადაა საქმე! სწორედ სპარტელების სიზუსტით ვიანგარიშე და გამოვიდა, რომ ათას ხუთასი ლივრი დასჭირდება თითოეულ ჩვენგანს, – თქვა არამისმა.

– ოთხჯერ თხუთმეტი იქნება სამოცი, ესე იგი, ექვსი ათასი ლივრი გვინდა, – დაუმატა ათოსმა.

– მე კი მგონია, – დაიწყო დ არტანიანმა, – ათასი ლივრი რომ გვქონდეს კაცზე... მართალია, სპარტელებივით არ ვანგარიშობ, მაგრამ ვექილივით რომ გამოვითვალო...

სიტყვა „ვექილმა“ პორთოსი გამოაღვიძა.

– ოჰო, რა აზრი მომივიდა...

– კიდევ კარგი, აზრი მაინცა გაქვთ, – თქვა ცივად ათოსმა. – მე აზრი კი არა, აზრის ნასახიც არ გამაჩნია. მაგრამ რაც შეეხება დ არტანიანს, ბატონებო, იმდენად ბედნიერია მუშკეტერებში ჩარიცხვით, რომ ლამის გაგიჟდეს კაცი. ათასი ლივრი კმარაო! გიცხადებთ, რომ პირადად მე მარტო ორი ათასი ლივრი დამჭირდება.

– ოთხჯერ ორი იქნება რვა, – დაასკვნა არამისმა.

– მაშასადამე, რვა ათასი ლივრი უნდა გვქონდეს ღირსეული აღჭურვილობის შესაძენად, თუმცა ნაწილი ამ აღჭურვილობისა, – ცხენების აკაზმულობა, – უკვე გვაქვს.

– გარდა მაგისა, – დაიწყო ათოსმა და ცოტა ხანს შეჩერდა, თვალი გააყოლა დ არტანიანს, რომელიც დე ტრევილთან მადლობის გადასახდელად მიდიოდა, და როდესაც გასკონელმა კარები მოიხურა, კვლავ განაგრძო, – ჩვენა გვაქვს აგრეთვე ის მშვენიერი ალმასი, რომელიც ჩვენი მეგობრის თითზე ბრწყინავს. უცხონი ხომ არა ვართ? იმდენად კარგი ამხანაგია დ არტანიანი, რომ გაჭირ-ვებაში არ დატოვებს თავის ძმებს, როდესაც მას თვითონ მეფის ჯილდო უმშვენებს თითს.

XXIX

აღჭურვილობის ძებნა

აღჭურვილობის ძებნამ ამხანაგებში ყველაზე მეტად დ არტანიანი ჩააფიქრა, თუმცა, როგორც რაზმელს, მას ამ საქმისათვის გაცილებით უფრო ნაკლები დაეხარჯებოდა, ვიდრე მაღალი წარმოშობის მუშკეტერებს, მაგრამ, როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ჩვენი გასკონელი ძუნწი იყო. გარდა ამისა, პატივისა და დიდების ისეთივე მოყვარე, როგორც პორთოსი. ამას ის მდგომარეობაც ემატებოდა, რომ დ არტანიანმა დიდი ძიებისა და გამოკითხვის მიუხედავად, დანამდვილებით ვერაფერი გაიგო ქალბატონ ბონასიეს შესახებ. ბატონმა დე ტრევილმა თურმე მოახსენა დედოფალს მისი მოახლის მოტაცების ამბავი. დედო-ფალმაც არ იცოდა, სად იყო მისი ერთგული მოახლე, და შეჰპირდა, მოაძებნინებდა, მაგრამ მეტად ზოგადი იყო ეს დაპირება და არაფრით ამშვიდებდა დ არტანიანს.

ათოსი ფეხს არ იცვლიდა სახლიდან. გადაწყვეტილი ჰქონდა, თითიც არ გაენძრია აღჭურვილობის შესაძენად.

– თხუთმეტი დღე კიდევ გვაქვს, – ეუბნებოდა თავის მეგობრებს, – იცოდეთ, თუ ამ ორი კვირის განმავლობაში ვერაფერი მოვახერხე, ან უფრო უკეთ რომ ვთქვა, თუ არაფერი გამოვიდა, როგორც ნამდვილი კათოლიკე, შუბლში არ ვიხლი ჩემი დამბაჩის ტყვიას. გავალ, კარდინალის ერთ ოთხ რაზმელს ვიპოვი ან ერთიორად მეტ ინგლისელს, ჩხუბს ავუტეხ და იმდენს ვიბრძოლებ, მანამ მეც არ მომკლავს ვინმე. სამაგიეროდ, იტყვიან: მეფისთვის მოკვდა საცოდავიო; ამრიგად, მე ჩემს სამსახურს ავასრულებ და აღჭურვილობა არ დამჭირდება.

პორთოსს ზურგზე დაედო ხელები, ბოლთასა სცემდა ოთახში, თავს იქნევდა და იძახდა: – მე ჩემს გეგმას მივყვებიო.

დაფიქრებული არამისი თმააშლილი დადიოდა და არას ამბობდა.

ამ წვრილმანი ნიშნებითაც კარგად დაინახავს მკითხველი, რა მჭმუნვარება გამეფებულიყო მეგობრების წრეში.

თავის მხრივ, მსახურებიც მონაწილეობას იღებდნენ ბატონების მწუხარებაში. მუშკეტონი პურის ქერქის მარაგს აგროვებდა; ბაზენი, როგორც ღვთისკაცი, ეკლესიიდან აღარ გამოდიოდა; პლანშე ბუზებს თვლიდა, ხოლო გრიმო, რომელსაც საზოგადო გაჭირვებამაც კი ვერ დაარღვევინა მისი ბატონის მიერ ნაბრძანები დუმილი, ისე ოხრავდა, რომ ქვას გულს მოულბობდა.

სამი მეგობარი, – ათოსის გამოკლებით, რომელმაც დაიფიცა, რომ ხელს არ გაანძრევდა აღჭურვილობის შესაძენად, – დილაადრიანად გადიოდა სახლიდან და ძალიან გვიან ბრუნდებოდა დასაძინებლად. დადიოდნენ ქუჩებში, ქვებს დასცქეროდნენ, ქისა ხომ არ დატოვეს აქ ჩვენზე წინ გამვლელებმაო. ისეთი დაკვირვებით სინჯავდნენ გზას, რომ იტყოდით, ვიღაცის კვალს მისდევენ ეს ყმაწვილებიო. როდესაც ერთმანეთს შეხვდებოდნენ, იმედმიხდილ სახეზე ყველას ერთი კითხვა ეწერა: – იშოვე რამე?

ოთახში პირველად პორთოსს მოუვიდა რაღაც აზრი და მერე დაჟინებით მიჰყვა და მიჰყვა იმ აზრს, ამიტომ მიზნის მისაღწევად მოქმედება პირველად მან დაიწყო. პორთოსი ღირსეული კაცი იყო, რასაც ჩაიფიქრებდა, შეასრულებდა კიდეც.

ერთ დღეს დ არტანიანმა დაინახა, რომ ეკლესიისაკენ მიდიოდა მისი მეგობარი და თვითონაც უნებლიეთ უკან მიჰყვა. პორთოსი ეკლესიის კარებთან მივიდა, ულვაში შეისწორა, ესპანურად დაყენებულ წვერზე ხელი ჩამოისვა, რაც იმას მოასწავებდა, რომ საბრძოლველად ემზადებოდა. დ არტანიანი ცდილობდა, ფრთხილად მიჰყოლოდა, რომ პორთოსს არ დაენახა. მართლაც, ამ მხრივ, ჩვენი გმირი გულდამშვიდებული შევიდა ეკლესიაში, დ არტანიანიც უკან მიჰყვა. პორთოსი ერთ სვეტთან დადგა, დ არტანიანიც მის შეუმჩნევლად მეორესთან მიიმალა.

მღვდელი ქადაგებას კითხულობდა და ამიტომ ეკლესიაში ტევა არ იყო. ამ გარემოებით ისარგებლა პორთოსმა, ფარულად თვალი გადაჰკრა ქალებს. მუშკეტონის წყალობით, იგი მშვენივრად იყო გამოწყობილი და აზრადაც არავის მოუვიდოდა, რა გაჭირვებაში ჩავარდნილიყო, თუმცა გახეხოდა მაუდის ქუდი და გახუნებოდა მისი დამამშვენებელი ბუმბული, გაფერმკრთალებოდა ნაქარგი, მაგრამ ეკლესიის სუსტ სინათლეში ქრებოდა ეს წვრილმანი ნაკლი და პორთოსი ისევე მომხიბლავად გამოიყურებოდა, როგორც ყოველთვის.

დ არტანიანმა შეამჩნია, რომ ერთ სკამზე, რომელიც იქვე ახლოს იდგა, პორთოსის სვეტთან, უკვე ხანში შესული ლამაზი ქალი იჯდა, გამხდარი, მაგრამ ამაყი და მედიდური. თავზე შავი ქუდი ეხურა. პორთოსი მალულად გააპარებდა ხოლმე იმ ქალისაკენ მზერას, რომელიც მერე პეპელასავით შემოევლებოდა მთელს ეკლესიას.

თავის მხრივ, ის ქალბატონიც დროდადრო წითლდებოდა, ელვის სისწრაფით გადახედავდა დაუდეგარ პორთოსს, რომლის თვალები სადღაც შორს, ეკლესიის

სიღრმეში იკარგებოდნენ. ცხადად ჩანდა, პორთოსი მახეს უგებდა შავქუდიან ქალბატონს, რადგან ეს უკანასკნელი ისე იკვნეტდა ტუჩებს, რომ სისხლი სდიოდა და სასოწარკვეთილი აცეცებდა თვალებს. პორთოსმა ეს რომ ნახა, ერთხელ კიდევ გაისწორა ულვაში, ესპანურ წვერზე ხელი ჩამოისვა და რაღაც ანიშნა მეორე მშვენიერ ქალბატონს, რომელიც მუხლმოყრილი იდგა მგალობელთა გუნდთან. ამ ქალბატონს, მშვენიერებასთან ერთად, ცხადად ემჩნეოდა დიდებულებაც, მას ზურგს უკან ედგა პატარა ზანგი, რომელსაც მისთვის ბალიში მიერთმია მუხლის მოსაყრელად. იქვე იყო მოახლე პატარა გერბიანი აბგით, რათა ქალბატონს წირვის დამთავრების შემდეგ შიგ ჩაედო თავისი ლოცვანი.

შავქუდიანი ქალბატონი მხედველობიდან არ უშვებდა პორთოსის თვალების ყოველ მოძრაობას. ხედავდა, როგორ არ აცილებდა მუშკეტერი თვალს ხავერდის ბალიშზე დაჩოქილ ქალბატონს.

ამ ხნის განმავლობაში პორთოსი კვლავ აგრძელებდა თამაშს. შეუჩერებლივ ახამხამებდა თვალებს, მალულად ტუჩებზე თითებს იდებდა და გულისწარმტაცად იღიმებოდა, რაც ლახვარივით ხვდებოდა შაქუდიან ქალბატონს.

ვეღარ გაუძლო ამ წამებას საწყალმა, გულს ხელი იკრა და, – ღმერთო, შემინდეო, – ისე მაგრად ამოიოხრა, რომ ყველამ მისკენ მიიხედა, თვით წითელ ბალიშზე მუხლმოყრილმა დიდებულმა ქალბატონმაც. პორთოსმა ძალიან კარგად იცოდა, რაც მოხდა, მაგრამ ვითომც არაფერიო, არც კი შერხეულა.

ბალიშზე მოხლმოყრილმა ქალმა თავისი სიმშვენიერით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შავქუდიან ქალბატონზე, რომელიც მასში ნათლად ხედავდა მეტად საშიშ მეტოქეს. მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პორთოსზედაც, რომელიც დარწმუნდა, რომ ის გაცილებით ლამაზი იყო, ვიდრე შავქუდიანი ქალბატონი. იგი ძალიან მოეწონა აგრეთვე დ არტანიანს, მან მაშინვე იცნო მენგში, კალეში და ლუვრში ნანახი ქალი, რომელსაც მისმა უცნობმა მტერმა „მილედი“ უწოდა.

დ არტანიანი თვალს არ აშორებდა წითელ ბალიშზე დაჩოქილ ქალბატონს, მაგრამ პორთოსის ოინებსაც ხედავდა და კარგადაც ერთობოდა. შავქუდიანი ქალბატონი, მისი აზრით, ვექილის მეუღლე უნდა ყოფილიყო, დათვის ქუჩიდან. ეს მით უფრო ჰგავდა მართალს, რომ ეკლესია არც ძალიან შორს იყო ამ ქუჩიდან.

გასკონელმა ალღოთი იგრძნო, რომ პორთოსი ცდილობდა, ჯავრი ამოეყარა შანტილში ამაო ლოდინისათვის, როდესაც ვექილის მეუღლემ სიძუნწე გამოიჩინა და ფული არ გაუგზავნა.

წირვა დამთავრდა. ვექილის მეუღლე ნაკურთხი წყლისკენ წავიდა. პორთოსმა წინ გაუსწრო და ერთი თითის მაგივრად მთელი ხელი ჩაყო შიგ. ვექილის მეუღლეს გაეღიმა, ეგონა, რომ მისთვის წუხდებოდა პორთოსი, მაგრამ მაშინვე გულსაკლავად მოტყუვდა. სამი ნაბიჯი აცილებდა მას პორთოსისგან, როდესაც მუშკეტერმა თავი მიაბრუნა და დაშტერებით დააცქერდა წითელბალიშებიან ქალბატონს, ისიც წამომდგარიყო და ნაკურთხი წყლისკენ მიდიოდა თავისი მოახლით და ზანგით.

როდესაც მშვენიერი ქალბატონი პორთოსს მიუახლოვდა, ჩვენმა გმირმა სველი ხელი ამოიღო წმინდა ბადიიდან. ღვთისმოსავმა ტურფამ თავისი მშვენიერი ხელი შეახო პორთოსის ტლანქ ხელს, პირჯვარი გადაიწერა და ეკლესიიდან სიცილით გავიდა.

ეს კი მეტისმეტი იყო ვექილის ცოლისთვის. ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ისინი ერთმანეთს ჰყვარობდნენ, დიდებული ქალბატონი რომ ყოფილიყო, იქვე წაუვიდოდა გული, მაგრამ რადგან ერთი უბრალო ვექილის ცოლი იყო, ის იკმარა, რომ ოდნავ შეკავებული გააფთრებით მიმართა თავის შეურაცხმყოფელს:

– ასე, ბატონო პორთოს? მაშ, ვერ მომაწვდით მაგ ნაკურთხ წყალს?

ამ ხმაზე პორთოსი ისე შეხტა, როგორც ღრმა ძილის შემდეგ გაღვიძებული ადამიანი.

– ქალ... ქალბატონო! – შეჰყვირა განცვიფრებულმა, – ნუთუ თქვენა ბრძანდებით? როგორ ბრძანდება თქვენი მეუღლე, ჩემგან პატივცემული ბატონი კოკნარი? ისევ ისეთი ძუნწია, როგორიც იყო? არა, სად მქონდა ეს თვალები, რომ ორი საათია წირვაზე ვარ და თქვენ ვერ დაგინახეთ?

– თქვენს ახლოს ვიჯექი, ბატონო, – უპასუხა ვექილის მეუღლემ, – მაგრამ ვერ შემამჩნიეთ, რადგან აღარვის ხედავდა თქვენი თვალები, გარდა იმ მშვენიერი ქალისა, რომელსაც ეს არის ახლა ნაკურთხი წყალი მიაწოდეთ.

დარცხვენილი სახე მიიღო პორთოსმა.

– აჰ, ნუთუ შეამჩნიეთ?

– ბრმა უნდა ვყოფილიყავი, რომ არ შემემჩნია.

– დიახ, – უთხრა პორთოსმა დაუდევრად, – ეგ ქალი ჩემი მეგობარია, ჰერცოგის ცოლი. მეტისმეტად გვიძნელდება ერთმანეთის ნახვა, რადგან ძალიან ეჭვიანი ქმარი ჰყავს. გუშინ მაცნობა, ხვალ წირვაზე ვიქნები ამ მიყრუებული უბნის პატარა ეკლესიაში და იქ განახავთო.

– ბატონო პორთოს, – მიმართა ვექილის ცოლმა, – იქნება კეთილი ინებოთ და ერთი ხუთი წუთით ერთად გავისეირნოთ, სიამოვნებით მოვისმენ თქვენს ამბავს.

– თქვენი არ მიკვირს, ქალბატონო?! – გაიკვირვა პორთოსმა და თვალები ეშმაკურად დააპაჭუნა, როგორც მოთამაშემ, რომელიც გულიანად დასცინის თავის მიერ წახალისებულ მოპირდაპირეს.

სწორედ ამ დროს ჩაუარა დ არტანიანმა, იგი უკან მისდევდა მილედის. გასკონელმა გადახედა პორთოსს და დაინახა მისი მეგობრის გახარებული სახე.

– ოჰო, ოჰო! – ჩაილაპარაკა თავისთვის დ არტანიანმა, – პორთოსი კი ნადმვილად მოასწრებს კარგად აღჭურვას.

ხელიხელგაყრილნი მიდიოდნენ პორთოსი და ვექილის ცოლი. ისე ემორჩილებოდა მუშკეტერი ქალის ხელს, როგორც ნავი თავის საჭეს. ასე მიიყვანა იგი ქალმა სენ-მაგლუარის მონასტრის ბაღთან, სადაც იშვიათად გაივლიდა ადამიანი, თუმცა შესასვლელში და გასასვლელში უბრალო სატრიალებელი ჯვარჯოხი იდგა. დღისით ამ ბაღში ბავშვები თამაშობდნენ ან მათხოვრები იკრიბებოდნენ პურის საჭმელად.

– აჰ, ბატონო პორთოს, – უთხრა ვექილის ცოლმა, როდესაც დარწმუნდა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა გარდა მას იქ უცხო ვერავინ დაინახავდა და ვერც მის ნათქვამს გაიგონებდა, – აჰ, ბატონო პორთოს! მაშ, როგორც ჩანს, უძლეველი ყოფილხართ?

– მე, ქალბატონო? – იუცხოვა პორთოსმა, – რამ მიგიყვანათ მაგგვარ დასკვნამდე?

– თქვენმა წეღანდელმა თვალების ცეცებამ, ნაკურთხი წყლის მოწოდებამ. მე მგონია, რომ პრინცესა უნდა ყოფილიყო ის ქალბატონი, რომელსაც თან პატარა ზანგი და მოახლე ახლდა.

– საიდან სადაო? ღმერთო ჩემო! ცდებით, ქალბატონო, – მიუგო პორთოსმა, – ჰერცოგის ცოლი გახლავთ.

– კარებთან რომ შიკრიკი ელოდა? ან კიდევ ის საგანგებო ეტლი მშვენივრად მორთული მეეტლით?

არც შიკრიკი დაენახა პორთოსს, არც ეტლი, ქალბატონ კოკნარს კი ყველაფერი შეემჩნია ეჭვით აღგზნებული ქალის თვალით.

ძალიან ინანა პორთოსმა, რომ იმთავითვე ბრწყინვალე დიდებულად არ გამოაცხადა წითელბალიშიანი ქალბატონი.

– აჰ, სწორედ ლამაზი ქალების სალოცავი გამხდარხართ, ბატონო პორთოს! – ამოიოხრა შავქუდიანმა.

– რას იზამთ? – უპასუხა პორთოსმა. – ისეთი აგებულებისა გავუჩენივარ ბუნებას, რომ არ მაკლია ლამაზი ქალების წყალობა.

– ღმერთო, ღმერთო, როგორი დაუნდობლები ხართ კაცები! – შეჰყვირა ქალბატონმა კოკნარმა და თვალები ზეცას აღაპყრო.

– მე მგონი, რომ არც ისე, როგორც ქალები, – მიუგო პორთოსმა, – რადგან, ბოლოს და ბოლოს, ქალბატონო, იძულებული ვარ მოგახსენოთ, რომ მე მსხვერპლი ვარ თქვენი. სასიკვდილოდ დაჭრილი იმდენად ცუდად ვიყავი, რომ ექიმებმა ხელი აიღეს ჩემზე და თავი მიმანებეს. რა მექნა, ფული არ მქონდა. მეც, დიდებულმა გვარიშვილმა, თქვენ მოგმართეთ, მივენდე თქვენს მეგობრობას. ჯერ კინაღამ ჭრილობამ გადამიყოლა და მერე შიმშილი მკლავდა ერთ საზიზღარ სამიკიტნოში, სადღაც შანტილში. თქვენ მოგმართეთ, ერთხელ კი არა, რამდენჯერმე, და თქვენ პასუხიც არ აღირსეთ ჩემს დამწვარ გულს.

– რა ვქნა, ბატონო პორთოს, – ბუტბუტებდა ვექილის მეუღლე, რომელიც გრძნობდა, რომ თავისი დროის უდიდებულესი ქალბატონების საქციელთან შედარებით, ვერას იპოვიდა თავის გასამართლებელს.

– მე კი... მე თქვენ შემოგწირეთ, ქალბატონო...

– ვიცი, ბატონო.

– გრაფის ცოლი...

– მაკმარეთ, ბატონო პორთოს!

– ჰერცოგის ცოლი...

– შემიბრალეთ, ბატონო პორთოს!

– მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, აღარ განვაგრძობ.

– ჩემი ქმარი... შიშით ხმა ვეღარ ამოგვიღია... მე ფულს არავის ვასესხებო!

– მოითმინეთ, ქალბატონო, – შეაჩერა პორთოსმა, – აბა, გაიხსენეთ თქვენი პირველი წერილი, რომელიც მტკიცედ მაქვს ჩაბეჭდილი მეხსიერებაში.

ვექილის ცოლმა მწარედ ამოიკვნესა.

– რა მექნა, ბატონო? – თავი იმართლა ქალმა, – დიდ ფულს თხოულობდით სესხად.

– ქალბატონო კოკნარ, მე თქვენ გარგუნეთ უპირატესობა, თორემ ჰერცოგის ცოლისათვის რომ მიმეწერა ერთი-ორი სიტყვა (მის გვარს არ მოგახსენებთ, რადგან მე არასოდეს არ შემილახავს პატიოსანი ქალის სახელი), მერწმუნეთ, ერთი-ორი სიტყვა რომ მიმეწერა, დაუყოვნებლივ მივიღებდი ათას ხუთასს.

ცრემლები მოერია ქალბატონ კოკნარს.

– ბატონო პორთოს, – მიმართა ცრემლმორეულმა ქალმა, – გეფიცებით, რომ საკმარისად და ძალიანაც დამსაჯეთ. თუ მომავალში კიდევ გაგიჭირდეთ, მაშინვე მომმართეთ.

– სირცხვილი არ არის? ეგ როგორა ბრძანეთ, ქალბატონო? – დაიძახა აღშფოთებით პორთოსმა, – ნუღარას ვიტყვით ფულზე. იგი ადამიანების დამამცირებელია.

– მაშ ასე? აღარ გიყვარვართ? – წარმოთქვა ნელი ხმით გულმოკლულმა ქალბატონმა კოკნარმა.

ამას დიდებული დუმილით შეხვდა პორთოსი.

– ეს არის თქვენი პასუხი? მესმის, რის თქმაც გინდათ!

– წარმოიდგინეთ, ქალბატონო, რა შეურაცხყოფა მომაყენეთ თქვენი დუმილით. ჯერაც აქა მაქვს, გულის სიღრმეში, – უთხრა პორთოსმა, ხელი დაიდო გულზე და ღონივრად დააჭირა.

– მაგ შეურაცხყოფასაც გამოვასწორებ, ჩემო საყვარელო პორთოს!

– ან არადა, განა რასა გთხოვდით შეუძლებელს? – განაგრძო პორთოსმა გულუბრყვილო მხრების აჩეჩვით, – პატარა სესხს, სხვას ხომ არაფერს? ვფიქრობ, მიცნობთ, ქალბატონო, იცით, რომ მოკლებული არა ვარ გონიერებას, ვიცი, რომ მდიდარი არა ბრძანდებით და თქვენი ქმარიც იძულებული არის, წურბელასავით მოეკიდოს საწყალ მომჩივანთ, რომ ცოტა რამ მაინც გამოსწოვოს. ოჰ, თქვენ რომ გრაფის, ჰერცოგის ან მარკიზის მეუღლე ყოფილიყავით, მაშინ სულ სხვაა და შეუძლებელი იქნებოდა თქვენთვის ასეთი საქციელის პატიება.

ეწყინა ვექილის ცოლს.

– გთხოვთ იცოდეთ, ბატონო პორთოს, რომ ჩემი ფულის უჯრა, თუმცა ერთი უბრალო ვექილის უჯრაა, მაგრამ, იქნება უფრო უკეთ იყოს გატენილი, ვიდრე თქვენი პრანჭია, გაღატაკებული ქალბატონებისა.

– მაშ, ორმაგი შეურაცხყოფა მომაყენეთ, ქალბატონო, – განაგრძო პორთოსმა და მოიშორა ქალის ხელი, – თუ მართლა მდიდარი ხართ, არავითარი საბუთი არა გაქვთ, რომ თავი გაიმართლოთ.

– მდიდარი ვარ-მეთქი, ვთქვი, – მიუგო ვექილის ცოლმა, რადგან გრძნობდა, რომ მეტად შორს ჩაჰყვა თავის საყვარელს, – მაგრამ სიტყვასიტყვით კი არ უნდა გაიგოთ ნათქვამი; მდიდარი არა ვარ, მაგრამ მაინც საკმაო შეძლება მაქვს.

– ქალბატონო, გთხოვთ, თავი დავანებოთ ამ საგანზე საუბარს, – უთხრა პორთოსმა, – თქვენ წახვედით ჩემგან, ჩვენ შორის ყოველგვარი მეგობრობა გაქრა.

– რა უმადური ხართ!

– სამდურავსაც მიცხადებთ? – თქვა პორთოსმა.

– წადით ჰერცოგის მშვენიერ ცოლთან! მე თქვენ გზას არ გიჭერთ!

– რა გაეწყობა. არა მგონია, ძალიან ულამაზო იყოს!

– ერთი მითხარით, ბატონო პორთოს, მითხარით, უკანასკნელად გაწუხებთ ამ კითხვით: კიდევ თუ გიყვარვართ?

– ეჰ, ქალბატონო! – დაიწყო პორთოსმა დაღონებული, გულგაწყალებული ხმით, – საომრად მივდივართ ამ დღეებში და გული მითხრობს, რომ იქ მომკლავენ...

– ოჰ, ნუღარ გამაგონებთ მაგ საშინელ სიტყვებს! – შეჰყვირა ვექილის ცოლმა და ქვითინი დაიწყო.

– რაღაც წინასწარი გრძნობა, სულ ამას ჩამძახის, – გაიმეორა პორთოსმა და კიდევ უფრო მოიწყინა.

– მოდით პირდაპირ მითხარით, რომ ახალი სიყვარული მოედო მაგ გულს.

– არა, ქალბატონო, არა, გულწრფელად გეუბნებით. ახალი აღარაფერი ახალისებს ამ გულს, და თუ მართალი გნებავთ, ამ გულის სიღრმეში დარჩენილი გრძნობა ისევ თქვენკენ მიზიდავს. მაგრამ, როგორც იცით, ამ ორი კვირის შემდეგ დაიწყება ჩვენი საბედისწერო ბრძოლა. ძალიან მოუცლელი ვარ ამხანად, ჯერ ჩემი აღჭურვილობის მომზადება წამართმევს ბევრ დროს. თანაც უნდა ბრეტანს წავიდე და იქიდან საჭურვლის შესაძენი ფული წამოვიღო.

პორთოსმა ქალბატონს გადახედა და შეამჩნია სიყვარულისა და სიძუნწის უკანასკნელი ბრძოლა.

– და რაკი იმ ქალბატონსაც, წედან რომ ნახეთ ეკლესიაში, ჰერცოგის მეუღლესაც, იქვე აქვს მამული, ჩემ გვერდით, ერთად ვაპირებთ გამგზავრებას. თვითონვე მოგეხსენებათ, ისე გრძელი და მოსაწყენი არ არის მგზავრობა, როდესაც ორნი მიდიან ერთად.

– მაშ, პარიზში მეგობარი არავინა გყავთ, ბატონ პორთოს? – ჰკითხა ქალბატონმა კოკნარმა.

– მეგონა, მყავდა, – უპასუხა დაღონებული სახით პორთოსმა, – მაგრამ დავრწმუნდი, რომ ვტყუვდებოდი.

– გყავთ, ბატონო, გყავთ მეგობრები! – წამოიძახა ვექილის ცოლმა ისეთი აღტაცებით, რომ თვითონვე უკვირდა ასეთი აღელვება. – ხვალ ჩვენთან მობრძანდით, თქვენ შვილი ხართ დეიდაჩემის, დედაჩემის დისწული. მაშასადამე, პიკარდიიდან მოდიხართ, ნუაიონიდან, რამდენიმე სადავო საქმე გაქვთ პარიზში და ვექილი კი არა გყავთ. ხომ კარგად დაგახსომდებათ ყოველივე ეს?

– ძალიან კარგად, ქალბატონო.

– სადილად მობრძანდით.

– ძალიან კარგი.

– მაგრად დაუდექით ჩემს ქმარს, მეტად ცბიერია, მიუხედავად იმისა, რომ სამოცდათექვსმეტი წლის კაცია.

– სამოცდათექვსმეტი წლისა? ერთი შეხედეთ! – გაიცინა პორთოსმა.

– დიდი ხნისააო, უნდა გეთქვათ განა, ბატონო პორთოს? იმ ხნისა არის საწყალი კაცი, რომ შეიძლება დღეს-ხვალ ქვრივად დამტოვოს, – მოთქვამდა ქალბატონი და თან დიდმნიშვნელოვნად გადახედავდა თავის საყვარელს, – კიდევ კარგი, რომ, ჩემდა საბედნიეროდ, ქორწინების პირობის ძალით, ოჯახის ქონების მემკვიდრე ის არის, ვინც ცოცხალი რჩება.

– მთელი ქონების მემკვიდრედ? – ჰკითხა პორთოსმა.

– დიახ, ბატონო.

– როგორცა ვხედავ, ძალიან შორსმჭვრეტელი ბრძანდებით, ჩემო კეთილო ქალბატონო კოკნარ, – უთხრა პორთოსმა და სიყვარულით მოუჭირა ხელი თავის საყვარელს.

– მაშ, შევრიგდით, ჩემო საყვარელო ბატონო პორთოს? – უთხრა ქალბატონმა გრეხვით.

– მანამ ცოცხალნი ვართ, – იმავე კილოთი უპასუხა პორთოსმა.

– მაშ, ნახვამდის, ჩემო მოღალატევ!

– ნახვამდის, ჩემო გულმავიწყო!

– ხვალამდე, ჩემო ანგელოზო!

– ხვალამდე, ჩემო სიცოცხლის მანათობელო!

XXX

მილედი

დ არტანიანი შეუმჩნევლად მისდევდა მილედის. მან დაინახა, როგორ ჩაჯდა ქალი ეტლში, გაიგონა, როგორ უბრძანა მეეტლეს, სენ-ჟერმენისაკენ წასულიყო.

ფეხით დადევნება ამაო იქნებოდა საგანგებო ცხენებით შეკაზმული ეტლისა, რომელიც დიდი სისწრაფით წავიდა ფერუს ქუჩისაკენ.

სენის ქუჩაზე დ არტანიანს პლანშე შეხვდა, ტკბილეულობის მაღაზიასთან იდგა და აღტაცებით შესცქეროდა მადისაღმძვრელ ნამცხვარს.

დ არტანიანმა პლანშეს უბრძანა, ბატონი დე ტრევილის თავლაში წასულიყო, ორი ცხენი შეეკაზმა და ბატონ ათოსთან მოეყვანა. ცხენები ბატონი დე ტრევილის თავლაში ჰყავდა, რადგან მუშკეტერთა კაპიტანმა დ არტანიანს უფლება მისცა, მისი თავლით ესარგებლა.

პლანშე ძველი სამტრედის ქუჩისკენ წავიდა, დ არტანიანი ფერუსკენ. მას ათოსი შინ დახვდა. იგი დაღონებული იჯდა და განთქმულ ესპანურ ღვინოს სვამდა, რომელიც პიკარდიიდან წამოიღო, ათოსმა გრიმოს ანიშნა, ჭიქა მოეტანა ბატონ დ არტანიანისათვის. მსახურმა მაშინვე აასრულა ბრძანება.

დ არტანიანმა დაწვრილებით უამბო ათოსს ყველაფერი, რაც ეკლესიაში ნახა, მთელი სცენა პორთოსისა და ვექილის ცოლის თვალებით საუბრისა, რომელიც პორთოსს, როგორც ეტყობოდა, აღჭურვილობის შესაძენად სჭირდებოდა.

– მე სრულიად დამშვიდებული ვარ, – უთხრა ათოსმა ამ ნაამბობის პასუხად, – ქალები არ მიიღებენ არავითარ მონაწილეობას ჩემი აღჭურვილობის შეძენაში.

– ჩემო საყვარელო ათოს, მშვენიერი სილამაზისა ხართ, ზრდილი, დიდებული გვარიშვილი, ვინ იქნება უბრწყინვალესი, თუნდა მეფის გვარისა, რომ არ დაემორჩილოს თქვენს მომხიბლავ მიმზიდველობას?

– ჯერ ისევ ყმაწვილია ჩვენი დ არტანიანი! – დაიძახა ათოსმა მხრების აწევით და გრიმოს ანიშნა, ერთი ბოთლი კიდევ მოერთმია.

ამ დროს პლანშემ ოდნავ გაღებულ კარში თავი ზრდილობიანად შეყო და თავის ბატონს მოახსენა, რომ ცხენები მზად ჰყავდა.

– რა ცხენები? – ჰკითხა ათოსმა.

– ბატონი დე ტრევილისა, მან მათხოვა. მინდა, მისი ცხენით სენ-ჟერმენისაკენ გავისეირნო.

– რა გინდათ სენ-ჟერმენში? – ჰკითხა ათოსმა.

დ არტანიანმა ამის პასუხად უამბო ეკლესიაში იმ მშვენიერ ქალბატონთან შეხვედრა, რომელიც მენგში მის უცნობ მტერთან ნახა და რომელთანაც კვლავ შეხვედრა მისი დაუცხრომელი სურვილი იყო.

– ეს იმას ნიშნავს, რომ შეგყვარებიათ ის ქალიც. როგორც გიყვარდათ ქალბატონი ბონასიე, – უთხრა მხრების აჩეჩვით და სიბრალულით ათოსმა.

– შემყვარებია? სულაც არა! – შეჰყვირა დ არტანიანმა. – მე მოსვენებას არ მაძლევს ჩემი ცნობისმოყვარეობა, მინდა გამოვარკვიო საიდუმლოება, რომელშიც ჩაბმულია ის მშვენიერი უცნობი ქალი. არ ვიცი, რად არის ასე, მაგრამ კარგად ვხედავ, რომ ქალს, სრულიად უცნობს, დიდი გავლენა აქვს ჩემს ცხოვრებაზე.

– თქვენ მართალი ხართ, – უთხრა ათოსმა, – არ არის ქვეყანაზე ისეთი ქალი, რომ ძებნის ღირსი იყოს. დაკარგულია ქალბატონი ბონასიე? მით უარესი მისთვის! თვითონ გამოჩნდეს, თუ უნდა!

– არა, ათოს, არა! ცდებით, – მიუგო დ არტანიანმა. – მე დღეს უფრო მეტად მიყვარს ჩემი საწყალი კონსტანცია, ვიდრე ოდესმე. არ ვიცი, სად არის, თორემ ქვეყნის დასამხარსაც რომ იყოს გადაკარგული, მაშინვე წავიდოდი მტრების ხელთაგან მის გასათავისუფლებლად. ბევრი ვეძიე, მაგრამ ამაოდ ჩამიარა ყველაფერმა, რას იზამთ? მინდა გავირთო რითიმე დასევდიანებული გული.

– გაემართეთ თქვენს მილედისთან, ჩემო დ არტანიან, გულით გისურვებთ გამარჯვებას, თუ მართლა გაგართობთ და გულს დაგიამებთ.

– რა გითხრათ, ათოს, ისე ზიხართ თქვენს ოთახში, თითქოს დამწყვდეული იყოთ... ასე მარტოობას და შინ ჯდომას ის არ ემჯობინება, ცხენზე შეჯდეთ და ჩემთან ერთად სენ-ჟერმენისკენ გაისეირნოთ? – სთხოვა დ არტანიანმა.

– მე, ჩემო დ არტანიან, ცხენით დავდივარ, როცა საკუთარი ცხენი მყავს, ხოლო თუ ცხენი არა მყავს, მაშინ ფეხით დავიარები.

– მე კი თქვენსავით ამპარტავანი არა ვარ, – უთხრა დ არტანიანმა ისეთი სიცილით, რომელიც სხვა გარემოებაში, უეჭველია, საწყენად დარჩებოდა ათოსს, – დიახ, მე ასე ამპარტავანი არა ვარ და იმ ცხენზე ვჯდები, რომელსაც ვპოვებ. მაშ, ნახვამდის, ჩემო მეგობარო!

– ნახვამდის! – უპასუხა მუშკეტერმა და გრიმოს ანიშნა, ახლად მოტნილი ბოთლი არ გაეხსნა.

დ არტანიანი და პლანშე ცხენებზე შესხდნენ და სენ-ჟერმენისაკენ დაადგნენ გზას.

დ არტანიანს მთელი გზის მანძილზე ყურებში ათოსის მიერ ქალბატონ ბონასიეს შესახებ ნათქვამი სიტყვები ესმოდა. მართალია, მეტად მგრძნობიარე

გულის კაცი არ იყო ჩვენი გმირი, მაგრამ დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა ბონასიეს ცოლის მომხიბვლელ სილამაზეს ყმაწვილკაცზე. იგი, მართლაც, მზად იყო, ქვეყნის კიდემდე წასულიყო, ოღონდ როგორმე თავისი სატრფო ეპოვა, მაგრამ რადგან დედამიწა უკიდეგანოა, მრგვალია, არ იცოდა, რა მიმართულება აეღო.

ქალბატონი ბონასიე არ ჩანდა. ახლა იმის ცდაში იყო გასკონელი, გაეგო, ვინ იყო ეს მილედი. მენგში შავწამოსასხამიან კაცს ელაპარაკებოდა, მაშასადამე, კიდეც იცნობდა მას, დ არტანიანს კი სულ ის უტრიალებდა გონებაში, რომ მეორედაც იმ შავწამოსასხამიანმა კაცმა მოიტაცა ქალბატონი ბონასიე. მაშ, არა ტყუოდა დ არტანიანი, როდესაც ფიქრობდა: მილედის საძებნელად რომ მივდივარ, იმავე დროს, ქალბატონ ბონასიესაც ვეძებო.

ამ ფიქრებით გართული, დროდადრო დეზს წაჰკრავდა ხოლმე თავის ცხენს, და არც კი შეუმჩნევია, ისე მივიდა სენ-ჟერმენში. გასცილდა იმ პავილიონს, რომელშიაც ათი წლის შემდეგ მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტე დაიბადა. ერთ მიყრუებულ ქუჩას მიჰყვებოდა. თვალს მარჯვნივ და მარცხნივ აცეცებდა. ეძებდა ტურფა ინგლისელი ქალბატონის კვალს. უცებ ერთი მშვენიერი სახლის პირველ სართულთან, რომელსაც იმ დროის ჩვეულებისამებრ ქუჩაში გამომავალი არც ერთი ფანჯარა არ ჰქონდა, ნაცნობი კაცი გამოჩნდა. იგი ნელი ნაბიჯით დასეირნობდა ყვავილებით მორთულ ტერასზე. პლანშემ მაშინვე იცნო.

– ნუთუ ვერ ცნობთ, ბატონო, ამ კაცს, ყვავილებს რომ შესცქერის? – ჰკითხა პლანშემ.

– არა, ვერა ვცნობ, – უპასუხა დ არტანიანმა. – თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ დღეს პირველად არა ვხედავ.

– მართალსა ბრძანებთ, ბატონო, – წამოიძახა თავისი კარგი მეხსიერებით გახარებულმა პლანშემ, – გრაფ დე ვარდის მსახური, საწყალი ლუბენი გახლავთ, რომელიც ისე კარგად მიბეგვეთ ამ ერთი თვის წინათ კალეში, ნავსადგურის სახლისაკენ მიმავალ გზაზე.

– აჰ, მართლა ის არის! – წამოიძახა დ არტანიანმა, – ახლა კი მეც ვიცანი. როგორ გგონიათ, გვიცნობს, რომ გამოველაპარაკოთ?

– რას ბრძანებთ, ბატონო! ისე იყო შიშით გაბრუებული, რომ შემოხედვასაც ვერ მიბედავდა, რა ემახსოვრება ახლა!

– ჰოდა, მიდი, გამოელაპარაკე, – უთხრა დ არტანიანმა, – ეცადე გაიგო, ცოცხალია თუ არა მისი ბატონი.

პლანშე ცხენიდან ჩამოხტა და პირდაპირ ლუბენთან მივიდა, რომელმაც მართლაც ვერ იცნო იგი. საუკეთესო ამხანაგური ბაასი გააბა ორმა მსახურმა. დ არტანიანმა ამ ხნის განმავლობაში ცხენები შესახვევში შეიყვანა, სახლს შემოაუარა და თხილის ბუჩქის ღობეს ამოეფარა. თან ყურს უგდებდა მსახურების საუბარს.

ასე იდგა ღობეს ამოფარებული დ არტანიანი. ცოტა ხნის შემდეგ მომავალი კარეტის ხმა მოესმა. სწორედ მის პირდაპირ გაჩერდა მილედის კარეტა. შეცდომა შეუძლებელი იყო, შიგ თვითონ მილედი იჯდა. დ არტანიანი თავისი ცხენის კისერზე გაწვა, რომ ყველაფერი გაეგონა და თვითონ კი უხილავი დარჩენილიყო.

კარეტის ფანჯარაში მილედის მშვენიერი თავი გამოჩნდა, მან რაღაც უბრძანა თავის მოახლეს.

ოცი-ოცდაორი წლისა იქნებოდა მოახლე, ძალიან ლამაზი, ცქვიტი, ცოცხალი, ნამდვილი შესაფერი დიდებული ქალბატონისა. თანახმად იმ დროის ჩვეულებისა, კარეტის საფეხურზე იჯდა. იგი ბრძანების მიღებისთანავე ჩამოხტა და იმ ტერასისკენ გაეშურა, სადაც დ არტანიანმა ლუბენი დაინახა.

დ არტანიანმა ტერასისკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალ გოგოს თვალი გააყოლა. მაგრამ ამ დროს ლუბენი სადღაც გაქრა. მარტოდ დარჩენილი პლანშე აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, რომ სადმე თავისი ბატონი აღმოეჩინა.

მილედის მოახლე პლანშესთან მივიდა, ლუბენი ეგონა. წერილი გაუწოდა და სთხოვა:

– თქვენს ბატონს მიართვით.

– ჩემს ბატონს? – გაიკვირვა პლანშემ.

– დიახ, ძალიან საჩქაროა! ჰა, ჩამომართვით! – წერილი გადასცა თუ არა, სირბილით მიიჭრა კარეტასთან, საფეხურზე ჩამოჯდა და მილედის კარეტამ გზა განაგრძო.

პლანშემ წერილი შეათვალიერა. შემდეგ, ჩუმ მორჩილებას მიჩვეული, ტერასიდან ჩამოხტა, მოსახვევში შევიდა და ოცი ნაბიჯი არ გაევლო, რომ წინ დაუდგა დ არტანიანს, რომელმაც კარგად დაინახა ყველაფერი და ისიც პლანშესაკენ მიეშურებოდა.

– თქვენთან გახლავთ, – მოახსენა პლანშემ და ყმაწვილ კაცს წერილი მიართვა.

– ჩემთან? – გაუკვირდა დ არტანიანს, – ნამდვილად იცი?

– დალახვროს ეშმაკმა! დარწმუნებული გახლავართ! „შენს ბატონს მიართვიო“, – მითხრა იმ გოგომ. მე კი თქვენს მეტი ბატონი არავინა მყავს, ამრიგად... კაი გოგო კი იყო ის მოახლე!

დ არტანიანმა წერილი გახსნა და შემდეგი წაიკითხა:

„ერთ ქალს, რომელიც იმაზე მეტად არის გატაცებული თქვენით, ვიდრე ამის გამოთქმა შეუძლია, ძალიან უნდა გაიგოს, როდის მოიცლით, რომ ტყეში სასეირნოდ გამობრძანდეთ. ხვალ „ოქროს მინდვრის“ სასტუმროში შავ-წითელ ლივრეაში ჩაცმული მსახური დაგიხვდებათ და მას გამოატანეთ თქვენი პასუხი“.

„ოჰო, – გაიფიქრა დ არტანიანმა, – როგორ დაემთხვა! ეტყობა, მეცა და მილედისაც ძალიან გვაწუხებს ერთი პიროვნების ჯანმრთელობის ამბავი“. ჰეი, პლანშე! როგორ ყოფილა, ბიჭო, ბატონი ვარდი? არ მომკვდარა?

– არა, ბატონო, კარგად არის თურმე, თუკი შეიძლება კარგად იყოს კაცი, რომელიც ოთხგანაა დაჭრილი. ხომ მართალია, რომ ოთხგან წაჰკარით, არ მიწყინოთ და, საწყალ კაცს კარგა მაგრადაც წაჰკარით! ჯერ ძალიან სუსტად ყოფილა, ბევრი სისხლი დაუკარგავს. როგორც მოგახსენეთ, ბატონო, ლუბენმა ვერ მიცნო და თავიდან ბოლომდე მიამბო მაშინდელი ჩვენი ბრძოლის შესახებ.

– ძალიან კარგი, პლანშე, – შენ ხარ მეფე მსახურებისა, ახლა მოახტი ცხენს და გავაჭენოთ, დავეწიოთ კარეტას.

დიდი ხანი არ მონდომებია მის დაწევას: ჯერ ხუთი წუთიც არ გასულიყო, რომ მილედის კარეტა დაინახეს. გზის პირას გაეჩერებინათ. კართან მდიდრულად მორთული მხედარი იდგა.

იმდენად გაცხარებული იყო მილედისა და მხედრის ბაასი, რომ კარეტის მეორე მხრიდან ცხენით მოსული დ არტანიანი ვერც კი შეამჩნიეს. მარტო ლამაზმა მოახლემ დაინახა ყმაწვილი კაცი.

მილედი და მისი თანამოსაუბრე ინგლისურად ლაპარაკობდნენ. დ არტანიანს არაფერი ესმოდა ინგლისურისა, მაგრამ გაცხარებულმა ბაასმა მიახვედრა ჩვენი გმირი, რომ ძალიან განრისხებული უნდა ყოფილიყო მშვენიერი მილედი. რაღაცა თქვა ქალმა და ისეთი ძალით დაჰკრა მარაო კარეტის კარს, რომ წვრილ-წვრილ ნატეხებად დაამსხვრია ეს ძვირფასი ნივთი.

მხედარი გულიანად ხარხარებდა და მოთმინებას აკარგვინებდა ქალს.

– სწორედ დროა ჩავერიო, – თქვა დ არტანიანმა, კარეტის მეორე კართან მივიდა, ქუდი მოიხადა და ზრდილობიანად მიმართა მილედის:

– ნებას მიბოძებთ, ქალბატონო, შემოგთავაზოთ ჩემი დახმარება. მე მგონია, რომ ამ მხედარმა გაგაჯავრათ. მიბრძანეთ, ქალბატონო! თქვენი ერთი სიტყვა საკმარისია და მე ვიცი, როგორც ვანანებ ქალისადმი უპატივცემულობას.

დ არტანიანის პირველსავე სიტყვაზე მობრუნდა ქალბატონი, გაკვირვებული თვალით დააცქერდა ყმაწვილკაცს და, როდესაც დაამთავრა ლაპარაკი, წმინდა ფრანგულით უპასუხა:

– დიდი სიამოვნებით მივიღებდი, ბატონო, თქვენს მფარველობას, ჩემი ძმა რომ არ იყოს ის პიროვნება, რომელიც ასე მაჯავრებს.

– აჰ, მაშ, მაპატიეთ, ქალბატონო, – მიმართა ბოდიშით დ არტანიანმა, – იმედი მაქვს, დარწმუნებული ბრძანდებით, რომ მე ეგ არ ვიცოდი.

– სხვის საქმეში რას ერევა ეგ ქარაფშუტა? – შეჰყვირა ინგლისელმა, – რომელიც თავის ძმად დაასახელა ქალმა, – რატომ თავის გზას არ გაუდგება?

– ქარაფშუტაც ხართ დ მეტიც! – შეუტია მუშკეტერმა, – არ გავუდექი ჩემს გზას იმიტომ, რომ აქ მსურს დარჩენა.

უცნობმა რამდენიმე სიტყვა უთხრა ინგლისურად თავის დას.

– მე ფრანგულად გელაპარაკებით, – მიმართა დ არტანიანმა, – კეთილ ინებეთ და ფრანგულადვე მომეცით პასუხი. თქვენ ძმა ხართ ამ ქალბატონისა, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, ჩემი ძმა ხომ არა ხართ!

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მილედი, როგორც ყოველი ქალი, შეშინდებოდა და დასაწყისშივე ჩაერეოდა საქმეში, რომ უფრო მეტად არ გამწვავებულიყო ჩხუბი და უბედურება არ მოჰყოლოდა. მაგრამ პირიქით მოხდა. იგი თავისი კარეტის მერხზე მიწვა და გულგრილად დაუყვირა მეეტლეს:

– ჩქარა, შინისაკენ!

ლამაზმა მოახლემ ერთხელ კიდევ გადაავლო აღტაცებული თვალი დ არტანიანს, ეტყობოდა, მოეწონა ჩვენი გმირი.

კარეტა წავიდა. პირისპირ უდგნენ ერთმანეთს დ არტანიანი და ინგლისელი.

მხედარსაც სურდა კარეტას გაჰყოლოდა, მაგრამ ბრაზით სისხლი უდუღდა ჩვენს გასკონელს, მით უფრო, რომ მასში იცნო ამიენში ნანახი ინგლისელი, რომელმაც ცხენი მოუგო ათოსს და კინაღამ ალმასის ბეჭედიც ზედ მიაყოლა. მივარდა, აღვირში სწვდა მის ცხენს და შეაყენა.

– ჰეი, ბატონო, თქვენ უფრო ქარაფშუტულად იქცევით, ვიდრე მე. მგონია, დაგავიწყდათ კიდეც, რომ პატარა საქმე გვაქვს მე და თქვენ მოსარიგებელი.

– აჰა, ეს თქვენა ბრძანდებით, ჩემო ბატონო? მაშ, სულ უნდა თამაშობდეთ, უმაგისობა არ შეგიძლიათ? ხან კამათლით, ხან იარაღით?

– დიახ, ბატონო, კარგია მომაგონეთ, რომ შურისგება მმართებს თქვენი და უნდა გადაგიხადოთ. მაშინ გამოჩნდება, თუ ისევე კარგად ხმარობთ ხმალს, როგორც კამათელს.

– კარგად ხედავთ, რომ ხმალი არა მაქვს, – უთხრა ინგლისელმა, – იქნებ გნებავთ, უიარაღო კაცთან გამოიჩინოთ თქვენი ვაჟკაცობა?

– იმედი მაქვს, რომ სახლში მაინც გექნებათ, – უპასუხა დ არტანიანმა, – ყოველი შემთხვევისათვის, იცოდეთ, რომ მე ორი მაქვს, და თუ გნებავთ, ერთს თქვენ მოგართმევთ.

– რა საჭირო? – უპასუხა ინგლისელმა, – მე ჩემიც ბევრი მაქვს.

– მაშ კარგი, ჩემო ღირსეულო მოქიშპევ, ამოარჩიეთ რაც შეიძლება გრძელი ხმალი და ამ სადამოს მობრძანდით.

– სად გნახოთ, ბატონო?

– ლუქსემბურგის სასახლის უკან, საუცხოო უბანი გახლავთ ისეთი დროსტარებისათვის, რომელსაც ჩვენ ვაპირებთ.

– ძალიან კარგი, მაშ, იქ გნახავთ.

– რომელ საათზე?

– ექვსზე.

– მართლაც, თქვენც ხომ გეყოლებათ ერთი-ორი კარგი მეგობარი?

– სამი მეგობარი მყავს და დიდ პატივად ჩათვლიან, თან მეახლონ.

– სამიო? დიდებულია! რა კარგად დაემთხვა! – წამოიძახა დ არტანიანმა, – მეც სწორედ სამი მეგობარი მყავს.

– ახლა ეს მითხარით, ვინა ბრძანდებით, ბატონო? – ჰკითხა ინგლისელმა.

– მე გახლავართ ბატონი დ არტანიანი, გასკონელი კეთილშობილი, ბატონ დე ზესარის რაზმელი.

– მე გახლავართ ლორდი უინტერი, ბარონი შეფილდი.

– თქვენი უმორჩილესი მონა გახლავართ, ბატონო ბარონო, – გამოეთხოვა დ არტანიანი. – თუმცა ისეთი გვარი გქონიათ, რომ ვერც კი გამოთქვამს ადამიანი.

გასკონელმა დეზი ჰკრა ცხენს და პარიზისაკენ გააჭენა. ამგვარ შემთხვევაში პირველად ჩვეულებად ჰქონდა, ათოსი უნდა ენახა, ამიტომ პირდაპირ თავისი მეგობრისკენ წავიდა.

ათოსი დიდ მერხზე გაწოლილიყო და, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, მასთან თავისით მისულ საჭირო აღჭურვილობას ელოდა.

დ არტანიანმა დაწვრილებით უამბო ათოსს თავისი თავგადასავალი, ოღონდ ბატონ დე ვარდისადმი მიწერილი წერილის შესახებ არაფერი უთხრა.

აღტაცებული დარჩა ათოსი, როდესაც გაიგო, რომ ინგლისელს უნდა შებრძოლებოდა, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ახლა ამაზედა ოცნებობდა.

მაშინვე აფრინეს მსახურები პორთოსის და არამისის მოსაყვანად, რომლებიც დაუყოვნებლივ იქ გაჩნდნენ. მათაც გააგებინეს საქმის ვითარება.

პორთოსმა ქარქაშიდან ამოიღო ხმალი და ფარიკაობა დაუწყო კედელს; ხან დაჰკრავდა, ხან იგერიებდა და უკან იწევდა, ხან ისევ მიახტებოდა. ისე ხტოდა, როგორც კარგი მოცეკვავე. არამისს ჯერ კიდევ არ გაეთავებინა თავისი პოემა, ათოსის კაბინეტში ჩაიკეტა და ამხანაგებს სთხოვა, საუზმემდე არ შეეწუხებინათ.

ათოსმა გრიმოს ანიშნა, ერთი ბოთლი ღვინო მოეტანა.

რაც შეეხება დ არტანიანს, იგი იჯდა და იმუშავებდა ერთგვარ გეგმას, რომლის განხორციელებასაც მალე ვიხილავთ, და რომელიც, – თუკი მის სახეზე გადაფენილი ღიმილის მიხედვით ვიმსჯელებთ, – ეტყობოდა, ძალიან საამო თავგადასავალს უქადდა.

I

ინგლისელები და ფრანგები

დანიშნულ დროს მეგობრები, ოთხივე მსახურის თანხლებით, ლუქსემბურგის სასახლის უკან, მინდორზე გამოცხადდნენ, სადაც თხები ბალახსა სძოვდნენ. ათოსმა ფული აჩუქა მწყემსს, რომ თავიდან მოეცილებინა, ხოლო მსახურებს უბრძანა, დარაჯებად დამდგარიყვნენ.

ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მდუმარედ მომავალი ინგლისელთა ჯგუფი. ისინიც მუშკეტერებს შეუერთდნენ, რასაც, ინგლისური ჩვეულების მიხედვით, ურთიერთგაცნობა მოჰყვა.

წარჩინებული წოდების ინგლისელები მოწინააღმდეგეების უცნაურმა სახელებმა არა მარტო განაცვიფრა, არამედ დააფიქრა კიდეც.

– მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ამხანაგები უკვე წარმოგვიდგინეთ, – მიმართა ლორდმა უინტერმა დ არტანიანს, – ჩვენ მაინც არ ვიცით, ვინ ბრძანდებით, და არ შეგვიძლია შევებრძოლოთ ასეთი გვარების პატრონთ, ეს უბრალო მწყემსების სახელებია.

– მე მგონია, თვითონაც ხვდებით, ბატონო ჩემო, რომ იგი მხოლოდ გამოგონილია, – თქვა ათოსმა.

– მით უფრო მეტად გვსურს, გავიგოთ მოწინააღმდეგეთა ნამდვილი ვინაობა, – უპასუხა ინგლისელმა.

– ამას წინათ ორი ცხენი რომ მოგვიგეთ, კარგად იკადრეთ ჩვენთან თამაში, ისე რომ არც კი მოგგონებიათ ჩვენი ვინაობის გამოკითხვა, – შენიშნა ათოსმა.

– ეგ მართალია, მაგრამ იქ საქმე შეეხებოდა ფულს, აქ კი განსაცდელში ვაყენებთ ჩვენს სიცოცხლეს. ადამიანი შეიძლება განურჩევლად ეთამაშოს ყველას, მაგრამ საბრძოლველად მხოლოდ თავის თანასწორთან გადის.

– მართალია, – თქვა ათოსმა და ხელი მოჰკიდა იმ ინგლისელს, რომელსაც თვითონ უნდა შებრძოლებოდა, გვერდზე გაიყვანა და ჩუმად თავისი გვარი უთხრა.

ასევე მოიქცნენ პორთოსი და არამისიც.

– დაკმაყოფილდით? – მიმართა თავის მოწინააღმდეგეს ათოსმა, – საკმარისად დიდებულად მცნობთ, რომ პატივი მცეთ და ხმალი გადამიჯვარედინოთ?

– დიახ, ბატონო, – მიუგო ინგლისელმა და თავი მდაბლად დაუკრა.

– ძალიან კარგი! თუ გნებავთ, ერთ რამეს კიდევ მოგახსენებთ, – განაგრძო ცივად ათოსმა.

– რას ბრძანებთ?

– ძალიან კარგს იზამდით, არ დაინტერესებულიყავით ჩემი ნამდვილი გვარის გაგებით.

– ეგ რატომ?

– იმიტომ, რომ ყველას მკვდარი ვგონივარ და არ მინდა იცოდნენ ჩემი არსებობა, ასეთი სურვილისათვის მე საკმაოდ შესაწყნარებელი მიზეზები მაქვს, ხოლო ყოველივე ამის შემდეგ, იძულებული ვიქნები, აღარ დაგინდოთ. არ მინდა, ქვეყანას მოეფინოს ჩემი საიდუმლოება.

ინგლისელი ათოსს დააცქერდა, ეგონა, მეხუმრებაო, მაგრამ ხუმრობის გუნებაზე არ გახლდათ მუშკეტერი.

– აბა, ბატონებო, მზად ვართ თუ არა? – მიმართა ათოსმა მტრებსაც და მეგობრებსაც.

– დიახ! – უპასუხეს ერთხმადვე ინგლისელებმა და ფრანგებმა.

– მაშ, დავიწყოთ.

ჩამავალ მზის სხივებში იმ წუთშივე შეითამაშა რვა ხმალმა და საშინელი მძვინვარებით დაიწყო ბრძოლა ადამიანებს შორის, რომელთაც ერთმანეთთან ორმაგი მტრობა ჰქონდათ, – პირად შეურაცხყოფას ეროვნული მტრობაც ემატებოდა.

ათოსი ისე დინჯად და წესების ზუსტი დაცვით იბრძოდა, თითქოს საფარიკაო დარბაზში ყოფილიყოს.

პორთოსისათვის, ეტყობოდა, კარგი გაკვეთილი მიეცა შანტილში მიღებულ ჭრილობებს, ამიტომ მეტად ფრთხილად და მოხერხებულად ათამაშებდა ხმალს.

არამისი, რომელსაც დასამთავრებელი ჰქონდა თავისი პოემის მესამე თავი, ცდილობდა, მალე მოეღო ბოლო ამ დუელისათვის.

პირველად ათოსმა მოკლა ინგლისელი, მხოლოდ ერთხელ ჩაჰკრა, მაგრამ, როგორც თვითონ დაემუქრა, სასიკვდილოდ გაუგმირა გული.

მეორედ პორთოსმა დასცა თავისი მოწინააღმდეგე, რომელმაც ბარძაყში მიღებული ჭრილობის გამო წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო და თავისი

ხმალი პორთოსს გადასცა. გამარჯვებულმა მუშკეტერმა ინგლისელი ხელში აიყვანა და თავის ეტლში ჩასვა.

არამისმა ისე მაგრად შეუტია თავის მოპირდაპირეს, რომ ორმოცდაათიოდე ნაბიჯით უკან დახევის შემდეგ აიძულა, მთელი სისწრაფით მოეკურცხლა. მსახურებმა გაქცეული ყვირილითა და სტვენით გააცილეს.

რაც შეეხება დ არტანიანს, მან სულ უბრალო თამაშად გაიხადა ეს დუელი, და როდესაც შეატყო, რომ მოპირდაპირე მოიქანცა, ენერგიული დარტყმით ხმალი ხელიდან გააგდებინა. უხმლოდ დარჩენილმა ბარონმა ორი-სამი ნაბიჯით უკან დაიწია, მაგრამ უცებ ფეხი წაუსხლტა და მიწაზე პირაღმა გაიშხლართა.

დ არტანიანი იმ წუთშივე მასთან გაჩნდა, ხმალი ყელზე დაადო და უთხრა:

– ჩემ ხელთ ბრძანდებით, ბატონო, შემიძლია აქვე გაგათავოთ, მაგრამ თქვენი დის სიყვარულით მომინიჭებია თქვენთვის სიცოცხლე.

აღტაცებული იყო დ არტანიანი, საზღვარი აღარ უჩანდა მის სიხარულს, ხორციელდებოდა გასკონელის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმა.

ასეთი ზრდილი და კეთილშობილი მტრით აღტაცებულმა ინგლისელმა დ არტანიანი გულში ჩაიკრა და მუშკეტერს ათასი საალერსო სიტყვა უთხრა.

რაკი პორთოსის მიერ დაჭრილი ინგლისელი ეტლში იჯდა, ხოლო არამისის სამარცხვინოდ გაქცეულ მოპირდაპირეს გზა აემტვერებინა, ყველას ყურადღება მოკლულმა მიიქცია.

პორთოსი და არამისი ტანისამოსს ხდიდნენ უბედურს, იმედი ჰქონდათ, იქნება სასიკვდილო არ გამომდგარიყო ჭრილობა. ინგლისელს ქამარში ჩამაგრებული დიდი ქისა გადმოუვარდა. დ არტანიანმა მაშინვე აიღო და ლორდ უინტერს გაუწოდა.

– რა ეშმაკად მინდა, მე რომ მაძლევთ მაგ ქისას? – გაიკვირვა ინგლისელმა.

– ამ უბედურის ცოლ-შვილს გადასცემთ, – უპასუხა დ არტანიანმა.

– რა საჭიროა მისი ცოლ-შვილისათვის ეს წვრილი ფული. თხუთმეტი ათასი ლივრი მაინც დარჩებათ წლიური შემოსავალი. შეინახეთ და შემდეგ თქვენს მსახურებს უბოძეთ.

დ არტანიანმა ქისა ჯიბეში ჩაიდო.

– ახლა კი, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ვიმედოვნებ, უფლებას მომცემთ, ასე მოგმართოთ, – უთხრა ლორდმა უინტერმა დ არტანიანს, – დღეს საღამოთი წარგადგენთ ჩემს დასთან, ლედი კლარიკთან. მინდა მოწყალებით გადმოგხედოთ. იგი საკმაოდ მიღებულია სასახლის კარზე და შეიძლება მომავალში მისი სიტყვა თქვენთვის სასარგებლო გახდეს.

დ არტანიანი სიამოვნებისაგან გაწითლდა და თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

ამ დროს ათოსიც მიუახლოვდა გასკონელს და ყურში ჩურჩულით ჰკითხა:

– რას უპირებთ მაგ ქისას, ჩემო დ არტანიან?

– თქვენ უნდა მოგართვათ.

– მე? რისთვის?

– რა ვქნა, ხომ თქვენ მოკალით ის კაცი, ნადავლი გამარჯვებულს ეკუთვნის.

– მტრის მემკვიდრე უნდა გავხდე?! – შეჰყვირა ათოსმა, – ვინა გგონივართ, დ არტანიან?!

– ჩვეულებრივად ხომ ასეა მიღებული ომში, და განა დუელშიც ასე არ უნდა ხდებოდეს? – უპასუხა დ არტანიანმა.

– ბრძოლის ველზედაც არასოდეს არ მისარგებლია ამგვარი წესით.

პორთოსმა მხრები აიჩეჩა. არამისმა მოწონების ნიშნად გაიღიმა.

– მაშ, კარგი, ლორდ უინტერისა არ იყოს, მსახურებს ვუბოძოთ ეს ფული, – თქვა დ არტანიანმა.

– აგრე იყოს, – დაეთანხმა ათოსი, – მსახურებს ვუბოძოთ, ოღონდ ჩვენებს კი არა, – ინგლისელთა მსახურებს.

ამ კეთილშობილურმა ჟესტმა, განსაკუთრებით ათოსისაგან, რომელსაც ერთი გროშიც არ გააჩნდა, პორთოსიც კი მოიყვანა აღტაცებაში, ხოლო მოწინააღმდეგეებში ისეთი აღფრთოვანება გამოიწვია ამ ფრანგულმა გულუხვობამ, რომ ლორდი უინტერი და მისი მეგობარი ყველას უამბობდნენ მერე ამას. იქ მყოფთაგან მხოლოდ ბ-ნი გრიმო, მუშკეტონი, პლანშე და ბაზენი არ აღფრთოვანებულან.

გამოთხოვებისას ლორდმა უინტერმა თავისი დის მისამართი გადასცა დ არტანიანს. იგი ცხოვრობდა მეფის მოედანზე, №6 სახლში. თუმცა ბოლოს შეჰპირდა, მე თვითონ გამოგივლი და წაგიყვანო. დ არტანიანმა შეხვედრის ადგილად ათოსის ბინა დაუსახელა, სადაც ლორდ უინტერს 8 საათზე უნდა გაევლო.

მილედისთან შეხვედრაზე ფიქრი ერთი წუთითაც არ ტოვებდა ჩვენს გმირს. იგი წინასწარვე ღელავდა, აგონდებოდა, როგორი უცნაური შემთხვევებით იჭრებოდა ეს ქალი მის ცხოვრებაში. დ არტანიანი დარწმუნებული იყო, რომ მილედი კარდინალს ემსახურებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაღაც დაუოკებელი ძალა ისეთი გრძნობით იზიდავდა მისკენ, რომ ანგარიშს ვერ აძლევდა თავის თავს. დ არტანიანს ეშინოდა, მილედიმ ჩემში არ იცნოს მენგში და დუვრში ნანახი კაციო. მაშინ ქალისთვის აშკარა გახდებოდა, რომ მისი ახალი ნაცნობი ბატონ დე ტრევილის მეგობართაგანი იყო და, მაშასადამე, სულით ხორცამდე მეფეს ეკუთვნოდა. ამით უპირატესობას კარგავდა გასკონელი, რადგანაც, თუ მილედისაც ეცოდინებოდა მისი ვინაობა, მაშინ თანასწორი ძალით უნდა წარმართულიყო მათი თამაში.

რაც შეეხება მილედის მიერ გრაფ ვარდისადმი არშიყობის დაწყებას, ამას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ჩვენი თავმომწონე ჭაბუკი. თუმცა კარგად ხედავდა, რომ გრაფი წარჩინებული გვარის, მდიდარი და ლამაზი ახალგაზრდა იყო, რომელსაც წყალობის თვალით უყურებდა კარდინალი, მაგრამ უმნიშვნელო როდი იყო ის, რომ დ არტანიანი ოცი წლის გახლდათ და თანაც ტარბში დაბადებული.

დ არტანიანი ჯერ შინ მივიდა, რათა საუკეთესო ტანისამოსით მორთულიყო, მერე ათოსთან გაიარა და, ჩვეულებისმებრ, ყველაფერი უამბო. ათოსმა გულისყურით მოუსმინა, თავი გაიქნია და ურჩია, ფრთხილად მოქცეულიყო.

– როგორ! – მიმართა გაკვირვებულმა ათოსმა, – თქვენ ეს არის დაკარგეთ ქალი, რომელიც კეთილად და ლამაზადაც მიგაჩნდათ და ახლა უკვე მეორეს დასდევთ?

დ არტანიანმა იგრძნო ამ საყვედურის სიმართლე.

– ქალბატონი ბონასიე გულით მიყვარდა, – უპასუხა მან, – მილედი კი თავით მიყვარს. მისი გაცნობა იმიტომ მინდა, რომ გავიგო, რა როლი აქვს მას სასახლეში.

– რა როლი აქვს და რას წარმოადგენს? განა ძნელია მაგის გამორკვევა იმ ცნობებიდან, რომელიც თქვენ მიამბეთ? კარდინალის მონა-მორჩილია, მისი ჯაშუშია. იცოდეთ, ჩემო დ არტანიან, ეს ქალი მახეში გაგაბამთ და ისე ჩაგიჭერთ, რომ თავს ვეღარ დააღწევთ.

– ეჰ, ათოს! მეტად შავად გეჩვენებათ ყველაფერი!

– ჩემო ძვირფასო, ვერ ვენდობი, ვერა, ქალებს; რას იზამთ, მე მათ ძალიან უხვად მომიზღეს, მეტადრე – ქერა ქალებმა, მილედიც ქერაა, არა? მგონი, ასე მითხარით?

– საუცხოო ქერა თმა აქვს, უკეთესს ვერასა ნახავს ადამიანი.

– ეჰ, ჩემო საბრალო დ არტანიან! – ამოიოხრა ათოსმა.

– მომისმინეთ, ათოს, მინდა გამოვარკიო, რაც მაწუხებს, გავიგებ და მერე ახლოც აღარ გავეკარები.

– გამოარკვიეთ, – უპასუხა დადონებულმა ათოსმა.

სწორედ დანიშნულ დროს მოვიდა ლორდი უინტერი. ათოსს წინასწარვე აცნობეს მისი მისვლა და ისიც მაშინვე მეორე ოთახში გავიდა. ლორდს მარტო დ არტანიანი დაუხვდა და რაკი რვა საათი სრულდებოდა, მილედისთან წაიყვანა ჩვენი გმირი.

ქუჩაში მათ ძვირფასი ცხენებით შეკაზმული კარეტა ელოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე მეფის მოედანზე იყვნენ.

მილედი კლარიკმა ცივად მიიღო დ არტანიანი. მეტად მდიდრულად იყო მორთული მისი სასახლე. თუმცა ომის გამოცხადების გამო ინგლისელების უმრავლესობა უკვე ტოვებდა საფრანგეთს, ან უკვე მზად იყო წასასვლელად, მაგრამ მილედის ბრძანებით, მის სასახლეში ბევრი რამ ახალი გაეკეთებინათ, რაც ნათლად ამტკიცებდა, რომ მას არ შეეხებოდა ეს საერთო განკარგულება.

– თქვენს წინაშე, – მიმართა მილედის ლორდმა უინტერმა დ არტანიანის წარდგენისას, – გახლავთ კეთილშობილი ყმაწვილი, რომლის ხელთ იყო ჩემი სიცოცხლე, მაგრამ მან არ ისურვა უპირატესობით სარგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ორმაგი მტრობა ჰქონდა ჩემთან: ჯერ ერთი, პირველად მე მივაყენე შეურაცხყოფა და, ამას გარდა, მე ინგლისელი ვარ. მაშ, მადლობა მიუძღვენით, ქალბატონო, თუ მართლა რამედ გიღირთ ჩემი სიცოცხლე.

მილედიმ წარბი ოდნავ შეიჭმუხნა, თითქმის შეუმჩნეველმა ღრუბელმა გაურბინა შუბლზე და მის ბაგეზე ისეთი უცნაური ღიმილი გამოჩნდა, რომ ყმაწვილი კაცი, რომელსაც არ გამოჰპარვია მისი გამომეტყველების ცვალებადობა, თრთოლამ აიტანა.

ძმამ ვერ შეამჩნია ეს. იგი ეთამაშებოდა მილედის საყვარელ მაიმუნს, რომელიც უკანიდან ჩასჭიდებოდა მის ქურთუკს.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო, – მიმართა ქალმა ალერსიანი ხმით, რომლის სიტკბოებამ დ არტანიანი ვერ დაამშვიდა. – დღეიდან თქვენ საუკუნოდ მოიპოვეთ ჩემი გულითადი მადლობა.

ლორდი უინტერი დას მოუბრუნდა და ისე დაწვრილებით უამბო წედანდელი ამბავი, რომ ერთი წვრილმანიც არ გამოუტოვებია. მილედი დიდი ყურადღებით ისმენდა, მაგრამ მაინც ცხადად ჩანდა, რომ მას სრულებითაც არ სიამოვნებდა ყოველივე, თუმცა ძალიან ცდილობდა, არ გამოემჟღავნებინა თავისი განწყობილება. სისხლი უვარდებოდა თავში, ფერფური მისდიოდა და მოუთმენლად აბაკუნებდა იატაკზე თავის პატარა ფეხს.

ლორდი უინტერი ვერაფერს ამჩნევდა. დუელის ამბავი რომ დაამთავრა, იგი მაგიდასთან მივიდა, რომელზედაც ადრევე დაედგათ ბოთლით ესპანური ღვინო და ჭიქები. მან ორი სასმისი ღვინით გაავსო და დ არტანიანს უსიტყვოდ ანიშნა, დაელია.

ძალიან კარგად იცოდა ჩვენმა გასკონელმა, რომ ინგლისელს ყველაზე მეტად ის ეწყინება, ღვინით თუ არ დალოცე, ამიტომ იგი მაგიდასთან მივიდა და სასმისი აიღო, თან თვალს არ აშორებდა მილედის, რომელსაც ეგონა, აღარავინ მიყურებსო, და მძვინვარე სახე მიეღო, გაფითრებულიყო და თავისი ლამაზი კბილებით წიწკნიდა ცხვირსახოცს. გასკონელმა სარკეში დაინახა ყველა ის ცვლილება, რომელიც ქალის სახეზე აღბეჭდილიყო.

ამ დროს ოთახში ის ახალგაზრდა ლამაზი მოახლე შემოვიდა, რომელიც კარგად დამახსოვრებოდა დ არტანიანს. მან ინგლისურ ენაზე რამდენიმე სიტყვა მოახსენა ლორდ უინტერს, რომელიც მაშინვე დ არტანიანს მიუბრუნდა:

– ბოდიშს ვიხდი, რომ სასწრაფო საქმის გამო იძულებული ვარ დაგტოვოთ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩემი და გამოისყიდის ჩემს დანაშაულს.

დ არტანიანმა ლორდ უინტერს ხელი ჩამოართვა და ისევ მილედისთან მივიდა. საკვირველი სისწრაფით გამოიცვალა ქალმა წეღანდელი მძვინვარე გამომეტყველება და ისევ ტკბილი მასპინძლის სახით დაუხვდა სტუმარს. თუმცა ცხვირსახოცზე დარჩენილი წითელი ლაქები ამტკიცებდნენ, რომ სიბრაზისაგან მშვენიერი ძოწის ტუჩები დაეკბინა და სისხლი გამოსვლოდა.

ბაასმა მილედი გამოაცოცხლა, გული მოუბრუნა და კარგ გუნებაზე დააყენა. მან უამბო დ არტანიანს, რომ ლორდი უინტერი მისი მაზლი იყო და არა ძმა, იგი იყო უმცროსი ძმის ცოლი. ქმარი ადრე მოკვდომოდა, ქვრივად დარჩენილიყო პატარა ბავშვით, რომელიც ლორდ უინტერის ერთადერთი მემკვიდრე იქნებოდა, თუ ის ცოლს არ შეირთავდა. დ არტანიანი გრძნობდა, რომ რაღაც საიდუმლოებით მოცული ფარდა იყო ჩამოფარებული მათ შორის, მაგრამ რა იმალებოდა ამ ფარდის უკან, იგი ჯერ ვერ მიმხვდარიყო.

ნახევარი საათის ბაასის შემდეგ დ არტანიანი დარწმუნდა, რომ მილედი მისი თანამემამულე იყო: იგი ისე წმინდა და მოხდენილი ფრანგულით ლაპარაკობდა, რომ შეუძლებელი იყო ამაში ეჭვის შეტანა.

დ არტანიანი ქათინაურებით თავის ერთგულებას უმტკიცებდა მილედის. ქალი ისმენდა ყმაწვილი კაცის ლაყბობას და გულკეთილად იღიმებოდა. დადგა განშორების ჟამი. ჩვენი გმირი გამოეთხოვა მასპინძელს და დარბაზიდან გამოსული, თავს უბედნიერეს კაცად თვლიდა.

კიბეზე მილედის კოხტა მოახლეს შეხვდა. მან გვერდით გაუარა დ არტანიანს, ოდნავ გაეხახუნა და ყურებამდე გაწითლდა, მაგრამ ისეთი საამო ხმით მოიხადა ბოდიში, რომ მაშინვე მოიგო გასკონელის გული.

დ არტანიანი მეორე დღესაც მივიდა მილედის სანახავად. ამჯერად უფრო უკეთ მიიღეს. ლორდი უინტერი აქ არ იყო და მილედის დარჩა მასპინძლობა. ეტყობოდა, ქალს აინტერესებდა დ არტანიანის ვინაობა და ჰკითხა, სადაური ბრძანდებოდა, ვინ იყვნენ მისი მეგობრები, უფიქრია თუ არა კარდინალთან შესულიყო სამსახურში და სხვა.

მაგრამ მკითხველმა უკვე იცის, რომ ჩვენი გასკონელი თავის ასაკთან შედარებით მეტად ფრთხილი იყო. მაშინვე მოაგონდა მილედის მიმართ აღძრული ეჭვები და დიდი ქება-დიდებით მოიხსენია მისი ყოვლადუწმინდესობა, სამსახურის შესახებ კი უპასუხა: აუცილებლად შევიდოდა კარდინალის რაზმში, ახლად ჩამოსულს ბატონი კავუა რომ მცნობოდაო. მაგრამ რა მექნა, ბატონი დე ტრევილის მეტს არავის ვიცნობდი და ამიტომ მეფის რაზმელებში ჩამრიცხესო.

მილედიმ საუბრის საგანი შეცვალა და სხვათა შორის ჰკითხა:

– ინგლისში ხომ არ ყოფილხართ როდისმე?

დ არტანიანმა უპასუხა, იქ ბატონმა დე ტრევილმა გამაგზავნა ცხენების შესაძენად და ოთხი საგანგებო ცხენი გადმოვიყვანეო.

ამ საუბრის დროს მილედიმ ორჯერ თუ სამჯერ იკბინა ტუჩზე. იგი გრძნობდა, რომ საქმე ჰქონდა ეშმაკ გასკონელთან, რომელიც თავის როლს მეტად მოხერხებულად თამაშობდა.

დ არტანიანი ახლაც სწორედ იმ დროს გამოეთხოვა მილედის, როგორც წინა ღამეს. დერეფანში კვლავ დაუხვდა ის ლამაზი კეტი (ასე ერქვა მილედის მხევალს), იგი ისეთი ალერსიანი თვალებით შეჰყურებდა ყმაწვილკაცს, რომ, ეჭვი არ იყო, მას შესტრფოდა. მაგრამ ქერათმიანი ქალბატონით გატაცებული ჩვენი გმირი სხვას ვერავის ამჩნევდა.

დ არტანიანი ყოველ საღამოს დადიოდა მილედის სანახავად. მასპინძელი დღითიდღე უფრო უკეთესად ხვდებოდა. ყოველ საღამოს, იქნებოდა ეს კიბეზე, დერეფანში თუ დარბაზის მოსაცდელ ოთახში, ცუგრუმელა კეტი უნდა დახვედროდა დ არტანიანს. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი გმირი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საწყალი გოგოს ალერსიან თვალებს.

II

ვექილის სადილი

დუელმა, რომელშიაც ასე ბრწყინვალე როლი ითამაშა პორთოსმა, ვერ დაავიწყა მას ვექილის ცოლთან დანიშნული სადილი. მეორე დღეს პირველი საათისათვის მან ერთხელ კიდევ გადაასმევინა მუშკეტონს ჯაგრისი ტანისამოსზე და დათვის ქუჩისკენ გაემართა იმ ბედნიერი კაცის ნაბიჯით, რომელსაც ორმაგად სწყალობს ბედი.

გული უცემდა პორთოსს, მაგრამ ეს არ ჰგავდა დ არტანიანის ჭაბუკურ და მოუთმენელ სიყვარულს. არა, მას ნივთიერი გამორჩენა უღელვებდა სისხლს. ძლივს უნდა ღირსებოდა იმ საიდუმლო ზღურბლის გადაბიჯებას და იმ უცნობი კიბის ავლას, რომელზედაც თითო-თითოდ ადიოდნენ ბატონი კოკნარის ძველი პისტოლები.

ახლა უკვე ნამდვილად ნახავდა იმ საოცნებო სკივრს, რომელიც რამდენჯერმე დაესიზმრა განძეულობით სავსე, გრძელი და ღრმა, რამდენიმე საკეტით გადაკეტილი და იატაკზე დამაგრებული. რამდენჯერ სმენია მას ამ სკივრზე საუბარი და დღეს ქალბატონი კოკნარი, თავისი ოდნავ ჩამომხმარი, დიახ, ჩამომხმარი, მაგრამ ჯერ კიდევ მოხდენილი ხელებით გაუხსნიდა ამ საგანძურს.

გარდა ამისა, სხვა ნეტარებაც მოელოდა უთავშესაფროდ მოხეტიალე მუშკეტერს, რომელსაც არც ოჯახი ჰქონდა, არც ქონება. იგი ჯარისკაცი იყო. დუქნების, სამიკიტნოების და სასტუმროების მუშტარი, რომელიც შემთხვევითი სადილებით კმაყოფილდებოდა. ახლა კი პორთოსი შინაური სადილითა და ოჯახური მყუდროებით, მასპინძლების მზრუნველობითა და პატიჟით უნდა დამტკბარიყო, ძველი მებრძოლების სიტყვებით რომ ვთქვათ, მით უფრო ტკბილია მასპინძლის ეს შეპატიჟება და ძალდატანება – „მიირთვი როგორმეო“, რამდენადაც მეტად გიჭირს.

ძლივს წყალობის თვალით გადმოხედა ბედმა. დეიდაშვილად გაცნობილ პორთოსს საშუალება ეძლეოდა, ყოველდღე სწვეოდა ვექილს სტუმრად, კარგად გაწყობილ სუფრასთან გამოჭიმულიყო, გაემხიარულებინა ბებერი ვექილის ჩაყვითლებული, ნაოჭით დასერილი შუბლი, გაეფცქვნა მისი მსახურები, ესწავლებინა მათთვის ბასეტისა და გალბიკის თამაში, ხოლო სამაგიეროდ, ჩატარებული გაკვეთილის გასამრჯელოდ, ერთ საათში მოეგო საწყალი ბიჭებისათვის მთელი ერთი თვის ჯამაგირი.

მართალია, მუშკეტერის ყურამდეც მიდიოდა ცუდი ხმები ვექილებზე, ლაპარაკობდნენ მათ სიძუნწეზე და წვრილმანობაზე, იმასაც ამბობდნენ, სადილებისგან ხშირად თავს იკავებენო, მაგრამ პორთოსს იმედი ჰქონდა, რომ ვექილის ცოლი, რომელიც თავისი წოდების კვალობაზე საკმაოდ გულუხვი იყო, თავის ოჯახში ხელგაშლილად იცხოვრებდა.

მაგრამ სახლს რომ მიადგა, პორთოსსაც ეჭვი დაებადა. შესასვლელი ნაკლებად იზიდავდა ადამიანს: ჭუჭყიანი, აყროლებული დერეფანი, ნახევრად ბნელი კიბეები, მეორე სართულზე დაბალი კარები, რომელიც დიდი ლურსმნებით იყო მიჭედილი, თითქოს გრანშატლეს საპყრობილე ყოფილიყოს.

პორთოსმა დააკაკუნა. მაღალმა, გამხდარმა მდივანმა, რომლის სახე გაწეწილ თმაში არც კი მოჩანდა, კარი გაუღო და თავი მდაბლად დაუკრა.

პირველი მდივნის უკან მოჩანდა მეორე, უფრო პატარა ტანისა: მის უკან – მესამე, მეორეზე ცოტათი მაღალი, ხოლო სულ უკან თორმეტიოდე წლის ბიჭი იდგა.

სულ სამ-ნახევარი მდივანი ჰყავდა ვექილს და იმ დროისათვის ამდენი დამხმარეების ყოლა იმას ამტკიცებდა, რომ ბევრი საქმე უნდა ჰქონოდა და, მაშასადამე, კარგი შემოსავალიც.

მუშკეტერი პირველ საათზე უნდა მისულიყო, მაგრამ დიასახლისი თერთმეტიდან თვალს არ აშორებდა ქუჩას. იმედი ჰქონდა, რომ გული, ან იქნება კუჭი, დააჩქარებდა სატრფოს და დანიშნულ დროზე ადრე აღირსებდა მის ნახვას.

ქალბატონი კოკნარი თავისი ოთახიდან სწორედ იმ დროს გამოვიდა, როდესაც პორთოსი კიბეზე ადიოდა. ღირსეული ქალბატონის დანახვამ მუშკეტერი უხერხული მდგომარეობიდან გამოიყვანა.

მსახურები განცვიფრებული თვალებით შეჰყურებდნენ პორთოსს, რომელმაც არ იცოდა, რა ეთქვა, და მათ წინაშე მუნჯივით იდგა.

– ეს ხომ ჩემი დეიდაშვილია! – შეჰყვირა დიასახლისმა, – მობრძანდით, ბატონო პორთოს, მობრძანდით!

სახელმა პორთოსმა შთაბეჭდილება მოახდინა მოსამსახურეებზე და სიცილი ვერ შეიმაგრეს; მაგრამ მუშკეტერი მაშინვე შემოტრიალდა და ოთხივეს სახემ დარბაისლური გამომეტყველება მიიღო.

ვექილის კაბინეტში მისვლამდე გაიარეს მოსაცდელი ოთახი, სადაც ამჟამად მდივნები იყვნენ, მერე სამდივნო, სადაც მდივნები უნდა ყოფილიყვნენ. სამდივნო ქაღალდებით გამოვსებულ საშინელ ოთახს წარმოადგენდა. იქიდან რომ გამოვიდნენ, მარჯვნივ დატოვეს სამზარეულო და მისაღებ დარბაზში შევიდნენ.

ვერაფრად ეჭაშნიკა პორთოსს ეს ერთმანეთისაგან განუცალკევებელი ოთახები. კარები ყველგან ღია იყო, კაცს რომ ხმა ამოეღო, ყველა ოთახში გაიგონებდნენ. გარდა ამისა, გავლისას პორთოსმა სწრაფი და გამოცდილი თვალით გადახედა სამზარეულოს, მაგრამ ქალბატონის სამარცხვინოდ და თავის საუბედუროდ, ვერ შენიშნა ის გაცხოველებული ფაციფუცი, ის აღფრთოვანება და აღგზნებული მოძრაობა, რომელიც კარგი სადილის მოსამზადებლად, ჩვეულებრივ, ყოველთვის მეფობს ჭამა-სმის მოყვარულთა საკურთხეველში.

ვექილი ალბათ წინასწარ იყო გაფრთხილებული ამ სტუმრობისათვის, რადგანაც პორთოსის დანახვაზე ოდნავი განცვიფრებაც კი არ გამოხატვია სახეზე. მუშკეტერმა თავისუფლად და ზრდილობიანად დაუკრა თავი.

– როგორც ჩანს, ბატონო პორთოს, ჩვენ თურმე ნათესავები ვყოფილვართ, არა? – უთხრა ვექილმა და ხელებით დაეყრდნო მაგიდას, რომ მისალმების დროს ოდნავ მაინც წამომდგარიყო ბამბუკის სავარძლიდან.

მოხუცებულს დიდი შავი ქურთუკი ეცვა და ისე იყო მოფუთნული, რომ შიგ იკარგებოდა თავისი სუსტი ტანით. ჩამომხმარს და ჩამწვანებულს, საოცრად უბრწყინავდა მონაცრისფრო, მომცრო თვალები, შეუჩერებლივ აცმაცუნებდა პირს. თითქოს მარტო თვალებსა და პირს შერჩენოდა სიცოცხლის ნიშანწყალი. საუბედუროდ, ფეხებს უარი გამოეცხადებინათ – აღარ შეგვიძლია ამ ძველი ძვლის მანქანის სამსახურიო. – უკვე ხუთი-ექვსი თვე იყო, რაც ვექილი ვერ დგებოდა სავარძლიდან. ამ სისუსტეს და დაავადებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ღირსეული ბატონი ვექილი თავისი ცოლის ყურმოჭრილ მონად გადაიქცა.

ბედისწერის მორჩილებით მიიღო ვექილმა თავისი ცოლის ნათესავი. ცხადია, ცოტა ძალა მაინც რომ ჰქონოდა, ვექილი კოკნარი არც პორთოსის გაცნობას ისურვებდა, არც მის ნათესაობას.

– დიახ, ბატონო, ნათესავები ვართ, – მიუგო გულცივად პორთოსმა, რომელსაც არასოდეს უფიქრია, რომ აღფრთოვანებით მიიღებდა ქმარი თავისი ცოლის საყვარელს.

– ნათესავები – ჩემი ცოლის მხრივ, თუ არა ვცდები, – განაგრძო დამცინავად ვექილმა.

პორთოსი ვერ მიუხვდა ამ დაცინვას, გულუბრყვილობაში ჩამოართვა და მსხვილ ულვაშში გულიანად ჩაიცინა. ქალბატონმა კოკნარმა კარგად იცოდა, რომ ვექილი იშვიათად მოტყუვდებოდა, ამიტომ ოდნავ გაიღიმა და გაწითლდა.

როგორც კი შევიდა პორთოსი, ბატონმა კოკნარმა მაშინვე შეშინებული თვალი გადაავლო მუხის საწერი მაგიდის პირდაპირ აღმართულ განჯინას.

მუშკეტერი მყისვე მიხვდა, რომ სწორედ ეს განჯინა უნდა ყოფილიყო ის სანუკვარი ნივთი, თუმცა სიზმარში ნანახი სკივრი არაფრით არა ჰგავდა მას. პორთოსი აღტაცებით შეჰხაროდა თავის თავს, ეს განჯინა გაცილებით უფრო მაღალი გამოდგა, ვიდრე სიზმრად წარმოედგინა.

ბატონმა კოკნარმა აღარ განაგრძო ნათესაობის გენეალოგიური კვლევა, შეშინებული თვალი განჯინიდან პორთოსზე გადაიტანა და უთხრა:

– იმედი მაქვს, ბატონი ჩვენი დეიდაშვილი, ბრძოლებში წაბრძანების წინ, პატივს გვცემს და ერთხელ მაინც დარჩება ჩვენთან სადილად! თქვენ რას იტყვით, ქალბატონო კოკნარ?

ამჯერად შიგ მიზანში მოხვდა პორთოსს ლახვარი, ეტყობა, თავის მხრივ, ქალბატონი კოკნარიც ვერ გადაურჩა მას, იგი ქმარს მიუბრუნდა და უთხრა:

– თუ ცუდად დავუხვდით, ჩემი დეიდაშვილი მეტად აღარც მობრძანდება ჩვენთან, ხოლო თუ გულითადი მასპინძლობა გამოვიჩინეთ, პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ მას პარიზში დიდხანს აღარ მოუწევს ყოფნა და, მაშასადამე, არც ჩვენთან სიარული, მაინც შეგვეძლება ვთხოვოთ, სულ ჩვენ შემოგვწიროს გამგზავრებამდე დარჩენილი თავისუფალი დრო.

– ოჰ, ნეტავი რა დაემართათ ჩემს ფეხებს? რა მოუვიდათ, სად გაქრნენ ასე უცბად! – ბუზღუნებდა ბატონი კოკნარი და ცდილობდა გაეღიმა.

ძალიან დაუმადლა ქალბატონ კოკნარს პორთოსმა ეს დახმარება, რადგან ეგონა, რომ სადილობის იმედი გაუცრუვდებოდა და სწორედ ამ დროს ედირსა ვექილისაგან მოპატიჟებას.

მალე სადილობის დრომაც მოაწია. ყველანი სასადილო დარბაზში გავიდნენ. ეს იყო სამზარეულოს პირდაპირ მდებარე დიდი, ბნელი ოთახი.

ამ სახლისათვის უჩვეულო სურნელებით აღგზნებული მდივნები სწორედ მხედრული სიზუსტით შესულიყვნენ სასადილო ოთახში, ხელში სკამები ეჭირათ და მოუთმენლად ელოდნენ მაგიდასთან შემოსხდომას. მათი ყბები წინასწარ მოსულიყო მოძრაობაში.

„შეგირცხვათ თავი! – გაიფიქრა პორთოსმა ამ სამი დამშეულის დანახვაზე, რადგან პატარა ბიჭს, როგორც ჩანდა, მასპინძლები საერთო სუფრასთან დაშვების ღირსად არ თვლიდნენ, – შეგირცხვათ თავი! მე რომ ამ ვექილის ადგილას ვიყო, ერთ დღეს არ შევინახავდი ამგვარ გაუმაძღარ სვავებს. კაცმა რომ შეხედოს, იფიქრებს, გემი დაზიანებიათ და ექვსი კვირის განმავლობაში არაფერი უჭამიათო“.

ამ დროს ბატონი ვექილიც გამოჩნდა, მას ქ-ნი კოკნარი მოაგორებდა ბორბლებიანი სავარძლით. პორთოსი მაშინვე მიეშველა ქალბატონს სავარძლის მაგიდასთან მიგორებაში.

სასადილო ოთახში შემოსვლისთანავე ბატონმა კოკნარმა ხარბად შეიყნოსა ჰაერი და თავისი მსახურების მსგავსად ყბები აამოძრავა.

– ოჰო! ოჰო! – წამოიძახა მან, – აი მადისამშლელი წვნიანი.

„ღმერთმა დასწყევლოს, ნეტავი რას ხედავენ ამ წვნიანში ასეთ არაჩვეულებრივს?!“ – გაიფიქრა პორთოსმა უფერული, წყალწყალა, მაგრამ უხვად მომზადებული წვნიანის დანახვაზე, რომელშიაც არქიპელაგის კუნძულებივით დაცურავდა გაფანტული შემწვარი პურის ნატეხები.

ქალბატონმა კოკნარმა გაიღიმა და მის ამ ნიშანზე ყველანი მაშინვე გაფაციცებით მიუსხდნენ სუფრას.

ჯერ მოხუცებულს მიართვეს წვნიანი, შემდეგ პორთოსს, მერე დიასახლისმა აივსო თავისი მათლაფა, მოუთმენლად შემყურე მდივნებს მხოლოდ პურის ნატეხები დაურიგა, უწვნოდ.

ამ დროს სასადილო ოთახის კარი თავისით, ჭრიალით გაიღო და პორთოსს თვალში ეცა პატარა მოსამსახურე, რომელსაც უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ლხინში. იგი იქვე, კარებთან მიმდგარიყო და სამზარეულოსა და სასადილოს ორმაგი სურნელებით დამტკბარი ცარიელ პურსა ჭამდა.

წვენის შემდეგ მსახურმა ქალმა შემოიტანა მოხარშული ქათამი, რომლის დანახვაზეც ყველას თვალები გადმოსცვივდა.

– ნათესავის სიყვარულიც ამას ჰქვია, ქალბატონო კოკნარ! – თქვა ვექილმა ტრაგიკული სიცილით, – ეჭვი არ არის, თქვენი დეიდაშვილის მადლობელი უნდა ვიყოთ!

მეტად გამხდარი იყო საწყალი ქათამი და ისეთი მაგარი, სქელი, აბურძგნილი ტყავი ეკრა, რომ შეუძლებელი იყო ხორცის მიგნება. ალბათ დიდხანს ეძებდნენ ამ ქათამს, რომელიც სიბერისგან მისუსტებული, მშვიდი სიკვდილის მოლოდინში, სადმე ქანდარაზე იქნებოდა მიმალული.

„ეჰ, ესეც შენი დედალი! – გაიფიქრა დაღონებულმა პორთოსმა. – დიდი პატივისმცემელი ვარ სიბერისა, მაგრამ მოხარშული ან შემწვარი ბებერი ქათამი ვერაფერი პატივსაცემია“.

შემდეგ მან თვალი გადაავლო მაგიდას იმაში დასარწმუნებლად, თუ რამდენად იზიარებდნენ სხვები მის მწუხარებას, მაგრამ განცვიფრებული დარჩა: ყველა აღტაცებით შეჰხაროდა მოხარშულ დედალს და თვალით ჭამდნენ მის მიერ დაწუნებულ ძვალსა და ტყავს.

დიასახლისმა ახლოს მიიდგა ლანგარი, მარჯვედ ჩამოსჭრა დედალს ორივე შავი ფეხი და ქმრის თეფშზე დადო; თავი და კისერი თავისთვის გადმოიღო, ხოლო პორთოსს ფრთა მიართვა. მერე აიღო ლანგარი და მსახურს გაატანა, ისე რომ, მოხარშული დედალი უკანვე გაბრუნდა, თითქმის უკლებლივ. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, ისე უცბად, რომ ჩვენმა მუშკეტერმა ვერც კი მოასწრო ერთმანეთისათვის შეედარებინა სასოწარკვეთილების გამომეტყველება სხვადასხვა ხასიათის და ტემპერამენტის დამშეულთა სახეებზე.

მსახურმა დედლის ნაცვლად დიდი თეფშით მოხარშული ცერცვი შემოიტანა, რომელშიც შიგადაშიგ ცხვრის ძვლები მოჩანდა. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, ძვალზე ხორციც იქნებაო, მაგრამ პორთოსს აქაც გაუცრუვდა იმედი.

მდივნები ამჯერად უკვე აღარ წამოეგნენ ანკესზე. მათი დაღვრემილი სახეები ბედისადმი მორჩილებას გამოხატავდა.

ქალბატონმა კოკნარმა მათ ნამდვილი დიასახლისური მომჭირნეობით დაურიგა მოხარშული ცერცვი.

ჯერი ღვინოზე მიდგა. ბატონმა კოკნარმა ქაშანურის პატარა ბოთლიდან ჯერ თავის მდივნებს დაუსხა ღვინო, თითოეულს ჭიქის მესამედი, თავისთვისაც თითქმის იმდენივე დაისხა, მერე ბოთლი პორთოსისა და ქალბატონ კოკნარისაკენ გადადგა.

მდივნებმა ჭიქები წყლით შეავსეს, შემდეგ ნახევრამდე მოსვეს და კვლავ წყლით გაავსეს... ასე გაგრძელდა სადილის დამთავრებამდე. ისე რომ, ბოლოს ლალისფერი ღვინის მაგივრად, კვამლისფერ სასმელს მიირთმევდნენ.

პორთოსმა დიდი შიშით შეჭამა ქათმის ფრთა და თრთოლა მოერია, როდესაც მაგიდის ქვეშ მუხლზე დიასახლისის მუხლის შეხება იგრძნო. მუშკეტერმაც დაისხა ნახევარი ჭიქა ამ ძვირფასი ღვინისა, რომელსაც ასე მომჭირნეობით ზოგავდნენ მისი მასპინძლები, დალია და მაშინვე იცნო გულისამრევი, საძაგელი, ადგილობრივი, მონრეული ღვინო.

ვექილი თვალს არ აშორებდა პორთოსის სასმისს, ხოლო როცა მუშკეტერმა სულ დაცალა წყალგაურეველი ღვინო, მასპინძელმა ამოიოხრა.

– ცერცვს არ ინებებთ, ჩემო დეიდაშვილო პორთოს? – ჰკითხა დიასახლისმა ისეთი ხმით, რომელიც უფრო იმის მთქმელი იყო: დამიჯერეთ, ნუ მიირთმევთო.

– მაგას რა მაჭმევს? – ბუზღუნებდა ჩუმად პორთოსი.

პასუხად კი სულ სხვა მიუგო:

– არა, ჩემო დეიდაშვილო, აღარა მშია.

ჩამოვარდა სიჩუმე, პორთოსმა არ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი. ვექილმა რამდენჯერმა გაიმეორა:

– აჰ, ქალბატონო კოკნარ! მიიღეთ ჩემი ქება-დიდება, სწორედ საზეიმო იყო თქვენი სადილი! აჰა, ღმერთო! არასოდეს არ მიჭამია ამდენი!

და მართლაც, წვენიც გემრიელად მიირთვა ვექილმა, ქათმის შავი ფეხებიც და ცერცვთან ერთად ის ერთი ძვალიც გამოხრა, რომელსაც ცოტა ხორცი შერჩენოდა.

„მასხრად მიგდებენ“, – იფიქრა პორთოსმა, ბრაზი მოერია, ულვაშს იწვალებდა და წარბს იჭმუხნიდა. მაგრამ ქალბატონ კოკნარის მუხლი კვლავ ისე ნაზად შეეხო, თითქოს ურჩევდა: ცოტა ხანს მოითმინეთო.

სადილობის დროს ამ დუმილსა და შესვენებას, რომელიც გაუგებარი იყო პორთოსისათვის, პირიქით, საშინელი მნიშვნელობა ჰქონდა ყმაწვილი მდივნებისათვის. ვექილის მიერ თვალით მიცემულ ნიშანზე, რომელსაც დიასახლისის ღიმილი მოჰყვა, ისინი ზლაზვნით წამოდგნენ, ნელ-ნელა დაკეცეს თავიანთი ხელსახოცები, თავი დაუკრეს და გავიდნენ.

– წადით, ყმაწვილებო, საქმეს შეუდექით, მუშაობაში მოინელეთ დღევანდელი სადილი, – უთხრა მათ ვექილმა.

მდივნების გასვლისთანავე დიასახლისი წამოდგა, განჯინიდან გამოიღო ერთი ნაჭერი ყველი, კომშის მურაბა და ნამცხვარი, რომელიც თვითონ მოემზადებინა თაფლითა და ნუშით.

შუბლი შეიკრა ვექილმა, რადგანაც მეტისმეტად ბევრ საჭმელს ხედავდა. არც პორთოსს ეამა ამ ნამცხვრის დანახვა. გრძნობდა, რომ უსადილოდ დარჩა. მუშკეტერმა სუფრას გადახედა, იქნება ის ცერცვი მაინც ავიღოო, მაგრამ ცერცვი უკვე აღარ იყო მაგიდაზე.

– ნამდვილი ზეიმია! – შეჰყვირა ბატონმა კოკნარმა და ცმუკვა დაიწყო, – სწორედ საზეიმო სადილია!

პორთოსმა ახლომდგომ ბოთლს შეხედა, იმედი მიეცა, ღვინით, პურით და ყველით ვისადილებ როგორმეო; მაგრამ სადღა იყო ღვინო? ბოთლი ცარიელი გამოდგა. ბატონ და ქალბატონ კოკნარს ისეთი სახე მიეღოთ, თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ ამ ამბავს.

„ეჰ, რა გაეწყობა? – ფიქრობდა პორთოსი, – ესეც ხომ ვცადე! მეორედ აღარ გავბრიყვდები“.

პატარა კოვზით კომშის მურაბის წვენი ამოიღო, შემდეგ ნამცხვარს დასწვდა, მაგრამ ლამის კბილებში ჩაეწება ქალბატონ კოკნარის ნახელავი ნამცხვარი.

„მსხვერპლი გაღებულია! – ფიქრობდა პორთოსი, – ო, იმის იმედი არა მქონდეს, რომ ქალბატონ კოკნართან ერთად მისი ქმრის განჯინაში შევიხედავ!“

ამ საგანგებო სადილის შემდეგ ჩვენმა ვექილმა დასვენება მოისურვა, რაც ძალიან ეამა პორთოსს, ეგონა, აქვე დარჩება, თავის სავარძელში მიწვება და მოისვენებსო, მაგრამ ამის გაგონებაც კი არ უნდოდა შეჩვენებულ ბებერს. იძულებულნი გახდნენ, ისევ თავის ოთახში გაეყვანათ. ვიდრე თავის საგანძურთან არ მიასვენეს და დაავადებული ფეხები არ მიაბჯინა განჯინის კარს, სიფრთხილის გამო, სულ ყვიროდა და ყვიროდა.

დიასახლისმა პორთოსი მეზობელ ოთახში გაიყვანა და შერიგების პირობებზე დაუწყო საუბარი.

– კვირაში სამჯერ შეგიძლიათ სადილად მობრძანდეთ, – უთხრა ქალბატონმა კოკნარმა.

– გმადლობთ, – მიუგო პორთოსმა, – არ მინდა თქვენი შეწუხება. გარდა ამისა, ჩემს აღჭურვილობაზედაც უნდა ვიზრუნო.

– ჰო, მართლა, – ამოიკვნესა ქალბატონმა, – ეგ სავალალო აღჭურვილობა!

– რა გაეწყობა! – დაეთანხმა პორთოსი. – სამწუხაროდ, ასეა.

– ერთი მითხარით, ბატონო პორთოს, რისგან შედგება ეგ თქვენი აღჭურვილობა?

– ოჰ, მრავალი რამ არის საჭირო, – დაიწყო პორთოსმა, – მუშკეტერები, როგორც თქვენც იცით, რჩეული, პირველხარისხოვანი ჯარისკაცები არიან და ბევრი რამ სჭირდებათ ისეთი, რომელიც სრულებითაც არ მოეპოვებათ შვეიცარიიდან გადმოყვანილ დაქირავებულ რაზმებს.

– კარგით, მაგრამ მაინც დამისახელეთ.

– რაღა დაგისახელოთ? სულ რომ ვიანგარიშოთ, – უთხრა პორთოსმა, რადგან საგნების ჩამოთვლას ფულის ანგარიშს ამჯობინებდა, – სულ რომ ვიანგარიშოთ...

გულის ფანცქალით ელოდა ვექილის ცოლი, აბა, რამდენს იტყვისო.

– რამდენი იქნება? – ჰკითხა კანკალით ქალბატონმა, – იმედი მაქვს, საჭირო თანხას არ აღემატება...

ენა დაება, სიტყვის დაბოლოება ვერ გაბედა.

– ოჰ, არა, ბატონო, სულ რომ ვიანგარიშოთ, ორი ათას ხუთას ლივრს არ აღემატება, ხოლო ყაირათიანად რომ მოვიქცე, იქნება ორი ათასი ლივრითაც იოლად გამოვიდე, – თქვა პორთოსმა.

– ღმერთო ძლიერო! ორი ათასი ლივრი! – შეჰყვირა შეშინებულმა ქალბატონმა, – ეს ხომ მთელი სიმდიდრეა!

პორთოსი მრავალმნიშვნელოვნად დაიღრიჯა და დიასახლისიც მაშინვე მიუხვდა.

– დაწვრილებით იმიტომ მინდა თქვენი აღჭურვილობის დასახელება, რომ სავაჭრო საქმეში დიდი გამოცდილება მაქვს და დარწმუნებული ვარ, ორჯერ უფრო იაფად შემიძლია შევიძინო ყველაფერი, ვიდრე თქვენ.

– აჰ, ეგ სხვაა! – თქვა პორთოსმა, – აი, თურმე რატომ მეკითხებოდით!

– დიახ, ჩემო ძვირფასო პორთოს, პირველ რიგში ალბათ ცხენი დაგჭირდებათ?

– დიახ, ცხენი.

– კარგით, ცხენის საქმე უკვე მოგვარებულია.

– ქალბატონო, – წამოიძახა გაბრწყინებულმა პორთოსმა, – მაშინ მე დამჭირდება მისი მთლიანი აღკაზმულობა, რომლის ყიდვა მხოლოდ მუშკეტერს შეუძლია და მისი ფასი არ აღემატება სამას ლივრს.

– სამასი ლივრი! დაე, იყოს სამასი, – დაეთანხმა ქალბატონი კოკნარი.

პორთოსს გაეღიმა.

მკითხველს ეხსომება, რომ მას ჰქონდა ყაჯარი ჰერცოგ ბუკინგამისაგან და ამიტომ ამ სამასი ლივრის ჯიბეში ჩაჩხრიალებას ფიქრობდა.

– გარდა ამისა, – განაგრძობდა პორთოსი, – მე მჭირდება ცხენი და ჩანთა ჩემი მსახურისათვის. იარაღზე ნუ შეწუხდებით, მაქვს.

– ცხენი მსახურისათვის? – ჰკითხა გაუბედავად ქალბატონმა კოკნარმა. – ეს კი მეტისმეტი ფუფუნებაა, ჩემო მეგობარო.

– ხომ არ გგონიათ, ქალბატონო, რომ მე ვიღაც მათხოვარი ვარ? – ჰკითხა ამაყად პორთოსმა.

– რასა ბრძანებთ! მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ლამაზ ჯორს ზოგჯერ ცხენზე ნაკლები შესახედაობა არა აქვს, და კარგ ჯორს რომ ვუშოვიდეთ მუშკეტონს...

– კეთილი, თანახმა ვარ, იყოს კარგი ჯორი! მართალი ხართ, ქალბატონო, მე მინახავს დიდებული ესპანელი მებატონეები, რომლებსაც მთელი ამალა ჯორებით მისდევდა. ოღონდ ეს ჯორი მართლაც მშენიერი უნდა იყოს, ვერცხლის ეჟვნებით მორთული, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ქალბატონო.

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

– მაშ, ჩემი ჩანთაღა რჩება.

– ოჰ, მაგისთვის თავს ნუ იწუხებთ! – შეჰყვირა ქალბატონმა კოკნარმა, – ჩემს ქმარს ხუთი თუ ექვსი ჩანთა აქვს, თქვენ თვითონ ამოირჩიეთ საუკეთესო. ერთი მათგანი მაინც განსაკუთრებით კარგია, სულ თან დაჰქონდა, შორს რომ მიემგზავრებოდა ხოლმე. ისეთი დიდია, რომ ქვეყანა ჩაეტევა შიგ.

– მაშ, ცარიელია ეგ თქვენი ჩანთა? – ჰკითხა გულუბრყვილოდ პორთოსმა.

– რა თქმა უნდა, ცარიელია! – გულუბრყვილოდვე მიუგო ქალმა.

– ეჰ, მე კი კარგად გატენილი ჩანთა მესაჭიროება, ჩემო საყვარელო.

ერთხელ კიდევ ამოიოხრა ქალბატონმა. მოლიერს ჯერ არ დაეწერა თავისი „ძუნწი“, ასე რომ ქალბატონი კოკნარი ჰარპაგონის წინამორბედი იყო.

კიდევ დიდხანს იკამათეს პორთოსმა და მისმა სატრფომ. ბოლოს ასე შეთანხმდნენ: ვექილის ცოლს ნაღდ ფულად უნდა მიეცა პორთოსისათვის რვაასი ლივრი, ეშოვა ცხენი და ჯორი, რომლებიც დიდების გზაზე წაიყვანდნენ პორთოსსა და მუშკეტონს.

ამ შეთანხმების შემდეგ პორთოსი მხიარულად გამოეთხოვა თავის საყვარელს. ქალბატონს არ უნდოდა ასე მალე გაეშვა, თვალებით ემუდარებოდა, პატარა ხანს კიდევ დარჩიო, მაგრამ მუშკეტერმა სამსახურის მოვალეობანი მოიმიზეზა და ვექილის ცოლი იძულებული გახდა, მეფისათვის დაეთმო უპირატესობა.

მშიერი პორთოსი დაძმარებული დაბრუნდა შინ.

III

მოახლე და ქალბატონი

ამასობაში, როგორც ზევითაც ვთქვით, თავისი სინდისის ქენჯნისა და ათოსის ბრძნული რჩევისა და გართხილების მიუხედავად, დ არტანიანს უფროდაუფრო ერეოდა მილედისადმი სიყვარული. ამიტომ ისე არ დაიღამებდა დღეს, რომ თავის სატრფოს სანახავად არ წასულიყო და არშიყობით არ მოეხიბლა იგი.

იმედი ჰქონდა ჩვენ გასკონელს, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან, სიყვარულითვე უპასუხებდა მილედი.

ერთ საღამოს, როდესაც დ არტანიანი ასე დაიმედებული მოდიოდა ქალთან და თავს ისე ბედნიერად გრძნობდა, როგორც ციდან ოქროს სეტყვის ლოდინით გახარებული ადამიანი, იქვე, შესავალ კარებთან, მილედის მოახლე შეხვდა. მაგრამ ამ საღამოს ოდნავი შეხებით როდი დაკმაყოფილდა ლამაზი კეტი, ნაზად მოუჭირა ხელი.

„კარგი ნიშანია! – გაიფიქრა დ არტანიანმა, – ალბათ, ქალბატონმა დაავალა ჩემთვის რაიმეს გადმოცემა, უსათუოდ პაემანს მინიშნავს სადმე, რადგანაც პირადად თქმა ვერ გაბედა“. გასკონელი გოგონას გამარჯვებული სახით შეჰყურებდა.

– ძალიან მინდა, ერთი-ორი სიტყვა მოგახსენოთ, ბატონო რაინდო, – ენა ებმოდა გოგოს.

– მითხარი, გოგონავ, მითხარი! – გაამხნევა დ არტანიანმა, – აი, გისმენ.

– არა, აქ შეუძლებელია; ჩემი სათქმელი ძალიან დიდ დროს მოითხოვს და თანაც მეტად საიდუმლოა.

– აბა, მაშ, რა ვქნათ?

– იქნება კეთილ ინებოთ, ბატონო, და თან გამომყვეთ?.. – სთხოვა მოწიწებით კეტიმ.

– საცა გინდოდეს, ჩემო ლამაზო.

– მაშ, წამობრძანდით!

კეტიმ, რომელსაც ჯერ არ გაეშვა დ არტანიანის ხელი, ერთ ბნელ, ხრახნილ კიბეზე აატარა და თხუთმეტიოდე საფეხურის შემდეგ პატარა ოთახის კარი შეაღო.

– შებრძანდით, ბატონო მხედარო, აქ მარტონი ვიქნებით და შევძლებთ თავისუფლად მოლაპარაკებას.

– მერე ვისია ეს ოთახი, ლამაზო გოგონავ? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– ჩემი ოთახი გახლავთ, ბატონო მხედარო, აი, ეს კარი ჰყოფს ქალბატონისა და ჩემს ოთახს, მაგრამ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ვერაფერს გაიგებს ჩვენი საუბრიდან, იგი შუადამეზე ადრე არასოდეს არა წვება.

დ არტანიანმა თვალი მოავლო იქაურობას, მართლაც რომ მშვენიერი იყო ეს პატარა ოთახი თავისი მოწყობილობით, სისუფთავით, მაგრამ ჩვენი გმირი თავისდა უნებურად თვალს ვეღარ აშორებდა იმ კარს, რომელიც, კეტის თქმით, მილედის ოთახში გადიოდა.

კეტი მიხვდა, რას ფიქრობდა ამ დროს ყმაწვილი კაცი, და ამოიოხრა.

– მაშ, ძალიან გიყვართ ჩემი ქალბატონი, ბატონო მხედარო? – ჰკითხა გაუბედავად.

– ოჰ, უფრო მეტად, ვიდრე ამის გამოთქმა შემიძლია; ლამის გავგიჟდე, ჩემო კეტი.

კიდევ ამოიოხრა საწყალმა გოგომ.

– ეჰ, ბატონო!.. ძალიან სამწუხაროა.

– ეშმაკმა დასწყევლოს, რას ხედავ აქ სამწუხაროს? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– იმას ვხედავ, ბატონო, რომ ჩემს ქალბატონს თქვენ სრულებითაც არ უყვარხართ.

– რაო? – წამოიძახა დ არტანიანმა. – მაშ, მან დაგავალათ მაგის გადმოცემა ჩემთვის?

– ოჰ, არა, ბატონო, არა! დაინტერესებული ვარ თქვენით და გადავწყვიტე, სიმართლე მეცნობებინა.

– დიდად გმადლობთ, ჩემო კეთილო კეტი, ოღონდ მარტო კეთილი განზრახვისათვის, რადგან შენი ცნობა, იმედი მაქვს, დამეთანხმები, არ არის სასიამოვნო და არც სამადლობელი.

– ესე იგი, თქვენ სრულებითაც არა გჯერათ, რასაც მე მოგახსენებთ, არა, ბატონო?

– ასეთი ცნობის დაჯერება ყოველთვის უძნელდება კაცს, ჩემო ლამაზო, თუნდაც იმიტომ, რომ თავმოყვარეობას ულახავს.

– ასე რომ, არა გჯერათ ჩემი ნათქვამი?

– გამოგიტყდები: სანამ რაიმე დამარწმუნებელ საბუთს არ მომცემ დასამტკიცებლად იმისა, რაც შენა თქვი...

– ამაზე რაღას იტყვით? – და კეტიმ გულისპირის ქვეშიდან პატარა ბარათი ამოიღო.

– მე მწერს? – წამოიძახა დ არტანიანმა და ხელიდან გამოსტაცა წერილი.

– არა, სხვას.

– სხვასა სწერს?

– დიახ, სხვას.

– ვისა სწერს, ვის? მისი გვარი? – შეჰყვირა დ არტანიანმა...

– მისამართი ნახეთ.

– გრაფ ვარდსა სწერს!

ჩვენ თავდაჯერებულ გასკონელს მაშინვე თვალწინ წარმოუდგა სენ-ჟერმენში მომხდარი სცენა. მეტად სწრაფი მოძრაობით გახია კონვერტი, მიუხედავად კეტის კივილისა, რომელსაც შიშით გული უსკდებოდა.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! რას შვრებით, რას, ბატონო მხედარო? – ამბობდა იგი.

– მე? არაფერს! – და წაიკითხა:

„პასუხი არ მაღირსეთ ჩემს პირველ ბარათზე! ავად ხომ არა ხართ? ან იქნება კიდეც დაგავიწყდათ, რა თვალით მაკვირდებოდით ქალბატონ გიზის მეჯლისში? გრაფო, ისარგებლეთ ამ შემთხვევით, რაც ბედმა მოგცათ, და ხელიდან ნუ გაუშვებთ მას“.

დ არტანიანს ფერი ეცვალა. მისი თავმოყვარეობა შეილახა და მის სიყვარულს ჭრილობა მიაყენეს.

– საწყალო ძვირფასო ბატონო დ არტანიან! – წამოიძახა კეტიმ თანაგრძნობით სავსე ხმით და ისევ ალერსით მოუჭირა ყმაწვილ კაცს ხელი.

– მაშ გებრალები, ჩემო ცუგრუმელავ? – გადახედა დ არტანიანმა.

– ოჰ, დიახ, გულით და სულით! რადგან მეც კარგად ვიცი, რა არის სიყვარული.

– შენც კარგად იცი, რა არის სიყვარული? – შეეკითხა დ არტანიანი და პირველად მაშინ დააცქერდა მას ერთგვარი ყურადღებით.

– ვაი, რომ ვიცი!

– მაშ, მაგ სიბრალულს ის ემჯობინება, მიშველო, რომ შენი ქალბატონის ჯავრი ამოვიყარო.

– მერე როგორ გინდათ ჯავრის ამოყრა?

– ჯავრს მაშინ ამოვიყრი, როდესაც გავიმარჯვებ შენს ქალბატონზე, როდესაც მე დავიჭერ ჩემი მოქიშპის ადგილს.

– მე მაგაში არასოდეს არ დაგეხმარებით, ბატონო მხედარო! – უთხრა დაბეჯითებით კეტიმ.

– რატომ არ დამეხმარები? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– იმიტომ, რომ ორი რამ მიშლის ხელს.

– მაინც რა?

– პირველი ის, რომ ჩემი ქალბატონი თქვენ არასოდეს არ შეგიყვარებთ.

– შენ საიდან იცი?

– მე ვიცი, რომ თქვენ მისი თავმოყვარეობა შელახეთ.

– მე, როგორ? რანაირად? მას შემდეგ, რაც გავიცანი, მონასავით ვგდივარ მის ფეხქვეშ და წყალობას ვევედრები! განა რა დავაშავე? გთხოვ, მითხრა!

– მე ამას ვერავის ვეტყვი... ან თუ ვეტყვი, მარტო იმ კაცს, ვინც ჩემი გულის საიდუმლოებას წაიკითხავს.

მეორედ დააცქერდა დ არტანიანი. ისეთი მშვენიერი, ისეთი ნორჩი და მიმზიდველი იყო ყმაწვილი გოგო, რომ ბევრი ბრწყინვალე ქალბატონი თავის წოდებრივ გვირგვინსაც კი არ დაიშურებდა, რომ მისი მშვენიერება შეეძინა.

– კეტი, – უთხრა დ არტანიანმა, – მე ჩავწვდები შენი გულის სიღრმეს, როდესაც შენ ამას მოინდომებ, მანამდე კი...

მოეხვია, აკოცა და ალუბალივით გააწითლა საწყალი გოგო.

– ოჰ, არა! – შეჰყვირა კეტიმ, – თქვენ მე არ გიყვარვართ! ეს არის ახლახან მითხარით, რომ ჩემი ქალბატონი გიყვართ!

– მაგიტომ არ მეუბნები მეორე მიზეზს?

– მეორე მიზეზი კიდევ ის არის, ბატონო მხედარო, – დაიწყო უფრო გაბედულად დ არტანიანის კოცნითა და თვალების გამომეტყველებით გამხნევებულმა კეტიმ, – რომ სიყვარულში ყველა თავისთვის ცდილობს.

მხოლოდ ახლა მოაგონდა დ არტანიანს კეტის მზერა, მისი შეხვედრები მოსაცდელ ოთახში, კიბეზე, დერეფანში, ყოველთვის მისი ხელების შეხება, ჩუმი ოხვრა. მაგრამ ქალბატონის სიყვარულით გატაცებული, ყურადღებას არ აქცევდა მოახლეს. არწივზე სანადიროდ გასულს მწყერი არ აგონდებოდა.

მაგრამ აქ კი ჩვენმა გასკონელმა თვალის დახამხამების უმალ წარმოიდგინა, როგორ შეიძლებოდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა კეტის მიერ ასე გულუბრყვილოდ და დაურიდებლად გამოცხადებული სიყვარული. შეიძლებოდა ხელთ ეგდო გრაფ ვარდისადმი მიწერილი ყველა წერილი, თავისუფლად, რა დროსაც კი მოისურვებდა, შევიდოდა კეტის ოთახში, რომლის კარი მილედის ოთახში გადიოდა. ვერაგი ზრახვებით დ არტანიანი მსხვერპლად გასწირავდა საწყალ გოგოს, რომ როგორმე, ძალდატანებით თუ ნებაყოფლობით ხელთ ეგდო მისი ქალბატონი.

– მაშ ასე, ჩემო კეტი! – მიმართა მან ალერსით საწყალ გოგოს, – გინდა იმ სიყვარულის დამამტკიცებელი საბუთი მოგცე, რომელსაც შენ ასე ეჭვის თვალით უყურებ?

– რა სიყვარულის? – შეეკითხა კეტი.

– იმ სიყვარულისა, რომელიც მე, შენი სიყვარულით დამტკბარს, გულს დამიამებს.

– რა საბუთია ასეთი დამამტკიცებელი?

– ამ საღამოს შენთან დავრჩები და არ წავალ ქალბატონთან.

– ოჰ, ნეტავი! – შეჰყვირა კეტიმ და გახარებულმა ტაში შემოჰკრა.

– აქ მოდი, ჩემთან, ჩემო საყვარელო ცუგრუმელა, – უთხრა დ არტანიანმა და მოხდენილად გადაწვა სავარძელზე, – აქ მოდი, უნდა გითხრა, რომ არასოდეს არსად მინახავს შენისთანა ლამაზი მოახლე.

ისე ტკბილად და ისეთი ალერსით უთხრა ეს და სხვა მრავალი ასეთი ქათინაური, რომ საწყალმა გოგომ დაიჯერა.

საათმა თერთმეტჯერ დაჰკრა და თითქმის მაშინვე გაისმა ზარის წკარუნი მილედის ოთახში.

– აჰ, ღმერთო დიდებულო! – შეჰყვირა კეტიმ, – აგერ, ქალბატონი მეძახის! აბა, წადი, ჩქარა წადი!

დ არტანიანი წამოდგა, ქუდი აიღო, მაგრამ იმის მაგივრად, რომ კიბეზე ჩასასვლელი კარი გაეღო, სწრაფად განჯინის კარი გააღო, შიგ შეძვრა და მილედის კაბებში ჩაიმალა.

– რას სჩადიხართ? – შეჰყვირა კეტიმ.

დ არტანიანმა, რომელსაც წინასწარ აეღო განჯინის გასაღები, პასუხის მაგივრად კარი შიგნიდან ჩაკეტა.

– დაგეძინათ თუ რა დაგემართათ? – უყვიროდა მილედი გულის გამგმირავი ხმით, – რატომ არ მოდიხართ, ნუთუ არ გესმით ჩემი ზარის ხმა?

დ არტანიანმა კარგად გაიგონა კარების გაღების ხმა.

– გეახლებით, ქალბატონო, გეახლებით! – შეჰყვირა კეტიმ და მილედის მიეგება.

ორივენი საწოლ ოთახში გავიდნენ და რადგან კარი ღია დარჩათ, დ არტანიანს კარგა ხანს ესმოდა, როგორ უჯავრდებოდა ქალბატონი თავის მოახლეს. ბოლოს, როცა მილედიმ გული მოიჯერა და დამშვიდდა, საუბარი დ არტანიანზე ჩამოაგდო. კეტი ამ დროს თავის ქალბატონს დასაძინებლად ტანისამოსს ხდიდა.

– ნეტავ რა დაემართა ჩვენს გასკონელს, რომ ამ საღამოს აღარა მნახა? – თქვა მილედიმ.

– როგორ, ქალბატონო? – გაიკვირვა კეტიმ, – მაშ, არ მოსულა? ნუთუ ფრთა კიდევ შერჩენია, რომ სხვაგანაც ფრინავდეს?

– ოჰ, არა! ალბათ ბატონმა დე ტრევილმა დაავალა რაიმე ან ბატონმა დე ზესარმა. ამაში კი ვერავინ მაჯობებს, კეტი, ისე მყავს ჩაბოჭილი, რომ...

– მერე, რას უპირებთ, ქალბატონო?

– რას ვუპირებ? ფიქრი ნუ გაქვს, კეტი, მე და მაგ კაცის დამოკიდებულებაში ერთი ისეთი რამეა, რომ მას წარმოდგენაც არა აქვს... კინაღამ გამაბიაბრუა მისი ყოვლადუწმინდესობის თვალში... ოჰ, მე ვიცი, როგორ ამოვიყრი ჯავრს!

– მე კი მეგონა, ქალბატონო, რომ გიყვარდათ.

– მიყვარსო?! მძულს, მეზიზღება! სულელი! დამარცხებული ეგდო მის წინ ლორდი უინტერი და არ მოკლა! ყეყეჩი! ის რომ მოეკლა, მემკვიდრეობა მე დამრჩებოდა, სამასი ათასი ლივრი წლიური შემოსავლით.

– მართალს ბრძანებთ, თქვენი შვილი იქნებოდა თავისი ბიძის ერთადერთი მემკვიდრე, მანამ კი, სანამ სრულწლოვანი გახდებოდა, თქვენ იქნებოდით იმოდენა ქონების გამგებელი.

ურუანტელმა დაუარა დ არტანიანს, როდესაც გაიგონა, როგორ ლანძღავდა ეს მომხიბლავი მშვენიერება უხეში ხმით, რომელსაც გაჭირვებით მალავდა სხვასთან საუბარში, ლანძღავდა იმიტომ, რომ არ მოკლა პატიოსნებით სავსე ადამიანი, მისი მაზლი.

– მე აქამდისაც ავისრულებდი გულის წადილს, ჩემებურად ამოვიყრიდი ჯავრს, მაგრამ კარდინალმა მიბრძანა, არაფერი დაუშავო მაგ გასკონელსო, თუმცა, არ ვიცი, რატომ.

– დიახ, ქალბატონო! მაგრამ თქვენ ხომ ჯავრი მის საყვარელ ქალზე ამოიყარეთ.

– ოჰ, ვაჭრის ცოლი, მესაფლავეების ქუჩაზე რომ ცხოვრობს? მგონი, აღარც კი ახსოვს იმ უბედურის არსებობა, არა, ეს რა ჯავრის ამოყრაა! მე ჯავრს ჩემებურად ამოვიყრი.

ჭირის ოფლმა დაასხა დ არტანიანს: „ეს ქალბატონი ნამდვილი სისხლით გაუმაძღარი ურჩხული ყოფილა“, – გაიფიქრა და ისევ ყური მიუგდო ბაასს, მაგრამ, სამწუხაროდ, მილედი უკვე მზად ბრძანდებოდა დასაწოლად.

– კარგი, – უთხრა კეტის ქალბატონმა, – წადით, დაიძინეთ და ხვალ ეცადეთ, მე რომ მოგეცით, იმ წერილის პასუხი მომიტანოთ.

– ბატონ ვარდთან რომ გამატანეთ? – ჰკითხა კეტიმ.

– დიახ, ბატონ ვარდთან.

– უცნაური რამ არის, ქალბატონო, არაფრითა ჰგავს საწყალ ბატონ დ არტანიანს.

– წადით, ჩემო კარგო, – მიუგო მილედიმ, – როდი მიყვარს ზედმეტი ლაყბობა.

დ არტანიანმა გაიგონა, როგორ მოიხურა კარები, როგორ დაუშვა ქალბატონმა ერთი ურდული, რომ მაგრად ჩაკეტილ ოთახში შესძლებოდა მოსვენება. თავის მხრივ, კეტიმაც ჩაიკეტა კარი, მხოლოდ დიდი სიფრთხილით, რომ მილედის არ გაეგონა, ბოლოს დ არტანიანმაც გამოაღო განჯინის კარი.

– ოჰ, ღმერთო! – უთხრა ჩუმი ხმით კეტიმ, – რა დაგემართათ? რადა ხართ ასე ფერმიხდილი?

– ეგ საზიზღარი! – ჩურჩულებდა დ არტანიანი.

– ჩუმად! ჩუმად! წადით! – ეხვეწებოდა კეტი, – ჩემსა და მის ოთახს შუა მხოლოდ ერთი ფირფიტინა კედელია, იქ ყველაფერი ისმის, რასაც აქ ვიტყვით.

– ჰოდა, სწორედ ამიტომ აქედან აღარ წავალ, – უპასუხა დ არტანიანმა.

– რაო?! – წამოიძახა კეტიმ და გაწითლდა.

– ან თუ წავალ... მერე წავალ,

და ხელი მოხვია კეტის, თავისკენ მიიზიდა, შეუძლებელი იყო წინააღმდეგობის გაწევა... კეტის ხმაურისა შეეშინდა და დანებდა.

ეს იყო ჯავრის ამოყრის დასაწყისი. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა ჩვენს გმირს, რომელსაც თავმოყვარეობისა და სიამაყის მეტი არაფერი გააჩნდა.

დ არტანიანს უნდოდა, კეტისგან გაეგო ქალბატონ ბონასიეს ამბავი, მაგრამ საწყალმა გოგომ ჯვარზე შეჰფიცა, რომ არაფერი იცოდა, რადგან ქალბატონი თავისი საიდუმლოების მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს უმხელდა. იმას კი დარწმუნებით ამბობდა, რომ მკვდარი არ უნდა ყოფილიყო.

რით ან როგორ გააბიაბრუა დ არტანიანმა კარდინალის თვალში მილედი, ამისიც არა იცოდა რა კეტიმ, აქ დ არტანიანმა უფრო მეტი იცოდა, ვიდრე მან. როდესაც დ არტანიანი ინგლისის მიწას ტოვებდა და საფრანგეთისკენ მოემგზავრებოდა, ერთ-ერთ გემზე, რომელსაც აკრძალული ჰქონდა ნავსადგურიდან გამოსვლა, მან სწორედ მილედი შეამჩნია, ეჭვი არ ეპარებოდა გასკონელს, რომ ეს ქალი კარდინალის მიერ ბურნუკებისათვის ბრძანდებოდა გაგზავნილი.

დ არტანიანი დარწმუნებული იყო, რომ მილედის უსაზღვროდ სძულდა იგი. ხოლო ამ სიძულვილის მიზეზი ის იყო, რომ დ არტანიანმა მისი მაზლი არ მოკლა.

მეორე დღეს დ არტანიანი მაინც მივიდა მილედის სანახავად. ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა მასპინძელი. დ არტანიანი მაშინვე მიხვდა, რომ მილედი ბატონ ვარდისაგან თავისი წერილის პასუხს ელოდა. დარბაზში შემოვიდა კეტი, რომელიც მილედიმ ძალიან უკმეხად მიიღო. საწყალმა გოგომ დ არტანიანს გადახედა და ცხადად აგრძნობინა: „ხედავთ, როგორ ვიტანჯები თქვენი გულისთვისო“.

მოახლოვდა დ არტანიანის წასვლის დროც. ლამაზი ძუ ლომი ნელ-ნელა მოლბა; ღიმილით ისმენდა გასკონელის ტკბილ სიტყვებს და ხელიც კი მისცა საკოცნელად.

მილედის ოთახიდან გამოსულმა ჩვენმა გმირმა არ იცოდა, რა ეფიქრა, მაგრამ ჭკვიანი ბიჭი იყო და არც ისე ადვილად დაეხვეოდა თავბრუ. მიუხედავად იმისა, რომ მილედის სამიჯნურო ლექსით ხიბლავდა, თავის გონებაში ერთგვარი გეგმის დამუშავებას ცდილობდა.

კარებთან კეტი დახვდა და წუხანდელივით მასთან ავიდა. საწყალ გოგოს მეტად გასჯავრებოდა ქალბატონი, დაუდევრობას აბრალებდა, მილედის ვერასგზით ვერ გაეგო გრაფ დე ვარდის სიჩუმის მიზეზი და ამიტომ კეტის უბრძანა, მასთან დილით ცხრა საათზე მისულიყო და გრაფისათვის მესამე წერილი მიერთმია.

დ არტანიანმა კეტის პირობა დაადებინა, რომ ხვალ დილით მასთან მივიდოდა და გრაფისადმი განკუთვნილ წერილს მას მისცემდა. საწყალი გოგო შეჰპირდა აესრულებინა ყველაფერი, რასაც კი მოსთხოვდა საყვარელი. ისე იყო გაგიჟებული სიყვარულით, რომ უარს ვერაფერზე ეუბნებოდა.

იმ დამესაც წუხანდელივით განმეორდა ყველაფერი: დ არტანიანი ისევ განჯინაში შეძვრა და ჩაიკეტა, მილედიმ მოახლეს დაუძახა, ტანთ გაიხადა, დასაწოლად მოემზადა, კეტი დაითხოვა და კარი მოკეტა. როგორც წინა ღამეს, შინ გათენებისას, დილით ხუთ საათზე მივიდა ჩვენი გმირი.

მეორე დღეს თერთმეტ საათზე მისკენ მომავალი კეტი დაინახა. მას ხელში თავისი ქალბატონის ახალი წერილი ეჭირა. საწყალმა გოგომ ამჯერად ხმის ამოღებაც ვეღარ გაუბედა დ არტანიანს და წერილი გადასცა. სულით ხორცამდე დამონებოდა თავის საყვარელს.

დ არტანიანმა წერილი გახსნა და წაიკითხა.

„აი, მესამედ გწერთ, მინდა გაგაგებინოთ, რომ მიყვარხართ, ფრთხილად იყავით, თორემ იცოდეთ, მეოთხედ მოგწერთ, მეჯავრებით-მეთქი.

თუ ინანიებთ თქვენს საქციელს, ამ წერილის მომტანი ახალგაზრდა გოგო გეტყვით, როგორ უნდა მოიქცეს ზრდილი მიჯნური, რათა თავისი სატრფოს წყალობა დაიმსახუროს“.

წერილის კითხვის დროს დ არტანიანი ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა.

– ოჰ, ჯერ კიდევ გყვარებიათ! – უთხრა კეტიმ, რომელიც თვალს არ აშორებდა ყმაწვილი კაცის სახეს.

– არა, კეტი, სცდები, არ მიყვარს, არა! მაგრამ მინდა, სამაგალითოდ დავსაჯო ის ბოროტი სული!

– დიახ, ვიცი, როგორც დასჯით, თქვენ უკვე მითხარით.

– შენ რა გენაღვლება, კეტი! ხომ იცი, რომ შენ მიყვარხარ, მარტო შენ!

– საიდან უნდა ვიცოდე?

– იმ სამარცხვინო სასჯელიდან, რომელსაც ვუპირებ.

კეტიმ ამოიოხრა.

დ არტანიანმა კალამი აიღო და დაწერა:

„ქალბატონო, დღევანდლამდე ეჭვი მეპარებოდა: ვერ წარმომედგინა, რომ ჩემდამი იყო მოწერილი თქვენი ორი ბარათი. ამგვარი პატივისცემისათვის უღირსად ვთვლი ჩემს თავს. გარდა ამისა, იმდენად ავად გახლდით, რომ პასუხის მოცემასაც კი ვყოყმანობდი.

მაგრამ დღეს უნდა დავუჯერო თქვენს გულისთქმას, რადგანაც არა მარტო თქვენი წერილი, არამედ თქვენი მოახლეც მიმტკიცებს, რომ მაქვს ბედნიერება, თქვენ გიყვარდეთ.

არ შევაწუხებ თქვენს მოახლეს იმის განმარტებით, თუ როგორ უნდა მოიქცეს ზრდილი მიჯნური სატრფოს გულის მოსაგებად. მე თვითონ გეახლებით ამაღამ თერთმეტ საათზე თქვენი წყალობის მისაღებად, ამის გადადება თუნდ ერთი დღით, მე მგონი, თქვენი ახალი შეურაცხყოფა იქნება.

თქვენ მიერ კაცთა შორის უბედნიერესად ქმნილი გრაფი ვარდი“.

დ არტანიანს მილედისადმი უკვე აღარავითარი პატივისცემა აღარ ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გრძნობდა, რომ რაღაც დაუმორჩილებელი ძალა, სიმთვრალის მსგავსი ვნება, რომელშიც ზიზღიც კი იყო გარეული, მაინც ამ ქალისაკენ იზიდავდა და მისი დამორჩილების ჟინით სულით ხორცამდე იწვოდა.

სრულიად მარტივი იყო დ არტანიანის განზრახვა: კეტის ოთახიდან შევიდოდა მილედის საწოლ ოთახში, ისარგებლებდა განცვიფრების, კდემისა და შიშის პირველი წამით, რომ ქალბატონზე გამარჯვება ეზეიმა. შეიძლებოდა ვერც კი აესრულებინა ეს ქადილი, მაგრამ... ცდა ბედის მონახევრეა. ერთი კვირის შემდეგ დაიწყებოდა ომი, მოუწევდა პარიზიდან წასვლა და სად ჰქონდა იმის დრო მხედარს, რომ სიყვარულის ძაფის რთვას შესდგომოდა.

– აჰა, – მიმართა დ არტანიანმა კეტის და დაბეჭდილი წერილი მისცა, – მიართვი მილედის და უთხარი, რომ გრაფისაგან არის.

მომაკვდავივით გაყვითლდა საბრალო, გრძნობდა, რა უნდა ყოფილიყო დაწერილი ამ წერილში.

– ყური დამიგდე, ჩემო საყვარელო, – სთხოვა დ არტანიანმა, – შენ თვითონაც გრძნობ, რომ ბოლოს და ბოლოს რითიმე უნდა გავათავოთ ყოველივე ეს, მილედიმ შეიძლება გაიგოს, რომ შენ მისი პირველი წერილი ჩემს მსახურს მიეცი გრაფ დე ვარდის მსახურის ნაცვლად და ასევე ისიც, რომ გრაფის მაგივრად მე გავხსენი დანარჩენი ორი წერილი. იცოდე, მაშინვე დაგითხოვს

მილედი და, მგონი, შენც კარგად იცნობ შენს ქალბატონს, მარტო გაგდებით არ განსაზღვრავს თავის შურისძიებას.

– ვაიმე, ვაიმე! – დაიკვნესა კეტიმ, – მერე, ვისთვის გავწირე თავი?

– ჩემთვის, ჩემო მშვენიერო, ჩემთვის! ეგ მეც კარგად ვიცი, – უპასუხა დ არტანიანმა, – გეფიცები, ძალიან დავალებული ვარ შენგან.

– კარგი, მაგრამ რა დაწერეთ მაგ წერილში?

– მილედი გეტყვის.

– ოჰ, თქვენ არ გიყვარვართ! – შეჰყვირა კეტიმ, – ვაი, რა უბედური ვარ!

ამ საყვედურის პასუხად ყოველთვის ერთი და იგივე საშუალება აქვს კაცს, რომლითაც მუდამ ტყუვდება ქალი: დ არტანიანმაც ამითვე უპასუხა კეტის და დაამშვიდა.

ამის შემდეგ კეტიმ მაინც ბევრი იტირა, ვიდრე მილედისთვის წერილის წაღებაზე დათანხმდებოდა. ბოლოს მაინც დათანხმდა და დ არტანიანსაც ამის მეტი არაფერი უნდოდა.

სამაგიეროდ, დ არტანიანიც დაჰპირდა, რომ ამაღამ უფრო ადრე გამოეთხოვებოდა მილედის და იქიდან პირდაპირ კეტის ოთახში ავიდოდა.

ამ დაპირებამ ანუგეშა საწყალი კეტი.

IV

სადაც ლაპარაკია არამისისა და პორთოსის აღჭურვილობაზე

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ოთხმა მეგობარმა თავიანთი შეკაზმულობის შეძენისათვის დაიწყო ზრუნვა, წინანდებურად ხშირად ვედარ იკრიბებოდა ერთად. ყველანი ცალ-ცალკე სადილობდნენ, სადაც მოხვდებოდათ, ან უკეთ რომ ვთქვათ, სადაც წააწყდებოდნენ. თავის მხრივ, სამსახურიც ბევრ ძვირფას დროს ართმევდა მათ. ამის გამო მეგობრები შეთანხმდნენ, რომ კვირაში ერთხელ მაინც შუადღის პირველ საათზე ათოსის სახლში შეკრებილიყვნენ, რადგანაც იგი, აღთქმის თანახმად, ფეხმოუცვლელად სულ შინ იჯდა.

შეკრება სწორედ იმ დღისათვის ჰქონდათ დანიშნული, როდესაც კეტი დ არტანიანთან მივიდა.

როგორც კი გაისტუმრა კეტი, დ არტანიანი მაშინვე ათოსისაკენ გაეშურა.

ათოსს და არამისს მან ფილოსოფიურ საუბარზე მიუსწრო. არამისს კვლავ აშლოდა ანაფორით მოკაზმვის სურვილი. ათოსი უსმენდა, ჩვეულებისამებრ, არც უშლიდა და არც უწონებდა ბერად აღკვეცას. მისი შეხედულებით, ყველას უნდა ჰქონოდა მოქმედების თავისუფლება. იგი, ჩვეულებრივ, არავის აძლევდა რჩევას; თუ ვინმე სთხოვდა, და ისიც დაჟინებით, მხოლოდ მაშინ ურჩევდა ხოლმე რამეს.

– რჩევას იმიტომ გთხოვთ ადამიანი, რომ ისე არ მოიქცეს, როგორც თქვენ ურჩევთ, – ამბობდა ათოსი, – მაგრამ თუ ვინმე მიჰყვა თქვენს რჩევას, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ თქვენი გაკიცხვის საბაბი მიეცეს.

დ არტანიანის შემდეგ მალე პორთოსიც მიემატათ. უკვე ოთხივენი ერთად იყვნენ შეკრებილნი.

ოთხი მეგობრის სახე ოთხ სხვადასხვა გრძნობას გამოხატავდა: პორთოსს დამშვიდება ეტყობოდა, დ არტანიანს – იმედი, არამისს – მწუხარება, ათოსს – უზრუნველობა.

პორთოსმა ამხანაგებს მაშინვე გააგებინა გადაკვრით, რომ ერთმა მაღალი წრის პიროვნებამ თავს იდვა მუშკეტერის გაჭირვებიდან გამოყვანა.

ამ დროს მუშკეტონმაც შემოყო თავი.

– ცოტა ხანს შინ წამობრძანდით, ბატონო, – ეხვეწებოდა საცოდავი ხმით, – ძალიან საჭირო საქმე გახლავთ.

– ჩემი ცხენები მოიყვანეს? – ჰკითხა პორთოსმა.

– დიახ... არა! – უპასუხა მუშკეტონმა.

– ჰო, თუ არა? რას ბოდავ?

– შინ წაბრძანდით, ბატონო...

პორთოსი წამოდგა, მეგობრებს დაემშვიდობა და მუშკეტონს გაჰყვა.

რამდენიმე წამის შემდეგ ბაზენმა შემოყო თავი.

– რა გინდათ, მეგობარო? – ჰკითხა არამისმა ისეთი ტკბილი ხმით, რომელსაც ყოველთვის მაშინ ამჩნევდნენ ხოლმე, როდესაც მონასტერი და ბერობა მოაგონდებოდა.

– კაცი გელით, ბატონო, ჩვენსა, – უპასუხა ბაზენმა.

– ვინ კაცი? რა უნდა?

– მათხოვარი უნდა იყოს.

– ცოტა რამ უწყალობეთ, ბაზენ, და უთხარით, ღმერთს შეავედროს ჩემი ცოდვილი თავი.

– თქვენი ნახვა უნდა, ბატონო, იმ მათხოვარს. ამბობს, რომ თქვენც ძალიან გეამებათ მისი ხილვა.

– ხომ არაფერი შემოუთვლია?

– დიახ, ბატონო: თუ ბატონმა არამისმა ყოყმანი დაიწყო ან არ ისურვა ჩემი ნახვა, მოახსენეთ, რომ ტურიდან მოვდივარო.

– ტურიდან? – შეჰყვირა არამისმა, – ათასი ბოდიში, ბატონებო, რადგან უნდა წავიდე. ცხადია, ამ კაცს მოაქვს ჩემთვის ის ამბავი, რომელსაც დიდი ხანია ველი.

არამისი წამოდგა და ბაზენს გაჰყვა.

დარჩნენ ათოსი და დ არტანიანი,

– მე მგონი, ამ ყოჩაღებმა უკვე მოაგვარეს თავიანთი საქმე, რას იტყვი, დ არტანიან? – ჰკითხა ათოსმა.

– პორთოსის საქმეები რომ კარგად მიდის, ეს ვიცი, – მიუგო დ არტანიანმა, – რაც შეეხება არამისს, თუ მართალი გინდათ გითხრათ, ამ მხრივ მე მასზე არასოდეს შევწუხებულვარ. თქვენ კი, ჩემო კეთილო ათოს... ინგლისელის პისტოლები ისე გულუხვად გააჩუქეთ, თუმცა იგი თქვენს პირად, კანონიერ საკუთრებას შეადგენდა; ახლა რას აპირებთ?

– ჩემო დ არტანიან, მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ანდერძი ავუგე იმ არამზადას, დღეს სწორედ სეფისკვერივით შესარგისია ინგლისელის მოკვლა. ის ორასი პისტოლი კი ჯიბეში რომ ჩამედო, გულს გამიწყალებდა სინანული.

– ეჰ, კარგით ერთი, ჩემო ათოს, უცნაური აზრების ადამიანი ხართ...

– მაგას თავი დავანებოთ და თქვენზე ვილაპარაკოთ, გუშინ ბატონმა დე ტრევილმა, რომელმაც დიდი პატივი მცა და ჩემს სანახავად მოვიდა, მითხრა, რომ თქვენ ძალიან ხშირად დაიარებით იმ საეჭვო ინგლისელთან, რომელსაც კარდინალი სწყალობს.

– მე მხოლოდ ერთ ინგლისელ ქალთან დავდივარ, სახელდობრ, იმ ქალთან, რომელზედაც თქვენ უკვე გელაპარაკეთ.

– აჰ, დიახ, ქერა ქალი, რომლის შესახებ რჩევა მოგეცით. თუმცა თქვენ, რაღა თქმა უნდა, ყურადღებაც არ მიაქციეთ ჩემს ნათქვამს.

– მე ჩემი მოსაზრებანი მოგახსენეთ.

– დიახ, როგორც მითხარით, ვგონებ, თქვენც აღჭურვილობას მოელით.

– სრულებითაც არა! მე დავრწმუნდი, რომ ის ქალი ურევია ქალბატონ ბონასიეს მოტაცებაში.

– ახლა კი მესმის: ერთი ქალის საპოვნელად მეორეს ეარშიყებით, ეს გზა მეტად გრძელი გახლავთ, მაგრამ საამო.

დ არტანიანი მზად იყო, ყველაფერი ეცნობებინა მეგობრისათვის, მაგრამ თავი შეიკავა. ათოსი მეტად მკაცრი იყო პატიოსნების საკითხში და ამიტომ გაჩუმება ამჯობინა.

ახლა თავი დავანებოთ ამ მეგობრებს და არამისს გავყვეთ.

ჩვენ ვნახეთ, როგორი სისწრაფით წამოვარდა არამისი, როდესაც უთხრეს, რომ შინ ტურიდან მოსული კაცი ელოდებოდა, იგი ბაზენს კი არ გაჰყვა, არამედ გაასწრო და ერთი ნახტომით ფერუს ქუჩიდან ვოჟირარისაზე გადავიდა.

ოთახში, მართლაც, ერთი მომცრო ტანის კაცი დაუხვდა, რომელსაც ჭკვიანი თვალები ჰქონდა, მაგრამ დაკონკილი ტანსაცმელი ემოსა.

– თქვენ გნებავდათ ჩემი ნახვა? – ჰკითხა მუშკეტერმა.

– მე მინდა, ბატონი არამისი ვნახო. თქვენა ხართ?

– დიახ, არამისი ვარ. გადმოსაცემი ხომ არა გაქვთ რა ჩემთვის?

– იმ შემთხვევაში, თუ მოქარგულ ცხვირსახოცს მაჩვენებთ.

– ახლავე, – უთხრა არამისმა. გულისპირიდან გასაღები ამოიღო, გახსნა ეკალმუხის სადაფით მოჭედილი ყუთი და ცხვირსახოცი ამოიღო, – აი, ინებეთ.

– ძალიან კარგი, – უთხრა მათხოვარმა – დაითხოვეთ თქვენი მსახური.

ცნობისმოყვარეობით აღსავსე ბაზენს უნდოდა გაეგო, რა საქმე ჰქონდა ამ მათხოვარს მის ბატონთან, მაგრამ რას იზამდა, არამისმა ანიშნა გასულიყო, და ისიც დაემორჩილა.

როდესაც ბაზენი გავიდა, მათხოვარმა სწრაფად მიმოავლო თვალი იქაურობას, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ არავის შეეძლო მისი დანახვა, ან მისი ნათქვამის გაგონება. შემდეგ შემოჭერილი ქამარი შეიხსნა, ქურთუკის გულისპირი ოდნავ გამოარღვია და იქიდან წერილი ამოაძვრინა.

წერილზე ნაცნობი ბეჭდის დანახვაზე არამისმა სიხარულით შეჰყვირა, მოწიწებით გახსნა და წაიკითხა.

„მეგობარო, განგებამ ინება, რომ ცოტა ხნით კიდევ ვიყოთ ერთმანეთს დაშორებულნი, მაგრამ საბოლოოდ არ გაფრენილა სიყმაწვილის ბედნიერი დრო. კარგად შეასრულეთ თქვენი სამსახურებრივი მოვალეობა; მე ჩემსას ვასრულებ ჩემს გარემოში. მიიღეთ, რასაც ამ წერილის მომტანი მოგართმევთ. ისე იბრძოლეთ, როგორც მშვენიერ და მამაც კეთილშობილს შეეფერებოდეს. მეც მუდამ გახსოვდეთ. ნაზად გიკოცნით მაგ შავ თვალებს! მშვიდობით! ან უფრო სწორი იქნება – ნახვამდის!“

მათხოვარი კი ისევ არღვევდა ქურთუკის გულისპირს, საიდანაც თითო-თითოდ გამოაძვრინა ას ორმოცდაათი ესპანური ორპისტოლიანი და მაგიდაზე გაამწკრივა, მერე წამოდგა, კარი გააღო, თავი დაუკრა და ისე გავიდა სახლიდან, რომ განცვიფრებულმა არამისმა ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოასწრო.

არამისმა ერთხელ კიდევ წაიკითხა წერილი და მხოლოდ მაშინ დაინახა დაბლა მინაწერი:

.შ. „თქვენებურად მიიღეთ ბარათის მომტანი, იგი გრაფი და ესპანელი დიდებულია“.

– აი, ოქროს სიზმარი! – შეჰყვირა არამისმა, – ოჰ, რა ტკბილია სიცოცხლე! ჯერ ხომ მართლაც ყმაწვილები ვართ! ჰო, ჩვენ კვლავ დაგვიბრუნდება სიყმაწვილის ბედნიერება! ოჰ, შენთვის შემომიწირავს ჩემი სიყვარული, ჩემი სიცოცხლე, ჩემი სისხლი, სულ ყველაფერი, ჩემო ტურფა საყვარელო!

და ვნებით გატაცებული ჰკოცნიდა წერილს, ისე, რომ არც კი შეუხედავს მაგიდაზე მბრწყინავი ოქროსათვის.

ბაზენმა ფრთხილად დააკაკუნა, არამისს მიზეზი აღარ ჰქონდა მისი მოშორებისა და უბრძანა, შემოსულიყო.

ოქროს დანახვაზე ბაზენი პირღია დარჩა და გადაავიწყდა ბატონისათვის დ არტანიანის მოსვლა მოეხსენებინა.

დ არტანიანმა ცოტა ხანს იცადა, მაგრამ რაკი ბაზენი არსად ჩანდა, თვითონ შეაღო კარი.

– აი, დალახვროს ეშმაკმა! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – ჩემო ძვირფასო არამის, თუ ტურიდან საომრად გიგზავნიან მაგ ტყვიას, მოიკითხეთ ჩემ მაგივრად და დიდი ქებაც მიუძღვენით.

– სცდები, ჩემო დ არტანიან, – მიუგო გულჩათხრობილმა არამისმა, – ეს ჩემი გამომცემელი მიგზავნის ჰონორარს ჩემი პოემისას, რომლის წერაც ჩვენი მოგზაურობის დროს დავიწყე.

– ჰო, მართლა! – არ გაიკვირვა დ არტანიანმა, – უნდა გითხრათ, ჩემო არამის, მეტად უხვი ყოფილა თქვენი გამომცემელი! აი, რის თქმა მინდოდა.

– როგორ, ბატონო! – შეჰყვირა ბაზენმა, – ასე ძვირადა ფასობს პოემა? დაუჯერებელია! მაშ, თქვენ ყველაფრის გაკეთება შეგძლებიათ, ბატონო, რასაც კი მოისურვებთ! დაიწყეთ წერა. მე რომ მკითხოთ, სხვას მაინც ესა სჯობია. პოეტი, ბატონო, იგივე მღვდელია თითქმის... აჰ, ბატონო არამის! მოდით, პოეტობა დაიწყეთ, ძალიანა გთხოვთ!

– ბაზენ, მე მგონი, შენც ჩვენს ბაასში ერევი, ჩემო მეგობარო, – უთხრა არამისმა.

ბაზენმა იგრძნო, რომ შესცდა, თავი დაღუნა და გავიდა.

– მაშ, ოქროს ფასად ჰყიდით თქვენს პოეტურ ნაწარმოებს? – მიმართა სიცილით დ არტანიანმა, – მართლა ბედნიერი კაცი ყოფილხართ, მეგობარო! – მაგრამ ფრთხილად! ეგ წერილი არ დაკარგოთ, თქვენი ჯიბიდან რომ აპირებს ამოძრომას, რადა თქმა უნდა, ეგეც თქვენი გამომცემლისაგან იქნება.

თვალის თეთრი გარსიც კი გაუწითლდა არამისს, ხელი სტაცა წერილს და მაგრად შეიკრა ღილები.

– ჩემო დ არტანიან, მოდით, თუ თქვენც არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო, მოვძებნოთ ჩვენი მეგობრები და რადგან ასე მდიდარი ვარ, დღეიდან ისევ ძველებურად ერთად შევექცეთ სადილს.

– დიდი სიამოვნებით, – მიუგო დ არტანიანმა, – დიდი ხანია ჩვენებური გემრიელი, ბარაქიანი პური აღარ გვიჭამია, გარდა ამისა, ამაღამ საკმაოდ საშიში საქმე მაქვს მოსაგვარებელი და უარს არ ვიტყოდი, სითამამის მოსამატებლად ერთი-ორი ბოთლი კარგი ძველი ბურგუნდიული გადამეკრა.

– ბურგუნდიული იყოს, არც მე გახლავარ მაგ ღვინის მტერი, – უპასუხა არამისმა, რომელსაც მაგიდაზე დალაგებულმა ოქრომ უცებ ბერობაც დაავიწყა და ღვთისმეტყველებაც.

არამისმა სახარჯოდ სამი თუ ოთხი ორპისტოლიანი ჩაიდო ჯიბეში, დანარჩენი კი ჩააწყო სადაფით მოჭედილ ეკალმუხის ყუთში, სადაც ჩაკეტილი ჰქონდა ჩვენი ნაცნობი მოქარგული ცხვირსახოცი, რომელიც მას თილისმის მაგივრობას უწევდა.

მეგობრებმა პირველად ათოსის ბინისაკენ აიღეს მიმართულება, თავისი ფიცის ერთგულმა ათოსმა, რომ გარეთ არ გამოსულიყო, განკარგულება გასცა, სადილი ბინაზე მიეტანათ. მან საუკეთესოდ იცოდა სუფრისათვის საჭირო ყოველგვარი წვრილმანი, ამიტომაც არამისმა და დ არტანიანმა სიამოვნებით მიანდვეს ეს ფრიად მნიშვნელოვანი საზრუნავი, თვითონ კი პორთოსისაკენ გასწიეს, მაგრამ გზაში ბაკის ქუჩის კუთხესთან მუშკეტონი დაინახეს; საცოდავი დამწუხრებული სახით მიდიოდა და წინ ცხენს და ჯორს მიერეკებოდა.

მოულოდნელი სანახაობით განცვიფრებულ დ არტანიანს სიამოვნების შეძახილი აღმოხდა.

– ვაი! ჩემი ყვითელი ცხენი, – წამოიძახა მან, – ერთი ამ ცხენს შეხედეთ, არამის!

– ოჰ, ნეტავი ვის რად უნდა ეს ჯაგლაგი? – თქვა ზიზღით არამისმა.

– წარმოიდგინეთ, არამის, რომ მე სწორედ ამ ცხენით შემოვედი პარიზში.

– როგორ? თქვენ გეცნობათ ეს მშვენიერება? – ჰკითხა მუშკეტონმა.

– უცნაური ფერი აქვს, – თქვა არამისმა, – მე ასეთი ცხენი არასოდეს არ შემხვედრია.

– ვერც ნახავდით, – მიუგო დ არტანიანმა, – სამი ეკიუ მომცეს მაშინ ამ ცხენში, მაგრამ ცხენში კი არა, იმის უცნაურ ფერში, რადგან ჩალის ფასადაც არა ღირდა მაგისი ჩონჩხი. ერთი მითხარით, მუშკეტონ, თქვენ როგორ ჩაგივარდათ ხელში ეს „რაში“?

– აჰ! – ამოიოხრა პორთოსის მსახურმა, – დარდებს ნუ ამიშლით, ბატონო! ჩვენი დიდებული ქალბატონის ქმრის ოინი გახლავთ, ჰერცოგის ვერაგობაა!

– როგორ თუ ოინი? რას ამბობთ, მუშკეტონ?

– დიახ, ბატონო, ჩვენ მოწყალების თვალით გვიყურებს ხოლმე ქალბატონი დე... ოჰ, უკაცრავად, ბატონი ბრძანებს, კბილები იმიტომ გაქვს, რომ ენას კლიტედ ედოსო...ჰოდა, სწორედ ამ ქალბატონმა ძალა დაგვატანა და სახსოვრად მიგვაღებინა ერთი მშვენიერი ესპანური მერანი და ერთიც ანდალუზიური ჯორი. საუცხოო რამ იყო ორივე, უკეთესს ვერას ნახავდა ადამიანის თვალი. მაგრამ ქმარს გაეგო, გზაში დაეჭირა ჩვენთვის გამოგზავნილი ძვირფასი სახსოვარი და მაგივრად ეს საზიზღრობანი მოგვივიდა.

– ახლა უკან მიერეკები?

– დიახ, ბატონო, – უპასუხა მუშკეტონმა, – დამეთანხმებით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დაპირებულის მაგივრად ამ სამარცხვინო ჯაგლაგების მიღება.

– რასაკვირველია, არა, თუმცა ძალიან მინდოდა პორთოსი ჩემს ყვითელ ცხენზე მენახა. ცხადად წარმოვიდგენდი, რა შესახედავი ვიყავი, როდესაც პარიზში ამ „ბედაურით“ შემოვედი. მაგრამ ჩვენ აღარ შეგაჩერებთ, მუშკეტონ, წადი, აასრულე შენი ბატონის ბრძანება. თვითონ შინ არის?

– დიახ, ბატონო, – უპასუხა მუშკეტონმა, – მაგრამ ძალიან ცუდ გუნებაზე ბრძანდება, თქვენ თვითონ დამერწმუნებით.

მუშკეტონმა გზა განაგრძო გრან-ოგუსტენის ქუჩისკენ. ჩვენი მეგობრები კი გაშმაგებულ პორთოსთან მივიდნენ და ზარი დაუწკარუნეს. პორთოსს ფანჯრიდან დაენახა ეზოში მასთან მიმავალი ამხანაგები და კარი არ გაუღო. აწკარუნებდნენ, მაგრამ ამაოდ.

მუშკეტონი კი ისევ წინ მიერეკებოდა ცხენსა და ჯორს; გადაიარა ახალი ხიდი, დათვის ქუჩას მიაღწია და აქ, ბატონის ბრძანების თანახმად, ვექილის სახლის ალაყაფის კარის ურატაზე გამოაბა ცხენიც და ჯორიც. ისე რომ, არც შეწუხებულა მათი მომავალი ბედით. შემდეგ სწრაფად მიბრუნდა შინ და პორთოსს მოახსენა, რომ პირნათლად შეასრულა მისი ბრძანება.

რამდენიმე ხნის შემდეგ მშიერმა ცხენმა და ჯორმა ისე აათამაშეს ურატა, ისეთი რაკუნი და ბრახუნი დააყენეს ქუჩაში, რომ ვექილმა მაშინვე უბრძანა თავის პატარა შიკრიკს, გაერკვია, ვის ეკუთვნოდა ეს ცხენი და ჯორი.

ქალბატონმა კოკნარმა მაშინვე იცნო მის მიერ გაგზავნილი საჩუქრები, თუმცა უცებ ვერ მოიფიქრა, რატომ უნდა დაებრუნებინათ უკან. მაგრამ პორთოსის მოსვლამ ყველაფერი გაურკვია. გაშმაგებული მუშკეტერის დანახვამ შიშის ზარი დასცა გულჩვილ, სიყვარულით აღგზნებულ ქალბატონს. მუშკეტონს არ დაემალა თავისი ბატონისათვის, რომ გზაში დ არტანიანი და არამისი შეხვდნენ, და რომ დ არტანიანმა იცნო ის ყვითელი ცხენი, რომლითაც ის თურმე პარიზში ჩამოვიდა და მერე სამ ეკიუდ გაეყიდა.

ქალბატონი კოკნარი და მისი საყვარელი შეთანხმდნენ, რომ სენ-მაგლუარის მონასტერთან შეხვდებოდნენ ერთმანეთს და პორთოსი მაშინვე გამოეთხოვა. ვექილმა, როდესაც დაინახა, პორთოსი მიდისო, სთხოვა, სადილად დარჩენილიყო, მაგრამ მუშკეტერმა დიდებული ღირსებით უარი უთხრა.

ქალბატონი კოკნარი გულის კანკალით მიდიოდა სენ-მაგლუარის მონასტრისაკენ. იცოდა, რა საშინელი საყვედურით დახვდებოდა პორთოსი, იგი მოჯადოებულივით, მოხიბლული შესცქეროდა თავისი საყვარლის მედიდურ განრისხებას.

პორთოსმა პირში მიახალა შემკრთალ, თავდაღუნულ ქალბატონ კოკნარს ყველა ის მწარე, გესლიანი სამდურავით და საყვედურით აღსავსე სიტყვები, რომლებიც კი შეეძლო გადმოენთხია საყვარლისაგან შეურაცხყოფილ თავმოყვარე კაცს.

– ვაიმე, ვაიმე! მე მეგონა, რომ საგანგებოდ მოვაწყვე საქმე. ცხენებით მოვაჭრე კაცს, რომელიც ჩემი ქმრის კლიენტია, ჩვენი ფული ემართა და არ გვაძლევდა. მე ამ ვალში გამოვართვი ეს ჯორი და ცხენი. შემპირდა, მეფის საკადრის ცხენს გამოგიგზავნითო.

– მაშ, თუ ხუთ ეკიუზე მეტი მართებს თქვენი იმ ჩარჩს, იცოდეთ, ქურდი და გაიძვერაა.

– ბატონო პორთოს, – გაუბედა ვექილის ცოლმა თავისი შეცდომის გასამართლებლად, – ადამიანი ყოველთვის იმას ცდილობს, რომ იაფად გამოვიდეს. ამას ხომ ვერ დაუშლით!

– არა, ქალბატონო, ყოველთვის არა. ვინც სიიაფეს ეძებს, მან საშუალება უნდა მისცეს სხვას, უფრო გულუხვი მეგობრები მოძებნოს.

პორთოსმა ზურგი შეაქცია ქალბატონ კოკნარს და წასვლა დააპირა.

– ბატონო პორთოს! ბატონო პორთოს! – შეჰყვირა ქალბატონმა, – შევცდი, მაპატიეთ! რა დროს ყაირათი და ვალის განაღდება იყო, როდესაც საქმე თქვენისთანა დიდი კაცის აღჭურვილობას შეეხებოდა.

პორთოსმა პასუხი არ აღირსა და ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა.

სიყვარულით გაგიჟებულ ქალბატონს თვალწინ წარმოუდგა ჰერცოგების მარკიზების ცოლებით გარშემოხვეული პორთოსი.

– ნუ წახვალთ! ღვთის გულისათვის! – შეჰყვირა იმედმიხდილმა, – შეჩერდით, ბატონო პორთოს, მოვილაპარაკოთ!

– თქვენთან საუბარს ჩემთვის უბედურება მოაქვს.

– რა ვქნა? ის მაინც გამაგებინეთ, რასა მთხოვთ, რა გნებავთ ჩემგან?

– არაფერი! რადგან სულერთია, კიდეც რომ გთხოვოთ, მაინც არაფერი მოჰყვება შედეგად.

ქალბატონი კოკნარი მკლავზე ჩამოეკიდა თავის საყვარელს და გულმოკლულმა შესძახა:

–ბატონო პორთოს, მე თქვენი აღჭურვილობისა არა გამეგება რა, აბა, რა ვიცი მე კარგი ცხენისა და მისი აკაზმულობისა!

– რომ არ იცით, ჩემთვის უნდა მოგენდოთ, მაგრამ არა! თქვენ ხარჯს გაურბოდით და დაკარგულის განაღდებას ცდილობდით.

– შევცდი, ბატონო პორთოს, და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მევე გამოვასწორებ ჩემს შეცდომას.

– როგორ გამოასწორებთ? – ჰკითხა მუშკეტერმა.

– ყური დამიგდეთ, ამ საღამოს ბატონი კოკნარი ჰერცოგ დე შონთან არის დაბარებული და იქ მიდის, რჩევა უნდა მისცეს. ორი საათი მაინც შეაგვიანდება. ჩემთან მობრძანდით, მარტონი ვიქნებით და ყველაფერი ვიანგარიშოთ.

– აი, ეს კი მწამს, ჩემო ძვირფასო, ძლივს არ გამაგონეთ კეთილი სიტყვა?!

– მაშ, მაპატიეთ?

– ვნახოთ, – უპასუხა დიდებული იერით პორთოსმა.

მერე – „საღამომდეო“, – მიმართეს ერთმანეთს გამოთხოვების ნიშნად და თავ-თავის გზას დაადგნენ.

– ეშმაკმა დალახვროს! – იძახდა გულში პორთოსი, – მგონი, ახლა კი მართლა მივუახლოვდი ბატონ კოკნარის საგანძურს.

V

ღამით ყველა კატა ნაცრისფერია

მოუთმენლად ელოდნენ ამ საღამოს პორთოსი და დ არტანიანი და, როგორც იქნა, ეღირსათ დაღამება.

დ არტანიანი, ჩვეულებრივ, ცხრა საათზე მივიდა მილედის სანახავად. მას არასოდეს არ მიუღია იგი ასე კარგად. გასკონელმა მაშინვე იგრძნო, რომ ქალბატონისათვის კეტის მიერ გადაცემული წერილი იყო მიზეზი მისი მხიარულებისა.

შემოვიდა კეტი და შარბათი მოართვა. მასაც მხიარული, აღტაცებული სახით შეჰყურებდა მილედი და ტკბილად უღიმოდა. მაგრამ ისეთი დაღონებული იყო საბრალო გოგო, რომ ვერც კი შეამჩნია თავისი ქალბატონის გულკეთილობა.

დ არტანიანი ხან ერთ ქალს შეხედავდა, ხან მეორეს და იძულებული იყო, ეღიარებინა თავისი თავის წინაშე, რომ შეცდომა დაეშვა ბუნებას ამ ქალების შექმნაში, როდესაც ცნობილი ქალბატონისათვის საზიზღარი, სათნოების უარმყოფელი სული ჩაედგა, ხოლო მოახლისათვის, პირიქით, – დიდებულის.

საათმა ათჯერ დაჰკრა. მილედის მოუსვენრობა დაეტყო. დ არტანიანი მაშინვე მიუხვდა მღელვარების მიზეზს. ქალი საათს შესცქეროდა, ხან ადგებოდა, ხან მაშინვე დაჯდებოდა და დ არტანიანს უცინოდა ისეთი სახით, თითქო ეხვეწებოდა: „ძალიან საამო ბრძანდებით, მაგრამ თუ მომშორდებით, უფრო მომხიბლავი იქნებითო“.

დ არტანიანი წამოდგა და ქუდი აიღო. ქალმა ხელი გაუწოდა საკოცნელად. ყმაწვილმა კაცმა ხელის მოჭერა იგრძნო. მიხვდა გასკონელი, რომ ეს არ იყო კეკლუცობის გამომხატველი ალერსი. არა, მას მადლობას უხდიდნენ იმისთვის, რომ ადრე მიდიოდა.

„ძალიან ჰყვარებია მილედის თავისი ვარდი“, – გაიფიქრა დ არტანიანმა და გამოთხოვების შემდეგ დარბაზიდან გამოვიდა.

ამჯერად კეტი არსად ჩანდა. იგი აღარსად ელოდებოდა თავის საყვარელს, არც წინა ოთახში, არც დერეფანში, არც ალაყაფის კარებთან. დ არტანიანი იძულებული იყო თვითონვე ეპოვა მიმალული კიბეც და მოახლის პატარა ოთახიც.

კეტის პირზე ხელები აეფარებინა, იჯდა და ტიროდა. მან გაიგონა დ არტანიანის შესვლა, მაგრამ არც კი შეხედა. ჩვენი გმირი მიუახლოვდა მას და ხელები ჩამოაღებინა. მაშინ უფრო მწარედ ატირდა საწყალი ქალი.

ასრულებულიყო დ არტანიანის ჩანაფიქრი: წერილის პასუხი რომ მიიღო მილედმ, სიხარულით გახელებულმა ყველაფერი უამბო თავის მოახლეს, მერე დავალების ასე კარგად ასრულებისათვის ჯილდოდ ფულით სავსე ქისა აჩუქა.

თავის ოთახში შესვლისთანავე კეტიმ ერთ კუთხეში მიაგდო ის ქისა და ჯერაც იქ ეგდო გაუხსნელი, ოღონდ სამი-ოთხი ოქრო გამოვარდნილიყო და ხალიჩაზე ეყარა.

დ არტანიანის ალერსზე კეტიმ თავი მაღლა აიღო. შეკრთა გასკონელი, იმდენად შეძრწუნებულად ეჩვენა საწყალი ქალის სახე. ვედრებით აღაპყრო ხელები საბრალომ, მაგრამ თქმით კი სიტყვა ვერ უთხრა.

ნაკლებად მგრძნობიარე გულის მქონე დ არტანიანზედაც იმოქმედა ამ უსიტყვო ტანჯვამ, მაგრამ რას იზამდა, ისე მაგრად ჩასჭიდებოდა თავის განზრახვას, რომ ვეღარაფერს შეცვლიდა მილედის წინააღმდეგ მოფიქრებულ გეგმაში. ამიტომ მან არავითარი იმედი არ მისცა კეტის. იგი ცდილობდა, ქალისათვის ჩაეგონებინა, რომ მხოლოდ შურისძიება ამოქმედებდა.

ამ შურისძიების სისრულეში მოყვანას თვითონ მილედი უადვილებდა დ არტანიანს. თავის საყვარელთან სიწითლის დასამალავად, მან კეტის უბრძანა, მთელ ბინაში გაექრო სინათლე და არც თავის ოთახში დაეტოვებინა სანთლები.

ბატონი ვარდი გათენებამდე, ჯერ კიდევ სიბნელეში უნდა წასულიყო მისი ბინიდან.

ცოტა ხნის შემდეგ მილედიც შევიდა თავის ოთახში. დ არტანიანი მაშინვე განჯინაში შეიმალა. ის იყო, შეიხურა კარი და მილედის ზარიც გაისმა.

კეტი ქალბატონთან შევიდა, მაგრამ კარი ღიად აღარ დატოვა. კიდევ კარგი, ოთახს სქელი კედელი არ ჰყოფდა და თითქმის ყველაფერი ისმოდა, რასაც ქალბატონი და მისი მოახლე ლაპარაკობდნენ.

სიხარულით მთვრალს ჰგავდა მილედი. მან კეტის დაწვრილებით აამბობინა, როგორ გადასცა წერილი გრაფ ვარდს, როგორ მიიღო იგი, როგორი იყო მისი სახის გამომეტყველება: ჰგავდა თუ არა სიყვარულით გატაცებულს?

რა უნდა ექნა საბრალო კეტის? საჭირო იყო, წესიერად აესრულებინა თავისი მოვალეობა: გულს უკლავდა მწუხარება და კითხვაზე პასუხებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად აძლევდა. მაგრამ სიყვარულით გატაცებული ქალბატონი ვერ ამჩნევდა მოახლის მწუხარებით აღსავსე ხმას.

ბოლოს გრაფის მოსვლის დრო მოახლოვდა. მილედიმ მთელ ბინაში ჩააქრობინა სინათლე. კეტის უბრძანა, თავის ოთახში გასულიყო და როგორც კი ბატონი გრაფი მოვიდოდა, მასთან შეეყვანა.

დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი კეტის. შეამჩნია თუ არა დ არტანიანმა განჯინის კლიტის ჭუჭრუტანიდან, როგორ ჩამობნელდა იქაურობა, მყისვე კარი გააღო და გამოვიდა. ეს სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც კეტი მილედის ოთახში შესავალ კარს კეტავდა.

– რა ამბავია, ვინ ხმაურობს? – იკითხა მილედიმ.

– ეს მე გახლავართ, – უპასუხა ჩუმი ხმით დ არტანიანმა, – გრაფი დე ვარდი.

– ოჰ, ღმერთო, ღმერთო, – ჩურჩულებდა კეტი, – იმდენიც კი ვეღარ მოითმინა, რომ დანიშნულ დროს გამოსულიყო.

– რა მოხდა? – გამოსძახა მილედიმ ათრთოლებული ხმით, – რატომ არ შემოდის? გრაფ, გრაფ, – განაგრძო მან, – ხომ კარგად იცით, როგორ გელოდებით?

ამის გაგონებაზე დ არტანიანმა ნაზად ჩამოიშორა კეტი და მილედის ოთახში შევიდა.

სევდაც ხშირად ეწვევა სიყვარულით აღგზნებულ ადამიანს და მწარე გაბრაზებაც, მაგრამ ნამდვილ ცოფს და გაშმაგებას მაშინ ნახავს მიჯნური, როდესაც სხვისი სახელით მოიხვეჭს თავისი მეტოქისათვის დანიშნულ სიყვარულის ძღვენს.

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა დ არტანიანი. გულს უკლავდა ეჭვი და თითქმის ისევე იტანჯებოდა, როგორც მეორე ოთახში ცხარე ცრემლით მტირალი კეტი.

– გრაფო, – ეუბნებოდა მილედი მეტისმეტად ტკბილი ხმით და თან მაგრად უჭერდა ხელზე თავის ხელებს, – ბედნიერი ვარ იმ სიყვარულით, რომელსაც

თქვენს თვალებში და თქვენს სიტყვებში ვპოვებდი ყოველთვის, როცა ერთმანეთს შევხვედრივართ. მეც მიყვარხართ, გრაფო, მინდა რაიმე გაჩუქოთ ამ ღამის სამახსოვროდ, – ნივთი, რომელიც არ დაგავიწყებთ ჩემს თავს, – მილედიმ ბეჭედი მოიძრო და დ არტანიანს გაუკეთა.

დ არტანიანს მოაგონდა, რომ ეს ბეჭედი მილედის ხელზე ენახა. ეს იყო საუცხოო საფირონი, გარს შემოვლებული ბრილიანტებით.

დ არტანიანს მაშინვე უნდოდა, უკან დაებრუნებინა საჩუქარი, მაგრამ მილედიმ შეაჩერა:

– არა, არა! ჩემი სიყვარულის ნიშნად გქონდეთ ეგ ბეჭედი. ამ ნივთის მიღებით, – დაუმატა მან აღგზნებული ხმით, – ისეთ სამსახურს გამიწევთ, რომ თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ.

„საიდუმლოებით აღსავსეა ეს ქალი!“ – ფიქრობდა დ არტანიანი.

ამ წამს იგი მზად იყო გაემჟღავნებინა თავისი ვინაობა, ის იყო პირი გააღო, რომ ეთქვა მილედისათვის, ვინ იყო და რა შურისძიების განზრახვით იყო მოსული, მაგრამ მილედიმ ისევ განაგრძო:

– საბრალო ჩემი მეგობარი! კინაღამ მოკლა იმ მხეცმა გასკონელმა!

ეს მხეცი თვით დ არტანიანი იყო.

– ოჰ, მოგირჩათ თუ დღესაც გაწუხებთ მაშინდელი ჭრილობები? – განაგრძობდა მილედი.

– დიახ, ძალიან მაწუხებს, – უპასუხა დ არტანიანმა, რადგან არც კი იცოდა, რა ეპასუხა.

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, – ჩასჩურჩულა მილედიმ, – მე შურს ვიძიებ და მკაცრი იქნება ეს შურისძიება.

„ეშმაკმა დალახვროს, – ფიქრობდა დ არტანიანი, – ჯერ ნაადრევი იქნება თავის გამომჟღავნება“.

ამ პატარა ბაასის შემდეგ ცოტა ხანი დასჭირდა ყმაწვილკაცს დასამშვიდებლად, მაგრამ გრძნობდა, რომ მთლად გაქარვებოდა ყველა ის ფიქრი, რომელიც თან მოეტანა შურის საძიებლად. დაუჯერებელი გავლენით მოქმედებდა დ არტანიანზე ეს ქალი. იგი ჭირივით სძულდა ჩვენს გმირს, ამავე დროს აღმერთებდა კიდეც. ვერასოდეს ვერ წარმოედგინა, რომ ერთ და იმავე გულში შეიძლებოდა ერთად მოთავსებულიყო ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობა.

ამასობაში საათმა პირველი დაჰკრა. დადგა განშორების ჟამი. დ არტანიანს არ უნდოდა წასვლა, ენანებოდა მილედის დათმობა, მაგრამ ვნებით აღსავსე ალერსით ძლივს დაიმშვიდა გული. შეთანხმდნენ, მომავალ კვირაშიც შეხვედროდნენ ერთმანეთს.

საწყალ კეტის იმედი ჰქონდა, ერთ-ორ სიტყვას მაინც ეტყოდა დ არტანიანს, როდესაც იგი მის ოთახში გამოვიდოდა, მაგრამ მილედიმ თვითონვე გაიყვანა თავისი საყვარელი და მანამ კიბემდე არ ჩააცილა, თავი არ დაანება.

მეორე დღეს, დილით, დ არტანიანი ათოსთან გაიქცა და ყველაფერი უამბო. ათოსმა წარბები შეიჭმუხნა.

– მე, ჩემო დ არტანიან, თქვენი მილედი საშინელ ქმნილებად მიმაჩნია, – უთხრა მან მეგობრულად, – მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ გეპატიებათ მისი მოტყუება: მერწმუნეთ, საშიში მტერი შეიძინეთ.

ლაპარაკის დროს ათოსი თვალს არ აშორებდა ბრილიანტებით გარშემოვლებულ საფირონს; დ არტანიანს, დედოფლის ნაბოძები ბეჭდის მაგივრად, ახლა მილედის საჩუქარი უმშვენებდა ხელს.

– ამ ბეჭედს დასცქერით? – ჰკითხა ჩვენმა გასკონელმა ამაყად იმის გამო, რომ ასეთი ძვირფასი საჩუქრით შეეძლო ამხანაგებთან ეტრაბახა.

– დიახ, – მიუგო ათოსმა, ჩემი ოჯახის ერთ განძს მაგონებს თქვენი ბეჭედი.

– მშვენიერი რამ არის, არა, ათოს?

– საუცხოოა! – უპასუხა ათოსმა, – ვერ წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა მეორე საფირონიც ყოფილიყო ასეთი მშვენიერი. ნუთუ გაუცვალეთ ვინმეს და სამაგიეროდ თქვენი ალმასი მიეცით?

– არა, – უპასუხა დ არტანიანმა, – ეს გახლავთ საჩუქარი ჩემი ლამაზი ინგლისელის ან, თუ მართალი გნებავთ, ჩემი ლამაზი ფრანგი ქალისა. მართალია, მისთვის არ მიკითხავს, სადაურია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საფრანგეთში უნდა იყოს დაბადებული.

– მაშ, მილედიმ მოგცათ ეს ბეჭედი? – შეჰყვირა ათოსმა დიდი მღელვარებით.

– დიახ, მილედიმ, წუხელ მომცა.

– აბა, მაჩვენეთ! – სთხოვა ათოსმა.

– აი, ინებეთ, – უპასუხა დ არტანიანმა და ბეჭედი თითიდან წაიძრო.

ათოსმა გასინჯა და სახეზე ყვითელმა ფერმა გადაჰკრა, მერე თავისი მარცხენა ხელის არათითზე გაიკეთა და ისე მოერგო ამ თითს, თითქოს საგანგებოდ მისთვის ყოფილიყოს გამოჭედილი.

ბრაზისა და შურისძიების ღრუბელმა გაურბინა შუბლზე ერთობ მშვიდ და აღუშფოთებელ ათოსს.

– შეუძლებელია, ჩემი ოჯახისა იყოს, – უთხრა დ არტანიანს, – როგორ ჩაუვარდებოდა ხელში ეს ბეჭედი მილედი კლარიკს? მაგრამ, ამავე დროს, ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ ასე ემსგავსებოდეს ერთმანეთს ორი ბეჭედი.

– მაშ, იცანით ეს ბეჭედი?– ჰკითხა დ არტანიანმა.

– მეგონა, რომ ვიცანი. – უპასუხა ათოსმა, – მაგრამ ეჭვი არ არის, ვცდები.

ათოსმა ბეჭედი დ არტანიანს დაუბრუნა, თუმცა თვალს მაინც არ აშორებდა.

– რა გითხრათ, იცით, ჩემო დ არტანიან? – მიმართა მან ცოტა ხნის შემდეგ, – მოიხსენით ეგ ბეჭედი თითიდან ან შეაბრუნეთ საფირონი, თორემ იგი ისეთ საზარელ ამბებს მაგონებს, რომ თქვენთან საუბარს ვეღარ შევძლებ. თქვენ, მგონი, მეუბნებოდით, რომ რჩევისათვის ხართ მოსული, რომ გაჭირვებულ მდგომარეობაში ხართ და არ იცით, როგორ მოიქცეთ... მაგრამ მოითმინეთ... აბა, ისევ მომეცით ეგ ბეჭედი: მე რომ საფირონზე გელაპარაკებოდით, მას ერთი მხარე დაფხაჭნილი ჰქონდა საშინელი შემთხვევის შედეგად.

დ არტანიანმა ხელმეორედ წაიძრო თითიდან ბეჭედი და ათოსს მისცა.

ათოსი აკანკალდა.

– აი, ნახეთ! უცნაური არ არის? – და დ არტანიანს საფირონის დაფხაჭნილი მხარე აჩვენა.

– ვისგან გქონდათ, ათოს, ის ბეჭედი?

– დედაჩემისაგან! როგორც გითხარით, ოჯახის ძველებური განძი იყო, ოჯახისა, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასულიყო საგვარეულოდან.

– მერე თქვენ... გაყიდეთ? – ჰკითხა გაუბედავად დ არტანიანმა.

– არა, – უპასუხა ათოსმა უცნაური სიცილით, – ღამე მივუძღვენი საყვარელ ქალს, როგორც თქვენ მოგიძღვნეს წუხელ.

დ არტანიანი ჩაფიქრდა, თითქოს ჩაიხედა მილედის გულში და იქ ვერაგობისა და ბოროტების საზარელი, უსაზღვრო უფსკრული დაინახა. ბეჭედი თითზე აღარ გაიკეთა, ჯიბეში ჩაიდო.

– მისმინეთ, დ არტანიან, თქვენც იცით, როგორ მიყვარხართ, შვილი რომ მყოლოდა, ისიც კი არ მეყვარებოდა თქვენზე მეტად, მაშ, დამიჯერეთ, თავი დაანებეთ მაგ დედაკაცს. მართალია, მე არ ვიცნობ მას, მაგრამ ერთგვარი შთაგონება ჩამძახის, რომ ბიწიერი არსებაა, ზნეობრივად წაბილწული და მისი სიყვარულიც ავბედითი იქნება, – თქვა ათოსმა.

– მართალი ხართ, ათოს! – დაეთანხმა დ არტანიანი, – მართალი ხართ, დავცილდები. არ დაგიმალავთ, მეც შემაშინა მაგ ავმა სულმა.

– მერე, შეძლებთ კი, თავს მოითოკავთ?

– შევძლებ! – უპასუხა დ არტანიანმა, – თუნდაც ამ წუთიდანვე.

– ძალიან კარგი, ჩემო ბიჭიკო, ნამდვილად სწორად იქცევი, – ეუბნებოდა ათოსი და მამობრივი სიყვარულით უჭერდა ხელს გასკონელს, – ღმერთმა ინებოს, რომ იმ ქალმა საშინელი კვალი არ დატოვოს თქვენს ცხოვრებაში!

ათოსმა თავი დაუკრა დ არტანიანს და ამით აგრძნობინა, რომ ამ ბეჭდით აღძრულ ფიქრებში გართულს მარტო დარჩენა უნდოდა. შინ მისულ დ არტანიანს კეტიც იქ დახვდა. ერთი თვის ციებ-ცხელება ისე ვერ გამოსცვლიდა ქალს, როგორც წუხანდელი ღამის მწუხარებას და უძილობას გამოეცვალა.

ქალბატონს გაეგზავნა გრაფ ვარდთან. სიყვარულით გაგიჟებულმა მილედიმ აღარ იცოდა, რა ექნა. დამთვრალიყო სიხარულით და უნდოდა გაეგო, როდის შესწირავდა მისი საყვარელი კიდევ ერთ ღამეს.

ფერმიხდილი კეტი კანკალს აეტანა და დ არტანიანის პასუხს ელოდა.

დიდი გავლენა ჰქონდა ათოსს ჩვენს ყმაწვილკაცზე. ახლა კი მეგობრის რჩევას საკუთარი გულისთქმაც მიმატებოდა და ამან გააბედვინა, გადაწყვეტილება მიეღო: აღარ ენახა მილედი. მით უმეტეს, თავმოყვარეობა შეულახავი იყო და შურისძიება – დაკმაყოფილებული. დ არტანიანმა კალამი აიღო და მილედის შემდეგი შინაარსის ბარათი მისწერა:

„ქალბატონო, ნუ გექნებათ ამ დღეებში ჩემთან შეხვედრის იმედი. ჩემს ავადმყოფობაში იმდენი საქმე დამიგროვდა, რომ იძულებული ვარ, წესრიგში მოვიყვანო. თქვენი ჯერი რომ დადგება, მე თვითონ შეგატყობინებთ.

გიკოცნით ხელებს, ქალბატონო.

გრაფი დე ვარდი“.

საფირონის ბეჭდის შესახებ არც ერთი სიტყვა! იქნება ჩვენს გასკონელს მილედის საწინააღმდეგო იარაღად უნდოდა ბეჭდის შენახვა? ან იქნება, გულწრფელად ვთქვათ, იმიტომ ინახავდა ძვირფას ბეჭედს, რომ იმით მაინც შეეძინა საჭირო აღჭურვილობა?

დ არტანიანმა წერილი კეტის გადასცა. გოგომ წაიკითხა იგი, მაგრამ პირველად ვერა გაიგო რა, მერე მეორედ წაიკითხა და სიხარულით კინაღამ გაგიჟდა.

კეტის არა სჯეროდა ეს ნეტარება, დ არტანიანი იძულებული გახდა, სიტყვით დაერწმუნებინა საბრალო გოგონა იმაში, რაც წერილში ეწერა. ძალიან საშიშ მდგომარეობაში იყო კეტი, მან კარგად იცოდა თავისი ქალბატონის მრისხანე ხასიათის ამბავი, ისიც იცოდა, რომ ამ წერილით განრისხებულს ვეღარ გადაურ-ჩებოდა, მაგრამ მაინც სირბილით მიდიოდა შინისკენ. ანგელოზზე უკეთესი გული რომ ჰქონდეს ქალს, მაინც სიამოვნებით შეჰყურებს თავისი მეტოქის მწუხარებას.

ისე სწრაფად გახსნა მილედიმ წერილი, როგორაც სწრაფად მოარბენინა კეტიმ, მაგრამ პირველი სიტყვის წაკითხვისთანავე მკვდარივით გადაფითრდა. შემდეგ წერილი დაჭმუჭნა და ანთებული თვალებით კეტის მიუბრუნდა.

– ეს რა მოგიტანია?

– პასუხი გახლავთ, ქალბატონო, – მიუგო ათრთოლებულმა კეტიმ.

– შეუძლებელია! – შეჰკივლა მილედიმ, – შეუძლებელია! პატიოსანი კაცი არასოდეს არ იკადრებს ქალისადმი ამისთანა უკმეხობის მიწერას.

მერე უცებ გააჟრჟოლა.

– ღმერთო ჩემო! – წაიჩურჩულა მან. – ნუთუ გაიგო... – და უცებ შეჩერდა.

კბილებს აკრაჭუნებდა, ნაცრისფერი დასდებოდა, უნდოდა ფეხი გადაედგა ფანჯრისკენ, რომ სუფთა ჰაერი ჩაესუნთქა, მაგრამ ხელის აწევის მეტი ვეღარა შესძლო რა, ფეხმა უმტყუნა და სავარძელზე დაეშვა.

კეტის ეგონა, გული შეუღონდაო, და მივარდა, რომ გულისპირის ღილები გაეხსნა, მაგრამ მილედი სწრაფად წამოვარდა.

– რა გინდათ ჩემგან? – შეუტია მრისხანედ, – როგორ მიბედავთ ხელის შეხებას?

– გულწასული მეგონეთ, ქალბატონო, და თქვენი შველა მინდოდა, – მიუგო ქალბატონის სახის საზარელი გამომეტყველებით შეშინებულმა მოახლემ.

– გულწასული გეგონეთ? მე? მე? უსუსური გოგო ხომ არ გგონივართ? შეურაცხყოფილს გული კი არ მიმდის, ბრაზი მერევა და შურის საძიებლად ვემზადები, გეყურებათ?

და ხელით ანიშნა გასულიყო.

VI

ოცნება შურისძიებაზე

იმავე საღამოს მილედიმ ბრძანება გასცა, როგორც კი მოვიდოდა დ არტანიანი, მაშინვე მასთან შეეყვანათ. მაგრამ დ არტანიანი არ მივიდა.

მეორე დილას კეტი დ არტანიანის სანახავად წავიდა და დაწვრილებით უამბო, რაც წინადღეს მოხდა. გასკონელს გაეღიმა. მილედის ეს ეჭვიანი რისხვა მისი შურისძიება იყო.

საღამოს უფრო მოუთმენლად ელოდა მილედი ბატონ დ არტანიანს. მან კვლავ გაიმეორა გუშინდელი ბრძანება გასკონელის შესახებ, მაგრამ ამაოდ, არც იმ საღამოს გამოჩენილა ჩვენი გმირი.

მეორე დღეს კეტი კვლავ გამოცხადდა დ არტანიანთან, მაგრამ მის სახეზე უკვე აღარ ჩანდა წინა ორი დღის სიმხიარულე. ისე იყო დაღონებული, იფიქრებდით, სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიაო.

– რა დაგემართა, ჩემო კეტი? – ჰკითხა დ არტანიანმა.

ამის პასუხად საწყალმა გოგომ ჯიბიდან პატარა ბარათი ამოიღო და დ არტანიანს მიართვა.

ბარათი მილედის ხელით იყო დაწერილი; მაგრამ ამჟამად დ არტანიანისადმი იყო მიმართული და არა გრაფ დე ვარდისადმი.

გახსნა წერილი ყმაწვილმა კაცმა და შემდეგი წაიკითხა:

„ჩემო ძვირფასო ბატონო დ არტანიან, არ ვარგა მეგობრების ასე დავიწყება, მეტადრე იმ დროს, როდესაც დიდი ხნით გიხდებათ მათთან განშორება, ჩემი მაზლი, ლორდი უინტერი და მე ამაოდ გელოდით გუშინ და გუშინწინ, ნუთუ ამაღამაც იგივე მოგველის?

თქვენგან დიდად დავალებული
ლედი კლარიკი“.

– სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, – თქვა დ არტანიანმა, – სწორედ ამ წერილს ველოდი. ჩემი კრედიტი იზრდება გრაფ დე ვარდის კრედიტის შემცირებით.

– მაშ, მოხვალთ? – ჰკითხა კეტიმ.

– გამიგონე, ჩემო საყვარელო, – უპასუხა გასკონელმა, რომელიც ცდილობდა, რაიმე მიზეზი ეპოვა თავისი სინდისის ქენჯნის გასამართლებლად, რადგან უკმეხად არღვევდა ათოსისადმი მიცემულ დაპირებას, – თვითონ შენ უნდა გრძნობდე, რომ მეტისმეტი უზრდელობა იქნება, ყურადღება არ მივაქციო ასეთ გულითად მიწვევას. მილედი გაკვირვებული დარჩება, რომ ასე უმიზეზოდ ავარიდე თავი, სხვადასხვაგვარი ეჭვი აღეძვრის და, ვინ იცის, სადამდე მივა შურისძიება ისეთი დედაკაცისა, როგორიც შენი ქალბატონია.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! ისე წარმოადგენთ ხოლმე ყველაფერს, რომ ყოველთვის თქვენა ხართ მართალი. მაგრამ რა მართალი უნდა იყოთ, როდესაც ისევ ტრფიალს დაუწყებთ? მერე? ერთიც ვნახოთ, ახლა თქვენ მოეწონოთ, ნამდვილი თქვენი სახელით და ნამდვილი თქვენი სახით, განა უარესი არ იქნება, ვიდრე პირველად?

საწყალი ქალი ალღოთი გრძნობდა იმას, რაც ამ წერილს უნდა მოჰყოლოდა.

დ არტანიანმა, რამდენადაც კი შეეძლო, დაარწმუნა იგი, რომ ამგვარი არა მოხდებოდა რა, და აღუთქვა, რომ ცივად შეხვდებოდა ყოველივე ცთუნებას.

პასუხი კეტის დააბარა, – აღტაცებული გახლავართ თქვენი გულკეთილობით და დაუყოვნებლივ ავასრულებ თქვენს ბრძანებასო, მაგრამ ამ პასუხის დაწერა კი ვერ გაბედა – ეშინოდა, ვაითუ კარგად ვერ გამოეცვალა ხელი.

ცხრა საათზე დ არტანიანი მეფის მოედანზე იყო. მსახურები, რომლებიც მოსაცდელში ელოდნენ, ცხადია, გაფრთხილებულები იყვნენ, რადგანაც გამოჩნდა თუ არა დ არტანიანი, რომელმაც ვერც კი მოასწრო ეკითხა, მიიღებდა თუ არა მილედი, ერთი მსახურთაგანი მაშინვე გაიქცა, რომ მისი მოსვლა მოეხსენებინა.

– მობრძანდეს! – ბრძანა მილედიმ მოკლედ, მაგრამ ისეთი მკვეთრი ხმით, რომ მოსაცდელ ოთახშიც კი გაიგონა სტუმარმა.

დ არტანიანი მილედისთან შეიყვანეს.

– ვინც უნდა მიკითხოს, უთხარით, რომ შინ არა ვარ, – უბრძანა მსახურს მილედიმ, – გაიგონეთ? ვინც უნდა მიკითხოს.

მსახური გავიდა.

ცნობისმოყვარე თვალით გადახედა დ არტანიანმა მილედის, რომელსაც ფერი მიხდოდა და თვალებიც ჩასწითლებოდა ცრემლით თუ უძილობით. მას განზრახ შეემცირებინა სანათების ჩვეულებრივი რიცხვი, მაგრამ ყმაწვილი ქალი მაინც ვერ ახერხებდა იმ სულიერი ტანჯვის კვალის დამალვას, რომელიც ორი დღის განმავლობაში სულსა და გულს უწამლავდა.

დ არტანიანი ჩვეულებრივი პატივისცემით მიუახლოვდა ქალბატონს, მაშინ ქალმა თავის თავს ძალა დაატანა და გაიღიმა, მაგრამ ვერც ამ ღიმილმა შეცვალა სახის ტრაგიკული გამომეტყველება.

– ხომ კარგადა ბრძანდებით, მილედი? – მოიკითხა დ არტანიანმა.

– ოჰ, ძალიან ცუდად, ბატონო, ძალიან ცუდად.

– მაშ, ჩემდა სამწუხაროდ, ცუდ დროს მოვსულვარ. თქვენ, ცხადია, მოსვენება გესაჭიროებათ და, თუ ნებას მიბოძებთ, გაგეცლებით.

– არა, არა! პირიქით, დარჩით, ბატონო დ არტანიან, თქვენთან ბაასი მე გამართობს.

„ოჰ, ოჰ, – იძახდა გულში დ არტანიანი, – არასოდეს არ ყოფილა ასეთი მომხიბლავი. სიფრთხილე გვმართებს“.

მილედიმ, რამდენადაც კი ემორჩილებოდა გული, მოსიყვარულე გამომეტყველება მიიღო. ცდილობდა, სიცოცხლე შეეტანა საუბარში, მაგრამ ერთი წამით განდევნილი მღელვარება დაუყოვნებლივ უკანვე უბრუნდებოდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, ღაწვს უწითლებდა და ბაგეს ვარდად უღებავდა. კვლავ იპოვა დ არტანიანმა მზეთუნახავი, რომელმაც სწრაფად შემოახვია თავისი მომხიბლავი ბადე. მილედისადმი სიყვარული, რომელიც ჩამქრალად ეჩვენებოდა, მხოლოდ მიძინებული ყოფილიყო და უცბად გამოეღვიძა. მილედი უღიმოდა ვაჟს და დ არტანიანი გრძნობდა, რომ ამ ღიმილისათვის სიცოცხლეს არ დაზოგავდა.

მხოლოდ ერთი წამით იგრძნო გასკონელმა რაღაც სინდისის ქენჯნისმაგვარი გრძნობა.

მილედიმ თანდათანობით მოიკრიბა ღონე და საუბარი გააბა. დ არტანიანს ჰკითხა, საყვარელი თუ გყავთო.

– ეჰ! – უპასუხა დ არტანიანმა გრძნობით ათრთოლებული ხმით: – ნუთუ იმდენად გულქვა ბრძანდებით, რომ მაგ შეკითხვასაც მაძლევთ? მე მკითხავთ მაგას? მე? რომელიც თქვენი ნახვის შემდეგ მხოლოდ თქვენით ვსულდგმულობ.

უცნაური ღიმილი მოეფინა მილედის ბაგეს.

– მაშ, ასე გიყვარვართ? – ჰკითხა მან.

– განა საჭიროა მაგის მტკიცება? ნუთუ აქამდე ვერ შეამჩნიეთ, რა ცეცხლში ვიწვი?

– როგორ არა, შევამჩნიე, მაგრამ ხომ იცით, რამდენადაც ამაყია გული, იმდენად ძნელია მისი დაპყრობა.

–ოჰ! სიძნელისა არ მეშინია! – უპასუხა ამაყად დ არტანიანმა, – მე მეშინია მხოლოდ შეუძლებელისა.

– ნამდვილი სიყვარულისათვის შეუძლებელი არაფერია, – უთხრა მილედიმ.

– არაფერი, ქალბატონო?

– არაფერი, – გაიმეორა მილედიმ.

„აი, დასწყევლოს ეშმაკმა, – გაიფიქრა დ არტანიანმა, – ძირიანად იცვლება ნიადაგი, იქნება კიდეც შევუყვარდე ამ ჟინიან ქალბატონს? იქნება ახლა პირადად მე მომცეს ისეთივე საფირონი, რომლითაც დამასაჩუქრა გრაფ დე ვარდის როლში“. – მან სწრაფად მისწია თავისი სკამი მილედისაკენ.

– ერთი მითხარით, – მიმართა ქალმა, რას იზამდით ამ სიყვარულის დასამტკიცებლად?

– ყველაფერს, რასაც კი დამავალებდნენ. მიბრძანეთ, მე მზადა ვარ.

– ყველაფერს?

– ყველაფერს! – შეჰყვირა დ არტანიანმა, რადგან წინასწარვე იცოდა, რომ თავის განწირვა არ იქნებოდა საჭირო.

– მაშ, მოდით, ცოტა დამშვიდებით მოვილაპარაკოთ, – უთხრა მილედიმ და ახლა მან მისწია თავისი სავარძელი ყმაწვილი კაცისკენ.

– გისმენთ, ქალბატონო.

ერთ წუთს ჩაფიქრდა მილედი, თითქოს ვერ ბედავდა თქმას, მაგრამ შემდეგ, როგორც ეტყობა, გადაწყვიტა, და უთხრა:

– მტერი მყავს...

– თქვენ, ქალბატონო? – შეჰყვირა დ არტანიანმა და განცვიფრებული სახე მიიღო, – ოჰ, ღმერთო ჩემო! ნუთუ შესაძლებელია თქვენისთანა ლამაზსა და კეთილ არსებას მტერი ჰყავდეს?

– მოსისხლე მტერი...

– ნუთუ მართლა?

– მტერი, რომელმაც ისეთი საშინელი შეურაცხყოფა მომაყენა, რომ სიკვდილ–სიცოცხლის ბრძოლა აღიძრა ჩვენში. ან ის უნდა მოკვდეს, ან მე! ეს მითხარით, შემიძლია თუ არა, ჩემს დამხმარედ გიგულოთ?

მაშინვე მიხვდა დ არტანიანი, ვისზე აპირებდა შურისძიებას გახელებული ქალბატონი.

– შეგიძლიათ, მილედი! – უპასუხა აღტაცებით, – თქვენი საკუთრება გახლავთ ჩემი მკლავიც და ჩემი სიცოცხლეც, ისევე, როგორც ჩემი სიყვარული.

– მაშ, რაკი ჩემდამი დიდსულოვნებით იმდენადვე აღჭურვილი ბრძანდებით, რამდენადაც შეყვარებული...

– მერე, მილედი?

– მერე? – გაიმეორა ქალმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ. – დღეიდან თქვენთვის აღარ არსებობს სიტყვა „შეუძლებელი“.

– ნუ გამაგიჟებთ ჩემი ბედნიერებით, – შეჰყვირა დ არტანიანმა, მილედის წინ დაიჩოქა და კოცნა დაუწყო მის მინებებულ ხელებს.

„შენ ერთი იმ შერცხვენილი გრაფ ვარდის ჯავრი ამომაყრევინე, – ფიქრობდა თავისთვის კრიჭაშეკრული მილედი, – მერე მე ვიცი, როგორ მოგიშორებ, შე სულელო, ჩემი შურისძიების ბრმა იარაღო!“

„შენი ნებითვე დამნებდი, შე პირმოთნე საშინელებავ! – ფიქრობდა დ არტანიანი. – რომ ამით მაინც დავიმშვიდო დაწყლულებული გული! აი, დამნებდი და მერე მე ვიცი, როგორ ვიცინებ იმასთან ერთად, ვისაც ჩემი ხელით უპირებ მოკვლას“.

დ არტანიანმა თავი ასწია.

– აი, მზად ვარ.

– მაშ, მიმიხვდით, ჩემო კეითლო ბატონო დ არტანიან? – ჰკითხა მილედიმ.

– ჩემთვის თქვენი თვალის დახამხამებაც კმარა.

– მაშ, ჩემთვის მოიხმართ თქვენს მკლავს, ასე მარჯვესა და სახელგანთქმულს?

– ახლავე.

– მერე მე? – მიმართა მილედიმ. – როგორ გადაგიხადოთ ამის სამაგიერო? მეც ვიცნობ შეყვარებულთ: თითს არ გაანძრევენ, თუ გასამრჯელო არ მიიღეს.

– თქვენ კარგად იცით ის ერთადერთი გასამრჯელო, რომელიც მე მენატრება, – მიუგო დ არტანიანმა, – ერთადერთი, ღირსეული თქვენთვისაც და ჩემთვისაც.

თან ნაზი ალერსით ქალი თავისკენ მიიზიდა.

მილედიმ ოდნავ გაუწია წინააღმდეგობა.

– ანგარებიანი მიჯნური! – წამოიძახა სიცილით ქალმა.

– აჰ, – შეჰყვირა დ არტანიანმა. ვნების ცეცხლი წაეკიდებინა ამ ქალს ყმაწვილი კაცის გულში და აღარა ახსოვდა რა საწყალ ბიჭს, – აჰ! რა ვქნა, რომ დაუჯერებლად მეჩვენება ჩემი ბედნიერება? რა ვქნა, შიში მერევა, – სიზმარივით არ გამიქრეს-მეთქი ეს ნეტარება და ვჩქარობ მის განხორციელებას...

– ჰოდა, მაშ, დაიმსახურეთ ეგ ნეტარება.

– თქვენს ბრძანებას ველი, – მიუგო დ არტანიანმა.

– მართალს მეუბნებით? – ჰკითხა მილედიმ უკანასკნელი ეჭვის განსადევნად.

– დამისახელეთ ის თავლაფდასხმული, რომელმაც ცრემლი ადინა მაგ მშვენიერ თვალებს.

– ვინ მოგახსენათ, რომ ცრემლი მადინა?

– მე მეგონა...

– ჩემისთანა ქალებმა ტირილი არ იციან, – უთხრა ამაყად მილედიმ.

– მით უკეთესი, მაშ მითხარით, ვინ არის?

– რა ვქნა, რომ მისი დასახელება... ჩემი საიდუმლოებაა.

– კარგი მაგრამ, ხომ უნდა ვიცოდე, ვინ არის?

– დიახ, უნდა იცოდეთ, ხედავთ, როგორი ნდობით გექცევით?

– კიდეც მიხარია, ვინ არის?

– თქვენც იცნობთ.

– მართლა?

– დიახ.

– ჩემი მეგობართაგანი ხომ არ არის? – ჰკითხა ყოყმანით დ არტანიანმა. ამ კითხვით საბოლოოდ არწმუნებდა ქალს, რომ არ იცოდა, ვის მოკვლას ავალებდნენ.

– თქვენი მეგობართაგანიც რომ ყოფილიყო, განა აგრე დაიწყებდით ყოყმანს? – შეჰყვირა მილედიმ და მუქარის ელვამ გაუარა თვალებში.

– არა, ძმაც რომ ყოფილიყო ჩემი! – უპასუხა აღტაცებულის ხმით.

უშიშრად მიიწევდა წინ ჩვენი გასკონელი.

– მომწონს თქვენი თავდადება, – უთხრა მილედიმ.

– ვაიმე! მაშ, მარტო ეგ მოგწონთ ჩემი? – ჰკითხა წყენით დ არტანიანმა.

– არა, მე თქვენც მიყვარხართ, თქვენც, – მიუგო მილედიმ და ხელი დაუჭირა.

ხელის ალერსით შეხებამ თავით ფეხამდე აათრთოლა დ არტანიანი, თითქოს მილედიმ ამ შეხებით მასაც გადასცა თავისი მწვავე მღელვარება.

– მაშ, გიყვარვართ? – იძახდა აღტაცებული დ არტანიანი, – თუ ეს მართალია, ვგონებ, გავგიჟდები სიხარულით.

მივარდა, ორივე ხელი მოჰხვია, ბაგე დაუკოცნა, წინააღმდეგობას არ უწევდა ქალი, პირს არ არიდებდა, მაგრამ კოცნითვე არ უპასუხებდა.

გაყინული ჰქონდა მილედის ტუჩები, დ არტანიანს მოეჩვენა, თითქოს ქანდაკებას ჰკოცნიდა და არა ცოცხალ ქალს.

მაგრამ ის მაინც სიხარულს დაეთრო, ისე იყო გაგიჟებული სიყვარულით, რომ ლამის მილედის გრძნობის გულწრფელობაც დაეჯერებინა და გრაფ დე ვარდის ავკაცობაც. ამ წამს რომ ახლოს ჰყოლოდა ვარდი, მოსაკლავად არ დაინდობდა.

მილედიმაც ისარგებლა ამ შემთხვევით.

– ის გახლავთ...

– გრაფი დე ვარდი, ვიცი! – წამოსცდა დ არტანიანს.

– საიდან იცით? – წამოვარდა მილედი, ორივე ხელი დაუჭირა და თვალი თვალში გაუყარა, რომ არა გამოჰპარვოდა რა დ არტანიანის გულნადებიდან.

იგრძნო გასკონელმა, რომ ფეხი წაუსხლტა და შეცდომა დაუშვა.

– თქვით, თქვით! – ჩასძახოდა მილედი, – საიდან იცით?

– საიდან ვიცი?

– დიახ, საიდან იცით?

– იქიდან ვიცი, ქალბატონო, რომ გუშინ გრაფ დე ვარდმა ერთ დარბაზში ბეჭედი აჩვენა იქ დამსწრეთ და თქვა, რომ თქვენგან მიიღო.

– საზიზღარი! – წამოიძახა მილედიმ.

ეს სიტყვა, მკითხველი თვითონაც მიხვდებოდა, შიგ გულში მოხვდა დ არტანიანს.

– მე ამოვიყრი იმ შერცხვენილის ჯავრს, – მიუგო დ არტანიანმა.

– გმადლობთ, ჩემო მამაცო მეგობარო, – დაუმადლა მილედიმ, – მერედა, როდის?

– ხვალ ან ახლავე! როდესაც თქვენ ისურვებთ.

მილედის უნდოდა დაეყვირა: – ახლავეო! – მაგრამ ისიც იფიქრა, ასეთი აჩქარება უხერხული იყო დ არტანიანის მიმართ. გარდა ამისა, თვითონაც სჭირდებოდა სიფრთხილე. საჭირო იყო კარგად დაერიგებინა თავისი დამცველი, რომ მას არავითარი განმარტება არ მიეცა სეკუნდანტებისათვის, ამ მხრივ სწორედ მისაღები იყო დ არტანიანის სიტყვა.

– ხვალ ჯავრს ამოგყრით მე თქვენი მტრისას ან არადა მკვდარი ვიქნები.

– არა, ჯავრს ამომყრით და თქვენ ცოცხალი დარჩებით, ის ლაჩარია!

– ქალებთან იქნება ლაჩარიც იყოს, მაგრამ კაცებთან კი ყოჩაღი არის. ცოტათი მეც ვიცნობ, მგონი.

– დიახ, იცნობთ, მაგრამ ბრძოლა რომ მოგიხდათ იმ ვითომ ყოჩაღთან, თქვენკენ იყო ბედი.

– ბედი, ქალბატონო, კარისკაცია: დღეს ფეხქვეშ დაგეგებათ, ხვალ კი ზურგს შემოგაქცევთ.

– ისე რომ, ახლა შიში გერევათ?

– არა, მე შიშისა არა ვიცი რა! ღმერთმა დამიფაროს! ეს მიბრძანეთ, ნუთუ ღირსეულად მიგაჩნიათ, მოსაკლავად ან სასიკვდილოდ გზავნიდეთ კაცს და დაპირებული იმედის მეტს არას აძლევდეთ?

მილედიმ ნაზად გადახედა ამის პასუხად, თითქოს უნდოდა ეკითხა: აჰ, მაგასა სჩივით? მერედა, გაბედულად თქვით!

მაგრამ თავის თვალს ალერსიანი სიტყვაც მიაყოლა:

– მართალი ხართ.

– ოჰ, ხორცშესხმული ანგელოზი ხართ! – შესტრფოდა დ არტანიანი.

– მაშ, ყველაფერში შევთანხმდით? – ჰკითხა მილედიმ.

– ყველაფერში, გარდა იმისა, რასაც მე გემუდარებით, ჩემო ღვთაებავ!

– ხომ გეუბნებით, რომ გულდამშვიდებით შეგიძლიათ ენდოთ ჩემს გრძნობას!

– ლოდინს ხვალინდელი დღე უნდა, მე კი შეიძლება, ხვალინდელსაც ვეღარ მოვესწრო.

– ჩუმად! ჩემი მაზლის ხმა ისმის: საჭირო არ არის, რომ აქ გნახოთ.

ზარი დააწკარუნა, შემოვიდა კეტი.

– ამ კარით გადით, – უთხრა დ არტანიანს და მიმალური პატარა კარი გააღო, – თერთმეტ საათზე მობრძანდით. მაშინ დავაბოლოოთ ჩვენი ბაასი. კეტი შემოგიყვანთ ჩემს ოთახში.

სევდა ერეოდა საწყალ გოგოს და ამ სიტყვების გაგონებაზე კინაღამ გული წაუვიდა.

– აჰა, ღმერთო! რა დაგემართათ, ქალო, რომ აგრე გაშეშებული დგახართ? ვერ გაიგეთ, რას გეუბნებით? აბა, გააცილეთ ბატონი მხედარი! მაშ, ამაღამ, თერთმეტ საათზე, ხომ გესმით?

„როგორც ეტყობა, პაემანს ყოველთვის თერთმეტ საათზე ნიშნავს, – იძახდა გულში დ არტანიანი, – ჩვეულებად გადაჰქცევია“.

მილედიმ ხელი გაუწოდა, დ არტანიანი ეამბორა მის ხელს და გავიდა.

„არა, არა, – ფიქრობდა დ არტანიანი და პასუხს არც კი აძლევდა კეტის საყვედურის სიტყვებს, – არა, დიდი სიფრთხილე მმართებს, თორემ ბოროტების განხორციელებაა ეს დედაკაცი“.

VII

მილედის საიდუმლოება

დ არტანიანმა არ უსმინა კეტის ხვეწნა-მუდარას, არ გაჰყვა თავის ოთახში და გარეთ გამოვიდა. ასეთი საქციელისათვის მას ორი საფუძველი ჰქონდა: ჯერ ერთი, ამით თავიდან აიცილებდა კეტის საყვედურებს, ხვეწნა-მუდარას, ტირილს, და, მეორეც ის, რომ საშუალება მიეცემოდა, კარგად დაფიქრებოდა თავის მდგომარეობას და როგორმე ჩასწვდომოდა მილედის განზრახვას.

ყველაზე ნათელი დ არტანიანისათვის მხოლოდ ერთი იყო: მას გაგიჟებით უყვარდა მილედი, ხოლო ქალი არაფრად აგდებდა თავის მიჯნურს. ერთი წუთით თითქოს გონს მოვიდა ყმაწვილი კაცი, გადაწყვიტა, განსაცდელის ასაცილებლად აღსარების გრძელი წერილი მიეწერა მილედისათვის და გულწრფელად ედიარებინა ყველაფერი. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ თვითონ დ არტანიანსაც გაგიჟებით სწყუროდა ჯავრის ამოყრა. ახლა მას უნდოდა, უკვე თავისი საკუთარი სახელით დაემორჩილებინა ქალი და რადგან ასეთი შურისძიება დიდ ნეტარებას ჰპირდებოდა, ვერ ახერხებდა მის უარყოფას.

ხუთჯერ თუ ექვსჯერ შემოუარა მეფის მოედანს. ათ ნაბიჯს წინ რომ გადადგამდა, მაშინვე უკან ბრუნდებოდა. თვალს არ აშორებდა მილედის ფანჯრების დარაბებიდან გამომჭვირვალე სინათლის შუქს. როგორც ჩანდა, ამჯერად ქალი ისე არ ჩქარობდა თავის საწოლ ოთახში შესვლას, როგორც გრაფ დე ვარდის მოლოდინის დროს.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩაქრა შუქი მილედის ოთახში.

ამან ბოლო მოუღო დ არტანიანის გულში უკანასკნელ ყოყმანს, სირბილით ავიდა კეტის ოთახში მიმავალ კიბეებზე.

ახალგაზრდა გოგოს მკვდრისფერი დასდებოდა და მთელი ტანით ცახცახებდა. კეტი შეეცადა შეეჩერებინა თავისი მიჯნური, მაგრამ მილედის ყური მოახლის ოთახისკენ ეჭირა და როგორც კი გაიგონა შესვლით გამოწვეული ხმაური, თვითონვე გააღო კარი.

– მობრძანდით, – მიიპატიჟა მილედიმ.

ისეთი წარმოუდგენელი ურცხვობითა და თავხედობით მოხდა ყველაფერი ეს, რომ დ არტანიანმა არ იცოდა, დაეჯერებინა თუ არა, რასაც ხედავდა. თავი სიზმარში გახლართულ ინტრიგების ქსელში ეგონა.

ჩვენმა გმირმა ვეღარ გაუძლო მილედის მაგნიტურ მიმზიდველობას და მისკენ გაექანა. მათ უკან კარი მიიხურა.

საწყალი კეტიც ამ კარს მიეყრდნო.

ეჭვი, ბრაზი, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა, ერთი სიტყვით, ყველა ეს გრძნობა, თავმოყრილი შეყვარებული ქალის გულში, სიმართლის გასამჟღავნებლად უბიძგებდნენ, მაგრამ თუ მილედი ამ ვერაგ საქმეში მის მონაწილეობას გამოამჟღავნებდა, თვითონაც უნდა დაღუპულიყო. გარდა ამისა, დ არტანიანსაც სამუდამოდ დაკარგავდა. ამიტომ სიყვარულის გრძნობამ უკარნახა, ერთხელ კიდევ გაეღო უკანასკნელი მსხვერპლი.

დ არტანიანს უკვე აუსრულდა განზრახული. ახლა იგი გრაფ დე ვარდის სახელით კი არ იყო მისული, არამედ თვითონ დ არტანიანი უყვარდათ. ან, ყოველ შემთხვევაში, თავს ისე აჩვენებდნენ, რომ უყვარდათ, თუმცა გულის სიღრმიდან საიდუმლო ხმა ამოსძახოდა, რომ იგი მხოლოდ შურისძიების იარაღი იყო; მაგრამ ამპარტავნობით, თავმოყვარეობითა და სიყვარულით გახელებული გრძნობა აჩუმებდა გულის საიდუმლო ხმას. ამ ამბავს ისიც ემატებოდა, რომ ჩვენი თავმომწონე გასკონელი თავის თავს გრაფ დე ვარდს ადარებდა და შეკითხვას სვამდა:

– ბოლოს და ბოლოს, რატომ მე თვითონ არ უნდა შემიყვაროს მილედიმ?

სულით ხორცამდე დანებდა დ არტანიანი სიყვარულით აღგზნებულ გრძნობას. მილედი მისთვის აღარ იყო ის ავბედითი ქალი, თავისი ბოროტებით რომ აშინებდა. მის წინ იდგა ვნებითა და სიყვარულით გახელებული საყვარელი, რომელიც თვითონვე დიდი ნეტარებით მიისწრაფოდა ახალგაზრდა კაცისკენ. ასე გავიდა ორი საათი.

თავდავიწყებისაგან პირველად მილედი გამოერკვა და ისიც ჰკითხა, კარგად მოიფიქრა თუ არა რაიმე საბაბი, რომელიც გრაფ დე ვარდის დუელში გამოწვევის მიზეზად უნდა დაესახელებინა.

მაგრამ დ არტანიანის ფიქრები სადღაც შორს დაციალებდნენ. სულელივით სულ გადაავიწყდა ყველაფერი და უპასუხა, რომ საამო არ იყო ამ დროს ხმალზე ლაპარაკი.

ამ გულცივმა პასუხმა იმ საქმის შესახებ, რომელიც მილედის ერთადერთ საზრუნავ საგანს შეადგენდა, იგი შეაშინა და ახლა უფრო დაჟინებით დაუწყო გამოკითხვა.

დ არტანიანს არასოდეს არ უფიქრია სერიოზულად ამ შეუძლებელი დუელის ჩატარებაზე. იგი ბევრს ეცადა, როგორმე სხვა საგანზე გადაეტანა საუბარი. მაგრამ ამაოდ. მაშინ მილედის ურჩია, ეპატიებინა გრაფ დე ვარდისათვის.

ამ სიტყვების გაგონებაზე მილედი კანკალმა აიტანა და ცივად მოშორდა თავის საყვარელს.

– ნუთუ გეშინიათ, ძვირფასო დ არტანიან? – ჰკითხა მკვეთრი, დამცინავი ხმით, რომელიც უცნაურად გაისმა სიბნელეში.

– არა მგონია, რომ თქვენ მაგას ფიქრობდეთ, ჩემო ოცნებავ, – უპასუხა დ არტანიანმა, – მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ: იქნებ ისეთი დამნაშავე არ იყოს საწყალი გრაფი, როგორც თქვენა გგონიათ.

– ასეა თუ ისე, მე გეუბნებით, რომ მომატყუა და მას შემდეგ, რაც მომატყუა, ის სიკვდილის ღირსია. – უპასუხა დაბეჯითებით მილედიმ.

– მაშ, რაკი სიკვდილი მიუსაჯეთ, კიდეც მოკვდება! – უთხრა დ არტანიანმა ისეთი მტკიცე ხმით, რომ საბოლოოდ დაარწმუნა ქალი ერთგულებაში და ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა. მილედი კვლავ დ არტანიანს მიუახლოვდა.

გარიჟრაჟამდე დარჩა დ არტანიანი მილედისთან, მაგრამ მაინც ეგონა, ორი საათია, რაც აქა ვარო.

მილედიმ წასვლის წინ კიდევ მოაგონა დ არტანიანს მისი აღთქმა გრაფ დე ვარდზე შურისძიების შესახებ.

– მზად გახლავართ, მილედი, – უთხრა დ არტანიანმა, – მაგრამ ვიდრე საქმეს შევუდგებოდე, ერთი რამ მინდა გავიგო.

– რა უნდა გაიგოთ?

– გიყვარვართ?

– მე მგონი, დაგიმტკიცეთ ჩემი სიყვარული.

– დიახ, და მეც თქვენი ვარ სულით ხორცამდე.

– გმადლობთ, ჩემო მამაცო საყვარელო! მაგრამ როგორც მე დაგიმტკიცეთ ჩემი სიყვარული, თქვენც ასევე საქმით დამიმტკიცებთ თქვენს სიყვარულს, არა? ახლა თქვენი ჯერია.

– დიახ, დაგიმტკიცებთ, მაგრამ თუ მართლა გიყვარვართ, როგორცა ბრძანებთ, ნუთუ არ შიშობთ ჩემზე?

– რისა უნდა მეშინოდეს?

– ხომ შეიძლება, მძიმედ დამჭრას? ან მომკლას კიდეც?

– შეუძლებელია! – მიუგო მილედიმ, – თქვენ მამაცი ხართ და ისეთი მოფარიკავე, რომ...

– ნუთუ შურის საძიებლად თქვენ უპირატესობას არ მისცემთ სხვა რაიმე საშუალებას, ისე, რომ თავიდან ავიცილოთ შებრძოლება.

მილედი გაჩუმებული შეჰყურებდა თავის საყვარელს. განთიადის პირველი შუქი ბოროტ გამომეტყველებას აძლევდა ქალის თვალებს.

– რა გითხრათ, იცით? მე მგონი, თქვენ ყოყმანობთ, – უთხრა მილედიმ.

– არა, მე არ ვყოყმანობ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მებრალება ის საწყალი გრაფი. იგი მარტო იმითაც არის დასჯილი, რომ თქვენი სიყვარული დაკარგა და ამიტომ საჭირო აღარ უნდა იყოს სხვა სასჯელითაც მისი დასჯა.

– მერე, საიდან იცით, რომ მე გრაფი მიყვარდა?

– ის ხომ ვიცი, რომ დღეს თქვენ სხვა გიყვართ, – უთხრა ალერსით ყმაწვილმა კაცმა, – და კიდევ ვიმეორებ, თანავუგრძნობ გრაფს.

– თქვენ? – გაიკვირვა მილედიმ.

– დიახ, მე.

– რაღა თქვენ? რად?..

– იმიტომ, რომ მარტო მე ვიცი...

– რა იცით?

– ის იმდენად დამნაშავე არ არის, როგორც თქვენა გგონიათ.

– გამაგებინეთ, – მიმართა შეწუხებული ხმით მილედიმ, – გამაგებინეთ, რის თქმა გინდათ, მე თქვენი ვერა გამიგია რა.

დ არტანიანს უნდოდა, ხელი მოეხვია მილედისათვის, მაგრამ ქალი განრისხებული თვალით შეჰყურებდა.

– ეჰ, პატიოსანი კაცი ვარ, – განაგრძო დ არტანიანმა, რომ გაეთავებინა ეს საუბარი, – და რაკი მე მეკუთვნის თქვენი სიყვარული და დარწმუნებულიცა ვარ, რომ უკვე მე მეკუთვნის, არა?..

– მთლიანად, განაგრძეთ!

– ისე ვგრძნობ თავს, თითქოს გარდაქმნილი ვიყო. ერთი რამ მაწევს გულზე და მინდა ვაღიარო...

– უნდა აღიაროთ?

– ეჭვი რომ მეპარებოდეს თქვენს ჩემდამი სიყვარულში, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ თქვენ ხომ გიყვარვართ, ჩემო მშვენიერო? გიყვარვართ, არა?

– დიახ, დიახ.

– ერთი მიბრძანეთ, თქვენი სიყვარულით გაგიჟებულმა რომ დავაშავო რაიმე თქვენი საწყენი, შემინდობთ?

– შეიძლება შეგინდოთ.

დ არტანიანი შეეცადა უაღრესად ტკბილი ღიმილით მიახლოებოდა მილედის ბაგეს, მაგრამ ქალმა სახე მოარიდა.

– რა უნდა აღიაროთ? – ჰკითხა შიშით ფერმიხდილმა ქალმა, – რა არის ეს საიდუმლოება?

– ხომ მართალია, რომ თქვენ პაემანი დაუნიშნეთ ბატონ ვარდს წარსულ ხუთშაბათს, ამავე ოთახში?

– მე? პაემანი? აბა, რას ამბობთ? – უპასუხა მილედიმ ისეთი მტკიცე გულგრილობით, რომ თუ თვითონ ყმაწვილკაცს არა სცოდნოდა სინამდვილე, უსათუოდ დაარწმუნებდა თავის სიმართლეში.

– ნუ სტყუით, ჩემო მშვენიერო ანგელოზო, – უთხრა ღიმილით დ არტანიანმა, – ამაოდ ჩაგივლით აქ სიცრუე.

– რას უნდა ვტყუოდე? ბარემ თქვით, ნუ მომკალით!

– ოჰ, დამშვიდდით! თქვენ ჩემთვის არა დაგიშავებიათ რა, მე უკვე გაპატიეთ თქვენი ცოდვა.

– მერე? მერე?

– ბატონ ვარდს საკვეხარი არაფერი აქვს.

– როგორ თუ არა?.. თქვენ არ მითხარით წეღან, რომ ის ბეჭედი...

– ის ბეჭედი, ჩემო ტკბილო საყვარელო... მე მაქვს ის ბეჭედი. თქვენი ხუთშაბათის გრაფი დე ვარდი და ამაღამინდელი ბატონი დ არტანიანი ერთი და იგივე პიროვნება გახლავთ.

გაუფრთხილებლად მოიქცა დ არტანიანი, ეგონა, ქალის განცვიფრებას მორცხვობა დაემატებოდა, კვნესის და ცრემლის პატარა ქარიშხალი ამოვარდებოდა და ამით გათავდებოდა ყველაფერი, მაგრამ შეცდა.

საშინლად ფერმიხდილი მილედი წამოვარდა, დ არტანიანს გულში ხელი ჰკრა და ლოგინიდან ძირს ჩასვლა დააპირა.

დილის სინათლეს ოთახი უკვე კარგად გაენათებინა.

დ არტანიანმა ხელი სტაცა ქალის ინდურ, თხელ ბატისტის პერანგს, უნდოდა შეეყენებინა და პატიებას შეჰვედრებოდა, მაგრამ ქალი ძლიერი და მტკიცე მოძრაობით ხელიდან გაუსხლტა. ბატისტის პერანგი დაიხა. ქალს გაუტიტვლდა გულ-მკერდი და მართლაც ბროლივით ამობურცულ მშვენიერ მხარზე დ არტანიანმა დაინახა შროშანას ყვავილი, – წაუშლელი დამღა, რომელსაც საუკუნოდ შერცხვენილს ასვამს ჯალათის ხელი.

შიშმა აიტანა გასკონელი. განცვიფრებული შეჰყურებდა.

– ღმერთო ძლიერო! – შეჰყვირა და ხელი გაუშვა პერანგს. ამ მოულოდნელი სანახაობით განცვიფრებული ჭაბუკი თითქოს ლოგინზე მიყინულიყო.

მილედიც მიხვდა, რომ გამჟღავნდა მისი საიდუმლოება. დ არტანიანმა დაინახა იგი. ყმაწვილმა კაცმა მიაგნო იმ საშინელ საიდუმლოებას, რომელიც ქვეყანაზე არავის ენახა.

დაჭრილი, გაცოფებული ვეფხვი დ არტანიანისკენ შემოტრიალდა.

– აჰ, ბედკრულო! ჯერ ლაჩრულად მიღალატე და შემდეგ ჩემი საიდუმლოება აღმოაჩინე! მაშ, მოკვდი!

მილედი სწრაფად მივარდა სამკაულის მაგიდაზე მდგარ საროთით მოჭედილ ყუთს, შეძრწუნებულმა, აკანკალებული ხელით გააღო იგი და იქიდან ოქროსტარიანი პირბასრი ხანჯალი ამოიღო. თითქმის სულ მთლად გატიტვლებული, ერთი ნახტომით დ არტანიანთან გაჩნდა.

როგორც მკითხველმა იცის, გულადი ბიჭი იყო ჩვენი გასკონელი, მაგრამ მაინც გულგახეთქილი შესცქეროდა ამ გადარეულ ქმნილებას, მის გულშემზარავად დაჭყეტილ თვალებს, ფერმიხდილ სახეს და დასისხლიანებულ ტუჩებს. უკან, კედლისაკენ დაიწია, თითქოს შხამიანი გველი მიიკლაკნებოდა იმისკენ და მას ერიდებოდა. გაოფლიანებული ხელი თავის ხმალს წაავლო და ქარქაშიდან ამოიღო.

მილედი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ქარქაშიდან ამოღებულ ხმალს, ლოგინზე ასვლას ცდილობდა, რომ როგორმე ხანჯალი დაეკრა ყმაწვილი კაცისათვის, იგი მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როდესაც ყელზე დ არტანიანის ხმლის წვერი იგრძნო.

მილედი შეეცადა, ახლა ხმლისთვის წაევლო ხელი, მაგრამ დ არტანიანმა ხან ზედ თვალწინ გაუჩერა ხმლის წვერი, ხან გულზე მიაბჯინა, თან ლოგინიდან ძირს ჩამოდიოდა და მიმართულებას კეტის ოთახის კარისკენ იღებდა.

მილედი თავისას არ იშლიდა, გაშმაგებული უტევდა და საშინლად ბრდღვინავდა.

ეს ბრძოლაც სწორედ დუელს ჰგავდა და დ არტანიანიც თანდათან გონებას იკრებდა.

– ძალიან კარგი, კეკლუცო ქალბატონო, ძალიან კარგი! – ეუბნებოდა იგი ხანგამოშვებით, – ღვთის გულისათვის დამშვიდდით, თორემ ახლა მე გამოგისახავთ მაგ მშვენიერ დაწვზე შროშანას ყვავილს!

– ფლიდო! ფლიდო! – ღმუოდა მილედი და თან ხანჯალს ატრიალებდა.

მაგრამ დ არტანიანიც ფრთხილად იყო და, თუმცა კეტის კარისკენ მიიწევდა, მაინც თვალს არ აშორებდა გამძვინვარებულ ქალს.

რაც კი ხელში მოხვდებოდა, მილედი ყველაფერს დ არტანიანს ესროდა. ოთახში საშინელი ხმაური ატყდა. კეტიმ კარები გამოაღო. დ არტანიანი შეუჩერებლივ იგერიებდა მილედის ხანჯალს და მოახლის ოთახისკენ იკაფავდა გზას. თვალით გაზომა დ არტანიანმა: სამი ნაბიჯიღა ჰქონდა დარჩენილი. იგი ელვისებური ნახტომით ქალბატონის საწოლი ოთახიდან მოახლის ოთახში გაჩნდა, კარი მიხურა და მთელი ძალით მიაწვა, სანამ კეტი მაგრად ჩაკეტავდა.

მაშინ ქალბატონმა კარის გატეხა სცადა, რადგან იგი აცლიდა ხელიდან თავის შეურაცხმყოფელს. ისეთი ძალითა სცემდა კარს, რომ კარგ ღონიერ ვაჟკაცსაც გაუჭირდებოდა. მაგრამ როდესაც ნახა, რომ ეს მის ძალ-ღონეს აღემატებოდა, მაშინ ხანჯალი მოიშველია და კარები რამდენიმე ადგილას გახვრიტა კიდეც.

სცემდა ხანჯალს და თან საშინლად ილანძღებოდა.

– აბა, ჩქარა, კეტი, – უთხრა ჩუმი ხმით დ არტანიანმა. – როგორმე გამიყვანე ამ სახლიდან, თორემ თუ დრო მივეცი და გონს მოვიდა, შემომახვევს თავის მსახურებს და ცოცხალი ვეღარ გადავრჩები.

– მერე სად წახვალთ ასე, სულ ტიტველი? – ჰკითხა კეტიმ.

– მართალია, – დაეთანხმა დ არტანიანი, მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ შეუმოსავი ფეხს ვერ გასდგამდა სახლიდან, – ჩამაცვი რაიმე, რაცა გაქვს, მაგრამ ავჩქარდეთ, ხომ ხედავ, სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია.

კარგად ხედავდა კეტი ყმაწვილი კაცის გასაჭირს. უცბად ჩააცვა რაღაც ჭრელი კაბა, თავზე განიერი თავსაბური ჩამოაცვა, წამოსასხამი შემოახვია, ფლოსტები მისცა, რომ შიგ ტიტველი ფეხი ჩაეყო, და კიბეზე ჩაიყვანა. მეკარემ ალაყაფის კარი სწორედ იმ დროს გაუღო, როდესაც ნახევრად შიშველმა მილედიმ ფანჯრიდან გადმოსძახა:

– არ გაუღოთ!

VIII

როგორ მოახერხა ათოსმა აღჭურვილობის შეძენა ისე, რომ თავი არ შეუწუხებია

სანამ ღონემიხდილი მილედი ფანჯრიდან იმუქრებოდა, ჩვენი გმირი მიიმალა. ხოლო როგორც კი მხედველობიდან დაკარგა ყმაწვილი კაცი, გულწასული მილედი იატაკზე დაეცა.

იმდენად თავზარდაცემული იყო დ არტანიანი, რომ არც კი შეწუხებულა კეტის ბედით. სირბილით გადაიარა ნახევარი პარიზი და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როდესაც ათოსის სახლთან მივიდა. არეული ჰქონდა გონება, უკან დადევნებული გუშაგების ძახილი და დილაადრიანად თავიანთ საქმეზე მიმავალი გამვლელების დაცინვა ფრინველის სისწრაფეს აძლევდა მის სიჩქარეს.

გადასერა ეზო, აიარა კიბე, მესამე სართულზე ავიდა და ათოსის კარზე მთელი ძალ-ღონით დააბრახუნა.

გრიმო გამოვარდა ნამძინარევი თვალებით და კარი გაუღო. ისეთი სისწრაფით შევიდა ოთახში დ არტანიანი, რომ კინაღამ წააქცია საწყალი კაცი.

ჩვეულებრივად დამუნჯებულმა გრიმომ ამჯერად ენა ამოიდგა და შეუტია:

– სად მიხვალ, გოგო? აქ რა გინდა, შე უსირცხვილო? ვის ეძებ, ვისა, შე როსკიპო?

დ არტანიანმა წამოსასხამი მოიხადა, თავსაბური მოიხსნა და ხელები გაითავისუფლა. მისი ულვაშისა და უქარქაშო ხმლის დანახვამ გრიმო დაარწმუნა, რომ კაცთან ჰქონდა საქმე, ყაჩაღი იქნებაო, გაიფიქრა დ ყვირილი მორთო.

– მიშველეთ! მიშველეთ! ყაჩაღები!

– ჩუმად! შე უბედურო! – შეუტია დ არტანიანმა, – ნუთუ ვერა მცნობ? დ არტანიანი ვარ. სად არის შენი ბატონი?

– თქვენ ბრძანდებით, ბატონო დ არტანიან? – შეჰყვირა გრიმომ. – შეუძლებელია!

ამ დროს ხალათმოსხმული ათოსიც გამოვიდა თავისი ოთახიდან და მსახურს მიმართა:

– გრიმო! მე მგონი, ლაპარაკს ბედავთ!

– აჰ, ბატონო! რა ვქნა, რომ...

– ჩუმად!

ხმის ამოღება ვეღარ გაბედა გრიმომ და თითით დ არტანიანზე ანიშნა.

ათოსმა მაშინვე იცნო თავისი მეგობარი და ჩვეული გულგრილობის მიუხედავად, გადაიხარხარა. მართლაც სასაცილო იყო დ არტანიანის მასკარადული მორთულობა: აწეწილი თმა, ფეხებზე დაშვებული კაბა, ვიწრო ფლოსტები, აკაპიწებული სახელოები და აბურძგნილი ულვაში!

– ნუ იცინით, ჩემო მეგობარო, – სთხოვა დ არტანიანმა, – ღვთის გულისათვის, ნუ იცინით, რადგან ჩემს სულსა ვფიცავ, აქ სასაცილო არაფერია.

ისეთი შთაგონებით წარმოთქვა ეს სიტყვა, ისეთი თავზარდაცემულის ნამდვილი შიშით, რომ ათოსი მაშინვე მივარდა, ხელები დაუჭირა და შეჰყვირა:

– დაჭრილი ხომ არა ხართ, მეგობარო? მკვდრისფერი გადევთ!

– არა, მაგრამ ეს-ეს არის, საშინელი რამ შემემთხვა, ხომ არავინ გყავთ, ათოს?

– აი, დალახვროს ეშმაკმა, – იუცხოვა ათოსმა, – ვინ უნდა მყავდეს ასე დილაადრიან?

– ძალიან კარგი.

სწრაფად შევიდა ჩვენი გასკონელი ათოსის ოთახში. მეგობარიც თან შეჰყვა, კარები გადაკეტა, რომ არავის შეეწუხებინა, და დ არტანიანს მიმართა:

– არ იტყვით, რა მოხდა? მეფე ხომ არ გარდაიცვალა? კარდინალი ხომ არ მოგიკლავთ? მთლად გადარეული ხართ! ჰა, თქვით, რა მოგივიდათ, თორემ მე ჩემი დამემართება.

– ათოს, – დაიწყო დ არტანიანმა და თან ქალის ტანისამოსი მოიშორა. – ათოს, მოემზადეთ, დაუჯერებელი ამბავი უნდა გიამბოთ.

– ჯერ ეს დილის ხალათი ჩაიცვით, – უთხრა ათოსმა და თავისი ხალათი შესთავაზა მეგობარს.

დ არტანიანმა ჩამოართვა და ისე ძალიან იყო აღელვებული, რომ მარჯვენა ხელი მარცხენა სახელოში გაყო.

– რა დაგემართათ?

– ის დამემართა, – უთხრა დ არტანიანმა ჩუმი ხმით და ათოსს ყურში ჩასჩურჩულა: – ის დამემართა, რომ მილედის მხარზე დაღად შროშანა აზის.

– აჰ, – შეჰყვირა გულში ტყვიანაკრავივით ათოსმა.

– მოითმინეთ! – მიმართა დ არტანიანმა, – დარწმუნებული კი ხართ, რომ ის ქალი მართლა მკვდარია?

– ის ქალი? – წარმოთქვა ათოსმა იმდენად მისუსტებული ხმით, რომ ძლივს გაიგონა დ არტანიანმა.

– დიახ, ის, რომლის შესახებაც თქვენ მიამბეთ ერთხელ, ამიენში ყოფნისას.

ათოსმა მწარედ ამოიკვნესა და თავი ხელებზე დაუშვა.

– ეს ქალი, – განაგრძო დ არტანიანმა, – ახალგაზრდა, ოცდაექვსი-ოცდარვა წლისა იქნება.

– ქერა? – ჰკითხა ათოსმა.

– დიახ.

– ცისფერი თვალები აქვს, უცნაურად ელვარე; შავი წარბ-წამწამი!

– დიახ.

– მაღალი, კოხტა ტანისა, ერთი კბილი აკლია მარცხენა მხარეს.

– დიახ.

– შროშანას ყვავილი პატარაა, მოწითალო ფერისა, ოდნავ გადასული სხვადასხვაგვარი წამლების მეშვეობით.

– დიახ.

– კარგი მაგრამ, თქვენი სიტყვით, იგი ხომ ინგლისელია.

– მილედის ეძახიან, მაგრამ შეიძლება ფრანგი იყოს. მით უფრო, რომ ლორდი უინტერი მისი მაზლია და არა ძმა.

– უნდა ვნახო, დ არტანიან!

– ფრთხილად, ჩემო მეგობარო, ფრთხილად! თქვენ გინდოდათ მისი მოკვლა... იგი ისეთი ქალია, რომ უსათუოდ გადაგიხდით სამაგიეროს სიკვდილითვე. ამასთან, რასაც მოისურვებს, კიდეც აასრულებს.

– ხმის ამოღებასაც ვერ გაბედავს, რადგან ამით თავის თავს გასცემს.

– იგი არაფერს მოერიდება. გინახავთ როდისმე მისი გამძვინვარება?

– არა, – უპასუხა ათოსმა.

– ვეფხვია, ავაზა! აჰ, ჩემო საყვარელო მეგობარო. ძალიან მეშინია, ჩვენზე შურის საძიებლად არავითარ საშინელებას არ მოერიდება.

დ არტანიანმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი: მილედის გონებამიხდილი გაცოფება და სიკვდილით დამუქრება.

– გეფიცებით, თქვენ მართალი ხართ, – უთხრა ათოსმა, – თუმცა ჩალის ფასად არ მიღირს სიცოცხლე. ჩვენდა საბედნიეროდ, ზეგ გავემგზავრებით პარიზიდან, ეჭვს გარეშეა, ლაროშელს მივდივართ, და რაკი წავალთ...

– თან გამოგედევნებათ, თუ გიცნოთ, ათოს, უკან მოგყვებათ ქვეყნიერების კიდემდე. მოდით, თქვენ ნუ გამოჩნდებით, დე, მარტო ჩემზე იყაროს ჯავრი.

– ეჰ, მომკლავს და მომკლას, ჩემო დ არტანიან! რა მენაღვლება? იქნება მართლა გგონიათ, რაიმე მნიშვნელობას ვაძლევდე ჩემს სიცოცხლეს?

– რაღაც საშინელი საიდუმლოებაა მასში დაფარული, ათოს! დარწმუნებული ვარ, ეს დედაკაცი კარდინალის ჯაშუში უნდა იყოს.

– თუ ასეა, უფრო მეტი სიფრთხილე გმართებთ, თქვენი ლონდონს მგზავრობა დაწვრილებით იცის კარდინალმა და, დამეთანხმებით, აღტაცებული როდი გახლავთ ასეთი თავგანწირული მოხერხებით. გაბრაზებული და გაშმაგებულია. მაგრამ რადგან, ბოლოს და ბოლოს, ვერავითარ ცხად დანაშაულს ვერ გიპოვით, ხოლო მძულვარებას კი ჯავრის ამოყრა მოსდევს, მეტადრე თუ ეს მძულვარება ისეთი ადამიანისაა, როგორიც კარდინალი ბრძანდება, ფრთხილად იყავით, ძალიან ფრთხილად. მარტო არსად წახვიდეთ, საჭმელიც კარგად გასინჯეთ. მოკლედ რომ მოვჭრათ, ყველას ერიდეთ, საკუთარ ჩრდილსაც.

– კიდევ კარგი, რომ მხოლოდ ზეგ საღამომდე დაგვჭირდება ეგ უკიდურესი გაფრთხილება, მერე კი, რაკი ჯარში ვიქნებით, მხოლოდღა მტრის ჯარისკაცებს უნდა ვერიდოთ, – თქვა დ არტანიანმა.

– წასვლამდე მე უარვყოფ ჩემს აღთქმას ბინიდან ფეხმოუცვლელობაზე. დღეიდან მეც თქვენთანა ვარ, ყველგან თანა გდევთ. მესაფლავეების ქუჩაზე გნებავთ წასვლა? აი, წავიდეთ, მეც მოვდივარ.

– დიახ, მაგრამ ძალიან ახლოც რომ იყოს აქედან, ასე მორთული ხომ ვერ გავალ ქუჩაში.

– მართალია, – თქვა ათოსმა და ზარი დააწკარუნა.

გრიმო შემოვიდა.

ათოსმა ანიშნა: დ არტანიანთან წასულიყო და ტანისამოსი მოეტანა.

გრიმომაც პასუხი მუნჯურად გასცა, – გავიგე და გეახლებითო.

– ეს ყველა კარგი, მაგრამ ჩვენი აღჭურვილობის საკითხი გადაუწყვეტი რჩება, ჩემო დ არტანიან, – უთხრა ათოსმა, – მით უმეტეს, თუ არა ვცდები, თქვენ მილედისთან დაგრჩენიათ, რაც კი გებადათ. მისი პატიოსნების იმედს ვერ ვიქონიებთ, რომ გამოგიგზავნოთ, თქვენი ბედი, ის საფირონის ბეჭედი მაინც გაქვთ.

– საფირონის ბეჭედი თქვენი გახლავთ, ჩემო გულითადო მეგობარო. თქვენ ხომ მითხარით, რომ იგი თქვენი ოჯახის საგვარეულო ნივთია.

– დიახ, მამაჩემს ეყიდა ორიათას ეკიუდ, როგორც თვითონ მითხრა ერთხელ. ეს ბეჭედიც იმ ნივთებში ერია, რომელიც საქორწინო საჩუქრად მიერთმია დედაჩემისთვის. დედაჩემმა მე მომცა და მე კიდევ, – რა სულელი ვიყავი, ღმერთო! – იმის მაგივრად, რომ შემენახა, როგორც ოჯახის დიდების წმინდა განძი, ავიღე და იმ უნამუსოს ვაჩუქე.

– მაშ, ინებეთ, ჩემო ათოს, თქვენი კუთვნილი, მით უფრო, რომ ძვირად უნდა გიღირდეთ დედათქვენის საგანძურის ოჯახისეული ნივთი.

– მე ავიღო ეგ ბეჭედი მას შემდეგ, რაც იმ შერცხვენილის ხელში იყო და წაიბილწა? ოჰ, მაგას როგორ ვიზამ! ეს ბეჭედი შებღალულია, დ არტანიან, ხელს ვერ ვახლებ მაგას!

– მაშ, გაყიდეთ.

– გავყიდო ის ძვირფასი ქვა, რომლითაც დედაჩემი ხარობდა? გამოგიტყდებით, ჩემო დ არტანიან, ამას სიწმინდის შებღალვად მივიჩნევდი.

– მაშ, დააგირავეთ. ამ ძვირფას განძში, სულ ცოტა, ათას ეკიუს მაინც მოგცემენ. ამ ფულით თავისუფლად შეიძენთ ყოველგვარ საჭირო ნივთს, მერე, როგორც კი ფულს იგდებთ ხელში, გამოისყიდით თქვენს ბეჭედს და მთლიანად განწმენდილს მიიღებთ, ძველი ლაქების ნატამალიც აღარ ექნება, მევახშის ხელი ყოველ უწმინდურობას გააცლის.

ღიმილი მოერია ათოსს.

– შესანიშნავი ამხანაგი ხართ, ჩემო ძვირფასო დ არტანიან, – უთხრა მან, – სულ მხიარულ და კარგ გუნებაზე ხართ. ამით თქვენ ფანტავთ ჩემს სევდას და მამხნევებთ. ჰოდა, ძალიან კარგი, დავაგირაოთ ეს ბეჭედი, ოღონდ ერთი პირობით:

– რა პირობით?

– იმ პირობით, რომ ხუთასი ეკიუ თქვენ გერგოთ და ხუთასი – მე.

– რას ამბობთ, ათოს? დაუფიქრდით! ჩემთვის მაგ ფულის მეოთხედიც მეტი იქნება, რადგან მე უბრალო რაზმელი ვარ და დიდი აღჭურვილობა არ დამჭირდება. ჩემი უნაგირი რომ გავყიდო, თავსაყარად მეყოფა ფული, ან რა მაქვს საყიდელი? ერთი ცხენი პლანშესთვის, სხვა არაფერი! გარდა ამისა, გავიწყდებათ, ჩემო ათოს, რომ ძვირფასი ბეჭედიცა მაქვს.

– რომელიც უფრო ძვირფასია და განუშორებელი თქვენთვის, ვიდრე ეს საფირონის ბეჭედი ჩემთვის. მგონია, რომ არ უნდა ვცდებოდე.

– დიახ, არ სცდებით, რადგან უკიდურეს უბედურებაში ეს ბეჭედი გამოგვიხსნის არა მარტო დიდი გაჭირვებიდან, არამედ რაიმე დიდი განსაცდელიდანაც. ჩემი ბეჭედი ძვირფასი ალმასია, გაჭირვების ტალ-კვესი, ამასთან ერთად, სასწაულმოქმედი თილისმაც.

– კარგად არ მესმის თქვენი ნათქვამი, მაგრამ მჯერა, რომ ასე უნდა იყოს. მაშ, ისევ ჩემს ბეჭედს, ანუ, უფრო სწორად, თქვენს ბეჭედს დავუბრუნდეთ. დავაგირაოთ, რასაც მოგვცემენ, იმის ნახევარს თქვენ აიღებთ, თუ არა, მდინარე სენაში გადავაგდებ.

– თუ ასეა, მეც თანახმა ვარ.

ამ დროს გრიმოც შემოვიდა პლანშეს თანხლებით. შეშინებოდა მსახურს, ნეტავი რა დაემართა ჩემს ბატონსო, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ესარგებლა შემთხვევით და თვითონვე წამოეღო ტანისამოსი.

დ არტანიანმა ჩაიცვა, ჩაიცვა, აგრეთვე ათოსმაც. შემდეგ, როდესაც ორივენი მზად იყვნენ წასასვლელად, ათოსმა ნიშანი მისცა თავის მსახურს. გრიმომ კედლიდან მაშინვე ჩამოხსნა მუშკეტი და თან ეახლა ბატონს.

მშვიდობიანად მივიდნენ მესაფლავეების ქუჩაზე. კარებთან ბონასიე იდგა, მან დაცინვით გადახედა დ არტანიანს:

– ოჰ, ჩემი ძვირფასი მდგმური! ააჩქარეთ ფეხი, ააჩქარეთ! ერთი ლამაზი ახალგაზრდა გოგო გელით. და ხომ იცით, რომ არ უყვართ ქალებს, როცა ალოდინებენ.

„კეტი იქნება!“ – იფიქრა დ არტანიანმა და სწრაფად გაირბინა ხეივანი.

მართლაც, მისი ოთახის კართან ატუზულიყო საწყალი გოგო და ცახცახებდა, როგორც კი დაინახა თავისი საყვარელი, მაშინვე შესძახა:

– თქვენ მფარველობას დამპირდით, გადაგარჩენ შენი ქალბატონის რისხვისაგანო. ხომ იცით, რომ თქვენ დამღუპეთ, თქვენ ჩამაგდეთ ამ დღეში?

– ვიცი, ჩემო საყვარელო, ვიცი! – უპასუხა დ არტანიანმა, – დამშვიდდი, ჩემო კეტი. მითხარ, რა მოხდა ჩემი გამოქცევის შემდეგ?

– აბა, რა ვიცი? ქალბატონის კივილზე მსახურები შეცვივდნენ, სიბრაზისაგან შეიშალა, რაც კი ლანძღვა და გინება არის სადმე, სულ თქვენ მოგიძღვნათ. ვიფიქრე, რომ მალე მოაგონდებოდა, თქვენ რომ ჩემი ოთახით შეხვედით მის საწოლში, მაშინ თქვენს თანამოაზრედ ჩამთვლიდა. ამიტომ სასწრაფოდ ავიღე ცოტაოდენი ფული, ბოხჩაში ჩავალაგე, თუ რამ კარგი მქონდა, და გამოვიქეცი.

– საწყალი გოგო! მაგრამ მე რა გიშველო? მეც რომ წასასვლელი ვარ? ზეგ მივდივარ.

– უნდა მიშველოთ რამე, ბატონო მხედარო, გამიყვანეთ როგორმე პარიზიდან! გამიყვანეთ საფრანგეთიდან!

– რა ვქნა, თან ხომ ვერ წაგიყვან ლაროშელის ასაღებად? საომრად მიდის ჩვენი რაზმი.

– თან ვერ წამიყვანთ, ვიცი, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მომათავსოთ სადმე პროვინციაში მოახლედ თქვენს ნაცნობ ქალთან, მაგალითად, თქვენს მხარეში.

– აჰ, ჩემო კეტი, ჩემ მხარეში ქალებს მოახლეები არა ჰყავთ, მაგრამ მოითმინე, მგონი, საქმე მოგიგვარო. პლანშე! აბა, ჩქარა! არამისი მიპოვე და სთხოვე, ახლავე ჩემთან წამოვიდეს. ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია და უნდა შევატყობინოთ.

– ასე, ასე, – თქვა ათოსმა, – მაგრამ რატომ პორთოსს კი არ მივმართოთ? მე მგონი, მისი მარკიზის...

– მარკიზის ცოლს შინამოახლედ თავისი ქმრის გადამწერლები ჰყავს, – უპასუხა სიცილით დ არტანიანმა, – და, მგონი, არც კეტი ისურვებს დათვის ქუჩაზე დგომას, ჰა, კეტი?

– სადაც უნდა იყოს, სულერთია ჩემთვის, ოღონდ ჩემი ასავალ-დასავალი არავინ გაიგოს.

– ახლა, ჩემო კეტი, ჩვენ დიდი ხნით უნდა დავშორდეთ ერთმანეთს და ნუღარ იეჭვიანებ ჩემზე...

– შორს ვიქნები თქვენგან, ბატონო მხედარო, თუ ახლოს, თქვენ მეყვარებით ყოველთვის, – უთხრა საწყალმა გოგომ.

– ხედავთ, სად დაბადებულა ნამდვილი სიყვარული, – ბუტბუტებდა ათოსი.

– მეც ასევე, მეც ასევე მეყვარები ყოველთვის. ჩემო კეტი, დამშვიდებული იყავი, მაგრამ ერთი მითხარი, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაც გკითხავ: ხომ არაფერი გაგიგონია შენი ქალბატონისაგან ერთი ყმაწვილი ქალის შესახებ, ღამე რომ მოიტაცეს?

– მოითმინეთ... ოჰ, ღმერთო ჩემო!.. ბატონო მხედარო, ნუთუ ახლა ის ქალი გიყვართ?

– არა, ერთ ჩემს მეგობარს უყვარს... ჰო, აი, ათოსს უყვარს.

– მე? – შეჰყვირა ათოსმა ისეთი ზიზღნარევი შიშით, როგორც შეჰყვირებს კაცი, როდესაც ნახავს, რომ შხამიან გველზე უნდა გადაიაროს.

– შენ! რა არის აქ დასამალავი? – უთხრა დ არტანიანმა და მაგრად მოუჭირა ხელზე ხელი. – კარგად იცი, როგორ გვებრალება ყველას საწყალი ქალბატონი ბონასიე, და როგორა ვცდილობთ დავეხმაროთ და ვუშველოთ რამე. ფიქრი ნუ გაქვთ, ხმას არ ამოიღებს კეტი, ხომ არ იტყვი, კეტი? შენ იცი, ჩემო ძვირფასო, – განაგრძო დ არტანიანმა, – ის იმ ჯოჯოხეთის მაშხალის ცოლია, ქუჩის კარებთან რომ დაინახე აქ ამოსვლისას.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! – შეჰყვირა კეტიმ, – წეღანდელი შიში მომაგონეთ! კიდევ კარგი, თუ ვერ მიცნო!

– როგორ გიცნობდათ? განა გინახავთ სადმე ეგ კაცი?

– ორჯერ მოვიდა მილედისთან.

– განა არა!.. როდის იყო, თუ გახსოვს?
– დაახლოებით, ამ თხუთმეტი-თვრამეტი დღის წინათ.
– სწორედ ასე უნდა ყოფილიყო.
– გუშინ საღამოსაც მოვიდა...
– გუშინ საღამოს?
– დიახ, თქვენს მოსვლამდე ცოტათი ადრე.
– ჩემო ათოს, სწორედ ჯაშუშების ქსელით ვართ შემოზღუდული. კეტი, როგორ ფიქრობთ, გიცნო?
– იმის დანახვაზე თავსახვევი ჩამოვიფხატე, მაგრამ შეიძლება უკვე გვიან იყო.
– დაბლა ჩადით, ათოს, მას თქვენ უფრო სანდო კაცად მიაჩნიხართ, და ნახეთ, ისევ კარებთან დგას თუ არა?
ათოსი დაბლა ჩავიდა და მაშინვე ამობრუნდა.
– წასულა, სახლი დაკეტილია.
– წასულა, რათა მოახსენოს, რომ მტრედები ამჟამად უკლებლივ თავის ბუდეში არიან.
– თუკი ასეა, ჩვენც გავფრინდეთ, – უთხრა ათოსმა, – აქ მარტო პლანშე დავტოვოთ, რომ ამბავი მოგვიტანოს.
– კარგი, მაგრამ არამისი? ბიჭი რომ გავგზავნეთ იმის დასაბარებლად?
– მართალია, – დაეთანხმა ათოსი, – მოვუცადოთ არამისს.
ამ დროს თვითონ არამისიც შემოვიდა, მასაც გააცნეს საქმის ვითარება, სთხოვეს, თავის ნაცნობ მაღალწოდების ქალბატონებში აღმოეჩინა კეტისათვის მოახლის ადგილი, აუხსნეს, როგორ საჩქარო იყო საწყალი გოგოს სადმე პროვინციაში გადაყვანა.
ცოტა ხანს ჩაფიქრდა არამისი და შემდეგ გაწითლებულმა თქვა:
– მართლა დიდ დახმარებას გაგიწევთ, დ არტანიან, ამ საქმის მოგვარებით?
– ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება თქვენი სიკეთე.
– ამას წინათ ქალბატონმა დე ბუა-ტრასიმ მთხოვა, ერთი თავისი მეგობარი ქალისთვის, რომელიც პროვინციაში ცხოვრობს, პატიოსანი, სანდო მოახლე, და თუ შეგიძლიათ, ჩემო დ არტანიან, დამარწმუნეთ, რომ ეს ქალი სრული ნდობის ღირსია...
– რასა ბრძანებთ, ბატონო, – შეჰყვირა კეტიმ, – გეფიცებით, უერთგულესი, თავდადებული მონა ვიქნები იმ პიროვნებისა, ვინც საშუალებას მომცემს, რომ პარიზიდან გავიდე.
– მით უკეთესი, – თქვა არამისმა.
მაგიდას მიუჯდა, პატარა ბარათი დაწერა, თავისი ბეჭდით დაბეჭდა და კეტის მისცა.
– ახლა კი თავი გავარიდოთ აქაურობას, ჩემო კეტი, ხომ იცი, რომ შენთვისაც საშიშია აქ დარჩენა და ჩვენთვისაც. კიდევ გვეღირსება უკეთესი დრო და მაშინვე ვიპოვით ერთმანეთს.
– როდესაც უნდა ვნახოთ ერთმანეთი და რა მდგომარეობაშიც უნდა ვიყოთ, მე ისევე მეყვარებით, როგორც დღეს.
– ბანქოს მოთამაშის აღთქმა, – წამოიძახა ათოსმა. დ არტანიანმა კეტი კიბეებამდე მიაცილა.
ერთი წუთის შემდეგ მეგობრები ერთმანეთს გამოეთხოვნენ და პირობა დასდეს, ოთხ საათზე ყველანი ათოსთან ყოფილიყვნენ. სახლში მარტო პლანშე დატოვეს.
არამისი შინ წავიდა, ათოსი და დ არტანიანი – საფირონის ბეჭდის დასაგირავებლად.

მართალი გამოდგა გასკონელი, მათ სრულებით არ გასძნელებიათ ბეჭდის სამას პისტოლად დაგირავება. პირიქით, ებრაელმა ფულის მიცემის დროს უთხრა, თუ მომყიდით ამ ბეჭედს, ორას პისტოლს კიდევ დაგიმატებთო.

ათოსმა და დ არტანიანმა ჯარისკაცური სისწრაფისა და თავიანთი საქმის ცოდნის ოსტატობის წყალობით, სამი საათიც კი არ მოანდომეს მუშკეტერების საჭირო აღჭურვილობის შეძენას, უნდა ითქვას, რომ ათოსი დამყოლი კაცი და ნამდვილი დიდებული იყო. მოეწონებოდა თუ არა ნივთი, მაშინვე მისცემდა რასაც სთხოვდნენ, შევაჭრება მას ღირსების დამცირებად მიაჩნდა. დ არტანიანი ზოგჯერ ცდილობდა შეეჩერებინა მეგობარი, მაგრამ ათოსი ტკბილი ღიმილით დაადებდა ხოლმე მხარზე ხელს. მიხვდა დ არტანიანიც, რომ მისი მოქმედება მხოლოდ პატარა გასკონელ მემამულეს შეეფერებოდა, და არა დიდებულ ბატონს, რომელიც თავის იერით მეფის გვარიშვილს მოგაგონებდათ.

მუშკეტერმა გამოძებნა მშვენიერი ანდალუზიური ცხენი, რომელიც გიშერივით შავი ნესტოებიდან ცეცხლს აფრქვევდა და ლამაზ წვრილ ფეხებზე იდგა. ექვსი წლისა ძლივს იქნებოდა. ათოსმა ყურადღებით გასინჯა და წუნი ვერაფერი უპოვა. ათასი ლივრი დაუფასეს.

იქნება უფრო ნაკლებადაც მიეცათ, მაგრამ სანამ დ არტანიანი ჩარჩს ევაჭრებოდა, ათოსი უკვე მაგიდაზე ულაგებდა ას პისტოლს.

გრიმოსათვის სამას ლივრად პიკარდიული ცხენი იყიდეს, წელმაგარი და ღონიერი, მაგრამ ამ ცხენისათვის უნაგირისა და გრიმოსათვის იარაღის ყიდვის შემდეგ ათოსს ჯიბეში აღარაფერი დარჩა.

დ არტანიანმა შესთავაზა მეგობარს, თავისი წილიდან ცოტაოდენი ფული მაინც აეღო, თუნდაც იმ პირობით, რომ შემდეგში ვალში დაებრუნებინა, მაგრამ ათოსმა პასუხის მაგივრად მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

– რამდენს გვაძლევდა ებრაელი იმ საფირონში, საკუთრებად რომ დაგვეთმო მისთვის? – ჰკითხა ათოსმა.

– ხუთას პისტოლს.

– ესე იგი, ორასი პისტოლით მეტს... ასი პისტოლი თქვენთვის და ასი პისტოლი ჩემთვის! არა, სწორედ ბედი გვაჯილდოებს ასე გულუხვად. ისევ იმ ებრაელთან მიდით.

– როგორ? თქვენ გნებავთ...

– ეს ბეჭედი, მერწმუნეთ, ბევრ სევდიან წუთებს მომაგონებს, ესეც რომ არ იყოს, ციდან ხომ არავინ ჩამოგვიყრის სამას პისტოლს მის გამოსახსნელად? ასე რომ, თუ გირაოში დავტოვეთ, ორი ათას ლივრს ვკარგავთ სრულიად ამაოდ, სჯობს დაბრუნდეთ, უთხრათ, რომ ბეჭედი მისი იყოს, და თქვენი ორასი პისტოლით მობრძანდეთ ჩემთან.

– დაფიქრდით, ათოს!

– ამჟამად მეტად ძვირფასია ნაღდი ფული და მცირე მსხვერპლის გაღებაც უნდა იცოდეს ადამიანმა. აბა, წადით, დ არტანიან, წადით, გრიმოც გამოგყვებათ თავისი მუშკეტით.

ნახევარი საათის შემდეგ ორი ათასი ლივრით დაბრუნდა დ არტანიანი, ისე, რომ გზაში არაფერი შემთხვევია.

აი, როგორ აღმოაჩინა ათოსმა მოულოდნელად საშუალება თავისი აღჭურვილობის შესაძენად.

IX

მოჩვენება

ოთხ საათზე ოთხივე მეგობარი ათოსის ბინაზე შეიკრიბა. აღჭურვილობაზე ზრუნვა უკვე დამთავრდა. ახლა მათ სახეებზე მხოლოდ პირადი და საიდუმლო წუხილი იხატებოდა, რადგანაც ყველა მიღწეული ბედნიერების უკან იმალება მომავლისადმი შიში.

მოულოდნელად შემოვიდა პლანშე და თავის ბატონს ორი წერილი მიართვა.

ერთი პატარა ბარათი იყო სიგრძეზე კოხტად დაკეცილი, მწვანე ცვილით დაბეჭდილი, რომელზედაც გამოსახული იყო მტრედი. მტრედს პირში მწვანე ტოტი ეჭირა.

მეორე უფრო დიდი წერილი იყო, ოთხკუთხი, კონვერტში მოთავსებული, რომელზედაც მისი ყოვლადუწმინდესობის, კარდინალ-ჰერცოგის გერბი ბრწყინავდა.

პატარა ბარათის დანახვაზე დ არტანიანს გული აუფანცქალდა, თითქოს ეცნაურა ხელი, და მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ნანახი მისი ნაწერი, მაინც აღბეჭდოდა მეხსიერებაში და გულის სიღრმეშიც.

დ არტანიანმა აიღო პატარა ბარათი და სწრაფად მოაშორა ბეჭედი.

აი, რასა სწერდნენ ამ ბარათში:

„მომავალ ოთხშაბათს, საღამოს ექვსიდან შვიდ საათამდე, სასეირნოდ წამობრძანდით შაიოს გზაზე და მიმავალ კარეტაში შეიხედეთ. მაგრამ თუ რადმე გიღირთ თქვენი სიცოცხლე და აგრეთვე იმისი სიცოცხლე, ვისაც უყვარხართ, ხმა არ ამოიღოთ, არავითარი მოძრაობით არ შეიმჩნიოთ, რომ იცანით ის ქალი, რომელიც არავითარ განსაცდელს არ ერიდება, ოღონდ ერთი წამით მაინც დაგინახოთ“.

წერილს ხელს არავინ აწერდა.

– მახეს გიგებენ, – თქვა ათოსმა, – ნუ წახვალ, დ არტანიან.

– ხელი რომ ვიცანი? როგორ არ წავიდე.

– განა არ შეიძლება, მიბაძვით იყოს დაწერილი? – განაგრძო ათოსმა, – ექვს-შვიდ საათზე შაიოს გზაზე კაცს ვერ შეხვდები: ეს იგივე იქნება, რომ ბონდის ტყეში ისეირნო.

– ერთად რომ წავიდეთ? – წამოიძახა დ არტანიანმა, – ეშმაკმა დასწყევლოს, ოთხივეს ხომ ვერ გადაგვყლაპავს, ამას დაუმატე ახლა ოთხი მსახური, ცხენები და იარაღი.

– ამით კარგი შემთხვევაც გვეძლევა, დავანახვოთ ჩვენი მორთულობა, – თქვა პორთოსმა.

– კარგი, მაგრამ თუ ამ ბარათის დამწერი ქალია და არ უნდა, რომ სხვამაც დაინახოს, დამეთანხმებით, დ არტანიან, სახელს გაუტეხთ მას. პატიოსან კაცს არ შეშვენის სიყვარულის ასე შელახვა, – შენიშნა არამისმა.

– ჩვენ უკან დავრჩებით, – თქვა პორთოსმა, – მარტო დ არტანიანი წავა წინ.

– კარგით, მაგრამ გაქანებული კარეტიდანაც კარგად შეიძლება დამბაჩის სროლა.

– ეჰ, სულერთია, ტყვია არ მომხვდება, – წამოიძახა დ არტანიანმა, – მესვრიან? დავეწიოთ კარეტას და სულ ერთიანად ამოვწყვიტოთ, ვინც შიგ იქნება! მტრის რიცხვს შევამცირებთ, სხვა ხომ არაფერი.

– მართალს ამბობს დ არტანიანი, – დაემოწმა პორთოსი, – ბრძოლა მოგველის, მით უკეთესი! ამ იარაღს მაინც გამოვცდით.

– მაშ, თუ ასეა, რატომ არ უნდა ვისარგებლოთ ამ სიამოვნებით? – თქვა არამისმა თავისი ტკბილი და დაუდევარი იერით.

– როგორც გენებოთ, – დაეთანხმა ათოსიც.

– ხუთის ნახევარია, ბატონებო, – მიმართა დ არტანიანმა, – ძლივს მოვასწრებთ შაიოს გზაზე ექვს საათამდე გასვლას.

– თუ ძალიან გვიან გავედით, – დაუმატა პორთოსმა, – დაბინდდება და ვეღარავინ დაგვინახავს, რაც ძალიან საწყენად დამრჩება. მაშ, მოდით, მოვემზადოთ, ბატონებო.

– ეს მეორე წერილი რომ გავიწყდებათ? – დაიძახა ათოსმა. – მე კი მაგ წერილის ბეჭედი მაფიქრებინებს, რომ იგი გახსნისა და წაკითხვის ღირსია. პირდაპირ უნდა გამოგიტყდეთ, ჩემო დ არტანიან, ეს წერილი უფრო მაწუხებს, ვიდრე ეგ პატარა ბარათი, ასე მშვიდად რომ ჩამალეთ უბეში, გულთან ახლოს.

დ არტანიანი გაწითლდა.

– რა გაეწყობა? მაშ, ახლა ეს წავიკითხოთ. – თქვა ყმაწვილმა კაცმა, – ვნახოთ, ბატონებო, რა უნდა ჩემგან მის ყოვლადუწმინდესობას!

დ არტანიანმა წერილი გახსნა და წაიკითხა:

„ბატონ დ არტანიანს, მეფის გვარდიელს დე ზესარის რაზმიდან, დღეს საღამოს რვა საათზე ელოდებიან კარდინალის სასახლეში.

ლა ჰუდინიერი, გვარდიის კაპიტანი“.

– ეგღა გვაკლია! – თქვა ათოსმა, – აი, კიდევ ერთი პაემანი, გაცილებით უფრო შემაწუხებელი, ვიდრე პირველი.

– პირველს რომ გავათავებ, მერე მეორეზე წავალ, ერთი შვიდ საათზე არის დანიშნული, მეორე – რვაზე. ორივეს მოვასწრებ, – თქვა დ არტანიანმა.

– ეჰ, მე კი არ წავიდოდი, – თქვა არამისმა, – პატიოსანი კაცი ვერ უმტყუნებს ქალის მიერ დანიშნულ პაემანს. მაგრამ კაცი თუ გონიერია, ყოველთვის მოახერხებს რაიმე მოიმიზეზოს, ბოდიში მოიხადოს, რომ ვერ ეახლა მის ყოვლადუწმინდესობას. მეტადრე, როდესაც საფუძველი აქვს ფიქრობდეს, რომ ქათინაურებით არ შეამკობენ.

– მეც არამისის აზრს ვიზიარებ, – თქვა პორთოსმა.

– ბატონებო, ამაზე ადრე ერთხელ კიდევ მივიღე კარდინალისაგან ბატონ კავუას ხელით ასეთი მოწვევა. ყურადღება არ მივაქციე, არ წავედი და მეორე დღეს დიდი უბედურება დამემართა, კონსტანცია გაქრა. ამაღამ კი, რაც უნდა მომივიდეს, მაინც წავალ, – მიუგო დ არტანიანმა.

– თუ ეს გადაწყვეტილება ურყევია, წადით, – უთხრა ათოსმა.

– ბასტილიის ციხე ხომ არ გავიწყდებათ? – ჰკითხა არამისმა.

– მერე რა მოხდა! იქიდანაც ხომ გამომიყვანთ! – უპასუხა დ არტანიანმა.

– რა თქმა უნდა, გამოგიყვანთ! – დაიძახეს არამისმა და პორთოსმა ერთხმად, გასაკვირველი თავდაიმედებით, თითქოს სულ უბრალო რამეს ჰპირდებოდნენ, – რა თქმა უნდა, გამოგიყვანთ! ოღონდ რაკი ზეგ წასვლას ვაპირებთ, კარგს იზამთ, თუ ბასტილიის ციხეს მოერიდებით.

– მოდი, ასე მოვიქცეთ, – თქვა ათოსმა. – ამაღამ თავს ნუ დავანებებთ დ არტანიანს. კარდინალთან რომ წავა, ჩვენც უკან გავყვეთ, თითოეული ჩვენგანი სამ-სამი მუშკეტერის თანხლებით, სასახლის ყოველ კართან გავნაწილდეთ და სანამ გამოვა, იქ დაველოდოთ. თუ დავინახეთ ჩვენკენ მომავალი დახურული საეჭვო კარეტა, დავეცეთ და ვნახოთ, ვინ მიჰყავთ. დიდი ხანია, საქმე აღარა გვქონია ბატონ კარდინალის რაზმელებთან და ბატონ დე ტრევილს ალბათ დახოცილები ვგონივართ.

– გადაწყვეტით უნდა ვთქვათ, ათოს, – მიმართა არამისმა, – რომ სწორედ სარდლად გაუჩენიხართ ბუნებას! თქვენ რას იტყვით, ყმაწვილებო, ათოსის წინადადების შესახებ?

– მშვენიერია! – დაიძახეს ერთხმად მეგობრებმა.

– მაშ, მე ახლავე წავალ და ჩვენებს შევატყობინებ, რომ მზად იყვნენ რვა საათისათვის. კარდინალის სასახლის მოედანზე შევხვდებით ერთმანეთს. თქვენ კი ბიჭები გაგზავნეთ ცხენების შესაკაზმავად.

– მე რომ არა მყავს ცხენი? – წამოიძახა დ არტანიანმა, – რა გაეწყობა, ბატონ დე ტრევილს ვთხოვ.

– რადა, ბარემ რომელიმე ჩემი ცხენი წაიყვანეთ, – შესთავაზა არამისმა.

– კი მაგრამ, განა თქვენ რამდენი გყავთ? – გაიკვირვა დ არტანიანმა.

– სამი, – უპასუხა ღიმილით არამისმა.

– უნდა მოგახსენოთ, ჩემო არამის, რომ თქვენზე მდიდარი პოეტი არა ჰყავს საფრანგეთს და ნავარიას, – უთხრა ათოსმა.

– ერთი მითხარით, რა ეშმაკად გინდოდათ სამი ცხენი? არც კი იცით, რაში გამოიყენოთ, არა? ვერ გამიგია, რამ გაყიდვინათ ერთბაშად სამი ცხენი.

– არა, მე ორი ვიყიდე, მესამე ამ დილით მომიყვანა ერთმა მსახურმა, რომელსაც ვერაფრით ვერ ვათქმევინე, ვისგან იყო. ასე მიბრძანა ჩემმა ბატონმაო.

– ესე იგი, ჩემმა ქალბატონმაო, – გაუსწორა დ არტანიანმა.

– მაგას მნიშვნელობა არა აქვს, – გაწითლდა არამისი და განაგრძო: – ჰო, ქალბატონმა ასე მიბრძანა, თქვენს თავლაში დავაბა ეს ცხენი, და ვისია ან ვისგან არის, ამისი არა ვთქვა-რაო.

– პოეტების მეტს არავის უღიმის ასე ტკბილად ჩვენი ცხოვრება, – თქვა დარბაისლურად ათოსმა.

– მაშ, თუ ასეა, უფრო უკეთ მოვაგვაროთ საქმე, – უთხრა დ არტანიანმა, – ეს მითხარით, რომელი ცხენი გინდათ თქვენთვის? თქვენი ნაყიდი, თუ ნაჩუქარი?

– რაღა თქმა უნდა, ნაჩუქარი! აბა, თქვენ თვითონვე წარმოიდგინეთ, დ არტანიან, როგორ ვაწყენინებ, ასეთი პატივისცემა რომ დავუწუნო...

– უცნობ პატივისმცემელს, – დააბოლოვა დ არტანიანმა.

– ანდა საიდუმლოებით მოცულ ქალბატონს, – შეუსწორა ათოსმა.

– ასე რომ, უსარგებლოდ გრჩებათ თქვენი ნაყიდი?

– დიახ, თითქმის უსარგებლოდ.

– თქვენ თვითონვე ამოირჩიეთ, როცა ყიდულობდით?

– მერე რა დაკვირვებით, რომ იცოდეთ, თქვენც კარგად იცით, რომ მხედრის ბედი ბრძოლაში თითქმის ყოველთვის ცხენზეა დამოკიდებული.

– მაშ, მე დამითმეთ იმ ფასად, რაც თქვენ მიეცით.

– მე თვითონ ვაპირებდი მაგის თქმას, ჩემო დ არტანიან, ინებეთ ცხენი. რაც შეეხება მის ფასს, ნუ აჩქარდებით, მაშინ გადამიხადეთ, როდესაც შეგეძლებათ.

– მაინც, რა ღირს თქვენი ცხენი?

– რვაასი ლივრი.

– აი, ორმოცი ორპისტოლიანი, ჩემო მეგობარო, – უთხრა დ არტანიანმა და ჯიბიდან ფული ამოიღო, – ვიცი, რომ ასეთ ფულებს თქვენ პოემების ფასად ღებულობთ.

– მაშ, მდიდარი ხართ, დ არტანიან?

– მდიდარი! კრეზივით მდიდარი, მეგობარო! – და დ არტანიანმა ჯიბეში ფული ააჩხარუნა.

– მაშ, გაგზავნეთ უნაგირი მუშკეტერების თავლაში და თქვენს ცხენსაც აქ მოგიყვანენ ჩვენებთან ერთად.

– ძალიან კარგი, ოღონდ ავჩქარდეთ, აგერ, ხუთი საათი სრულდება.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ფერუს ქუჩის ბოლოში გამოჩნდა პორთოსი მშვენიერ ესპანურ რაშზე, უკან მუშკეტონი მოსდევდა პატარა, მაგრამ კოხტა ოვერნული ცხენით. პორთოსს სიამაყისა და სიხარულის გრძნობა უბრწყინავდა სახეზე.

იმავ დროს ქუჩის მეორე ბოლოში გამოჩნდა არამისი საუცხოო ინგლისურ ფეხმარდ ბედაურზე მჯდარი, უკან ბაზენი მოსდევდა რუანული ცხენით და აღვირით კიდევ ერთი მეკლენბურგული მერანი მოჰყავდა დ არტანიანისათვის.

ათოსის კარებთან შეხვდნენ ერთმანეთს ჩვენი მხედრები. ათოსი და დ არტანიანი ფანჯრიდან გადმოსცქეროდნენ.

– მართლაც რომ ძალიან კარგი ცხენი გყოლიათ, პორთოს, – მოუწონა არამისმა.

– დიახ, კარგია. სწორედ ეს უნდა გამოეგზავნათ ჩემთვის იმთავითვე. ქალბატონის ქმარმა ეშმაკურად შემიცვალა, მაგრამ ასეთი ცუდი ხუმრობისათვის, მერწმუნეთ, კარგადაც დაისაჯა. ასე რომ, სავსებით დავკმაყოფილდი.

ამ დროს პლანშე და გრიმოც გამოჩნდნენ, თავიანთი ბატონებისათვის შეკაზმული ცხენები მოჰყავდათ. დ არტანიანი და ათოსი დაბლა ჩამოვიდნენ, ცხენებს მოახტნენ და ოთხივე მეგობარი გზას გაუდგა.

ათოსი თავისი ნაცოლარის ბეჭდით ნაყიდ ცხენზე იჯდა, არამისი – თავისი საყვარლის მიერ გამოგზავნილზე, პორთოსი – ვექილის საგანძურიდან მიღებული ფულით ნაყიდზე და დ არტანიანი კი იმ ცხენზე, რომელიც ბედმა უბოძა.

უკან მსახურები მისდევდნენ.

პორთოსს ნატვრა აუსრულდა: ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს მეგობრებზე, ქალბატონი კოკნარიც კი რომ დახვედროდათ სადმე გზაში და ესპანურ რაშზე ასე მედიდურად გამოჭიმული პორთოსი დაენახა, სრულებით აღარ ინანებდა, რომ იმდენი ფული მოაკლო თავისი ქმრის საგანძურს.

ლუვრთან ჩვენი მეგობრები სენ-ჟერმენიდან მომავალმა ბატონმა დე ტრევილმა შეაყენა. მუშკეტერთა კაპიტანს ძალიან მოეწონა მათი აღჭურვილობა და უნდოდა მადლობა ეთქვა. მაშინვე გარშემო დოყლაპიების მთელი გროვა შემოეხვიათ.

დ არტანიანმა ისარგებლა შემთხვევით და ბატონ დე ტრევილს მოახსენა, რომ წერილი მიიღო კარდინალის წითელი ბეჭდით და ჰერცოგის გერბით დამშვენებული. მეორე წერილზე, თავისთავად ცხადია, ხმა არ ამოუღია.

ბატონმა დე ტერვილმა მოუწონა გადაწყვეტილება და შეჰპირდა: თუ მეორე დილით არ გამოჩნდებოდა, სადაც უნდა ყოფილიყო, უსათუოდ იპოვიდა.

ამ დროს სამარიტენის სამრეკლომ ექვსი საათი დაჰკრა. მეგობრებმა ტრევილის წინაშე ბოდიში მოიხადეს, – პაემანი გვაქვს დანიშნულიო, – და ისევ თავის გზას გაუდგნენ.

ჭენებით გავიდნენ შაიოს გზაზე, უკვე ბინდდებოდა. კარეტები ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან მოდიოდნენ. დ არტანიანი, რომელსაც რამდენიმე ნაბიჯის დაცილებით მცველებად თავისი მეგობრები ჰყავდა, ყველა კარეტის ფანჯრებს დიდი დაკვირვებით სინჯავდა, მაგრამ ვერც ერთში ვერ ხედავდა ნაცნობ სახეს.

ბოლოს, თხუთმეტი წუთის ლოდინის შემდეგ, როდესაც კარგად შებინდდა, გამოჩნდა სევრის მხრიდან მომავალი კარეტა, რომელიც სწრაფად ახლოვდებოდა. რაღაც წინასწარმა გრძნობამ დ არტანიანს ჩასჩურჩულა, რომ სწორედ ამ კარეტაში უნდა ყოფილიყო ის ქალი, რომელმაც მას პაემანი დაუნიშნა. თვითონვე უკვირდა ყმაწვილ კაცს, რომ ასე მღელვარებით უცახცახებდა გული. კარეტა დ არტანიანს გაუსწორდა და თითქმის იმ წუთშივე მისი ფანჯრიდან ქალის თავი გამოჩნდა, ქალმა ტუჩზე ორი თითი მიიდო, თითქოს ამით გაჩუმებას სთხოვს ან შორიდან კოცნას უგზავნისო. მის დანახვაზე დ არტანიანმა სიხარულისაგან შეჰყვირა. ეს ქალი ან, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, ეს მოჩვენება, ქალბატონი ბონასიე იყო.

მიუხედავად გაფრთხილებისა, დ არტანიანმა თავისდა უნებურად დეზები ჰკრა ცხენს და რამდენიმე ნახტომით დაეწია კარეტას, მაგრამ გვიანღა იყო. ფანჯარა მჭიდროდ იყო დაკეტილი და მოჩვენება აღარსად ჩანდა.

მხოლოდ მაშინ მოაგონდა დ არტანიანს გაფრთხილება: „თუ რადმე გიღირთ თქვენი სიცოცხლე და აგრეთვე იმის სიცოცხლე, ვისაც უყვარხართ, ხმა არ ამოიღოთ, არავითარი მოძრაობით არ შეიმჩნიოთ, რომ იცანით ის ქალი“.

ცხენი შეაყენა. მთელი ტანით კანკალებდა, მაგრამ თავის თავზე კი არ წუხდა, მას აშინებდა ბედი საწყალი ქალისა, რომელიც ალბათ ამ პაემანის დანიშვნით თავს დიდ განსაცდელში იგდებდა.

კარეტა კვლავ დიდი სისწრაფით მიდიოდა. პარიზში შესვლის შემდეგ მიიმალა.

შეშინებული დ არტანიანი კი ისევ იქვე იდგა და არ იცოდა, რა ეფიქრა. თუ მართლა ქალბატონი ბონასიე იყო და პარიზს მიდიოდა, რა საჭირო იყო ეს სწრაფმავალი პაემანი? რა საჭირო იყო ეს მალული, წამიერი თვალის გადაკვრა ან ჰაერში დაკარგული კოცნა? მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ის არ იყო (რაც ადვილი შესაძლებელია, რადგან უკვე ბნელოდა და შესაძლოა შემცდარიყო), რა უნდა ყოფილიყო ეს პაემანი, თუ არა ვერაგულად მოწყობილი, მომხიბლავი ქალის სახელით დაგებული მახე, რომელშიც ქალბატონ ბონასიესადმი სიყვარულით უპირებდნენ გაბმას?

სამივე მეგობარმა დ არტანიანთან მოაგდო ცხენი. კარეტის ფანჯრიდან სამივეს კარგად დაენახათ ქალის თავი, მაგრამ ათოსის გარდა არავინ იცნობდა დ არტანიანის სატრფოს. მისი აზრით კი ის ქალი ნამდვილად ქალბატონი ბონასიე იყო. ათოსს, რომელიც დ არტანიანივით მარტო ლამაზი ქალის სახით არ იყო დაინტერესებული, კარეტის სიღრმეში კაცის თავიც შეემჩნია.

– თუ ასეა, ეჭვი არ არის, ერთი საპყრობილიდან ახლა მეორეში გადაჰყავთ, ნეტავი რა უნდათ იმ საწყალი ქალისაგან? ნეტავი კიდევ მეღირსება მისი ნახვა? – თქვა დ არტანიანმა.

– მეგობარო, – უთხრა ჩაფიქრებით ათოსმა, – გახსოვდეთ, რომ ამქვეყნად ერთმანეთს მხოლოდ მკვდრები ვერ ხვდებიან. ამის შესახებ ცოტაოდენი რამ თქვენც იცით უკვე, ჩემო დ არტანიან. და, მაშასადამე, თუ მკვდარი არ არის თქვენი საყვარელი და თუ მართლაც ის იმ კარეტით მიჰყავდათ, იცოდეთ, ადრე იქნება თუ გვიან, მაინც შეხვდებით სადმე ერთმანეთს. და იქნება უფრო ადრეც, დიახ, უფრო ადრეც, ვიდრე თქვენ გნებავთ, – დაუმატა, მან თავისი ჩვეულებრივი ნაღვლიანი ტონით.

რვის ნახევარი დაჰკრა საათმა. კარეტა პაემანით დანიშნულ დროზე ოცი წუთის დაგვიანებით მოვიდა. მეგობრებმა მოაგონეს დ არტანიანს, რომ ახლა კარდინალთან უნდა მისულიყო, თუმცა ისიც უთხრეს, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა უარი ეთქვა ამ ვიზიტზე.

მაგრამ დ არტანიანი საკმაოდ კერპი და, ამასთან ერთად, ცნობისმოყვარე იყო. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, წასულიყო კარდინალის სასახლეში და გაეგო, რა უნდოდა მისგან მის ყოვლადუწმინდესობას. ხოლო რაკი ერთხელ გადაწყვიტა, ვეღარაფერი შეაცვლევინებდა თავის განზრახვას.

გაიარეს სენტ-ონორეს ქუჩა და კარდინალის სასახლის მოედანზე დახვდათ დაბარებული თორმეტი მუშკეტერი, რომლებსაც მხოლოდ აქ აუხსნეს ჩვენმა მეგობრებმა, რისთვის დასჭირდათ მათი დახმარება.

დ არტანიანს ძალიან კარგად იცნობდნენ მეფის მუშკეტერების რაზმში. იცოდნენ, რომ დღეს-ხვალ ისიც მუშკეტერებში ჩაირიცხებოდა, და ამხანაგურად ექცეოდნენ ყველანი. ამიტომ მუშკეტერებმა სიამოვნებით მიიღეს ათოსისა და მისი მეგობრების წინადადება და გულითადი დახმარება აღუთქვეს. გარდა ამისა, ყველასათვის ნათელი იყო, რომ მუშკეტერები ბატონ კარდინალს და იმის ერთგულ მონებს უმზადებდნენ პატარა გამაღიზიანებელ ოინს, ხოლო ასეთი განზრახვის ასასრულებლად ყოველთვის მზად იყვნენ კეთილშობილი აზნაურები.

ათოსმა ისინი სამ ჯგუფად გაანაწილა, ერთის მეთაურობა თვითონ იკისრა, მეორე არამისს ჩააბარა და მესამე – პორთოსს. მერე სასახლის გამოსასვლელი სხვადასხვა კარების პირდაპირ ჩაიმალნენ ეს ჯგუფები.

თავის მხრივ, დ არტანიანიც გულადად შევიდა სასახლის მთავარი კარით.

დ არტანიანს მშველელად თავისი ძალოვანი მეგობრები ეგულებოდა, მაგრამ მაინც ნელი ნაბიჯითა და გულის ფანცქალით ადიოდა სასახლის დიდ კიბეებზე. ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში. მისი მილედისთან დამოკიდებულება ღალატს ჰგავდა. მართალია, დანამდვილებით არ იცოდა, მაგრამ მაინც ფიქრობდა, რომ რაღაც ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ამ ქალბატონს კარდინალთან. გარდა ამისა, გრაფი დე ვარდი, რომელიც მან ცოცხალმკვდარი დატოვა ტყის პირას, კარდინალის ერთგული მონა იყო, ხოლო დ არტანიანმა კარგად იცოდა, რომ მტრების მიმართ დაუნდობელი და საშიში მისი ყოვლადუწმინდესობა მეტისმეტად მფარველობდა თავის მეგობრებს.

„თუ გრაფმა დე ვარდმა უამბო კარდინალს ჩვენი შეტაკების ამბავი და, ეჭვი არ არის, უამბობდა, ამასთანავე, თუ მიცნო კიდეც, ჩემი საქმე წასულია, – ფიქრობდა თავისთვის დ არტანიანი და თავს აქნევდა, – მაგრამ ამდენ ხანს რაღას უცდიდა?! ეს სავსებით ნათელია, ალბათ მილედი თავისი ჩვეულებრივი მოჩვენებითი მწუხარებით მივიდა ჩემს დასაბეზღებლად, რაც მას მართლაც რომ ძალიან უხდება, და ამ უკანასკნელმა დანაშაულმა კარდინალს ალბათ მოთმინება დააკარგვინა“.

„ჩემი ბედი, – განაგრძო ისევ ფიქრებში ტრიალი, – რომ აქვე არიან ჩემი მეგობრები და უბრძოლველად ჩემს თავს არავის დაანებებენ, თუმცა მარტო ბატონ დე ტრევილის მუშკეტერები ხომ ვერ დაუწყებენ ომს კარდინალს, რომლის ხელთ არის მთელი საფრანგეთის ძალა და ძლიერება; რომლის წინაშე უძლურია დედოფალი და მეფესაც დაუკარგავს თავისი უფლება. ფრთხილი ბიჭი ხარ, ჩემო დ არტანიან, ყოჩაღი ბიჭი ხარ, მაგრამ ქალები დაგღუპავენ, იცოდე!“

ასეთი სამწუხარო დასკვნით შევიდა იგი მოსაცდელ ოთახში და მორიგ მოხელეს გადასცა კარდინალთან დაბარების წერილი. ამ უკანასკნელმა იგი მისაღებ ოთახში შეიყვანა და თვითონ სადღაც გაქრა.

კარდინალის ხუთი თუ ექვსი გვარდიელი იცდიდა ამ მისაღებ ოთახში, მაშინვე იცნეს დ არტანიანი და რადგან იცოდნენ, რომ მან დაჭრა ჟუსაკი, უცნაური ღიმილით დაუწყეს ცქერა.

ცუდად ენიშნა დ არტანიანს მათი ღიმილი, მაგრამ არც ისე ადვილი იყო ჩვენი გასკონელის შეშინება, როგორც ყველა მის თანამემამულეს, მასაც საკმაოდ დაჰყოლოდა ბუნებრივი სიამაყე და ისე ადვილად არ დაანახვებდა ვინმეს თავის სულიერ მდგომარეობას, მეტადრე თუ შიში იყო მისი მღელვარების აღმძვრელი მიზეზი; იგი ამაყად გამოიჭიმა გვარდიელების წინ და თვალი გადაავლო მათ, თითქოს ეუბნებოდა, თქვენც ჟუსაკს მიგაყოლებთო, და მედიდური სახით დაიწყო ლოდინი.

შემოვიდა მორიგე და დ არტანიანს ანიშნა, უკან გაჰყოლოდა. გასკონელს მოეჩვენა, რომ მისი ადგომის და წასვლისთანავე კარდინალის რაზმელებმა თვალი გააყოლეს და ჩურჩული დაიწყეს.

დ არტანიანი მორიგეს გაჰყვა, გაიარეს დერეფანი, შემდეგ დიდი დარბაზი, და ბიბლიოთეკაში შევიდნენ. აქ იგი პირისპირ აღმოჩნდა ვიღაცა კაცის წინაშე, რომელიც საწერ მაგიდასთან იჯდა და წერდა.

მორიგე ხმისამოუღებლივ გავიდა ბიბლიოთეკიდან. დ არტანიანმა პირველად გაიფიქრა, რომ ეს კაცი მსაჯული იყო და მომჩივანთა საქმეებს სინჯავდა, მაგრამ ისიც შენიშნა, რომ იგი წერდა, ან უკეთ, ასწორებდა სხვადასხვა ზომის სტრიქონებს, და თითებითა თვლიდა მარცვლებს. დ არტანიანი დარწმუნდა, რომ პოეტის პირისპირ იდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ პოეტმა დაკეცა ხელნაწერი,

რომელსაც ყდაზე ეწერა: „მირამი, ხუთმოქმედებიანი ტრაგედია“. დაკეცა თუ არა ხელნაწერი, მაშინვე დ არტანიანს გადახედა.

დ არტანიანმა იცნო კარდინალი.

X

მრისხანე აჩრდილი

იდაყვით დაეყრდნო კარდინალი თავის ხელნაწერს და ყმაწვილკაცს დააცქერდა, არავის არ ჰქონდა ისე გამგმირავი თვალი, როგორც კარდინალ რიშელიეს. დ არტანიანს თავით ფეხებამდე ჟრუანტელმა დაუარა.

მაგრამ აქაც ღირსეულად დაუხვდა განსაცდელს: ამაყად იდგა, ხელში ქუდი ეჭირა და დამშვიდებული სახით, არც გადაჭარბებული მედიდურობით, მაგრამ არცთუ მეტისმეტი თავმდაბლობით, ელოდა ბატონ კარდინალის ბრძანებას.

– თქვენ, ბატონო, ბეარნელი დ არტანიანი ხართ? – ჰკითხა კარდინალმა.

– დიახ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მიუგო ყმაწვილმა კაცმა.

– ტარბში და იმის მიდამოებში დ არტანიანებს რამდენიმე განშტოება აქვთ, – განაგრძო კარდინალმა, – თქვენ რომელს ეკუთვნით?

– მე შვილი გახლავართ იმ დ არტანიანისა, რომელიც სარწმუნოებრივი ომების დროს თან ახლდა დიდებულ მეფე ჰენრიხს, მისი ყოვლადუდიდებულესობის მამას.

– დიახ, დიახ. თქვენ დაახლოებით ამ შვიდი თუ რვა თვის წინათ წამოხვედით მშობლიური სოფლიდან პარიზში ბედის საძიებლად.

– დიახ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ,

– მენგზე გამოიარეთ, სადაც რაღაც უსიამოვნება შეგემთხვათ, არ მახსოვს, სახელდობრ რა, მაგრამ რაღაც კი შეგემთხვათ.

–თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – დაიწყო დ არტანიანმა, – მენგში რომ გამოვიარე...

– საჭირო არ არის, საჭირო არ არის, – შეაწყვეტინა კარდინალმა ისეთი ღიმილით, რომელიც ცხადად მოწმობდა, რომ თვითონ რიშელიემაც ისევე კარგად იცოდა ეს ამბავი, როგორც მან, ვინც ამის მოთხრობას აპირებდა, – ბატონ დე ტრევილთან მიდიოდით რეკომენდაციით, არა?

– დიახ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, მაგრამ სწორედ იმ უბედური შემთხვევის დროს, მენგში რომ გადამხდა თავს...

– წერილი, რომელიც ბატონ დე ტრევილისათვის უნდა მიგერთმიათ, დაგეკარგათ; დიახ, ეგეც ვიცი. ბატონი დე ტრევილი ძალიან დახელოვნებული ფიზიონომისტი გახლავთ. ერთი შეხედვით სცნობს ადამიანს, მან თქვენ მაშინვე თავისი ქვისლის, ბატონ დე ზესარის რაზმში ჩაგრიცხათ და თან იმედი მოგცათ, რომ ამ ახლო მომავალში თქვენც მუშკეტერებში გადაგიყვანდათ.

– ჭეშმარიტად მართალი ცნობები ჰქონია თქვენს ყოვლადუწმინდესობას.

– მას შემდეგ მრავალი რამ გადაგხდათ! ერთ დღეს კარმელისტების მონასტრის უკან ბრძანდებოდით სასეირნოდ, უკეთესი კი იქნებოდა, რომ სხვაგან ყოფილიყავით სადმე. მერე, თქვენს მეგობრებთან ერთად, ფორჟის წყლებისკენ წახვედით სამგზავროდ. ისინი გზაში ჩამოგრჩნენ, თქვენ კი მარტოდმარტომ განაგრძეთ მგზავრობა. ასეც უნდა ყოფილიყო, თქვენ საქმე გქონდათ ინგლისში.

– თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მიმართა განციფრებულმა დ არტანიანმა. – მე მივემგზავრებოდი...

– სანადიროდ უინძორში ან სხვაგან სადმე, ეს თქვენი საქმეა და სხვას არავის შეეხება, მე ეს იმიტომ ვიცი, რომ ჩემი თანამდებობა მავალებს

ყველაფრის ცოდნას. იქიდან დაბრუნებული, ერთმა უდიდებულესმა პიროვნებამ მიგიღოთ და სიამოვნებით ვხედავ, რომ ასე კარგად შეგინახავთ მის სახსოვრად ნაბოძები საჩუქარი.

დ არტანიანმა ხელი მოუჭირა დედოფლის მიერ ნაჩუქარ ბეჭედს, ხელისგულისკენ მიიქცია ძვირფასი თვალი, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

– მეორე დღესვე ბატონი კავუა მოვიდა თქვენს სანახავად, – განაგრძო კარდინალმა, – მან სასახლეში მიგიწვიათ სტუმრად, თქვენ პატივი არ ეცით ამ მოწვევას, არ მიხვედით, და ამით შეცდომა დაუშვით.

– მეშინოდა, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ: მე მეგონა, გამირისხდებოდით.

– მერე, რად უნდა გაგრისხებოდით, ბატონო? იმისთვის, რომ გონიერად და მამაცურად აასრულეთ თქვენი უფროსების ბრძანება, რაც სხვას იქნება ვერც კი ეკისრა? ჯილდოს ღირსი იყავით და მე გაგირისხდებოდით? მე იმათ ვსჯი, ვინც ბრძანებას არ ასრულებს და არა იმათ, ვინც თქვენსავით... მეტისმეტად კარგად ასრულებს დავალებას და დასამტკიცებლად ამისა, გაიხსენეთ თარიღი იმ დღისა, როდესაც მე თქვენ მოგიწვიეთ და კარგად მოძებნეთ თქვენს მეხსიერებაში, რა მოხდა სწორედ იმ საღამოს?

ეს სწორედ ის საღამო იყო, როდესაც ქალბატონი ბონასიე მოიტაცეს.

დ არტანიანს გააჟრჟოლა. მას მოაგონდა რომ სულ ამ ნახევარი საათის წინ მას გვერდით ჩაუტარეს საწყალი ქალი, ეჭვს გარეშეა, იმავე ძალით გატაცებული, რომელიც იყო მიზეზი მისი გაქრობისა.

– და რადგანაც რამდენიმე დღეს თქვენს შესახებ არაფერი გამიგია რა, – განაგრძო კარდინალმა, – მინდოდა გამეგო, რას აკეთებდით, ისიც უნდა იცოდეთ, რომ რამდენადმე მადლობელიც უნდა იყოთ: თქვენ თვითონაც შენიშნავდით, რომ ყველა შემთხვევაში უვნებლად გადარჩით.

დ არტანიანმა მოწიწებით დაუკრა თავი.

– ეს იყო შედეგი, – განაგრძო კანდინალმა, – არა მარტო სამართლიანობისადმი ბუნებრივი გრძნობისა, არამედ აგრეთვე ერთი გეგმისა, რომელიც თქვენს შესახებ შევადგინე.

უფრო და უფრო გაკვირვებული შეჰყურებდა დ არტანიანი.

– მე მინდოდა იგი იმ დღეს გამეცნო თქვენთვის, როდესაც ჩემი პირველი მოწვევა მიიღეთ, მაგრამ თქვენ არ მოხვედით. ჩვენდა საბედნიეროდ, ამ დაგვიანებით არაფერი წამხდარა, და აი, დღეს მოისმენთ ჩემს გეგმას. დაბრძანდით, ბატონო დ არტანიან, აი, აქ, ჩემს პირდაპირ. საკმარისად პატიოსანი გვარიშვილი ხართ და შეგიძლიათ ფეხზე დგომით არ ისმენდეთ ჩემს სიტყვას, – და კარდინალმა თითით სკამზე ანიშნა.

დ არტანიანი ისე განცვიფრებული იყო ყოველივე იმით, რაც მის გარშემო ხდებოდა, რომ სანამ მეორედ არ მიუთითა რიშელიემ, სკამზე დაჯდომა ვერ მოახერხა.

– თქვენ მამაცი ხართ, ბატონო დ არტანიან, – განაგრძო მისმა ყოვლადუწმინდესობამ, – და რაც უფრო მნიშვნელოვანია, – გონიერი და წინდახედული, მე ძალიან მიყვარს გონიერი და გულმხურვალე ვაჟკაცები, ნუ შეშინდით, – უთხრა მან სიცილით, – გულმხურვალობას რომ ვამბობ, მე მამაცურ ბრძოლას ვგულისხმობ. თქვენ ჯერ სრულიად ყმაწვილი კაცი ხართ, ცხოვრებაში ახლად ფეხშედგმული, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც ძლიერი მტრები გყავთ, თუ ფრთხილად არ მოიქეცით, იცოდეთ, დაგღუპავენ!

– დიახ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მიუგო ყმაწვილმა კაცმა, – და, უეჭველია, ძალიან ადვილადაც დამღუპავენ, რადგანაც ისინი მართლაც ძლიერნი არიან და მფარველებიცა ჰყავთ. მე კი სულ მარტოდმარტო ვარ.

– ეგ მართალია, მაგრამ მარტოდმარტომაც ბევრი რამ გააკეთეთ და, დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრს გააკეთებთ. თუმცა, ჩემი აზრით, აუცილებლად

ხელმძღვანელი გესაჭიროებათ იმ სახიფათო გზაზე, რომელიც თქვენ აგირჩევიათ ცხოვრებაში: მგონი, არა ვცდები, თქვენ ხომ დიდების მოსახვეჭად და კარიერის გასაკეთებლად ჩამოხვედით პარიზს!

– ჩემებრ ჭაბუკ კაცს, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, გიჟური ოცნებები აქვს ხოლმე, – თქვა დ არტანიანმა.

– მარტო სულელს ეპატიება გიჟური ოცნება. ბატონო, თქვენ კი ჭკვიანი კაცი ხართ. ეს მითხარით, რას იტყვით, ლეიტენანტის წოდება რომ შემოგთავაზოთ ჩემს გვარდიაში, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ – ასეულის მეთაურობა?

– აჰ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ!..

– თანახმა ხართ. ხომ?

– თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – დაიწყო ხელმეორედ დ არტანიანმა შეწუხებული სახით.

– როგორ? უარს მეუბნებით? – შეჰყვირა გაკვირვებულმა კარდინალმა.

– მისი ყოვლადუდიდებულესობის გვარდიაში გახლავართ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, და არავითარი საბუთი არა მაქვს, ვემდურებოდე.

– კარგი, მაგრამ, მე მგონი, ჩემი გვარდიაც მისი ყოვლადუდიდებულესობის გვარდიაა, და საფრანგეთის რომელ რაზმშიც უნდა იყოთ, სულ ერთია, საფრანგეთის მეფეს ემსახურებით.

– ბოდიშს ვიხდი, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, მე მაგისი თქმა არ მინდოდა.

– თქვენ საბაბი გინდათ, არა? მე მესმის. ძალიან კარგი, თქვენ იგი გაქვთ: დაწინაურება, რომელსაც თქვენ გთავაზობენ, ლაშქრობა, რომელიც იწყება და შემთხვევა, რომელსაც მე გაძლევთ. აი, საბაბი ამხანაგებში თავის გასამართლებლად, პირადად თქვენთვის კი – ძლიერი მფარველის საჭიროება, რადგან იცოდეთ, ბატონო დ არტანიან, ძალიან დიდი საჩივრები მივიღე თქვენზე. ვიცი, რომ მთელ დღეებსა და ღამეებს მეფის სამსახურს არ ანდომებთ.

დ არტანიანი გაწითლდა.

– სხვათა შორის, თქვენ შესახებ მე აქ მთელი საქმე მაქვს, – თქვა კარდინალმა და ხელი დაადო ერთად შეკრულ ქაღალდებს, – მაგრამ მინდოდა, ჯერ თქვენ მოგლაპარაკებოდით, ვიცი, რომ მტკიცე ხასიათის კაცი ხართ და თქვენი სამსახური, თუ მას კარგად წარმართავენ, გაჭირვების მაგივრად დიდ სიკეთეს და კეთილდღეობას შეგძენთ. მაშ, დაფიქრდით და გადაწყვიტეთ.

– უსაზღვრო სიკეთეს მიქადით, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მიუგო დ არტანიანმა, – ვხედავ, რომ უსაზღვრო ლმობიერებითა და დიდსულოვნებით აღსავსე ბრძანდებით და გნებავთ, ფეხზე წამომაყენოთ მიწაზე მცოცავი მატლი, მაგრამ რაკი ნებას მაძლევთ, რომ გულწრფელად მოგახსენოთ...

დ არტანიანი გაჩუმდა.

– დიახ, განაგრძეთ.

– აი, მოგახსენებთ. თქვენს ყოვლადუწმინდესობას მოეხსენება, რომ ჩემი მეგობრები ყველანი მეფის გვარდიაში და მუშკეტერებში არიან, ხოლო ჩემი მტრები კი, რაღაც წარმოუდგენელი ავბედითობით, თქვენს გვარდიაში გახლავან. ასე რომ, თუ თქვენი წინადადება მივიღე, თქვენები ცუდად მიმიღებენ და ჩვენებიც კარგი თვალით არ შეხედავენ ჩემს წამოსვლას.

– იქნებ მეტისმეტად პატივმოყვარე გახდით და თქვენი ღირსების შესაფერი ადგილი ვერ შემოგთავაზეთ? – ჰკითხა კარდინალმა ზიზღნარევი დაცინვით.

– არა, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, პირიქით, თქვენ გაცილებით მეტად მაფასებთ, ვიდრე ამის ღირსი ვარ, მით უფრო, რომ არაფრით არ დამიმსახურებია თქვენი წყალობა. აი, ბატონო, სადაცაა დაიწყება ლაროშელის გარემოცვა, მე თქვენი ყოვლადუწმინდესობის თვალწინ მომიწევს სამსახური და თუ ამ ბრძოლებში ვეწიე ბედნიერებას, მივიქციო თქვენი ყურადღება, აი, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, უფლება მექნება, ჩემი თავი იმ მფარველობისა და

წყალობის ღირსად ვცნო, რომელსაც თქვენ მთავაზობთ, თავის დროზე უნდა მოხდეს ყელაფერი, ბატონო კარდინალო, თორემ თქვენი წინადადების მიღება დღეს თავის გაყიდვას ემგვანება.

– სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ უარყოფთ, არა გნებავთ ჩემთან გადმოსვლა, – უთხრა კარდინალმა უკმაყოფილოდ, თუმცა უკმაყოფილებასთან ერთად მის სახეზე ერთგვარი პატივისცემაც აღიბეჭდა. – კარგი, ბატონო, დარჩით თავისუფლად და თქვენვე გაუძელით მეგობრებსაც და მტრებსაც.

– თქვენო ყოვლადუწმინდესობავ...

– კმარა, კმარა! – შეაწყვეტინა კარდინალმა, - მე აქ ჩემთვის საწყენს ვერასა ვხედავ, თქვენც, ვგონებ, კარგად გესმით, რომ მხოლოდ მეგობრებს უწევენ მფარველობას და ღირსეულად აჯილდოებენ, მტრებისაგან კი არაფრით არიან დავალებულნი. მიუხედავად ამისა, ერთ რჩევას მაინც მოგცემთ: ფრთხილად იყავით, ბატონო დ არტანიან, კარგად გეჭიროთ თავი, იცოდეთ, იმ წუთიდანვე, როგორც კი მოგაკლდებათ მზრუნველობა, ჩალის ფასად ეღირება თქვენი სიცოცხლე.

– ვეცდები, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მიუგო გასკონელმა დიდებულის დამაჯერებლობით.

– ჰოდა, თუ მომავალში რაიმე უბედურება გეწიათ, – უთხრა კარდინალმა ორაზროვნად, – ნუ დაივიწყებთ, რომ მე მოგმართეთ წინადადებით და რაც კი შემეძლო, ყოველი ღონე ვიხმარე, რათა მაგ უბედურებას ამეცდინეთ.

გულზე ხელი დაიდო დ არტანიანმა, მდაბლად დაუკრა თავი და მოახსენა:

– რაც უნდა უბედურება მეწიოს, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, არასოდეს არ დავივიწყებ დღევანდელ დღეს და მუდამ თქვენი მადლობელი ვიქნები.

– მაშ, როგორც თქვენვე თქვით, ბატონო დ არტანიან, ომის შემდეგ ვნახავთ ერთმანეთს. მეც იქ ვიქნები, ბრძოლებში, და თვალი მეჭირება თქვენზე, – უთხრა კარდინალმა და თითით ანიშნა მშვენიერ აბჯარზე, რომლითაც ომში წასასვლელად უნდა აღჭურვილიყო მისი ყოვლადუწმინდესობა. – დიახ, ომის შემდეგ ვნახავთ კიდევ ერთმანეთს და მაშინ გადავწყვეტთ.

– მანამდე კი გევედრებით, – შეჰყვირა დ არტანიანმა, – თან ნუ გამატანთ თქვენს რისხვას. თუკი დარწმუნდებით, რომ ღირსეულად მიჭირავს თავი, პირუთვნელი იყავით.

– ჭაბუკო, – წარმოთქვა კარდინალმა, – ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთხელ კიდევ მექნა შესაძლებლობა, გაგიმეოროთ ის, რაც დღეს გითხარით.

კარდინალის ამ უკანასკნელმა სიტყვებმა თავზარი დასცა დ არტანიანს. ამ გაფრთხილებაზე უფრო მეტად მას პირდაპირი მუქარაც არ შეაშინებდა. კარდინალმა იცოდა, რომ დ არტანიანს რაღაცას უპირებდნენ მტრები და ცდილობდა მის გადარჩენას. ყმაწვილმა პირი გააღო პასუხის მისაცემად, მაგრამ კარდინალმა მედიდური ხელის დაქნევით ანიშნა, თქვენთან შეხვედრა დამთავ-რებულიაო.

დ არტანიანი გამოვიდა, მაგრამ კარებთან რომ მივიდა, კინაღამ უმტყუნა ვაუკაცობამ; ცოტა გაწყდა, ისევ უკანვე შებრუნდა, კიდევ კარგი, რომ ამ დროს ათოსის დარბაისლური და მკაცრი სახე მოაგონდა: კარდინალის წინადადება რომ მიეღო, თავის დღეში ხელს აღარ ჩამოართმევდა ათოსი, შეიჯავრებდნენ მეგობრები, სწორედ ამ გარემოებამ დ არტანიანს ნაბიჯი წინ გადაადგმევინა და იმავე კიბეს ჩაჰყვა, რომლითაც ზემოთ ავიდა.

კარებთან ათოსი და ოთხი მუშკეტერი დაუხვდა. ისინი უკვე წუხდნენ მეგობრის შეგვიანებას. დ არტანიანმა დაამშვიდა ამხანაგები. პლანშე არამისისა და პორთოსისაკენ გაიქცა შესატყობინებლად, რომ საჭირო აღარ იყო დარაჯობა, რადგანაც მისი ბატონი ცოცხალი და ჯანსაღი გამოვიდა კარდინალის სახლიდან.

ისევ ათოსთან მოიყარეს თავი მეგობრებმა, დ არტანიანს ამ უცნაური შეხვედრის ამბავი გამოჰკითხეს, მაგრამ ჩვენმა გასკონელმა მოკლედ უპასუხა: წინადადება მომცა, რომ ოფიცრად გადავსულიყავ იმის გვარდიაში, მე უარი მოვახსენეო.

– ძალიან კარგადაც მოქცეულხართ, – შეჰყვირეს ერთხმად პორთოსმა და არამისმა.

ღრმად ჩაფიქრებული იჯდა ათოსი და არაფერი თქვა. მაგრამ როდესაც ისა და დ არტანიანი მარტოდ დარჩნენ, უთხრა:

– თქვენ ისე მოიქეცით, დ არტანიან, როგორც საჭირო იყო, მაგრამ, ვინ იცის, იქნება კიდეც შეცდით.

დ არტანიანმა ამოიკვნესა, რადგან ათოსმაც იგივე უთხრა, რასაც თავისი სულის იდუმალი ხმა ჩუმად ჩასძახოდა, – მრავალი უბედურება და განსაცდელი მოგელისო.

მეორე დღეს წასასვლელად მომზადებას მოუნდნენ. დ არტანიანი ბატონ დე ტრევილთან წავიდა გამოსათხოვებლად, იმ დროს ჯერ ისევ სჯეროდათ, რომ მეტად ხანმოკლე იქნებოდა გვარდიელებისა და მუშკეტერების განშორება, რადგან მეფე იმ დღესვე აპირებდა პარლამენტის მოწვევას და მეორე დილით ბრძოლის ველისკენ გამგზავრებას, მუშკეტერები მეფეს თან უნდა გაჰყოლოდნენ, ბატონმა დე ტრევილმა დ არტანიანს ჰკითხა, ხომ არაფერში გჭირდება ჩემი დახმარებაო, მაგრამ გასკონელმა ამაყად უპასუხა, რომ მას ყველაფერი ჰქონდა, რაც კი დასჭირდებოდა.

ღამე ერთად შეიყარნენ ბატონ დე ზესარის რაზმის გვარდიელები და ბატონ დე ტრევილის მუშკეტერები, რომლებსაც ერთმანეთში მეგობრული განწყობილება ჰქონდათ. გვარდიელები საომრად მიდიოდნენ, მუშკეტერები მეფეს უნდა ხლებოდნენ, ერთმანეთს ეთხოვებოდნენ მეგობრები.

დიდი ლხინით დ სიმხიარულით გაატარეს ის ღამე, ამას უჩვენოდაც წარმოიდგენს მკითხველი, რადგან უაღრესად მძიმე საზრუნავის გაქარწყლება უაღრესი უზრნველობით, ლხინითა და თავდავიწყებით შეიძლება.

მეორე დღეს, საყვირის პირველი ხმისთანავე, მეგობრები ერთმანეთს გამოეთხოვნენ. მუშკეტერები ბატონ დე ტრევილის სასახლისკენ წავიდნენ, გვარდიელები – ბატონ დე ზესარისკენ. კაპიტნებმა რაზმები მაშინვე ლუვრში წაიყვანეს, სადაც მეფეს თავისი ჯარების აღლუმი უნდა ჩაეტარებინა.

დაღონებული იყო მეფე და ავადმყოფს ჰგავდა, რაც ცოტათი მაინც ალმობიერებდა მის მედიდურ სახეს. მართლაც, გუშინ პარლამენტის სხდომის დროს, როდესაც იგი სამეფო ტახტზე ბრძანდებოდა გამოჭიმული და საზეიმოდ მიმართავდა პარლამენტს, ციებ-ცხელებამ აიტანა. მეფეს საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, ამ საღამოსვე წასულიყო, მრავალი თხოვნისა და გაფრთხილების მიუხედავად, მაინც არ იშლიდა ჯარების აღლუმის ჩატარებას. იმედი ჰქონდა, მაგრად დაუხვდებოდა ავადმყოფობას და მოერეოდა კიდეც.

აღლუმის დამთავრების შემდეგ გზას მარტო გვარდიელები გაუდგნენ, რადგან მუშკეტერები მეფესთან ერთად უნდა წასულიყვნენ. ამით ისარგებლა პორთოსმა და დიდებულად მორთულ-მოკაზმულმა დათვის ქუჩისკენ გაატარა თავისი რაში.

ვექილის ცოლმა ლამაზ ცხენზე ამხედრებული დაინახა მშვენივრად მორთული პორთოსი. მას მეტისმეტად უყვარდა თავისი მიჯნური და ასე შორიდან ვერ გამოეთხოვებოდა, ანიშნა, ცხენიდან ჩამომხტარიყო და მასთან მისულიყო, – საგანგებო სანახავი იყო პორთოსი: დეზებს აწკარუნებდა, ბექთარი უბრწყინავდა, ხმალი ამაყად სცემდა მუხლებში. მის დანახვაზე მოსამსახურეებს უკვე აღარ აღძვრიათ სურვილი, სიცილი დაეწყოთ.

სტუმარი ჯერ ვექილთან შეიყვანეს. ასე მდიდრულად მორთულ ცოლის დეიდაშვილის დანახვაზე ბატონ კოკნარს რისხვის ალი მოედო თვალებში,

მაგრამ ერთმა მოსაზრებამ მას ნუგეში მისცა: ყველგან და ყველანი ამბობდნენ, რომ ეს ლაშქრობა მეტად ძნელი იქნებოდა და ვექილს გულის სიღრმეში ტკბილი იმედი ჰქონდა, რომ პორთოსი ცოცხალი აღარ დაბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან.

პორთოსმა პატივისცემით მოიკითხა თავისი საყვარლის ქმარი და მალე გამოეთხოვა. ბატონმა კოკნარმა გამოთხოვებისას ყოველგვარი წარმატება უსურვა. რაც შეეხება ქალბატონ კოკნარს, მან ვერ შეიკავა ცრემლი, მაგრამ ამაში საძრახისი არაფერი იყო, რადგან ყველამ იცოდა, რომ ძალიან უყვარდა თავისი ნათესავები, რის გამოც ყოველთვის უსიამოვნება მოსდიოდა მეუღლესთან.

მაგრამ საყვარლების ნამდვილი გამოთხოვება ქალბატონ კოკნარის ოთახში მოხდა და ძალიან მგრძნობიარედაც ჩატარდა ეს სცენა.

ქალბატონი კოკნარი ფანჯარაზე ისე გადაეყუდა, თითქოს გადავარდნას აპირებსო, თან ცხვირსახოცს უქნევდა თავის მიჯნურს, სანამ თვალს მიეფარებოდა. პორთოსმა ისე მიიღო სიყვარულის ეს ნიშნები, როგორც შეეფერებოდა ამ საქმეში დახელოვნებულ ადამიანს. მან მხოლოდ მეორე ქუჩის მოსახვევში მოიხადა ფეტრის ქუდი და გამოთხოვების ნიშნად დაუქნია.

თავის მხრივ, არც არამისს ავიწყდებოდა დამშვიდობება, იჯდა და გრძელ უსტარს სწერდა. ვის? ეს არავინ იცოდა, მეორე ოთახში კეტი ელოდა: ისიც ამ საღამოს უნდა გამგზავრებულიყო ტურისკენ.

ათოსი კი ნელ-ნელა წრუპავდა ესპანური ღვინის უკანასკნელ ბოთლს.

დ არტანიანი, ამასობაში, თავის რაზმთან ერთად უკვე ბრძოლის ველისაკენ მიდიოდა. სენტ-ანტუანის უბანში შესვლისას იგი მობრუნდა, რომ მხიარულად გადაეხედა ბასტილიის ციხისათვის. უყურებდა ბასტილიას და სრულებით ვერ შეამჩნია ჩალისფერ ცხენზე მჯდარი მილედი, რომელიც ბოროტი სახის მქონე ორ კაცს დ არტანიანზე ანიშნებდა, ისინიც მაშინვე რაზმელებს მიაუხლოვდნენ, რომ კარგად დაენახათ და სხვაგანაც ეცნოთ. ეს არისო? – თვალით ანიშნეს მილედის. ქალმაც ანიშნა, ეგ არისო, და შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ ის კაცები აღარავითარ შეცდომას არ დაუშვებდნენ მისი ბრძანების შესრულებაში, ცხენი გააჭენა.

ორი უცნობი ისევ რაზმს შეერია და მხოლოდ სენტ-ანტუანის უბნიდან გასვლისას შეახტნენ მათთვის გამზადებულ შეკაზმულ ცხენებს, რომლებიც უბრალოდ ჩაცმულმა მსახურმა დაახვედრა.

XI

ლაროშელის გარემოცვა

ლაროშელის გარემოცვა ლუდოვიკო მეცამეტის მეფობაში დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა და კარდინალის ერთ-ერთი დიდი სამხედრო ღონისძიება იყო. ამიტომ საინტერესო და საჭიროა მის შესახებაც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა, მით უფრო, რომ ამ ქალაქის გარემოცვის მრავალი გარემოება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს ამბავთან. ასე რომ, მას დუმილით ვერ ავუვლით გვერდს.

ლაროშელის გარემოცვით კარდინალი დიდ პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა. პირველ რიგში გაგაცნობთ მათ, ხოლო შემდეგ გადავალთ მის პირად მიზნებზედაც, რომლებსაც ნაკლები გავლენა როდი ჰქონდა მის ყოვლადუწმინდესობაზე, ვიდრე პოლიტიკურ განზრახვას.

ჰენრიხ მეოთხის მიერ ნაბოძებ მრავალ დიდ ქალაქთაგან ჰუგენოტებს ახლა მხოლოდ ლაროშელი შერჩენოდათ. ეს იყო მათი უკანასკნელი ციხესიმაგრე.

ამიტომაც საჭირო იყო კალვინიზმის ამ უკანასკნელი საყრდენის მოშლა-მოსპობა, რადგან სწორედ აქ ღვივდებოდა შინაგანი ომებისა და ხალხთა უკმაყოფილების თესლი.

საფრანგეთის მომდურავი ესპანელები, ინგლისელები, იტალიელები, ავანტიურით გატაცებული ყველა ერის შვილები, ხმლითა და ნადავლით მცხოვრები ჯარისკაცები პირველსავე დაძახილზე იკრიბებოდნენ პროტესტანტების დროშის ქვეშ და ქმნიდნენ ფართო ერთსულოვან ასოციაციას, რომლის შტოები თავისუფლად ვრცელდებოდა მთელ საფრანგეთში.

ლაროშელს უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა მას შემდეგ, რაც კალვინისტებს ხელიდან გამოაცალეს სხვა ქალაქები. ამგვარად, ლაროშელი უთანხმოებისა და პატივმოყვარული ზრახვების კერა გახდა. უფრო მეტიც: ლაროშელის ნავსადგური ერთადერთი ღია კარი იყო, რომლითაც თავისუფლად შედიოდნენ საფრანგეთში მისი ძველისძველი მტრები – ინგლისელები, ხოლო მათთვის ამ უკანასკნელი ნავსადგურის დახშვით, კარდინალი აგვირგვინებდა ჟანა დ არკისა და ჰერცოგ გიზის მიერ დაწყებულ საქმეს.

ამიტომ იყო, რომ ბასომპიერი, რომელიც ერთ და იმავე დროს პროტესტანტიც იყო და კათოლიკეც (პროტესტანტი –რწმენით და კათოლიკე – სულიწმინდის ორდენით). – ბასომპიერი, – შთამომავლობით გერმანელი და გულით ფრანგი, ბასომპიერი, – ლაროშელის გარემოცვის ერთ-ერთი რაზმის უფროსი, რამდენიმე მასავით პროტესტანტი დიდებულის თანდასწრებით ამბობდა:

– აი, ნახავთ, ბატონებო, იმდენად სულელები ვიქნებით, რომ ლაროშელსაც ავიღებთ!

მართალი გამოდგა ბასომპიერი: რეს კუნძულზე ზარბაზნების გრიალი დრაგონადის[1] მომასწავებელი იყო. ლაროშელის აღება კი ნანტის ბრძანების შეცვლის წინასიტყვაობა გამოდგა.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკურ განზრახვებთან ერთად, რომელიც კარდინალს გზას უხსნიდა აბსოლუტური მონარქიისაკენ, მემატიანე იძულებულია სიყვარულით გატაცებულისა და ეჭვიანი მეტოქის წვრილმანი მიზნებიც გამოამჟღავნოს.

რიშელიეს, როგორც ყველასათვის ცნობილია, გაგიჟებით უყვარდა დედოფალი. რა იყო ეს სიყვარული? სულ უბრალო პოლიტიკური მიზანი თუ ის ღრმა ვნება, რომელსაც აღუძრავდა ხოლმე დედოფალი ყველას, ვინც კი გარს ეხვია? ჩვენ ამაზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ერთი რამ ცხადია: როგორც ამ ისტორიის წინა თავებიდან არის ცნობილი, ბუკინგამმა აჯობა მას და ორ-სამ შემთხვევაში, მეტადრე ბურნუკების საქმეში, დ არტანიანის მამაცობისა და სამი მუშკეტერის თავდადების წყალობით, სასტიკად შეარცხვინა კიდეც კარდინალი.

ამგვარად, ჰერცოგ რიშელიეს სწყუროდა არა მარტო საფრანგეთის მტრისაგან განთავისუფლება, არამედ თავისი მეტოქის ჯავრის ამოყრაც. ამასთან, მართლაც დიდი უნდა ყოფილიყო ეს შურისძიება, ბრწყინვალე, და ყველაფრით ღირსი ადამიანისა, რომელსაც საბრძოლო ხმლად ხელში მთელი სამეფოს ძალები ეჭირა. რიშელიესათვის მთავარი იყო არა მარტო საფრანგეთის მტრის დამარცხება, არამედ მეტოქეზე შურისძიებაც. მან კარგად იცოდა, რომ ინგ-ლისთან ბრძოლა იყო ბუკინგამთან ბრძოლა, რომ ინგლისზე გამარჯვებით ის ბუკინგამზე იმარჯვებდა, ხოლო მთელი ევროპის თვალში ინგლისის შერცხვენით, ბუკინგამს შეარცხვენდა და დაამცირებდა დედოფლის თვალში.

თავის მხრივ, ბუკინგამიც, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის სახელის განდიდებას ცდილობდა, მაგრამ მასაც, კარდინალივით, პირადი შურისძიება ედო გულში. ბუკინგამს არავითარი საბაბით არ შეეძლო საფრანგეთში ელჩად

დაბრუნება და ამიტომ უნდოდა, გამარჯვებული შესულიყო თავისი სატრფოს ქვეყანაში.

ორი ძლიერი სამეფო ერთმანეთს ებრძოდა იმ მთავარი მიზეზით, რომ სიყვარულით გაგიჟებულ და შურისძიებით აღგზნებულ მეტოქეებს გამარჯვების შემთხვევაში საფრანგეთის დედოფლის ღიმილი დაემსახურებინათ.

პირველად ბუკინგამისკენ იყო უპირატესობა. სრულიად მოულოდნელად მიადგა იგი კუნძულ რეს ორმოცდაათი გემით და, დაახლოებით, ოცი ათასი კაცით. მოუმზადებლად დახვდა გრაფი ტუარაკი, რომელიც, მეფის დავალებით, კუნძულს იცავდა. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ბუკინგამმა კუნძულზე თავისი ჯარი გადმოსხა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბრძოლაში დაიღუპა ბარონი დე შანტალი, რომელსაც დარჩა წლინახევრის გოგონა, შემდეგში ქალბატონ სევინედ ცნობილი.

გრაფმა ტუარაკმა რაზმთან ერთად თავი სენ-მარტენის ციხესიმაგრეს შეაფარა და ასამდე კაცი გადაისროლა ლაპრეს სახელით წოდებული სიმაგრის დაცვის გასაძლიერებლად.

რეს კუნძულის აღებამ დააჩქარა კარდინალის გადაწყვეტილება. ვიდრე თვით რიშელიე და მეფე წავიდოდნენ ლაროშელის გარემოცვაში მთავარსარდლობის გასაწევად, მან მეფეს თავისი ძმა გააგზავნინა პირველდაწყებითი სამხედრო ოპერაციების საწარმოებლად და თან ბრძანება გასცა, ბრძოლის ველზე გაეყვანათ მის განკარგულებაში მყოფი ყველა ჯარი.

სწორედ ამ მეწინავე რაზმში ერია ჩვენი მეგობარი დ არტანიანი.

მეფე, როგორც ცნობილია, პარლამენტის კრების ჩატარების შემდეგ თვითონაც უნდა გაჰყოლოდა ჯარს. მაგრამ 23 ივნისს, კრების დამთავრებისთანავე, ისევ ციებ-ცხელებამ შეუტია. იგი მაინც არ იშლიდა თავისას, მაგრამ უფრო უარესად შეიქნა და ბოლოს იძულებული გახდა, ვილერუაში გაჩერებულიყო.

სადაც მეფე გაჩერდებოდა, უნდა შეჩერებულიყო მუშკეტერთა რაზმიც, ამიტომ მოხდა, რომ დე ზესარის სამსახურში მყოფი დ არტანიანი დროებით მაინც ჩამოშორდა თავის კარგ მეგობრებს – ათოსს, არამისსა და პორთოსს. ეს განშორება საწყენ გარემოებად მიაჩნდა გასკონელს, მაგრამ უფრო სამწუხაროდ და საშიშრად ეჩვენებოდა იმის წარმოდგენა, თუ რა ფარულ განსაცდელს უმზადებდა თავისი მტერი.

დ არტანიანი, ყოველგვარი ხიფათის გარეშე, 1627 წლის სექტემბრის ათში მშვიდობიანად მივიდა ლაროშელთან, სადაც ჯარი იყო დაბანაკებული.

ჯერჯერობით ისევ ისე იყო ყველაფერი: კუნძულ რეს ბატონ-პატრონები, ლორდი ბუკინგამი და მისი ინგლისელები განაგრძობდნენ ბრძოლას სენ-მარტენის ციხესიმაგრისა და ლაპრეს სიმაგრის ასაღებად, მაგრამ ვერას ხდებოდნენ.

ლაროშელისათვის ბრძოლა დაიწყო ორი თუ სამი დღის შემდეგ, როდესაც ჰერცოგმა ანგულემელმა ციხესიმაგრე ააშენა ქალაქგარეთ.

ბატონ დე ზესარის გვარდიელებს მინიმში ჰქონდათ ბინა.

როგორც ვიცით, დ არტანიანი გატაცებული იყო ზვიადური სურვილით, რაც შეიძლებოდა მალე გადასულიყო მუშკეტერებში, ამიტომ იგი არ მეგობრობდა გვარდიელ ამხანაგებთან და უფრო ხშირად მარტოდმარტო იყო, თავისი ფიქრებით დაღონებული.

სამხიარულო არა ჰქონდა რა საწყალ ბიჭს: მას შემდეგ, რაც პარიზში ჩამოვიდა, მეტისმეტად ღრმად შეტოპა საზოგადო საქმეებში, თავისი პირადი საქმეებისა კი ბევრი ვერაფერი მოეგვარებინა, – არც დიდების, არც სიმდიდრისა და არც სიყვარულის მხრივ.

სიყვარულით მხოლოდ ერთადერთი ქალი უყვარდა – ქალბატონი ბონასიე, და ისიც ისე გამქრალიყო, რომ დ არტანიანმა ვერ მიაგნო მის გზასა და კვალს.

რაც შეეხება დიდებას, მან არა თუ მოიპოვა იგი, არამედ პირიქით, უჩინარი, უბრალო გვარდიელი მტრად გახდომოდა კარდინალს, ესე იგი, იმ კაცს, რომლის წინაშე შიშით თრთოდნენ საფრანგეთის უდიდებულესი წარჩინებულნი და თვითონ მეფეც.

კარდინალს შეეძლო მატლივით გაესრისა იგი, მაგრამ ჯერჯერობით დაინდო. შორსმჭვრეტელი კაცი იყო დ არტანიანი და ამ გარემოებაში თავის კეთილ მომავალს ხედავდა.

გარდა ამისა, ერთი სხვა მტერიც გადაიკიდა, ნაკლებად საშიში, როგორც თვითონ ეგონა, მაგრამ ინსტინქტურად მაინც გრძნობდა, რომ არც ისე აბუჩად ასაგდები. ეს მეორე მტერი გახლდათ მილედი.

ყოველივე ამის სამაგიეროდ, მან დედოფლის მფარველობა და კეთილმოსურნეობა დაიმსახურა; მაგრამ დედოფლის კეთილმოსურნეობა იმ დროის გარემოებათა მიხედვით, შეიძლებოდა დევნის საბაბად გადაჰქცეოდა, მისი დაღუპვის ერთ უმთავრეს მიზეზად გამხდარიყო. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ დედოფლის მფარველობა ძალიან ცუდად იფარავდა ადამიანს. ამის დასამტკიცებლად შალე და ქალბატონი ბონასიეც კმაროდა.

ერთადერთი, რაც ამდენი დავიდარაბის შემდეგ შეიძინა, ეს იყო ბრილიანტი, რომელიც თითზე უბრწყინავდა, ბეჭედი ხუთასი-ექვსასი ათასი ლივრი მაინც ღირდა, მაგრამ განდიდების ოცნებით გატაცებული დ არტანიანი თვალისჩინივით უვლიდა მას, ხელიდან არ იცილებდა და არავითარ შემთხვევაში არ ყიდდა იმ იმედით, რომ ერთ დღეს დედოფალთან სათხოვნელად მისულს, ამ ბეჭდით დაემსახურებინა მისი ყურადღება. ამჟამად კი ამ ბრილიანტს იგივე ფასი ჰქონდა, რაც მის ფეხქვეშ დაგდებულ უბრალო კენჭებს.

როგორც უბრალო კენჭებსო, ვთქვით ჩვენ, რადგან ასე ფიქრობდა დ არტანიანი, რომელიც მარტოდმარტო დასეირნობდა ლამაზ საცალფეხო გზაზე. ეს გზა ბანაკიდან სოფელ ანგუტენამდე მიდიოდა. ფიქრებმა გაიტაცეს ყმაწვილი კაცი და შეუმჩნევლად იმაზე შორს წავიდა, ვიდრე განზრახული ჰქონდა. უკვე ბინდდებოდა, როდესაც უეცრად დ არტანიანმა ჩამავალი მზის უკანასკნელ სხივზე ღობეში გამოშვერილი თოფის ლულას მოჰკრა თვალი.

თვალი სწრაფი ჰქონდა დ არტანიანს და გონება საზრიანი. მას მაშინვე გაუელვა ფიქრმა, რომ თოფის ლულა მარტო არ მოვიდოდა და ის, ვისაც იგი მალვით ეჭირა ღობის გადაღმა, კეთილი განზრახვით არ იქნებოდა მოსული. გადაწყვიტა გაქცეულიყო, მაგრამ გზის მეორე მხარესაც, დიდ ქვაზე, მისკენ დამიზნებული ლულა დაინახა.

ცხადი იყო, დ არტანიანს ჩასაფრებოდნენ და მოკვლას უპირებდნენ.

ჭაბუკი დააკვირდა პირველ მუშკეტს და შეწუხებულმა შეამჩნია, რომ იგი პირდაპირ მისი მიმართულებით იხრებოდა. ბოლოს ერთ ადგილზე გაჩერდა.

დ არტანიანმა ისარგებლა ამით და პირდაღმა დაეშვა მიწაზე, იმ წუთშივე გავარდა თოფი, ტყვიამ ზუზუნით ზემოდან გადაუარა.

შეუძლებელი იყო დროს დაკარგვა. სწრაფად წამოხტა და დროზედაც უშველა თავს. მეორე მხრიდან ნასროლმა ტყვიამ სწორედ იმ ადგილას აჰყარა კენჭები, სადაც ერთი წუთის წინ დ არტანიანი იწვა.

დ არტანიანი არ ეკუთვნოდა ისეთ მამაცთა რიცხვს, რომლებიც ბრმად ეძებენ სიკვდილს, რომ ხმა გაუვარდეთ: განსაცდელში იყო და უკან დახევა არ იკადრაო. ესეც რომ არ ყოფილიყო, ამაო იქნებოდა აქ ვაჟკაცობა. მახეში ჰყავდა გაბმული ჩასაფრებულ მტერს.

„თუ მესამედაც მესროლეს, მე აქ ცოცხალი ვერ გადავრჩები“, – გაიფიქრა დ არტანიანმა და ისე მოკურცხლა, რომ ფეხებს კისერზე ირტყამდა.

დ არტანიანი გასკონელებისათვის ჩვეული სისწრაფით მიფრინავდა ბანაკისკენ. მაგრამ მისი ასეთი სიჩქარის მიუხედავად, ღობეში მიმალულს ერთხელ კიდევ მოესწრო თოფის გატენა და ახლა უკვე აღარც ააცდინა მიზანს: ტყვიამ გასკონელს ქუდი თავიდან გადააძრო და ათ ნაბიჯზე გადაისროლა.

დ არტანიანს სხვა ქუდი არ ჰქონდა. ამიტომ მიწიდან სწრაფად აიტაცა და სირბილით განაგრძო გზა. ბანაკში რომ მივიდა, ძლივს სუნთქავდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე. არავის არაფერი უთხრა, დაღლილ-დაქანცული სკამზე ჩამოჯდა და თავის მდგომარეობას დაუფიქრდა.

ამ შემთხვევას საფუძვლად შეიძლებოდა სამი მიზეზი ჰქონოდა: პირველი და უფრო ბუნებრივი, რომ ეს იყო თავდასხმა, მოწყობილი ლაროშელელების მიერ, რომლებიც სიამოვნებით მოკლავდნენ მისი ყოვლადუდიდებულესობის ყოველ მცველს, ჯერ მარტო იმიტომ, რომ ერთი კაცით მაინც შეემცირებინათ მტრის ძალა, გარდა ამისა, შესაძლოა მტერს ჯიბეში კარგად გატენილი ქისა ჰქონოდა.

დ არტანიანმა ქუდი აიღო, ნატყვიარ ადგილს დააკვირდა და თავი გაიქნია: აქ არ ჩანდა მუშკეტის კვალი. ქუდი ჩვეულებრივი სიათის ტყვიით გაეხვრიტათ.

შეიძლებოდა ეს საქმე ბატონ კარდინალის მოწყობილიც ყოფილიყო. მკითხველს კარგად ემახსოვრება, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც დ არტანიანმა ჩამავალ მზის სხივებზე თოფის ლულას მოჰკრა თვალი, იმის ფიქრში იყო გართული, თუ რა ლმობიერად მოექცა კარდინალი.

მაგრამ დ არტანიანმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. კარდინალი ისეთ ადამიანებზე, რომელთა დასასჯელად მისი ხელის ერთი დაქნევაც კმაროდა, იშვიათად მიმართავდა ხოლმე ასეთ საშუალებებს.

იქნება ეს მილედის შურისძიება იყო? მას ეს უფრო შესაძლებლად ეჩვენა.

დ არტანიანი დიდხანს ცდილობდა, ჩასაფრებულების სახე ან ტანისამოსი მოეგონებინა, მაგრამ ამაოდ, ისეთი სისწრაფით მოკურცხლა ბანაკისაკენ, თოფის ლულის მეტი ვერაფერი დაინახა.

– აჰ, ჩემო მეგობრებო! – დუდუნებდა დ არტანიანი, – სადა ხართ, სად? რომ იცოდეთ, როგორ მჭირდებით!

ძალიან მოუსვენრად გაატარა ეს ღამე დ არტანიანმა. სამჯერ თუ ოთხჯერ გამოეღვიძა და წამოვარდა. ლოგინთან ელანდებოდა კაცი, რომელიც ხანჯლით აკუწვას უპირებდა. მაგრამ ისე გათენდა, რომ ღამის წყვდიადს არავითარი ხიფათი არ მოუტანია.

კარგად იცოდა დ არტანიანმა, რომ მტერი შემდეგისათვის გადაიტანდა განზრახვის სისრულეში მოყვანას.

იმ დღეს ჩვენს გმირს ფეხი არსად გაუდგამს. თავისი თავის წინაშე იმით იმართლებდა თავს, რომ ავი დარი იდგა.

მეორე დღეს, დილის ცხრა საათზე, გაისმა საყვირის ხმა, რომელიც ბრძოლისკენ უხმობდა. ჰერცოგმა ორლეანელმა საგუშაგოები დაათვალიერა. გვარდიელები იარაღის ასაღებად გარბოდნენ. დ არტანიანიც მწყობრში ჩადგა თავის ამხანაგებთან ერთად.

ჰერცოგმა ფრონტის ხაზი ჩამოიარა. ამის შემდეგ მას გარს შემოეხვია მაღალი წოდების ყველა ოფიცერი, რომ თავი მოეწონებინათ უფროსისათვის, მათ რიცხვში იყო გვარდიის კაპიტანი ბატონი დე ზესარიც.

ცოტა ხნის შემდეგ დ არტანიანს მოეჩვენა, თითქოს ბატონი დე ზესარი ანიშნებდა, რომ მასთან მისულიყო. გასკონელი ადგილიდან არ დაიძრა. შეშინდა, არ ვცდებოდეო, და ელოდა, კიდევ ერთხელ ენიშნებინა. დე ზესარმა განმეორებით დაუქნია ხელი. დ არტანიანი მაშინვე გამოვიდა მწყობრიდან და თავისი უფროსისკენ წავიდა ბრძანების მისაღებად.

– ბატონ მხედართმთავარს ერთი სახიფათო დავალების შესასრულებლად რამდენიმე მამაცი და მოხერხებული კაცი დასჭირდება. მის პატივს

დაიმსახურებს ის, ვინც შეძლებს ამ საქმის მოგვარებას. მეც თქვენ იმისთვის მოგიხმეთ, რომ მზად იყოთ.

– გმადლობთ, ჩემო კაპიტანო! – უპასუხა დ არტანიანმა, რომელიც სულ იმის ნატვრაში იყო, მეფის ძმის თვალწინ სასახელო რამ ჩაედინა.

მართლაც, წინა ღამეს ლაროშელელები ქალაქიდან გამოსულიყვნენ და ბრძოლით აეღოთ ერთი სიმაგრე, რომელიც ორი დღის წინათ მეფის ჯარს ეჭირა. იმის გასაგებად, თუ რა ძალით იცავდნენ ლაროშელელები იმ სიმაგრეს, თავზეხელაღებული გმირი მზვერავების გაგზავნა იყო საჭირო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჰერცოგმა ხმამაღლა გასძახა ჯარს:

– ერთი მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად სამი-ოთხი ყოჩაღი ბიჭი მინდა, სანდო კაცის ხელმძღვანელობით.

– აი, აქ მყავს, ბატონო, ეგ სანდო კაცი, – მოახსენა დე ზესარმა და დ არტანიანი დაანახვა, – რაც შეეხება ოთხ-ხუთ ბიჭს, თქვენ დავალება გვიბრძანეთ, ბიჭებიც თვითონვე გამოჩნდებიან.

– ოთხი ყოჩაღი ბიჭი გვინდა, რომ ჩემთან ერთად არ შეუშინდნენ სიკვდილს! – გადასძახა ჯარს დ არტანიანმა და ხმალი მაღლა ასწია.

ორი მისი გვარდიელი ამხანაგი მაშინვე გამოვიდა მწყობრიდან, მათ კიდევ ორი ჯარისკაცი მიემატა და უცბად შესრულდა საჭირო რიცხვი. დ არტანიანმა სხვებს ყველას უარი უთხრა. არ უნდოდა, უპირატესობა წაერთმია მათთვის, ვინც პირველი გამოეხმაურა მის ძახილს.

ფრანგებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ იმის შესახებ, თუ როგორ მოექცეოდნენ ლაროშელელები აღებულ სიმაგრეს. შიგ ჯარი ჰყავდათ დაყენებული თუ ცარიელი დატოვეს. ამის გამოსარკვევად საჭირო იყო სიმაგრის ახლო მანძილიდან დაზვერვა.

დ არტანიანი თავისი ოთხი ამხანაგით სწორედ ამ დავალების შესასრულებლად წავიდა. სანგრებს მიჰყვებოდნენ ვაჟკაცები: ორი გვარდიელი მასთან ერთად წინ მიდიოდა, ორი ჯარისკაცი უკან მისდევდათ.

ასე, სანგარს ამოფარებულები, მიუახლოვდნენ სიმაგრეს და ასიოდე ნაბიჯიღა იქნებოდა გასავლელი, როდესაც დ არტანიანმა უკან მოიხედა. ორი ჯარისკაცი აღარსად ჩანდა.

ალბათ შეეშინდათ და უკან ჩამორჩნენო, – გაიფიქრა და კვლავ განაგრძო სიარული. სამოცი ნაბიჯი რჩებოდა სიმაგრემდე.

არავინ ჩანდა. უპატრონოდ მიტოვებულს ჰგავდა სიმაგრე.

გვარდიელები შეჩერდნენ და ბჭობა გამართეს, როგორ მოქცეულიყვნენ: კვლავ წინ წასულიყვნენ თუ არა. სწორედ ამ დროს ერთი უზარმაზარი ქვა ბოლში გაეხვია და თორმეტამდე ტყვიამ ზუზუნით გაუარა დ არტანიანსა და მის ორ ამხანაგს.

უკვე გაიგეს ის, რის ცოდნაც აინტერესებდათ: სიმაგრეს ჯარი იცავდა. ამ საშიშ ადგილზე დაყოვნება სრულიად უსარგებლო გამბედაობა იქნებოდა. დ არტანიანმა და მისმა ამხანაგებმა პირი უკან იბრუნეს და ისეთი სისწრაფით წამოვიდნენ, რომ გამოქცევას უფრო ჰგავდა, ვიდრე უკანდახევას.

სანგრის კუთხესთან მიაღწიეს, რომელიც საფრად გამოდგებოდა. ერთ-ერთი გვარდიელი ძირს დაეცა: ტყვია გულში მოხვდა. მეორე კი, რომელიც უვნებლად გადარჩა, ბანაკისკენ გარბოდა.

დ არტანიანს არ უნდოდა ამხანაგის მიტოვება და ის იყო მის ასაყვანად დაიხარა, რომ თოფი კიდევ ორჯერ გავარდა, ერთი ტყვია თავში მოხვდა უკვე დაჭრილ გვარდიელს, მეორე ტყვიამ ორი გოჯის დაცილებით გაუარა დ არტანიანს და ქვაზე დაეცა.

დ არტანიანი სწრაფად მიბრუნდა უკან. სიმაგრიდან წამოსული ტყვია ვერ მიაღწევდა სანგრის კუთხემდე. მხოლოდ მაშინ მოაგონდა ჩვენს გასოკნელს ის

ორი ჯარისკაცი, რომლებიც წედან მიიმალნენ, და გაახსენდა გუშინდელი თავდასხმა. დ არტანიანმა გადაწყვიტა, ამჯერად უკვე გაეგო, ვისთან ჰქონდა საქმე. ამიტომ მოსაჩვენებლად მკვდარივით დაეშვა დაჭრილზე.

იმ წუთშივე ოცდაათიოდე ნაბიჯით დაცილებული საფარიდან ორი ადამიანის თავი გამოჩნდა. ეს ის ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც დაზვერვის დროს ისე უეცრად ჩამოშორდნენ გასკონელს.

დ არტანიანი არ შემცდარა. ეს ორი კაცი სიმაგრის დასაზვერავად მხოლოდ იმიტომ გამოჰყვა, რომ გზაში მოეკლათ იგი და ლაროშელელებისათვის დაებრალებინათ.

შეიძლებოდა დ არტანიანი მხოლოდ დაჭრილი ყოფილიყო და გაეცა მათი საიდუმლოება. ამიტომ ჯარისკაცები სწრაფად წამოვიდნენ დ არტანიანისკენ, რათა ბოლო მოეღოთ მისთვის. საბედნიეროდ, ისე კარგად გაჭრა გასკონელის ოინმა, რომ მათ არც კი მოჰგონებიათ თოფების გატენა.

ათიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდნენ ჯარისკაცები, ხმალამოღებული დ არტანიანი ზეზე წამოიჭრა და ორივეს წინ დაუდგა.

კაცისმკვლელებმა კარგად იცოდნენ, რომ დ არტანიანის ცოცხლად დატოვება და ბანაკისკენ გაქცევა კარგს არაფერს მოუტანდა მათ: გამომჟღავნდებოდა ღალატი და სასჯელს ვერ გადაურჩებოდნენ. პირველად გაიფიქრეს მტრის მხარეზე გადასვლა. ერთ-ერთმა თოფის ლულას მოსჭიდა ხელი და კონდახი ისეთი საშინელი ძალით მოუქნია დ არტანიანს, რომ სულს გაანთხევინებდა, განზე რომ არ გამხტარიყო.

გადახტომით გზა გაეხსნა ყაჩაღს, რომელიც ისარივით გაექანა ლაროშელელების სიმაგრისკენ. მაგრამ მტერმა არ იცოდა, რა განზრახვით გარბოდა იგი ციხისკენ, ამიტომ მეციხოვნეებმა ცეცხლი გახსნეს. მოღალატეს მხარში მოხვდა ტყვია და ძირს დაეცა.

ამასობაში დ არტანიანი მეორე მოწინააღმდეგეს მივარდა. ჯარისკაცი გაუტენელი თოფით იგერიებდა დ არტანიანის ხმალს. დიდხანს არ გაგრძელებულა ბრძოლა: გვარდიელის ხმალი ჩაცურდა თოფის ლულაზე და ბარძაყში გაერჭო გასკონელის მოპირდაპირეს, რომელიც იმ წუთშივე ძირს დაეცა. დ არტანიანმა მაშინვე ყელზე ხმლის წვერი დააბჯინა.

– ოჰ, ნუ მომკლავთ! – შეჰყვირა მან, – შემიბრალეთ! შემიბრალეთ, ჩემო ოფიცერო, და სულ ყველაფერს მოგახსენებთ.

– რა უნდა მომახსენო ისეთი, რომ შენდობად ღირდეს? – ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა ისე, რომ ხმალი ადგილიდან არ დაუძრავს.

– შემიბრალეთ, ბატონო, შემიბრალეთ, თუ გწამთ თქვენი სიცოცხლის ფასი. თქვენ ხომ ჯერ ოცდაორი წლისა ხართ და თქვენისთანა ლამაზსა და მამაცს შეუძლია ბევრ რამეს მიაღწიოს.

– არამზადავ! აბა, ჩქარა მითხარი, ვინ დაგავალა ჩემი მოკვლა!

– ერთმა ქალმა, მე მას არ ვიცნობ, მხოლოდ ვიცი, რომ მილედის უწოდებენ.

– თუ ქალს არ იცნობ, საიდან იცი მისი სახელი?

– ჩემი ამხანაგი იცნობდა და სულ მილედის უწოდებდა. იმ ქალმაც საქმე ჩემს ამხანაგს მიანდო და არა მე. მასა აქვს ჯიბეში იმ ქალბატონის წერილი და, ჩემი ამხანაგის თქმით, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს თქვენთვის იმ წერილს.

– მერე, შენ როგორ ჩაერიე ამ ბინძურ საქმეში?

– ჩემმა ამხანაგმა წინადადება მომცა, სანახევროდ აგვეღო გასამრჯელო, და მეც დავთანხმდი.

– რამდენი მოგცათ მილედიმ ამ საგანგებო დავალების შესრულებისთვის?

– ასი ლუი.

– კიდევ კარგი! – წამოიძახა სიცილით ყმაწვილმა კაცმა, – ცოტათი მაინც დავუფასებივარ. ასი ლუი თქვენისთანა არამზადებისათვის მართლა კარგი

ფულია. როგორც ვხედავ, ფულით მოხიბლულებს მიგიღიათ ეს სამარცხვინო წინადადება, ამიტომ გაპატიებ ერთი პირობით.

– რა პირობით? – ჰკითხა შიშით ჯარისკაცმა, რადგან ხედავდა, რომ ამით არ თავდებოდა საქმე.

– თუ წახვალ შენს დაჭრილ ან მკვდარ ამხანაგთან და იმ წერილს მომიტან, ჯიბეში რომ უდევს.

– განა სულ ერთი არ არის, ბატონო, აქ მომკლავთ თუ იქ გამგზავნით სასიკვდილოდ? – შეჰყვირა უბედურმა, – როგორ უნდა მივიდე იქამდე, როდესაც სანგრიდან სეტყვასავით მოდის ტყვიები.

– ჰა, მიხვალ თუ არა? გადაწყვიტე მალე! თორემ გეფიცები, ჩემი ხელით მოგიღებ ბოლოს.

– შემიბრალეთ, ბატონო, შემიბრალეთ! იმ ახალგაზრდა ქალის გულისთვის, თქვენ რომ გიყვართ, რამდენადაც მე ვიცი, მკვდარი გგონიათ, ის კი ცოცხალი გახლავთ, – ევედრებოდა მუხლებზე დაჩოქილი და თან ხელით დ არტანიანს ეჭიდებოდა, რადგან საკმაოდ მისუსტებული იყო სისხლის დენით.

– ეგ საიდანღა იცი, რომ ახალგაზრდა ქალი, რომელიც მიყვარს, მკვდარი მგონია? – ჰკითხა გაკვირვებულმა დ არტანიანმა.

– იმ წერილიდან, ჯიბეში რომ უდევს ჩემს ამხანაგს.

– ჰოდა, ხომ ხედავ, რომ ჩემთვის ძალიან საჭირო ყოფილა ის წერილი? მაშ, ნუღარ იგვიანებ, ნუღარ ყოყმანობ, თორემ, თუმცა ძალიან მეზიზღება და არ მინდა, ჩემი ხმალი შენისთანა არამზადის სისხლში გავსვარო, ვფიცავ ჩემს პატიოსნებას...

ამ სიტყვებთან ერთად ისეთი მუქარით მოუღერა ხმალი, რომ დაჭრილი კაცი გულგახეთქილი წამოვარდა.

– მოითმინეთ! მოითმინეთ! – ყვიროდა შეშინებული და ძალ-ღონეს იკრებდა, რომ წერილის მოსატანად წასულიყო, – მივდივარ, ბატონო, მივდივარ!

დ არტანიანმა ამ ჯარისკაცის თოფი აიღო, ის კი წინ გააგდო და ხმლის წვერი ატაკა უკანიდან, რომ აეჩქარებინა.

საზარელი სანახავი იყო უბედური: მიდიოდა და სისხლის კვალსა ტოვებდა. მოსალოდნელი სიკვდილის შიშით მკვდრისფერი დასდებოდა. ცდილობდა, ისე მისულიყო თავისი ამხანაგის გვამამდე, რომელიც იქვე, ოც ნაბიჯზე ეგდო, რომ ტყვია აეცდინა. დ არტანიანს შეებრალა, დააცქერდა მის შეშინებულ სახეს, რომელზედაც ჭირის ოფლი გადასდიოდა, და ზიზღით უთხრა:

– კმარა, კარგი! აი, მე გაჩვენებ, რით განირჩევა გულადი კაცი შენისთანა ლაჩრისაგან, აქ დაეგდე! მე წავალ.

ჩქარი ნაბიჯით გაექანა დაჭრილისაკენ, თან ფრთხილად ადევნებდა თვალს მტრის მოძრაობას, მოხერხებულად იყენებდა საფრად ყველაფერს, რაც კი გზად ხვდებოდა, მალე მიაღწია მეორე ჯარისკაცამდე.

დ არტანიანს ორი საშუალება ჰქონდა თავისი მიზნის მისაღწევად. იქვე გაეჩხრიკა დაჭრილი ან ისიც თან წამოეყვანა, მხოლოდ ისე ამოჰფარებოდა, როგორც ფარს, და სამშვიდობოზე რომ გაიყვანდა, იქ გაეჩხრიკა.

მეორე საშუალება ირჩია ჩვენმა გასკონელმა და ზურგზე სწორედ იმ დროს წამოიკიდა, როდესაც სიმაგრიდან თოფი გავარდა.

ოდნავ შეირყა დ არტანიანის ტვირთი, ყრუ ხმა სამი ტყვიისა, რომლებიც დაჭრილს მოხვდა, მისი უკანასკნელი ამოოხვრა და სულთმობრძავის თრთოლა უმტკიცებდა დ არტანიანს, რომ სიკვდილს სწორედ იმან გადარჩინა, ვინც მის მოსაკლავად იყო მოსყიდული.

დ არტანიანი სანგარში შევიდა და მკვდარივით ფერმიხდილ დაჭრილს მიუგდო მისი მკვდარი ამხანაგი.

გასკონელი მაშინვე შეუდგა ჩხრეკას: ტყავის ქისა, საფულე, რომელშიც ალბათ მილედისგან მიღებული ფულის ნაწილი, სტვირი და კამათლები ინახებოდა, ეს იყო მოკლულის მთელი მემკვიდრეობა.

სტვირი და კამათლები, სადაც დაცვივდა, იქვე დატოვა, ქისა დაჭრილს გადაუგდო და სწრაფად გაშალა საფულე.

რამდენიმე უმნიშვნელო ქაღალდს შორის იყო ის წერილიც, რომლის გულისთვისაც დ არტანიანმა საფრთხეში ჩაიგდო სიცოცხლე.

„რაკი დაგიკარგავთ კვალი იმ ქალისა, რომელიც ამჟამად სრულიად უშიშრად არის ერთ-ერთ მონასტერში, სადაც იგი, თქვენ რომ ვარგებულიყავით, ვერასოდეს ვერ მოახერხებდა თავის შეფარებას, ახლა იმდენს მაინც ეცადეთ, რომ კაცი არ გაგისხლტეთ ხელიდან, თორემ, ხომ იცით, მეტად გრძელი ხელი მაქვს და ძვირად დაგიჯდებათ ის ასი ლუი, რომელიც ჩემგან გაქვთ მიღებული“.

ხელს არავინ აწერდა, მაგრამ ცხადი იყო, მილედი სწერდა. დ არტანიანმა წერილი ჯიბეში ჩაიდო, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, და რადგან შიში არაფრისა ჰქონდა, სანგრის კუთხეში მიგდებულ დაჭრილს დაუწყო გამოკითხვა. ჯარისკაცი გამოტყდა, რომ მან თავის ამხანაგთან ერთად, რომელიც მკვდარი ეგდო იქვე, მის გვერდით, თავს იდვეს მოტაცება ერთი ახალგაზრდა ქალისა, რომელსაც პარიზიდან ლავილიეტის კარით უნდა გამოევლო და ისინიც იქ ელოდნენ, მაგრამ ის და მისი მეგობარი დუქანში შესულიყვნენ ღვინის გადასაკრავად და ათი წუთით დაიგვიანეს. კარეტას უკვე ჩაექროლა.

– მერე, რას უპირებდით იმ ქალს? – ჰკითხა შეშინებულმა დ არტანიანმა,

– მეფის მოედანზე უნდა მიგვეყვანა, ერთ სასახლეში, – უპასუხა დაჭრილმა.

– ჰო, სწორედ იქ! – ჩურჩულებდა დ არტანიანი, – მაშ, ასე, მილედისთან უნდა მიგეყვანათ.

მხოლოდ ახლა იგრძნო დ არტანიანმა, თუ შურისძიების როგორი დაუცხრომელი წყურვილი ამოძრავებდა მილედის, რომელსაც სურდა, დაეღუპა იგი და, მასთან ერთად, ყველა ისინი, ვინც მას უყვარდა. რამდენად კარგად უნდა სცოდნოდა ამ ქალბატონს სასახლის ცხოვრება, რომ ყველაფერი აღმოაჩინა. შეუძლებელი იყო დაეჭვება: უსათუოდ კარდინალისაგან ჰქონდა მიღებული საჭირო ცნობები.

მაგრამ ამ სამწუხარო ფიქრებით მოღუშულს, ტკბილი სიხარულით მოაგონდა, რომ დედოფალს მიუგნია იმ საპატიმროსათვის, სადაც მისი ერთგულებისათვის თავგანწირული საწყალი ქალბატონი ბონასიე იტანჯებოდა, და უხსნია იგი საპატიმროდან.

ახლა დ არტანიანისათვის უკვე გასაგები შეიქნა ამას წინათ ქალბატონ ბონასიესაგან მიღებული წერილი და შაიოს გზაზე კარეტით მისი მოჩვენებასავით ჩამოქროლება.

მაშ, ამიერიდან, როგორც ამას ათოსიც წინასწარმეტყველებდა, შესაძლებელი ხდებოდა ქალბატონ ბონასიეს პოვნა. მონასტერი ხომ მიუვალი ციხესიმაგრე არ იყო.

ამ ფიქრმა გული საბოლოოდ მოულბო და მიბრუნდა დაჭრილისაკენ, რომელიც შეშინებული, მწუხარე თვალებით შესცქეროდა მისი სახის გამომეტყველებას, ხელი გაუწოდა და უთხრა:

– აბა, ჰა. წავიდეთ, არ მინდა, ასე უპატრონოდ დაგტოვო ამ სანგარში. წამოდექ, მკლავზე დამეყრდენ და ჩვენი ბანაკისკენ გავწიოთ.

– ბატონი ბრძანდებით, – მიუგო დაჭრილმა, რომელსაც ვერ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო ამდენი დიდსულოვნება, – გეახლებით, მაგრამ... იმისთვის ხომ არ მიგყავართ, რომ ჩამომახრჩოთ?

– წედან მოგეცი სიტყვა და ახლა მეორედ გეუბნები, მიჩუქებია შენთვის სიცოცხლე!

დაჭრილმა დაიჩოქა, ფეხებზე ხელმეორედ აკოცა თავის კეთილისმყოფელს, მაგრამ დ არტანიანს უკვე აღარავითარი მიზეზი არ ჰქონდა, რომ ისე ახლოს ყოფილიყო მტერთან და თვითონვე შეაწყვეტინა ამგვარი სახით მადლობის გადახდა.

გვარდიელი, რომელმაც სიმაგრიდან პირველი სროლისთანავე გამოქცევა მოასწრო, უკვე ბანაკში მისულიყო და ამბავი მიეტანა, რომ მტერს მისი ოთხივე ამხანაგი მოეკლა, ამიტომ ლეგიონი მეტად გაკვირვებული და, ამავე დროს, მეტად გახარებული იყო ცოცხალი და სრულიად უვნებელი დ არტანიანის დანახვით.

ჯარისკაცის ჭრილობა ერთგვარი იმპროვიზაციით განმარტა დ არტანიანმა, უამბო მეორე ჯარისკაცის სიკვდილი და ამ დაზვერვაში განცდილი სხვადასხვა საფრთხე. ეს ამბავი მისთვის ნამდვილ ტრიუმფად გადაიქცა: იმ დღეს მთელ ჯარს ამის მეტი სალაპარაკო არაფერი ჰქონდა. მეფის ძმამ, მთავარსარდალმა, მადლობა შემოუთვალა ყმაწვილკაცს და გამარჯვება მიულოცა.

საერთოდ, ყოველ კეთილმოქმედებას თან ახლავს თავისი ჯილდოც და დ არტანიანის დიდსულოვნებასაც ის მოჰყვა შედეგად, რომ დაკარგული სიმშვიდე დაუბრუნდა. „შეიძლება, სრულიად დამშვიდებული ვიყოო, – ფიქრობდა სიხარულით, – რადგან ჩემს მოსაკლავად გამოგზავნილთაგან ერთი მკვდარია, ხოლო მეორე – ჩემი ერთგულიო“.

ეს სიმშვიდე იმას ამტკიცებდა, რომ დ არტანიანი ჯერ კიდევ არ იცნობდა მილედის.

XII

ანჟუური ღვინო

ცუდი, თითქმის უიმედო ამბები მოდიოდა მეფის ავადმყოფობის შესახებ, მაგრამ ერთბაშად ხმა გავარდა ბანაკში, რომ უკეთ ბრძანდებოდა მისი ყოვლადუდიდებულესობა. მეფეს დიდი სურვილი ჰქონდა, მალე მისულიყო ბრძოლის ველზე, პირადად მიეღო მონაწილეობა ქალაქის გარემოცვის საქმეში. ამბობდნენ, როგორც კი ცხენზე შეჯდომას შეძლებს, მაშინვე გზას გაუდგებაო.

მეფის ძმამ, ორლეანის ჰერცოგმა, იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ შეცვლიდნენ და მთავარსარდლობა გადაეცემოდა ჰერცოგ ანგულემელს, ბასომპიერს ან შომბერგს, რომლებიც ერთმანეთს მეტოქეობდნენ ამ თანამდებობის მისაღებად. ამიტომ იგი ამ ხნის განმავლობაში თითქმის უმოქმედობას იჩენდა. დროს მტერთან უბრალო შეტაკებებში კარგავდა და ვერ ბედავდა რაიმე სერიოზული ოპერაციის დაწყებას ინგლისელების განსადევნად რეს კუნძულიდან, სადაც ისინი სენ-მარტენისა და ლაპრეს ციხესიმაგრეებს ფლობდნენ. ეს იმ დროს, როდესაც, თავის მხრივ, ფრანგებს ალყა შემოერტყათ ლაროშელისთვის.

დ არტანიანმა, როგორც უკვე ვთქვით, სულის სიმშვიდე მოიპოვა, როგორც ყოველთვის მოსდის ხოლმე ადამიანს, რომელიც განსაცდელს გადარჩება და იგი საბოლოოდ აცდენილად ეჩვენება. გასკონელს მხოლოდ თავისი მეგობრების ამბავი აწუხებდა, მან არაფერი იცოდა მათ შესახებ. მაგრამ ერთ დილას, ნოემბრის პირველ დღეებში, ყველაფერი განუმარტა ვილლერუადან გამოგ-ზავნილმა შემდეგი შინაარსის წერილმა:

„ბატონო დ არტანიან!

ათოსმა, პორთოსმა და არამისმა ძალიან მოილხინეს ჩემთან, კარგად წაიქეიფეს და ისეთი მხიარული ხმაურობა ატეხეს, რომ სასახლის მოურავმა, რომელიც მეტად მკაცრი კაცი გახლავთ, რამდენიმე დღით შინაპატიმრობით დასაჯა. მაგრამ მე მაინც ამ ბატონების დავალებას ვასრულებ და გიგზავნით

თორმეტ ბოთლ ჩემს ანჟუურ ღვინოს, რომელიც მათ ძალიან მოეწონათ. თქვენს მეგობრებს სურთ, მათგან მოწონებული ღვინით მიირთვათ მათი სადღეგრძელო.

ვასრულებ დავალებას, თქვენი პატივისმცემელი და მონა-მორჩილი გ ო დ ო.

ბატონ მუშკეტერების სასტუმროს პატრონი.“

– აი, უშველათ ღმერთმა, სწორედ დროზე მომისწრეს! დაიძახა დ არტანიანმა, – მაშ, მათ ქეიფშიც კი არ დავვიწყებივარ, როგორც მე არ დამავიწყდებიან ჩემს მწუხარებაში. მართლაც, დიდი სიამოვნებით დავლევ მათ სადღეგრძელოს, მაგრამ მარტო კი არა.

დ არტანიანი გაიქცა იმ ორ გვარდიელთან, რომლებთანაც უფრო დაახლოებული იყო. უნდოდა მიეპატიჟა, რომ მათთან ერთად დამტკბარიყო მეგობრების მიერ გამოგზავნილი ანჟუური ღვინით.

ერთი იმ დღესვე იპოვა, მეორე – მეორე დილით და სადილის მოწყობა ორი დღით გადადეს.

დ არტანიანი შინ მივიდა, თორმეტი ბოთლი ღვინო გვარდიელების ბუფეტში გაგზავნა და შეუთვალა, კარგად შემინახეთო.

გათენდა დანიშნული დღეც. სტუმრები შუადღისათვის ჰყავდა მოწვეული და დ არტანიანმა პლანშეს დილიდანვე დაავალა ყველაფრის მომზადება.

პლანშე აღტაცებული იყო ამ წარმატებით და გადაწყვიტა, ისე მოეწყო ყველაფერი, როგორც ჭკვიან კაცს შეეფერება. მარტო ხომ ვერ გაუძღვებოდა ამდენ საქმეს? თავისი ბატონის ერთი სტუმრის მსახური მოიშველია, სახელად ფურო, და აგრეთვე ის ჯარისკაცი, რომელსაც დ არტანიანის მოკვლა უნდოდა. ეს კაცი, მას შემდეგ, რაც გასკონელმა სიცოცხლე აჩუქა, აღარც ერთ რაზმს არ ეკუთვნოდა და დ არტანიანთან შესულიყო სამსახურში, უკეთ რომ ვთქვათ, პლანშესთან.

მოახლოვდა სადილის დრო. სტუმრებიც მოვიდნენ. ყველანი მაგიდას მიუსხდნენ. სუფრაზე გამწკრივებული იყო სხვადასხვა საჭმელები. სტუმრებს მკლავზე ხელსახოცგადაკიდებული პლანშე ემსახურებოდა, ფურო ბოთლებს ხსნიდა, ხოლო ბრიზმონი (ეს იყო ჯარისკაცის სახელი) ღვინოს ბოთლებიდან მინის სურაში ასხამდა. რადგან გზაში შეჭანჭყარებულიყო და პატარა ნალექი ემჩნეოდა, პირველი ბოთლი ძირში ცოტათი ამღვრეული ჩანდა. ბრიზმონმა ეს მღვრიე ღვინო ჭიქაში ჩაასხა და, დ არტანიანის ნებართვით, თვითონვე დალია, უბედური ჯერაც სუსტად იყო იმ ჭრილობის გამო.

სტუმრებმა გემრიელად მიირთვეს წვნიანი და ღვინო დაისხეს. ის იყო პირველი ჭიქა ტუჩებთან უნდა მიეტანათ, რომ უცბად ზარბაზანი გავარდა ახალსა და ლუდოვიკოს ციხესიმაგრეებში, მაშინვე წამოცვივდნენ გვარდიელები. სწრაფად ხმლებზე იტაცეს ხელი, – ალბათ მტრის მოულოდნელი თავდასხმაო, – გაიფიქრეს და გარეთ გაცვივდნენ, რომ თავიანთი ადგილები დაეჭირათ. დ არ-ტანიანმა, რომელიც თავის ამხანაგებზე ნაკლები ვაჟკაცი არ იყო, მათ მაგალითს მიჰბაძა.

მაგრამ ჯერ მცირე მანძილიც არ გაევლოთ, რომ ნათელი შეიქნა ზარბაზნის სროლის მიზეზი: ყოველი მხრიდან ისმოდა ყვირილი:

– ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! კარდინალს გაუმარჯოს! – და ამ ყვირილს თან სდევდა ბუკისა და ნაღარის ხმა.

მოუთმენლად მიიჩქაროდა მეფე ბრძოლის ველისკენ. როგორც ამბობდნენ, მას ერთ დღეში გამოევლო ორი დღის სავალი და მოსულიყო კიდეც თავისი ამალით, თან ახალი ჯარი მოეყვანა, ათი ათასი კაცი. თავისი მცველი მუშკეტერებიც თანა ჰყავდა, ნაწილი წინ მიუძღოდა მეფეს და ნაწილი უკან მისდევდა. მეფემ ჩამოიარა გვარდიელების მწყობრი, რომელშიც დ არტანიანი იდგა. გასკონელმა დაინახა თავისი მეგობრები და სიყვარულის გამომხატველი მისალმების ნიშნად ხელს უქნევდა, ისინიც თვალს არ აშორებდნენ მას.

დ არტანიანი მიესალმა აგრეთვე ბატონ დე ტრევილსაც, კაპიტანმაც მაშინვე იცნო იგი.

როგორც კი დამთავრდა მეფის მობრძანებისადმი მიძღვნილი ზეიმი, ჩვენი მეგობრები მაშინვე ერთმანეთს მოეხვივნენ.

– სწორედ დროზე მოხვედით, – შესძახა დ არტანიანმა, – შეუძლებელია ამაზე უკეთესი დროის ამორჩევა მეგობართან მისასვლელად. მგონი, ჯერაც არ გაგვიცივდებოდა კერძი. ჰა, რას იტყვით, ბატონებო? – მიუბრუნდა თავის სტუმარ გვარდიელებს და მეგობრები გააცნო.

– ჰოო? – წამოიძახა პორთოსმა, – მაშ, ქეიფობდით?

– იმედი მაქვს, რომ ქალები არ ურევია თქვენს ქეიფში, – თქვა არამისმა.

– ეს მითხარით, ისეთი ღვინოც მოიპოვება თქვენს ქოხში, რომ დალევა შეიძლებოდეს? – ჰკითხა ათოსმა.

– მოიპოვება და მერე როგორი! განა აქ არა მაქვს თქვენი გამოგზავნილი ღვინო?

– ჩვენი გამოგზავნილი ღვინო? – წამოიძახა გაკვირვებულმა ათოსმა.

– დიახ, თქვენ რომ გამომიგზავნეთ.

– ჩვენ ღვინო გამოგიგზავნეთ?

– ხომ კარგად იცით, რაც გამომიგზავნეთ? ანჟუური ღვინო.

– ჰო, მესმის, რომელ ღვინოზედაც მელაპარაკებით.

– თქვენ რომ გიყვართ...

– ძალიან მიყვარს, როდესაც არც შამპანური მაქვს და არც შამბერტენი.

– მაშ, რაკი არც შამპანური გვაქვს და არც შამბერტენი, დღეს ანჟუურითაც კარგად დავტკბებით.

– მაშ, ანჟუური ღვინო მოატანინეთ? ძალიან წინდახედული ყოფილხართ, – უთხრა პორთოსმა.

– არა, მე კი არ მოვატანინე! თქვენი დავალებით გამოგზავნილი ღვინო მაქვს.

– ჩვენი დავალებით? – შესძახეს ერთად მუშკეტერებმა.

– არამის, თქვენ ხომ არ გამოუგზავნეთ? – ჰკითხა ათოსმა,

– არა, თქვენ, პორთოს?

– არა, თქვენ, ათოს?

– არა.

– თქვენ თუ არა, თქვენი მებუფეტე გამომიგზავნიდა.

– ჩვენი მებუფეტე?

– დიახ, თქვენი მებუფეტე, გოდო, მუშკეტერების მებუფეტე.

– რა დროს მაგის კვლევაა! – წამოიძახა პორთოსმა, – ღვინო იყოს, თორემ საიდანაც და ვისგანაც გინდა იყოს გამოგზავნილი! გემოთი ვნახოთ! თუ მოგვეწონა, დავსხდეთ და გამომგზავნი ვადღეგრძელოთ.

– მართალი ხართ, პორთოს, – მიუგო დ არტანიანმა, – მაშ, მებუფეტე გოდოსთვის თქვენგანს არავის უბრძანებია ჩემთვის ღვინის გამოგზავნა?

– არა! ჩვენი სახელით გამოგიგზავნათ?

– აი, მისი წერილი! – უთხრა დ არტანიანმა, – და ამხანაგებს მისცა ბარათი.

– ეს მისი ხელი არ არის, – თქვა ათოსმა, – მე კარგად ვიცნობ მის ნაწერს, მე შემასწორებინა ბუფეტის ანგარიშები, ვიდრე აქეთ წამოვიდოდით.

– ყალბია ეს წერილი! – დაიძახა პორთოსმა, – ჩვენ დასჯილნი არა ვყოფილვართ.

– დ არტანიან, – მიმართა საყვედურით არამისმა, – როგორ დაიჯერეთ, რომ ასეთი ხმაურობა ავტეხეთ?..

ფერი ეცვალა დ არტანიანს, თავით ფეხამდე კანკალმა აიტანა.

– რა დაგემართა? – მიმართა ათოსმა, რომელიც შენობით მხოლოდ განსაცდელის დროს მიმართავდა ხოლმე, – რა დაგემართა, ყმაწვილო?

– აბა, ჩქარა, ჩემო მეგობრებო! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – საშინელი ეჭვი გონებას მირევს, ნუთუ აქაც იმ ქალის ბოროტებაა?

ახლა ათოსი გაყვითლდა.

დ არტანიანი გაექანა ბუფეტისაკენ, თან მუშკეტერები და ორი გვარდიელი მისდევდნენ.

შევარდა სასადილო ოთახში და თვალში ეცა მიწაზე გაშხლართული ბრიზმონი, რომელიც საზარლად იკრუნჩხებოდა. მკვდარივით გაყვითლებული პლანშე და ფურო ცდილობდნენ, ეშველათ რამე, მაგრამ უკვე ეტყობოდა, რომ ამაო იქნებოდა ყოველგვარი ცდა: სულსა ღაფავდა უბედური.

– აჰ, –შეჰყვირა საწყალმა კაცმა, –საშინელებაა, სიტყვით შემინდეთ და საქმით კი საწამლავი დამალევინეთ!

– მე დაგალევინე, მე, შე უბედურო, შენა, არა გრცხვენია? მაგას რას ამბობ?

– იმას ვამბობ, რომ თქვენ მომეცით მე ეს ღვინო! მე იმას ვამბობ, რომ თქვენ მითხარით, დალიეო! მე იმას ვამბობ, რომ ჩემი ჯავრის ამოყრა გინდოდათ და კიდეც ამოიყარეთ! საშინელებაა.

– ნუ, ნუ, ჩემო ბრიზმონ, გეფიცებით, მე ამისი არა ვიცი რა! რა ღმერთი გამიწყრებოდა...

– ჰოდა, ღმერთიც აქ არის და ხედავს ყველაფერს, ის გადაგიხდით! ოჰ, ღმერთო ძლიერო! ასევე დატანჯე ჩემი მკვლელი, როგორც მე ვიტანჯები!

– სინდისს გეფიცებით, – შეჰყვირა დ არტანიანმა და მომაკვდავს მივარდა, – გეფიცებით, არ ვიცოდი, რომ მოწამლული იყო, მე თვითონ ვაპირებდი ამის დალევას.

– არა მჯერა თქვენი, არა! – შეჰყვირა უბედურმა და საზარელ ტანჯვაში დალია სული.

– საშინელებაა, საშინელება! – ჩურჩულებდა ათოსი. ამ დროს პორთოსი ბოთლებს ამტვრევდა და არამისი მღვდლის დაძახებას აპირებდა სულთმობრძავისთვის, მაგრამ გვიანდა იყო.

– მეგობრებო! დღეს ერთხელ კიდევ გადამარჩინეთ სიკვდილს! და მარტო მე კი არა, აი ეს სადილზე მოწვეული ბატონებიც. ძალიანა გთხოვთ, ბატონებო, – მიმართა გვარდიელებს დ არტანიანმა, – ძალიან გთხოვთ, ნუ გაამჟღავნებთ ამ ამბავს, რადგან შეიძლება დიდებული პიროვნებანი იყვნენ ჩარეულნი ამ საქმეში და ჩვენ დაგვაწვება მთელი პასუხისმგებლობა.

– რომ იცოდეთ, რა კარგად გადავრჩი! – თქვა ფერმიხდილმა პლანშემ, – რა კარგად გადავრჩი!

– რაო? რაო? – შეჰყვირა დ არტანიანმა, – მაშ, ჩემი ღვინის დალევას აპირებდი?

– მეფის სადღეგრძელო მინდოდა დამელია... ერთი სათითისოდენა ჭიქა... და გადავკრავდი კიდეც, ფუროს რომ არ ეთქვა, გეძახიანო!

– დიახ, ბატონო! მინდოდა, მომეშორებინა, რომ ცოტა დამელია. კიდევ კარგი, რომ არ წავიდა, – თქვა ფურომ, რომელიც გულგახეთქილი ჯერაც კანკალებდა.

– ბატონებო! – მიმართა დ არტანიანმა თავის სტუმარ გვარდიელებს, – დამეთანხმებით, რომ ჩვენი წვეულება მეტად სამგლოვიარო იქნება მას შემდეგ, რაც დღეს გადაგვხდა, ამიტომ მიიღეთ ჩემგან ბოდიში და მეგობრულად გთხოვთ, სხვა უფრო მხიარული დროისთვის გადავდოთ ჩვენი სადილი.

ორმა გვარდიელმა ზრდილობიანად მიიღო დ არტანიანის ბოდიში. გრძნობდნენ, რომ მეგობრებს მარტო დარჩენა უნდოდათ, და გამოეთხოვნენ.

მარტოდ დარჩენილმა ყმაწვილმა გვარდიელმა და სამმა მუშკეტერმა ერთმანეთს ისეთი თვალით გადახედეს, თითქოს უნდოდათ ეთქვათ, რომ ყველა გრძნობდა მდგომარეობის საშინელებას.

– წავიდეთ აქედან, – უთხრა ათოსმა, – ცუდია ისეთ საზოგადოებაში ყოფნა, სადაც მკვდარია, და მეტადრე, ასე ნაძალადევად მოკლული.

– პლანშე, თქვენთვის მომინდვია ამ საწყალი კაცის გვამის პატრონობა, – უთხრა დ არტანიანმა, – დაასაფლავეთ სადმე წმინდა ადგილას, ავკაცობა ჩაიდინა, მართალია, მაგრამ გულწრფელად მოინანია.

მეგობრები ოთახიდან გავიდნენ, პლანშეს და ფუროს მიანდეს უბედური ბრიზმონის გასვენება და დასაფლავება.

დუქნის პატრონმა სხვა ოთახში შეიყვანა ჩვენი მეგობრები და იქვე მიართვეს თოხლო კვერცხები. წყლის ამოსატანად თვითონ ათოსი მივიდა ჭასთან. დ არტანიანმა რამდენიმე სიტყვით მოკლედ აუხსნა არამისს და პორთოსს მდგომარეობა.

– ახლა რას იტყვით, ათოს, – მიმართა დ არტანიანმა, – ხომ ხედავთ, რომ სასიკვდილოდა ვარ განწირული?

ათოსმა თავი გაიქნია.

– ვხედავ, ვხედავ, მაგრამ დარწმუნებული კი ხართ, რომ ამ უბედურებაშიც მისი ვერაგობა იყო?

– უეჭველად.

– მე კი მინდა გამოგიტყდეთ, რომ მაინც ეჭვი მებადება.

– და ის დაღი მხარზე?

– ხომ შეიძლებოდა ინგლისელ ქალს დაეშავებინა რაიმე საფრანგეთში და დაღი დაეკრათ?

– თქვენი ცოლი არის, ათოს, გეუბნებით, თქვენი ცოლია, – უმეორებდა დ არტანიანი, – ნუთუ ვერა ხედავთ, როგორ ემთხვევა ერთმანეთს მათი ნიშნები?

– მე კი ის, მეორე, მკვდარი მგონია. ისე კარგად ჩამოვკიდე ხეზე, რომ...

ახლა უკვე დ არტანიანმა გაიქნია თავი.

– კარგი, მაგრამ რა მეშველება? – თქვა ყმაწვილმა კაცმა.

– შეუძლებელია ასე დარჩენა, – დაეთანხმა ათოსი, – გაგიჟდება კაცი, მუდმივად მახვილის წვერი თუ აქვს გულზე მიბჯენილი. უნდა რაიმე ეშველოს.

– მერე, როგორ? როგორ?

– ყური დამიგდე! ეცადეთ, ნახოთ სადმე, საბოლოოდ გამოელაპარაკოთ, პირდაპირ უთხრათ: ზავი თუ ბრძოლა? პატიოსანი კაცის სიტყვა მიეცით, რომ ხმას არსად ამოიღებთ მის შესახებ, რომ თქვენს სიცოცხლეში ავს არაფერს აკადრებთ და თავის მხრივაც დააფიცეთ, თავი დაგანებოთ. თუ არ დაგთანხმდათ, დაემუქრეთ, უთხარით, რომ იძულებული იქნებით, მართლმსაჯულების მინისტრს მიმართოთ. მეფესთან მიხვალთ და მთელ სასახლეს აღძრავთ მის წინააღმდეგ, სასამართლოს წინაშე დაგაყენებთ, როგორც დამღით დასჯილს-თქო. და თუ მაინც გაამართლეს, დაემუქრეთ, რომ თქვენი ხელით მოკლავთ სადმე ქუჩაში, როგორც ცოფიან ძაღლს!

– მართალი ხართ, ჩემო ათოს, მომწონს ეს გზა, მაგრამ როგორ ვნახო, კიდეც რომ მომისმინოს?

– დრო დაგვეხმარება, მეგობარო, დროს მოჰყვება შემთხვევა. შემთხვევა ტალ-კვესი არის ადამიანისა, როგორც ბანქოს თამაში: რამდენადაც მეტს დასდებ, იმდენად მეტს მოიგებ, თუ ლოდინი შეგიძლია.

– კარგი, მაგრამ როდემდის გავუძლო ყაჩაღის და საწამლავის ლოდინს?

– ეჰ, აქამდე გვიფარავდა ღმერთი, იმედია, კვლავაც დაგვიფარავს, – უპასუხა ათოსმა.

– დიახ, ჩვენ დაგვიფარავს ღმერთი, – თქვა დ არტანიანმა, – ჩვენ ვაჟკაცები ვართ, ჩვენი დანიშნულება ბრძოლა და თავდადებაა... მაგრამ იმან რა დააშავა, იმ ბედკრულმა? – დაუმატა ჩუმი ხმით.

– ვინ ბედკრულმა? – ჰკითხა ათოსმა.

– კონსტანციამ.

– ქალბატონმა ბონასიემ? აჰ! ეგეც მართალია! – დაეთანხმა ათოსი, – დამავიწყდა, რომ გიყვართ ის საწყალი ქალი.

– რა გაწუხებთ? – ჰკითხა არამისმა, – იმ არამზადა მკვდარი ყაჩაღის ჯიბიდან ამოცლილ წერილში ხომ წერია, რომ მონასტერში იმყოფება ქალბატონი ბონასიე?! მონასტერში ადამიანი ძალიან კარგად გრძნობს თავს და პირობას გაძლევთ, როგორც კი გავათავებთ ამ გარემოცვას, ავიღებთ ლაროშელს, პირადად მე...

– კარგი, კარგი, – შეაწყვეტინა ათოსმა, – ვიცით, ჩემო არამის, რომ სარწმუნოებითა ხართ გატაცებული.

– დიახ, მხოლოდ დროებითა ვარ მუშკეტერი, – მიუგო თავმდაბლად არამისმა.

– ეტყობა, დიდი ხანია, რაც თავისი საყვარლისაგან წერილი აღარ მოსვლია, – უთხრა ათოსმა ჩურჩულით დ არტანიანს, – მაგრამ ყურადღებას ნუ მიაქცევთ მაგას, როგორც იცით, ეგ მხოლოდ დროებითი წადილია.

– მე კი მგონია, – მიმართა პორთოსმა, – მე კი მგონია, რომ შეიძლება სულ უბრალო საშუალებით...

– რა საშუალებით? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– მონასტერში არის ის ქალიო, ვგონებ, ასე თქვით?

– დიახ.

– ჰოდა, როგორც კი გავათავებთ ამ გარემოცვას, წავიდეთ და მოვიტაცოთ.

– მოვიტაცოთ? მერე, სად არის? რომელ მონასტერში? ეს არ უნდა ვიცოდეთ?

– ეგეც მართალია, – დაეთანხმა პორთოსი.

– მოითმინეთ, რაღაც აზრი მომივიდა თავში, როგორ გგონიათ, ჩემო დ არტანიან, ვინ დაეხმარებოდა, თუ არა დედოფალი, რომ მონასტერში მიემალა?

– დიახ, მე მგონი, მონასტერიც მისი ამორჩეული უნდა იყოს.

– ჰოდა, თუ ასეა, პორთოსი დაგვეხმარება.

– ეგ როგორ, თუ შეიძლება, ბრძანეთ!

– თქვენი მარკიზას, თქვენი ჰერცოგინიას, თქვენი ბრწყინვალე ქალბატონის შემწეობით...

– ჩუმად! – შეაწყვეტინა პორთოსმა და თითი პირზე მიიდო, – მგონი, კარდინალის მომხრეა და ნურაფერს გავაგებინებთ.

– მაშ, მე ვიკისრებ ამ ამბის გაგებას, – უთხრა არამისმა.

– თქვენ, არამის? – შეჰყვირა სამმა ამხანაგმა, – მერე, როგორ გაგვიგებთ?

– დედოფლის მღვდლის დახმარებით. ძალიან დაახლოებულნი ვართ ერთმანეთთან, – თქვა არამისმა და გაწითლდა.

ამ დაპირებით გაათავეს მეგობრებმა ბაასი და უბრალო სადილი. შეთანხმდნენ, რომ იმ საღამოსვე ნახავდნენ ერთმანეთს და დაიშალნენ. დ არტანიანი შინისკენ წავიდა, სამი მუშკეტერი კი – მეფის სადგომისკენ, რომ თავიანთი ბინა მოეწყოთ.

XIII

„წითელი სამტრედის“ ტრაქტირი

მეფე ძალიან ჩქარობდა მტერთან პირისპირ შეხვედრას. მას კარდინალზე მეტი საფუძველი ჰქონდა, სძულებოდა ბუკინგამი, ამიტომ ჩამოსვლისთანავე გადაწყვიტა, ყოველგვარი ზომები მიეღო, რათა პირველ რიგში რეს კუნძულიდან განედევნა ინგლისელები, ხოლო შემდეგ დაეჩქარებინა ლაროშელის გარემოცვა.

მტერზე შეტევის დაწყების ასეთი დიდი სურვილის მიუხედავად მეფემ ვერა გააწყო რა, ბასომპიერის და შომბერგის უთანხმოება ჰერცოგ ანგულემელთან აფერხებდა მისი გეგმის სისრულეში მოყვანას.

ბასომპიერი და შომბერგი საფრანგეთის მარშლები იყვნენ და მოითხოვდნენ თავიანთ უფლებებს ჯარების უფროსობაზე, ისე, რომ მეფე ყოფილიყო მათი უშუალო მბრძანებელი.

– მთავარსარდალი მეფე ბრძანდება და ჩვენ იმის თანაშემწენი ვართო. – მაგრამ კარდინალი ნდობის თვალით არ უყურებდა ბასომპიერს, გულით და რწმენით ჰუგენოტს. ეშინოდა, რომ იგი ნაკლებად ეცდებოდა თავისი სარწმუნოებრივი ძმების, ლაროშელელების და ინგლისელების დამარცხებას. ამიტომ კარდინალმა ჰერცოგი ანგულემელი უფრო წინ დააყენა. მანვე შეაგულიანა მეფე და ამ ომში მთავარსარდლის თანაშემწედ ანგულემელი დაანიშვნინა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მეფე და კარდინალი, იმის შიშით, მარშლები არ გაჰქცეოდათ ბრძოლის ველიდან, იძულებულნი გახდნენ, თითოეული მათგანისათვის განსაზღვრული ნაწილის სარდლობა მიეცათ. ბასომპიერს ჩააბარეს ლაროშელის გარემოცვის ჩრდილო ნაწილი – ლეიდან დომპიერამდე, ჰერცოგ ანგულემელს – აღმოსავლეთი ნაწილი, დომპიერიდან პერინამდე; შომბერგს – სამხრეთი, პერინიდან ანგუტენამდე.

მეფის ძმას დომპიერში ჰქონდა ბინა. მეფე ხან ეტრეში და ხან ლაჟარიში ბრძანდებოდა. ხოლო კარდინალი ქვის ხიდთან, ზღვისპირა ქვიშნარზე, ერთ უბრალო, სრულიად გაუმაგრებელ სახლში იდგა.

ამგვარად, მეფის ძმა თვალს ადევნებდა ბასომპიერს, მეფე – ანგულემელს და კარდინალი – შომბერგს.

როგორც კი დამთავრდა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, მაშინვე შეუდგნენ კუნძულ რედან ინგლისელების განდევნას.

გარემოება მეტად ხელსაყრელი იყო. ინგლისელები კარგი ჯარისკაცები მაშინ არიან, როდესაც თავსაყრელად აქვთ საჭმელ-სასმელი. ამჟამად ძალიან ცუდად იკვებებოდნენ, მათ საზრდოს ქვასავით გამხმარი პური და დამარილებული ხორცი შეადგენდა. ბანაკებში ბევრი ავადმყოფი ჰყავდათ. უფრო მეტი: ზღვის მეტისმეტი ღელვის გამო, რაც იქ დამახასიათებელია წლის ამ დროისათვის დღე არ გავიდოდა, რომ რამდენიმე პატარა გემი არ დაზიანებულიყო.

ზღვის ყოველი მოქცევის შემდეგ ეგილონის კონცხიდან სანგრებამდე, მთელი სანაპიროს გასწვრივ, მრავლად რჩებოდა სხვადასხვა სახის გემებისა და ნავების ნამსხვრევები. ინგლისელებს ცუდად ჰქონდათ საქმე და მეფის ჯარი გულხელდაკრეფილიც რომ დარჩენილიყო, ბუკინგამი იძულებული გახდებოდა, დაეტოვებინა კუნძული რე, სადაც მხოლოდ თავისი ჯიუტობის გამო რჩებოდა.

მაგრამ, როდესაც ბატონმა დე ტუარაკმა ამბავი მიუტანა, რომ მტრის ბანაკში დიდი მზადება წარმოებდა ახალი შემოტევისათვის, მეფემ გადაწყვიტა, ბოლო მოეღო კუნძულ რეზე ინგლისელთა ბატონობისათვის და თანაშემწეებს ბრძანება მისცა, დაეწყოთ გადამწყვეტი მოქმედება.

ჩვენი განზრახვა არ არის, გარემოცვის ამბავი დაწვრილებით მოვუთხროთ მკითხველს; პირიქით, ჩვენ ვცდილობთ, მარტო ის გარემოებანი აღვნიშნოთ, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ იმ ამბავთან, რასაც ჩვენ მოგითხრობთ. ამიტომ ორიოდე სიტყვით დავკმაყოფილდებით და მოკლედ მოვჭრით, რომ ეს ბრძოლა საფრანგეთის გამარჯვებით დამთავრდა, რაც ძალიან უკვირდა მეფეს და დიდებით მოსავდა კარდინალს. ფეხდაფეხ მისდევდნენ მტერს ფრანგები, ამარცხებდნენ ყველგან, სადაც კი შეტაკება მოუხდებოდათ. გადამწყვეტი ბრძოლა კი კუნძულ დე ლუადან გადმოსვლის დროს გაუმართეს და ისე გაუჭირეს საქმე, რომ ინგლისელები იძულებულნი შეიქნენ გემებში ჩამსხდარიყვნენ და შინისკენ მოესვათ.

დიდძალი ჯარი დაკარგეს ინგლისელებმა. მათ ბრძოლის ველზე დატოვეს ორი ათასი კაცი. მათ შორის ხუთი რაზმის უფროსი, სამი რაზმის უფროსის თანაშემწე, ორას ორმოცდაათი კაპიტანი და ოცი დიდებული გვარის მხედარი. გარდა ამისა, ოთხი ზარბაზანი და სამოცი დროშა, რომლებიც პარიზში ჩაიტანა კლოდ დე სენ-სიმონმა და ზეიმით ჩამოჰკიდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის თაღებზე.

კარდინალს ახლა უკვე თავისუფლად შეეძლო ემოქმედა ლაროშელის ასაღებად, რადგან მას, დროებით მაინც, არ აწუხებდა ინგლისელების შიში.

მაგრამ, როგორც ვთქვით, იგი მართლაც დროებითი და მეტად ხანმოკლე გამოდგა.

ფრანგებმა ტყვედ ჩაიგდეს ბუკინგამის მიერ გამოგზავნილი ელჩი, გვარად მონტეგიუ, ხოლო მას თან აღმოაჩნდა საიდუმლო ქაღალდები, საიდანაც გაიგეს ავსტრიის, ესპანეთის, ინგლისისა და ლოტარინგიის შეთანხმების ამბავი.

საფრანგეთთან საბრძოლველად შემდგარიყო ეს ლიგა. უფრო მეტიც, ჰერცოგ ბუკინგამის კარავში, კუნძულ რეზე, რომელიც მას უფრო აჩქარებით დაატოვებინეს, ვიდრე ეგონა, იპოვეს ამ ლიგის არსებობის დამამტკიცებელი ქაღალდები, რომლებიც, როგორც კარდინალი წერს თავის მოგონებებში, ჩრდილს აყენებს ქალბატონ შევრეზს და, მაშასადამე, თვით დედოფალსაც.

სწორედ ამით აიხსნებოდა ის მდგომარეობა, რომ კარდინალი დღედაღამ დაუღლელად ძაბავდა თავის უსაზღვრო გენიოსურ გონებას, რათა არ გამოჰპარვოდა ევროპის დიდ ქვეყნებში მომხდარი მცირეოდენი ცვლილებებიც კი.

კარდინალმა იცოდა, რა დაუცხრომელი ენერგიის კაცი იყო ბუკინგამი და რა საზარლად სძულდა რიშელიე. თუ გაიმარჯვებდა ლიგა, რომელიც საფრანგეთს ემუქრებოდა, ეს კარდინალის გავლენის დაკარგვას მოასწავებდა. ესპანეთის და ავსტრიის პოლიტიკას ლუვრის კაბინეტში ჯერჯერობით მხოლოდ თანამოაზრენი ჰყავდა, მაგრამ ერთი მათგანის გამარჯვება დაღუპავდა კარდინალს, მინისტრს საფრანგეთისას. მართალია, ბავშვივით ემორჩილებოდა მეფე კარდინალს, მაგრამ იგი ისევე სძულდა, როგორც ბავშვსა სძულს თავისი მბრძანებელი. ცხადია, დამარცხების შემთხვევაში ჯავრის ამოსაყრელად მეფე ხმისამოუღებლივ მიუგ-დებდა კარდინალს, დედოფალსა და თავის ძმას. ლიგის გამარჯვებასთან ერთად იღუპებოდა კარდინალი, მასთან ერთად, იქნება საფრანგეთიც დაღუპულიყო. საჭირო იყო ამ განსაცდელის აცდენა.

ამიტომ იყო, რომ დღითი დღე უფრო და უფრო იზრდებოდა რიცხვი შიკრიკებისა, რომლებიც გარს დასტრიალებდნენ ქვის ხიდთან მდგარ პატარა სახლს, სადაც კარდინალმა დაიმკვიდრა რეზიდენცია. ეს შიკრიკები ბერები იყვნენ, მაგრამ ისე მოხერხებულად ატარებდნენ ანაფორას, რომ მათ ძალიან ადვილად, მაშინვე, მიაკუთვნებდით მებრძოლ ეკლესიას. იყვნენ ქალებიც. ისინი პაჟის ტანისამოსში თავს ოდნავ შეწუხებულად გრძნობდნენ, და ბოლოს – გლეხკაცები, შავი ხელებითა და მარდი ფეხებით. რამდენიმე ვერსიდანაც რომ შეგეხედათ მათთვის, მაშინვე იცნობდით დიდებულ გვარიშვილებს.

გარდა ამისა, იყვნენ სხვა, ნაკლებად სასიამოვნო მნახველები, რადგან ორჯერ თუ სამჯერ ხმა გავარდა, რომ კარდინალს მოსაკლავად მიუხტნენო.

მართალია, მისი ყოვლადუწმინდესობის მტრები ავრცელებდნენ ხმას, რომ თვითონ კარდინალი აწყობდა ამ თავდასხმებს, რათა მიზეზი ჰქონოდა რეპრესიების გამოყენებისათვის, მაგრამ ჩვენ ნურც იმას დავიჯერებთ, რასაც მინისტრი ამბობს, და ნურც იმას, რასაც მისი მტრები ამბობენ.

კარდინალის მოსისხლე მტრებიც კი თავის დღეში ვერ გაბედავდნენ უარეყოთ მისი პირადი გულადობა და ვაჟკაცობა.

კარდინალი, მისი მოკვლის ცდებზე გავრცელებული ხმების მიუხედავად, ღამითაც არ იშლიდა თავისას და საქმის გამო დიდ მანძილს გაივლიდა მარტო

იმისათვის, რომ ჰერცოგ ანგულემელისთვის დიდმნიშვნელოვანი ბრძანება გადაეცა ან მეფესთან შეეთახმებინა რაიმე საკითხი, ან კიდევ საიდუმლოდ მოლაპარაკებოდა იმ ადამიანებს, რომელთა მოსვლა არავის არ უნდა სცოდნოდა.

მუშკეტერებს ბევრი არაფერი საქმე ჰქონდათ ქალაქის გარემოცვაში, ამიტომ არც მკაცრად ექცეოდნენ უფროსები და ისინიც მხიარულად ატარებდნენ დროს. ამ მხრივ თავს უფრო თავისუფლად გრძნობდა ჩვენი სამი მუშკეტერი, რომლებიც ბატონ დე ტრევილის მეგობრები იყვნენ და ადვილად იღებდნენ მისგან ბანაკიდან გასვლის ნებართვას.

ერთ საღამოს დ არტანიანს სანგარში ყოფნა უწევდა და თავის მეგობრებს ვერ გაჰყვებოდა, ამიტომ ცხენებზე გამოჭიმული ათოსი, პორთოსი და არამისი ბანაკისკენ მარტონი მიბრძანდებოდნენ. ტანთ სამხედრო ტანისამოსი ეცვათ, ხელი თოფის კონდახზე ედოთ, გზაში ჩასაფრებული მტრის შიშით თვალი და ყური გამახვილებული ჰქონდათ. „წითელი სამტრედიდან“ ბრუნდებოდა ჩვენი სამი მუშკეტერი. ეს ტრაქტირი ერთი დღის წინათ აღმოეჩინა ათოსს და ამ საღამოს პირის გასასველებლად სწორედ იქ წაეყვანა მეგობრები.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მუშკეტერები დიდი სიფრთხილით მიდიოდნენ და ოთხი მილიც კი არ იქნებოდა სოფელ ბუანარამდე, რომ მათკენ მიმავალი ცხენოსნების ფეხის ხმა შემოესმათ. ათოსი, პორთოსი და არამისი მაშინვე შეჩერდნენ ზედ შუა გზაზე, ერთმანეთს მიეკვრნენ და ყური მიუგდეს. ცოტა ხნის შემდეგ მთვარემ გაარღვია ღრუბელი და მის შუქზე მუშკეტერებმა თვალი მოჰკრეს ორ მხედარს, რომლებიც მათ დანახვაზე მაშინვე შეჩერდნენ, ეტყობოდათ, ბჭობდნენ, განეგრძოთ გზა, თუ უკან დაბრუნებულიყვნენ. ამ გარემოებამ ეჭვი აღუძრა მუშკეტერებს, ათოსმა რამდენიმე ნაბიჯით წინ წააყენა თავისი ცხენი და გასძახა:

– ვინა ხართ?

– თქვენ თვითონ ვინა ხართ? – შეეკითხა ერთი მხედართაგანი.

– ეგ პასუხი არ არის, – უთხრა ათოსმა, – ვინა ხართ, გვიპასუხეთ, თორემ გესვრით!

– ფრთხილად! არც ასე უსაბაბოდ ვარგა სროლა, ბატონებო! – გამოსძახა ერთმა მჟღერი ხმით. ეტყობოდა, მბრძანებლობას იყო მიჩვეული.

– მაღალი წოდების ოფიცერი უნდა იყოს, დარაჯების დასათვალიერებლად მიდის ალბათ, – ხმადაბლა თქვა ათოსმა, – როგორ მოვიქცეთ, ბატონებო?

– ვინა ხართ? – ჰკითხა იმავე მბრძანებლური ტონით უცნობმა, – მიპასუხეთ, თორემ ძვირად დაგიჯდებათ ეგ ურჩობა!

– მეფის მუშკეტერები, – მიუგო ათოსმა, უფრო და უფრო მეტად დარწმუნებულმა, რომ მართლაც დიდი უფლებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი ის, ვინც ასე მრისხანედ უბრძანებდა.

– რომელი რაზმისა?

– დე ტრევილის რაზმისა.

– მომიახლოვდით გარკვეულ მანძილზე და მომახსენეთ, რადა ხართ აქ ამ დროს?

მუშკეტერებმა ცხენები წინ წააყენეს, ოდნავ შეკრთნენ კიდეც, რადგან დარწმუნდნენ, რომ უცნობი უფრო გავლენიანი პირი იყო, ვიდრე თვითონ ისინი. მასთან გამოლაპარაკება ათოსს მიანდეს და გაჩუმებულნი დადგნენ.

უცნობი მხედარი, რომელიც ასე ბრძანებით ლაპარაკობდა, თავის თანამგზავრს დაახლოებით ათი ნაბიჯით წინ ედგა. ათოსმა ანიშნა მეგობრებს, ადგილზე დარჩენილიყვნენ, და მარტო თვითონ მიუახლოვდა უფროსს.

– ბოდიშს ვიხდი, ჩემო ოფიცერო, – მიმართა ათოსმა, – მაგრამ გვეპატიება, რადგან ამ სიბნელეში არ ვიცოდით, ვისთანა გვქონდა საქმე, და როგორც ხედავთ, კარგად ვეწევით დარაჯობას.

– თქვენი გვარი? – ჰკითხა ოფიცერმა, რომელსაც ნახევარი სახე წამოსასხამით ჰქონდა დაფარული.

– თქვენი გვარი, ბატონო! – მიმართა ათოსმა, რომელსაც აბრაზებდა ამგვარი დაკითხვა.

– თქვენი გვარი? – ჰკითხა მეორედ მხედარმა და სახიდან წამოსასხამი მოიცილა.

– ბატონი კარდინალი! – შეჰყვირა განცვიფრებულმა მუშკეტერმა.

– თქვენი გვარი? – ჰკითხა ახლა უკვე მესამედ მისმა ყოვლადუწმინდესობამ.

– ათოსი გახლავართ.

კარდინალმა ანიშნა თავის თანამგზავრს და ისიც იმ წუთში მიუახლოვდა.

– ეს სამი მუშკეტერი ჩვენ გამოგვყვება, – უთხრა მას კარდინალმა ხმადაბლა, – არ მინდა გაიგონ, რომ ბანაკიდან გამოვედი, ხოლო რაკი ესენიც ჩვენთან ივლიან, დარწმუნებულნი ვიქნებით, რომ ვეღარავინ გაიგებს ამას.

– პატიოსანი კაცები გახლავართ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მოახსენა ათოსმა, – იკმარეთ ჩვენი პატიოსანი სიტყვა და დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენც კარგად ვიცით საიდუმლოს შენახვა.

კარდინალმა თავისი შორსმჭვრეტი თვალი დააშტერა ამ გამბედავ მუშკეტერს.

– ძალიან ყურმახვილი ყოფილხართ, ბატონო ათოს, მაგრამ ახლა მე მომისმინეთ: თქვენდამი უნდობლობის გამო კი არ გთხოვთ ჩვენთან წამოსვლას, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ უშიშრად ვიყო. დარწმუნებული ვარ, ეს თქვენი ორი ამხანაგი ბატონი პორთოსი და ბატონი არამისია?

– დიახ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მიუგო ათოსმა,

ორივე მუშკეტერი მაშინვე კარდინალისკენ წამოვიდა, ქუდმოხდილებმა მდაბლად დაუკრეს თავი.

– გიცნობთ, ბატონებო, – განაგრძო კარდინალმა, – გიცნობთ. ვიცი, ჩემს მეგობართა რიცხვს არ ეკუთვნით და ძალიანაც მწყინს ეს ამბავი. მაგრამ ისიც ვიცი, რომ გულადი, პატიოსანი ყმაწვილები ხართ და ამიტომ სრული ნდობით შეიძლება მოგმართოთ კაცმა. ბატონო ათოს, პატივი მეცით და თქვენს მეგობრებთან ერთად თან გამომყევით. მაშინ ისეთი ამალა მეყოლება, რომ მის ყოვლად-უდიდებულესობასაც კი შეშურდება, გზაში თუ შეგვხვდა.

მუშკეტერებმა თავი ისე დაუკრეს, რომ შუბლი ცხენის ფაფარს შეახეს.

– პატიოსნებას გეფიცებით, – მოახსენა ათოსმა, – სრულიად მართალი ბრძანდება თქვენი ყოვლადუწმინდესობა, რომ ჩვენც თან გვიახლებს: საეჭვო კაცები შემოგვხვდნენ გზაში, ხოლო ოთხ მათგანთან ჩხუბიც კი მოგვივიდა „წითელი სამტრედის“ ტრაქტირში.

– ჩხუბი მოგივიდათ? მერე, რისთვის, ბატონებო? – ბრძანა კარდინალმა, – არ მიყვარს მოჩხუბრები, ეს თქვენც კარგად იცით.

– მეც იმიტომ ვაფრთხილებ თქვენს ყოვლადუწმინდესობას. თუ ნებას მიბოძებთ, მოგახსენებთ, რაც იქ შეგვემთხვა. ხომ შეიძლება, სხვისგან გაიგოთ ეგ ამბავი და ჩვენ ჩაგვთვალოთ დამნაშავეებად.

– რა შედეგი მოჰყვა თქვენს ჩხუბს? – ჰკითხა კარდინალმა წარბის შეჭმუხვნით.

– ჩემს მეგობარ არამისს ხმალი მოხვდა მკლავში, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვთ, ხვალვე იერიშით რომ მიგვიშვათ ლაროშელზე, თქვენი თვალით ნახავთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, არამისი წინ გაგვიძღვება.

– კარგი, მაგრამ ისეთი ბიჭები არა ხართ, რომ დაგკრან და ქედი მოიხაროთ, – უთხრა კარდინალმა, – მოდით, გულწრფელნი იყავით, ბატონებო. მითხარით, რა მოხდა, თქვენ ვიღას დაჰკარით და რამდენი დაჰკარით? აღიარეთ ცოდვანი: ხომ იცით, რომ მე უფლება მაქვს, შეგინდოთ შეცოდებანი.

– მე, ბატონო, – დაიწყო ათოსმა, – ხმალი არც კი მიხმარია, ხელი ვტაცე იმ თავლაფდასხმულს და ფანჯრიდან გადავაგდე. ჩავარდნისას, – განაგრძო ყოყმანით ათოსმა, – მგონი, ფეხი მოიტეხა.

– აჰ, აჰ! თქვენა, ბატონო პორთოს?

– ვიცი, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, რომ დუელი აკრძალული გახლავთ, ამიტომ სკამი ავიღე და ისე ჩავცხე იმ შერცხვენილს, რომ ბეჭები ჩავუმტვრიე.

– კარგია, – მოუწონა კარდინალმა, – თქვენა, ბატონო არამის?

– მე, ბატონო, მეტად წყნარი ბუნების ადამიანი გახლავართ, გარდა ამისა, თქვენს ყოვლადუწმინდესობას, რასაკვირველია, არ ეცოდინება, ამ ცოტა ხანში ბერად აღკვეცისათვის ვემზადები. მე მინდოდა გამეშველებინა ჩემი ამხანაგები და მოჩხუბართა შუაში ჩავდექი. ამ დროს მომეპარა ერთი არამზადა და ხმალი დამკრა მარცხენა მკლავში. მიღალატა მოთმინებამ, მეც, ჩემის მხრივ, ხმალი ამოვიღე და როდესაც მეორედ მომვარდა, ვფიქრობ, ჩემს ხმალზე წამოეგო. დანამდვილებით მარტო ის ვიცი, რომ წაიქცა და ვგონებ, მისმა ამხანაგებმა გაიტანეს გარეთ.

– დალახვროს ეშმაკმა, – წამოიძახა კარდინალმა, – სამი კაცის დაკარგვა სულ უბრალო ჩხუბის გამო! დიახ, გულხელდაკრეფილნი არ დადიხართ, ყმაწვილებო, ერთი მითხარით, რაზე მოგივიდათ ჩხუბი.

– მთვრალები იყვნენ ის არამზადები, – მიუგო ათოსმა, – გაეგოთ, რომ საღამოს ერთი ქალი მოსულიყო ტრაქტირში და ცდილობდნენ, იმ ქალისთვის ოთახის კარი შეემტვრიათ.

– კარის შემტვრევას ცდილობდნენ? – გაიკვირვა კარდინალმა, – მერე, რა უნდოდთ?

– უეჭველია, ქალის გაუპატიურება, – უპასუხა ათოსმა, – მე უკვე მოვახსენე თქვენს ყოვლადუწმინდესობას, მთვრალები იყვნენ-მეთქი ის უბედურები.

– ის ქალი ლამაზი და ახალგაზრდა იყო? – ჰკითხა კარდინალმა ისეთი ხმით, რომ ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა.

– ჩვენ ქალი არ გვინახავს, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მიუგო ათოსმა.

– არ გინახავთ? აჰ, ძალიან კარგი! – განაგრძო სიხარულით კარდინალმა, – ძალიან კარგი, ყმაწვილებო, რომ არ შეარცხვენინეთ ქალის პატიოსნება და რადგანაც მეც სწორედ „წითელი სამტრედის“ ტრაქტირისაკენ მივდივარ, იმასაც გავიგებ, სიმართლე თუ მითხარით.

– თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მიმართა ამაყად ათოსმა, – პატიოსანი გვარიშვილები გახლავართ და ჩვენი სიცოცხლის დასახსნელად არ ვიკადრებთ სიცრუეს.

– ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი თქვენს ნათქვამში, ბატონო ათოს, – უთხრა კარდინალმა და უცბად შეცვალა ბაასის თემა. – მაშ, მარტოდმარტო იყო ის ქალი?

– ერთი მხედარი ახლდა, ისიც მასთან ერთად კარჩაკეტილ ოთახში იჯდა, – მოახსენა ათოსმა, – უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი ნამდვილი ლაჩარია, რადგან იმდენი ბრახუნისა და ხმაურის მიუხედავად, გარეთ არ გამოჩენილა.

– ნუ განსჯით ნაჩქარევად, ბრძანებს სახარება, – უპასუხა კარდინალმა.

ათოსმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

– ახლა, ბატონებო, მომყევით, მე უკვე გავიგე ყველაფერი, რის გაგებაც მინდოდა.

კარდინალმა სახეზე ისევ წამოსასხამის საყელო აიფარა და ნელი ნაბიჯით გაუდგა გზას. უკან მცირე მანძილის დაცილებით თავისი ოთხი თანამგზავრი მისდევდა.

მალე მივიდნენ ტრაქტირთან, სადაც სიჩუმე და სიცარიელე სუფევდა. დუქნის პატრონმა ალბათ იცოდა, რომ დიდებული სტუმარი უნდა სწვეოდა, ამიტომ თავიდან მოეშორებინა ყველა.

ათი ნაბიჯი იქნებოდა დარჩენილი ტრაქტირის კარამდე, როდესაც კარდინალმა მუშკეტერებს ანიშნა შეჩერებულიყვნენ. იქვე, ღობეზე, კარებთან, შეკაზმული ცხენი ება. კარდინალმა სამჯერ რაღაც თავისებურად დაარაკუნა.

წამოსასხამში მოფუთნული კაცი რამდენიმე სიტყვით სწრაფად გამოელაპარაკა კარდინალს. შემდეგ ცხენს მოახტა და სურჟერის მიმართულებით გააჭენა. ეს გზა, სხვათა შორის, პარიზისკენაც მიდიოდა.

– მობრძანდით, ბატონებო! – დაუძახა კარდინალმა.

– სრული ჭეშმარიტება მიამბეთ წედან, ჩემო კეთილშობილო მეგობრებო, – უთხრა კარდინალმა სამ მუშკეტერს, – იცოდეთ, ამღამინდელი ჩვენი შეხვედრა საკეთილდღეოდ უნდა გაგიხდეთ, ეს საქმე მე მომანდეთ. მანამდე კი, აბა, მობრძანდით! – კარდინალი ცხენიდან ჩამოხტა. მუშკეტერებმაც მას მიჰბაძეს. კარდინალმა თავის თანმხლებს მიუგდო აღვირი, მუშკეტერებმა კი ღობეზე დაამაგრეს.

კარებში იდგა მასპინძელი. მისთვის კარდინალი ლამაზი ქალის სანახავად მისული ოფიცერი იყო.

– ოთახი ხომ არ გექნებათ დაბლა, ქვემო სართულზე, რომ ამ ბატონებმა მომიცადონ და ცეცხლთანაც გათბნენ? – ჰკითხა კარდინალმა.

– გახლავთ, ბატონო.

მასპინძელმა გააღო კარი დიდი დარბაზისა, სადაც ძველი, უხეირო ღუმელის მაგივრად, განიერი ბუხარი გაეკეთებინა და შიგ ცეცხლი გუგუნებდა.

– მობრძანდით, ბატონებო, – შეიპატიჟა მუშკეტერები.

– ძალიან კარგი, – მოუწონა კარდინალმა, – შებრძანდით, ბატონებო, და კეთილ ინებეთ, მომიცადეთ: ნახევარ საათზე მეტს არ გალოდინებთ.

ვიდრე სამი მუშკეტერი ქვემო სართულის დარბაზში შევიდოდა, კარდინალმა სხვა აღარაფერი ჰკითხა ტრაქტირის პატრონს, სწრაფად აიარა კიბე, ეტყობოდა, კარგად იცოდა ოთახის გზა.

XIV

ღუმელის საკვამლე მილით სარგებლობა

უკვე ცხადი შეიქნა, რომ რაინდული ხასიათისა და ფათერაკების ძიებით გატაცებულმა ჩვენმა სამმა მეგობარმა, თავისდა უნებურად, დახმარება აღმოუჩინა ქალს, რომელსაც თვით კარდინალი მფარველობდა.

ვინ იყო ეს ქალი? მაშინვე ეს კითხვა დაებადა სამივე მუშკეტერს, მაგრამ რაკი დარწმუნდნენ, რომ რამდენიც უნდა ემტვრიათ თავი, პასუხს მაინც ვერ გასცემდნენ ამ კითხვას, პორთოსმა ტრაქტირის პატრონი დაიბარა და კამათლები მოატანინა.

პორთოსი და არამისი მაგიდას მიუსხდნენ და თამაში დაიწყეს. ათოსი დიდ დარბაზში ბოლთასა სცემდა.

ჩაფიქრებული დადიოდა ათოსი, მან რამდენჯერმე აუარა და ჩამოუარა გვერდით მოშლილი ღუმელის საკვამლეს, რომელსაც ძირი ოდნავ მონგრეოდა, ხოლო ზემოთა ნაწილი მეორე სართულის ოთახში ადიოდა. ამ საკვამლესთან გავლისას და გამოვლისას რაღაც ჩურჩული ისმოდა. ამ გარემოებამ მიიპყრო ათოსის ყურადღება. ხელახლა მივიდა ნანგრევთან და რამდენიმე სიტყვა

გარკვევით გაიგონა. იმდენად მნიშვნელვნად ეჩვენა გაგონილი, რომ მეგობრებს ანიშნა, ჩუმად ყოფილიყვნენ, თვითონ კი წელში მოხრილი იდგა და ყური ღუმელის ხვრელისათვის მიემარჯვებინა.

– გეყურებათ, მილედი, – ამბობდა კარდინალი, – მეტად მნიშვნელოვანი საქმეა, დაბრძანდით და მოვილაპარაკოთ.

– მილედიო? – გაუკვირდა ათოსს.

– გისმენთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, უაღრესი ყურადღებით გისმენთ, – უპასუხა ქალის ხმამ, რომელმაც საშინლად აათრთოლა ათოსი.

– პატარა გემი გელით შარანტის შესართავში და პუანტის ციხესთან. გემის მოსამსახურენი სულ ინგლისელები არიან. კაპიტანი ჩემი ერთგულია. ეს გემი ხვალ დილით გაემგზავრება.

– მაშ ამაღამვე უნდა წავიდე?

–დაუყოვნებლივ, ესე იგი, მაშინვე, როგორც კი მიიღებთ ჩემს ბრძანებას. კარებთან ორი კაცი დაგხვდებათ და გემამდე ისინი მიგაცილებენ. ჯერ მე წავალ აქედან, მერე, ასე, საათ-ნახევრის შემდეგ, თქვენც გაუდგებით გზას.

– ბატონი ბრძანდებით, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ! ახლა დავუბრუნდეთ იმ დავალებას, რომელსაც მე მანდობთ. მე მინდა, ყოველთვის დამსახურებული მქონდეს თქვენი ნდობა, ამიტომ გთხოვთ, ზუსტად და ნათლად განმიმარტოთ ჩემი მოვალეობა, რომ რაიმე შეცდომა არ დავუშვა.

ორ მოსაუბრეს შორის მცირე ხნით ღრმა დუმილი ჩამოვარდა. ცხადია, წინასწარვე ალაგებდა კარდინალი სიტყვებს, რომლებიც ამ დავალების განსამარტავად დასჭირდებოდა. თავის მხრივ, მილედიც იკრებდა მთელ თავის გონებრივ ძალას, რომ კარგად შეეგნო კარდინალის ნათქვამი და ღრმად ჩაებეჭდა მეხსიერებაში.

ათოსმაც ისარგებლა ამ გარემოებით, ამხანაგებს კარი შიგნიდან დააკეტვინა, ანიშნა, მასთან მისულიყვნენ და იმათაც მოესმინათ.

განცხრომით ცხოვრება უყვარდათ პორთოსსა და არამისს, ამიტომ თან სკამები წამოიღეს თავისთვის, ერთი სკამი ათოსსაც მიუდგეს და ყური მიუგდეს.

– ლონდონს უნდა წახვიდეთ, – განაგრძო კარდინალმა, – ლონდონში ბუკინგამს ნახავთ.

– უნდა მოგახსენოთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, იმ ალმასის ბურნუკების შემდეგ ძალიან უნდობლად მექცევა ლორდი ბუკინგამი, რადგან მე მაბრალებს ორი თვალის შეჭრას, – უთხრა მილედიმ.

– ამჟამად ჩვენ მისი ნდობის მოპოვება არა გვჭირდება, – უთხრა კარდინალმა, თქვენ პირდაპირ მიხვალთ ჰერცოგ ბუკინგამთან, გულწრფელად და კანონიერად, როგორც მოსალაპარაკებლად მისული შუამავალი.

– გულწრფელად და კანონიერად, – გაიმეორა ქალმა ენით გამოუთქმელი ორპირობის კილოთი.

– დიახ, გულწრფელად და კანონიერად, – გაიმეორა კარდინალმა იმავე ტონით. – სრულიად გულწრფელად უნდა წარმოებდეს თქვენი მოლაპარაკება.

– ზუსტად შევასრულებ თქვენს დარიგებას. ახლა მიბრძანოს თქვენმა ყოვლადუწმინდესობამ, რა უნდა ვუთხრა ბუკინგამს?

– ნახავთ ბუკინგამს, ეტყვით, რომ პირადად ჩემგან ხართ გაგზავნილი, და აცნობებთ, რომ დაწვრილებით ვიცი, როგორ ემზადება იგი ჩვენთან საომრად. მაგრამ სრულიადაც არ მაწუხებს მისი სამზადისი, რადგან, იცოდეს, როგორც კი გაბედავს იარაღის აღებას, საბოლოოდ დავღუპავ დედოფალს.

– დამიჯერებს კი, რომ თქვენს ყოვლადუწმინდესობას აქვს რაიმე საშუალება დედოფლის დასაღუპავად?

– დიახ, დამამტკიცებელი საბუთი მაქვს.

– მაშ, მე უნდა წარვუდგინო ეგ საბუთები, რომ დავანახვო და შევაფასებინო.

– რა თქმა უნდა, თქვენ უნდა წარუდგინოთ. უთხარით, რომ მე დავბეჭდავ და გამოვაქვეყნებ ბუა-რობერის და მარკიზ ბოტრუს მოხსენებას იმ პაემანის შესახებ, რომელიც ბუკინგამსა და დედოფალს ჰქონდათ მთავარსარდლის მეუღლესთან იმ ღამეს, როდესაც კარნავალი იყო მთავარსარდლის სასახლეში. ეჭვი თუ შეეპაროს ჩემს ცნობებში, უთხარით, რომ დიდი მოგოლის ტანისამოსით მიბრძანდა იმ პაემანზე ლორდი. იმ ტანისამოსით, რომლითაც რაინდი გიზი უნდა მისულიყო, ხოლო დე გიზისგან სამი ათას პისტოლად იყიდა ბუკინგამმა ეს ტანსაცმელი.

– კარგით, ბატონო!

– უთხარით, რომ დაწვრილებით ვიცი, როგორ შევიდა სასახლეში იტალიელი მკითხავის ტანისამოსით და ღამით გამოვიდა იქიდან. უთხარით კიდევ, რადგან მინდა საბოლოოდ დავარწმუნო, რომ ყველაფერზე, რასაც თქვენ ეტყვით, დამამტკიცებელი საბუთები მაქვს; დიახ, უთხარით, რომ წამოსასხამის ქვეშ დიდი ხალათი ეცვა, შავი ლაქებით, მკვდრის თავის ქალით და გადაჯვარედინებული ძვლებით აჭრელებული. ასე იმიტომ შეიმოსა, რომ თუ გამომჟღავნდებოდა მისი ყოფნა, თავი თეთრი ალის მოჩვენებად უნდა გამოეცხადებინა, რომელიც, როგორც ყველამ იცის, ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე ლუვრში, როდესაც რამე დიდი შემთხვევაა მოსალოდნელი.

– სულ ეგ არის, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ?

– უთხარით, რომ დაწვრილებით ვიცი ამიენის ამბები და რომ პატარა, მიმზიდველ რომანად გამოვაქვეყნებ მას, შიგ კი ჩავურთავ ბაღის გეგმას და, აგრეთვე, იმ ღამის სცენის უმთავრეს მოქმედ პირთა სურათებს.

– ყველაფერს ვეტყვი, უკლებლივ ყველაფერს.

– ისიც უთხარით, რომ ბასტილიის ციხეში მყავს გამომწყვდეული მისი მონტეგიუ, რომელსაც, მართალია, არავითარი წერილი არ აღმოაჩნდა დაჭერის დროს, მაგრამ წამებას შეუძლია ათქმევინოს ის, რაც იცის, და ისიც კი, რაც არ იცის.

– ძალიან კარგი.

– ამას ისიც დაუმატეთ, რომ მის ბრწყინვალებას კუნძულ რედან აჩქარებით გაქცევის დროს, თავის კარავში დარჩენია ქალბატონ დე შევრეზის წერილი, რომელიც სახელს უტეხს დედოფალს. ამ წერილით მტკიცდება არა მარტო ის, რომ დედოფალს უყვარს მეფის მტრები, არამედ ისიც, რომ ის მონაწილეობას ღებულობს საფრანგეთის წინააღმდეგ შეთქმულებაში. ხომ კარგად გახსოვთ, რაც ჩამოგითვალეთ?

– აი, თქვენ თვითონ დარწმუნდით, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, გავიმეორებ: მეჯლისი მთავარსარდლის მეუღლესთან, ღამე ლუვრში, საღამო ამიენში, მონტეგიუს დაჭერა, ქალბატონ დე შევრეზის წერილი.

– ასე, ასე, – მოუწონა კარდინალმა, – მართლაც რომ კარგი მეხსიერება გქონიათ, მილედი.

– მაგრამ, – წამოიწყო ისევ ქლმა, რომელსაც ასეთი ქებით მიმართა კარდინალმა, – რომ არად დაგვიფასოს ეს ჩვენი საბუთები და განაგრძოს საფრანგეთისადმი მუქარა და ომისათვის მზადება?

– ჰერცოგ ბუკინგამს გაგიჟებით უყვარს დედოფალი, უფრო უკეთ, გასულელებულია მისი სიყვარულით, – განაგრძო რიშელიემ ღრმა მწუხარებით, – წინანდელი რაინდებივით, მხოლოდ იმ განზრახვით აგვიტეხა ეს ომი, რომ ალერსის თვალით გადაეხედა მისთვის დედოფალს. თუ დავარწმუნეთ, რომ ამ ომმა შეიძლება სახელი გაუტეხოს მის სატრფოს და იქნება თავისუფლებაც აღუკვეთოს მის საოცნებო ქალბატონს, როგორც თვითონვე უწოდებს, მერწმუნეთ, ღრმად ჩაუფიქრდება მდგომარეობას.

– მაგრამ მაინც რომ ვერ დავიყოლიოთ? – მიმართა მილედიმ ისეთი დაჟინებით, რომელიც ამტკიცებდა, რომ უნდოდა, თავიდან ბოლომდე ზუსტად შეეგნო, რას ავალებდა კარდინალი, – მაინც რომ ვერ დავიყოლიოთ?

– თუ გაგვიჯიუტდა... არა მგონია, დაუჯერებელია, – თქვა კარდინალმა.

– არა, შესაძლებელია...

– თუ გაგვიჯიუტდა... – მცირე ხნით გაჩუმდა მისი ყოვლადუწმინდესობა და მერე განაგრძო: – თუ გაგვიჯიუტდა... რა გაეწყობა? მაშინ მე იმედი მექნება ისეთი მოვლენის, რომელიც უცბად ცვლის სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულებას...

– იქნება კეთილი ინებოს თქვენმა ყოვლადუწმინდესობამ და ისტორიიდან მომაგონოს ამგვარი მოვლენის რაიმე მნიშვნელოვანი მაგალითი, – თქვა მილედიმ, – მაშინ მე გავიზიარებდი თქვენს რწმენას მომავლისადმი.

– მაგალითი გნებავთ? აი, ინებეთ: იმავე მიზეზით იყო გახელებული ნეტარხსენებული მეფე ჰენრიხ მეოთხე, რომლითაც დღეს ლორდი ბუკინგამია გაშმაგებული, როდესაც 1610 წელს თავისი ჯარები შეუსია ერთდროულად ფლანდრიას და იტალიას, რათა ორი მხრიდან დასცემოდა ავსტრიას... და განა მაშინ არ მოხდა ისეთი მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც იხსნა ავსტრია? რატომ არ შეიძლება ისევე შეეწიოს ყოვლისშემძლებელი ღმერთი საფრანგეთის მეფეს, როგორც მაშინ შეეწია ავსტრიის იმპერატორს?

– თქვენს ყოვლადუწმინდესობას სურს, ფერონერის ქუჩაზე ხანჯლით მომხდარი მკვლელობის ამბავი მომაგონოს?

– დიახ.

– როგორ გგონიათ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, განა გაბედავს ვინმე რავალიაკის1 მიბაძვას, როდესაც ყველამ იცის, რა საზარელი წამებით იქნა დასჯილი მეფე ჰენრიხ მეოთხის მკვლელი.

– ყოველ ეპოქასა და ყოველ ქვეყანაში, განსაკუთრებით, ისეთ ქვეყანაში, სადაც ხალხში რელიგიური უთანხმოება სუფევს, შეიძლება იყვნენ ფანატიკოსები, რომლებიც სულის ცხონებასავით ნატრობენ წამებას. სწორედ კარგ დროს მომაგონდა, პურიტანები აღშფოთებულნი არიან ჰერცოგ ბუკინგამის მოღვაწეობით და ანტიქრისტედ იხსენიებენ თავიანთ ქადაგებაში.

– მერე რა? – ჰკითხა მილედიმ.

– მერე ის, რომ, – განაგრძო კარდინალმა უხალისოდ, – მაგალითად, ახლანდელ მდგომარეობაში იკმარებდა აღმოჩენა ერთი ყოჩაღი, ლამაზი ახალგაზრდა ქალისა, რომელიც ბუკინგამზე შურისძიების გრძნობით არის აღვსილი. ძნელი არ უნდა იყოს ასეთი ქალის პოვნა. ძალიან მოსწონდათ და უყვარდათ ქალებს ბუკინგამი. მან მრავალი ქალის გული აღაგზნო მისდამი ტრფობით, თავის „სიკვდილამდე გაუნელებელი სიყვარულის ფიცით“ და, მაშ, მრავალი ქალის სიძულვილიც უნდა მოეპოვებინა თავისი მუდმივი ორგულობითა და ღალატით.

– მაგას რაღა თქმა უნდა, – უპასუხა ცივად მილედიმ, – ძნელი არ უნდა იყოს მაგისთანა ქალის აღმოჩენა.

– მაშ, ერთმა შეურაცხყოფილმა ქალმა რომ ჟაკ კლემანის1 ან რავალიაკის მსგავს ვინმე ფანატიკოსს დანა ჩაუდოს ხელში, განსაცდელიდან იხსნის საფრანგეთს.

– დიახ, მაგრამ თვითონაც კაცისკვლის თანამოზიარე გახდება.

– განა იცის ვინმემ, ვინ იყო ნამდვილი თანამოზიარე ჟაკ კლემანისა ან რავალიაკისა?

– არა. შეიძლება ისეთი მაღალი წრეებისანი იყვნენ ისინი, რომ ვერც კი გაუბედეს იმ სიმაღლეში ძებნა. ყველასთვის კი არ გაბედავენ მართლმსაჯულების სასახლის გადაწვას.

– მაშ, თქვენ გგონიათ, რომ მართლმსაჯულების სასახლის ხანძარს თავისი მიზეზი ჰქონდა და არა უბრალო შემთხვევა? – ჰკითხა კარდინალმა ისეთი კილოთი, თითქოს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა ამ კითხვას.

– მე, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, არაფერი მგონია, მე მხოლოდ აღვნიშნავ ფაქტს. ოღონდ, ამასთან ერთად, ერთს კი მოგახსენებთ: მე რომ ქალბატონი დე მონპანსიე ვიყო ან დედოფალი მარია მედიჩი, უფრო ნაკლები სიფრთხილით მოვიქცეოდი, ვიდრე დღეს ვიქცევი, ლედი კლარიკად წოდებული.

– ძალიან კარგი, – მიუგო კარდინალმა, – მაგრამ რის თქმა გნებავთ მაგით?

– მინდა, ბრძანება მქონდეს თქვენი, რომელიც წინასწარვე დაამტკიცებს ყოველ ჩემ მიერ ხმარებულ საშუალებას თქვენი დავალების ასასრულებლად და საფრანგეთის საკეთილდღეოდ.

– კარგით, მაგრამ ჯერ, როგორც გითხარით, უნდა გამოიძებნოს შურისძიების წყურვილით ანთებული ქალი, რომელიც ბუკინგამზე ჯავრს იყრის.

– ქალი გამოძებნილია, – უთხრა მილედიმ.

– მაშინ დაგვჭირდება გამოძებნა არამზადა ფანატიკოსისა, რომელიც ღვთის განგებას აგვისრულებს.

– იმასაც ვიპოვით.

– ჰოდა, მაშინ მოვა დრო იმ ბრძანების მიღებისა, რომელსაც ეს არის მთხოვდით.

– მართალი ბრძანდებით, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მოახსენა მილედიმ, – მინდა ვაღიარო, რომ შევცდი, როდესაც თქვენ მიერ მოცემულ დავალებაში, თქვენი ნამდვილი ბრძანების გარდა, მე კიდევ სხვა რაღაც წარმოვისახე. ნამდვილი თქვენი ბრძანება მდგომარეობს შემდეგში: უნდა განვუცხადო ჰერცოგ ბუკინგამს თქვენი ყოვლადუწმინდესობისაგან, რომ თქვენ კარგად იცით, როგორ მოახერხა დედოფალთან მისვლა მთავარსარდლის მეუღლესთან გამართულ ზეიმზე, რომ თქვენ გაქვთ დამამტკიცებელი საბუთები, თუ როგორ შევიდა სასახლეში დედოფალთან იტალიელი მკითხავის ტანისამოსით, და რომ ეს მკითხავი ნამდვილად ჰერცოგი ბუკინგამი ბრძანდებოდა, რომ თქვენ შეუკვეთავთ მეტად საინტერესო პატარა რომანს, რომელშიც აღწერილი იქნება ამიენის შემთხვევა, მთავარ მოქმედ პირთა სურათებით, რომ ბასტილიის ციხეში არის მონტეგიუ და შეიძლება წამებამ ათქმევინოს, რაც ახსოვს და, აგრეთვე, ისიც, რაც შეიძლება დავიწყებული ჰქონდეს. დაბოლოს, რომ თქვენა გაქვთ წერილი ქალბატონ შევრეზისა, ლორდის კარავში აღმოჩენილი, რომელიც თავსა სჭრის არა მარტო იმას, ვინც იმ წერილსა წერს, არამედ იმასაც, ვისი სახელითაც არის დაწერილი ის წერილი... და თუ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ჰერცოგმა ბუკინგამმა თავისი არ დაიშალა, მე მაინც ამით ვათავებ თქვენ მიერ მოცემულ ბრძანებას, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ამით ისაზღვრება თქვენი დავალება, ისღა დამრჩება, რომ ყოვლად შემძლებელ ღმერთს შევევედრო, გვიწყალობოს სასწაული და მით განსაცდელიდან იხსნას საფრანგეთი. ეს არის, არა, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, რასაც მე მავალებთ?

– დიახ, სწორედ მაგას გავალებთ, – უპასუხა ცივად კარდინალმა.

– ახლა კი, – მოახსენა მშვიდად მილედიმ, თითქოს ვერც კი შენიშნა კარდინალის შეცვლილი ხმა, – რაკი მივიღე ბრძანება თქვენი ყოვლადუწმინდესობის მტრების შესახებ, ნება მიბოძეთ, ერთი-ორი სიტყვით მაინც ვუჩივლო ჩემს მტრებს.

– მაშ, მტრებიცა გყოლიათ? – ჰკითხა რიშელიემ.

– დიახ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, მტრები მყავს, რომელთა წინააღმდეგ თქვენც უნდა დამეხმაროთ, რადგან ისინი თქვენთან ერთგული სამსახურის შედეგად მოვიპოვე.

– ვინ არიან ეგ თქვენი მტრები?

– უპირველესად, ერთი ვიღაც ქალი გახლავთ, ბონასიე.
– ის ხომ მანტის ციხეში ზის!
– იქ გახლდათ, – მიუგო მილედიმ, – მაგრამ დედოფალმა ბრძანება გამოსტყუა მეფეს და იმ ბრძანების ძალით მონასტერში გადაიყვანა.
– მონასტერში?
– დიახ, ერთ მონასტერში.
– რომელში, თუ იცით?
– არა, არ ვიცი, ძალიან იცავენ მაგ საიდუმლოს.
– მე გავიგებ.
– და მერე მეც მიბრძანებს თქვენი ყოვლადუწმინდესობა? მინდა ვიცოდე, სად არის ის დედაკაცი!
– რატომ არა! – მიუგო კარდინალმა.
– კარგით, ახლა მეორე მტერზე მოგახსენებთ, იგი გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე ვიღაც ბონასიეს ცოლი.
– ეგ ვინდა არის?
– მისი საყვარელი.
– რა გვარია?
– ოჰ, თქვენც კარგად იცნობთ! –წამოიყვირა ცოფმორეულმა მილედიმ, – ის გახლავთ ჩვენი საერთო მოსისხლე მტერი, ავი სული, რომელიც მოსვენებას აღარ გვაძლევს. ეს ის გახლავთ, რომელიც ამას წინათ თქვენი რაზმელების და მუშკეტერების ჩხუბში ჩაერია და მეფის მუშკეტერებს მოაპოვებინა გამარჯვება; ეს ის გახლავთ, რომელმაც თქვენ მიერ გაგზავნილი გრაფი დე ვარდი ხმლით სამგან დაჭრა და ისე სამარცხვინოდ ჩაგვიშალა ალმასის ბურნუკების საქმე; ეს ის გახლავთ, რომელსაც ვერ მოუნელებია ჩემ მიერ მისი საყვარლის მოტაცება და აღთქმა დაუდვია – მე მომკლას.
– აჰ, აჰ! – წამოიძახა კარდინალმა, – ვიცი, ვისაც უჩივით.
– ეს ის არამზადა დ არტანიანი გახლავთ!
– ძალიან ყოჩაღი ბიჭია, – თქვა კარდინალმა.
– იმიტომაც გახლავთ მეტად საშიში, რომ ძალიან ყოჩაღია.
– რაიმე საბუთი უნდა გვქონდეს მისი ბუკინგამთან დამოკიდებულების შესახებ, – თქვა კარდინალმა.
– რაიმე საბუთი? –შეჰყვირა მილედიმ, – მე ათასს გიშოვით!
– მაშინ მაგაზე ადვილი რა იქნება? თქვენ საბუთი მიშოვეთ და მე იმწამსვე ბასტილიის ციხეში დავამწყვდევინებ.
– კარგი, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, მაგრამ შემდეგ?
– ბასტილიის ციხეში დამწყვდეულ კაცს „შემდეგ“ აღარა სჭირდება, – თქვა კარდინალმა ყრუ ხმით, – აჰ, ეშმაკმა დალახვროს, – განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ, – ჩემთვისაც რომ ასე ადვილი იყოს ჩემი მტრის მოშორება, როგორც თქვენი მტრების დაღუპვაა ადვილი... აი, ჩემი მტრის მსგავსი კაცის მოცილებას უნდა მთხოვდეთ, რომ...
– მოდით, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, გაცვლა ვაწარმოოთ. კაცში კაცი მომეცით, სიცოცხლეში – სიცოცხლე, თქვენ ის მომეცით, ვისაცა გთხოვთ, და მე იმას მოგართმევთ სამაგიეროდ.
– ვერ გავიგე, რის თქმა გნებავთ, –უპასუხა კარდინალმა, – და არც მინდა მაგის გაგება. მაგრამ მინდა, რამეთი გასიამოვნოთ. მე ვერავითარ დამაბრკოლებელ მოსაზრებას ვერ ვპოვებ, რომ უარი გითხრათ ერთი უბრალო, თავხედი რაზმელის დასჯაზე, მით უფრო, რომ, როგორც თქვენ მეუბნებით, იგი მეტად გარყვნილი, მოღალატე, ღუელის მოყვარული ყოფილა.
– უსინდისოა, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, უსინდისო გახლავთ!
– საწერ-კალამი და ქაღალდი მომეცით! – სთხოვა კარდინალმა.

– ინებეთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ.

ცოტა ხანს მიჩუმდნენ მოსაუბრენი, რაც იმას ამტკიცებდა, რომ კარდინალი ცდილობდა მოეფიქრებინა ის სიტყვები, რომლითაც უნდა გადმოეცა დაწერილის შინაარსი.

ათოსმა, რომელსაც კარდინალისა და მილედის საუბრიდან არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია, თავისი ორი მეგობარი ოთახის მეორე ბოლოში გაიყვანა.

– ნეტავი რა გინდა? – ჰკითხა პორთოსმა, – რატომ არ გსურს ბოლომდე მოვისმინოთ ის საუბარი?

– ჩუმად, – უთხრა ჩურჩულით ათოსმა, – ჩვენ უკვე გავიგონეთ, რაც საჭირო იყო, მაგრამ მე არ გიშლით, მიდით და მოისმინეთ, მე კი უნდა წავიდე.

– უნდა წახვიდე? – ჰკითხა პორთოსმა, – მერე, კარდინალმა რომ გიკითხოს? რა პასუხი გავცეთ?

– ნუ დაუცდით მის კითხვას, თქვენ თვითონვე მოახსენეთ, რომ წავედი გზის დასათვალიერებლად, რადგან ჩვენი მასპინძლის რამდენიმე სიტყვამ ეჭვი აღმიძრა, რომ საშიშროებას მოკლებული არ უნდა იყოს ჩვენი გზა, ამის შესახებ ერთ-ორ სიტყვას კარდინალის თანმხლებსაც ვეტყვი. დანარჩენი ჩემი საქმეა და თქვენ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

– ფრთხილად იყავით, ათოს – უთხრა არამისმა.

– ფიქრი ნუ გაქვთ, – უპასუხა ათოსმა, – ხომ იცით, რა აუჩქარებელი ადამიანი ვარ.

პორთოსი და არამისი ისევ ღუმელთან მივიდნენ, სკამებზე დასხდნენ და ყური მიუგდეს...

ათოსი კი სრულიად მშვიდად გავიდა ოთახიდან, მივიდა, ახსნა თავისი ცხენი, რამდენიმე სიტყვით განუმარტა კარდინალის თანმხლებს, რომ რაღაცა ავი ხმები დადიოდა, და მშვიდობიანად დასაბრუნებლად საჭირო იყო გზის წინასწარ დათვალიერება. ყურადღებით გასინჯა თავისი დამბაჩის ჩახმახი და ბანაკისკენ ჭენებით წავიდა.

XV

ოჯახური სცენა

მართალი გამოდგა ათოსის ვარაუდი, კარდინალმა აღარ დააგვიანა დაბლა ჩამოსვლა.

ათოსის წასვლის შემდეგ მან მალე შემოაღო დარბაზის კარი, სადაც სამი მუშკეტერი ეგულებოდა. კარდინალმა არამისსა და პორთოსს კამათლებით გაცხარებულ თამაშზე მოასწრო. მან სწრაფად მოავლო თვალი ოთახის ყოველ კუთხეს და ნახა, რომ ერთი კაცი აკლდა.

– ბატონი ათოსი სადღაა? – იკითხა კარდინალმა.

– გზის შესამოწმებლად გეახლათ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ. ჩვენს მეტრაქტირეს საშიშრად მიაჩნია ბანაკისკენ მიმავალი გზა.

– თქვენ რაღას აკეთებთ, ბატონო პორთოს?

– ხუთი პისტოლი მოვუგე არამისს.

– ახლა ხომ შეგიძლიათ ჩემთან ერთად წამოსვლა?

– თქვენს ბრძანებას ველით, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ.

– მაშ, შევსხდეთ ცხენებზე, ბატონებო, რადგან ძალიან დაგვიანდა.

კარებთან იდგა კარდინალის თანმხლები, რომელსაც ცხენის სადავე ეჭირა. ცოტა მოშორებით, ბნელში სამი შეკაზმული ცხენი და ორი კაცი მოჩანდა; მათ უნდა მიეყვანათ მილედი პუანტის ციხესთან და გემში ჩაესვათ.

თანმხლებმაც იგივე მოახსენა ათოსის შესახებ, რაც ორმა მუშკეტერმა. კარდინალმა კმაყოფილების ნიშნად ხელი დაიქნია და ბანაკისკენ დაიძრა.

გზა მშვიდობისა ვუსურვოთ ბანაკამდე ბატონ კარდინალს თავის თანმხლებით და ორი მუშკეტერით, ჩვენ კი ათოსს გავყვეთ.

ათოსმა იმავე სიჩქარით გაიარა ასიოდე ნაბიჯი, მაგრამ რაკი ტრაქტირს მიეფარა და დარწმუნდა, ვედარავინ დაინახავდა, მარჯვნივ გადაუხვია, ბანაკისკენ მიმავალ გზას დაუახლოვდა და გზიდან ოცი ნაბიჯით დაშორებულ ჭალაში შევიდა, რომ ყური ეგდო, როდის გაივლიდა ბანაკში მიმავალი კარდინალი. შორიდანვე იცნო თავისი მეგობრების ოქრომკედიანი ქუდები და ისეთივე ფოჩი ბატონ კარდინალის წამოსასხამისა. ათოსმა მოიცადა, სანამ ეს მგზავრები კუთხეში ჩაუხვევდნენ და, როდესაც თვალს მიეფარნენ, ჭენებით ისევ ტრაქტირში დაბრუნდა, სადაც მაშინვე გაუღეს კარი.

იცნო ტრაქტირის პატრონმა.

– ერთი მნიშვნელოვანი გარემოება დავიწყებია ჩემს ოფიცერს, – უთხრა ათოსმა, – და მე გამომგზავნა, გადავცე იმ ქალს, რომელიც ზევით ბრძანდება.

– მობრძანდით, ბატონო, ჯერ ისევ თავის ოთახში გახლავთ.

სიამოვნებით მიიღო ეს ნებართვა, სწრაფად აფრინდა კიბეზე და დერეფნიდანვე ღია კარში დაინახა, რომ მილედი ქუდს იხურავდა და წასასვლელად ემზადებოდა.

ათოსი ოთახში შევიდა და კარები ურდულით გადაკეტა. ამ ხმაურზე მილედიმ უკან მოიხედა.

წამოსასხამში გახვეული და თვალებზე ქუდჩამოწეული ათოსი ჯერ ისევ კარებთან იდგა.

ქანდაკებასავით მუნჯად მდგარი ადამიანის დანახვაზე მილედი შეშინდა.

– ვინა ხართ? რა გინდათ? – შეჰყვირა მან.

– ის არის, ის! – ჩურჩულებდა ათოსი.

წამოსასხამი ძირს დაუშვა, ქუდი მოიხადა და მილედისკენ წაიწია.

– მიცანით თუ ვერა, ქალბატონო?

მილედიც წინ წამოვიდა, მაგრამ გველნაკბენივით უცბად უკანვე გაიქცა.

– კარგი, კარგი! – თქვა ათოსმა, – ვხედავ, რომ მიცანით.

ფერი ეცვალა მილედის, შეშინებული უკან-უკან იწევდა, სანამ კედელს არ მიაბჯინა ზურგი.

– გრაფი დე ლა ფერი! – ჩუმად, ხმის კანკალით წარმოთქვა მან.

– დიახ, მილედი, – უპასუხა ათოსმა, – გრაფი დე ლა ფერი, რომელიც მხოლოდ იმიტომ მოდის საიქიოდან, რომ დატკბეს თქვენი ნახვით. მაშ, დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ, როგორცა ბრძანებს ბატონი კარდინალი.

თავზარდაცემულ ქალს ხმის ამოღება აღარ შეეძლო, ძალმიხდილი სკამზე დაეშვა.

– მაშ, ავი სული ხართ, ქვეყნად ბოროტების განსახორციელებლად მოვლენილი? – მიმართა ათოსმა, – ვიცი, დიდი ძლიერებითა ხართ აღჭურვილი, მაგრამ თქვენც უნდა იცოდეთ, რომ ღვთის წყალობითა და დახმარებით უძლიერეს ეშმაკსაც ამარცხებს ადამიანი. ერთხელ უკვე გადამეღობეთ გზაზე; მე მეგონა, ქალბატონო, საბოლოოდ მოვაშორე ქვეყანას სათნოების მტერი, მაგრამ ან მე ვცდებოდი, ან ჯოჯოხეთმა ჩაგიდგათ თავისი სული!

მილედის ამ სიტყვებმა მოაგონა წარსული საშინელება, თავი დაღუნა და მწარედ ამოიკვნესა.

– დიახ, ჯოჯოხეთმა ჩაგიდგათ თავისი სული, – განაგრძო ათოსმა, – ჯოჯოხეთმა გაგამდიდრათ, ჯოჯოხეთმა მოგანიჭათ მეორე გვარი, ჯოჯოხეთმა გარდაგქმნათ. თითქმის სახეც კი გამოგიცვალათ, მაგრამ მან ვერ ჩამორეცხა ჭუჭყი თქვენს სულს და დამღა – თქვენს ტანს.

გველნაკბენივით წამოვარდა მილედი, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. ათოსი ისევ იჯდა.

– მკვდარი გეგონეთ, განა, ისევე როგორც მე მეგონა, რომ წუთისოფელს გამოგასალმეთ! სახელმა ათოსმა დაფარა გრაფი დე ლა ფერი, ისევე როგორც მილედი კლარიკმა დაფარა სახელი ანა დე ბლეილი! ხომ ეგ იყო თქვენი სახელი და გვარი, როდესაც ჯვარი დაგვწერა თქვენმა პატიოსანმა ძმამ? მართლაცდა უცნაური არის ჩვენი მდგომარეობა, – განაგრძო სიცილით ათოსმა, – დღევანდლამდე მარტო იმიტომ ვიყავით ცოცხალნი თქვენც და მეც, რომ უკვე მიცვალებულად გვეგულებოდა ერთმანეთი. წარსულის მოგონება უფრო ნაკლებად ქენჯნის კაცს, ვიდრე ცოცხალი არსება, თუმცა ხანდახან სულიერ წამებად ხდება თვით მოგონებაც.

– ბოლოს და ბოლოს, – წამოიყვირა მილედიმ ყრუ ხმით, – რისთვის მოხვედით? რა გინდათ ჩემგან?

– მინდა გითხრათ, რომ თქვენგან უხილავი, თვალს არ გაშორებდით.

– თქვენ იცით, რაც ჩავიდინე?

– მე შემიძლია დღეების ჩამოთვლით მოგიყვეთ ყველაფერი, რასაც თქვენ სჩადიოდით კარდინალთან სამსახურში შესვლის დღიდან ამ ღამემდე.

დაუჯერებლობის ღიმილმა გადაირბინა მილედის გადათეთრებულ ბაგეზე.

– მომისმინეთ! ეს თქვენ ჩამოსჭერით ჰერცოგ ბუკინგამს მხრებიდან ალმასის ორი ბურნუკი; თქვენ მოატაცებინეთ ქალბატონი ბონასიე; გრაფ დე ვარდისადმი ჟინით გატაცებულმა თქვენი საწოლის კარი გაუღეთ და გრაფის მაგივრად დ არტანიანი ჩაიწვინეთ ლოგინში, მას გრაფ დე ვარდის მოკვლასა სთხოვდით, რადგან გეგონათ, რომ მოტყუებული იყავით მისგან, მაგრამ როდესაც გრაფ დე ვარდის მეტოქემ წინ გადაგიშალათ თქვენი სამარცხვინო საქციელის საიდუმლოება, მაშინ მისი მოკვლა მოინდომეთ და ამის ასასრულებლად ორი არამზადა დაადევნეთ საბრძოლველად მიმავალს, და როდესაც თოფის ტყვიამ მიზანს ვერ მიაღწია, მოწამლული ღვინო გაუგზავნეთ და თან ყალბი წერილი, რომლითაც ცდილობდით დაგერწმუნებინათ თქვენი მსხვერპლი, რომ ღვინოს მისი მეგობრები უგზავნიდნენ. უკანასკნელად ამ ოთახში, ამ სკამზე გამოჭიმულმა, მე რომ ვზივარ, ეს არის ახლა იკისრეთ დავალება, ვინმეს მოაკვლევინოთ ლორდი ბუკინგამი. სამაგიეროდ, კარდინალმა უფლება მოგცათ, მოაკვლევინოთ დ არტანიანი.

მკვდრისფერი ედო მილედის.

– ქაჯი ყოფილხართ, გულთამხილავი!

– შეიძლება ასეც იყოს, – მიუგო ათოსმა. – მაგრამ მაინც მოისმინეთ, რას გეტყვით: მოკალით ან მოაკვლევინეთ ჰერცოგი ბუკინგამი, რა მენაღვლება? მე იმას არ ვიცნობ, ის კი ვიცი, რომ ინგლისელია... მაგრამ ხელი არ ახლოთ, თითი არ შეახოთ დ არტანიანის თმის ერთ ღერსაც კი! დ არტანიანი ჩემი ერთგული მეგობარია, მე იგი ძალიან მიყვარს და ძალიანაც ვიცავ. თორემ, მამაჩემის სახელს ვფიცავ, ეგ იქნება თქვენი უკანასკნელი ავკაცობა.

– ბატონმა დ არტანიანმა სასტიკი შეურაცხყოფა მომაყენა, – თქვა ყრუ ხმით მილედიმ, – დ არტანიანი მოკვდება.

– განა რიღათი შეიძლება, ქალბატონო, თქვენი შეურაცხყოფა? – უთხრა სიცილით ათოსმა, – შეურაცხყო ქალბატონი და, მაშასადამე, კიდეც მოკვდება, ჰა?

– დიახ, მოკვდება, ჯერ – მისი საყვარელი და მერე – თვითონ დ არტანიანიც.

გაბრუებულივით იყო ათოსი. შესცქეროდა ამ ფლიდ ქმნილებას, რომელსაც ქალური აღარა შერჩენოდა რა, და გულსაკლავი წარსული აგონდებოდა. მას გაახსენდა, რომ ერთხელ, დღევანდელზე ნაკლებად საშიშ მდგომარეობაში უნდოდა თავისი პატიოსნებისათვის შეეწირა ეს ქალი, მისი მოკვლის სურვილი

ახლა ისევ დაუცხრომელი ძალით მოედო ათოსის გონებას. ათოსი წამოვარდა, დამბაჩა სწრაფად ამოიღო და ჩახმახი ასწია.

მკვდარივით გათეთრებულ მილედის უნდოდა დაეყვირა, მაგრამ გაყინული ჰქონდა ენა და რაღაცა ხრინწიანი ხმით ამოიძახა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ადამიანის ხმასთან, გაცოფებული მხეცის ხიხინს უფრო ჰგავდა. თმააწეწილი, კედელს სულთმობრძავის სახით მიჰყუდებოდა.

ათოსმა ნელა ასწია დამბაჩა, მკლავი გაშალა ისე, რომ დამბაჩის ლულა, თითქმის მილედის შუბლს შეეხო, და საშინელი ხმით წარმოთქვა:

– ქალბატონო! ამწამსვე გადმომეცით ის ქაღალდი, რომელზედაც კარდინალმა მოგიწერათ ხელი, ან არადა, ჩემს სულს ვფიცავ, თავს გაგიხვრეტთ.

სხვა რომ დამუქრებოდა ვინმე, იქნება ეჭვი შეეტანა განზრახვის სისრულეში მოყვანაზე, მაგრამ კარგად იცნობდა ათოსს: მილედი უძრავად იდგა, პასუხს არ აძლევდა.

– ერთ წუთს გაძლევთ, გადაწყვიტეთ! – უთხრა ათოსმა. მისმა მოღუშულმა სახემ მილედი დაარწმუნა, რომ დამბაჩა უსათუოდ გავარდებოდა. ამიტომ სწრაფად ჩაიყო ხელი გულისპირში, ამოიღო ქაღალდი და ათოსს გაუწოდა:

– აი, წაიღეთ, – უთხრა მან, – და წყეულიმც იყავით.

მუშკეტერმა ჩამოართვა ქაღალდი, დამბაჩა ქამარში გაიმაგრა, ლამპასთან მივიდა დასარწმუნებლად, რომ ნამდვილად ის ქაღალდი ჰქონდა ხელში და წაიკითხა:

„ჩემი ბრძანებითა და სამეფოს კეთილდღეობისათვის შეასრულა ამისმა წარმომდგენმა ეს საქმე.

5 აგვისტო, 1628 წ.

რიშელიე“.

– ახლა, რაკი კბილები ამოგაძრე, გველო, დაკბინე, თუ კიდევ შეგიძლია, – უთხრა ათოსმა, რომელიც წასასვლელად ემზადებოდა, წამოსასხამს ისწორებდა და ქუდს იხურავდა.

ისე გავიდა ოთახიდან, რომ უკან არ მოუხედავს.

ალაყაფის კარებთან ორი კაცი იდგა, თავიანთი ცხენებით.

– ბატონებო, თქვენ იცით მისი ყოვლადუწმინდესობის ბრძანება, რომ ეს ქალი დაუყოვნებლივ უნდა წაიყვანოთ პუანტის ციხემდე და თავი არ დაანებოთ, მანამ გემში არ ჩასვამთ.

ეს სიტყვები სავსებით ეთანხმებოდა ამ ორი კაცის მიერ მიღებულ ბრძანებას და ათოსს თანხმობის ნიშნად თავი დაუკრეს.

ათოსი სწრაფად მოახტა ცხენს და გააჭენა, ოღონდ იმის მაგივრად, რომ გზას გაჰყოლოდა, მინდორში გადავიდა და დეზების ცემით ატარა ცხენი. ხანდახან შეაჩერებდა, რომ ყური მიეგდო. ერთ-ერთი ასეთი შეჩერების დროს გზიდან რამდენიმე ცხენის ფეხის ხმა შემოესმა. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს კარდინალი და მისი ამალა იყო. ათოსმა მაშინვე ისევ წინ გააჭენა ცხენი. მანანითა და ხეების ფოთლებით გაუმშრალა ოფლი თავის რაშს და ბანაკიდან დაახლოებით ორასი ნაბიჯის დაცილებით შეტრიალდა, რომ გზაზე დახვედროდა მიმავალთ.

– ვინ მოდის? – შეეკითხა შორიდანვე, როდესაც ცხენები შეამჩნია.

– მგონი, ჩვენი ყოჩაღი მუშკეტერი უნდა იყოს, – თქვა კარდინალმა.

– დიახ, ის გახლავთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მოახსენა პორთოსმა.

– ბატონო ათოს, – მიმართა რიშელიემ, – მიიღეთ ჩემი მადლობა, რომ ასე შეწუხდით და შესაძლებელი ხიფათისაგან გვიხსენით. ბატონებო, ჩვენ უკვე მოვედით, თქვენ მარცხენა კარით შეხვალთ. ამაღამის ნიშანია „მეფე და რე“.

ამ სიტყვების შემდეგ კარდინალმა თავი დაუკრა სამ მუშკეტერს და თავის თანმხლებთან ერთად მარჯვნივ წავიდა, რადგან იმ ღამეს თვითონ რიშელიეც ბანაკში რჩებოდა.

– იცი, ათოს? – წამოიძახეს ერთხმად პორთოსმა და არამისმა, როდესაც დაინახეს, რომ კარდინალს აღარ შეეძლო მათი ნათქვამის გაგონება, – მისმა ყოვლადუწმინდესობამ ხელი მოუწერა იმ ქაღალდზე, რომელსაც მილედი სთხოვდა.

– ვიცი, – მიუგო მშვიდად ათოსმა, – ვიცი, რადგან ის ქაღალდი მე მაქვს.

ისე მივიდნენ ჩვენი მეგობრები თავიანთ ბინამდე, რომ ამის მეტად აღარ დალაპარაკებიან ერთმანეთს და არც ხმა ამოუღიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ სიტყვებს, რომლებიც საგუშაგოებთან თქვეს.

მუშკეტერებმა ბინაზე მისვლისთანავე მუშკეტონი გაგზავნეს პლანშესთან და დააბარეს, რომ მორიგეობის დამთავრებისთანავე დ არტანიანი საჩქაროდ მათთან მოსულიყო.

რაც შეეხება მილედის, იგი ხმისამოუღებლივ გაჰყვა ორ კაცს, რომლებიც კარებთან ელოდნენ. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ათოსი ფიქრობდა, თუმცა მილედის ერთი წუთით მაინც გაუელვა ფიქრმა, ჯერ კარდინალისთვის ეცნობებინა ყველაფერი, მაგრამ გრძნობდა, რომ მის დაბეზღებას ათოსიც დაბეზღებითვე უპასუხებდა. თუ მილედი ეტყოდა, ათოსმა ჩამომახრჩოო, სამაგიეროდ, ათოსი იტყოდა, რომ მას დამღა ჰქონდა. ამიტომ სიჩუმე ამჯობინა, გადაწყვიტა, პირდაპირ წასულიყო და ჩვეულებრივი მოხერხებით აესრულებინა მეტად ძნელი დავალება, რომელიც კარდინალმა დააკისრა. შემდეგ კი, როდესაც ყოველივეს ბატონ კარდინალის სასარგებლოდ მოაგვარებდა, მას გასამრჯელოდ სთხოვდა ათოსის ჯავრის ამოყრას.

მთელი ღამის მგზავრობის შემდეგ მილედი დილის შვიდ საათზე პუანტის ციხესიმაგრეში იყო. რვა საათზე გემბანზე იდგა, ცხრა საათზე გემმა, რომელიც, კარდინალის ბრძანების თანახმად, ბაიონისაკენ უნდა წასულიყო, ღუზა ახსნა და ინგლისისაკენ აიღო მიმართულება.

XVI

სენ-ჟერვეს სიმაგრე

მუშკეტერებთან მოსულ დ არტანიანს სამივე მეგობარი ერთ ოთახში დაუხვდა. ათოსი თავისებურად ჩაფიქრებული ჩანდა. პორთოსი ულვაშს იგრეხდა, არამისს მშვენიერი ხავერდისყდიანი ლოცვანი ეჭირა და კითხულობდა.

– უკაცრავად, ბატონებო, – მიმართა დ არტანიანმა, – იმედი მაქვს, დიდი მნიშვნელობის ამბავი უნდა მაცნობოთ, ასე რომ არ იყოს, პირდაპირ გეუბნებით, არ შეგინდობთ ჩემს აქ მოყვანას იმ უძილო დამის შემდეგ, რომელიც წუხელ სიმაგრის აღებისათვის ბრძოლებში გავატარე. აჰ, რა კარგი იქნებოდა, თქვენც იქ ყოფილიყავით, ბატონებო! რა სიცხე გვადგა, რომ იცოდეთ!

– ჩვენ სხვაგან ვიყავით და გარწმუნებთ, არც იქა ციოდა, – უპასუხა პორთოსმა და, როგორც იყო, თავისებურად დაიყენა ულვაში.

– ჩუმად, – შეაყენა ათოსმა.

– ოოჰ, – წამოიძახა დ არტანიანმა, რადგან მაშინვე მიხვდა ათოსის წარბის შეჭმუხვნის მნიშვნელობას, – ეტყობა, ახალი ამბები იცით.

– არამის, – მიმართა ათოსმა, – გუშინწინ საუზმე, მგონი, პარპაიოს დუქანში მიირთვით, არა?

– დიახ.

– მერე, კმაყოფილი დარჩით?

– ძალიან ცუდი საუზმე შემხვდა, სამწუხაროა, გუშინწინ მარხვა იყო და სახსნილო არაფერი ჰქონდათ.

– როგორ? – ჰკითხა ათოსმა, – ზღვის პირასა ვართ, ნავსადგურში, და ნუთუ თევზიც კი არა ჰქონდათ?

– ბატონ კარდინალს აბრალებენ: ჯებირს რომ აკეთებინებს კარდინალი, იმან დააფრთხო თევზიო, – მიუგო არამისმა და ისევ თავის წმინდა ლოცვანს დაუბრუნდა.

– მაგას კი არ გეკითხებით, არამის, – მიმართა ისევ ათოსმა, – რამდენად თავისუფლად გრძნობდით თავს, ხომ არავის შეუწუხებიხართ?

– არა მგონი, დიახ, ახლა კი მივხვდი, იმ ამბისთვის, რომლის მოყოლასაც თქვენ აპირებთ, პარპაიოს დუქანი სწორედ შესაფერი ადგილია, იქ შედარებით თავისუფლად ვიგრძნობთ თავს.

– მაშ, წავიდეთ პარპაიოს დუქნისკენ, თორემ ამ სახლის კედლები, მგონი, მუყაოსგან უნდა იყოს გაკეთებული.

დ არტანიანმა კარგად იცოდა თავისი მეგობრის ხასიათი, მის მიერ კენტად წამოსროლილი სიტყვა ან ხელის უბრალო მოძრაობა საკმარისი იყო, გაეგო, რის თქმა უნდოდა ათოსს. ახლაც მიხვდა დ არტანიანი, რომ მდგომარეობა სერიოზული იყო. მან მკლავი მკლავში გაუყარა მეგობარს ისე, რომ ხმა არ გაუცია, და ოთახიდან გავიდნენ. პორთოსი და არამისიც უკან გაჰყვნენ ბაასით.

გზაში გრიმო შემოეყარათ. ათოსმა ანიშნა, უკან გაჰყოლოდა, ისიც ჩვეულებისამებრ დაემორჩილა. საწყალ ბიჭს, რაც ათოსთან იყო, თანდათან ავიწყდებოდა ლაპარაკი.

როდესაც მუშკეტერები პარპაიოს დუქანში მივიდნენ, დილის შვიდი საათი იქნებოდა. ის იყო თენდებოდა, მეგობრებმა საუზმე შეუკვეთეს და ერთი ოთახი დაიკავეს, სადაც, მასპინძლის სიტყვით, ბევრი არავინ შეაწუხებდათ.

საუბედუროდ, საიდუმლოდ მოსალაპარაკებლად დრო ცუდად შერჩეული გამოდგა. ის იყო გაისმა დილის ბუკი, რომ ძილის ბურუსიდან გამოსვლისა და დილის სიცივის აცილების მიზნით, ყველა დუქნისკენ გარბოდა, რათა არყით მაინც შეხურებულიყვნენ. დრაგუნები, შვეიცარიელები, გვარდიელები, მუშკეტერები სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს, რაც მეტად სასიამოვნო იყო დუქნის პატრონისათვის, მაგრამ ხელს უშლიდა ჩვენს ოთხ მეგობარს. ამიტომ ისინი მეტად უგულოდ უპასუხებდნენ თავიანთ ნაცნობებს სალამზე, სადღგერძელოსა და ხუმრობაზე.

– ეჰ, ფრთხილად, თორემ აქ ჩხუბი მოგვივა ვისთანმე, – თქვა ათოსმა, – დღეს კი სწორედ უბედურება იქნება მაგაზე მოცდენა. დ არტანიან, გვიამბეთ თქვენი ღამის თავგადასავალი, მერე ჩვენსასაც გიამბობთ.

– ჰო, მართლა, – საუბარში ჩაერია ერთი მხედარი, რომელსაც ხელში ჭიქით არაყი ეჭირა, ოთახში დადიოდა და ნელ-ნელა წრუპავდა, – წუხელ სანგრებში ბრძანდებოდით, ბატონო გვარდიელებო, და, მგონი, მაგარი ბრძოლები გაუმართეთ ლაროშელელებს.

დ არტანიანმა ათოსს გადახედა, უნდოდა გაეგო, გაეცა პასუხი ამ არამკითხე მოსაუბრისათვის თუ გაჩუმებულიყო.

– რა მოგივიდა, დ არტანიან, – მიმართა ათოსმა, – არ გესმის ბატონ ბიუზინის სიტყვები? მან შენ პატივი დაგდო და გკითხა: გვიამბე, როგორ ჩაიარა წუხანდელმა ბრძოლამ, რაკი ასე სურთ ამ ბატონებს.

– რაიმე სიმაგრე ხომ არ წაართვით? – ჩაერია ლაპარაკში ერთი შვეიცარიელი, რომელიც ლუდის ჭიქით რომს სვამდა.

– დიახ, ბატონო, – უპასუხა დ არტანიანმა და თავი დაუკრა, – ბედი გვეწია წუხელ, ისე გავმამაცდით, ამას თქვენც გაიგონებდით, რომ სიმაგრის ერთი კუთხის ქვეშ კასრით თოფის წამალი შევიტანეთ, აფეთქების დროს კედელში

კარგა დიდი ნაპრალი გამოვჭერით, ძველი შენობა გახლავთ ის სიმაგრე და სხვა კედლებიც საკმარისად დავუზიანეთ.

– ეგ რომელ სიმაგრეს გაუხეთქეთ კედელი? – ჰკითხა ერთმა დრაგუნმა, რომელსაც ხმალზე აეგო ბატი და შესაწვავად მოეტანა.

– სენ-ჟერვეს სიმაგრეს, ბატონო, – მიუგო დ არტანიანმა, – იმ სიმაგრესთან იყო, ისე რომ აწუხებდნენ ჩვენებს ლაროშელელები.

– მაშ, ფიცხელი შეტაკება გექნებოდათ?

– არა უშავდა რა, ხუთი კაცი ჩვენ დავკარგეთ, რვა თუ ათი – ლაროშელელებმა.

– აი, დასწყევლოს ეშმაკმა, – წამოიძახა ფრანგულად შვეიცარიელმა, რომელსაც გერმანულ ენაზე არსებული მრავალი სალანძღავი სიტყვის მიუხედავად, ჩვეულებად ჰქონდა გინების დროს ფრანგული ენის ხმარება.

– მაგრამ ხომ შესაძლებელია, ლაროშელელებმა ამ დილითვე გამოგზავნონ მიწის მთხრელები, შეაკეთებინონ დანგრეული კედლები და კვლავ გაამაგრონ თავიანთი სიმაგრე, – თქვა მხედარმა.

– დიახ, შესაძლებელია, – დაეთანხმა დ არტანიანი.

– ერთი კარგი სანაძლეო, ბატონებო, – შემოიტანა წინადადება ათოსმა.

– რა სანაძლეო? – ჰკითხა მხედარმა.

– მოითმინეთ, – უთხრა დრაგუნმა და თან ბუხარში გადებულ რკინებზე დაამაგრა ხმალი, რომელიც შამფურად გამოეყენებინა და ბატი წამოეგო, – ჰა, სადა ხარ, შე უბედურო მასპინძელო? თეფში ჩქარა, ამ სანუკვარი ბატის ერთი წვეთი ქონიც კი არ უნდა დავკარგო.

– მართალსა ბრძანებთ, – დაუმატა შვეიცარიელმა, – საგანგებოა ბატის ქონზე შემზადებული ნამცხვარი.

– აი, ასე, – თქვა დრაგუნმა, – ახლა ჩვენ უკვე გისმენთ, ბატონო ათოს, რა სანაძლეოზეა ლაპარაკი?

– აბა, ბატონო ბიუზინ, სანაძლეოსა ვდებ თქვენთან, – დაიწყო ათოსმა, – რომ ჩემი სამი ამხანაგი: პორთოსი, არამისი და დ არტანიანი და მათთან ერთად მეც, საუზმის საჭმელად წავალთ სენ-ჟერვეს სიმაგრეში და იქ ვიქნებით მთელი ერთი საათის განმავლობაში, როგორადაც უნდა შეეცადოს მტერი ჩვენს იქიდან გამოსტუმრებას.

არამისმა და პორთოსმა ერთმანეთს გადახედეს, მიმხვდარიყვნენ ათოსის განზრახვას.

– რას ამბობ? – ჩასჩურჩულა ყურში დ არტანიანმა, – გინდა, ოთხივე ერთად ამოგვწყვიტონ?

– აქ უფრო მალე ამოგვწყვეტენ, თუ იქ არ წავედით, – მიუგო ათოსმა.

– ღვთის წინაშე, ძალიან სანაძლეოა, ბატონებო! – თქვა პორთოსმა, სკამზე გადაწვა და ულვაში აიგრიხა. – ძალიან სანაძლეოა და ადვილად მისაღებიც!

– და ვიღებ კიდეც, – თქვა ბატონმა ბიუზინიმ, – ოღონდ რაზე დავნაძლევდეთ?

– ხომ ოთხნი ბრძანდებით, ბატონებო, – უპასუხა ათოსმა, – ჩვენც ოთხნი ვართ. ვინც წააგებს, ერთი კარგი სადილი გაგვიმართოს, თავისი გემოვნებისამებრ.

– საუცხოოა! – მოიწონა ბიუზინიმ.

– მშვენიერია! – დაემოწმა დრაგუნი.

– ძალიან კარგი! – თქვა შვეიცარიელმა.

მეოთხე მსმენელმა, რომელიც მუნჯის როლს ასრულებდა ამ საუბარში, თავი დაიქნია იმის ნიშნად, რომ ისიც თანახმა იყო სანაძლეოზე.

– მზად გახლავთ თქვენი საუზმე, ბატონებო, – მოახსენა მასპინძელმა.

– მაშ, აქ მოგვიტანეთ, – ბრძანა ათოსმა.

მასპინძელი დაემორჩილა. ათოსმა გრიმოს დაუძახა, ოთახის ერთ კუთხეში მდგარი კარგა მოზრდილი კალათი დაანახვა. ანიშნა, ხელსაწმენდში გაეხვია ხორცი და კალათში ჩაელაგებინა მთელი საუზმე, რომელიც ის იყო, მედუქნემ მიართვა.

გრიმო მაშინვე მიხვდა, რომ ეს ყმაწვილები სადმე მინდორში, ხის ქვეშ აპირებდნენ საუზმის მირთმევას. მან კალათში ხორცთან ერთად ღვინით სავსე ბოთლებიც ჩაალაგა და კალათი მხარზე გაიდგა.

– სად უნდა მიირთვათ ჩემი საუზმე? – ჰკითხა მედუქნემ.

– თქვენთვის სულ ერთი არ არის? თქვენ ფული მიიღეთ, რა გენაღვლებათ?

ათოსმა მედიდურად მაგიდაზე დაუდო ორი პისტოლი.

– ხურდა მოგართვათ, ბატონო ოფიცერო? – ჰკითხა მედუქნემ.

– არა, მხოლოდ ამას ორი ბოთლი შამპანური დაუმატეთ, ხურდა ხელსაწმენდის ფასად დაგრჩეთ.

ორი ბოთლის დამატებით იმდენი მოგება აღარა რჩებოდა მედუქნეს, რამდენის იმედიც ჰქონდა, მაგრამ თავისი არ დაკარგა, ორი ბოთლი შამპანურის მაგივრად ანჟუური ღვინო შეაპარა გრიმოს კალათს.

– ბატონო ბიუზინი! მოდით, თქვენი საათიც ჩემსაზე დააყენეთ; ან მე მიბრძანეთ, რომელი საათია თქვენთან, რომ თქვენსაზე გავასწოროთ, – სთხოვა ათოსმა.

– სიამოვნებით, ბატონო, – უპასუხა კავალერისტმა და ჯიბიდან მშვენიერი ალმასის თვლებით მოჭედილი საათი ამოიღო.

– რვის ნახევარი გახლავთ.

– ჩემთან ოცდახუთი წუთი აკლია რვას, – უთხრა ათოსმა, – მაშ, გახსოვდეთ, ჩემი საათი ხუთი წუთით წინ უსწრებს თქვენსას.

ჩვენმა მეგობრებმა თავი დაუკრეს განცვიფრებულ ამხანაგებს და სენ-ჟერვეს სიმაგრისკენ გაუდგნენ გზას. უკან კალათით დატვირთული გრიმო მისდევდათ; არ იცოდა, სად მიჰყავდათ ბატონებს, მაგრამ ისე მიჩვეული იყო უხმო მორჩილებას, რომ აზრადაც არ მოსდიოდა, ეკითხა რამე.

მანამ ბანაკის საზღვრებში იყვნენ, ხმა არ ამოუღიათ მეგობრებს, ან რა უნდა ეთქვათ, როდესაც მრავალი ცნობისმოყვარე მისდევდათ უკან, რომლებსაც გაეგოთ დადებული სანაძლეო და უნდოდათ ენახათ, როგორ გადარჩებოდნენ ეს ყმაწვილები სენ-ჟერვეს სიმაგრეს. მაგრამ როგორც კი გადასცდნენ ბანაკის საზღვარს და მინდორში გავიდნენ, პირველად დ არტანიანს დაებადა შეკითხვა; მას არ ესმოდა ამ უცნაური სანაძლეოს დადების მიზეზი.

– ახლა კი, ჩემო ძვირფასო ათოს, გამაგებინეთ, სად მივდივართ?

– განა ვერა ხედავთ, რომ სიმაგრისკენ მივდივართ? – უპასუხა ათოსმა.

– მერედა, რა უნდა გავაკეთოთ იქ?

– ძალიან კარგად იცით, რომ საუზმის საჭმელად მივდივართ.

– რატომ პარპაიოში არ ვისაუზმეთ?

– იმიტომ, რომ მეტად მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს განსასჯელი და, იქ რომ დავრჩენილიყავით, ხუთ წუთსაც არ ვიქნებოდით მარტონი, ჩვენს საქმეზე თავისუფლად მოლაპარაკების საშუალებას არ მოგვცემდნენ. ხალხის მისვლა-მოსვლას ვერ აუვედით. გვესალმებოდნენ, გველაპარაკებოდნენ. აქ კი – და სიმაგრე დაანახვა, – სულ მარტონი ვიქნებით, ვერავინ ჩაერევა ჩვენს საუბარში.

– მე კი მგონია, ასეთ მიყრუებულ ადგილს სხვაგანაც ვიპოვიდით ზღვის პირას, ქვიშნარში, – უპასუხა დ არტანიანმა იმ კეთილგონიერებით, რომელიც ასე კარგად და ბუნებრივად ეგუებოდა მის უსაზღვრო გამბედაობას.

– მაინც დაგვინახავდნენ და თხუთმეტ წუთში კარდინალს მისი ჯაშუშები ამბავს მიუტანდნენ, რომ რაღაცაზე ვბჭობდით.

– დიახ, – თქვა არამისმა, – ათოსი მართალია.

– ძალიან კარგი იქნებოდა უდაბნოსავით ცარიელი ადგილის პოვნა, – თქვა პორთოსმა, – მაგრამ სად გამოვძებნოთ!

– არ არის ისეთი უდაბური ადგილი, სადაც ფრინველმა არ გადაგიაროს თავზე, თევზი არ ამოხტეს წყლიდან, ან მოულოდნელად კურდღელი არ გამოძვრეს სოროდან. მერწმუნეთ, თევზები, ფრინველები და კურდღლებიც კარდინალის ჯაშუშები არიან. ამიტომ ჯობია განვაგრძოთ გზა, თორემ თუ უკან დავიწიეთ, შერცხვენილები დავრჩებით. ხუმრობა საქმე ხომ არ არის? სანაძლეო გვაქვს დადებული და მოსაგებად მივდივართ. მის ნამდვილ მიზეზს კი ეშმაკიც ვერ მიხვდება. ერთი საათი დავყოთ სიმაგრეში, ან თავს დაგვესხმის მტერი, ან არადა თუ მტერმა არ შეგვაწუხა, თავისუფლად მოსალაპარაკებლად საკმარისი დრო გვექნება და ჩვენს ნათქვამსაც არავინ გაიგონებს. დამიჯერეთ, სიმაგრის კედლებს ყურები არა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ მტერი შემოგვესია, ჩვენც პასუხს გავცემთ და თან ჩვენს საქმეზედაც მოვილაპარაკებთ, ამასთან, მტერს რომ გავუმაგრდებით, დიდებასაც მოვიხვეჭთ. ხომ კარგად ხედავთ, როგორ ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ არის მოწყობილი!

– მართალია, მართალი, მაგრამ ისიც მართალია, რომ ტყვიაც მოგვძებნის.

– ეჰ, ჩემო დ არტანიან, – უთხრა ათოსმა, – ძალიან კარგად იცით, რომ მებრძოლი მტრის ტყვია, უმეტესად, საშიში არ არის, – უთხრა ათოსმა.

– ძალიან კარგი, მაგრამ, მე მგონი, რაკი ასეთი ექსპედიცია დავაპირეთ, თოფები მაინც უნდა წამოგვეღო, – მიმართა პორთოსმა.

– ნუ სულელობთ, ჩემო პორთოს, რად გინდოდათ, ერთი მითხარით, უსარგებლო ტვირთის თრევა?

– მტერზე რომ მივდივარ, მე უსარგებლოდ არ მიმაჩნია კარგი ყალიბის თოფი, თორმეტი ფინდიხი და პარკით თოფისწამალი.

– განა ვერ გაიგონეთ, რა გვითხრა დ არტანიანმა?

– რა გითხრათ დ არტანიანმა? – ჰკითხა პორთოსმა.

– დ არტანიანმა გვითხრა, რომ წუხანდელ ბრძოლაში იმ სიმაგრეში დაიღუპა რვა თუ ათი ფრანგი და იმდენივე ლაროშელელი.

– მერე რა?

– ჯერ ხომ ვერ მოასწრებდნენ მკვდრების გახდას? ამაზე მეტად საჩქარო საქმე სხვაც ბევრი ექნებოდათ.

– მერე რა?

– მერე ის, რომ მივალთ, ავიღებთ მათ თოფებს, მათ ფინდიხს და თოფისწამალს. ოთხი თოფისა და თორმეტი ტყვიის მაგივრად თხუთმეტამდე თოფი გვექნება და ასამდე სასროლი ტყვია-წამალი.

– ოჰ, ათოს! – შეჰყვირა არამისმა, – მართლაც, დიდებული კაცი ხართ.

პორთოსმა თავი დაღუნა სრული თანხმობის ნიშნად.

მარტო დ არტანიანმა არ ჩათვალა იგი საკმარის საბუთად სიმაგრისაკენ წამოსასვლელად.

ეტყობოდა, გრიმოც იმავე შეხედულებისა იყო, როგორისაც დ არტანიანი. განა არა, აქამდეც აწუხებდა ეჭვი – იქნება სიმაგრისკენ მივდივართო? მაგრამ ახლა კი დარწმუნდა და კალთა ჩამოსწია თავის ბატონს.

– სად მივდივართ? – ჰკითხა მუნჯურად.

ათოსმა პასუხად თვალით და ხელით ციხისკენ მიუთითა.

გრიმომაც კალათი ძირს დადგა, თვითონ მიწაზე დაჯდა და თავი გაიქნია, – აღარ მოვდივარო.

ათოსმა ქამრიდან დამბაჩა ამოიძრო, ჩახმახი ასწია და დამბაჩის ლულის პირი ზედ ყურზე მიადო თავის მუნჯ მსახურს.

სწრაფად წამოხტა გრიმო და კალათს ხელი დასტაცა.

საწყალმა გრიმომ ამ წამიერი პანტომიმური სცენით მხოლოდ ის მოიგო, რომ თუ აქამდე უკან მისდევდა მუშკეტერებს, ახლა წინ უნდა გასძღოლოდა.

მეგობრები სიმაგრეში ავიდნენ და უკან მიიხედეს.

ბანაკის კართან მოგროვილიყო სამასზე მეტი ჯარისკაცი, მათ შორის გამოირჩეოდნენ ბატონი ბიუზინი, დრაგუნი, შვეიცარიელი და მეოთხე, სანაძლეოს მონაწილე.

ათოსმა ქუდი ხმლის წვერზე ჩამოაცვა და მაღლა აათამაშა.

ბანაკიდანაც მაყურებლებმა მისცეს სალამი და იმისთანა ვაშა დასძახეს, რომ სენ-ჟერვეს სიმაგრეშიც კი კარგად ისმოდა.

შემდეგ ოთხივე ღრმად შევიდა სიმაგრეში, სადაც გრიმოს უკვე მოესწრო შესვლა.

XVII

მუშკეტერების ბჭობა

ათოსის ვარაუდი გამართლდა: სიმაგრეში დახოცილი თორმეტი ფრანგისა და ლარუშელელების გარდა არავინ იყო.

– ბატონებო, – თქვა ათოსმა, რომელმაც იკისრა ამ ექსპედიციის მთავარსარდლობა. – სანამ გრიმო სუფრას გაგვიშლიდეს, მოდით, თოფები და ფინდიხი მოვაგროვოთ, ამ საქმიანობასთან ერთად ლაპარაკსაც თავისუფლად შევძლებთ. ესენი, ბატონებო, – განაგრძო მან და თითი მკვდრებისკენ გაიშვირა, – ყურს ვერ დაუგდებენ ჩვენს ნათქვამს.

– თოფები მოვაგროვოთ და ეგენი კი თხრილში ჩავყაროთ, – თქვა პორთოსმა, – მხოლოდ დავრწმუნდეთ, რომ ჯიბეში არა უდევთ რა.

– ეგ გრიმოს მივანდოთ, – თქვა ათოსმა.

– კარგი, – მოიწონა დ არტანიანმა, – მაგრამ გრიმომ გაჩხრეკის შემდეგ ისინი კედლიდან პირდაპირ თხრილში გადაუშვას.

– ღმერთმა დაგვიფაროს, – დაიძახა ათოსმა, – აქაც კარგად გამოგვადგებიან.

– ეს მკვდრები გამოგვადგებიან? – შეჰყვირა პორთოსმა, – ხომ არ გაგიჟებულხართ, მეგობარო?

– ნუ განსჯით აჩქარებით, ბრძანებს სახარება და ბატონი კარდინალი, – უპასუხა ათოსმა, – თოფი რამდენია, ბატონებო?

– თორმეტი, – უპასუხა არამისმა.

– რამდენი სროლა გვაქვს?

– ასამდე იქნება.

– სწორედ იმდენია, რომ გვეყოფა, მაშ, გავტენოთ თოფები.

ოთხი მეგობარი საქმეს შეუდგა. უკანასკნელი თოფი გატენეს და გრიმომაც ანიშნა, რომ სუფრა გაშლილი იყო.

ათოსმაც მუნჯურად უპასუხა, – კარგიო, – და ციხესიმაგრის კედლის კუთხეში გამოჭრილ დოლაბზე ანიშნა. გრიმო მიხვდა, რომ იმ სათოფურთან უნდა მისულიყო და დარაჯობა დაეწყო. გრიმოს რომ არ მოსწყენოდა, ათოსმა თან გაატანა პური, ორი ნაჭერი ხორცი და ერთი ბოთლი ღვინო.

– ახლა კი დაბრძანდით! – მიიწვია ათოსმა მეგობრები.

ყველანი მიწაზე გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ, ფეხები თათრულად მოიკეცეს.

–ახლა ხომ შიში არა გვაქვს, ვინმემ ყური დაგვიგდოს. გაგვიზიარე შენი საიდუმლოება, – მიმართა დ არტანიანმა ათოსს.

– იმედი მაქვს, ბატონებო, ერთსა და იმავე დროს გასიამოვნებთ კიდეც და დიდებასაც შეგძენთ, – დაიწყო ათოსმა. – მე მშვენიერი გასეირნება მოგიწყვეთ, გარდა ამისა, თქვენ წინ გემრიელი საუზმე და ხუთასი მაყურებელია, რომელთა

დანახვა თავისუფლად შეგიძლიათ სათოფურიდან. ზოგ მათგანს ჩვენ ალბათ შეშლილებად მივაჩნივართ, ზოგს – გმირებად. თუმცა ეგ სულერთია, ორივე ერთნაირი სისულელეა.

– ? – გაუმეორა კითხვა დ არტანიანმა.

– ჩემი საიდუმლოება ის გახლავთ, რომ წუხელ მილედი ვნახე.

დ არტანიანს ღვინო პირისკენ მიჰქონდა, მაგრამ ამ სახელის გაგონებაზე ხელი ისე აუკანკალდა, რომ იძულებული შეიქნა, სასმისი ძირს დაედგა, რათა ღვინო არ დაქცეოდა.

– მაშ, ნახე შენი ცო..?

– ჩუმად, მეგობარო! – შეაწყვეტინა ათოსმა, – ნუ გავიწყდებათ, რომ ეს ბატონები ისე ახლოს არ იცნობენ ჩემს შინაურ ცხოვრებას, როგორც თქვენ, დიახ, წუხელ მილედი ვნახე.

– სად ნახეთ, სად? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– სულ ახლოს აქედან, „წითელი სამტრედის“ ტრაქტირში.

– ოჰ, დავიღუპე კაცი, – ამოიკვნესა დ არტანიანმა.

– არა, ჯერ არა, რადგან ის, აი, სწორედ ახლა უნდა გავიდეს საფრანგეთიდან.

დ არტანიანმა სული მოიბრუნა.

– ერთი გვითხარით, – ჩაერია ბაასში პორთოსი, – ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ეგ თქვენი მილედი?

– მშვენიერი მომხიბლავი ქალია, – უპასუხა ათოსმა და თან აქაფებულ ღვინოს გემოს უსინჯავდა.

– ხედავთ, როგორ მოგვატყუა იმ შერცხვენილმა, შამპანურის მაგივრად ანჟუური შემოგვაპარა და ჰგონია, ვერ მივხვდებით. დიახ, მშვენიერი ქალია, ლმობიერად ეპყრობოდა ჩვენს მეგობარს დ არტანიანს და ამან კი გააჯავრა. ქალის გრძნობას შეურაცხყოფა მიაყენა. ჯავრის ამოყრის მიზნით, ქალმა ერთი თვის წინათ სცადა ვინმესთვის დაევალებინა დ არტანიანის მოკვლა. ამ ერთი კვირის წინათ უნდოდა მოწამლული სასმელი დაელევინებინა, ხოლო წუხელ კარდინალს მისი მოკვლის ნებართვა გამოართვა.

– როგორ თუ მოკვლის? – შეჰყვირა შიშით ფერმიხდილმა დ არტანიანმა.

– მართალია, – თქვა პორთოსმა, – სრული ჭეშმარიტებაა, მე ეს ჩემი ყურით გავიგონე.

– მეც გავიგონე, – დაუმატა არამისმა.

– მაშ, თუ ასეა, – თქვა დ არტანიანმა და სასოწარკვეთილებით დაუშვა ხელი, – ამაოდ ჩამივლის მე მასთან ბრძოლა. ისევ ის ემჯობინება, ტყვია ვიკრა შუბლში და ამით გავათავო ამდენი ტანჯვა-წვალება.

– ეგ არის უკანასკნელი სისულელე, რომელსაც ყოველთვის შეიძლება მიმართოს ადამიანმა და რომელსაც განკურნება არ სჭირდება.

– მართალია, – უპასუხა დ არტანიანმა, – მაგრამ სულერთია, მაგისთანა ძლიერ მტრებს ვერსად წავუვალ. ჯერ ჩემი მენგელი უცნობი, მერე გრაფი დე ვარდი, რომელიც სამგან დავჭერი ხმლით, შემდეგ მილედი, რომლის საიდუმლოება გავიგე და თავს მოვჭრი, თუ გამოვამჟღავნე, და ბოლოს – კარდინალი, რომელსაც განზრახული შურისძიება ჩავუშალე.

– მერე რა? – თქვა ათოსმა, – სულ ოთხი მტერი გყოლიათ და ჩვენც ხომ ოთხნი ვართ, თითო-თითოდ გავიყოთ. ერთი გრიმოს შეხედეთ, თუ მის ნიშნებს დავუჯერეთ, მგონი, აქ უფრო მეტრიცხოვან მტერთან მოგვიხდება ბრძოლა. ჰა, რა მოხდა, გრიმო? – ჰკითხა თავის მსახურს დ განაგრძო: – საშიშ გარემოებათა გამო ნებას გაძლევთ, ენა ამოიდგათ, მხოლოდ ძალიან გთხოვთ, მოკლედ მოჭრათ და გვითხრათ, რასა ხედავთ?

– რაზმს.

– ბევრნი არიან?
– ოცნი იქნებიან.
– ვინ არიან?
– თექვსმეტი მესანგრე და ოთხი ჯარისკაცი.
– ახლოს არიან?
– ხუთასი ნაბიჯის მანძილზე.
– ძალიან კარგი. ჯერ კიდევ დრო გვაქვს, რომ ეს დედალი შევჭამოთ და ჩვენი დ არტანიანის სადღეგრძელოც გადავკრათ.
– შენი სადღეგრძელო იყოს! – მიმართეს ერთხმად დ არტანიანს პორთოსმა და არამისმა.
– თანახმა ვარ, იყოს ჩემი სადღეგრძელო, თუმცა კარგად ვიცი, რომ ვედარაფერს მიშველის თქვენი კეთილი სურვილები, – უთხრა დაღონებულმა დ არტანიანმა.
– ოჰ, ნეტავი თქვენ! დიდია ალაჰის ძალა, ამბობენ მაჰმადის მიმდევრები, და მომავალი მისია, – ანუგეშა ათოსმა.
შემდეგ სასმისი გამოცალა, იქვე, წინ დაიდგა სუფრაზე, თვითონ გულგრილად წამოდგა, ხელი წამოავლო ერთ-ერთ თოფს და სათოფურთან მივიდა.
პორთოსმა, არამისმა და დ არტანიანმა მის მაგალითს მიჰბაძეს. რაც შეეხება გრიმოს, მან ბრძანება მიიღო, უკან დამდგარიყო და თოფები გაეტენა.
მალე გამოჩნდა მათკენ მიმავალი რაზმიც, ისინი მიჰყვებოდნენ თხრილს, რომელიც გზად დაედოთ ქალაქსა და სიმაგრეს შორის.
– შეგირცხვა თავი, გრიმო! – დაუძახა ათოსმა, – ამისთვის როგორ წამოგვაყენე? ოცამდე კაცი მოდის წერაქვებით, თოხებით და ნიჩბებით შეიარაღებული! გრიმოს რომ ენიშნებინა, თავიდან მოგვცილებოდნენ, დარწმუნებული ვარ, ჩვენ აღარ შეგვაწუხებდნენ.
– არა მგონია, ასე მომხდარიყო, შეხედეთ, როგორ გაბედულად მოდიან, მარტო მესანგრეები კი არ არიან! ოთხი ჯარისკაცი და ერთი მუშკეტიანი ათისთავი მოჰყვებათ, – უთხრა დ არტანიანმა.
– ეგ იმიტომ, რომ არ დავუნახივართ, – მიუგო ათოსმა.
– მე, ჩემი მხრივ, გამოგიტყდებით, მაგ მოქალაქეებს თოფს ვერ ვესვრი, – შენიშნა არამისმა.
– ცუდია ის მღვდელი, რომელსაც მწვალებლები ებრალება! – დაიძახა პორთოსმა.
– მართალს ამბობს არამისი, – თქვა ათოსმა, – მე გავაფრთხილებ.
– რას შვრებით, ათოს?! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – გინდათ, მოგკლან?!
მაგრამ ათოსმა ყურადღება არ მიაქცია დ არტანიანის სიტყვებს, სწრაფად აძვრა კედელზე, ერთ ხელში თოფი ეჭირა, მეორეში – თავისი ქუდი.
– ბატონებო! – მიმართა მესანგრეებს და ჯარისკაცებს, რომლებსაც ისე გაუკვირდათ მისი დანახვა, რომ მაშინვე გაჩერდნენ ორმოცდაათ ნაბიჯზე და ზრდილობიანად მიესალმნენ ამ გულად მტერს. – ბატონებო! მე და რამდენიმე ჩემი მეგობარი საუზმეს გეახლებით ამ სიმაგრეში და თქვენც კარგად გეცოდინებათ, არაფერი არის ისეთი საწყენი, როგორც პურის ჭამის დროს შეწუხება. ამიტომ გთხოვთ, თუ მართლა გასაკეთებელი გაქვთ რაიმე ამ სიმაგრეში, დაგვიცადოთ, სანამ ჩვენ საუზმეს დავამთავრებდეთ, ან არადა, თუ აღგეძრათ ადამიანური გრძნობა, დავივიწყოთ მტრობა და ჩვენთან ერთად ინებოთ მეფისა და საფრანგეთის სადღეგრძელოს დალევა.
– ფრთხილად იყავი, ათოს! – დაუყვირა დ არტანიანმა – ხომ ხედავ, თოფს გიმიზნებენ.
– ვხედავ, ვხედავ, – უთხრა ათოსმა, – მაგრამ ესენი სამხედროები არ არიან და თოფს ძალიან ცუდად ისვრიან. აი, ნახავთ, ვერ მომარტყამენ! – მართლაც,

სწორედ იმ დროს გავარდა ოთხი თოფი და ათოსის ირგვლივ დაეცა ოთხი ტყვია, ისე, რომ ერთიც არ შეხებია.

სიმაგრიდანაც თითქმის იმ წუთშივე გასცეს პასუხი ოთხი თოფით. როგორც ჩანდა, აქედან უკეთ დაუმიზნეს, რადგანაც სამი ჯარისკაცი ძირს დაეცა მკვდარი. მეოთხე ტყვიამ ერთი მესანგრე დაჭრა.

– გრიმო, თოფი! – ჩამოსძახა ათოსმა და ფეხი არ მოიცვალა კედლიდან.

მსახურმა მაშინვე მიართვა გატენილი თოფი. თავის მხრივ, სამმა მეგობარმაც ხელახლა გატენა თოფები. პირველ სროლას მეორე მიჰყვა, ათისთავი და ორი მესანგრე უსულოდ დაეცნენ მიწაზე. დანარჩენებმა გაქცევა იკადრეს.

– აბა, ბატონებო! ახლა საფარიდან გამოვძვრეთ.

ოთხივე ერთად გაცვივდა სიმაგრიდან, მივარდნენ ბრძოლის ველზე, სწრაფად აიტაცეს ჯარისკაცების თოფები და ათისთავის შუბი. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გაქცეულები ქალაქამდე აღარსად შეჩერდებოდნენ, და ისევ სიმაგრეში შევიდნენ თავიანთი ნადავლით.

– თოფები გატენეთ, გრიმო! – უბრძანა ათოსმა, – ჩვენ, ბატონებო, დავუბრუნდეთ ჩვენს საუზმეს და განვაგრძოთ საუბარი, სად შევჩერდით, თუ გახსოვთ?

– მე მახსოვს, – მიუგო დ არტანიანმა, – თქვენ თქვით, რომ ჩემი მოკვლის ნებართვა სთხოვა მილედიმ კარდინალს და საფრანგეთიდან სადღაც გაემგზავრა.

– ინგლისში მიდის, – განუმარტა ათოსმა.

– რა მიზნით?

– რათა მოკლას ან მოაკვლევინოს ბუკინგამი.

განცვიფრებისა და აღშფოთების ძახილი აღმოხდა დ არტანიანს.

– ეს ხომ უდიდესი სულმდაბლობაა!

– რას იზამ! რაც შეეხება ბუკინგამის მოკვლას, მერწმუნეთ, რომ მე ეგ სრულებითაც არ მაწუხებს. თოფები გატენილია, გრიმო? ახლა აიღეთ იმ ათისთავის შუბი, ზედ ხელსახოცი მიაბით და ამ სიმაგრის კედელზე ააფრიალეთ. დაინახონ აჯანყებულმა ლაროშელელებმა, რომ აქ გულადი მეფის ერთგული მხედრები ვართ და კარგადაც დავხვდებით.

ხმის ამოუღებლივ აასრულა გრიმომ ათოსის ბრძანება და ცოტა ხნის შემდეგ თეთრი ალამი ააფრიალა სიმაგრის თავზე. ჭექა-ქუხილის ძალით გაისმა ტაშის ხმა და ვაშას ძახილი. ბანაკის ნახევარი ყრილ ზღუდეზე ასულიყო და იქიდან გაჰყურებდა ჩვენს გმირებს.

– როგორ? – დაიწყო ისევ დ არტანიანმა, – მაშ, სრულებით არ გაწუხებს ბუკინგამი? მოკლას ან მოაკვლევინოს? რად გავიწყდება, რომ ბუკინგამი ჩვენი მეგობარია!

– ჰერცოგი ბუკინგამი ინგლისელია! ჰერცოგი ბუკინგამი ებრძვის საფრანგეთს. რაც უნდა, ის უყოს საფრანგეთის მტერს. მე ისე დამენანება, როგორც ცარიელი ბოთლი.

ესა თქვა და შორს გადატყორცნა ცარიელი ბოთლი, რომელიც ისე გამოწურა თავისი სასმისის ასავსებად, რომ წვეთი არ გააყოლა.

– ნურც ასე ადვილად გავწირავთ ბუკინგამს, – მიუგო დ არტანიანმა, – ის ძვირფასი ცხენები მაინც მოვიგონოთ, მან რომ გვაჩუქა.

– მეტადრე იმ რაშების მშვენიერი აღკაზმულობა! – დაიძახა პორთოსმა, რომელსაც ჯერაც წამოსასხამზე ჰქონდა მიკერებული თავისი ყაჯარის ბუზმენტი.

– გარდა ამისა, ბატონო, – მიმართა არამისმა, – ღმერთს ნებავს შენანება და არა სიკვდილი ცოდვილისა.

– ამინ! – თქვა ათოსმა, – ამ საკითხს ჩვენ შემდეგში დავუბრუნდებით, თუ ასე გნებავთ ამისი განსჯა. მე წუხელ სულ სხვა მაწუხებდა და მეტისმეტადაც.

დარწმუნებული ვარ, ჩემო დ არტანიან, რომ შენც დამეთანხმები: იმ ქალბატონისათვის უნდა გამომერთმია ხელმოწერილი ქაღალდი, რომელიც კარდინალისაგან მიიღო, და რომლის დახმარებით შეეძლო სრულიად დაუსჯელად გაეგზავნე საიქიოსკენ შენ, ჩემო დ არტანიან, და იქნება მეც.

– რა ვქნა? ადამიანია თუ ავი სული ის თქვენი მილედი? – თქვა პორთოსმა და თეფში მიუშვირა არამისს, რომელიც დედალსა ჭრიდა.

– მერე, გამოართვით ის ნებართვის ბარათი? – ჰკითხა დ არტანიანმა, – გამოართვით თუ მასთან დარჩა?

– არა, ქაღალდი მე წავართვი, თუმცა ვერ ვიტყვი, არ გამძნელებია-მეთქი, რადგან მეჯავრება სიცრუე.

– აღარც კი ვიცი, ჩემო საყვარელო ათოს, მე უკვე ანგარიში მერევა, რამდენჯერ გიხსნივარ სიკვდილისაგან, – უთხრა დ არტანიანმა.

– მაშ, მილედისთან აპირებდი მისვლას, ჩვენ რომ მიგვატოვე? – ჰკითხა არამისმა.

– დიახ, სწორედ მასთან.

– შენა გაქვს კარდინალის ბარათი? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– აი, ის ბარათიც, – და ათოსმა ჯიბიდან ამოიღო ეს ძვირფასი საბუთი. დ არტანიანმა ხელის კანკალით გაშალა დაკეცილი ქაღალდი და წაიკითხა:

„ჩემი ბრძანებითა და სამეფოს კეთილდღეობისათვის შეასრულა ამისმა წარმომდგენმა ეს საქმე.

5 აგვისტო, 1628 წ.

რ ი შ ე ლ ი ე“.

– სწორედ წესისამებრ შედგენილი ცოდვათა მიტევებაა, – თქვა არამისმა.

– მოდი, დავხიოთ ეგ ბარათი! – თქვა დ არტანიანმა, რომელსაც ბარათი სიკვდილით დასჯის განაჩენად ეჩვენებოდა.

– პირიქით, – მიუგო ათოსმა, – თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. იმდენი ოქრო რომ შემომაძლიონ, რამდენსაც კი ზედ დაიტევს, მაშინაც არავის მივცემ ქაღალდის ამ ნაგლეჯს.

– ამის შემდეგ როგორ იმოქმედებს მილედი? – ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა.

– მე მგონია, კარდინალს მისწერს, რომ ერთმა შეჩვენებულმა მუშკეტერმა, გვარად ათოსმა, ძალდატანებით წაართვა მის მიერ კაცისმკვლელობაზე გაცემული ნებართვა და იმავე წერილში შეაპარებს რჩევას, რომ კარგი იქნება, ათოსისა და, მასთან ერთად, მისი მეგობრების, პორთოსისა და არამისის, საიქიოს გასტუმრება. კარდინალს გაახსენდება, რომ ესენი სწორედ ის მუშკეტერები არიან, რომლებიც ყოველთვის გზაში ეღობებიან. განრისხდება, ერთ მშვენიერ დილას დააჭერინებს დ არტანიანს და რომ არ მოაწყინოს მარტო, ჩვენც მასთან ერთად ჩაგვყრის ბასტილიის ციხეში, – დაუდევრად მიუგო ათოსმა.

– ხუმრობის გუნებაზე ხარ, ათოს, მაგრამ მეტად სამწუხაროა შენი ხუმრობა, – უთხრა პორთოსმა.

– მე არა ვხუმრობ, – უპასუხა ათოსმა.

– იცი, ჩემო ათოს, ჩვენ რომ კისერი მოვუგრიხოთ იმ შეჩვენებულ მილედის, ნაკლებად შევცოდავთ ღმერთს, ვიდრე ამ ჰუგენოტების ხოცვითა ვცოდავთ. ამ უბედურების დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ ისინი ფრანგულად გალობენ იმ ფსალმუნებს, რომლებსაც ჩვენ ლათინურად ვგალობთ.

– რას ბრძანებს ამაზე მღვდელი? – იკითხა მშვიდად ათოსმა.

– მე იმას მოგახსენებთ, რომ ვეთანხმები პორთოსს.

– მეც, რაღა თქმა უნა, – დაიძახა დ არტანიანმა.

– იმისი ბედი, რომ მეტად შორს არის, – დაუმატა პორთოსმა, – რადგან, უნდა ვაღიარო, აქ რომ ყოფილიყო, მოსვენება აღარ მექნებოდა.

– მე კი ინგლისში მყოფიც ისევე მიფრთხობს მოსვენებას, როგორც საფრანგეთში ყოფნისას, – თქვა ათოსმა.

– სულერთი არ არის, აქ იქნება თუ სხვაგან, თუკი სიცოცხლეს ჩამამწარებს? – თქვა დ არტანიანმა.

– ხელში თუ გყავდა, რატომ არ მოკალი? რატომ არ ჩამოახრჩვე? – ჰკითხა პორთოსმა, – ხომ იცი, მხოლოდ მკვდრები არ მოგძებნიან შურის საძიებლად.

– ასე გგონიათ, პორთოს? – ჰკითხა ათოსმა მწუხარე ღიმილით, რომლის მნიშვნელობა მარტო დ არტანიანისათვის იყო ნათელი.

– ერთმა აზრმა გამიელვა, – თქვა დ არტანიანმა.

– ვნახოთ, თქვი, – უთხრეს მუშკეტერებმა.

– არიქათ! ჩქარა თოფები მოიმარჯვეთ! – დაიყვირა გრიმომ.

მეგობრები წამოცვივდნენ და თოფები აიტაცეს.

ოცი-ოცდახუთი კაცისაგან შემდგარი რაზმი სიმაგრისკენ მოდიოდა, მაგრამ ამჯერად კედლების შესაკეთებლად კი არ მოეშურებოდნენ, არამედ საბრძოლველად მოდიოდნენ ლაროშელის გარნიზონის ჯარისკაცები.

– მოდით, ბანაკისაკენ წავიდეთ, – თქვა პორთოსმა, – ჩვენ ამათ ვერ გადავურჩებით, ბევრნი არიან, ჩვენ კი...

– სამი მიზეზის გამო შეუძლებელია ჩვენი დაბრუნება! პირველი – ჯერ საუზმე არ დაგვიმთავრებია, მეორე – კიდევ გვაქვს ფრიად მნიშვნელოვანი სათქმელი და მესამე – ათი წუთი აკლია ჩვენ მიერ დანიშნულ დროს, – უპასუხა ათოსმა.

– საჭირო იქნება საბრძოლო გეგმის შედგენა, – შემოიტანა წინადადება არამისმა.

– გეგმა სულ უბრალოა, – უთხრა ათოსმა, – როგორც კი თოფის მანძილზე მოგვიახლოვდებიან, მაშინვე ცეცხლი გავუხსნათ. თუ არ დაიშალეს და მაინც წინ წამოწევა დააპირეს, სროლა განვაგრძოთ, სანამ უკანასკნელი ტყვია არ გამოგველევა, თავი არ დავანებოთ. ვინც ჩვენს თოფებს გადაურჩება, თუ, ამასთან, იერიშით გაბედავს სიმაგრეზე ამოსვლას, მოვუშვათ, ხელს ნუ შევუშლით. როდესაც თხრილში ჩავლენ, ზემოდან თავზე დავცეთ ეს კედელი, რომელიც ისედაც ლაყლაყებს და მხოლოდ რაღაც სასწაულებრივ ძალას შეუჩერებია.

– ათოსს გაუმარჯოს! – დაიძახა პორთოსმა, – შენ, ჩემო ძმაო, ნამდვილად მხედართმთავრადა ხარ დაბადებული. კარდინალი, რომელსაც საუკეთესო მთავარსარდლად მიაჩნია თავი, შენთან შედარებით არარაობაა.

– ბატონებო! – მიმართა ათოსმა, – გთხოვთ, უსარგებლო სროლა არ იყოს, ორმა არ დაუმიზნოთ ერთსა და იმავე კაცს.

– მე უკვე მიზანში ავიყვანე ერთი, – დაიძახა დ არტანიანმა.

– ჩემიც მზად არის, – გამოეხმაურა პორთოსი.

– ჩემიც, – თქვა არამისმა.

ერთხმად იგრიალა ოთხმა თოფმა და ლაროშელელების რაზმიდან ოთხი კაცი მიწაზე გაგორდა.

იმ წუთშივე დაჰკრეს ნაღარა და ლაროშელელები შეტევაზე გადმოვიდნენ.

ზედიზედ ისროდნენ თოფებს ჩვენი მეგობრები, მაგრამ ლაროშელელები მაინც წინ მოიწევდნენ, თითქოს იცოდნენ, რომ მოწინააღმდეგის სისუსტე მცირერიცხოვნება იყო.

ორი კაცი კიდევ ინაცვალა ერთმა სროლამ, მაგრამ არც ამან შეამცირა მოიერიშეთა სისწრაფე.

სიმაგრის კედელს თორმეტი თუ თხუთმეტი ჯარისკაცი მიუახლოვდა, კვლავ ესროლეს სიმაგრიდან, მაგრამ მაინც ვერ შეაყენეს. ლაროშელელები თხრილში ჩახტნენ და კედლის ნაპრალით აპირებდნენ სიმაგრეზე აძრომას.

– აბა, მეგობრებო, – მიმართა ათოსმა, – მოდით, ერთბაშად გავათავოთ! აბა, კედლისკენ! კედლისკენ!

ჩვენი მეგობრები კედელს მიაწვნენ, გრიმოც მიეხმარა. თან თოფის კონდახს იშველიებდნენ. უცებ კედლის ერთი დიდი მხარე წინ გადაიზნიქა, ჩამოშორდა თავის ქვედა ნაწილს და საშინელი გრგვინვით თხრილში ჩაწვა. გაისმა ადამიანთა გმინვა, ყვირილი, მტვრის კორიანტელი ავარდა ცისკენ და ამით გათავდა იერიში.

– ნუთუ ყველანი გავჟლიტეთ? ერთიც აღარ გადარჩა? – იკითხა ათოსმა.

– მგონი, რომ ასე უნდა იყოს, – უპასუხა დ არტანიანმა.

– არა, – უთხრა პორთოსმა, – აგერ, სამი თუ ოთხი კაცი გარბის.

მართლაც, ტალახში და სისხლში ამოსვრილი სამი თუ ოთხი უბედური ჯარისკაცი გიჟებივით მირბოდა ქალაქისაკენ. იმ პატარა რაზმიდან მხოლოდ ესენი გადარჩენილიყვნენ.

ათოსმა საათს დახედა.

– ბატონებო! ერთი საათი უკვე გავიდა, რაც აქა ვართ, მაშასადამე, სანაძლეო მოგებული გვაქვს, მაგრამ მოდით, აქაც ყოჩაღად მოვიქცეთ, მით უფრო, რომ დ არტანიანს რაღაც აზრი დაებადა და ჩვენთვის ჯერ არ უთქვამს.

ათოსი ჩვეული გულგრილობით მივიდა გაშლილ სუფრასთან.

– ჩემი აზრი გნებავთ? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– დიახ, წეღან თქვით, რომ აზრი დაგებადათ, – უთხრა ათოსმა.

– აჰ, ახლა მომაგონდა! – თქვა დ არტანიანმა, – გადავალ ინგლისში, ბუკინგამს გავაფრთხილებ.

– თქვენ მაგას არ იზამთ! – უთხრა ცივად ათოსმა.

– რატომ? ერთხელ ხომ ვიყავი?

– დიახ, იყავით, მაგრამ მაშინ ჩვენ ინგლისთან ომი არ გვქონდა. იმ დროს ბუკინგამი მოკავშირე იყო ჩვენი და არა მტერი. ეგ რომ იკადროთ, სამშობლოს ღალატი იქნება, იცოდეთ!

დ არტანიანი მიხვდა ამ დასკვნის ჭეშმარიტებას და აღარა თქვა რა.

– მე მგონი, მეც მომივიდა ერთი აზრი, – თქვა პორთოსმა.

– სმენა! ბატონ პორთოსსაც მოვუსმინოთ, – დაიძახა არამისმა.

– შვებულებასა ვთხოვ ბატონ დე ტრევილს. რით დავასაბუთებ ჩემს თხოვნას, არ ვიცი, ეგ თქვენთვის მომინდვია, რადგან ძალიან სუსტი გახლავართ ამგვარ საქმეებში. მილედი არ მიცნობს, მე დავუახლოვდები ამ ქალბატონს, ისე, რომ ეჭვს ვერ მოიტანს ჩემზე, და როდესაც შესაფერ დროს ვიპოვი, დავახრჩობ.

– ჰა, რას იტყვით? მე რომ მკითხოთ, არც ძალიან შორს ვუდგავარ ამ წინადადების მიღებას, – თქვა ათოსმა.

– ეჰ, კარგით ერთი! ქალი უნდა მოკლათ? არა გრცხვენიათ? არა! აი, თუ გნებავთ, მეც ნამდვილად კარგი აზრი დამებადა!

– აბა, მოვუსმინოთ არამისს! – თქვა ათოსმა, რომელიც დიდი პატივისცემით ეკიდებოდა ყმაწვილ მუშკეტერს.

– დედოფალს უნდა შევატყობინოთ.

– ოჰ, მართლაც, შევატყობინოთ! – დაიძახეს ერთად პორთოსმა და დ არტანიანმა. – ეს იქნება ერთადერთი ნამდვილი საშუალება.

– დედოფალს შევატყობინოთ? მერე, როგორ? – დააყენა კითხვა ათოსმა, – გვაქვს რამე დამოკიდებულება სასახლესთან? განა მოვახერხებთ, ისე გავგზავნოთ პარიზში კაცი, რომ მაშინვე არ გაიგოს მთელმა ბანაკმა? აქედან პარიზამდე ას ორმოცი ლიეა გასავლელი და ჯერ ანჟერშიც არ იქნება მისული ჩვენი წერილი, რომ საპატიმროში ჩაგვყრიან ყველას.

– რაც შეეხება დედოფლისადმი წერილის გადაცემას ისე, რომ ვერავინ გაიგოს, მაგას მე ვიკისრებ, – თქვა არამისმა და გაწითლდა, – ტურში ერთ მეტად მოხერხებულ პიროვნებას ვიცნობ...

არამისმა ათოსის სახეზე ღიმილი შეამჩნია და გაჩუმდა.

– რას იტყვით, ათოს? – ჰკითხა დ არტანიანმა, – მისაღებია თუ არა ეს წინადადება?

– არც ძალიან წინააღმდეგი ვიქნები, მაგრამ მინდა მოვაგონო არამისს, რომ ჩვენი წასვლა ბანაკიდან შეუძლებელია, წერილს კი სხვას ვერავის ვანდობთ, ჩვენ თვითონ უნდა წავიღოთ. ორი საათი არც კი იქნება გასული, ჩვენი შიკრიკის წასვლის შემდეგ, რომ ზეპირად ეცოდინება თქვენი წერილის შინაარსი კარდინალის ყველა ჯაშუშს და თქვენც დაგიჭერენ და იმ მარჯვე პიროვნებასაც, რომელიც თქვენ ტურში გყავთ.

– ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ დედოფალი გადაარჩენს ბუკინგამს, მაგრამ ჩვენ კი ვერ გვიშველის, – თქვა პორთოსმა.

– ბატონებო! – მიმართა დ არტანიანმა, – სრულ სიმართლეს ამბობს პორთოსი.

– აჰ, აჰ, რაღაც მოხდა ქალაქში! – წამოიძახა ათოსმა, – განგაშის ხმა ისმის და ნაღარაც დაჰკრეს!

ყური მიუგდო ოთხმა ამხანაგმა. მართლაც, ნაღარის ხმა ისმოდა.

– აი, ნახავთ, მთელ რაზმს გამოგზავნიან ჩვენთან საბრძოლველად, – თქვა ათოსმა.

– მერე რა? მთელ რაზმს კი ვეღარ შევებრძოლებით? – ჰკითხა პორთოსმა.

– რატომ არა? – უპასუხა მუშკეტერმა, – მთელ რაზმს კი არა, მთელ ლაშქარს შევებრძოლებოდით, ცოტა მეტი წინდახედულობა რომ გვქონოდა და ერთი თორმეტი ბოთლი ღვინო კიდევ წამოგვეღო.

– გეყურებათ? ჩვენკენ მოდიან, ნაღარის ხმა უკვე ახლოდან ისმის, – გააფრთხილა დ არტანიანმა.

– მობრძანდნენ, მობრძანდნენ, – თქვა ათოსმა, – ქალაქიდან აქამდე, მგონი, თხუთმეტი წუთის სავალი მაინცაა.

– ჩვენი გეგმის მოსახაზავად საკმაო დრო გვაქვს, აქედან რომ წავიდეთ, ვერსად ვერ ვიპოვით ასეთ შესაფერ ადგილს... მოიცათ, ბატონებო, თავში ერთმა ბრწყინვალე აზრმა გამიელვა.

– თქვით, გისმენთ!

– დამაცადეთ, მინდა, ჯერ გრიმოს მივცე რამდენიმე აუცილებელი ბრძანება, – ამ სიტყვებზე გრიმოს ანიშნა, მასთან მისულიყო.

– გრიმო! – უბრძანა ათოსმა და იქვე, სიმაგრეში ჩაყრილი მკვდრები დაანახვა, – აიყვანეთ ეს ბატონები, მიიყვანეთ კედელთან, კარგა მაგრად დააყენეთ, ქუდი დაახურეთ და ხელში თოფი გაუმაგრეთ ყველას.

– ოჰ, მართლა დიდებული კაცი ხართ, ათოს! – შეჰყვირა დ არტანიანმა.

– თქვენც მიხვდით? – ჰკითხა დ არტანიანს პორთოსმა.

– შენ, გრიმო? მიხვდი? – ჰკითხა არამისმა.

გრიმომ თავი დაუქნია.

– სხვა არაფერია საჭირო, – თქვა ათოსმა, – დავუბრუნდეთ ჩვენს საკითხს.

– მე მინდა გავიგო, რად აყენებთ მკვდრებს? – დაიჟინა პორთოსმა, – რა ეშმაკად გინდათ?

– არ არის აუცილებელი, იცოდე.

– ჯერ ათოსის აზრი გავიგოთ! – დაიძახეს ერთდროულად არამისმა და დ არტანიანმა.

– იმ ავსულ მილედის მაზლი უნდა ჰყავდეს, მგონი, თქვენ მითხარით, არა, დ არტანიან?

– დიახ, მაზლი ჰყავს და ძალიან კარგადაც ვიცნობ. ვფიქრობ, რომ არც ძალიან დიდად უნდა სცემდეს პატივს თავის რძალს.

– შენ გიშველა ღმერთმა! თუმცა, უკეთესი იქნებოდა, რომ დასანახად სძულებოდა თავისი რძალი.

– მაშ, ადვილად მოახერხებთ იმ მაზლის დახმარებით...

– ერთი მითხარით, რად უნდა გრიმოს ის მკვდრები? გამაგებინეთ! – გაიმეორა პორთოსმა.

– ჩუმად, პორთოს! – შეუტია არამისმა.

– რა ჰქვია იმ მაზლს?

– ლორდი უინტერი.

– სად არის ახლა, თუ იცით?

– ლონდონში დაბრუნდა, როგორც კი ხმა გავარდა, ომი იწყებაო.

– ჰოდა, სწორედ ეგ კაცი გვჭირდება, – თქვა ათოსმა, – ჩვენც მაგას უნდა შევატყობინოთ, რომ მისი რძალი ლონდონს მიდის ვიღაცის მოსაკლავად, და ვთხოვოთ, თვალი ადევნოს. იმედი მაქვს, ლონდონშიც უნდა მოიპოვებოდეს რამე დაწესებულება, როგორიც არის ჩვენი წმინდა მაგდალინას ან მონანიე გოგოების თავშესაფარი. იქ ჩაამწყვდევინოს თავისი რძალი და ჩვენც დაგვამშვიდებს.

– დიახ, დაგვამშვიდებს, მანამ იქ იქნება... მაგრამ როდესაც გამოვა? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– ეჰ, მეტისმეტს მოითხოვთ, ჩემო დ არტანიან, – უპასუხა ათოსმა, – მე ის მოგახსენეთ, რის მოფიქრებაც შევძელი.

– მეც მაგ აზრისა ვარ, – თქვა არამისმა, – ამაზე უკეთესს ვერას მოვიფიქრებთ, ერთსა და იმავე დროს გავაფრთხილებთ დედოფალსაც და მილედის მაზლსაც.

– ძალიან კარგი, ვის მივატანინოთ ტურსა და ლონდონში ჩვენი წერილები?

– ბაზენს გავატანოთ, – მიუგო არამისმა, – მე ვთავდებობ.

– პლანშე გავგზავნოთ! – თქვა დ არტანიანმა, – თავდები მე ვარ.

– მართლაცდა, თუკი ჩვენ ამ ბანაკიდან ვერსად წავალთ, ჩვენს მსახურებს ხომ შეუძლიათ ბანაკიდან წასვლა? – თქვა პორთოსმა.

– რაღა თქმა უნდა, – უთხრა არამისმა, – დღესვე დავწეროთ წერილები, ფული მივცეთ და გავისტუმროთ.

– ფული მივცეთ? – იუცხოვა ათოსმა, – მაშ, ფული გქონიათ?

ერთმანეთს გადახედეს მეგობრებმა და ოთხივეს აქამდე ტკბილი იმედით გაბრწყინებულ შუბლზე შავმა ღრუბელმა გადაუარა.

– არიქათ, ჯარი! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – რამდენიმე ფერის დროშით მოდის მტერი! რას ამბობდით, ათოს? მთელი რაზმი მოვიდესო? მთელი რაზმი კი არა, მთელი ლაშქარი მოდის!

– მართლაც, მთელი ლაშქარი! – თქვა ათოსმა, აგერ, მოდიან! იმ ლაჩრებსა ხედავთ, არც ბუკს ახმაურებენ, არც ნაღარას და ჩუმად გვეპარებიან! აი, შეარცხვინოთ ღმერთმა, ჰა, გრიმო, გაათავე?

გრიმომ მუნჯურად უპასუხა, გავათავეო, და ხელით ანიშნა თორმეტ მკვდარზე, რომლებიც ძალიან მხატვრულად აეყუდებინა კედელზე. ზოგს იარაღი ჰქონდა ხელში, ზოგს დასამიზნებლად გაწვდილი თოფი, ზოგს ამოღებული ხმალი.

– ყოჩაღ, ბიჭო! – მოუწონა ათოსმა, – კაციცა ხარ და მოსაზრებაც გქონია.

– კარგი, მაგრამ, ერთი მითხარით...

– აბა, წავიდეთ! – უთხრა ათოსმა, – გზაში გაიგებთ, ერთი წამით შეჩერდით, ბატონებო, სუფრა აალაგოს გრიმომ.

– ოჰო, შეხედეთ, როგორ იზრდებიან აქეთ მომავალი ჯარები! – თქვა არამისმა.

– მართლაც, მთელი ლაშქარი მოდის და ის ემჯობინება, რაც შეიძლება მალე გავიდეთ აქედან, – მიუგო დ არტანიანმა.

– არც მე ვარ წასვლის წინააღმდეგი, – დაეთანხმა ათოსი, – ჩვენ სანაძლეო დავდეთ, რომ ერთ საათს გავატარებდით სიმაგრეში და ნამდვილად კი საათ-ნახევარია აქა ვართ. სანაძლეო ჩვენია! წავიდეთ, ბატონებო!

გრიმომ აიღო კალათა და ბანაკისაკენ გასწია.

ოთხი მეგობარიც გამოვიდა სიმაგრიდან და გრიმოს უკან მიჰყვა.

– ვაიმე! რა ღმერთი გაგვიწყრა? – დაიძახა ათოსმა.

– რა, დაგავიწყდა რამე? – ჰკითხა არამისმა.

– ჩვენი ალამი? როგორ იქნება, მტერს ხელში ჩავუგდოთ იგი, თუნდა სულ უბრალო ხელსახოცი იყოს ალმად აფრიალებული?

ათოსი კედელზე აძვრა, ისევ სიმაგრეში შევარდა და ჩამოიღო თავისი დროშა. ლაროშელელები იმდენად ახლოს იყვნენ სიმაგრესთან, რომ ტყვია ადვილად მიაღწევდა ათოსამდე. სეტყვასავით წამოვიდა ტყვიები მუშკეტერისკენ, ათოსს კი, თითქოს სიამოვნებასა გრძნობსო, გული მტრისათვის მიეშვირა.

მაგრამ აქაც გადარჩა. იტყოდით, მოჯადოებულია ეს კაცი და ტყვია არ ეკარებაო. მის გარშემო ყოველმხრივ ტყვია ზუზუნებდა, სწორედ საკვირველება იყო, რომ ერთიც არ მოხვდა.

ათოსმა აიტაცა ალამი, მტერს აუფრიალა, შემდეგ ზურგი შეაქცია და ახლა თავის ბანაკს მიესალმა ამ დროშის ქნევით. აღტაცებული ვაშა გაისმა ბანაკიდან, ხოლო აღშფოთებული ყვირილი – ლაროშელის ჯარის მხრიდან.

პირველ გასროლას მეორე მოჰყვა, სამი ტყვია შურდულივით ეძგერა ათოსის დროშას და სამგან გახვრიტა. ყვირილი მოისმა ბანაკიდან:

– ჩამოდით! კმარა, ჩამოდით!

ათოსი ჩამოვიდა, ამხანაგები იდგნენ და გულის ფანცქალით ელოდნენ. ცოცხალი რომ დაინახეს, სიხარულით ცას ეწიენ.

– აბა, ავჩქარდეთ, ათოს! – მიმართა დ არტანიანმა, – როდესაც ფულის გარდა ყოველგვარი საშუალება გამონახეთ, სისულელე იქნება, თავი შევაკლათ მოგებულ სანაძლეოს.

მაგრამ ათოსი, ვითომ ვერც კი გაიგონაო, მედიდური, ნელი ნაბიჯით მიდიოდა და ყურადღებას არ აქცევდა თავისი ამხანაგების შენიშვნებს. რაკი ნახეს, რომ ამაოდ რჩებოდა მათი სიტყვა, ისინიც გაჩუმდნენ და ათოსის ნელ სიარულს შეუწყვეს ნაბიჯი.

გრიმო თავისი კალათით ძალიან წინ წასულიყო, ლაროშელელების ტყვიის დაწევის შიში არ აწუხებდა.

ცოტა ხნის შემდეგ გაისმა გაცხარებული სროლა.

– ხომ არ გაგიჟებულან ის უბედურები? – წამოიძახა პორთოსმა, – ვის ესვრიან, იქ ხომ აღარავინაა? ცხადია, ჩვენ არ გვესვრიან, ერთ ტყვიას არ გაუზუზუნია ჩვენს ახლოს.

– მკვდრებს ესვრიან, – უთხრა ათოსმა.

– მკვდრები ხომ სროლას არ დაუწყებენ?

– ჩვენც ეგ გვინდოდა – იფიქრებენ, რომ მტერი ჩასაფრებულია, და ბჭობას დაიწყებენ, მოსალაპარაკებლად კაცს გამოგზავნიან. როდესაც ნახავენ, როგორ გავაბრიყვეთ ჩვენი ოინით, სროლას დაგვიწყებენ, მაგრამ ჩვენ უკვე შორს ვიქნებით და მათი თოფის შიში აღარ გვექნება. აი, რატომ არ იყო საჭირო აჩქარება.

– ჰოო! ახლა კი მივხვდი! – თქვა აღტაცებულმა პორთოსმა.

– მადლობა ღმერთს! – უთხრა ათოსმა მხრების აჩეჩვით.

ფრანგთა ბანაკი მათკენ წყნარად მიმავალ ჩვენს ოთხ მეგობარს ვაშას შეძახილებით ესალმებოდა.

ბოლოს ერთხელ კიდევ გაისმა ხშირი სროლის ხმა. მათ ახლოს ქვებსა სცემდა ლაროშელელების ტყვია, ან ყურთან ახლოს გაუვლიდა ზუზუნით. მკვდრებისათვის ეჯობნათ ლაროშელის გმირებს და სენ-ჟერვეს სიმაგრე აეღოთ.

– რა უხეიროები იყვნენ ის უბედურები! – თქვა ათოსმა, – რამდენი კაცი მოვკალით? თორმეტი?

– მგონი, თხუთმეტი.

– კედელმა რამდენი დაიტანა?

– რვა ან ათი.

– ამოდენა ზარალის სამაგიეროდ გაფხაჭნილიც კი არაფერი გვაქვს, მაგრამ არა, დ არტანიან, თუ არა ვცდები, თქვენ ხელიდან სისხლი გდით?

– არაფერია, – უპასუხა დ არტანიანმა.

– როყიო ტყვია ხომ არ მოგხვდათ?

– არა, არა.

– მაშ, საიდან არის ეგ სისხლი?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ათოსს შვილივით უყვარდა დ არტანიანი და მამობრივი სიყვარულით ექცეოდა ყმაწვილ კაცს.

– თითი გავიკაწრე, – უპასუხა დ არტანიანმა, – ორ ქვას შუა მომყვა თითები, ერთი მხრივ, – კედელი, მეორე მხრივ – ბეჭედი, და ტყავი გადამძვრა.

– აი, რა შედეგი მოსდევს, ჩემო ბატონო, თითზე ალმასის თრევას, – უთხრა ათოსმა.

– რა ვქნა? – შეჰყვირა პორთოსმა, – მართლა, ეგ ალმასი ხომ თქვენია... მაშ, რაღასა ვჩიოდით წედან, ფული არა გვაქვსო? ალმასი განა ფული არ არის?

– ფული და რა ფული! – თქვა არამისმა.

– ძლივს არ გედირსათ, პორთოს, კარგი აზრის გამოთქმა.

– კარგი და მერე როგორი! – დაიძახა არამისის სიტყვით წაქეზებულმა პორთოსმა, – ალმასი გავყიდოთ და ფული გვექნება.

– ნუ დაივიწყებთ, რომ დედოფლის ნაჩუქარია, – უთხრა დ არტანიანმა.

– მით უფრო! – ჩაერია ათოსი, – დედოფალი რომ განსაცდელიდან იხსნის თავის საყვარელ ბუკინგამს, სრულიად ბუნებრივია მისი წადილი, და დედოფალმა რომ განსაცდელიდან გვიხსნას ჩვენ, მისი ერთგული მეგობრები, სრულიად ბუნებრივი და ზნეობრივი იქნება მისი საქციელი. რას ბრძანებს ამის შესახებ ბატონი მოძღვარი? პორთოსს კი არა ვკითხავ, რადგან უკვე გამოთქვა თავისი აზრი.

– მე მგონი, – დაიწყო არამისმა და გაწითლდა, – რაკი ეს ბეჭედი საყვარლისაგან არა აქვს მიღებული, მაშასადამე, არც სიყვარულის ტკბილ განძად ჩაითვლება.

– სწორედ ისე ბრძანებთ, ჩემო არამის, როგორადაც ხორცშესხმული ღვთისმეტყველება. გარკვევით თქვით თქვენი აზრი.

– გავყიდოთ ეგ ალმასი, – უპასუხა არამისმა.

– ჰოო? – წამოიძახა სიხარულით დ არტანიანმა, – გავყიდოთ ჩემი ბეჭედი და ამით გავათავოთ ამაზე ბაასი.

სიმაგრიდან კვლავ გაისმოდა თოფის სროლის ხმა, მაგრამ უკვე სამშვიდობოზე გასულიყვნენ ჩვენი მეგობრები და უკან, შორს ცვიოდა ტყვია. დამარცხებული ლაროშელელები გულდასამშვიდებლადღა ისროდნენ.

– სწორედ დროზე მოუვიდა პორთოსს ეს აზრი. აგერ, ბანაკს მივუახლოვდით. მაშ, ბატონებო, ამით გავათავოთ, სიტყვა აღარა თქვათ ამ საქმის შესახებ. ხედავთ, სულ ჩვენ შემოგვცქერიან და მოსაგებებლადაც მოდიან. დიდი ზეიმით გვიპირებენ დახვედრას.

მართლაც, როგორც წედანაც ვთქვით, აღტაცებული იყო მთელი ბანაკი. როგორც თეატრში საინტერესო წარმოდგენაზე, ისე აქაც, ორი ათასზე მეტი

კაცი მოგროვილიყო, რომ თავისი თვალით ენახათ კეთილად დამთავრებული გმირობა ოთხი მეგობრისა, რომლის ნამდვილი მიზეზი ფიქრადაც არავის მოუვიდოდა. ყველგან შეძახილები ისმოდა: – გაუმარჯოს გვარდიელებს! გაუმარჯოს მუშკეტერებს! – მეგობრებს წინ ბატონი ბიუზინი გამოეგება. მან პირველმა ჩამოართვა ხელი ათოსს და აღიარა, რომ სანაძლეოში ათოსი და მისი ამხანაგები იყვნენ გამარჯვებულნი. ბიუზინს თან მოსდევდნენ დრაგუნი, შვეიცარიელი და მათი ამხანაგები. ბოლო აღარ უჩანდა ქებას, მილოცვას, ხელის ჩამორთმევას, კოცნას, ლაროშელელების დაცინვასა და ლანძღვას. ერთი სიტყვით, ისეთი საშინელი ხმაური მოედო მთელ ბანაკს, რომ აჯანყებად მოეჩვენა ბატონ კარდინალს და თავისი გვარდიის კაპიტანი ლაუდინიერი გაგზავნა მიზეზის გასაგებად.

აღტაცებული სიტყვებით გააგებინეს კარდინალის დესპანს ბანაკის ხმაურის მიზეზი.

– რა გაიგეთ? – ჰკითხა კარდინალმა, როგორც კი კარი შეაღო ლაუდინიერმა.

– საშიში არაფერი, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, სამ მუშკეტერსა და ერთ გვარდიელს სანაძლეო დაუდვიათ ბატონ ბი უზინისთან, რომ საუზმის საჭმელად სენ-ჟერვეს სიმაგრეში მივიდოდნენ და იქ დარჩებოდნენ ერთ საათს. საუზმეს რომ შეექცეოდნენ, დახვევიან ლაროშელელები, ამტყდარა სროლა და აღარც კი ვიცი, რამდენი კაცი მოუკლავთ ჩვენებს. ერთი საათის მაგივრად, ორი საათის განმავლობაში გამაგრებიან მტერს და სრულიად უვნებლად დაბრუნებულან.

– მაგ სამი მუშკეტერის ვინაობა ხომ გაიგეთ?

– დიახ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ.

– ვინ არიან?

– ათოსი, პორთოსი და არამისი.

– ისევ ის სამი გულადი! – ჩურჩულებდა კარდინალი, – მეოთხე ვიღა ყოფილა?

– ბატონი დ არტანიანი.

– კიდევ ის ყმაწვილი ბიჭი! არა, გადაწყვეტილია, – ამბობდა თავისთვის კარდინალი, – ოთხივე ჩემკენ უნდა გადმოვიბირო.

იმ საღამოსვე ჩვენი გმირების გამარჯვების ამბავზე დაუწყო ბაასი კარდინალმა ბატონ დე ტრევილს. დღისით კი ეს ამბავი ტრევილმა პირადად მუშკეტერებისა და მათი მეგობრებისაგან მოისმინა, ამიტომ მან დაწვრილებით უამბო ყველაფერი მის ყოვლადუწმინდესობას, ხელსახოცის ალამიც არ დაივიწყა.

– ძალიან კარგი, ბატონო ტრევილ, – უთხრა კარდინალმა, – ძალიან დამავალებთ, თუ იმ ხელსახოცს მაჩვენებთ; ზედ სამ შროშანის ყვავილს ამოვაქარგვინებ ოქრომკედით და თქვენს რაზმს მივართმევ დროშად.

– უსამართლობა იქნება, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, გვარდიის მიმართ, რადგან ბატონი დ არტანიანი დე ზესარის რაზმში გახლავთ.

– თქვენც ადექით და თქვენს რაზმში გადაიყვანეთ, რაკი ასე ძალიან უყვარს ერთმანეთი მაგ ოთხ მხედარს, უსამართლობა იქნება, რომ სხვადასხვა რაზმში ვიყოლიოთ გულითადი მეგობრები.

იმ ღამესვე აცნობა დე ტრევილმა სამ მუშკეტერს და მათ მეგობარს ეს სასიამოვნო განკარგულება და მეორე დღისათვის ოთხივენი საუზმეზე მიიწვია.

საზღვარი არა ჰქონდა დ არტანიანის სიხარულს. მკითხველმა იცის, მისი სიცოცხლის ოცნება იყო მუშკეტერების რაზმში გადასვლა.

მისი სამი მეგობარიც ძალიან გახარებული გახლდათ.

– ჩემს დღეს ვფიცავ, მართლა დიდებული აზრი იყო და დიდებულადაც აგვასრულებინე. შენი სიტყვით რომ ვთქვა, სახელიც მოვიხვეჭეთ და

თავისუფლადაც მოვილაპარაკეთ, თუ როგორ აგვეცილებინა განსაცდელი, – უთხრა დ არტანიანმა ათოსს.

– ახლა უკვე თავისუფლად ვილაპარაკებთ ყველგან, სადაც კი მოვისურვებთ, – უპასუხა ათოსმა, – აღარავის დაებადება ეჭვი, რადგან დღეიდან, ღვთის მადლით, კარდინალისტებად გვიგულებენ ყველანი.

იმ საღამოსვე მივიდა დ არტანიანი პატივსაცემად ბატონ დე ზესართან და თავისი წარმატება – მუშკეტერებში ჩარიცხვა – მოახსენა.

ბატონ დე ზესარს ძალიან უყვარდა დ არტანიანი და დახმარება შესთავაზა: მუშკეტერების რაზმში გადასვლა მრავალ ხარჯს გამოიწვევდა და თუ უჭირდა...

დ არტანიანმა უარი უთხრა, მაგრამ ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლა და სთხოვა: დაეფასებინა მისი ბეჭედი, რადგან გაყიდვას აპირებდა.

ბატონმა დე ზესარმა ბეჭედი დაიტოვა. მეორე დღეს დილის რვა საათზე გასკონელს დე ზე-სარის მსახურმა მიართვა ოქროთი სავსე პარკი, რომელშიაც შვიდი ათასი ლივრი იდო.

ეს იყო ფასი დედოფლის ბეჭდისა.

XVIII

ოჯახური საქმე

ათოსმა გამონახა შესაფერი სახელწოდება: „ოჯახური საქმე“. ოჯახურ საქმეს სრულიადაც ვერ შეეხებოდა ბატონ კარდინალის გამოძიება. ოჯახურ საქმეში სხვა ვერავინ ჩაერეოდა, დაუფარავად შეიძლებოდა ოჯახური საქმის მოწყობა და გარიგება.

ამგვარად, ათოსმა იპოვა სახელწოდება: „ოჯახური საქმე“.

არამისმა იპოვა საშუალება: „მსახურები“.

პორთოსმა იპოვა ფული: ,ბეჭდის გაყიდვით.

მარტო დ არტანიანი იყო, რომ ვერაფერი აღმოაჩინა, ეს მაშინ, როდესაც ამ ოთხ მეგობართაგან ასეთ საქმეში ყოველთვის ყველაზე მკვირცხლი თვითონ იყო ხოლმე, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საწყალ ბიჭს სულ თვალწინ ედგა მილედი და ეს უჩლუნგებდა გონებას.

აჰ, არა! კინაღამ შევცდით: დ არტანიანმა ხომ მყიდველი იპოვა თავისი ბეჭდისა!

ძალდაუტანებელი მხიარულება სუფევდა ბატონ დე ტრევილთან საუზმის დროს.

დ არტანიანი უკვე მუშკეტერების ფორმაში იყო გამოჭიმული. იგი არამისის აგებულებისა იყო და, რადგან არამისმა, როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდი ფული მიიღო გამომცემლისაგან თავისი პოემის ჰონორარად, თურმე ერთის მაგივრად, ორ-ორი ხელი იყიდა ყველაფერი და ახლა ერთი ხელი დ არტანიანს დაუთმო.

ასრულდა დ არტანიანის ოცნება. იგი უბედნიერესი კაცი იქნებოდა, მაგრამ შავი ღრუბელი ელანდებოდა ყველგან, შიგ მილედი, – და ეს მოჩვენება უწამლავდა გულს.

საუზმის დამთავრების შემდეგ შეთანხმდნენ, რომ საღამოზე ათოსთან შეკრებილიყვნენ და აქ გაეთავებინათ თავიანთი ოჯახური საქმე.

დ არტანიანმა იმ დღეს ბანაკის ყველა ქუჩა ჩამოიარა, რათა ყველასათვის ენახვებინა თავისი ახალი აღჭურვილობა.

საღამოს, დანიშნულ დროს, ათოსთან შეიკრიბნენ მეგობრები. სულ სამი საკითხი ჰქონდათ გადასაჭრელი:

რას მისწერდნენ მილედის მაზლს;

რას მისწერდნენ იმ მოხერხებულ პიროვნებას ტურში;

და მსახურთაგან ვის გაატანდნენ ამ წერილებს.

ყველა თავის მსახურს აქებდა: ათოსი ამტკიცებდა, გრიმო გავგზავნოთ, რადგან მეტად თავდაჭერილი კაცია, თუ ნება არ მიეცი, სათქმელის თქმასაც კი ვერა ბედავსო; პორთოსი აქებდა თავის მუშკეტონს: ძალიან ღონიერი ბიჭია, თუ გაჭირდა, საშუალო აგებულების ოთხ კაცსაც არ შეუშინდებაო; არამისს ღრმად სწამდა ბაზენის სიმარჯვე, მჭევრმეტყველი სიტყვით შეაქო თავისი მსახური, დ არტანიანსაც სრული ნდობა ჰქონდა პლანშეს გულადობისა და მოაგონა ამხანაგებს, რა ყოჩაღად მოიქცა მისი მსახური ბულონში.

დიდხანს გაგრძელდა ამ თემაზე საუბარი. საგანგებო სიტყვით ხატავდნენ ბატონები თავიანთ მსახურებს, მაგრამ ჩვენ არ მოვიყვანთ იმ სიტყვებს, რომ მოსაწყენი არ შეიქნეს.

– ჩვენი უბედურებაც ისაა, რომ ჩვენგან გაგზავნილი კაცი აღჭურვილი უნდა იყოს ოთხივეს თვისებით, – თქვა დ არტანიანმა.

– მერე, სად უნდა იპოვოთ მაგისთანა ობოლი მარგალიტი?

– ვერსად იპოვით, მერწმუნეთ, – თქვა ათოსმა, – ამიტომ ჩემი გრიმო გავგზავნოთ.

– მუშკეტონი აჯობებს.

– არა, ბაზენი.

– მოდით, პლანშე გავგზავნოთ: გულადიცაა და მოხერხებულიც: ორი ნიშანი მაინც აქვს მაგ ოთხიდან.

– უკაცრავად, ბატონებო, – მიმართა არამისმა, – მთავარი ის კი არ არის, ვიცოდეთ, ვინ არის ჩვენს მსახურთაგან უფრო თავდაჭერილი, უფრო ღონიერი, უფრო მოხერხებული და უფრო გულადი, არამედ ის, თუ ვის უფრო მეტად უყვარს ფული.

– სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებს არამისი, – თქვა ათოსმა, – თუ საქმის გარიგება გვინდა, ადამიანის ნაკლოვანებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და არა მისი სათნოებით. დიდებული მორალისტი ბრძანდებით, ბატონო მოძღვარო.

– დიახ, ბატონო, – მიუგო არამისმა, – ჩვენი განზრახვის ასასრულებლად ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ მარცხი არ მოგვივიდეს. რადგან თუ ღმერთი გაგვიწყრა და დავმარცხდით, მსახურებთან ერთად…

– ხმადაბლა, არამის! – სთხოვა ათოსმა.

– რაც მართალია, მართალია! – განაგრძო არამისმა. – მსახურებთან ერთად ბატონებიც დაიღუპებიან. ნუთუ იმდენად ერთგულად მიგაჩნიათ ჩვენი მსახურები, რომ ფიქრობთ, თავსაც გაწირავენ ჩვენთვის?

– რა გითხრათ, იცით? ლამის თავდებად დავუდგე ჩემს პლანშეს, – თქვა დ არტანიანმა.

– ძალიან კარგი, ჩემო საყვარელო მეგობარო, დაუმატეთ იმის ბუნებრივ ერთგულებას ცოტაოდენი ფული, რომ სული მოითქვას, და მაშინ თავდებობა კი არა, სულით ხორცამდე იკისრეთ პასუხისმგებლობა.

– ეჰ, ღმერთო კეთილო, და მაინც მოტყუებულნი დარჩებით, – თქვა ათოსმა, რადგან იგი დიდი ოპტიმისტი იყო, როდესაც საუბარი საგანს შეეხებოდა, ხოლო დიდი პესიმისტი, როდესაც საუბარი ადამიანს შეეხებოდა. – რას არ დაგპირდებათ კაცი ფულისათვის და მერე კი ისეთი შიში მოერევა გზაში, რომ ხელს ვეღარ გაანძრევს… დაიჭერენ, წამებას დაუწყებენ და ყველაფერს ათქმევინებენ.

– ეშმაკმა დასწყევლოს, ჩვენ ხომ ბავშვები არა ვართ? – ათოსმა ხმა დაიდაბლა, – ინგლისში მისასვლელად კაცმა უნდა გადაიაროს მთელი საფრანგეთი, რომელიც სავსეა კარდინალის ჯაშუშებით და ერთგული

მსახურებით; უნდა ჰქონდეს გემში ჩაჯდომის მოწმობა; უნდა იცოდეს ინგლისური, რომ გზა გაიკვლიოს ლონდონში, არა, მე რომ მკითხოთ, ძალიან ძნელი საქმეა.

– სრულებითაც არა, – უპასუხა დ არტანიანმა, რადგან ძალიან უნდოდა თავისი წადილის ასრულება, – მე კი, პირიქით, ადვილად მეჩვენება. რასაკვირველია, ისე უნდა იყოს შედგენილი წერილი, რომ საეჭვო არა იყოს რა, თორემ ჩვენ რომ ლორდ უინტერს კარდინალის საშინელი საქმეები მივწეროთ...

– ჩუმად თქვით, ჩუმად! – აფრთხილებდა ათოსი.

– ინტრიგები და სახელმწიფოს საიდუმლოებანი, – განაგრძო დ არტანიანმა ხმადაბლა, – ცხადია, ყველას ცოცხლებს აგვაგებენ ჩარხზე; მაგრამ ღვთის გულისთვის, ნუ დაივიწყებთ, მე თქვენს ნათქვამს ვიმეორებ, ათოს, რომ ჩვენ მას წიგნსა ვწერთ ოჯახური საქმის გამო, რომ წიგნსა ვწერთ ერთადერთი განზრახვით: ისე დააბინაოს ლონდონში ჩასული მილედი, რომ ჩვენი ვნება აღარ შეეძლოს. თუ დამეთანხმებით, დაახლოებით, ამ შინაარსის წერილს მივწერთ...

– ვნახოთ, – თქვა არამისმა და წინასწარ კრიტიკულად განეწყო.

– „ძვირფასო ბატონო და საყვარელო მეგობარო“...

– ეგ არის, დიახ! „საყვარელო მეგობაროს“ სწერთ ინგლისელს? – შეაწყვეტინა არამისმა, – ძალიან კარგად დაიწყეთ, ყოჩაღ, დ არტანიან! ეგ ერთი სიტყვაცა კმარა, რომ შაყის კვრა დაიმსახუროთ, სხვა სასჯელი რა მოსატანია!

– კარგი, კარგი, ასე იყოს! მაშ, მოკლედ მოვჭრი: „ბატონო“...

– თუ გნებავთ, მილორდი მისწერეთ, – გაუსწორა ათოსმა, რომელიც ყოველთვის საჭიროდ თვლიდა ზრდილობის ნორმების დაცვას.

– „მილორდ! ვფიქრობ, არ დაგავიწყდებოდათ პატარა ეზო ლუქსემბურგში, თხებისთვის შემოღობილი“...

– იფ, ლუქსემბურგი! რა კარგი რამა თქვა! იფიქრებენ, სიტყვა გადაჰკრეს დედოფლის დედასაო, – უთხრა ათოსმა.

– მაშ, ასე! მივმართავთ მოკლედ: „მილორდ! იქნება გახსოვდეთ პატარა ეზო, სადაც სიკვდილს გადაგარჩინეს“...

– ჩემო დ არტანიან, თქვენ მეტად ცუდი მთხზველი იქნებით, „სადაც სიკვდილს გადაგარჩინეთ“... ფუ! მაგას როგორ ვაკადრებ კაცს? პატიოსან კაცს დავეხმაროთ და მერე მოვაგონოთ? ამბობენ, სიკეთეს რომ მოაგონებ, შეურაცხყოფაა მოყვრისაო? .. – უთხრა ათოსმა.

– ეჰ, ათოს! – უპასუხა დ არტანიანმა, – თქვენ აუტანელი ხართ და თუ აუცილებელია ამ წერილის შედგენა თქვენი ცენზურით, მე უარს ვაცხადებ.

– ძალიან კარგია, რომ უარს აცხადებთ. მოიხმარეთ ხმალი და თოფი, მეგობარო, მაგაში თქვენ სახელოვანი ხართ, საწერ-კალამი კი ბატონ მოძღვარს დაუთმეთ, ის უკეთ გამოიყენებს.

– აჰ, ან აქამდე სად ვიყავით? – დაიძახა პორთოსმა, – მიეცით კალამი არამისს, რომელიც ლათინურად წერს თავის თხზულებებს.

– ასე იყოს, – თქვა დ არტანიანმა, – არამის, თქვენ შეგვიდგინეთ ეს წერილი, მაგრამ გაფიცებთ ჩვენს წმინდა მამას, პაპს, მოკლედ თქვით, თორემ იცოდეთ, ახლა მე დაგიწყებთ ყოველი სიტყვის კრიტიკას.

– მეც ეგ მინდა, – უპასუხა არამისმა იმ გულუბრყვილო თვითდაჯერებით, რომლითაც გაჟღენთილია ყველა პოეტი, – თქვენ მხოლოდ გამაგებინეთ რაიმე იმ ქალისა და საქმის ვითარების შესახებ. ყური მოვკარი თქვენს ბაასს, როგორც ჩანს, გაიძვერა უნდა ბრძანდებოდეს უინტერის რძალი. ამაში მე თვითონაც დავრწმუნდი, როდესაც მისი და კარდინალის საუბარი გავიგონე.

– ჩუმად, ჩუმად! – შეუტია ათოსმა.

– დიახ, მაგრამ დანამდვილებით კი არა ვიცი რა, – თქვა არამისმა.

– არც მე, – დაუმატა პორთოსმა.

დ არტანიანი და ათოსი ცოტა ხანს ერთმანეთს გაჩუმებულები შესცქეროდნენ, ბოლოს ათოსმა ძალ-ღონე მოიკრიბა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მიხვდა დ არტანიანი, რომ შეეძლო ლაპარაკი.

– აი, რა უნდა ვაცნობოთ ლორდს, – დაიწყო დ არტანიანმა. – „მილორდ, ბოროტმოქმედია თქვენი რძალი, სულ იმის ცდაშია, რომ ვინმეს მოაკვლევინოს თქვენი თავი და ქონება მას დარჩეს. მას არ ჰქონდა უფლება, გაჰყოლოდა თქვენს ძმას, ის უკვე გათხოვილი იყო საფრანგეთში და“...

დ არტანიანი შეჩერდა, თითქოს შესაფერ სიტყვას ვეღარ პოულობსო, და ათოსს შეაცქერდა.

– განდევნილი იყო ქმრისაგან, – თქვა ათოსმა.

– რადგან საზარელი დაღი ედო, – განაგრძო დ არტანიანმა.

– ეჰ, კარგით ერთი! – შეჰყვირა პორთოსმა, – შეუძლებელია! თავისი მაზლის მოკვლას ცდილობდა?

– დიახ.

– გათხოვილი იყო? – ჰკითხა არამისმა.

– დიახ.

– ქმარმა შეამჩნია, რომ დაღი ჰქონდა მხარზე? – შეჰყვირა პორთოსმა.

– დიახ.

სამჯერვე ათოსმა წარმოთქვა სიტყვა „დიახ“ და სამჯერვე სხვადასხვა გამომეტყველებით.

– მერე, ვინ ნახა, რომ მხარზე დაღი აზის? – იკითხა არამისმა.

– დ არტანიანმა და მე, ან თუ გნებავთ, რომ დარღვეული არ იქნეს ქრონოლოგიური რიგი, მე და დ არტანიანმა, – უპასუხა ათოსმა.

– ამ საშინელი ქმნილების ქმარი ჯერაც ცოცხალია!? – იკითხა არამისმა.

– ჯერაც ცოცხალია.

– დარწმუნებული ხართ?

– ის მე ვარ.

ერთი წამით დუმილმა მოიცვა იქაურობა. ყველაზე თავისებური შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვებმა.

– ამჯერად, – დაიწყო ათოსმა და პირველმა მან დაარღვია დუმილი, – სწორედ შესაფერი პროგრამა დაგვისახა დ არტანიანმა და ჩვენც სწორედ იმ პროგრამის მიხედვით მივწეროთ მილორდს.

– დიახ, მართალი ხართ, ათოს, – უთხრა არამისმა, – თვით მართლმსაჯულების მინისტრსაც გაუჭირდებოდა ამგვარი წერილის შედგენა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სიამოვნებით ადგენს დასასჯელ ოქმს. ეჰ, რას გააწყობ, მაინც ვცადოთ, თქვენ გაჩუმდით, მე ვიწყებ წერას.

არამისმა კალამი აიღო, რამდენიმე წამით ჩაფიქრდა და რვა თუ ათი სტრიქონი საგანგებო, ქალური წვრილი ასოებით დაწერა, შემდეგ კი ეს ბარათი ისეთი ტკბილი, ნელი ხმით წაიკითხა, თითქოს ზედმიწევნით ჰქონდა აწონილი ყოველი სიტყვის მნიშვნელობა:

„მილორდ!

ამ რამდენიმე სტრიქონსა გწერთ ის პიროვნება, რომელსაც ამას წინათ წილადა ხვდა თქვენთან ფარიკაობა ჯოჯოხეთის ქუჩის ერთ პატარა მოღობილში. მას შემდეგ თქვენ რამდენჯერმე გითქვამთ, რომ იმ კაცის ერთგული მეგობარი ხართ და ისიც თავის მხრივ ცდილობს, საქმით დაგიმტკიცოთ თავისი გულითადი მეგობრობა. ორჯერ კინაღამ მსხვერპლად გაუხდით თქვენი ოჯახის ერთ წევრს, რომელიც თქვენ მემკვიდრედ გეგულებათ. თქვენ არ იცით, რომ იგი ინგლისში დაქორწინებამდე, საფრანგეთში იყო გათხოვილი. გაფრთხილდით, მესამედ ვეღარ გადაურჩებით. თქვენი მემკვიდრე გუშინ საღამოთი ლაროშელიდან ინგლისისაკენ წამოვიდა, უდარაჯეთ მის

ჩამოსვლას. ამჯერად ის დიდმნიშვნელოვანი, საშინელი განზრახვით მოდის. თუ გნებავთ, დანამდვილებით დარწმუნდეთ, რა შეუძლია და რას წარმოადგენს თქვენი მტერი, მის მარცხენა მხარზე წაიკითხეთ მისი წარსული“.

– საუცხოოა, – თქვა ათოსმა, – სწორედ სახელმწიფო მდივნის კალამი გაქვთ, ჩემო არამის. ლორდი უინტერი ახლა კი მართლაც კარგად უდარაჯებს, თუ ამ გაფრთხილებამ დროზე ჩაუსწრო. ეს წერილი მის ყოვლადუწმინდესობასაც რომ ჩაუვარდეს ხელში, ფიქრი ნუ გაქვთ, ჩვენ ვერაფერს დაგვწამებს, მაგრამ შესაძლებელია ჩვენ მიერ გაგზავნილი კაცი შატელროში გაჩერდეს და ჩვენ კი გვეფიცებოდეს, ლონდონში ვიყავიო. წერილის ჩაბარებისას ფულის მხოლოდ ნახევარი მივცეთ და დავპირდეთ, რომ დანარჩენ ნახევარს მაშინ მივცემთ, როდესაც წერილის პასუხს მოგვიტანს. ბეჭედი ხომ გაქვთ? – ჰკითხა დ არტანიანს.

– ბეჭედზე უკეთესი, ნაღდი ფული, – დ არტანიანმა მაგიდაზე თავისი ქისა დააგდო, ოქროს წკრიალზე არამისმა ზევით აიხედა, პორთოსს თრთოლა მოერია, მხოლოდ ათოსი იჯდა გულგრილად.

– რამდენია ამ პატარა პარკში? – ჰკითხა ათოსმა.

– შვიდი ათასი ლივრი, სულ თორმეტფრანკიანი ოქროები.

– შვიდი ათასი ლივრი? – შეჰყვირა პორთოსმა, – შვიდი ათას ლივრად ღირდა ის უშნო ბეჭედი?

– ალბათ, – უპასუხა ათოსმა, – ამას თქვენ თვითონაც კარგად ხედავთ და არა მგონია, ჩვენს მეგობარ დ არტანიანს თავისი ფულიც დაემატებინოს.

– კარგით, ბატონებო, – მიმართა დ არტანიანმა, – მაგრამ დედოფლისათვის კი აღარას ვზრუნავთ. ოდნავ მაინც გავუფრთხილდეთ მისი საყვარელი ბუკინგამის ჯანმრთელობას, ამით მაინც გადავუხადოთ ჩვენი ვალი.

– მართალია, – დაეთანხმა ათოსი, – მაგრამ ეგ არამისის საქმეა.

– მაშ, მითხარით, რას მავალებთ? – წამოიძახა არამისმა და თავისებურად გაწითლდა.

– სხვას რას უნდა გავალებდეთ, ახლა მეორე წერილი დაწერეთ იმ მოხერხებულ პიროვნებასთან, რომელიც ტურში ცხოვრობს, – მიუგო ათოსმა.

არამისმა აიღო კალამი, ხელახლა ჩაფიქრდა და დაწერა შემდეგი, რაც მაშინვე თავის მეგობრებს წარუდგინა შესათანხმებლად:

„საყვარელო ჩემო დაო!“

– ოჰო, ოჰო, – წამოიძახა ათოსმა, – მაშ, თქვენი ნათესავია ის მოხერხებული პიროვნება?

– ჩემი დეიდაშვილია, – უპასუხა არამისმა.

– კარგი, დეიდაშვილი იყოს!

არამისმა განაგრძო წერილის კითხვა.

„საყვარელო ჩემო დაო!

მისი ყოვლადუწმინდესობა, – ღმერთმა აცოცხლოს და განაძლიეროს ჩვენი კარდინალი საფრანგეთის საკეთილდღეოდ და მტერთა ჩვენთა დასათრგუნავად! – სადაცაა ბოლოს მოუღებს ლაროშელელ აჯანყებულებს, რომლებიც წმინდა სარწმუნოების მტრები არიან. ადვილი შესაძლებელია, მათ დასამარცხებლად წამოსული ინგლისის ფლოტი ახლოც ვერ მიუდგეს ქალაქს. მეტსაც გავბედავ და დარწმუნებით ვიტყვი, რომ რაიმე დიდი მოვლენის გამო შეიძლება შეფერხებულ იქნეს ბუკინგამის ინგლისიდან გამოსვლა. მისი ყოვლადუწმინდესობა წარსულის, აწმყოს და მომავალი დროისათვის ყველაზე ცნობილი პოლიტიკოსია, მზე რომ აწუხებდეს, მასაც კი დააბნელებდა. შეატყობინეთ ეს სასიამოვნო ამბავი თქვენს დას, ჩემო საყვარელო. მე სიზმარში ის შეჩვენებული ინგლისელი მკვდარი ვნახე, მხოლოდ აღარ მახსოვს, იარაღით იყო მოკლული თუ საწამლავით, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, მკვდარი იყო

და, თქვენც კარგად იცით, რომ ჩემს სიზმარს არასოდეს მოვუტყუებივარ. მაშ, დარწმუნებული იყავით, რომ ცოტა ხანში მეც გნახავთ“.

– ძალიან კარგი, – მოუწონა ათოსმა, – ძვირფასო არამის, თქვენ მეფე ხართ პოეტებისა. მისამართი დავაწეროთ და გათავებულია საქმე.

– მაგაზე ადვილი რა იქნება? – თქვა არამისმა.

წერილი კოხტად დაკეცა და დააწერა:

„მადმუაზელ მიშონს, მოსარეცხეს ტურში“.

არამისის მეგობრები ერთმანეთს შესცქეროდნენ და გულიანად იცინოდნენ: მახეში გააბეს კაცი!

– ახლა ხომ ხედავთ, – დაიწყო არამისმა, – რომ ამ წერილის მიტანა ტურში მარტო ბაზენს შეუძლია. ბაზენის მეტს არავის იცნობს ჩემი დეიდაშვილი და მხოლოდ მას ენდობა. სხვა ვინც უნდა იყოს, საქმეს წაგვიხდენს. ამასთან ერთად, ისიც უნდა იცოდეთ, რომ ჩემი ბაზენი მეტად ამაყი და განვითარებული კაცია. თავიდან ბოლომდე წაიკითხა ისტორია და კარგად იცის, რომ სიქსტი მეხუთე, სანამ პაპად აკურთხებდნენ, ღორებს მწყემსავდა. ამიტომ მას გადაწყვეტილი აქვს, ჩემთან ერთად შევიდეს ეკლესიის სამსახურში და რადგან იმ იმედით სულდგმულობს, რომ შეიძლება მასაც ეღირსოს პაპობა, ან კარდინალობა მაინც, თქვენც დამეთანხმებით, ასეთ დიდებულ მომავალზე მეოცნებე არც ისე ადვილად ჩაუვარდება ხელში ჯაშუშებს, და თუ დაიჭირეს, მარტვილის წამებას ირჩევს და თქმით კი არაფერს იტყვის.

– კარგი, კარგი, – მიუგო დ არტანიანმა, – დიდი სიამოვნებით ვუთმობ ტურს თქვენს ბაზენს, მაგრამ ლონდონი კი პლანშეს დაუთმეთ. ერთხელ ჯოხის ცემით გამოაგდო მილედიმ, ამას თავის სიცოცხლეში არ დაივიწყებს პლანშე და მერწმუნეთ, თუ ჯავრის ამოყრის საშუალება მიეცა, უხვად გადაუხდის სამაგიეროს, თუნდა ისიც იცოდეს, რომ ამისათვის სიკვდილით დასჯიან. თუ ტურში თქვენა გაქვთ საქმე, ჩემო არამის, ლონდონში მე მაქვს. ამიტომ, გთხოვთ, ინგლისს გასაგზავნად პლანშე ამოვირჩიოთ, მით უფრო, რომ ერთხელ უკვე იყო ჩემთან ერთად ლონდონში და თავისუფლად გააგნებს გზას. დარდი ნუ გაქვთ, მშვიდობით მივა და არც უკან დაბრუნება გაუჭირდება. მას თავისუფლად შეუძლია სწორად თქვას: „ ონდონ, სირ, იფ ყოუ პლეასე“1 და „ ყ მასტერ ლორდ დ რტაგნან“2.

– ასეთ შემთხვევაში, პლანშეს გამგზავრებისას შვიდასი ლივრი მივცეთ და შვიდასიც დაბრუნების შემდეგ, ასევე ბაზენს – სამასი ლივრი წასასვლელად მივცეთ და სამასიც, როდესაც დავალებას აასრულებს. ეს ხარჯი ხუთი ათას ლივრამდე დაიყვანს ჩვენს თანხას. ათას-ათასი ლივრი ჩვენ ავიღოთ სურვილისამებრ დასახარჯად და ერთი ათასიც შესანახავად მივაბაროთ ჩვენს მღვდელს შავი დღისთვის. აბა, რას იტყვით? თანახმა ხართ? – იკითხა ათოსმა.

– ძვირფასო ათოს, თქვენ ლაპარაკობთ როგორც ნესტორი,3 რომელიც, როგორც ყველასათვის ცნობილია, საბერძნეთში განთქმული იყო თავისი ჭკუით, – უპასუხა არამისმა.

– მაშ, გადაწყდა, – განაგრძო ათოსმა, მიდიან პლანშე და ბაზენი. თუ მართალი გნებავთ, გამიჭირდებოდა გრიმოს მოშორება. კარგად იცის ჩემი მუნჯური ენა და არაფრით მაწუხებს. გუშინდელი დღეც ეყოფა, ახლა ეს მგზავრობაც რომ დაგვემატებინა, იქნება ცოცხალი ვეღარც გვენახა.

მოიხმეს პლანშე, აუხსნეს დავალება და მისცეს საჭირო დარიგება. დ არტანიანს ადრევე გაეფრთხილებინა თავისი მსახური, რომ ლონდონში წასვლა მოუწევდა, და თან ეთქვა, რომ ეს მგზავრობა დიდ სახელს მოუხვეჭდა. მეგობრებმა პლანშეს ფული გადასცეს და თან გაახსენეს მოსალოდნელი საშიშროება.

– წერილს გულთან ჩავიმალავ და თუ დამიჭირეს, გადავყლაპავ, – შეჰპირდა პლანშე.

– გადაყლაპავ და ჩვენს დავალებას ვედარ შეასრულებ, – უთხრა დ არტანიანმა.

– მაშ, წერილი მიბოძეთ და სახვალიოდ ზეპირად დავისწავლი.

დ არტანიანმა თავის მეგობრებს გადახედა, თითქოს უსიტყვოდ ეუბნებოდა:

„ახლა ხომ ხედავთ, რა ყოჩაღი ბიჭიაო“. – მერე ისევ პლანშეს მიმართა:

– იცოდე, პლანშე, რვა დღის ვადა გეძლევა ლორდ უინტერთან მისასვლელად და რვა დღე კიდევ – უკან დაბრუნებისათვის, თუ აქ არ იქნები შენი წასვლის მეთექვსმეტე დღეს, საღამოს რვა საათზე, ფულს არ მიიღებ, თუნდა ხუთი წუთით დაიგვიანო.

– მაშ, საათი მიყიდეთ, ბატონო.

– აი, ეს წაიღე, – უთხრა ათოსმა და თავისი საათი მისცა მისთვის ჩვეულებრივი გულუხვი დაუდევრობით, – ვინძლო ყოჩაღად იყო. გახსოვდეს, თუ თქვი ან თუ წამოგცდა რაიმე, ან ხეტიალი თუ დაიწყე, თავს მოსჭრიან შენს ბატონს. ბატონი დ არტანიანი იმდენად ენდობა შენს ერთგულებას, რომ შენ მაგივრად თვითონ იკისრა ჩვენ წინაშე პასუხისმგებლობა. კარგად დაიხსომე, რას გეუბნები: თუ შენი შეცდომის გამო უბედურება ეწია შენს ბატონს, ვედარსად დამემალები, იცოდე, გიპოვი და მთლად გამოგდადრავ გულ-მუცელს.

– ოჰ, ბატონო! – წამოიძახა პლანშემ. ეს ეჭვი მას ამდაბლებდა, მუქარა აშინებდა, მით უფრო, რომ სრულიად დამშვიდებული უქადდა ათოსი გულ-მუცლის გამოდადვრას.

– მეც მაგასვე გეუბნები, – დაუძახა პორთოსმა თავისი დიდრონი თვალების ბრიალით, – იცოდე, ცოცხალს გამოგწელავ.

– აჰ, ბატონო!..

– მე კიდევ, – დაუძახა ტკბილი, მელოდიური ხმით არამისმა, – იცოდე, ნელ ცეცხლზე დაგწვავ, როგორც ველურს.

– აჰ, ბატონო!..

ტირილი დაიწყო პლანშემ. ვერ გაგვიბედავს ვთქვათ, რა იყო ამისი მიზეზი. ამ მუქარით აღძრული შიში თუ მეგობრების ერთობა და ერთმანეთისადმი თავგანწირული სიყვარულის გრძნობებით გულაჩვილება.

დ არტანიანმა პლანშეს ხელი ჩამოართვა და აკოცა.

– ნუ, ნუ, ჩემო პლანშე! – ამშვიდებდა დ არტანიანი, – მაგას ჩემი სიყვარულით გეუბნებიან ეს ბატონები, მაგრამ შენ თვითონაც ძალიან უყვარხარ.

– აჰ, ბატონებო! – შესტირა პლანშემ, – ან გავიმარჯვებ თქვენი ბრძანების შესრულებაში, ან ნაკუწ-ნაკუწადაც რომ დამჭრან, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მაინც ვერაფერს მათქმევინებენ.

შეთანხმდნენ, რომ პლანშე მეორე დღეს, დილის რვა საათზე გაუდგებოდა გზას, იმ ღამეს კი, როგორც თვითონა თქვა, გაიზეპირებდა წერილს. ამ გარემოებამ სრული თორმეტი საათი მოაგებინა. ასე რომ, მეთექვსმეტე დღეს, საღამოს რვა საათზე უნდა ყოფილიყო შინ.

მეორე დილას, ის იყო ცხენზე უნდა შემჯდარიყო პლანშე, რომ დ არტანიანმა ცალკე გაიყვანა. გასკონელს ბუკინგამისადმი თანაგრძნობა უდვიოდა გულში.

– ყური დამიგდე, ჩემო პლანშე! როდესაც ლორდ უინტერს წერილს მიართმევ და იგი მას წაიკითხავს, ესეც უთხარი: „თვალყური გეჭიროთ ლორდ ბუკინგამზე, რადგან მოკვლას უპირებენ“, მაგრამ ეს ისეთი ძნელი სათქმელია, იმდენად საშიში, რომ ჩემს მეგობრებსაც კი ვერ გავუბედე მეთქვა ის საიდუმლოება, რასაც შენ განდობ. იცოდე, პლანშე, სიტყვიერად გითხარი, თორემ ამას არავითარ შემთხვევაში არ დავწერდი, თუნდაც კაპიტნობა მოეცათ.

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონო, აი ნახავთ, როგორ პირნათლად ავასრულებ თქვენს ბრძანებას.

პლანშე მოახტა მშვენიერ ცხენს, რომლითაც მარტო ოცი ლიე უნდა გაევლო და შემდეგ საფოსტო ეტლით ემგზავრა. გულში ჩარჩენოდა სამი მუშკეტერის მკაცრი მუქარა, მაგრამ მაინც ძალიან კარგ გუნებაზე იყო.

მეორე დღეს, დილით, ბაზენი ტურში წავიდა. მას რვა დღე ჰქონდა მიცემული დავალების ასასრულებლად.

გაისტუმრეს ბიჭები და მათი დაბრუნების მოლოდინში მოსვენება დაეკარგა ჩვენს ოთხ მეგობარს. ისინი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ. მთელ დღეებს სულ იმის ცდაში აღამებდნენ, რომ ყური მოეკრათ, სად რას ამბობდნენ, თვალი არ მოეშორებინათ კარდინალისათვის და გაეგოთ, რა ამბები მოჰქონდათ შიკრიკებს. ისინი ხშირად აუტანია შიშის თრთოლას, როდესაც რაიმე მოულოდნელი დავალების მისაცემად დაიბარებდნენ ხოლმე, მაგრამ უამისოდაც ყოველთვის ძალიან ფრთხილად იყვნენ, რადგან მილედი ავსული აჩრდილივით ედგათ თვალწინ და მისგან ღამეც ვერ პოულობდნენ მოსვენებას.

მერვე დღეს, დილით, ჩვეულებისამებრ მხიარულმა, დამშვიდებულმა და მუდამ მომღიმარმა ბაზენმა პარპაიოს ტრაქტირის კარი შეაღო, რადგან იქ საუზმობდნენ ჩვენი მეგობრები და ადრევე დადებული შეთანხმებისამებრ, მოკლედ მოახსენა:

– ბატონო არამის, აი, თქვენი დის პასუხი.

სიხარულით გადახედეს ერთმანეთს მუშკეტერებმა. საქმის ნახევარი დამთავრდა, მართალია, ადვილი და ხანმოკლე დავალება იყო, მაგრამ ცოტა მაინც თავისუფლად ამოისუნთქეს.

არამისი თავისდა უნებურად გაწითლდა, როდესაც ბაზენს მსხვილი ასოებით და ყოველგვარი ორთოგრაფიული წესების დაცვის გარეშე დაწერილი წერილი ჩამოართვა.

– ღმერთო კეთილო, – წამოიძახა სიცილით, – მე უკვე იმედი მეკარგება, საწყალი მიშონი ვერასოდეს ვერ ისწავლის ხეირიან წერას.

– ვინ არის ეგ თქვენი საწყალი მიშონი? – ჰკითხა შვეიცარიელმა, რომელიც წერილის მიღების დროს ჩვენს ოთხ მეგობართან იდგა და ელაპარაკებოდა.

– ისეთი არავინ, რომ ყურადღების ღირსი იყოს, – მიუგო არამისმა, – ერთი კოპწია მოსარეცხე გოგოა, რომელიც ძალიან მიყვარდა და ამიტომ ვთხოვე, სამახსოვროდ რამდენიმე სიტყვა მაინც მოეწერა.

– კიდევ კარგი, – უთხრა შვეიცარიელმა, – თორემ თუ დიდებული ქალბატონი გწერთ მაგნაირი ხელით, ნეტარებას ვერ მოგილოცავთ.

არამისმა წერილი წაიკითხა და ათოსს გადასცა.

– ერთი ნახეთ, რასა მწერს, ათოს!

ათოსმა თვალი გადააავლო წერილს და შემდეგ ყოველგვარი ეჭვის გასაფანტავად ხმამაღლა წაიკითხა:

„საყვარელო ჩემო ძმაო! მე და ჩემმა დამ კარგად ვიცით სიზმრების ახსნა და ძალიანაც გვეშინია მათი, მაგრამ თქვენი სიზმრის შესახებ, ვიმედოვნებ, შეიძლება ვთქვა: ყოველი სიზმარი სიცრუეა. ნახვამდის! კარგად იყავით, ხანდახან მაინც მოახერხეთ და თქვენი ამბავი გაგვაგებინეთ.

მარია მიშონი“.

– რა სიზმარზე იწერება თქვენი მიშონი? – ჰკითხა დრაგუნმა, რომელიც მუშკეტერებს მიუახლოვდა წერილის კითხვის დროს.

– დიახ, რა სიზმარი აინტერესებს? – ჩაერია შვეიცარიელი.

– ეჰ, დალახვროს ეშმაკმა, სულ უბრალო სიზმარია, რომელიც მე ვნახე და მივწერე, – მიუგო არამისმა.

– ყმაწვილი გოგო ნახეთ ძილში და მასვე მისწერეთ თქვენი სიზმარი? მე კი სიზმრისა არა ვიცი რა, – თქვა შვეიცარიელმა.

– ბედნიერი კაცი ყოფილხართ, – უთხრა ათოსმა და ადგა, – ნეტავი მეც შემეძლოს მაგის თქმა.

– ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს სიზმარი, – გაიმეორა რამდენჯერმე შვეიცარიელმა, აღფრთოვანებულმა იმ გარემოებით, რომ ისეთი პატივცემული კაცი, როგორიც ათოსი იყო, შურით უყურებდა მის ამ თვისებას.

დ არტანიანმა დაინახა, რომ ათოსი წასვლას აპირებდა, თვითონაც ადგა, ხელი მკლავში გაუყარა და თან გაჰყვა.

პორთოსი და არამისი დარჩნენ, რომ პასუხი გაეცათ დრაგუნისა და შვეიცარიელის უმარილო ხუმრობისთვის.

ბაზენმა კი ერთი კონა ჩალა იპოვა და ზედ დაწვა, ხოლო რადგან იგი უფრო მეოცნებე იყო, ვიდრე შვეიცარიელი, დაესიზმრა, რომ პაპად ნაკურთხი არამისი მას კარდინალის ქუდს ახურავდა.

მაგრამ როგორც ვთქვით, ბაზენის მიერ დავალების შესრულებამ მარტო ნაწილობრივ შეამსუბუქა წუხილი და დარდი, რომელიც გულს უღრღნიდა ჩვენს მეგობრებს. მეტად გრძლად ჩანს დღე ლოდინისა, სწორედ ასე სჭირდა დ არტანიანსაც. რაზედაც გნებავდათ დაგენაძლევებოდათ, რომ დღემ იმატა და ოცდაოთხი საათის მაგივრად ორმოცდარვა საათი გახდა. დ არტანიანს ავიწყდებოდა, თუ რა დიდი დრო სჭირდებოდა ზღვით მოგზაურობას და მეტად აზვიადებდა მილედის ყოვლისშემძლეობას. ეს ქალი, მისი ფიქრით, იყო დემონი, რომელსაც ზებუნებრივი ძალები ეხმარებოდნენ.

ქაჯად გარდაქმნილი ედგა თვალწინ ეს ქალი. სულ მცირე ხმაურზე წარმოიდგენდა, თითქოს მის შესაპყრობად მოდიოდნენ და თან პლანშე მოჰყავდათ, რომ პირისპირ დაეყენებინათ მისთვის და მისი მეგობრებისათვის. უფრო მეტიც: დ არტანიანის დიდი ნდობა ღირსეული პიკარდიელისადმი ახლა დღითი დღე მცირდებოდა. მისი ეს სულიერი მოუსვენრობა იმდენად გაიზარდა, რომ პორთოსსა და არამისსაც გადაედოთ. მარტო ათოსი რჩებოდა გულგრილად. მას თავი ისე ეჭირა, თითქოს არავითარი განსაცდელი არ იყო მოსალოდნელი და იმავე ჰაერით სუნთქავდა, რომლითაც მშვიდობიანობის დროს.

მეტადრე მეთექვსმეტე დღეს ისე ძლიერად გამოაჩნდათ მღელვარების ეს ნიშნები დ არტანიანსაც და მის ორ მეგობარსაც, რომ ერთ ადგილას ვეღარ ჩერდებოდნენ და აჩრდილებივით დაწრიალებდნენ იმ გზაზე, რომლითაც პლანშე უნდა მოსულიყო.

– სწორი უნდა მოგახსენოთ, ბავშვები ხართ და არა ვაჟკაცები, – ეუბნებოდა ათოსი, – ნუთუ ასე შეგაშინათ ქალმა? ერთი მითხარით, რისა გეშინიათ? რა უნდა გვიყონ? დაგვაპატიმრებენ? დაგვეხმარება ვინმე, გამოგვიყვანენ ციხიდან, განა ქალბატონი ბონასიე არ გაათავისუფლეს პატიმრობიდან? თავს მოგვჭრიან? და განა ყოველდღე სიამოვნებით არ მივეშურებით საბრძოლველად, სადაც ამაზე უარესი საფრთხეა მოსალოდნელი. ხომ შეიძლება ფეხი მომტეხოს ყუმბარამ? დარწმუნებული ვარ, ქირურგი უფრო მეტ ტანჯვას მოგვაყენებს ფეხის მოჭრით, ვიდრე ჯალათი – თავის გაგდებინებით. დამშვიდდით, მოთმინებით ელოდეთ იმ კაცის მოსვლას. ორი საათის, ექვსი საათის შემდეგ ან უფრო გვიან, პლანშე აქ გაჩნდება, დაგვპირდა, ვადაზე მოვალო და იცოდეთ, მოვა კიდეც. მე მჯერა მისი სიტყვისა, რადგან მართლაც ყოჩაღი ბიჭი ჩანს.

– რომ არ მოვიდეს? – თქვა დ არტანიანმა.

– ალბათ, დააგვიანა რაიმემ, სხვა არაფერი. შეიძლება, ცხენმა გადმოაგდო ან ხიდიდან გადავარდა, ან ისე სწრაფად ირბინა, რომ გაცივდა და ფილტვების ანთება შეეყარა. ეჰ, ყმაწვილებო! ყოველგვარ შემთხვევასაც დავუდოთ თავისი წილი. ცხოვრება პატარა უბედურებების კრიალოსანია, რომლებსაც სიცილითა

სთვლიან ფილოსოფოსები. ჰოდა, თქვენც ჩემსავით ფილოსოფოსები იყავით, შემოვუსხდეთ სუფრას და დავლიოთ! ვერაფერი დაგანახვებთ ცხოვრებას ისე ტკბილად და ვარდისფრად, როგორც წითელი შამბერტენული ღვინო!

– ძალიან კარგი, – უპასუხა დ არტანიანმა, – მაგრამ რა ვქნა, დავიღალე. ღვინო ვეღარ დამილევია იმის შიშით, რომ მილედის მარნიდან არ იყოს.

– მეტი რა გინდათ? ისეთი მშვენიერი ქალისაგან, – უთხრა ათოსმა.

– დაღიანი ქალისაგან, – თქვა პორთოსმა სიცილით.

ათოსს შეაჟრჟოლა, შუბლზე მოისვა ხელი, რომ ოფლი ჩამოეწმინდა, და ნერვიულად წამოდგა, ისე ძალიან ღელავდა, რომ თავი ვეღარ შეიკავა.

როგორც იყო გავიდა დღე, ნელ-ნელა დაბინდდა და ბოლოს დაღამდა კიდეც. ხალხით გაივსო დუქნები. ათოსს ჯიბეში ჩაეჩხრიალებინა თავისი წილი დედოფლის ბეჭდის საფასურისა და პარპაიოს ტრაქტირიდან აღარ გამოდიოდა. ბატონ ბუზინის სახით, რომელმაც საგანგებოდ სადილი გადაუხადა წაგებულ სანაძლეოში, ათოსმა ღირსეული პარტნიორი შეიძინა. საათმა რომ შვიდი დაჰკრა, ისინი ჩვეულებისამებრ ისხდნენ და თამაშობდნენ. გარედან მოისმა ფეხის ხმა პატრულებისა, რომლებიც საგუშაგოების გასაძლიერებლად მიდიოდნენ. რვის ნახევარზე დაჰკრეს საღამოს ბუკი.

– დავიღუპეთ! – ჩასჩურჩულა დ არტანიანმა ათოსს.

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ ფული დავღუპეთ? – უპასუხა თავისებური სიმშვიდით ათოსმა, თან ჯიბიდან ოთხი პისტოლი ამოიღო და მაგიდაზე დაყარა, – კმარა, ბატონებო! აგერ, ბუკის ხმაა. ძილის დროა.

ამის შემდეგ ათოსმა დატოვა ტრაქტირი, დ არტანიანიც მას გამოჰყვა, უკან არამისი და პორთოსი მოსდევდნენ. არამისი ლექსავდა რაღაცას, პორთოსი იმედმიხდილი მწარედ იწიწკნიდა ულვაშს.

მაგრამ უცბად ღამის სიბნელეში გამოჩნდა ცხენოსანი კაცის აჩრდილი და გაისმა დ არტანიანისათვის ნაცნობი ხმა.

– თქვენი წამოსასხამი მომაქვს, ბატონო, რადგან ამ საღამოს ძალიან ცივა.

– პლანშე! – შეჰყვირა სიხარულით დამთვრალმა დ არტანიანმა.

– პლანშე! – შეჰყვირეს არამისმა და პორთოსმა.

– პლანშე, პლანშე! – შეაჩერა ათოსმა, – რამ გაგაგიჟათ? დაგვპირდა, რვა საათზე გეახლებითო, და, აი, სწორედ რვაჯერ დაჰკრა საათმა. ყოჩაღ, პლანშე! სიტყვის ბიჭი ყოფილხართ, და თუ ოდესმე თავი დაანებეთ თქვენს ბატონს, მაშინვე ჩემკენ წამოდით.

– ოჰ, არა, ბატონო! ჩემს სიცოცხლეში ვერ ვუმტყუნებ ბატონ დ არტანიანს, – მიუგო პლანშემ და თან დ არტანიანს ჩუმად ხელში პატარა ბარათი ჩაუდო.

დ არტანიანს ძალიან უნდოდა მოხვეოდა და გულში ჩაეკრა პლანშე, კოცნით მისალმებოდა დაბრუნებულს, ისევე, როგორც კოცნით გაისტუმრა მიმავალი, მაგრამ თავი შეიკავა, მოერიდა, შუა ქუჩაში მსახურისადმი ამგვარი გრძნობების გამოჩენა უცნაურად არ სჩვენებოდათ გამვლელებს და სალაპარაკოდ არ გაეხადათ.

– წერილი მომივიდა, – უთხრა ამხანაგებს.

– მაშ, ჩემთან მივიდეთ და იქ წავიკითხოთ, – თქვა ათოსმა.

ბარათი ხელზე ცეცხლს უკიდებდა დ არტანიანს და ცდილობდა აეჩქარებინა ნაბიჯი, მაგრამ ათოსმა მკლავი მკლავში გაუყარა, თავისებური ნელი ნაბიჯით წაიყვანა.

ბოლოს როგორც იქნა შევიდნენ კარავში, აანთეს სანთელი და კარებთან პლანშე დააყენეს, რომ თავს არავინ წასდგომოდათ წერილის კითხვის დროს. დ არტანიანმა ხელის კანკალით ამოიღო ჯიბიდან ბარათი, გატეხა ბეჭედი და გულისფანცქალით გახსნა.

სულ ნახევარი სტრიქონი იყო დაწერილი ბრიტანულ ენაზე და ლაკონიური სიმოკლით.

„თჰანკ ყოუ, ბე ეასყ“1

ათოსმა დ არტანიანს წერილი გამოართვა, სინათლის ალზე დაიჭირა და ხელიდან არ გაუშვა, სანამ მთლად ფერფლად არ იქცა. მერე პლანშეს დაუძახა.

– ახლა შეგიძლია მიიღო შენი შვიდასი ლივრი, თუმცა საშიში არა გქონდა რა, იმ პატარა ბარათით კიდეც რომ დაეჭირე.

– მე კი სულ იმას ვცდილობდი, ისე დამემალა, რომ ეშმაკსაც ვერ მიეგნო.

– მოდი, გვიამბე შენი თავგადასავალი, – უთხრა დ არტანიანმა.

– ოჰ, დილამდე ვერ გავათავებ, ბატონო.

– მართალი ხარ, პლანშე, – უთხრა ათოსმა, – უკვე დაჰკრეს ღამის ბუკი და ასე რომ გვენთოს სანთელი, ეჭვს აღვუძრავთ მეთვალყურეებს.

– თანახმა ვარ, დავწვეთ, – დაეთანხმა დ არტანიანი. – მშვიდად დაიძინე, ჩემო პლანშე.

– გეფიცებით, ბატონო, ჩემი მგზავრობის პერიოდში ეს პირველი შემთხვევა იქნება. ამ თექვსმეტი დღის განმავლობაში ჯერ დამშვიდებით არ მიძინია.

– არც მე! – დაუმატა დ არტანიანმა.

– არც მე! – წამოიძახა პორთოსმა.

– არც მე! – თქვა არამისმა.

– მაშ, კარგით, გინდათ, ვაღიარო სრული სიმართლე? არც მე! – თქვა ათოსმა.

XIX

ბედისწერა

გაშმაგებული მილედი გემბანზე ადგილს ვერ პოულობდა. გალიაში ჩამწყვდეული ძუ ლომივით ბრდღვინავდა და ცეცხლს აფრქვევდა. ერთი პირობა ზღვაში ჩახტომაც მოინდომა, რომ ცურვით გასულიყო ნაპირზე. მას ვერ მოენელებინა დ არტანიანისაგან მიყენებული შეურაცხყოფა და ათოსის მუქარა. ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ საფრანგეთს ტოვებდა, მტრის ჯავრი კი ამოუყრელი რჩებოდა.

ამ ფიქრმა ისე დაიმორჩილა მისი გრძნობა-გონება, ისე აუტანელი წამებით ქენჯნიდა, რომ არ დაეძებდა, რაც უნდა დამართოდა, და კაპიტანსა სთხოვა, სადმე ზღვის ნაპირზე დაეტოვებინა. მაგრამ კაპიტანსაც მეტად ეჩქარებოდა ამ საშინელი მდგომარეობისაგან თავის დაღწევა. იგი ფრანგებისა და ინგლისელების სამხედრო გემებს შუა ჩავარდნილიყო, როგორც ღამურა – თაგვებსა და ფრინველებს შორის, და ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მალე მისდგომოდა ინგლისის სანაპიროს. მან გადაჭრით უარყო მილედის თხოვნა, რადგან მისი სურვილი ქალურ ჟინიანობას მიაწერა. თუმცა, თან თავის მგზავრს, რომლის მშვიდობით მგზავრობის შესახებ პირადად კარდინალის განკარგულება ჰქონდა, ჰპირდებოდა ბრეტანის ერთ-ერთ ნავსადგურში – ლორიანში ან ბრესტში გადმოსმას, თუ ამის საშუალებას მისცემდა ზღვა და ფრანგების გემები. მაგრამ ზღვა ბობოქრობდა და ქარიც საწინააღმდეგო მიმართულებით უბერავდა. კაპიტანი იძულებული იყო ნაპირისაგან შორს დაეჭირა გემი. მწუხარებისა და გაშმაგებისაგან ფერმიხდილმა მილედიმ შარანტიდან გასვლის შემდეგ მხოლოდ მეათე დღეს დაინახა ფინისტერის მოლურჯო ნაპირები.

მილედიმ სწრაფად გამოთვალა, რომ ამ ადგილებიდან კარდინალთან მისაღწევად, სულ ნაკლები, სამი დღე მაინც დასჭირდებოდა; ერთი დღე – გემიდან გადმოსვლას, ეს ოთხი, ამას მიუმატა ცხრა, რომელიც ისევ ინგლისში

დასაბრუნებლად მოუნდებოდა, და სულ ცამეტი გამოვიდა. ეს ცამეტი დღე ამაოდ დაკარგული იქნებოდა. ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რამდენი მეტად დიდმნიშვნელოვანი ამბავი შეიძლება მომხდარიყო ლონდონში, მილედიმ ისიც გაიფიქრა, რომ დაბრუნებით კარდინალის რისხვას დაიმსახურებდა და, მაშასადამე, მისი ყოვლადუწმინდესობა უფრო სიამოვნებით მოისმენდა მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს, ვიდრე თვითონ მილედის საჩივარს. ყველა ამ მოსაზრებათა გამო, ისე გაიარეს ლორიანი და ბრესტი, რომ კაპიტანი აღარ შეუწუხებია თავისი თხოვნით და აღარც ის აგონებდა მის მიერ მიცემულ დაპირებას. ამგვარად, მილედიმ განაგრძო გზა და სწორედ იმ დღეს, როდესაც პლანშე პორტსმუტში გემში ჩაჯდა, რომლითაც საფრანგეთში ბრუნდებოდა, მისი ყოვლადუწმინდესობის მახარობელი ქალბატონი ინგლისის ნავსადგურში შევიდა.

მთელი ქალაქი რაღაც არაჩვეულებრივ მღელვარებას მოეცვა, ზღვაში უშვებდნენ უკანასკნელ დროს აგებულ ოთხ დიდ გემს. ჯებირზე მოჩანდა ლორდი ბუკინგამი, ბუზმენტით და ოქრომკედით მოქარგული ტანისამოსით, რომელიც, ჩვეულებისამებრ, სულ თვალ-მარგალიტით ბრწყინავდა, ქუდის თეთრი ბუმბული მხარზე სცემდა, გარს ისეთივე ბრწყინვალე ამალა ეხვია, როგორიც თვითონ იყო.

ეს იყო ზამთრის ის იშვიათი კარგი დღე, რომელიც ინგლისელებს მოაგონებს ხოლმე, რომ ქვეყანაზე მზე არსებობს. ფერმკრთალი, მაგრამ კაშკაშა მზე ჰორიზონტს ეფარებოდა და ცეცხლის ზოლში ახვევდა ცისა და ზღვის უსაზღვრო სივრცეს, მისგან ტყორცნილი უკანასკნელი ოქროსფერი სხივები კოშკებისა და ქალაქის ძველი სახლების ფანჯრების მინებს ისე აელვარებდნენ, თითქოს ცეცხლის ალი მოსდებიათო. მილედი ღრმად სუნთქავდა ზღვის სუფთა, ბალზამოვან ჰაერს და თან თვალს არ აშორებდა ძლიერი ლაშქრის საომარ სამზადისს, რომელსაც მარტო თვითონ, ისიც ქალი, უნდა შებრძოლებოდა ოქროთი სავსე ქისით, და ჩაეშალა.

ამ გარემოებამ მას თავი შეადარებინა ივდითს. ივდითიც ხომ ასე შეიპარა ასირიელების ბანაკში, სადაც დაინახა მრავალი საომარი ეტლი, ურიცხვი ცხენი, ჯარი და იარაღი, რომელიც ქარისაგან გაფანტული კვამლივით უნდა გაენიავებინა ერთი ხელის მოქნევით.

გემი ნავსადგურში შევიდა. ის იყო, ღუზა უნდა ჩაეშვათ, რომ მას კარგად შეიარაღებული პატარა კუტერი1 მიუახლოვდა და ზღვაში ჩაუშვა ნავი, რომელიც მილედის გემს მიადგა. ნავში ისხდნენ ოფიცერი, ათისთავი და რვა მენიჩბე. გემბანზე მარტო ოფიცერი ავიდა და მისი მუნდირის გავლენით, იგი დიდი პატივისცემით მიიღეს.

კარგა ხანს ელაპარაკა ოფიცერი გემის კაპიტანს, აჩვენა და წააკითხა რაღაც ქაღალდები. მის შემდეგ, მისი ბრძანების თანახმად, კაპიტანმა გემბანზე გაიყვანა გემის მთელი ეკიპაჟი და მგზავრები.

როდესაც გემბანი ხალხით გაივსო, ოფიცერმა ხმამაღლა დაიწყო გამოკითხვა: საიდან წამოვიდა გემი, რა გზით მოდიოდა, სად გაჩერდა. გემის კაპიტანმა ყველა ამ კითხვას სრულიად ადვილად და დაუყოვნებლივ გასცა პასუხი. შემდეგ ოფიცერმა ცალ-ცალკე უკლებლივ დაათვალიერა გემის მთელი შემადგენლობა. მილედისთან რომ მივიდა, დიდხანს უყურა, თუმცა თქმით კი არა უთხრა რა.

მერე ისევ კაპიტანთან მივიდა, რამდენიმე სიტყვა უთხრა. იმ წუთიდან თითქოს გემის სრულუფლებიანი განმკარგულებელი გახდა. მისი ერთი ბრძანება მაშინვე იქნა შესრულებული – გემი ადგილიდან დაიძრა ინგლისელთა კუტერის თანხლებით, რომელიც მას გვერდით მისდევდა და ექვსი ზარბაზნის ლულით ემუქრებოდა, თუ რაიმე წინააღმდეგობას გაბედავდა.

როდესაც ოფიცერი მილედის აკვირდებოდა, თვითონ მილედიც, როგორც ამას უჩვენოდაც წარმოიდგენს მკითხველი, თვალებით ჭამდა ახალგაზრდა კაცს,

მაგრამ მისი ალისმფრქვევი თვალები, რომლებსაც ჩვეულებად ჰქონდათ გადაქცეული ამოკითხვა ადამიანთა გულის იმ საიდუმლოებისა, რომელიც მას სჭირდებოდა, ამჯერად ისეთ უგრძნობ სახეს წააწყდა, რომ ვერაფერი გააწყო. ოფიცერი, რომელიც ასე დაკვირვებით სწავლობდა მილედის, ოცდახუთი-ოცდაექვსი წლისა იქნებოდა, თეთრი სახე, ცისფერი, ოდნავ ჩაცვენილი თვალები, წვრილი, სწორად გამოყვანილი ტუჩები და წინ გამოშვერილი ნიკაპი ჰქონდა, რაც მისი ნებისყოფის სიმტკიცეს აღნიშნავდა. ოდნავ უკან გადაწეულ შუბლს მოკლედ შეჭრილი თხელი თმა ფარავდა, ხოლო სახის ქვემო ნაწილს ამშვენებდა მუქი წაბლისფერი წვერი.

როდესაც ნაპირს მიადგნენ, ღამე უკვე თავის უფლებებში შესულიყო. სიბნელეს ბურუსიც მომატებოდა და ზღვის დიდრონი სანათებისა და ზღვის პირის მაშუქების ირგვლივ რგოლებსა ქმნიდა, როგორც მთვარის გარშემო იცის ხოლმე შემოკვრა წვიმის დაწყების წინ. ჰაერი მეტად ცივი, ნესტიანი და დამაღონებელი იყო.

მილედი, ეს საოცრად მტკიცე ხასიათის ქალი, უნებურ კანკალს აეტანა.

ოფიცერმა ბრძანება გასცა, ეჩვენებინათ მილედის ბარგი. შემდეგ თვითონ მილედის სთხოვა, ნავში ჩაბრძანებულიყო, და საშველად ხელი გაუწოდა.

მილედი დააცქერდა მას და ყოყმანი იწყო.

– ვინ ბრძანდებით, ბატონო, რომ ასეთი კეთილმზრუნველობით მეხმარებით? – ჰკითხა ყმაწვილ კაცს.

– განა ჩემი სამხედრო ტანისამოსი არ გაძლევთ ამის პასუხს? ინგლისის ფლოტის ოფიცერი გახლავართ, – უპასუხა მან.

– ვხედავ, ბატონო, მაგრამ ეს მითხარით, განა ჩვეულებადა აქვთ ინგლისის ფლოტის ოფიცრებს, რომ მათ თანამემამულე ქალებს, რომლებიც ბრიტანეთის რომელიმე ნავსადგურში ჩამოვლენ, ყოველგვარი დახმარება გაუწიონ და მათი ზრდილობა იქამდე მივიდეს, რომ გემიდანაც თვითონ ჩამოიყვანონ?

– დიახ, მილედი, ჩვეულებადა გვაქვს, მაგრამ არა ზრდილობისათვის, არამედ სიფრთხილის გამო, რომ ომიანობის დროს უცხოელები მათთვის განკუთვნილ სასტუმროში მოვათავსოთ და მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, ვიდრე სრულ ცნობებს შევკრებდეთ მათი ვინაობისა და განზრახვის შესახებ.

ოფიცერმა ეს სიტყვები უაღრესი ზრდილობითა და დამაჯერებლობით წარმოთქვა, მაგრამ ამან ვერ დაამშვიდა ქალბატონი უინტერი.

– მერე, მე ხომ უცხოელი არა ვარ, ბატონო? – უთხრა ისეთი წმინდა ინგლისური გამოთქმით, რომლის დარი არსად თქმულა პორტსმუტიდან მანჩესტერამდე, – მე ლედი კლარიკი ვარ და ჩემი გარევა უცხოელებში...

– ეს ღონისძიება ყველას შეეხება, მილედი, და ამაოდ ეცდებით გაექცეთ მას.

– არცა ვცდილობ, ბატონო, აი წავიდეთ!

ოფიცერმა ხელი გაუწოდა და მილედიმ მისი დახმარებით ჩაიარა კიბე, რომლის ძირშიც ნავი ელოდათ. ქალი ნავში გადავიდა, ოფიცერიც თან მიჰყვა. კიჩოზე დიდი წამოსასხამი იყო გაშლილი, ოფიცერმა მილედი წამოსასხამზე დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

– იარეთ! – უბრძანა მეზღვაურებს.

რვა ნიჩაბი ერთდროულად ჩაეშვა წყალში და ნავიც თითქოს ზღვის ზედაპირზე გაფრინდა.

ხუთი წუთის შემდეგ უკვე ნაპირს მიადგნენ, ოფიცერი გადახტა და აქაც დასახმარებლად მილედის ხელი გაუწოდა.

იქვე კარეტა იცდიდა.

– ჩვენთვის არის ეს კარეტა? – ჰკითხა მილედიმ.

– დიახ, ქალბატონო, – უპასუხა ოფიცერმა.

– მაშ, შორს არის ჩვენთვის განკუთვნილი სასტუმრო?

– ქალაქის მეორე მხარეს.

– წავიდეთ, – უთხრა მილედიმ და კარეტაში გაბედულად ჩაჯდა.

ოფიცერი თვალს ადევნებდა, რომ კარგად დაელაგებინათ მილედის ბარგი და კარეტისათვის უკან მიეკრათ. როდესაც დარწმუნდა, რომ ეს საქმე წესრიგში იყო, თვითონაც კარეტაში ჩაჯდა და კარი მიიხურა.

კარეტა ყოველგვარი ბრძანებისა და მისამართის კითხვის გარეშე იმწუთსავე დაიძრა ადგილიდან, სულ ცოტა ხანში გაჭენებულმა ცხენებმა კარეტა ქალაქის ქუჩებში შეიყვანეს.

ასეთმა უცნაურმა დახვედრამ გულადი მილედი ღრმად ჩააფიქრა. ისიც შენიშნა, რომ ახალგაზრდა ოფიცერს არავითარი სურვილი არ ეტყობოდა საუბრის გაგრძელებისა, ამიტომ კუთხეში მიიკუნჭა, რათა კარგად ჩაფიქრებოდა მდგომარეობას.

თხუთმეტი წუთი იყო, რაც კარეტა მიქროდა. გაუკვირდა მილედის, სად მიდიოდა ასეთი გრძელი გზით, და ფანჯრიდან გადაიხედა, რომ დაენახა, სად იყო. სახლები აღარსად ჩანდა. ხეები წყვდიადში დიდრონ მსრბოლ აჩრდილებად მისდევდა ერთმანეთს.

მილედი აკანკალდა.

– ქალაქში აღარა ვართ, ბატონო! – მიუბრუნდა ოფიცერს.

ყმაწვილი ოფიცერი ხმას არ იღებდა.

– ფეხს აღარ გადმოვადგამ, თუ არ მეტყვით, სად მიგყავართ! აღარ წამოგყვებით, ბატონო!

ეს მუქარაც უპასუხოდ დარჩა.

– ოჰ, ეს კი მეტისმეტია! – შეჰკივლა მილედიმ, – მიშველეთ! მიშველეთ!

არავინ გამოეხმაურა მის კივილს, კარეტა ისევ ისე მიქროდა, ოფიცერი ქანდაკებას დამსგავსებოდა.

მილედიმ ოფიცერს გადახედა იმ მრისხანე გამომეტყველებით, რომელიც ზოგჯერ ახასიათებდა იმის სახეს, და ძალიან იშვიათად თუ ასცდებოდა ხოლმე მიზანს, ბრაზი რომ მოერეოდა, წყვდიადში ალს ისროდნენ მისი თვალები.

გულცივად იჯდა ყმაწვილი კაცი.

მილედის უნდოდა კარეტის კარი გაეღო და გადავარდნილიყო.

– ფრთხილად, ქალბატონო! – უთხრა გულგრილად ოფიცერმა, – ახლა რომ გადახტეთ, ცოცხალი ვერ გადარჩებით.

გააფთრებული დაჯდა მილედი, ოფიცერი დააცქერდა მას და განცვიფრებული დარჩა: სახე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ასე ლამაზი ჩანდა, სიბრაზისაგან საზარლად დაღრეჯოდა. ცბიერმა ქალბატონმა მაშინვე მოიფიქრა, რომ თავს დაიღუპავდა, თუ ვინმეს ასე ახლოდან დაანახვებდა თავის ბოროტ სულს, გული მოიბრუნა, სახის გამომეტყველება სწრაფად შეიცვალა და საწყლად შესთხოვა:

– ღვთის გულისათვის, ბატონო, მითხარით, ვის მივაწერო ჩემი ასეთი წვალება? თქვენ, თქვენს მთავრობას, თუ ვინმე მტერს, რომელიც ძალასა ხმარობს ჩემზე?

– თქვენზე ძალას არავინ ხმარობს, ქალბატონო, და რაც თქვენ წვალებად მიგაჩნიათ, ეს გახლავთ შედეგი სულ უბრალო, ადვილად გასაგები ღონისძიებისა: ომია და იძულებულნი ვართ, უნდობლად დავხვდეთ ყველას, ვინც კი ინგლისში გადმოვა.

– მაშ, თქვენ არ მიცნობთ, ბატონო?

– პირველად მხვდა ბედნიერება თქვენი ნახვისა.

– გაფიცებთ თქვენს პატიოსნებას, გაქვთ რაიმე საბუთი, რომ ასეთი სიძულვილით მომექცეთ?

– გეფიცებით, არავითარი.

ისეთი მშვიდობიანი, გულწრფელი და თანაც ტკბილი ხმით უპასუხა ყმაწვილმა კაცმა, რომ მილედი დამშვიდდა.

ბოლოს, დახლოებით ერთი საათის შემდეგ, კარეტა გაჩერდა რკინის მოაჯირთან, რომელიც ალაყაფის კარად ედო სასახლისაკენ მიმავალ გზას. მკაცრად გამოიყურებოდა თვითონ სასახლეც, ვეებერთელა, ძველებური, განმარტოებული შენობა. უკვე ქვიშიან გზაზე ხრიალებდა კარეტის თვლები. ძლიერი გუგუნი მოესმა მილედის. მიხვდა, რომ ეს ზღვის ტალღები ეხეთქებოდა ნაპირზე დიდ ლოდებს.

კარეტამ თაღებქვეშ გაიარა და ბოლოს ეღირსა ერთ მიბნელებულ ოთხკუთხ ეზოში გაჩერება. თითქმის მაშინვე გაიღო კარი, მსუბუქად გადმოხტა ყმაწვილი კაცი და მილედის ხელი შესთავაზა. ქალი დაეყრდნო მის ხელს და კარეტიდან საკმაოდ დამშვიდებული ჩამოვიდა.

მილედიმ თვალი მოავლო იქაურობას, მერე თავის თანამგზავრს გადახედა და მომხიბლავი ღიმილით უთხრა:

– ძალიანაც რომ დამიმალოთ, მაინც ცხადია, პატიმარი ვარ, მაგრამ დარწმუნებული გახლავართ, დიდხანს არ გასტანს ეს ამბავი. ჩემი სინდისი და თქვენი ზრდილობა მიმაჩნია ამის თავდებად.

მეტად პირმოთნე იყო ეს ქათინაური, მაგრამ ოფიცერმა მაინც არ გასცა პასუხი, მან ქამრის ქვეშიდან ამოიღო ვერცხლის პატარა სასტვენი, რომელიც ძალიან ჰგავდა სამხედრო გემების ბოცმანების სასტვენს, და სამჯერ დაუსტვინა სხვადასხვა ხმაზე. უცბად გამოვარდა რამდენიმე კაცი, კარეტა ბანქვეშ შეაგორეს და გაოფლიანებული ცხენები გამოუშვეს.

ყმაწვილმა კაცმა ისეთივე ზრდილობით მილედი სახლში მიიწვია. ქალმა ისევ ღიმილით დამშვენებული სახით, მკლავში ხელი მოჰკიდა, მასთან ერთად გაიარა დაბალი თაღიანი კარი და ავიდნენ ქვის კიბით, რომელიც ქვის სვეტის ირგვლივ იყო აყვანილი. ერთ დიდ კარებთან გაჩერდნენ. ოფიცერმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო, საკეტში გადაატრიალა. კარები მძიმედ გაჭრიალდა. ოფიცერმა მილედი მისთვის განკუთვნილ ოთახში შეიყვანა.

ერთი თვალის გადავლებით გასინჯა პატიმარმა ამ ოთახის ყოველი წვრილმანი.

ოთახის მოწყობილობა ერთნაირად გამოდგებოდა როგორც პატიმრისათვის, ისევე თავისუფლად მცხოვრები კაცისთვისაც, თუმცა ფანჯრებზე აკრული რკინის გისოსები და კარებზე რკინის ურდული უფრო იმას ამტკიცებდა, რომ საპატიმრო უნდა ყოფილიყო.

ერთ წამს გაუქრა მრავალი საზარელი განსაცდელით ბრძმედში გამოჭედილი სულის ძალა და სავარძელზე დაეშვა, ხელები გულზე დაიკრიფა, თავი დაღუნა და ყოველ წუთს ელოდა მსაჯულის შემოსვლას.

მაგრამ არავინ შესულა მასთან, გარდა ორი-სამი მეზღვაურისა, რომლებმაც მისივე ბარგი მოართვეს, ყუთები და ბოხჩები ერთ კუთხეში დაალაგეს და ხმის ამოუღებლად წავიდნენ.

ყოველივე ამას განაგებდა ყმაწვილი ოფიცერი ისეთივე სიმშვიდით, როგორითაც მილედის ექცეოდა. მხოლოდ ჩუმად იყო, თვითონ არას ამბობდა და ბრძანებას სასტვენით ან ხელის მოძრაობით აძლევდა. რომ გენახათ, იტყოდით, ამ კაცისათვის და მისი მორჩილი მსახურისათვის ენა არ არსებობს, ან არადა, უსარგებლო გამხდარაო.

ბოლოს ვეღარ გაუძლო ქალმა ამდენ დუმილს და ერთხელ კიდევ სთხოვა:

– ღვთის გულისათვის, ბატონო, რას მოასწავებს ჩემი აქ დამწყვდევა? გამაგებინეთ რაიმე, ცოტაოდენი გულადობა მეცა მაქვს, რომ მაგრად დავხვდე მოსალოდნელ განსაცდელს და ქედი არ მოვიხარო ჩემკენ მომავალი

უბედურების წინაშე, მაგრამ მაინც მინდა ვიცოდე: სად ვარ? ან რად ვარ აქ? თუ თავისუფალი ვარ, მაშ, რად გაგიმაგრებიათ რკინის გისოსებით ეს ფანჯრები და რკინის ურდულებით ეს კარები? თუ პატიმარი ვარ, არ უნდა მითხრათ, რა დავაშავე?

– თქვენ ბრძანდებით, ქალბატონო, იმ სახლში, რომელიც თქვენთვის არის განკუთვნილი, მე მივიღე ბრძანება, დაგხვედროდით ზღვის პირას, გემიდან ჩამომეყვანეთ და ამ სასახლეში მომეყვანეთ, მე მგონი, ეს ბრძანება პირნათლად ავასრულე, როგორც შემეფერება ჯარისკაცს. ამასთან, თავაზიანადაც, როგორც ეს კეთილშობილ ადამიანს შეეფერება, ამით თავდება – ყოველ შემთხვევაში, ამ დრომდე მაინც, – ის დავალება, რომელიც მე მქონდა დაკისრებული. დანარჩენი სხვა პიროვნებას შეეხება.

– მერე, ვინ არის ეგ სხვა პიროვნება? – მივარდა მილედი, – არ შეიძლება დამისახელოთ?

ამ დროს კიბიდან რამდენიმე კაცის ფეხის ხმა და დეზების წკარუნი გაისმა, ერთი მათგანი მილედის კარისაკენ მოდიოდა.

– აი, ბატონო, ის პიროვნება, – უთხრა ოფიცერმა, გზიდან გადადგა და პატივისცემითა და მორჩილებით გამოიჭიმა.

კარი გააღო. კარის ზღურბლზე კაცი გამოჩნდა, უქუდოდ იყო. გვერდზე ხმალი ეკიდა და თითებით ცხვირსახოცს ჭმუჭნიდა.

მილედის ნაცნობად ეჩვენა ბნელში ეს აჩრდილი. ერთი ხელით სავარძელს დაეყრდნო, წინ წასწია თავი, რომ თავის ეჭვში დარწმუნებულიყო.

ამასობაში უცნობი თანდათან უახლოვდებოდა. რამდენადაც წინ მიიწევდა იგი და ლამპის სინათლე ხვდებოდა, იმდენად მილედი უნებურად უკან იწევდა. მერე, როდესაც აღარავითარი ეჭვი აღარა ჰქონდა, განცვიფრებული ხმით დაიძახა:

– როგორ? ეს თქვენა ბრძანდებით, ჩემო მაზლო?

– დიახ, კეკლუცო ქალბატონო! – უპასუხა ლორდმა უინტერმა და თავი ზრდილობიანად და თან დაცინვით დაუკრა.

– მაშ, ეს სასახლე?..

– ჩემი გახლავთ.

– და ეს ოთახი?

– თქვენი გახლავთ.

– მაშ, მე თქვენი პატიმარი ვარ?

– თითქმის.

– ეს ხომ საშინელი ძალმომრეობაა!

– თავი დავანებოთ მაღალფარდოვან სიტყვებს, დავსხდეთ და მშვიდობიანად მოვილაპარაკოთ, როგორც შეჰფერის რძალ-მაზლს.

მერე კარისკენ მიბრუნდა და ყმაწვილ ოფიცერს, რომელიც მის უკანასკნელ ბრძანებას ელოდა, უთხრა:

– სხვა არაფერი, გმადლობთ! ახლა კი მარტონი დაგვტოვეთ, ბატონო ფელტონ.

XX

რძალ-მაზლის საუბარი

მანამ ლორდი უინტერი კარებს გადაკეტავდა, ფანჯრის დარაბას მიხურავდა და სკამს მიიდგამდა თავისი რძლის სავარძელთან, ქალბატონი ჩაფიქრებული იჯდა. ყოველგვარ შესაძლებლობას ითვალისწინებდა თავისი მდგომარეობის შესახებ და ბოლოს იმ ფიქრზე შეჩერდა, რომლის წარმოდგენა არ შეიძლებოდა ჰქონოდა, სანამ არ იცოდა, ვისთან იყო ან ვისთან ჰქონდა საქმე.

ნამდვილ აზნაურად მიაჩნდა თავისი მაზლი. ნადირობით და ბანქოს თამაშით გატაცებული, ქალების მოყვარული, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ინტრიგებში არად ვარგოდა. მაშ, როგორ უნდა გაეგო მილედის ჩამოსვლა? რადა ჰყავდა დაპატიმრებული?

მართალია, ათოსის მიერ ნათქვამმა რამდენიმე სიტყვამ მილედი დაარწმუნა, რომ ვიღაცა უცხო ყურს თავიდან ბოლომდე მოესმინა მისი და კარდინალის საიდუმლო ბაასი, მაგრამ როგორ წარმოიდგენდა, თუ ასე სწრაფად და ასე მოხერხებულად დაახვედრებდნენ ნაღმს მის ჩანაფიქრს. არადა, მას უფრო იმაზე ეპარებოდა ეჭვი, რომ ბუკინგამმა მას დააბრალა ორი ბურნიკის ჩამოჭრა და ამით ცდილობდა მის დასჯას, მაგრამ ისეთი კაცი არ იყო ბუკინგამი, რომ ასეთი საშუალება ეხმარა ქალის წინააღმდეგ, მეტადრე როდესაც გრძნობდა, რომ ამ საძაგლობას ეჭვით გაგიჟებული შეყვარებული ქალი სჩადიოდა.

ეს მეორე აზრი მაინც უფრო საფუძვლიანად ეჩვენა, – წარსულის გამო მსჯიანო და არა მომავლის გეგმებისათვისო, – გაიფიქრა მან, ღრმად ჩაფიქრებული, მაინც ტაშს უკრავდა თავის თავს, რომ მაზლის ხელში ჩავარდა, რადგან ეგონა, ამას უფრო ადვილად და იაფად დაიყოლიებდა, ვიდრე სხვა ვინმე გონიერ მტერს.

– დიახ, მოვილაპარაკოთ, ჩემო მაზლო, – მიმართა სიხარულით, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ ბაასში, მიუხედავად ლორდი უინტერის ცდისა, საიდუმლოდ დარჩენილიყო ყველაფერი, გამოეტყუა ნამდვილი ჭეშმარიტება, რათა მომავალში იმის მიხედვით ემოქმედა.

– მაშ, გაბედეთ და კვლავ ინგლისს დაუბრუნდით? – უთხრა ლორდმა უინტერმა, – მიუხედავად თქვენი გადაწყვეტილებისა, რომ თქვენს სიცოცხლეში ფეხს არ შემოდგამდით ინგლისის მიწაზე, რაც არაერთხელ გითქვამთ ჩემთვის პარიზში?

ამ კითხვას კითხითვე უპასუხა მილედიმ:

– უპირველეს ყოვლისა, გამაგებინეთ, როგორ მოახერხეთ, რომ ასე მკაცრად მადევნეთ თვალი და წინასწარ იცოდით არა მარტო ჩემი მოსვლა, არამედ დღე, საათი და ნავსადგურიც კი, სადაც უნდა ჩამოვსულიყავი?

ლორდმა უინტერმაც იმავე ტაქტიკას მიმართა, რომელსაც მილედი ხმარობდა, – ალბათ, ასე ჯობია, თორემ ჩემი რძალი ამას არ გამოიყენებდაო, – გაიფიქრა მან:

– ჯერ თქვენ თვითონ გამაგებინეთ, ჩემო საყვარელო რძალო, რა საქმე გაქვთ? რისთვის ჩამოსულხართ ინგლისში?

– თქვენს სანახავად, – მიუგო მილედიმ და ის არ იცოდა, როგორ აძლიერებდა ამ პასუხით იმ ეჭვებს, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა უინტერს დ არტანიანის წერილის შემდეგ. ტკბილი სიცრუით უნდოდა თავისი მაზლის კეთილგანწყობილების მოგება.

– აჰ, ჩემს სანახავად? – წამოიძახა თვალთმაქცურად უინტერმა.

– თქვენს სანახავდ, ბატონო! ნუთუ ეჭვი გეპარებათ? რა არის აქ გასაკვირველი?

– ნუთუ ინგლისში მხოლოდ იმიტომ მოდიოდით, რომ მე გენახეთ და სხვა განზრახვა არაფერი გქონდათ?

– სხვა არაფერი.

– მაშ, მარტო ჩემთვის შეიწუხეთ თავი და ლამანში გადმოიარეთ?

– მარტო თქვენთვის.

– აი, დასწყევლა!.. ძალიან გყვარებივართ, ჩემო რძალო!

– როგორ არ უნდა მიყვარდეთ, მე თქვენი უახლოესი ნათესავი არა ვარ? – ჰკითხა მილედიმ გულწრფელობითა და გრძნობით.

– და ერთადერთი ჩემი მემკვიდრე, არა? – უთხრა თავის მხრივ ლორდმა უინტერმა და თვალი თვალში გაუყარა.

დიდი გაჭირვებით იმორჩილებდა გრძნობებს მილედი, მაგრამ ამ სიტყვას კი ვერ გაუძლო და აკანკალდა. ლორდმა უკანასკნელი სიტყვების თქმის დროს მკლავზე ხელი დაადო მილედის და ამიტომ არც ეს კანკალი გამოეპარა მის ყურადღებას.

მართლაც, ეს დ არტყმა ნიშანში მოხვდა და მეტად ძლიერადაც. მას გონებაში გაურბინა აზრმა, რომ კეტიმ უღალატა. ალბათ, კეტიმ უთხრა, როგორ ეჯავრებოდა მილედის ლორდი უინტერი. მაშინ იგრძნო, რა მიამიტად მოიქცა, როცა თავის მოახლეს დაუფიქრებლად გადაუშალა გული. მოაგონდა აგრეთვე რა გაშმაგებით ლანძღავდა დ არტანიანს იმისათვის, რომ სიკვდილს გადაარჩინა მისი მაზლი.

– ვეღარა გამიგია რა თქვენი, მილორდ! – უთხრა პასუხად ქალმა, რათა დრო მოეგო და აელაპარაკებინა თავისი მოპირდაპირე, – რის თქმა გნებავთ მაგით? არის რაიმე დაფარული აზრი თქვენს სიტყვებში?

– ოჰ, ღმერთო ჩემო! რა დაფარული აზრი უნდა იყოს? – უპასუხა უინტერმა თვალისამხვევი გულკეთილობით, – ჩემი ნახვა მოგსურვებიათ და ინგლისს მობრძანებულხართ, გავიგე ეს თქვენი განზრახვა, ანუ, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, ვიგრძენი, და თქვენს დასახვედრად ოფიცერი გამოვგზავნე. მინდოდა, თქვენთვის თავიდან ამეცილებინა ღამით გემიდან ნავსადგურში გადმოსვლით გამოწვეული მოწყენილობა, დამქანცველი ბარგის გადმოტანა, კარეტაც დაგახვედრეთ და, აი, უკვე აქა ბრძანდებით, ამ სასახლეში. ამ ციხე-დარბაზის უფროსი მე ვარ. ყოველდღე მოვდივარ მის დასათვალიერებლად და რომ ღირსეულად დამეკმაყოფილებინა თქვენი და მასთან ჩემი სურვილიც ერთმანეთის ნახვისა, თქვენთვის მოვამზადებინე ეს ოთახი. ერთი მითხარით, რა არის ამ ჩემს ნათქვამში ისეთი უცნაური, რომელიც თქვენი ნათქვამის უცნაურობას აღემატებოდეს?

– არაფერი! მე უცნაურად ის მიმაჩნია, რომ წინასწარ იცოდით ჩემი ჩამოსვლის ამბავი.

– არც მაგაშია რაიმე უცნაური, ჩემო საყვარელო რძალო, სულ უბრალო საქმეა. განა არ დაინახეთ, რომ თქვენი გემის კაპიტანმა, ნავსადგურთან მოახლოებისას, წინ პატარა ნავი გამოგზავნა ნავსადგურში შემოსვლის ნებართვის მისაღებად, რისთვისაც წარმოადგინა ეკიპაჟისა და მგზავრების სია, გემის ცურვის სიჩქარე, მისი მიმართულება და სხვა ცნობები. ნავსადგურის კომენდანტი მე გახლავართ, ამიტომ ის სია მე მომართვეს და სწორედ იქ ამოვიკითხე თქვენი გვარი. ჩემმა გულმაც იგივე მითხრა, რაც ახლა თქვენ დამიმოწმეთ, ესე იგი, გამაგებინა ის მიზანი, რომლის მისაღწევად არ შეუშინდით ზღვით მგზავრობასაც კი, რომელიც ამ დროს მეტად მომქანცველია. აი, ასე გავიგე თქვენი მოსვლის ამბავი და წინ ჩემი პატარა კუტერი მოგაგებეთ.

ხედავდა მილედი, რომ უინტერი ტყუილს ამბობდა, და უფრო მეტად ერეოდა შიში.

– ეს მითხარით, ჩემო საყვარელო მაზლო, ხომ მილორდი ბუკინგამი იყო, ამ საღამოს რომ დავინახე? ჯებირზე იდგა, როდესაც ნავსადგურში შემოვედით.

– დიახ, ის იყო, აჰ!.. ვიცი, როგორ აღგაშფოთებდათ მისი დანახვა! – განაგრძო უინტერმა, – თქვენს ქვეყანაში, მგონი, სულ ბუკინგამის ხსენებაში არიან და თქვენს მეგობარ კარდინალსაც მეტისმეტად უნდა აწუხებდეს მისი შეიარაღება საფრანგეთის საწინააღმდეგოდ.

– ჩემს მეგობარ კარდინალს?! – შეჰყვირა მილედიმ. იგი კარგად ხედავდა, რომ ეს ამბავიც, როგორც პირველი, ცნობილი იყო მისი მაზლისათვის.

– მაშ, თქვენი მეგობარი არ არის? – დაიწყო ისევ ლორდმა ისეთი გულგრილობით, ვითომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ ამბავს, – ოჰ, უკაცრავად! მე კი ასე მეგონა... მაგრამ დავანებოთ ამას თავი, მილორდ ჰერცოგს მერე დავუბრუნდეთ, ახლა კი გავაგრძელოთ ჩვენი მეტისმეტად მგრძნობიარე მასლაათი. მაშ, ჩემს სანახავად წამოხვედით, არა?

– დიახ, ბატონო!

– ძალიან კარგი! წედანაც გითხარით, თქვენი სურვილისამებრ გექნებათ ყველაფერი და ყოველდღე ვნახავთ ერთმანეთს.

– მაშ, საუკუნოდ აქ უნდა დავრჩე? – შეშინებული ხმით ჰკითხა მილედიმ.

– განა კარგად არა ხართ მოწყობილი, ჩემო რძალო? მითხარით, რა გნებავთ, რა გაკლიათ, და მე თვითონ დავაჩქარებინებ თქვენი სურვილის ასრულებას.

– არც მოახლეები მყავს, არც ჩემი მსახურები.

– გეყოლებათ, რასაც კი მოისურვებთ, ქალბატონო, მითხარით, როგორ მოაწყო თქვენი სახლი თქვენმა პირველმა ქმარმა, და თუმცა მე მხოლოდ მაზლი ვარ თქვენი, მეც ისევე მოგიწყობთ, როგორც მან.

– ჩემმა პირველმა ქმარმა? – შეჰკივლა მილედიმ და განცვიფრებული თვალით დააშტერდა ლორდ უინტერს.

– დიახ, როგორ მოაწყო თქვენმა პირველმა ქმარმა, ფრანგმა? ჩემს ძმაზე კი არ გეკითხებით! მაგრამ, მგონი, აღარც კი გახსოვთ. კეთილი, ჯერ ცოცხალია და მას შევეკითხები, იმედი მაქვს, მაშინვე მომაწვდის საჭირო ცნობებს.

მილედის ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზე.

– მეხუმრებით? – უთხრა ყრუ ხმით.

– განა ხუმრობის გუნებაზე გეჩვენებით? – ჰკითხა ლორდმა, წამოდგა და ერთი ნაბიჯით უკან დაიწია.

– არა, ეგ ხუმრობა კი არა, შეურაცხყოფაა ჩემი! – შეუტია მილედიმ, აკანკალებული ხელებით სავარძელს დაეყრდნო და სცადა, ზევით წამოწეულიყო.

– თქვენი შეურაცხყოფა?! – უთხრა ზიზღით ლორდმა. – ერთი მიბრძანეთ, ქალბატონო, ნუთუ შეიძლება რითიმე თქვენი შეურაცხყოფა?

– თქვენ, ბატონო, ან დამთვრალხართ, ან გაგიჟებულხართ! – დაუკივლა მილედიმ, – გადით აქედან და მოახლე გამომიგზავნეთ!

– ქალებს ბევრი ლაყბობა უყვართ, ჩემო რძალო! იქნება მე თვითონ დამაკისროთ თქვენი მოახლეობა? მაშინ ოჯახშივე დარჩება ყველა ჩვენი საიდუმლოება.

– თავხედო! – შეჰყვირა მილედიმ და თითქოს ნემსი უჩხვლიტესო, ისე წამოვარდა და მაზლს მივარდა. ის კი იდგა უძრავად, გაჩუმებული, და ერთი ხელი ხმლის ტარზე დაედო.

– ჰო! ჰო! – უთხრა ლორდმა, – ვიცი, ჩვეულებადა გაქვთ კაცის მოკვლა, მაგრამ იცოდეთ, მეც კარგად დაგიხვდებით!

– ოჰ, მართალი ხართ! – უთხრა მილედიმ, – თქვენ სინდისი ნებას მოგცემთ, რომ ძალა და იარაღი იხმაროთ ქალზე.

– იქნება ეგრეც იყოს, ოღონდ მე ამის შემწყნარებელი საფუძველიც მექნება. ჩემი ხელი არ იქნება პირველი ხელი ვაჟკაცისა, რომელიც თქვენ დაგკრავთ.

ბარონმა ნელ-ნელა ასწია ხელი და თავისი ნათქვამის გასამართლებლად თითქმის შეეხო მილედის მარცხენა მხარს.

მილედი ყრუდ ღმუოდა და ოთახის კუთხისაკენ იხევდა, გეგონებოდათ, ვეფხვისებური ნახტომისთვის ემზადებაო, რომ მოწინააღმდეგეს თავს დასხმოდა.

– ჰო! იღმუვლეთ, რამდენიც გნებავთ! – შეუტია უინტერმა, – მაგრამ კბენა კი არ სცადოთ, გაფრთხილებთ, თქვენს დასაღუპავად დატრიალდება საქმე: ჩვენში არ არიან ის მსაჯულები, რომლებიც წინასწარ აგვარებენ მემკვიდრეობის საკითხს! არც მოხეტიალე რაინდები არიან, რომ ბრძოლა დამიწყონ ჩემი

ციხიდან მშვენიერი ქალის გასათავისუფლებლად. მე კი მზადა მყავს მსაჯულები, რათა ღირსეულად დასაჯონ ერთი უნამუსო ქმრიანი ქალი, რომელიც ლოგინში შეეპარა, როგორც ცოლი, ლორდ უინტერს, ჩემს უფროს ძმას, და ეს მსაჯულები, მერწმუნეთ, ისეთ ჯალათთან გაგგზავნიან დასასჯელად, რომლებიც მარჯვენა მხარსაც ისევე დაგიხაზავენ, როგორც მარცხენა გაქვთ.

კარგი ვაჟკაცი იყო ლორდი უინტერი და შეიარაღებულიც იდგა სრულიად უიარაღო ქალის წინაშე, მაგრამ ისეთი ალი ასდიოდა მილედის თვალებს, რომ ლორდმა გულის სიღრმეში შიში იგრძნო. თუმცა, მაინც თავისი არ დაიშალა და უფრო და უფრო მეტი აღშფოთებით განაგრძო:

– დიახ, მესმის, ჩემი ძმის მემკვიდრეობის მიღების შემდეგ დიდი ნეტარება გეღირსებოდათ, რომ ჩემს მემკვიდრეადაც დარჩენილიყავით, მაგრამ წინასწარ იცოდეთ: შეიძლება მომკლათ ან მოაკვლევინოთ ვინმეს ჩემი თავი და ამიტომ მე ყოველგვარი ღონისძიება მივიღე, ჩემი ქონების ერთი პენიც კი არ დაგრჩებათ მემკვიდრეობად. განა საკმაოდ მდიდარი არა ხართ? თითქმის მილიონს უდრის თქვენი ქონება! განა ეგ სიმდიდრე არ კმარა თქვენს საკეთილდღეოდ? თუ იმიტომ სჩადიხართ ამდენ ბოროტებას, რომ უსაზღვრო სიამოვნებას ჰპოვებთ ავსულობაში? ოჰ, პირდაპირ გეუბნებით, წმინდად რომ არ მიმაჩნდეს უბედური ჩემი ძმის სახელი, სადმე საპყრობილეში ჩაგაგდებდით და იქ ჩაგალპობდით ან გაგისტუმრებდით ტაიბმერნში1, რომ დაგეკმაყოფილებინათ ბრბოს ცნობისმოყვარეობა. მე არას ვიტყვი, მაგრამ თქვენც მშვიდად უნდა შეეგუოთ თქვენს პატიმრობას, ორი-სამი კვირის შემდეგ ჩვენს ჯართან ერთად ლაროშელში მომიხდება წასვლა, მაგრამ ჩემი წასვლის წინადღეს გემი მოვა თქვენს წასაყვანად. მე ჩემი თვალითა ვნახავ თქვენს გამგზავრებას, გემი მიგიყვანთ ჩვენს სამხრეთ კოლონიებში და არხეინად ბრძანდებოდეთ, ისეთ თანამგზავრს გაგატანთ, რომ შიგ შუბლში დაგახლით ტყვიას, თუ გაბედეთ და ინგლისში ან ევროპის სხვა ქვეყნებისაკენ დაბრუნება სცადეთ.

ხმის ამოუღებლივ ისმენდა მილედი, ისეთი ყურადღებით, რომ ალმოკიდებული თვალებიც კი გაშტერებოდა.

– დიახ, ამჟამად, – განაგრძო უინტერმა, – ამ ციხე-დარბაზში დარჩებით, საკმაოდ სქელი კედლები აქვს მას, მაგარი კარები, გაუტეხავი ურდული და თქვენი ფანჯარა პირდაპირ ზღვაში გადის. დარაჯებად დაყენებული მყავს ერთგული მეზღვაურები, რომლებიც თავს გაწირავენ ჩემთვის. ისინი თვალს არ აშორებენ თქვენს ბინას და ეზოში შემომავალ გზებს. ეზოშიც რომ გამოხვიდეთ, სამი მაგარი ღობე კიდევ დაგხვდებათ გადასასვლელი, სასტიკი ბრძანება არის გაცემული: ერთი ნაბიჯი, ერთი ხელის აქნევა, გაპარვის მომასწავებელი ერთი სიტყვა და მაშინვე სროლას დაგიწყებენ. თუ მოგკლეს, ინგლისური მართლმსაჯულება, იმედი მაქვს, მადლობას გადამიხდის, რომ მათ ავაცდინე მოვალეობის ასრულება. აჰ, დაგიმშვიდდათ გული? თქვენს სახეს ისევ დააჩნდა გამარჯვების გამომეტყველება! ალბათ ფიქრობთ, რომ ჩემს აქ არყოფნაში, ამ თხუთმეტ დღეში მოახერხებთ რაიმეს, ვინმეს შეიწირავთ მსხვერპლად, მაგრამ, აბა, სცადეთ!

მილედიმ იგრძნო, რომ თავისი ფიქრი მტერს ვერ დაუმალა, და ფრჩხილებით დაიჩქმიტა მკლავები, რათა დაემორჩილებინა სახის ნაკვთების ყოველი მოძრაობა და აღარა გამოეჩინა რა, გარდა მწვავე მწუხარებისა.

– ოფიცერი, რომელიც ჩემს აქ არყოფნაში განაგებს ამ ციხე-დარბაზს, თქვენთვის ნაცნობია, რადგან მან აქ მოგიყვანათ, – განაგრძო უინტერმა, – თქვენ, მგონი, დარწმუნდით, რომ იგი ბრძანების სასტიკი ამსრულებელია, რადგან გიცნობთ, პორტსმუტიდან აქამდე ისე ვერ ივლიდით, რომ თქვენებური ოინებით არ მოგეხიბლათ, – ვათქმევინებ რასმეო, – ვერას გახდით განა?

მარმარილოს ქანდაკება თუ იქნება იმასავით უგრძნობი და მუნჯი. ბევრ ვაჟკაცზე გიცდიათ ძალა თქვენი მაცთუნებელი სილამაზისა და, საუბედუროდ, ყოველთვის გამარჯვებული დარჩენილხართ. აბა, ახლა ამ ოფიცერზე სცადეთ! თუ ისიც თქვენებურად მოხიბლეთ, ვიტყვი, რომ ხორცშესხმული ქაჯი ყოფილხართ.

ლორდი კარებთან მივიდა და სწრაფად გამოაღო.

– დამიძახეთ ბატონ ფელტონს! – გასძახა ვიღაცას, მერე მილედის მიუბრუნდა: – ცოტა ხანს მომითმინეთ, მინდა თქვენი თავი გავაცნო ბატონ ფელტონს.

უცნაური დუმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს რძალი და მაზლი, ისმოდა მხოლოდ ნელი, ზომიერი ფეხის ხმა, რომელიც ახლოვდებოდა, მალე დერეფრნის სიბნელიდან გამოვიდა ჩვენი ნაცნობი ყმაწვილი ოფიცერი და კარის ზღურბლზე გაჩერდა ლორდ უინტერის ბრძანების მისაღებად.

– შემოდით, ჩემო ჯონ! – უთხრა უინტერმა, – შემოდით და კარი მიხურეთ.

ყმაწვილი ოფიცერი შევიდა.

– ახლა, კარგად გასინჯე ეს დედაკაცი! – უბრძანა ლორდმა. – ის ახალგაზრდაა, ლამაზი და ყოველგვარი მიწიერი ცთუნებითაა აღჭურვილი. ამ ურჩხულს, რომელიც ჯერ მხოლოდ ოცდახუთი წლისაა, იმდენი ავკაცობა და ბოროტება ჩაუდენია, რომ ერთ წელიწადშიც ვერ გადაიკითხავდით, ჩვენი სასამართლოების არქივებში რომ ყოფილიყო ჩაწერილი. ხმა სირინოზისა აქვს, სილამაზე თავის მსხვერპლთ იზიდავს, სხეული – საფასურს უხდის, ვისაც რას დაჰპირდება; ეს მართალია და ნურც აქ ვუმტყუნებთ სიმართლეს, ახლა თქვენს ცთუნებას, თქვენს მოხიბვლას ეცდება, იქნება თქვენი მოკვლაცა სცადოს. მე, ჩემო ფელტონ, სიღარიბიდან გიხსენით, დაგეხმარეთ და ოფიცრობა მოგაპოვებინეთ, ერთხელ სიკვდილსაც გადაგარჩინეთ. ხომ გახსოვთ, რა შეგემთხვათ მაშინ? მე მარტო შემწე კი არა, მეგობარი ვარ თქვენი, არა მარტო კეთილისმყოფელი, არამედ მამა. ეს დედაკაცი ინგლისში იმ მიზნით მობრძანდა, რომ როგორმე ბოლო მომიღოს. და, აი, ჩემს ხელთ არის ეს გველი! მე დაგიბარეთ, ჩემო ფელტონ, ჩემო მეგობარო, შვილო ჯონ, დამიფარეთ ამ დედაკაცისაგან, და მეტადრე, დაიფარე თავი შენი ამ ავსულისაგან! შემომფიცეთ, რომ ხელიდან არ გამისხლტება ეს გველი და აქ გეყოლება, რათა თავის დამსახურებით იქნეს დასჯილი! ჯონ ფელტონ, მ,ე შენს სიტყვას ვენდობი! ჯონ ფელტონ, მე მწამს შენი პატიოსნება!

– მილორდ, – მიმართა ყმაწვილმა და მის წმინდა თვალებში მილედისადმი ზიზღი გამოიხატა, – მილორდ, გეფიცებით, რომ ასრულებული იქნება ყოველი თქვენი სურვილი.

მილედიმ იმედმიხდილი მსხვერპლივით მიიღო ფელტონის სიტყვა. შეუძლებელი იყო, გენახათ სადმე ისეთი ანგელოზისებრივ უწყინარი და მორჩილი გამომეტყველება, რომელიც მის ლამაზ სახეს მოჰფენოდა. თვითონ ლორდი უინტერიც კი ძლივსღა სცნობდა ძუ ვეფხვს, მოსაკლავად რომ არ ინდობდა წეღანდელ ბაასში.

– ფეხს არ მოიცვლის ამ ოთახიდან! გეყურებათ, ჯონ? – განაგრძო ლორდმა, – მიწერ-მოწერა არავითარი, არავისთან, და ისიც მარტო იმ შემთხვევაში, თუ თქვენ იკადრებთ და ხმას გასცემთ.

– კმარა, მილორდ, მე შემოგფიცეთ.

– ახლა, ქალბატონო, ეცადეთ, შეურიგდეთ თქვენს ბედს, რადგან ადამიანთაგან უკვე განკიცხული ხართ.

მილედიმ თავი დახარა, თითქოს ზედ დასწოლოდა ამ მსჯავრის სიმძიმე. ლორდმა ნიშანი მისცა ფელტონსა და გავიდა. ოფიცერიც უკან გაჰყვა და კარი მოკეტა.

რამდენიმე წუთის შემდეგ დერეფანში გაისმა ტლანქი ფეხის ხმა თოფითა და ხმლით შეიარაღებული მეზღვაურისა, რომელიც მილედის ოთახის სადარაჯოდ გამოეგზავნათ.

რამდენიმე წამს იმავე მდგომარეობაში დარჩა მილედი, რადგან ფიქრობდა, შეიძლება კარის კლიტის ჭუჭრუტანიდან მიყურებენო. მერე ნელ-ნელა თავი მაღლა აიღო. მის სახეს ალმური ასდიოდა და მასზე ხელახლა საშინელ მრისხანებასა და მუქარას წაიკითხავდით. სწრაფად მივარდა კარებს და ყური მიადო, მერე ფანჯრიდან გადაიხედა, ისევ უკან დაბრუნდა, ღონემიხდილი სავარძელზე დაეშვა და მწარედ ამოიოხრა.

XXI

ოფიცერი

კარდინალი მოუთმენლად ელოდა ცნობებს ინგლისიდან, მაგრამ საიმედო არაფერი მოსდიოდა, გარდა საწყენისა და მუქარისა.

ძალიან კარგად იყო გარემოცული ლაროშელი, მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, უეჭველი იყო გამარჯვება. განსაკუთრებით იმ ჯებირის აგების შემდეგ, რომელმაც გზა შეუკრა ლაროშელის ნავსადგურს და გემი ვეღარ შედიოდა გარემოცულ ქალაქში. მაგრამ მაინც არ ნებდებოდნენ ლაროშელელები და შესაძლებელი იყო კიდევ დიდხანს გამაგრებულიყვნენ, სწორედ ესა კლავდა კარდინალს: შერცხვებოდა საფრანგეთის ლაშქარი და შერცხვებოდა თვითონ კარდინალიც, ამჟამად რიშელიეს ამ ომის მეტი საზრუნავი აღარა ჰქონდა რა. მეფე ლუდოვიკო მეცამეტე და დედოფალი ანა ავსტრიელი უკვე წააჩხუბა ერთმანეთს. ეს საქმე მოგვარებული ჰქონდა, თუმცა შესარიგებელი ჰყავდა ბატონი ბასომპიერი და ანგულემელი ჰერცოგი, რომლებიც მთავარსარდლობის გამო ერთმანეთს ექიშპებოდნენ.

რაც შეეხება მეფის ძმას, მან, მართალია, დაიწყო ლაროშელის გარემოცვა, მაგრამ მისი აღება კი კარდინალს მიანება.

ქალაქმა, თავისი მერის დაუჯერებელი ჯიუტობის მიუხედავად, მაინც სცადა დანებება და აჯანყებაც კი მოაწყო, მაგრამ მერმა სახრჩობელაზე ჩამოკიდა აჯანყებულები. ამ სასჯელმა დაამშვიდა აჯანყების მოთავეები. რაღას იზამდნენ? გადაწყვიტეს, შიმშილით დახოცილიყვნენ.

ზოგჯერ ფრანგები ხელთ იგდებდნენ ლაროშელიდან ბუკინგამთან გაგზავნილ კაცებს და ბუკინგამის მიერ გამოგზავნილ ჯაშუშებს, ორივე შემთხვევაში გასამართლებას ძალიან ცოტა დრო უნდებოდა. ბატონი კარდინალი წამოიძახებდა ხოლმე მხოლოდ ერთ სიტყვას: – ჩამოახრჩვეთ!

მეფეს იწვევდნენ ამ სეირის სანახავდ. დაღვრემილი მიბრძანდებოდა მეფე. იგი კარგ ადგილს იჭერდა, რომ ჩამოხრჩობის ყოველი წვრილმანი დაენახა. სეირს უყურებდა, ერთობოდა და მისთვის უფრო მოსათმენი ხდებოდა გარემოცვის ხანგრძლივობა. მაგრამ მაინც ძალიან მოწყენილი იყო და სულ პარიზში დაბრუნებას გაიძახოდა, ასე რომ, ძალიან გაჭირვებაში ჩავარდებოდა მისი ყოვლადუწმინდესობა, თუ ბუკინგამის კაცები შემოაკლდებოდა ჩამოსახრჩობად, ვეღარაფრით გაართობდა მეფეს.

ასე გადიოდა დრო და ლაროშელელები არ ნებდებოდნენ. უკანასკნელ ჯაშუშს, რომელიც ფრანგებმა დაიჭირეს, ბუკინგამთან მიჰქონდა წერილი. აუტანელ გაჭირვებას აცნობებდა ქალაქი ბუკინგამს, მაგრამ, იმის მაგივრად, რომ მიეწერათ, მეფეს დავნებდებით, თუ ამ ორი კვირის განმავლობაში არ მოგვეშველეთო, სულ სხვას სწერდნენ თავგანწირულები: „შიმშილით

ამოვწყდებით ყველანი, თუ ამ ორი კვირის განმავლობაში არ მოგვეშველეთ. მერე კი ამაო იქნება თქვენი დახმარება, რადგან მკვდრები ვეყრებით“.

მაშ, ბუკინგამი იყო ლაროშელელების ერთადერთი იმედი, და თუკი ერთ დღეს ისინი დანამდვილებით დარწმუნდებოდნენ, რომ ბუკინგამი მათ ვეღარას უშველიდა, დაეკარგებოდათ მოთმინება და ყოველგვარი იმედი.

ამიტომ მისი ყოვლადუწმინდესობა მოუთმენლად ელოდა ინგლისიდან ცნობას იმის შესახებ, რომ ბუკინგამი ვეღარ წამობრძანდებოდა ლაროშელის დასახმარებლად.

საკითხი ქალაქის იერიშით აღების შესახებ ხშირად ისმებოდა სამეფო საბჭოში, მაგრამ მას ყოველთვის უარყოფდნენ ჯერ ერთი, იმიტომ, რომ აუღებელ სიმაგრედ მიაჩნდათ ლაროშელი; მერე, კარდინალმა იცოდა, თუმცა სულ სხვა აზრი იყო მის შესახებ გავრცელებული, რომ ბევრი სისხლი დაიქცეოდა ამ შეტაკებაში, სადაც ფრანგებს ფრანგები უნდა შებრძოლებოდნენ და ეს პოლიტიკა სამოცი წლით უკან დაწევას მოასწავებდა, კარდინალი კი იმ დროს ითვლებოდა პროგრესულ ადამიანად, როგორც დღეს იტყვიან ხოლმე.

მართლაც, 1628 წელს ქალაქის აოხრება და სამი-ოთხი ათასი ჰუგენოტის მოკვლა ძალიან ემგვანებოდა 1572 წლის წმინდა ბართლომეს ღამეს. ჰუგენოტების ულტიმატუმს კათოლიკე მეფე თუმცა სულითა და გულთ თანაუგრძნობდა, მაგრამ გენერლები მაინც უარყოფდნენ ამ წინადადებას იმ მოტივით, რომ ლაროშელის აღება მხოლოდ მისი დამშევით შეიძლებოდა.

ვერ მოეშორებინა კარდინალს ის შიში, რომელიც გულში აღუძრა მის მიერ ლონდონში გაგზავნილმა მილედიმ, რადგან მასაც გაეგო უკვე, რა საზარელი რამ იყო ეს უცნაური ქალი: ხან გველი და ხან ლომი. ნუთუ უღალატა და გასცა? ან იქნება ცოცხალიც აღარ არის? მაგრამ კარდინალს იმდენად შეესწავლა ეს ქალბატონი, რომ იცოდა, ვის მხარეზედაც უნდა ყოფილიყო იგი, არ შეიძლებოდა ასე უმოქმედოდ დარჩენილიყო, თუ მართლა რაიმე დიდი დაბრკოლება არ ედობებოდა. მაგრამ ვისგან უნდა ყოფილიყო ეს დაბრკოლება? ეს კი უკვე არ იცოდა რიშელიემ და მას გულს უწყალებდა ამაო ლოდინი.

თუმცა დარწმუნებული იყო მილედის ერთგულებაში და საფუძვლიანიც იყო ეს ფიქრი: ისეთი საზიზღარი ბოროტება ეგულებოდა ამ ქალის წარსულში, რომ მარტო თავისი წითელი წამოსასხამით შეეძლო მისი დაფარვა. მისი უწმინდესობა გრძნობდა, რომ ასე თუ ისე, მისკენ იყო ეს ქალი, რომელსაც რაღაც განსაცდელის შიში ჰქონდა და ამაში კარდინალზე უკეთ ვერავინ დაეხმარებოდა.

კარდინალმა გადაწყვიტა, მარტო თვითონ ეწარმოებინა ომი. დახმარების იმედი ისე ჰქონდა, როგორც რაიმე ბედნიერი შემთხვევისა. მან კვლავ განაგრძო ჯებირების აგება, რომ საბოლოოდ დაემშია ლაროშელის მცხოვრებლები.

ჰენრიხ მეოთხემ, როდესაც პარიზის გარემოცვა მოაწყო, თავის ჯარებს უბრძანა: მცხოვრებლებისათვის გალავნის კედლიდან ჩაეყარათ პური და საჭმელი. კარდინალმაც თავისიანებს უბრძანა, ჩაეყარათ პატარ-პატარა ბარათები, რომლითაც ლაროშელელებს მათი მეთაურების არაადამიანურ, ეგოისტურ და ბარბაროსულ საქციელს აცნობებდა. ბარათებში სწერდნენ, რომ მეთაურებს მომარაგებული ჰქონდათ ხორბალი, დამშეულებს კი ლუკმაპურს არ აძლევდნენ; რომ მეთაურები არაფრად აგდებდნენ ბავშვებისა და ქალების ამოხოცვას, ოღონდ თვითონ ლაროშელის კედლების დამცველები ყოფილიყვნენ ჯანმრთელად.

თავდადებით იცავდა ხალხი ქალაქს, მაგრამ ამ ბარათების მიღებამ მებრძოლ ვაჟკაცებს მოაგონა მათი შვილები, ცოლები, მათი მოხუცებული მშობლები, რომლებსაც შიმშილით ამოწყვეტას უქადდა ეს ომი. ეს ბარათები აგონებდნენ მებრძოლ ვაჟკაცებს, რომ თუ სამართალი იყო, ყველას ერთნაირად უნდა ეგემნა საერთო გაჭირვება, რათა ერთნაირი ზომები აერჩია თავის გადასარჩენად.

სწორედ ის ნაყოფი მისცა კარდინალს ამ პატარა ბარათებმა, რის მიღებაც ასე ენატრებოდა: მოქალაქეთა უმრავლესობამ მოითხოვა მეფის ჯართან მოლაპარაკების დაწყება.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ბატონი კარდინალი თავისი ნათესის მოსავალს იმკიდა და ტაშს უკრავდა თავის თავს, რომ ასე ნაყოფიერად გამოიყენა ეს საშუალება, პორტსმუტიდან დაბრუნებულმა ერთმა ლაროშელმა მოახერხა შეუმჩნევლად გასძრომოდა მეფის ჯარების ხაზს, რომელსაც ბასომპიერი ცალკე ამაგრებდა, შომბერგი და ჰერცოგი ანგულემელი კიდევ – ცალკე, და პირდაპირ გარემოცულ ქალაქში ამოყო თავი. მან მაშინვე შეატყობინა ლაროშელის მერს, რომ საკუთარი თვალით ნახა ინგლისის აღჭურვილი ფლოტი, რომელიც რამდენიმე დღეში დაიძვრებოდა მათ საშველად, და თან გადასცა ბუკინგამის წერილი, რომლითაც აცნობებდა, რომ ამ ცოტა ხანში გამოცხადებულ იქნებოდა საფრანგეთის წინააღმდეგ შემდგარი დიდი ლიგა და რომ ინგლისის, ავსტრიისა და ესპანეთის ჯარები ერთდროულად შეესეოდნენ საფრანგეთს. ეს წერილი სახალხოდ წაიკითხეს ქალაქის ყველა მოედანზე. რამდენიმე ცალად გადაწერეს და ქუჩის კუთხეებში გააკრეს. ამ ამბავმა იმ ადამიანებსაც კი, რომლებსაც მეფის ჯარებთან მოლაპარაკების დაწყება სურდათ, გადააწყვეტინა, მოთმინებით ეცადათ ინგლისელთა საზეიმო დაპირებისათვის.

ამ მოულოდნელმა გარემოებამ კარდინალს განუახლა მისი წინანდელი შიში და აიძულა, მისდა უნებურად, ისევ ინგლისისათვის მიეპყრო თვალი.

კარდინალის, თავისი ერთადერთი ნამდვილი მთავარსარდლის, ამ შიშის შესახებ არა იცოდა რა მეფის ჯარმა და მხიარულად ატარებდა დროს. საჭმელ-სასმელი ბევრი ჰქონდათ, არც ფული აკლდათ და რაზმები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ვაჟკაცობაში და მხიარულებაში. ჯაშუშების დაჭერა და ჩამოხრჩობა, სახიფათო გადასვლა ზღვის პირზე ლაროშელისკენ, სასაცილო ოინის მოწყობა და მისი გულცივად ასრულება, – ყველა ამგვარი მოქმედება ერთადერთი საშუალება იყო, რომ ლაშქარს მოკლედ სჩვენებოდა ხანგრძლივი დღეები, რომლებიც გულს უწყალებდა არა მარტო შიმშილით და მწუხარებით ტანჯულ ლაროშელელებს, არამედ კარდინალსაც, რომელიც მათ წამებაში ჰპოვებდა თავის დიდებას.

კარდინალი რიგითი მხედარივით ცხენით ჩამოუვლიდა ხოლმე საგუშაგოებს. დაფიქრებით შესცქეროდა ჯებირს, რომლის სწრაფად აშენებისათვის წამოყვანილი ჰყავდა საფრანგეთის საუკეთესო ინჟინრები და საქმე კი მაინც ნელა მიდიოდა.

ასეთი მგზავრობის დროს კარდინალი თუ სადმე თვალს მოჰკრავდა ტრევილის რაზმის მუშკეტერს, მაშინვე მიუახლოვდებოდა, უცნაურად დააშტერდებოდა და როდესაც დარწმუნდებოდა, რომ არც ერთი ჩვენი ოთხი მეგობართაგანი არ იყო, სხვაზე გადაიტანდა თავის გამჭრიახ, ჩაფიქრებულ მზერას.

ერთხელ მეტისმეტად დაღონებულმა კარდინალმა, რომელსაც აღარც ლაროშელელებთან მოლაპარაკების იმედი ჰქონდა და აღარც მილედის ამბავი მოსდიოდა ინგლისისდან, გადაწყვიტა, სუფთა ჰაერზე გასულიყო სასეირნოდ, თან ორი ოფიცერი გაიყოლა. კარდინალს ზღვის ნაპირზე ნელი ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი და, თავის ფიქრებში გართული, შეუმჩნევლად პატარა ბორცვზე ავიდა, საიდანაც თვალი მოჰკრა იქვე, ახლოს, ღობის უკან, შვიდ კაცს, რომლებიც ქვიშაზე იწვნენ, მზის სხივებით ტკბებოდნენ და გარშემო კი ცარიელი ბოთლები ეყარა. ოთხი მათგანი ჩვენი ნაცნობი მუშკეტერი გახლდათ, ისინი მზად იყვნენ, მოესმინათ შინაარსი წერილისა, რომელიც ერთ მათგანს

მიეღო. იმდენად მნიშვნელოვანი იყო ეს წრილი, რომ ამ ყმაწვილებს მიეტოვებინათ სათამაშოდ გაწყობილი ქაღალდი და კამათლები.

დანარჩენ სამს ხელში ჩალით შემოწნული უზარმაზარი ბოთლი ეჭირა და საცობის ამოძრობას ცდილობდნენ. ეს სამი კაცი ამ ბატონების მსახურები იყვნენ.

კარდინალი, როგორცა ვთქვით, მეტისმეტად დამაღონებელი ფიქრებით იყო მოცული და ასეთი ტანჯვის წუთებში მას ისე არაფერი აღიზიანებდა, როგორც სხვისი მხიარულება. გარდა ამისა, ერთი უცნაური სენი სჭირდა მის ყოვლადუწმინდესობას: ღრმად სწამდა, რომ მისი შემაწუხებელი მიზეზი სხვებს ახარებდა. თანმხლები ოფიცრები ადგილზე დატოვა, თვითონ კი ცხენიდან ჩამოხტა და ამ საეჭვო მუშკეტერებს მიუახლოვდა იმ იმედით, რომ ქვიშისა და ღობის დახმარებით შეიძლება გაეგონა რაიმე მათი ბაასისა, რომელიც ძალიან საინტერესოდ მიაჩნდა. ათი ნაბიჯიდა იქნებოდა დარჩენილი ღობემდე, როდესაც გასკონური გამოთქმა მოესმა, და რადგან უკვე იცოდა, რომ მუშკეტერები იყვნენ ეს ყმაწვილები, ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ ეს გასკონელი დ არტანიანი უნდა ყოფილიყო, ხოლო დანარჩენი სამი – ათოსი, პორთოსი და არამისი, ესე იგი, ის მეგობრები, რომლებსაც სახელად „განუყრელნი“ დარქმეოდათ.

ალბათ უკვე წარმოდგენილი გაქვთ, როგორ გაუცხოველდებოდა კარდინალს მათი საუბრის მოსმენის სურვილი, როდესაც განცალკევებული ყრილობა აღმოაჩინა. უცნაური გამომეტყველება ჰქონდა ამ დროს მის თვალებს და კატასავით მიიპარებოდა ღობისაკენ, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვის ცალკეული მარცვლები ესმოდა. უეცარმა წამოძახილმა ააკანკალა მისი ყოვლადუწმინდესობა და მიიპყრო ჩვენი მუშკეტერების ყურადღება.

– ოფიცერი! – დაიძახა გრიმომ.

– ჰაი, კიდევ გაბედე, არამზადავ?! – დაუყვირა ათოსმა, წამოიწია, იდაყვზე დაეყრდნო და მრისხანე თვალით გრიმოს დააშტერდა.

გრიმო გაჩუმდა, ხმის ამოღება ვეღარ გაბედა, მხოლოდ ღობისკენ გაიშვირა თითი და ამით ანიშნა, რომ ღობის გადაღმიდან ვიღაც უახლოვდებოდათ.

სწრაფად წამოცვივდნენ ოთხივენი და პატივისცემით მიესალმნენ კარდინალს.

ეტყობოდა, გაცოფებული იყო კარდინალი.

– როგორც ჩანს, თუ თან გუშაგები არ იახლეს, ისე ფეხს ვერსად გადადგამენ ჩვენი მუშკეტერები, – მიმართა მკვახედ ყმაწვილებს, – იქნება გეშინიათ, ხმელეთიდანაც არ მოგვეპაროს ინგლისელი? ან იქნება გგონიათ, რომ რაკი მუშკეტერები ბრძანდებით, თქვენც უმაღლეს ოფიცრებს უნდა ჰბაძავდეთ?

– თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – მიუგო ათოსმა, რადგან მარტო მას შეენარჩუნებინა სიმშვიდე, – როდესაც მუშკეტერები მორიგეობიდან თავისუფალნი არიან, ღვინის სმითა და კამათლის თამაშით ერთობიან. ამ დროს ისინი უმაღლეს ოფიცრებად ხდებიან თავიანთ მსახურთათვის.

– მსახურთათვის?! – წამოიძახა კარდინალმა, – და განა მსახურებს ბატონებისაგან ბრძანება უნდა ჰქონდეთ მიღებული, რომ მაშინვე შეატყობინონ, თუ მათკენ მომავალი დაინახეს ვინმე. მსახურები კი არა, გუშაგები გყოლიათ!

– იმედი მაქვს, დამეთანხმება თქვენი ყოვლადუწმინდესობა, რომ სწორედ ამ სიფრთხილემ მოგვცა საშუალება, უმდაბლესი სალმით დავხვედროდით თქვენს ყოვლადუწმინდესობას და თან ჩვენი გულითადი მადლობა მოგვეხსენებინა. რადგან თქვენი წყალობით გახლავართ დღეს შეერთებულნი. დ არტანიან! – მიმართა თავის მეგობარს, – ეს არის ახლა ამბობდი, სად და როგორ გენახა მისი ყოვლადუწმინდესობა მადლობის მოსახსენებლად, აი, დაგეხმარათ თქვენი ბედი, ისარგებლეთ ამ შემთხვევით.

ისეთი ურყევი სიმშვიდითა და უსაზღვრო ზრდილობით წარმოთქვა ეს სიტყვები ათოსმა, რომ ზოგჯერ თვით შთამომავლობით გამეფებულ მბრძანებელს გაუჭირდებოდა ასეთი მედიდური დიდებულების გამოჩენა.

დ არტანიანი მივიდა კარდინალთან და რამდენიმე სიტყვით მადლობა წაილუღლუღა, მაგრამ ისეთი მოღუშული თვალით შემოჰყურებდა მისი ყოვლადუწმინდესობა, რომ მაშინვე ჩაჩუმდა.

– სულ ერთია, ბატონებო, – განაგრძო კარდინალმა და ეტყობოდა, გაბრაზება ვერ შეუნელა ვერც ათოსის მოხერხებულმა პასუხმა, ვერც დ არტანიანის მადლობამ, – სულ ერთია, ბატონებო, მე არ მომწონს, რომ უბრალო ჯარისკაცები, მარტო იმის გამო, რომ წარჩინებულ რაზმში იმყოფებიან, დიდებულის როლში გამოდიან. დისციპლინა ერთი და იგივეა ყველასთვის და ყველასათვის სავალდებულო.

ათოსმა კარდინალს მოთმინებით დაამთავრებინა სიტყვა, თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და მოახსენა:

– ჩვენ დისციპლინა არაფრით დაგვირღვევია, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ! რადგან სამსახურებრივი მოვალეობა ავასრულეთ და რაკი თავისუფალნი გახლდით, ვიფიქრეთ, ჩვენი სურვილისამებრ გაგვეტარებინა დრო. თუ იმდენად ბედნიერნი ვართ, რომ თქვენს ყოვლადუწმინდესობას ნებავს დაგვავალოს რაიმე, გვიბრძანოს, და ჩვენც მზად გახლავართ! მე მგონი, დამეთანხმება თქვენი ყოვლადუწმინდესობა, – განაგრძო ათოსმა წარბის შეჭმუხვნით, რადგან მასაც აჯავრებდა ამგვარი უკმეხი კილო, – რომ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ მტრის დასახვედრად და შეიარაღებულნი გახლავართ მაშინაც კი, როდესაც ბანქოს ვთამაშობთ. – კარდინალს ხელით ანიშნა ოთხ თოფზე, რომლებიც სათამაშო ქაღალდისა და კამათლების გვერდით ეწყო.

– გვერწმუნეთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, – დაუმატა დ არტანიანმა, – მაშინვე წინ შეგეგებებოდით ბრძანების მისაღებად, რომ შეგვძლებოდა იმისი წარმოდგენა, რომ თქვენ ასეთი მცირერიცხოვანი ამალით მობრძანდებოდით.

კარდინალი ტუჩებს იკვნეტდა.

– იცით თუ არა, რომ ასე შეიარაღებულნი და გუშაგებით გარშემორტყმულნი ნამდვილ შეთქმულებს ჰგავხართ?!

– ჰო, თუ მაგაზე მივიდა საქმე, მართალს ბრძანებს თქვენი ყოვლადუწმინდესობა, – მიუგო ათოსმა, – ჩვენ შეთქმულებას ვაწყობთ, მაგრამ როგორც ამასწინებზე სენ-ჟერვეს სიმაგრეში მოწყობილმა საუზმემ თქვენ თვითონვე დაგარწმუნათ, მხოლოდ ლაროშელელების დასამარცხებლად.

– ეჰ, ბატონო პოლიტიკოსებო! – თქვა კარდინალმა და ახლა მან შეიჭმუხნა შუბლი, – რამდენი გაურკვეველი საკითხის პასუხს ამოიკითხავდა ადამიანი თქვენს ტვინში, რომ ასევე ადვილად შეიძლებოდეს მისი წაკითხვა, როგორც იმ წერილისა, რომელიც ჩემმა მოახლოებამ დაგამალვინათ.

სისხლი აუვარდა ათოსს თავში და კარდინალისაკენ წაიწია.

– ისე გველაპარაკებით, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, თითქოს მართლა ეჭვი აღგძროდეთ და ნამდვილ დაკითხვას გვიპირებდეთ. თუ ასეა, კეთილ ინებეთ და გვიბრძანეთ, რას გვაბრალებთ, რომ ჩვენც პასუხი მოგახსენოთ.

– თუნდ დაკითხვაც იყოს, ბევრს სხვასაც აუტანია დაკითხვა და პასუხიც მოუცია, – უპასუხა კარდინალმა.

– აკი მოგახსენეთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ. დაგვკითხეთ და ჩვენი პასუხი მოისმინეთ.

– რა წერილი იყო, ბატონო არამის, წაკთხვას რომ აპირებდით და ჩემს დანახვაზე დამალეთ?

– ქალის წერილი.

– ო, მესმის, – უთხრა კარდინალმა, – უცხო არავინ უნდა შეეხოს ამგვარ წერილებს, მაგრამ სულიერ მამას კი შეიძლება აჩვენოთ, რადგან მას ეკუთვნის ამის უფლება.

– თქვენო ყოვლადუწმინდესობავ! – უპასუხა ათოსმა მით უფრო დიდი სიმშვიდით, რომ შეიძლებოდა წუთისოფელს გამოესალმებინათ ამ პასუხის გამო, – წერილი ქალისა გახლავთ, მაგრამ ხელს არც მარიონ დელორმი აწერს და არც ქალბატონი დ ეგილონი1.

მკვდრისფერი დაედო კარდინალს, ალი აუვარდა თვალებში, უკან მიბრუნდა, თითქოს ბრძანება უნდა მიეცა ოფიცრებისათვის. ათოსს არ გამოეპარა ეს მოძრაობა და თვითონაც თოფისკენ წაიწია. ათოსის მეგობრები თოფებს შესცქეროდნენ გაბრაზებული თვალით და ცხადად ეტყობოდათ, რომ ისე ადვილად არ დანებდებოდნენ დაპატიმრებას, როგორც კარდინალსა ნებავდა. კარდინალს ორი კაცი ჰყავდა, თვითონ მესამე იყო. მუშკეტერები, მსახურებიანად, შვიდნი იყვნენ. მიხვდა კარდინლი, რომ მეტად ნაკლები იყო ძალით, მით უფრო, რომ ნამდვილ კონსპირატორებად მიაჩნდა ათოსი და მისი მეგობრები და ამიტომ აქაც იხმარა ის საკვირველი ფანდი, რომელიც ყოველთვის მზადა ჰქონდა გაჭირვების შემთხვევაში: ტკბილი სიცილით გამოიხატა მთელი მისი რისხვა.

– კარგით! კარგით! – შესცინა ათოსს. – ყოჩაღი ბიჭები ხართ, სულით ამაყები და ჩვენთვის თავდადებული ერთგულნი. მე საძრახისს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ასე კარგად იცავთ თავს, რადგან ძალიან მამაცურად იცით სხვების დაცვაც. მე არ დამვიწყებია, ბატონებო, ის ღამე, „წითელი სამტრედის“ ტრაქტირში რომ მიმაცილეთ. საშიში რომ იყოს ის გზა, საითაც ამჟამად ვაპირებ წასვლას, უსათუოდ დღესაც გთხოვდით გამოყოლას, მაგრამ მსგავსი არაფერია და ამიტომ დარჩით, სადაცა ხართ, გამოცალეთ თქვენი ბოთლები, მოათავეთ ბანქოს თამაში და წერილის კითხვა. მშვიდობით, ბატონებო!

ამასობაში კარდინალი მოახტა ცხენს, რომელიც ოფიცერმა მოჰგვარა, დამშვიდობების ნიშნად მეგობრებს ხელი დაუქნია და წავიდა.

ოთხი ახალგაზრდა კაცი გაშეშებული იდგა ადგილზე, მათ თვალი გააყოლეს მიმავალ კარდინალს და ხმა არ ამოუღიათ, მანამ სულ მთლად არ მიეფარა თვალს. მერე კი ერთმანეთს გადახედეს.

შეძრწუნებულნი იყვნენ ოთხივენი, რადგან, მიუხედავად მეგობრული გამოთხოვებისა, კარგად იცოდნენ, რომ გაცოფებული გულით წავიდა კარდინალი.

მარტო ათოსი იღიმებოდა დამცინავი ღიმილით.

როდესაც იმდენად დაშორდა კარდინალი, რომ ვეღარც ხმა მიეწეოდა და ვეღარც თვალი, პირველმა პორთოსმა დაარღვია დუმილი.

– სულ გრიმოს ბრალია! კარდინალი მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა თავზე წამოგვადგა! – ძალიან უნდოდა, ჯავრი ამოეყარა ვინმეზე, და გრიმოს მივარდა.

გრიმოს უნდოდა პასუხი მიეცა, ბოდიში მოეხადა, მაგრამ თითი დაუქნია ათოსმა და ისიც გაჩუმდა.

– არამის, ნუთუ მისცემდით მაგ წერილს? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– იმ შემთხვევაში, თუ ის მოითხოვდა წერილს, გადაწყვეტილი მქონდა ერთი ხელით წერილის გადაცემა და მეორით ხმალზე აგება, – მიუგო სალამურისებრ ტკბილი ხმით არამისმა.

– მეც მაგას მოველოდი, – უთხრა ათოსმა. – და ამიტომ ჩაგიდექით შუაში, არა, როგორ არა ვთქვათ? მართლა უგუნური უნდა იყოს ჩვენი კარდინალი, რომ ასე უხეშად ელაპარაკოს კაცს, თითქოს ქალებისა და ბავშვების გარდა, თავისდღეში საქმე არავისთანა ჰქონდეს.

– მე თაყვანსა გცემთ, ჩემო ათოს, – მიმართა დ არტანიანმა, – მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, არც ჩვენ ვიყავით მართალნი.

– როგორ თუ მართალნი არ ვიყავით? – წამოიძახა ათოსმა, – ვის ეკუთვნის ეს ჰაერი, ჩვენ რომ ვსუნთქავთ? ვის ეკუთვნის ეს ოკეანე, თვალი რომ ვერ გადაგვიწვდენია? ვის ეკუთვნის თქვენი საყვარლის წერილი? განა კარდინალს? ჩემს დღეს ვფიცავ, ისე იქცევა ის თავხედი, თითქოს მართლა მას ეკუთვნოდეს ცა და ქვეყანა! თქვენც ისე თავზარდაცემულნი, გაბრუებულები შესცქეროდით მას, თითქოს ბასტილიის ციხე ამართულიყო თქვენს თვალწინ და გაექვავებინეთ ზღაპრულ ბუმბერაზ მედუზას. არა, მაშ, შეთქმულებას ამზადებს, ვინც სიყვარულით არის გახელებული? ერთი ქალი გიყვართ, რომელიც კარდინალმა დააპატიმრებინა, ცდილობთ, გაათავისუფლოთ როგორმე კარდინალის ბრჭყალებიდან. ესეც თამაშია, როგორც ქაღალდის თამაში, ოღონდ აქ კარდინალს ეთამაშებით. ამ თამაშის მოსაგებად თქვენ ეს წერილი გაქვთ და რად უნდა აჩვენოთ თქვენს თანამოთამაშეს თქვენი ქაღალდი? სად გაგონილა ეს ამბავი? თუ შეუძლია, თვითონ მიხვდეს! ჩვენც კარგად მივხვდით, ხომ ვიცით, სადაცა ჰყავს!

– მართალია, მართალი! – მოეწონა დ არტანიანს, – სრული ჭეშმარიტებაა, ათოს, თქვენი ნათქვამი!

– თუ ასეა, მაშ, ხმა აღარ ამოვიღოთ კარდინალის საქციელზე.

არამისმა განაგრძოს კითხვა თავისი დის წერილისა იმ ადგილიდან, რომელზედაც კარდინალმა შეაწყვეტინა.

არამისმა ჯიბიდან ამოიღო წერილი, სამი მეგობარიც მას მიუახლოვდა, ხოლო სამი მსახური ისევ ჩალით შემოწნულ დიდ ბოთლს მივარდა.

– სულ ერთი ან ორი სტრიქონი გქონდათ წაკითხული, მოდით, ისევ თავიდან დავიწყოთ, – სთხოვა დ არტანიანმა.

– სიამოვნებით, – მიუგო არამისმა.

„საყვარელო ჩემო ძმაო! მე მგონი, გადავწყვეტ სტენიეში წასვლას, რადგან ჩემმა დამ იქ, კარმელისტების მონასტერში მიაღებინა ჩვენი პატარა მოახლე. დაგვმორჩილდა საბრალო გოგო, რადგან იცის, სხვაგან, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, განსაცდელში ჩააგდებდა თავის სულს. მაგრამ ესეც იცოდეთ, თუ ისე კარგად წავიდა ჩვენი ოჯახის საქმეები, როგორც ჩვენ გვინდა, მე მგონი, სულიერ ნეტარებას უმტყუნებს და ისევ მათთან დაბრუნდება, ვინც ენატრება, მით უფრო, რომ იცის – სულ მასზე ფიქრობენ. მანამდე კი არა უშავს რა. კარგად არის. თუ ენატრება რაიმე, მარტო ერთი პატარა წერილი თავისი საქმროსი. ვიცი, რომ ამგვარი ნივთები ძალიან ძნელად შეიპარება მონასტრის სარკმელებში, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მე უკვე დაგიმტკიცეთ, რომ საკმაოდ მოხერხებული ვარ ასეთ საქმეში და, მაშასადამე, შევძლებ, ვიკისრო მისი შესრულება. დიდ მადლობას გიძღვნით ჩემი და, ყოველთვის ასე კარგად და გულკეთილად მოგონებისათვის. ერთხანს ძალიან წუხდა, მაგრამ ცოტა შეუნელდა ეს მწუხარება მას შემდეგ, რაც თავისი დახლიდარი გაგზავნა იქ, რომ იქაც არაფერი მოხდეს საქმის მაზარალებელი.

ნახვამდის, ჩემო საყვარელო ძმაო! რამდენადაც კი შეიძლება, ხშირად გვაცნობეთ ხოლმე თქვენი ამბავი, ესე იგი, ყოველთვის, როცა დარწმუნებული იქნებით, რომ ჩვენამდე მოაღწევს იგი.

თქვენი მარია მიშონი“.

– ოჰ, რა სიკეთე დამდეთ, არამის! რა უსაზღვროდ დამავალეთ! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – საწყალი კონსტანცია! მაშ, მისი ამბავიც მომივიდა! ცოცხალი არის, მონასტერშია, სტენიეში, ათოს, სად არის სტენიე?

– სულ ახლოს ელზასის საზღვრიდან, ლოტარინგიაში. ლაროშელის გარემოცვას რომ გავათავებთ, შეიძლება მერე იქით ჩავისეირნოთ.

– იმედი მაქვს, დიდი დრო არ დასჭირდება ლაროშელის აღებას, – თქვა პორთოსმა, – ერთი ჯაშუში ჩამოახრჩვეს ამ დილას და იმან თქვა, რომ

ლაროშელელებს თავიანთი წაღების ტყავების მეტი საჭმელი აღარა აქვთ რაო. თუ ვიგულისხმებთ, რომ ტყავის შემდეგ ცარიელი ლანჩაღა დარჩებათ საღრღნელად, არ ვიცი, სწორე გითხრათ, მერე რაღას იზამენ! ერთმანეთს თუ შეჭამენ, თორემ სხვა აღარაფერი ექნებათ.

– რა სულელები არიან ის უბედურები! – თქვა ათოსმა და მოიწაფა ერთი ჭიქა შესანიშნავი ბორდოული ღვინო, რომელსაც ისეთი სახელი არ ჰქონდა მაშინ, როგორიც დღესა აქვს. – რა სულელები არიან ის უბედურები! ნუთუ არ იციან, რომ კათოლიკეთა სარწმუნეობა ყველა სარწმუნოებაზე მეტად ხელსაყრელი და სასიამოვნოა? მაგრამ ეგ არაფერი, მაინც ყოჩაღები არიან. რას შვრებით, არამის? ისევ ჯიბეში მალავთ მაგ წერილს?

– ნუ, ნუ, არამის! – მიმართა დ არტანიანმა, – ჯობია დავწვათ! კიდევაც რომ დავწვათ, ერთიც ვნახოთ, რაიმე საშუალება ჰქონდეს კარდინალს და ფერფლიდანაც გაარჩიოს ნაწერი!

– უთუოდ ექნება, – თქვა ათოსმა.

– კარგი, მაგრამ რას უზამთ მაგ წერილს?

– გრიმო! – დაუძახა ათოსმა, – აქ მოდით.

გრიმო წამოვარდა და წინ გამოეჭიმა.

– თქვენი დასჯა მინდა, ჩემო გრიმო, რადგან წეღან უნებართვოდ გაბედეთ ერთი სიტყვის თქმა, და, აი, სასჯელიც: კარგად დაღეჭავთ და გადაყლაპავთ, ზედ ამ ღვინოს დააყოლებთ. მაშ, აბა, ჯერ წერილი! კარგად დაღეჭეთ!

გრიმოს გაეცინა, თვალი ვეღარ მოაშორა ათოსის მიერ პირამდე ავსებულ სასმისს და სწრაფად გადაყლაპა წერილი.

– ყოჩაღ, გრიმო! – შეაქო ათოსმა, – ახლა ეს მიირთვი! კარგი, კარგი! გამითავისუფლებიხარ, მადლობას ნუ გადაგვიხდი!

ხმის ამოუღებლივ, უსიტყვოდ დალია გრიმომ მშვენიერი ბორდოული ღვინო, მაგრამ, სანამ ამ ტკბილ ბრძანებას შეასრულებდა, მისი ცადაპყრობილი თვალები მრავალს მეტყველებდნენ.

– ახლა კი, თუ ბატონ კარდინალს მახვილგონივრულმა აზრმა არ გაუნათა გონება და მუცელი არ გამოდადრა ჩვენს საწყალ გრიმოს, მე მგონია, შეგვიძლია სრულიად დამშვიდებულნი ვიყოთ, – თქვა ათოსმა.

მისი ყოვლადუწმინდესობა ამ დროს სეირნობას განაგრძობდა და, დაღვრემილი, თავისთვის ბუზღუნებდა:

– ცხადია, ცხადი! ჩემკენ უნდა გადმოვიყვანო ეს ოთხი ბიჭი!

XXII

პატიმრობის პირველი დღე

დავუბრუნდეთ მილედის, რომელიც საფრანგეთის სანაპიროებზე გადმოხედვამ დროებით მხედველობიდან დაგვაკარგვინა.

ჩვენ მას იმავე სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ვიპოვით, როგორშიაც დავტოვეთ. ავბედითი ფიქრებით შეპყრობილს, თავის გამოხსნის ყოველგვარი იმედი დაკარგული ჰქონდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ეჭვი ეპარებოდა და შიშს შეეპყრო.

ორჯერ უღალატა ბედმა, ორ შემთხვევაში გაიგეს მისი საიდუმლო ფიქრები და გასცეს.

ორივე შემთხვევაში დ არტანიანმა მოიპოვა ეს გამარჯვება. დ არტანიანმა დაამარცხა დაუმარცხებელი, დ არტანიანმა დაამარცხა უძლეველი ძლიერება ბოროტებისა.

დ არტანიანმა ბოროტად გამოიყენა სიყვარული, შეურაცხყო მისი თავმოყვარეობა და, აი, ახლა, როდესაც ქალს ეგონა, რომ ბედს ეწია, დ არტანიანმა მოუსპო თავისუფლება და სიკვდილითაც კი ემუქრებოდა. უფრო მეტიც, დ არტანიანმა ააძრო კუთხე იმ ნიღაბისა, რომელიც ფარად ჰქონდა აფარებული და უძლეველს ხდიდა.

დ არტანიანმა კარდინალის მიერ დაგებული მახისაგან იხსნა ბუკინგამი, რომელიც ჭირივით ეჯავრებოდა მილედის, ისევე, როგორც ყველა, ვინც კი ოდესმე ჰყვარებია. დ არტანიანმა თავი შეაპარა გრაფ დე ვარდად, რომლის მიმართაც ქალს დაუცხრომელი ვნება ამოძრავებდა. დ არტანიანმა იცოდა მისი საშინელი საიდუმლოება, რომლის გამგებიც, მილედის ფიცი ჰქონდა დადებული, სიცოცხლეს გამოესალმებინა, ვინც უნდა ყოფილიყო იგი. მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც ნებართვა მიიღო მტერზე შურის საძიებლად, ისევე დ არტანიანმა გამოჰგლიჯა ხელიდან ეს საშუალება, თავის პატიმრად გაიხადა და სადღაც შორს, საზარელ ბოტანიბეში – ინდოეთის ოკეანის კუნძულზე, ან ტაიბერნში უპირებდა განდევნას.

მილედის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყველა ეს უბედურება დ არტანიანისაგან მოდიოდა. მარტო მას შეეძლო მისთვის ასე თავლაფის დასხმა. მარტო მას შეეძლო ეცნობებინა ლორდ უინტერისათვის ყველა ის საშინელი საიდუმლოება, რომელიც რაღაც ავბედითობის დახმარებით ზედიზედ აღმოაჩინა.

რამდენი სიძულვილი უნდა მოენელებინა! გულში ბოღმა უდუღდა, მრისხანებით სავსე თვალები გამოკეტილი ოთახის სიღრმისთვის გაეშტერებინა. ხანდახან სუნთქვას გულის სიღრმიდან ამოყოლებულ კვნესას ამოატანდა ხოლმე, რომელიც კლდეებთან დამარცხებულ ზღვის ტალღების ხმაურს უერთდებოდა. ქალბატონ ბონასიეს, ბუკინგამის და, განსაკუთრებით კი, დ არტანიანისადმი შურისძიების მომავალი გეგმები გონებას ელვასავით უნათებდა.

მაგრამ შურის საძიებლად თავისუფლება სჭირდებოდა, თავისუფლებას კი პატიმარი მაშინ მოიპოვებდა, თუ გააპობდა კედელს, ახსნიდა ურდულებს, გახვრეტდა იატაკს. ყოველივე ეს შეიძლება მოეხერხებინა მოთმინებისა და მაგარ ძალ-ღონის მქონე მამაკაცს. მაგრამ გააფთრებულ დედაკაცს კი ამაოდ ჩაუვლიდა ამგვარი ცდა. ესეც რომ არ იყოს, ყოველივე ამის გასაკეთებლად საჭირო იყო დრო, თვეები, წელიწადი, მას კი... ათი თუ თორმეტი დღე ჰქონდა, როგორც უთხრა ლორდმა უინტერმა, მისმა დაუნდობელმა და ციხის საშინელმა ზედამხედველმა.

ვაჟკაცი რომ ყოფილიყო მილედი, ყოველგვარ საშუალებას სცდიდა და იქნება კიდეც აესრულებინა გულის წადილი: ნეტავი რად გაბრიყვდა ასე სამარცხვინოდ ბუნება, რომ ასეთი მძლავრი ვაჟკაცური სული ჩაუდგა ამ ნაზ და სუსტი აგებულების ქალს?

საშინელი იყო მილედის პატიმრობის პირველი წუთები. გაცოფებული კრუნჩხვებისაგან თავს ვერ იკავებდა. მერე კი ნელ-ნელა დაიმორჩილა გაგიჟებული მრისხანება, საბოლოოდ მოიშორა ნერვიული კანკალი და გონებას იკრებდა, როგორც დასასვენებლად განრთხმული დაღლილი გველი.

– არა, რა ღმერთი გამიწყრა, რომ ასე გავბრაზდი? – შეეკითხა მილედი თავის თავს და სარკეში ჩაიხედა, – რა საჭიროა აქ მძვინვარება? მძვინვარება სისუსტის ნიშანია. მით უფრო, რომ ამგვარი საშუალებით არასოდეს არ მიმიღწევია მიზნისათვის. ჩემი ძალა ქალებზე რომ მეხმარა, იქნება კიდევ დავრწმუნებულიყავი, რომ ისინი უფრო სუსტები არიან, ვიდრე მე, და, მაშასადამე, კიდეც დამემორჩილებინა. მაგრამ ქალებს კი არა, მე მამაკაცებს ვებრძვი და მამაკაცებისათვის მე მხოლოდ ქალი ვარ. მაშ, შევებრძოლები, როგორც ქალი. ჩემი ძალა ჩემს სისუსტეშია, – შემდეგ, თავის შესამოწმებლად,

რამდენიმე განსხვავებული გამოხატულება მიაღებინა თავის სახეს, დაწყებული გაცოფებული ბრაზიდან, ალერსიანი სიყვარულით აღსავსე გულისწარმტაც ტკბილ ღიმილამდე. მერე თავის დახელოვნებული ხელით ტალღისებურად დაილაგა თმა, რომ სახის სილამაზეს თმის მშვენიერებაც დახმარებოდა. კმაყოფილი დარჩა თავისი მომხიბლავობის, და იმედიანად წაიჩურჩულა:

– ვნახოთ! ვნახოთ! ჯერ კიდევა მაქვს იმედი, ჯერ ისევ ლამაზი ვარ!

საღამოს რვა საათი იქნებოდა დაახლოებით. მილედიმ ლოგინს მოჰკრა თვალი და იფიქრა, რომ რამდენიმე საათის მოსვენება განუახლებდა არა მარტო გონებას, არამედ უფრო მეტად – სახის ფერსაც. მაგრამ სხვა უკეთესი ფიქრიც მოუვიდა: მანამ დაწვებოდა, რაღაც გაეგო ვახშმის შესახებ. ერთ საათზე მეტი იყო უკვე, რაც ამ ოთახში შემოიყვანეს და ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ვახშამი არ მოერთმიათ. არ უნდოდა პატიმარს ამაოდ დროს დაკარგვა და გადაწყვიტა, ამ საღამოსვე შესდგომოდა თავის საპატიმროსა და იმ პირთა გაცნობას, რომლებსაც ჩააბარეს მისი დარაჯობა.

სუსტი სინათლე გამოჩნდა კარის ქვეშიდან, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ ციხის მოხელეები ბრძანდებოდნენ. მილედი საჩქაროდ დაეშვა სავარძელზე, თავი უკან გადაიგდო, მშვენიერი თმა გაიშალა, გულისპირი ოდნავ გაიღეღა, ერთი ხელი გულზე მიიდო და მეორე ძირს დაუშვა.

გადასწიეს ურდული, გაიჭრაჭუნა კოჭაკმა, ოთახში ფეხის ხმა გაისმა და მილედის მიუახლოვდნენ.

– აქ დადგით ეგ მაგიდა, – გაისმა ბრძანება და მილედიმ ამ ხმით იცნო ოფიცერი ფელტონი.

მაგიდა ბრძანებისამებრ დადგეს.

– სანთლებს მოიტანთ და გუშაგებს გამოცვლით, – განაგრძო ფელტონმა. ამ ორმაგმა ბრძანებამ, რომელიც ახალგაზრდა ოფიცერმა ერთსა და იმავე პიროვნებას მისცა, პატიმარი დაარწმუნა, რომ ეს ჯარისკაცი ერთ და იმავე დროს მისი გუშაგიც იქნებოდა და მსახურიც.

სწრაფად, ხმის ამოუღებლად სრულდებოდა ფელტონის ბრძანება, ეს კი იმას ამტკიცებდა, რომ სათანადო სიმაღლეზე იდგა სასახლის მოსამსახურეთა დისციპლინა.

ფელტონი კარგა ხანს ტრიალებდა ოთახში, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა მილედის. ბოლოს მისკენაც მიბრუნდა.

– სძინავს! ძალიან კარგი, გაიღვიძებს და მაშინ ივახშმებს.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კარისაკენ, წასვლას აპირებდა.

– არა, ბატონო ოფიცერო, ამ ქალს არ სძინავს, – მოახსენა ჯარისკაცმა, ნაკლებად ურყევმა, ვიდრე მისი უფროსი იყო, და უფრო ახლოს მივიდა სავარძელთან.

– როგორ თუ არ სძინავს? – გაუკვირდა ფელტონს, – მაშ, რას აკეთებს, თუ არა სძინავს?

– გულწასული გახლავთ! ხედავთ, რა ფერმიხდილია, რამდენი ხანია ყურს ვუგდებ და სუნთქვა არ მესმის.

– თქვენ მართალი ხართ, – უთხრა ფელტონმა, როდესაც ქალს თვალი გადაავლო, მაგრამ იქვე დარჩა, სადაც იდგა, ქალისკენ ერთი ნაბიჯიც კი არ გადადგა.

– წადით, მოახსენეთ ლორდ უინტერს, რომ გული წასვლია მის პატიმარს! გულწასულის მოსულიერებისა მე არა ვიცი რა და არც გათვალისწინებული ყოფილა ეს შემთხვევა.

ჯარისკაცი მაშინვე წავიდა თავისი უფროსის ბრძანების ასასრულებლად. ფელტონი სავარძელზე დაეშვა, რომელიც შემთხვევით კართან ახლოს იყო მიდგმული, და ლოდინი დაიწყო. მილედი უძრავად იჯდა, ხმას არ იღებდა. ამ

ხელოვნებას, რომელიც ასე გავრცელებულია ქალებში, იგი კარგად იყო დაუფლებული. მას შეიძლება თვალების ქუთუთოები დახურული ჰქონოდა, მაგრამ გრძელ წამწამებს შუა მაინც ხედავდა ყველაფერს. აი, ახლაც შეამჩნია, რომ ფელტონს ზურგი შეექცია მისთვის. ათი წუთის განმავლობაში უყურებდა ამ ყმაწვილ კაცს და ხედავდა, რომ მისკენ ერთხელაც არ მობრუნებულა ეს გულგაყინული მცველი.

მაშინ მილედიმ მოიფიქრა, რომ ლორდ უინტერის მოსვლა ძალას შემატებდა მის ოფიცერს. გრძნობდა, ამაოდ ჩაუარა ამ პირველმა ცდამ. გულმშვიდად აღიარა ეს პატარა მარცხი და რადგან ჯერაც კიდევ საკმაოდ მოეპოვებოდა ბრძოლის საშუალებები, თავი მაღლა აიღო, თვალი გაახილა და ღრმად ამოიოხრა.

ამ ოხვრამ, როგორც იყო, ფელტონი მისკენ მოაბრუნა.

– აჰ, გამოიღვიძეთ, ქალბატონო? – უთხრა ცივად, – მაშ, მე აქ საქმე აღარა მაქვს, თუ მოგინდათ რაიმე, ზარი დარეკეთ.

– ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! როგორ ვიტანჯები! – კვნესოდა მილედი იმ ტკბილი ხმით, რომელიც ძალიან წააგავდა ზღაპრული ჯადოსანი ქალების ხმას, რომლითაც დასაღუპად განწირულ ადამიანებს ხიბლავენ.

მილედიმ წამოიწია, ადგილი შეიცვალა, სავარძელზე უფრო კოხტად და მიმზიდველად მოეწყო.

ფელტონი ადგა.

– დღეში სამჯერ გეახლებიან, ქალბატონო, დილის ცხრა საათზე, შუადღის პირველ საათზე და საღამოს რვა საათზე. თუ არ ეგუება ეს განრიგი თქვენს ჩვეულებას, ასეთ შემთხვევაში თქვენ თვითონ დაგვინიშნეთ, რა საათებს ირჩევთ, თქვენს სურვილს გავითვალისწინებთ.

– მაშ, სულ ასე მარტოდ უნდა დავრჩე ამ უშველებელ, საშინელ ოთახში? – ჰკითხა მილედიმ.

– ერთ ქალს ვაცნობეთ, ხვალიდან აქ იქნება და გეახლებათ ყოველთვის, როდესაც კი დაგჭირდებათ მისი დახმარება.

– გმადლობთ, ბატონო, – უთხრა თავმდაბლად მილედიმ.

ფელტონმა ოდნავ დაუკრა თავი და კარისკენ წავიდა. ის იყო უნდა გადაევლო ზღურბლი, რომ ლორდი უინტერი გამოჩნდა დერეფანში, თან ჯარისკაცი მოსდევდა. მას ხელში წამლის შუშა ეჭირა.

– რა იყო, რა მოხდა? – დაიძახა დაცინვით მოსულიერებული რძლისა და წასასვლელად გამზადებული ფელტონის დანახვაზე. – ასე უცბად როგორ გამოცოცხლდა მკვდარი? ახლა ხომ დარწმუნდი, ჩემო საყვარელო ფელტონ, რომ გამოუცდელ ბავშვად მიაჩნიხარ ამ ქალბატონს და პირველი მოქმედება წარმოადგინა იმ კომედიისა, რომლის განვითარებას, უეჭველია, სიამოვნებით ვნახავთ ამ ახლო ხანში.

– მეც მაგას ვფიქრობდი, მილორდ, – მიუგო ფელტონმა, – მაგრამ რა მექნა, ქალი გახლავთ ეს პატიმარი და მეც მინდოდა, პატივისცემით მოვქცეოდი, როგორც ეს შეეფერება პატიოსან კაცს, ქალის გულისათვის თუ არა, თავისი ღირსების პატივსაცემად მაინც.

მილედის გააჟრჟოლა, ფელტონის სიტყვებმა ყინულივით დაუარა ძარღვებში.

– მაშ, ასე, – თქვა სიცილით ლორდმა უინტერმა, – ხელოვნურად გაშლილ თმას, ლამაზ თეთრ კანს და განაბულ თვალებს ჯერ არ მოუხიბლიხარ, შე გულქვავ, შენა?

– არა, მილორდ, – უპასუხა გულუგრძნობმა ყმაწვილმა კაცმა, – და, მერწმუნეთ, ჩემს მოსახიბლავად ცოტა მეტია საჭირო, ვიდრე ქალის ამგვარი ოინები და კეკლუცობა.

– ასეთ შემთხვევაში, ჩემო გულადო ვაჟკაცო, თავი დავანებოთ მილედის, რომ რაიმე სხვა საშინელება მოიფიქროს, ჩვენ კი წავიდეთ, ვახშამს შევექცეთ, აჰ! ფიქრი ნუ გაქვთ, ქალბატონს ძალიან ნაყოფიერი მოფიქრების უნარი აქვს და თავისი კომედიის პირველ მოქმედებას მეორესაც მალე მოაყოლებს.

ეს თქვა თუ არა, ფელტონს ხელი გაუყარა მკლავში და სიცილით გაიყვანა მილედის ოთახიდან.

– ოჰ, დამაცადე, მოვახერხებ რაიმეს შენს დასამორჩილებლად, – ბუტბუტებდა გაბრაზებული მილედი, – დამშვიდებული ბრძანდებოდე, შე უბედურო ბერო, ანაფორად რომ გადაგიგქცევია ეგ სამხედრო ტანისამოსი.

– ჰო, მართლა! – წამოიძახა უინტერმა და კარის ზღურბლზე შეჩერდა, – მადას ნუ წაგიხდენთ, მილედი, პირველი მარცხი. ერთი ნახეთ, რა მშვენიერია ეს დედალი და, აგრეთვე, ეს თევზი! პატიოსნებას გეფიცებით, მოწამლული არ არის. ძალიან კარგ განწყობილებაზე ვართ მე და ჩემი მზარეული, მან იცის, რომ ჩემს მემკვიდრედ ის ვერ გახდება და ამიტომ სრული ნდობა მაქვს მისი. თქვენც ჩემს მაგალითს მიბაძეთ. მშვიდობით, საყვარელო ჩემო რძალო, თქვენს უახლოეს გულის წასვლამდე!

ამის ატანა კი ვეღარ შეძლო მილედიმ: ხელებით სავარძელს ნერვიულად ჩააფრინდა, კბილები ააკრაჭუნა, ცეცხლის მფრქვევი თვალებით შეჰყურებდა კარისკენ მიმავალ ლორდს და ფელტონს, ხოლო როდესაც კარი მოხურეს და მარტოდ დარჩა თავის ოთახში, ხელმეორედ მოერია სასოწარკვეთილება. გადახედა მაგიდას, დაინახა გაპრიალებული დანა, მივარდა, ხელში აიღო, მაგრამ აქაც მძაფრად გაუცრუვდა იმედი: დანის პირი მოჩლუნგებული იყო.

ოდნავ მიხურული კარიდან ხარხარი მოისმა, მერე კარიც გააღეს.

– ჰა, ჰა! – შეჰყვირა უინტერმა, – ჰა, ჰა, ჰა! ხომ კარგად ხედავ, ჩემო ფელტონ, რომ მართალი იყო, რასაც გეუბნებოდი! ეს დანა შენთვის იყო მომზადებული, მოგკლავდა, ჩემო კარგო. ერთი საოცარი თვისებათაგანი ამ ქალბატონისა ის არის, რომ ვერ მოისვენებს, სანამ არ მოკლავს თავის შემაწუხებელს. მე რომ შენთვის დამეჯერებინა და ფოლადის დანა გამომეგზავნა, გალესილი და წვეტიანი, მაშინ აღარ გვეყოლებოდა ფელტონი, ყელს გამოგღადრავდა, ჩემო კარგო, და შენ შემდეგ ყველა დანარჩენს, ვინც აქ არიან. ხო ნახე, რა კარგად იცის დანის ხმარება!

მართლაც, მილედის ჯერაც მოკრუნჩხულ ხელში ეჭირა დასარტყმელად გამზადებული დანა, მაგრამ ამ უკანასკნელმა სიტყვამ, ამ უაღრესმა შეურაცხყოფამ ხელი მოუდუნა და მასთან ერთად მოუდუნა მთელი თავისი ძალა და ნებისყოფაც.

დანა ძირს დაეცა.

– მართალი ბრძანდებით, მილორდ, – უთხრა ფელტონმა ზიზღით სავსე ხმით, რომელიც გულის სიღრმეში ჩასწვდა ქალს, – მართალი ბრძანდებით, მილორდ, მე შევცდი.

ორივენი ოთახიდან გავიდნენ.

ამჟამად კი მეტი ყურადღებით ისმენდა მილედი მიმავალთა ფეხის ხმას, ვიდრე პირველად, და ბოლოს დარწმუნდა, რომ მართლა წავიდნენ, რადგან შორიდან ისმოდა მათი ხმა და ბოლოს სრულიად მიწყდა.

– დავიღუპე! – მოთქვამდა ჩუმად მილედი, – მე აქ ვეღარას გავხდები, ისეთი კაცების ხელში ვარ, რომ ვეღარაფრით აღვუძრავ გრძნობას, როგორც ბრინჯაოს ან სალი კლდის ქანდაკებას. ზეპირად იციან ყოველი ჩემი ფანდი და დაჯავშნულნი ხვდებიან ყოველ ჩემს იარაღს. ეს ასეა, მაგრამ როგორ შეიძლება ისე გათავდეს ყველაფერი, როგორც ამათ ნებავთ? – ფიქრობდა მილედი.

ეს უკანასკნელი ფიქრი, იმედის ეს ინსტინქტური განახლება მოწმობდა, რომ ამ ქალის ღრმა სულში დიდხანს ვერ ძლებდა შიში და მისუსტებული გრძნობა.

მილედი სუფრას მიუჯდა, სხვადასხვა საჭმელს შეექცა, ცოტა ესპანური ღვინოც მოსვა და იგრძნო, რომ განუახლდა ძალა განზრახვათა განსახორციელებლად.

მილედი არ წვებოდა, იგი დაკვირვებით უფიქრდებოდა, სინჯავდა, სწავლობდა თავისი თანამოსაუბრეების ყოველ სიტყვას, მოძრაობას, დუმილსაც კი. და ამ ღრმად დაკვირვებული, ოსტატური, მეცნიერული ანალიზიდან ის დასკვნა გამოიტანა, რომ ფელტონის დაყოლიება უფრო ადვილი იყო, ვიდრე უინტერისა.

მეტადრე ერთი სიტყვა აგონდებოდა პატიმარს:

– „მე რომ შენთვის დამეჯერებინა“, – უთხრა უინტერმა ფელტონს, მაშასადამე, ფელტონს რაღაცა უთქვამს მის სასარგებლოდ და ლორდ უინტერს არ მოსწონებია მისი ნათქვამი.

„სუსტი ნებისყოფა აქვს თუ მტკიცე, – ფიქრობდა მილედი, – ამ ყმაწვილს ჩემდამი სიბრალულის პატარა ნაპერწკალი მაინც ჰქონია სულში, მე კოცონად გადავუქცევ ნაპერწკალს და შიგვე ამოვწვავ.

რაც შეეხება მეორეს, – ფიქრობდა იმედიანად მილედი, – ის მიცნობს, ეშინია ჩემი, იცის, რომ კარგი დღე არ დაადგება, თუ თავი დავაღწიე ამ ციხე-დარბაზს. ახლა მისი დამორჩილების ცდა ამაოდ ჩამივლის.

მაგრამ სულ სხვაა ფელტონი, გამოუცდელი, მიამიტი და უმწიკვლო ყმაწვილი, მგონი, სათნოც უნდა იყოს. ასეთი კაცის დასაღუპავად მოხერხებული ქალი ყოველთვის იპოვის რაიმე გზას.“

ასეთი ფიქრებისა და დასკვნის შემდეგ მილედი დაწვა, ძილში ბაგეზე ღიმილი დარჩენოდა, ასე მძინარი რომ ენახა ვინმეს, იტყოდა – ეს ყმაწვილი გოგო სიზმარში ყვავილების გვირგვინსა ხედავს, რომ მომავალ დღესასწაულზე დაიხუროსო.

XXIII

პატიმრობის მეორე დღე

მილედი სიზმარში დ არტანიანის სიკვდილით დასჯას ხედავდა. ჯალათის მიერ დაკრული ცულისაგან მის მოსისხლე მტერს სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მძინარე მილედის ბაგეზე ნეტარების ღიმილი დასთამაშებდა.

ლედი კლარიკს ისე ტკბილად ეძინა იმ ღამეს, როგორც სძინავს პირველი იმედით დარწეულ პატიმარს.

მეორე დღეს, როდესაც მისი ოთახის კარი გააღეს, ჯერ ისევ ლოგინში იწვა. ფელტონი დერეფანში იდგა, მას გუშინდელი დაპირება შეესრულებინა და ქალი მოეყვანა.

ქალი მილედისთან შევიდა და თავისი სამსახური შესთავაზა.

მილედი, ჩვეულებისამებრ, ფერმიხდილი იყო. რაღა თქმა უნდა, ეს გარემოება ადვილად მოატყუებდა ყველას, ვინც მას პირველად შეხედავდა.

– ძალიან მაციებს, – უთხრა ქალს, – მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. მერე რა გაუთავებელი იყო ეს ღამე! ოჰ, როგორ ვიტანჯები! იქნება იწამოთ ღმერთი და ცოტა მაინც უფრო ლმობიერად მომექცეთ, ვიდრე გუშინ. საამისოს არასა გთხოვთ, ნება მომეცით ავადმყოფს, ლოგინში ვიწვე.

– თუ გნებავთ, ექიმს შევატყობინებთ? – ჰკითხა ქალმა.

ეს ბაასი ფელტონსაც ესმოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა.

მილედი გრძნობდა, რომ რამდენადაც ბევრ ხალხს დაახვედრებდნენ, იმდენად მეტისთვის უნდა შეეცოდებინა თავი, გარდა ამისა, იმდენად უფრო

გაძლიერდებოდა ლორდ უინტერის ეჭვები, თვალყურის დევნება და, რაც მთავარია, შეიძლებოდა ექიმს ეთქვა, რომ იგონებდა ავადმყოფობას. ერთხელ უკვე განიცადა მარცხი და ახლა აღარა სურდა, იგივე განმეორებულიყო.

– მე ექიმი ვერას მიშველის, ტყუილად შევაწუხებთ. ამ ბატონებმა გუშინ გამოაცხადეს, რომ კომედიაა ჩემი ავადმყოფობა, დღესაც, ეჭვი არ არის, იმავე აზრისანი იქნებიან, და გუშინდელს აქეთ საკმარისი დრო ჰქონდათ, რომ ექიმისთვისაც იგივე ეცნობებინათ.

– მაშ, თქვენ თვითონ ბრძანეთ, ქალბატონო, – უთხრა მოუთმენლად ფელტონმა, – როგორი მოვლა გესაჭიროებათ?

– ღმერთო ჩემო! აბა, მე რა ვიცი? ვგრძნობ, რომ ავადა ვარ, ამის მეტი მე არა ვიცი რა. როგორც გინდოდეთ, ისე მომექეცით, რა მენაღვლება!

– სთხოვეთ ლორდს, აქ მობრძანდეს, – უთხრა დედაკაცს ამ ლაპარაკით მობეზრებულმა ფელტონმა.

– ოჰ, არა, არა! – შეჰყვირა მილედიმ. – ნუ, ბატონო, თუ ღმერთი გწამთ, იმას ნუ დაუძახებთ! ოღონდ იმას ნუ დაუძეხებთ და... მე კარგადა ვარ! არა მიჭირს რა!

ისეთი სიცხარით წარმოთქვა ეს სიტყვები, ისე შთამაგონებლად, რომ ფელტონმაც კი ვეღარ გაუძლო და ოთხაში გაიარ-გამოიარა.

„მგონი, ავუჩვილე გული“, – ფიქრობდა მილედი.

– კარგით, ქალბატონო, არ დავუძახებ, მაგრამ თუ მართლა ავადა ხართ, ჯობს, ექიმი მოვიწვიოთ. კიდევაც რომ გვატყუებდეთ, რა წახდება მაგით? მით უარესი თქვენთვის! მაგრამ ჩვენი მხრივ კი სრულიად დამშვიდებული გვექნება სინდისი.

არა უპასუხა რა მილედიმ, მაგრამ ღონემიხდილად დაუშვა ლამაზი თავი ბალიშზე, ცრემლი მოერია და ქვითინი დაიწყო.

ერთხანს თავისი ჩვეულებრივი გულცივობით შეჰყურებდა ფელტონი. მერე, რაკი ნახა, რომ ბოლო აღარ ეღებოდა ამ ქვითინს, გავიდა. ქალიც თან გაჰყვა. ლორდი უინტერი არ შევიდა თავის რძალთან.

– მგონი, კარგად ვერკვევი ზოგ რამეში, – ჩურჩულებდა მილედი მხეცური სიხარულით და მთლად ჩაიმალა საბნის ქვეშ. ეშინოდა, იქნება დღესაც თვალყურს მადევნებენო, და არ უნდოდა, მისი გულითადი სიხარული ვინმეს დაენახა.

ასე გავიდა ორი საათი.

– ახლა კი დრო არის, რომ განიკურნოს ავადმყოფი, – თქვა ქალბატონმა, – ავდგეთ და დღეიდანვე მივაღწიოთ რაიმე გამარჯვებას. სულ ათი დღე მქონდა, ამაღამიდან მხოლოდ რვა დამრჩება.

მილედის ოთახში დილით შემოტანილი საუზმე ისევ პატარა მაგიდაზე იდო. მაშასადამე, უნდა მოსულიყვნენ სუფრის ასალაგებლად და ქალბატონს ფელტონის ნახვის იმედი ჰქონდა.

მილედი არ შემცდარა: შემოვიდა ფელტონი. მან არც კი ისურვა გაეგო, მიირთვა თუ არა მილედიმ საუზმე, და ბრძანა, გაეტანათ პატარა მაგიდა, რომელიც სუფრაგაშლილი შეჰქონდათ ყოველთვის.

ბოლოს მარტო ფელტონი დარჩა. მას ხელში წიგნი ეჭირა.

კეკლუცი მილედი ფერმიხდილი და სასოწარკვეთილი სახით იწვა იქვე ბუხართან მდგარ სავარძელში. იგი წამების მოლოდინში მყოფ წმინდა ქალწულს მოგაგონებდათ...

ფელტონი მიუახლოვდა ქალს და წიგნი გაუწოდა.

– ქალბატონო! ლორდი უინტერი კათოლიკეა, ისევე როგორც თქვენ, და ფიქრობს, რომ ალბათ ძალიან გაწუხებთ თქვენი სარწმუნოების ლოცვანისა და

წირვა-ლოცვის უქონლობა. ამიტომ გიგზავნით ამ ლოცვანს, იქნება ლოცვების კითხვით მაინც დაიკმაყოფილოთ თქვენი სარწმუნოებრივი მოვალეობა.

ისეთი სახით დადო ეს წიგნი მილედის ახლოს დადგმულ პატარა მაგიდაზე, ისეთი კილოთი წარმოთქვა ეს სამი სიტყვა „თქვენი სარწმუნოებრივი მოვალეობა“ და თან ისეთი ზიზღით სავსე ღიმილით, რომ მილედიმ წამოიწია და ყურადღებით დააშტერდა ყმაწვილ კაცს.

ახალგაზრდა კაცის სადა ტანისამოსმა, ასევე სადად, მოკლედ გაკრეჭილმა თმამ, მარმარილოს ქანდაკებასავით გამოთლილმა შუბლმა, მაგრამ მასავით მტკიცემ და შეუცნობმა, მილედი დაარწმუნა, რომ მის წინ ერთი იმ პურიტანელთაგანი იდგა, რომლებსაც ისე ხშირად ხვდებოდა, როგორც მეფე იაკობის, ისე საფრანგეთის მეფის სასახლეში. მიუხედავად წმინდა ბართლომეს ღამის საშინელებისა, დევნილი ჰუგენოტები ზოგჯერ მეფის სასახლეში პოულობდნენ თავშესაფარს.

ერთგვარი უეცარი ზეშთაგონება მოედო მილედის გონებას, ისე როგორც ეს მარტო გენიოსებს მოსდით ხოლმე რაიმე განსაცდელის დროს ან იმ უკიდურეს წამში, როდესაც უნდა გადაწყდეს მათი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

ამ სამმა სიტყვამ „თქვენი სარწმუნოებრივი მოვალეობა“ და ფელტონის გუშინდელმა სახის გამომეტყველებამ მილედის ჩააგონა, თუ რა დიდმნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მის მიერ გაცემული პასუხი, რომლის შედგენაც თავისი სწრაფი მოსაზრების წყალობით უკვე მოესწრო.

– მე მიგზავნის? – წამოიძახა ისეთივე ზიზღიანი ტონით, რომელიც ყმაწვილი ოფიცრის ხმაში იგრძნო, – მე მიგზავნის ჩემი სარწმუნოების მოვალეობის ასასრულებლად? ძალიან კარგად იცის ლორდმა უინტერმა, იმ გახრწნილმა კათოლიკემ, რომ მე მისი სარწმუნოებისა არა ვარ, და ცდილობს, ერთი მახე კიდევ დამიგოს.

– მაშ, რა სარწმუნოებისა ბრძანდებით, ქალბატონო? – ჰკითხა განცვიფრებულმა ფელტონმა, რომელიც ყოველთვის ეუფლებოდა თავის გრძნობებს, მაგრამ ამჟამად ასეთი პასუხის გამო ვერ შეძლო თავის შეკავება.

– ვიტყვი იმ დღეს, – შეჰყვირა თვალთმაქცური აღტყინებით მილედიმ, – როდესაც დავიღუპები ჩემი მრწამსის სადიდებლად.

ახალგაზრდა ოფიცერი ხმას არ იღებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი თვალები მეტყველებდნენ.

– ჩემი მტრების ხელში ვარ, – განაგრძო მილედიმ აღტაცებული ტონით, რომელიც პურიტანებისათვის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. – ღმერთმა უკეთ უწყის: ან მიხსნის მე ცოდვილს, ან წამებული ვიქნები ჩემი ღვთის განგებით. აი, ბატონო, ეს არის ჩემი პასუხი და ეს მოახსენეთ ლორდს. რაც შეეხება ამ წიგნს, – დაუმატა ქალბატონმა და თითით ანიშნა ლოცვანზე, მხოლოდ ისე, რომ არ შეეხო, თითქოს შებღალული დარჩებოდა, ხელი რომ ეხლო კათოლიკეების ლოცვანთა კრებულისათვის. – შეგიძლიათ, უკანვე წაიღოთ და თქვენ თვითონ გამოიყენოთ. დარწმუნებული ვარ, თქვენ ორმაგადა ხართ ლორდ უინტერის თანამონაწილე: ეხმარებით ჩემს დევნაში და ეხმარებით თქვენი სარწმუნოების სადიდებლად.

ფელტონმა არაფერი უპასუხა, ლოცვანი აიღო იმავე ზიზღით, რომლითაც წეღან მაგიდაზე დაუდო, და ჩაფიქრებული გავიდა.

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ლორდი უინტერი მოვიდა. მილედის მთელი დღე ჰქონდა განკარგულებაში, რომ თავისი მოქმედების გეგმა მოეფიქრებინა. მან ისე მიიღო ლორდი, როგორც შეეფერება ქალბატონს, რომელსაც საკმაო ძალა მოეპოვება.

– მაშ ასე, ქალბატონო? – მიმართა ლორდმა, მილედის პირდაპირ მდგომ სავარძელზე დაეშვა და მოურიდებლად შეაწყო ფეხები ბუხრის ქვაზე, – მაშ, ასე, ახლა სარწმუნოებისაგან განდგომასაც ვაპირებთ?

– რის თქმა გნებავთ, მილორდ?

– იმის თქმა მინდა, რომ მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გნახეთ, სარწმუნოებაც კი შეგიცვლიათ. შემთხვევით მესამე ქმარს ხომ არ გაჰყოლიხართ, პროტესტანტს?

– განმიმარტეთ, მილორდ, – განუმეორა მედიდურად პატიმარმა, – მოგახსენებთ, რომ ვისმენ თქვენს სიტყვებს, მაგრამ აზრი ვერ შემიგნია.

– ეგ იმიტომ, რომ თქვენ არავითარი სარწმუნეობა არა გაქვთ! მე ეს უფრო მომწონს, – უთხრა დაცინვით უინტერმა და სიცილი წასკდა.

– ცხადია, ეგ უფრო შეეფერება თქვენს პრინციპებს, – უპასუხა ცივად მილედიმ.

– ოჰ, ვაღიარებ, რომ ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მაგ სარწმუნოებრივ განსხვავებას.

– რა საჭიროა, მილორდ, მაგის აღიარება? თქვენი ქეიფი და ავკაცობაც კმარა მაგის დასამტკიცებლად.

– რაო? რაო? ქეიფისა და ავკაცობას გაიძახით, ქალბატონო მესსალინ, ლედი მაკბეტ? ან კარგად ვერ გავიგონე თქვენი ნათქვამი, ან, ღვთის წინაშე, ძალიან ურცხვი ყოფილხართ!

– ასე იმიტომ ლაპარაკობთ, რომ იცით, ყურს გვიგდებენ? – უპასუხა ცივად მილედიმ, – გინდათ, მტარვალებად გამიხადოთ თქვენი მცველები და ჯალათები?

– ჩემი მცველები, ჩემი ჯალათები? ეჰ, ქალბატონო! მეტად პათეტურ ტონს აძლევთ დღეს თქვენს კილოს და გუშინდელი თქვენი კომედია ამ საღამოს ტრაგედიად იცვლება. მაგასაც გავუძლებთ: ამ რვა დღის შემდეგ იქ იქნებით, სადაც უნდა იყოთ, და ჩემი საქმეც გათავებული იქნება.

– თქვენი სამარცხვინო განზრახვა! თქვენი უსინდისო განზრახვა! – შეჰყვირა მილედიმ ისეთი გაშმაგებული ხმით, რომლითაც მსხვერპლი მიმართავს თავის ჯალათს.

– პატიოსნებას ვფიცავ, – თქვა უინტერმა და წამოვარდა, – მგონია, გაგიჟებულა ეს უნამუსო დედაკაცი! კარგი, კარგი! დამშვიდდით, ქალბატონო პურიტანო, თორემ ბნელ ოთახსაც მალე გაჩვენებთ! აჰა, ღმერთო! მაშ, ჩემი ესპანური ღვინო აგივარდათ თავში, ჰა? მაგრამ ნუ შეგეშინდებათ: ამ სიმთვრალეს საშიში არაფერი აქვს და არც ავი შედეგი მოჰყვება.

ლორდი გინებით გავიდა ოთახიდან. იმ დროს მხედრული ჩვეულება იყო გინება.

მართლაც, ფელტონი კარს უკან მდგარიყო და ამ სცენის ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვოდა.

ამასაც მიუხვდა მილედი.

– დიახ, წადი! წადი! – უკან გააყოლა ჩუმი ხმით თავის მაზლს, – პირიქით, შედეგიც ძალიან მალე იქნება, მხოლოდ შენ მაშინ ნახავ, სულელო, როდესაც უკვე შეუძლებელი იქნება თავის დაღწევა.

ისევ მიდუმდა იქაურობა. გავიდა ორი საათი. ვახშამი მოართვეს და ნახეს, რომ მილედი ხმამაღლა გაიძახოდა თავის ლოცვებს, იმ ლოცვებს, რომელიც ესწავლა თავისი მეორე ქმრის ერთი ბებერი მსახურისაგან, ნამდვილი პურიტანისაგან. გატაცებულს ჰგავდა ლოცვით და ყურადღებას არ აქცევდა, თუ რა ხდებოდა მის გარშემო. ფელტონმა ანიშნა, ნუ შეაწუხებთო, და როდესაც დაუდგეს პატარა მაგიდა, ისიც ჯარისკაცებთან ერთად ჩუმად გავიდა.

იცოდა მილედიმ, რომ შეიძლებოდა მისთვის კიდევ ეთვალთვალათ, და ბოლომდე განაგრძო ლოცვის კითხვა. ლოცულობდა და გრძნობდა, რომ

მცველად დაყენებული ჯარისკაცი უკვე ფეხაკრეფით დადიოდა და, ეტყობოდა, ყურსაც უგდებდა.

ამჟამად ესეცა კმაროდა. გაათავა ლოცვა. ადგა, სუფრასთან მივიდა, ცოტა რამ ჭამა და სმით კი წყლის მეტი არა დალია რა.

ერთი საათის შემდეგ მაგიდის გასატანად შევიდნენ, მაგრამ მაშინვე შეამჩნია, რომ მარტო ჯარისკაცები იყვნენ, ფელტონი აღარ შემოჰყოლიათ.

მაშ, აშინებდა ამ ქალის ხშირად ნახვა.

მილედი კედლისკენ მიბრუნდა, რათა სიცილი დაემალა. ისეთი გამარჯვების სიხარული მოჩანდა ამ სიცილში, რომ მარტო ესეც კმაროდა მოტყუებულთა თვალის ასახელად.

ნახევარი საათი კიდევ დუმილით გაატარა და მერე, რაკი მიყრუებული იყო მთელი ციხე-დარბაზი და ზღვის შეუწყვეტელი ფრთვინვისა და ოკეანის ბუმბერაზული სუნთქვის მეტი აღარა ისმოდა რა, თავისი წვრილი, მომხიბლავი ხმით დასძახა პურიტანების საყვარელი ფსალმუნის პირველი ხანა:

ღმერთო, მისთვის მიგვატოვე,
რომ გენახა ჩვენი რწმენა...
მაგრამ შენად ჩაგვეთვლება
შენი ტანჯვა და წამება.

დიდს არაფერს წარმოადგენდა ეს ლექსი, მაგრამ, როგორც ვიცით, პურიტანებს ბევრი არაფერი ესმოდათ ლექსთა წყობისა და პოეზიისა.

გალობდა მილედი, თან ყური კარისკენ ჰქონდა. სადარაჯოზე მყოფი ჯარისკაცი კართან გაქვავებული გაჩერებულიყო. უკვე ხედავდა მილედი, რა შთაბეჭდილებას ახდენდა მისი გალობა.

მაშინ უფრო მეტი გულმოდგინებითა და ამაღელვებელი გრძნობიერებით განაგრძო სიმღერა. თვითონვე ელანდებოდა, ვითომ შორს თაღებს ქვეშ ტრიალებდა მისი ხმა და ჯადოსნის შელოცვასავით გულს ულბობდა მის მტანჯველებს.

მაგრამ ალბათ გონს მოვიდა კათოლიკე ჯარისკაცი, თავი დააღწია მომხიბლავ გალობას, კართან მივიდა და შესძახა:

– გაჩუმდით, ქალბატონო! ისეთივე სამგლოვიაროა თქვენი სიმღერა, როგორც „განუსვენე“, ჩვენ ჩვენი საქმეც გვეყოფა, რომ ახლა ეგეც არ წაგვიმატოთ.

– ჩუმად! – გაისმა ფელტონის დარბაისლური ხმა, რომელიც მაშინვე იცნო მილედიმ, – თქვენ ვინ გეკითხებათ, რომ გალობას უშლით? ვინ გიბრძანათ, გალობის ნება არ მისცეთ ამ ქალსაო? თქვენ ნაბრძანები გაქვთ, უდარაჯოთ და თოფი ესროლოთ, გაქცევას თუ დააპირებს. ყური უგდეთ და თუ გაგექცათ, მოკალით! მაგრამ ამ ბრძანებას ნუ გასცილდებით.

გამოუთქმელმა სიხარულმა გააბრწყინა მილედის სახე, მაგრამ ელვასავით სწრაფმსრბოლი იყო ეს გამომეტყველება. თითქოს ყურიც არ მოეკრას ამ დიალოგისთვის, რომლის ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია, გალობა განაგრძო. ოღონდ ახლა სიმღერაში ჩააქსოვა მთელი თავისი მომხიბვლელობა, მთელი ნეტარება და ცთუნება, რაც კი მისთვის ბოროტ სულს მიენიჭებინა.

ამოდენ ცრემლს და ვაებას,
განდევნასა და ბორკილებს
ღვთის წყალობა, ჩემი ლოცვა
და სიყმაწვილე მავიწყებს.

ეს წარმოუდგენელი შორეულის მიმწვდომი და წმინდა ვნებით აღვსილი ხმა ძირითადად სცვლიდა ფასალმუნის უხეშ ტლანქ ლექსს და ისეთ საკვირველ

მომხიბლავ ძალას და შინაარსს მატებდა მას, რომელსაც ამაოდ ეძებდნენ თავიანთ გალობაში უაღრესად მორწმუნე პურიტანები და ამიტომ იძულებულნი იყვნენ, ოცნებით შეევსოთ, რაც გალობაში არ მოიპოვებოდა.

იქვე იდგა ფელტონი, ყურს უგდებდა მილედის და ეგონა, ანგელოზის გალობას უსმენდა.

მილედი კი კვლავ განაგრძობდა:

ერთხელ ხომ ჩვენც გვეღირსება
თავისუფალი არსება,
თუ არა, ნუგეშად გვრჩება
საუკუნო ნეტარება.

ძალიან შეეცადა ყოვლისშემძლე ჯადოსანი, რომ ამ სტრიქონებში ჩაერთო მთელი თავისი სული, მართლაც, ამან საბოლოოდ შეარყია ყმაწვილი ოფიცრის გული: უცბად შეაღო კარი და მილედის წინაშე ფერმიხდილი, თვალებაღგზნებული და თითქმის გადარეული ახალგაზრდა კაცი იდგა.

– ასე რად გალობთ და მერე ისიც ასეთი ხმით? – მიმართა მილედის.

– მაპატიეთ, ბატონო, – მიუგო ტკბილად ქალბატონმა, – დამავიწყდა, რომ ჩემი გალობა არ შეეფერება ამ ციხე-დარბაზს, იქნება შეურაცხყოფა მივაყენე თქვენს სარწმუნოებრივ რწმენას, მაგრამ, გეფიცებით, მე თქვენი წყენა არ მინდოდა, შემინდეთ, ბატონო, ერთი შეცდომა, რომელიც შეიძლება დიდიც იყოს, მაგრამ გარწმუნებთ, უნებლიეთ მომივიდა.

ისეთი მშვენიერი რამ იყო ამ წამს მილედი, ისეთ წმინდა გამომეტყველებას აძლევდა მის პირისახეს სარწმუნოებრივი აღტყინება, რომ ფელტონს ეგონა, მის წინ იყო ის ანგელოზი, რომლისაც აქამდე მხოლოდ გალობა ესმოდა.

– დიახ, დიახ, – უპასუხა ფელტონმა, – დიახ, თქვენ აღელვებთ, აწუხებთ ამ ციხე-დარბაზში მცხოვრებთ.

ვეღარ ამჩნევდა საბრალო გონმიხდილი, რამდენად უთავბოლო იყო მისი პასუხი სწორედ იმ დროს, როდესაც მილედი ფოცხვერის თვალით უძვრებოდა გულის სიღრმეში.

– გავჩუმდები, ბატონო, – უთხრა თვალდახრილმა მილედიმ, თანაც ხმას დაატანა, რაც კი სიტკბოება მოეპოვებოდა და სახეზე გამოიხატა სრული მორჩილება თავისი ბედისწერისა.

– არა, არა, ქალბატონო, – მიუგო ფელტონმა, – მხოლოდ ასე ხმამაღლა ნუ იგალობებთ, მეტადრე ღამით.

ესა თქვა და რადგან იგრძნო, რომ ვეღარ შეძლებდა ამ პატიმრისადმი თავისებურად მკაცრად დარჩენას, სწრაფად გავარდა ოთახიდან.

– ძალიან კარგი, ბატონო, რომ დაარიგეთ, – უთხრა ჯარისკაცმა, – გულს აღელვებს ეს სიმღერა. მერე რა კარგი ხმა აქვს!

XXIV

პატიმრობის მესამე დღე

ნებდებოდა ფელტონი, მაგრამ ჯერ მთლად არა, საჭირო იყო მისი ჩაჭერა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, საჭირო იყო მასთან მარტო დარჩენა და მილედიმ ჯერ არ იცოდა, რა საშუალებისთვის მიემართა, რომ ეს წადილი აესრულებინა.

უფრო მეტიც ნებავდა ქალბატონს: საჭირო იყო ფელტონის ალაპარაკება, რომ თვითონ მილედიც ალაპარაკებულიყო. ძალიან კარგად იცოდა თავისი

ტკბილი ხმის უაღრესი მაცთუნებელი ძალა და მაინც, მიუხედავად ამდენი ცთუნებისა, შეიძლებოდა ვერ აესრულებინა თავისი სურვილი, რადგან ფელტონი ყოველი მოსალოდნელი შემთხვევის წვრილმანის შესახებ გაფრთხილებული იყო.

მილედი დაუფიქრდა მოქმედების მომავალ გეგმას. მან დაიწყო თავისი ყოველი სიტყვის, თვალთა უბრალო მოძრაობის, ტანის მიმოხრის და სუნთქვის შესწავლაც კი. ბოლოს შეისწავლა ყოველივე ეს, როგორც ხელოვანმა მსახიობმა, რომელსაც ახალი როლი მიანდეს შესასრულებლად შეუჩვეველ ამპლუაში, სადაც არ იცის თავის დაჭერა.

ლორდ უინტერის მიმართ კი საჭირო არ იყო ამდენი ფიქრი და მზადება. მილედიმ წინადამითვე საბოლოოდ გადაწყვიტა ეს კითხვა – უინტერთან ჩუმად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ღირსეულად დაეჭირა თავი, ხანდახან გაებრაზებინა მოჩვენებითი არადჩამგდები უყურადღებობით და შეურაცხმყოფელი სიტყვებით ეიძულებინა დამუქრებოდა, თვითონ კი ამ დროს მორჩილი სახე ჰქონოდა. ფელტონს უნდა დაენახა ყოველივე ეს, შეიძლება მას თქმით არაფერი ეთქვა, მაგრამ ხომ დაინახავდა. ასეთი იყო მისი გეგმა.

დილით ჩვეულებისამებრ მოვიდა ფელტონი, მაგრამ მილედიმ ხმა არ გასცა, თავი მიანება, რომ საუზმისათვის თავისებურად გაეწყო მაგიდა. ერთ წამს იმედი აღეძრა მილედის: ეგონა, თვითონ დაუწყებდა ლაპარაკს, მაგრამ ფელტონის ტუჩები მოძრაობდნენ და ხმა კი არ ამოდიოდა, ეტყობოდა, ახალგაზრდა ოფიცერმა ძალა დაატანა თავის თავს, რომ გულში ჩაემარხა ენაზე მომდგარი სიტყვები, და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

დაახლოებით შუადღისას მოვიდა ლორდი უინტერი.

ზამთრის მშვენიერი დღე იყო. ინგლისის მზის გაყვითლებული სხივი, რომელიც ანათებს, მაგრამ არ ათბობს, სარკმლიდან პატიმრის ოთახშიც შეჭრილიყო.

მილედი ფანჯარაში იყურებოდა და ისე იდგა, თითქოს ვერც კი გაიგონა კარის გაღება.

– აჰ, აჰ, – წამოიძახა ლორდმა უინტერმა, – ჯერ კომედია წარმოვადგინეთ, მერე ტრაგედია, და ახლა მელანქოლიაში გადავვარდით.

პატიმარმა პასუხი არ გასცა.

– დიახ, ქალბატონო, დიახ, – განაგრძო ლორდმა, – კარგად ვხედავ, რა კარგი იქნებოდა, თავისუფლად ყოფილიყავით ამ ზღვის პირას! რა კარგი იქნებოდა, გემში ბრძანებულიყავით და სწრაფად გადაგეჭრათ ამ ზურმუხტივით მწვანე ზღვის ტალღები! რა იქნებოდა სადმე ხმელეთზე, ან თუნდა ოკეანეში მოგეწყოთ ჩემს დასაღუპავად ერთი იმ საგანგებო პატარა საფართაგანი, რომლებსაც საკვირველი ხელოვნებით აგებთ ყოველთვის! მოთმინება! ოთხი დღე კიდევ და ზღვის პირსაც გახვალთ, ზღვასაც გასცურავთ ისეთ დიდსა და უსაზღვროს, რომ კიდეც მოგწყინდებათ... იცოდეთ, ამ ოთხი დღის შემდეგ გათავისუფლდება თქვენგან ინგლისი.

მილედიმ თავისი ლამაზი თვალები ხელებთან ერთად ზეცისკენ აღაპყრო:

– ღმერთო ძლიერო! ღმერთო ყოვლისშემძლებელო, – დაიძახა ანგელოზური სინაზით, – აპატიეთ ამ კაცს, როგორც მე მიპატიებია მისი საქციელი!

– დიახ, ასე ევედრე, შეჩვენებულო! – შეჰყვირა უინტერმა, – დიდსულოვანი არის შენი ვედრება, მით უფრო, რომ გეფიცებით, თავის დღეში არ შეგინდობს ის კაცი, რომლის ხელში ჩაგაგდო ღმერთმა!

თქვა და გავიდა.

კარი რომ გაიღო, მილედიმ თვალი მოჰკრა ფელტონს, რომელიც ცდილობდა, პატიმრისათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

მილედიმ მაშინვე მუხლი მოიყარა და ლოცვა დაიწყო:

– ღმერთო ძლიერო! ღმერთო გულთამხილავო! თქვენ უწყით, რა წმინდა მიზეზის გამო ვარ წამებული! მომანიჭეთ ძალა, რათა ღირსეულად ავიტანო ეს ტანჯვა-წამება.

კარები ფრთხილად გააღეს. ტურფა მვედრებელმა ყური მოიყრუა და ცრემლით სავსე ხმით განაგრძო:

– ღმერთო, შურისმაძიებელო! ღმერთო, ლმობიერო! ნუთუ აასრულებინებ ამ კაცს თავის ცოდვილ განზრახვას?

და თითქოს მართლა მხოლოდ ახლა მოესმა ფელტონის ფეხის ხმა, ელვის სისწრაფით წამოვარდა და გაწითლდა, თითქოს შერცხვა, რომ მუხლმოყრილს შეასწრო თვალი ფელტონმა.

– არ მიყვარს, ქალბატონო, ადამიანის შეწუხება, როდესაც ლოცულობს, – უთხრა მტკიცე ხმით ფელტონმა, – ნუ, ნუ შეწყვეტთ! გთხოვთ, მაპატიოთ.

– საიდან იცით, ბატონო, რომ ვლოცულობდი? – მიუგო ქვითინით მილედიმ, – არა, ბატონო, სცდებით, მე არ ვლოცულობდი.

– რად გგონიათ, ქალბატონო, – უპასუხა ყმაწვილმა კაცმა ხმის ისეთივე სიმტკიცით, თუმცა უფრო ტკბილად, – რომ მე შემიძლია დავიჩემო უფლება და ავუკრძალო ღვთის შვილს განრთხმა ღვთის წინაშე? ღმერთმა დამიფაროს! კარგად ვიცი, ქალბატონო, რომ მონანიების უფლება აქვთ ცოდვილთ. რაც უნდა დიდი დანაშაული ჩაედინოს კაცს, ხელშეუხებლად მიმაჩნია, როდესაც ღმერთს ევედრება.

– დანაშაული ჩამედინოს? მე? – წარმოთქვა მილედიმ ისეთი სიცილით, რომ თვით ანგელოზსაც დააყრევინებდა იარაღს საზარელი განკითხვის დღეს, – მე, დამნაშავე? ღმერთო ყოვლად ძლიერო! შენ ხომ იცი, რამდენად ვარ ცოდვილი და დამნაშავე! არა ჯობია თქვათ, ბატონო, რომ განწირული ვარ? მაგრამ ღმერთს უყვარს წამებულნი და ნებას აძლევენ ხანდახან, მართალნიც აწამონ.

– დამნაშავე ხართ, ქალბატონო, თუ წამებული, სულ ერთია, უნდა იცოდეთ, მე თვითონაც დაგეხმარებით და შეგავედრებთ ღმერთს, – უპასუხა ფელტონმა.

– ოჰ, თქვენ სამართლიანი ყოფილხართ! – შეჰყვირა მილედიმ და ფეხქვეშ ჩაუვარდა, – რა ვქნა, რომ ვეღარ ვუძლებ? მეშინია. ვაითუ სწორედ მაშინ მომერიოს სისუსტე, როდესაც ბრძოლა და ჩემი რწმენის აღიარება დამჭირდება. მაშ, მოისმინეთ სასოწარკვეთილი ქალის ვედრება. ბოროტად სარგებლობენ, ბატონო, თქვენი ერთგულებით, მაგრამ ამჟამად მთავარი ეგ არ არის, მხოლოდ ერთადერთ წყალობასა გთხოვთ და თუ ამისრულეთ ეს ვედრება, დალოცვილი მეყოლებით სააქაოსაც და საიქიოსაც.

– ლორდს მიმართეთ, ქალბატონო, – მიუგო ფელტონმა, – ის არის აქ ბატონ-პატრონი. მე, ჩემდა საბედნიეროდ, უფლება არა მაქვს, არც რაიმე წყალობისა და არც სასჯელის, ეგ უფლება ღმერთმა სხვას მიანიჭა, გაცილებით უფრო მაღლა მდგომს.

– არა, თქვენა გაქვთ ეგ უფლება, მარტო თქვენ! მომისმინეთ, ბატონო, თუ არ გინდათ, რომ დახმარება გაუწიოთ ჩემს დაღუპვას და შერცხვენას.

– თუ დამსახურებული გაქვთ, ქალბატონო, ეგ შერცხვენა და თუნდ დაღუპვაც, უნდა დაემორჩილოთ და ღმერთს შეევედროთ.

– მაგას რად ამბობთ? ოჰ, თქვენ არ გნებავთ ჩემი სიტყვის გაგება. მე რომ შერცხვენაზე ვლაპარაკობ, თქვენ გგონიათ, რაიმე სასჯელის აცდენას ვცდილობ? ციხისა ან სიკვდილის აცდენას ვგულისხმობ? სიკვდილი?! ნეტავი ასე მოხდეს! ნეტავი მომხედოს ღმერთმა და მომიღოს ბოლო!

– მართლაცდა, მე უკვე, აღარაფერი მესმის თქვენი, ქალბატონო, – უთხრა ფელტონმა.

– ან ცდილობთ, ბატონო, ისე მომაჩვენოთ, ვითომ ვერ შეგიგნიათ ჩემი ნათქვამი, – მიუგო პატიმარმა ეჭვიანი სიცილით.

– არა, ქალბატონო, გეფიცებით მხედრული პატიოსნებით, ქრისტიანის სიწმინდით.

– როგორ? მაშ, თქვენ არ იცით, რას მიპირებს ლორდი უინტერი?

– არა, არ ვიცი.

– შეუძლებელია, თქვენა ხართ მისი სანდო კაცი და...

– ჩემს სიცოცხლეში არ მითქვამს ტყუილი, ქალბატონო.

– ოჰ, ლორდი უინტერი სრულებით არ ფიქრობს მის დამალვას, ასე რომ ადვილია მიხვდეთ.

– მე, ქალბატონო, არა ვცდილობ გამოვიგონო ის, რაც ჩემთვის არ უთქვამთ. მე ველოდები, რომ თვითონ გამანდონ საიდუმლოება, ლორდ უინტერს კი ჩემთვის არაფერი გაუნდვია, გარდა იმისა, რაც თქვენთან ერთად მითხრა.

– მაშ, თქვენ მისი თანამზრახველი არა ხართ? – შეჰყვირა მილედიმ ისეთი ხმით, თითქოს დარწმუნებული იყო თავისი ნათქვამის ჭეშმარიტებაში, – მაშ, არ იცით, რა საშინელ შერცხვენას მიპირებს? ამქვეყნად ვერ გამოძებნით მსგავს სასჯელს.

– სცდებით, ქალბატონო, – უთხრა ფელტონმა და სისხლი აუვარდა თავში, – ლორდი უინტერი მაგ ავკაცობას ვერ იკადრებს.

„კარგია, – ფიქრობდა მილედი, – არ იცის, რას ვაწერ ლორდს და მაინც ავკაცობად მიაჩნია.“

მერე ისევ ფელტონს მიმართა:

– ყველაფერს იკადრებს შერცხვენილის მეგობარი.

ეგ შერცხვენილი ვიღაა? – ჰკითხა ფელტონმა.

– ნუთუ გგონიათ, ერთის გარდა სხვაც მოიპოვება ინგლისში, რომელსაც მოუხდება სე სახელი?

– ჟორჟ ვილერსი გყავთ მხედველობაში? – მიმართა ფელტონმა ანთებული თვალებით.

– რომელსაც წარმართნი და ვერაგნი ჰერცოგ ბუკინგამს უწოდებენ, – განაგრძო მილედიმ, – როგორ წარმოვიდგენდი, მთელ ინგლისში ერთი ინგლისელი მაინც აღმოჩნდებოდა, რომელსაც ასეთი გრძელი განმარტება დასჭირდებოდა იმის გასაგებად, თუ ვისზე ვლაპარაკობდი.

– ყოვლადძლიერის ხელი ეხება უკვე ცოდვილს, – თქვა ფელტონმა, – და ვეღარ გადაურჩება თავის ავკაცობით დამსახურებულ სასჯელს.

ფელტონმა მხოლოდ ის ზიზღი გამოხატა ჰერცოგ ბუკინგამისადმი, რასაც მთელი ინგლისი გრძნობდა და გაიძახოდა, თვითონ კათოლიკეებიც კი სხვაფრივ არ ახსენებდნენ მის სახელს, თუ ზედ სიტყვა გარყვნილი და მექრთამე არ დაეყოლებინათ. პურიტანები ავსულს ეძახდნენ.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! – შესძახა ზეცას მილედიმ, – მე გევედრებით, მოუვლინოთ ამ კაცს ღირსეული სასჯელი, კარგად უწყით, რომ პირადი ჩემი ჯავრის ამოყრას კი არა ვცდილობ, არამედ მთელი ხალხის ხსნასა და შეწყალებასა გთხოვთ.

– მაშ, იცნობთ კიდეც? – ჰკითხა ფელტონმა.

„ძლივს კითხვა დამიწყო!“ – ფიქრობდა სიხარულით აღტაცებული მილედი, რომ ასე სწრაფად მოიპოვა წარმატება.

– ოჰ, ვიცნობ და აგრე? ოჰ! დიახ! ვიცნობ, ჩემდა საუბედუროდ, ჩემდა მარად საუბედუროდ!

ვითომდა მეტისმეტად შეწუხებულმა ხელების მტვრევა დაიწყო.

ფელტონმა იგრძნო, რომ უკვე ელეოდა ღონე, და კარებისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. პატიმარი თვალს არ აშორებდა მის მოძრაობას, არ წამივიდესო, – გაიფიქრა, ისკუპა და შეაყენა.

– მომისმინეთ, ბატონო! გაიხსენეთ ლმობიერება, გაიხსენეთ სიბრალული, მოისმინეთ ჩემი ვედრება: მომეცით დანა, რომელიც ლორდ უინტერის ავბედითმა სიფრთხილემ წამართვა, რადგან კარგად იცოდა, როგორ ვისარგებლებდი იმ იარაღით. ოჰ! მომითმინეთ, მათქმევინეთ! ერთწამს მათხოვეთ, მხოლოდ ერთწამს შემიბრალეთ!, აი, მუხლებზე გეხვევით, თქვენ არაფერს გემდურებით, გარწმუნებთ. ღმერთო ჩემო, თქვენ გემდურებოდეთ რასმეს, ერთადერთ მართალს, კეთილსა და თანამგრძნობს ამდენ ხალხში? გემდურებოდეთ, როდესაც, შეიძლება თქვენ იყოთ მოვლენილი ჩემს მხსნელად? ერთწამს მათხოვეთ დანა, მხოლოდ ერთწამს და ახლავე დაგიბრუნებთ ამ კარის სარკმლებით, ერთწამს, ბატონო ფელტონ, რომ მით ამაცილოთ შერცხვენა.

– რომ თავი მოიკლათ! – შეჰყვირა შეშინებულმა ფელტონმა და დაავიწყდა პატიმრისაგან გაეთავისუფლებინა ხელები, – თავის მოსაკლავად მოგცეთ დანა?

– ეჰ, ბატონო ჩემო, თქვენ უკვე გაიგეთ ჩემი საიდუმლოება. ღმერთო ძლიერო! ახლა კი დავიღუპე. – და თითქოს არაქათგამოლეული მილედი იატაკზე დაეცა.

ფელტონი ქალს გაუბედავად უყურებდა.

„ეჭვი აქვს კიდევ“, – ფიქრობდა მილედი, – საკმაოდ მართლად ვერ ვეჩვენე.”

ამ დროს დერეფანში ფეხის ხმა გაისმა, მილედიმ იცნო ლორდ უინტერის ნაბიჯები.

ფელტონმაც იცნო და კარისკენ წაიწია.

მილედი ფელტონს მივარდა.

– ოჰ, არაფერი უთხრათ, – წასჩურჩულა შეშინებულმა, – ჩემი ნათქვამის არც ერთი სიტყვა არ უთხრათ ამ კაცს, თორემ დავიღუპები და თქვენ იქნებით...

რაკი უახლოვდებოდათ კარისკენ მომავალი, გაჩუმდა, რომ მისი ხმა არ გაეგონა უინტერს, და უსაზღვრო შიშით დაფეთებულივით ლამაზი თითები ფელტონს ტუჩებზე მიადო.

ყმაწვილმა კაცმა ნაზად მოიშორა პატიმარი და აკანკალებული ქალბატონი იქვე, სკამზე დაეშვა.

უინტერმა კარს ისე გაუარა, რომ არც კი გაჩერებულა, და უფრო და უფრო შორიდან მოისმოდა მისი ფეხის ხმა.

მკვდარივით ფერმიხდილი იყო ფელტონი, პატარახანს ჩუმად იდგა, ყურს უგდებდა უინტერის ფეხის ხმას. მერე, როდესაც დარწმუნდა, რომ ლორდი შორს იყო, თავისუფლად ამოისუნთქა, როგორც საშინელი სიზმრით გაღვიძებულმა, და სწრაფად ოთახიდან გავარდა.

– ძლივს! – წამოიძახა მილედიმ, როდესაც ფელტონის ფეხის ხმაზე დარწმუნდა, რომ იგი ლორდისკენ კი არა, სულ სხვა მიმართულებით მიდიოდა, – მაშ, ახლა ჩემი ხარ!

და ისევ ღრუბელი მოეფინა მის შუბლს.

„თუ უთხრა უინტერს, – ფიქრობდა მილედი, – მე ღმერთიც ვეღარას მიშველის, რადგან კარგად იცის ლორდმა, რომ მე თავს არ მოვიკლავ. სწორედ მისი თანდასწრებით დამიდებს წინ დანას, და მაშინ ნახავს ფელტონი, რომ თამაშის მეტს არას წარმოადგენდა ჩემი სასოწარკვეთილება“.”

ისევ სარკესთან მივიდა, დააცქერდა თავის თავს, არასოდეს არ ყოფილა ასეთი ლამაზი.

– დიახ, თუ უთხრა... – წარმოთქვა სიცილით, – მაგრამ ხმასაც არ ამოიღებს.

საღამოს, როდესაც ვახშამი მოართვეს, ლორდი უინტერიც თან შემოჰყვა.

– ერთი მითხარით, ბატონო, – მიამართა მილედიმ, – ნუთუ ჩემი პატიმრობის აუცილებელ დამატებას შეადგენს თქვენი ხშირი მობრძანება? ნუთუ არ შეგიძლიათ ამაცილოთ თქვენი სტუმრობა და ამით გამოწვეული ჩემი წამება?

– მაგას რას ბრძანებთ, ჩემო რძალო? – მიუგო უინტერმა, – თქვენ არ იყავით, რომ სიყვარულით მახარეთ მაგ მშვენიერი ბაგით, დღეს ჩემთვის ესოდენ

ულმობელით, რომ ინგლისში გადმობრძანდით მხოლოდ იმისათვის, რათა ჩემი ნახვით დამტკბარიყავით?! თქვენ არ მითხარით, ისე მაკლდით, ისე მომწყურდა თქვენი ნახვა, რომ არ შევუშინდი არც ზღვის ღელვას, არც ქარიშხალს, არც ტყვედ ჩავარდნას და თქვენკენ გამოვეშურეო? ჰოდა, აი, აქ გახლავარ, ქალბატონო, ასრულებული გახლავთ თქვენი სურვილი... მაგრამ დღეს თავისი საბაბიცა აქვს ჩემს მოსვლას.

თრთოლა მოერია მილედის, – იქნება უთხრა რაიმე ფელტონმაო, – ბევრი რამ ენახა ამ ქალს თავის სიცოცხლეში საშინელი, მაგრამ ასეთი გულის ძაგძაგი კი არასოდეს მოსვლია.

ქალი იჯდა. უინტერმაც მილედისაკენ მისწია სავარძელი და გვერდზე მიუჯდა. მერე ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და ნელ-ნელა გაშალა.

– აი, მინდოდა, თქვენთვის მეჩვენებინა ეს ქაღალდი, რომელიც მე თვითონ შევადგინე, ერთგვარ პასპორტად გამოგადგებათ იმ სიცოცხლისათვის, რომელსაც მე განიჭებთ.

შემდეგ თვალები მილედიდან წერილზე გადაიტანა და წაიკითხა:

– „ბრძანება შარლოტ ...-ში წაყვანისა“, – სად მიგიყვანონ, აღნიშნული არ არის. თუ თქვენ ამოგირჩევიათ რაიმე თქვენთვის სასურველი, მეტყვით და იმას ჩავწერთ, მხოლოდ ლონდონიდან ათასი მილით მაინც უნდა იყოს დაშორებული, მაშ, განვაგრძობ კითხვას:

„ბრძანება შარლოტ ბაკსონად წოდებულის, საფრანგეთის მთავრობის მართლმსაჯულების მიერ დაღდასმულის, მაგრამ სასჯელის შემდეგ გათავისუფლებულის, ...ში მიყვანისა. იგი ... ში დარჩება საცხოვრებლად და უფლება არ ექნება, სამ მილზე მეტი მანძილით დაშორდეს თავის ბინას. თუ გაბედა და გაპარვა სცადა, სიკვდილით იქნება დასჯილი. ბინის ქირად და სასმელ-საჭმელისათვის დღეში ხუთი შილინგი ენიშნება“.

– ეგ ბრძანება მე არ შემეხება, – უთხრა ცივად მილედიმ, – მანდ სხვა გვარი წერია და არა ჩემი.

– თქვენი გვარი? განა თქვენ გვარი გაქვთ?

– დიახ, თქვენი ძმის გვარი.

– სცდებით, ქალბატონო, ჩემი ძმა მეორე ქმარი იყო. თქვენი პირველი ქმარი დღესაც ცოცხალია. მითხარით იმისი გვარი და მეც შარლოტ ბაკსონის მაგივრად მის გვარს ჩავწერ. ხმას აღარ იღებთ? მაშ, არა გნებავთ?.. ასე იყოს! შარლოტ ბაკსონის გვარით იქნებით ჩაწერილი.

გაჩუმებული იჯდა მილედი, მაგრამ თვალთმაქცობით არ იყო გამოწვეული ეს სიჩუმე. მან წარმოიდგინა, რომ ამ წუთშივე ასრულდებოდა ეს ბრძანება, რადგან ლორდ უინტერს წასვლა ეჩქარებოდა, ალბათ ამიტომ მეც ამაღამვე მგზავნისო. ერთი წამით გონებაში დაღუპულად წარმოუდგა ყოველი თავისი ცდა, მაგრამ უცბად შეამჩნია, რომ ეს ბრძანება ჯერ ხელმოუწერელი იყო.ისეთი სიხარული აღუძრა ამ აღმოჩენამ, რომ ამ გრძნობის დაფარვაც კი ვერ მოახერხა.

– დიახ, დიახ, – უთხრა უინტერმა, რადგან მანაც შეატყო, როგორ გაახარა მისი რძალი ბრძანების ხელმოუწერლობამ, – ხედავთ, ჯერ ხელმოუწერელი არის და სიხარულითა ფიქრობთ, რომ კიდევ არის იმედი. ხელმოწერელია ეს ბრძანება... მაჩვენეს მარტო იმიტომ, რომ გული გამიხეთქონ წინასწარაო; სცდებით, ქალბატონო: ხვალ ამ ბრძანებას გავუგზავნით ხელის მოსაწერად ლორდ ბუკინგამს, ზეგ უკანვე მოგვივა ხელმოწერილი, ბეჭედდასმული, და ოცდაოთხი საათის შემდეგ, მე გიდგებით ამის თავდებად, ბრძანება ძალაში შევა. მაშ, მშვიდობით, ქალბატონო, მე მხოლოდ ამის შეტყობინება მინდოდა.

– მაგის პასუხად მე იმას გეტყვით, ბატონო, რომ ფლიდობაა უფლების ასე ბოროტად გამოყენება და ადამიანის გამოგონილი სახელით გადასახლება.

– მილედი, იქნება ის გირჩევნიათ, რომ თქვენი ნამდვილი სახელით ჩამოგახრჩონ? ხომ იცით, ინგლისური კანონები შეუწყალებლად სჯის ქორწინების შემბილწველთ, მაშ, გულწრფელად გამაგებინეთ თქვენი სურვილი. თუმცა ჩემი სახელი, ანუ ჩემი ძმის სახელიც არის ჩარეული ამ სიბინძურეში, მაგრამ მაინც არ შევუშინდები საქმის სახალხოდ გარჩევას, რათა საბოლოოდ დავრწმუნდე, რომ გავთავისუფლდები თქვენგან.

ქალმა პასუხი არ გასცა, მაგრამ მკვდარივით გაფითრდა.

– ოჰ, ვხედავ, შორეული ქვეყნისკენ გამგზავრება გირჩევნიათ. ძალიან კარგი, ქალბატონო. ერთი ძველებური ანდაზა ამბობს, მოგზაურობა განათლებას მატებს ახალგაზრდებსო. თქვენც მართალი ხართ, ბოლოს და ბოლოს, კარგი რამ არის ჩვენი სიცოცხლე. ამიტომ არის, რომ ასე ვზრუნავ და არ მინდა, ამ წუთისოფელს გამოგასალმოთ! მაშ, შესათანხმებლად ხუთი შილინგის საკითხიდა დაგვრჩა. მგონი, ცოტა ძუნწად ვიქცევი, არა? ეგ იმიტომ, ქალბატონო, რომ მეშინია: ფული რომ გქონდეთ, სულ გარყვნით და მოისყიდით დარაჯებს... თუმცა არც უფულობა დამიფარავს, თქვენი სილამაზე გექნებათ დარაჯების საცთუნებლად. ჰოდა, ახლა იქ გამოიყენეთ ეს იარაღი, თუ ფელტონის დასაყოლიებლად თქვენმა ამაოდ ჩავლილმა ცდამ არ შეგაზიზღათ მაგისი ხმარება.

„ფელტონს არაფერი უთქვამს, – იძახდა გულში მილედი, – ჯერ არ გამქრალა იმედი.“

– ახლა კი ნახვამდის, ქალბატონო, ხვალ მოვალ და ბუკინგამთან კაცის გაგზავნას გახარებთ.

ლორდი უინტერი წამოდგა, დაცინვით თავი დაუკრა და გავიდა.

მილედიმ თავისუფლად ამოისუნთქა: ოთხი დღე კმაროდა ფელტონის საცთუნებლად. მაგრამ ერთმა საზარელმა ფიქრმა გაურბინა გონებაში. ხომ შეიძლებოდა, ლორდ უინტერს ის ბრძანება სწორედ ფელტონისთვის გაეტანებინა ბუკინგამთან ხელმოსაწერად. ამ შემთხვევაში ფელტონი ხელიდან უსხლტებოდა, პატიმრის გასამარჯვებლად კი შეუწყვეტელი ცთუნება იყო საჭირო.

მაინც, როგორცა ვთქვით, ერთი გარემოება გულს უმაგრებდა: უინტერისათვის არაფერი ეთქვა ფელტონს.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ მილედი ძალიან ააღელვა ლორდ უინტერის მუქარამ; იგი დაჯდა და კარგად შეექცა ვახშამს.

შემდეგ, როგორც წინა საღამოს, დაიჩოქა და ხმამაღლა გაიმეორა თავისი ლოცვები. წუხანდელივით შეაჩერა სიარული დარაჯმა, დადგა კარებთან და მის გალობას უსმენდა.

ცოტა ხნის შემდეგ დერეფანში კვლავ ფეხის ხმა გაისმა, მაგრამ უფრო მსუბუქი, ვიდრე ჯარისკაცისა, და მილედის კარებთან შეწყდა.

– ის არის, – თქვა მილედიმ.

და ისევ იმ ლოცვის გალობა დაიწყო, რომლითაც წინა ღამეს ისე ძალიან მიიზიდა ფელტონი.

თუმცა უფრო ჰარმონიულად და გულსაამებლად ისმოდა მისი ტკბილი, წვრილი, ათრთოლებული ხმა, მაგრამ კარი მაინც არავინ გააღო. მილედიმ მალულად შეხედა კარის პატარა სარკმელს და ყმაწვილი კაცის აღგზნებული თვალები დაინახა. ნამდვილად ასე იყო თუ მოელანდა, ვერ ვიტყვით, მაგრამ ამჯერად იმდენი ძალა გამოიჩინა ფელტონმა, რომ ოთახში არ შევიდა.

მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, გალობა რომ დამთავრდა, მილედის შემოესმა ოხვრა, შემდეგ იგივე ფეხის ნაბიჯები, წეღან რომ მიუახლოვდა, კარებიდან ნელ-ნელა იწევდა უკან, თითქოს წასვლა ენანებაო.

XXV

პატიმრობის მეოთხე დღე

მეორე დღეს, როდესაც ფელტონი მილედისთან შევიდა ოთახში, ქალი სავარძელზე იდგა და ხელში ბატისტის ცხვირსახოცების ნახევებისაგან დაწნული თოკი ეჭირა. ფელტონის დანახვაზე იგი მკვირცხლად ჩამოხტა ძირს და ცდილობდა, ზურგს უკან დაემალა თოკი.

ყმაწვილი კაცი ამ დილით ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი იყო; მისი დაწითლებული თვალები ამტკიცებდნენ, რომ მოუსვენრად გაეტარებინა მთელი ღამე, მხოლოდ შუბლი ახლა უფრო მრისხანედ გამოიყურებოდა, ვიდრე ოდესმე.

იგი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მილედის, რომელიც უკვე სავარძელში ჩამჯდარიყო. ფელტონმა ხელში აიღო მილედის მიერ თავის ჩამოსახრჩობად დაგრეხილი თოკი, რომელიც შეუმჩნევლად ძირს დარჩენოდა ქალბატონს ან განზრახ დაეტოვებინა, და ცივად ჰკითხა:

– ეს რა არის, ქალბატონო?

– ეს? არაფერი, – უპასუხა სიცილით მილედიმ, მაგრამ ისეთი მწუხარე გამომეტყველებით, რომლითაც იგი ისე კარგად ამკობდა თავის მწარე სიცილს.

– ტუსაღის მომაკვდინებელი მტერია მოწყენილობა. მეც მოწყენილი ვიყავი და დროს გასატარებლად ეს თოკი დავგრიხე.

ფელტონმა მილედიდან თვალი კედელზე გადაიტანა და სავარძლის გასწვრივ, ზემოთ, დაინახა რკინის პატარა მოოქრული კავი, რომელიც იქ ალბათ ტანისამოსის ან იარაღის დასაკიდებლად გაერჭოთ.

კანკალი დაიწყო ყმაწვილმა კაცმა. პატიმარს არ გამოეპარა მისი ეს მოძრაობა, თუმცა თვალები ძირს ჰქონდა დახრილი.

– მერე, ამ სავარძელზე რატომდა იდექით? – ჰკითხა ფელტონმა.

– თქვენ რა?

– მინდა, ვიცოდე.

– ნუ ჩამაცივდებით, ბატონო, – უთხრა მილედიმ, – ძალიან კარგად იცით, რომ ჩვენ, ჭეშმარიტ ქრისტიანებს, აკრძალული გვაქვს ტყუილის თქმა.

– კარგი, მაშ მე გეტყვით, რისთვის იყავით ასული სავარძელზე და რას აპირებდით მაგ თოკით. გინდოდათ, შეგესრულებინათ საბედისწერო განზრახვა, რომელსაც ისე დაუმონავებიხართ, რომ აღარც კი უფიქრდებით თქვენს საქციელს. მართალია, ტყუილის ლაპარაკს გვიკრძალავს ჩვენი ღმერთი, მაგრამ ისიც გაიხსენეთ, ქალბატონო, რომ იგი უფრო მეტად თვითმკვლელობას გვიკრ-ძალავს.

– როდესაც ღმერთი ხედავს, რომ მის მიერ გაჩენილი არსება უსამართლოდაა დევნილი და სიკვდილის ან შერცხვენის არჩევანშია, მერწმუნეთ, ბატონო, შეუნდობს ყოვლადწმინდა ამ შეცოდებას, რადგან ამ შემთხვევაში თავის მოკვლა მარტვილობაა, – უპასუხა მილედიმ ღრმა რწმენით.

– ან ძალიან აჭარბებთ თქვენ, ქალბატონო, ან ბოლომდე არ მეუბნებით საქმის ვითარებას. ღვთის გულისათვის, ამიხსენით, გამაგებინეთ.

– რა აგიხსნათ? გიამბოთ ჩემი უბედურებანი, რომ თქვენ ზღაპრად გეჩვენოთ? გაგაგებინოთ ჩემი განზრახვა, რომ ჩემს მტარვალს გადასცეთ? არა, ბატონო, არა! მითხარით, თქვენ რაში გენაღვლებათ ერთი უბედური, უკვე განწირული ქალის სიკვდილი, ან სიცოცხლე? თქვენ პასუხს აგებთ მხოლოდ ჩემს გვამზე, ხომ მართალია? ოღონდ კი წარუდგინოთ ჩემი გვამი, ოღონდ კი ჩემად იცნონ, თქვენ სხვას აღარაფერს მოგთხოვენ, იქნება ორმაგი ჯილდოც მიიღოთ.

– მე მეუბნებით მაგას, ქალბატონო, მე?! – შეჰყვირა ფელტონმა, – ნუთუ გგონიათ, რომ მე ვიკადრებ თქვენი სიცოცხლის ფასის აღებას? ოჰ, თქვენ არ უფიქრდებით თქვენს სიტყვას.

– თავი გამანებეთ, ფელტონ, ხელს ნუ მიშლით, გავაკეთო, რაც მინდა! – მიმართა აღგზნებულმა მილედიმ, – ყოველი ჯარისკაცი პატივმოყვარე უნდა იყოს, ხომ ასეა? თქვენ ახლა ლეიტენანტი ხართ; ჰოდა, დასამარხავად რომ გამასვენებენ, კაპიტნობას მიიღებთ.

– ნეტავი რა დაგიშავეთ, – შეჰყვირა ფელტონმა, – რომ მაგოდენი პასუხისმგებლობით მტვირთავთ ღვთისა და ადამიანთა წინაშე? რამდენიმე დღის შემდეგ შორს იქნებით აქედან, ქალბატონო, მე აღარ ვიქნები გუშაგი თქვენი სიცოცხლისა, – ამ სიტყვებზე ღრმად ამოიოხრა, – და ისე მოიქეცით, როგორც გენებოთ.

– მაშ, ერთადერთი რამ გაწუხებთ თქვენ, ღვთისმოსავ, მართალ ქრისტიანს, ერთადერთი რამ გაწუხებთ, რომ ჩემი სიკვდილის გამო არავითარი უსიამოვნება არ გეწიოთ, საყვედური არ შეგხვდეთ?! – შეჰყვირა მილედიმ.

– მე ვალდებული ვარ, დავიცვა თქვენი სიცოცხლე, ქალბატონო, და კიდეც ვიცავ.

– მერე, გესმით კი, რა ვალდებულებას ასრულებთ? უწყალოვ, მართლაც რომ დამნაშავე ვიყო, მაშინაც კი მეტისმეტად მკაცრია თქვენი საქციელი, მაგრამ თუ დამნაშავე არა ვარ, მაშინ რას უწოდებდით მაგ მოქმედებას?

– მე ჯარისკაცი ვარ, ქალბატონო, და იმას ვასრულებ, რასაც მიბრძანებენ.

– ნუთუ გგონიათ, რომ განკითხვის დღეს ღმერთი განაცალკევებს ბრმა ჯალათებს და უსამართლო მსაჯულებს? თქვენ არ გინდათ თავი მოვიკლა და იმის იარაღად კი ხდებით, ვინც ჩემი სულის წაწყმედას ცდილობს!

– მე კი გიმეორებთ, – უთხრა ფელტონმა უკვე ყოყმანით, – თქვენ საშიში არა მოგელით რა არც ლორდ უინტერისგან, არც ჩემგან.

– შეშლილი! – შეჰყვირა მილედიმ, – საბრალო შეშლილი, რომელიც ბედავს და სხვის მაგივრად მაძლევს პასუხს; ეს მაშინ, როდესაც უაღრესად ბრძენნი, უაღრესად ღვთის მორჩილნი თავის თავზე ვერ იღებენ პირად პასუხისმგებლობას! შეშლილი, რომელიც უფრო ღონიერთა და ბედნიერთა მხარეზეა, რათა დატანჯოს უფრო სუსტი და უბედური!

– შეუძლებელია, ქალბატონო, შეუძლებელი! – ჩურჩულებდა ფელტონი, რადგან გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ მილედის სიტყვა მართალი იყო, – თქვენ პატიმარი ხართ და მე ვერ დაგეხმარებით განთავისუფლებაში, ცოცხალი ხართ და მე ხელს ვერ შეგიწყობთ, რომ სიცოცხლე მოისპოთ.

– დიახ, – უპასუხა მილედიმ, – მაგრამ თქვენ მაკარგვინებთ პატიოსნებას, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიღირს, და ღვთისა და ადამიანების წინაშე მარტო თქვენ დაგეკისრებათ პასუხისმგებლობა ჩემი ამდენი ტანჯვისა და შეურაცხყოფისათვის.

ძალიან გულცივად იდგა ფელტონი, უკეთ რომ ვთქვათ, ცდილობდა, ძალიან გულცივად მიეღო მილედის სიტყვები, მაგრამ ამჯერად უმტყუნა ძალამ, ვერ შეძლო მედგრად შებრძოლებოდა ქალის საიდუმლო გავლენას, რომელიც უკვე იჩენდა თავის ძლიერებას. ფელტონი უყურებდა მშვენიერ ქალს, თეთრს, როგორც უწმინდეს ოცნებას, ხედავდა მას ხან მტირალს და ხან მრისხანეს. განიცდიდა ერთსა და იმავე დროს მისი მწუხარებისა და სილამაზის გავლენას. მეტისმეტი იყო ყოველივე ეს მეოცნებე კაცისათვის, სარწმუნოებრივი რწმენით აღვსილი გონებისათვის; მეტისმეტი იყო იმ ადამიანისათვის, რომელსაც გულში ერთსა და იმავე დროს მოსდებოდა ზეცისადმი მხურვალე სიყვარული და ადამიანისადმი უსაზღვრო სიძულვილი.

მილედიმ შეამჩნია ყმაწვილი კაცის შეძრწუნება, იგრძნო მის გულში აღგზნებული, ერთმანეთის მოწინააღმდეგე ვნებათა ალი, რომელიც ცეცხლს უკიდებდა ყმაწვილ ფანატიკოსს. იგი წამოდგა და ხელგაწვდილი წავიდა ახალგაზრდა კაცისაკენ, მსგავსად მოხერხებული მხედართმთავრისა, რომელიც სწორედ მაშინ დაეტაკება მტერს გამარჯვებული ყიჟინით, როდესაც ის უკან დახევას აპირებს. თმაგაშლილი, გულმკერდგადაღეღილი მილედი ნელ-ნელა მიიწევდა ფელტონისაკენ, თან ცალი ხელით მორცხვად იფარავდა გულმკერდს. მისი ლამაზი თვალები ცეცხლს აფრქვევდა, იმ ცეცხლს, რომელმაც ამდენი არეულობა შეიტანა საწყალი პურიტანის გულში და გონებაში, ქრისტიანი ქალწულივით ზეშთაგონებული მილედი ახალგაზრდა ოფიცერს მიუახლოვდა და თავისი ტკბილი ხმით საგალობელი დასძახა:

მიეცი ბაალს თავისი მსხვერპლი,
ლომებს მიუგდე ეგ წამებული,
შეგანანიებს ყოვლადძლიერი,
მას შევღაღადებ მწარედ ბედკრული.

ფელტონი განაცვიფრა ამ უცნაურმა მიმართვამ, გაქვავებულივით შეჰყურებდა მილედის.

– ვინა ხართ, ვინ? – შეჰყვირა საწყალმა და ხელები ზევით აღაპყრო, – ღვთისაგანა ხართ მოვლინებული თუ ჯოჯოხეთის მსახური ხართ? ანგელოზი ხართ თუ ქაჯი?

– მაშ, ვეღარ მიცანი, ფელტონ? არც ანგელოზი ვარ, არც ქაჯი. ქალი ვარ, შვილი ამა ქვეყნისა, ერთგული შენი სარწმუნოებისა.

– დიახ, დიახ! – დაიძახა ფელტონმა, – ჯერ კიდევ მეპარებოდა ეჭვი, მაგრამ ახლა მწამს!

– გწამს და, მიუხედავად ამისა, თანამოზიარე ხარ ლორდ უინტერისა? გწამს და, მიუხედავად ამისა, გულგრილად მტოვებ ჩემი მტრების ხელში, ინგლისისა და ღვთის მტრების ხელში? გწამს და, მიუხედავად ამისა, გულგრილად აძლევ შენს დას იმ ბოროტს, რომელიც ავსებს და ბილწავს ქვეყანას თავისი წარმართობითა და გარყვნილობით? იმ ავსულ სარდანაპალს, რომელსაც ბრმები ჰერცოგ ბუკინგამად ადიდებენ და ღვთისთაყვანისმცემელნი – ანტიქრისტედ?

– ბუკინგამს ვაძლევ მე ჩემს სულიერ დას?! მე?! რას ამბობთ, რას!

– თვალი აქვთ, – უპასუხა მილედიმ, – და ვერას დაინახავენ, ყური აქვთ და ვერ გაიგონებენ.

– მართალია, მართალი, – დაეთანხმა ფელტონი და ოფლიან შუბლზე ხელი მოისვა, თითქოს ცდილობდა, თავისი უკანასკნელი ეჭვიც ამოეგლიჯა, – დიახ, ვცნობ იმ ხმას, სიზმარში რომ მებაასება, დიახ, ვცნობ სახელს იმ ანგელოზისას, ყოველღამე რომ მეჩვენება და მიმართავს ჩემს სულს, რომელსაც ძილი არ ეკარება: „დაჰკარ! იხსენ ინგლისი! იხსენ თავი შენი, რადგან ისე მოკვდები, რომ ვერაფერს მიუძღვნი ღმერთს!“... ბრძანეთ, ბრძანეთ! – შეჰყვირა ფელტონმა, – ახლა კი შემიძლია თქვენი გაგება.

უსაზღვრო სიხარულმა ელვასავით გაირბინა მილედის თვალებში. ეს წამიერი სიხარული ფელტონმა მაინც შეამჩნია და თრთოლამ აიტანა, თითქოს ჩასწვდა ამ ქალის გულის სიღრმეს.

უცბად მოაგონდა ყმაწვილ კაცს ლორდ უინტერის გაფრთხილება, ამ ქალბატონის პირველი ცოუნების ცდა, ერთი ნაბიჯით უკან დაიწია, თავი დაღუნა, მაგრამ მოჯადოებული იყო ამ უცნაური არსებით და თვალს ვერ აშორებდა.

ისეთი ქალი არ იყო მილედი, რომ ვერ მიმხვდარიყო ამ ყოყმანის მიზეზს. მოჩვენებითი მღელვარების მიუხედავად, ერთ წამს არა კარგავდა თავის

ცივსისხლოვან უშფოთველობას და მანამ პასუხს მისცემდა ფელტონი, თვითონვე განაახლებდა ამ ბაასს, ისევ იხმარა ხელოვნური ფანდი: ღონემიხიდილმა ძირს დაუშვა ხელები და თითქოს ქალის სისუსტე სძლევდა მის აღტაცებას, მისუსტებული ხმით უთხრა:

– ეჰ! არა! მეტად მძიმე იქნება ჩემი მკლავისთვის ყოვლადძლიერის მახვილი. გამიშვით, სიკვდილით ავიცდინო შეურაცხყოფა, გამიშვით, თავი შევაფარო წამებას! არც განთავისუფლებას გთხოვთ, რასაც დამნაშავე იზამდა, არც ჯავრის ამოყრას, რასაც წარმართი ითხოვდა. გევედრებით, თავი დამანებეთ, რომ მოვკვდე, ეს არის ჩემი სათხოვარი. აი, მუხლმოყრილი გემუდარებით: თავი დამანებეთ, ნუ მიშლით სიკვდილს, და გეფიცებით, უკანასკნელი ჩემი თხოვნა იქნება კურთხევა ჩემი მხსნელისა.

ფელტონმა ვეღარ გაუძლო ამ ტკბილ, მუდარით სავსე ხმას, ვეღარ გაუძლო ამ მორცხვ, მწუხარებით სავსე თვალს, და ისევ მილედის მიუახლოვდა. ნელ-ნელა იმოსებოდა მხიბლავი ქალბატონი იმ ჯადოსნური სამკაულებით, რომელსაც თავისი სურვილისამებრ ისხამდა და იხსნიდა, როცა ნებავდა.

– თუ დამიმტკიცებთ, რომ მართლა წამებული ხართ, ვაი, რომ სიბრალულის მეტი არა შემიძლია რა, – უთხრა ფელტონმა, – საშინელი ბრალდება აქვს ლორდ უინტერს თქვენ წინააღმდეგ. თქვენ ქრისტიანი ხართ, ჩემი სარწმუნოებისა, ვგრძნობ, თქვენკენ მოიწევს ჩემი გული, რომელსაც თავის დღეში არავინ ჰყვარებია, ჩემს კეთილისმყოფელ ლორდ უინტერის გარდა, რადგან არავინ შეხვედრია ცხოვრებაში, გარდა მოღალატეებისა და უღმერთოებისა. მაგრამ თქვენ, ქალბატონო, ნამდვილად ხორცშესხმული მშვენი-ერება ხართ, განხორციელებულ უმანკოებას ჰგავხართ, და მიუხედავად ყოველივე ამისა, თუ ასე გდევნით, ალბათ რაიმე ბოროტება ჩაგიდენიათ.

– თვალი აქვთ, – გაიმეორა მილედიმ გამოუთქმელი გულისტკივილით, – მაგრამ ვერ დაინახავენ, ყური აქვთ, მაგრამ ვერ გაიგონებენ.

– ჰოდა, მაშ, თქვენ გამაგებინეთ! – შეჰყვირა ყმაწვილმა ოფიცერმა, – მითხარით, გამაგებინეთ!

– თქვენ განდოთ ჩემი სირცხვილი? – დაიძახა გაწითლებულმა მილედიმ. – სირცხვილი, რადგანაც ერთის მიერ ჩადენილი ბოროტება შეიძლება სამარცხვინო იყოს მეორისათვის. თქვენ მოგანდოთ, ვაჟკაცს, მე, ქალმა? ოჰ! – თან მორცხვად აიფარა თვალებზე ხელი – ოჰ! ოჰ! არა! არასოდეს, მე მაგას ვერ ვიზამ!

– ვერ მომანდობთ მე? თქვენს ძმას?

კარგა ხანს უყურა ქალმა ისეთი გამომეტყველებით, რომ ყმაწვილ ოფიცერს ეჭვად ეჩვენა და ნამდვილად კი დაკვირვება იყო, უფრო მეტად მოხიბვლის სურვილი.

ფელტონმა ვედრებითვე აღაპყრო ხელები ისევე, როგორც წედან მილედიმ.

– კარგი, – უპასუხა პატიმარმა, – გავბედავ და ჩემს ძმას ვენდობი.

ამ დროს მოისმა უინტერის ფეხის ხმა. მხოლოდ ამჟამად მილედის მრისხანე მაზლმა არ ისურვა, წუხანდელივით გაევლო და წასულიყო, პირიქით, შეჩერდა, რამდენიმე სიტყვით გამოელაპარაკა გუშაგს, კარი გააღებინა და პატიმრის სანახავად შევიდა.

მანამ ლორდი გუშაგს ელაპარაკებოდა, ფელტონი სწრაფად მოშორდა მილედის როდესაც ლორდ უინტერი შევიდა, პატიმრისაგან რამდენიმე ნაბიჯის დაცილებით იდგა.

ნელი ნაბიჯით შევიდა ლორდი, გამომცდელი თვალით დააშტერდა თავის რძალს და მერე ყმაწვილ ოფიცერს.

– დიდი ხანია, ჯონ, რაც აქა ხართ, იქნება გიამბოთ ამ ქალმა თავისი შეცოდებანი? მაშინ ჩემთვის ცხადია თქვენი ბაასის ხანგრძლივობა.

კანკალი დაიწყო ფელტონმა და მილედიმაც იგრძნო, რომ წასული იყო მისი საქმე, თუ არ მიეშველებოდა აბნეულ პურიტანს.

– აჰ, გეშინიათ, პატიმარი არსად გაგექცეთ? – მიმართა ლორდ უინტერს, – მაშ, ჰკითხეთ თქვენს ღირსეულ მოხელეს, რა წყალობას ვთხოვდი, ეს არის, ახლა? რას ვეხვეწებოდი?

– თქვენ და, წყალობის თხოვნა? – თქვა ეჭვიანად ლორდმა.

– დიახ, მილორდ, – უპასუხა შემკრთალმა ყმაწვილმა კაცმა.

– მერე, რა წყალობას გთხოვდათ?

– დანას მთხოვდა, რომელსაც მაშინვე დამიბრუნებდა კარის სარკმლიდან, სულ ერთი წუთით უნდოდა დანა.

– მაშ, არის ვინმე ამ ოთახში დამალული, ვის უპირებს ყელის გამოჭრას ეს ტურფა ქალბატონი? – წარმოთქვა ლორდმა უინტერმა დამცინავი, აბუჩადამგდები ხმით.

– მე ვარ, – უპასუხა მილედიმ.

– მე ნება მოგეცით, ამოგერჩიათ, რაც უფრო გიჯობდათ, ამერიკა თუ ტაიბერნი, – უთხრა ლორდმა, – მოდით, ტაიბერნი აირჩიეთ, მილედი. დამიჯერეთ, თოკი უფრო სანდოა, ვიდრე დანა.

ფერი ეცვალა ფელტონს, წინ წაიწია, მოაგონდა, რომ თოკი ეჭირა ხელში მილედის.

– მართალი ხართ, – უთხრა პატიმარმა, – კარგა ხანია ვფიქრობ მაგას, – მერე ყრუ ხმით დაუმატა: – და კიდევაც ვიფიქრებ.

თრთოლა მოერია ფელტონს, ტვინიც კი უთრთოდა, არ შეიძლებოდა, ლორდ უინტერს არ შეემჩნია ეს მღელვარება.

– ფრთხილად იყავ, ჯონ, – მიმართა ფელტონს, – არ დაუჯერო ამას, მეგობარო! შენ მოგანდე ეს ქალბატონი, გაგაფრთხილე კიდეც, მაშ, ფრთხილად! გამაგრდი, ცოტა ხანს კიდევ გაუძელ, სულ სამი დღეღა. სამი დღის შემდეგ გადავრჩებით ამ ფლიდ არსებას, რადგან იმისთანა მხარესა ვგზავნი, რომ იქიდან ვეღარას გვავნებს.

– გაიგონეთ?! – შეჰყვირა მილედიმ ისეთი ხმით, რომ ლორდმა იფიქრა, ზეცას მიმართაო, ფელტონი კი გრძნობდა, მას ეკითხებოდა.

ყმაწვილმა კაცმა თავი დაღუნა და ჩაფიქრდა.

უინტერმა ხელი დაუჭირა ფელტონს, თავი მიიბრუნა მილედისაკენ, რომ თვალი არ მოეშორებინა პატიმრისათვის, მანამ კარებთან მივიდოდა.

– არა, არა! – იძახდა პატიმარი, როდესაც კარი მოხურეს, – ჯერ ისევ გამარჯვებული არა ვარ, როგორც მეგონა. თავისი ჩვეულებრივი სისულელის მაგივრად, უინტერს უცნობი გონიერება შეუძენია. რა მძლავრი რამ არის ჯავრის ამოყრა! და როგორ გარდაქმნის ადამიანს ეს წყურვილი! რაც შეეხება ფელტონს, ვერა ბედავს უბედური! აჰ, ისეთი ვაჟკაცი არ არის, როგორც ის შეჩვენებული დ არტანიანი. პურიტანი თუ შეიყვარებს, მხოლოდ ქალწულებს, და ისიც დად, სალოცავად! სულ სხვაა მუშკეტერის სიყვარული.

მაგრამ მაინც მოუთმენლად ელოდა, რადგან დარწმუნებული იყო, ისე არ გავიდოდა ის დღე, რომ ერთხელ მაინც არ შემოსულიყო ფელტონი. ბოლოს, ეს არის ახლა აღწერილი სცენის ერთი საათის შემდეგ, კარს იქით ჩუმი ლაპარაკის ხმა გაიგონა, მერე კარიც გააღეს და ფელტონი დაინახა.

სწრაფი ნაბიჯით შევარდა ოთახში ყმაწვილი კაცი, კარი ღია დატოვა და მილედის ანიშნა, ჩუმად იყავითო, – აღფრთოვანებული სახე ჰქონდა.

– რა გნებავთ ჩემგან? – ჰკითხა პატიმარმა.

– ყური მიგდეთ: – უთხრა ჩურჩულით ფელტონმა, – ცოტა ხნით მოვიშორე დარაჯები, რომ არავინ გაიგოს ჩემი შემოსვლა. მინდა, ისე მოგელაპარაკოთ,

რომ არავინ გაიგონოს ჩემი ნათქვამი. საზარელი რამ მიამბო ეს არის ახლა ლორდმა.

მილედიმ თავგანწირული მსხვერპლის მწარე ღიმილი გამოხატა სახეზე და თავი გაიქნია.

– ან თქვენა ხართ ქაჯი, – განაგრძო ფელტონმა, – ან ლორდი უინტერი, ჩემი კეთილისმყოფელი, სულიერი მამა არის ურჩხული! სულ ორი დღეა, რაც თქვენა გხედავთ, ის კი მიყვარს, აგერ, ორი წელიწადია. ცხადია, რომ ვყოყმანობ, ვერ გადამიწყვეტია, ვის მივუდგე, თქვენ თუ იმას! ნუ გეწყინებათ, რომ ამას გეუბნებით, მინდა, პატიოსნად, სამართლინად გადავწყვიტო ჩემი საქციელი, ამაღამ, შუაღამის შემდეგ მოვალ თქვენს სანახავად და მაშინ დამარწმუნებთ თქვენს სიმართლეში.

– არა, ფელტონ, არა ჩემო ძმაო, – უთხრა პატიმარმა, – მეტად დიდი იქნება თქვენი მსხვერპლი და ვგრძნობ, ძალიან ძვირად დაგიჯდებათ. არა, არა! მე უკვე დაღუპული ვარ და თქვენც ნუ იღუპებით ჩემთან ერთად. ჩემი სიკვდილი უფრო მეტს იტყვის, გაცილებით მეტს, ვიდრე ჩემი სიცოცხლე. ცხედრის დუმილი უფრო უკეთ დაგარწმუნებთ, ვიდრე პატიმრის ნათქვამი.

– გაჩუმდით, ქალბატონო, – თქვა ფელტონმა, – ასე ნუ მელაპარაკებით! მოვედი იმისათვის, რომ პატიოსანი სიტყვა მომცეთ, შემომფიცოთ იმით, რაც უწმინდესად სწამს თქვენს სულს, რომ აღარ გაბედავთ თავის მოკვლას.

– სიტყვას ვერ მოგცემთ, ვერ დაგპირდებით, – უპასუხა მილედიმ, – რადგან არავინ იქნება, რომ ისე წმინდად სწამდეს დაპირება, როგორც მე, და თუ დაგპირდებით, მაშ, კიდეც უნდა ავასრულო.

– კარგით! იმის პირობა მაინც მომეცით, რომ ჩემს დაბრუნებამდე არაფერს იზამთ. თუ შემდეგშიაც ასევე დაჟინებით ისურვებთ თქვენი წადილის ასრულებას, რა გაეწყობა! თავისუფალი იქნებით და მე თვითონვე მოგართმევთ იმ იარაღს, რომელსაც მთხოვდით.

– კარგით! თქვენ მთხოვთ... და გადავდებ.

– შემომფიცეთ.

– ჩვენს ღმერთსა ვფიცავ, კმაყოფილი ხართ?

– დიახ, მაშ, ამაღამდე!

ფელტონი ოთახიდან გავარდა, კარი მოკეტა და იქვე კარებთან დადგა. ხელში ჯარისკაცის შუბი აიღო, თითქოს ის ყოფილიყოს გუშაგი.

ჯარისკაცი რომ დაბრუნდა, ფელტონმა მას გადასცა შუბი.

ამ დროს მილედი კარის სარკმლით იყურებოდა და დაინახა, რომ ყმაწვილმა კაცმა პირჯვარი გადაიწერა, თითქოს მძიმე ტვირთისაგან გათავისუფლდაო, და დერეფანი სიხარულით გაიარა.

მილედი ისევ სავარძელთან მივიდა, ზიზღის ღიმილმა გაირბინა მის ტუჩებზე და ზიზღითვე წამოიძახა რამდენჯერმე სიტყვა – ღმერთი! – რომელსაც ყოველთვის იფიცებდა, მაგრამ ფიქრადაც არ მოსვლია მისი მცნების გაცნობა.

– ჩემი ღმერთი? – იძახდა მილედი, –ეს გამოშტერებული ფანატიკოსია ჩემი ღმერთი? ღმერთი მე ვარ, მე და კიდევ ის, ვინც დამეხმარება ჯავრის ამოყრაში.

XXVI

პატიმრობის მეხუთე დღე

ნახევრად ასრულებულად ეჩვენებოდა მილედის თავისი განზრახვა და ეს გამარჯვება ძალას უორკეცებდა.

აქამდე გამარჯვებული რჩებოდა ყოველთვის, რადგან ისეთ კაცებთან ჰქონდა ხოლმე საქმე, რომლებიც ადვილად ებმებოდნენ მისი ცთუნების ბადეში: კარისკაცური აღზრდისა და ჩვეულებათა გამო თვითონვე მიიწევდნენ მისი მახისაკენ. მეტად ლამაზი ქალი იყო და ხორციელი ვნების დასატკბობად არ უძნელდებოდა მამაკაცთა ჩათრევა. ამასთან ერთად, მეტად მოხერხებულად და ადვილად იცილებდა გზიდან ყოველგვარ დაბრკოლებას.

მაგრამ ამ შემთხვევაში მილედი ველური ბუნების კაცს ებრძოდა, ღრმად ჩაფიქრებულს და უგრძნობელს, თავისი სიმკაცრის გამო. სარწმუნოებას ისე გარდაექმნა ფელტონი, რომ მიწიერ ცთუნებათათვის მიუწვდომელ კაცად გაეხადა. ისეთი დიდი გეგმები უტრიალებდა აღგზნებულ თავში, ისეთი დიდი განზრახვებით იყო მოცული მისი გონება, რომ ალაგი აღარსად რჩებოდა არავითარი მიწიერი, ჟინიანი სიყვარულისათვის და იმ გრძნობისათვის, რომელიც იკვებება მოცლილობით და იზრდება გარყვნილობით. მილედიმ თავისი ყალბი სათნოებით ნაპრალი გააჩინა იმ კაცის აზროვნებაში, რომელიც მის წინააღმდეგ იყო გაფრთხილებული. მან თავისი სილამაზით დაიმორჩილა წმინდა, უბიწო კაცის გული და გრძნობა, დარწმუნდა ქალბატონი, თუ რამდენად მძლავრი იყო მისი საშუალებანი, რომლებსაც თვითონაც არ იცნობდა დღემდე, და საქმით სინჯა ისეთ ჯიუტ კაცზე, როგორსაც იშვიათად ქმნის ბუნება და სარწმუნოება.

მიუხედავად ამისა, მილედის საღამოობით ხშირად მოერეოდა ხოლმე სასოწარკვეთილება; აღარც ბედის იმედი ჰქონდა, აღარც თავისი თავისა. ღმერთს არასოდეს მიმართავდა, ეს ჩვენც კარგად ვიცით, მაგრამ, სამაგიეროდ, ღრმად სწამდა ბოროტების ძალა, ის უსაზღვრო მეუფება, რომელიც განაგებს ადამიანის ცხოვრების ყოველ წვრილმანს და რომლისთვის, არაბული ზღაპრისა არ იყოს, ბროწეულის თესლის ერთი მარცვალი კმარა, რომ აღადგინოს დაღუპული ქვეყანა.

მილედი კარგად მოემზადა ფელტონის დასახვედრად. მან იცოდა, რომ ორი დღის მეტი აღარ რჩებოდა. მოაწერდა თუ არა ხელს ბრძანებას ბუკინგამი (და მით უფრო ადვილად მოაწერდა ხელს, რომ ბრძანებაში ყალბი სახელით იყო აღნიშნული და ბუკინგამი ვერ იცნობდა იმ ქალს, რომელსაც სჯიდა), უინტერი მაშინვე გემში ჩასვამდა. მილედიმ იცოდა, აგრეთვე, ისიც, რომ გადასასახლებლად გამზადებული ქალები გაცილებით უფრო სუსტ იარაღს ფლობენ ვისიმე საცთუნებლად, ვიდრე საქვეყნოდ აღიარებული სათნოიანი ქალები, რომელთა სილამაზე კიდევ უფრო მომხიბლავი ხდება მაღალი საზოგადოების ელვარებითა და საერთო შექებით, ხოლო არისტოკრატული წარმოშობა ოქროს ვარაყად ეფინება მას. მართლაც, საშინელი შემარცხვენელი სასჯელი სრულებით არაფრით ასუსტებდა მის სილამაზეს, მაგრამ ეს სასჯელი დაბრკოლებად ეღობებოდა წინ და ვერასოდეს ვეღარ აღიარებდა ძლიერებას. როგორც ყველა მოღვაწე, მილედიც კარგად იცნობდა იმ წრეს, რომელიც შეეფერებოდა მის ბუნებას და საშუალებებს. სიღარიბე ეზიზღებოდა, დაბალი ხალხი ამცირებდა მის დიდებულებას. მილედი დედოფლად მარტო დედოფლების წრეში ხდებოდა. დაკმაყოფილებული უნდა ჰქონოდა სიამაყე, რომ ძალოვან დიდებულად ეგრძნო თავი. მდაბიოთა მბრძანებლობა დამცირება იქნებოდა მისი და არა სიამოვნება.

მართალია, ერთი წუთითაც არ შეპარვია ეჭვი, რომ გადასახლებიდან დაბრუნდებოდა, მაგრამ რამდენ ხანს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო ეს გადასახლება? დაკარგავდა ერთ წელს, ორს, იქნებ სამსაც, ესე იგი, მთელ საუკუნეს. შეიძლება დაბრუნებულიყო მაშინ, როდესაც გამარჯვებულ და ბედნიერ დ არტანიანს თავის მეგობრებთან ერთად დედოფლისგან უკვე მიღებული ექნებოდა ჯილდო გაწეული სამსახურისა და სიკეთისათვის.

ყველა ეს გულის დამაწყლულებული ფიქრი ძნელი ასატანი ხდებოდა ისეთი ქალისათვის, როგორიც მილედი იყო. მაგრამ მას გულში მძვინვარე გრიგალი უორკეცებდა ძალას და უსათუოდ საპატიმროს კედლებს გაანგრევდა, რომ მის ფიზიკურ ძალას ერთი წუთით მაინც შეძლებოდა გონებასთან გატოლება.

კიდევ ერთი გარემოება არ აძლევდა მოსვენებას. ეს იყო კარდინალი რიშელიე. რას იფიქრებდა, რას იტყოდა მილედის დუმილით განცვიფრებული კარდინალი, რომელიც უნდობლად ექცეოდა ყველას. წუხდა მილედი და ეჭვს ვერ იშორებდა: რას იფიქრებდა კარდინალი? არა მარტო ერთადერთი მისი მფარველი, ერთადერთი მისი საყრდნობი, ერთადერთი მისი შემწე დღევანდელ დღეს, არამედ ერთადერთი იარაღი მილედის მომავალი ბედნიერებისა და შურისძიებისა! კარგად ცნობდა კარდინალს, იცოდა, რომ ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ დაბრუნებისას ამაო იქნებოდა თავის მართლება. რაც უნდა გაეზვიადებინა საპატიმროში გადატანილი აუტანელი ტანჯვა, კარდინალი მაინც სრულიად დამშვიდებული დაცინვით უპასუხებდა, ისე როგორც ეს შეეფერება თავისი ძალ-ღონით და გენიოსობით განდიდებულ ყოვლისშემძლებელ ურწმუნოს: „თქვენი ბრალია! ნუთუ თავი ვერ აარიდეთ?“

ძალ-ღონეს იკრებდა მილედი და გონებაში ფელტონის სახელი უტრიალებდა. ფელტონი იყო ერთადერთი სხივი სინათლისა, რომელიც ჯოჯოხეთის უფსკრულში ჩავარდნილ პატიმრამდე აღწევდა და იმედს არ უკარგავდა. მილედი წინასწარ ოცნებობდა იმ ფანდებზე, რომელშიც გაახვევდა ფელტონს, მსგავსად გველისა, რომელიც თავისი ძალის შესამოწმებლად გორგალივით ეხვევა და ხელახლა იჭიმება.

დრო კი თავისას არ იშლიდა. საათი საათს მისდევდა და ბრინჯაოს ზარის ყოველი დარტყმა შიგ გულში ხვდებოდა პატიმარს. ცხრა საათზე შეიარა ლორდმა. ჩვეულებრივად დაათვალიერა იქაურობა. გადახედა ფანჯარას და ურდულს, გასინჯა იატაკი და კედლები, შეიხედა ბუხარში, შეეხო კარებს, ისე ჩაატარა ეს ხანგრძლივი წვრილმანი შემოწმება, რომ ხმა არ ამოუღიათ არც იმას და არც მილედის.

ეჭვი არ არის, ორივეს შეეგრძნო, რომ მეტისმეტად გამწვავებული იყო მდგომარეობა და დროს დაკარგვაღა იქნებოდა უსარგებლო ბაასი და უშედეგო გაბრაზება.

– ძალიან კარგი, – უთხრა უინტერმა, – ამაღამაც ვერ მოახერხებთ გაპარვას!

ათ საათზე ფელტონმა გუშაგი შეცვალა. მილედიმ ადვილად იცნო მისი ფეხის ხმა, იგი შორიდანვე ცნობდა ფელტონის ნაბიჯებს, ისევე, როგორც სიყვარულით გაგიჟებული ქალბატონი გრძნობს თავისი სატრფოს მოახლოებას. თუმცა მილედის ეჯავრებოდა და ეზიზღებოდა ეს სუსტი ფანატიკოსი.

ჯერ არ დამდგარიყო დათქმული დრო. ფელტონი არ შევიდა მილედისთან.

ორი საათის შემდეგ, შუაღამისას, როდესაც თორმეტი დაჰკრა საათმა, გუშაგი ისევ შეცვალეს.

ახლა კი უკვე დრო იყო და ამის შემდეგ პატიმარი მოუთმენლად მოელოდა თავის მხსნელს.

დერეფანში სიარული დაიწყო ახალმა გუშაგმა.

ათი წუთის შემდეგ ფელტონიც მოვიდა.

ყურადღებად გადაიქცა მილედი.

– გესმის? – უთხრა ყმაწვილმა კაცმა გუშაგს, – არავითარ შემთხვევაში არ მოშორდე ამ კარს. შენც გეცოდინება, რომ წუხელ ერთი ჯარისკაცი დასაჯა ლორდმა უინტერმა, რადგან ერთი წამით მიატოვა თავისი ადგილი, თუმცა მის დაბრუნებამდე მე ვიდექი გუშაგად.

– დიახ, ვიცი, ბატონო, – მიუგო გუშაგმა.

– მეც გიბრძანებ, რაც შეიძლება მკაცრად გეჭიროს თვალი. მე, — დაუმატა მან, – შევალ შიგ, ერთხელ კიდევ დავათვალიერებ ამ ქალის ოთახს, რადგან ძალიან მეშინია, რაღაც საშინელებას უპირებს თავის თავს და ნაბრძანები მაქვს, თვალი არ მოვაშორო.

– ოჰო, ოჰო! – ჩურჩულებდა მილედი, – ესეც თქვენი მკაცრი პურიტანი! ხედავთ, როგორ ტყუის?

რაც შეეხება ჯარისკაცს, მან ღიმილით გამოთქვა თავისი აზრი:

– ეჰ, წუწუნი არ გმართებთ, ბატონო ლეიტენანტო, მასეთი დავალების ასრულებისათვის, მეტადრე მაშინ, თუ მილორდმა ნება მოგცათ, ამ ქალის ლოგინშიც ჩაიხედოთ.

ფელტონი გაწითლდა, სხვა დრო რომ ყოფილიყო, გაუჯავრდებოდა ჯარისკაცს ასეთი ლაზღანდარობისათვის, მაგრამ სინდისი ქენჯნიდა და უპასუხოდ დატოვა.

– თუ დაგიძახე, – განაგრძო ფელტონმა, – მაშინვე შემოდი, თუ ვინმე მოდიოდეს, მაშინაც სწრაფად დამიძახე!

– ბატონი ბრძანდებით!

ფელტონი მილედის ოთახში შევიდა. პატიმარი წამოდგა.

– მოხვედით?

– დაგპირდით, – უპასუხა ფელტონმა, – და, აი, აქა ვარ,

– თქვენ სხვა რაღაცასაც დამპირდით...

– რას დაგპირდით? აჰა, ღმერთო! – ამოიოხრა ახალგაზრდა ოფიცერმა, რომელიც ცდილობდა, დაუფლებოდა თავის გრძნობებს, მაგრამ გრძნობდა, მუხლები უკანკალებდა და შუბლზე ოფლი გადმოსდიოდა.

– დამპირდით, რომ დანას მომიტანდით და აქ დამიტოვებდით.

– ნუღარ მომაგონებთ მაგას, ქალბატონო, – სთხოვა ფელტონმა, – რა აუტანელ მდგომარეობაშიც უნდა იყოს ღვთისგან გაჩენილი არსება, მაინც არა აქვს უფლება, თავი მოიკლას. მე დავუფიქრდი ამ მდგომარეობას და გადავწყვიტე, რომ ჩემ სიცოცხლეში არ ჩავიდენ ამგვარ ცოდვას.

– აჰ, დაუფიქრდით?! – თქვა პატიმარმა და სავარძელში ჩაჯდა, სახეზე დამცინავი ღიმილი უთამაშებდა, – დიახ, მეც, აგრეთვე, მეც დავუფიქრდი.

– რას დაუფიქრდით?

– რომ აღარაფერს ვეტყოდი იმ კაცს, რომელმაც არ იცის თავისი სიტყვის ასრულება.

– ოჰ, ღმერთო ჩემო!

– შეგიძლიათ, წახვიდეთ, – უთხრა მილედიმ, – მე თქვენ არაფერს გეტყვით.

– აი, ის დანა! – უპასუხა ფელტონმა და ჯიბიდან ამოიღო იარაღი, რომლის მოტანასაც შეჰპირდა, მაგრამ მიცემას ვერ ბედავდა.

– მაჩვენეთ! – სთხოვა მილედიმ.

– რად გინდათ?

– გეფიცებით, ამწამსვე მოგცემთ, მანდ დადეთ, მაგიდაზე, და თქვენ იქნებით ჩემსა და მაგ დანის შუა.

ფელტონმა მისცა დანა. მილედიმ დაკვირვებით დაათვალიერა დანის პირი, მისი წვერის სიმახვილე თითზე გასინჯა.

– გმადლობთ, – უთხრა ყმაწვილ ოფიცერს და დანა დაუბრუნა, – კარგი რამ არის, საუკეთესო ფოლადისა, ერთგული მეგობარი ხართ, ჩემო ფელტონ.

ფელტონმა აიღო დანა და მაგიდაზე დადო, მისი და პატიმრის შეთანხმებისამებრ.

მილედი თვალს ადევნებდა და კმაყოფილების ნიშნად თავი დაუქნია.

– მაშ, მომისმინეთ.

ამაო იყო ეს მიმართვა, ფელტონი გაჭიმული იდგა და მოუთმენლად ელოდა მის სიტყვებს, რომ ხარბად დასწაფებოდა.

– ფელტონ! – დაიწყო მილედიმ მწუხარე სახით, – ფელტონ! თქვენს დას, მამათქვენის ასულს, რომ ეთქვა თქვენთვის: ჯერ სულ ახალგაზრდა ვიყავი და, ჩემდა საუბედუროდ, საკმაოდ ლამაზი, როდესაც მახეში გამაბეს... არ დავნებდი, დამიწყეს წამება, ძალდატანება, გავუძალიანდი, შეურაცხყვეს ჩემი სარწმუნოება, დაგმეს ჩემი ღმერთი, რადგან ჩემს სარწმუნოებას და ჩემს სათაყვანებელ ღმერთს ვევედრებოდი შველას და არ დავნებდი. მაშინ უხვად დამიწყეს შეურაცხყოფა და რაკი ვერ დამღუპეს სულით, განიზრახეს ჩემი სამუდამოდ შერცხვენა და ხორციელი ჩემი გახრწნა, ბოლოს.

მილედი გაჩუმდა, მწარე ღიმილი უტოკებდა ბაგეს.

– ბოლოს, ბოლოს? – ჰკითხა ფელტონმა, – ბოლოს რა გიყვეს?

– ბოლოს, ერთ საღამოს გადაწყვიტეს გაეტეხათ ჩემი წინააღმდეგობა, რომელსაც ვერ ჯაბნიდნენ. ერთ საღამოს წყალში ძლიერი დამაძინებელი წამალი ჩამიყარეს, ის იყო დავამთავრე ვახშამი, რომ რაღაც უცნაური გაბრუება ვიგრძენი, თუმცა ეჭვი არაფერზე მეპარებოდა, მაგრამ შიშმა შემიპყრო და ვცდილობდი, ძილი გამეფრთხო. წამოვდექი, მინდოდა, ფანჯარასთან მივსულიყავი. მიშველეთ-მეთქი, დამეყვირა, მაგრამ ფეხი აღარ მემორჩილებოდა. ისე მეჩვენებოდა იქაურობა, თითქოს ჭერი უნდა ჩამონგრეულიყო, თავზე დამცემოდა და გავესრისე თავისი სიმძიმით. ხელები გავშალე, ვცადე სიტყვის თქმა, მაგრამ ცალკეული ბგერების ამოძახილის მეტს ვერას ვახერხებდი. სავარძელს დავეყრდნე, ვგრძნობდი, რომ წავიქცეოდი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ეს საყრდენიც ამაო გამოდგა ჩემი მისუსტებული ხელებისათვის და ძირს დავეშვი, – ჯერ ერთ მუხლზე, მერე ორივეზე. ლოცვა მინდოდა, მაგრამ ენა გაყინული მქონდა, ალბათ არც დამინახა ყოვლადმოწყალემ, არც მომისმინა. ძირს დავეშვი, იატაკზე და ისეთი ძილი მომერია, რომ მკვდარს უფრო ვგავდი, ვიდრე მძინარს.

რა მოხდა ჩემი ძილის დროს ან რამდენ ხანს გრძელდებოდა იგი, არაფერი მახსოვს. მახსენდება მხოლოდ ერთი რამ: როდესაც გამეღვიძა, ვნახე, რომ მდიდრულად მორთულ მრგვალ ოთახში ვიწექი, სინათლე მარტო ზევიდან, ჭერიდან ჩამოდიოდა, არც ფანჯარა ჰქონდა ოთახს, არც კარი უჩანდა, ერთი სიტყვით, დიდებული საპატიმრო იყო.

დიდხანს ვიყავი გაბრუებული, ვერ გამეგო, სად ვიყავი, როგორ ჩამაგდეს ამ მრგვალ ოთახში, მაგრამ არაფერი მაგონდებოდა. უსარგებლოდ იბრძოდა ჩემი გონება, რომ მოეშორებინა ძილის მძიმე წყვდიადი, რომელმაც ასე დამჯაბნა. რაღაც მაგონდებოდა მკრთალად, თითქოს ეტლით წამიყვანეს სადღაც. საშინელი სიზმარი, რომლის დროს ძალმიხდილი ვეგდე მკვდარივით.

იმდენად უცნაურად მეჩვენებოდა ჩემი მდგომარეობა, რომ კარგა ხანს ვიყავი ფიქრით მოცული, სიზმარი მეგონა ეს ყველაფერი. როგორც იყო ბარბაცით წამოვდექი, იქვე სკამზე ელაგა ჩემი ტანისამოსი, მე კი არც ტანისამოსის გახდა მახსოვდა, არც დაწოლა, მაშინ ნელ-ნელა წარმომიდგა საშინელი, შემაძრწუნებელი სინამდვილე: მე არ ვიმყოფებოდი იმ სახლში, სადაც ვცხოვრობდი. რამდენადაც მზის სხივების მიხედვით შემეძლო განსჯა, დღის ორი მესამედი მაინც უნდა ყოფილიყო გასული, მე კი წინა ღამეს მომერია ძილი. მაშ, თითქმის ოცდაოთხი საათი მძინებია და ჩემი თავისა აღარა მეყურებოდა რა. მერე რა გადამხდა ამ ხანგრძლივი ძილის დროს?..

ისე სწრაფად ჩავიცვი ტანისამოსი, რამდენადაც კი შემეძლო ამ გარემოებაში მყოფს. ყოველი ჩემი მოძრაობა, ნელი და დამძიმებული, მიმტკიცებდა, რომ გავლენა ამ დამაძინებელი წამლისა ჯერაც არ გამქრალიყო ჩემს ორგანიზმში. კიდევ კარგი, ის ოთახი სწორედ ქალისათვის იყო მოწყობილი და როგორი

კეკლუციც უნდა ყოფილიყო ქალი, ვერას ინატრებდა ისეთს, რომ იქვე არ ეპოვა, ამ მრგვალ საპატიმროში, თუკი თვალს გადაავლებდა იქაურობას.

რა თქმა უნდა, მე არ ვიყავი ამ საგანგებო საპატიმროს პირველი ტუსაღი, მაგრამ თქვენც დამეთანხმებით, ფელტონ, რამდენადაც მშვენიერი იყო საპყრობილე, იმდენად უფრო მეტად მიშფოთებდა გულს.

დიახ, საპყრობილე იყო, რადგან ამაოდ ჩამიარა ცდამ, კარი მეპოვა და გარეთ გავსულიყავი, ხელით მოვსინჯე ყველა კედელი, მაგრამ ყველგან ყრუ ხმას იღებდა მკვრივი შენობის კედლები.

მგონი, ოცჯერ მაინც შემოვუარე მათ, მინდოდა, რაიმე გასასვლელი მეპოვა, მგრამ ამაოდ: გასასვლელი კი არა, სარკმელიც არსად იყო. ბოლოს, შიშით ათრთოლებული და დაქანცული, სავარძელზე დავეშვი. ამასობაში დაღამდა და შიში გამიორკეცდა. არ ვიცოდი, იქვე დავრჩენილიყავი, იმ სავარძელში, თუ ავმდგარიყავი, მრავალი უცნობი საშინელება მელანდებოდა და გარს მეხვეოდა. ვგრძნობდი, რომ თავს ვერ დავაღწევდი ამ განსაცდელს. მართალია, წინა ღამის შემდეგ ლუკმა პური არ ენახა ჩემს პირს, მაგრამ შიმშილსაც მავიწყებდა შიში.

არავითარი ხმაურობა არ ისმოდა გარედან, რომ დროის გამორკვევა შემძლებოდა, დადუმებული იყო ყველაფერი. ალბათ, საღამოს შვიდი ან რვა საათი უნდა ყოფილიყო, რადგან ოქტომბერი იდგა და სრულიად ჩამობნელებულიყო.

უცბად კარის ჭრიალი შემომესმა. განცვიფრებული წამოვვარდი, ჭერის სარკმლის ზემოდან სფეროსებურად გამოჩნდა ცეცხლი და ჩემი ოთახი გაანათა. საზარელი შიშით შეპყრობილი შევყურებდი ჩემგან რამდენიმე ნაბიჯზე მდგომ კაცს.

ორი კაცისათვის მომზადებული ვახშმით გაშლილი პატარა მაგიდა ოთახის შუაგულში თითქოს რაღაც ჯადოსან ძალას შემოეტანა.

მე ვიცანი ეს კაცი, რომელიც ასე მოჩვენებასავით გამომეცხადა, ეს ის კაცი იყო, ვინც მთელი ერთი წლის განმავლობაში ყველგან მდევდა, მოსვენებას არ მაძლევდა; ეს ის კაცი იყო, რომელსაც დაეფიცა, სახელი გაეტეხა ჩემთვის. როგორც კი დამიწყო ლაპარაკი, როგორც კი წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა, მაშინვე მაგრძნობინა, რომ წინაღამეს უკვე აესრულებინა თავისი ფიცი.

– საზიზღარი! – წამოიძახა ფელტონმა.

– ოჰ, დიახ, საზიზღარი, – გაიმეორა ზიზღით მილედიმ. – მას ეგონა, რაკი მძინარე დამიმორჩილა, ახლა კი ჩემია და წინააღმდეგობას აღარ გამიწევსო, მობრძანებულიყო იმ იმედით, რომ ავიტანდი ჩემს შერცხვენას, რადგან უკვე შერცხვენილი ვიყავი, და თავის სიმდიდრეს მიძღვნიდა ჩემი სიყვარულის სამაგიეროდ.

რაც კი უაღრესი ზიზღი მოიპოვება ქალის გულში და სალანძღავი სიტყვები, ყველა პირში მივახალე იმ კაცს, ლაფი დავასხი თავზე! ეჭვი არ არის, მიჩვეული უნდა ყოფილიყო ამგვარ ლანძღვას, რადგან გულხელდაკრეფილი იდგა ჩემ წინ დ მშვიდი სიცილით მისმენდა. შემდეგ, როდესაც იფიქრა, უკვე გაათავა თავისი სათქმელიო, ჩემკენ წამოვიდა, მეც სუფრას ვეცი, ავიღე დანა და გულზე დავიდე.

– ხელი არ მახლო! – შევყვირე გაშმაგებულმა, – თორემ ჩემი შერცხვენის გარდა, ჩემი სიკვდილიც გაგიხდებათ სინდისის საქენჯნად!

მე მგონი, ცეცხლსა ყრიდნენ ჩემი თვალები, ქუხდა, ჭექდა ჩემი ხმა და ისე გააფთრებულიყო ჩემი არსება, რომ შეშლილი უნდა ყოფილიყო კაცი, განსაცდელი არ ეგრძნო. ისიც გაჩერდა.

– თქვენი სიკვდილი? – მომიგო მშვიდად, – ოჰ! არა! მეტად ლამაზი საყვარელი მყავხართ და ასე ადვილად გაგიშვებთ ხელიდან, როდესაც მხოლოდ ერთ ღამეს მერგო ნეტარება თქვენით დატკბობისა? ნახვამდის, ჩემო ტურფავ!

დავიცდი და მეორედ მაშინ მოვალ თქვენს სანახავად, როდესაც კარგ გუნებაზე იქნებით.

ესა თქვა, ჩაბერა სასტვენს. ჭერის სარკმელზე დაკიდებული დიდი ოვალისებური სანათი ზევით ავიდა და გაქრა. დავრჩი სრულ სიბნელეში. ცოტა ხნის შემდეგ გაისმა კარის გაღებისა და მიხურვის იგივე ხმა, ჭერის სარკმელთან კვლავ გამოჩნდა სინათლე და ოთახი გამინათა. მე ისევ მარტო ვიყავი.

საზარელი იყო ეს წამი, მე უკვე ეჭვი არ მეპარებოდა ჩემს უბედურებაში, ახლა კი ნამდვილად ვიცოდი, რომ შერცხვენილი ვიყავი; იმ კაცის მიერ ვიყავი დამონებული, რომელიც არა თუ მეჯავრებოდა, არამედ მეზიზღებოდა კიდეც. იმ კაცის ხელში ვიყავი, რომელიც ყველაფერს იკადრებდა და კიდეც დამიმტკიცა თავის საბედისწერო საქციელით, რომ მისთვის სამარცხვინო არა იყო რა.

– მერე ვინ იყო ის კაცი? – ჰკითხა ფელტონმა.

– სკამზე გავათენე მელი ღამე, სულ მცირე ხმის გაგონებაზე კანკალი მიტანდა, დაახლოებით შუაღამისას ჭერზე სინათლე გაქრა და ბნელში დავრჩი, მაგრამ ისე გავიდა ის ღამე, რომ ჩემთან შემოსვლა აღარ უცდია ჩემს შემარცხვენელს. გათენდა, გამქრალიყო გაშლილი მაგიდა, დანა ისევ ხელში მეჭირა. ეს დანაღა იყო ჩემი იმედი.

მეტად დაქანცული ვიყავი, თვალებს მიწვავდა უძილობა, ერთი წამითაც კი ვერ გავბედე მიძინება. გათენებამ დამამშვიდა, ლოგინზე მივეგდე და დანაც ბალიშის ქვეშ ამოვიდე. გამეღვიძა და ახალი სუფრა დამხვდა გაშლილი. ძალიან მეშინოდა, გულს მიკლავდა ჩემი მდგომარეობა, მაგრამ ისეთ შიმშილსა ვგრძნობდი, რომ ვეღარ გავუძელი, ორმოცდა რვა საათი ლუკმა არ ენახა ჩემს პირს, – შევჭამე პური და ცოტა ხილი დავაყოლე. მომაგონდა, დამაძინებელი წამალი დასალევ წყალში რომ შემომაპარეს, ამიტომ ხელი არ ვახლე სუფრაზე დადგმულ წყალს. კედელში ჩამაგრებულ მარმარილოსთან მივედი, საიდანაც წყაროსავით დიოდა პატარა ნაკადული, ალბათ პირის საბანად გამოყვანილი, და იქ ავავსე ჩემი სასმისი.

მიუხედავად ამდენი სიფრთხილისა, მაინც კარგა ხანს ვიყავი შიშით გაბრუებული, მაგრამ იმ დღეს უსაფუძვლო გამოდგა ჩემი შიში, ისე გავატარე მთელი დღე, რომ არა მწვევია, ვისიც მეშინოდა.

იმდენად ფრთხილად ვიყავი, რომ გრაფინიდან ნახევარი წყალი გადავაქციე, რათა დალეული ჰგონებოდათ, და არ მიმხვდარიყვნენ ჩემს ასეთ სიფრთხილეს.

დაღამდა და თან მოიტანა წყვდიადი. ბნელი ღამე იყო, მაგრამ მაინც მიეჩვია თვალი და დავინახე, როგორ ჩაძვრა იატაკში მაგიდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ ისევ ზევით ამოვიდა ზედ გაშლილი ვახშმით. ცოტა ხნის შემდეგ იმავე სანათის წყალობით სინათლე კვლავ მოეფინა ჩემს ოთახს.

გადაწყვეტილი მქონდა, პირში არ ჩამედო არაფერი, რასაც შეიძლებოდა საძინებელი წამალი ჰქონოდა. ორი კვერცხი და ცოტა ხილი, – ეს იყო ჩემი ვახშამი. მერე ჩემს მფარველ შადრევანთან მივედი და წყალი იქ დავლიე.

ჩავყლაპე ცოტა და მაშინვე ვიგრძენი, რომ ის გემო აღარა ჰქონდა, რაც დილით, ელვის სისწრაფით გამიარა ეჭვმა და შევჩერდი, მაგრამ უკვე ნახევარ ჭიქამდე მაინც მექნებოდა დალეული. შეშინებულის ზიზღით გადავაქციე დანარჩენი და გულგახეთქილი ველოდი შედეგს, შუბლზე ჭირის ოფლი მდიოდა.

ცხადია, უჩინარმა მეთვალყურემ დაინახა, რომ სასმელად წყაროს წყალს ვხმარობდი, ისარგებლა ამ წყლისადმი ჩემი ნდობით და ახლა ის მომიწამლა, რათა უფრო ადვილად აესრულებინა თავისი მხეცური განზრახვა – ჩემი შერცხვენა.

ჯერ ნახევარი საათიც არ გასულიყო, რომ მოწამვლის იგივე ნიშნები ვიგრძენი, მხოლოდ იმდენი არ მქონდა დალეული, რაც წინათ, ამიტომ მეც

უფრო გავუმაგრდი, უფრო დიდხანს ვებრძოდი და იმის მაგივრად, რომ მაშინვე ჩამძინებოდა, სულ მთვლემდა, მაგრამ გრძნობა არ მეკარგებოდა და ვხედავდი, რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ, თუმცა იმდენად ვიყავი მისუსტებული, ვერც გაქცევას შევძლებდი და ვერც წინააღმდეგობის გაწევას.

როგორც იყო მივჩოჩდი ლოგინამდე, რათა იქ მეპოვა თავდაცვის ერთადერთი საშუალება – ჩემი მფარველი დანა, მაგრამ სასთუმალამდე ვეღარ მივაღწიე, მუხლებზე დავეშვი და ხელებით საწოლს ჩავებღაუჭე. მაშინ მივხვდი, რომ ვიღუპებოდი...

საშინლად გაყვითლდა ფელტონი, კანკალებდა, ხელები ეკრუნჩხებოდა.

– და ის იყო აუტანელი საშინელება, – განაგრძო მილედიმ ისეთი მღელვარებით, თითქოს ამ თხრობის დროსაც განიცდიდა იმავე შიშს და უიმედობას, – დიახ, ის იყო აუტანელი საშინელება, რომ შეგნებული მქონდა ის განსაცდელი, რომელსაც მიმზადებდნენ, ის იყო აუტანელი საშინელება, რომ სული ფხიზლობდა, როდესაც მიძინებული ვიყავი ხორციელად, ის იყო აუტანელი საშინელება, რომ ვხედავდი და ვისმენდი, მართალია, ისე მეჩვენებოდა ყოველივე, თითქოს სიზმარი ყოფილიყოს, მაგრამ საზიზღარი სიზმრის ას-რულების მოლოდინი უფრო საზარელი იყო, ვიდრე თვით სიზმარი.

დავინახე, როგორ ავიდა ზემოთ სანათი და დაბნელდა ოთახი. მერე უკვე ნაცნობი კარების გაღების და მიხურვის ხმა გავიგონე. თუმცა ორჯერ მქონდა მოსმენილი ამ კარის ჭრიალი.

ალღოთი ვიგრძენი, ვიღაცა მიახლოვდებოდა. ამბობენ, ამერიკის უდაბნოში გზააბნეული უბედური მოხეტიალე ასევე გრძნობს გველის მოახლოებასო. მინდოდა ძალა მომეკრიბა, დამეყვირა, წარმოუდგენელი მხნეობის დახმარებით ფეხზედაც კი წამოვდექი, მაგრამ მაშინვე დავბარბაცდი... და ჩემი მტარვალის ხელში ჩავვარდი.

– მითხარით, ვინ არის ეგ თქვენი მტარვალი?! – შეჰყვირა ყმაწვილმა კაცმა.

ერთი თვალის გადავლებით დაინახა მილედიმ, რა მწუხარებით ისმენდა ფელტონი მის ნაამბობს, ხედავდა, როგორ ტანჯავდა ყოველივე წვრილმანის ასე ხაზგასმით გადმოცემა, მაგრამ მილედის ფიქრადაც არ მოსდიოდა მისი შებრალება. რამდენადაც ღრმად შეეხებოდა მის გულის სიმებს, უფრო მეტად იქნებოდა დარწმუნებული, რომ აასრულებინებდა თავის განზრახვას. ამიტომ მილედიმ ისე განაგრძო მოყოლა, თითქოს არც კი გაეგონა ფელტონის ყვირილი, ან იქნებ იმიტომაც მოიქცა ასე, რომ იფიქრა, ჯერ არ მოსულა დრო ამის გამჟღავნებისაო.

– მაგრამ იმ შერცხვენილს უსულო გვამივით მიძინებულ ქალთან არ ჰქონდა საქმე. ვგრძნობდი, რა განსაცდელში ვიმყოფებოდი, და მთელი ჩემი ძალ-ღონით ვებრძოდი. ძალიან მისუსტებული ვიყავი, მაგრამ ეტყობა, დიდ წინააღმდეგობას ვუწევდი, რადგან კარგად გავიგონე მისი წამოძახილი.

– ეს უბედური პურიტანები! ის კი ვიცოდი, თუ როგორ უწყვეტენ ქანცს თავიანთ ჯალათებს, მაგრამ იმას ვერ წარმოვიდგენდი, რომ საყვარლებსაც ასე გაუძალიანდებოდნენ.

უბედურება ის იყო, რომ დიდხანს ვერ გასტანდა ეს სასოწარკვეთილი წინააღმდეგობა. ვგრძნობდი, ნელ-ნელა მელეოდა ძალა და ბოლოს გული წამივიდა.

ფელტონი მთელი ყურადღებით უსმენდა. თქმით არას ამბობდა, მაგრამ ვეღარ იმაგრებდა აღშფოთებას და ყრუდ ბრდღვინავდა, შუბლიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და გულში ხელს იცემდა.

– პირველად ჩემი მოძრაობა, გონზე მოსვლის შემდეგ, ის იყო, რომ დანის საპოვნელად ბალიშის ქვეშ ხელი შევყავი. თავის დასაცავად ვერ გამოვიყენე, მაგრამ მოსანანიებლად მაინც გამოვიყენებდი.

მაგრამ ხელში რომ ავიღე დანა, ფელტონ, საზარელმა ფიქრმა გამიელვა უცბად გონებაში. დავიფიცე, რომ სულ ყველაფერს გეტყოდით, და, აი, ყველაფერს გეუბნებით, სრულ სიმართლეს დაგპირდით და სიმართლეს გეტყვით, რადაც უნდა დამიჯდეს.

– ფიქრმა გაგიელვათ გონებაში, რომ იმ კაცის ჯავრი ამოგეყარათ, არა? – შეჰყვირა ფელტონმა.

– დიახ, დიახ! ეს ფიქრი არ შეეფერებოდა ნამდვილ ქრისტიანს, ეს კარგად ვიცი, მაგრამ რას ვიზამდი? დაუდგრომელი მუდმივი მტერი ჩვენი სულისა ჩასძახოდა ჩემს გონებას, ჯავრი ამოიყარეო. ბოლოს რაღას გეტყვით, ჩემო ფელტონ? – განაგრძო მილედიმ იმ ქალის მონანიებით, რომელიც შემცოდედ აღიარებს თავის თავს. – დამიმორჩილა ამ ფიქრმა და მას აქეთ არ მშორდება. ჰოდა, სწორედ ამ ფიქრისათვის, კაცის მოკვლის განზრახვის გამო მხედავთ აქ მე დღეს დასასჯელად მოყვანილს.

– განაგრძეთ! განაგრძეთ! – უთხრა ფელტონმა, – მინდა, ჩქარა მიხვიდეთ ჯავრის ამოყრამდე.

– ჰო, გადაწყვეტილი მქონდა, რაც შეიძლება მალე ამესრულებინა ჩემი წადილი, დარწმუნებული ვიყავი, ღამით კიდევ მობრძანდებოდა, დღისით კი შიში არაფრისა მქონდა. ამიტომ საუზმის დროს უშიშრად ვიგემე საჭმელ-სასმელი. ღამით კი, როდესაც ვახშამს მომართმევდნენ ხოლმე, მინდოდა ისე მეჩვენებინა თავი, ვითომ გემრიელად შევექცეოდი და პირში კი არაფერს ვიდებდი. მხოლოდ საუზმის დროს ერთი ჭიქა წყალი გადავირჩინე და დავმალე, რადგან წყურვილი ძალიან მაწუხებდა.

გავიდა ის დღეც, მეშინოდა და ვცდილობდი, ჩემი სახის გამომეტყველებას არ გაეცა ჩემი გულის წადილი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ თვალს არ მაშორებდა უჩინარი ჯაშუში. რამდენჯერმე ღიმილიც კი მომადგა ტუჩებზე, მაგრამ, ფელტონ, ვერ გავბედავ გითხრათ ამის მიზეზი, რადგან, ალბათ, მართლა შეგეზიზღებოდით, ეს რომ გაიგოთ...

– განაგრძეთ, განაგრძეთ, – ეხვეწებოდა ფელტონი, – ხომ ხედავთ, როგორ გისმენთ და როგორ ველი დასასრულს...

– დაღამდა. ჩვეულებისამებრ დაბნელდა ოთახი. მომართვეს ვახშამი, რის შემდეგაც ისევ გაანათეს და მეც სუფრას მივუჯექი.

მხოლოდ ცოტა ხილი შევჭამე, მერე გრაფინი ავიღე, ვითომ წყალი დავისხი, მაგრამ ის წყალი დავლიე, რომელიც დილით შევინახე ჩემს სასმისში, ეს ისე მარჯვედ მოვახერხე, რომ თუ მართლაც მყავდა ჯაშუში, ვერაფერს შეამჩნევდა.

ვახშამი რომ გავათავე, იგივე ნიშნები გამოვიჩინე გაბრუების, რაც წინაღამეს მქონდა, მხოლოდ ვცდილობდი იმ ღამეს ისე მეჩვენებინა თავი, თითქოს ისე ვიყავი დაქანცული, რომ ფეხზე ვეღარ ვდგებოდი, ვურიგდებოდი ჩემს განსაცდელს, ლოგინამდე მივჩოჩდი, კაბა გავიხადე და დავწექი.

ახლა კი მაშინვე ვიპოვე ბალიშის ქვეშ ჩემი დანა. თავი მოვიმძინარე და ხელში მაგრად მეჭირა შურისძიების იარაღი.

ორი საათი გავიდა. ახალი არაფერი მომხდარა და ღმერთო შემინდე! რას წარმოვიდგენდი ამას წინა ღამეს, – შიში მომერია, ვაითუ არ მოვიდეს-მეთქი.

ბოლოს ნელ-ნელა ზევით აიწია სანათმა, მიიმალა სადღაც ზემოთ, ჭერის სიმაღლეში. ოთახს სრული წყვდიადი მოედო, მაგრამ მე ჩემსას არ ვიშლიდი და თვალითა ვჭრიდი იმ სიბნელეს.

გავიდა დახლოებით ათი წუთი. ჩემს ირგვლივ ჩემი გულის ძგერის მეტი არაფერი ისმოდა. ზეცას ვევედრებოდი, რომ მალე მოსულიყო. ბოლოს კარის ჭრიალის ნაცნობი ხმა გავიგონე, თუმცა სქელი ხალიჩა ეგო იტაკზე, მაგრამ მაინც ვიცანი ფეხის ხმა, რომელიც იატაკის ფიცარს ახმაურებდა. ჩემმა თვალმა,

მიუხედავად ამ წყვდიადისა, მაინც გაარჩია რაღაც აჩრდილი, რომელიც ჩემი ლოგინისკენ მოიწევდა.

– ჩქარა თქვით, ჩქარა! – სთხოვა ფელტონმა, – განა ვერა ხედავთ, რომ დამდნარ ტყვიასავითა მწვავს ყოველი თქვენი სიტყვა?

– მაშინ მოვიკრიბე რაც ძალი და ღონე მქონდა, გავიხსენე, რომ უკვე დაჰკრა შურისძიების ჟამმა, მეორე ივდითად წარმოვიდგინე ჩემი თავი, მაგრად ჩავჭიდე დანას ხელი და როდესაც ახლოს მომადგა და ხელები გაშალა, რათა თავისი მსხვერპლი ენახა, ერთი შევწივლე და შიგ გულში ჩავკარ დანა.

არამზადა! ამ შემთხვევისთვისაც მზად ყოფილა: აბჯრით ჰქონდა გული დაფარული, დანის პირი დამიჩლუნგა.

– მაშ, არ გიყვარვართ, – მითხრა მან, – მე ცოტა იმედი მქონდა ჩემი თავმოყვარეობის გამო, ახლა კი დარწმუნებული ვარ და ხვალ თავისუფალი იქნებით.

მე სულ იმას ვნატრობდი, ნეტავი მომკლას-მეთქი.

– ფრთხილად იყავით, – ვუთხარი მოურიდებლივ, – იცოდეთ, ჩემი თავისუფლება თქვენი შერცხვენა იქნება. დიახ, რადგან, როგორც კი გავალ აქედან, ყველაფერს ვიტყვი, რა ძალმომრეობა იხმარეთ ჩემზე. ვიტყვი, რომ დამაპატიმრეთ, საქვეყნოდ გავხდი ამ ავკაცობის სასახლეს. ძალიან მაღალ წრეებში ბრძანდებით, მილორდ, მაგრამ გეშინოდეთ, თქვენს ზევით მეფე ბრძანდება და მეფის ზევით – გულთამხილავი ღმერთი.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე თავის შეკავება კარგად შეეძლო ჩემს მტარვალს, აქ ვეღარ დაფარა თავისი აღელვება, მის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ მისი ხელის თრთოლას კარგად ვგრძნობდი, რადგან ხელი ჩემს ხელზე ედო.

– თუ ასეა, მაშ, აქედანაც ვეღარ გახვალთ, – მითხრა გადაჭრით.

– კარგით, კარგით! – შევყვირე გაბედულად, – დაე, ეს ჩემი საწამებელი ადგილი ჩემსავე აკლდამად გადაიქცეს! ძალიან კარგი! აქ დავლევ სულს და ნახავთ: ცოცხალ შურისმგებელთან შედარებით, რამდენად უფრო საზარელია ბრალმდებელი მოჩვენება.

– იარაღი ხომ არ გექნებათ?

– არის ერთგვარი იარაღი, რომელსაც სასოწარკვეთილება აძლევს ყველას, ვისაც კი შეუძლია იმ იარაღის ხმარება, – შიმშილით მოკვდები.

– ეჰ, კარგით ერთი! – მომმართა იმ არამზადამ. – დაზავება არა ჯობია ამგვარ ომსა და ბრძოლას? აი, ახლავე მოგცემთ თავისუფლებას, სათნოების განსახიერებად გამოგაცხადებთ, ინგლისის ლუკრეციას სახელს შეგძენთ...

– მე კი იმას ვიტყვი, რომ სექსტი ხართ, დაგაბეზღებთ ადამიანთა წინაშე, როგორადაც დაგაბეზღეთ ღვთის წინაშე, და თუ საჭირო იქნება, რომ ლუკრეციასავით ჩემი სისხლით მოვაწერო ხელი ამ ბრალდებას, არც მაგას შევუშინდები.

– ჰოო? – წამოიძახა დაცინვით ჩემმა მტერმა, – ეგ სულ სხვა საქმეა. ბოლოს და ბოლოს, მგონი, აქაც ძალიან კარგად იქნებით, ყველაფერი გექნებათ, და თუ შიმშილით მოკვდებით, სხვას ნურავის დააბრალებთ, თქვენი ბრალი იქნება.

ესა თქვა და გაბრძანდა, კარის გაღებისა და მიხურვის ხმა გავიგონე. მწუხარების უფსკრულში ვიყავი, იმდენად მწუხარებაში არა, რამდენადაც სირცხვილის უფსკრულში, რომ ჯავრი ვერ ამოვიყარე.

თქვა და აასრულა კიდეც თავისი სიტყვა, ისე გავიდა მთელი დღე და მერე ღამე, რომ აღარ მინახავს, მეც შევასრულე ჩემი სიტყვა: აღარც ვჭამდი და აღარცა ვსვამდი. გადაწყვეტილი მქონდა, როგორც ვუთხარი, შიმშილით მომეკლა თავი.

ლოცვით გავატარე ის დღე და ღამე, რადგან იმედი მქონდა, შემინდობდა ყოვლადძლიერი ფიქრს თავის მოკვლაზე.

მეორე ღამეს გააღეს კარი, ძალმიხდილი და მისუსტებული ძირს ვეგდე, იატაკზე. კარის ხმა რომ გავიგონე, ცალ ხელზე წამოვიწიე.

– ჰა, როგორა ხართ? – მომმართა ერთმა ხმამ, რომელიც ისე საშინლად ისმოდა ჩემს ყურში, რომ შეუძლებელი იყო არ მეცნო ჩემი მტარვალი, – ჰა, როგორა ხართ? ცოტა მაინც მოგილბათ გული? თანახმა ხართ თუ არა დუმილი აღვუთქვათ და ამით ვიყიდოთ ჩვენი თავისუფლება? კარგით, კმარა! ლმობიერი კაცი ვარ, და თუმცა არ მიყვარს პურიტანები, მაინც სამართლინად ვექცევი მათ ქალებს, თუ ლამაზები არიან. მაშ, ასე: მაგ პატარა ჯვარზე შემომფიცეთ, რომ არას იტყვით, და სხვა არა მინდა რა თქვენი.

– ჯვარზე შემოგფიცოთ? – შევუტიე გაბრაზებულმა და ზეზე წამოვვარდი, რადგან მისმა საზიზღარმა ხმამ კვლავ დამიბრუნა მთელი ჩემი ძალა და ღონე, – იცოდეთ, ვერ გამაჩუმებს ვერც თქვენი დაპირება, ვერც თქვენი მუქარა, ვერც თქვენი წამება! ჯვარზე შემოგფიცოთ? ამ ჯვარსა ვფიცავ, ყველგან დაგაბეზღებთ, როგორც კაცისმკვლელს, როგორც პატიოსნების მძარცველს, როგორც მხდალს, ლაჩარს! ჯვარზე შემოგფიცოთ? აი, გეფიცებით, თუ მეღირსა როდისმე აქედან გასვლა, მთელ კაცობრიობას მივმართავ თქვენს შესარცხვენად და ჯავრის ამოსაყრელად.

– ნურც ასე მედგრად დამიხვდებით, ქალბატონო, – მიპასუხა მუქარით სავსე ხმამ, როგორიც ჯერ არ გამეგონა, – ერთი უკიდურესი საშუალება მაქვს, რომელსაც მარტო მაშინ მივმართავ, როდესაც სხვაფრივ ვერ დაგიყოლიებთ, და იცოდეთ, ფრთხილად, თორემ მთლად ჩაგაკმენდინებთ ხმას! ან არადა ისე გაგიხდით საქმეს, რომ ერთი სიტყვა არავინ დაიჯეროს თქვენი ნათქვამი.

მოვიკრიბე რაც ძალა მომეპოვებოდა და სიცილით ვუპასუხე იმის მუქარას. ხედავდა, რომ ამიერიდან სამუდამოდ მტრობა და ბრძოლაღა დარჩენილიყო ჩვენ შორის, გაშმაგებული ბრძოლა.

– გესმით? გაძლევთ ამაღამდელ და ხვალინდელ ღამეს, დაფიქრდით, დამპირდით, რომ ჩუმად იქნებით, და სიმდიდრე, ქვეყნის პატივისცემა, დიდება გელით, ხოლო თუ არ დაიშლით მაგ მუქარას, – საუკუნო შერცხვენა, სახელის გატეხა!

– რაო? რაო? – შევყვირე გაშმაგებულმა, – თქვენვე მემუქრებით?

– დიახ, საუკუნო წარუშლელი შერცხვენით და სახელის გატეხით.

– კიდეც მემუქრებით?!

– ფელტონ, მეგონა, გაგიუდა-მეთქი ის თავლაფდასხმული!

– დიახ, და ავასრულებ კიდეც!

– ეჰ! თავი დამანებეთ, გადით აქედან, გადით, თუ არ გინდათ, რომ თქვენი თანდასწრებით ვახალო თავი ამ კედელს.

– მაშ, ასე? ასე განებავთ? კარგი! ხვალ საღამომდე!

– ხვალ საღამომდე! – დავუძახე პასუხად, ძირს დავეცი და ხელს ვიკბენდი გაცოფებული.

ფელტონი სავარძელს დაყრდნობოდა, მილედი ავი სულივით სიხარულით ხედავდა, რომ იქნება მოთხრობის ბოლომდე არც კი შერჩენოდა ძალა მის მსმენელს.

XXVII

კლასიკური ტრაგედიის ნაცადი ხერხი

ერთ წუთს გაჩუმებული იდგა მილედი, თვალი გაეშტერებინა ყმაწვილი ოფიცრისათვის, რომელიც სუნთქვაშეწყვეტით ისმენდა მის მოთხრობას, მერე ისევ განაგრძო:

– სამი დღე სრულდებოდა, რაც უჭმელ-უსმელი ვიყავი და საშინელ ტანჯვას განვიცდიდი, გაგიჟებულს ვგავდი, ხან რა მელანდებოდა, ხან რა. რაღაცას ვბოდავდი.

დაღამდა. ისე ვიყავი მისუსტებული, რომ წამდაუწუმ გული მიმდიოდა, წამივიდოდა გული და მადლობას ვწირავდი ღმერთს, რადგან მეგონა, სიკვდილი დამეპატრონებოდა.

ერთხელ ასე გულწასული ვეგდე, რომ კარის ხმა მომესმა. შიშმა მომასულიერა.

შემოვიდა ჩემი ჯალათი, თან ვიღაც კაცი შემოიყვანა ნიღბიანი. თვითონაც ნიღაბი ჩამოეფარებინა, მაგრამ ფეხის ხმა ვიცანი, მერე მისი ხმა, მისი მედიდური იერი, რომელიც ჯოჯოხეთს მიენიჭებინა ადამიანთა საუბედუროდ.

– ჰა, აბა, რას გვიბრძანებთ? თანახმა ხართ, მომცეთ ის ფიცი, მე რომ გთხოვეთ?

– აკი თვითონვე თქვით, პურიტანს ერთი სიტყვა აქვსო. ჩემი სიტყვა უკვე მოისმინეთ: სააქაოს – თქვენი მხილება ადამიანთა წინაშე, საიქიოს – ღვთის წინაშე.

– მაშ, ეგ არის თქვენი უკანასკნელი სიტყვა?

– აი, ვფიცავ ღვთის წინაშე, რომელსაც ესმის ჩემი, მთელ ქვეყანას გავუმჟღავნებ თქვენს ავკაცობას და იმდენს ვეცდები, რომ ვიპოვო ვინმე, ჩემი ჯავრის ამომყრელი.

– როსკიპი ხართ! – დამიყვირა საზარლად, – და როსკიპის სასჯელსაც მიიღებთ! შერცხვენილი იქნებით, დაღდაკრული, იმ ადამინთა წინაშე, რომლებთანაც საჩივლელად მიბრძანდებით და მაშინ სცადეთ დაუმტკიცოთ ქვეყანას, რომ არც დამნაშავე ხართ და არც შეშლილი!

მერე იმ კაცს მიუბრუნდა, თან რომ შემოიყვანა: – ჯალათო! აბა, ახლა შენ იცი!

– ოჰ, სახელი მითხარით მისი, სახელი! – შეჰყვირა ფელტონმა, – მითხარით, ვინ არის ის სულწაწყმედილი?

– ბევრი ვიყვირე, ბევრი ვიბრძოლე, რადგან ვგრძნობდი, რომ რაღაცას მიპირებდნენ, სიკვდილზე უარესს, მაგრამ რას გავხდებოდი ერთი უბედური, მისუსტებული ქალი? ხელი მტაცა ჯალათმა, წამაქცია იატაკზე. მწარედ ვქვითინებდი ძალამიხდილი, გული მიწუხდებოდა, ღმერთს ვევედრებოდი, რომელსაც აღარ ესმოდა ჩემი. და უცებ საზარელი კივილი ამომხდა, კივილი ტკივილისა და სირცხვილისა: ჯალათმა გავარვარებული რკინა მხარზე დამადო! დაღი დამასვეს მხარზე.

მხეცური ღმუილი აღმოხდა ფელტონს.

– აი, ნახეთ, – უთხრა მილედიმ და დედოფლის დიდებულებით წამოდგა ფეხზე, – ნახეთ, ფელტონ, უყურეთ, როგორი წამება მიაყენეს უბედურ, წმინდანივით უმწიკვლო ქალს, ვიღაც ავსულის მიერ შეგინებულს და შერცხვენილს. აი, გაიცანით, ნახეთ, რა ყოფილა ადამიანის გული და ამიერიდან ნურც ადვილად დაეხმარებით ავკაცს, როდესაც მართლის ტანჯვას ცდილობს.

სწრაფად გაიხსნა მილედიმ კაბა, გადაიხია მაქმანი, რომელიც გულმკერდს უფარავდა, და თვალთმაქცური გაშმაგებით და მორცხვობით გაწითლებულმა, ყმაწვილ კაცს წარუშლელი დაღი აჩვენა, რომელიც საშინლად ბღალავდა მის მშვენიერ მხარს.

– მერე, მანდ რომ შროშანა არის? – შეჰყვირა ფელტონმა.

– სწორედ მანდ გამოჩნდა ჩემი მტარვალის ავკაცობა! – მიუგო მილედიმ, –ინგლისური დაღი რომ დაეკრათ, უნდა დაემტკიცებინათ კიდეც, რომელმა სასამართლომ მომისაჯა ეს სასჯელი. მე კი მთელ ინგლისს შევძრავდი, რომ სიმართლე დამემტკიცებინა, მაგრამ საფრანგეთის დაღი დამადეს, რათა დაიმედებულნი ყოფილიყვნენ, რომ ვერაფერს გავხდებოდი და სამუდამოდ ასე დავრჩებოდი.

ეს კი მეტისმეტი იყო ყმაწვილი კაცისათვის.

ფელტონს მკვდრისფერი დასდებოდა. აღშფოთებული ისმენდა ამ საშინელ მოთხრობას, თვალებს ჭრიდა ქალის საკვირველი მშვენიერება. მან ვეღარ გაუძლო ცთუნებას, მუხლი მოიყარა, როგორც პირვანდელი ქრისტიანები იყრიდნენ მუხლს უბიწო და წმინდა წამებულთა წინაშე. ფელტონისათვის არ არსებობდა დაღი, იგი მარტო სილამაზეს შესტრფოდა.

– შემინდეთ, მაპატიეთ! – შეჰყვირა მან, – ოოჰ! მაპატიეთ! – ერთადერთი, რაც მილედიმ მის თვალებში ამოიკითხა, ეს იყო სიყვარული.

– რა უნდა გაპატიოთ?

– მაპატიეთ, რომ მეც თქვენს მტანჯველებს ვეხმარებოდი.

მილედიმ ხელი გაუწოდა.

– ასე მშვენიერი, ასე ნორჩი! – შეჰყვირა ფელტონმა და ხარბად დაეწაფა მილედის ხელს.

ერთხელ კიდევ გადახედა მილედიმ, გადახედა ისეთი თვალით, რომელიც მეფესაც კი მონად ხდის.

ფელტონი პურიტანი იყო. ამიტომ იგი, მათი წესისამებრ, ხელებს მოეშვა და ფეხებზე ემთხვია. უყვარდა ეს ქალი, თაყვანსა სცემდა და აღმერთებდა.

– ახლა მხოლოდ ერთი თხოვნა დამრჩა, – უთხრა ფელტონმა, – დაასახელეთ თქვენი ჯალათი!

– როგორ, ძმაო? – გაიკვირვა მილედიმ, – განა ეგეც მე უნდა გითხრა? ნუთუ შენ თვითონ ვერ მიხვდი?..

– როგორ?.. ის იყო? კიდევ ის?.. ყოველთვის ის? – როგორ, მაშ, ის არის ნამდვილი დამნაშავე?

– ნამდვილი დამნაშავე, – უპასუხა მილედიმ. – ინგლისის გამანადგურებელი მტარვალი, მართლმორწმუნეების მდევნელი, შემრცხვენი მრავალი ქალის სახელისა, სწორედ ის, ვინც თავისი გარყვნილი ჟინის მოსაკლავად სისხლს ანთხევინებს ინგლისს. ის, ვინც დღეს შემწეობას იჩენს პროტესტანტების მიმართ და ხვალ კი უღალატებს და დაღუპავს...

– ბუკინგამი! მაშ, ბუკინგამია! – შეჰყვირა მძვინვარებით ფელტონმა.

მილედიმ ხელები აიფარა პირისახეზე, თითქოს ცდილობდა დაემალა იმ სახელის გახსენებით აღძრული სირცხვილი.

– მაშ, ბუკინგამი ყოფილა ჯალათი ამ ანგელოზი ქმნილებისა! – შეჰყვირა ფელტონმა, – ღმერთო ძლიერო! როგორ მაშინვე არ განგმირე მეხით, როგორ დატოვე იგი ჩვენდა დასაღუპავად, დიდებულად, პატივცემულად და ძალოვანად?!

– ღმერთი არ შველის მას, ვინც თავისთვის არ ზრუნავს, – უთხრა მილედიმ.

– მაშ, ის სასჯელი უნდა მიიზღოს, რითაც დაწყევლილნი ისჯებიან? – განაგრძო ფელტონმა უფრო და უფრო აღგზნებული გაშმაგებით, – ნუთუ იმას ცდილობს, რომ ადამიანმა უფრო ადრე მიუზღოს სასჯელი, ვიდრე თვით ღმერთმა?

– ადამიანებს ეშინიათ მისი და იფარავენ.

– ოჰ, მე მისი არ მეშინია და არც დავიფარავ!..

იგრძნო მილედიმ, რომ ჯოჯოხეთის სიხარულის ზღვაში ნეტარებდა მისი სული.

– ვერ გამიგია, – მიმართა ფელტონმა, – როგორ ჩაერია ამაში ლორდი უინტერი, ჩემი მფარველი, ჩემი მამა?

– მისმინეთ, ფელტონ, – წამოიწყო ხელახლა მილედიმ, – ქვეყანაზე მხდალი და საზიზღარი ადამიანების გვერდით, ყოველთვის არიან კეთილი და პატიოსანი ადამიანები. მე მყავდა საქმრო, კაცი, რომელსაც ვუყვარდი და მეც მიყვარდა. მას სწორედ ისეთივე გული ჰქონდა, როგორც თქვენ, ფელტონ! მივედი ჩემს დანიშნულთან და ვუამბე ჩემი უბედურება. კარგად მიცნობდა და ერთი წუთით არ შეჰპარვია ეჭვი. იგი დიდებული გვარის შთამომავალი იყო და არაფრით ჩამოუვარდებოდა ბუკინგამს. მან არაფერი მითხრა, მხოლოდ ხმალი შემოიკრა, წამოსასხამში გაეხვია და ბუკინგამის სასახლისაკენ წავიდა.

– ოჰ, დიახ! – წამოიძახა ფელტონმა, – ასეც უნდა ყოფილიყო, თუმცა ბუკინგამისთანა მხეცთან ხმლით კი არა, ხანჯლით უნდა მივიდეს კაცი.

– ბუკინგამი წინადღით ელჩად გამგზავრებულიყო ესპანეთში, რომ ინფანტის ხელი ეთხოვა მეფე კარლოს პირველისათვის, მეფე კარლოსი მაშინ ჯერ ისევ გალიის პრინცი იყო. ჩემი დანიშნული დაბრუნდა. – მისმინე, – მითხრა მან: – ბუკინგამი წასულა და ამჟამად გაექცა შურისძიებას, მაგრამ მოვითმინოთ, სულ იქ ხომ არ დარჩება, დაბრუნდება, მანამდე კი ჩვენ შევერთდეთ, ლორდ უინტერს მიანდვეთ თავისი სახელის და თავისი მეუღლის პატიოსნების დაცვა...

– ლორდ უინტერს? – შეჰყვირა ფელტონმა.

– დიახ, – უპასუხა მილედიმ, – ლორდ უინტერს. და ახლა, მგონი, ადვილად მიხვდებით ყველაფერს. ბუკინგამმა ერთი წელიწადი გაატარა ესპანეთში. მის დაბრუნებამდე რვა დღით ადრე უეცრად გარდაიცვალა ლორდი უინტერი და მე დამტოვა თავის ერთადერთ მემკვიდრედ. რა დაემართა ლორდ უინტერს? რამ მოუღო ბოლო ისე მოულოდნელად? ყოველივე ეს იცის ღმერთმა, მე კი... არავის ვაბრალებ...

– ოჰ, ბოროტების რა საშინელი უფსკრულია, – ამოიკვნესა ფელტონმა.

– ისე განუტევა სული ლორდმა უინტერმა, რომ ვერაფერი უთხრა თავის ძმას. საშინელი იყო ეს საიდუმლოება და დამალული უნდა ყოფილიყო ყველასათვის, ვიდრე იგი მეხივით არ დაატყდებოდა დამნაშავეს. თქვენმა მამობილმა ძალიან იწყინა თავისი უფროსი ძმის უმზითვო ქალზე დაქორწინება. ვგრძნობდი, რომ არავითარი იმედი არ უნდა მქონოდა იმ კაცის დახმარებისა, ვისაც მემკვიდრეობის იმედი გაუცრუვდა. მე საფრანგეთში გადავსახლდი. გადაწყვეტილი მქონდა, იქ გამეტარებინა დანარჩენი ჩემი სიცოცხლე, მაგრამ მთელი ჩემი ქონება, როგორც მოგეხსენებათ, ინგლისში არის. ომის გამო ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეწყვეტილია მიმოსვლა. ამ მდგომარეობამ წამართვა საარსებო საშუალება და იძულებული გავხდი, დავბრუნებულიყავი. ამ ექვსი დღის წინ მოვედი პორტსმუტში.

– მერე? – ჰკითხა ფელტონმა.

– მერე? ალბათ ბუკინგამმა გაიგო ჩემი მოსვლა და მოელაპარაკა ჩემს შესახებ ლორდ უინტერს, რომელიც წინათაც ავი თვალით მიყურებდა. უთხრა, რომ უნამუსო ქალი იყო მისი რძალი, დაღით შერცხვენილი. ჩემი საწყალი ქმრის დიდებული წმინდა ხმა ვეღარ დამეხმარებოდა. მაზლმა ჭეშმარიტებად მიიღო მისი ნათქვამი, მით უფრო, რომ მისთვის სასარგებლო იყო ამ ამბის დაჯერება. მან ბრძანება გასცა, დავეპატიმრებინე, და აქ დამამწყვდიეს, თქვენ კი ჩემი ციხის მცველად დაგნიშნეს. დანარჩენი თქვენც კარგად იცით, ზეგ გადასახლებას მიპირებს, როგორც ბოროტმოქმედს და ამ საბაბით უნდა გამდევნოს. ოჰ, გარწმუნებთ! მშვენივრად არის მოწყობილი ეს ვერაგობა! ისე ხელოვნურად არის აგებული ყველა ხლართი, რომ ვეღარ გადაურჩება მას ვეღარც ჩემი სიცოცხლე და ვეღარც ჩემი პატიოსანი სახელი! ახლა ხომ ხედავთ, ფელტონ, რომ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია, შემიბრალეთ, ფელტონ, მომეცით დანა.

ამ სიტყვებს ქალმა თითქოს თან ამოაყოლა მთელი თავისი ძალ-ღონე: გრძნობამიხდილივით დაეშვა ახალგაზრდა ოფიცრის გულმკერდზე. სიყვარულით გაგიჟებულმა, განუცდელი ვნებით აღგზნებულმა და ბრაზით აღშფოთებულმა ფელტონმა ქალს აღტაცებით მოხვია ხელები და მაგრად ჩაიკრა გულში. ახალგაზრდა ოფიცერი ააკანკალა მშვენიერი ბაგის სუნთქვამ და ქალის ათრთოლებული გულმკერდის შეხებამ.

– არა! არა! – უთხრა ფელტონმა, – შენ უნდა იცოცხლო, რომ დაამარცხო მტრები და აღიდგინო სახელი და პატიოსნება.

მილედიმ ხელით მოიშორა ყმაწვილი კაცი, თვალები კი ისევ თავისკენ იზიდავდნენ, მაგრამ ახლა თვითონ ფელტონი მოეხვია და ვედრება დაუწყო, როგორც ღვთაებას.

– ოჰ, სიკვდილი მირჩევნია, სიკვდილი! – ამბობდა მილედი შეწუხებულის ხმით და სასოწარკვეთილის თვალებით, – ოჰ, სირცხვილს სიკვდილი მირჩევნია! დანა, ფელტონ! დანა, ჩემო ძმაო, ჩემო მეგობარო!

– არა! – შეჰყვირა ფელტონმა, – შენ იცოცხლებ, დამშვიდებული იყავი, მე ამოვიყრი შენი მტრების ჯავრს.

– ფელტონ, მე უბედურებას ვწევ ყველას, ვინც კი გარს მახვევია. თავი დამანებე, ფელტონ! ნუ მიშლი სიკვდილს!

– მაშ, ერთად დავიხოცოთ, – უპასუხა ყმაწვილმა კაცმა და მილედის ბაგეს დაეკონა.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ამჯერად მართლა მოიშორა მილედიმ ფელტონი და ძალიან სწრაფადაც.

– მგონი, ყურს გვიგდებდნენ, – უთხრა შეშინებულმა ქალმა, – აგერ, მოდიან, ახლა კი დავიღუპეთ!

– არა, – დაამშვიდა ფელტონმა, – გუშაგია, მაცნობებს, რომ გუშაგების შესამოწმებლად მოდიან.

– მაშ, მიდით კართან და თქვენ თვითონვე გაუღეთ, – ფელტონი დაემორჩილა. ქალი უკვე დაეუფლა მთელ მის გონებას და მთელ მის სულს. ფელტონმა კარი გააღო. მის პირისპირ აღმოჩნდა ათისთავი და ჯარისკაცი, რომელიც კარს დარაჯობდა.

– ჰა, რა მოხდა? – ჰკითხა ახალგაზრდა ოფიცერმა.

– წეღან მიბრძანეთ, კარი გამეღო, თუ ყვირილი შემომესმებოდა, – უთხრა ჯარისკაცმა, – გასაღების დატოვება კი დაგავიწყდათ. მე თქვენი ყვირილი გავიგონე, მინდოდა, კარი გამეღო, მაგრამ შიგნიდან იყო დაკეტილი და ამიტომ ათისთავს დავუძახე.

– მეც აქ გახლავართ, რომ გემსახუროთ, – მოახსენა ათისთავმა.

გაბრუებული იყო ფელტონი, ხმას ვერ იღებდა.

მაშინვე იგრძნო მილედიმ, რომ მას უნდა გამოეყვანა ამ მდგომარეობიდან. სწრაფად მივარდა მაგიდას, აიტაცა დანა, რომელიც ის იყო იქ დადო ფელტონმა, და შეჰკივლა:

– რა უფლებით მიკრძალავთ თავის მოკვლას?

– ვაი, გამიწყრა ღმერთი! – შეჰყვირა ფელტონმა მილედის ხელში დანის დანახვაზე.

ამ დროს დერეფანში გაისმა ვიღაცის მასხარადამგდები ხარხარი.

ბარონსაც გაეგონა ეს ხმაურობა. ხალათით შემოსილი, ხმლით ხელში მილედის ოთახისაკენ წამოსულიყო. იგი ზედ კარის ზღურბლზე იდგა.

– ოჰო! ჩვენი ტრაგედიის უკანასკნელ მოქმედებას ვთამაშობთ! – თქვა უინტერმა დაცინვით, – ხომ ხედავთ, ფელტონ, დრამამ განიცადა თავისი განვითარების ყოველი საფეხური, სწორედ ისე, როგორც მე გისახავდით. მაგრამ, ფიქრი ნუ გაქვთ, აქ სისხლი არ დაიღვრება.

იგრძნო მილედიმ, რომ დაიღუპებოდა, თუ დაუყოვნებლივ არ მისცემდა ფელტონს თავისი გულწრფელობის საბუთს.

– სცდებით, მილორდ, – მიმართა მან მაზლს, – აქ სისხლი დაიღვრება და პასუხისგება ამ სისხლისა მათ დაატყდეს, ვინც მაიძულებს ასეთ მოქმედებას.

ფელტონმა დაიყვირა და მილედის მივარდა, მაგრამ გვიანდა იყო, დანა დაეკრა ქალს.

საბედნიეროდ, უკეთ რომ ვთქვათ, მილედის მოხერხების წყალობით, დანა მოხვედროდა რკინის ფირფიტას, რომელიც იმ დროს ჩვეულებრივ აბჯარივით იცავდა ქალის გულმკერდს. ფირფიტაზე ჩამოცურებულიყო, დაეხია კაბა და ნეკნებშუა ხორცში შეცურებულიყო.

სისხლმა მაშინვე შეღება მილედის კაბა. თვითონ მილედი გულაღმა ეგდო და გულწასულს ჰგავდა. ფელტონმა დანა გამოსტაცა.

– აი, მილორდ, – მოახსენა მოღუშული სახით ყმაწვილმა ოფიცერმა, – მე მებარა ეს ქალი და თავი მოიკლა, ჩემდა საუბედუროდ.

– ნუ წუხხართ, ფელტონ, – უპასუხა ლორდმა, – არც თავი მოიკლა და არც მკვდარია. განა ადვილად მოკვდება ქაჯი? დამშვიდდი, ჩემო ფელტონ, წადით ჩემთან და იქ მომიცადეთ.

– მერე, ეს ქალი, მილორდ?..

– წადით! მე გიბრძანებთ!

ფელტონი დაემორჩილა თავისი უფროსის ბრძანებას, მაგრამ გასვლისას დანა გულთან ჩამალა.

რაც შეეხება ლორდ უინტერს, მან სასწრაფოდ მოაყვანინა მილედის მსახური დედაკაცი და ბრძანება მისცა, მოევლო დაჭრილისათვის, რომელიც ჯერ ისევ გულწასული იწვა. მაგრამ რადგანაც შეიძლებოდა, თავისი ეჭვების მიუხედავად, მართლაც, სახიფათო ყოფილიყო ჭრილობა, ამიტომ ლორდმა უინტერმა ექიმის მოსაყვანად მაშინვე ცხენით აფრინა კაცი.

XXVIII

გაპარვა

მართალი გამოდგა ლორდი უინტერი: საშიში არ აღმოჩნდა მილედის ჭრილობა. პატიმარმა როგორც კი იგრძნო, რომ მარტო დარჩა თავის მსახურ დედაკაცთან, რომელიც ცდილობდა, საჩქაროდ გაეხადა მისთვის ტანისამოსი, თვალი მაშინვე გაახილა, მხოლოდ საჭირო იყო მისუსტებულად და შეწუხებულად სჩვენებოდა, ეს კი არ გაუძნელდებოდა ისეთ დახელოვნებულ მსახიობს, როგორიც მილედი ბრძანდებოდა. საწყალ მსახურ ქალს ეგონა, მართლა ღონემიხდილ ქალთან ჰქონდა საქმე, ამიტომ მთელი ღამე მასთან დარჩა, თუმცა ძალიან ეხვეწებოდა მილედი, მარტო დამტოვეო.

ამ ქალის იქ ყოფნა სრულებით არ უშლიდა ხელს მილედის ფიქრებს.

მას უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ფელტონი დამარცხებული იყო. მილედის დასახსნელად ციდან ჩამოფრენილ ანგელოზსაც ეშმაკის მოციქულად მიიღებდა იგი, იმდენად იყო დარწმუნებული მის სიწმინდეში.

ამ ფიქრმა მილედის ბაგეს ღიმილი მოჰფინა. მაშ, ასე, ამიერიდან ფელტონი იყო მისი იმედი, ერთადერთი იარაღი თავისუფლების მოსაპოვებლად.

მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ლორდ უინტერს თვითონ ფელტონის ნდობაც დაჰკარგოდა და მისთვისაც მიეჩინა მზვერავი.

ღილის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ექიმი მოვიდა, ჭრილობა უკვე შეხორცებულიყო და ექიმმა ვერ შეძლო მისი სიღრმისა და მიმართულების

გასინჯვა. მან მხოლოდ მაჯის მიხედვით დაასკვნა, რომ ავადმყოფს არა უჭირდა რა, ჭრილობა საშიში არ იყო.

მეორე დილას მილედიმ ქალი დაითხოვა იმ საბაბით, რომ წუხელ მთელი ღამე არ ეძინა და ახლა მოსვენება უნდოდა. მას იმედი ჰქონდა საუზმის დროს ენახა ფელტონი, მაგრამ ამაოდ, ახალგაზრდა ოფიცერი არ ჩანდა.

ნუთუ მართალი გამოდგა იმისი შიში? ნუთუ ეჭვის თვალით უყურებს ფელტონს უინტერი და სწორედ ამ გადამწყვეტ წუთებში აღარ უშვებს თავის პატიმართან? ერთადერთი დღეღა რჩებოდა: ლორდმა საბოლოოდ გადაჭრით უთხრა, რომ ოცდასამში გაამგზავრებდა, იმ დღეს კი ოცდაორი იყო. მაინც არა კარგავდა იმედს, მოთმინებით ელოდა სადილობას.

დილით ხელი არაფერს დააკარა, მაგრამ სადილი მაინც თავის დროზე მოართვეს და განცვიფრებულმა მილედიმ მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ მისი მცველები სულ სხვა ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. მხოლოდ ახლა გაბედა ეკითხა გუშაგისათვის, თუ რა დაემართა ფელტონს. მას უპასუხეს, რომ ფელტონი ერთი საათია, რაც ცხენს მოახტა და წავიდაო.

შემდეგ ლორდი უინტერი იკითხა მილედიმ. ჯარისკაცმა უპასუხა, რომ ლორდი თავის ოთახშია და ნაბრძანები აქვს, დაუყოვნებლივ მოახსენონ, თუ პატიმარმა მისი ნახვა მოისურვა.

მილედიმ უპასუხა, რომ იგი მეტად მისუსტებული იყო, ამიტომ დასვენება და მარტოობა ესაჭიროებოდა.

ჯარისკაცი გავიდა და გაშლილი სუფრა დატოვა.

ფელტონი გადაკარგეს, მეზღვაური გუშაგები შეცვალეს... მაშ, უნდობლად უყურებს ფელტონს?

ეს იყო პატიმარზე მიტანილი უკანასკნელი დარტყმა.

მილედი წამოდგა. ცეცხლს უკიდებდა ლოგინი, რომელზედაც მარტო სიფრთხილის გამო იწვა, რათა მართლა მძიმედ დაჭრილი ჰგონებოდათ. თვალი გადაავლო თავისი ოთახის კარებს. კარების სარკმლისათვის, ლორდის ბრძანებით, ფიცარი აეკრათ, ალბათ, ეშინოდა, სარკმლით არ ესარგებლა მილედის და თავისი ეშმაკური მოხერხებით გუშაგიც არ მოესყიდა.

მილედის სიხარულისაგან გაეცინა. მაშ, ახლა გარედან ვეღარავინ უთვალთვალებდა და შეეძლო, თავისუფლად მისცემოდა თავის ფიქრებსა და გრძნობებს. გალიაში ჩამწყვდეული ძუ ვეფხვივით ბრდღვინავდა და ოთახის ერთი კუთხიდან მეორეს აწყდებოდა. თუმცა, დანა რომ ჰქონოდა, ახლა თავის მოკვლას კი აღარ იფიქრებდა, არამედ თავის მაზლს ჩასცემდა მახვილს.

ექვს საათზე მილედის ეწვია ლორდი უინტერი, იგი თავით ფეხებამდე იარაღში იჯდა. ეს კაცი აქამდე საკმაოდ მიამიტად მიაჩნდა მილედის, ახლა კი საპატიმროს საუცხოო ზემდეგი გამხდარიყო, საქმეს ისე განაგებდა, თითქოს წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული ყოველი მოსალოდნელი შემთხვევა.

უინტერმა ერთხელ გადახედა თავის რძალს და უკვე იცოდა, რას განიცდიდა მისი სული.

– იფიქრეთ, იფიქრეთ, – უთხრა მან მილედის, – ხომ ხედავთ, რომ დღესაც ვერ მომკლავთ, თქვენ იარაღი აღარა გაქვთ, გარდა ამისა, მეც ფრთხილად ვარ, მაშ, დაიწყეთ საწყალი ბიჭის ცთუნება, განიზრახეთ, ჩემი ფელტონის გაბრიყვება. უკვე განიცდიდა თქვენს ჯოჯოხეთურ გავლენას ის საწყალი, მაგრამ მე გადავარჩენ მას. მორჩა, თქვენ ფელტონს ვეღარ იხილავთ. ჩაალაგეთ ბარგი, ხვალ მიდიხართ, ამ თვის ოცდაოთხისათვის მინდოდა თქვენი გასტუმრება, მაგრამ გადავიფიქრე. რაც უფრო მალე გაგგზავნით, მით უფრო მეტად ვიქნები დარწმუნებული, რომ ნამდვილად მოგიშორეთ თავიდან. ხვალ შუაღამისას მომივა თქვენი გადასახლების ბრძანება, ბუკინგამის მიერ ხელმოწერილი. თუ გაბედეთ და გემზე ასვლამდე ერთი სიტყვა მაინც უთხარით

ვინმეს, იცოდეთ, იქვე მოგკლავთ ჩემი ათისთავი. შესაფერი ბრძანება ჯიბეში ედება. თუ გემზე ხმას გასცემთ ვინმეს კაპიტნის ნებადაურთველად, წყალში გადაგისვრიან, ამის ბრძანებაც ჯიბეში ედება კაპიტანს. მაშ, ნახვამდის! დღეს ეს მქონდა თქვენთვის სათქმელი, ხვალ კიდევ გნახავთ, რომ გამოგეთხოვოთ!

ლორდი გავიდა და კარი მოხურა.

სიცილით ისმენდა მილედი ამ მუქარით სავსე სიტყვებს, ზიზღი ესახებოდა სახეზე და გულში კი ცოფის ზღვა უღელავდა.

ვახშამი მოართვეს. მილედი გრძნობდა, რომ ძალ-ღონის გასამაგრებლად აუცილებელი იყო, ცოტა რამ შეეჭამა. ვინ იცის, რას მოიტანდა ეს ღამე, რომელიც მუქარით მოდიოდა. სქელი ღრუბელი მოჰფენოდა და შორეულ ჭექა-ქუხილს მოასწავებდა. ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც გაავდრდა. სანუგეშოდ ეჩვენა მილედის ბუნების ეს თანაგრძნობა. ისეთივე გაშმაგებით ბორგავდა ჰაერში ელვა, როგორც ბრაზი – მის გაშმაგებულ ფიქრებში. მას ეჩვენებოდა, თითქოს ეს გრიგალი შუბლზე თმას უწეწავდა, ისევე როგორც ხეებს, რომლებსაც ტოტებს ურხევდა და ფოთოლს აცლიდა. მილედიც ისე სასოწარკვეთით ღმუოდა, როგორც ეს გრიგალი.

უცბად ფანჯარაზე კაკუნი მოესმა. ელვამ გაანათა და ფანჯრის მოაჯირზე გარედან ვიღაც კაცის სახე დაინახა.

მილედი ფანჯარას მივარდა და გააღო.

– ფელტონ! – შეჰყვირა სიხრულით, – მაშ, გადავრჩი!

– დიახ, – მიუგო ფელტონმა, – მხოლოდ ჩუმად, ჩუმად! კარგა ხანს მოვუნდები ამის გადახერხვას. კარის სარკმელს მიაფარეთ რაიმე, რომ არ დაგვინახონ.

– ოჰ! ჩვენთან არის ღმერთი! – უთხრა მილედიმ – ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ სარკმელს თვითონვე დააკრეს ფიცარი.

– ძალიან კარგი! მათ გონებას უხშობს ღმერთი.

– მე ვერაფერში დაგეხმარებით? – ჰკითხა მილედიმ.

– ვერაფერში, მხოლოდ ფანჯარა მოხურეთ, დაწექით, მაგრამ ჩაცმული იყავით, როდესაც დავამთავრებ, მაშინვე დარაბაზე დაგიკაკუნებთ, მაგრამ შეძლებთ კი ჩემთან სიარულს?

– ოჰ! ნეტავი კი მალე მომიწევდეს.

– მერე, თქვენი ჭრილობა?

– მტკივა, მაწუხებს, მაგრამ სიარულს არ დამიშლის.

– მაშ, პირველსავე ნიშანზე მზად იყავით!

მილედიმ ფანჯარა მიხურა, სინათლე ჩააქრო და როგორც ფელტონმა ურჩია, ლოგინში ჩაწვა. თავისას არ იშლიდა ავდარი, მაგრამ მაინც ისმოდა ქლიბის ჭრიალი და ცაში ყოველ გაელვებაზე ფელტონის ჩრდილს ხედავდა მილედი.

ისე გაატარა მთელი საათი, თითქოს აღარც კი სუნთქავდა. ჭირის ოფლი სდიოდა და დერეფნიდან შემოჭრილ სულ მცირე ხმაურზე შიშით გული უსკდებოდა.

ზოგჯერ საათი წელიწადივით გრძელდება.

გავიდა ერთი საათი და ხელმეორედ დააკაკუნა ფელტონმა.

მილედი ლოგინიდან წამოვარდა და ფანჯრის გასაღებად გაეშურა.

ორი რკინა მოეჭრა ფელტონს და იმდენად განიერი იყო მოაჯირში გასავალი, რომ შიგ თავისუფლად გაეტეოდა ადამიანი.

– მზად ხართ? – ჰკითხა ფელტონმა.

– დიახ, წამოვიღო რაიმე? რა დაგვჭირდება?

– ფული, თუ გაქვთ.

– დიახ, კიდევ კარგი, რომ არ წამართვეს.

– მით უკეთესი, რადგან ნავი დავიქირავე და იმაში მივეცი, რაც მქონდა.

– აი, დაიჭირეთ, – უთხრა მილედიმ ფელტონს და ოქროთი სავსე ქისა მიაწოდა.

ფელტონმა გამოართვა და ძირს ჩააგდო, კედლის ძირას.

–აბა, მოდიხართ?

– აი, მზად ვარ!

მილედი სკამზე ავიდა, ფანჯარაში გადაიხედა და თავისი მხსნელი თოკის კიბეზე ჩამოკიდებული დაინახა.

პირველად ძალიან შეშინდა, კანკალმა აიტანა და ამან მოაგონა, რომ ქალი იყო, უფსკრულმა შეაშინა მილედი.

– მეც სწორედ ეგ მაწუხებდა, – უთხრა ფელტონმა,

– ეს არაფერია, არაფერი! – უპასუხა მილედიმ, – თვალს დავხუჭავ და ისე ჩამოვალ.

– ხომ მენდობით?

– მაგას როგორ მკითხავთ?

– ხელები ერთმანეთზე დაიწყეთ, – უთხრა ფელტონმა, მაჯებზე თავისი ცხვირსახოცი შემოახვია და ზემოდან კიდევ მაგრად მოუჭირა თოკი.

– რას შვრებით? – ჰკითხა განცვიფრებულმა მილედიმ.

– თავზე ჩამომაცვით თქვენი მკლავები და ნუ გეშინიათ.

– წონასწორობას დაგაკარგვინებთ და ორივე დავიღუპებით.

– ნუ გეშინიათ, მე მეზღვაური ვარ.

როგორ შეიძლებოდა აქ დროს დაკარგვა? ქალმა კისერზე მოხვია ფელტონს შეკრული ხელები და ფანჯრიდან გაძვრა.

ფელტონი ნელ-ნელა, დიდი სიფრთხილით ჩადიოდა თოკის კიბეზე. მიუხედავად ორი ადამიანის სიმძიმისა, ქარი მაინც საკმაოდ არხევდა კიბეს.

ფელტონი უცბად შეჩერდა.

– რა არის? რა მოხდა? – ჰკითხა მილედიმ.

– ჩუმად! – წასჩურჩულა მან, – ფეხის ხმა ისმის.

– ვაიმე, დავიღუპეთ!

მცირე ხანს მიჩუმდა ყველაფერი,

– არა, – თქვა ფელტონმა, – არავინაა.

– მაშ, რა ფეხის ხმა იყო?

– მზვერავი რაზმი მიდიოდა გზის დასათვალიერებლად.

– სად არის ეგ გზა?

– სწორედ ჩვენს ქვემოთ.

– ვაიმე! დაგვინახავენ!

– ვერ დაგვინახავენ, თუ ელვა არ დაეხმარათ.

– კიბის ბოლოს რომ დაინახავენ?

– საბედნიეროდ, მეტად მოკლე არის კიბე, მიწას ვერ სწვდება და ქვეშ გაუვლიან.

– აგერ, მოდიან! ვაიმე, ღმერთო!

– ჩუმად!

ორივე სუნთქვაშეკრული მიეკრა თოკის კიბეს.

ჯარისკაცებმა სიცილით და ლაზღანდარობით გაუარეს ფეხქვეშ.

ხანმოკლე იყო ეს შიში, მაგრამ ხანგრძლივზე უარესი.

მზვერავმა რაზმმა ჩაიარა. მიწყდა ფეხის ხმა და ჯარისკაცთა სიცილი.

– ახლა უკვე არაფერია საშიში, – თქვა ფელტონმა.

მილედიმ ამოიოხრა და გული წაუვიდა.

ფელტონი ნელ-ნელა ჩადიოდა კიბეზე, როდესაც უკანასკნელ საფეხურს მიაღწია და ფეხის დასაყრდნობი ვეღარსად იპოვა, ხელებით ამ საფეხურს დაეკიდა, გაიჭიმა, ფეხი მიწას შეახო. დაიღუნა, ზევიდან ჩამოგდებული ქისა

აიღო და პირით დაიჭირა, მერე მილედი ხელში აიყვანა და მზვერავი რაზმის მიერ გავლილი გზის საწინააღმდეგო მიმართულება აიღო.

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, ძალიან მალე გზიდან გადავიდა, კლდის ძირას ჩაიარა, ზღვის პირთან მივიდა და სასტვენს ჩაბერა.

პასუხად ისეთივე სტვენა გაისმა, არ გასულა ხუთი წუთი და ნავი გამოჩნდა, შიგ ოთხი კაცი იჯდა. ზღვის პირი ღრმა არ იყო და ნავი კარგად ვერ მიუახლოვდა ნაპირს.

ფელტონი წელამდე წყალში ჩადგა, მაგრამ მაინც არავის ანდო თავისი საყვარელი, ძვირფასი ტვირთი.

კიდევ კარგი, რომ გრიგალი თანდათანობით ცხრებოდა. მაგრამ ზღვა ჯერ მაინც ბობოქრობდა და კაკლის ნაჭუჭსავით ათამაშებდა ნავს ზედაპირზე.

– კარჭაპისაკენ![1] – უთხრა ფელტონმა, – აბა, ჩქარა!

ოთხმა კაცმა ნიჩბები აათამაშა, მაგრამ განრისხებული იყო ზღვა, ყურადღებას არ აქცევდა ნიჩბების ტრიალს. ნავი ძლივს იძროდა, მაგრამ მაინც შორდებოდნენ ციხე-დარბაზს. მეტად ბნელი ღამე იყო, ნაპირიდან ვეღარ შეამჩნევდნენ ნავს და მით უფრო ძნელი დასანახავი იქნებოდა კარჭაპი.

ზღვაში შავი წერტილივით მოჩანდა რაღაცა.

ეს კარჭაპი იყო.

მენიჩბეები ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად წაეყვანათ ნავი. ფელტონმა მილედის ხელებიდან შეხსნა თოკი და ცხვირსახოცი, შემდეგ მუჭით ზღვის წყალი ამოიღო და პირზე შეასხა.

მილედიმ ამოიოხრა და თვალი გაახილა.

– სადა ვართ? – ჰკითხა მან.

– თავისუფალნი ვართ, გადავრჩით! – უპასუხა ახალგაზრდა ოფიცერმა.

– მაშ, გადავრჩით? გადავრჩით? – შეჰყვირა მილედიმ, – დიახ, აი, თავისუფლად შევცქერით ზეცას, თავისუფლად მივცურავთ ზღვაზე! თავისუფლების ჰაერით ვსუნთქავ! აჰ! გმადლობთ, ფელტონ! გმადლობთ!

ახლგაზრდა ქალი გულში ჩაიკრა ყმაწვილმა კაცმა.

– ნეტავი ვიცოდე, რა დაემართათ ჩემს ხელებს? – ჰკითხა მილედიმ და ხელები მაღლა ასწია, დაჩეჩქვილი ჰქონდა მაჯები.

– ვაიმე, ვაიმე! – წამოიძახა ფელტონმა, თან აღტაცებით დასცქეროდა ამ მშვენიერ ხელებს და თავს იქნევდა მწუხარებით.

– ოჰ! ეს არაფერია! არაფერი! – ამშვიდებდა მილედი, – ახლა კი ყველაფერი მაგონდება.

მილედიმ თვალი გადაავლო ნავს, რაღაცას ეძებდა.

– აქ არის, აქ! – უთხრა ფელტონმა და ფეხით წასწია ოქროს ქისა.

უკვე უახლოვდებოდნენ კარჭაპს, მორიგე მეზღვაურმა ნიშანი გადმოსძახა ნავს. ნავმაც უპასუხა.

– ეს გემი რაღაა? – იკითხა მილედიმ.

– ეს გემი დავიქირავე თქვენს წასაყვანად.

– სად უნდა წამიყვანოს?

– სადაც ისურვებთ, ოღონდ მე კი პორტსმუტში დამტოვეთ.

– პორტსმუტში რა გინდათ?

– ლორდ უინტერის ბრძანება უნდა ავასრულო, – უპასუხა დაღვრემილი ღიმილით ფელტონმა.

– რა ბრძანება?

– თქვენ თვითონ ვერ მიხვდით? – ჰკითხა ფელტონმა.

– არა, რა ბრძანება გაქვთ? ძალიანა გთხოვთ, ნუ დამიმალავთ.

– ლორდ უინტერს დაეკარგა ჩემდამი ნდობა, თქვენი დარაჯობა თვითონვე იკისრა და თავის მაგივრად მე გამგზავნა ბუკინგამთან, რომ ხელი მოვაწერინო თქვენი განდევნის ბრძანებაზე.

– როგორღა განდოთ ეს ბრძანება, თუკი აღარ გენდობოდათ?

– საიდან მეცოდინებოდა, რა ეწერა დაბეჭდილ წერილში?

– მართალია. მაშ, პორტსმუტში მიემგზავრებით?

– შეუძლებელია დაგვიანება, ხვალ ოცდასამია, ხვალ მიდის ბუკინგამი ფლოტთან ერთად.

– ხვალ მიდის? საით მიდის?

– ლაროშელისაკენ.

– არ უნდა წავიდეს! – წამოსცდა მილედის, უღალატა თავისმა ჩვეულებრივმა სიფრთხილემ.

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, – უპასუხა ფელტონმა, –ვერ წავა.

მილედიმ სიხარულით კანკალი დაიწყო, – ყმაწვილი ბიჭის გულის სიღრმეში ამოიკითხა ღრმად ჩამალული, დიდრონი ასოებით დაწერილი – „უნდა მოკვდეს ბუკინგამი“.

– ფელტონ, – უთხრა აღტაცებით, – განდიდებული ხართ, როგორც იუდა მაკაბელი! მაგრამ ეს იცოდეთ: თუ ღმერთი გამიწყრა და თავი შეაკალით, მე თქვენთან ვკვდები, ამის მეტს ვერაფერს გეტყვით.

– ჩუმად, – სთხოვა ფელტონმა, – აი, მივედით, – მართლაც, კარჭაპს მისდგომოდა ნავი. ფელტონი პირველი ავიდა კიბეზე, ხელი გაუწოდა მილედის და მეზღვაურების დახმარებით უშველა გემბანზე ასვლა.

– კაპიტანო! – მიმართა ფელტონმა, – აი, ის ქალბატონი, რომლის შესახებაც მოგელაპრაკეთ. სრულიად უვნებლად უნდა გადაიყვანოთ საფრანგეთში.

– უნდა გადავიყვანო და ათასი პისტოლი მივიღო, – უთხრა კაპიტანმა.

– ხუთასი უკვე მოგეცით.

– მართალია, – თქვა კაპიტანმა.

– აი, დანარჩენი ხუთასიც, – უთხრა მილედიმ და ხელი პარკისაკენ წაიღო.

– არა, ქალბატონო, – შეაყენა კაპიტანმა, – მე სიტყვის პატრონი ვარ და არასოდეს გადავუხვევ. დანარჩენი ხუთასი პისტოლი უნდა მომცეთ, როდესაც ბულონში ჩაგიყვანთ.

– მშვიდობით მიმიყვანთ?

– ცოცხალს, სრულიად უვნებელს, – უპასუხა კაპიტანმა, – ისევე ნამდვილად, როგორც ჯეკ ბუტლერი არის ჩემი ნამდვილი გვარი.

– ჰოდა, იცოდეთ, თუ ნამდვილად აასრულებთ თქვენს სიტყვას, ხუთასის მაგივრად, მე თქვენ ათას პისტოლს მოგცემთ, – უთხრა მილედიმ.

– გაუმარჯოს ჩემს მშვენიერ ქალბატონს! – შეჰყვირა კაპიტანმა, – ნეტავ მომხედოს ღმერთმა და ხშირად მაღირსოს ისეთი მგზავრები, როგორიც თქვენი უდიდებულესობა ბრძანდება.

– მანამდე კი... იმ პატარა ყურეში შეგვიყვანეთ, – უთხრა ფელტონმა, – ხომ იცით, რომ ასე მოვრიგდით: ჯერ იქ უნდა მიგვიყვანოთ.

ამის პასუხად კაპიტანმა საჭირო ბრძანება მისცა თავის მეზღვაურებს და დილის შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც კარჭაპმა პატარა ყურეში ღუზა ჩაუშვა.

გზაში ფელტონმა ყველაფერი გაგებინა თავის მილედის: იმის მაგივრად, რომ პირდაპირ ლონდონს წასულიყო, კარჭაპი დაიქირავა, შინ დაბრუნდა, აძვრა ციხე-დარბაზის კედელზე, რომელშიაც რკინის კავებს ამაგრებდა, რომ ფეხის საყრდნობი ჰქონოდა, მიაღწია მოაჯირამდე, ზედ მიაბა თოკის კიბე... დანარჩენი მილედიმაც კარგად იცოდა.

თავის მხრივ, მილედიც ეცადა წაეხალისებინა ფელტონის განზრახვა. მაგრამ როგორც კი დაიწყო, მაშინვე იგრძნო, რომ წაქეზება კი არა, ზომიერება ესაჭიროებოდა ამ ყმაწვილ ფანატიკოსს. შემდეგ შეთანხმდნენ, პირობა დადეს, რომ მილედი ათ საათამდე მოუცდიდა ფელტონს და მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუდგებოდა გზას, თუ ათ საათზედაც არ მოვიდოდა ფელტონი.

თუ თავისუფალი იქნებოდა ფელტონი, საფრანგეთში გადავიდოდა მილედის სანახავად, ბეთუნის კარმელისტების მონასტერში.

XXIX

რა მოხდა პორტსმუტში 1628 წლის 23 აგვისტოს

ფელტონმა ხელზე აკოცა მილედის და ისე გამოეთხოვა, როგორც ღვიძლი ძმა გამოეთხოვება ხოლმე თავის დას სასეირნოდ წასვლის წინ.

ფელტონი, როგორც ყოველთვის, სრულიად დამშვიდებული იყო, მაგრამ სახე ჩვეულებრივზე მეტად გაფითრებოდა, თვალები ისე უელვარებდნენ, თითქოს დიდი სიცხე ჰქონოდეს. პირი მაგრად მოეკუმა და პასუხს ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძლეოდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ რაღაც ბნელი ფიქრები უტრიალებდა გონებაში.

ნავით უკან დაბრუნებული ფელტონი თვალს არ შორებდა კარჭაპის გემბანზე მდგომ მილედის, რომელიც თვალით მისდევდა თავის მხსნელს.

ორივენი დამშვიდებულნი იყვნენ, მდევარი ვეღარ დაეწეოდათ. მილედის ოთახში ცხრა საათზე ადრე არავინ შედიოდა და ციხე-დარბაზიდან ლონდონს მისასვლელად საჭირო იყო სამი საათი.

ფელტონი ნაპირზე გადმოვიდა, აიარა პატარა ქედი, რომელიც ზღვის პირას მთაზე ადიოდა. ერთხელ კიდევ, უკანასკნელად გამოეთხოვა მილედის და ქალაქისაკენ გაეშურა.

ასი ნაბიჯის შემდეგ უკვე დაღმართს დაჰყვა და მარტო კარჭაპის ანძის წვერსღა ხედავდა.

ფელტონი გაჩქარებით მიდიოდა პორტსმუტისაკენ. მას თავში უტრიალებდა ყოველი ის ბრალდება ნამდვილი თუ უსაფუძვლო, რომელსაც ორი წლის განმავლობში და მერეც დიდხანს, პურიტანებთან ცხოვრების დროს, იგროვებდა გულში იაკობ პირველისა და კარლოს პირველი ფავორიტის – ბუკინგამის წინააღმდეგ, და როდესაც იმ მტარვალის მიერ ჩადენილ სხვადასხვა საზარელ დანაშაულს, დიდმნიშვნელოვანს მთელი ევროპისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადარებდა იმ ცილისწამებას, რომლითაც ბუკინგამი სახელს უტეხდა და თავს ჭრიდა მილედის, ფელტონს დასკვნა გამოჰქონდა, რომ ორი ადამიანი შეერთებულიყო ლორდ ბუკინგამში. და ამ ორთაგან უაღრესად ბოროტი და ავსული სწორედ ის იყო, რომლის კერძო ცხოვრებისა არა იცოდა რა საზოგადოებამ. რას იზამდა? ახალგაზრდა კაცი გაგიჟებული იყო სიყვარულით, ახლად აღგზნებული უცნაური სიყვარულით და ამის გამო მილედის მიერ წამოყენებულ ბრალდებას ისე უყურებდა, თითქოს გამადიდებელი შუშა მიედო თვალებზე; უზარმაზარ ურჩხულად ეჩვენებოდა ყოველი წვრილმანი.

სწრაფი სიარული უფრო უდუღებდა სისხლს. იმის გაფიქრება, რომ მარტოდმარტო დატოვა საყვარელი, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, წმინდად სათაყვანებელი ქალი, რომლის ჯავრის ამოსაყრელად არავითარ ბოროტებას არ იუკადრისებდა მისი ჯალათი, კიდევ უფრო აღაგზნებდა ფელტონს.

დილის რვა საათი იქნებოდა, როდესაც გაოფლიანებული და მტვერში ამოსვრილი პორტსმუტში შევიდა, მისი ჩვეულებრივად ფერმიხდილი სახე ბრაზსა და სიცხეს გაეწითლებინა.

ფეხზე იდგა მთელი ქალაქი, ნაღარის ხმა გაისმოდა ქუჩებში, ნავსადგურისაკენ მოიწევდნენ ლაროშელს მიმავალი ჯარები.

ფელტონი საადმირალოსკენ გაეშურა, იქ ეგულებოდა ბუკინგამი, მაგრამ გუშაგმა არ შეუშვა, მაშინ ფელტონმა მოიხმო საგუშაგოს უფროსი, ჯიბიდან წერილი ამოიღო და უთხრა:

– სასწრაფო დავალება მაქვს ლორდ უინტერისაგან.

ლორდ უინტერის სახელის ხსენებამ გაჭრა. ყველამ იცოდა ბუკინგამისა და უინტერის გულითადი მეგობრობის ამბავი. საგუშაგოს უფროსმა ბრძანება გასცა, გაეტარებინათ ფელტონი, მით უფრო, რომ თვითონ ფელტონსაც მეზღვაურის ფორმა ეცვა.

ფელტონი სასახლეში შევიდა. დარბაზის წინა ოთახის კარებში იგი შეეჯახა მასავით მტვერში ამოგანგლულ და მეტად დაქანცულ კაცს..

ფელტონი და ეს კაცი ერთად მივიდნენ პატრიკთან, ჰერცოგის სანდო შინამსახურთან. ფელტონმა ლორდი უინტერი დაასახელა, უცნობმა არავინ დაასახელა და თქვა, რომ მარტო ჰერცოგს მოახსენებდა, ვინ იყო და რისთვის მოსულიყო. ორივე ცდილობდა, პირველი შესულიყო ბუკინგამთან.

პატრიკმა იცოდა, რომ ლორდ უინტერს სამსახურებრივი დამოკიდებულება ჰქონდა ბუკინგამთან და გულითადი მეგობრობაც აკავშირებდა მათ, ამიტომ მისგან გამოგზავნილს აკუთვნა უპირატესობა. მეორე იძულებული იყო მოეცადა, მაგრამ სახეზე კი ეტყობოდა, რომ მწარედ გმობდა ამ დაგვიანებას.

მსახურმა ფელტონი დიდ დარბაზში გაატარა, სადაც ბუკინგამს ლაროშელიდან პრინც სუბიზის ხელმძღვანელობით გამოგზავნილი ელჩები უცდიდნენ და შეიყვანა კაბინეტში, რომელშიც ბუკინგამი, რომელსაც ეს-ეს იყო ებანავა, ტანთ იცვამდა და კოხტაობდა.

– ლეიტენანტი ფელტონი გახლავთ, ლორდ უინტერის დავალებით, – მოახსენა პატრიკმა.

– ლორდ უინტერის დავალებით? შემოიყვანეთ!

ფელტონი შევიდა. ბუკინგამს ის იყო სავარძელზე დაეგდო ძვირფასი ოქრომკედით ამოქარგული ხალათი და თვალმარგალიტით დაქარგულ ხავერდის ქურთუკს იცვამდა.

– რატომ თვითონ არ მობრძანდა ლორდი? – ჰკითხა ბუკინგამმა. – მე ამ დილით მოველოდი.

– მიბრძანა მომეხსენებინა თქვენი ბრწყინვალებისათვის, რომ ძალიან უნდოდა გხლებოდათ, მაგრამ იძულებული იყო, შინ დარჩენილიყო, რადგან თვითონ დარაჯობს ციხეს, – მიუგო ფელტონმა.

– დიახ, დიახ, ვიცი, – შეაწყვეტინა ბუკინგამმა, – პატიმარი ქალი ჰყავს თავის ციხე-დარბაზში.

– სწორედ მაგ პატიმარი ქალის შესახებ მინდოდა ზოგი რამ მომეხსენებინა თქვენი ბრწყინვალებისათვის.

– აბა, თქვით!

– ჩემი სათქმელი მხოლოდ თქვენ უნდა მოისმინოთ, მილორდ!

– დაგვტოვე, პატრიკ! – უბრძანა ბუკინგამმა, – ოღონდ ახლოს იყავით, მალე დამჭირდებით.

პატრიკი გავიდა.

– მარტონი ვართ, ბატონო, – უთხრა ბუკინგამმა, – რას იტყვით?

– ამას წინათ, მილორდ, წერილი მოგწერათ ბარონმა უინტერმა და გთხოვათ, ხელი მოგეწერათ ერთი ყმაწვილი ქალის, შარლოტ ბაკსონის გადასახლების ბრძანებაზე.

– დიახ, ბატონო, მეც ვთხოვე მოეტანა ან გამოეგზავნა ის ბრძანება და ხელს მოვაწერდი.

– აი, აქ გახლავთ, მილორდ.

– მომეცით!

ბუკინგამმა გამოართვა ქაღალდი. ბრძანებას სწრაფად გადაავლო თვალი და დარწმუნდა, რომ სწორედ ის იყო, რასაც უინტერი სთხოვდა. ქაღალდი მაგიდაზე დადო, კალამი აიღო და ხელის მოწერას აპირებდა.

– უკაცრავად, მილორდ, – მიმართა ფელტონმა, – იცის თქვენმა ბრწყინვალებამ, რომ სახელი შარლოტ ბაკსონი ნამდვილი სახელი და გვარი არ გახლავთ იმ ყმაწვილი ქალისა?

– დიახ, ბატონო, ვიცი, – უპასუხა ბუკინგამმა და სამელნეში კალამი ჩააწო.

– მაშ, იმ ქალის ნამდვილი სახელიც გეცოდინებათ? – ჰკითხა ფელტონმა აღელვებული ხმით, – ნამდვილი ვინაობა?

– დიახ, ვიცი!

ბუკინგამმა ქაღალდისაკენ წაიღო კალამი. ფელტონს ფერი ეცვალა.

– ნამდვილი ვინაობა იცით, ბატონო, იმ ქალისა და მაინც ხელს აწერთ?

– უეჭველად, – მიუგო ბუკინგამმა, – დიახ, ერთის მაგივრად, ორჯერ მოვაწერ.

– ვერ წარმომიდგენია, ბატონო, – მოახსენა ფელტონმა ათრთოლებული ხმით, – მაგას ბრძანებდეთ, თუ მართლა იცით, რომ ქალბატონ უინტერს შეეხება ეს ბრძანება...

– ძალიან კარგად ვიცი, თუმცა მიკვირს, რომ თქვენც გცოდნიათ.

– და მაინც, ბატონო, სრულიად გულგრილად მოაწერთ ხელს?

ბუკინგამმა მედიდურად გადახედა ყმაწვილ კაცს.

– რა მოგდით? ნუთუ ვერ ხედავთ, რა უცნაურ კითხვებს მაძლევთ? დიდი მოთმინების კაცი ვყოფილვარ, რომ გპასუხობთ.

– პასუხი მომეცით, მილორდ, – უთხრა ფელტონმა, – მდგომარეობა ბევრად უფრო საშიში გახლავთ, ვიდრე თქვენ გგონიათ.

ბუკინგამმა იფიქრა, ლორდ უინტერის გამოგზავნილი ყმაწვილი კაცი ალბათ ლორდის დანაბარებს მეუბნებაო, და მაშინვე მოლბა.

– ხელს ვაწერ სრულიად გულგრილად. ბარონმა ისევე კარგად იცის, როგორადაც მე, რომ მილედი უინტერს მრავალი დანაშაული აქვს და თუ განდევნით გვინდა იმისი დასჯა, ეგ თითქმის დანაშაულის პატიებაა. – და კალამი დაადო ქაღალდს.

– თქვენ ხელს ვერ მოაწერთ მაგ ბრძანებას, მილორდ, – უთხრა ფელტონმა და ბუკინგამისაკენ წაიწია.

– ხელს ვერ მოვაწერ ამ ბრძანებას? რატომ? – ჰკითხა ბუკინგამმა და გაკვირვებით შეხედა.

– იმიტომ, რომ თქვენ ჩაიხედავთ თქვენს გულში და სამართლიანად მოექცევით მილედის.

– სავსებით სამართლიანი იქნებოდა მისი ტაიბურნში გაგზავნა, მილედი ბიწიერი ქალია.

– მილედი ანგელოზია, მილორდ, თქვენ ეს კარგად იცით და მე გთხოვთ მის განთავისუფლებას.

– რა ვქნა, თქვენ გიჟი ხომ არა ხართ? როგორ ლაპარაკობთ?

– მაპატიეთ, მილორდ, მე ისე მოგახსენეთ, როგორც შემიძლია, მხოლოდ გევედრებით: დაუფიქრდით, რას აპირებთ, და ეცადეთ, არ გადააჭარბოთ თქვენს უფლებას.

– რაო?.. ღმერთო, შემინდე! – შეჰყვირა ბუკინგამმა, – მგონი, მუქარასაც მიბედავენ!

– არა, მილორდ, მე გთხოვთ და მოგახსენებთ: ერთი წვეთი კმარა ფიალის ასავსებად. მცირე შეცდომა კმარა იმ ადამიანის ღირსეულად დასჯისათვის, რომელსაც მრავალი ავკაცობისა და ბოროტების მიუხედავად, წყალობის თვალით უყურებენ და ინდობენ.

– გაბრძანდით აქედან, ბატონო ფელტონ, თქვენ დაპატიმრებული ხართ და მცველებს ჩაბარდით.

– ბოლომდე მომისმინეთ, მილორდ! თქვენ გააუპატიურეთ საწყალი ქალი, ნამუსი ახადეთ, შეარცხვინეთ! ახლა კი გამოასწორეთ თქვენი მისდამი დანაშაული. გაუშვით, თავისუფლად წავიდეს, სადაც ნებავდეს, სხვას მე არაფერს მოგთხოვთ.

– სხვას აღარას მომთხოვთ? – ყოველი მარცვლის ხაზგასმით უთხრა ბუკინგამმა და განცვიფრებული თვალით დააცქერდა ფელტონს.

– მილორდ, – განაგრძო ფელტონმა, მას უფრო და უფრო ერეოდა მღელვარება, – ფრთხილად, მილორდ, მოიქანცა ინგლისი თქვენი უსამართლობით! მილორდ, თქვენ ავად გამოიყენეთ მეფის უფლება, რომელიც ვერაგობით გამოსცანცლეთ მეფეს! მილორდ, თქვენ საზიზღრობა ხართ ადამიანისათვის და ღვთისათვისაც, მოვა დრო და ღმერთი დაგსჯით ცოდვილს, დღეს კი მე მინდა თქვენი დასჯა!

– აჰ, ეს კი მეტისმეტია! – შეჰყვირა ბუკინგამმა და კარებისაკენ წაიწია.

ფელტონი წინ დაუდგა.

– უმორჩილესად გთხოვთ, – მიმართა ფელტონმა, – დაწერეთ ბრძანება ლედი უინტერის სრული განთავისუფლების შესახებ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს არის ის ქალი, რომელზედაც თქვენ ძალა იხმარეთ და გააუპატიურეთ.

– გადით აქედან! – შეუტია ბუკინგამმა, – თორემ დავუძახებ და ბორკილებს დაგადებთ.

– ვერ დაუძახებთ! – უპასუხა ფელტონმა და გზა გადაუჭრა ბუკინგამს, რომელიც პატარა შევერცხლილი მაგიდისაკენ მიბრუნდა ზარის დასარეკად, – ფრთხილად, მილორდ! ღვთის განგებაში ხართ და ნუ სცოდავთ!

– ქაჯის განგებაში ვარ და არა ღვთისაში! – დაუყვირა ხმის ამაღლებით მილორდმა, რადგან უნდოდა ამით მოეხმო ვინმე საშველად.

– დაწერეთ, მილორდ! დაწერეთ სრული განთავისუფლება მილედისა! – არ ეშვებოდა ფელტონი და ხელში ქაღალდს აჩეჩებდა.

– მაშ, ძალას მატანთ? დამცინით კიდეც? პატრიკ, ჩქარა!

– დაწერეთ, მილორდ!

– არასოდეს!

– არა?

– მომეხმარეთ! – შეჰყვირა ჰერცოგმა და გადახტა, რომ ხმალი აეღო.

მაგრამ ხმლის ამოღება ვერ მოასწრო, ფელტონს გულთან ჰქონდა ჩამალული გახსნილი დანა, რომლითაც თავის მოსაკლავად სისხლი იდინა მილედიმ. იძრო ის დანა და ბუკინგამს მივარდა.

ამ დროს დარბაზში პატრიკი შემოვარდა ყვირილით:

– მილორდ, წერილი საფრანგეთიდან!

– საფრანგეთიდან? – შეჰყვირა გახარებულმა ბუკინგამმა, მყისვე დაავიწყდა ყველაფერი.

ამ წამით ისარგებლა ფელტონმა და ფერდში დანა ტარამდე ჩაარჭო.

– აჰ, მოღალატევ! – შეჰყვირა ბუკინგამმა, – ხომ მომკალ....

– გვიშველეთ! – ყვიროდა პატრიკი.

ფელტონმა გაქცევა განიზრახა, ირგვლივ მიმოიხედა და ღია კარის დანახვაზე სირბილით გასწია იმ დიდი დარბაზისაკენ, სადაც ლაროშელელი ელჩები იცდიდნენ, კიბეს ეცა, მაგრამ კიბის თავშივე ლორდ უინტერს შეეჩეხა. ფელტონის ფერმიხდილი, გადარეული სახისა და სისხლიანი ხელების დანახვაზე მიხვდა გრაფი, რაც მომხდარიყო და ყელში სწვდა ყვირილით:

– ვიცოდი! მივხვდი! ერთი წუთით დამაგვიანდა! ოჰ, რა უბედური ვარ, რა უბედური!

ფელტონს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, ლორდმა გუშაგებს გადასცა ყმაწვილი კაცი და თვითონ ბუკინგამის კაბინეტში შევარდა.

პატრიკის ყვირილზე კაბინეტში შევარდა ის კაცი, რომელიც ფელტონთან ერთად მოვიდა და ცდილობდა, პირველი შესულიყო ლორდის სანახავად.

ბუკინგამი დივანზე იწვა და მოკრუნჩხულ ხელს ჭრილობაზე იჭერდა.

– ლა პორტ, – მიმართა მომაკვდავის ხმით ბუკინგამმა, – მან გამოგგზავნათ?

– დიახ, ბატონო, – უპასუხა დედოფლის ერთგულმა მსახურმა, – მაგრამ, როგორც ვხედავ, მეტად დავიგვიანე.

– ჩუმად, ლა პორტ! შეიძლება გაიგონონ... პატრიკ, აქ აღარავინ შემოუშვათ, ოჰ, მგონი, ვეღარც კი მოვასწრებ მისი დაბარებულის მოსმენას! ღმერთო, ღმერთო! ვკვდები!

ბუკინგამს გული წაუვიდა.

მაგრამ კაბინეტში უკვე შესულიყვნენ ლორდი უინტერი, ლაროშელელები, მხედართმთავრები, ბუკინგამის სასახლის ოფიცრები. ყველას დაჭრილთან მოეყარა თავი. მოთქმა და ტირილი გაისმოდა სასახლეში. ლორდ ბუკინგამის დაჭრის სამწუხარო ამბავი სწრაფად მოედო მთელ ქალაქს.

ზარბაზანი გაისროლეს მოულოდნელი უბედურების აღსანიშნავად.

თმას იგლეჯდა ლორდი უინტერი.

– ერთი წუთით დავიგვიანე! სულ ერთი წუთით! ოჰ, ღმერთო! ღმერთო! რა უბედურებაა!

მართლაც, თურმე დილის შვიდ საათზე შეატყობინეს, რომ სასახლის ერთ ფანჯარაზე თოკის კიბე ეკიდა. იგი მაშინვე გაიქცა მილედის ოთახისაკენ, მაგრამ იქ აღარ ბრძანდებოდა ქალბატონი, ფანჯარა გაღებული დახვდა, მოაჯირი – გატეხილი, და მაშინვე მოაგონდა დ არტანიანისაგან მიღებული სიტყვიერი გაფრთხილება, რომელიც პლანშემ მოახსენა. ლორდ უინტერს შეეშინდა, რომ ბუკინგამის სიცოცხლე საფრთხის წინაშე არ ყოფილიყო. სწრაფად შევარდა თავლაში, არც კი შეაკაზმვინა ცხენი, რომ დრო არ დაჰკარგოდა, მოახტა და ჭენებით შევიდა ბუკინგამის სასახლის ეზოში. ჩამოხტა ცხენიდან, სირბილით ავარდა კიბეზე და კიბის თავში, როგორც ვთქვით, ფელტონი შეეჩეხა.

ჯერ არ მომკვდარიყო ბუკინგამი, მხოლოდ გული წასვლოდა. ნელ-ნელა მოსულიერდა, თვალი გაახილა და ყველა იქ მყოფს იმედი აღეძრა.

– ბატონებო! – პატარა ხანს მარტოდ დამტოვეთ პატრიკთან და ლა პორტთან... – სთხოვა მილორდმა, – აჰ! თქვენა ხართ, უინტერ? რაღა ის გიჟი გამომიგზავნეთ ამ დილას? ხედავთ, რა ყოფაში ჩამაგდო?

– აჰ, მილორდ, ჩემს სიცოცხლეში ვერ მოვინანიებ ამ შეცდომას.

– და ძალიანაც შეცდები, ჩემო მეგობარო, – უთხრა ბუკინგამმა და ხელი ჩამოართვა. – მე არ მინახავს ისეთი კაცი, რომელიც ღირსი იყოს მეორე კაცის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე სინანულისა. მაგრამ მარტოდ დამტოვეთ, გთხოვ.

ლორდი უინტერი ქვითინით გავიდა.

სამნი დარჩნენ კაბინეტში: დაჭრილი ჰერცოგი, ლა პორტი და პატრიკი.

ექიმს ეძებდნენ და ვერსად ეპოვათ.

– გადარჩებით, მილორდ, გადარჩებით! – ჩასძახოდა ბუკინგამს მის წინ მუხლმოდრეკილი ერთგული მსახური საფრანგეთის დედოფლისა.

– რას მწერდა? – ჰკითხა მისუსტებული ხმით ბუკინგამმა, ჯერაც ისევ ისე სდიოდა სისხლი და საშინელ ტკივილს იტანდა, რომ რაიმე გაეგო მისი, ვინც ასე უყვარდა, – რას მწერდა? წამიკითხე მისი წერილი.

– ოჰ, მილორდ! – შეშინდა ლა პორტი.

– ჰა, ჩქარა, ლა პორტ, განა ვერა ხედავ, რომ დროს დაკარგვა აღარ შეიძლება?

ლა პორტმა ბეჭედი გატეხა, გახსნა წერილი და თვალწინ დაუჭირა ბუკინგამს ბარათი, მაგრამ მომაკვდავი ამაოდ ცდილობდა წერილის წაკითხვას.

– შენ წამიკითხე, შენ, მე ვეღარას ვარჩევ! წამიკითხე, თორემ პატარახანს უკან ვეღარას გავიგონებ და ისე მოვკვდები, რომ ვერ გავიგებ, რასა მწერდა.

ლა პორტს წინააღმდეგობა აღარ გაუწევია და წაიკითხა:

„მილორდ!

გაფიცებთ იმ ტანჯვას, რომელსაც განვიცდი მას აქეთ, რაც თქვენ გაგიცანით, თუ ცოტა რადმე მაინც გიღირთ ჩემი მშვიდობა, შეაჩერეთ დიდი შეიარაღება, რომელსაც საფრანგეთის წინააღმდეგ ამზადებთ და მოსპეთ ომი, რომლის შესახებ ხმამაღლა გაიძახიან, სარწმუნოება მხოლოდ თვალთასახვევი საბაბიაო; ომის ნამდვილ მიზეზად კი თქვენს ჩემდამი სიყვარულს სახავენ. ეს ომი შეიძლება დიდ განსაცდელს უმზადებდეს საფრანგეთს და ინგლისს. გარდა ამისა, პირადად თქვენც, მილორდ, გიქადით ისეთ უბედურებას, რომლის ასატანად მე სანუგეშო აღარა დამრჩება რა

თქვენი ერთგული ანა“.

ბუკინგამმა წერილის მოსასმენად დარჩენილი სიცოცხლის ძალა მოიკრიბა. ხოლო როდესაც ლა პორტმა გაათავა კითხვა, ისეთი ტონით იკითხა, თითქოს იმედი გაუცრუვდაო:

– სხვას ვერაფერს მეტყვით? სიტყვიერად არაფერი დაგაბარათ?

– როგორ არა, თქვენო ბრწყინვალებავ, დედოფალმა დამავალა, გადმოგცეთ, რომ ძალიან ფრთხილად ბრძანდებოდეთ. რადგან უცნობებიათ, რომ თქვენ მოკვლით გემუქრებიან.

– მეტი აღარაფერი? აღარაფერი? – ეკითხებოდა ბუკინგამი მოუთმენლად.

– დამავალა მოგახსენოთ, ბატონო, რომ კვლავ უყვარხართ.

– აჰ, მადლობა ღმერთს! – წარმოთქვა სიხარულით ბუკინგამმა, – მაშ, უცხო ადამიანის სიკვდილად არ ეჩვენება ჩემი სიკვდილი!..

ლა პორტს ცრემლები წამოსცვივდა.

– პატრიკ! – უბრძანა ლორდმა, – მომიტანეთ ის კოლოფი, ალმასის ბურნუკები რომ ეწყო.

პატრიკმა მოართვა კოლოფი. მაშინვე იცნო ლა პორტმა დედოფლისეული ნივთი.

– თეთრი ატლასის ჩანთა, მარგალიტით რომ არის ამოქარგული დედოფლის სახელი! – უბრძანა პატრიკს.

პატრიკმა ისიც მაშინვე მოართვა.

– აი, ლა პორტ, ამის მეტი არაფერი გამაჩნია დედოფლისა. ეს ვერცხლის კოლოფი და ორი მისი წერილი მიართვი მის ყოვლად უდიდებულესობას, ჩემი უკანასკნელი სახსოვარი – თვალით ეძებდა იგი რაიმე ნივთს... – ამას მიუმატეთ... ბუკინგამი განაგრძობდა რაღაც ნივთის ძებნას, მაგრამ მოახლოებული სიკვდილით მიბნედილმა თვალებმა ვეღარაფერი დაინახეს, გარდა ფელტონის ხელიდან გავარდნილი დანისა, რომელსაც ჯერ კიდევ სისხლის ორთქლი ასდიოდა.

– აჰა, ეს დანაც მიუმატეთ, – დაამთავრა ჰერცოგმა და ლა პორტს ხელი ჩამოართვა.

იმდენი ძალა ჰქონდა კიდევ, რომ ვერცხლის კოლოფში ჩადო პატარა ატლასის ჩანთა, შიგვე დანა და ანიშნა ლა პორტს, რომ ენა აღარ ემორჩილებოდა. მერე ერთხელ კიდევ უკანასკნელად მოიკრუნჩხა, და რაკი ძალა აღარა ჰქონდა, სავარძლიდან ჩამოცურდა და ძირს დაეშვა.

პატრიკმა დაიყვირა.

ბუკინგამი ცდილობდა, ერთხელ კიდევ უკანასკნელად გამოესახა ღიმილი, მაგრამ სიკვდილმა შუბლზე შეაჩერა მისი სურვილი და ისე გამოსახა, როგორც უკანასკნელი კოცნა სიყვარულისა.

ამ დროს შემოვარდა ჰერცოგის გულგახეთქილი ექიმი: იგი უკვე საადმირალოს გემზე ყოფილიყო და იქ გაეგზავნათ კაცი მის მოსაყვანად.

მივიდა ბუკინგამთან, მაჯა გაუსინჯა და ცოტა ხანს შემდეგ უიმედოდ ძირს დაუშვა მისი ხელი.

– გვიანღაა, – თქვა მან. – ჰერცოგი გარდაიცვალა.

– გარდაიცვალა! გარდაიცვალა! – შეჰყვირა პატრიკმა.

ამ ყვირილზე კაბინეტში შევარდა ყველა, ირგვლივ ტირილი ისმოდა.

როგორც კი დარწმუნდა უინტერი, რომ ჰერცოგი გარდაიცვალა, მაშინვე ფელტონს მივარდა, რომელიც ჯერაც სასახლის ტერასზე ჰყავდათ დარაჯებს.

– არამზადავ, ეს რა ჰქენი, რა? – შეჰყვირა მან ახალგაზრდა ოფიცერს, რომელსაც, ბუკინგამის სიკვდილის შემდეგ, კვლავ ჩვეული სიმშვიდე დაბრუნებოდა. – ეს რა ჰქენი, არამზადავ?!

– ჯავრი ამოვიყარე, – უპასუხა ფელტონმა.

– შენი ჯავრი? – შეუტია ლორდმა, – ის არ ჯობია, გულწრფელად თქვა, რომ იმ დაწყევლილმა ქალმა თავის იარაღად გამოგიყენა? მაგრამ გარწმუნებ, ეს იმ ავსულის უკანასკნელი ბოროტებაა.

– არ ვიცი, რის თქმა გნებავთ, მილორდ, – უპასუხა მშვიდად ფელტონმა, – არც ის ვიცი, ვის გულისხმობთ ავსულად. მე მოვკალი ბუკინგამი იმიტომ, რომ ორჯერ გითხრათ უარი პირადად თქვენ და არ მაღირსა კაპიტნობა. მე დავსაჯე იგი უსამართლობისაგამო. აი, ნამდვილი მიზეზი.

განცვიფრებით შეჰყურებდა ლორდი უინტერი, თუ როგორ უკრავდა ჯარისკაცი ხელებს ფელტონს და ვერ მიმხვდარიყო, რით აეხსნა მისი ასეთი უგრძნობელობა.

მხოლოდ ერთი რამ ჰფენდა ფელტონის შუბლს ღრუბელს: სულ მცირე ხმაურის გაგონებაზედაც კი მიამიტი პურიტანი წარმოიდგენდა, თითქოს მილედი მოეშურებოდა მისკენ, მოვიდოდა, გულში ჩაიკრავდა თავის ფელტონს და გამოაცხადებდა, მეც დამნაშავე ვარ ამასთან ერთადო.

უცბად ყმაწვილი შეკრთა, თვალი მიაშტერა ზღვაში ერთ წერტილს; მეზღვაურის ორბის თვალით სადღაც შორს შეამჩნია იალქანი კარჭაპისა, რომელიც საფრანგეთისაკენ მიდიოდა.

ფერი ეცვალა ფელტონს. ხელი დაიდო გულზე, რომელიც მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა. ახალგაზრდა კაცმა შეიგნო, თუ როგორ გაასულელა და უღალატა თავისმა მილედიმ.

– უკანასკნელად შეგაწუხებთ, მილორდ! – მიმართა უინტერს.

– რა გინდა?

– რომელი საათია?

ლორდმა საათი ამოიღო.

– ათი წუთი აკლია ცხრას.

საათ-ნახევრით დაეჩქარებინა მილედის საფრანგეთისაკენ წასვლა. მილედიმ გაიგონა თუ არა ზარბაზნის ხმა, რითაც ბუკინგამის სიკვდილს იუწყებოდნენ, ბრძანება გასცა, გზას გასდგომოდნენ.

„ღვთის განგება იყო ალბათ“, – ფიქრობდა ფელტონი ფანატიკური მორჩილებით, მაგრამ თვალი ვერ მოეშორებინა პატარა კარჭაპისათვის. იქ, გემბანზე, თეთრ აჩრდილად ელანდებოდა მილედი, რომელსაც ასე მოტყუებით შესწირა სიცოცხლე.

უინტერმა თვალი გააყოლა ფელტონის მზერას, ჩაუფიქრდა მის ტანჯვას და ყველაფერს მიხვდა.

– ჯერ მარტო შენ დაისჯები, უბედურო! – უთხრა ფელტონს, რომელიც ჯერ ისევ კარჭაპს გასცქეროდა, – ჯერ შენ დაისჯები, მაგრამ ვფიცავ ჩემი ძმის სახელს, რომელიც ძალიან მიყვარდა, რომ ვერც შენი თანამოზიარე გადარჩება სასტიკ სასჯელს.

ფელტონმა თავი დაღუნა, ხმა არ ამოიღო.

უინტერმა სწრაფად ჩაირბინა კიბე და ნავსადგურში ჩავიდა.

XXX

საფრანგეთში

ინგლისის მეფე კარლოს პირველი ძალიან შეშინდა, ბუკინგამის სიკვდილი რომ გაიგო, ლაროშელელებმა იარაღი არ დაყარონო. იგი ცდილობდა, როგორც ამას წერს რიშელიე თავის მოგონებებში, რაც შეიძლება დიდხანს დაემალა ეს ამბავი და ამიტომ დააკეტინა თავისი სამეფოს ყველა ნავსადგური და მკაცრი ბრძანება გასცა, არც ერთი გემი არ გასულიყო ინგლისის ნავსადგურიდან, სანამ ბუკინგამის მიერ აღჭურვილი ფლოტი და ჯარი საფრანგეთისაკენ არ დაიძროდა. ბუკინგამის სიკვდილის შემდეგ მეფემ თვითონ იკისრა მთავარსარდლობა.

კარლოს პირველი იმდენად მკაცრად იცავდა თავის ბრძანებას, რომ ინგლისიდან დანიის ელჩებიც კი არ გაუშვა, რომელთაც შვებულება ჰქონდათ და დასასვენებლად სამშობლოში აპირებდნენ წასვლას. არ გაუშვა არც ჰოლანდიის ელჩი, რომელსაც ფლესინგენში უნდა მიეყვანა ოსტ-ინდოეთის გემები, რომლებიც კარლოს პირველმა ნიდერლანდების გაერთიანებას დაუბრუნა.

მაგრამ ეს ბრძანება ძალიან გვიან იქნა გამოცხადებული, ბუკინგამის სიკვდილიდან ხუთი საათის შემდეგ, ესე იგი, დღის ორ საათზე, ორი გემი უკვე გასული იყო ნავსადგურიდან. ერთს, როგორც უკვე ვთქვით, საფრანგეთისკენ მიჰყავდა გამარჯვებული მილედი, რომელიც ალღოთი გრძნობდა, რა ამბავიც უნდა მომხდარიყო, ხოლო საადმირალო გემზე აფრიალებულმა შავი დროშის დანახვამ საბოლოოდ დაარწმუნა თავის ვარაუდში.

რაც შეეხება მეორე გემს, ჩვენ შემდეგში მოგითხრობთ, ვინ მიჰყავდა მას და როგორ მოახერხა ამ გემმა ნავსადგურიდან გასვლა.

ამ ხნის განმავლობაში ახალი არაფერი მომხდარა ლაროშელთან დაბანაკებულ საფრანგეთის ჯარში. მხოლოდ ესაა, რომ მეფემ, რომელიც, ჩვეულებრივად, მუდამ მოწყენილი ბრძანდებოლა, კიდევ უფრო მოიწყინა, მან გადაწყვიტა, ჩუმად გაპარულიყო სენ-ჟერმენში და წმინდა ლუდოვიკოს უქმეები იქ გაეტარებინა. მეფემ კარდინალსა სთხოვა, ოცი ცხენოსანი მუშკეტერი გაეყოლებინა.

კარდინალმა, რომელსაც ხშირად გადაედებოდა ხოლმე მეფის მოწყენილობა, სიამოვნებით შეუსრულა სურვილი ყოვლადუდიდებულეს თანაშემწეს, რომელმაც აღუთქვა, თხუთმეტი სექტემბრისათვის ისევ ბანაკში დავბრუნდებიო.

მისმა ყოვლადუწმინდესობამ ტრევილს აცნობა მეფის სურვილი. ტრევილიც მაშინვე შეუდგა მუშკეტერების ამორჩევას. მან იცოდა, როგორ ენატრებოდათ მის მეგობრებს პარიზში დაბრუნება, გრძნობდა, რომ რაღაც საბედისწერო გარემოება მოითხოვდა მათ იქ ყოფნას და ჩვენი მეგობრები დანიშნა მეფის გამყოლებად. რიშელიესთან მოლაპარაკებიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ ოთხ ყმაწვილ კაცს ეს სასიხარულო ამბავი თვითონ ბატონმა დე ტრევილმა აცნობა.

დ არტანიანმა განსაკუთრებით ახლა დააფასა კარდინალის წყალობა. მის ყოვლადუწმინდესობას მუშკეტერებში რომ არ გადაეყვანა, იგი იძულებული იქნებოდა, ბანაკში დარჩენილიყო იმ დროს, როდესაც მისი მეგობრები პარიზისაკენ წავიდოდნენ.

პარიზში დაბრუნების სურვილს, თავისთავად ცხადია, ის უფრო უცხოველებდათ, რომ ეშინოდათ, საწყალი ქლბატონი ბონასიე ბეთუნის მონასტერში პირისპირ არ შეხვედროდა თავის მოსისხლე მტერს – მილედის. ამის გამო, როგორც უკვე ვთქვით, არამისმა მაშინვე წერილი მისწერა მარია მიშონს, იმ ტურელ მოსარეცხეს, რომელსაც წარჩინებული ნაცნობები ჰყავდა, და სთხოვა როგორმე მოეხერხებინა ქალბატონ ბონასიესათვის დედოფლის ნებართვა გამოეთხოვა მონასტრიდან გამოსვლისა და ლოტარინგიაში ან ბელგიაში ცხოვრების შესახებ. პასუხმა დიდხანს არ დაიგვიანა, რვა-ცხრა დღის შემდეგ არამისმა ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:

„საყვარელო ბიძაშვილო!

გიგზავნი ჩემი დის ნებართვას ბეთუნის მონასტრიდან ჩვენი პატარა მოახლის გამოყვანის შესახებ, რადგან, თქვენი აზრით, იგი ვერ გაუძლებს მონასტრის ჰაერს და დასნეულდება, ჩემი და სიამოვნებით გიგზავნის ამ ნებართვას. მას ძალიან უყვარს ის პატარა გოგონა და მომავალშიც ჰპირდება დახმარებას.

გკოცნი

მარია მიშონი“.

ამ წერილთან ერთად იყო დედოფლის ნებართვა.

„წინამძღვარი ბეთუნის მონასტრისა მისცემს ამ ბრძანების მომტანს ყმაწვილ ქალს, რომელიც ჩემი შემწეობით შემოვიდა მონასტერში.

ლუვრი, 1628 წელი. 10 აგვისტო.

ანა“.

მკითხველი თვითონაც კარგად მიხვდება, რამდენ სიცილს და ხუმრობას აღძრავდა ჩვენს მგობრებში არამისის ეს ნათესაური განწყობილება მოსარეცხე ქალთან, რომელიც თავის თავს დედოფლის დას ეძახდა. არამისი პორთოსის ხუმრობაზე ორჯერ თუ სამჯერ თვალის გარსებამდისაც კი გაწითლდა და ბოლოს გაბრაზებულმა განუცხადა თავის მეგობრებს, რომ თუ კიდევ ვინმე კრინტს დაძრავდა ამაზე, აღარასოდეს არ შეაწუხებდა თავის ბიძაშვილს და შუაკაცად არ ჩადგებოდა ამგვარი საქმეების მოსაგვარებლად.

ამიტომ ოთხ მუშკეტერს ხმაც არ ამოუღია მარია მიშონის ვინაობის შესახებ. მით უფრო, რომ ყმაწვილებს ხელთ ჰქონდათ ბრძანება – გამოეყვანათ ბეთუნის კარმელისტების მონასტრიდან ქალბატონი ბონასიე. მართალია, ეს ბრძანება ამაოდ ედოთ ჯიბეში და ამაოდვე დარჩებოდა, სანამ ლაროშელის ბანაკში, საფრანგეთის მეორე მხარეს იქნებოდნენ. ამიტომ დ არტანიანი ტრევილის ნახვას აპირებდა, უნდოდა ეცნობებინა თავისი გულის ვარამი და შვებულება ეთხოვა. წარმოიდგინეთ მისი და, აგრეთვე, მისი მეგობრების სიხარული, როდესაც ტრევილმა თვითონვე აცნობა, რომ მეფე პარიზს მიბრძანდებოდა ოცი მუშკეტერის თანხლებით და ისინიც მის ამალაში იყვნენ ჩარიცხულნი.

უსაზღვრო იყო ჩვენი მუშკეტერების სიხარული. მსახურები ბარგით წინასწარ გაისტუმრეს და თვითონ მეორე დილით მეფესთან ერთად წავიდნენ.

კარდინალმა სურჟერიდან მოზემდე გამოაცილა მისი ყოვლადუდიდებულესობა. აქ მეფე და მისი პირველი მინისტრი ერთმანეთს ძალიან მეგობრულად გამოეთხოვნენ.

მოწყენილი მეფე, რომელსაც დროსტარება ენატრებოდა, დიდი სისწრაფით მიაჭენებდა ცხენს. მას უნდოდა, ოცდასამ აგვისტოს უკვე პარიზში ყოფილიყო, თუმცა ხანდახან ჩერდებოდა და კაჭკაჭებზე ნადირობით ერთობოდა, ეს იყო მისი საყვარელი გასართობი. ოცი მუშკეტერიდან თექვსმეტი დიდ სიხარულს განიცდიდა მეფის ყოველ შეჩერებაზე, ოთხი კი წყევლიდა ამ შესვენებას, მეტადრე დ არტანიანი, რომელსაც შეუწყვეტლივ უწიოდა ყური. პორთოსი ასე ხსნიდა ყურის წივილს:

– ერთი დიდებული ქალისაგან ვიცი, როცა ყური გიწივის, მაშინ თქვენზე ლაპარაკობენო.

ბოლოს, ოცდასამ აგვისტოს ღამით, მეფე პარიზში შევიდა. მან მადლობა გადაუხადა ტრევილს და ნება დართო, ოთხი დღის შვებულება მიეცა თავისი მუშკეტერებისათვის მორიგეობით. ოღონდ იმ პირობით, რომ არავის გაებედა საზოგადოებაში გამოჩენა, თორემ ბასტილიის ციხეს ვერ ასცდებოდა.

პირველი ოთხი დღის შვებულება, როგორც მკითხველიც მიხვდება, ჩვენს მეგობრებს ერგოთ. მაგრამ ოთხი დღე არ იკმარა ათოსმა და ორი კიდევ დაამატებინა ტრევილს. თვითონაც დაუმატა კიდევ ორი ღამე, რადგან მეგობრები პარიზიდან ოცდაოთხს გავიდნენ, საღამოს ხუთ საათზე, მაშასადამე, ბატონი დე ტრევილი მათი შვებულების დასაწყისად აღნიშნავდა ოცდახუთს დილას.

– ეჰ, ღმერთო, ღმერთო! – იძახდა დ არტანიანი, რომელსაც, როგორც ვიცით, არასოდეს საეჭვოდ არა მიაჩნდა რა: – მე მგონი, მეტად ვართულებთ სულ უბრალო საქმეს: ორ დღეში ერთ-ორ ცხენს გავიღებდი მსხვერპლად, რა მოხდა, ფული ხომ მაქვს; და ბეთუნში ჩავიდოდი, დედოფლის წერილს მივართმევდი მონასტრის წინამძღვარს და წავიყვანდი ჩემს საყვარელს ლოტარინგიაში ან ბელგიაში კი არა, არამედ პარიზში, სადაც უფრო კარგად იქნება დამალული, მეტადრე სანამ კარდინალი ლაროშელში ბრძანდება. მერე, რაკი ეს ომიანობა გათავდებოდა და მეც დავბრუნდებოდი, ცოტას არამისის დეიდაშვილი შემეწეოდა, ცოტას კიდევ დედოფლის წინაშე ჩვენი პირადი დამსახურება და, რა ვიცი, რას არ გვიწყალობებდა მისი ყოვლადუდიდებულესობა. ამაზე ათოსმა ჩვეული სიმშვიდით უპასუხა:

– ფული ჩვენცა გვაქვს, ჩემო დ არტანიან. მე ჯერ მთლად არ დამლევია შენი ბეჭდის ფული, პორთოსს და არამისსაც ჯერ არ შეუჭამიათ თავიანთი სიმდიდრე. ცხენებს იტყვი, ჩვენც კარგად ვინაცვლებთ ჩვენებს, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, დ არტანიან,– დაუმატა ათოსმა ისეთი დაღვრემილი სახით, რომ კანკალი დააწყებინა ყმაწვილკაცს, – ნუ გავიწყდებათ, რომ ბეთუნი, სადაც კარდინალმა პაემანი დაუნიშნა ქალს, რომელიც ყველგან უბედურებას დაატარებს თან, პატარა ქალაქია, თქვენ მხოლოდ ოთხ კაცთან რომ გქონდეთ საქმე, დ არტანიან, მარტოს გაგიშვებდით. მაგრამ ვაი, რომ საქმე დედაკაცთანა გაქვთ! მაშ, მოდი, ერთად წავიდეთ, ღმერთმა ინებოს, ოთხივე გავუმკლავდეთ ყოველგვარ მოულოდნელობას, თუნდაც ამაში ჩვენი მსახურებიც დავიხმაროთ.

– გულს მიხეთქავთ, ათოს! – შეჰყვირა დ არტანიანმა, – ღმერთო ჩემო! ნეტავი ვიცოდე, რა გაშინებთ ასე!

– ყველაფერი, – უპასუხა ათოსმა.

დ არტანიანი თავისი ამხანაგების სახის გამომეტყველებას დააცქერდა. ნახა, რომ მათაც ღრმად აწუხებდათ რაღაც ფიქრი თუ შიში. მეგობრები ჩქარი ნაბიჯით გაუდგნენ გზას. ხმას აღარავინ იღებდა.

ოცდახუთს საღამოს არასში შესვლისას დ არტანიანი ცხენიდან ჩამოხტა და „ოქროს ბარონის“ ტრაქტირში შევიდა, რომ პირი ღვინით გაესველებინა. სწორედ

იმ დროს ფოსტის ეზოდან გამოვიდა ვიღაც მხედარი. მას ის იყო გამოეცვალა ცხენი და კარგად დასვენებული რაშით პარიზისაკენ აეღო გეზი. როდესაც ეს კაცი ალაყაფის კარებიდან ქუჩაში გამოდიოდა, ქარმა ქუდი გადაუგდო და გადაუღელა წამოსასხამი, რომელშიც კარგად მობუდნულიყო, თუმცა ჯერ ისევ აგვისტო იდგა. უცნობმა ქუდი საჩქაროდ ჩამოიფხატა თვალებზე.

დ არტანიანი თვალს არ აშორებდა ამ კაცს. უცებ ფერი ეცვალა, სასმისი ხელიდან გაუვარდა.

– რა დაგემართათ, ბატონო? – მივარდა პლანშე, – მიშველეთ! გული მისდის ჩემს ბატონს!

მეგობრები მოცვივდნენ და გულწასულის მაგივრად, თავისი ცხენისაკენ სირბილით მიმავალი დ არტანიანი დაინახეს. მეგობრებმა კარებში შეაყენეს იგი.

– რა დაგემართა? რა მოხდა? სად ეშმაკებში მირბიხარ ასე კისრისტეხით?! – შეუტია ათოსმა.

– ის არის! – შეჰყვირა ბრაზით ფერმიხდილმა დ არტანიანმა. – ის არის! გამიშვით, დავეწიო!

– ვინ არის? – ჰკითხა ათოსმა.

– ის, ის შერცხვენილი!

– ვინ შერცხვენილი?

– ის შეჩვენებული, ჩემი მდევნელი ბოროტი სული, რომელსაც ყოველთვის ვხედავდი, როდესაც რაიმე უბედურება მომელოდა. ის კაცი, რომელიც თან ახლდა იმ ავსულ დედაკაცს, პირველად რომ შევხვდი; ეს ის კაცია, რომლის დევნაში ჩემი მეგობარი ათოსი გამოვიწვიე დუელში; ეს ის კაცია, რომელიც შემხვდა იმ დილით, როდესაც ქალბატონი ბონასიე მოიტაცეს, ჩემი თვალით ვნახე! ის იყო, ის!

– დასწყევლოს ღმერთმა, – თქვა ჩაფიქრებულმა ათოსმა, – აბა, ცხენებზე, ბატონებო, გამოვუდგეთ, დავეწიოთ და მერე მე ვიცი.

– ნუ გავიწყდებათ, დ არტანიან, რომ ის სულ კი სხვა გზით მიდის, ჩვენ სხვა გზა გვაქვს, – უთხრა არამისმა, – მას დასვენებული ცხენი ჰყავს, ჩვენ – დაქანცულები, მაშასადამე, ჩვენს ცხენებს დავხოცავთ, ხოლო იმას მაინც ვერ დავეწევით. მოდი, დ არტანიან, თავი დავანებოთ კაცს და ქალი გავათავისუფლოთ.

– ჰეი, ბატონო! – შეჰყვირა მეჯინიბემ და სირბილით გამოუდგა პარიზისაკენ მიმავალ მგზავრს. – ჰეი, ბატონო! ეს ქაღალდი გამოგივარდათ ქუდიდან!

– მეგობარო! – დაუძახა დ არტანიანმა, – ნახევარი პისტოლი მოგცე ქაღალდში?

– ოჰ, დიდი სიამოვნებით, ბატონო! აი, ინებეთ.

ამ ბედნიერი შემთხვევით გახარებული მეჯინიბე ხტუნვა-ხტუნვით ეზოში შებრუნდა.

დ არტანიანმა ქაღალდი გახსნა.

– რაო, რა წერია? – ჰკითხეს მეგობრებმა და გარს შემოეხვივნენ.

– ერთადერთი სიტყვაა, სხვა არაფერი! – უპასუხა დ არტანიანმა.

– დიახ, – თქვა არამისმა, – მაგრამ ეს სიტყვა შეიძლება სახელი იყოს ქალაქის ან სოფლისა.

–„არმანტიერი“, – წაიკითხა პორთოსმა, – არმანტიერი! არასოდეს გამიგონია.

– მაშ, კარგად შევინახოთ ეს ქაღალდი, – თქვა დ არტანიანმა.

– იქნება ამაოდ არ ჩამიაროს უკანასკნელი პისტოლის დახარჯვამ. აბა, შევსხდეთ, ბატონებო, შევსხდეთ!

ჩვენმა მუშკეტერებმა ბეთუნისაკენ გაქუსლეს.

XXXI

ბეთუნის კარმელისტების მონასტერი

დიდ ბოროტმოქმედებს ხშირად თანა სდევთ ერთგვარი ბედისწერა, რომლის დახმარებითაც ისინი გადალახავენ ხოლმე ყოველგვარ დაბრკოლებას და განსაცდელიდან უვნებელნი გამოდიან, მაგრამ ამასაც საზღვარი აქვს. როცა იქნება, განგებასაც მოსწყინდება მათი ბოროტმოქმედებანი და ბოლოს მოუღებს ასეთი ავსულების მოღვაწეობას.

სწორედ ასევე მოუვიდა მილედის. მან მოახერხა, შეუმჩნევლად გამომძვრალიყო ორი ქვეყნის მოდარაჯე სამეფო გემებს შუა და ბულონში სრულიად მშვიდობიანად ჩავიდა.

პორტსმუტში მან თავი ლაროშელიდან გამოქცეულ ფრანგად გაასაღა, ხოლო ორი დღის მგზავრობის შემდეგ ბულონში ჩასვლისას პორტსმუტში ინგლისელების მიერ შევიწროებულ ფრანგად გადაიქცა.

უნდა ითქვას, რომ მილედის გააჩნდა კიდევ ერთი უებარი პასპორტი: სილამაზე და გულუხვობა. იგი როგორც უნდოდა, ისე ფანტავდა პისტოლებს.

ნავსადგურის მოხუცი, თავაზიანი უფროსის წყალობით, რომელმაც მას ხელზე აკოცა, მილედი ადვილად გადარჩა საბუთების წარდგენის ფორმალურ მხარეს და ბულონში მხოლოდ იმდენ ხანს შეჩერდა, რომ ფოსტით მოესწრო შემდეგი შინაარსის წერილის გაგზავნა:

„მის ყოვლადუწმინდესობას, ბატონ კარდინალ რიშელიეს! ბანაკში. ლაროშელთან.

დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ: მისი ბრწყინვალება ჰერცოგი ბუკინგამი საფრანგეთში ვერ წამოვა.

ბულონი, 25-ს საღამოს, მილედი“.

„ .შ. თქვენი ყოვლადუწმინდესობის სურვილისამებრ, ბეთუნს გეახლებით, კარმელისტების მონასტერში და იქ დაველოდები თქვენს ბრძანებას“.

მართლაც, იმ საღამოსვე ბეთუნისაკენ გაემგზავრა მილედი. ღამე სასტუმროში გაათენა. მეორე დღეს, დილის ხუთ საათზე, ისევ გზას გაუდგა და სამი საათის შემდეგ ბეთუნში შევიდა.

აქ იკითხა, სად იყო კარმელისტების მონასტერი, და მაშინვე იქით აიღო მიმართულება.

წინ გამოეგება მონასტრის წინამძღვარი. მილედიმ კარდინალის ბრძანება აჩვენა. წინამძღვრის განკარგულებით, ცალკე ოთახი მისცეს მას და საუზმე მიართვეს.

წარსული წაშლილიყო მილედის ხსოვნაში და ხედავდა მხოლოდ მომავალ დიდებას და წარჩინებას, რომელსაც კარდინალისაგან მოელოდა. მან ხომ მშვენივრად დააგვირგვინა ის საშინელი დავალება ისე, რომ პირადად არ გარეულა ამ სისხლიან საქმეში.

საუზმის შემდეგ წინამძღვარი მილედის სანახავად მივიდა. გასართობი არაფერი აქვთ მონასტერში და გულკეთილ წინამძღვარს ეჩქარებოდა, მალე გაეცნო თავისი ახალი სტუმარი.

მილედისაც ძალიან უნდოდა, მოსწონებოდა თავის მასპინძელს, რაც საძნელო არ იყო ამ მართლაც ჭკვიანი და მოხერხებული ქალისათვის.

იგი შეეცადა, მომხიბლავად სჩვენებოდა მასპინძელს და ისეთი გატაცებით გაუბა საუბარი, რომ თავისი სიტყვითა და სილამაზით აღტაცებაში მოჰყავდა მოხუცებული მონაზონი.

დიდებული გვარის ქალი იყო წინამძღვარი და ძალიან უყვარდა თხრობა სასახლის ამბებისა, რომლებიც ასე იშვიათად აღწევენ ხოლმე მონასტრის კედლებამდე.

მილედიმ კი, პირიქით, დაწვრილებით იცოდა დიდებული წოდების ყოველი მითქმა-მოთქმა და ინტრიგები, რადგან ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ამ წრეში ტრიალებდა. იგი გულკეთილ წინამძღვარს აცნობდა არისტოკრატიისა და სასახლის ზნე-ჩვეულებებს, თან საუბარში ჩაურთო მეფის გადაჭარბებული ღვთისმოსაობა, დაწვრილებით უამბო შინაური ცხოვრების ამბები სასახლის კარისკაცებისა და ქალბატონებისა, რომლებსაც გვარით კარგად იცნობდა წინამძღვარი. ოდნავ შეეხო დედოფლისა და ბუკინგამის სიყვარულს, და საერთოდ, ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, რომ მისთვის ეთქმევინებინა ცოტა რამ.

სიამოვნებით ისმენდა წინამძღვარი, იცინოდა, მაგრამ თქმით კი არას ამბობდა. მილედი თავისას განაგრძობდა, იგი კარგად ხედავდა, როგორ ართობდა მოხუცებულს ამგვარი ამბები, და ახლა კარდინალი გაიხადა სალაპარაკო თემად.

მაგრამ აქ კი გაუძნელდა ბაასი: არ იცოდა, ვისკენ იყო წინამძღვარი – მეფისაკენ თუ კარდინალისაკენ? ისევ სიფრთხილე არჩია. წინამძღვარიც, თავის მხრივ, უფრო მეტად ფრთხილობდა, ხმის ამოუღებლივ ისმენდა მილედის ნათქვამს და ღრმა პატივისცემით აკანტურებდა თავს, როდესაც მილედი მის ყოვლადუწმინდესობას ახსენებდა.

მილედი გრძნობდა, რომ მისთვის ძალიან მოსაწყენი იქნებოდა მონასტერში ცხოვრება და გადაწყვიტა, ახლავე გამოეცადა წინამძღვარი, რომ სცოდნოდა, შემდეგში როგორ მოქცეულიყო. უნდოდა შეემოწმებინა, რამდენად თავდაჭერილი იყო ეს ტკბილი წინამძღვარი, ამიტომ დაიწყო კარდინალის გაჭორვა, დაასახელა მისი ყოვლადუწმინდესობის საყვარლები: ქალბატონი დ ეგილონი, მარიონ დელორმი და კიდევ რამდენიმე სხვა ქალი.

წინამძღვარი უფრო მეტი ყურადღებით ისმენდა, იგი გამოცოცხლდა, ნელ-ნელა ღიმილი მოერია.

„ოჰ, – უხაროდა მილედის, – მას სიამოვნებს ეს ამბები და თუნდაც კარდინალის მომხრე იყოს, სულერთია, მისი ერთგული მონა მაინც არ არის“. – შემდეგ დაუმატა, თუ როგორ სასტიკად სდევნიდა და სჯიდა მისი ყოვლადუწმინდესობა თავის მტრებს. პირჯვარს იწერდა მისუსტებული მონაზონი, არც იწონებდა, არც იწუნებდა მის საქციელს.

მილედი დარწმუნდა, რომ წინამძღვარი უფრო მეფის მომხრე უნდა ყოფილიყო, ვიდრე კარდინალისა და უფრო გაბედვით განაგრძობდა რიშელიეს გინებას.

– მე სრულიად არა გამეგება რა მაგ ამბებისა, – თქვა ბოლოს წინამძღვარმა, – მიწიერი ინტერესების ფარგლებიდან გამოსულნი, მთლად დაშორებულნი ვართ სასახლეს, მაგრამ მაინც ცუდ მაგალითებს ვხედავ თქვენს ნაამბობში. ჩვენც ერთი უბედური გვყავს აქ, ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ტანჯვა განუცდია საწყალს დევნითა და შურისძიებით.

– აქ გყავთ უბედური? – იკითხა მილედიმ, – ოჰ, ღმერთო ჩემო! საწყალი ქალი! ძალიან მებრალება.

– მართლაც შესაბრალისია – დატუსაღება, მუქარა, ავადმოპყრობა, ყველაფერი აუტანია საწყალს. ალბათ ბატონ კარდინალს ასეთი მკაცრი მოქცევისათვის საფუძვლიანი საბაბი ჰქონდა, თუმცა ანგელოზად გეჩვენებათ, რომ შეხედოთ, მაგრამ გარეგნობით ხომ ვერ განვსჯით ადამიანს.

„კარგი! – ფიქრობდა მილედი, – ვინ იცის? იქნება აქაც აღმოვაჩინო რაიმე, ძალიან კარგ გუნებაზეა დღეს ჩემი ბედი“... – და სრული გულუბრყვილობა გამოიხატა სახეზე.

– ეჰ – ამოიოხრა მილედიმ, – მეც ვიცი: სულ იმას ჩაგვჩიჩინებენ, არ უნდა ენდოთ სახის გამომეტყველებასო, მაგრამ მაშ რაღას ენდოს ადამიანი, თუკი ყოვლად ძლიერის საუკეთესო ქმნილებასაც კი არ ენდობა? ჩემი მხრივ, შეიძლება სულ ასე მოტყუებული დავრჩე მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ მინც ყოველთვის მივენდობი ადამიანს, თუ სანდოდ მეჩვენა მისი გამომეტყველება.

– მაშ, თქვენ ეჭვი გეპარებათ იმ ქალის დანაშაულში? – ჰკითხა წინამძღვარმა.

– განა მარტო დამნაშავეებს სდევნის ბატონი კარდინალი? არის ერთგვარი სათნოება, რომელთაც უფრო სასტიკად სჯის, ვიდრე დანაშაულს.

– ნება მიბოძეთ, ქალბატონო, გამოვთქვა ჩემი განცვიფრება, – უთხრა წინამძღვარმა.

– განცვიფრება? რით? – ჰკითხა მიამიტად მილედიმ.

– თქვენი სიტყვით.

– მერე, რა ნახეთ განსაცვიფრებელი ჩემს სიტყვაში? – ჰკითხა მილედიმ.

– თქვენ მეგობარი უნდა ბრძანდებოდეთ კარდინალისა, თქვენ მისი ნებართვით ხართ ჩენთან და, მიუხედავად ამისა...

– და მიუხედავად ამისა, ავი ვიკადრე, არა? – დაამთავრა მილედიმ მონაზვნის სიტყვა.

– დიახ, თუ ავი არა, არც კარგი იყო.

– რა ვქნა, რომ მეგობარი კი არა, პატიმარი ვარ მისი, – თქვა ოხვრით მილედიმ.

– ის წერილი, რომლითაც აქ გამოგგზავნათ?

– ეს ბრძანება გახლავთ, ერთგვარი დაპატიმრება... აქ ვეყოლები ცოტა ხანს, შემდეგ რომელიმე მხლებელს გამოგზავნის და იმას უბრძანებს ჩემს...

– მერე, რატომ არ გაექცევით?

– სად ჯანდაბაში დავემალები? განა არის სადმე ქვეყანაზე ისეთი ადგილი, რომ კარდინალი ვერ მისწვდეს, თუ კეთილი ინება და ხელი გაშალა? მე რომ კაცი ვყოფილიყავი, არ გამიჭირდებოდა, გავბედავდი, მაგრამ რას გახდება კარდინალთან ერთი ჩემსავით სუსტი ქალი? განა აქ რომ კარდინალის დევნილი ახალგაზრდა ქალი გყავთ, მან კი სცადა გაქცევა?

– არა, არ უცდია, მაგრამ ის სულ სხვაა, მე მგონი, მას საფრანგეთში ვიღაცის სიყვარული აჩერებს.

– თუ ასეა, – თქვა მილედიმ დ ამოიოხრა, – თუ უყვარს ვინმე, არც ისეთი უბედური ყოფილა.

– მაშ, ერთ საბრალო დევნილს კიდევ ვხედავ? – უთხრა წინამძღვარმა და დააშტერდა მილედის.

– ვაი, რომ ასეა! – უპასუხა მილედიმ.

ერთ წამს ისე უყურებდა მონაზონი მილედის, თითქოს გონებაში რაიმე შემაწუხებელმა ახალმა აზრმა გაურბინაო.

– თქვენ წინააღმდეგი ხომ არა ხართ თქვენი სარწმუნოებისა? – ჰკითხა ენის ბორძიკით.

– მე? მე – პროტესტანტი? – შეჰყვირა მილედიმ, – ოჰ, არა, ვიმოწმებ ღმერთს, რომელსაც ჩვენი ლაპარაკი ესმის, რომ პირიქით, გულმოდგინე კათოლიკე გახლავართ.

– მაშ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ქალბატონო – უთხრა წინამძღვარმა, – მონასტერში ხართ და მრისხანე საპატიმროდ არ გადაგექცევათ ეს ადგილი. ყოველ ღონისძიებას მივიღებთ, რომ სასიამოვნო გაგიხადოთ ეს ტყვეობა. გარდა ამისა, აქვე გყავთ ის ყმაწვილი ქალი, სასახლის ინტრიგის გამო დევნილი, ისეთი კარგი რამ არის, ლამაზი, გულჩვილი...,

– რა ჰქვია?

– ერთმა მეტად წარჩინებულმა პირმა გამომიგზავნა, კეტი ჰქვიაო, შემომითვალა, მეც აღარ ჩავძიებივარ, მისი ნამდვილი სახელი და გვარი გამეგო.

– კეტი?! – შეჰყვირა მილედიმ, – რაო? დარწმუნებული ბრძანდებით?

– იმაში, რომ კეტის ეძახიან? დიახ, ქალბატონო, იქნება იცნობდეთ?

მილედის უცბად გაურბინა ფიქრმა, რომ შეიძლება ეს ყმაწვილი ქალი მისი მოახლე ყოფილიყო, და გაეცინა. ამ გოგოს გახსენებას თან მოჰყვა აღმაშფოთებელი ამბის მოგონება და თან ისეთი მძლავრი სურვილი ჯავრის ამოყრისა, რომ მთლად შეუცვალა გამომეტყველება, თუმცა მაშინვე გონს მოეგო და ისევ ისეთი დამშვიდებული, გულკეთილი სახე მიიღო, რომელიც ამ რამდენიმე წუთის წინათ ჰქონდა.

– როდის შეიძლება მაგ ყმაწვილი ქალის ნახვა? ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა მისი გაცნობა, – ჰკითხა მილედიმ.

– დღეს საღამოს, – მიუგო წინამძღვარმა, – იქნება საღამომდეც, მაგრამ ოთხი დღეა, გზაში ყოფილხართ, დღესაც დილის ხუთ საათზე ამდგარხართ და მე მგონი, გირჩევნიათ მოსვენება, დაწექით და დაიძინეთ, სადილობისას გაგაღვიძებთ.

ძალიან კარგად გაუძლებდა მილედი ამ უძილობას. მით უფრო, რომ ახალი აღმოჩენის იმედი ჰქონდა და ეს უმაგრებდა ინტრიგებით გაუმაძღარ გულს, მაგრამ მაინც მაშინვე მიიღო წინამძღვრის რჩევა. უკანასკნელი თოთხმეტი თუ თხუთმეტი დღის განმავლობაში რამდენი სხვადასხვა სულიერი მღელვარება გადაეტანა და მისი რკინის აგებულება კიდეც რომ გამაგრებოდა დაღლას, სული მაინც მოსვენებას მოითხოვდა.

მონაზონი გამოეთხოვა და მილედიც მაშინვე მიწვა. იწვა და შურისძიების საამო ფიქრი, რომელიც ახლა კეტის სახელის ხსენებამ აუშალა, ტკბილ ნანასავით ესალბუნებოდა. აგონდებოდა კარდინალის მტკიცე დაპირება შეუზღუდავი და თავისუფალი მოქმედების შესახებ, თუკი მილედი მის წადილს განახორციელებდა. მან ხომ განახორციელა ეს წადილი! მაშ, დ არტანიანი უკვე მის ხელთ იყო! მხოლოდ ერთი რამ სცემდა შიშის ზარს მილედის. ეს იყო გახსენება თავისი ქმრისა, გრაფ დე ლა ფერისა, რომელიც დიდი ხნის მკვდრად მიაჩნდა, ან უცხოეთში გადაკარგულად, – ის კი ათოსად გადაქცეულიყო და დ არტანიანის საუკეთესო მეგობარი გამხდარიყო.

მაგრამ თუ მართლაც დ არტანიანის საუკეთესო მეგობარი იყო, მაშ, მასაც ხომ უნდა მიეღო მონაწილეობა მთელ იმ ამბავში, როდესაც დედოფალმა ისე ლამაზად გააცურა ყინულზე მისი ყოვლადუწმინდესობა? თუ ასეთი მეგობარი იყო დ არტანიანისა, მაშ, კარდინალის მტერი ყოფილა! ჰოდა, ახლა თვითონ იცის! ისეთი შურისძიების სუდარას შემოახვევს, რომ შიგ ჩაახრჩობს თავის მტერს.

მეტად ტკბილი იყო მილედისთვის ეს ფიქრი, ისე არწევდა, თითქოს აკვანში ჩაწოლილიყოს. ტკბილად ჩაეძინა.

ტკბილი ხმა მოესმა და იმან გამოაღვიძა. თვალი გაახილა, დაინახა წინამძღვარი და ქერათმიანი, მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, რომელიც კეთილმოსურნე ცნობისმოყვარეობით დასცქეროდა გაღვიძებულს.

ეს ქალი სრულიად უცნობი იყო მილედისათვის. ორივენი გულმოდგინედ, ყურადღებით სინჯავდნენ ერთმანეთს და თან ჩვეულებრივ შემოღებულ ქათინაურებს ამბობდნენ. მეტად მშვენივრები იყვნენ ორივენი. მაგრამ სრულიად განსხვავებული იყო მათი სილამაზე. მილედის სახეზე თვითკმაყოფილების ღიმილი ეფინა, ხოლო არისტოკრატული ქცევითა და დიდებული იერით, იგი გაცილებით სჯობდა ამ ახალგაზრდა ქალს. ისიც უნდა ითქვას, რომ

ახალგაზრდა ქალს უშნოდ შეკერილი მონაზვნის კაბა ეცვა და ცუდ სამსახურს უწევდა ამ შეჯიბრებაში.

მონაზონმა ქალები ერთმანეთს გააცნო. როდესაც ეს ვალდებულება მოიხადა, გამოეთხოვა მათ და მარტონი დატოვა. ეკლესიისკენ გაეშურა, სადაც საქმე ჰქონდა. ახალგაზრდა მორჩილმა ქალმა რომ შეხედა, მილედი ისევ იწვა, უნდოდა თან გაჰყოლოდა წინამძღვარს, მაგრამ გვიანდა იყო.

– როგორ, ქალბატონო? – დაუძახა მილედიმ, – ჯერ ხეირიანად არც კი დამინახიხართ და უკვე გამირბირხართ? მერე, რომ იცოდეთ, რა დიდი იმედი მაქვს თქვენი, მანამ აქა ვარ.

– არა, ქალბატონო, – მიუგო მორჩილმა, – ცუდი დროა გაცნობისათვის და არ მინდა თქვენი შეწუხება. დაღლილი უნდა იყოთ და ისვენებთ.

– განა რას უნდა ნატრობდეს მძინარე, თუ არა სასიამოვნო გაღვიძებას? თქვენც სწორედ ასე გამომაღვიძეთ და რაკი გამაღვიძეთ, ახლა თქვენი ბაასით დამატკბეთ.

მილედიმ ხელი დაუჭირა და იქვე, თავის საწოლთან, სავარძელში ჩასვა.

– რა უბედური ვარ, ღმერთო ჩემო! – თქვა მორჩილმა, – აი, უკვე ექვსი თვე სრულდება, რაც აქა ვარ, და არავითარი გართობა ჩემთვის არ არსებობს... ახლა თქვენ მოხვედით, თქვენთან ყოფნა, ვგრძნობ, მომხიბლავი იქნება, მაგრამ ახლა ალბათ მე თვითონ ძალიან ცოტა ხანს დავრჩები ამ მონასტერში.

– როგორ? განა მიბრძანდებით სადმე?

– არ ვიცი, მაგრამ იმედი კი დიდი მაქვს, – უთხრა მორჩილმა დიდი სიხარულით და არც ცდილობდა თავისი სიხარულის დამალვას.

– ჰო, ყური მოვკარი, თურმე დიდი ტანჯვა აგიტანიათ კარდინალისაგან, – განაგრძო მილედიმ, – თუ ეს მართალია, მაშინ კიდევ უფრო გულითადი იქნება ჩვენი მეგობრობა.

– მაშ, ჩვენმა კეთილმა წინამძღვარმა მართალი მითხრა? თქვენც გაწვალათ იმ ბოროტმა მღვდელმა?

– ჩუმად! – უთხრა მილედიმ, – აქაც კი ავს ნურას ვიტყვით მის შესახებ! რომ იცოდეთ, რამდენი ვაი-ვაგლახი გადამხდა მარტო იმიტომ, რომ მეც თქვენსავით სწორედ ეგ სიტყვები წამომცდა ერთ ქალთან, რომელიც მეგობრად მიმაჩნდა და იმ მეგობარმა კი დამაბეზღა! – მაშ, თქვენც ღალატის გამო ხართ წამებული?

– არა, ჩემი ერთგულების გამო ვარ წამებული, გაგიჟებით მიყვარდა ერთი ქალი, თავს გავწირავდი იმისთვის, სიცოცხლეს არ დავიშურებ დღესაც...

– იმან კი გაჭირვებაში მიგატოვათ, არა?

– იმდენად უსამართლოდ და აჩქარებით ვსჯიდი, რომ მეც ასე მეგონა, მაგრამ ეს ორი-სამი დღეა, ჩემი დასკვნის უსაფუძვლობის საბუთი მივიღე და მადლობას ვწირავ ღმერთს. ძალიან მძიმე იყო ჩემთვის იმის წარმოდგენა, რომ მან დამივიწყა... თქვენ კი ქალბატონო, – განაგრძო მორჩილმა, – თქვენ, ვგონებ, თავისუფალი ბრძანდებით, და გაქცევა რომ მოგენდომებინათ, ადვილად აისრულებდით წადილს.

– მერე, სად წავიდე?! არც მეგობრები მყავს, არც ფული მაქვს! გადმოკარგული ვარ საფრანგეთის იმ ნაწილში, სადაც ჩემს დღეში არ ვყოფილვარ, აქაურობას სრულებით არ ვიცნობ.

– ოჰ! – შეჰყვირა მორჩილმა, – მეგობრებს თქვენ ყველგან გაიჩენთ, რაც უნდა მოხდეს, გულკეთილი ჩანხართ, ისეთი მშვენიერი ხართ.

– მიუხედავად მაგისა, – მიუგო მილედიმ და ისე დაიტკბო ღიმილი, რომ ანგელოზის გამომეტყველება მიეღო, – მაინც მარტოდმარტო ვარ ამქვეყნად, დევნილი.

– ყური დამიგდეთ, – უთხრა მორჩილმა, – თავის გასამაგრებლად ადამიანს ყოველთვის განგების იმედი უნდა ჰქონდეს, ერთხელაც იქნება, დადგება დღე,

როდესაც თქვენ მიერ დათესილი სიკეთე ხმას ამოიღებს ღვთის წინაშე თქვენს სასარგებლოდ, იქნებ თქვენი ბედი იყოს, აქ ჩემისთანა სუსტ, უბრალო ადამიანთან შეხვედრა. იცოდეთ, თუ როგორმე გავედი აქედან, მეგობრებს დავიხმარ და, როგორც ჩემს განთავისუფლებას აპირებენ, არც თქვენს შველას დაიზარებენ.

– ოჰ, მარტოდმარტო ვარ-მეთქი, რომ ვთქვი, – განაგრძო მილედიმ თავის თავზე ლაპარაკი იმ განზრახვით, რომ უფრო მოენადირებინა ქალის გული და გულახდილი ყოფილიყო მასთან, – იმას კი არ ვგულისხმობდი, თითქოს არავინ მყავდეს, კარგი ნაცნობები მყავს, ძალიან წარჩინებულნი, მაგრამ რას გააწყობენ, ისინი თვითონვე კანკალებენ კარდინალის შიშით! თვითონ დედოფალსაც ვერ გაუბედავს კარდინალის წინააღმდეგობა. დანამდვილებით ვიცი, რომ მისი ყოვლადუდიდებულესობა, მიუხედავად მისი გულკეთილობისა, არაერთხელ გახდა იძულებული, მისი ყოვლადუწმინდესობის მძვინვარებისთვის დაეთმო თავისი ერთგული მოსამსახურენი.

– მე დამიჯერეთ, ქალბატონო, დედოფალს ხანდახან განგებ ისე უჭირავს თავი, თითქოს დავიწყებული ჰყავდეს თავისი ერთგული მოსამსახურენი, მაგრამ გარეგნობას არ უნდა ენდოთ: რამდენადაც მეტად არიან დევნილი მისი ერთგულნი, იმდენად მეტად ზრუნავს მათთვის დედოფალი... და ხშირად მოხდება ხოლმე, სწორედ მაშინ ეწევათ დედოფლის დახმარება, როდესაც აღარც კი აქვთ ამისი იმედი.

– მჯერა, მჯერა, – თქვა მილედიმ, – მეტად გულკეთილია დედოფალი.

– ოჰ, მაშ, იცნობთ ჩვენს მშვენიერ, დიდსულოვან დედოფალს? – შეჰყვირა აღტაცებით მორჩილმა.

– პირადად არ ვიცნობ, – მიუგო მილედიმ, რადგან იგრძნო, რომ ძალიან შორს შეტოპა, – პირადად არ ვიცნობ, მაგრამ კარგად ვიცნობ მის ბევრ საუკეთესო მეგობარს: ვიცნობ დე პიუნტაჟს, ბატონ დიუჟარს, ბატონ დე ტრევილს...

– ბატონ დე ტრევილს? ბატონ დე ტრევილს იცნობთ? – წამოიძახა ქალმა.

– დიახ, ძალიან კარგად, მეტად კარგად.

– მეფის მუშკეტერების კაპიტანს?

– დიახ, მეფის მუშკეტერების კაპიტანს.

– ოჰ, – შეჰყვირა მორჩილმა, – მაშ, ჩვენ ისე დავუახლოვდებით ერთმანეთს, როგორც დიდი ხნის ნაცნობები, როგორც გულითადი მეგობრები... თუ ბატონ დე ტრევილს იცნობთ, მაშ, რაღა თქმა უნდა, იმასთანაც ყოფილხართ სახლში.

– დიახ, ხშირად! – უპასუხა მილედიმ. იგი გრძნობდა, რომ ტყუილს ადვილად იჯერებდნენ, და გადაწყვიტა, ბოლომდე მიჰყოლოდა.

– მაშ, მის მუშკეტერებსაც ნახავდით, რამდენიმე კაცი ჰყავდა დამეგობრებული.

– დიახ, რომლებიც სახლში დაიარებიან ბატონ დე ტრევილთან, – მიუგო მილედიმ და მოუთმენლად ელოდა შემდეგ კითხვას, მას მეტად საინტერესოდ მიაჩნდა ეს ბაასი.

– დამისახელეთ რამდენიმე კაცი, თქვენი ნაცნობი, და ნახავთ, რომ სულ ჩემი მეგობრები არიან.

– რა ვიცი, რომელი ერთი დაგისახელოთ? – უპასუხა ყოყმანით მილედიმ, – ბატონი დე სუვინი, ბატონი დე კურტივრონი, ბატონი ფერუსაკი...

მორჩილმა ლაპარაკი დააცადა და როდესაც დარწმუნდა, რომ ამით ათავებდა, ჰკითხა:

– ათოსს კი არ იცნობთ?

ისე გაფითრდა მილედი, როგორც ის ზეწარი, რომელიც ზედ ეხურა, და თუმცა თავის გრძნობების მძლავრი ბატონ-პატრონი იყო, მაინც თავი ვერ

შეიკავა, დაიკივლა და ხელი სტაცა თავის თანამოსაუბრეს, თან თვალს არ აშორებდა.

–ვაიმე, რა დაგემართათ? ოჰ, ღმერთო დიდებულო! – ეკითხებოდა საწყალი ქალი, – ნუთუ ისეთი რამ ვთქვი, რომ გაწყენინეთ?

– არა, არა! ოღონდ უცნაურად მეჩვენა ეს სახელი, რადგან მე ვიცნობდი მაგ ყმაწვილს და უცნაურად მეჩვენა ისეთ ადამიანთან შეხვედრა, რომელიც მას კარგად იცნობს.

– ოჰ, დიახ! კარგად ვიცნობ, კარგად! მასაც, მის მეგობრებსაც: ბატონ პორთოსს, ბატონ არამისსაც.

– მართლა? მე მათაც ვიცნობ! – თქვა მილედიმ და გრძნობდა, რომ გულამდე ჩასწვდა სიცივე.

– რაკი იცნობთ, აბა ისიც გეცოდინებათ, რა კარგი ბიჭები არიან და რატომ მათ არ მიმართავთ, თუ დახმარება გჭირდებათ?

– ვიცნობ, მაგრამ დაახლოებული არა ვარ მათთან, – წაილუღლუღა მილედიმ, – ვიცნობ, რადგან სულ იმათ ხსენებაში იყო ერთი მათი მეგობარი, ბატონი დ არტანიანი.

– მაშ, დ არტანიანსაც იცნობთ? – შეჰყვირა მორჩილმა, ხელი სტაცა მილედის ხელს და თვალებში ჩააშტერდა, მერე, როდესაც მილედის უცნაური გამომეტყველება დაინახა, ჰკითხა:

– უკაცრავად, ქალბატონო, როგორ იცნობთ? რა არის თქვენი დ არტანიანი?

– რა უნდა იყოს? – მიუგო შეძრწუნებულმა მილედიმ, – მეგობარია ჩემი.

– მე თქვენ მატყუებთ, ქალბატონო, თქვენ მისი საყვარელი იყავით!

– მისი საყვარელი თქვენ იყავით! – შეჰყვირა მილედიმ.

– მე?

– დიახ, თქვენ, ახლა კი გიცანით, თქვენა ხართ ქალბატონი ბონასიე?

განცვიფრებულმა და შეშინებულმა ახალგაზრდა ქალმა უკან დაიწია.

– ოჰ, მაგას ნუ უარყოფთ! რა გაქვთ დასამალავი? – უთხრა მილედიმ.

– მაშ, ასე, ქალბატონო, მაშ, ჩვენ ერთმანეთის მეტოქეები ვართ.

ისეთი მხეცური ალი მოედო მილედის, რომ საწყალი ქალბატონი ბონასიე სირბილით უშველიდა თავს, რომ ეჭვებს არა ჰყოლოდათ დამონებული.

– აბა, თქვენც პირდაპირ მითხარით, – განაგრძო ქალბატონმა ბონასიემ ისეთი ძალით, რომ ვერავინ წარმოიდგენდა მისგან ამ გამძლავრებას, – დ არტანიანის საყვარელი ბრძანდებოდით თუ დღესაც ბრძანდებით!

– ოჰ, არა! – შეჰყვირა მილედიმ ისეთი ზიზღით, რომ შორს ისროდა ყოველგვარ ეჭვს, – არასოდეს.

– მჯერა თქვენი, მაგრამ ეს მითხარით, ასე რად შეჰკივლეთ? – მიმართა ქალბატონმა ბონასიემ.

– როგორ? ნუთუ თქვენ კი ვერ მიხვდით? – უპასუხა მილედიმ, რომელსაც გაუნელდა მღელვარება და გრძნობები დაიმორჩილა.

– როგორ მივხვდებოდი, რომ არა ვიცი რა?

– ნუთუ ვერ მიხვდით, ბატონმა დ არტანიანმა, რომელიც ჩემი მეგობარია, ყველა თავისი საიდუმლო გამანდო.

– მართლა?

– ნუთუ ვერ მიხვდით, რომ მართლა დაწვრილებით ვიცი ყველაფერი? თქვენი მოტაცება სენ-ჟერმენის პატარა სახლიდან, მისი მწუხარება, თანაგრძნობა მისი მეგობრებისა, და მათ მიერ ამაოდ წარმოებული თქვენი ძებნა? და როგორ გინდათ, გაკვირვებული არ ვიყო, როდესაც ასე მოულოდნელად ჩემთან ვხედავ ქალბატონს, რომლის შესახებ მე და დ არტანიანს ისე ხშირად გვქონია ბაასი? რომ იცოდეთ, რა გაგიჟებით უყვარხართ! და როგორ შემაყვარა თქვენი თავი. ჯერ მაშინ, როდესაც არც კი მენახეთ. აჰ! ჩემო საყვარელო კონსტანცია! მაშ,

ბოლოს და ბოლოს, ძლივს გიპოვეთ და ჩემი თვალით გხედავთ, – უთხრა თუ არა ეს, მკლავები მოხვია ქალბატონ ბონასიეს, რომელსაც ჭეშმარიტება ეგონა მილედის სიტყვები და უკვე გულითად მეგობრად მიაჩნდა, აღარც კი ახსოვდა, რომ რამდენიმე წუთის წინ თავის მეტოქეობასაც კი სწამებდა.

– ოჰ, მაპატიეთ, მაპატიეთ! – სთხოვა მან მილედის და თავი დაუშვა მის მხარზე, – რომ იცოდეთ, რა ძალიან მიყვარს!

ერთ წუთს ასე ჩაკრულები იყვნენ ქალები და, ვგონებ, საჭირო არ არის ამის განმარტება, იმდენი ძალა რომ ჰქონოდა მილედის, რამდენიც სიძულვილი ედო გულში, ცოცხალი ვერ გადარჩებოდა ქალბატონი ბონასიე ამ ჩაკონებას.

და რადგან დახრჩობა არ შეეძლო, ტკბილად გაუცინა.

– ოჰ, ჩემო მშვენიერო! ჩემო ტკბილო გოგონავ! – უალერსებდა მილედი, – რა ბედნიერი ვარ, რომ თქვენი ნახვა მეღირსა. დამაცადეთ, გავძღე თქვენი მზერით! – ამბობდა იგი და მართლაც თვალით ნთქავდა.

– დიახ, თქვენა ხართ, თქვენა? სწორედ ისეთი ხართ, როგორიც მან ამიწერა. ჰო, რომ მაგონდება მისი ნათქვამი, ნამდვილად გცნობილობთ.

როგორ წარმოიდგენდა საწყალი ქალი, რა საშინელი ფიქრი უტრიალებდა მილედის თავში, როდესაც მისი თვალები მისდამი მხოლოდ თანაგრძნობას გამოხატავდნენ.

– მაშ, თქვენ გეცოდინებათ, რა ტანჯვა გადავიტანე, – უთხრა ქალბატონმა ბონასიემ, – თუკი დ არტანიანმა გიამბოთ თავისი წამება, მაგრამ არაფერია, სიყვარულისათვის ტანჯვა ნეტარებაა.

– ნეტარებაა, – გაიმეორა მილედიმაც მისდა უნებურად, თუმცა თვითონ სულ სხვას ფიქრობდა.

– ეგეც არ იყოს, მგონი, ძალიან მალე ბოლო მოეღება ჩემს ტანჯვას, – დაიწყო ისევ ქალბატონმა ბონასიემ. – ხვალ, ან იქნებ ამ საღამოსაც, ვნახავ ჩემს საყვარელს და სულ დავივიწყებით წარსულს.

– ხვალ? და იქნებ ამ საღამოსაც! – შეჰყვირა უცებ გამოფხიზლებულმა მილედიმ, – რის იმედი გაქვთ? განა ამბავს ელით რაიმეს?

– თვითონ დ არტანიანს ველი.

– თვითონ დ არტანიანს ელით? აქ ელით?

– დიახ.

– შეუძლებელია! ლაროშელში არის, ჯარში, კარდინალთან, ვერ დაბრუნდება, სანამ იმ ქალაქს არ აიღებენ.

– თქვენ ასე გგონიათ, მაგრამ განა არის რაიმე შეუძლებელი ჩემი დ არტანიანისათვის?

– ვერა, ვერ წარმომიდგენია!

– ვერ წარმოგიდგენიათ? მაშ, აბა ეს წაიკითხეთ, – უთხრა სიამაყით და სიხარულით გატაცებულმა საწყალმა ქალმა და წერილი გაუწოდა მილედის.

„ქალბატონ დე შევრეზის ხელია! – გაიფიქრა მილედიმ – განა არ ვიცოდი, რომ ისიც ამ ბანაკში იყო“. – შემდეგ ხარბად წაიკითხა ეს რამდენიმე სტრიქონი:

„მზად იყავით, ჩემო საყვარელო გოგონავ! მალე განახავთ ჩვენი მეგობარი და განახავთ მარტო იმიტომ, რომ გაგიტაცოთ საპატიმროდან, სადაც თქვენს ჩამწყვდევას მოითხოვდა თქვენივე სიცოცხლის უზრუნველყოფა. მაშ, მოემზადეთ წასასვლელად და არასოდეს არ დაკარგოთ ჩვენი იმედი.

ჩვენმა ყოჩაღმა გასკონელმა, როგორც ყოველთვის, ახლაც ერთხელ კიდევ გამოიჩინა თავისი ვაჟკაცობა და ერთგულება. უთხარით, რომ ერთგან ძალიან მადლიერნი არიან მისი რჩევისა“.

– დიახ, დიახ, – მოუწონა მილედიმ, – დიახ გადაჭრით გპირდებათ, ხომ არ იცით, რა რჩევა იყო?

– არა, მაგრამ, მე ვფიქრობ, დედოფალი გააფრთხილა, რომ კარდინალი მას ახალ განსაცდელს უმზადებდა.

– დიახ, უდავოდ ასეა, – მიუგო მილედიმ, წერილი უკანვე მისცა და თავი დაფიქრებით ჩაქინდრა.

ამ დროს ჭენებით მომავალი ცხენის თქარათქური გაისმა.

– ოჰ, – შეჰკივლა ქალბატონმა ბონასიემ და ფანჯარას ეცა, – ნუთუ ის არის?

ამ მოულოდნელი გარემოებით გაქვავებული მილედი ლოგინზევე დარჩა. ამ ცოტა ხნის განმავლობაში იმდენი რამე მოხდა, რომ თავის სიცოცხლეში პირველად დაებნა გონება.

– ვაი, რომ ის არ არის! – დაუძახა ქალბატონმა ბონასიემ, – ვიღაც ჩემთვის უცნობი კაცია. თუმცა, როგორც ეტყობა, აქეთკენ მოდის, დიახ, შეაჩერა ცხენი, კარებთან დადგა, აგერ, დარეკა.

წამოხტა მილედიც.

– ნამდვილად ის არ არის?

– რაღა თქმა უნდა!

– იქნება კარგად ვერ დაინახეთ?

– ოჰ, მისი ქუდის ბუმბული და მისი წამოსასხამის კალთის ბოლო რომ დავინახო, მაშინვე ვიცნობ!

მილედი ჩაცმას განაგრძობდა.

– მაგრამ ის კაცი აქეთკენ მოდის?

– დიახ, ეტყობა, ან თქვენთან მოდის, ან ჩემთან. ოჰ, ღმერთო ჩემო! რამ აგაღელვათ ასე?

– რა ვქნა, უნდა გამოვტყდე, რომ თქვენსავით გულდაჯერებული არა ვარ, კარდინალისა მეშინია.

– ჩუმად, – გააფრთხილა ქალბატონმა ბონასიემ, – აქეთ მოდიან. – მართლაც, კარი გაიღო და შემოვიდა წინამძღვარი, რომელმაც პირდაპირ მიმართა მილედის:

– თქვენა ბრძანდებით ბულონიდან მოსული?

– დიახ, მე გახლავართ, – უპასუხა მილედიმ, თან ცდილობდა, გულცივობა ეჩვენებინა, – ვინ მკითხულობს?

– ვიღაც კაცია, თავის სახელს არ ამხელს, მაგრამ იძახის, კარდინალისაგან ვარ გამოგზავნილიო.

– და ჩემი ნახვა უნდა?

– ბულონიდან მოსული ქალის ნახვა უნდა.

– მაშ, ბრძანეთ, შემოიყვანონ, მე გახლავართ ბულონიდან მოსული.

– ოჰ, ღმერთო, ღმერთო! – გმინავდა ქალბატონი ბონასიე, – ნუთუ კიდევ ახალი უბედურებაა?

– მეც მაგისი მეშინია.

– მე წავალ, მარტო გტოვებთ იმ უცხო კაცთან, მაგრამ როგორც კი წავა, თუ ნებას მომცემთ, მაშინვე თქვენთან შემოვალ.

– როდესაც გნებავდეთ.

წინამძღვარი და ქალბატონი ბონასიე გავიდნენ, მილედი მარტო დარჩა და თვალს ვეღარ აშორებდა კარს. ცოტა ხნის შემდეგ კიბიდან ფეხის ხმა და დეზის ჩხარუნი გაისმა. შემდეგ კარი გააღეს.

მილედიმ სიხარულით შეჰკივლა.

ეს კაცი გრაფი როშფორი იყო, მისი ყოვლადუწმინდესობის წყეული სული.

XXXII

ქაჯის ორი სახეობა

– აჰ! – შეჰყვირეს ერთად როშფორმა და მილედიმ, – თქვენა ხართ?
– დიახ, მე გახლავართ.
– საიდან მოდიხართ? – ჰკითხა მილედიმ.
– ლაროშელიდან, თქვენ?
– ინგლისიდან.
– ბუკინგამი?
– მკვდარია ან მძიმედ დაჭრილი. ერთი ისეთი ფანატიკოსი მივუგზავნე, რომ უსათუოდ გამოასალმებდა სიცოცხლეს.
– აჰ! – წამოიძახა სიცილით როშფორმა, – აი, ბედნიერი შემთხვევა, ძალიან დაგიმადლებთ მისი ყოვლადუწმინდესობა, შეატყობინეთ?
– ბულონიდან მივწერე, თქვენ აქ როგორ გაჩნდით?
– თქვენი ამბის უცოდინარობას წუხდა მისი ყოვლადუწმინდესობა და მე გამომგზავნა თქვენს საძებნელად.
– გუშინ მოვედი.
– და რას აკეთებდით გუშინდელ დღეს?
– მე დროს არა ვკარგავ.
– ეს კარგად ვიცი, მაინც?
– იცით, ვის შევხვდი აქ?
– არა.
– გამოიცანით!
– როგორ უნდა გამოვიცნო?
– იმ ახალგაზრდა ქალს, საპატიმროდან რომ გამოიყვანა დედოფალმა.
– დ არტანიანის საყვარელს?
– დიახ, ქალბატონი ბონასიე. ბატონმა კარდინალმა რომ ვერსად იპოვა.
– ძალიან კარგი! – ეამა როშფორს, – ესეც მეორე ბედნიერი შემთხვევა, ბედის მხრივ მართლა რომ წარჩინებული კაცი ბრძანდება ჩვენი კარდინალი.
– წარმოიდგინეთ, როგორ გამიკვირდა, – განაგრძო მილედიმ, – იმ ქალბატონთან პირისპირ შეხვედრა.
– გიცნოთ?
– არა.
– მაშ, ისე გიყურებთ, როგორც უცნობს?
მილედიმ სიცილი დაიწყო.
– მისი საუკეთესო მეგობარი ვარ.
– ჩემს სახელს ვფიცავ, ჩემო ქალბატონო, ამქვეყნად მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ასეთი სასწაულებრივი საქმეების წარმოება.
– ძალიან დროზედაც მოეწყო ეს სასწაული, ჩემო რაინდო, რადგან... იცით, რას გვიპირებენ?
– არა.
– ხვალ თუ ზეგ დედოფლის ბრძანებას მოიტანენ იმ ქალის წასაყვანად.
– კარგით, ერთი! ვინ მოიტანს?
– დ არტანიანი და მისი მეგობრები.
– იმდენს იზამენ ის უბედურები, რომ იძულებულნი გავხდებით ბასტილიის ციხეში ჩავყაროთ ყველანი.
– რატომ აქამდე არ ჩაჰყარეთ?
– რას იზამთ? ძალიან მოსწონს კარდინალს. ვერ გამიგია, რა აქვთ მოსაწონი ამ ყაჩაღებს?
– ძალიან მოსწონს?
– მეტისმეტად.

– როშფორ, უთხარით კარდინალს, რომ „წითელი სამტრედის“ ტრაქტირში ყოფნის დროს იმ ოთხმა მუშკეტერმა თავიდან ბოლომდე მოისმინა ჩვენი ბაასი, უთხარით, რომ მისი წასვლის შემდეგ ჩემთან შემოვარდა ერთი მათგანი და ხელიდან გამომგლიჯა კარდინალის მიერ მოცემული ნებართვა, უთხარით, რომ მათ აცნობეს ლორდ უინტერს ჩემი ინგლისს წასვლა, და კინაღამ ჩამიშალეს კარდინალის დავალების შესრულება, როგორც ამასწინათ ჩამიშალეს ბურნუკების საქმე; უთხარით, რომ ოთხში მარტო ორია საშიში – დ არტანიანი და ათოსი. უთხარით, რომ მესამე, არამისი, საყვარელია ქალბატონ დე შევრეზისა... თავი დავანებოთ მას, ხომ ვიცით მისი საიდუმლოება, მაშ, იქნება გამოვიყენოთ რამეში, რაც შეეხება მეოთხეს – პორთოსს, მტკნარი სულელი და თავმომწონე ქარაფშუტაა. სრულიად უმნიშვნელო.

– კი მაგრამ, ამჟამად ისინი ხომ ლაროშელში უნდა იყვნენ და აქ როგორ მოვლენ?

– მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ ქალბატონ ბონასიეს წერილი მოსვლია კონეტაბლის ცოლისაგან და ის უბედური იმდენად გაუფრთხილებელია, რომ მაჩვენა ბარათი, ამიტომ ვამბობ, რომ ოთხივე აქეთ მობრძანდება იმ ქალბატონის წასაყვანად.

– ვაი, გამიწყრა ღმერთი, ახლა რა ვქნათ?

– რა გითხრათ კარდინალმა ჩემს შესახებ?

– მივიღო თქვენგან სიტყვიერი და წერილობითი ცნობები და მაშინვე საფოსტო ეტლით გავემგზავრო მასთან. როდესაც გაიგებს, რომ გაარიგეთ, მოგცემთ ახალ განკარგულებას.

– მაშ, აქ უნდა დავრჩე?

– აქ ან აქვე, ამ მიდამოებში.

– არ შეიძლება, თან წამიყვანოთ?

– არა, ბრძანება კატეგორიულია, ლაროშელის ბანაკის ახლოს რომ ვიყოთ სადმე, შეიძლება გიცნონ და თქვენი იქ ნახვა, დამეთანხმებით, სახელს გაუტეხს მის ყოვლადუწმინდესობას.

– მაშ, აქ უნდა ველოდო ან აქვე სადმე სოფელში?

– მხოლოდ წინასწარ მითხარით, სად იქნებით, რომ კარდინალის ბრძანება გადმოგცეთ.

– აი, რა გითხრათ: შეიძლება აქ ვეღარც კი დავრჩე.

– რატომ?

– თქვენ გავიწყდებათ, რაც წეღან გითხარით, აქ შეიძლება ჩემი მტრები მოვიდნენ და ძალიან ჩქარაც.

– ეგ მართალია. მაშ, ხელიდან გაუსხლტება კარდინალს ის ახალგაზრდა ქალი?

– ასე გგონიათ? – ჰკითხა მილედიმ იმ ღიმილით, რომელიც მის გარდა სხვას არავის ჰქონია, – გავიწყდებათ, ბატონო, რომ გულითადი მეგობრები ვართ მე და ის ქალი.

– აჰ, ეგეც მართალია! მაშ, შემიძლია მოვახსენო ბატონ კარდინლს იმ ქალის შესახებ, რომ...

– რომ დამშვიდებული ბრძანდებოდეს.

– სულ ეს არის? სხვა არაფერი?

– თქვენ ეს უთხარით და დანარჩენს თვითონვე მიხვდება.

– თვითონვე მიხვდება. ახლა ეს მითხარით, მავალებთ რამეს?

– არაფერს, თქვენ ახლავე უნდა წახვიდეთ. მე მგონი, ისეთი კარგი ამბავი მიგაქვთ, რომ დაჩქარება ემჯობინება.

– კარეტა გამიტყდა, ლილერში რომ შევდიოდი.

– ძალიან კარგი!

– როგორ თუ ძალიან კარგი?
– დიახ, მე დამჭირდება თქვენი კარეტა.
– მაშ, მე როგორღა წავიდე?
– კარგი ცხენით.
– რა ადვილად სჯით: ას ოთხმოცი ლიე ცხენით!
– არაფერია.
– კარგი, ცხენით. მერე?
– მერე, ლილერში რომ ჩახვალთ, კარეტა მე გამომიგზავნეთ,
თქვენს მსახურს კი უბრძანეთ, დარჩეს და ჩემს ბრძანებას ელოდოს.
– კარგით.
– კარდინალის ნებართვა გექნებათ რაიმე, რაღა თქმა უნდა?
– ნებართვა სრულუფლებიანი მოქმედებისა.
– მაგ ნებართვას მონასტრის წინამძღვარს აჩვენებთ და ეტყვით, რომ ჩემს წასაყვანად მოვლენ ან დღეს, ან ხვალ და მეც ვალდებული ვიქნები, გავყვე მას, ვინც თქვენი სახელით გამოცხადდება.
– ძალიან კარგი.
– არ დაგავიწყდეთ, მკაცრად მაძაგეთ წინამძღვართან.
– ეგ რისთვის?
– მე დევნილი ვარ, კარდინალისაგან წამებული, ამით მინდა მოვიპოვო სრული ნდობა იმ სულელ ქალბატონ ბონასიესი.
– ეგეც მართალია, მოდით ახლა და წერილობით დაწერეთ ყოველივე, რაც მოხდა.
– აკი დაწვრილებით გითხარით ყველაფერი! მეხსიერება კარგი გაქვთ, თქვენც ის მოახსენეთ, რაც მე გითხარით. ადვილად იკარგება ქაღალდი.
– მაგაშიც მართალი ხართ, მხოლოდ მინდა ვიცოდე, სად გიპოვოთ, რომ ამაო ხეტიალი არ მომიხდეს.
– მართალია, მომითმინეთ.
– რუკა ხომ არ გნებავთ?
– ოჰ! საგანგებოდ ვიცნობ მე ამ მხარეს.
– იცნობთ? როდის იყავით აქ?
– აქ გავიზარდე.
– მართლა?
– ხომ ხედავთ, ცოტაოდენი სარგებლობის მოტანა შესძლებია იმ მხარეს, სადაც აღზრდილა ადამიანი.
– მაშ, სად მელით?
– მოითმინეთ, ერთწამს დავუფიქრდე... ოჰ, აი, არმანტიერში გელით.
– არმანტიერი რაღაა?
– პატარა ქალაქია ლის პირას, მდინარეს გავალ და უკვე უცხოეთში ვარ.
– ჩინებულია! მაგრამ, ცხადია, მდინარის გაღმა მხოლოდ და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გახვალთ.
– ცხადია,
– მე როგორღა მოგძებნოთ?
– თქვენი მსახური დაგჭირდებათ?
– არა.
– სანდო კაცია?
– დიახ. გამოცდილი მყავს.
– მე დამიტოვეთ, მას არავინ იცნობს, ჩემი წასვლის შემდეგ აქ დავტოვებ და ის წამოგიყვანთ, სადაც ვიქნები.
– თუ გაჭირდა, არმანტიერში მელოდებით?
– არმანტიერში.

– პატარა ქაღალდზე დამიწერეთ ეს სახელი, თორემ ვაითუ დამავიწყდეს, პატარა ქალაქის სახელის აღნიშვნაში საშიშს ხომ არაფერს ხედავთ?

– ვინ იცის? კარგით, ასე იყოს, – უთხრა მილედიმ, პატარა ქაღალდი ჩამოხია ფურცელს, დაწერა ეს სიტყვა და როშფორს მისცა, – აი, ინებეთ, თუმცა ვგრძნობ, რომ სიფრთხილე მავიწყდება.

– გმადლობთ, – უთხრა როშფორმა, ქაღალდი ჩამოართვა, დაკეცა და ქუდის სარჩულში ამოდო, – დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მეც ისე მოვიქცევი, როგორც ბავშვებმა იციან: თუ ღმერთი გამიწყრა და დამეკარგა ეს ქაღალდი, მე მაინც მეცოდინება, – გზაში სულ არმანტიერის ძახილით ვივლი, რომ არ დამავიწყდეს.

– დიახ, სხვა აღარაფერი მაქვს დასაბარებელი.

– მაშ, აბა, გავიმეორო: ბუკინგამი მოკლული ან სასიკვდილოდ დაჭრილია; თქვენი და კარდინალის ბაასი ოთხი მუშკეტერის მიერ მოსმენილია; ლორდ უინტერს წინასწარ აცნობეს, რომ თქვენ პორტსმუტს მიდიოდით. დ არტანიანს და ათოსს – ბასტილიის ციხე; არამისი – ქალბატონ დე შევრეზის საყვარელი; პორთოსი – ქარაფშუტა; ქალბატონ ბონასიეს აღმოჩენა მონასტერში; ჩემი კარეტის სასწრაფოდ თქვენკენ გამოგზავნა; ჩემი მსახურის თქვენთან დატოვება; მონასტრის წინამძღვართან თქვენი გინება; არმანტიერი ლის პირას. სულ ეს არის, არა?

– ჩემო რაინდო, ჭეშმარიტად სასწაულებრივი მეხსიერების კაცი ხართ. კიდევ ერთი...

– რა?

– მე შევამჩნიე, რომ მონასტრის ბაღს უკან მშვენიერი ტყე აკრავს, უთხარით წინამძღვარს, უფლება მომცენ, ტყეში ვისეირნო, ვინ იცის? იქნება მონასტრის ბაღიდან დამჭირდეს გასვლა.

– წინასწარ ითვალისწინებთ ყველაფერს!

– თქვენ გავიწყდებათ...

– რა მავიწყდება?

– გავიწყდებათ, მკითხოთ, ფული ხომ არ მჭირდება?

– მართლა! რამდენი გნებავთ?

– რაც კი გაქვთ თან ოქროს ფული.

– ხუთას პისტოლამდე უნდა მქონდეს.

–მეც მაგდენივე მაქვს, ათასი პისტოლით სიკვდილსაც გაუმაგრდება კაცი.

– აი, ინებეთ, მილედი.

– გმადლობთ! მაშ, მიდიხართ?

– ერთი საათის შემდეგ. პატარა ხანი მინდა, რომ შევნაყრდე, სანამ ცხენს მომიყვანენ ფოსტიდან.

– ძალიან კარგი! მაშ, ნახვამდის, რაინდო!

– ნახვამდის, მილედი!

– შემავედრეთ კარდინალს!

– შემავედრეთ სატანას!

მილედიმ და როშფორმა გაიცინეს და ერთმანეთს გამოეთხოვნენ.

ერთი საათის შემდეგ სწრაფად წავიდა გრაფი როშფორი. ხოლო ხუთი საათის შემდეგ მან გაიარა არასი.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, როგორ იცნო თავისი შეურაცხმყოფელი დ არტანიანმა, რა შიში აღუძრა ჩვენს მუშკეტერებს ამ შეხვედრამ და რა მაგარი ბიძგი მისცა მათ მგზავრობას.

XXXIII

უკანასკნელი წვეთი

ის იყო ოთახიდან გავიდა როშფორი, რომ მილედის კარები შეაღო ქალბატონმა ბონასიემ, მოცინარი სახით დაუხვდა მილედი.

– მაშ, ასე? – ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა, – ასე მალე ასრულდა თქვენი შიში? ამ სადამოს თუ ხვალ დილით წაგიყვანთ კარდინალი?

– ვინ გითხრათ, ჩემო მშვენიერო? – ჰკითხა მილედიმ.

– იმ კაცისაგან გავიგე, თქვენთან რომ იყო.

– მოდით, აქ დაბრძანდით, ჩემ გვერდით, – სთხოვა მილედიმ.

– აი, გახლავართ.

– მოითმინეთ, ხომ არავინ გვისმენს?

– რად გინდათ მაგდენი სიფრთხილე?

– ახლავე გაიგებთ.

მილედი წამოდგა, კარებთან მივიდა, გამოაღო, დერეფანში გაიხედა და მერე ისევ გვერდით მიუჯდა ქალბატონ ბონასიეს.

– მაშ, კარგად ითამაშა თავისი როლი? – ჰკითხა მილედიმ.

– ვინ?

– მან, ვინც წარუდგა წინამძღვარს, როგორც კარდინალის გამოგზავნილი?

– მაშ, როლს თამაშობდა?

– დიახ, ჩემო კარგო.

– მაშ, ის კაცი...

– ის კაცი, ჩემო მეგობარო, ჩემი ძმაა, – უთხრა მილედიმ ხმადაბლა.

– თქვენი ძმა? – შეჰყვირა ქალბატონმა ბონასიემ.

– დიახ, თქვენს მეტმა არავინ იცის ეს საიდუმლო, ჩემო საყვარელო, თუ უთხარით ვინმეს, ვინც უნდა იყოს, იცოდეთ, დავიღუპები და იქნება თქვენც ვერ გადარჩეთ.

– ოჰ ღმერთო ჩემო!

– ყური დამიგდეთ, აი, როგორ არის საქმე: ჩემი ძმა წამოსულა იმ განზრახვით, რომ თუ გაჭირდებოდა, ძალით გავეტაცე და წავეყვანე. იგი გზაში დასწევია კარდინალის მიერ გამოგზავნილ კაცს, რომელიც თურმე ჩემს წასაყვანად მოდიოდა. ჩემ ძმა მას უკან გაჰყოლია და როდესაც ერთ მიყრუებულ ადგილში შესულა, ხმალი ამოუღია და უთქვამს, მომეცით, რა ქაღალდებით უნდა მიხვიდეთ მონასტერშიო, არც კარდინალის მოციქულს დაუხევია უკან, მასაც იარაღი ამოუღია, მაგრამ ჩემს ძმას დაუსწრია და იქვე მოუკლავს ის უბედური.

– ოჰ! – წამოიძახა ქალბატონმა ბონასიემ და კანკალმა აიტანა.

– მაშ, რა ექნა? ეს იყო ერთადერთი საშუალება. ჩემს ძმას უკვე ახალი გადაწყვეტილება მიუღია და ძალადობა უმჯობინებია. მან მოკლულს სასწრაფოდ ამოაცალა თურმე ქაღალდები და წინამძღვართან წარსდგა, როგორც კარდინალის გამოგზავნილი. ერთი-ორი საათის შემდეგ ბატონ კარდინალის სახელით ჩემს წასაყვანად კარეტა მოვა.

– მესმის, მაგ კარეტას თქვენი ძმა გიგზავნით.

– დიახ, მაგრამ მოითმინეთ, ჯერ არ გამითავებია. ის წერილი, თქვენ რომ მიგიღიათ და ქალბატონ დე შევრეზის მიერ დაწერილად მიგაჩნიათ...

– მერე? მერე?

– ყალბია...

– როგორ თუ ყალბია?

– დიახ, ყალბი. მახეს გიგებენ, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიოთ, როდესაც თქვენს წასაყვანად მოვლენ.

– რა მახე, როცა თვითონ დ არტანიანი უნდა მოვიდეს?

– გატყუებენ, დ არტანიანიცა და მისი ამხანაგებიც ლაროშელში არიან და იქ იქნებიან, მანამ ქალაქს არ აიღებენ.

– მერე, თქვენ საიდან იცით ეს?

– ჩემს ძმას შეხვედრიან მუშკეტერის ტანისამოსით მოსილი კარდინალის კაცები... დაგიძახებენ, კარებთან მიგიტყუებენ და პარიზში ჩაგიყვანენ.

– ოჰ! ღმერთო ძლიერო! ვეღარა გამიგია რა ამდენ ბოროტების ქაოსში! კარგად ვხედავ, – განაგრძო ქალბატონმა ბონასიემ და შუბლზე მიიდო ხელი, – თუ ეს ასე გაგრძელდა, გავგიჟდები მე საცოდავი.

– მოითმინეთ...

– რა იყო?

– ცხენის ფეხის ხმა მესმის, ჩემი ძმის ცხენი უნდა იყოს. ალბათ, მიდის. მოდით, ფანჯრიდან გადავხედოთ, თავს მაინც დავუკრავ, გამოვეთხოვები.

მილედიმ ფანჯარა გააღო და ქალბატონ ბონასიეს ანიშნა ისიც მისულიყო, ქალი დაემორჩილა. ჭენებით მიჰყავდა ცხენი როშფორს.

– მშვიდობით, ძმაო! – გადაჰყვირა მილედიმ.

მხედარმა ამოიხედა, დაინახა ორი ახალგაზრდა ქალი და ცხენის გაუჩერებლად, ხელით მეგობრული სალამი მისცა მილედის.

– საწყალი ჟორჟი, რამდენს ვაწვალებ, – თქვა მილედიმ და ფანჯარა მიხურა განშორებით გამოწვეული მწუხარე გამომეტყველებით.

მერე ისევ ძველ ადგილზე დაჯდა, თითქოს თავისი პირადი ფიქრებით ყოფილიყოს გატაცებული.

– ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, – მიმართა მას კონსტანციამ, – შეგაწყვეტინეთ ფიქრები, მაგრამ რა ვქნა? მითხარით, რას მირჩევთ? ღმერთო ჩემო! თქვენ უფრო მეტი გამოცდილება გაქვთ, ვიდრე მე. ბრძანეთ, რას მირჩევთ?

– უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ამბავიც, რომ შეიძლება ვცდებოდეთ, დ არტანიანი და მისი მეგობრები შეიძლება მართლა მოვიდნენ წასაყვანად.

– ოჰ, ნეტავი, – შეჰყვირა ქალბატონმა ბონასიემ, – მაგრამ ვაი, რომ აღარავინ მაღირსებს მაგ ბედნიერებას!

– ოჰ, მაშინ თქვენი ხსნა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ უფრო ადრე მოვა თქვენს წასაყვანად. თუ თქვენმა მეგობრებმა აჯობეს, საბოლოოდ თავისუფალი იქნებით, მაგრამ თუ კარდინალის მონებმა დაასწრეს, მაშინ კი აღარაფერი გეშველებათ.

– ოჰ, დიახ! დიახ! დავიღუპები მე უბედური! მაგრამ რა ვქნა? რა ვქნა?

– არის ერთი საშუალება! სულ უბრალო, მაგრამ ბუნებრივი.

– რა საშუალება? მითხარით, ჩქარა!

– უნდა დავიმალოთ სადმე ამ მიდამოებში და წინასწარ გავიგოთ, ვინ არის მოსული თქვენს წასაყვანად.

– მერე, სად დავიმალოთ?

– ოჰ, მაგას ვიპოვით, მე თვითონ მინდა გავიდე აქედან, დავიმალო სადმე, სანამ ჩემი ძმა მოვა ჩემს წასაყვანად. ჩემთან წაგიყვანთ, ერთად დავიმალოთ და ერთად ველოდოთ ჩვენს მხსნელს.

– მე რომ არ გამიშვებენ აქედან? მე აქ დაპატიმრებული ვარ.

– წინამძღვარს ჰგონია, რომ მე კარდინალის ბრძანებისამებრ გავდივარ მონასტრიდან და ფიქრადაც არ მოუვა, რომ თქვენც მე გამომყვებით.

– მერე?

– მერე? კარებთან დგას კარეტა. თქვენ მეთხოვებით, საფეხურზე დგახართ, რომ ერთხელ კიდევ ჩამიკრათ გულში. ჩემს წასაყვანად ჩემი ძმის მსახური მოვა.

მას წინასწარ ეცოდინება ჩვენი განზრახვა, როგორც კი ამოხვალთ საფეხურზე, ანიშნებს მეეტლეს და ისიც გარეკავს ცხენებს...

– მერე, დ არტანიანი? დ არტანიანი რომ მოვიდეს?

– განა ვერ გავიგებთ?

– როგორ გავიგებთ?

– მაგაზე ადვილი რა იქნება? ჩემი ძმის მსახურს გამოვგზავნით ბეთუნში. როგორც გითხარით, იგი ძალიან სანდო და ერთგული ბიჭია. ტანისამოსს გამოიცვლის და მონასტრის პირდაპირ დადგება. თუ კარდინალის კაცები მოვიდნენ, ადგილიდან არ დაიძვრის. თუ ბატონი დ არტანიანი მოვიდა თავისი მეგობრებით, მათაც იქ მოიყვანს, სადაც ჩვენ ვიქნებით.

– მაშ, იცნობს ის ბიჭი?

– როგორ არა! რამდენჯერ უნახავს ჩემთან დ არტანიანი!

– ოჰ, მართალია, მართალია, მაშ, კარგად არის ყველაფერი, კარგად! მაგრამ ძალიან შორს კი ნუ წავალთ.

– შვიდი-რვა ლიეა აქედან, მეტი არა, ზედ საზღვარზე ვიქნებით, და თუ რაიმე საშიშროების წინაშე აღმოვჩნდით, საჩქაროდ გავალთ საფრანგეთიდან.

– მანამდე რა გავაკეთოთ?

– ველოდოთ.

– რომ მოვიდნენ?

– ჩემი ძმის კარეტა უფრო ადრე მოვა.

– შორს რომ ვიყო თქვენგან და იმ დროს მოვიდნენ თქვენს წასაყვანად, მაგალითად, სადილის ან ვახშმის დროს?

– წინამძღვარს სთხოვეთ...

– რა ვთხოვო?

– სთხოვეთ წინამძღვარს, რომ გვეზარება მარტოობა და თუ შეიძლება, ნება მოგვცეს, ერთად ვიყოთ სადილ-ვახშმად.

– დაგვეთანხმება კი?

– რა უნდა ჰქონდეს ამის საწინააღმდეგო?

– ოჰ, ძალიან კარგი! ამგვარად, ერთი წამითაც არ დავშორდებით ერთმანეთს!

– ჰოდა, ჩადით, ნახეთ წინამძღვარი და მოახსენეთ თქვენი სათხოვარი, მე თავი მიბრუის და მინდა პატარახანს ბაღში ჩავიდე.

– მიბრძანეთ, მერე სად გიპოვოთ?

– აქვე, ერთი საათის შემდეგ.

– აქვე, ერთი საათის შემდეგ, ოჰ რა გულკეთილი ხართ! რომ იცოდეთ, რა მადლობელი ვარ თქვენი!

– როგორ შეიძლება თანაგრძნობით არ მოგეკიდოთ? ასეთი მშვენიერი და მომხიბლავიც რომ არ ყოფილიყავით, ისიც კმარა, რომ ჩემი გულითადი მეგობრის მეგობარი ხართ.

– ოჰ, ჩემო დ არტანიან! რა მადლობას გადაგიხდით!

– იმედი მაქვს! მაშ, ასე, შევთანხმდით. ახლა წავიდეთ.

– თქვენ ბაღში მიხვალთ?

– დიახ.

– ამ დერეფანს ჩაჰყევით და პატარა კიბე ჩაგიყვანთ ბაღში.

– გმადლობთ.

ქალებმა ალერსით გაუღიმეს ერთმანეთს და განშორდნენ.

მართალი თქვა მილედიმ, მართლაც, გაბრუებული ჰქონდა თავი, არ დაფიქრებოდა თავის განზრახვებს, რომლებშიც ჯერ თვითონაც ვერ იყო კარგად გარკვეული. საჭირო იყო მარტო დარჩენა, რომ ცოტათი მაინც დაელაგებინა თავისი ფიქრები. ბურუსიანად ეჩვენებოდა მომავალი, საჭირო იყო დამშვიდება,

რომ გარკვეული, ნათელი ფორმა მიეცა თავისი ყოველი განზრახვისათვის და საბოლოოდ გადაეწყვიტა მოქმედების გეგმა.

ყველაზე საჩქარო იყო ქალბატონ ბონასიეს გატაცება, მისი მიუგნებელ ადგილას დამალვა და გაჭირვების შემთხვევაში მძევლად გამოყენება. მილედის ეჭვი ეპარებოდა, გამარჯვებული გამოსულიყო ამ საზარელ ბრძოლაში, რომელშიც მას არაფერს უთმობდნენ თავისი მტრები. გრძნობდა, რომ ახლოს იყო ბრძოლის დასასრული და რომ იგი მეტად საზარელი უნდა ყოფილიყო.

მილედისათვის, როგორც უკვე ვთქვით, მთავარი ის იყო, ხელში ჰყოლოდა ქალბატონი ბონასიე. ეს ახალგაზრდა ქალი დ არტანიანს მთელ სიცოცხლედ უღირდა და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც, ვიდრე თავისი სიცოცხლე. ამიტომ, თუ ბედი უღალატებდა მილედის, მას ხელში ეყოლებოდა მძევალი და მოსალაპარაკებლად ძალიან ხელსაყრელ პირობებს მოსთხოვდა.

მილედის ეს საკითხი გადაწყვეტილი ჰქონდა, თან უნდა წაეყვანა ქალბატონი ბონასიე, და რაკი მასთან ერთად მიიმალებოდა არმანტიერში, ადვილად დაარწმუნებდა ქალს, რომ დ არტანიანი არ მოსულა ბეთუნში... ერთი-ორი კვირის შემდეგ ალბათ უკან დაბრუნდებოდა როშფორი. ამ დროის განმავლობაში იგი დაუფიქრდებოდა მდგომარეობას და შეადგენდა მტრებზე შურისძიების მოხერხებულ გეგმას. ღმერთის წყალობით, მილედი არ მოიწყენდა, დროს გასატარებლად ეყოფოდა ტკბილი განზრახვა და შურისძიების იმედი.

ამ ფიქრებით გართული მილედი თვალს ავლებდა იქაურობას და გონებაში ისახავდა ბაღის მდებარეობას. ისე იქცეოდა, როგორც კარგი მხედართმთავარი, რომელიც ერთ და იმავე დროს ითვალისწინებს გამარჯვებისა და დამარცხების შემთხვევებს და ამიტომ მზად არის, ბრძოლის ბედის მიხედვით, დაედევნოს გაქცეულ მტერს ან უკან დაიხიოს უვნებლად.

ერთი საათის შემდეგ ქალბატონ ბონასიეს ტკბილი ხმა მოესმა. გულკეთილ წინამძღვარს ნება მიეცა ყველაფრისა, რაც კი ეთხოვა, და ერთად აპირებდნენ ვახშმობას.

ბაღიდან ეზოში გამოვიდნენ. ხმა მოესმათ კარეტისა, რომელიც კარებთან გაჩერდა.

მილედიმ ყური მიუგდო.

– გეყურებათ?

– დიახ, კარეტის ხმა იყო.

– ჩემი ძმის გამოგზავნილი კარეტა იქნება.

– ოჰ, ღმერთო ჩემო!

– ჰა, რა დროს შიშია?

ამ დროს დარეკეს მონასტრის კარების ზარი. მილედი არ შემცდარა.

– ადით თქვენს ოთახში, – უთხრა ქალბატონ ბონასიეს, – გექნებათ რაიმე თვალ-მარგალიტი, მოემზადეთ წასასვლელად.

– დ არტანიანის წერილები მაქვს.

– ადით, წამოიღეთ და ჩემთან შემოდით, ვახშამი ვჭამოთ საჩქაროდ, იქნება დიდხანს მოგვიხდეს ღამით მგზავრობა და შევნაყრდეთ, ძალა მოვიკრიბოთ.

– ღმერთო დიდებულო! – ამოიკვნესა ქალბატონმა ბონასიემ და გულზე მიიდო ხელი, – გული მიმდის, ფეხზე ვეღარა ვდგავარ.

– გამაგრდით, ქალო, გამაგრდით! გაიხსენეთ, რომ თხუთმეტი წუთის შემდეგ სრულიად თავისუფალი იქნებით! ნუ დაივიწყებთ, ყველაფერს დ არტანიანისათვის აკეთებთ.

– ოჰ, მართალსა ბრძანებთ! მისთვის, რას არ ავიტან მისთვის? მაგ ერთი სიტყვით მთლად დამიბრუნეთ ჩემი ძალ-ღონე და გამომაცოცხლეთ, მიბრძანდით, მეც ახლავე მოვალ.

მილედი საჩქაროდ ავიდა თავის ოთახში. იქ დახვდა როშფორის მსახური და დარიგება მისცა.

კარეტა უნდა მდგარიყო კარებთან; თუ შემთხვევით მუშკეტერები გამოჩნდებოდნენ, ცხენები უნდა გაეჭენებინა, მონასტრის გალავნისთვის შემოევლო და მილედის მოსვლამდე გაჩერებულიყო პატარა სოფელში, რომელიც ტყის მეორე მხარეს იყო გაშენებული. ამ შემთხვევაში მილედი ფეხით გადაივლიდა ბაღს, ტყეს და სოფელში მივიდოდა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მილედი ძალიან კარგად იცნობდა საფრანგეთის ამ მხარეს.

თუ მუშკეტერები არ მოვიდოდნენ, მაშინ ყველაფერი ისევ ადრევე გათვალისწინებული შეთანხმების საფუძველზე გაკეთდებოდა: ქალბატონი ბონასიე ავიდოდა კარეტის საფეხურზე მილედისთან გამოსათხოვებლად. ამ დროს დაიძროდა კარეტა და თან წაიყვანდა ახალგაზრდა ქალს.

ქალბატონი ბონასიე ოთახში შემოვიდა. მილედიმ ყოველგვარი ეჭვის გასაფანტავად, თუკი იგი კიდევ არსებობდა, მსახურს ხელახლა გაუმეორა თავისი დარიგების მეორე ნაწილი.

მერე რამდენიმე შეკითხვა მისცა კარეტის შესახებ. კარეტაში სამი ცხენი ყოფილიყო შებმული, ცხენები ფოსტის მოსამსახურეს მიჰყავდა, როშფორის მსახური წინ უნდა გასძღოლოდა, როგორც შიკრიკი.

ცდებოდა მილედი, როდესაც ფიქრობდა, რომ შეიძლება რაიმე ეჭვი ჰქონოდა ქალბატონ ბონასიეს; მეტად წმინდა იყო საწყალი კონსტანცია და ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა ქალის გულში ამდენ ბოროტებას. გარდა ამისა, წინამძღვრისაგან გაეგონა, რომ მილედი გრაფ უინტერის ქვრივი იყო, მისთვის სრულიად უცნობი, და როგორ შეეძლო ფიქრად გაეტარებინა, რომ ეს ქალი იყო მისი სიცოცხლის ჩამამწარებელი.

– ხომ ხედავთ, – მიმართა მილედიმ, როდესაც მსახური წავიდა, – ყველაფერი მზად არის. სრული ნდობით გვიყურებს წინამძღვარი და დარწმუნებულია, რომ კარდინალის მოგზავნილი ხალხია მოსული ჩემს წასაყვანად. მსახური უკანასკნელ განკარგულებას მისცემს. მანამ ცოტა რამ მიირთვით, პირი გაისველეთ ღვინით და წავიდეთ.

– დიახ, – გაიმეორა ქალბატონმა ბონასიემ, – დიახ, წავიდეთ.

მილედიმ ხელით ანიშნა, მის გვერდით დამჯდარიყო, პატარა სასმისში დაუსხა ესპანური ღვინო და ქათმის ნაჭერი დაუდო თეფშზე.

– ხომ ხედავთ, ხელს გვიწყობს ყველაფერი, – უთხრა მილედიმ, – აი, ღამდება, გათენებისას მივალთ ჩვენს თავშესაფარში და ეშმაკიც ვერ მიხვდება, სად ვართ დამალული, ჰა, გამაგრდით! რა მშიშარა ყოფილხართ! მიირთვით რამე.

ქალბატონმა ბონასიემ უხალისოდ გადაყლაპა რამდენიმე ლუკმა და ტუჩები ღვინით დაისველა.

– ეჰ, ასე კი არა! – უთხრა მილედიმ და პირთან მიიტანა ღვინო, – აი, ჩემგან აიღეთ მაგალითი.

მაგრამ დალევა ვეღარ მოასწრო, გაშეშებულივით შერჩა ხელი; შორი გზიდან მოესმა გაჭენებული ცხენების თქარათქური, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა, ძალიან მალე ცხენების ჭიხვინიც გაიგონა.

ისე დაუკარგა ამ ხმამ სიხარული მილედის, როგორც ტკბილ სიზმარში მყოფს გამოაღვიძებს უეცარი ჭექა-ქუხილი. ფერმიხდილი მივარდა ფანჯარას. ქალბატონი ბონასიეც წამომდგარიყო, შეშინებული თავით ფეხამდე კანკალებდა და სკამს დაყრდნობოდა, რომ არ წაქცეულიყო.

ჯერ არაფერი ჩანდა, მხოლოდ ისევ ისმოდა გაჭენებული ცხენების თქარათქური, ეტყობოდა, მონასტერს უახლოვდებოდნენ.

– ოჰ, ღმერთო ჩემო, – გმინავდა ქალბატონი ბონასიეც, – ნეტავ ვინ არიან?

– ან ჩვენი მოყვარე, ან მტრები! – უპასუხა გულცივად მილედიმ, – მხნედ იყავით, მე გეტყვით, ვინც იქნებიან.

ქალბატონი ბონასიე იქვე დარჩა, სკამის ზურგზე დაყრდნობილი. იგი ქანდაკებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს.

მხედრები უახლოვდებოდნენ მონასტერს. სულ ორასი ნაბიჯიც აღარ ექნებოდათ გამოსავლელი, მაგრამ ჯერ არ ჩანდნენ, ეს იმიტომ, რომ მოსახვევი ჰქონდა აქ გზას, ხმაურობა კი ისე ახლოდან მოდიოდა, რომ ნალების ბაკაბუკით შეიძლებოდა ცხენების დათვლა.

მილედი მოუთმენლად, შეშინებული თვალით გადასცქეროდა გზას. ჯერ არ დაბნელებულიყო და შეიძლებოდა ეცნო, ვინ იყვნენ ეს მომავალნი.

უცბად, გზის მოსახვევში, გაიელვა ბუზმენტიანმა ქუდმა და შიგ ჩარჭობილმა თეთრმა ფრთამ. დათვალა მხედრები, ჯერ ორი, მერე ხუთი, სულ – რვა მხედარი. ერთი მათგანი წინ მოაჭენებდა ცხენს, ამხანაგებისაგან მცირე მანძილის დაშორებით.

ყრუდ ამოიკვნესა მილედიმ. მან იცნო დ არტანიანი, რომელიც წინ მოუძღოდა ამხანაგებს.

– ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! – შეჰკივლა ქალბატონმა ბონასიემ, – ვინ არიან?

– კარდინალის რაზმელების ტანისამოსით არიან! – შეჰყვირა მილედიმ, – ავჩქარდეთ, თორემ დავიღუპებით, გავიქცეთ! გავიქცეთ!

– გავიქცეთ, გავიქცეთ, – გაიმეორა ქალბატონმა ბონასიემ, მაგრამ ფეხის გადადგმა აღარ შეეძლო, შიშით იატაკს მისწებებოდა.

ფანჯარას გაუარეს მხედრებმა.

– წამოდით, წამოდით! – შეჰყვირა მილედიმ და ხელი წაავლო, რომ თან წაეყვანა მისუსტებული, – ბაღში ჩავიდეთ, ჯიბეში მიდევს ბაღის კარების გასაღები და გავიპარებით, მხოლოდ ავჩქარდეთ, თორემ ხუთი წუთის შემდეგ ვეღარსად წავუვალთ!

ქალბატონმა ბონასიემ სცადა გაჰყოლოდა, ორი ნაბიჯი გადადგა და მუხლებით იატაკზე დაეშვა.

მილედიმ ხელი მოხვია, უნდოდა აეყვანა და ისე გაეტაცა, მაგრამ ვერ დაძრა.

ამ დროს კარეტის თვლების გრიალი გაისმა.

როშფორის მსახურმა დაინახა მომავალი მუშკეტერები და თავისი კარეტა გააქანა. სამჯერ თუ ოთხჯერ გაისროლეს თოფი.

– უკანასკნელად გეკითხებით, მოდიხართ თუ არა? – შეუტია მილედიმ.

– ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! განა ვერ ხედავთ, რომ ფეხზე ვეღარ ვდგავარ? რა ვქნა, აღარ შემიძლია! მე ნუღარ მელით, თქვენს თავს უშველეთ! მარტო თქვენ წადით!

– მარტო მე წავიდე? თქვენ აქ დაგტოვოთ? არა, არა! მე მაგას არასოდეს არ ვიზამ!

გაფითრებული მილედი ერთ წამს უძრავად იდგა. მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ, შემდეგ სუფრას ეცა, წარმოუდგენელი სისწრაფით გახსნა ბეჭდის ერთი თვალი და ერთი მარცვალი ჩაუშვა ქალბატონ ბონასიეს სასმისში.

ეს იყო რაღაც მოწითალო მარცვალი, რომელიც მაშინვე დადნა ღვინოში. შემდეგ მილედიმ სრული სიმშვიდით აიღო ეს სასმისი, საწყალ ქალთან მივიდა და უთხრა:

– აი, დალიეთ, მთლად გამოგაცოცხლებთ ეს ღვინო. – პირთან მიუტანა სასმისი და ნელ-ნელა შეასვა.

„ოჰ, ასე არ მინდოდა შურისძიება! – იძახდა გულში მილედი, – მაგრამ რა ვქნა? იმით ვუხდი, რითაც შემიძლია“, – და ჯოჯოხეთის ავსულის სიცილით სასმისი სუფრაზე დადგა.

დადგა და საჩქაროდ გავარდა ოთახიდან.

ქალბატონმა ბონასიემ დაინახა, როგორ გავარდა მილედი, მაგრამ წამოდგომა აღარ შეეძლო, თავს ისე გრძნობდა, თითქოს სიზმარში ყოფილიყოს. ხედავდა მტერს, უნდოდა გაჰქცეოდა და სიარული აღარ შეეძლო.

რამდენიმე წუთი გავიდა ასე. კარებთან ისმოდა საზარელი ხმაური, ყოველ წამს ელოდა საბრალო ქალი თავის მხსნელ მილედის, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს კარის გაღების ჭრიალი გაიგონა, კიბეებზე აწკარუნდა დეზები, გაისმა აღელვებული ხმები. ქალბატონ ბონასიეს მოეჩვენა, თითქოს ამ ხმაურში თავის სახელსაც მოჰკრა ყური.

უცბად წამოვარდა და სიხარულით გაგიჟებულმა შეჰკივლა. დ არტანიანის ხმა გაიგონა და მაშინვე იცნო.

– დ არტანიან! დ არტანიან! თქვენა ხართ? აქეთ, აქეთ!

– კონსტანცია, კონსტანცია! – წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა, – სადა ხართ, სად? ოჰ, ღმერთო ძლიერო!

ვეღარ გაუძლო მუშკეტერების ძალას საკნის კარმა და გზა დაუთმო. რამდენიმე კაცი შევარდა ოთახში. ქალბატონი ბონასიე სავარძელზე დაშვებულიყო და ხელის განძრევაც კი აღარ შეეძლო.

დ არტანიანმა იქვე დააგდო თავისი ჯერაც ცხელი დამბაჩა და მუხლმოყრილი დაეცა სატრფოს წინაშე. ათოსმა დამბაჩა ქამარში გაიმაგრა, პორთოსს და არამისს ამოღებული ხმალი ეჭირათ და ნელ-ნელა ქარქაშში აგებდნენ.

– ოჰ, დ არტანიან! ჩემო საყვარელო დ არტანიან, მაშ, მოხვედი? არ მომატყუე? შენა ხარ, ჩემი დ არტანიანი?

– დიახ, დიახ, ჩემო კონსტანცია, აი, ერთადა ვართ, შეერთებულნი.

– ოჰ, სულ იმას იძახდა ის ქალი, არ მოვაო შენი დ არტანიანი, მე კი იმედი არ მშორდებოდა, არ მინდოდა გაქცევა, ოჰ, რა კარგი ვქენი, რომ არ გავყევი!

– ის ქალიო, – ამ სიტყვის გაგონებაზე აქამდე სკამზე მშვიდად მჯდარი ათოსი უცბად წამოვარდა და დ არტანიანს დააცქერდა.

– ის ქალი? ვინ ქალი იყო? – ჰკითხა დ არტანიანმა.

– ჩემი ამხანაგი, ისეთი თანაგრძნობით მექცეოდა. უნდოდა როგორმე გადავერჩინე ამ დევნას. მაგრამ თქვენ კარდინალის რაზმელებად ეჩვენეთ და გაიქცა, არ დამიჭირონო.

– თქვენი ამხანაგი? – შეჰყვირა დ არტანიანმა და უფრო მეტად გაყვითლდა, ვიდრე მისი საყვარლის თეთრი რიდე იყო, – ვინ ამხანაგზე ლაპარაკობთ? ვინ არის ის ქალი?

– აი, იმ ქალის კარეტა იდგა კარებთან, სულ იმას ამბობდა, გულითადი მეგობარი ვარ დ არტანიანისო, – ეს ის ქალია, თქვენ რომ ყველაფერს უამბობდით.

– სახელი მისი, სახელი? – შეჰყვირა დ არტანიანმა, – აჰა, ღმერთო, ნუთუ სახელი არ იცით იმ ქალისა?

– როგორ არა? ამას წინათ თქვა და მეც გავიგონე, მოითმინეთ... რა ვქნა, რა მემართება? ოჰ! ღმერთო! გონება მერევა! ვეღარას ვხედავ!

– მიშველეთ, მეგობრებო, მიშველეთ! ხელები გაჰყინვია! – დაიყვირა დ არტანიანმა, – გული მისდის, ღმერთო ძლიერო! გული მისდის!

და იმ დროს, როდესაც პორთოსი მაღალი ხმით გაიძახოდა: „გვიშველეთო!“ არამისი სუფრასთან მივარდა, რომ ერთი ჭიქა წყალი მიეწოდებინა, მაგრამ ათოსის საზარლად შეცვლილი სახის დანახვამ შეაჩერა. ათოსი სუფრასთან იდგა, თმა ყალყზე დასდგომოდა, შიშისაგან თვალები გაჰყინვოდა, დაშტერებით დასცქეროდა ერთ სასმისს და ეტყობოდა, საშინელი ეჭვი უღრღნიდა გულს.

„ოჰ, არა! – ფიქრობდა ათოსი, – არა! შეუძლებელია! როგორ დაუშვებდა ღმერთი ამგვარ ავკაცობას?“

– წყალი, წყალი, – დაიძახა დ არტანიანმა, – წყალი!

– ოჰ, საწყალი ქალი! საწყალი ქალი! – ჩურჩულებდა ათოსი ჩახლეჩილი ხმით.

ერთ წამს თვალი გაახილა ქალბატონმა ბონასიემ, დ არტანიანის კოცნამ მოასულიერა.

– გამოცოცხლდა! – დაიძახა დ არტანიანმა, – ოჰ, გმადლობ, ღმერთო!

– ღვთის გულისთვის, ქალბატონო! ვისია ეგ სასმისი? – მიმართა ათოსმა.

– ჩემია, ბატონო... – მიუგო მომაკვდავის ხმით ქალმა.

– მერე, ის ღვინო ვიღამ დაგისხათ, აი, ამ სასმისში რომ დგას?

– მან.

– ვინ მან? რა ჰქვია იმ ქალს?

– აჰ, ახლა კი მაგონდება, – უპასუხა ქალბატონმა ბონასიემ, – გრაფ უინტერის ქვრივმა.

ერთდროულად შეჰყვირა ოთხმა ამხანაგმა, მაგრამ ათოსის ხმა ყველას ფარავდა.

ამ დროს საწყალ ქალს სახე მთლად გაუყვითლდა, რაღაც უცნაურმა ტკივილმა გამოაცალა ძალა, ძლივსღა სუნთქავდა, არამისის და პორთოსის მკლავებზე დაეშვა.

დ არტანიანი კი ათოსს მივარდა, ხელი დაუჭირა და სიტყვით გამოუთქმელი მწუხარებით ჰკითხა:

– ნუთუ შეიძლება, რომ... – ქვითინი დაიწყო, ხმა ჩაუწყდა.

– მისგან ყველაფერი მოსალოდნელია, – უპასუხა ათოსმა და მღელვარების დასაფარავად ტუჩების კვნეტა დაიწყო ისე, რომ სისხლი სდიოდა.

– დ არტანიან, დ არტანიან! – დაუძახა საწყალმა ქალმა, – სადა ხარ? ნუ მომშორდები, ხომ ხედავ, ვკვდები.

– დ არტანიანმა ხელი გაუშვა ათოსს და მომაკვდავთან მივიდა.

მთლად გადაფითრებოდა უბედურს მშვენიერი სახე, თვალები გაშტერებოდა, საშინლად უცახცახებდა მთელი ტანი, შუბლზე ცივი ოფლი სდიოდა.

– დაუძახეთ ვინმეს, ღვთის გულისათვის! პორთოს, არამის! დაუძახეთ, გვიშველონ რაიმე!

– ამაო იქნება, ამაო, – უთხრა ათოსმა, – ვეღარაფერი უშველის მის საწამლავს.

– მიშველეთ! მიშველეთ! – კვნესოდა საწყალი ქალი, – მიშველეთ!

შემდეგ მოიკრიბა რაც ძალა გააჩნდა, ხელები მოხვია ყმაწვილ კაცს თავზე, ისე დააცქერდა, თითქოს თვალებს თავისი სული გამოაყოლაო, და ქვითინით დაეწაფა დ არტანიანის ტუჩებს.

– კონსტანცია, კონსტანცია! – შეჰყვირა დ არტანიანმა, მაგრამ კონსტანცია უკვე აღარ იყო.

დ არტანიანი მხოლოდ მიცვალებულის გვამს იკრავდა გულში, როდესაც იგრძნო, რომ ხელში მოკვდომოდა, დაიყვირა და თვითონაც ძირს დაეშვა, ისეთივე ფერმიხდილი და გაყინული, როგორც მისი კონსტანცია.

პორთოსი ტიროდა, არამისი მუშტს უღერებდა ზეცას, ათოსმა პირჯვარი გადაიწერა.

ამ დროს ღია კარებში კაცი გამოჩნდა, თითქმის ისეთივე ფერმიხდილი, როგორც ჩვენი მეგობრები იყვნენ, თვალი გადაავლო იქაურობას, დაინახა მკვდარი ქალბატონი ბონასიე და გულწასული დ არტანიანი.

ეს კაცი სწორედ იმ დროს გამოჩნდა, როდესაც გულსაკლავი დუმილი იდგა.

– მაშ, არ შევმცდარვარ, – თქვა კარებიდანვე, – აი, ჩემი დ არტანიანი და თქვენც, იმისი მეგობრები, ბატონები – ათოსი, პორთოსი და არამისი.

გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ ამ უცნობს სამივენი, რომელთა სახელები მან ისე ჩამოთვალა, როგორც კარგი ნაცნობებისა.

– ბატონებო! – დაიწყო ისევ ახალმოსულმა, – თქვენც, როგორც მე, დაეძებთ ერთ ქალს, რომელიც... – აქ საზარელი მწარე ღიმილი გამოეხატა პირზე, – რომელიც, მე ვხედავ, აქა ყოფილა, რადგან მკვდარია ამ ოთახში.

მუნჯებივით შეჰყურებდნენ მუშკეტერები. სახეც და ხმაც ნაცნობი ჰქონდა ამ კაცს, თითქოს სადღაც შეხვედროდათ, მხოლოდ ვერ იგონებდნენ, სად, როდის ან რა შემთხვევაში ენახათ.

– რაკი არ გნებავთ, ბატონებო, იცნოთ ის კაცი, რომელსაც თქვენი წყალობით ორჯერ შერჩა სიცოცხლე, თვითონვე დაგისახელებთ თავის თავს: ლორდი უინტერი გახლავართ, მაზლი იმ ქალისა.

გაკვირვების ამოძახილი აღმოხდა სამივე ამხანაგს.

ათოსი ლორდთან მივიდა, ხელი გაუწოდა.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მილორდ, ერთად ვიმოქმედოთ.

– ხუთი საათით გამომასწრო პორტსმუტიდან, – დაიწყო უინტერმა, – ბულონში სამი საათით მასზე გვიან ჩამოვედი, სენტომერიდან ოცი წუთით გამომასწრო და ლილერში კი მისი კვალი დავკარგე. მოვდიოდი, ყველას ვეკითხებოდი; უცებ დაგინახეთ, ცხენებს მოაჭენებდით, ბატონი დ არტანიანი ვიცანი, ბევრი გიყვირეთ, მაგრამ ვერ გაგაგონეთ. მინდოდა, კვალდაკვალ მოგყოლოდით, მაგრამ ძალიან დაღლილი იყო ჩემი ცხენი და ვეღარ მოგყევით. უბედურება ის არის, რომ მიუხედავად თქვენი სისწრაფისა, ეტყობა, მაინც ძალიან დაიგვიანეთ!

– მართალსა ბრძანებთ, – უპასუხა ათოსმა, თან მიუთითა მკვდარ ქალზე და გულწასულ დ არტანიანზე, რომლის მოსულიერებას არამისი და პორთოსი ცდილობდნენ.

– ორივე მკვდარია? – იკითხა უინტერმა.

– საბედნიეროდ, არა, – მიუგო ათოსმა, – ბატონ დ არტანიანს გული წაუვიდა.

– მით უკეთესი! – თქვა უინტერმა.

ამ დროს დ არტანიანმა მართლაც თვალი გაახილა. იგი ხელიდან გაუსხლტა პორთოსს და არამისს და გიჟივით თავისი საყვარლის გვამზე დაეცა.

ათოსი წამოდგა, ნელი ნაბიჯით მივიდა დ არტანიანთან, მოეხვია, დაკოცნა და როდესაც საწყალმა ბიჭმა ქვითინი დაიწყო, თავისი დიდებული, შთამაგონებელი ხმით უთხრა:

– ვაჟკაცურად, მეგობარო, ქალი დაიტირებს მოკლულს, ვაჟკაცი კი შურს იძიებს.

– მართალი ხარ! – თქვა დ არტანიანმა. – მართალი ხარ! შური უნდა ვიძიო, წავიდეთ, მზადა ვარ, მოგყვეთ!

ათოსმა ისარგებლა ამ წამით, როდესაც შურისძიების იმედმა მთელი თავისი ძალ-ღონე დაუბრუნა მის უბედურ მეგობარს, მან პორთოსსა და არამისს ანიშნა, წინამძღვარი მოეყვანათ.

ორივენი გაცვივდნენ, მათ დერეფანში შეხვდათ ამ უბედურებით შეწუხებული მოხუცი წინამძღვარი, რომელმაც თან წამოიყვანა რამდენიმე მონაზონი და, მიუხედავად მონასტრის სასტიკი ჩვეულებისა და წესებისა, ეს ღვთისმოსავი ქალები ახლა ხუთი კაცის წინაშე იდგნენ.

– ქალბატონო, – მიმართა ათოსმა და თავის მკლავქვეშ ამოიდო დ არტანიანის ხელი, – თქვენი კეთილმზრუნველობისათვის მოგვინდვია ამ უბედურის გვამი. გთხოვთ ისე მოუაროთ, როგორც თქვენს ერთ-ერთ დათაგანს. ჩვენც ვეახლებით, რომ მუხლი მოვიდრიკოთ მის საფლავზე და ღმერთი ვახსენოთ.

დ არტანიანმა ათოსის გულმკერდში ჩადო თავი და ქვითინი დაიწყო.

– იტირე, – უთხრა ათოსმა, – იტირე, სიყვარულით, სიყმაწვილით და სიცოცხლით სავსე გულო! ნეტავი მეც შემეძლოს ასე ტირილი!

შემდეგ გარეთ გაიყვანა თავისი მეგობარი. თანაუგრძნობდა, როგორც მამა, ანუგეშებდა, როგორც მღვდელი, მფარველობას უწევდა, როგორც უფროსი, მრავალი უბედურების ამტანი კაცი.

გავიდნენ მონასტრიდან და ბეთუნისაკენ გაემართნენ. იქვე ახლოს იყო ეს პატარა ქალაქი, უკვე მოჩანდა მისი გარეუბანი. წინ ბატონები მიდიოდნენ, უკან ბიჭებს აღვირით მიჰყავდათ ცხენები. დაინახეს სასტუმრო და შევიდნენ.

– იმ ბოროტ სულს რატომ არ ვეძებთ? – იკითხა დ არტანიანმა.

– დაიცადეთ, – უპასუხა ათოსმა, – ჯერ წინასწარი ზომები უნდა მივიღოთ.

– გაგვექცევა, – წარმოთქვა შიშით ყმაწვილმა კაცმა, – გაგვექცევა, ათოს, და, იცოდე, შენი ბრალი იქნება.

– მე მიგულე თავდებად.

ისე ღრმად სწამდა დ არტანიანს თავისი მეგობრის სიტყვისა, რომ თავი დაღუნა და ხმაამოუღებლივ შევიდა სასტუმროში. პორთოსმა და არამისმა ერთმანეთს გადახედეს, ვერ მიმხვდარიყვნენ, რის იმედი ჰქონდა ათოსს.

ლორდ უინტერს ეგონა, რომ ათოსმა ასეთი პასუხი მხოლოდ მწუხარების შენელების მიზნით გასცა.

– ახლა, ბატონებო, – მიმართა ათოსმა მეგობრებს, დარწმუნებულმა, რომ სასტუმროში ხუთი თავისუფალი ოთახი იყო, – ჩვენს ოთახებში შევიდეთ მოსასვენებლად, დ არტანიანისათვის აუცილებელია მარტოობა, რათა სატრფო დაიტიროს და ცოტა ხნით მაინც ჩაიძინოს. თქვენ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მე ვკისრულობ ყველაფერს.

– მე კი მგონია, ბატონო, თუკი რაიმე ღონისძიებების მიღებაა საჭირო მილედის წინააღმდეგ, ამას მე უნდა ვკისრულობდე, რადგან ჩემი რძალია, – უთხრა უინტერმა.

– მეც ვალდებული ვარ, ბატონო იგი ჩემი ცოლია, – თქვა ათოსმა.

გაღიმა დ არტანიანს, მიხვდა ათოსის განზრახვას, ალბათ, დარწმუნებული იყო, აუცილებლად მიაღწევდა თავის მიზანს და ჯავრს ამოიყრიდა, რადგან აღარ მალავდა ამგვარ საიდუმლოებას. ფერი ეცვალათ პორთოსს და არამისს, ერთმანეთს შეჰყურებდნენ განცვიფრებულნი, ლორდ უინტერს ეგონა, ათოსი ჭკუაზე შეიშალაო.

– მაშ, მიბრძანდით, ბატონებო, ცოტა მოისვენეთ თქვენს ოთახებში და ყველაფერი მე მომანდეთ. კარგადა ხედავთ, რომ ეგ საქმე მე შემეხება, როგორც ქმარს. მხოლოდ დ არტანიან, თუ არ დაგკარგვიათ, მომეცით პატარა ქაღალდი, ქუდიდან რომ გამოუვარდა იმ კაცს, სოფლის სახელია აღნიშნული.

– აჰ, მესმის, – თქვა დ არტანიანმა, – ეს სოფლის სახელია, მისი ხელით დაწერილი.

XXXIV

წითელ წამოსასხამიანი კაცი

ათოსის სასოწარკვეთილებამ ალაგი დაუთმო დაგუბებულ ბოღმას, რომელიც კიდევ უფრო ამახვილებდა ამ კაცის ბრწყინვალე გონებას.

ამხანაგებთან დადებული აღთქმისა და ნაკისრი პასუხისმგებლობის გრძნობით შეპყრობილი ათოსი ყველაზე ბოლოს შევიდა თავის ოთახში. სასტუმროს პატრონს ამ კუთხის რუკა სთხოვა. რუკაზე დაიხარა, დაუწყო სინჯვა და

როდესაც დარწმუნდა, რომ ბეთუნიდან არმანტიერამდე ოთხი გზა მიდიოდა, მსახურები გამოიძახა.

პლანშე, გრიმო, მუშკეტონი და ბაზენი მაშინვე შემოვიდნენ და მიიღეს ათოსის ნათელი, ზუსტი და მეტად მნიშვნელოვანი ბრძანება.

მეორე დღეს, გათენებისას, ოთხივე ცალ-ცალკე უნდა წასულიყო არმანტიერში. პლანშე, როგორც ამ ოთხში ყველაზე მეტად მოფიქრებული, იმ გზით უნდა წასულიყო, რომლითაც მილედისათვის გამოგზავნილი კარეტა წავიდა. ჩვენმა მუშკეტერებმა ესროლეს კიდეც ამ კარეტას. მკითხველს ეხსომება, რომ როშფორის მსახური უნდა ყოფილიყო ამ კარეტასთან.

ათოსმა მსახურები გამოიყენა თავისი გეგმის ასასრულებლად. ეს იმიტომ, რომ კარგა ხანი იყო, მასა და მის მეგობრებს ემსახურებოდნენ ეს ბიჭები და ყველას იცნობდა, იცოდა ოთხივეს ნიჭისა და მოხერხების ამბავი.

გარდა ამისა, მსახურები გამვლელ-გამომვლელებში უფრო ადვილად გამოიკითხავდნენ ამა თუ იმ პიროვნების ვინაობას, საცხოვრებელ ადგილს. მათში ნაკლებად შეეპარებოდათ ეჭვი, ვიდრე თვითონ ბატონებში და უფრო ადვილადაც მიიღებდნენ სასურველ პასუხს; ამას გარდა, მილედი ბატონებს იცნობდა, მსახურებს კი არა, ხოლო მსახურები კარგად იცნობდნენ მილედის.

მეორე დღეს, თუ მოახერხებდნენ და მიაგნებდნენ მილედის ბინას, დილის თერთმეტ საათზე ერთად უნდა შეკრებილიყვნენ ოთხივენი; სამი ბიჭი იქვე დარჩებოდა სადარაჯოდ, მეოთხე კი ბეთუნში უნდა დაბრუნებულიყო და ათოსისათვის შეეტყობინებინა ყველაფერი.

ბიჭებმა მიიღეს ეს ბრძანება და ოთახიდან გავიდნენ. ათოსიც წამოდგა, ხმალი შემოიკრა, წამოსასხამში გაეხვია და ქუჩაში გავიდა. ათი საათი იქნებოდა, ამ დროს, როგორც ვიცით, პროვინციის ქუჩებში ძალიან იშვიათად შეხვდებით ადამიანს. ათოსი კი, ეტყობოდა, გამვლელს ეძებდა, რომ კითხვით მიემართა. ბოლოს ერთი დაგვიანებული მგზავრი შეხვდა, მიუახლოვდა და რამდენიმე სიტყვა უთხრა. ამ კაცს შეეშინდა, უკან დაიწია, მუშკეტერს, სიტყვის პასუხად, ხელით აჩვენა მიმართულება. ათოსი ნახევარ პისტოლს აძლევდა, თუ დანიშნულ ადგილამდე მიიყვანდა, მაგრამ მგზავრმა არც გაცილება ისურვა და არც ფული.

ათოსი გაჰყვა გამვლელის მიერ ნაჩვენებ ქუჩას, მაგრამ ქუჩის ჯვარედინზე რომ მივიდა, ხელახლა შეჩერდა, აღარ იცოდა, საით წასულიყო. გზაჯვარედინზე უფრო ადვილად შეხვდებოდა ვინმეს, ვიდრე სხვაგან. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ღამის დარაჯი დაინახა. ათოსმა მასაც იგივე ჰკითხა, რაც წინათ ვიღაც გამვლელს. ამ დარაჯსაც ისევე შეეშინდა, როგორც იმ კაცს, გაცილებაზე უარი უთხრა და ხელით აჩვენა გზა.

ახლა ამ გზით წავიდა ათოსი და გარეუბანში გავიდა, ქალაქის ბოლოს, იმ უბნის მოპირდაპირე მხარეს, რომლითაც ისა და მისი მეგობრები შევიდნენ ბეთუნში, ათოსი მესამედ შეჩერდა.

კიდევ კარგი, რომ ამ დროს მათხოვარი მოდიოდა, იგი ათოსთან მივიდა და მოწყალება სთხოვა. სამ ფრანკს დაჰპირდა ათოსი, თუ იმ სახლამდე მიაცილებდა, რომელსაც ეძებდა. ერთხანს ყოყმანობდა მათხოვარი, მაგრამ ბნელში თეთრი ფულის ბრწყინვა დაინახა და დათანხმდა. წინ გაუძღვა.

მათხოვარმა ქუჩის კუთხიდან შორს ანიშნა ერთი პატარა, განცალკევებული სახლი, შემდეგ ფული გამოართვა და სირბილით წავიდა, რომ მალე მოშორებოდა იქაურობას.

ათოსი სახლთან მივიდა, გარს შემოუარა, ვიდრე კარს მიაგნებდა სახლის წითლად შეღებილ კედლებში. დარაბები მოხურული იყო, სინათლე არსად ჩანდა, არავითარი ხმაური, რომ კაცს ეს სახლი ცოცხალი ადამიანის ბინად სჩვენებოდა. ჩაბნელებული იყო და მიყრუებული, როგორც აკლდამა.

ორჯერ დააკაკუნა კარზე. ხმა არავინ გასცა, მესამე დაკაკუნებაზე სახლში ფეხის ხმა გაისმა. ვიღაცამ კარი ოდნავ გააღო. ეს იყო ახოვანი, ფერმკრთალი, შავთმიანი და შავწვერიანი კაცი.

ათოსმა და იმ კაცმა ჩუმი ხმით რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს. მერე მასპინძელმა ათოსი შინ შეიწვია, ისიც მაშინვე შევიდა და კარი მოხურეს.

კარგა მანძილი გამოირა ფეხით ათოსმა. ბევრს ეწვალა, მანამ მიაგნებდა ამ კაცის სახლს და ახლა უკვე მის ოთახში იყო. ეტყობოდა, ეს კაცი მავთულით ადამიანის ძვლებსა ჰკრავდა. კარგად იყო აღდგენილი მთელი ჩონჩხი, რჩებოდა მხოლოდ თავი, რომელიც იქვე იდო, მაგიდაზე.

ბინის დანარჩენი მოწყობილობა უეჭველად ამტკიცებდა, რომ ამ ბინის პატრონი ბუნებისმეტყველი უნდა ყოფილიყო. თიხის ქილებში გველები ეწყო, გამხმარი ხვლიკები ისე ბრწყინავდნენ, როგორც შავ ქვაში ჩასმული ზურმუხტები, ჭერზე ეკიდა კონებად შეკრული გარეული სურნელოვანი გამხმარი ბალახი, რომელთა თვისება ალბათ ჯერ სხვებისათვის უცნობი იყო. ეტყობოდა, არც ოჯახი ჰყავდა და არც მსახური, მარტოდმარტო ცხოვრობდა ეს ახოვანი კაცი.

ათოსმა ცივად, უხალისოდ გადაავლო თვალი იქაურობას, იმ საგნებს, რომლებიც ჩვენ დავასახელეთ, და თანახმად მასპინძლის მიწვევისა, სკამზე დაჯდა. მასპინძელი იდგა და ათოსს შესცქეროდა.

ათოსმა აუხსნა ასე გვიან მოსვლის მიზეზი. აუხსნა, რა დახმარებასა სთხოვდა, მაგრამ, როგორც კი გაიგო მასპინძელმა ათოსის მისვლის მიზანი, შეშინებულმა უკან დაიწია და უარი გამოუცხადა. მაშინ ათოსმა პატარა ნაჭერი ქაღალდი ამოიღო, რამდენიმე სიტყვა დაწერა, შემდეგ ხელი მოაწერა, ზედ ბეჭედი დაარტყა და იმ კაცს გადასცა. თვალი გადაავლო ახოვანმა ქაღალდს, არც კი წაიკითხა ხეირინად ის ორი სტრიქონი, ნახა ხელის მოწერა, იცნო ბეჭედი და თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

ამით დაკმაყოფილდა ათოსი, წამოდგა, გამოემშვიდობა და ქუჩაში გამოვიდა. იმავე გზით დაბრუნდა სასტუმროში, რომლითაც მივიდა. შევიდა თავის ოთახში და კარი ჩაიკეტა.

როგორც კი ინათა, დ არტანიანი მაშინვე შევიდა ათოსთან და ჰკითხა:

– აბა, რას ვაპირებთ, ათოს?

– ლოდინს, – უპასუხა ათოსმა.

ცოტა ხნის შემდეგ მონასტრის წინამძღვარმა აცნობა მუშკეტერებს, რომ მიცვალებულს შუადღისას ასაფლავებდნენ, რაც შეეხება უბედურის მომწამვლელს, მის შესახებ არაფერი იცოდნენ.

როგორც ეტყობოდა, იგი ბაღიდან უნდა გაქცეულიყო, რადგან ბაღის ხეივნის ქვიშაზე მისი ნაფეხურები ნახეს, ბაღის კარებიც დაკეტილი დახვდათ, გასაღებიც მილედისთან ერთად გამქრალიყო.

დანიშნულ დროს ლორდი უინტერი და ოთხი მუშკეტერი მონასტერში იყვნენ. ისმოდა გლოვის ზარი, ეკლესია ღია იყო, მგალობლების ადგილზე დაესვენებინათ საწყალი ქალი, და მოაჯირი დაეკეტათ. მიცვალებულს მონაზვნის ტანისამოსი ეცვა. მიცვალებულის ორივე მხრივ და მოაჯირის უკან უკლებლივ მოგროვილიყვნენ კარმელისტები. წირვას ისმენდნენ მონაზვნები. თავის ხმას უწყობდნენ მღვდლების ხმას. მონაზვნები ისე იდგნენ, რომ ვერც კი ხედავდნენ ყმაწვილკაცებს, ვერც მუშკეტერები ხედავდნენ მათ.

დ არტანიანი ეკლესიის კარებთან მივიდა და იგრძნო, რომ ხელახლა ელეოდა ძალ-ღონე, ათოსს მიუბრუნდა, მაგრამ ათოსი არსად ჩანდა.

ათოსს თავისი დაპირების მეტი აღარა ახსოვდა რა და სთხოვა, ბაღში ჩაეყვანათ. მან ქვიშაზე შეამჩნია ფეხის ანაბეჭდი იმ ქალისა, რომელიც

სისხლიან კვალსა ტოვებდა, სადაც კი გაივლიდა. მიჰყვა იმ კვალს და მივიდა ტყეში გამავალ კარებთან, გააღებინა და ტყეში შევიდა.

აქ გაუმართლდა ყველა თავისი ეჭვი: კარეტა, რომელიც მუშკეტერებს გაექცათ, იმ ტყის პირს გაჰყოლოდა. ათოსი ნელი ნაბიჯით მიდიოდა და გზას დასცქეროდა. აქა-იქ სისხლის წვეთი მოჩანდა, მუშკეტერების მიერ იქნებოდა დაჭრილი კარეტის წინ ცხენით მიმავალი შიკრიკი ან კარეტის ცხენი. ამ სისხლიან გზას მიჰყვა ათოსი და ორმოცდახუთი წუთის შემდეგ სოფელ ფესტუბერიდან სულ ორმოცდაათი ნაბიჯის დაშორებით სისხლის მთელი გუბე დაინახა. მიწა ცხენის ნალით იყო ათხრილი, ტყისა და ამ სისხლის გუბეს შუა ათხრილი მიწის უკან იგივე ნაფეხური ჩანდა, რაც ბაღში. კარეტა აქ დამდგარიყო. ბაღიდან აქ გამოსულიყო მილედი და ეტლში ჩაბრძანებულიყო.

ბაღისა და ტყის კვლევამ ათოსის ვარაუდი სავსებით გაამართლა. იგი დაუყოვნებლივ დაბრუნდა სასტუმროში, სადაც პლანშე დახვდა.

ყველაფერი ისე მომხდარიყო, როგორც ათოსი ფიქრობდა. პლანშე გაჰყოლოდა დანიშნულ გზას, მასაც ათოსივით დაენახა სისხლის წვეთები, მიეგნო იმ ადგილისათვის, სადაც ცხენები დაეყენებინათ, მაგრამ პლანშეს უფრო წინ წაეწია კვლევა, ვიდრე ათოსს. სოფელ ფესტუბერში შესულიყო ერთ დუქანში პირის გასასველებლად და კითხვა არც კი დასჭირვებოდა, ისე გაეგონა ლაპარაკი, რომ წუხელ, ასე, ცხრის ნახევარზე, ერთი ქალი და მისი დაჭრილი ცხენოსანი შიკრიკი, რომლებიც ფოსტის კარეტით მიემგზავრებოდნენ, იძულებულნი გახდნენ, გაჩერებულიყვნენ, რადგან ორივე ცუდად გრძნობდა თავს. ამას მობაასენი ყაჩაღებს აბრალებდნენ, რომლებიც ტყეში თავს დასხმოდნენ კარეტას, კაცი იქვე, სოფელში დარჩენილიყო, ქალს კი გამოეცვლევინებინა ცხენები და ისევ თავის გზას გასგომოდა.

მაშინ პლანშემ დაიწყო ძებნა ფოსტის მსახურისა, რომელმაც ეტლით წაიყვანა მილედი. იპოვა კიდეც და მისგან გაიგო, რომ მას ფრომელამდე მიეყვანა ქალი, რომელიც იქიდან არმანტიერში გამგზავრებულიყო. პლანშეც მაშინვე ამ მიმართულებით გაეშურა და დილის შვიდ საათზე უკვე არმანტიერში მივიდა.

არმანტიერში ერთადერთი სასტუმრო იყო და პლანშეც შიგ შევიდა, ითხოვა, მსახური ვარ, უალაგოდ დავრჩი, იქნება მიმიღოთო. ათი წუთიც არ გასულიყო სასტუმროს მსახურებთან ლაპარაკში და უკვე გაეგო, რომ ღამის თერთმეტ საათზე ერთი ქალი მისულიყო მარტოდმარტო, ოთახი აეღო, დაებარებინა სასტუმროს პატრონი და ეთქვა, რომ ცოტა ხნით არმანტიერის მიდამოებში აპირებდა დარჩენას.

ამაზე მეტი აღარა უნდოდა რა პლანშეს. გაიქცა, იპოვა თავისი ამხანაგები, სამივე თავ-თავის სადარაჯოზე დააყენა სასტუმროს კარებთან და თვითონ ათოსისაკენ გამოიქცა.

პლანშესთან ლაპარაკს ამთავრებდა ათოსი, როდესაც მეგობრებმა კარი შემოაღეს.

მწუხარე, მოღუშული სახე ჰქონდა ყველას, თვით საამოსახიანი არამისიც კი მოღუშულიყო.

– ჰა, რას ვაპირებთ? – ჰკითხა დ არტანიანმა

– ლოდინს, – მიუგო ათოსმა.

და ყველანი ისევ თავ-თავის ოთახებში შევიდნენ.

საღამოს რვა საათზე ათოსმა ცხენები შეაკაზმვინა და ლორდ უინტერსა და თავის მეგობრებს აცნობა, რომ წასასვლელად მომზადებულიყვნენ.

იმწამსვე მზად იყვნენ ხუთივენი. გაისინჯეს და მოამზადეს საკუთარი იარაღები, ბოლოს თვითონ ათოსიც ჩამოვიდა, დ არტანიანი უკვე ცხენზე შემჯდარიყო, ძალიან ეჩქარებოდა საწყალს.

– მოითმინეთ, – სთხოვა ათოსმა. – ერთი კაცი კიდევ გვაკლია.

გაკვირვებული მუშკეტერები აქეთ-იქით იცქირებოდნენ, რომ გაეგოთ, ვინ აკლდა ათოსს, მაგრამ არავინ მოჩანდა და ამაოდ იწუხებდნენ თავს იმის გამოცნობით, თუ ვინ უნდა ყოფილიყო.

ამასობაში პლანშემ ცხენი მოჰგვარა ათოსს, ისიც მარდად მოახტა ცხენს და ამხანაგებს სთხოვა, ცოტა ხანს დამიცადეთ, ახლავე მოვალო. თქვა და გაექანა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ იგი, მართლაც, დაბრუნდა, ოღონდ თან ვიღაც ნიღბიანი კაცი მოიყვანა, რომელიც წითელ წამოსასხამში იყო გახვეული.

ლორდი უინტერი და სამი მუშკეტერი თვალებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ უპასუხოდ რჩებოდა ეს ჩუმი კითხვა, რადგან არავინ იცოდა, ვინ იყო ეს კაცი ან რად იყო ამ საქმეში ჩარეული. გადაწყვიტეს, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო, რაკი ათოსი აკეთებდა ამ საქმეს.

ცხრა საათზე დაიძრნენ მეგობრები. გზის მაჩვენებლად პლანშე ჰყავდათ. ისინიც იმ გზით წავიდნენ, რომლითაც მილედის კარეტა წასულიყო.

სამწუხარო სანახავი იყო ეს ექვსი კაცი: ჩუმად მიდიოდნენ, თავიანთი ფიქრებით გატაცებულნი, მოღუშულნი – როგორც თვითონ სასოწარკვეთილება, პირქუშნი – როგორც შურისძიება.

XXXV

სასამართლო

ბნელი, ქარიშხლიანი ღამე იყო, შავი ღრუბელი მოჰფენოდა ზეცას და ვარსკვლავებს ფარავდა. მთვარე შუაღამემდე არ ამოვიდოდა.

ხანდახან ელვის სინათლეზე გამოჩნდებოდა თეთრი, გრძლად გადაჭიმული, დაცარიელებული გზა, მალე ყველაფერს ისევ წყვდიადი ნთქავდა.

წამდაუწუმ შეაყენებდა ხოლმე ათოსი წინ მიმავალ დ არტანიანს და სთხოვდა, მათთან ერთად ევლო, მაგრამ ამაოდ; რამდენიმე წუთში დ არტანიანი ისევ წინ გაუსწრებდა, მას ერთადერთი ფიქრი ამოძრავებდა, რაც შეიძლება ჩქარა წასულიყო.

ჩუმად გაიარეს სოფელი ფესტუბერი, სადაც როშფორის დაჭრილი მსახური დარჩენილიყო. მერე რიშბურგის ტყის პირს მიჰყვნენ. როდესაც ერლიეში ჩავიდნენ, პლანშეს მითითების თანახმად, მარცხნივ შეუხვიეს.

რამდენჯერმე სცადეს ხან უინტერმა, ხან პორთოსმა და არამისმა, ლაპარაკი დაეწყოთ წითელწამოსასხამიან კაცთან, მაგრამ ის პასუხს არ იძლეოდა და ხმის ამოუღებლად უქნევდა თავს. მაშინ მიხვდნენ მგზავრები, რომ უცნობი რაღაც მიზეზის გამო ხმას არ იღებდა და თავი დაანებეს.

ავდარი კი უფრო და უფრო მეტად მძვინვარებდა. ელვა ელვას მოსდევდა, ქუხილი მატულობდა, გრიგალის წინამორბედი ქარი ძლიერად ქროდა, ათამაშებდა ჩვენი მგზავრების ქუდის ბუმბულებს და თმას უწეწავდა.

ცხენოსნები აჩქარდნენ.

გაიარეს ფრომელი და წვიმამაც დაუშვა, მგზავრები წამოსასხამებში გაეხვივნენ, სამი ლიე კიდევ ჰქონდათ გასავლელი. შხაპუნა წვიმა სახეში სცემდათ.

დ არტანიანმა წამოსასხამი არ მოისხა და ქუდიც კი მოიხადა. იგი მწუხარებით ანთებულ შუბლს სიამოვნებით უშვერდა გამაგრილებელ წვიმას.

გოსკალს რომ გასცდნენ და ფოსტას მიუახლოვდნენ, ვიღაცა კაცი, რომელიც დასველების შიშით ხეს ამოჰფარებოდა, ხმაამოუღებლად შუა გზაზე გამოვიდა და თითები ტუჩებზე მიიდო.

ათოსმა იცნო გრიმო.

– რა მოხდა? – ჰკითხა დ არტანიანმა, – ნუთუ არმანტიერიდანაც გაგვექცა?

გრიმომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

დ არტანიანმა კბილები დააკრაჭუნა.

– ჩუმად, დ არტანიან! – უბრძანა ათოსმა, – მე ვიკისრე ყველაფერი და, მაშასადამე, გრიმოსაც მე დავკითხავ.

– საით წავიდა, გრიმო? – ჰკითხა ათოსმა.

გრიმომ ხელი გაიშვირა მდინარე ლისკენ.

– შორს არის აქედან?

გრიმომ პასუხად თავის ბატონს მოკაკული სალოკი თითი დაანახვა.

–მარტოა?

გრიმომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ბატონებო, – მიმართა ამხანაგებს ათოსმა, – ის ავსული ჩვენგან ნახევარი ლიეთია დაშორებული.

– ძალიან კარგი, – თქვა დ არტანიანმა, – აბა, გრიმო, წინ გაგვიძეხ!

გრიმომ მინდორში გადაუხვია და ახლა ის გახდა გზის მაჩვენებელი.

გაიარეს დაახლოებით ხუთასიოდე ნაბიჯი, მდინარეს მიადგნენ და ფონით გავიდნენ გაღმა მხარეს.

ამ დროს გაიელვა და მგზავრებმა დაინახეს სოფელი ენგენგემი.

– მივედით, გრიმო? – ჰკითხა ათოსმა.

გრიმომ თავი გაიქნია, ჯერ არაო.

– ჩუმად, ბატონებო, – სთხოვა ათოსმა და ისევ ააჩქარეს ცხენები.

კიდევ გაიელვა, გრიმომ ხელი გაიშვირა და გველივით დაკლაკნილი ცეცხლოვანი ელვის მოლურჯო სინათლეზე, მდინარის პირას, ბორნის ახლოს, პატარა განცალკევებული სახლი დაანახვა.

ერთ ფანჯარაში სინათლე მოჩანდა.

– მივედით, – თქვა ათოსმა.

ამ დროს თხრილიდან ვიღაც კაცი წამოდგა და განათებული ფანჯრისკენ ხელი გაიშვირა. ეს მუშკეტონი იყო.

– იქ გახლავთ, – მოახსენა მან.

– ბაზენი სადღაა?

– მე ფანჯარასთან ვდარაჯობ, ის კარებთან გახლავთ.

– ყოჩაღ, – უთხრა ათოსმა, – მართლაც კარგი ბიჭები ყოფილხართ.

ათოსი ჩამოხტა ცხენიდან, აღვირი გრიმოს მისცა, ამხანაგებს ანიშნა, კარებთან მისულიყვნენ, თვითონ კი განათებული ფანჯრისაკენ წავიდა.

ამ პატარა სახლს გარშემო დაბალი ღობე ეკრა. ათოსი ღობეზე გადახტა და მივიდა უდარაბო ფანჯარასთან, რომელსაც ფარდა ეფარა, ქვაზე შედგა, რომ ოთახში ფარდის ზემოდან შეეხედა.

ოთახში ლამპა ენთო, ბუხართან, მიმქრალ ცეცხლთან სკამზე იჯდა შავი წამოსასხამით მოფუთნული ქალი. უშნო მაგიდაზე დაეყრდნო მკლავები და სპილოს ძვალივით თეთრ ხელებზე დაეშვა თავი.

სახე არ უჩანდა ქალს, მაგრამ ბოროტად გაიღიმა ათოსმა: შეუძლებელი იყო აქ შეცდომა, ოთახში სწორედ ის იყო, ვისაც ეძებდა.

ამ დროს ცხენმა დაიჭიხვინა. მილედიმ წამოიწია, დაინახა ფანჯრის შუშაზე მიკრული ათოსის სახე და დაიკივლა.

ათოსი მიხვდა, რომ უკვე იცნო მისმა ნაცოლარმა, ფანჯრის ჩარჩოს მუხლით მიაწვა და ხელით შეაღო, შუშები დაიმსხვრა... ათოსი შურისძიების აჩრდილივით შევარდა ოთახში.

მილედი კარებს ეცა. იქ დ არტანიანი დახვდა ათოსზე უფრო ფერმიხდილი და გაშმაგებული.

მილედიმ შეჰკივლა და საჩქაროდ უკან დაიწია. დ არტანიანს ეგონა, რაიმე გასავალი გზა აქვს და იმიტომ გარბისო, შეშინდა გასკონელი, კიდევ არ გასხლტომოდათ ხელიდან და დამბაჩა იძრო, მაგრამ ათოსმა ხელით შეაჩერა.

– თავის ადგილზე შეინახეთ დამბაჩა, დ არტანიან, - უთხრა მან, – ჩვენ ამ ქალის განსასჯელად მოვედით და არა მოსაკლავად. ცოტა ხანს კიდევ მოგვითმინე; გარწმუნებ, კმაყოფილი დამრჩები. შემობრძანდით, ბატონებო!

დ არტანიანი დაემორჩილა ათოსს, რომელსაც თვით ღვთისაგან მოვლენილი მსაჯულის ხმა ჰქონდა. დ არტანიანს თან შემოჰყვნენ პორთოსი, არამისი, ლორდი უინტერი და წითელწამოსასხამიანი კაცი.

ოთხი მსახური კარებს და ფანჯრებს დარაჯობდა.

მილედი სკამზე დაცემულიყო, ხელები აეშვირა, თითქოს ცდილობდა, მორიდებოდა საზარელ მოჩვენებას. მაზლის დანახვაზე კივილი აღმოხდა.

– რა გინდათ, რა? – შეჰყვირა ათოსს.

– გვინდა ვნახოთ შარლოტა ბაკსონი, – მიუგო ათოსმა, – რომელიც ჯერ გრაფ დე ლა ფერის მეუღლედ იწოდებოდა, შემდეგ კი ლედი უინტერად, ბარონ შეფილდის მეუღლედ.

– მე ვარ, მე! – წაილუღლუღა შიშით თავზარდაცემულმა, – რა გინდათ ჩემგან?

– უნდა გაგასამართლოთ თქვენ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებებისგამო, – მიუგო ათოსმა, – თქვენ გეძლევათ თავის დაცვის უფლება და, თუ შეგიძლიათ, ეცადეთ, გამართლდეთ. ბატონო დ არტანიან, თქვენ პირველს გეკუთვნით სიტყვა. რა ბრალსა სდებთ ამ ქალს?

დ არტანიანი წინ დადგა.

– ღვთისა და ადამინთა წინაშე ვამტკიცებ, რომ ამ ქალმა გუშინ საღამოს საწამლავი დაალევინა და სიცოცხლეს გამოასალმა კონსტანცია ბონასიე.

მერე პორთოსსა და არამისს მიუბრუნდა:

– მართალი არის, ჩვენ ვართ მაგის მოწმენი, – თქვეს ერთხმად მუშკეტერებმა.

მერე ისევ დ არტანიანმა განაგრძო:

– ღვთისა და ადამიანების წინაშე მე ბრალსა ვდებ ამ ქალს ჩემი მოწამვლის ცდისათვის. მან ვილერუადან ჩემი ამხანაგების სახელით გამომიგზავნა მოწამლული ღვინო და ყალბი წერილი. მე ღმერთმა მიხსნა, მაგრამ ჩემ მაგივრად მოკვდა სხვა, მას ბრიზმონი ერქვა.

– ჩვენ ვადასტურებთ ამ სიტყვებს, – თქვეს ერთხმად პორთოსმა და არამისმა.

– ღვთისა და ადამიანთა წინაშე, – განაგრძო ისევ დ არტანიანმა, – მე ბრალსა ვდებ ამ ქალს იმაში, რომ იგი გრაფ ვარდის მოკვლას ჩამჩიჩინებდა, მართალია, აქ დამსწრენი ვერ დამემოწმებიან, მაგრამ მე ღმერთს ვიმოწმებ. დავამთავრე! – თქვა და ოთახის მეორე მხარეს, არამისთან და პორთოსთან გაჩერდა.

– ახლა თქვენ ბრძანეთ, მილორდ, – მიმართა ათოსმა უინტერს.

მილორდი წინ გამოვიდა.

– ღვთისა და ადამიანთა წინაშე ვამტკიცებ, რომ ამ ქალმა მოაკვლევინა ჰერცოგი ბუკინგამი.

– ბუკინგამი მოაკვლევინა? – შეჰყვირა ერთხმად ყველა იქ მყოფმა.

– დიახ, ბატონებო, ამან მოაკვლევინა. მე მივიღე თქვენი წერილი, თანახმად თქვენი გაფრთხილებისა, დავაჭერინე ეს ბოროტი სული და ერთ მეტად პატიოსან, ერთგულ მოსამსახურეს მივანდე მისი დარაჯობა. ამან გააბრიყვა, გარყვნა, ხანჯალი მისცა ხელში, მოაკვლევინა ბუკინგამი. და იქნება სწორედ ამწუთას ანთხევს სისხლს უბედური ფელტონი, რომ თავისი სისხლით გამოისყიდოს ამ დედაკაცის ბოროტება.

ამ ახალი ბოროტების გაგონებამ მუხლები აუკანკალა მსაჯულებს.

– ჯერ არ დამიმთავრებია, – განაგრძო უინტერმა, – ჩემმა ძმამ თავის მემკვიდრედ ეს ქალბატონი დაამტკიცა და ამის შემდეგ სამ საათში მოკვდა რაღაც უცნაური ავადმყოფობით, რომელიც მოლურჯო ფერის ლაქებს ტოვებს მიცვალებულის ტანზე. რა დაემართა ჩემს ძმას, ჩემო რძალო? რამ მოკლა ისე უცბად თქვენი ქმარი?

– საშინელებაა! – წამოიძახეს არამისმა და პორთოსმა.

– ბუკინგამის მკვლელო, ფელტონის მკვლელო, ჩემი ძმის მკვლელო! მე სამართალს მოვითხოვ ან მე თვითონ გავაჩენ სამართალს.

ლორდი უინტერიც დ არტანიანთან მივიდა და სხვა ბრალმდებელს დაუთმო ადგილი.

მილედიმ თავი ხელებზე დაუშვა და ცდილობდა, გონება მოეკრიბა.

– მაშ, ახლა მე მოგახსენებთ, – თქვა ათოსმა, თან ისე კანკალებდა, როგორც ლომი – გველის დანახვაზე, – ახლა მე მოგახსენებთ: ჯერ სულ ახალგაზრდა იყო ეს ბოროტი სული, როდესაც ცოლად შევირთე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო მთელი ჩემი ოჯახი და ჩვენი გვარი. მე მივეცი ამ ქალს ყელაფერი, რაც კი გამაჩნდა, მივეცი ჩემი გვარიც. ერთ დღეს შევამჩნიე, რომ ეს მარცხენა მხარზე დადაღული იყო შროშანას ყვავილით.

– ოჰ, – შეჰყვირა მილედიმ და წამოვარდა, – აბა, დამისახელეთ, აბა, მიპოვეთ ის სასამართლო, რომელმაც დაადგინა ჩემი ასე სამარცხვინოდ დასჯა, აბა, მიპოვეთ ის ჯალათი, რომელმაც აასრულა ამგვარი სასჯელი!

– ჩუმად! – გაისმა უცნობი ხმა. – ამის პასუხს მე მოგცემთ, – და წითელწამოსასხამიანი კაცი წინ გამოვიდა.

– ვინ არის ეს კაცი? ვინ არის ეს კაცი? – კიოდა შიშით ათრთოლებული მილედი.

ყველა ამ კაცს შეჰყურებდა. მას, ათოსის გარდა, არავინ იცნობდა.

თვითონ ათოსიც ისეთივე განცვიფრებული უყურებდა წითელწამოსასხამიანს, როგორც სხვები, იმიტომ, რომ მან არ იცოდა, როგორ უნდა ყოფილიყო ეს კაცი გარეული იმ საშინელ დრამაში, რომლის კვანძიც ეს-ეს არის იხსნებოდა.

წითელწამოსასხამიანი ნელი, დარბაისლური ნაბიჯით მილედისთან მივიდა და როდესაც იმდენად მიუახლოვდა, რომ პატარა მაგიდაღა აშორებდა, ნიღაბი მოიხსნა.

მილედი დააცქერდა ფერმკრთალ, შავი თმითა და წვერით დაფარულ სახეს, რომელზედაც გაყინული უგრძნობლობის მეტს ვერაფერს ამოიკითხავდით, და საზარლად შეჰკივლა.

– ოჰ, არა, არა!

წამოვარდა, უკან-უკან წავიდა, კედელს მიეკრა ზურგით.

– არა, არა, ეს ჯოჯოხეთის მოჩვენებაა, ეს ის არ არის!.. მიშველეთ! მიშველეთ! – გაჰკიოდა მილედი ხრინწიანი ხმით. შემდგ კედლისაკენ მიბრუნდა, თითქოს უნდოდა, გაეპო კედელი და მტერს გაჰქცეოდა.

– მართლადა, ვინ ბრძანდებით? – ჰკითხეს უინტერმა და მუშკეტერებმა.

– ამ დედაკაცსა ჰკითხეთ, – უპასუხა წითელწამოსასხამიანმა. – ხომ ხედავთ, მიცნო.

– ლილიელი ჯალათი! ლილიელი ჯალათი! – შეჰყვირა შიშით გაგიჟებულმა მილედიმ და თან ხელებით კედელს ებღაუჭებოდა, რომ არ წაქცეულიყო.

ყველანი შემოეცალნენ წითელწამოსასხამიან კაცს და მარტო ის დარჩა ოთახის შუაგულში.

– ოჰ, შემინდეთ! შემიბრალეთ! – შეჰყვირა ქალმა და მუხლებზე დაეშვა.

უცნობმა დააცადა, რომ დუმილი ჩამოვარდნილიყო.

– ხომ მოგახსენეთ, მიცნო-მეთქი, – განაგრძო ისევ მშვიდად. – დიახ, მე ქალაქ ლილის ჯალათი ვარ და, აი, ახლა ჩემი უბედურება მოისმინეთ.

ყველა მას შესცქეროდა და გულის ფანცქალით მოელოდნენ მის საჩივარს.

– ეს ქალი ოდესღაც ახალგაზრდა და ისეთივე ლამაზი იყო, როგორიც დღესაა. ტამპლემარის ბენედიქტელების მონასტერში იყო მონაზვნად. მონასტრის მღვდელი ერთი გულუბრყვილო და ღვთისმოსავი ახალგაზრდა კაცი იყო. ამ ქალბატონმა განიზრახა მისი ცთუნება და აისრულა კიდეც წადილი... წმიდანსაც კი აცთუნებდა, რომ მოენდომებინა, მაგრამ დიდხანს ვერ დარჩებოდა შეუმჩნევლად მათი კავშირი და ორივე დაიღუპებოდა, თუ გამოაშკარავდებოდა ეს საიდუმლოება. დაითანხმა ამ ქალმა მღვდელი და გადაწყვიტა, სადღაც შორს გადაკარგულიყვნენ. ამისათვის კი საჭირო იყო ფული. მღვდელმა მონასტრიდან მოიპარა წმინდა ბარძიმი და სხვა ჭურჭელი, გაყიდა ისინი, მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც გასაქცევად გაემზადნენ, ორივე დაიჭირეს.

რვა დღის შემდეგ საპატიმროს უფროსის შვილი აცთუნა ქალბატონმა და გაიქცა, ყმაწვილ მღვდელს ათი წლით პატიმრობა და დადაღვა მიუსაჯეს. მაშინ მე ვიყავი ლილის ჯალათი, როგორც ეს ავსული ბრძანებს. იძულებული ვიყავი, დაღი დამესვა დამნაშავისათვის, დამნაშავე, ბატონებო... ჩემი ძმა იყო!

აღთქმა დავდე, რომ ეს დედაკაცი, დამღუპავი ჩემი ძმისა, მისი თანამოზიარე, რომლის ზეგავლენითაც იყო ჩადენილი ის ქურდობა, ნაწილობრივ მაინც დამესაჯა იმავე სასჯელით, რაც ჩემს ძმას მიუსაჯეს. ვიცოდი, სადაც იმალებოდა, მივედი, დავიჭირე, ხელ-ფეხი შევუკარი, იგივე დაღი დავასვი მხარზე, რაც ჩემს საწყალ ძმას.

დავბრუნდი ლილში. მივედი შინ. მეორე დღეს ჩემი ძმა გაპარულიყო ციხიდან. დამიჭირეს, მისი თანამოზიარობა დამწამეს და მომისაჯეს მის მაგივრად პატიმრობა, მანამ თვითონ არ გამოცხადდებოდა ჩემს გასათავისუფლებლად. ჩემმა უბედურმა ძმამ ამ სასჯელისა არა იცოდა რა, რადგან მაშინვე ამ ქალბატონთან გაქცეულიყო და ერთად გადაკარგულიყვნენ ბერრისკენ. იქ პატარა სამწყსო მიეღო და დად გამოეცხადებინა თავისი საყვარელი.

ჩემი ძმის სამწყსო ერთი დიდი მებატონის მამულში იდგა. დაინახა მებატონემ მღვდლის და, მოეწონა და იმდენად შეუყვარდა, რომ მეუღლედ შეყვანა აღუთქვა თავის ოჯახში. იმ ქალბატონმაც თავი მიანება თავის მიერ დაღუპულ კაცს და შეუერთდა მას, ვისაც მომავალში დაღუპავდა. იგი გახდა გრაფ დე ლა ფერის მეუღლე...

ყველამ ათოსს შეხედა, მხოლოდ მაშინ გაიგეს მისი ნამდვილი გვარი. ათოსმა თავი დაიქნია იმის დასამტკიცებლად, რომ ჯალათი მართალს ამბობდა.

– მაშინ, – განაგრძო წითელწამოსასხამიანმა, – ღალატით სასოწარკვეთილი ჩემი უბედური ძმა სახლში დაბრუნდა და როდესაც გაიგო, რომ მის მაგივრად მე ვიყავი დაპატიმრებული, გამოცხადდა... იმ ღამესვე თავი ჩამოიხრჩო საკნის სარკმელზე. სამართალი არ უნდა დაკარგოს კაცმა, ჩემმა მსაჯულებმა პატიოსნად ამისრულეს თავისი დაპირება: როგორც კი დარწმუნდნენ, რომ ჩამომხრჩვალი სწორედ ის პატიმარი იყო, რომელიც გაპარვოდათ, მაშინვე გამათავისუფლეს.

აი, რა ბრალსა ვდებ მე ამ სულმდაბალს და, აი, მიზეზი, რომლის გამოც დაღი დაედო.

– ბატონო დ არტანიან, – მიმართა ათოსმა, – რა სასჯელს მოითხოვთ თქვენ ამ ქალის დასასჯელად?

– სიკვდილით დასჯას! – უპასუხა დ არტანიანმა.

– ლორდ უინტერ, – განაგრძო ათოსმა, – რა სასჯელს მოითხოვთ თქვენ ამ ქალის დასასჯელად?

– სიკვდილით დასჯას! – უპასუხა უინტერმა.

– ბატონებო, არამის და პორთოს, – დაიწყო ისევ ათოსმა, – დღეს თქვენ ხართ ამ საქმის მსაჯულნი, რას მიუსჯით ამ ქალს?

– სიკვდილით დასჯას! – მიუგეს ყრუ ხმით მუშკეტერებმა.

მილედიმ საზარლად დაიღმუვლა და ხელებაპყრობილმა რამდენიმე ნაბიჯი მსაჯულებისკენ გადადგა.

ათოსმა ხელი გაშალა და შეაყენა.

– შარლოტა ბაკსონ, – უთხრა მან, – მეუღლევ გრაფ დე ლა ფერისა, მილედი უინტერ, თქვენმა ბოროტებამ დაღალა ადამიანები ამქვეყნად და ღმერთი ზეცაში. თუ იცით რაიმე ლოცვა, ილოცეთ, მიმართეთ ღმერთს, რადგან მსჯავრდადებული ხართ და მოკვდებით.

ამ სიტყვების გაგონებაზე, რომლებიც მას აღარაფრის იმედს არ აძლევდნენ, მილედი წამოვარდა, წელში გასწორდა, უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ვეღარ შეძლო. მძლავრმა ხელმა დაბღუჯა მისი თმა და ისევე დაუნდობლად იმორჩილებდა, როგორც ადამიანს ბედისწერა, ამიტომ აღარავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია და ხმის ამოუღებლივ გარეთ გაჰყვა.

ლორდი უინტერი, დ არტანიანი, ათოსი, არამისი, პორთოსი მიჰყვებოდნენ უკან. მსახურები თავიანთ ბატონებს დაედევნენ. დაცარიელდა ოთახი, რომლის ჩამტვრეული ფანჯრები ნახევრად ღიად დარჩენილიყო, ხოლო მაგიდაზე ლამპა ბოლავდა.

XXXVI

დასჯა

შუაღამე იქნებოდა. მთვარის განახევრებული სფერო მკრთალ სხივებს სცემდა ქალაქის მიბნელებულ სახლებს და მაღალ სამრეკლოს.

ხანგამოშვებით ელვა გაურბენდა ხოლმე ჰორიზონტს და გველივით იკლაკნებოდა. ქარი ჩამდგარიყო, სიოც კი არ ქროდა, რომ ფოთოლი შეენძრია ამ დამძიმებულ ჰაერში. სამარისებური დუმილი დასწოლოდა ბუნებას.

შებოჭილი მილედი ორ მსახურს მიჰყავდა, უკან ჯალათი მისდევდა, ჯალათს კი – ლორდი უინტერი, დ არტანიანი, ათოსი, არამისი, პორთოსი.

სულ უკან მიდიოდნენ პლანშე და ბაზენი.

მდინარისაკენ მიჰყავდათ მილედი, რომელსაც ენა ჩავარდნოდა, მაგრამ მისი თვალები სიტყვით გამოუთქმელი მჭევრმეტყველებით, რიგ-რიგად ეკედრებოდნენ შველას ხან ერთს და ხან მეორეს.

მილედი რამდენიმე ნაბიჯით წინ მიდიოდა, ამიტომ ისარგებლა შემთხვევით და მსახურებს, რომლებსაც იგი მიჰყავდათ, ჩუმად სთხოვა:

– ათას-ათასი პისტოლი, ოღონდ მიშველეთ, გამაქციეთ, ისიც იცოდეთ, თუ გამცემთ და მიღალატებთ, მე აქვე ახლოს მყავს მფარველი და შხამად შეგერგებათ ჩემი სიკვდილი.

გრიმო ყოყმანობდა, მუშკეტონი თავით ფეხებამდე კანკალებდა.

ათოსმა ყური მოჰკრა მილედის ხმას და სწრაფად მივარდა, ლორდი უინტერიც მიჰყვა.

– შეცვალეთ მსახურები, ისინი სანდონი არ არიან! – გასცა ბრძანება ათოსმა. დაუძახეს პლანშესა და ბაზენს, რომლებმაც შეცვალეს გრიმო და მუშკეტონი.

როდესაც მდინარის ნაპირს მიუახლოვდნენ, ჯალათმა ხელ-ფეხი შეუკრა მილედის.

– ოჰ, სულმდაბალნო, ლაჩრებო, თქვენ ადამიანის საზარელი მკვლელები ხართ, თქვენ ათი კაცი შეერთდით იმისათვის, რომ მოკლათ ერთი ქალი... ფრთხილად! თუ ჩემს საშველად არ მოვლენ, მერე მაინც იძიებენ შურს.

– თქვენ ქალი არა ხართ, – მიუგო ცივად ათოსმა, – თქვენ ადამიანის შთამომავლობისა არა ხართ. თქვენ ქაჯი ხართ, ჯოჯოხეთიდან გამოვარდნილი, და ჩვენც ჯოჯოხეთშივე ჩაგაგდებთ.

– ოჰ, სათნოებით აღსავსე ვაუკაცნო! – შეჰყვირა მილედიმ, – არ დაივიწყოთ, ვინც გაბედავს და ჩემი თმის თუნდ ერთ ბეწვს შეეხება, კაცისმკვლელი იქნება, სულით ხორცამდე წაწყმედილი კაცისმკვლელი.

– ჯალათი კლავს კაცს და კაცისმკვლელად არ ითვლება, ქალბატონო, – უპასუხა წითელწამოსასხამიანმა და ხელი დაჰკრა თავის განიერ ხმალს, – ჯალათი არის უკანასკნელი მსაჯული.

ამას ამბობდა და თან ხელ-ფეხს უკრავდა. მილედიმ ორჯერ-სამჯერ გაცოფებული მხეცივით დაიწივლა.

– თუ დანაშაული მაქვს რაიმე, თუ მართლა მე ჩავიდინე, რასაც მაბრალებთ, მიმიყვანეთ სასამართლოში, თქვენ ხომ მსაჯულები არა ხართ, რომ მსჯავრი დამდოთ! – ღმუოდა მილედი.

– აკი შემოგთავაზეთ ტაიბერნი, – უთხრა უინტერმა, – რატომ არ ინებეთ?

– იმიტომ, რომ სიკვდილი არ მინდა! – შეჰყვირა მილედიმ და თან ცდილობდა, ხელიდან დასხლტომოდა ჯალათს, – იმიტომ, რომ ჯერ მეტად ახალგაზრდა ვარ!

– ის ქალი უფრო ახალგაზრდა იყო, ქალბატონო, ვიდრე თქვენ, მაინც არ დაინდეთ და მოწამლეთ, – უთხრა დ არტანიანმა, – მოწამლეთ და მოკალით.

– საუკუნოდ შევალ მონასტერში, შევალ მონაზვნად, – სთხოვა მილედიმ.

– განა მონასტერში არ იყავით? – უპასუხა ჯალათმა, – თუ იმიტომ გამოხვედით იქიდან, რომ ჩემი ძმა დაგეღუპათ?

მილედი მუხლებზე დაეშვა.

ჯალათმა ხელში აიყვანა, უნდოდა, ნავში ჩაედო ასე ხელფეხშეკრული.

– ოჰ, ღმერთო, ღმერთო! – დაიწყო ისევ კივილი, – ნუთუ დახრჩობას მიპირებთ?

ამ კივილს რაღაც ისეთი გულისმოსაკლავი ძალა ჰქონდა, რომ ვეღარ გაუძლო დ არტანიანმა, რომელიც აქამდე მოუთმენლად, გამძვინვარებით მოითხოვდა თავისი მტრის დასჯას. დ არტანიანი ჯირკზე ჩამოჯდა და თავი დაღუნა, ყურებზე ხელები აიფარა, მაგრამ მაინც ესმოდა მილედის მუქარა და მისი კივილი.

დ არტანიანი ყველაზე ახალგაზრდა იყო, ამიტომ ვეღარ გაუძლო მისმა ნორჩმა გულმა ამ საშინელ სურათს.

– ოჰ, არ შემიძლია ამ საშინელების ატანა! არა, არ მინდა, ასე ნუ ვტანჯავთ მაგ უბედურს.

მილედიმ გაიგონა ეს სიტყვები, თვალებში იმედის ნაპერწკალმა გაურბინა.

– დ არტანიან! დ არტანიან! – შეჰყვირა მან, – გაიხსენე, რომ მე შენ მიყვარდი.

დ არტანიანი წამოდგა და მილედისაკენ წაიწია, წინ გადაუდგა ათოსი, ხმალი ამოიღო.

– ერთი ნაბიჯი კიდევ, დ არტანიან, და ერთმანეთს შეებრძოლებიან ჩვენი ხმლები, – უთხრა ათოსმა შთაგონებით.

დ არტანიანმა დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო.

– ჰა, ჯალათო! – დაუძახა ათოსმა, – აასრულე შენი მოვალეობა.

– სიამოვნებით, ჩემო ბატონო! – უპასუხა ჯალათმა. – გეფიცებით, მე კეთილმორწმუნე კათოლიკე ვარ და ღრმად დარწმუნებული, რომ სრულიად მართალი ვარ ამ ქალზე ჩემი თანამდებობის გამოყენებაში.

– ძალიან კარგი.

ათოსი მილედისაკენ წავიდა.

– მიპატიებია თქვენთვის ის უბედურებანი, რაც თქვენ მომაყენეთ, შემინდვია თქვენთვის ჩემი მომავლის წაშლა, ჩემი პატიოსნების შემწიკვლა, ჩემი სიყვარულის წაბილწვა და ჩემი მშვიდობის მოწამვლა, გულმშვიდად მოკვდით.

მერე ლორდი უინტერი მივიდა:

– მიპატიებია თქვენთვის ჩემი ძმის მოწამვლა, მიპატიებია მოკვლა ჰერცოგ ბუკინგამისა, შემინდვია თქვენთვის საწყალი ფელტონის სიკვდილი, მიპატიებია თქვენთვის ჩემი სიკვდილის ცდა, გულმშვიდად მოკვდით.

– მე კი, – წამოიძახა დ არტანიანმა, – ქალბატონო, პატიოსანი კაცისათვის უკადრისი ხერხებით გამოვიწვიე თქვენი რისხვა, შემინდვია თქვენთვის მოკვლა ჩემი საწყალი მეგობრისა და თქვენი საშინელი შურისძიება. შემინდვია ყოველივე თქვენთვის და გულმშვიდად მოკვდით.

– I ამ ლოსტ[1], – წაიჩურჩულა მილედიმ ინგლისურად, – I მუსტ დიე[2].

წამოდგა და აგზნებული თვალი მიმოავლო იქაურობას... ვერაფერი დაინახა.

მაშინ ყური მიუგდო, მაგრამ ვერაფერი გაიგონა.

გარშემო მხოლოდ მტრები ეხვია.

– სადა მკლავთ? – ჰკითხა ჯალათს.

– წყალგაღმა, – მიუგო ჯალათმა და მილედი ნავში ჩასვა, ის იყო თვითონაც უნდა ჩამჯდარიყო, რომ ათოსმა ფული ჩაუდო ხელში.

– დაიჭით! ეს თქვენი გასამრჯელო იყოს სასჯელის ასრულებისათვის. იცოდეს ყველამ, რომ პატიოსნად ავასრულეთ მსაჯულის მოვალეობა.

– გმადლობთ, – უპასუხა ჯალათმა, – კარგად შეიგნოს ამ დედაკაცმა, რომ მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ და არა ჩემს თანამდებობას.

თქვა და წყალში ჩაყარა ფული.

ნავი დაიძრა, შეცურდა წყალში და თან წაიყვანა განკიცხულიცა და მისი დამსჯელიც. დანარჩენები მდინარის მარჯვენა მხარეზე დარჩნენ და მუხლმოყრილნი შესცქეროდნენ მიმავალ ნავს.

ნავი ნელ-ნელა მიდიოდა, კარგად ჩანდა, როგორ მიადგნენ გაღმა ნაპირს. მილედის ნავში ყოფნის დროს მოესწრო შეკრული ფეხების გახსნა, როგორც კი ნაპირს მიაღწიეს, მკვირცხლად გადახტა და მოკურცხლა, მაგრამ სველი იყო მიწა, ფერდობზე ფეხი წაუსხლტა და მუხლებზე დაეცა.

მილედის აღარ უცდია წამოდგომა. ალბათ ღმერთს უკვე აღარ ნებავს ჩემი გადარჩენაო, გაიფიქრა და გულხელი დაიკრიფა.

მდინარის გაღმა მხრიდან კარგად დაინახეს, როგორ ასწია ჯალათმა ორივე ხელი, მთვარის შუქზე გაიელვა ხმალმა და მილედის უსულო გვამი მიწაზე გაიშხლართა.

ჯალათმა მოიხსნა წითელი წამოსასხამი, მიწაზე გაშალა, ზედ დააწვინა მოკლული, შიგვე ჩააგდო მისი მოჭრილი თავი, შეკრა ოთხივე კუთხით, მხარზე გაიდო და ნავში ჩაჯდა.

როდესაც მდინარის შუაგულს მიაღწია, ნავი დააყენა, ხელში აიღო თავისი ტვირთი და მაღალი ხმით დაიძახა:

– აღსრულებულ იქნას მართლმსაჯულება ღვთისა! – ამ სიტყვებთან ერთად მილედის გვამი წყალში გადაისროლა.

სამი დღის შემდეგ ჩვენი მეგობრები უკვე პარიზში იყვნენ. იმ საღამოსვე, ჩვეულებისამებრ, ბატონ დე ტრევილის სანახავად წავიდნენ. მათ ერთი საათიც არ გადაუცილებიათ კუთვნილი შვებულებისათვის.

– ჰა, ბატონებო, ხომ კარგად გაატარეთ დრო? – ჰკითხა გულადმა კაპიტანმა.

– საუკეთესოდ! – უპასუხა ათოსმა თავისი ამხანაგების მაგივრად.

დასკვნა

შემდეგი თვის ექვს რიცხვს მეფე ლაროშელისაკენ დაიძრა, რათა აღესრულებინა კარდინალისადმი მიცემული სიტყვა და დანიშნულ დროზე დაბრუნებულიყო. ლუდოვიკო მეცამეტე ჯერ კიდევ გაბრუებული იყო ბუკინგამის სიკვდილის ამბის გაგებით.

როგორც ვიცით, დედოფალი გაფრთხილებული იყო, რომ განსაცდელში იმყოფებოდა მისი მიჯნური, მაგრამ როდესაც უთხრეს ბუკინგამის მოკვლის ამბავი, არ უნდოდა დაეჯერებინა, თავი ვერ შეიკავა და უცბად წამოსცდა:

– ტყუილია! წერილი მივიღე მისი.

მეორე დღეს იძულებული შეიქნა, სინამდვილედ ეცნო ეს უბედურების ამბავი. მეფე კარლოს პირველის ბრძანების გამო ბევრ მგზავრს მოუხდა ინგლისში დაყოვნება და იმათ შორის ლა პორტსაც. ლა პორტმა სინამდვილე მოახსენა დედოფალს და მანვე მიართვა ბუკინგამის მიერ გამოგზავნილი უკანასკნელი სახსოვარი.

მეტად გახარებული იყო მეფე. დედოფალს არ უმალავდა თავის სიხარულს, პირიქით, ცდილობდა ეჩვენებინა, რამდენად აღტაცებული იყო თავისი მეტოქის სიკვდილით. მეფე ლუდოვიკო მეცამეტეს, როგორც ყველა სუსტი ბუნების ადამიანს, აკლდა დიდსულოვნება.

მაგრამ მეფეს დიდხანს არ გაჰყვა ეს სიხარული. მალე მოიღუშა და შეუძლოდ გახდა, გრძნობდა რომ საჭირო იყო ბანაკში დაბრუნება. გრძნობდა, რომ ბანაკში დაბრუნება მონობის განახლება იქნებოდა... გრძნობდა, მაგრამ მაინც დაიძრა ლაროშელისაკენ.

კარდინალი მეფისათვის მომაჯადოებელი გველი იყო, თვითონ მეფე პატარა ჩიტი, რომელიც ტოტიდან ტოტზე გადადის და გაფრენა, თავის დაღწევა კი ვერ მოუხერხებია.

ამიტომ ღრმად დამწუხრებული მიბრძანდებოდა მეფე ლაროშელისაკენ.

ამხანაგებს შორის განსაკუთრებულ გაკვირვებას იწვევდა ჩვენი ოთხი მუშკეტერი, რომლებიც ერთიმეორის გვერდით მიდიოდნენ დამწუხრებული სახით და ხმას არ იღებდნენ. ხანდახან მხოლოდ ათოსი ასწევდა თავს მაღლა, თვალი გაუბრწყინდებოდა, მწარე ღიმილი გაურბენდა პირზე და მერე თავისი მეგობრებივით მასაც ისევ იტაცებდა მწარე ფიქრები.

როგორც კი შევიდოდნენ მგზავრები სადმე ქალაქში, დააბინავებდნენ მეფეს, ათოსი და მისი სამი მეგობარი გამოძებნიდნენ სადმე მიყრუებულ დუქანს, შევიდოდნენ შიგ, მიკუნჭულები ისხდნენ, არც თამაშობდნენ, არც სვამდნენ, დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ და თვალს ადევნებდნენ, რომ ყური არავის მოეკრა მათი საუბრისათვის.

ერთ დღეს მეფე გზაში სანადიროდ გაჩერდა, ჩვენი ოთხი მეგობარი ნადირობის მაგიერ, ჩვეულებისამებრ, დუქანში შევიდა და ჩუმად გააბა ბაასი. ამ დროს დუქნის კარებთან გაჩერდა ლაროშელიდან მომავალი ერთი მხედარი, რომელსაც უნდოდა, ჭიქა ღვინო გადაეკრა. მხედარმა შეიხედა იმ ოთახში, სადაც ჩვენი მეგობრები ისხდნენ.

– ოჰო, ბატონო დ არტანიან! თქვენ ბრძანდებით მანდ? – შესძახა მან.

დ არტანიანმა გამოიხედა და სიხარულით შეჰყვირა, ის იყო, ის, მისი შეურაცხმყოფელი, მისი უცნობი მენგელი, რომელიც მუდამ აჩრდილივით დასდევდა უკან.

დ არტანიანმა იძრო ხმალი და გარეთ გავარდა.

მაგრამ ამჯერად უცნობი, გაქცევის მაგივრად, მარდად ჩამოხტა ცხენიდან და დ არტანიანისაკენ წამოვიდა.

– ბატონო, ძლივს მეღირსა თქვენთან შეხვედრა! ახლა კი ვეღარსად წამიხვალთ! – – უთხრა ყმაწვილმა კაცმა.

– არცა მაქვს ეგ განზრახვა, ბატონო, ამჟამად მე თვითონ წამოვედი თქვენს საძებნელად. თქვენ დაპატიმრებული ხართ, თანახმად მეფის ბრძანებისა. გთხოვთ, მომცეთ თქვენი ხმალი, ბატონო, და არც წინააღმდეგობა გამიწიოთ, გაფრთხილებთ, სიკვდილ-სიცოცხლეზე არის აქ თქვენი საქმე.

– კარგით, მაგრამ ვინ ბრძანდებით, ბატონო? – ჰკითხა დ არტანიანმა და ძირს დაუშვა ხმალი, მაგრამ იმ მხედარს კი არ მისცა.

– მე გახლავართ გრაფი როშფორი, მესაჭურვლე კარდინალ რიშელიესი, და ბრძანება მაქვს, მიგიყვანოთ მის ყოვლადუწმინდესობასთან, – უპასუხა უცნობმა.

– ჩვენც სწორედ მისი ყოვლადუწმინდესობისაკენ მივდივართ, ბატონო მხედარო, – უთხრა ათოსმა და წინ წამოდგა, – იმედი მაქვს, ენდობით ბატონ დ არტანიანის სიტყვას, რომ პირდაპირ ლაროშელს მიდის.

– მე უნდა დარაჯს ჩავაბარო, რათა ბანაკში მიიყვანონ.

– დარაჯებად ჩვენ ვეყოლებით, ბატონო, და ჩვენი პატიოსანი... სიტყვა... ჩვენს პატიოსან სიტყვას ვიმოწმებ, – დაუმატა ათოსმა და წარბი შეიჭმუხნა, – რომ ბატონი დ არტანიანი ჩვენ არ მოგვშორდება.

როშფორმა დუქნის კარებში დაინახა არამისი და პორთოსი, მიხვდა, რომ ოთხი მუშკეტერის ხელში იყო.

– ბატონებო, – დაიწყო ხელახლა როშფორმა, – თუ ბატონი დ არტანიანი ჩამაბარებს თავის ხმალს და სიტყვასაც მომცემს, ჩემთვის საკმარისი იქნება თქვენი დაპირება, რომ მას ბატონ კარდინალთან მიიყვანთ ლაროშელის ბანაკში.

– სიტყვას გაძლევთ, ბატონო, და, აი, ჩემი ხმალიც.

– ასე მიჯობს, ღვთის წინაშე, – უთხრა როშფორმა, – მე შემეძლება ისევ ჩემს გზას გავუდგე.

– თუ იმისთვის მიდიხართ, ბატონო, რომ მილედი ნახოთ, ამაოდ შეწუხდებით, ვეღარ იპოვით, – უთხრა ცივად ათოსმა.

– რა დაემართა? – ჰკითხა გაფაციცებით როშფორმა.

– დაბრუნდით ბანაკში და იქ გაიგებთ.

როშფორი ერთი წუთით ჩაფიქრდა და რადგან სურჟერამდე, სადაც კარდინალი მეფეს უნდა შეგებებოდა, ერთი დღის სავალი რჩებოდა, გადაწყვიტა, ათოსის რჩევა მიეღო და მათთან ერთად დაბრუნებულიყო.

გარდა ამისა, ერთი უპირატესობაც ჰქონდა ამ გადაწყვეტილებას: თვალს არ მოაშორებდა თავის პატიმარს.

მეორე დღეს, ნაშუადღევს სამ საათზე, უკვე სურჟერში იყვნენ, კარდინალი იქ ელოდა ლუდოვიკო მეცამეტეს. მეტად ალერსიანად შეხვდნენ ერთმანეთს კარდინალი და მეფე. ერთმანეთს მიულოცეს ბედნიერი შემთხვევა, რომლის წყალობითაც ერთი მოსისხლე მტრისაგან თავისუფლდებოდა საფრანგეთი, მტრისაგან, რომელიც ევროპას აჯანყებდა საფრანგეთის წინააღმდეგ. როშფორს კარდინალისათვის მოეხსენებინა დ არტანიანის დაპატიმრება.

ძალიან ეჩქარებოდა მის ყოვლადუწმინდესობას მუშკეტერის ნახვა, ამიტომ გამოეთხოვა მეფეს და მისი ყოვლადუდიდებულესობა მეორე დღისათვის მიიწვია ახლად აგებული ჯებირის სანახავად. საღამოთი, როდესაც კარდინალი თავის სადგომში ბრუნდებოდა, კარებთან დაინახა ხმალაყრილი დ არტანიანი, იქვე ახლოს იდგა სამი შეიარაღებული მუშკეტერი.

ამჯერად კარდინალმა თავის მხარეზე იგრძნო ძალა, მრისხანედ გადახედა დ არტანიანს და ანიშნა, უკან გაჰყოლოდა.

დ არტანიანი დაემორჩილა.

– აქ გელით, დ არტანიან, – დაუძახა ხმამაღლა ათოსმა, რათა კარდინალსაც გაეგონა.

წარბები შეიკრა მისმა ყოვლადუწმინდესობამ, ერთი წუთით გაჩერდა, მაგრამ შემდეგ კარისაკენ ისე წავიდა, ხმა არ ამოუღია.

დ არტანიანი უკან გაჰყვა, ოთახში შევიდა. კარებთან მცველი დააყენეს.

მისი ყოვლადუწმინდესობა თავის კაბინეტში გავიდა და როშფორს დ არტანიანის შემოყვანა ანიშნა.

დ არტანიანი მარტო დარჩა კარდინალის წინაშე.

იგი მეორედ ხვდებოდა კარდინალს და, როგორც შემდეგში თვითონვე აღიარა, დარწმუნებული იყო, რომ ეს უკანასკნელი შეხვედრა იქნებოდა.

რიშელიე იდგა ბუხარზე მიყრდნობილი. დ არტანიანს მისგან პატარა მაგიდა ყოფდა.

– თქვენ, ბატონო, ჩემი ბრძანებით იყავით დაპატიმრებული, – მიმართა დ არტანიანს.

– მითხრეს, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ.

– იცით, რისთვის?

– არა, ჩემო ბატონო, რადგან ერთადერთი საქმე, რომლის გამო შეიძლებოდა ჩემი დაჭერა, ჯერ არ იცის თქვენმა ყოვლადუწმინდესობამ.

რიშელიემ ყმაწვილკაცს თვალი თვალში გაუყარა.

– რაო? რის თქმა გნებავთ?

– თუ კეთილს ინებებს თქვენი ყოვლადუწმინდესობა და მიბრძანებს, რას მაბრალებენ, მეც მოვახსენებ, რაც ჩავიდინე.

– თქვენ ისეთ ბრალს გდებენ, ბატონო, რამაც ბევრ თქვენზე უფრო ძლიერს გააგდებინა თავი! – უთხრა კარდინალმა.

– რას მაბრალებენ სახელდობრ? – ჰკითხა დ არტანიანმა ისე მშვიდად, რომ კარდინალსაც გაუკვირდა.

– თქვენ გაბრალებენ სამეფოს მტრებთან მიმოწერას. გაბრალებენ, რომ იცოდით მთავრობის საიდუმლოებანი, გინდოდათ მთავარსარდლის გეგმის ჩაშლა.

– მერე, ვინ მაბრალებს მაგას, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ? – ჰკითხა დ არტანიანმა, რადგანაც ეჭვი ჰქონდა, რომ მილედი უნდა ყოფილიყო მისი ცილისმწამებელი, – ვიღაც დედაკაცი, ჩვენი სასამართლოს მიერ დაღდასმული! უნამუსო, რომელიც ერთ ქმარს საფრანგეთში გაჰყვა და მეორეს – ინგლისში! ავსული, რომელმაც საწამლავი დაალევინა და მოკლე თავისი მეორე ქმარი და სცადა, აგრეთვე, ჩემი მოწამვლა?

– რას ამბობთ? – შეჰყვირა განცვიფრებულმა კარდინალმა, – ვინ დედაკაცზე ლაპარაკობთ ასე?

– მილედი უინტერზე, – მიუგო დ არტანიანმა, – მილედი უინტერზე. დარწმუნებული გახლავართ, თქვენმა ყოვლადუწმინდესობამ არაფერი იცოდა მისი ბოროტებისა და ამიტომ თქვენი ნდობით სარგებლობდა.

– თუ მილედი უინტერმა მართლა ჩაიდინა ის ავსულობა, რასაც თქვენ აბრალებთ, ბატონო, დასჯილი იქნება.

– დასჯილი გახლავთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ.

– მერე, ვინ დასაჯა?

– ჩვენ, ბატონო.

– დაპატიმრებულია?

– მკვდარი გახლავთ.

– მკვდარი? – შეჰყვირა კარდინალმა, რომელსაც ვერა და ვერ წარმოედგინა, მართალი ყოფილიყო ის, რაც დ არტანიანისაგან ესმოდა, – მკვდარია? ხომ ასე მითხარით, მკვდარი არისო?

– სამჯერ სცადა ჩემი მოკვლა, სამჯერვე შევუნდე; მერე ქალი მოკლა, რომელიც მე მიყვარდა! მაშინ კი ვეღარ მოვუთმინე, დავიჭირეთ მე და ჩემმა მეგობრებმა, განვსაჯეთ და დავსაჯეთ.

დაწვრილებით უამბო კარდინალს ქალბატონ ბონასიეს მოწამვლა, ბეთუნის კარმელისტების მონასტერში, სამსჯავროს მოწყობა განცალკევებულ სახლში, მსჯავრის ასრულება მდინარის პირას.

კანკალი დაიწყო კარდინალმა, თუმცა ერთობ ადვილი არ იყო მისი შეშინება.

მაგრამ უცბად, თითქოს რაღაცა გაურკვეველი ფიქრის გავლენას განიცდიდა, კარდინალის აქამდე მოღუშულ სახეს ნელ-ნელა სიამოვნების სხივი მოეფინა და ბოლოს სულაც განათდა.

– მაშ, თქვენ გაბედეთ მსაჯულობა? – უთხრა კარდინალმა ტკბილი ხმით, რომელიც სრულიად არ შეეფერებოდა მისი სიტყვების სიმკაცრეს, – თქვენ თავად აღიჭურვენით მართლმსაჯულებით და ის კი არ გაგონდებოდათ, რომ ის, ვინც უფლების გარეშე ასამართლებს – კაცისმკვლელად ხდება!

– გეფიცებით, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, ფიქრადაც არ მომსვლია, ერთწამს მაინც, გადავრჩენოდი თქვენს მსჯავრს. აქ გახლავარ და ავიტან იმ სასჯელს, რასაც თქვენი ყოვლადუწმინდესობა დამადებს. არც ისე ტკბილი გახლავთ სიცოცხლე, რომ სიკვდილისა ეშინოდეს კაცს.

– დიახ, ვიცი, ყოჩაღი ბიჭი ხართ, – უთხრა კარდინალმა თითქმის ალერსიანი ხმით. – ჰოდა, მაშ, ახლავე გეტყვით, რომ მართლმსაჯულება განიხილავს თქვენს საქმეს და იქნება დაგსაჯონ კიდეც.

– სხვა რომ ყოფილიყო ჩემს ადგილზე, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, გიპასუხებდათ, რომ ჯიბეში უდევს პატიების ქაღალდი. მე კი სხვას მოგახსენებთ: ბრძანეთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, მე მზად გახლავართ.

– პატიების ქაღალდი? – ჰკითხა გაკვირვებით კარდინალმა, – ვის მიერ არის ხელმოწერილი? ნუთუ მეფის მიერ? – აშკარა ზიზღით წარმოთქვა კარდინალმა.

– იმედი მაქვს თქვენი ყოვლადუწმინდესობა იცნობს თავის ხელმონაწერს.

დ არტანიანმა ჯიბიდან ამოიღო, გაშალა და კარდინალს წარუდგინა ის ქაღალდი, რომელიც მილედის წაართვა ათოსმა და მერე დ არტანიანს მისცა, რომ თავის დაცვა შესძლებოდა. კარდინალმა გამოართვა ქაღალდი და ნელ-ნელა, სიტყვების გაგრძელებით, წაიკითხა:

„ჩემი ბრძანებითა და სამეფოს კეთილდღეობისათვის შეასრულა ამისმა წარმომდგენმა ეს საქმე.

5 აგვისტო, 1628 წელი
რ ი შ ე ლ ი ე“.

წაიკითხა ეს ორი სტრიქონი კარდინალმა და ღრმად ჩაფიქრდა, მაგრამ ქაღალდი კი არ დაუბრუნა დ არტანიანს.

„ახლა ალბათ იმას ფიქრობს, რომ კარგად დამსაჯოს და ამოიყაროს ჩემი ჯავრი, არც მაგას შევუშინდები. მე ვაჩვენებ, როგორ კვდება პატიოსანი კაცი!“ – ამბობდა გულში დ არტანიანი.

ძალიან კარგ გუნებაზე იყო ყმაწვილი მუშკეტერი და გმირულად აპირებდა საიქიოსკენ წასვლას.

რიშელიე კი ჯერ თავისი ფიქრით იყო დამონებული. ნელ-ნელა შლიდა და კეცავდა ქაღალდს. ბოლოს მაღლა აიღო თავი, ორბის თვალით დააშტერდა ყმაწვილი კაცის პატიოსან, გონიერ, გულმართალ სახეს და ამ ცრემლით დაღარულ სახეზე ამოიკითხა ის დიდი მწუხარება, რომელიც საწყალ ბიჭს იმ ერთი თვის განმავლობაში გადაეტანა. კარდინალმა მესამედ თუ მეოთხედ წარმოიდგინა, რა დიდი მომავალი ჰქონდა ოცდაერთი წლის ახალგაზრდას და რა

სასარგებლო იქნებოდა იგი თავისი ჭკუით, მოხერხებითა და მამაცობით ბრძენი მბრძანებლის ხელში.

მეორე მხრივ, მილედის ავკაცობას, ყოვლისშემძლეობას და ჯოჯოხეთურ მზაკვრობას არაერთხელ აღუშფოთებია კარდინალი. რაღაც საიდუმლო სიხარულს გრძნობდა იმის გაფიქრებაზე, რომ საუკუნოდ იშორებდა თავის საშიშ თანამოზიარეს და ნელ-ნელა ნაკუწ-ნაკუწ დახია ის ქაღალდი, ასეთი ნდობით რომ მიართვა დ არტანიანმა.

„დავიღუპე“, – ამბობდა გულში დ არტანიანი და მდაბლად დაუკრა თავი თავის მსაჯულს, როგორც შეეფერება კაცს, რომელიც ამბობს – „იყოს ნება თქვენი!“

კარდინალი მაგიდასთან მივიდა, რამდენიმე სტრიქონი დაწერა და ზედ თავისი ბეჭედი დაასვა.

„ეს დადგენილებაა, მსჯავრი დამდო! – ფიქრობდა დ არტანიანი. – მგონი, ამაცილებს ბასტილიის ციხესაც და სასამართლოს მიერ კვლევა-ძიების გაჭიანურებასაც. კიდევ კარგი, რომ ასე ლმობიერად მექცევა“.

– ინებეთ, ბატონო, – უთხრა კარდინალმა, – ერთი ნებართვა წაგართვით, სამაგიეროდ, მეორეს გაძლევთ, სახელი, გვარი არ წერია ამ მოწმობაში და იმედი მაქვს, თქვენ თვითონ ჩაწერთ.

დ არტანიანმა გაუბედავად ჩამოართვა ქაღალდი და თვალი გადაავლო.

მუშკეტერების ლეიტენანტობას ანიჭებდა კარდინალი. დ არტანიანმა დაიჩოქა კარდინალის წინაშე.

– თქვენთვის მომიძღვნია ჩემი სიცოცხლე, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, მიმსახურეთ, როგორც გნებავთ, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ღირსი არ გახლავართ ამ წყალობისა, სამი მეგობარი მყავს, ჩემზე მეტად დამსახურებული და მეტად ღირსი.

– ყოჩაღი ბიჭი ხართ, დ არტანიან, – შეაწყვეტინა კარდინალმა და მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი. იგი აღტაცებული იყო, რომ ბოლოს მაინც დაიმორჩილა ეს ურჩი ბუნების ბიჭი. – ისე გამოიყენეთ ეს მოწმობა, როგორც გიჯობდეთ, მხოლოდ ეს კი კარგად გახსოვდეთ, თუმცა სახელი და გვარი არ ჩავწერე, მე თქვენ გაძლევთ ამ თანამდებობას.

– დარწმუნებული ბრძანდებოდეს თქვენი ყოვლადუწმინდესობა, არასოდეს არ დამავიწყდება, – უპასუხა დ არტანიანმა.

კარდინალი კარისაკენ მიბრუნდა და დაიძახა:

– როშფორ!

ეტყობოდა, როშფორი იქვე იდგა, ისე სწრაფად გამოეჭიმა კარდინალს.

– როშფორ! – მიმართა კარდინალმა, – აი, ბატონი დ არტანიანი, ჩემს მეგობართა წრეში ჩავრიცხე, მაშასადამე, მოეხვიეთ ერთმანეთს და ფრთხილად იყავით, თუ არ გინდათ უბედურება.

როშფორმა და დ არტანიანმა ტუჩები ოდნავ შეახეს ერთმანეთს.

მაგრამ კარდინალი იქა ბრძანდებოდა და თვალს არ აშორებდა.

ისინი ერთად გავიდნენ კარდინალის კაბინეტიდან.

– ხომ კიდევ ვნახავთ ერთმანეთს?

– როდესაც გნებავდეთ, –მიუგო დ არტანიანმა.

– შემთხვევა დაგვეხმარება, – უთხრა როშფორმა.

– რაო? რაო? – გამოსძახა კარდინალმა და კარი გამოაღო. მათ მაშინვე გაუცინეს ერთმანეთს, ხელი ჩამოართვეს და კარდინალს გამოეთხოვნენ.

– კინაღამ მოთმინება დავკარგეთ, – უთხრა ათოსმა დ არტანიანს.

– აი, აქა ვარ, მეგობრებო! – შესძახა დ არტანიანმა, – თავისუფალიცა ვარ და ღირსეულად მიღებული.

– ხომ გვიამბობთ?

– საღამოზე.

მართლაც, საღამოს ათოსთან მივიდა დ არტანიანი. ათოსს, ჩვეულებისამებრ, წინ ედგა ერთი ბოთლი ესპანური ღვინო და ნელ-ნელა წრუპავდა. ეს მას წესად ჰქონდა დადებული ყოველ საღამოს. დ არტანიანმა უამბო, როგორ მიიღო კარდინალმა, რა საუბარი ჰქონდათ. მერე ჯიბიდან ის მოწმობა ამოიღო.

– აი, ჩემო კეთილო მეგობარო! გვარი არ წერია და მინდა, თქვენი გვარი ჩავწერო, იგი თქვენ გეკუთვნით.

– ჩემო დ არტანიან, ათოსისათვის ეგ მეტისმეტია, გრაფ დე ლა ფერისათვის კი მეტად მცირეა. თქვენი გვარი ჩაწერეთ შიგ, თქვენ უფრო გეკუთვნით. ღმერთო ჩემო! ნუ გავიწყდებათ, რა ძვირად დაგიჯდათ ეგ წარმატება.

დ არტანიანი ათოსის ოთახიდან პორთოსთან შევიდა.

შესანიშნავი ხელოვნებით ამოქარგული საგანგებო ტანისამოსით მორთულიყო პორთოსი, სარკის წინ იდგა და ტკბებოდა.

– აჰ, თქვენა ხართ, ჩემო საყვარელო მეგობარო? მიხდება ჩემი ახალი ტანისამოსი?

– ძალიან, – უპასუხა დ არტანიანმა, – მაგრამ მე იმისთვის მოვედი, რომ ერთი სხვა ტანისამოსი შემოგთავაზოთ, ის უფრო მოგიხდებათ.

– რა ტანისამოსი?

– მუშკეტერების ლეიტენანტისა.

დ არტანიანმა პორთოსსაც უამბო კარდინალთან საუბრის შესახებ და ჯიბიდან ამოიღო მოწმობა.

–პორთოს, მოდით, თქვენი გვარი ჩაწერეთ და სამსახურშიც ლმობიერად მომექეცით.

თვალი გადაავლო მოწმობას პორთოსმა, დაუბრუნა თავის ამხანაგს და ძალიანაც გააკვირვა ყმაწვილი კაცი.

– მართალია, ძალიან გამახარებდა ეს წარმატება, მაგრამ დიდხანს ვეღარ დავტკბებოდი ამ წარმატებით. ჩვენ რომ ბეთუნში ვიყავით, იმ დროს ჰერცოგი გარდაცვლილა, ჩემი შეყვარებულის მეუღლე. ისე რომ, მიცვალებულის საუნჯე ტკბილად მიღიმის და მეც ვირთავ მის ქვრივს. ახლა სწორედ საქორწინო ტანისამოსს ვისინჯავდი. არა, ჩემო დ არტანიან, ლეიტენანტობა თქვენ მოგიხ-დებათ.

და ქაღალდი დ არტანიანს ჩაუდო ხელში.

არამისთან შევიდა ყმაწვილი კაცი.

მუხლმოყრილი არამისი ლოცვანს კითხულობდა.

ამასაც უამბო ყველაფერი, მერე მესამედ ამოიღო ჯიბიდან მოწმობა და არამისს გაუწოდა:

– არამის, თქვენა ხართ ჩვენი მეგობარი, ჩვენი სინათლე, ჩვენი უხილავი მფარველი, მიიღეთ ეს თანამდებობა, თქვენ უფრო დამსახურებული გაქვთ ეს წარმატება, ვიდრე სხვა ვინმეს, თქვენი სიბრძნით და თქვენი რჩევით, რომელიც მუდამ გვამარჯვებინებდა.

– ეჰ, საყვარელო ჩემო მეგობარო, – ამოიოხრა არამისმა, – ჩვენმა უკანასკნელმა თავგადასავალმა საუკუნოდ შემაზიზღა ხმლით და იარაღით ცხოვრება. ამჟამად საბოლოოდ მაქვს გადაწყვეტილი, გათავდება თუ არა ეს ომი, მეც ლაზარისტების მონასტერში შევიდე. თქვენ გამოიყენეთ ეს მოწმობა, დ არტანიან, მხედრობა სრულიად შეეგუება თქვენს ბუნებას და სახელოვანი, დაუღალავი, გამბედავი კაპიტანი იქნებით.

ცრემლით დაუსველა თვალი ამ უანგარო მეგობრობამ დ არტანიანს და გახარებული შევარდა ათოსთან. ათოსი ისევ ისე ბოთლს უჯდა და ლამპის სინათლეზე ტკბებოდა მალაგის ღვინის უკანასკნელი წვეთებით.

– ეჰ, არც იმათ ისურვეს.

– ეგ იმიტომ, მეგობარო, რომ არავის დაუმსახურებია ეგ წარმატება ისე, როგორც თქვენ.

ათოსმა კალამი აიღო და მოწმობაში დ არტანიანის სახელი და გვარი ჩაწერა.

– მაშ, მეგობრები აღარ მეყოლება, – თქვა დ არტანიანმა, – ვაიმე, ვაიმე, აღარა დამრჩება რა, მწარე წარსულის გარდა.

დ არტანიანი თავჩაქინდრული იჯდა მაგიდასთან და თვალებიდან ორი მსხვილი ცრემლი გადმოუვარდა.

– ჯერ ყმაწვილი ხართ, ჩემო დ არტანიან და წინ გიდევთ სიცოცხლე. საკმარისი დრო გექნებათ, რომ წარსული ტკბილ აწმყოდ გექცეთ, – უთხრა ათოსმა.

ეპილოგი

აღარც ინგლისის ფლოტი მოეშველა ლაროშელს, აღარც ბუკინგამის მიერ აღთქმული ჯარი და მთელი წლის გარემოცვის შემდეგ 1628 წლის 28 ოქტომბერს, დანებდნენ.

იმავე წლის 23 დეკემბერს მეფე პარიზში დაბრუნდა. ისეთი აღტაცებით და ზეიმით მიიღეს პარიზელებმა, თითქოს მართლა მტრები დაემარცხებინოს და არა ფრანგები. სენ-ჟაკის უბანში მწვანე თაღებქვეშ გაატარეს ლუდოვიკო მეცამეტე.

დ არტანიანმა მიიღო ლეიტენანტობა, პორთოსი გავიდა სამსახურიდან და მეორე წლის დამდეგს შეირთო ქალბატონი კოკნარი. ნატვრის თვალად მიჩნეულ უჯრაში რვაასი ათასი ლივრი აღმოჩნდა.

მშვენიერი ტანისამოსი ჩააცვეს მუშკეტონს, ძლივს აუსრულდა დიდი ხნის ნატვრა – მოოქრული კარეტის ბოლოს იდგა კოხტად მოკაზმული.

არამისი ლოტარინგიაში გაემგზავრა. იგი უცბად გაქრა და აღარ სწერდა თავის მეგობრებს, მერე გაიგეს, ისიც ქალბატონ შევრეზის წყალობით, რომ არამისი ბერად აღიკვეცა ნანსში.

ბაზენიც მონასტერში შესულიყო.

ათოსი მუშკეტერად დარჩა დ არტანიანის ასეულში 1631 წლამდე. ამ წელს კი სამოგზაუროდ წავიდა ტურენში და სამსახურიდან გავიდა, რადგან რუსილონში პატარა მემკვიდრეობა მიიღო.

გრიმოც ათოსს გაჰყვა.

დ არტანიანს სამჯერ მოუხდა როშფორთან შებრძოლება და სამჯერვე დაჭრა.

– მეოთხედ კი, ალბათ, შემომაკვდებით, – უთხრა დ არტანიანმა როშფორს მესამე შებრძოლების დროს და წამოსაყენებლად ხელი გაუწოდა.

– ასეთ შემთხვევაში ორივესთვის უკეთესია ამით გავათაოთ, – უპასუხა დაჭრილმა, – ეშმაკმა დასწყევლოს, – განაგრძო მან, – არ დაიჯერებთ, მაგრამ უნდა გითხრათ, მე უფრო მეტი მეგობრული განწყობილება მაქვს თქვენდამი, ვიდრე თქვენ გგონიათ, რადგან ჯერ კიდევ ჩვენს პირველსავე შეხვედრაზე, ერთი სიტყვაც რომ მეთქვა კარდინალისათვის, უსათუოდ თავს გაგაგდებინებდნენ.

როშფორი და დ არტანიანი ერთხელ კიდევ მოეხვივნენ ერთმანეთს, მაგრამ ახლა გულწრფელი იყო ეს მოხვევნა, მის უკან არავითარი ფარული ფიქრი არ იბადებოდა.

პლანშეს ათისთაობა მისცა დ არტანიანმა.

ბონასიე ტკბებოდა დამშვიდებული ცხოვრებით. მას ერთი წუთითაც არ აგონდებოდა თავისი ცოლი და თავს არ იწუხებდა იმაზე ფიქრით, თუ რა დაემართა საწყალ ქალს.

ერთხელ ბონასიე გაუფრთხილებლად მოიქცა, გადაწყვიტა, კარდინალისათვის გაეხსენებინა თავისი თავი და სისრულეში მოიყვანა ეს სულელური ჩანაფიქრი,

კარდინალმა შემოუთვალა, რომ ის მზრუნველობას გამოიჩენდა მისდამი და ამიერიდან აღარაფერი მოაკლდებოდა. მართლაც, მეორე დღეს, საღამოს შვიდ საათზე, სახლიდან ლუვრისაკენ წასული ბონასიე აღარავის უნახავს მესაფლავეების ქუჩაზე. ვინც კარგად იყო გაცნობილი ამ საქმის გარემოებას, ფიქრობდნენ, რომ იგი ერთ-ერთ სამეფო ციხე-დარბაზში უნდა ყოფილიყო, მისი ყოვლადუწმინდესობის სამეფო ხარჯზე.